

# ალეკო ნაჭყებია

სამოქალაქოსამართლებრივი  
ნორმების განმარტებები უზენაესი  
სასამართლოს პრაქტიკაში

(2000-2013)

წინამდებარე წიგნი გამოცემულია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით.

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) გერმანიის ფედერალური მთავრობის დავალებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას, განახორციელოს სხვადასხვა პროექტი საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

1993 წლიდან GIZ-ი ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებზე ტრანსნაციონალური დიალოგის წარმართვა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი სისტემის განმტკიცება. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ადგილობრივი და გერმანელი ექსპერტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება საკანონმდებლო კონსულტაციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და გამოცდილებების გაზიარება. გარდა ამისა, GIZ-ი ხელს უწყობს იურიდიული ლიტერატურის შექმნას და სამართლის პოპულარიზაციას.

GIZ-ის სამართლის პროგრამის პუბლიკაციების ელექტრონული ვერსიების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებგვერდიდან: [www.giz.de/law-caucasus](http://www.giz.de/law-caucasus)

GIZ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე გამოცემის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



© ალექო ნაჭყებია, 2014

© GIZ, 2014

ISBN 978-9941-9350-7-7

# სარჩევი

<b>წინასიტყვაობა</b> . . . . .	5
<b>1. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი</b> . . . . .	7
1.1. შესავალი დებულებანი . . . . .	7
1.2. ფიზიკური პირები / პირადი არაქონებრივი უფლებები . . . . .	8
1.3. გარიგებანი . . . . .	24
1.4. წარმომადგენლობა გარიგებებში . . . . .	36
1.5. უფლების განხორციელება . . . . .	44
1.6. ხანდაზმულობა . . . . .	46
1.7. ქონება . . . . .	57
<b>2. სანივთო სამართალი</b> . . . . .	58
2.1. მფლობელობა . . . . .	58
2.2. საკუთრება . . . . .	66
2.3. სამემობლო სამართალი . . . . .	73
2.4. საკუთრების შექმნა და დაკარგვა . . . . .	81
2.4.1. უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა . . . . .	81
2.4.2. საკუთრების შექმნა მოძრავ ნივთებზე . . . . .	92
2.4.3. საკუთრების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე . . . . .	95
2.5. აღნაგობა . . . . .	96
2.6. უზუფრუქტი . . . . .	97
2.7. სერვიტუტი . . . . .	97
2.8. გირავნობა . . . . .	98
2.9. იპოთეკა . . . . .	102
2.10. საჯარო რეესტრი . . . . .	111
<b>3. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი</b> . . . . .	115
3.1. ზოგადი დებულებანი . . . . .	115
3.2. სახელშეკრულებო სამართალი . . . . .	121
3.3. ვალდებულების შესრულება . . . . .	128
3.4. ვალდებულების დარღვევა . . . . .	138
3.5. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა . . . . .	148
3.6. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი . . . . .	165
3.7. ვალდებულების შეწყვეტა . . . . .	169
3.8. კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში . . . . .	176
<b>4. სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილი</b> . . . . .	179
4.1. ნასყიდობა . . . . .	179
4.2. ჩუქება . . . . .	186
4.3. ქირავნობა . . . . .	191
4.4. იჯარა . . . . .	195
4.5. სესხი . . . . .	196
4.6. ნარდობა . . . . .	198
4.7. დავალება . . . . .	208
4.8. საკუთრების მინდობა . . . . .	211

4.9. მიბარება . . . . .	214
4.10. დაზღვევა . . . . .	217
4.11. საბანკო მომსახურება . . . . .	226
4.12. თავდებობა . . . . .	233
4.13. ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულება . . . . .	235
4.14. ერთობლივი საქმიანობა(ამხანაგობა) . . . . .	236
4.15. სამისდღეშიო რჩენა . . . . .	243
<b>5. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი . . . . .</b>	<b>244</b>
5.1. საზიარო უფლებები . . . . .	244
5.2. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება . . . . .	254
5.3. უსაფუძვლო გამდიდრება . . . . .	255
5.4. დელიქტური ვალდებულება . . . . .	270
<b>6. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი . . . . .</b>	<b>285</b>
<b>7. საოჯახო სამართალი . . . . .</b>	<b>300</b>
<b>8. მემკვიდრეობითი სამართალი . . . . .</b>	<b>329</b>
<b>9. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი . . . . .</b>	<b>357</b>
<b>10. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობები . . . . .</b>	<b>360</b>
<b>11. შრომის სამართალი . . . . .</b>	<b>377</b>
<b>13. სამეწარმეო სამართალი . . . . .</b>	<b>392</b>
<b>14. სამოქალაქო პროცესი . . . . .</b>	<b>412</b>
<b>15. სხვადასხვა . . . . .</b>	<b>527</b>
<b>16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაუშვებლობის მოტივით განუხილველად დატოვებული საქმეები . . . . .</b>	<b>547</b>
<b>17. არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა . . . . .</b>	<b>561</b>

## წინასწარმხილველი

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობა უმნიშვნელოვანესი ელემენტია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის. სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობის უზრუნველყოფა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას განზოგადებული პრაქტიკის არსებობისათვის. სხვადასხვა სახის სპეციალური კრებულების გამოცემითა და გადაწყვეტილებათა ელექტრონული საძიებო სისტემის შექმნით, საქართველოს უზენაესი სასამართლო წლების განმავლობაში უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკით დაინტერესებული პირებისათვის გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობას.

გადაწყვეტილებათა მოძიების ეფექტური სისტემის არსებობამ დიდი დახმარება გამიწია, რომ წინამდებარე ნაშრომი ყოფილიყო იმ სახით, როგორც არის წარმოდგენილი. თავის მხრივ, ნაშრომის მსგავსი ფორმით და შინაარსით ჩამოყალიბება იმ მიზნით არის განპირობებული, რომ კიდევ უფრო გაუმარტივოს დაინტერესებულ პირებს მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს განმარტების ნახვა.

ნაშრომი მოიცავს ამონარიდებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2000–2013 წლებში არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებებიდან და განჩინებებიდან, რომლებშიც მოცემულია უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი განმარტება. აღნიშნული განმარტებები ეხება როგორც ცალკეულ სამართლებრივი აქტების ნორმებს, ისე ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ სამოქალაქო საქმეთა განხილვის პროცესში. ნაშრომის სისტემური შემადგენლობა ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსისა და სხვა განმარტებული ნორმატიული აქტების სტრუქტურას. ამას გარდა, ნაშრომის სისტემური აგებულება ერთგვარად ასახავს ნორმის განმარტების ევოლუციას, რაც წლების განმავლობაში განიცადა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობამ სამართალწარმოების პროცესში. ნაშრომში მცირე მითითებაა გაკეთებული იმ საქმეებზეც, რომლებიც განუხილველად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, თუმცა ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტება მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისათვის.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), რომლის მხარდაჭერითაც წელიწადნახევრიანი მუშაობის შედეგი დღის შუქს იხილავს.

ალეკო ნაჭყებია  
იურისტი



# 1. სამოქალაქო კოდექსის ორგანიზაციის ნაწილი

## 1.1. შესავალი დებულებანი

საქმე № ას-515-1171-03

18 ნოემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი (სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა შემოსვენებულ ფაქტობრივ გარემოებებს და სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ დავის საგანი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს არ წარმოადგენს. სკ-ს მე-7 მუხლის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკ არეგულირებს ურთიერთობებს, რომლის დავის საგანი სამოქალაქო ბრუნვაშია, ანუ ნივთზე შემოქმედება, (მფლობელობა, განკარგვა და სხვა) შესაძლებელია სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით. რაც შეეხება მოცემულ შემთხვევას, უკანონო ნაგებობაზე კანონით გათვალისწინებული წესით არ შეიძლება დადგინდეს არც საკუთრება და შესაბამისად, არც მფლობელობა.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ს 147-ე მუხლი. მითითებული ნორმის თანახმად ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება მნივობრივ ნორმებს. აღნიშნული ნორმა ცალსახად აწესებს, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს უნდა შეეძლოთ ნივთის თავისუფალი შექმნა, ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. ეს თვისება განაპირობებს ნივთის ბრუნვაუნარიანობას. მოქმედი კანონი აწესებს უძრავი ნივთების გასხვისების სპეციალურ წესს (სკ-ს 183-ე და 323-ე მუხლები), რომელთა გამოყენება უკანონო ნაგებობების მიმართ შეუძლებელია; უკანონო სახლთმფლობელობა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად ვერ იქნება მიჩნეული.

საქმე № 3კ-621-02

29 მაისი, 2002 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უფლების კეთილსინდისიერად განხორციელება (სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი)

არასწორია კასატორის მითითება, რომ თითქოს სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტის დროს არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი; თითქოს ნ. გ-შვილმა, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ, ბოროტად გამოიყენა თავისი უფლებები სასამართლო სხდომაზე საგამოძიებო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენით.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი მიუთითებს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განხორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები, მაგრამ ნ. გ-შვილის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის წარმომადგენლის, მიერ სასამართლო პროცესზე მისი მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად მოწინააღმდეგე მხარის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების და გამოძიების მიერ გაცემული ინფორმაციის გამოქვეყნება არ წარმოადგენს ადვოკატის მხრივ თავისი უფლებების არაკეთილსინდისიერ განხორციელებას და ცხადია, სააპელაციო სასამართლო მოპასუხის წინააღმდეგ მითითებულ მუხლს ვერ გამოიყენებდა.

საქმე № ას-1388-1224-10

23 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: კეთილსინდისიერების პრინციპი (სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი)**

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს მითითებას კეთილსინდისიერებასთან მიმართებაში. აღნიშნული ნორმის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები ანუ კეთილსინდისიერება უკავშირდება პირისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და არა იმის შესრულებას, რაც მას არც ხელშეკრულებით და არც სხვა სახით (ასეთი რამ საქმის მასალებით არ დასტურდება) მხარის მიმართ არ უკისრია.

## 1.2. ფიზიკური პირები / პირადი არაქონებრივი უფლებები

საქმე № 3კ/376-01

18 ივლისი, 2001 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საქმიანი რეპუტაციის შელახვა (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი)**

პალატა თვლის, რომ სასამართლოს მიერ სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის არასწორი განმარტება და გამოყენება გამოიხატება შემდეგში:

დადგენილია, რომ იმ პერიოდში, რომელსაც გადაცემა „...“ შეეხებოდა, ნ. ჯ-იანი იყო პარლამენტარი. მუშაობდა პარლამენტის სამხედრო მრეწველობის საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ და წარმოადგენდა პოლიტიკური თანამდებობის პირს. ვ. კ-ძე იყო მრეწველობის მინისტრის მოადგილე — საჯარო მოსამსახურე. ამ ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი განმარტება მისცა მე-18 მუხლის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს — საქმიან რეპუტაციას. საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს იჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელსაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებული (ან განსახორციელებელი) საქმიანი ოპერაციებისათვის, მისი პროფესიული თვისებების დისკრედიტაციისათვის. ასეთი ხელყოფით პირს შეიძლება მიადგეს მატერიალური ზიანიც, ე.ი. ხელიდან გაუშვას მოგება, დაეკარგოს კლიენტი და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური, ასევე საჯარო სამსახურის თანამდებობის პირზე (მოხელეს) არ უნდა გავრცელდეს საქმიანი რეპუტაციის ის გეგმა, რასაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი განამტკიცებს. ამ პირების სამსახურებრივ საქმიანობასთან (მოღვაწეობასთან) დაკავშირებით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს დიფამაციას (პატივის ან ღირსების ხელყოფა), მაგრამ არა საქმიანი რეპუტაციის შელახვას. ამდენად, ნ. ჯ-იანის მიერ გადაცემაში — „...“, გაკეთებული განცხადებით, იმის შესახებ, რომ ვ. კ-ძემ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა პრეზიდენტს საქართველოში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების შესახებ, არ ილახება საჯარო მოხელის საქმიანი რეპუტაცია.



**საქმე № 3კ/924-01**

**26 დეკემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებად მიჩნეულია: არაქონებრივ უფლებათა ხელმოკლე მოქმედების შეწყვეტა (მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადება), ან მათზე უარის თქმა, რაც ხორციელდება გავრცელებული ცნობების უარყოფით (მე-18 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება), ანდა პირადი არაქონებრივი უფლების ბრალეული მოქმედებით ხელყოფის შედეგად მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურება (ანდა ორივე ერთად — მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი). მართალია, აღნიშნული ნორმა არეგულირებს, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების დაცვას (სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, იურიდიული პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის წესები), მაგრამ ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, იურიდიულ პირს არ გააჩნია. კერძოდ, იურიდიულ პირს არ გააჩნია მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორცაა პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა, და სხვა). ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოა.

**საქმე № 3კ-621-02**

**29 მაისი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი)**

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. გ-შვილის მიერ სასამართლო პროცესზე ზემოთ მითითებული დოკუმენტების წარდგენა ვერ იძლევა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული უფლებების დარღვევის შემადგენლობას, რადგან მითითებული დოკუმენტები სასამართლო და საგამოძიებო დოკუმენტებია და არ შეიძლება მოიცავდეს პიროვნების პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს. აქედან გამომდინარე, კასატორის მოსაზრება, რომ თითქოს ზემოთ მითითებული საგამოძიებო დოკუმენტების სასამართლო პროცესზე წარმოდგენით დაირღვა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული მისი უფლებები, არ წარმოადგენს არც დამატებით და არც დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას და იგი ვერ გახდება მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

**საქმე № 3კ-606-02**

**12 ივნისი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პატივის და ღირსების შელახვა (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელის ქმედუწაროდ ცნობა მოხდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოს თუნდაც ამ გადაწყვეტილების მიღების დროს, დაერღვია კანონის მოთხოვნები და მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, არასწორ სასამართლო გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება პასუხი აგოს მხარემ. აქედან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებით პირის ქმედუწაროდ ცნობა არ წარმოადგენს მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას, რადგან მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, თუ რაში გამოიხატებოდა გავრცელების ფაქტი და ვერც ის, რომ მოპასუხე მიზნად ისახავდა მისი ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ რაიონული სასამართლოს 1998წ. 10 აგვისტოს გადაწყვეტილება მოსარჩელის ქმედუწაროდ ცნობის შესახებ თუნდაც უკანონო ყოფილიყო, ამ გადაწყვეტილებაზე პასუხს ვერ აგებს მხარე, რომელმაც კანონით დადგენილი წესით მიმართა სასამართლოს მოსარჩელის ქმედუწაროდ ცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოპასუხისათვის ცნობილი იყო მოსარჩელის სტაციონალურად ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობის ფაქტი და მოსარჩელის ქმედუწარობაში ეჭვის შეტანის საფუძველიც გააჩნდა.

**საქმე № 3კ-337-02**

**25 ივნისი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევა**

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ღვარძლიან კრიტიკაში, რომელიც სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და მიზნად ისახავს ადრესატის ღირსების შელახვას. პატივისა და ღირსების შელახვას ასევე ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მესამე მხარისადმი მიმართვისას ერთი ადამიანი მეორის ღირსებას, რეპუტაციას ან მდგომარეობას მოიხსენიებს იმგვარი ფორმით, რომ ამცირებს პირს მოქალაქეთა თვალში, იწვევს სიძულვილს ან ზიზღს. ამდენად, პირს დაცვის უფლება ენიჭება მაშინ, როდესაც დისკრედიტირებულია მისი საზოგადოებრივი რეპუტაცია. მართალია, კრიტიკის ფარგლები პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო მოხელეების მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო ფიზიკური პირების მიმართ, მაგრამ კრიტიკამ არ უნდა გადალახოს საზღვარი, რომელიც დადგენილია „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის“ დასაცავად.

**საქმე № 3კ-390-02**

**4 ივლისი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ჟურნალისტური გამოძიების პროცესში გაკეთებული შეფასების მიჩნევა პატივისა და ღირსების შემლახველად**

როდესაც მოსარჩელე ჟურნალისტურ შეფასებებს პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნევს, მან უნდა მიუთითოს, რომ ეს შეფასებები არ წარმოადგენენ იმ ფაქტების შესაბამისს, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებაშია გამოყენებული, ან ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც ჟურნალისტის მიერ არის მოტანილი, არ შეესაბამება სინამდვილეს. პალატის აზრით, როდესაც ფაქტები, რომელზედაც შეფასებითი განსჯა დაფუძნებული, სადავო არ ხდება, ასეთ შემთხვევაში შეფასებითი განსჯის გამოყოფა და მათი სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცება უსაფუძვლოა.

**საქმე № 3კ-390-02**

**4 ივლისი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თანამდებობის პირის კრიტიკის ფარგლები**

როდესაც საგაზეთო პუბლიკაცია ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ უკანონო მოქმედებას, რომლებიც თვითონ არიან პასუხისმგებელნი ქვეყანაში კანონიერების დაცვაზე და ამ დარღვევების არსებობის უარყოფა არ ხდება, ამ შემთხვევაში კრიტიკის ფარგლები ფართოა. ამ შემთხვევაში პრესის ფუნქციაა, შეასრულოს „ნაგაზის“ როლი საზოგადოებაში და გაავრცელოს ინფორმაცია პოლიტიკური ლიდერის შესახებ, რათა ხალხმა შეაფასოს ლიდერთა საქმიანობა. პოლიტიკოსი, რომელიც ახორციელებს ასეთ სარისკო მოქმედებებს, თვითონ ხდის თავის თავს ჟურნალისტებისა და საზოგადოების მხრიდან მკვეთრი რეაქციის საგნად.

როდესაც უდავოა ფაქტების სინამდვილე, რომელსაც შეფასებითი განსჯა ეფუძნება და თვით ეს შეფასებებიც გამოტანილია სხვა პოლიტიკოსთა და სპეციალისტთა მოსაზრებებიდან, მოთხოვნა ჟურნალისტის მხრიდან ამგვარი ცნობების უარყოფის შესახებ ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების პრინციპებს.

**საქმე № 3კ-1240-02**

**24 აპრილი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პატივისა და ღირსების შელახვა (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი)**

პატივისა და ღირსების შელახვაში იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოპასუხებმა ვ. ა-ს ბრალი დასდეს მძიმე დანაშაულთა ჩადენაში. კერძოდ, ორი ადამიანის მკვლელობაში, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და უფლებამოსილების გადამეტებაში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გავრცელებული ცნობები აშკარად ლახავს ვ. ა-ის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას, ვინაიდან ისინი შეიცავენ მტკიცებას ვ. ა-ის მიერ კანონის, მორალის ნორმების დარღვევისა და უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.

კასატორების მოსაზრებით, საოლქო სასამართლომ ვერ გამიჯნა ცნობები მოსაზრებებისაგან. გამონათქვამები: „მკვლელობის წარმოდგენილი ვერსია ორივე შემთხვევაში დადასტურდა“; „ცოტა მოგვიანებით ამაში თქვენ თავადაც დარწმუნდებით“ და „...-ის ყოფილი მინისტრის პრესაში დავიანებული აღსარება ჩვენთვის ნაკლებად დამაჯერებელია“ არ შეიცავს ცნობებს ფაქტების შესახებ, ვინაიდან ისინი მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტის შეფასებებია.

„ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილად, რეალურად მომხდარი ან არსებული გარემოებები და საგნები.

„აზრის“ ცნების ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომელიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან და რომლის მართებულობა თუ მცდარობა მთლიანად პირად წარმოდგენებზე დამოკიდებულია. აზრი შეიცავს არა მარტო შეფასებით, არამედ აგრეთვე ფაქტობრივ ელემენტებსაც. ამიტომ გამონათქვამებში თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა ფაქტებს, ფაქტები კი აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მას. აღნიშნულის გამო, აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცვის ქვეშ მთლიანი გამონათქვამი ექცევა.

საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს საკანონმდებლო აქტებით სხვათა ინტერესების დასაცავად, სწორედ მოსაზრებების გამოხატვა და გავრცელება შეიძლება შეიზღუდოს. ამდენად, თუ მოსაზრება შეიცავს მტკიცებას პირის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, ეს შეიძლება გახდეს სკ-ს მე-18 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის საგანი. როდესაც შეფასებითი განსჯა ეფუძნება ისეთ ფაქტებს, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება, მოპასუხეებს ევალებათ ამტკიცონ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების ნამდვილობა, რადგან ასეთ ვალდებულებას მათ აკისრებს სკ-ს მე-18 მუხლი.

**საქმე № 3კ-423-03**

**30 ივლისი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პატივისა და ღირსების შელახვა (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი)**

საკასაციო პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსაზრებას, რომ ცნობების გავრცელება იმის შესახებ, რომ პირის მიერ დარღვეულია კანონი, სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და იგი იწვევს ადრესატის პატივის ანუ საზოგადოებრივი რეპუტაციის დისკრედიტაციას. ასეთ შემთხვევაში, დაირღვა რა კრიტიკის დასაშვები ფარგლები, შესაბამისად, კრიტიკის მიმართ თმენის ვალდებულებაც შეწყდა.

**საქმე № ას-843-1095-04**

**17 თებერვალი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პატივისა და ღირსების შელახვა**

გამეთ „... ში“ 2000წ. 16 თებერვალს მოპასუხემ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მიუთითა, რომ მ. კ-მ „..... წლების მანძილზე ჩემი ლანძღვით აიკლო სხვადასხვა ინსტანციები, ჩემი ახლობლები და ოჯახის წევ-

რები. მას აწუხებს აკვირებული აზრი — თითქოს მისგან მესესხოს 500 აშშ დოლარი და არ ვუბრუნებ! ამის გამო ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოსაც მიმართა, რომელმაც გამტყუნა იგი, როგორც გამომძალველი“. ს.ს-ს მიერ ამ სტატიაში მითითებული გამონათქვამი — „მას აწუხებს აკვირებული აზრი“ და „სასამართლომ იგი გამტყუნა როგორც გამომძალველი“ — სააპელაციო პალატამ არასწორად არ მიიჩნია მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გავრცელებად. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. კ-ს, როგორც გამომძალველის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული და არც კანონიერ ძალაში შესული განაჩენია დადგენილი. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას იმის შესახებ, რომ ვინაიდან სასამართლომ არ დააკმაყოფილა მ. კ-ს სარჩელი ს. ს-ს მიმართ თანხის სესხების თაობაზე, მოწინააღმდეგე მხარემ ეს შეაფასა მოსარჩელის აკვირებულ აზრად, როგორც გამომძალველის გამტყუნება და ეს არ წარმოადგენს მოსარჩელის პატივისა და ღირსების შელახვას. საკასაციო პალატა თვლის, რომ მ.კ-ს ზემოთ მითითებულ სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმა არ ნიშნავს იმას, რომ იგი გამომძალველია, რადგან, სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის თანახმად, გამოძალვა სისხლის სამართლის დანაშაულია.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა თვლის, რომ საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. სკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქმის ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც გამოიტანა არასწორი გადაწყვეტილება, ამიტომ ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, რომლითაც მოპასუხის გამონათქვამები: „მას აწუხებს აკვირებული აზრი“, „სასამართლომ იგი გამტყუნა როგორც გამომძალველი“, სასამართლომ არ ჩათვალა მ.კ-ს პატივისა და ღირსების შელახვად და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება. მ. კ-ს სარჩელი ს. ს-ს მიმართ უნდა დააკმაყოფილდეს იმ ნაწილში, რომლითაც მან მოითხოვა გაზეთ „... ის“ 2000წ. 16 თებერვლის ნომერში ს. ს-ს მიერ გამოქვეყნებულ წერილში გამონათქვამების: „მას აწუხებს აკვირებული აზრები“ და „იგი არის გამომძალველი“ უარყოფა. ს. ს-ს უნდა დაევალოს, ასევე, გამოაქვეყნოს გაზეთ „... ში“, რომ იმავე გაზეთის 2000წ. 16 თებერვლის ნომერში მისივე წერილში მ. კ-ს მიმართ გამონათქვამები: „მას აწუხებს აკვირებული აზრი“ და „... ამის გამო ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოსაც მიმართა, რომელმაც იგი გამტყუნა როგორც გამომძალველი“, არ შეეფერება სინამდვილეს.

## საქმე № ას-448-775-05

1 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: პატივისა და ღირსების შელახვა

საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებების შესწავლისას საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, დავის საგანს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აღნიშნული გამონათქვამები მიმართული იყო მოსარჩელეთა მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებულ ცნობებში მოსარჩელეები შეიძლება არ იყვნენ მოხსენიებული სახელებით, აღნიშნული არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ გავრცელებული ცნობები ლახავენ მათ რეპუტაციას. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს გამონათქვამების ფორმა, შინაარსი, გავრცელების წყარო, გარემოებები, რომლებსაც უკავშირდებოდა გავრცელებული გამონათქვამები და ამ ურთიერთობის სუბიექტები. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ გავრცელებული ცნობები გულისხმობენ თუ არა კონკრეტულ პირებს და ამ ცნობების გათვალისწინებით შესაძლებელია თუ არა მათი ინდივიდუალიზაცია.

**განმარტების საგანი: პატივისა და ღირსების შელახვა**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პიროვნების პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას. პიროვნების ღირსება წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომლის შეფასების უნარი გააჩნია თვით ამ პირს და რომელიც მოიცავს საკუთარი მორალური თვისებების, საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებას. პატივი წარმოადგენს იმ ღირებულებათა თვისებას, რომელიც პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა.

აქედან გამომდინარე, პატივი, ღირსება, რეპუტაცია შეფასებითი კატეგორიებია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ღირსება პიროვნების ისეთი არაქონებრივი სიკეთეა, რომლის შეფასება შესაძლებელია იმ პიროვნების მიერ, რომელიც მოითხოვს თავისი ღირსების დაცვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელსაც ემყარება მოთხოვნა თუ შესაგებელი, შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტიზის დასკვნით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, კანონით არ არის დადგენილი, რომ პატივის, ღირსების, რეპუტაციის შელახვის ფაქტები უნდა დადასტურდეს კონკრეტული მტკიცებულებებით; ამდენად, აღნიშნული ღირებულებების შელახვის ფაქტი შეიძლება დადასტურდეს ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებათა სახეების მეშვეობით, მათ შორის, თვით მოსარჩელის ახსნა-განმარტებითაც. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ მხარეთა ახსნა-განმარტების ის ნაწილი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობა-არარსებობას ადასტურებს. ამასთან, მხარეთა ახსნა-განმარტებები უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რა დროსაც გასათვალისწინებელია კონკრეტული სამართალურთიერთობის სპეციფიკა.

მიუხედავად ამისა, კასატორი ვერ უთითებს იმ გარემოებებზე, რომლებიც აუცილებელია მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

იმისათვის, რომ სტატიაში გავრცელებული ინფორმაცია შეფასდეს უარყოფითად, უნდა არსებობდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ის სტანდარტი, რომელიც აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევის გათვალისწინებით, პრესის თავისუფლების შეზღუდვისათვის, სტანდარტი, რომელიც მოითხოვება მწვავე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე გამოთქმული აზრის შეზღუდვას, რაც საბოლოოდ უნდა მიუთითებდეს გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ისეთ ჩარევაზე, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად, რაც არ იქნა დადასტურებული ს-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში და რაზედაც იგი არ უთითებს საკასაციო საჩივარში.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ს-მ ვერ დაადასტურა ის გარემოებები, რომელზედაც იგი ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნას.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე, რომელიც იცავს გამოხატვის თავისუფლებას. განსახილველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...“.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებებში ჩარევის შესაძლებლობებს, რითაც ასევე განსაზღვრულია ამ უფლებებში ჩარევის ის პირობები, რომლის არსებობისას აღნიშნული ჩარევა შეიძლება შეფასებულ იქნეს დადებითად.

განსახილველი მუხლის ორივე პუნქტი წარმოადგენს იმ ერთობას, რომლებიც არ არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ქმნიან გამოხატვის თავისუფლების ერთიან დაცვის მექანიზმს.

კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით, განხილულ უნდა იქნეს გამოხატვის თავისუფლებისა და სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის შორის ბალანსი და აღნიშნულთან მიმართებაში დასაშვები კრიტიკის ფარგლები. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პრესის თავისუფლების ინსტიტუტი, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში სწორად რომ პრესის მეშვეობით გავრცელდა სადავო გამო-ნათქვამები.

კასატორი აღნიშნავს, რომ სტატიაში ხშირად არის ნახსენები ზ. ს-ის მისამართით შემდეგი სიტყვები: „გამომძალველი“, „სძალავდა“, „აშანტაჟებდა.“ საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ სტატიის შინაარსშიც ზ. ს-ე წარმოდგენილია როგორც მექრთამეობის წამქეზებელი. ასევე კასატორი აღნიშნავს, რომ სტატიაში ჟურნალისტი ავითარებს ისეთ მოსაზრებას, რომ „ქალბატონი სხვადასხვა დამუშავებული მაქინაციებით გავლენიან ადამიანებს ფულს სძალავდა“.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ აღნიშნული გამონათქვამები არ ქმნის პრესის თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივ წინაპირობას.

როგორც აღინიშნა, კონვენციის მე-10 მუხლით ასევე დაცულია პრესის თავისუფლება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება პრესის ფუნქციაში გაავრცელოს საზოგადოების სხვადასხვა საკითხებზე ინფორმაცია და იდეები. აღნიშნულ ფუნქციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის და მისი შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს ისევე და ისევე დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად.

ამასთან, უნდა არსებობდეს სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ ღირებულებებს შორის. კერძოდ, ერთ შემთხვევაში ჩვენს წინაშე გამოხატვის თავისუფლების უფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში – სხვა პირთა უფლებები და ინტერესები.

უნდა აღინიშნოს, რომ პრესის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია შესაძლებელია შეიცავდეს სხვა პირთა უფლებების და მათი რეპუტაციის შელახვის რისკს. გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, გამოაგნებელი ან შემამოფრთხილებელი, მაგრამ არ არსებობდეს ამ უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) ისეთი აუცილებელი წინაპირობა, რაც დაცულია განსახილველი კონვენციის მე-10 მუხლით, კერძოდ, ამ უფლების შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განხილულ იქნეს „დასაშვები კრიტიკის“ კონტექსტში. ამ საკითხის გარკვევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მიზანს, რასაც ისახავდა სტატია-სტატიით გავრცელებული ინფორმაცია და იდეები თუ რამდენად ითვალისწინებდა ფართო საზოგადოება აუცილებელი, საჭირობოროტო საკითხების განხილვასა და მიწოდებას და რამდენად არსებობდა საზოგადოებისათვის ამ ინფორმაციის მიღების აუცილებლობა.

სამართლიანი ბალანსის სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ გამოთქმული კრიტიკა საზოგადოებრივი ინტერესების საკითხს რამდენად ეხებოდა და აღნიშნულთან მიმართებაში პრესის მიერ თავისი თავისუფლების გამოხატვის უფლების განხორციელებაში საზოგადოებრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო თუ არა სადავო გამონათქვამების გავრცელება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, პრესის მიერ გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელებისას, როდესაც სტატიაში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოების ინტერესის საგანს და საზოგადოებრივი დებატების ნაწილს, ეთითება სტატიის

მიზანზე — საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებაზე. რასაც, თავისთავად შეიძლება შეეწიროს კონკრეტული პირის რეპუტაცია.

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ინტერესი გამოწვეულ იქნა თვით მოსარჩელის მიერ გავრცელებულ ინფორმაციით.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ს-ე მონაწილეობდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში. ამ შემთხვევაში „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ფართოვდება, რა დროსაც კრიტიკის თემის მეტი ვალდებულება არსებობს.

### საქმე № ას-440-754-09

### 3 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

#### განმარტების საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობის გავრცელების გამო მორალური ზიანის დაკისრება

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით მოპასუხეებს — ნ. დ-ძე-ა-ძეს, ნ. დ-ძე-ბ-ძეს, მ. დ-ძეს, ო. ჯ-ძეს დაევალებათ აჭარის ტელევიზიის საშუალებით 2006 წლის 16 ივნისს და 15 ივლისს გავრცელებული ა. (ა.) დ-ძის მკვლელობისა და გაუჩინარებასთან მოსარჩელეთა კავშირის შესახებ მათი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ სოლიდარულად მოსარჩელეთა სასარგებლოდ 500 ლარის გადახდა, რაც შესულია კანონიერ ძალაში.

კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელებს უარი ეთქვათ ვ. გ-შვილისათვის და გ. ტ-ძისათვის ა. (ა.) დ-ძის მკვლელობისა და გაუჩინარებასთან მოსარჩელეთა კავშირის შესახებ მათი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფასა და ნ. დ-ძე-ა-ძისათვის, ნ. დ-ძე-ბ-ძისათვის, მ. დ-ძისათვის, ვ. გ-შვილისათვის, ო. ჯ-ძისა და გ. ტ-ძისათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 29500 ლარის დაკისრებაზე.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამოთქმული ამრის საჯაროდ უარყოფა ამცირებს ფულადი კომპენსაციის ოდენობას, რადგან ფულადი ანაზღაურება მორალური ზიანის კომპენსაციაა, რაც განისაზღვრება არა ეკვივალენტური პრინციპით, არამედ მიმართულია მიყენებული ტანჯვისა და სულიერი განცდების შემსუბუქებაზე. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ როდესაც ილახება პიროვნების პატივი, ღირსება, რეპუტაციის შელახვის შედეგად მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ღირებულებების შელახვის უარყოფას იმავე საშუალებებით, და, აქედან გამომდინარე, იმ ეფექტის დაკმაყოფილებას, რომლის იურიდიული ინტერესი გააჩნია დაზარალებულს. ზუსტად ამ ეფექტის შეფასება შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ კრიტერიუმს, რომლითაც ხდება მორალური ზიანის ოდენობის დადგენა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-17-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ანდა არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. ამდენად, პატივის, ღირსებისა, რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფით მიღებული ეფექტი არ უნდა იყოს საკმარისი, რათა მაქსიმალურად შემსუბუქდეს დაზარალებულის სულიერი ტანჯვა თუ განცდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორები საკასაციო საჩივარში არ უთითებენ და არ ამახვილებენ ყურადღებას ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლითაც დგინდება, რომ მოპასუხეებისათვის სასამართლოს მიერ დაკისრებული ცნობების საჯაროდ უარყოფა არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის

მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, რაც უნდა შეეფასებინა და არ შეაფასა ან არაჯეროვნად შეაფასა სააპელაციო სასამართლომ.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურებით. „გონივრული“ და „სამართლიანი“ შეფასებითი ცნებებია და იმისათვის, რომ განისაზღვროს არაქონებრივი ზიანის ოდენობა, აუცილებელია გავითვალისწინოთ როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორებიც, კერძოდ, მორალური ზიანის ხარისხი, ასევე დაზარალებულისა და ზარალის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა, რომ მორალური ზარალის ანაზღაურება არ გახდეს უსაფუძვლო გამდიდრების წყარო.

### **საქმე № ას-268-591-09**

**3 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სასამართლოს პროცესზე გაკეთებული განცხადების ცილისმწამებლური ხასიათი**

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის საგანს წარმოადგენს ქობულეთის რაიონის გამგეობას და სოფ. ციხისძირის რაიონის საკრებულოს პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემღავნებელი ცნობების, კერძოდ, ქობულეთის რაიონის გამგეობისა და სოფელ ციხისძირის რაიონის საკრებულოს მიერ 2006 წლის 15 სექტემბრის საჩივლის მეორე გვერდზე, გავრცელებული ცნობების, „... მ. ხ-ძემ აიცილა ბიუჯეტის სასარგებლოდ 76 300 ლარის გადახდა“, უარყოფა. ამრიგად, ცნობები, რომლის უარყოფას ითხოვს მოსარჩელე, ასახულია 2006 წლის 15 სექტემბრის ქობულეთის რაიონის გამგეობისა და სოფელ ციხისძირის რაიონის საკრებულოს სასარჩილო განცხადებაში, რომელიც შეტანილია ქობულეთის რაიონულ სასამართლოში.

„სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში გაკეთებული განცხადება არ იწვევს ცილისმწამებისათვის პასუხისმგებლობას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმა ეხება წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე პირის მიერ გაკეთებულ არა ნებისმიერ განცხადებას, არამედ ისეთ განცხადებას, რომელიც გაკეთებულია თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, რაც უშუალოდ უკავშირდება მისი, როგორც პროცესუალური მხარის უფლებამოსილებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქობულეთის რაიონის გამგეობას და სოფ. ციხისძირის რაიონის საკრებულოს მიერ სასარჩილო წარმოების წესით (სადაც მოყვანილია სადავო გამონათქვამები) დაცვის უფლება განხორციელებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში (საწინააღმდეგოს არ უთითებს კასატორი).

### **საქმე № ას-370-352-2013**

**8 ნოემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: პირის თანხმობის გარეშე მისი გამოსახულების გამოქვეყნება (სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლის მე-5 ნაწილი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სადავო ფაქტობრივ გარემოებას არ წარმოადგენს ის, რომ 2012 წლის 6 თებერვალს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლობის“ ეთერში გავიდა გადაცემა „აუდიტორია“, რომლის თემა იყო „ეპატაჟი ქართულად“, სადაც გამოყენებული იყო ლ. მ-ის სურათები.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. მ-ის გამოსახულება — სურათები გამოქვეყნებული იყო მისი თანხმობის გარეშე.



უპირველეს ყოვლისა, უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, დაირღვა თუ არა ლ. მ-ის უფლება, მისი თანხმობის გარეშე, მისი გამოსახულებით ფოტოსურათების გავრცელებით და შეუძლია თუ არა ამისათვის მან მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება, რაზეც პასუხი დადებითია.

შპს „კ. ს-ო“ საკასაციო საჩივარში უთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს სადავო ურთიერთობაზე უნდა გამოეყენებინა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, განხილვის საგანს წარმოადგენს არა ფოტოგრაფიული წესით შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლების დაცვა, არამედ ამ ფოტოსურათებში საკუთარი გამოსახულების უფლების დაცვა, რომლის ობიექტია ინდივიდის თავისუფლება და არა ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაწარმოები. საკუთარი გამოსახულების საჯაროდ გავრცელების უფლება მისთვის სასურველი ფორმითა და შინაარსით არის პიროვნულობის განუყოფელი ნაწილი, რაც არ განეკუთვნება ავტორის განსაკუთრებულ უფლებათა კატეგორიას, რაც დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გაავრცელა სადავო ურთიერთობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის დანაწესი.

შპს „კ. ს-ო“ საკასაციო საჩივარში, ასევე უთითებს, რომ შპს „კ. ს-ოს“ არც ფოტოები გადაუღია და არც საჯაროდ გაუვრცელებია. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას და განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც არ არის შედავებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიით (სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კერძოდ, დადგენილია, რომ ლ. მ-ეს სურათები გადაუღეს შპს „კ. ს-ი“, რაც დასტურდებოდა იმით, რომ მთელი ფოტომასალა ჩაწერილი იყო „კ. ს-ოს“ საფირმო დისკზე. ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ სწორედ შპს „კ. ს-ომ“ გადასცა სურათები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ დავუშვებთ, რომ შპს „კ. ს-ოს“ უშუალოდ არ გადაუღია ფოტოები, მნიშვნელოვანია ის, რომ ფოტოსურათები სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ გასავრცელებლად შპს „კ. ს-ომ“ ლ. მ-ის თანხმობის გარეშე გადასცა, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს შპს „კ. ს-ის“ პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

კასატორი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლობა“ საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ ლ. მ-ემ ფოტოები გადაიღო შპს „კ. ს-ი“ ჟურნალ „ფლეიბოისათვის“ იმ მიზნით, რომ ბედი ეცადა ფოტომოდელის კარიერაში, რაც კულტურულ მიზნებთან ფოტოგადაღების კავშირზე მიუთითებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო, ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოები (ვიდეო და ა.შ.) საზოგადო ვითარებაში გადაიღეს, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

განსახილველი ნორმა კრძალავს პირის გამოსახულების (ამ შემთხვევაში მის გამოსახულებას ფოტოსურათზე) გამოქვეყნებას მისი თანხმობის გარეშე. ამ პირის თანხმობა არის ცალმხრივი გარიგება, რომლისთვისაც აუცილებელია ნების გამოვლენა და ამ ნების მისვლა მეორე მხარისათვის. ამავე დროს კანონი უშვებს გამონაკლისებს, რა დროსაც არ არის საჭირო ამ პირის თანხმობა:

1. როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან;
2. მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო, ან კულტურულ მიზნებთან,
3. ფოტოები (ვიდეო და ა.შ.) საზოგადო ვითარებაში გადაიღეს;
4. პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

მითითებული გამომრიცხავი გარემოებებიდან კასატორი უთითებს იმაზე, რომ ფოტოგადაღება უკავშირდებოდა კულტურულ მიზნებს. ამ გარემოებას კასატორი ასაბუთებს იმით, რომ ლ. მ-ემ ფოტოები გადაიღო შპს „კ. ს-ი“ შურნალ „ფლეიბოსათვის“ იმ მიზნით, რომ ეცადა ბედი ფოტომოდელის კარიერაში.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ ლ. მ-ის მიერ შპს „კ. ს-ი“ შურნალ „ფლეიბოსათვის“ გადაღებული ფოტოგადაღება უკავშირდებოდა კულტურულ მიზნებს, რა იგულისხმება ამ ნორმაში მითითებულ ტერმინში „დაკავშირებულია ... კულტურულ მიზნებთან“. ამ ტერმინში უნდა ვიგულისხმოთ მოქმედებები, რომლებიც ისახავენ ადამიანთა ფსიქიკასა და გონებაზე ისეთი ზემოქმედებას, რომელიც ატარებს გარკვეული ფორმით ინფორმაციას იდეალიზებული, სულიერი თუ სხვა ფასეულობების შესახებ, და დასახული მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა. მაგრამ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ფოტოგადაღება იყო საცდელი ფოტოსესია, რასაც, შედეგად არ მოჰყოლია რაიმე ხელშეკრულების გაფორმება მოსარჩელესა და მოპასუხე „კ. ს-ის“ შორის (ამ ფაქტების საწინააღმდეგოს არ უთითებენ კასატორები), შესაბამისად, ლ. მ-ეს ფოტოები არ გამოუყენებია, რაც გამორიცხავს ამ ფოტოების ნებისმიერი მიზნით, მათ შორის კულტურულ მიზნებისათვის გამოყენებას.

ასევე გასათვალისწინებელია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ლ. მ-ე პოზირებდა იმისათვის, რომ ფოტომოდელის კარიერაში ეცადა ბედი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კანონის ზემომითიებული დანაწესი დაზუსტებულია, როდესაც ამავე ნორმით ადგენს, რომ პირის გამოსახულების გამოქვეყნებას არ სჭირდება პირის თანხმობა, იმ შემთხვევაშიც თუ პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

როგორც უკვე აღინიშნა, ფოტოების გადაღება ცნობილი შურნალისათვის შეიძლება, უკავშირდებოდეს კულტურულ მიზნებს, მაგრამ კანონი აზუსტებს შემთხვევებს, როდესაც, მაგალითად, ფოტოგადაღება ან ვიდეოგადაღება არ უკავშირდება კულტურულ მიზნებს, მიუხედავად ამისა, ამ პირის თანხმობა გამოსახულების გამოქვეყნებაზე არ იყოს საჭირო, კერძოდ, პოზირებისათვის, ანუ თავისი ნებით, როდესაც პირი მონაწილეობს ფოტო, ვიდეოგადაღებაში და ა.შ. მისი გამოსახულების გამოქვეყნება მისი თანხმობის გარეშე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური. ამით იგულისხმება, რომ პირი თანახმაა ეს ფოტოები საზოგადოების ფართო წრისათვის გახდეს ცნობილი.

საკასაციო პალატა, კიდევ ერთხელ დასძენს, რომ კასატორები სადავოდ არ ხდიან, რომ შპს „კ. ს-სა“ და ლ. მ-ეს შორის ხელშეკრულება არ დადებულია და ამ უკანასკნელს არ მიუღია საზღაური.

**საქმე № ას-810-1129-07**

**16 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის („სიტყვისა და გამოსახატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი)**

„სიტყვისა და გამოსახატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლები ადგენს განსხვავებულ მტკიცების სტანდარტს, იმის მიხედვით, თუ ვინ არის ცილისწამების ობიექტი — კერძო პირი, თუ საჯარო პირი. მოსარჩელის სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, ის, რომ იგი საჯარო პირია, დადგენილია სასამართლოს მიერ და აღნიშნულს კასატორი არ ხდის სადავოდ.

„სიტყვისა და გამოსახატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს

უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, სარჩელი საფუძვლიანია, თუ სახეზეა შემდეგი კუმულაციური პირობები:

1. თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ;
2. ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა;
3. განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

კუმულაციური პირობები გულისხმობს, რომ საჭიროა მათი ერთდროულად არსებობა პასუხისმგებლობის დადგომისათვის. ამდენად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, მოსარჩელე ვალდებული ამტკიცოს რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს მის შესახებ, ამ განცხადებით მას მიადგა ზიანი და მოპასუხე ბრალეულად მოქმედებდა.

## საქმე № ას-1278-1298-2011

20 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: განსხვავება ფაქტსა და შეფასებით მსჯელობას შორის

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს, მოპასუხის მიერ გამოქვეყნებული წერილის სადავო გამონათქვამები მიეკუთვნება ფაქტებსა თუ შეფასებით მსჯელობას (აზრს). აღნიშნული აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გამორიცხავს სამოქალაქო სასამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, მითითებული კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აბსოლუტური პრივილეგია განმარტებულია, როგორც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება, ხოლო, ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

ფაქტისა და აზრის გამიჯვნისათვის აუცილებელია გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა. ამისათვის უნდა მივმართოთ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლს, რომელიც მინიმალურ სტანდარტს აწესებს აზრისა და ფაქტის გამიჯვნისათვის, კერძოდ, მითითებული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. თავად აზრის დეფინიცია მოცემულია შემოხსენებული კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა

იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალი-ფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

ევროპის პრეცედენტული სამართლის მიმოხილვაც ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე — „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (8 ივნისი, 1986 წელი), სადაც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ფაქტებსა და შეფასებით მსჯელობას შორის განსხვავება და მიუთითა, რომ მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე.

## საქმე №ას-1278-1298-2011

20 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: უხამსობა („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი)

უხამსობის დეფინიცია მოცემულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით, უხამსობა არის განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად მორალის (და, შესაბამისად, უხამსობის) დეფინიციის უნივერსალური ცნება არ არსებობს. თავად უხამსობის კანონისმიერი დეფინიციის მიხედვით, ამა თუ იმ გამოხატვის უხამსობად მიჩნევის საკითხს განსაზღვრავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ეთიკური ნორმები. ამასთან, სხვა პირთა უფლებებისა თუ რეპუტაციის დასაცავად უხამსობის შეზღუდვა და, შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დასაშვებია არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. უხამსობის შეზღუდვის ფარგლებთან მიმართებით, საყურადღებოა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, საქმეზე — „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (7 დეკემბერი, 1976 წელი) არსებული განმარტება, რომელშიც ახსნილია გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და მისი დაცულობის საერთო ფარგლები. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულის მსგავსად განმარტა ასევე საქმეზე — „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“. მითითებულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ გამოხატვის თავისუფლება, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, შეადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს და მისი განვითარებისა და პიროვნების თვითრეალიზების მთავარ პირობას. მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ის გამოიყენება არა მხოლოდ ისეთი „ინფორმაციისა“ და „იდებების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობილად მიიღება ან განიხილება როგორც უვნებელი ან როგორც ინდიფერენტობის საგანი, არამედ ისეთების მიმართაც, რომლებიც, თავისი არსით, შეურაცხყო-

ფელია, აღშფოთებას იწვევს და ადამიანების სიმშვიდეს არღვევს. ეს არის პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და სალი აზროვნების არსებითი ნიშანი, რომლის გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.

გემოხსენებელი ფორმულის მიზანდასახულობა გამოხატვის თავისუფლების მიმართ ევროპული სასამართლოს საერთო სულისკვეთების, საერთო მიდგომის გამოხატვაა, როგორც ერთგვარი მინიშნება დასაშვები შეზღუდვის მცირე ფარგლების შესახებ. ეს ფორმულა განსაზღვრავს არა იმას, თუ რა უნდა იყოს ყოველთვის დაცული, არამედ იმას, თუ რა შეიძლება იყოს დაცული. იგი ხსნის, რომ თვით შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი და შემაშფოთებელი „იდეები“ და „ინფორმაცია“ კი შეიძლება იყოს დაცული და ეს თვისებები სრულიადაც არ არის საკმარისი მათ შესაზღუდად. ამასთან, ასეთი იდეები და ინფორმაცია, რა თქმა უნდა, შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. მთლიანობაში გემოხსენებელი ფორმულა გულისხმობს, რომ, რადგან დემოკრატიული საზოგადოება არ არსებობს პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნების გარეშე, ამიტომ, სახელმწიფომ, ისე როგორც ხალხმაც უნდა აიტანოს მათთვის შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი თუ შემაშფოთებელი იდეებისა და ინფორმაციის მოსმენა და დემოკრატიულ საზოგადოებაში მათი შეზღუდვა ლოგიკურად მხოლოდ იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი.

### საქმე № ას-1477-1489-2011

3 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

#### განმარტების საგანი: განსხვავება ფაქტსა და შეფასებით მსჯელობას შორის

„აზრში“ იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომელიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან, რომლის სისწორე თუ მცდარობა მთლიანად პირად წარმოდგენებზეა დამოკიდებული. ამდენად, აზრი პირის სუბიექტური დამოკიდებულებაა პიროვნულ შეფასებებს მოვლენისა თუ სიტუაციის შესახებ და იმის მტკიცებას, სიმართლეს შეესაბამება თუ მცდარია, არ ექვემდებარება. აზრის საწინააღმდეგოდ „ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილი, რეალური ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას. გასათავისუფლებელია, რომ აზრები ფაქტებთან გარკვეული დამოკიდებულებით გამოითქმება, ანუ აზრი, როგორც წესი, ეყრდნობა ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში აზრის დაყოფა შეხედულებად და ფაქტის გადმოცემად დაუშვებელია, რადგანაც მთლიანად გამონათქვამი აზრის თავისუფლების სფეროში ექვევა. ამავდროულად, აზრის თავისუფლებით აშკარად ცრუ ფაქტების ძირითადი უფლებით უზრუნველყოფილი დაცვა გამორიცხულია. კონსტიტუციით დაცული სფეროს ფარგლებში არ ხვდება ისეთი ფაქტები, რომელთა მცდარობის შესახებ კარგად იცის თავად გამომთქმელმა სუბიექტმა (შეგნებული სიცრუე) ან რომელთა მცდარობა ცხადია მათი გამოთქმის მომენტში.

ერთმანეთისაგან განასხვავა რა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, მაშინ როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას. ... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს“ (Lingens v. Austria, 1986 წელი; Jerusalem v. Austria, 2001 წელი; Dichand and Others v. Austria, 2002 წელი).

აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამომთქმის ფორმა და გამომთქმის კონტექსტი — რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი. მოცემულ შემთხვევაში, ც.შ-ას მიერ მტკიცებითი და არა შეფასებითი ფორმის გამონათქვამი — ბ.კ-ე ქურდია და თაღლითი, გავრცელებულია სხვა ფაქტებთან კონტექსტში „ბ. კ-ე მოსკოვში დააკავეს“ (სტატიის სათაური), „ამის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა ისიც, ვინ მოიპარა ჩემი ნივთები და ისიც, რომ ძვირფასეულობა მოპარული იყო და არა დაკარგული... რაც შეეხება ჩემს გეგმებს ბ.სთან დაკავშირებით, ყველანაირი საშუალებით მივაღწევ ჩვენი ქორწინების გაბათილებას, რათა ჩემი ავტობიოგრაფია არ იყოს კომპრომეტებული ქურდი,

თაღლითი და აფერისტი ქმრის ყოლით წარსულში“ (ამონარიდი ც.შ-ას ინტერვიუდან); ქ.მოსკოვის ხამოგ-ნიკის რაიონის შსგ საგამოძიებო განყოფილებაში 2004 წლის 9 ივლისს ც. შ-ას ბინიდან ძვირფასეულობის მოპარვის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ბ. კ-ე დღემდე ეჭვმიტანილად არის ცნობილი. ამ ფაქტებთან კონტექსტში ც.შ-ას გამონათქვამი ბ. კ-ის ქურდობასა და თაღლითობაზე ღირსების შემლახავ ფაქტად უნდა იქნეს კვალიფიცირებული, ვინაიდან, სადავო განცხადება მჭიდროდ უკავშირდება იმ სიტუ-აციასთან, რომ მოდავე პირები იმყოფებოდნენ რა ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში, ც.შ-ას ნივთების დაკარგ-ვის ფაქტზე საქმე აღძრულია, ხოლო ბ.კ-ე ამ ფაქტთან მიმართებით ეჭვმიტანილია. ამასთან, განცხადება საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს და მნიშვნელოვან საკითხს ან საჯარო პირს და მის საქმიანობას არ ეხება და იგი, მიუხედავად მოდავე მხარეების მეტ-ნაკლებად პოპულარობისა, მაინც კერძო პირთა ურთიერთობის სფეროში ექცევა.

### **საქმე № ას-1477-1489-2011**

**3 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: განსხვავება კერძო და საჯარო პირს შორის**

მოპასუხე ბ. კ-ე კერძო პირია. ამ ფაქტს ც.შ-ა საკასაციო საჩივრით სადავოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, ც. შ-ა და ბ.კ-ე საჯარო პირებს წარმოადგენენ. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას და აღნიშნავს: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება; ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით საზოგადოებრივ ყურადღებად განიშარტება საზო-გადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებ-ბასთან. მოდავე პირების პირად ურთიერთობებთან დაკავშირებით საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინტერესი და ცნობისმოყვარეობა მართლაც არსებობს (რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი მტკი-ცებულებებიც), თუმცა ასეთ ინტერესს კანონი საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსს არ ანიჭებს. მოცე-მულ შემთხვევაში, საზოგადოების ინტერესი უკავშირდება არა საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან დაკავშირებულ მოვლენას, არამედ მოდავე მხარეთა პირად ცხოვრებას და ამ პირთა მოსაზრებები და შეხედულებები საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენენ.

### **საქმე № 3კ/754-01**

**5 დეკემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 19-ე მუხლი)**

გარდაცვალების შემდეგ ადამიანი ქრება როგორც პირი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუ-ბიექტი, მაგრამ რჩება ადამიანი, როგორც პიროვნება. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებას საზოგადოებისათვის.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს ადამიანის პიროვნულობის ცალკეულ გამოვლინებებს მისი სიკვდილის შემდეგ.

გარდაცვლილის პიროვნების დაცვით ხორციელდება არა მხოლოდ გარდაცვლილის ახლობლების, არამედ — მთელი საზოგადოების ინტერესი, ამიტომაც კოდექსში არაა ჩამოთვლილი იმ პირთა წრე, რომ-ლებსაც გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვის მოთხოვნის დაყენების უფლება გააჩნია. ამის უფლება აქვს როგორც გარდაცვლილის მემკვიდრეებს (მეუღლეს), ისე — სხვა პირებს.

სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით დაცვას ექვემდებარება გარდაცვლილის პიროვნულობის ისეთი ელემენტები, როგორცაა სახელი, პატივი, რეპუტაცია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, საკუთარი გამოსახულების უფლება. პირადი არაქონებრივი უფლებები მემკვიდრეობით არ გადაიცემა. მემკვიდრის მიერ ხორციელდება გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვა და არა გარდაცვლილისაგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებების დაცვა. მორალური ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლების სუბიექტს. სხვა პირი, მათ შორის მემკვიდრე, (მეუღლე) ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს მოკლებულია.

**საქმე № ას-1433-1531-04**

**30 ივნისი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი)**

გაზეთ „კ. პ-ას“ 2004წ. 8-14 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში მოსარჩელეთა აწ გარდაცვლილი ძმა ბ. გ-ი მოხსენიებულია როგორც „კრიმინალური ავტორიტეტი“, რომელსაც 13 ადამიანი ჰყავდა მოკლული; სააპელაციო პალატამ სწორად ჩათვალა, რომ პირადად ი. და თ. გ-ები სტატიაში კონკრეტულად მოხსენიებული არ არიან; სტატიაში ზოგადად საუბარია გირგვლიანებისა და ჯ-ების დაპირისპირებაზე, ასეთს კი თვით მოსარჩელებიც არ უარყოფენ.

ამიტომ ამ გაზეთის მიმართ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი; სკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია. სახელის, პატივის ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

**საქმე № ას 593-1241-03**

**14 აპრილი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი)**

სააპელაციო სასამართლოს დადგენილად აქვს მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის დავის წარმოშობის საფუძველი გახდა ჟურნალისტ მ. ცანავას მიერ შპს „გაზეთ კვირის პალიტრის“ დამატება ჟურნალ „გზაში“ გამოქვეყნებული კორესპოდენცია სათაურით — გაუპატიურების მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით“. სამართლებრივი ურთიერთობა მხარეთა შორის წარმოიშვა დელიქტის საფუძველზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ ჟურნალისტმა ზემოთ მითითებულ ჟურნალში გამოაქვეყნა შ. შ-ძის გაუპატიურების მცდელობის ფაქტი, რომელიც შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ ასახავს შ. შ-თვის პირადი ცხოვრების საჩოთირო და უსიამოვნო ეპიზოდს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებით ზიანი მიადგა შ. შ-ძის არაქონებრივ უფლებებს, კერძოდ, შეილახა და ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების უფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის დროს.

ამ ნორმის შესაბამისად, აღიარებულია ადამიანის სულიერი ბუნების, მისი გრძნობებისა და ინტელექტის მნიშვნელობა. დაცულია საქართველოს მოქალაქე თავის რწმენაში, აზრებში, პირად ცხოვრებაში ემოციებსა და ინტიმურ გრძნობებში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი პირადი საქმიანობის ადგილს, პირად ცხოვრებას, პირად ჩანაწერს, მიმოწერას, შეტყობინებას და ა.შ. (ანუ ადგილს, ობიექტებს და საგნებს) კი არ იცავს, არამედ იცავს ადამიანს — საქართველოს მოქალაქეს, ამიტომაც მისი ნების გარეშე ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრა (პირადი ცხოვრების შემცველი ფაქტების სწორად გადმოცემა ხდება, თუ არასწორად, მნიშვნელობა არა აქვს) კონსტიტუციით აღიარებული პრინციპის — პირადი ცხოვრების დაცვის ხელყოფაა. ვინაიდან დაზარალებული შ. შ-ძის მოთხოვნით სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ყველა სასამართლო პროცესი დახურულად ჩატარდა, მას უფლება და იმედი ჰქონდა, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლი გაუპატიურების მცდელობის საქმესთან დაკავშირებით დაიცავდა მისი პირადი ცხოვრების უფლებას, როგორც სასამართლო პროცესზე, ისე მის შემდეგაც.

### 1.3. გარიგებანი

**საქმე № ას-1220-1480-09**

**25 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნების გამოვლენის განმარტება (სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის არასწორად გამოყენების თაობაზე. აღნიშნული ნორმით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგენდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. მითითებული ნორმის მიზანია, დავის შემთხვევაში გაირკვეს, რა განზრახვა ჰქონდათ მხარეებს ხელშეკრულების დადებისას და როგორ უნდა გავიგოთ ხელშეკრულების სადავო გამონათქვამი. ასეთ შემთხვევაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში განსაზღვრული გამონათქვამი განსხვავებულად არის გაგებული. აღნიშნული გამორიცხავს ხელშეკრულების განმარტების შესაძლებლობას იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობდა ნების გამომვლენი ან ნების მიმღები. სწორედ ამიტომაც, კანონით გადამწყვეტია „ნების გონივრული განსჯა“, რაც ნიშნავს სადავო გამონათქვამის იმ მნიშვნელობის დადგენას, რომელსაც გონიერი ადამიანი ანალოგიურ პირობებში მიანიჭებდა. გონივრულობა მოცემული ურთიერთობის სრულად აღქმა და განსჯა და არა გამოყენებული გამონათქვამის ვიწრო გაგება. აღნიშნულის დასტურია სამოქალაქო კოდექსის 338-ე მუხლი, რომლის ძალითაც ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.

**საქმე № 3კ/321-02**

**13 მარტი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მართლსაწინააღმდეგო გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. ამ მუხლის თანახმად გარიგების ბათილობას იწვევს შემდეგი სახის ფასეულობათა დარღვევა: ა) კანონით დადგენილი წესები და აკრძალვები; ბ) საჯარო წესრიგი; გ) ზნეობის ნორმები. საჯარო წესრიგის დარღვევაში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების უფლება, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლებანი და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.



საქმე № 3კ/321-02

13 მარტი, 2002 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: მართლსაწინააღმდეგო გარიგება და ხელშეკრულების დადების თავისუფლება**

ხელშეკრულების 2.3.3 პუნქტებით „ე.“ წარმოეშვა ვალდებულება ბანკის წინაშე ვალდებულების არსებობის შემთხვევაში ბანკთან ანგარიშსწორებამდე არ დაეშვა სხვა საბანკო დაწესებულებებში გახსნილი ანგარიშებით სარგებლობის ფაქტები. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „ე.“ ვალდებულია გადაუხადოს ბანკს ჯარიმა ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების მთლიანი ღირებულების 30%-ის ოდენობით.

ხელშეკრულების 2.3.7 პუნქტებით ს.ს. „ე.“ ვალდებულია ბანკთან რაიმე ვალდებულების არსებობის ან სამომავლოდ წარმოქმნის შემთხვევაში ანგარიშსწორების ან სხვა ანგარიში იქონიოს მხოლოდ „ს. ბ.“ ფილიალებში.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

საჯარო წესრიგის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს პიროვნების თავისუფლების დარღვევაში, პირადი თავისუფლების შეზღუდვაში, ისე, რომ ეს ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების თავისუფალი წევრის მდგომარეობას და პირს აყენებდეს მონურ მდგომარეობაში. ხშირ შემთხვევაში საჯარო წესრიგის დარღვევის შეფასების კრიტერიუმად მიჩნეულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (1966) ნორმა, რომლის თანახმად, არავის არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მას არ ძალუძს შეასრულოს რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.“ ამ ნორმის თანახმად სამოქალაქო კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება დაშვებულია.

ს.ს. „ე.“ უფლება ჰქონდა შეეზღუდა მისი სხვა საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშებით სარგებლობის უფლება. იმ პირობებში, როდესაც ს.ს. „ე.“ ესაჭიროებოდა საკრედიტო სახსრები და „ს. ბ.“ ყოველგვარი დამატებითი გარანტიის გარეშე აძლევდა მას აღნიშნულ სახსრებს, ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება მისთვის, შესაძლოა, ხელსაყრელიც იყო. გასათვალისწინებელია, რომ მხარეთა შორის არსებულ ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების შესახებ ხელშეკრულების თანახმად იურიდიული პირის ანგარიშზე არსებული თანხები მთლიანად მიემართებოდა სადებეტო სალდოს დაფარვისათვის. ამგვარი შეზღუდვები სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელია. იგი წარმოადგენს ვალდებულების შესრულების გარანტიას და ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

საქმე №ას-1-453-06

14 ივლისი, 2006 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: მოჩვენებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1998წ. 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ი.ს-ძესა და ნ.ე-ძეს შორის დადებული საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება და აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა. ი. ს-ძეს დაეკისრა ნ.ე-ძის სასარგებლოდ 11 000 ლარის გადახდა, ხოლო სადავო სახლი საკუთრებაში დაუბრუნდა ი. ს-ძეს. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. 2003 წლამდე გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და სადავო სახლი ირიცხებოდა ისევე ნ.ე-ძის სახელზე. 2003წ. 23 მაისს ი.ს-ძემ სადავო სახლი აღრიცხა თავის სახელზე. 29 მაისს კი ი.ს-ძესა და ნ.ნ-ძეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და სადავო სახლი აღრიცხა ნ.ნ-ძის სახელზე. დადგენილია, რომ ი.ს-ძე და ნ.ნ-ძე არიან ბიძაშვილ-მამიდაშვილები.

ვილები. ნ.ნ-ძეს ნასყიდობის საგანი ფაქტობრივად არ გადასცემია და სადავო სახლში დღემდე ცხოვრობს ი.ს-ძე. ნ.ნ-ძე სტუდენტია, მას არა აქვს არანაირი შემოსავალი, და მის მიერ სადავო ბინის ღირებულების გადახდის ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება. ასევე დადგენილია, რომ ი.ს-ძეს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა მოსარჩელისათვის არ გადაუხდია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩივრებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

მოჩვენებითი გარიგების დროს მხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას და იგი კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად ან დასაფარავად გამოიყენება იმ მიზნით, რომ კრედიტორების დაკმაყოფილებას გაეცეს, მოვალე ვითომ ყიდის ან ჩუქნის ქონებას. სინამდვილეში არავითარი ნასყიდობა ან ჩუქება არ არის. მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში შეიძლება დაისვას მესამე პირთა ინტერესების დაცვის საკითხი. მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩივრებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი.

მოცემულ შემთხვევაში სადავო გარიგების მონაწილე სუბიექტების ნების გამოვლენის მოჩვენებით ხასიათზე მიუთითებს ის გარემოება, რომ გაყიდულ სახლს ფაქტობრივად ფლობს გამყიდველი, იგი მყიდველს არ გადასცემია. ასევე საქმის მასალებით არ დასტურდება სადავო ბინის ღირებულების გადახდის ფაქტი. დადგენილია, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას ნოტარიუსთან ნ.ნ-ძეს თანხა არ გადაუხდია. ნ.ნ-ძის განმარტებით, მას დედის გარდაცვალების შემდეგ დარჩა ბინა, რომელიც გაყიდა და გაისტუმრა ვალები, გადაიხადა სწავლის ქირა და დარჩენილი თანხით შეიძინა ი.ს-ძისაგან სადავო ბინა. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე ნ.ნ-ძემ განმარტა, რომ დედის ბინა გაყიდა 3000 აშშ დოლარად, ხოლო სადავო ბინა, ხელშეკრულების თანახმად, შეიძინა 14 000 ლარად. საქმის მასალებში, ნ.ნ-ძის მიერ ბინის გასხვისების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოიპოვება. ამასთან, აღნიშნულის გაზიარების შემთხვევაშიც, მითითებული თანხით, მითუმეტეს, ვალების გასტუმრების შემდეგ, სადავო ბინის ღირებულებას იგი ვერ გადაიხდიდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ 2003წ. 29 მაისის სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია მოსაჩივრებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. იგი დადებულია იმ მიზნით, რომ მოვალე ი. ს-ძემ თავი აარიდოს კრედიტორის დაკმაყოფილებას, რის გამოც იგი ბათილ გარიგებად უნდა ჩაითვალოს.

**საქმე № ას-571-879-09**

**30 აპრილი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოჩვენებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამოვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდნენ ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩივრებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამოვლენი, ასევე მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგე-

ბას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებითი გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებით ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან, (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.). ამრიგად, იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება, მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლებზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.

როგორც წესი, მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი, მისი არანამდვილობის გამო, წარმოადგენს იმ არსებითი ხასიათის ნაკლს, რაც გამორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. ამდენად, ის ფაქტი, რომელიც მიუთითებს სადავო გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობაზე, უნდა დაამტკიცოს იმან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება.

**საქმე № ას-1439-1357-2012**

**1 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოჩვენებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას და განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამოვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდნენ ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამოვლენი, ასევე მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებითი გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებით ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.). ამრიგად, იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება, მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლებზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.

ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინ-

დისიოერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლება, ევალება მოსარჩელეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგება იდება ნათესავებს (მაგალითად, მამა-შვილს შორის) ან სხვა ოჯახის წევრებს შორის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილია არსებული ვალდებულებების თაობაზე და, ასევე, მათი ოჯახის წევრის მიერ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების თაობაზე.

**საქმე № ას-1380-1602-05**

**26 ივლისი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თვალთმაქცური გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2002წ. 28 მაისს ქ. გ-შვილსა და თ. დ-შვილს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება შემდგომი გამოსყიდვის უფლებით ქ.თბილისში, ... 143-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე. გამოსყიდვის ვადად განისაზღვრა 2002წ. 28 აგვისტო. ბინა საჯარო რეესტრში აღირიცხა ქ.გ-შვილის სახელზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სინამდვილეში მხარეთა შორის ადგილი ჰქონდა სესხების ფაქტს, კერძოდ, თ.დ-შვილმა ქ.გ-შვილისგან ისესხა 4000 აშშ დოლარი, რის უზრუნველსაყოფადაც, ნაცვლად იპოთეკის ხელშეკრულებისა, დადეს ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით სასამართლომ ბათილად სცნო მხარეთა შორის 2002წ. 28 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება შემდგომი გამოსყიდვის უფლებით და ბინა აღირიცხა თ. დ-შვილის სახელზე. მხარეთა შორის დადებულად იქნა ცნობილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 4000 აშშ დოლარზე.

კასატორი თ. დ-შვილი საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ გადაწყვეტილებაში სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის — 4000 აშშ დოლარის მითითება არასწორია, რადგან მას ეს თანხა უკვე გადახდილი აქვს. აღნიშნულს სასამართლო ვერ გაიზიარებს. მოცემულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება გაბათილებულია სკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ მოსარჩენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. მაგრამ ისმის საკითხი: თუ რა ფარგლებშია შესაძლებელი ამ წესების გამოყენება სასამართლოს მიერ ანუ სასამართლომ უნდა იმსჯელოს მხარეთა შორის რეალურად არსებული ვალდებულებების თაობაზე, თუ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესების დადგენით? მოცემულ შემთხვევაში ესაა ბათილი გარიგება. სკ-ის 61-ე მუხლის შესაბამისად უცილოდ ბათილი გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. ასეთ შემთხვევაში თვალთმაქცური გარიგების ბათილობის შემთხვევაში უნდა აღსდგეს დაფარული, ანუ იპოთეკის ხელშეკრულების მიმართ მოქმედი წესები, რაც არსებობდა ამ გარიგების დადების მომენტისათვის. პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა დაფარული გარიგების პირობები. მართალია, გადაწყვეტილებით არ იქნა მითითებული გადასახდელი პროცენტის თაობაზე, მაგრამ იგი არ გასაჩივრებულა მხარის მიერ და მის თაობაზე საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს.

**საქმე № ას-833-885-2011**

**18 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თვალთმაქცური გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, გარიგება მოტყუებით დადებულად ითვლება მაშინ, როცა მოტყუება იწვევს ნების გამოვლენას. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა ნების გამოვლენა მოტყუებას არ გამოუწვევია: მართალია მხარეებმა გააფორმეს არა ის გარიგება, რომელიც სინამდვილეში დადეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხარეთა შორის, სინამდვილეში დადებული გარიგება იყო მოტყუების შედეგი — მხარეებს სურდათ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადება და სწორედ ეს გარიგება დაიდო

მათ შორის. სადავო ხელშეკრულება არ არის არც შეცდომით დადებული გარიგება. გარიგება, როდესაც მხარეები განზრახ ცვლიან რეალურად დადებული გარიგების შინაარსს არ შეიძლება ჩაითვალოს შეცდომით დადებულად. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეებმა წერილობით გამოავლინეს ნება იმ გარიგების დადებისა, რომელიც სინამდვილეში მათ შორის არ დადებულა, ე.ი. მხარეებმა წერილობითი გამოვლენილი ნებით დაფარეს სხვა გარიგება. ეს ნიშნავს, რომ მხარეებს არ სურდათ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის დადგომა. მათი მიზანი იყო გარიგებით დამდგარიყო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გარიგების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დაფარული გარიგების, ანუ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მიმართ მოქმედი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 942-ე და 945-ე მუხლები არ გამორიცხავს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სარჩენის მიერ მარჩენალისათვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემას. ასევე 942-ე მუხლის თანახმად, უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში, ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. სადავო ხელშეკრულება სანოტარო წესით დამოწმებული არ არის. სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. შესაბამისად, სადავო გარიგება ბათილია და არ წარმოშობს გარიგებით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს.

**საქმე № ას-615-952-07**

**26 დეკემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის დროს (სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს. საქმეში წარმოდგენილი კასატორის მიერ მითითებული მტკიცებულებები არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ე. კ-ს გარიგების დადებისას ცნობიერება ჰქონდა დაკარგული და იმყოფებოდა ფსიქიკური აშლილობის ვითარებაში. ის გარემოება, რომ ე. კ-ე დაავადებული იყო ცერებრალური ათეროსკლეროზით, გულის იშემიური დაავადებით და დაქვეითებული ჰქონდა აზროვნება და ცნობიერება არ ნიშნავს იმას, რომ მას ცნობიერება საერთოდ დაკარგული ჰქონდა. ცნობიერების დაქვეითება და დაკარგვა განსხვავებული ცნებებია და თუ რამდენად გამორიცხავს ხელშეკრულების მხარის მიერ რეალური ნების გამოვლენას უნდა დადგინდეს სპეციალისტის მიერ.

**საქმე № ას-1256-1515-2009**

**1 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის დროს (სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს. აღნიშნული ნორმის ანალიზით, ნების გამოვლენა ნამდვილად არ ჩაითვლება, თუკი უტყუარად დადგინდა ფაქტი ნების ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლის დროს გამოვლენის თაობაზე. კასატორი ასეთ გარემოებად მიუთითებს მ. გ.-ძის მძიმე ავადმყოფობას, რაც დასტურდება სასამართლო სხდომაზე სპეციალისტად მოწვეული ექიმის განმარტებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნულს დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად ვერ მიიჩნევს, ვინაიდან სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით შეაფასა რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, სავსებით სწორად დაადგინა, რომ სადავო გარიგებაზე განთავსებული მ. გ.-ძის ხელმოწერა ნამდვილია და ცნობიერების დარღვევის ფაქტი

არ დგინდება. უდავოა, რომ მ. გ.-ძე იყო ავადმყოფი, დიაგნოზით: იშემიური ინსულტი, მარჯვენამხრივი ჰემიპარეზით, რეტროგრადული ამნეზიით. მიუხედავად მძიმე დაავადებისა, საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და სპეციალისტის განმარტების ურთიერთშეჯერებით, გარიგების დადებისას ცნობიერების დაკარგვის ფაქტი არ დგინდება. სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის აუცილებელი წინაპირობა კი ცნობიერების დაკარგვის ფაქტის უტყუარად არსებობაა და არა ვარაუდი.

### **საქმე №ას-76-72-2013**

**24 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: ფორმის დაუცველად დადებული გარიგების ბათილად ცნობა (სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმა შეეხება როგორც კანონით დადგენილ, ისე მხარეთა მიერ შეთანხმების საფუძველზე დაწესებულ სავალდებულო თანხმობას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კანონით დადგენილი სავალდებულო თანხმობის (ნებართვის) არ არსებობისას გარიგების ნამდვილობა კონტრაქტენტის მოქმედებაზე დამოკიდებული არაა და იგი ცალსახად ბათილია, ხოლო თუ მესამე პირის თანხმობა ხელშეკრულების ან სხვა ვალდებულებით სამართლებრივი ინსტრუმენტის მეშვეობითაა გათვალისწინებული, ამგვარი თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობა კონტრაქტენტის კეთილსინდისიერებაზე დამოკიდებული, ანუ იმ გარემოებაზე, იცოდა თუ არა მან გარიგების დადებისას მისი ხელშემკვერელი მხარის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე. იურიდიული პირის შემთხვევაში, ამგვარი შეზღუდვა რეგისტრირებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, ან მესამე პირმა, რომლის თანხმობის გარეშეც დაიდო გარიგება, უნდა დაამტკიცოს, რომ ხელშემკვერელი მხარეები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და თანხმობის აუცილებლობის თაობაზე მათთვის ცნობილი იყო. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ ნორმის სწორად განმარტება სამეწარმეო სუბიექტებთან მიმართებით იძენს, ვინაიდან, კონკრეტულ საზოგადოებას თავისი წესდებით შეუძლია დააწესოს საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ყველა პარტნიორის თანხმობის აუცილებლობა ისეთ საკითხებზეც, რომლებზეც კანონით ასეთი თანხმობა საჭირო არ არის. სააპელაციო სასამართლოს ლოგიკით, ამგვარი შეზღუდვის დაწესება შედეგს ვერც ერთ შემთხვევაში გამოიღებს. საკასაციო სასამართლო კი მიუთითებს, რომ მესამე პრებისათვის ამგვარ შეზღუდვას ძალა აქვს, თუ იგი სამეწარმეო რეესტრშია რეგისტრირებული.

### **საქმე № ას-770-1395-03**

**12 მარტი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი)**

სკ-ის 61-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება. უცილოდ ბათილად ითვლება ყოველგვარი გარიგება, რომელიც არ წარმოშობს დასახულ სამართლებრივ შედეგებს არც მხარეთათვის და არც მესამე პირთათვის. არარა გარიგება მაშინაა სახეზე, როცა მისი შედეგუნარიანობა გამომდინარეობს ამა თუ იმ ზუსტად განსაზღვრული საფუძველებიდან, როგორცაა ქმედუნარობა, ფორმის დაუცველობა, უზნეობა და ა.შ. არარა გარიგება მისი დადების მომენტიდანვეა ბათილი და მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც მხარეთა ნება და ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება. დადების მომენტიდანვე ბათილად ჩაითვლება საცილო გარიგებაც, ოღონდ ეს ხდება მისი ბათილობის დადგენის შემდეგ. არარა გარიგების შემთხვევაში ბათილობის ფაქტს არ სჭირდება დადგენა, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით მხოლოდ ადასტურებს უკვე არსებული ბათილობის ფაქტს. მხარეების მიერ გარი-

გების დადასტურებით არარა გარიგება არ შეიძლება იქცეს ნამდვილ გარიგებად. დადასტურების ფაქტი სინამდვილეში განიხილება როგორც გარიგების ხელახლა დადება. დადასტურებით მხარეები ასწორებენ იმ ნაკლს, რამაც გარიგების ბათილობა გამოიწვია. ვთქვათ, მხარეებმა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება არც სანოტარო წესით დაამოწმეს და არც საჯარო რეესტრში გაატარეს, მაშინ ასეთი გარიგება თავიდანვე ბათილი იქნება, მაგრამ თუ მხარეები თანახმანი არიან ძალაში დატოვონ თავიანთი ნების გამოვლენა (დადონ ხელშეკრულება) და ადასტურებენ მას, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ეს ხელშეკრულება უნდა დაამოწმონ სანოტარო წესით და გაატარონ რეგისტრაციაში. ამ მოქმედებათა შესრულების შემდეგ, გარიგება ნამდვილად ჩაითვლება არა თავდაპირველი გარიგების დადების მომენტიდან, არამედ კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ ფორმაში მისი მოქცევის დროიდან. ეს ფაქტი განიხილება, როგორც გარიგების ხელმეორედ დადება.

**საქმე № ას-828-1143-07**

**14 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას (სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელეთა ერთმა ნაწილმა 1996 წლიდან შპს კბ „ე-ში“ გახსნეს შემნახველი სალაროს წიგნაკები და გააგრძელეს პენსიების ჩარიცხვა და მიღება ამ ბანკიდან. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ დანარჩენმა მოსარჩელებმა 1996 წლიდან გააგრძელეს შპს კომერციულ ბანკ „ე-ში“ თანხების ჩარიცხვა და მიღება, რაც დადასტურებულად მიიჩნია შემნახველ წიგნაკებში 1996-1999 წლებში თანხების ჩარიცხვისა და მიღების შესახებ ჩანაწერებით. აღნიშნული გარემოებება სააპელაციო სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია შპს კბ „ე-ოს“ მე-ანაბრებზე ბანკის ლიკვიდაციის პერიოდში თანხების გაცემის ქვითრებით (გასავლის ორდერებით).

საკასაციო საჩივარში კასატორები არ უთითებენ აღნიშნული ფაქტების გამომრიცხავ გარემოებებზე, კერძოდ კასატორები საკასაციო საჩივარში არ უარყოფენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მათ 1996 წლიდან გააგრძელეს შპს კომერციულ ბანკ „ე-ში“ თანხების ჩარიცხვა და მიღება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელებს (კასატორების) აღძრული აქვთ პირველადი მოთხოვნები, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი ითხოვენ ანაბრებზე შეტანილი ფულადი სახსრების დაბრუნებას, რაც წესრიგდება უპირველეს ყოვლისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 874-ე და 875-ე მუხლებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელებს არა აქვთ აღძრული მეორადი მოთხოვნები, ანუ სს „გ-სა“ და შპს კბ „ე-ოს“ შორის 1996 წლის 24 ოქტომბერს ვალდებულებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

მოსარჩელები (კასატორები) უთითებენ, მხოლოდ იმაზე, რომ აღნიშნული გარიგება არის უკანონო, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლის თანახმად ვალის გადაკისრების აუცილებელი იყო მათი თანხმობა. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად „თუ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმდნენ მესამე პირი და მოვალე, მაშინ გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებულია მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზე.“

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმის დანაწესის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა, მაგრამ აღნიშნული კატეგორიის გარიგებები არ წარმოადგენენ უცილოდ ბათილ გარიგებებს. მისი ბათილად ცნობის ერთერთ სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს კრედიტორის შეცილება, რისთვისაც უნდა არსებობდეს შეცილების საფუძველი. კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია (რომლის საწინააღმდეგო არ არის წარმოდგენილი საკასაციო საჩივარში), რომ მოსარჩელები (კასატორები) 1996 წლიდან აგრძელებდნენ შპს კომერციულ ბანკ „ე-ში“ თანხების ჩარიცხვასა და მიღებას. აღნიშნული მოქმედებები შეიძლება ჩაითვალოს კონკლუდენტურ მოქმედებად, რადგანაც მოსარჩელებმა (კასატორებმა) თავისი მოქმედებით დადასტურეს შპს კომერციულ ბანკ „ე-თან“ არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორები არ უთითებენ შპს კომერციულ ბანკ „ე-ში“ თანხების ჩარიცხვასა და მიღებასთან დაკავშირებული თავიანთი ნების მართებულობაზე. ამდენად, კასატორების ამგვარი მოქმედებები ადასტურებენ შპს კომერციულ ბანკ „ე-თან“ არსებულ გარიგების ნამდვილობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის აღძვრის დროისათვის სს „გ-ი“ (სს „გ-ა“) აღარ წარმოადგენდა სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მხარეს, ანუ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის ამ უკანასკნელს არ გააჩნდა მოსარჩელებთან გათვალისწინებული მატერიალურ-სამართლებრივი უფლება-ვალდებულებები. ხოლო სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სარჩელის აღძვრის მომენტისათვის იყო შპს კომერციული ბანკი „ე-ო“.

### **საქმე № ას-1317-1444-04**

**12 აპრილი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გარიგების სანოტარო წესით გაფორმებისას ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების დადგენილი წესის დარღვევის გავლენა გარიგების ნამდვილობაზე (სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლი)**

სკ-ის 59-ე მუხლით ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე, ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა, ხოლო 68-ე მუხლით კი გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. დასახელებული ნორმებით იმპერატიულად დაწესებულია ფორმისაგალდებულო გარიგების ფორმის დაუცველობის შედეგი. გარიგების ფორმაში მოიაზრება რა მარტივი და რთული წერილობითი ფორმები, მოცემულ შემთხვევაში გარიგება დადებულია სათანადო სანოტარო ფორმით. ამასთან, საკასაციო პალატა იბრუნებს საოლქო სასამართლოს მოსაზრებას ნოტარიუსის მიერ „ნოტარიატის შესახებ“ კანონისა და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დარღვევის შედეგად გარიგების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ გარიგების სანოტარო წესით გაფორმებისას ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების დადგენილი წესის დარღვევა არ იწვევს გარიგების ბათილობას, თუკი გარიგების მხარეთა ნების გამოვლენა ნამდვილია და ეჭვს არ იწვევს.

### **საქმე № ას-214-511-04**

**3 ივნისი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წერილობითი ფორმით გარიგების დადება (სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლი)**

შკკ-ის მე-19 მუხლით შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) იდება წერილობითი ფორმით და ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან, ე.ი. შრომითი კონტრაქტი წერილობითი ფორმის ხელშეკრულებაა და იგი უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. სკ-ის 69-ე მუხლით მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. ხელმოწერა უნდა განხორციელდეს გარიგებისათვის სპეციალურად შედგენილ დოკუმენტზე (კონტრაქტზე) საკუთარი ხელით და მითითებული უნდა იყოს ხელმოწერის სახელი და გვარი გარკვევით, წინააღმდეგ შემთხვევაში კონტრაქტი ნამდვილი არ არის. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ შრომით კონტრაქტს უშუალოდ საზოგადოების დირექტორი ხელს არ აწერს. კონტრაქტზე არსებობს დირექტორის ხელმოწერის ფაქსიმილე. მართალია, სკ-ის 69-ე მუხლის II ნაწილი ითვალისწინებს მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის აღდგენას (ფაქსიმილე), მაგრამ არა შრომითი კონტრაქტის დადებისას, არამედ იმ შემთხვევაში, როცა ხელმოწერის ასეთი გამოყენება სავაჭრო ჩვეულების სახით უნდა იყოს დამკვიდრებული და გარიგების მონაწილეთა მიერაა აღიარებული (ჩვეულებრივ, ფაქსიმილე გამოიყენება ფასიანი ქაღალდების დიდი რაოდენობით გამოცემისას და არა ცალკე, ინდივიდუალურად დადებული გარიგებების დროს).



სკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა დაუსაბუთებლად, რადგან შრომითი კონტრაქტები, მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, ნამდვილი არ არის.

**საქმე № 3კ-938-02**

**8 ნოემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოტყუებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლი)**

სკ-ს 81-ე მუხლის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა.

მოტყუება ცდომილებაში განზრახ შეყვანაა. მოტყუების დროს სახეზეა ნების გამოვლენის ნაკლი. მოტყუებისას ყოველთვის სახეზეა პირის სამართლებრივად გასაკიცხი მოქმედება. არ შეიძლება მოტყუებად ჩაითვალოს ზოგიერთი ფაქტების შელამაზება-გაზვიადება, რაც სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით დაშვებულია. ასეა ხშირად სავაჭრო გარიგებებში, როცა ვაჭარი აქებს თავის საქონელს და ცდილობს ამით ფასი გაზარდოს. ზომიერი რეკლამა, რომელსაც საფუძვლად არ უდევს ბოროტი განზრახვა, ვერ ჩაითვლება არაკეთილსინდისიერ მოქმედებად. სააქციო საზოგადოების შეთავაზება სხვა პირისათვის, რომ მისი აქციები იქნება მომგებიანი და შემდგომში მომგების მომტანი, არ შეიძლება ჩაითვალოს მოტყუებად.

აქციონერი არის სამეწარმეო რისკის მატარებელი, ვინაიდან აქციების მიხედვით მიღებული დივიდენდის ოდენობა შეიძლება იყოს მცირე, ვიდრე კაპიტალის განთავსების ალტერნატიული ფორმებიდან მიღებული მოგება ან შეიძლება მოგება საერთოდ ვერ იქნეს მიღებული. შეუძლებელია გარიგების დადების მიზნით მოტყუებად ჩაითვალოს ის გარემოება, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს არც ერთი მხარისათვის არ იყო ცნობილი და მისი დადგომა ხდება შემდეგში. შეუძლებელია აქციის გამყიდველს ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ მის მიერ გაყიდული აქცია იქნება მომგებიანი.

**საქმე № ას-829-1080-04**

**18 მაისი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოტყუებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლი)**

მოცემული დავის საგანია გარიგების ბათილობა. ბათილობის საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებს მოტყუებას. პალატა თვლის, რომ სასამართლომ სწორად გამოიყენა კანონი, სკ-ის 81-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. მითითებული ნორმა აღიარებითი სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია იმ შემთხვევაში, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებით გარიგების ბათილობა ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. მოტყუების დროს სახეზეა ნების ნაკლის გამოვლენა, კერძოდ, რომ არა მოტყუების ფაქტი, ისე გარიგება არ დაიდებოდა. შეცვლების შემდეგ სასამართლოში დავისას მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს მოტყუების ფაქტის არსებობა ისეთი მტკიცებულებების წარდგენით და ისეთ გარემოებებზე მითითებით, რომლებიც დაადასტურებდნენ მოტყუების ფაქტს. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ მიუთითა გარემოებაზე, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოტყუებად, რადგან ბათილობას იწვევს მოტყუება, რომელიც წარმოშობს ხელშეკრულებას. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებს, თითქოსდა გამყიდველმა არ იცოდა რა ხელშეკრულებას აწერდა ხელს. ეს ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გარიგების ბათილობის საფუძვლად, რადგან გარიგებაზე ხელმოწერა უკვე თავისთავად ადასტურებს გარიგების შინაარსის ცოდნას. ამასთან, უდავოა, რომ მ.კ-ე ქმედუნარიანი იყო გარიგების დადებისას. ამდენად, სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა და განმარტა კანონი.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას სკ-ის 73-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, პალატა თვლის, რომ სასამართლოს იმ შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა იგი, თუ საქმის გარემოებებით დადგენილი იქნებოდა გარიგების დადებისას არსებითი შეცდომის დაშვების ფაქტი. შეცდომისას პირის ნება ემთხვევა მის მიერ გამოვლენილ ნებას, მას ნამდვილად სურს არსებული გარიგება, ოღონდ არა იმ შინაარსის, რა სახითაც იგი არსებობს. განსახილველ შემთხვევაში კი მოსარჩელე საერთოდ უარყოფს გარიგების დადების სურვილის არსებობას. პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის მითითებას სკ-ის 82-83-ე მუხლებზე, რადგან ისინი არეგულირებენ მოტყუების გამო გარიგების ბათილად მიჩნევისა და მესამე პირის მხრიდან მოტყუების სამართლებრივ შედეგებს, დადგენილია, რომ სადავო გარიგების დადებისას მოტყუების ფაქტს ადგილი საერთოდ არ ჰქონდა.

### **საქმე № ას-198-189-2010**

**13 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: მოტყუებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა.

აღნიშნული ნორმით არასწორად ინფორმირებული მხარისათვის რეალურად არსებული გარემოება ცნობილი უნდა გახდეს გარიგების დადების შემდეგ, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული, რომ მხარემ არ იცოდა, თუ რა ხელშეკრულებას აწერდა ხელს. ლ.პ-იკი ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მას ხელშეკრულება არ წაუკითხავს, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც ხელშეკრულება ვერ იქნება ბათილად ცნობილი, ვინაიდან ხელშეკრულებაზე ნებაყოფლობით ხელის მოწერით მხარე გამოთქვამს რა თანხმობას სახელშეკრულებო პირობებზე, ივარაუდება, რომ ხელშეკრულების პირობები მისთვის ცნობილია. კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების ბათილობას მხარის დაუდევრობის — ხელშეკრულების გაცნობის გარეშე ხელმოწერის გამო.

### **საქმე № ას-1404-1622-05**

**28 დეკემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: იძულებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი)**

სააპელაციო პალატამ ისე დაადგინა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე იძულებითი გარიგების დადების ფაქტი, რომ არ გამოიკვლია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი და არ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები. აღნიშნული ფაქტის პროცესუალურად მართებულად დადგენის შემთხვევაშიც კი, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ იძულებით დადებული გარიგების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ, იძულებით დადებული გარიგების შეფასების სამართლებრივ საფუძველს არ წარმოადგენს სსკ-ის 54-ე მუხლი, არამედ სსკ-ის-ს 85-ე-89-ე მუხლები. აღნიშნული განსხვავების კონსტანტაცია, სამართლებრივი თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია საცილო და უცილოდ ბათილი გარიგების თეორიული წინამძღვრების არსებობის პირობებში, კერძოდ, არარა გარიგება მისი დადების მომენტიდანვეა ბათილი და ამდენად, მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც მხარეთა ნება და ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება. დადების მომენტიდანვე ბათილად ჩაითვლება საცილო გარიგებაც, ოღონდ ეს ხდება მისი ბათილობის დადგენის შემდეგ (განსახილველ შემთხვევაში იძულების ფაქტის დადგენის შემდეგ). არარა გარიგების შემთხვევაში ბათილობის ფაქტს არ სჭირდება დადგენა, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ადასტურებს უკვე არსებული ბათილობის ფაქტს. გარდა აღნიშნული განსხვავებისა, იძულების ფაქტის დადგენის შემთხვევაში კანონი შეცილების სპეციალურ ვადას ითვალისწინებს. სსკ-ის 89-ე მუხლის შესაბამისად, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთიწ. განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.

**საქმე № ას-578-544-2010**

**4 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: იძულებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო ეს გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას. კოდექსის 86-ე მუხლი განმარტავს, რომ გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამავე დროს, იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.

**საქმე № ას-743-1069-07**

**20 თებერვალი 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გარიგების ბათილობის საფუძვლები (სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი და 86-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მეუღლეთა შორის ქორწინების განმავლობაში დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული გარიგებით დ. კ-იმ ქორწინებამდე შეძენილი ქონება მიჰყიდა მის ცოლს. ასეთი სახის გარიგებები მეტად იშვიათად გვხვდება პრაქტიკაში, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი გარიგებები ბათილია. მოსარჩელე გარიგებას ბათილად მიიჩნევს იმის გამო, რომ ხელშეკრულებაში მითითებული თანხა მას არ მიუღია. ამასთან მისი აზრით, ამ გარიგებას იურიდიული შედეგი არ მოჰყოლია, რადგან იგი დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ სახლში და იხდის გადასახადს. დაქორწინების შემდეგ მეუღლეები, როგორც წესი, ერთად ცხოვრობენ. ამიტომ მათ ხშირად უხდებათ ერთ-ერთ მეუღლის საკუთრებაში არსებულ ბინაში ცხოვრება. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრების უფლების არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელია მეუღლის სახლში ცხოვრება და ვინაიდან დ. კ-მ სახლი გაასხვისა, მას სადავო ფართში ცხოვრების უფლება აღარ ჰქონდა. იგივე შეიძლება ითქვას გადასახადების თაობაზეც. ცოლ-ქმრული თანაცხოვრების პერიოდში გადასახადებს, როგორც წესი, იხდის ერთ-ერთი მათგანი, და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მესაკუთრე ვალდებული იხადოს გადასახადი.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსარჩენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ზემოთ მითითებული გარემოებანი არ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მხარეებს არ სურდათ გარიგებიდან გამომდინარე იურიდიული შედეგის დადგომა. აღნიშნულის დადასტურების ტვირთი ეკუთვნის დ. კ-ს. მის მიერ მითითებული გარემოებანი კი ასეთი სახის გარიგების არსებობას ვერ ადასტურებს. მ. რ-ის განმარტებებიდან კი ირკვევა, რომ მას სწორედ აღნიშნულ ფართზე საკუთრების უფლების მოპოვება სურდა, რადგან არ დარჩენილიყო უსახლკაროდ. ანუ მას სურდა სწორედ იმ იურიდიული შედეგის დადგომა, რაც უძრავი ქონების შეძენით შეიძლება დადგეს. ის ფაქტი, რომ თითქოს მ. რ-ს მოსარჩელისათვის შესყიდვის ფასი არ გადაუხდია შეიძლება გახდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველი და არა ხელშეკრულების ბათილობისა.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ თითქოს ხელშეკრულება იძულებით იქნა დადებული პალატა ვერ გაზიარებს. სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ცოლის ულტიმატუმი გაყრის თაობაზე არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ გარემოებად, რომელიც დ. კ-იძეს აფიქრებინებდა, რომ მას საფრთხე ემუქრებოდა. მოცემულ შემთხვევაში იძულების განმაპირობებელი ფაქტი უნდა შეიცავდეს რეალური საფრთხის შემცველ გარემოებებს, რომელიც მხარეს აფიქრებინებს, რომ გარიგების დაუდებლობა მის პიროვნებას სერიოზულ საფრთხეში ჩააგდებს. ასეთ შემთხვევაში განქორწინების მუქარა არ შეიძლება იყოს ისეთი სე-

რიოზული საფრთხის შემცველი მოქმედება, რომ ადამიანი აიძულოს ყველაფერი გაყიდოს რაც აბადია და თავი უსახსრო მდგომარეობაში ჩაიგდოს.

**საქმე № ას-1404-1622-05**

**28 დეკემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადა (სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა ვერც სააპელაციო პალატის მოსაზრებას გაიზიარებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ა. ა-ძის წინააღმდეგ იძულებითი ღონისძიებების განხორციელებაზე 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადის, როგორც სამეწარმეო სამართლებრივი პრეტენზიის ხანდაზმულობის ზოგადი ვადის, გავრცელების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული დავა სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი და „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე პრეტენზიებთან არის დაკავშირებული. საკასაციო პალატა აღნიშნულ პოზიციას არ ეთანხმება და თვლის, რომ ხანდაზმულობის ვადა უნდა მომდინარეობდეს არა მოთხოვნის სამართლებრივი ბუნებიდან, არამედ მისი წარმოშობის საფუძვლიდან, ანუ აქციებზე დადებული იძულებითი გარიგების ბათილობის მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს არა „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ვადა, არამედ იძულებით დადებული გარიგების შეცილების ერთწლიანი ვადა.

**საქმე № ას-379-352-2010**

**19 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პირობითი გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლი)**

სადავო ხელშეკრულების 2.6. პუნქტი პირობითი გარიგებაა, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ, თუ მოვალე ვალდებულებას ვერ შეასრულებს, კრედიტორს საკუთრებაში გადასცემს კარიერზე უფლებას. სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების დადგომა ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა — ამ მოვლენის დადგომისთანავე. ხელშეკრულების შემოაღნიშნული დათქმა უფლების გადაცემაზე დაკავშირებულია გარკვეული პირობის დადგომასთან — ვალდებულების შეუსრულებლობასთან, რისი არსებობის ფაქტი სადავოს არ წარმოადგენს.

## **1.4. წარმომადგენლობა გარიგებებში**

**საქმე № ას-531-864-05**

**23 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით (სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლი)**

სკ-ის 289.1 მუხლის თანახმად, იპოთეკა წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. რეგისტრაცია ხდება დადგენილი წესის მიხედვით უძრავი ნივთის მესაკუთრისა და იპოთეკარის მიერ სანოტარო წესით დამოწმებული საბუთების წარდგენით. მათში უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მესამე პირი, ასევე უზრუნველყოფილი მოთხოვნის სიდიდე, სარგებელი და შესრულების ვადა. ამდენად, კანონი იმპერატიულად მიუთითებს „უძრავი ნივთის მესაკუთრისა და იპოთეკარის მიერ სანოტარო წესით დამოწმებული საბუთების წარდგენის“ აუცილებლობაზე და განსაზღვრავს იმ სავალდებულო რეკვიზიტებს, რომლებიც საჭიროა იპოთეკისათვის. პირველ რიგში კი ასეთად კანონი „იპოთეკით დასატვირთი უძრავი ნივთის მესაკუთრეს“ ასახელებს. სკ-ის 103.1 მუხლის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. სკ-ის 59.1 მუხლის თანახმად, ბათილია ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა.

სადავო შემთხვევაში ხელშეკრულებაში იპოთეკით დასატვირთი უძრავი ნივთის მესაკუთრე მინდობილობის საფუძველზე იქნა მითითებული, თუმცა წარმომადგენელს ამის უფლება მინიჭებული არ ჰქონდა ანუ დაირღვა სკ-ის 59.1 მუხლით გათვალისწინებული ნორმა.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ა.კ-ქე საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ „განკარგვაში,“ რომელიც 1999წ. 6 თებერვლის მინდობილობაშია მითითებული, იგულისხმება „მისი გაქირავების, თხოვების, თუ იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, თუ რწმუნებულს ჰქონდა ბინის განკარგვის უფლებამოსილება მინიჭებული, მაშინ რატომ არ შეეძლო მისი იპოთეკით დატვირთვა, იპოთეკით დატვირთვაც ხომ განკარგვის ერთ-ერთი სახეა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განკარგვა მფლობელობასა და სარგებლობასთან ერთად არის საკუთრების უფლების ელემენტი, რომელშიც ყველაზე მეტად ვლინდება საკუთრების უფლების ხასიათი.

განკარგვაში იგულისხმება ქონების ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, გაქირავება, იჯარით გაცემა, შესანახად მიბარება, გაცვლა, და ა.შ. თვით ნივთის მოსპობის ჩათვლით. განკარგვის სამართლებრივი ბუნების მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ განკარგვის შედეგად ხორციელდება ქონების გასხვისება, მაგრამ განკარგვა გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როცა არ ხდება ნივთის გასხვისება, არამედ მესამე პირებს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში გადაეცემა, ანუ განკარგვით წყდება საგნის იურიდიული ბედი ან წყდება საკუთრების უფლება (გაყიდვისას, გაჩუქებისას, გაცვლისას და ა.შ.), ან დროებით შეჩერდება სარგებლობისა და პირდაპირი მფლობელობის უფლება (გაქირავებისას, იჯარით გაცემისას, თხოვებისას, შესანახად მიბარებისას და სხვა).

საკასაციო პალატის აზრით, კასატორი მართებულად მიუთითებს, რომ განკარგვაში იგულისხმება ყოველივე ზემოაღნიშნული, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, მინდობილობით დაზუსტებულია, რომ ვ.გ-ოვმა ა.ა-ქეს გადასცა ბინის განკარგვის უფლება, კერძოდ, იჯარით გაცემა და აღნიშნულთან დაკავშირებით, გადასცა ბინაზე ყველა უფლებამოსილება, დოკუმენტების შეგროვების, მის ნაცვლად ხელის მოწერისა თუ თანხის მიღებისა, გარდა ბინის ყიდვა-გაყიდვისა და უფლებების მესამე პირათვის გადაცემისა.

საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორს იმ ნაწილში, რომ კონკრეტული მინდობილობით გათვალისწინებული „განკარგვის“ საფუძველზე, ა.ა-ქეს ჰქონდა ბინის გაქირავების უფლება. აღნიშნული მოსაზრებისას საკასაციო პალატა ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ თავისი სამართლებრივი ბუნებით ქირავნობისა და საიჯარო ურთიერთობები მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობებია, რაზეც ისიც მიუთითებს, რომ სკ-ის 581.2 მუხლის თანახმად, იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამდენად, მინდობილობის ლოგიკური განმარტებით, გაქირავების უფლება წარმომადგენელს ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ, რაც შეეხება მისი თხოვებისა და იპოთეკით დატვირთვის უფლებებს, მათთან მიმართებაში სასამართლო კასატორს ვერ დაეთანხმება. თხოვების უფლება აღნიშნული მინდობილობიდან არანაირად არ გამომდინარეობს, ბინის თხოვების მიზანი ვ.გ-ოვს ნამდვილად არ ჰქონია, რაც დასტურდება იმით, რომ მინდობილობაში მითითებულია ფულადი თანხის მიღების თაობაზე, რაც გამორიცხავს უსასყიდლო გარიგების — თხოვების არსებობას. რაც შეეხება იპოთეკით დატვირთვას, იგი განეკუთვნება განკარგვის ისეთ სახეს, რასაც ნივთის გასხვისების ალბათობა ახლავს თან (სკ-ის 300.1 მუხლის მიხედვით თუ მოვალე გააჭიანურებს იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც იპოთეკაა, იპოთეკარი უფლებამოსილია მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია). მინდობილობა კი განკარგვის ისეთ სახეს ითვალისწინებს, რომელიც გულისხმობს არა ნივთის საკუთრებიდან გასვლას (მინდობილობის შინაარსში გარკვევითაა მითითებული, რომ რწმუნებულს არ ჰქონდა მისი ყიდვა-გაყიდვის უფლება, რაც ნიშნავს იმას, რომ განკარგვის იმ სახეს, რომელიც ნივთის გასხვისებას ითვალისწინებს, ვ.გ-ოვი მიზნად არ ისახავდა), არამედ მხოლოდ სარგებლობისა და პირდაპირი მფლობელობის უფლების გადაცემას, თანაც არა მის ყველა სახეს (მაგალითად, იმავე უსასყიდლო თხოვებას), არამედ კონკრეტულს — იჯარას (ქირავნობას).

საკასაციო პალატის აზრით, იპოთეკით დატვირთვის უფლება უპირობოდ განეკუთვნება განკარგვის პირველ შემთხვევას. მართალია, იგი გარკვეულწილად განსხვავდება ამ ჯგუფის სხვა შემთხვევებისაგან — გაყიდვის, გაჩუქებისაგან, რომელთა დროსაც ხდება ნივთის როგორც ფლობის, ისე სარგებლობისა და განკარგვის უფლებათა გადაცემა, კერძოდ: იპოთეკისას ნივთი რჩება მესაკუთრის პირდაპირ მფლობელობასა და სარგებლობაში, მაგრამ აღნიშნული მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რომ იპოთეკარს შეუსრულებელი ვალდებულების უზრუნველსაყოფად, მესაკუთრის ნებისაგან დამოუკიდებლად ნივთის რეალიზაციის მოთხოვნის უფლება აქვს.

**საქმე №ას-114-110-2012**

**19 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით (სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლი)**

2008 წლის 30 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებით ბ.ჟ-მა შპს მ. „თ-საგან“ აიღო სესხი 33 000 აშშ დოლარის ოდენობით 2009 წლის 30 აპრილამდე თვეში 5% სარგებლით. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულებით შეთანხმებულ იქნა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 1,5%-ის ოდენობით. აღებული სესხის უზრუნველსაყოფად 2008 წლის 30 ოქტომბრის სანოტარო აქტით იპოთეკით დაიტვირთა ა. ო-ს, ნ. ნ-ის, ნუგ. ნ-ისა და მ. ნ-ის კუთვნილი ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა N25-ში მდებარე უძრავი ქონება, რომლის მესაკუთრეთა სახელით ხელშეკრულების დადებისას გამოდიოდა ბ. ჟ-ი 2008 წლის 23 ოქტომბრის მინდობილობის საფუძველზე.

2008 წლის 30 ოქტომბრის იპოთეკის ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. დასახელებული გარემოება დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. ბ. ჟ-ს იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულება არ შეუსრულებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის განაჩენით ბ. ჟ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში. განაჩენის მიხედვით, საბრალდებო დასკვნით ბ. ჟ-ს ბრალად დაედო თაღლითობა, ე.ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება და ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით შემდეგი გარემოებების დადგენის საფუძველზე: 2008 წლის ოქტომბერში დასაქმების შესახებ გაზეთ „ს. და ს-ში“ გამოქვეყნებული განცხადება წაიკითხა სამუშაოს დაწყების მსურველმა დ. ნ-მა, დაინტერესდა პირობებით და დარეკა განცხადებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე. მას უპასუხა მამაკაცმა, რომელმაც სამსახურის პირობებზე სასაუბროდ შეხვედრა დაუთქვა შპს „ნ. პ-ს“ ოფისში. იმავე დღეს დ. ნ-ი მივიდა შპს „ნ. პ-ში“, სადაც მას დახვდა ბ. ჟ-ი, რომელიც გაეცნო „ნ. პ-ს“ მფლობელად. ბ. ჟ-მა დ. ნ-ს დაათვალიერებინა ქარხანა, გააცნო სამუშაოს პირობები და ჰკითხა, ჰქონდა თუ არა უძრავი ქონება.

ბ. ჟ-მა დ. ნ-ს შესთავაზა დისტრიბუტორად მუშაობა და დაარწმუნა ის რომ, საწარმოში მუშაობის დასაწყებად აუცილებელი იყო მის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე ბ. ჟ-სათვის მიეცა მინდობილობა, რათა იმ შემთხვევაში, თუ მუშაობის პროცესში მისი მოქმედებით საზოგადოებას რაიმე სახის ზიანი მიადგებოდა, ანაზღაურება მომხდარიყო მისი ქონებიდან. როდესაც ბ. ჟ-მა დ. ნ-ისაგან შეიტყო, რომ მისი მშობლების სახელზე ირიცხებოდა ბ-ის ქ. № 25-ში მდებარე ბინა, გადაწყვიტა სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა. აღნიშნული ბინის დათვალიერებისა და ბინის მესაკუთრეთა დარწმუნების მიზნით დ. ნ-ს იმავე დღეს გაჰყვა მის ოჯახში. ბ. ჟ-მა ბ-ის ქუჩა № 25-ში მდებარე ბინის მესაკუთრეები — ა. ო-ა, მ. და ნუგ. ნ-ები დაარწმუნა, რომ მისი საწარმო იყო წარმატებული და იმ შემთხვევაში, თუ მათ კუთვნილ ბინაზე მისცემდნენ მინდობილობას, რომელიც იქნებოდა დ. ნ-ის კეთილსინდისიერად მუშაობის გარანტი და არ ითვალისწინებდა ბინის გასხვისების უფლებას, მათ ბინას საფრთხე არ შეექმნებოდა.

2008 წლის 23 ოქტომბერს ბ. ჟ-მა საჯარო რეესტრიდან აიღო ამონაწერი უძრავ ქონებაზე და იმავე დღეს მესაკუთრეებთან ერთად მივიდა სანოტარო ბიუროში, სადაც მათი სახელით გააფორმა მინდობილობა უძრავ ქონებაზე. სხვა უფლებებთან ერთად მან მოიპოვა ბინის იპოთეკით დატვირთვის უფლებაც.

ბ. ჟ-მა გადაწყვიტა აღნიშნული უფლების რეალიზაციის გზით ქონებრივი სარგებლის მიღება. 2008 წლის 30 ოქტომბერს ა-ის ქ. № 77-ში მდებარე სანოტარო ბიუროში შპს „თ-თან“ გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 2009 წლის 30 აპრილამდე, რომლის თანახმად იპოთეკარისაგან ისესხა 33000 აშშ დოლარი, სესხის უზრუნველსაყოფად კი იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება. სესხად აღებული თანხა და სარგებელი ბ. ჟ-ს არ გადაუხდია.

კასატორი საკასაციო საჩივრის პრეტენზიას ძირითადად მითითებულ განაჩენს აყრდნობს და მიიჩნევს, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ განაჩენის მიხედვით ბ. ჟ-მა მოტყუების გზით მოახდინა სადავო საცხოვრებელი სახლის იპოთეკით დატვირთვა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იპოთეკის ხელშეკრულება დადებულია მინდობილობის საფუძველზე, რომელიც ბათილად არ არის ცნობილი სასამართლოს მიერ. იგი მხოლოდდამხოლოდ გაუქმებულია, რაც სამართლებრივი შედეგით მეტად განსხვავდება ბათილობის ინსტიტუტისაგან. თუ ბათილობის შემთხვევაში, არსებობს შესაძლებლობა გაბათილდეს მის საფუძველზე დადებული გარიგება, ასეთი შედეგი არ დგება გარიგების დადების შემდგომ მინდობილობის გაუქმების შემთხვევაში. შეუძლებელია, მინდობილობის საფუძველზე დადებული გარიგების გაბათილება იმ მოტივით, რომ მინდობილობის დადებისას მხარე მოატყუეს ან მისი ნდობა ბოროტად გამოიყენეს და იგი მიჩნეული არ არის არაარა გარიგებად. ხოლო მხარეთა შორის არსებული მინდობილობით მხარე აღჭურვილია უფლებით დატვირთოს ნივთი იპოთეკით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, როდესაც სახეგა წამომადგენლის მიერ დადებული გარიგება სააპელაციო სასამართლო სწორად აპელირებს სამოქალაქო კოდექსის 103-ე და 104-ე მუხლებზე, როგორც მინდობილობის საფუძველზე დადებული გარიგების მართლზომიერებაზე და მის სამართლებრივ შედეგზე. უნდა ითქვას, რომ კასატორი ჯეროვნად ვერ ასაბუთებს ამ ნორმების გამოყენების უსწორობას.

მოცემულ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქმეში მონაწილეობს შპს „თ-ც“, რომლის არაკეთილსინდისიერება არ დგინდება საქმის მასალებით. ასეთზე ვერ უთითებს კასატორიც. ა. ო-ა განაჩენის მიხედვით მოატყუა ბ. ჟ-მა და სწორედ იგია პასუხისმგებელი მის წინაშე. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ბ. ჟ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე. მითითებული ნორმის თანახმად, პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

**საქმე № ას-127-124-2011**

**05 სექტემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით (სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ადვოკატს, რომელიც ორდერის საფუძველზე ახორციელებს კლიენტის ინტერესების დაცვას, სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში პირდაპირაა აღნიშნული ასეთი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. მართალია, დავალების ხელშეკრულების ფორმა თავისუფალია, მაგრამ ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში, რწმუნებულმა სარწმუნოდ უნდა დაამტკიცოს მარწმუნებლის მიერ კონკრეტული დავალების მიცემის ფაქტი.

**საქმე № ას-263-559-04**

**22 ივლისი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გარიგების დადება სხვა პირის სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობისას (სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ რადგან წერილი, რომლითაც მოპასუხემ დავალიანების გადახდა ივალდებულა, ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირის მიერ (წერილს ხელს აწერს ვ.გურული,

რომელიც რეესტრში არ არის რეგისტრირებული დირექტორად) იგი ვერ გახდება სკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი.

პალატა სააპელაციო სასამართლოს ასეთ მსჯელობას ვერ გაიზიარებს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენლობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს დირექტორს გ.გეგენავას და არა ვ.გურულს, რომელიც ხელს აწერს წერილს. მაგრამ ასევე დადგენილია რომ ვ.გურულის ხელმოწერით მოსარჩელეს არაერთხელ გაეგზავნა წერილი 1998-2000 წლებში, ვალის დაფარვის დაპირებით, აღსანიშნავია რომ ეს წერილები დაბეჭდილია სს „ე.-ის“ ბლანკზე, დასმული აქვს სს „ე.-ის“ ბეჭდი, გატარებულია სს-ის კანცელარიაში და დასმული აქვს ნომერი. ასევე მოსარჩელის განმარტებით, რასაც მოპასუხე მხარეც დაეთანხმა, სს „ე.-ის“ ოფისში მუშაობდა ვ.გურული, იგი იჯდა კაბინეტში, რომლის კარზე იყო წარწერა „დირექტორი“. ასეთ პირობებში პალატა თვლის რომ სს „ე.-მ“ ისეთი გარემოებები შექმნა, რომ მოსარჩელეს კეთილსინდისიერად ეგონა რომ ვ.გურული იყო სააქციო საზოგადოების დირექტორი და უფლებამოსილება ჰქონდა საზოგადოების სახელით გამოსულიყო ურთიერთობებში.

სკ-ის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი წარმომადგენელმა ისეთი გარემოებები შექმნა რომ გარიგება მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა“.

მოცემულ შემთხვევაში სს „ე.-მ“ აღიარა ვალდებულების არსებობა მოსარჩელე მხარის მიმართ, აღნიშნული წარმომადგენს ცალმხრივ და აბსტრაქტულ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ შესრულებას.

ვალის აღიარების საფუძველზე სსკ-ის 137-ე მუხლით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება.

## **საქმე № ას-452-843-06**

**19 მარტი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: შეტყობინების ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეცვლისას (სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რ.თ-ი სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად კეთილსინდისიერი შემძენია, რომელსაც ეჭვი არ შეპარვია და არც იყო ვალდებული გამოერკვია კასპის სამომხმარებლო .. .. გამგეობის .. .. უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ზემოაღნიშნული ნორმა შემძენს კეთილსინდისიერად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უძრავი ქონების გასხვისების შემდეგ სადავო გახდება გამსხვისებლის საკუთრების უფლება ამ ქონებაზე. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის სადავო, რომ გასხვისებული მიწის ნაკვეთი .. .. საკუთრებაა, მოსარჩელეებმა სადავო გახადეს მხოლოდ ამ მიწის ნაკვეთის გამსხვისებლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება; მოსარჩელეებმა თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძველად მიუთითეს ის, რომ კასპის .. .. გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე გ. დ-ე სადავო ქონების რ. თ-სათვის მიყიდვის თაობაზე 2003 წლის 28 ოქტომბრის სანოტარო აქტის გაფორმების მომენტისათვის კასპის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებით უკვე გადაყენებული იყო დაკავებული თანამდებობიდან და იგი უფლებამოსილ პირს არ წარმომადგენდა. ასეთ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესა-



ხებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გამოარკვია, რ. თ-მა იცოდა თუ არა, ან მას უნდა სცოდნოდა თუ არა იმის შესახებ, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის გ. დ-ს საერთოდ გააჩნდა თუ არა უფლებამოსილება საზოგადოების სახელით გაეფორმებინა გარიგებები.

**საქმე № ას-514-898-06**

**5 აპრილი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა (სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით.

ამავე კოდექსის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

უფლებამოსილების გამცემ პირს ყოველთვის შეუძლია გააუქმოს უფლებამოსილება. გაუქმება ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც უნდა ეცნობოს ან უფლებამოსილ პირს, ანდა მესამე პირს, რომლის მიმართაც ჰქონდა ადგილი წარმომადგენლობას (სკ-ის 108-ე მუხლი). გაუქმების შესახებ ნების გამოვლენა ძალის მქონე იქნება, თუკი იგი მიუვა აღნიშნულ პირებს.

**საქმე № 3კ/484-01**

**18 ივლისი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: იურიდიული პირის თანხმობის გარეშე ფილიალის მიერ გარიგების დადება**

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სს „ს.-ის“ მიერ ხელშეკრულების დადასტურებაზე უარის თქმა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საწარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე ფილიალი არ არის იურიდიული პირი და ის არ წარმოადგენს დამოუკიდებლად მოქმედ ორგანიზაციას სხვა პირებთან ურთიერთობაში.

ფილიალი მოქმედებს წესდების ან სხვა კანონით დადგენილი წესით ბანკის მიერ დამტკიცებული უფლებამოსილების ფარგლებში. საქციო საზოგადოება „ს.-ის“ დიდუბის ფილიალის დებულების 2-3 მუხლიდან გამომდინარე ფილიალი თავდებობის, გარანტიებისა და სხვა ვალდებულებათა გაცემას მეორე პირზე ახდენს ბანკთან შეთანხმების საფუძველზე.

ფილიალი, როგორც საწარმოს წარმომადგენელი უფლებამოსილი იყო დაედო გარანტიების და ვალდებულებათა გაცემაზე გარიგება მხოლოდ ბანკთან შეთანხმების საფუძველზე.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე ბანკის ხელმძღვანელობის ნებაზე დამოკიდებული გარიგების დადასტურება ან უარყოფა. მის მიერ გარიგების დადასტურებაზე უარის თქმა მოხდა კანონმდებლობის ფარგლებში, რაც არ წარმოშობს მისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

**საქმე № ას-368-687-09**

**29 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე (სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

რ. ა-შილი მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. 2006 წლის 9 ოქტომბერს მხარეებს შორის განუსაზღვრელი ვადით დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, იგი დაინიშნა თეთრიწყაროს რაიონის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე;

2007 წლის 27 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პირველი მოადგილის '2108-კ ბრძანებით, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, რ. ა-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად პუნქტით საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს ეკისრება სსიპ-ის წარმომადგენლობა.

სადავო ბრძანების გამოცემის მომენტში მოქმედი რედაქციით საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის '835 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა სააგენტოს თავმჯდომარე, უზრუნველყოფდა მათთან შრომითი ხელშეკრულების დადებას და განსაზღვრავდა მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობას. აღნიშნული დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით, თავმჯდომარის პირველი მოადგილე მხოლოდ მაშინ იყო უფლებამოსილი განეხორციელებინა თავმჯდომარის უფლებამოსილება, თუ თავმჯდომარე ბრძანების გამოცემის მომენტში იყო შვებულებაში, მივლინებაში ან მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის გამო მისი არყოფნისას.

სსიპ-ის ხელმძღვანელის უფლებამოსილებები განსაზღვრულია კანონით, ხოლო მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-ის დებულებით მკაცრად გამიჯნულია თავმჯდომარისა და პირველი მოადგილის უფლებამოსილებები, კერძოდ, უშუალოდ თავმჯდომარე იყო უფლებამოსილი სააგენტოს სახელით დაენიშნა ან გაეთავისუფლებინა თანამშრომელი, მის პირველ მოადგილეს კი ასეთი უფლებამოსილება ენიჭებოდა მხოლოდ დებულებაში მითითებულ შემთხვევებში. სხვა შემთხვევაში პირველი მოადგილის მიერ თავმჯდომარის უფლებამოსილებების განხორციელება უნდა შეფასდეს მისთვის დებულებით მინიჭებული მკაცრად რეგლამენტირებული უფლებამოსილების გადამეტებად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა კანონის ანალოგიით სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლი.

სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის ანალოგიით აღნიშნული ნორმა გამოყენებულ უნდა იქნეს ცალმხრივი გარიგების დროს ნების გამოვლენის საკითხების რეგლამენტაციისას. საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება და თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლი სპეციალური ნორმაა და არეგულირებს მოწონების საკითხს ორმხრივი გარიგების — ხელშეკრულების დადებისას. საკასაციო პალატა თვლის, რომ შეუძლებელია ცალმხრივი გარიგებების, როგორცაა ანდერძის შედგენა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, ჯილდოს დაპირება და ა.შ., მიმართ მოწონების ინსტიტუტის გამოყენება. ასევე დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომ არ არსებობს მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები. როგორც ზემოთ აღინიშნა მოპასუხე საჯარო სამართლის იურიდიული პირია და შესაბამისი ნორმატიული აქტით სააგენტოს ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებანი მკაცრად რეგლამენტირებულია. ასევე საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, შრომის ხელშეკრულების მოშლის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ დამსაქმებელს.

## საქმე № ას-464-434-2010

## 4 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: არაუფლებამოსილი პირის მიერ უძრავი ნივთის გასხვისება

2004 წლის 18 თებერვალს ი. ბ-შვილმა ნ. გ-ძის სახელით დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ნ. გ-ძის კუთვნილი უძრავი ქონების — თბილისში, ... ქ. '145-ში მდებარე „ბ“ ბლოკის '4 ბინის ნაწილი, 68კვ.მ, საკუთრების უფლებით გადასცა მყიდველებს — ბ. მ-იანსა და კ. ბ-ძეს;

ხელშეკრულების გაფორმებისას მესაკუთრე ნ. გ-ძის წარმომადგენელი ი. ხ-შვილი მოქმედებდა 2003 წლის 30 მაისის სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე;

2008 წლის 30 მაისს, ერთი მხრივ, კ. ბ-ძესა და ბ. მ-იანს, როგორც გამყიდველებს და, მეორე მხრივ, ე. გ-ძეს, როგორც მყიდველს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის საგანს წარმომადგენდა თბილისში, ... ქ. 145-ის „ბ“ ბლოკში მდებარე 14 ბინის ნაწილი, პირველ სართულზე არსებული 115კვ.მ-დან 68კვ.მ. აღნიშნული უძრავი ქონება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღი-რიცხა ე. გ-ძის სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამარ-თლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 ოქტომბრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის განაჩენების საფუძველზე სწორად დაადგინა, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას მესაკუთრე ნ. გ-ძის წარმომადგენელი ი. ხ-შვილი მოქმედებდა 2003 წლის 30 მაისის გაყალბებული მინდობილობის საფუძველზე. ასევე სწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვ-ნა, რომ ნ. გ-ძეს 2004 წლის 18 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას სადავო უძრავი ნივთის გასხვისების ნება არ გამოუვლენია.

სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ ნივთის გამსხვისებელი წარმომადგენდეს მის მესაკუთრეს, ამდენად, ნივთის გასხვისე-ბის თაობაზე გარიგების დადებისას აუცილებელია გამოვლინდეს მესაკუთრის ნება, გარიგების ნამდვილო-ბა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია მესაკუთრის ნების ნამდვილობაზე. რამდენადაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეს — ნ. გ-ძეს ნამდვილი ნება უძრავი ნივთის გასხვისებაზე არ გამოუვლენია, 2004 წლის 18 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან მიმართებით შემძენების — კ. ბ-ძისა და ბ. მ-იანის კეთილსინდისიერებას მნიშვნელობა არ აქვს და ამის შემოწმების საკითხი მოცემულ შემთხვევაში არ დგება. ხელშეკრულება ბათილია სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 61-ე მუხლების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 185-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემძენის კეთილსინდისიერებას მნიშვნელობა ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ნივთის გასხვისების ნებას გამოხა-ტავდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრე ნ. გ-ძე.

## საქმე № ას-325-619-04

16 ივლისი, 2004 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საკუთარ თავთან გარიგების დადება (სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი)

თბილისში, ... მდებარე 175 ბინა პირადი საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მოსარჩელე მ. ჯ.-ის სა-ხელზე.

აღნიშნული ბინა 2001წ. 27 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღირიცხა მოპასუხე ტ. კ.-ის სახელზე. ზემოაღნიშნული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა მ. ჯ.-ის უფლებამოსილი პირის — გ. კ.-სა და მოპასუხე ტ. კ.-ს შორის, რომელიც მოქმედებდა მოსარჩელე მ. ჯ.-ის მიერ გაცემული 2001წ. 2 აგვისტოს მინდობილობით. მ. ჯ.-მა და მისმა მეუღლემ ე. მ.-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს სასამართლოს, მოპასუხეების — გ. კ.-ისა და ტ. კ.-ის, მესამე პირების — ახალციხის ნოტარიუსის — ც. ნ.-ის და თბილისის ნოტარიუსის — ნ. მ.-ის მიმართ, მინდობილობისა და ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სკ-ის 114-ე მუხლი. ამ მუხლში მითითებულია, რომ, თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს არ შეუძლია, წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით ან, როგორც მესამე პი-რის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.

მართალია, გ. კ.-ი და ტ. კ.-ი ერთი და იგივე პირები არ არიან, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის სამართლებრივი შედეგები, რასაც იწვევს გ. კ.-ისა და ტ. კ.-ის ქორწინება. სკ-ის 1158-ე

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღნიშნული ნორმის მიხედვით გ. კ.-მ, როგორც წარმომადგენელმა, სადავო ბინა მიყიდა რა თავის მეუღლეს, თვითონაც ამ ბინის თანამესაკუთრე გახდა, ე.ი. ამ გარიგების დადებით მას წარმოეშვა წარმოდგენილი პირის ქონებაზე თანასაკუთრების უფლება, ამიტომ ამ შემთხვევაში წარმომადგენლის მიერ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება მის მეუღლესთან გაიგივებული უნდა იქნეს საკუთარ თავთან საკუთარი სახელით დადებულ გარიგებასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება რა სკ-ის 114-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან იგი არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს.

## 1.5. უფლების განხორციელება

**საქმე № ას-572-955-06**

**1 მარტი 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უფლების ბოროტად გამოყენება (სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“ აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე უფლების ბოროტად გამოყენების ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ სამოქალაქო სამართლის ერთი სუბიექტის მიერ უფლების განხორციელებამ არ უნდა ხელყოს მეორე სუბიექტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. სამოქალაქო უფლებათა გამოყენება უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევს უფლების გამოყენებას იმ მიზნით, რომ უფლების გამოყენებით სხვას მიადგეს ზიანი. ამ შემთხვევაში გამოკვეთილი უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის კანონიერი ინტერესი და უფლების გამოყენება მიზნად არ უნდა ისახავდეს სხვისთვის მხოლოდ ზიანის მიყენებას.

**საქმე № ას-1018-1293-05**

**27 აპრილი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უფლების მართლზომიერად გამოყენება (სამოქალაქო კოდექსის 115-ე და 116-ე მუხლები)**

სკ-ის 160-ე მუხლის თანახმად, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი მფლობელობის მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით. ამდენად, აღნიშნული ნორმა იცავს რა მფლობელს მფლობელობის ძალადობის გზით ჩამოერთმევისაგან, მფლობელობის უფლება ნივთზე შესაძლოა ნებისმიერ დროს შეწყდეს, მაგრამ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, ხოლო ამავე კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად, ძალადობის გზით საკუთარი უფლების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში. დასახელებულ ნორმათა დანაწესები უნდა გავრცელდეს მესაკუთრისა და მფლობელის ურთიერთობებზე და პირს, რომელიც თუნდაც დავის წარმოშობის დროს წარმოადგენს არაუფლებამოსილ მფლობელს, არ შეიძლება მფლობელობა ჩამოერთვას თვითნებურად ძალადობის გამოყენებით.

## განმარტების საგანი: თვითდახმარება (სამოქალაქო კოდექსის 118-ე მუხლი)

არასწორია საოლქო სასამართლოს მოსაზრება სს „ს. ს. ბ.“ მიერ განხორციელებული ღონისძიების (ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა) თვითდახმარებად მიჩნევის შესახებ.

სკ-ს 118-ე მუხლის თანახმად, თუკი კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულებულია, მაშინ მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება იმ პირის მოქმედება, რომელიც თვითდახმარების მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს, ან ამავე მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიძღლოს, ანდა აღკვეთავს ვალდებულ პირს წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა.

სს „ს. ს. ბ.“ მოქმედება შპს „ჯ.“ ანგარიშიდან მისი თანხმობის გარეშე თანხის ჩამოჭრის შესახებ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს თვითდახმარებად, ვინაიდან თავდებობის ხელშეკრულების შესაბამისად, კრედიტორს სათანადო ვადაში ყოველთვის შეეძლო მიემართა კომპეტენტური ორგანოსათვის, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოსთვის — სათანადო სარჩელით. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არ არსებობდა არავითარი საფრთხე იმის შესახებ, რომ სს „ს. ს. ბ.“ უფლება თანხის ამოღების შესახებ ვერ განხორციელდებოდა ანგარიშიდან თანხების ჩამოჭრის გარეშე, ვინაიდან შპს „ჯ.“ სოლიდური ორგანიზაციაა, აქვს სათანადო ქონება, თანხა და აქვს შესაძლებლობა დაფაროს კანონის შესაბამისად, გადასახდელად დაკისრებული თანხა. უფრო მეტიც სკ-ს 115-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სკ-ს 118-ე მუხლში მითითებული თვითდახმარება უფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა. სკ-ს 115-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე თვითდახმარება უნდა ხორციელდებოდეს მართლზომიერების ფარგლებში.

ამავე კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

მოცემულ შემთხვევაში სს „ს. ს. ბ.“ მოქმედება, შპს „ჯ.“ საბანკო ანგარიშიდან ანგარიშის მფლობელის დავალების გარეშე თანხის ჩამოჭრის შესახებ, აშკარად სცილდება იმ ფარგლებს, რომელიც აუცილებელია დავალიანების დაუფარავობის საფრთხის ასაცილებლად.

სს „ს. ს. ბ.“ უფლება არ ჰქონდა თვითდახმარების საბაბით, დავალების გარეშე ჩამოეჭრა თანხები შპს „ჯ.“ ანგარიშიდან შემდეგ გარემოებათა გამო:

სკ-ს 861-ე მუხლის თანახმად, საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა აწარმოოს მისი მფლობელის ნებართვის ან მითითების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია მიყენებული ზიანი და არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში.

ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილი არ იყო შპს „ჯ.“ ანგარიშიდან ჩამოეჭრა 612 242 ლარი.

სს „ს. ს. ბ.“ შპს „ჯ.“ ანგარიშიდან ზემოთ მითითებული თანხების ჩამოჭრის უფლება არ გააჩნდა არც საქმეში არსებული 1996წ. 19 ნოემბრის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ვინაიდან, ჯერ ერთი, ამ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 1997წ. 1 იანვარს და ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამ ხელშეკრულების 5.2 მუხლის შესაბამისად გაგრძელებულად ჩაითვალა მომდევნო წელს ანუ 1998წ. 1 იანვრამდე, მეორეც ხელშეკრულების 2.1.3 პუნქტი ითვალისწინებს დავალების გარეშე ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის შესაძლებლობას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ასეთი რამ გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის არ არსებობს ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ შპს „ჯ.“ ანგარიშიდან თანხა დავალების გარეშე ჩამოიწეროს. არც რაიმე კანონი არსებობს იმის შესახებ, რომ თავდების ანგარიშიდან უნაღდო ანგარიშსწორების წესით ჩამოიჭრას თანხა ანგარიშის მფლობელის თანხმობის ან დავალების გარეშე. საქართველოს ეროვნული

ბანკის პრეზიდენტის 1999წ. 2 სექტემბრის 1220-ე ბრძანების უნაღდო ანგარიშსწორების წესების შესახებ მე-7 მუხლის შესაბამისად, საბანკო ანგარიშიდან მისი მფლობელის გარეშე უდავო წესით თანხების ჩამოწერა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს ან სხვა ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში თანხების ჩამოჭრის შესახებ არც სასამართლოს და არც რომელიმე სხვა საამისოდ კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება არ არსებობდა, სს „ს. ს. ბ.“ უფლებამოსილი არ იყო თვითნებურად განხორციელებინა თანხების ჩამოჭრა.

## 1.6. ხანდაზმულობა

**საქმე № ას-1267-1398-04**

**4 მარტი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხანდაზმულობა (სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლი)**

„ხანდაზმულობა“ სამოქალაქო სამართალში ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას მოხდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებითი განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ეფარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება წარმოიშვა იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, თუ პირმა, თავისი დაუდევრობის (გულგრილობის) გამო, ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი უშუალოდ კანონითაა განსაზღვრული ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისათვის ცნობილია მოთხოვნის უფლების წარმოშობის დრო და ამ დროიდან დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა.

**საქმე № ას-988-1021-2011**

**15 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასარჩელო ხანდაზმულობა**

სამოქალაქო კანონმდებლობა სხვადასხვა ტიპის ვადებს იცნობს. მათ შორისაა, სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები, რომელიც სხვა ვადებთან ერთად გულისხმობს უფლების დაცვის — ხანდაზმულობის ვადებს. სასარჩელო ხანდაზმულობა ეს არის კანონით დადგენილი დრო, რომლის განმავლობაშიც პირს რომლის უფლებაც შელახულია, შეუძლია მოითხოვოს იძულებითი აღსრულება ან უფლების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. თუკი დარღვეული უფლების იძულებით დაცვის შესაძლებლობა კანონით განსაზღვრული ვადით არ იქნებოდა შეზღუდული, ეს გამოიწვევდა სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის გაძნელებას, ვინაიდან დიდია ალბათობა საქმესთან დაკავშირებული უტყუარი მტკიცებულებების დაკარგვისა, საქმეში მონაწილე პირების მიერ საქმის გარემოებების არაადეკვატურად აღქმისა და სხვა. ამრიგად, სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს რა სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილიზაციას, ამავდროულად ემსახურება სახელშეკრულებო დისციპლინის სიმყარეს და ეხმარება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების აქტიურად და დროულად განხორციელებაში.

საქმე № ას-1275-1407-04

6 აპრილი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სამკვიდროდან სხვისი ნივთის გამოთხოვის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

სააპელაციო (ასევე რაიონული) სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ელ. მ-ე 1988-96 წლებში იმყოფებოდა სასწავლებლად ქ. მოსკოვში, შესაბამისად, 1994 წელს, სადავო ბინის პრივატიზაციაში იგი მონაწილეობას იღებდა, რადგან ფართზე უფლება დაკარგული არ ჰქონდა.

პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს 1994წ. 12 იანვრიდან უნდა აეთვალი. პალატა თვლის, რომ მოთხოვნა ხანდაზმული არ არის, რადგან საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992წ. 1 თებერვლის '107-ე დადგენილებით დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები სადავო ბინის მესაკუთრეები გახდნენ 1999წ. 12 იანვრიდან. მართალია, საჯარო რეესტრში (ტექლარიცხვის ბიუროში) ერთ-ერთი თანამესაკუთრის სახელზე აღირიცხა უძრავი ქონება, მაგრამ დანარჩენ თანამესაკუთრეებს დარჩათ უფლება, სათანადო ცვლილება შეეტანათ რეესტრის ჩანაწერებში. აღნიშნული უფლების განხორციელება მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს, რადგან კანონი მათ არ ავალდებულებს (და) ამ უფლების რეალიზებას. ამდენად, სანამ არ ხდება რაიმე უფლების ხელყოფა (მაგალითად, კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაციის უფლება), მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა.

უდავოა, რომ 2001წ. 26 ნოემბერს გარდაიცვალა ბინის ერთ-ერთი თანამესაკუთრე, რომლის სახელზეც იყო ბინა საჯარო რეესტრში აღრიცხული. პალატა მიუთითებს, რომ სკ-ის 1328-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა. ამავე კოდექსის 1335-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ გარდაცვლილის ქონებაში ფარულად არის სხვა პირის (პირების) ქონება, აუცილებელია ამ ნაწილის გამოვლენა და გადაცემა სათანადო პირისათვის. პალატა ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ არც ერთ მემკვიდრეზე საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული დავის საგანი, ანუ არავის არა აქვს საბოლოოდ შეძენილი სამკვიდროდან წილი უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესებით სკ-ის 183-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში არა აქვს ადგილი შეძენის ინტერესების არსებობას, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სკ-ის 185-ე მუხლის თანახმად. სამკვიდროს საბოლოო შეძენამდე, მემკვიდრეებს შორის სადავოდ გამხდარი ურთიერთობების სამართლიანობის დადგენა წარმოადგენს სამკვიდროს სამართლიანი განაწილებისა და შეძენის წინაპირობას.

პალატა თვლის, რომ დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები ცნობილი უნდა იქნან სადავო სახლმფლობელობის თანამესაკუთრეებად და ამდენად, სამკვიდრო მასაში თანასაკუთრებიდან უნდა შევიდეს მხოლოდ გარდაცვლილის საკუთრებაში არსებული წილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩევეების საჯარო რეესტრის უზუსტობის გასწორებისა და ქონების გამოთხოვის მოთხოვნა, სკ-ის 130-ე მუხლიდან გამომდინარე, წარმოემართა 2001წ. 26 ნოემბრიდან, მაშინ, როცა მათთვის ცნობილი გახდა, რომ მათი ქონება (საერთო) სამკვიდრო ქონებაში შევიდა უსაფუძვლოდ. სარჩელი კი ე. და ი. მ-ეებმა აღძრეს 2002წ. 2 თებერვალს, ე.ი. ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, რადგან სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს საერთო ხანდაზმულობის ათწლიან ვადას. ამდენად, მოთხოვნა ხანდაზმული არ არის.

საქმე № ას-649-610-2011

4 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: კურორტ ბახმაროში, ...ის ქუჩა '41-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეები არიან ა. ჯ-ი, ნ. ბ-ი, ა.ჯ-ე, ნ. გ-ე და

ბ. გ-ე. რადგან შენობა სიძველისა და დიდთოვლობის გამო ინგრეოდა, ა. ჯ-მა 1999 წელს შესთავაზა თანამესაკუთრეებს, ერთად დაეწყით სახლის აღდგენითი სამუშაოები, რაზედაც უარი მიიღო. ამის შემდეგ მან შესთავაზა ნ. ჯ-ეს, ნ. ბ-ს და მის მეუღლეს მ. ბ-ს კუთვნილი საზიარო სახლის ოთახების შესყიდვა, რაზედაც ნ. ჯ-ისა და მ. ბ-ისაგან მიიღო ხელწერილები წილზე უარის თქმის თაობაზე. ა. ჯ-ის საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეებს ა. ჯ-ისა და ნ. გ-ეს თავიანთი უფლება საზიარო საცხოვრებელ სახლზე არ დაუთმიათ კანონით გათვალისწინებული წესით, ანუ ქონება არ გადაუფორმებიათ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, ე.ი. საზიარო უფლება არ გაუქმებულა. ა. ჯ-მა საზიარო სახლის აღდგენა საკუთარი ხარჯებით დაიწყო 1999 წლის აგვისტოში და დაასრულა 2000 წელს. საზიარო საგნის მოვლა-პატრონობა და შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები მან განახორციელა დამოუკიდებლად.

სააპელაციო პალატამ ა. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმულად სამოქალაქო კოდექსის 129-130-ე მუხლების საფუძველზე და მიუთითა, რომ ა. ჯ-მა უდავოდ გაუშვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებულ მსჯელობას, ვინაიდან, მოდავე მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ წარმოშობილა და არ დგინდება მათი უფლება-მოვალეობანი ერთმანეთის მიმართ გამომდინარეობდა მხოლოდ კანონისმიერი საფუძვლებიდან, რაც სრულებით გამორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის გამოყენებას.

პალატამ დადგინდა გარემოებად მიიჩნია, რომ სადავო სახლი საზიარო იყო და ა. ჯ-მა 2000 წელსვე იცოდა, რომ მოპასუხეებისაგან ვერ მიიღებდა მის მიერ სახლის აღდგენაზე გაწეული მთლიანი ხარჯებიდან შესაბამის წილს. ვინაიდან ა. ჯ-მა სასამართლოს სარჩელით მიმართა 2010 წლის 2 სექტემბერს, სახლის აღდგენიდან სარჩელის სასამართლოში შეტანამდე გასულია 10 წელზე მეტი, ანუ მოცემულ საქმეზე გასულია საერთო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარო და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამავე კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს უფლება აქვს, საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე. ამდენად, ა. ჯ-ი, როგორც ნივთის თანამესაკუთრე, უფლებამოსილი იყო, საზიარო საგნის მოვლა-პატრონობა და შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები სხვა თანამესაკუთრეთა თანხმობის გარეშე, დამოუკიდებლად განეხორციელებინა.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, ანუ ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, აქვს შესაძლებლობა, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. იმისათვის, რომ დავადგინოთ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია თუ არა, პირველ რიგში საჭიროა, განისაზღვროს არსებული ვადის დენის დასაწყისი. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ასეთად მოთხოვნის წარმოშობის მომენტს ასახელებს, ანუ იმ მომენტს, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებადაა მიჩნეული, რომ კასატორმა სახლის აღდგენა დაიწყო 1999 წელს, ხოლო დაასრულა 2000 წელს. ამდენად, ჩნდება კითხვა, როდის წარმოეშვა ა. ჯ-ს მოთხოვნა, სახლის აღდგენითი სამუშაოების დაწყებისას თუ დასრულებისას. ხანდაზმულობის დენის დაწყების, მოთხოვნის წარმოშობის, მომენტად სახლის აღდგენითი სამუშაოების დასრულების დრო — 2000 წელი უნდა მივიჩნიოთ, რადგან კასატორი, რომელსაც სრული ინფორმაცია სახლის აღდგენაზე გაწეული ხარჯების შესახებ არ ჰქონდა, მოპასუხეებს სახლის მშენებლობის დასრულებამდე დაზუსტებულ მოთხოვნას ვერ წარუდგენდა.



საქმე № ას-245-580-05

23 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი)**

სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს ბათილი გარიგების სხვადასხვა სახეებს. ისეთი გარიგებები, რომლებიც დადებისთანავე ბათილია და მონაწილეთა მიერ დასახულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგებებია. ბათილი გარიგებების მეორე ჯგუფს განეკუთვნება გარიგებები, რომელთა ბათილობა დამოკიდებულია იმაზე, შეცილებული (გასაჩივრებული) იქნება თუ არა ეს გარიგება, ასეთ გარიგებებს საცილო გარიგება ჰქვია. შეცილება იწვევს გარიგების გაბათილებას, მაგრამ დაინტერესებულ პირს შეუძლია, არ გამოიყენოს შეცილების უფლება და ამით გარიგება ძალაში დატოვოს. ამდენად, შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. შეცილების უფლება სამართლებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა, რის გამოც იგი არ არის შეუზღუდავი. კანონი შეცილების უფლებას განსაზღვრულ დროის ჩარჩოებში აქცევს. ამ ჩარჩოების სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხასიათის ქმედება უდევს საფუძვლად საცილო გარიგების დადებას. შეცდომით დადებული გარიგების შეცილების უფლება პირს აქვს ერთი თვის განმავლობაში შეცილების შეტყობის მომენტიდან (სკ-ის 79-ე მუხლის I ნაწ.). მოტყუებითა და იძულებით დადებული გარიგებების დადების საფუძველი უფრო სერიოზული და საფრთხის შემცველია, ამიტომ კანონი შეცილების უფლების განხორციელებისთვის ითვალისწინებს ერთ წელს (84-ე და 89-ე მუხლები). თვალთმაქცური გარიგების, ბათილად ცნობის მოთხოვნის მიმართ კი გამოიყენება სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს.

განსახილველ საქმეზე მოსარჩელე 1997წ. 29 იანვრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძვლად მიუთითებდა მის მოტყუებას მოპასუხის მიერ, კერძოდ, მოპასუხემ მოატყუა და ანდერძის ნაცვლად ხელი მოაწერინა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. ამ მიმართებით სააპელაციო სასამართლოს საქმის გარემოებები არ გამოუკვლევიან, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, არ არის აღნიშნული მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლომ უარყო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებმა ნასყიდობის ხელშეკრულებით დაფარეს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება (თვალთმაქცური გარიგება). თვალთმაქცური გარიგების დადება შესაძლებელია მხოლოდ გარიგების მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებით და, აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს შეცილების უფლება წარმოეშვა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან — 1997წ. 29 იანვრიდან.

საქმე № ას-265-594-05

14 ივნისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: უძრავ ნივთზე დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

ბ. ე-ემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხის — ს. ე-ს მიმართ და მოითხოვა თბილისში, ..... შესახვევის 'ნ'-ში მდებარე '1 ბინის 1/2-ის მესაკუთრედ ცნობა და ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება ბინის 1/2 წილზე და შესაბამისზე ცვლილებების შეტანა საჯარო რეესტრში;

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: გ. ე-ემ, როგორც თბილისში, ..... შესახვევის 'ნ/1-ში მცხოვრებმა, ერთადერთმა დამკერავებელმა 1992წ. 120 ოქტომბერს მოახდინა მითითებული ბინის პრივატიზაცია, ხოლო 1994წ. 27 დეკემბერს აჩუქა იგი შვილს — ს. ე-ეს. ამ უკანასკნელის ძმა — ნ. ე-ე 1970 წლიდან ჩაწერილი იყო სადავო ბინაში. ამოეწერა ბინიდან პატიმრობის ფაქტთან დაკავშირებით. 1991წ. 18 მაისს მოხდა მისი ხელახალი ჩაწერა, 2002წ. 18 თებერვალს კი თბილისის ისანი-სამგორის შსს სამმართველოს მე-5 განყოფილებაში მიიღო პი-

რადობის მოწმობა მითითებული საცხოვრებელი ბინის მისამართზე. იგი ამ მისამართზე რეგისტრაციიდან მოხსნეს 2002წ. 24 დეკემბერს.

სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ იქნება დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორს ასეთ პრეტენზიაზე არ მიუთითებია.

ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პრეტენზია, რომ მოსარჩელეს სადავო ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმება არ მოუთხოვია, ხოლო სასამართლომ ცნო იგი იურიდიული ძალის არმქონედ, რითაც მიაკუთვნა მხარეს იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა.

მართალია, მოსარჩელეს ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმება არ მოუთხოვია, მაგრამ არც სასამართლოს დაუდგენია რაიმე სამართლებრივი შედეგი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების მიმართ. დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელე ითხოვდა სადავო ბინის 1/2-ის მესაკუთრედ ცნობას, რისი უფლებაც მას მინისტრთა კაბინეტის 1992წ. 1 თებერვლის '107 დადგენილებით ჰქონდა; ამ დადგენილების მე-2 პუნქტის მიხედვით, მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით, ამავე დადგენილების მე-5 პუნქტით კი დადგინდა, რომ საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან; აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე პრივატიზებულ ბინებზე საკუთრების უფლება მიეცა ყველა იმ პირს, რომელსაც ბინის პრივატიზაციის დროისათვის საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული ჰქონდა; ამასთან, დადგენილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა გამოხატავს მხოლოდ ბინის ერთ-ერთი დამქირავებლის მესაკუთრედ აღრიცხვაზე თანხმობას და არა საკუთრების უფლებაზე უარის თქმას. აღნიშნული დადგენილებით სახელმწიფომ საკუთრების უფლება მიანიჭა ბინის ყველა დამქირავებელს და თუ ამ უკანასკნელს დადგენილი წესით უარი არ განუცხადებიათ საკუთრებაზე, ისინი ბინის მესაკუთრეებს წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ თუ არა პრივატიზაციის ხელშეკრულების მხარეს. ნ. ე-ე სადავო პერიოდში ამოწერილი არ ყოფილა სადავო ფართიდან, ასევე, არ ყოფილა ცნობილი ფართზე უფლებადაკარგულ პირად, შესაბამისად, მისი მოთხოვნა ცნობილ იქნეს სადავო ბინის 1/2-ის მესაკუთრედ სამართლებრივად გამართლებულია.

პალატა მართებულად მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას, რომ მოთხოვნა თანასაკუთრებიდან წილის მიკუთვნებაზე არ არის აღიარებითი სარჩელის საგანი და სარჩელი მიკუთვნებითია. ამასთან მიანია, რომ სარჩელი არ არის ხანდაზმული სკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩათვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. საკასაციო პალატას მიანია, რომ, ვინაიდან მოსარჩელე იმყოფებოდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში 2001 წლამდე, ხოლო როგორც პრივატიზაცია, ასევე, სადავო ბინაზე ჩუქების ხელშეკრულება, სწორედ აღნიშნულ პერიოდში გაფორმდა, იგი მოკლებული იყო საშუალებას შეეტყო სადავო ბინასთან დაკავშირებული გარიგებების შესახებ. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ 2001 წლიდან სარჩელის წარდგენამდე, 2004წ. ივლისამდე, სამოქალაქო კოდექსით უძრავ ნივთებთან დაკავშირებული მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები არ არის გასული.

#### **საქმე № ას-478-757-04**

#### **11 ნოემბერი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ჟ. ი.-ე და ღ. კ.-ი ცხოვრობენ ქუთაისში, ... შესაბამისად '16 და '14 საცხოვრებელ სახლებში, ღ. კ.-ის საცხოვრებელი სახლი ყრუ კედლით ესაზღვრება ჟ. ი.-ის საცხოვრებელ სახლს. სახლებს შორის მანძილი დაახლოებით 0,5 მ-ია, ღ.

კ.-ის მიერ კედლის სიმაღლე გაზრდილია დაახლოებით 35 წლის წინ. საწვეთელი კედლიდან სავარაუდოდ 30-40 სმ-ითაა გადაწეული, მის გასწვრივ გაკეთებულია მილი, რომლითაც სახურავიდან ნაჟური წყალი ისევ ლ. კ.-ის ეზოში ჩადის.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში საკასაციო პალატას სწორად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ჟ. ი.-ეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც მისი კუთვნილი ნივთის თუ უძრავი ქონების სხვის მფლობელობაში ყოფნას ადასტურებს. ასეთი დადასტურების შემთხვევაშიც კი მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რასაც მოსარჩელე სადავოდ ხდის, ნაწარმოებია 35 წლის წინ.

ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მოტივაცია, რომ მისი უფლების დარღვევა გამოძლავნდა 2001-2002 წლებში, რასაც სარჩელშიც მიუთითებდა კასატორის მიერ მისი პოზიციის სამართლებრივ საფუძვლად მითითებული სკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლებების დარღვევის შესახებ. მოსარჩელის მოსაზრებით მან რ. კ.-თან წარმოებული სამეზობლო დავის დროს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით, შეიტყო რომ მოპასუხე ლ. კ.-იც ხელყოფს მის კანონიერ უფლებებს სახლის და მიწის ნაკვეთის სარგებლობის თვალსაზრისით. საკასაციო პალატა თვლის, რომ თუ ლ. კ.-ის მიერ მოსარჩელის უფლებების (სახლისა და ეზოს სარგებლობის) ხელყოფას ჰქონდა ადგილი, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება, მას ამის თაობაზე გაცილებით ადრე უნდა შეეტყო, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა, ლ. კ.-ის სახლი კედელი დღევანდელი სახით დაახლოებით 35 წელია არსებობს.

**საქმე № ას-838-1091-04**

**30 ნოემბერი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხანდაზმულობის ვადის დაწყება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას (სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი)**

საქმეში არსებული ხელშეკრულების ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეთა შორის დადებულია სესხის ხელშეკრულება, რომლის შესრულების კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ არის. გარიგების ტექსტში მითითებულია დათქმა, რომ „პალიტრა“ პირველი შესაძლებლობისთანავე გადაიხდის 15000 აშშ დოლარს. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ მოვალის მოქმედების შესრულების ზუსტი თარიღი განსაზღვრული არ არის. სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ის გარემოება, რომ პირველ დეკადაში არ მოხდა გ. ჯვებენავასათვის დათქმული პროცენტის გადახდა, არ ნიშნავს იმას, რომ ფირმა „პალიტრას“ გაუქარწყლდა გ. ჯვებენავასათვის ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არსებობდა რაიმე კონკრეტული შეთანხმება გადახდის პირობასთან დაკავშირებით, მაშინ მხარეთა შორის არსებული გარიგება განხილულ უნდა იქნეს როგორც პირობითი გარიგება სკ-ის 90-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო თუ ასეთი პირობა არ გამოიკვეთება სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებით შეფასების შედეგად, მაშინ, მხარეთა შორის არსებული გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს 365-ე მუხლის მოთხოვნა. მხოლოდ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი მხარეთა შორის არსებული ურთიერთობებისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა, მათ შორის, ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხის გადაწყვეტა.

**საქმე № ას-438-726-05**

**7 ოქტომბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხანდაზმულობის ვადის დაწყება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას (სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ გაყიდული ნითვის ფასის გამყიდველის მიერ მოთხოვნის წარმოშობის დროდ და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად მიიჩნია ხელშეკრულების დადების

მომენტი, ისე, რომ არ გამოურკვევია, ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრეს თუ არა მხარეებმა დრო, როდესაც მყიდველს უნდა გადაეხადა შეთანხმებული ფასი. სკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ მათი შინაარსი. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებიდან გამომდინარე, ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების დადებისას არც დათქვან ზუსტი დრო, როდესაც მყიდველმა გამყიდველს უნდა გადაუხადოს შეთანხმებული ფასი. ამავე კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.

ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება გამყიდველს წარმოეშობა ხელშეკრულების დადების მომენტიდან. ხოლო ვიდრე მოთხოვნის უფლების მქონე პირი ვალდებული პირის წინაშე არ განაცხადებს მოთხოვნის თაობაზე, არ შეიძლება საუბარი ვალდებულების დარღვევაზე მოვალის, მოცემულ შემთხვევაში, მყიდველის მიერ, ამიტომ გასარკვევია, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ხელშეკრულების დადებისას ნივთის ფასის გადახდის დროზე არ შეთანხმებულან, როდის უნდა დაიწყოს მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა: ხელშეკრულების დადების მომენტიდან თუ კრედიტორის (გამყიდველის) მიერ მოვალისათვის (მყიდველისათვის) შესრულების მოთხოვნის განცხადების მომენტიდან? თუ ხელშეკრულების დადებისას მხარეები ფასის გადახდის დროზე არ შეთანხმებულან, ხელშეკრულების დადების ანუ ნივთის გადაცემის მომენტიდან არ არეობს კრედიტორის მოთხოვნა, არც კრედიტორის უფლებების დარღვევაზე შეიძლება საუბარი, რის გამოც ამ მომენტიდან ხანდაზმულობის ვადის ათვლა არ გამომდინარეობს სკ-ის 129-ე, 130-ე 365-ე მუხლების მოთხოვნებთან. მოთხოვნის წარმოშობა ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულია კრედიტორის ნებაზე — მოსთხოვოს მოვალეს ფასის გადახდა. როგორც კი ეს ნება იქნება გაცხადებული და შეიტყობს მოვალე, ხოლო იგი დაუყოვნებლივ არ შეასრულებს ვალდებულებას, ეს უკვე იქნება კრედიტორის უფლების დარღვევა და, შესაბამისად, დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულების დრო არ არის განსაზღვრული, ვალდებულების დარღვევასა და მოთხოვნის წარმოშობის დროზე მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც კრედიტორი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას და კრედიტორის ნებას შეიტყობს მოვალე. დრო, როდესაც კრედიტორის მოვალე, უნდა ჩაითვალოს მოთხოვნის წარმოშობის დროდ.

## **საქმე № ას-330-733-06**

**19 დეკემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: მოთხოვნის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად ცნო და მხარეს საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, რომ სს „თ-მა“ ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურის მიზნით ფინანსთა სამინისტროში წარდგენილ დოკუმენტებთან ერთად წარადგინა შპს „ი-ის“ თანხმობა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, 2000 წელს სს „თ-ს“, როგორც მოვალეს, დასჭირდა შპს „ი-ისაგან“, რომელსაც თავის კრედიტორად თვლიდა, თანხმობა ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურისათვის.

სკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს: მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად ჩათვალა, რომ საქმე გვაქვს ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობის სხვაგვარად აღიარებასთან. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ფინანსთა სამინისტროში კასატორის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში მოწინააღმდეგე მხარისაგან, როგორც კრედიტორისაგან, თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ადასტურებს იმ

ფაქტს, რომ დოკუმენტის წარდგენის მომენტისათვის — 2000წ. 8 მარტისათვის სს „ე-“ კრედიტორად აღიარებდა შპს „ი-სს“ და, შესაბამისად, აღიარებდა ამ უკანასკნელის მიმართ ვალდებულების არსებობის ფაქტსაც.

აღნიშნულთან დაკავშირებით დასაბუთებულია კასატორის არგუმენტი, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველად სააპელაციო სასამართლომ არაკანონიერად მიიჩნია კრედიტორის აღიარება მაშინ, როდესაც კანონი ამგვარ საფუძველად მხოლოდ მოვალის მიერ უფლებამოსილი პირის მიმართ აღიარებას მიიჩნევს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სკ-ის 137-ე მუხლით დადგენილი ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობის სხვაგვარად აღიარება შეფასებითი კატეგორიაა და კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა სრული ანალიზით უნდა შეფასდეს. მოვალის ასეთ ქმედებად — სხვაგვარად აღიარებად უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც აშკარად გამოკვეთილია პირის ნება ვალდებულებების არსებობასთან მიმართებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემულ დავაში მოვალემ მესამე პირთან თავისი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად საჭიროდ ჩათვალა რა, მესამე პირისათვის ეცნობებინა სადავო ურთიერთობის არსებობის შესახებ, ამ მოქმედებით აღიარა ვალდებულების არსებობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში აღიარების დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს არა მოვალის მიერ წარდგენილი დოკუმენტი (შპს „ი-ის“ თანხმობა), არამედ — მოვალის მიერ ამ მოქმედების (დოკუმენტის წარდგენა) განხორციელება.

### **საქმე № ას-599-562-2010**

**1 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: მოთხოვნის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნის „სხვაგვარ აღიარებად“ მხოლოდ მოვალის ერთმნიშვნელოვანი და ნათლად გამოვლენილი ნება ჩაითვლება, რომლის საფუძველზეც იგი პირდაპირ აღიარებს დავალიანების არსებობას. ნებმიხსერი ეჭვი ან უზუსტობა მოვალის სასარგებლოდ უნდა იქნეს განმარტებული.

### **საქმე № ას-374-347-2010**

**9 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: მოთხოვნის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი და 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა, ქუთაისის მერიის 2009 წლის 29 ოქტომბრის №282 წერილი, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, წარმოადგენს თუ არა ვალდებული პირის აღიარებას და ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით ვალდებული პირის აღიარება უნდა განხორციელდეს უშუალოდ უფლებამოსილი პირის და არა სხვა სუბიექტის წინაშე. მოცემულ შემთხვევაში წერილის ადრესატს არ წარმოადგენს შპს „ა. ქ.-“. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ იმსჯელა, აღნიშნული დოკუმენტი გამოხატავს მხოლოდ ფაქტის აღიარებას თუ ვალდებულების აღიარებას. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის როგორც 137-ე, ისე 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებას, სადაც მოვალე გამოხატავს ნებას, იძლევა დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე და არა ფაქტის აღიარებას, სადაც მოვალე ახდენს მარტოოდენ ვალდებულების ფაქტის კონსტატაციას.

საქმე № 3კ/1186-01

15 მარტი, 2002 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობა (სამოქალაქო კოდექსის 139-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში, იძულების დამთავრების მომენტიდან. ამავე კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება, შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები. სამოქალაქო კოდექსის 139-ე მუხლი ადგენს დროს, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილია. ეს არის დრო სარჩელის შეტანიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ან პროცესის სხვაგვარად დასრულებამდე. შესაბამისად სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადებით მიმართვიდან ამ ორგანოს მიერ განცხადების განხილვის დასრულებამდე.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ რ. ყ-შვილმა თბილისის რეგიონალურ პროკურატურას მიმართა განცხადებით 1999 წლის 18 აგვისტოს. პალატას მიაჩნია, რომ ამ დროიდან შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა. მხარემ სარჩელი სასამართლოში შეიტანა 2000 წლის 16 ოქტომბერს. სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა გამოითვალა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვის დღიდან (1999 წ. 18 აგვისტო), არ გამოიკვლია დრო, რომლის განმავლობაშიც შეწყვეტილი იყო ვადის დენა, ანუ არ დაადგინა დრო, რომლის შემდეგაც შეეძლო რ. ყ-შვილს სარჩელით მიმართა სასამართლოსათვის (თუ როდის მიიღო პროკურატურიდან პასუხი მის განცხადებაზე) და ამის დადგენის გარეშე მიიჩნია, რომ სარჩელის შეტანის დროისათვის ე.ი. 2000 წლის 16 ოქტომბრისათვის გასული იყო ხანდაზმულობის ვადა.

საქმე № ას-457-791-05

5 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი\*

**განმარტების საგანი: სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ახალი სარჩელის შეტანის ვადის დაწყების მომენტი (სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლი)**

საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ 1998წ. 31 მაისს სს კბ „თ-ისა“ და გ. ს-ეს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება 154000 აშშ დოლარზე ერთი წლით. ხელშეკრულების მხარეები არიან გამსესხებელი (კრედიტორი — სს კბ „თ-ი“) და მსესხებელი (მოვალე — ფიზიკური პირი გ. ს-ე).

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1999წ. 31 მაისს და, სკ-ის 129-ე მუხლის ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნის უფლება ჰქონდა 3 წლის განმავლობაში. დადგენილად ცნო, რომ 1999 წ. 8 ივნისის ხელშეკრულებით შეჩერდა ზემოთ მითითებული სესხის ხელშეკრულების მოქმედება 6 თვით. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნულმა ხელშეკრულებამ სესხის ხელშეკრულების მოქმედება შეაჩერა 1999წ. 8 დეკემბრამდე. სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენამდე გასულია 3 წელი და 3 თვე. ამდენად, ჩათვალა, რომ კბ „თ-ის“ სარჩელი ხანდაზმულია.

სასამართლო კოლეგია ასევე უთითებს მოსარჩელის (კასატორი) მიერ სასამართლოში მის მიერ სხვადასხვა დროს გ. ს-ისა და სხვების მიმართ წარდგენილ სარჩელებზე, კერძოდ, 16.02.2000 წელს, 22.12.2000 წელს, 29.02.2000 და 15.01.2001 წლებში სასამართლოში შეტანილ სარჩელებზე და განმარტავს, რომ ისინი

\* აღნიშნული მუხლი განსხვავებულად განიმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ (იხ. სუსგ ბს-1536-1111(კ-05) 20 ივლისი, 2011 წ. ქ. თბილისი)

დატოვებულ იქნა უმოძრაოდ, ორ მათგანს მიღებაზე ეთქვა უარი, ხოლო ბოლო სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად. სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 140-ე მუხლი.

სასამართლო კოლეგიამ ასევე მიუთითა, რომ ბოლო სარჩელი, რომელიც 2001წ. 18 აპრილს განუხილველად იქნა დატოვებული, შეწყვეტდა ხანდაზმულობის დენას, მოსარჩელეს სარჩელი 18 ოქტომბრამდე რომ წარედგინა სასამართლოში, ანუ სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად მიიჩნია ამ განჩინების გამოტანის დღე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა აღნიშნულ გარემოებებს, კერძოდ, სკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. განსახილველი ნორმის თანახმად, ყურადღება გასამახვილებელია სარჩელზე უარის თქმისა და სარჩელის განუხილველად დატოვების პროცესუალურ თავისებურებაზე, კერძოდ, მითითებული ნორმა განსაზღვრავს მოსარჩელის მიერ სასამართლოში აღძრული სარჩელზე უარის თქმისა და სასამართლოს მიერ სარჩელის განუხილველად დატოვების შედეგებს, კერძოდ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს პროცესუალური ვალდებულებების განუხორციელებლობამ მხარის (მოსარჩელის) მატერიალურ-სამართლებრივი უფლების სასამართლო წესით იძულებითი განხორციელების მოთხოვნაზე.

სასამართლო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს განჩინებებზე, რომლითაც, როგორც განმარტავს სასამართლო, მოსარჩელის მიერ შეტანილი სარჩელები დატოვებულ იქნა უმოძრაოდ, ორს მიღებაზე ეთქვა უარი, ხოლო ბოლო სარჩელი კი განუხილველად დარჩა.

აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილი პროცესუალური დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებენ აღნიშნულ შედეგებს, კანონიერ ძალაში შედიან (სსკ-ის 185-ე, 187-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 276-ე მუხლი) ამ განჩინებების მხარესათვის გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში (სსკ-ის 416-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ ყურადღება არ გაამახვილა სკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ იურიდიულ ფაქტზე, რომლის არსებობის გარეშე არ არსებობს ამ ნორმის სამართლებრივ-მარეგულირებელი მექანიზმი, კერძოდ, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ უნდა გამოიკვლიოს (სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით), ცნობილი იყო თუ არა მოსარჩელისათვის აღნიშნული განჩინებების შესახებ და კანონიერ ძალაში იყო თუ არა შესული ამ საქმეზე განსახილველი სარჩელის შეტანამდე.

მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებიდან (განჩინებიდან), რომელიც გამოტანილია სკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საფუძვლებით, ექვსი თვის განმავლობაში შეტანილ სარჩელზე ამახვილებს ყურადღებას კანონმდებელი ამავე მუხლის მე-2 ნაწილში.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ არასწორად განმარტა სკ-ის 140-ე მუხლი და არ შეაფასა საქმეში არსებული 2001წ. 18 აპრილის, 2001წ. 8 იანვრის, 2000წ. 21 თებერვლისა ად 2000წ. 1 მარტის განჩინებების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლის შემდეგ შესაძლებელია ექვსთვიანი ვადის ათვლის მომენტის დადგენა.

**საქმე № ას-446-1139-03**

**20 იანვარი 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლი)**

სკ-ს 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წამოიშობა პერიოდულად შესრულებული ვალდებულებებიდან სამი წელია. სკ-ს 142-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის

ვადაა ათი წელი, მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა. თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ისეთი მოთხოვნაა დადასტურებული, რომელიც შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ თითოეული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პერიოდულად განმეორებითი მოქმედების შესრულების ვადა დადგა და მოსარჩელემ გაიგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

მოცემულ საქმეზე წარმოდგენილია ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 1969წ. 10 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიურად სარჩოს გადახდა მდგომარეობის შეცვლამდე. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ს. მ-ს მიენიჭა უფლება, მოითხოვოს მოპასუხისაგან ყოველთვიური სარჩოს გადახდა მდგომარეობის შეცვლამდე.

ვინაიდან მდგომარეობა არ შეცვლილა მოსარჩელეს აღნიშნული უფლება არ დაუკარგავს. მას სკ-ს 129-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 142-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე უფლება აქვს, მოითხოვოს მოპასუხისაგან გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შესრულება, თუ იმ მომენტიდან, როდესაც მოპასუხეს უნდა შეესრულებინა მოქმედება, სარჩელის შეტანამდე არ გასულა სამ წელზე მეტი.

ს. მ-მა სასამართლოს სარჩელით მიმართა 2001წ. 14 აგვისტოს. მას უნდა აუნაზღაურდეს ერთდროულად 1998წ. შესაბამისი თვიდან 2004წ. 1 იანვრამდე, ყოველთვიურად გადასახდელი თანხის 53 ლარის გათვალისწინებით, 3392 ლარი, ხოლო 2004წ. იანვრიდან — ყოველთვიურად 53 ლარი.

## საქმე № ას-1254-1392-04

14 აპრილი, 2005 წელი, ქ. თბილისი\*

### განმარტების საგანი: დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები, რომ სს „ბანკ კ-სა“ და მ. წ-ეს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება 27000 აშშ დოლარზე ყოველთვიური 7%-ის დარიცხვით, რომელიც დამოწმებულ იქნა ნოტარიუს ც.ბ-ის მიერ 1997წ. 13 ოქტომბერს. იმავე დღეს 1997წ. 13 ოქტომბერს სს ბანკ „კ-სა“ და მ. წ-ეს შორის გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, რომელიც დამოწმებულ იქნა ასევე ნოტარიუს ც.ბ-ის მიერ.

მოსარჩელე მ.წ-ემ მოითხოვა ნოტარიუსისათვის საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულებების დამოწმების საფასურის — 1036,16 ლარისა დაკისრება და ნოტარიუსის მიერ 1997წ. 13 ოქტომბერს შესრულებული სანოტარო მოქმედებების (რეგ. <sup>1</sup>2-1150 და 2-1151) გაუქმება იმ საფუძველით, რომ ნოტარიუსმა არასწორად გადაახდევინა ხელშეკრულებების დამოწმების საფასური და სანოტარო მოქმედებები კანონის დარღვევით შეასრულა;

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცორების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004წ. 24 ივნისის განჩინებით მ. წ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში დელიქტთან საქმე არა გვაქვს და ნოტარიუსის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ზიანს საფუძველად უდევს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რადგან სახელშეკრულებო მოთხოვნები დაკავშირებულია უძრავ ნივთებთან.

\* აღნიშნული საქმე ეხება უძრავ ნივთზე დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხს.



საქმის მასალების მიხედვით, სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებები 1997წ. 13 ოქტომბერს დამოწმდა. სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მოსარჩელისათვის თავისი უფლებების დარღვევის ფაქტი ცნობილი უნდა ყოფილიყო 1997წ. 13 ოქტომბერს, ხელშეკრულებების გაფორმების დღეს მ.წ-ემ კი სასამართლოს სარჩელით 2003წ. 1 აპრილს, ე.ი. სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა. პალატა ასევე თვლის, რომ სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით შესრულებული სანოტარო მოქმედებების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია და არა ექვსი წელი. ნოტარიუსის მიერ დამოწმებულია სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებები. სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია, ხოლო გირავნობის ხელშეკრულების — ექვსი. განსახილველ შემთხვევაში გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის დამატებითი მოთხოვნა დაკავშირებულია სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ძირითად მოთხოვნასთან. სკ-ის 145-ე მუხლის მიხედვით კი მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. ამდენად, მოთხოვნა სანოტარო მოქმედებების ბათილად ცნობის შესახებ ხანდაზმულია.

## 1.7. ქონება

**საქმე № 3კ-675-02**

**22 ნოემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი (სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის პირველი ნაწილის თანახმად ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ნივთის შემადგენელი ნაწილის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციები, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, თვით ნივთის სამეურნეო დანიშნულება. ნივთის შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს ის, რაც მიზნობრივად დაკავშირებული მასთან. ასევე საჭიროა, რომ ამ კავშირის შედეგები განვიხილოთ, როგორც ერთიანი ნივთი. როცა ნივთების კავშირით იქმნება ერთიანი ნივთი, მაშინ არ შეიძლება ვილაპარაკოთ სხვადასხვა ნივთებზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საკუთრების უფლებით. გამონაკლის რეჟიმს ექვემდებარება მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელიც ერთიანი მიწის ნაკვეთის შემადგენელ ნაწილად ჩაითვლება მაშინაც, როცა ისინი, ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული ან სხვადასხვა სამეურნეო მიზნებს ემსახურებიან (სკ-ს 150-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამდენად, არსებით შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნება ის, რაც სამართლებრივად დაკავშირებულია ნივთთან და არ წარმოადგენს განსაკუთრებული უფლების ობიექტს. ე. ი. არსებითი შემადგენელი ნაწილის ბედი მთლიანადაა დაკავშირებული ნივთთან და შეუძლებელია შემადგენელი ნაწილის დამოუკიდებელი განკარგვა.

**საქმე №ას-204-197-2013**

**1 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საკუთვნებელი (სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი

ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნილად. საკუთვნილის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკუთვნილი განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნილი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნილის მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. საქმის მასალებით დასტურდება და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ბინა რეგისტრირებულია მ. რ-ის სახელზე, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ამ ბინაში განთავსებული ნივთების მესაკუთრე და კეთილსინდისიერი მფლობელია მ. რ-ე. ამდენად ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 151-ე და 158-ე მუხლებით გათვალისწინებული პრეზუმფციები.

## 2. სანიმთო სამართალი

### 2.1. მფლობელობა

**საქმე № ას-257-583-05**

**7 ივნისი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მფლობელობის წარმოშობა (სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლი)**

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 155-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. აღნიშნულ ნორმაში მითითებული ფაქტობრივი ბატონობა სწორედაც რომ არ გულისხმობს ნივთზე ფიზიკურ შემხებლობას. ამ ცნებაში მოიაზრება ნივთის მიმართ იურიდიული ბატონობა. პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორადაა განმარტებული.

**საქმე № ას-443-685-08**

**21 ოქტომბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმატების საგანი: მფლობელობის შეწყვეტა (სამოქალაქო კოდექსის 156-ე მუხლი)**

ა. ო-ოვას მიერ სადავო ნივთის მფლობელობის თუნდაც რამდენიმე ხნით მიტოვება არ ნიშნავს მასზე მფლობელობის შეწყვეტას, რადგან სადავო სამკვიდრო ქონება არ მიეკუთვნება მოძრავ ნივთთა კატეგორიას, იგი მიწასთან მყარად დაკავშირებულ უძრავ ქონებას წარმოადგენს და მასზე უფლების დაკარგვა მიტოვებით არ ხდება. უფლების მიტოვებით საკუთრების უფლება, აქედან გამომდინარე მფლობელობაც, შეიძლება დაიკარგოს მოძრავ ნივთზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვება კი განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლით. ა.ო-ოვას ამ წესის დაცვით არ მიუტოვებია სადავო ნივთი და, ცხადია, იგი მის მფლობელობაში იყო. ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებისას ნივთის დროებით მიტოვება არ იწვევს მფლობელობის შეწყვეტას, ვინაიდან ამგვარი მიტოვება ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გარემოებებით შეიძლება იყოს გამოწვეული. სამოქალაქო კოდექსის 156-ე მუხლის თანახმად, მფლობელობა ითვლება შეწყვეტილად, თუ მფლობელი სამუდამოდ თმობს ნივთს ან სხვა გზით კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. აღნიშნული ნორმის ანალიზით ცხადად იკვეთება მფლობელობის შეწყვეტისათვის აუცილებელ პირობათა ერთობლივი არსებობა — მფლობელის სუბიექტური ნების (სურვილი, აღარ განახორციელოს ნივთის ფლობა) თანხვედრა ობიექტურ მდგომარეობასთან (პრაქტიკულად შეწყვეტოს ნივთის ფლობა). დასკვნა გამომდინარეობს მფლობელობის ცნებიდან, რომ მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით (სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა კი, უპირველესად, გულისხმობს მასზე იურიდიულ ბატონობას და არა მის ფიზიკურ ფლობას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ამ ნაწილში კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

**საქმე № 3კ-1004-02**

**12 თებერვალი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: კეთილსინდისიერი მფლობელი (სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლი)**

სკ-ს 160-ე მუხლის შესაბამისად კი, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წ. განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოითხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება.

მფლობელობის კეთილსინდისიერება თუ არაკეთილსინდისიერება სუბიექტური შეფასების საგანს წარმოადგენს და მათში ვლინდება პირის დამოკიდებულება ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველისადმი, ხოლო მფლობელობა კანონიერი იქნება თუ უკანონო, ობიექტური ნორმატიული ნების შეფასების საგანს წარმოადგენს. მფლობელობის ფაქტის შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები. დედის (დედამთილის) საკუთრებაში არსებულ ბინაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრება — ბინის ფლობის ფაქტი არ არის მფლობელობის სამართლებრივი კანონიერი საფუძველი. ნორმის შინაარსის მიხედვით მართლზომიერ მფლობელობას შეიძლება მაშინ ჰქონდეს ადგილი, როცა მფლობელობას მესაკუთრის კეთილი ნება კი არა, სამართლის ნორმატიული ნების საფუძველზე დამყარებული კანონიერი ნება უდევს საფუძველად.

**საქმე № ას-307-712-06**

**17 ნოემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: კეთილსინდისიერი მფლობელი (სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლი)**

სკ-ის 159-ე მუხლის თანახმად, კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს. აღნიშნული ნორმის თანახმად, მფლობელი კეთილსინდისიერია, თუ მფლობელობას იძენს მართლზომიერად, რაც, თავის მხრივ, იმის მანიშნებელია, რომ მფლობელს გაცნობიერებული აქვს ნივთის ფლობის საფუძველების მართლზომიერება. თუ მფლობელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაცნობიერებინა ურთიერთობის არსებული დეფექტები, მაშინ ის მაინც კეთილსინდისიერი იქნება, თუმცა უკანონო, ხოლო, თუ მფლობელს ჰქონდა შესაძლებლობა, დაენახა მფლობელობის ხარვეზიანობა, ის არაკეთილსინდისიერ მფლობელად ჩაითვლება.

**საქმე № ას-1258-1499-05**

**27 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: კეთილსინდისიერი მფლობელის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად ცნო, რომ ნ.ბ-შვილი სადავო ფართში ჩასახლებული იყო 1992 წლიდან მესაკუთრის თანხმობით. ამ გარემოებიდან გამომდინარე, ნ.ყ-შვილი წარმოადგენდა რა კეთილსინდისიერ მფლობელს, მისი უფლება ნივთზე დაცულია სკ-ის 159-161-ე მუხლების დანაწესებით. სკ-ის 160-ე მუხლის თანახმად, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წ. განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი მფლობელობის მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით. აღნიშნული ნორმა იცავს მფლობელს მფლობელობის ძალადობის გზით ჩამორთმევისაგან. მფლობელის მიმართ მფლობელობის უფლება ნივთზე შესაძლოა ნებისმიერ დროს შეწყდეს, მაგრამ მხოლოდ სკ-ის 168-ე მუხლის გათვალისწინებით, რომლის ძალითაც ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას.

საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ შემთხვევაში მესაკუთრემ კეთილსინდისიერ მფლობელ ნ.ყ-შვილს წაუყენა დასაბუთებული პრეტენზია, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების ეს ნაწილი არ ეყრდნობა რაიმე მტკიცებულებას, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა სს პანსიონატ „ც-ას“ მიერ ნ.ყ-შვილის მისამართით პრეტენზიის წაყენებას. სასამართლოს დასკვნა, დაუსაბუთებელია, რომ ასეთ პრეტენზიაში იგულისხმება ის გარემოება, რომ სადავო სადგომი არის სამსახურებრივი ბინა, იგი გამოიყენება პანსიონატის მუშაკებისათვის, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმით გამოეყო ნ.ხ-შვილს, რომელიც არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია. ეს გარემოებები არ ადასტურებს მესაკუთრისაგან მფლობელისათვის პრეტენზიის წარდგენას ნივთის მისი ფაქტობრივი ბატონობიდან გამომდინარე თაობაზე.

სკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, ხოლო ამავე კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად, ძალადობის გზით საკუთარი უფლების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში. დასახელებულ ნორმათა დანაწესები უნდა გავრცელდეს მესაკუთრისა და მფლობელის ურთიერთობებზე და პირს, რომელიც თუნდაც დავის წარმოშობის დროს წარმოადგენდეს არაუფლებამოსილ მფლობელს, არ შეიძლება მფლობელობა ჩამოერთვას ძალადობის გამოყენებით.

**საქმე № ას-1085-1114-2011**

**13 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნება (სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი, კერძოდ, პალატის მოსაზრებით, დასახელებულ მუხლში კონკრეტულად არაა მითითებული უძრავ ნივთზე მფლობელობის ჩამორთმევის თაობაზე, მოცემულ ნორმაში სიტყვა „ნივთი“ ვიწროდ უნდა იქნეს განმარტებული და მასში მხოლოდ მოძრავი ნივთები იგულისხმება.

**საქმე № ას-307-712-06**

**17 ნოემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მართლზომიერი მფლობელი (სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლი)**

მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას. ამ შემთხვევაში მფლობელობის შეფასება ხდება სამართლის ობიექტური ნების საფუძველზე. მართლზომიერი მფლობელია ნივთის მესაკუთრე და ის პირები, რომელთა მფლობელობაც მესაკუთრის მფლობელობიდანაა ნაწარმოები. სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი მფლობელობა შეიძლება იყოს როგორც სანივთო (გირავნობა, აღნაგობა, უზურფრუქტი და სხვა), ისე — ვალდებულებითი (ქირავნობა, იჯარა, თხოვება და სხვა). ნივთის დამქირავებელი, მოიჯარე და ა.შ. ნივთის მართლზომიერი მფლობელია მანამ, ვიდრე მათ აქვთ ნივთის ფლობის უფლება. დაუშვებელია მხოლოდ მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება (სსკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილი).

**საქმე № ას-524-493-2012**

**4 ოქტომბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მართლზომიერი მფლობელის უფლება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვაზე (სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ლ-ის მოთხოვნა სადავო ბინის გამოთხოვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამ დასკვნის საფუძველად სააპელაციო სასამართლო უთითებს იმას, რომ მოსარჩელე ვ. ლ-ე, როგორც მესაკუთრე, ითხოვს ა. ბ-ის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას საქართ-

ველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე, რომლის უფლებაც მას არ გააჩნია, რადგან ის არ არის სადავო ბინის მესაკუთრე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. ამასთან მიმართებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის (ვ. ლ-ე) მოთხოვნაზე, კერძოდ, მოსარჩელე ითხოვს არა მესაკუთრედ ცნობას, არამედ უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას, რასაც საფუძვლად უდევს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ვ. ლ-ისათვის სადავო უძრავი ნივთის მფლობელობაში გადაცემა (მართლზომიერი მფლობელობა), შესაბამისად, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების გამოყენებაში მოსამართლე არ არის შეზღუდული სამართლებრივ დანაწესებებზე მხარეთა მითითებებით. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: — გააჩნია თუ არა ვ. ლ-ს, როგორც მართლზომიერ მფლობელს, უკანონო ფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

განსახილველი ნორმის თანახმად, მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას, განსხვავებით კეთილსინდისიერი მფლობელისაგან, რომელსაც არ გააჩნია ნივთის ფლობის კანონისმიერი საფუძველი. კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება მიუთითებს სუბიექტურ კრიტერიუმებზე, რაც განისაზღვრება პირის დამოკიდებულებით ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველების მიმართ. მართლზომიერი და არა მართლზომიერი მფლობელობა მიგვითითებს ობიექტურად არსებულ ფაქტორებზე, რაც ვლინდება მფლობელობის სამართლებრივი საფუძვლის არსებობაში. ამრიგად, მართლზომიერი მფლობელია მესაკუთრე და ის პირები, რომელთა მფლობელობაც მესაკუთრის მფლობელობიდანაა ნაწარმოები.

ნივთის მართლზომიერი მფლობელობა ვრცელდება მანამ, სანამ არსებობს მართლზომიერი ფლობის საფუძველი. ამასთან ერთად საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ სადავო ურთიერთობაზე არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი, რადგან ეს მუხლი ეხება კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნას. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს, რომელსაც არ გააჩნდა ფლობის უფლება, მაგრამ ამ ფაქტის მიმართ ის კეთილსინდისიერია, ჩამოერთვა მფლობელობა. ამ შემთხვევაში, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით. აღნიშნული მუხლი იცავს კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებას, ანუ მფლობელის, რომელსაც არ გააჩნდა მფლობელობის კანონიერი (სახელშეკრულებო) საფუძველი. განსახილველ ნორმა მიგვითითებს „მფლობელობის ჩამორთმევაზე“ და არა ვინდიკაციასზე. მითითებული ნორმის მიხედვით ახალ მფლობელს (მათ შორის მფლობელობის უკეთესი უფლების მქონე პირს) შეუძლია, ვინდიკაციის და არა თვითნებობის საფუძველზე დაიბრუნოს ნივთი. კეთილსინდისიერი მფლობელი ვერ მოითხოვს მფლობელობის დაბრუნებას უკეთესი უფლების მქონე პირისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უკეთესი უფლების მქონე პირმა ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით.

კონკრეტული სადავო ურთიერთობის შემთხვევაში ვ. ლ-ე წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელს, რომელსაც ფლობელობა გადაეცა მესაკუთრის ნების საფუძველზე. ხოლო, ა. ბ-ი წარმოადგენს არამართლზომიერ მფლობელს, თუმცა აქვე უნდა მივუთითოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის დანაწესებზე, რომლის თანახმად, კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე. განსახილველი ნორმით მოცემულია კეთილსინდისიერი მფლობელის განმარტება, რომლის არსის დადგენისათვის აუცილებელია მართლზომიერი (არამართლზომიერი)

მფლობელობისა და კეთილსინდისიერი (არაკეთილსინდისიერი) მფლობელობის რეალიზაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი დანაწესების განმარტება.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით დიფერენცირებულია მფლობელობა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების მიხედვით (160-ე—164-ე მუხლები). მნიშვნელოვანია, რომ კანონი გამიჯნავს კეთილსინდისიერი მფლობელის მოთხოვნას (160-ე—161-ე მუხლები) და მართლზომიერი მფლობელის მოთხოვნას (162-ე მუხლი). ასევე, არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის ვალდებულებებს (163-ე მუხლი) და არაკეთილსინდისიერი მფლობელის ვალდებულებებს (164-ე მუხლი).

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ კეთილსინდისიერი (არაკეთილსინდისიერი) მფლობელობის ინსტიტუტში, ასევე არსებობს განსხვავებები კეთილსინდისიერი მფლობელის და არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის უფლება-ვალდებულებებში.

ამდენად, მითითებული ნორმების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება იწვევს განსხვავებულ შედეგებს მართლზომიერი მფლობელობასთან მიმართებით, რომლის აღრევა დაუშვებელია. ამდენად, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის განმარტება, მისი სწორი მიზნის დადგენისათვის მოითხოვს მფლობელობის ინსტიტუტში შემავალი ცალკეული ნორმების ანალიზს.

განსახილველი სადავო ურთიერთობის თანახმად, ვ. ლ-ე წარმოადგენს პირს, რომელსაც გააჩნია ფლობის სამართლებრივი საფუძველი (მართლზომიერ მფლობელი). ამასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის უფლება, რომელიც დგას ამ მფლობელობის უკან, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის 2003 წლის 30 ოქტომბრის № 15 სხდომის ოქმის საფუძველზე სადავო ბინა სარგებლობის უფლებით გადაეცა ვ. ლ-ს.

აქედან გამომდინარე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ ვ. ლ-ს მესაკუთრისაგან (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო) მიღებული აქვს სადავო ბინაზე მფლობელობა, და, ამდენად წარმოადგენს სადავო ბინის მართლზომიერ მფლობელს. სააპელაციო სასამართლომ, დაადგინა, რომ მოპასუხე ავთანდილ ბაზერაშვილს არა აქვს სადავო ბინის ფლობის უფლება ამდენად, ზემომითითებული ფაქტები მიუთითებენ იმაზე, რომ ა. ბ-მა თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება, ვალდებულია, დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს. ვიდრე უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს თავის ამ უფლებას, ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის მფლობელს.

განსახილველი ნორმით განსაზღვრულია არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის უფლება-ვალდებულებები, ანუ მფლობელის, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება. აღნიშნული დანაწესი მიგვიითითებს იმაზე, რომ არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი თავის შინაარსით წარმოადგენს არამართლზომიერ მფლობელს, ანუ პირს, რომელსაც არ გააჩნია მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი. მითითებული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, გამოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთი.

## საქმე № ას-690-1338-03

26 თებერვალი, 2004 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ნივთისა და უფლების ნაყოფი (სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის პირველი ნაწილი)

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003წ. 15 ივლისის გადაწყვეტილებით ა. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა — გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო

პალატის 2003წ. 5 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ა. ჭ-ის გამოსახლებისა და ბინით სარგებლობის საზღაურის გადახდევინების ნაწილში და ამ ნაწილში საქმის წარმოება განახლდა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა ძალაში. გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000წ. 20 იანვრის გადაწყვეტილება ა. ჭ-ის გამოსახლებაზე უარის თქმის ნაწილში. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ზ. ვ-ას სარჩელი და ქ. თბილისში, ..... ა. ჭ-ე ყველა იმ პირთან ერთად გამოსახლეს, ვინც კი აღმოჩნდა ამ ბინაში მისი გამოსახლებისას. ა. ჭ-ეს ზ. ვ-ას სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა ბინით სარგებლობის საზღაური (ნაყოფი), 1999წ. ოქტომბრიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე ანუ 2003წ. 15 ივლისამდე 44 თვისა და 25 დღის პერიოდის საზღაური — თვეში 35 ლარი, სულ 1568 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ ზ. ვ-ა წარმოადგენს „თ-ის“ მუშა-მოსამსახურეთა '..... საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს. 1989 წელს მან გადაიხადა პაის პირველადი შენატანი 4250 მანეთი, მშენებლობის დამთავრების შემდეგ ზ. ვ-აზე გაიცა თბილისში, ..... ერთოთახიანი ბინის ორდერი. პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ზ. ვ-ამ დაკარგა სადავო ბინაზე ყოველგვარი უფლება, სადავო ბინა გაუნაწილდა ქ-ას ოჯახს, რომლის ნებართვითაც შევიდა იგი სადავო ბინაში. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ ვ-ას სახელზე გამოწერა ორდერი სადავო ბინაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენის მიმართ კასატორის პრეტენზია არც დამატებითია და არც დასაბუთებული. დადგენილი ფაქტობრივი გარემოების პირობებში კი სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993წ. 5 ივლისის '519 დადგენილების შესაბამისად, ვ-ა გახდა სადავო ბინის მესაკუთრე და მას, როგორც ბინის მესაკუთრეს, სკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე „შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება“. მოცემულ შემთხვევაში კასატორის ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა ზ. ვ-ას სარჩელი ბინიდან გამოსახლების ნაწილში. რაც შეეხება კასატორისათვის ზ. ვ-ას სასარგებლოდ ბინით სარგებლობის საზღაურის დაკისრებას, პალატა თვლის, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ჭ-ესა და ვ-ას შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ბინით სარგებლობის შესახებ არ არსებობს. სააპელაციო სასამართლომ ვ-ას სარჩელი, ბინით სარგებლობისათვის საზღაურის დაკისრების შესახებ, დააკმაყოფილა სკ-ის 163-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ამ მუხლის თანახმად, „კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება, ვალდებულია დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს. ვიდრე უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს თავის ამ უფლებას, ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის მფლობელს“. პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის ზემოაღნიშნული მუხლი. მოცემულ შემთხვევაში ნივთისა და უფლების ნაყოფად (რაზედაც საუბარია ზემოაღნიშნულ მუხლში) არ შეიძლება ჩაითვალოს ბინის ფლობისათვის საზღაური. პალატა თვლის, რომ ვ-ას ჭ-ისათვის ბინის ქირის მოთხოვნის საფუძველი არ გააჩნია, რის გამოც ვ-ას სარჩელი ამ ნაწილში უსაფუძვლოა.

**საქმე № ას-884-1170-09**

**23 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოვალეობა (სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილი პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად. სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სავსებით სწორად დაასკვნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი მფლობელს უფლება აქვს, მოითხოვოს ნივთზე გაწეული ის ხარჯები, რომელსაც უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად, თუმცა მითითებული ნორმით განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ამ ნორმით გათვალისწინებული აუცილებელი წინაპირობების არსებობა, კერძოდ, უფლებამოსილი პირის გამდიდრების ფაქტის არსებობა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უტყუარად უნდა დადგინდეს. ამავდროულად, უფლებამოსილი პირის გამდიდრება უშუალოდ უნდა მოყვეს არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთზე გაწეულ ხარჯებსა და გაუმჯობესებას. ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესება მიმართული უნდა იყოს არსებულიდან უკეთესისაკენ და იგი უნდა ზრდიდეს ნივთის ღირებულებას. მხოლოდ ამ გარემოებათა დადასტურებისას შეიძლება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

**საქმე № 3კ-989-02**

**27 დეკემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით (სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლი)**

როდესაც ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება, საჯარო რეესტრიდან ნივთზე საკუთრების უფლების დაკარგვას კანონმდებელი უკავშირებს აღნიშნულ რეგისტრაციას.

სკ-ს 167-ე მუხლის თანახმად, თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთრებას.

საკუთრების უფლება არ წყდება უძრავი ნივთის მფლობელობიდან გასვლით. აღნიშნულის გამო, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსარჩელეს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება არ ჩამორთმევია, მისი საკუთრების უფლება არ დარღვეულა, მესაკუთრის სტატუსს საფრთხე არ შექმნია, ვინაიდან ასეთ საფრთხედ კანონმდებელი განიხილავს საჯარო რეესტრში ნივთის მესაკუთრის შეცვლას. თუ ჩავთვლით, რომ მოცემულ შემთხვევაში საკუთრებას საფრთხე შეექმნა, მესაკუთრის სტატუსი დაირღვა, ამგვარი დასკვნის საფუძველს უნდა გვაძლევდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერი და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ უნდა იყოს აღრიცხული მოპასუხე. ვინაიდან მესაკუთრის საკუთრების უფლება არ დარღვეულა, მას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს მის საკუთრებაში არსებული ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება დადგინდეს, რომ სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გასულია. თუ არ ხდება საკუთრების უფლება სადავო, ნივთის გამოთხოვა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს.



**განმარტების საგანი: იძულებით გადაადგილებულ პირთა მფლობელობის მართლზომიერების საფუძველი**

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება (დაზუსტებული ფართობის — 396 კვ.მ., შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 44.54 კვ.მ., საცხოვრებელი ფართი 20.40) საკუთრების უფლებით, 2008 წლის 30 ოქტომბერს, 2008 წლის 29 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, აღირიცხა მოსარჩელე მ. ჩ-ის სახელზე სარეგისტრაციო სამსახურის 30.10.2008წლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 30 ოქტომბრის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

2011 წლის 27 იანვარს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო უძრავი ქონება 2011 წლის 31 იანვარს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით კვლავ აღირიცხა მ. ჩ-ის სახელზე. სააპელაციო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ქონება 2005 წლის 13 ივლისამდე წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო 2005 წლის 13 ივლისს აღნიშნული ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა პავლე ბესტაევის სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2007 წლის 25 აპრილის ცნობითა (ტ. I, ს.ფ. 56) და მხარეთა ახსნა-განმარტებით (იხ. 2011 წლის 27 მაისის სხდომის ოქმი, ტ. II) დადგენილად მიიჩნია ასევე, რომ 2003 წლიდან დღემდე სადავო ქონებას ფლობს მ. წ-ა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: წარმოადგენს თუ არა მ. წ-ა ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ფართის მართლზომიერ მფლობელს (დაზუსტებული ფართობი — 369 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 44.54 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი 20.40).

„იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ“ კანონის შესაბამისად (კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), ასევე ამ დროს მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>3</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დევნილს ფართობი თვითნებურად, კანონის დარღვევით აქვს დაკავებული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2007 წლის 25 აპრილის ცნობითა (ტ. I, ს.ფ. 56) და მხარეთა ახსნა-განმარტებით (იხ. 2011 წლის 27 მაისის სხდომის ოქმი, ტ. II), არ დგინდება ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად, მ. წ-ასა და მისი ოჯახის წევრების მიერ ამ ფართის სარგებლობის მოპოვების მართლზომიერება. ის ფაქტი, რომ 2003 წელს აღნიშნული ტერიტორია იყო სახელმწიფოს საკუთრებაში, ხოლო მ. წ-ა და მისი ოჯახი 2003 წლიდან დღემდე სადავო ქონებას ფლობს, არ მიუთითებს მართლზომიერ ფლობაზე. ამდენად, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ რეგისტრაცია წარმოშობს მოპასუხეთა მფლობელობის მართლზომიერ საფუძველს. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2007 წლის 25 აპრილის ცნობის საფუძველზე დადგენილი რეგისტრაციის ფაქტით არ დასტურდება მფლობელობის მართლზომიერება. რეგისტრაციის არსებობა არ შეიძლება გახდეს უფლების, მათ შორის, საკუთრების უფლების შეზღუდვის, განკარგვის ან მათი განხორციელების საფუძველი, კერძოდ, „საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა

რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „რეგისტრაცია ან რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის, მათ შორის, საკუთრების განკარგვის უფლების საფუძველი ან მათი განხორციელების პირობა, გარდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

## 2.2. საკუთრება

**საქმე № ას-372-691-09**

**17 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი\***

**განმარტების საგანი: საკუთრების უფლების შეზღუდვა სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი მოქმედების ძალა დღეს მოქმედი კანონმდებლობის პირობებში.**

მოქმედი სამოქალაქო კოდექსის საკუთრების თავისუფლების (170-ე და 172-ე მუხლები) პრინციპის გაცრელება ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საკუთრების შეზღუდვის შესახებ დადგენილი ფაქტის მიმართ და მისი კანონიერების (ე.ი. საკუთრების ბოჭვის) ხელახლა განხილვა დღეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთრების სოციალური ფუნქციის გათვალისწინებით და, შესაბამისად, საკუთრების უფლების პრიორიტეტებზე ყურადღების გამახვილება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. როგორი შედეგიც არ უნდა დგებოდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მისი შეცვლა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევებში (სსსკ-ის 265-ე, 421-ე მუხლები).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1992 წლის 30 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მ. ხ.-ი ორ შვილთან — დ. და ი. მ.-ებთან ერთად ცნობილ იქნა ქ. თბილისში, ...-ის 'ნ'-ში მდებარე 22,28 კვ.მ ბინაზე უფლებამოპოვებულად, რომლითაც შეიზღუდა მესაკუთრის უფლება იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, რაც მიუთითებს ამ პირთა მიერ ნივთის მართლზომიერ ფლობაზე. ამდენად, არ შეიძლება ჩამოერთვას სადავო ნივთის ფლობის უფლება იმ პირებს, რომლებმაც ეს უფლება მოიპოვეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

**საქმე № 3კ-344-03**

**24 ივლისი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)**

ქ. გორში ... მდებარე ბინა '30 სამოთახიანი ბინა ტექნიკენტარიზაციის ბიუროს მონაცემებით ირიცხება თ. კ.-ის სახელზე. დადგენილია, რომ 1995წ. ნოემბერში თ. კ.-მ გ. ლ.-ისაგან ისესხა 1000 აშშ დოლარი შვიდი თვის ვადით. თ. კ.-მ მისი კუთვნილი სამოთახიანი ბინა გ. ლ.-ს დაუთმო იმ პირობით რომ ეს უკანასკნელი ბინას გამოათავისუფლებდა ვალის დაბრუნებისთანავე.

სკ-ს ნორმები არ ივალისწინებს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთი საშუალების გამოყენებას, როგორიცაა ვალის გადახდამდე ბინის საცხოვრებლად დათმობა. ამავე კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული. მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

\* მსგავსი კატეგორიის საქმეზე იხ. სუსგ №ას-1025-960-2012, 24 სექტემბერი, 2012 წელი, ქ.თბილისი

გარიგება იმის თაობაზე, რომ მევალე ისარგებლებს მოვალის ბინით ვალის დაბრუნებამდე არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და იგი ნამდვილად უნდა ჩაითვალოს. დადგენილია, აგრეთვე რომ მხარეები შეთანხმდნენ ბინის სახურავის შესაკეთებლად გ.ლ.-ის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე. კასატორი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თ.კ.-მ 2001წ. ივნისში სცადა დაებრუნებინა მისთვის აღებული სესხი და ბინის რემონტზე გაწეული ხარჯები სულ 2000 აშშ დოლარი. გ. ლ.-მ ვალის დაფარვის დაგვიანებით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად მოითხოვა 10000 ლარის გადახდა რაც შეადგენს ცალკე დავის საგანს.

სკ-ს 172-ე მუხლის შესაბამისად მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს აქვს ამ ნივთის ფლობის უფლება.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ვიდრე კ.-ე არ დააბრუნებდა ვალს, გ. ლ.-ი წარმოადგენდა მართლმომიერ მფლობელს. მხარეთა შორის დადებული გარიგებით გ. ლ.-ს ვალის დაბრუნებამდე გააჩნდა ამ ბინით სარგებლობის უფლება.

2000წ. ივნისიდან, როდესაც გ. ლ.-მ უარი განაცხადა თ.კოროშიძისაგან თანხის დაბრუნებაზე და ბინის გამოთავისუფლებაზე კასატორი მიჩნეულ უნდა იქნეს არამართლმომიერ მფლობელად.

სკ-ს 434-ე მუხლის შესაბამისად თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, მოვალე უფლებამოსილია ფული ან ფასიანი ქალაქი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისგან.

მართალია, მოცემულ შემთხვევაში კ.-ეს არ გამოუყენებია კანონით მისთვის მინიჭებული უფლება, მაგრამ უდავოა, რომ შესრულება ვერ მოხერხდა კრედიტორის — გ.ლ.-ის ბრალით, რომელმაც კატეგორიული უარი განაცხადა თანხის მიღებაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით გ. ლ.-ის მიერ სადავო ბინის ფლობა ჩაითვალა არამართლმომიერად რის გამო დაკმაყოფილდა მესაკუთრის მოთხოვნა მისი გამოსახლების შესახებ.

### საქმე №ას-199-893-03

### 31 ოქტომბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი

#### განმარტების საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლოს დადგენილად აქვს მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს გააჩნია სათანადო ნებართვა და პროექტი ქ. თბილისში, ... საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესახებ. ასევე დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის საკარმიდამო ნაკვეთის წინ ტროტუარზე განთავსებულია მოპასუხის კუთვნილი სავაჭრო ჯიხური, რომელიც უნებართვოდაა ჩადგმული. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელეს სახლის მშენებლობის დაწყება ტექნიკური თვალსაზრისით არ შეუძლია მანამ, სანამ არ იქნება აღებული მოპასუხის კუთვნილი უნებართვოდ ჩადგმული სავაჭრო ჯიხური. დადგენილია, რომ ჯიხური ტროტუარზე უნებართვოდაა ჩადგმული და არსებობს სათანადო კომპეტენტური ორგანოების მითითებები ამ ჯიხურის აღების თაობაზე, რაც დღემდე შეუსრულებელია.

სსკ-ს 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ს. მ-ესა და მოპასუხე ნ. ხ-ეს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ განუცხადებიათ, აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის.

კასატორი პრეტენზიას გამოთქვამს, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასების გამო. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართლაც არასწორი შეფასება მისცა მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

სკ-ს 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა, თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. სკ-ს 147-ე მუხლის შესაბამისად, ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს აკრძალული არ არის ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

ამავე კოდექსის 152-ე მუხლის შესაბამისად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეეძქნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ სათანადო წესის დაცვით მიიღო რა ქ. თბილისში ... მდებარე მის კუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უფლება, ამით მიიღო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც მას აძლევს მოთხოვნის უფლებას ამ უფლების განხორციელებით მატერიალური სარგებლის მიღების თაობაზე და ანიჭებს უფლებას მოსთხოვოს სხვა პირს რაიმეს შესრულება. მოცემულ შემთხვევაში მას აქვს უფლება მოსთხოვოს მოპასუხეს მისი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის წინ ტროტუარზე უნებართვოდ ჩადგმული ჯიხურის აღება, ვინაიდან იგი ხელს უშლის მას კანონით დაცული უფლების პირადი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის წარმოებაში.

აქედან გამომდინარე, მცდარია და აშკარად უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს ხელი არ ეშლებოდა მისი საკუთრებით სარგებლობაში, ვინაიდან საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა საკუთრებაა, ხოლო მშენებლობის განხორციელებაზე ხელშეშლა ამ საკუთრების ხელყოფაა და მესაკუთრეს შეუძლია ხელშეშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა, რაც მოცემულ შემთხვევაში უნებართვოდ ჩადგმული ჯიხურის აღებაში შეიძლება გამოიხატოს.

**საქმე № ას-307-712-06** **17 ნოემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**  
**განმარტების საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)**

სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება.

სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მისი უზრუნველყოფა ხდება სავინდიკაციო სარჩელის შეტანის გზით. მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ შემთხვევაში სამი წინაპირობის არსებობისას არის შესაძლებელი: პირველი, უნდა არსებობდეს ნივთის მესაკუთრე, მეორე, უნდა არსებობდეს ნივთის მფლობელი და, მესამე, მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

**საქმე № ას-820-1106-09** **3 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი**  
**განმარტების საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)**

ბ. კ-ოვა და ლ. ლ-უა, რომლებიც ითხოვენ 4, 4<sup>1</sup>, 5, 6, 7 ოთახების გამოთხოვას ს. ჩ-შვილის მფლობელობიდან, საჯარო რეესტრში არ არიან რეგისტრირებული აღნიშნული ოთახების მესაკუთრეებად, ისინი მხოლოდ სახლთმფლობელობის იდეალური წილის მესაკუთრეებს წარმოადგენენ, ისევე როგორც მოპასუხე ს. ჩ-შვილი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელი დაკმაყოფილებულია იმ საფუძვლით, რომ ს. ჩ-შვილმა ვერ წარადგინა სადავო ოთახების ფლობის კანონიერების დამადასტურებელი მტკიცებულება, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ გამორიცხვის გზით დაუშვა, რომ სადავო ოთახები

უნდა ყოფილიყო მოსარჩელების საკუთრება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტული უძრავი ქონების მესაკუთრეობა ცალსახად დგინდება საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე და არ არის სავარაუდო. ამდენად, ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღნიშნა, აუცილებელია, ზ. კ-ოვა და ლ. ლ-უა, რომლებიც ითხოვენ 4, 4<sup>1</sup>, 5, 6, 7 ოთახების გამოთხოვას ს. ჩ-შვილის მფლობელობიდან, თავად წარმოადგენდნენ აღნიშნული ქონების მესაკუთრეებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით. ეს უკანასკნელი პირობა მოცემულ შემთხვევაში დაცული არ არის, შესაბამისად, არც სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მოთხოვნაა დაცული და სარჩელი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

**საქმე №ას-1057-1087-2011**

**3 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)**

ჯ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. და ზ. მ-ების მიმართ ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები და დამატებით, სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 170-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეების მოქმედებით ილახებოდა მოსარჩელის, როგორც მესაკუთრის ინტერესები, კერძოდ, მოპასუხეთა მიერ მითვისებული იყო საცხოვრებელი სახლი, სადაც ისინი ოჯახთან ერთად ცხოვრობდნენ. ამავე კოდექსის 172-ე მუხლზე მითითებით, საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ სწორად იქნა მოთხოვნილი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დგინდებოდა, რომ აპელანტები თავინთ ოჯახთან ერთად ჯ. მ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს უკანონოდ ფლობდნენ. ამასთან, ჯ. მ-ის სახელზე აღრიცხული სადაო საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრში და, შესაბამისად, იგი არის მესაკუთრე. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მას ჰქონდა მოთხოვნის უფლება მისი საკუთრების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე.

საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება გ. და ზ. მ-ების გამოსახლების ნაწილში საფუძვლიანი იყო.

რაც შეეხება თანმხლები პირების გამოსახლებას, საკასაციო სასამართლო მოსაზრებით, მითითებულ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 მაისის განჩინება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება თანმხლები პირების გამოსახლებაზე უარის თქმის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი ადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპს პირის მიერ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესახებ. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. კანონის დასახელებული დანაწესი გულისხმობს პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და ასევე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც გარანტირებულია სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლოს ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლების გამოყენება.

განსახილველ შემთხვევაში, გ. და ზ. მ-ების ოჯახის წევრები მოწვეულნი არ ყოფილან საქმის განხილვაზე და მათ არ მისცემიათ საშუალება დაეცვათ თავისი კანონიერი ინტერესები, რითაც დაირღვა მათი კონსტიტუციური უფლება პირის მიერ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესახებ.

საქმე № ას-205-198-2012

6 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმწიკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (ვინდიკაციური სარჩელი) მესაკუთრის უფლების დაცვის აღიარებული საშუალებაა. ესაა სარჩელი, რომელსაც მესაკუთრე მაშინ იყენებს, როდესაც შელახულია ნივთზე მისი მფლობელობა, სახელდობრ, როცა მესაკუთრის ქონება უკანონო მფლობელის ხელთაა. ვინდიკაციური სარჩელის არსი საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან მომდინარეობს, რაც გულისხმობს მესაკუთრის თავისუფლებას, ნებისმიერ დროს დაეუფლოს კუთვნილ ნივთს ან ისარგებლოს ამ ნივთით, მათ შორის, მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

ამდენად, მესაკუთრეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს მის საკუთრებაში არსებული ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენს, რომ მესაკუთრე გ.ო-ის უფლება შელახულია. შელახვის განმეორებითი ფაქტი, თუნდაც ერთხელ უკვე სასამართლო გადაწყვეტილებით აღდგენილი, რომელსაც რეალური შედეგი არ მოჰყოლია (არ აღსრულებულა) დაცულია მანამ, სანამ მოსარჩელე მესაკუთრეს სადავო საგნის — უძრავ ნივთზე კანონით გარანტირებული საკუთრების უფლების მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესი გააჩნია. შესაბამისად, გ.ო-ის უფლება სასამართლო წესით დარღვეული უფლების დაცვაზე, შეუზღუდავია.

საქმე № ას-39-37-2013

11 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)**

1. 2012 წლის 30 ივლისის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დადგენილია, რომ მოსარჩელე ნ.მ-ე არის ქ. ჭიათურაში, ნ-ის ქუჩაზე მდებარე სავაჭრო რიგის I სართულზე განთავსებულ № 18-ით რეგისტრირებული 27 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრე (საფუძველი: უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 14.10.2006წ. ქ. ჭიათურა, ნოტარიუსი ბ. ც-ე);
2. 2009 წლის 24 აგვისტოს ამონაწერით საჯარო რეესტრიდან ასევე დადგენილია, რომ მოპასუხე ნ.მ-ი წარმოადგენდა ჭიათურაში, ნ-ის ქუჩაზე მდებარე სავაჭრო რიგის I სართულზე განთავსებულ № 18-ით რეგისტრირებულ 25 კვ.მ სავაჭრო ფართის მესაკუთრეს (საფუძველი: უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 22.08.2009წ. ქ. ჭიათურა, ნოტარიუსი ბ. ც-ე);
3. აპელანტსა და მოწინააღმდეგე მხარის სახელზე გაცემულია საჯარო რეესტრის ამონაწერები ერთი და იმავე სარეგისტრაციო მონაცემების უძრავ ნივთზე;
4. მოწინააღმდეგე მხარე ნ.მ-ი ფლობს არასაცხოვრებელ ფართს და მას აქვს უძრავი ქონების, ქ. ჭიათურაში, ნ-ის ქუჩა, სავაჭრო რიგის I სართულზე განთავსებულ № 18-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის ფლობის უფლება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა, ვინაიდან საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება მოპასუხის უკანონო მფლობელობა სადავო უძრავ ნივთზე.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს რა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მოსარჩელე უთითებს, რომ მას გააჩნია საკუთრების უფლება მოპასუხის მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე, ამასთან, სადავო ფართი უფრო ადრე აღირიცხა ნ.მ-ის სახელზე საჯარო რეესტრში.

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის სამართლებრივ დასაბუთებას, ვინდუკაციური სასარჩელო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კანონით გათვალისწინებული წინაპირობების კუმულაციურად არსებობის აუცილებლობის თაობაზე, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინდუკაციური სასარჩელო საფუძვლიანია, თუ ერთობლიობაში დადგინდება, რომ მოსარჩელე ნივთის მესაკუთრეა, მოპასუხე ფლობს სადავო ნივთს და მფლობელს არ აქვს ამ ნივთის ფლობის უფლება.

სააპელაციო სასამართლომ იმგვარად მიიჩნია სასარჩელო უსაფუძვლოდ, რომ შეფასების გარეშე დატოვა 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული აუცილებელი პირობა — მოსარჩელის უფლება სადავო ნივთთან მიმართებით. განსახილველ დავაში მოსარჩელემ ფართზე უფლების დაცვა მესაკუთრის სტატუსით მოითხოვა და მოპასუხის მიერ ნივთის ფლობა არამართლზომიერად მიიჩნია. სააპელაციო სასამართლომ კი, შეამოწმა მხოლოდ მოპასუხის მიერ ნივთის ფლობის უფლება და ის მართლზომიერ მფლობელად მიიჩნია, ვინაიდან ფაქტობრივი მდგომარეობით ნ. მ-ი ფლობს საქმის მასალებში წარმოდგენილ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ ფართს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობა, რომლის თანახმადაც, ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მოპასუხე ნ.მ-ი არის N19 და არა N18 ფართის მესაკუთრე. აღნიშნული ცვლილება კი, საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა, ვინაიდან, მოპასუხემ არ შეასრულა რეესტრის მოთხოვნა აზომვითი ნახაზის წარდგენის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული ცნობა არ ცვლის საჯარო რეესტრის ამონაწერს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემომითითებული ცნობა, ბუნებრივია, არ აუქმებს საჯარო რეესტრში ნ.მ-ის სახელზე არსებულ ჩანაწერს, მაგრამ ადასტურებს საჯარო მონაცემების უზუსტობას, შესაბამისად, აღნიშნული ცნობის შეფასება სავალდებულოა, მოპასუხის მფლობელობის მართლზომიერების დასადგენად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით განსაზღვრული საჯარო რეესტრის მონაცემების სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია მოქმედებს ნივთის შემძენის და არა სასამართლოს მიმართ, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც თავად საჯარო რეესტრი ადასტურებს მონაცემების უსწორობას, ხოლო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ვინდუკაციური სასარჩელის დაკმაყოფილების საკითხი, რაც თავისთავად გულისხმობს ნივთზე პირის უფლების არსებობის გამოკვლევას.

გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილია ექსპერტის დასკვნა, რომლის თანახმადაც, სადავო N18 ფართის მესაკუთრეა ნ.მ-ე. სააპელაციო სასამართლოს კი, აღნიშნული დასკვნა არ შეუფასებია, რითაც სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ნორმის მოთხოვნა, კერძოდ, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის სასამართლოს მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლით ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში; ამასთან, იმავე კოდექსის 173-ე მუხლის მიხედვით, თუ ექსპერტის

დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გამოკვეთილია მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო ფართზე, რაც ვინდიკაციური სარჩელის აღძვრის ერთ-ერთი წინაპირობაა. სააპელაციო პალატას მითითებული გარემოების არსებობა საერთოდ არ გამოუკვლევია და შეუფასებია.

**საქმე №ას-395-374-2013**

**23 სექტემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აკრძალვის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)**

ისეთ ვითარებაში, როდესაც დავას არ იწვევს ი. ტ-ის მიერ სხვენით ერთპიროვნული სარგებლობა, საკასაციო პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, ი. კ-ა უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აკრძალვა. ამ, კუთხით მხარეს რაიმე დასაბუთებული მოსაზრება არ წარმოუდგენია.

რაც შეეხება კასატორის მსჯელობას, რომ სასამართლომ არ იმსჯელა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას გამოიწვევდა, მართალია სააპელაციო პალატამ ი.ტ-ის ეს მოსაზრება არ შეაფასა, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის შემდეგი გარემოებების გამო:

საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული. უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვებაც და დაკარგვაც დაკავშირებულია საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან. აღნიშნულის გამო, მესაკუთრის სტატუსის დარღვეულად მიჩნევის საფუძველს საჯარო რეესტრის ჩანაწერი უნდა იძლეოდეს, ანუ მესაკუთრედ სხვა პირი უნდა იყოს დარეგისტრირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთრების უფლება შელახულად არ ჩაითვლება, ამასთან, საკუთრების, როგორც აბსოლუტური უფლების მიმართ, ხანდაზმულობის გავრცელება არ დაიშვება.

**საქმე №ას-515-1171-03**

**18 ნოემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უკანონო ნაგებობიდან გამოსახლება**

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დავის საგანი ქ.თბილისში, ... მდებარე სახლთმფლობელობა ირიცხება კ. კ-ოს სახელზე კანონიერებისა და კუთვნილების დამადასტურებელი იურიდიული საბუთის გარეშე როგორც უკანონო მშენებლობა. ასევე დადგენილია, რომ კასატორი დ. ჰ-ი სასამართლოში წარდგენილი სარჩელით ითხოვს, ზემოხსენებული სახლიდან მოპასუხეთა გამოსახლებას სკ-ს 160-ე მუხლზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს და სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ დავის საგანი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს არ წარმოადგენს. სკ-ს მე-7 მუხლის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ სკ არეგულირებს ურთიერთობებს, რომლის დავის საგანი სამოქალაქო ბრუნვაშია, ანუ ნივთზე ზემოქმედება, (მფლობელობა, განკარგვა და სხვა) შესაძლებელია სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით. რაც შეეხება მოცემულ შემთხვევას, უკანონო ნაგებობაზე კანონით გათვალისწინებული წესით არ შეიძლება დადგინდეს არც საკუთრება და შესაბამისად, არც მფლობელობა.



საქმე № ას-1397-1413-2011

15 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე საერთო მიწის ნაკვეთზე ნაგებობის აღმართვა**

თ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. წ-ის მიმართ და მოითხოვა, დაევალოს მოპასუხეს ქ.თბილისში, ი-ის ქ.№ 20-ში არსებული 4/18 წილის დემონტაჟი ქალაქ თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის 2001 წლის 26 თებერვლის არქიტექტურული გეგმარებითი დავალების შესაბამისად.

პალატა იზიარებს კასატორის თ. მ-ის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ წ-ის მიერ საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობით შემცირდა მ-ის წილი საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის და მესამე პირის მიერ 2001 წელს გაცემული თანხმობა შეფასებულია, როგორც ე. წ-ის ძველი სახლის (რომლის დემონტაჟიც დავის საგანს წარმოადგენს) ადგილას ახალი სახლის არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება. დადგენილია ისიც, რომ ე. წ-ის მიერ წარმოებული მშენებლობა შეუსაბამობაშია არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებასთან. აღნიშნული იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ე. წ-მა განხორციელებული მშენებლობით მნიშვნელოვნად გაზარდა მისი წილი მიწის ნაკვეთის ფართი, რის გამოც შემცირდა დანარჩენ თანამესაკუთრეთა წილი. ბუნებრივია, შელახულია მოსარჩელის საკუთრების უფლებაც მიწის ნაკვეთზე. მას შეეზღუდა სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით გათვალისწინებული მის თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის და ფლობის უფლება. არც ამავე კოდექსის 173-ე მუხლის მოთხოვნაა დაცული. მითითებული ნორმის თანახმად, საერთო საკუთრებაში არსებული ნივთი თანამესაკუთრებთან შეთანხმებით შეიძლება დაგირავდეს ან უფლებრივად სხვაგვარად დაიტვირთოს ერთ-ერთი მესაკუთრის სასარგებლოდ და მისი ინტერესებისათვის. მითითებული ნორმა ერთ-ერთი თანამესაკუთრის ინტერესების სასარგებლოდ ქონების უფლებრივ დატვირთვისათვის უპირობოდ ითხოვს ყველა თანამესაკუთრესთან შეთანხმებას. მოცემულ შემთხვევაში კი თანამესაკუთრებთან შეთანხმების გარეშე მოხდა საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აღმართვა ნაგებობისა ისე, რომ არ დაנגრეულა ძველი სახლი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პალატა შეუძლებლად მიიჩნევს სარჩელის დაკმაყოფილებას. ასეთი შედეგი განპირობებულია იმ გარემოების გამო, რომ ე. წ-ის მიერ აგებული შენობა მიღებულია ექსპლუატაციაში და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მისი უფლება. იმავდროულად მის საკუთრებაშია ძველი სახლიც. შესაბამისად პალატა თვლის, რომ სამოქალაქო სასამართლო ვერ შესძლებს დაანგრის ნაგებობები, ვიდრე ისინი ითვლებიან კანონიერ ნაგებობად და ძალაშია მათი ექსპლუატაციაში მიღების აქტები. ასეთ დროს დარღვეული უფლების აღდგენა უნდა მოხდეს სხვა სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით.

### 2.3. სამეზობლო სამართალი

საქმე № ას-1185-1205-2011

5 მარტი 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 174-ე და 175-ე მუხლები)**

ტ. ი-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს.კომპანიის“ მიმართ საკუთრებით სარგებლობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთის შესახებ.

ტ. ი-ემ ქ.ქუთაისის მერიის მიერ 2008 წლის 30 სექტემბერს ჩატარებულ აუქციონზე, 4422 ლარად შეიძინა 210,50 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქ.ქუთაისში, ნ-ს ქ. მე-2 შესახვევ № 58ბ-ში მდებარე

მიწის ნაკვეთი. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე, ტ. ი-ეს ქ. ქუთაისის მერიის მიერ გადაეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რის შედეგადაც, მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღირიცხა მის სახელზე.

ქალაქ ქუთაისის მერიის 2010 წლის 6 მაისის № 713 ბრძანების საფუძველზე გაიცა ქ.ქუთაისში, ნ-ს ქ. მე-2 შესახვევ № 58ბ-ში მდებარე მოქალაქე ტ. ი-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის დაწყების წინ, ტ. ი-ეს შპს „ს.კომპანიის“ ქუთაისის სერვის-ცენტრის 2010 წლის 1-ლი ივლისის წერილით ეცნობა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ქვეშ გადიოდა მათ ბალანსზე რიცხული თუჯის მაგისტრალური წყლის მილი, რომლისთვისაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სანიტარულ-დამცავი ზონის არსებობის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინდა ცნო და კასატორს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული სადავო წყლის მაგისტრალური ქსელი დამონტაჟდა მრავალი ათეული წლის წინ, რომლითაც ხდება ქ.ქუთაისის მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა და ორგანიზაციების წყლით მომარაგება

მოცემულ შემთხვევაში, ტ.ი-ის ნეგატორული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს ამ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის კანონით გათვალისწინებული აუცილებელი წინაპირობის არარსებობა, კერძოდ, საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა უნდა აღიკვეთოს მაშინ, თუ ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. როგორც ზემოთ აღინიშნა,

უდავოა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხემ სადავო ქმედება წყლის მაგისტრალური მილის დამონტაჟება განახორციელა ტ.ი-ის მიერ მიწის ნაკვეთის შექენამდე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ტ.ი-ემ შეიძინა უფლებრივად დატვირთული ნივთი. სამოქალაქო კოდექსის 487-ე და 489-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია, განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, შემძენი მესამე პირთან მიმართებაში იმ უფლებრივი ტვირთის მატარებელია, რაც ნივთის შექენამდე არსებობდა და უფლებრივი ნაკლის თაობაზე ვალდებულებითი სამართლის ნორმებიდან გამომდინარე მყიდველს — კრედიტორს პრეტენზია, მხოლოდ გამყიდველს — მოვალის მიმართ შეიძლება გააჩნდეს.

განსახილველ საქმეში სადავოს არ წარმოადგენს არც ის ფაქტიც, რომ მაგისტრალური მილი გადის ზუსტად მიწის ნაკვეთის შუაში და მისი არსებობა ტექნიკური თვალსაზრისით ხელს შეუშლის ქ.ქუთაისის მერიის დამტკიცებული პროექტისა და გაცემული ნებართვის შესაბამისად მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით ობიექტის მშენებლობას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებით მესაკუთრეს ქონების თავისუფალი ფლობისა და სარგებლობის უფლება ეზღუდება, თუმცა სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი ამგვარ შეზღუდვას უშვებს, თუკი იგი კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შემოჭვის ფარგლებშია. მოცემულ შემთხვევაში, ნივთზე უფლების კანონისმიერ შეზღუდვასთან გვაქვს საქმე, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მყიდველმა უფლებრივად დატვირთული ნივთი შეიძინა და მესამე პირთან მიმართებით იგი ისეთივე უფლება-მოვალეობების მატარებელია, როგორც მისი წინამორბედი მესაკუთრე.

სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, ვალდებული არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება. ამდენად, კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ მოცემულ ნივთთან დაკავშირებული დავა სწორედ სამეზობლო სამართლის ნორმებით უნდა იქნეს განხილული. მოპასუხის მიერ სხვისი მიწის ნაკვეთით სარგებლობა სწორედ ამ სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში უნდა იქნეს განხილული. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს სადავო მილის მოპასუხის ხარჯით სხვა ადგილზე გადატანა და მიწის ნაკვეთის განთავისუფლება, რაზედაც მოპასუხე თანახმა არ არის. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში მოპასუხე იღებს პასუხისმგებლობას იმ იურიდიულ

შედგებზე(თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე), რომელიც სხვისი ნივთით, კონკრეტულ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის სარგებლობას შეიძლება მოჰყვეს, თუმცა, ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება დავის საგანს არ წარმოადგენს და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს აღნიშნულზე.

**საქმე № ას-573-849-04**

**28 ივლისი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა, თავის ოთახში შესასვლელად ისარგებლოს მოპასუხის სახელზე აღრიცხული '15 და '12-12 ოთახების გავლის უფლებით, თავისთავად არსებით ზემოქმედებას წარმოადგენს მოპასუხის სამოქალაქო უფლებაზე, თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (სკ-ის 170-ე მუხლი). ასეთი ზემოქმედება კი დაუშვებელია, თუკი ამ ზემოქმედების აღკვეთა შესაძლებელია სხვა სახის ღონისძიებით.

დადგენილია, რომ ამ სახის ზემოქმედების აღკვეთა, კერძოდ, იმის მიღწევა, რომ მოსარჩელე შევიდეს თავის კუთვნილ ოთახში, შესაძლებელია მოპასუხის საკუთრებაში მყოფი ოთახების გაუვლელადაც, მოსარჩელის ოთახის ერთ-ერთი ფანჯრის ღიობის კარებად გადაკეთების გზით. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება, მოპასუხეს დაეკისროს თმენის ვალდებულება მის ქონებაზე მოსარჩელის მიერ განხორციელებულ სარგებლობის იმ წესისადმი, რომელიც მას დაწესებული ჰქონდა მოპასუხის მიერ მესამე პირისაგან ამ ქონების შეძენამდე.

**საქმე № ას-1176-1420-05**

**6 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ა. ო-ისა და გ. კ-ის მიწის ნაკვეთი და სახლი მდებარეობს მეზობლად. გ. კ-ის საკუთრებაში არსებული შენობა წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს, რომელშიც ფუნქციონირებს სასტუმრო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საცხოვრებელი სახლით სარგებლობა ჩვეულებრივი სარგებლობა არ არის. სკ-ის 175-ე მუხლის მიხედვით კი მეზობელს, უძრავი ქონების მესაკუთრეს, არსებითი ზემოქმედების თმენის ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ზემოქმედება გამოწვეულია უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით.

სკ-ის 175-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია, აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე ზემოქმედებანი, როცა ზემოქმედება არსებითია, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით.

აღნიშნული ნორმის დანაწესის მიხედვით დავის არსებობისას, მიუხედავად იმისა, სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით სარგებლობა ჩვეულებრივია თუ არა, არსებითია გაირკვეს, რომ ამ ქონებიდან მომდინარე ზემოქმედება არსებობს. სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია, სასტუმროს ფუნქციონირება იწვევს თუ არა რაიმე ზემოქმედებას მეზობელ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე. თავისთავად ქონებით არაჩვეულებრივი სარგებლობის ფაქტი, თუ ასეთს ადგილი აქვს, არ ნიშნავს მისგან მომდინარე ზემოქმედების არსებობას.

**საქმე № ას-549-853-05**

**21 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დაუშვებელი ხელყოფა (სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლი)**

სკ-ის 174-ე მუხლით, მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი ვალდებული არიან, პატივის სცენ ერთმანეთს. 175-ე მუხლის პირველი ნაწილით, მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი მიწის ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გამის, ორთქლის,

სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მხარეთა მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლის მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფს მის უფლებას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ სადავო ბოსელი და მისგან მომდინარე სუნი, ხმაური, აშკარად ლახავს მოსარჩელის უფლებებს. პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძელია სკ-ის 176-ე მუხლი, რომლითაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ მიწის ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა აღნიშნული ნორმა.

**საქმე № ას-740-956-08**

**10 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნაკვეთით სარგებლობის უფლების დაუშვებელი ხელყოფა (სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული ნორმის განმარტებას, რომ „დაუშვებელ ხელყოფაში“ იგულისხმება ნაგებობის იმგვარი ექსპლუატაცია, რომელიც სამეზობლო ზემოქმედების თმენის ვალდებულების კანონით დადგენილ ფარგლებს სცილდება და მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უსაფრთხოების დადგენილი წესებით დაცული არ არის.

**საქმე № ას-94-427-09**

**22 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დაუშვებელი ხელყოფა (სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლი)**

2007 წლის 2 ნოემბერს საჩხერის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ზ. გ-დემ მოპასუხე ნ. გ-ურის მიმართ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მშენებლობის გაგრძელების აკრძალვა და ნაგებობის დემონტაჟის დავალება.

საქმეზე დადგენილია, რომ საჩხერეში, ... ქ. '48-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ეკუთვნის ნ. გ-ურს, ხოლო მის მომიჯნავედ, ... ქ. '2-ში მდებარე სახლი და მიწის ნაკვეთი — ზ. გ-ძეს;

ნ. გ-ურის სახლის მიმდებარედ მდებარეობს მიწის ნაკვეთი, ზომით 30.38კვ.მ, რომელიც უკავშირდება ზ. გ-ძის კუთვნილ ნაკვეთს საცხოვრებელი სახლის უკანა მხრიდან. მასზე ნ. გ-ურს მიშენებული აქვს ფარდული (ავტოფარეხი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სადავოა, ზ. გ-ძის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ, მოპასუხის მიერ ფარდულის (ავტოფარეხი) მიშენება, წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის საკუთრების დაუშვებელ ხელყოფას, რაც სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის საფუძველზე ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის არსებობის აუცილებელი პირობაა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელშეშლის აღკვეთის შესახებ სადავო მოთხოვნის უარყოფა ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ზ. გ-ძის საცხოვრებელ სახლს თავის მიწის ნაკვეთთან კავშირი უკვე გააჩნია ... ქუჩის მხრიდან. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული არგუმენტი არასაკმარისია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის სათქმელად. მითითებული ნაკვეთის ზ. გ-ძის საცხოვრებელი სახლის მოსაზღვრედ მდებარეობა თავისთავად განპირობებს მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს, არ დაუშვას მისი ნაკვეთის საზღვართან უკანონო ნაგებობის მშენებლობა. ასეთ ვითარებაში ვერ ვიტყვით, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელყოფას ადგილი არ აქვს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშეშლის აღკვეთის მოცემული მოთხოვნის მართლობის დასადაგენად, სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მხედველობაში მისაღები ის გარემოება, რომ სადავო მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს არც ერთი მხარის საკუთრებას. საქმეზე დადგენილია, რომ ადგილი, რომელზეც მოპასუხის ავტოფარეხია განთავსებული თვითმმართველი ერთეულის კუთვნილებაა, ანუ მითითებული ტერიტორია არის საერთო სარგებლობის. შესაბამისად, მასზე ორივე მხარეს თანაბარი უფლებები გააჩნია.

იმის გათვალისწინებით, რომ სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს საჯარო ნივთს, აღნიშნული ნივთით სარგებლობის უფლება აქვს ყველა პირს და მისი თვითნებურად შეზღუდვა დაუშვებელია.

**საქმე № ას-161-489-05**

**27 აპრილი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თმენის ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლი)**

ქ. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ა. ბ-ის მიმართ და მოითხოვა, რომ მოპასუხეს მოეშალა ქუჩის მხრიდან 5 მეტრის მოშორებით უკანონოდ მიშენებული ღია აივანი და ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ შედგენილი გეგმის შესაბამისად მხარეთა შორის არსებული საზღვარი მოეყვანა პირვანდელ მდგომარეობაში.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ექსპერტის 2000 წლის 7 აგვისტოს დასკვნა, რომლის თანახმად ქ. თბილისში, ..... მდებარე, ბ-ის სახელზე რიცხულ სახლთმფლობელობაში, ლითონის სვეტები, რომელზედაც დაშენებულია ა. ბ-ის ღია აივანი, მდებარეობს ბ-ის მიწის ნაკვეთზე და საშუალოდ 13 სანტიმეტრითაა გადაწეული.

საკასაციო პალატა თვლის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელის დავის საგანი არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ მშენებლობის დროს მეზობელი ნაკვეთის საზღვრების გადაცილება; აღნიშნული ურთიერთობა კი წესრიგდება სკ-ის 179-ე მუხლით. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობინებისთანავე განაცხადა. განსახილველი ნორმა იძლევა შესაძლებლობას სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ ურთიერთობას, კერძოდ, კასატორის მოთხოვნა რამდენად საფუძვლიანია სამართლებრივი თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ნორმა გულისხმობს ისეთ დარღვევას, როდესაც ნაგებობა ან მისი ნაწილი მთლიანად იკავებს მეზობელ ნაკვეთს, ანუ ადგილი აქვს დარღვევას, რომლითაც მნიშვნელოვნად იზღუდება მეზობლის საკუთრების უფლება. მოცემულ შემთხვევაში კასატორი ვალდებულია, სკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად არ გამოიყენოს ბოროტად საკუთრების უფლება.

ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდება ა. ბ-ის მხრიდან ქ. ბ-ის საკუთრების უფლების დაუშვებელი და მნიშვნელოვანი ხელყოფის ფაქტი, რის გამოც ქ. ბ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

**საქმე № ას-144-486-07**

**26 ივლისი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი

გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური. მესაკუთრის უფლებები შეზღუდულია ან კანონით, ან ხელშეკრულებით (სკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი). 180-ე მუხლში საკუთრების უფლების კანონისმიერი შეზღუდვის პირობებია მოცემული. თუ არსებობს ამ მუხლით გათვალისწინებული პირობები, მაშინ მეზობელმა უნდა ითმინოს თავისი მიწის ნაკვეთის დატვირთვები. მეზობელი ნაკვეთის დატვირთვა ობიექტური გარემოებებით უნდა იყოს გამოწვეული, კერძოდ, როდესაც მიწის ნაკვეთი მთლიანადაა იზოლირებული საჯარო გზებისაგან, ანდა მისი დიდი ნაწილია. ამგვარ მდგომარეობაში ან კიდევ საამისოდ ადრე არსებობდა ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი გზა, მაგრამ ამჟამად შეუძლებელია მისი ამ მიზნით გამოყენება. აუცილებელ გზაში იგულისხმება არა მარტო ბილიკი, საცალფეხო გზა, არამედ სამანქანო გზაც.

### **საქმე № ას-102-100-2011**

**24 მაისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ ბ. მ-ს საკუთრებაში არსებულ მონაკვეთზე ისე დაადგინა აუცილებელი გზის ვალდებულება, რომ სარწმუნოდ არ დაუდგენია სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული და კასატორის მიერ სადავოდ მიჩნეული წინაპირობა — მოპასუხეთა მიწის ნაკვეთს აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი.

აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.

კანონის ეს დანაწესი გულისხმობს ნივთის ასეთი უფლებით დატვირთვას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ანუ ობიექტური გარემოება (სხვა გზის არარსებობა, რაც ნივთის ჯეროვანი გამოყენების საშუალებას არ იძლევა და ამით ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა მცირდება ან საერთოდ იკარგება) წარმოშობს სხვისი ნივთით სარგებლობის აუცილებლობას. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით აუცილებელი გზის მხოლოდ აუცილებელ, უალტერნატივო შემთხვევებში დადგენა განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციით და ამავე კოდექსით აღიარებული საკუთრების უფლების თავისუფლებით, ამასთან, ამ უფლების შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით კანონი მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შეზღუდვას აწესებს მხოლოდ ნორმაში აღნიშნულ წინაპირობათა უტყუარად არსებობის შემთხვევაში. ამავდროულად, ამ წინაპირობების არსებობის აუცილებლობაზე გავლენას არ ახდენს მესაკუთრის მიერ მეზობლისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი მიზნით (მეორე მეზობლის მიერ ნაკვეთით უკეთ სარგებლობის ან სხვა) და საფუძვლით (კეთილმეზობლური, ნათესაური და სხვა) მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლების გადაცემა. ამდენად, მატერიალური სამართლით გათვალისწინებულ წინაპირობათა არსებობა კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით სარწმუნოდ უნდა იქნეს დადგენილი.

### **საქმე № ას-744-801-2011**

**13 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს აუცილებელი გზის გამოყენების შესაძ-

ლებლობას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ ფაქტობრივ გარემოებებიდან, რომლებიც დადგენილად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, არ გამომდინარეობს ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრული შედეგი.

განსახილველი ნორმით წესრიგდება სამეზობლო თმენის ვალდებულება, რაც წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს. ამ ნორმით გათვალისწინებული ბოჭვის უფლების ამ ხარისხით გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე. მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება ნიშნავს საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან აუცილებელი კავშირის არსებობას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კავშირის არსებობა არ არის დამოკიდებული სუბიექტური მიზანშეწონილობასა და არჩევანზე, არამედ ობიექტურად არსებულ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უთითებენ აუცილებელ, უალტერნატივო კავშირზე საჯარო გზებთან და ა.შ.

## საქმე № ას-975-1009-2011

8 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი)

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი, შესაბამისად, არ გაითვალისწინა ყველა ის წინაპირობები, რომლებიც აუცილებელია ამ ნორმით გათვალისწინებული დასკვნისათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ ი. ფ-ეს ცენტრალურ ქუჩასთან დაკავშირება შეუძლია მის საკუთრებაში არსებული ორსართულიანი ბინის მე-2 სართულიდან, სადაც ბინის გავლით შეიძლება ი. ფ-ის ეზოში გასვლა.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნების მიხედვით ი. ფ-ე ვერც მის საკუთრებაში არსებული მიწიდან და ვერც მის საკუთრებაში არსებული ბინის პირველი სართულიდან საჯარო გზას ვერ უკავშირდება და სააპელაციო სასამართლოს განჩინების მიხედვით, ამის აუცილებლობაც არ არსებობს, რადგან საჯარო გზას ი. ფ-ე უკავშირდება მის საკუთრებაში არსებული ბინის მე-2 სართულის მეშვეობით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე თუ რამდენად შესაძლებელია ი. ფ-ის მიერ დაკავშირება საჯარო გზებთან, მაგრამ არ გამოუკვლევია, რამდენად შესაძლებელია მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთიდან საჯარო გზასთან დაკავშირების გარეშე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს არა მარტო ისეთ შემთხვევებს, როდესაც საერთოდ არ არსებობს კავშირი, არამედ იმ შემთხვევებსაც, როდესაც არ არსებობს მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისათვის, კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო გზებთან აუცილებელი კავშირი. ამ შემთხვევაში უნდა გამოკვლეულ იქნეს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც მიუთითებს მიწის ნაკვეთის ჯეროვან გამოყენებაზე. ის ფაქტი, რომ ი. ფ-ეს გააჩნია საჯარო გზასთან კავშირი მისი ბინის მე-2 სართულიდან, თავისთავად არ გამორიცხავს მის საკუთრებაში არსებული ნაკვეთიდან საჯარო გზასთან დაკავშირების აუცილებლობას. ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს აუცილებელი, უალტერნატივო კავშირი, რომლის გარეშე შეუძლებელია მიწის ნაკვეთს ჯეროვანი გამოყენება, მაგალითად, როდესაც არსებობს მიწის ნაკვეთის გამოყენების სამეურნეო საჭიროება.

საქმე № ას-6-6-2012

23 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის „ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელ კავშირში“ არ იგულისხმება ბილიკი ან არასავაჭრობილო გზა. აღნიშნული გულისხმობს, მიწის ნაკვეთთან ჯეროვან მისასვლელს, რომელიც, სულ მცირე, უზრუნველყოფს ნაკვეთის დანიშნულებისამებრ გამოყენებას, ასევე გადაუდებელი დახმარების სამსახურების დანიშნულების ადგილამდე მიღწევას.

საქმე № ას-1416-1548-04

21 აპრილი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: განსხვავება აუცილებელ გზას და სერვიტუტს შორის (სამოქალაქო კოდექსის 180-ე და 247-ე მუხლები)**

სკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. მხარეები არ უარყოფენ იმ გარემოებას, რომ კომპანიას მიწის ნაკვეთი შეძენილი აქვს ნავთობის მილსადენის გასაცვანად, ხოლო შეძენილი ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისათვის კომპანიას ესაჭიროება აუცილებელი კავშირი ნავთობის ქსელთან. ასეთ შემთხვევაში მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, სკ-ის აღნიშნული ნორმის საფუძველზე, წარმოეშობა თმენის ვალდებულება, რაც უკავშირდება სწორედ მითითებული ნორმის გამოყენებას და არა აღნაგობის ან სერვიტუტის უფლების მოპოვებას.

სკ-ის 247-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული, რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ.

მითითებული ნორმისა და სკ-ის 180-ე მუხლის შედარებით ანალიზი ცხადყოფს, რომ თუ სერვიტუტი უკავშირდება მიწის ნაკვეთის გარკვეული უფლებით შესაძლო დატვირთვას, აუცილებელი გზა ცალსახად გულისხმობს ნივთის ასეთი უფლებით დატვირთვის იმპერატიულ მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში ობიექტურმა საჭიროებამ წარმოშვა აუცილებელი პირობა სხვისი ნივთით სარგებლობისა, რასაც კანონმდებლობა მკაფიო შედეგს — აუცილებელი გზის უფლებას უკავშირებს.

საქმე № ას-321-724-06

5 იანვარი, 2007 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სასაზღვრო ნაგებობით სარგებლობა (სამოქალაქო კოდექსის 182-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთი ერთმანეთისაგან გამიჯნულია ღობით ან საზღვრად გამოყენებული სხვა ნაგებობით, ივარაუდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს აქვთ თანაბარი უფლება ისარგებლონ ამ ნაგებობით, თუკი ნაგებობის გარეგნული მხარე პირდაპირ არ მიუთითებს, რომ იგი მხოლოდ ერთ-ერთი მეზობლის საკუთრებაა, ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ვიდრე ერთ-ერთი მეზობელი დაინტერესებულია ამ სასაზღვრო ნაგებობის არსებობით, დაუშვებელია მისი აღება ან შეცვლა მეზობლის თანხმობის გარეშე. მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, რადგანაც საზღვრად გამოყენებული ნაგებობა ორივე მეზობლის ინტე-



რესებს ემსახურება, მისი აღებაც და შეცვლაც ურთიერთშეთანხმებით უნდა მოხდეს. ერთ-ერთ მეზობელს, რომ დაეკარგა მის მიმართ ინტერესი, ეს არაა საკმარისი მისი აღება-შეცვლისათვის.

## **2.4. საკუთრების შექმნა და დაკარგვა**

### **2.4.1. უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა**

**საქმე № 3კ-932-02**

**9 დეკემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა**

**განმარტების საგანი: უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობა**

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის ზოგიერთი ნორმის მიხედვით (მაგალითად 1513-ე, 1433-ე მუხლები) პირი მესაკუთრედ ითვლება, ერთ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, მაგრამ კანონი ორივე შემთხვევაში იმპერატიულად მოითხოვს სანივთო სამართლებრივი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

აღნიშნული მუხლების შესაბამისად, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გაფორმება საბოლოოდ წარმოებს სწორედ სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესებით, რაც ამ უფლების წარმოშობის ერთ-ერთი წინაპირობაა (სკ-ს 183-ე მუხლი).

პალატა თვლის, რომ შექმნის ინტერესებიდან გამომდინარე, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ერთად შექმნილ, სკ-ს 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე (თანასაკუთრებაზე) მეუღლეთა საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად.

**საქმე № ას-146-140-2012**

**12 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობი გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია (სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შექმნაზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამდენად, მოქმედი კოდექსიც ითვალისწინებს უძრავი ნივთის შექმნისათვის გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაციას, მაგრამ რეგისტრაციისათვის არ არის დადგენილი ვადა და რეგისტრაციის დაუცველობა არ იწვევს გარიგების ბათილობას.

**საქმე № ას-524-869-07**

**25 დეკემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შექმნა (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლი)**

ბ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ტ. ა-ს მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად საქმეში ჩაერთო ე. გ-ი, რომელმაც მოითხოვა ზ.მ-სა და ლ.ლ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი დასაბუთებით: 2004 წლის 2 ივლისს ე.გ-მა ლ.ლ-საგან იყიდა სადავო ბინა და საკუთრების უფლებით აღრიცხა ტექალრიცხვის ბიუროში, რა დროიდანაც ცხოვრობს იქ დედასთან — ტ. ა-სთან ერთად. ამდენად, მისი, როგორც ნივთის მესაკუთრის, ნების გარეშე დადებული ყოველგვარი გარიგება ბათილია.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით მხარეთა შორის გადანაწილებულია მტკიცების ტვირთი. რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია შემძენს უადვილებს უფლების კანონიერების მტკიცების პროცესს. რეესტრის მონაცემთა უსწორობა და შემძენისათვის ამ ფაქტის ცოდნა მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუკი მხარე სადავოდ ხდის შემძენის კეთილსინდისიერებას, სასამართლოს არ შეუძლია თავისი დასკვნა ნივთის შეძენის კანონიერებაზე დააყრდნოს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე და გამოიკვლიოს, რა იცოდა შემძენმა ჩანაწერის ხარვეზიანობის შესახებ. ამ უკანასკნელი საკითხის გამორკვევისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან მიმართებით, ანუ უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტი. სწორედ ამ გარემოებათა გამოკვლევას უნდა ეფუძნებოდეს დასკვნა შენაძენის ნამდვილობისა და მისი დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზ. მ-ი წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს, ვინაიდან საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრის — ლ.ლ-საგან შეიძინა ბინა. ასევე მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დგინდება, რომ ზ. მ-მა იცოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს არანაირი შეფასება არ მიუცია იმ ფაქტისთვის, რომ მოწინააღმდეგე მხარეები ე. გ-ი და ტ. ა-ა ბინის შეძენიდან — 2004 წლის ივნისიდან ცხოვრობენ სადავო ბინაში. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ უძრავი ნივთის ფლობა არ განაპირობებს მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას, მაგრამ აქვე განმარტავს, რომ უძრავი ნივთის შემძენის კეთილსინდისიერების გამორკვევისათვის აღნიშნულ ფაქტს შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭოს, ვინაიდან დამკვიდრებული წესის თანახმად, უძრავი ნივთის შემძენი შეძენამდე ინტერესდება ნივთის მდგომარეობით.

## **საქმე № ას-691-1021-07**

**12 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით მხარეთა შორის გადანაწილებულია მტკიცების ტვირთი. რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია შემძენს უადვილებს უფლების კანონიერების მტკიცების პროცესს. რეესტრის მონაცემთა უსწორობა და შემძენისათვის ამ ფაქტის ცოდნა მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუკი მხარე სადავოდ ხდის შემძენის კეთილსინდისიერებას, სასამართლოს არ შეუძლია თავისი დასკვნა ნივთის შეძენის კანონიერებაზე დააყრდნოს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე და გამოიკვლიოს, რა იცოდა შემძენმა ჩანაწერის ხარვეზის შესახებ. ამ უკანასკნელი საკითხის გამორკვევისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან მიმართებით, ანუ უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტი. სწორედ ამ გარემოებათა გამოკვლევას უნდა ეფუძნებოდეს დასკვნა შენაძენის ნამდვილობისა და მისი დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერება სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგს იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას ადგილი აქვს შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე (და არა შემძენისათვის ნივთის გადაცემამდე).

## განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები)

რ. დ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. და შ. დ-ების, მ. ლ-ძისა და ზ. ა-ძის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2001 წლის 6 თებერვლის ხელშეკრულებით, მოსარჩელემ დედის — შ. დ-ისაგან საჩუქრად მიიღო ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი. უძრავი ნივთი აღრიცხა რ. დ-ძის სახელზე, თუმცა კუთვნილი ქონებით ვერ ისარგებლა, რადგან სახლსა და მიწის ნაკვეთს უკანონოდ ფლობდნენ მოპასუხეები.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს, თავის მხრივ, შეგებებული სარჩელი აღძრეს რ. დ-ძის მიმართ და მოითხოვეს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, ასევე შ. დ-ძის სახელზე რეგისტრირებულ კომლში თავისი და თავისი ოჯახის წევრების აღდგენა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საკრებულოს, ...-ის, ...-ის '29-ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში 1963 წლიდან ცხოვრობს თ. დ-ძე ოჯახთან ერთად. მშობლებთან ერთად ააშენა და კეთილმოაწყო საცხოვრებელი სახლი, ეზოსა და საკარმიდამო ნაკვეთს იყენებდა დანიშნულებისამებრ.

დადგენილია, რომ ი. დ-ძის ოჯახი წარმოადგენდა საკოლმეურნეო კომლს. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის '949 დადგენილებისა და სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან საკოლმეურნეო კომლი გაუქმდა და, სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 122-ე და 125-ე მუხლების თანახმად, მისი ქონება თანასაკუთრების უფლებით გადანაწილდა კომლის წევრებზე.

დადგენილია, რომ ი. დ-ძის საკოლმეურნეო კომლის გაუქმების დროისათვის, 1993 წლისათვის, საკოლმეურნეო კომლის წევრები იყვნენ: ი. დ-ძე, შ. დ-ძე, თ. დ-ძე, მ. დ-ძე, ნ. დ-ძე, მ. დ-ძე და შ. დ-ძე, შესაბამისად, სადავო საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა აღნიშნული პირების საერთო საკუთრებას თანაბარი წილის 1/7-ის უფლებით.

დადგენილია, რომ ი. დ-ძე გარდაიცვალა 1998 წელს, სამკვიდრო გაიხსნა ი. დ-ძის 1/7 წილზე, რომელიც ფაქტობრივი ფლობით მიიღეს მეუღლემ — შ. დ-ძემ და შვილმა — თ. დ-ძემ.

დადგენილია ასევე, რომ მთელი სახლმფლობელობა აღირიცხა შ. დ-ძის სახელზე, რომელმაც 2001 წლის 6 თებერვლის ხელშეკრულებით სადავო სახლი აჩუქა რ. დ-ძეს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. აღნიშნული ნორმის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების შეძენას, შემძენს, თავისი უფლების დასამტკიცებლად შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც სინამდვილეში უსწორო იყოს რეესტრის მონაცემები, ამ მდგომარეობას არაარსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის არცოდნაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის ფიქციასა და, შესაბამისად, ნივთის შეძენას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ ელემენტს — შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამ უკანასკნელი საკითხის გამორკვევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან მიმართებით, ანუ უნდა გაირკვეს, შემძენს

გონივრული წინდახედულობის ფარგლებში უნდა სცოდნოდან თუ არა სადავო ფაქტი. ამდენად, შემძენის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, არამედ ქონების მესაკუთრის ვინაობისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულებით.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე ახლო ნათესაურ კავშირში არიან ერთმანეთთან (და-ძმად), თ. დ-ქე 1963 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრობს სადავო საცხოვრებელ სახლში. მას სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია, შესაბამისად, მოსარჩელისათვის გონივრული წინდახედულობის ფარგლებში ცნობილი უნდა ყოფილიყო ოჯახის წევრთა საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ასეთი ფაქტების არცოდნას ვერ ასახულებს. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ შ. დ-ძის გარდა სადავო სახლმფლობელობას ჰყავდა სხვა თანამესაკუთრებიც, შესაბამისად, შემძენის ინტერესების დაცვა ვერ იქნება დაცული საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით.

### **საქმე № ას-1026-1219-08**

**3 ივლისი 2009 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ მ. ქ-იანი მიიჩნია კეთილსინდისიერ შემძენად იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ვერ მიუთითა მტკიცებულებაზე, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მ. ქ-იანისათვის ცნობილი იყო ი. კ-ძის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს აქტის გასაჩივრების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაცია აგებულია სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებზე. აღნიშნული ნორმებით დაცულია ნივთის შემძენის ინტერესები და თუ გამსხვილებელი რეესტრში რეგისტრირებული იყო მესაკუთრედ, მის მიერ დადებული გარიგება ითვლება ნამდვილად. აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის გარემოება, როდესაც ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა რომ ჩანაწერი უზუსტოა. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ ამ პირთა შორის დავის გადასაწყვეტად უნდა დაედგინა, იყო თუ არა საჩივარი შეტანილი საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ და შემძენმა იცოდა თუ არა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი უზუსტოა. იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილ პირს საჩივარი აქვს შეტანილი საჯარო რეესტრის ჩანაწერების თაობაზე, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ივარაუდება რეესტრის ჩანაწერის უზუსტობა. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო დაადგენდა საჩივრის შეტანის ფაქტს, მას უფლება არ ჰქონდა დაყრდნობოდა საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციას და სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად შემძენი მიეჩნია კეთილსინდისიერად.

ბემოთ მითითებული შედეგი დგება იმ შემთხვევაშიც, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. როგორც კასატორი უთითებს, ბინის შემძენი მისი კარის მეზობელია. ასეთ შემთხვევაში კი ძნელად სარწმუნოა ის გარემოება, რომ შემძენს არ სცოდნოდა მის მეზობლად მდებარე სახლის ნაკლის არსებობა-არარსებობის თაობაზე, უკიდურეს შემთხვევაში მას მცდელობა მაინც უნდა ჰქონოდა, შეეტყო მეზობლისგან ყველა გარემოება, რაც დაკავშირებული იყო ბინის ავკარგიანობასთან.

### **საქმე № ას-543-511-2010**

**14 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები)**

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა

პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიცბლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, პირის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევისათვის აუცილებელია სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა. ობიექტური ფაქტორები მოიცავს შემდეგი გარემოებების კუმულაციას:

1. საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ უფლების გამსხვიცბელი უნდა იყოს დარეგისტრირებული;
2. რეესტრის ჩანაწერების მიმართ შეტანილი არ უნდა იყოს საჩივარი.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორს, აღნიშნული გულისხმობს შემძენის სუბიექტურ დამოკიდებულებას ნამდვილი მესაკუთრის ვინაობისადმი, ანუ, გარიგების დადების მომენტისათვის, შემძენისათვის უცნობი უნდა იყოს რეესტრის ჩანაწერების უზუსტობის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების დროისათვის სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ შპს „კ.-“ იყო რეგისტრირებული. იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ მოპასუხეებისათვის ნამდვილი მესაკუთრის ვინაობა ცნობილი იყო, მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

კასატორის მითითებით, მოპასუხეები არ იყვნენ კეთილსინდისიერი შემძენები, ვინაიდან მათსა და გამსხვიცბელს შორის ნათესაური კავშირი არსებობდა, ამასთან ნასყიდობის ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგება იყო.

საკასაციო პალატა ზემოაღნიშნულ მტკიცებას ვერ გაიზიარებს. მხარეთა ნათესაური კავშირის დასადასტურებლად კასატორი მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ხელშეკრულებაში მითითებული შპს „კ.-ს“ პარტნიორები და მოპასუხეები ერთსა და იმავე მისამართზე არიან რეგისტრირებულნი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ერთსა და იმავე მისამართზე რეგისტრაცია, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც მხოლოდ ქუჩა და სახლის ნომერი ემთხვევა ერთმანეთს, მხარეთა შორის ნათესაურ კავშირს არ ადასტურებს, ამასთან, თუნდაც ნივთის შემძენი გამსხვიცბლის ნათესავი იყოს, აღნიშნული უპირობოდ მის არაკეთილსინდისიერებაზე არ მიუთითებს. ამ შემთხვევაში ასევე აუცილებელია იმ გარემოების დადასტურება, რომ შემძენისათვის ნამდვილი მესაკუთრის ვინაობა ცნობილი იყო.

## საქმე № ას-465-435-2010

31 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლი)

ქ. თბილისში, ... მე-2 შესახვევის 11ა-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა 1992 წლიდან პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოადგენდა ო. ნ-იას საკუთრებას, რომელიც მესაკუთრის სახელზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2005 წელს;

2008 წლის 21 მარტს ბინის მესაკუთრე ო. ნ-იასა და ნ. ც-შვილს შორის ერთი წლის ვადით დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, თვეში 500 აშშ დოლარის გადახდის პირობით. ნ. ც-შვილმა ო. ნ-იას თავი წარუდგინა საპატრიარქოს თანამშრომლად და ქირავნობის ხელშეკრულებაც დაიდო საპატრიარქოს მომლოცველთა სამსახურის ტიტულიან ფურცელზე. ნ. ც-შვილმა ხელშეკრულების დადებისას გამოიყენა თავისი პასპორტი;

აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ნ. ც-შვილმა გააყალბა გარდაცვლილი მამის — ი. ც-შვილის პირადობის მოწმობა (სურათი და დაბადების წელი), რის შემდეგაც დაამზადა ყალბი სანოტარო აქტი — ი. ც-შვილსა და ო. ნ-იას შორის ნ-იას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც დაათარიდა 2006 წლის 8 თებერვლით, რეესტრში რეგისტრაციის <sup>1</sup> 1-1773, ანალოგიურად დაამზადა ყალბი სანოტარო აქტი — უძრავი ქონების დამატებითი ნასყიდობის ხელშეკრულება, ამავე

ბინის დამატებით ფართობთან დაკავშირებით, რომელიც დაათარილა 2008 წლის 14 მაისით, რეესტრში რეგისტრაციის №1-6258, რომელიც ასევე ვითომდა დაიდო ი. ც-შვილსა და ო. ნ-იას შორის, ასევე ნოტარიუს ნ. მ-შვილთან. აღნიშნული ხელშეკრულებები 2008 წლის 23 მაისს ნ. ც-შვილმა წარადგინა საჯარო რეესტრში და ო. ნ-იას კუთვნილი საცხოვრებელი ბინა აღრიცხა ი. ც-შვილის სახელზე;

ნ. ც-შვილმა, ი. ც-შვილის სახელზე თაღლითურად აღრიცხული უძრავი ქონება, იპოთეკით დატვირთა მ. გ-შვილის, ჯ. თ-ძისა და თ. ს-შვილის სასარგებლოდ, რაზეც 2008 წლის 5 ივნისს ნოტარიუს ე. შ-შვილთან გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება და იპოთეკის სანაცვლოდ, მ. გ-შვილისაგან მიიღო 20000 აშშ დოლარი, ჯ. თ-ძისაგან — 6000 აშშ დოლარი, თ. ს-შვილისაგან კი 9000 ევრო.

უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ყურადღება გამახვილებულია ბათილი გარიგების ისეთ სახეზე, როგორცაა უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში გარდაცვლილი ი. ც-შვილი ვერ გამოავლენდა ამგვარ ნებას, ხოლო გამსხვისებელი, ანუ ნ. ც-შვილი იყო საამისოდ არაუფლებამოსილი პირი, ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას რეალურად მოხდა არანამდვილი მესაკუთრე პირისა და მყიდველის ნებათა თანხვედრა.

საჯარო რეესტრის დანიშნულებასა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა. ის წარმოადგენს კეთილსინდისიერი პარტნიორის უფლების დაცვის გარანტს. ზუსტად ამ პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას ვიხილავთ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 185-ე მუხლით ნახსენებ ტერმინ „გამსხვისებელში“ ყოველთვის იგულისხმება პირი, რომელიც არ არის უფლებამოსილი, გაასხვისოს საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული უფლება და ამდენად, ის არ არის უფლებამოსილი, დადოს ეს გარიგება. ზუსტად იმ შემთხვევებში, როდესაც უძრავი ნივთს ასხვისებს საამისოდ არაუფლებამოსილი პირი, მაგრამ ის რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, როგორც ამ უფლების მესაკუთრე, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით დაცულ შემძენის უფლებას, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

განსახილველი ნორმის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის დაცვა და, შესაბამისად, საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტისადმი მაღალი ნდობის უზრუნველყოფა. არ შეიძლება შემძენს მოეთხოვოს შესაძენი უფლების შესახებ იმაზე მეტი ცოდნა, რაც კანონით არის დადგენილი. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი ნდობა გულისხმობს იმას, რომ უფლება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, ნამდვილად ეკუთვნის გამსხვისებელს, ანუ იმ პირს, რომელიც გამოხატავს ნებას, გაასხვისოს მის სახელზე რეგისტრირებული უფლება. ამდენად, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა ნიშნავს სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეთა მიმართ ნდობასა და კეთილსინდისიერებას, რაც უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრის ჩანაწერების სისწორისა და სისრულის პრეზუმფციით.

ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე წარმოიშობა არა იმიტომ, რომ არაუფლებამოსილი გამსხვისებელი რეგისტრაციის ფაქტით გახდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე, არამედ იმიტომ, რომ სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულად აღქმად ფაქტებს, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ნდობა. კონკრეტულ შემთხვევაში ამ ფაქტებს განეკუთვნება საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია თავისი ბუნებით წარმოადგენს იურიდიულ ფიქციას, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტი სრულად და სწორად არის

განხორციელებული. აღნიშნული ფიქცია ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად არსებული ნებისმიერი ფაქტი, რომელიც მიუთითებს რეგისტრაციის ხარვეზზე, ვერ გამოიყენება განსახილველი ნორმით დაცულ ვარაუდს რეესტრში რეგისტრირებული უფლების მართებულობასთან დაკავშირებით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები იმის შესახებ, რომ ნ. ც-შვილი არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში სადავო ბინის მესაკუთრედ, ხოლო რეესტრში რეგისტრაცია განხორციელდა პირადობის მოწმობის გაყალბებით მისი გარდაცვლილი მამის სახელის გამოყენებით, მიუთითებს მხოლოდ და მხოლოდ უფლების რეგისტრაციის ხარვეზზე, ე.ი ობიექტურად არსებულ ფაქტზე, რომელიც არ და ვერ გამოიყენება იურიდიულ ფიქციას, როგორც კეთილსინდისიერი პარტნიორის მნიშვნელოვან გარანტს. ზუსტად ამაში გამოიხატება კანონისმიერი პრეზუმფციის მიზანი. არა აქვს მნიშვნელობა ობიექტურად არსებული ნაკლის ფორმასა თუ სახეობას, მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ რეგისტრაცია უნარიანი ფაქტი რეგისტრირებულ იქნეს ამ უფლების გამსხვისებლის სახელზე, შესაბამისად, გამსხვისებლად იგულისხმება პირი, რომლის საიდენტიფიკაციო მონაცემები მიუთითებენ რეგისტრირებული უფლების საკუთრებაზე (და არა ამ უფლების განსხვისებაზე უფლებამოსილი პირის სახელზე). აღნიშნული პრეზუმფციის აუცილებლობა ნაკარნახევია ერთ შემთხვევაში იმით, რომ უძრავი ნივთის შეძენისას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს ჰქონდეთ რეესტრის ჩანაწერების მიმართ ნდობა, ხოლო მეორე შემთხვევაში მათ არ მოეთხოვოთ ისეთი ფაქტების ცოდნა, რაც აღემატება მათ შესაძლებლობებს.

## საქმე № ას-888-836-2010

17 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლო იმ ფაქტს, რომ თითქოს ქ-ქემ იცოდა სასამართლოში არსებული დავის თაობაზე, იყენებს სარჩელის დაკმაყოფილებისა და გარიგების ბათილობის საფუძველად. კანონმდებლობით სადავო ნივთის გასხვისება აკრძალული არ არის. ამის დასტურია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ დავის პროცესში ნივთის გასხვისება არ წარმოადგენს არამართლზომიერ ფაქტს, იგი ცალსახად არ გულისხმობს მხარის არაკეთილსინდისიერებას. მას ყველა შემთხვევაში არ უკავშირდება ნივთის ჩამორთმევა, როგორც დავის განხილვის შედეგი.

კანონით ნივთის გასხვისება იკრძალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოდავე მხარის განცხადების საფუძველზე სასამართლო იყენებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას. აღნიშნული ღონისძიების გამოყენება მხარის უფლებას წარმოადგენს და მისი რეალიზაცია დაკავშირებულია კონკრეტულ განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ რისკებთან. ამ თვალსაზრისით, მხარეს აქვს პროცესუალური რესურსები იმისა, რომ თავიდან აიცილოს ყოველგვარი გაუგებრობა და მძიმე შედეგი სადავო ნივთის გასხვისების ჩათვლით.

დავის განმავლობაში ნივთის გასხვისებისას მყიდველს შეიძლება არ ჰქონდეს ინფორმაცია შეძენილ ქონებასთან დაკავშირებული დავის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შემძენი ითვლება კეთილსინდისიერად და მისი უფლება დაცულია კანონით (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები). თუ შემძენი ინფორმირებულია შესაძენ ნივთთან დაკავშირებული დავის თაობაზე, იგი ხდება იმ რისკის მატარებელი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება დადგეს ამ ნივთის მიმართ. თუ დაკმაყოფილდება სარჩელი, შემძენს მოეთხოვება კანონიერ მესაკუთრედ ცნობილი მოსარჩელისათვის ნივთის დაბრუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ შემძენმა დავის განმავლობაში შეიძინა ნივთი და ამის თაობაზე იგი ინფორმირებული იყო, შეუძლებელია შემძენი მივიჩნიოთ არაკეთილსინდისიერად და მას ჩამოვართვათ ნივთი. შემძენი არ შეიძლება ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერად და მასთან დადებული გარიგება გაბათილდეს, თუ რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის ყველა დოკუმენტი ამ ნივთ-

თან დაკავშირებით სამართლებრივად მოწესრიგებულია და სასამართლო დავის წაგების რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი. დავის დროს ქონების გასხვისებისას არაკეთილსინდისიერებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც შემძენისათვის ცნობილია, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეს საკუთრების უფლება არამართლზომიერად აქვს მოპოვებული და ნივთი სხვისდება შესაბამისი სამართლებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. მოცემული ნორმით დაცულია იმ შემძენის ინტერესი, რომელმაც ნივთი შეიძინა, რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირისაგან, მიუხედავად რეესტრში მისი რეგისტრაციის მართლზომიერებისა. ასეთ დროს თუ შემძენი დარწმუნებულია რეესტრის მონაცემების უტყუარობაში და მისთვის უცნობია რეგისტრაციის არამართლზომიერების თაობაზე, იგი კეთილსინდისიერია და მას ნივთი არ ჩამოერთმევა.

ქონების შეძენის თითოეულ შემთხვევაში, შეუძლებელია, გადამოწმება იმ ფაქტისა, მიმდინარეობს თუ არა დავა რომელიმე სასამართლოში ამ ნივთის თაობაზე. აღნიშნული კანონის თვალსაზრისით აუცილებლობას არც წარმოადგენს. შემძენის წინდახედულობა შემოიფარგლება რეესტრის მონაცემთა შემოწმებით. ამ თვალსაზრისით საჯარო რეესტრის მონაცემები მნიშვნელოვანი სამართლებრივი დატვირთვის მატარებელია. საჯარო რეესტრში აისახება ყველა მონაცემი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, აქ ფიქსირდება ინფორმაცია სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზეც კი.

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედებს სისრულისა და სიზუსტის პრეზუმფცია. რაც მითითებულია რეესტრში ითვლება სწორად და სრულად. ჩანაწერის უსწორობა ან უსრულობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემძენის წინააღმდეგ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ისეთი შემთხვევებში, თუ შემძენი ინფორმირებულია, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე (სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი) ან თუ მისთვის ცნობილია, რომ ჩანაწერი უსწოროა ან საჯარო რეესტრში ამ ჩანაწერის მიმართ შეტანილია საჩივარი (სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი), საჯარო რეესტრის მიმართ არსებული პრეზუმფცია ძალას კარგავს და შემძენი არ შეიძლება კეთილსინდისიერად იქნეს მიჩნეული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შემძენი კეთილსინდისიერია იმ შემთხვევაში, თუ იგი გამსხვისებელს მიიჩნევს მის მიერ შეძენილი ქონების მესაკუთრედ და ეს უკანასკნელი ასეთად არის რეგისტრირებული რეესტრში. აღნიშნულის საწინააღმდეგო ინფორმაცია მას არ გააჩნია, თუნდაც რეესტრის ჩანაწერის მიმართ შეტანილი საჩივრის თაობაზე.

## საქმე № ას-1269-1116-2010

10 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლი)

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თ. წ-ძესა და ჯ. შ-ძეს შორის ... რაიონის სოფელ ... მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ორჯერ — 2008 წლის 15 მაისს საჯარო რეესტრის სააგენტოს ... სარეგისტრაციო განყოფილებაში და 2008 წლის 5 ნოემბერს სანოტარო ბიუროში.

ზემოხსენებული მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში ჯ. შ-ძის სახელზე აღირიცხა 2008 წლის 5 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის 5 ნოემბრამდე, ჯერ კიდევ 2008 წლის 15 მაისს, ... რაიონის სოფელ ... მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ჯ. შ-ძესა და თ. წ-ძეს შორის დაიდო გარიგება საჯარო რეესტრის სამსახურში, სადაც ჯ. შ-ძის უფლების რეგისტრაცია ვერ განხორციელდა ამ ქონებაზე ყადაღის არსებობის გამო. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ჯ. შ-ძემ ამ დროისათვის შეიტყო უძრავ ქონებასთან დაკავშირებული



დავის არსებობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულის გამო მიზანშეუწონლად მიიჩნია შემძენის მიმართ რეესტრის უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფციის გამოყენება. ამ მოსაზრებას იზიარებს საკასაციო სასამართლოც.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ნასყიდობის საგანი — მიწის ნაკვეთი — გასხვისებულია ამ ნივთის თაობაზე დავის მიმდინარეობისას. კანონმდებლობით სადავო ნივთის გასხვისება აკრძალული არ არის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვიონ დავის საგანი ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა. დავის პროცესში ნივთის გასხვისება არ წარმოადგენს არამართლზომიერ ფაქტს, იგი ცალსახად არ გულისხმობს შემძენის არაკეთილსინდისიერებას. მას ყველა შემთხვევაში არ უკავშირდება ნივთის ჩამორთმევა, როგორც დავის განხილვის შედეგი.

კანონით ნივთის გასხვისება იკრძალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოდავე მხარის განცხადების საფუძველზე სასამართლო იყენებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას. აღნიშნული ღონისძიების გამოყენება მხარის უფლებას წარმოადგენს და მისი რეალიზაცია დაკავშირებულია კონკრეტულ განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ რისკებთან. ამ თვალსაზრისით, მხარეს აქვს პროცესუალური რესურსები იმისა, რომ თავიდან აიცილოს ყოველგვარი გაუგებრობა და მიძიმე შედეგი სადავო ნივთის გასხვისების ჩათვლით.

დავის განმავლობაში ნივთის გასხვისებისას მყიდველს შეიძლება არ ჰქონდეს ინფორმაცია შეძენილ ქონებასთან დაკავშირებული დავის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შეძენი ითვლება კეთილსინდისიერად და მისი უფლება დაცულია კანონით (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები). თუ შეძენი ინფორმირებულია შესაძენ ნივთთან დაკავშირებული დავის თაობაზე, იგი ხდება იმ რისკის მატარებელი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება დადგეს ამ ნივთის მიმართ. თუ დაკმაყოფილება სარჩელი, შეძენს მოეთხოვება კანონიერ მესაკუთრედ ცნობილი მოსარჩელისათვის ნივთის დაბრუნება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია ის გარემოება, რომ კასატორებმა შეძენის სახელზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში ვერ დაარეგისტრირეს ყადაღის არსებობის გამო. თავისთავად, ნივთზე ყადაღის არსებობა გულისხმობს იმას, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში სარჩელში მითითებული მოთხოვნა დაკმაყოფილება ყადაღა დადებული ნივთის რეალიზაციით. ასეთ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რის თაობაზე მიმდინარეობს მხარეთა შორის დავა — კონკრეტულად დაყადაღებული ნივთის თაობაზე, თუ სხვა ქონებასთან დაკავშირებით. ყველა შემთხვევაში ხდება დაყადაღებული ნივთის გასხვისება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საფუძველს მოკლებულია, კასატორის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით რომ, ყადაღას მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს და იგი არავითარი საშიშროების შემცველი არ არის. ყადაღის არსებობა თავისთავად გულისხმობს მიმდინარე დავიდან გამომდინარე ნივთის შესაძლო გასხვისების საშიშროების არსებობის ფაქტს.

**საქმე №ას-567-535-2012**

**1 აგვისტო, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შეძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლი)**

შ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ო-ის მიმართ ქ.თბილისში, ქ-ის შესახვევის მე-3 კორპუსში, მე-3 სადარბაზოს № 54 ბინის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და მისი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მოსარჩელისათვის გადაცემის მოთხოვნით.

გ. ო-მ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს შ. გ-ისა და მ. რ-ის მიმართ თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილად მიიჩნია საქმისათვის არსებული მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. ო-ე 1981 წლიდან უწყვეტად ცხოვრობს სადავო ბინაში.

შ. გ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია ქ.თბილისში, ქ-ის შესახვევის მე-3 კორპუსში, მე-3 სადარბაზოს მე-5 სართულზე მდებარე № 54 ბინა, ამ უკანასკნელის მიერ მ. რ-თან 2007 წლის 28 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე,

სადავო ნივთი ქ.თბილისის ისანი-სამგორის გამგეობის მიერ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მ. რ-ს 2006 წლის 11 აპრილის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც შემდგომში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით ნივთის გამსხვივებელს არ ჰქონდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება და მის მიერ გამოვლენილი ნება ნივთის გაყიდვის თაობაზე არ იყო ნამდვილი. შ. გ-ის მოქმედებები არ უნდა შეფასდეს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებად. სასამართლოს შეფასებით, მხარის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე მას ბინა ვიზუალურად არ დაუთვალეირებია, არამედ, ნასყიდობის დაბალი ფასით დაინტერესების გამო, შემოიფარგლა მხოლოდ ბინის გარეგნული — ეზოდან დათვალეირებით, წარმოადგენს ვარაუდის საფუძველს, რომ შემძენმა წინდახედულობის ნორმები დაარღვია.

შ. გ-მა ვერ დაადასტურა გამყიდველ მ. რ-თან მდგმურების ბინაში დარჩენისა და ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების ან მათ მიერ ბინის გათავისუფლების შესახებ, ასევე ქირავნობის თანხის ოდენობისა და მისი გადახდის წესის შესახებ შეთანხმება. ნაცვლად იმისა, რომ შემდგომი მოქმედებებით მოეთხოვა გ. ო-ისგან (როგორც დამქირავებლისგან) ქირის მისთვის გადახდა, ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში, 2007 წლის 5 ივლისს შ. გ-მა მიმართა თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებას სადავო ბინიდან გ. ო-ის გამოსახლებისა და საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

ის გარემოება, რომ შემძენმა არ დაიცვა წინდახედულობის ნორმები, ამასთან, სასამართლოს დასკვნით უფლების ნაკლის თავიდანვე გამოაშკარავება სირთულეს არ წარმოადგენდა (სადავო ბინაში იმჟამადაც ცხოვრობდა და დღემდე ცხოვრობს გ. ო-ე), საკმარისი აღმოჩნდა სააპელაციო სასამართლოსათვის შ.გ-ი მიიჩნია არაკეთილსინდისიერ შემძენად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასებები შ.გიგაშვილის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისაგან და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მოითითებს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებაზე (საქმე № ას-524-869-07), რომლითაც განიმარტა შემდეგი: უძრავი ნივთის ფლობა არ განაპირობებს მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას, მაგრამ უძრავი ნივთის შეძენის კეთილსინდისიერების გამორკვევისას აღნიშნულ ფაქტს შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭოს, ვინაიდან დამკვიდრებული წესის თანახმად, უძრავი ნივთის შემძენი შეძენამდე ინტერესდება ნივთის მდგომარეობით. საკასაციო პალატის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, შ.გ-ის მიერ სადავო ნივთის ვიზუალური დათვალეირება სწორედაც რომ ჯდება შემძენის ობიექტურ შესაძლებლობებსა და წინდახედულობის ფარგლებში, ამასთან, მართალია კანონმდებელი ნორმატიული აქტით არ ავლდებულებს უძრავი ნივთის შემძენს ასეთი მოქმედებების განხორციელებას, თუმცა, შემძენის ინტერესებშია უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის შეძენა, შესაბამისად ამ ინტერესების დაკმაყოფილებისათვის შემძენს მართებს იმ მინიმალური წინდახედულობის გამოჩენა, რაც თუნდაც ნივთის ვიზუალურ დათვალეირებაში შეიძლება გამოიხატოს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის შეფასების საგნად იქცა სხვა ცხოვრებისეული (ქირავნობის ურთიერთობა) ფაქტორებიც, რამაც ერთობლიობაში სწორი დასკვნების ჩამოყალიბება განაპირობა.

## განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები)

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე და 185-ე მუხლები, კერძოდ, საჯარო რეესტრის დანიშნულება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა. ის წარმოადგენს კეთილსინდისიერი პარტნიორის უფლების დაცვის გარანტს. ზუსტად ამ პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას ვიხილავთ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 185-ე მუხლით ნახსენებ ტერმინ „გამსხვისებელში“ ყოველთვის იგულისხმება პირი, რომელიც არ არის უფლებამოსილი, გაასხვისოს საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული უფლება და ამდენად, ის არ არის უფლებამოსილი, დადოს ეს გარიგება. ზუსტად იმ შემთხვევებში, როდესაც უძრავი ნივთს ასხვისებს საამისოდ არაუფლებამოსილი პირი, მაგრამ ის რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, როგორც ამ უფლების მესაკუთრე, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით დაცულ შემძენის უფლებას, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

განსახილველი ნორმის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის დაცვა და, შესაბამისად, საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტისადმი მაღალი ნდობის უზრუნველყოფა. არ შეიძლება შემძენს მოეთხოვოს შესაძენი უფლების შესახებ იმაზე მეტი ცოდნა, რაც კანონით არის დადგენილი. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი ნდობა გულისხმობს იმას, რომ უფლება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ნამდვილად ეკუთვნის გამსხვისებელს, ანუ იმ პირს, რომელიც გამოხატავს ნებას, გაასხვისოს მის სახელზე რეგისტრირებული უფლება. ამდენად, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა ნიშნავს სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეთა მიმართ ნდობასა და კეთილსინდისიერებას, რაც უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრის ჩანაწერების სისწორისა და სისრულის პრეზუმფციით.

ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე წარმოიშობა არა იმიტომ, რომ არაუფლებამოსილი გამსხვისებელი რეგისტრაციის ფაქტით გახდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე, არამედ იმიტომ, რომ, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულად აღქმად ფაქტებს, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ნდობა. კონკრეტულ შემთხვევაში, ამ ფაქტებს განეკუთვნება საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია თავისი ბუნებით წარმოადგენს იურიდიულ ფიქციას, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტი სრულად და სწორად არის განხორციელებული. აღნიშნული ფიქცია ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად არსებული ნებისმიერი ფაქტი, რომელიც მიუთითებს რეგისტრაციის ხარვეზზე, ვერ გამოირიცხავს განსახილველი ნორმით დაცულ ვარაუდს რეესტრში რეგისტრირებული უფლების მართებულობასთან დაკავშირებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. ამგვარი დანაწესია მოცემული სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით.

განსახილველი ნორმების მიხედვით, ყურადღება გამახვილებულია სუბიექტურ ფაქტორებზე, რომლის არსებობა გამორიცხავს მითითებული პრეზუმფციის არსებობას, კერძოდ, ამ შემთხვევაში იგულისხმება რეგისტრირებულ უფლების ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრი, კონკრეტულ შემთხვევაში სადავო 24 კვ.მ. წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი, რაც შემძენს უნდა მიუთითებდეს, რომ უფლების რეგისტრაცია გაპროტესტებულია, ან შემძენმა იცოდა (და არა უნდა სცოდნოდა. განსახილველი დათქმა მოცემულია, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლით მოცემული მოძრავ ნივთებზე კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტზე, ხოლო ამავე კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია ტერმინი „იცოდა“), რომ ჩანაწერი უზუსტოა.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ირაკლი დ-ემ იცოდა სადავო 24 კვ.მ ჩანაწერის უზუსტობის ან სხვა ხარვეზის თაობაზე.

**საქმე № ას-888-836-2010**

**17 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შემძენის არაკეთილსინდისიერების მტკიცების ტვირთი**

რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, როდესაც პირი იძენს რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული გამსხვისებლისაგან ქონებას, არაკეთილსინდისიერ შემძენად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისი მოწინააღმდეგე მხარე დაამტკიცებს მისი კეთილსინდისიერების გამომრიცხავი ზემოთ მითითებული გარემოებების არსებობას. ამიტომ მტკიცების ტვირთი, შემძენის არაკეთილსინდისიერებისა, აწევს შემძენის მოწინააღმდეგე მხარეს და არა შემძენს. აღნიშნული თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ შემძენს არასწორად დააკისრა იმ გარემოების დადასტურების ტვირთი, რაც ეკისრება მხარეს, რომელიც სადავოდ ხდის მის კეთილსინდისიერების ფაქტს.

## **2.4.2. საპუტრების შემძენა მოძრავ ნივთებზე**

**საქმე № 3კ-624-02**

**9 სექტემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა**

**განმარტების საგანი: მოძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის საფუძვლები (სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ამრიგად, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა: ნამდვილი უფლება (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლება მყიდველისა მოითხოვოს ნივთის გადაცემა) და ნივთის ფაქტობრივი გადაცემა (ამ შემთხვევაში ავტომანქანის გადაცემა მყიდველზე).

ფორმალურად, განსახილველ შემთხვევაში ორივე წინაპირობა არსებობს: მოსარჩელესა და გ.პ-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება და ავტომანქანაც გადასცა მოსარჩელემ მას მფლობელობაში სარეგისტრაციო მოწმობასთან ერთად. თუმცა, ნივთის მხოლოდ ფაქტობრივი გადაცემა არ არის საკმარისი მასზე საკუთრების წარმოშობისათვის: სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ნივთის გადაცემად ითვლება შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში. ამიტომ, მაგალითად, ავტომანქანის გადაცემა სასინჯი ტარებისათვის წარმოადგენს ნივთის გადაცემას არაპირდაპირ მფლობელობაში და იგი არ უნდა დაკვალიფიცირდეს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გადაცემად. ამასთან, ნივთის ფაქტობრივი გადაცემა მიზნად უნდა ისახავდეს საკუთრებაში ამ ნივთის გადაცემას.

## განმარტების საგანი: მოძრავი ნივთის — ავტომანქანის შექმნა (სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი)

სამოქალაქო კოდექსის 148-ე და 149-ე მუხლების თანახმად ავტომანქანა წარმოადგენს რა მოძრავ ნივთს, მასზე უნდა გავრცელდეს ამ კატეგორიის ნივთებთან დაკავშირებული საკუთრების გადაცემის სამართლებრივი რეჟიმი. ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნივთის გადაცემად ითვლება, შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.

აღნიშნული ნორმის ანალიზით, მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა: მესაკუთრის ნამდვილი, ლეგიტიმური უფლება და ნივთის გადაცემა. ავტომანქანის ნასყიდობაზე შეთანხმების მომენტში თ.მ-ეს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე გააჩნდა ვ.მ-ის მოძრავი ქონების განკარგვის სრული უფლებამოსილება, ასევე უდავოა, რომ N2009 წლის თებერვალში, მხარეთა შორის ნასყიდობის ზეპირი გარიგების დადების შემდეგ, მყიდველს — ს. ს-ს პირდაპირ მფლობელობაში გადაეცა ავტომანქანა და დაიწყო ამ ნივთით სარგებლობა. ამდენად, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, რომელთაც ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის, ამავე კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს ხელშეკრულების საგანი (ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“) და ნასყიდობის ფასი (5000 აშშ დოლარი). ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენდა ნასყიდობის ფასის ავტომანქანის გადაცემის შემდეგ, არა უგვიანეს 2009 წლის ივნისამდე გადახდა. სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მყიდველს ნასყიდობის საფასური სრულად არ გადაუხდია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ავტომობილი, მართალია წარმოადგენს მოძრავ ნივთს, მაგრამ მასზე ვრცელდება რა სპეციალური რეჟიმი, საკუთრების წარმოსაშობად საკმარისი არ არის მარტოოდენ მხარეთა შეთანხმება და ნივთის გადაცემა, არამედ დამატებით საჭიროა შემძენის მესაკუთრედ რეგისტრაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, რადგან „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება, მისაბმელი, ნომრიანი აგრეგატი ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას.

საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველები ამოწურავადა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის საფუძველები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას.

რაც შეეხება „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონს, პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული კანონით იმპერატიულად დადგენილია სატრან-

\* „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ 2009 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონს დამატა 9<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმადაც: „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.“ აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით იხ. სუსგ №ას-1685-1579-2012 28 იანვარი 2013 წელი; №ას-971-912-2012 26 ივლისი 2012 წელი.

სპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაცია, რაც თავისთავად არ წარმოადგენს ნივთზე საკუთრების წარმოშობის საფუძველს. რეგისტრაციის განხორციელება არ წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ სავაჭრო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება.

**საქმე №ას-1300-1320-2011**

**27 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პირობადებული საკუთრების, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის არაკლასიკური საშუალების გამოყენება უძრავ ნივთებზე (სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლი)**

მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ 2007 წლის 4 აგვისტოს, ერთი მხრივ, მოსარჩელებს, ჯ. ბ. ა-ის, ლ. ა-ის („ინვესტორი“) და მეორე მხრივ, მოპასუხეებს კ. ბ-სა და ჯ. ჩ-ს („შემსრულებელი“) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მხარეები შემდეგ არსებით პირობებზე შეთანხმდნენ: ინვესტორი განახორციელებდა 500 ათასი დოლარის ოდენობით ინვესტიციას, თბილისში ვ-ის 12/14-ში მდებარე ნომ. 608 კვ. მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით, რაც აღირიცხებოდა ინვესტორის საკუთრებად, ხოლო შემსრულებლები აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აწარმოებდნენ მშენებლობას და დაასრულებდნენ მას მიწის შეძენასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებიდან და მისი ინვესტორის საკუთრებად რეგისტრაციიდან თვრამეტ თვეში. „შემსრულებლები“ იღებდნენ ვალდებულებას დაებრუნებინათ ინვესტორისთვის ინვესტირებული თანხა სარგებელ 700 000 დოლართან ერთად თვრამეტ თვეში.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენს და სასამართლომაც დაადგინა ის ფაქტი, რომ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ 500 000 დოლარის ინვესტიციის განხორციელების თაობაზე განსაზღვრულ მისამართზე მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით, რაც აღირიცხებოდა ინვესტორის საკუთრებად. შემსრულებლები იღებდნენ ვალდებულებას, ინვესტორისთვის ინვესტირებული თანხა შეთანხმებულ სარგებელთან ერთად 18 თვეში დაებრუნებინათ. ხელშეკრულების 3.3 პუნქტით განისაზღვრა, რომ საინვესტიციო თანხისა და სარგებლის სრულად და დროულად დაბრუნების შემდეგ ინვესტორი გადასცემდა მიწის ნაკვეთს შემსრულებლებს ან მათ მიერ მითითებულ ნებისმიერ პირს საკუთრებაში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას მხარეთა შორის შეთანხმებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წესთან დაკავშირებით, კერძოდ;

სააპელაციო პალატა უდავოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მიწის ნაკვეთის შეძენა ემსახურებოდა მხოლოდ მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველყოფას და არა მის მიზანს — როგორც მესაკუთრემ განახორციელოს აღნიშნული ქონების ფლობა და სარგებლობა. გასაზიარებელია პალატის მოსაზრება, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფის ამგვარი შეთანხმება არ წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო დათქმას და იგი ნამდვილია.

მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რაც განპირობებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამოქალაქო ბრუნვის სფეროში. მოთხოვნის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კრედიტორს უქმნის რწმენას, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც კი, ამ სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით, შესძლებს საკუთარი მატერიალური უფლების დაცვას და მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სამოქალაქო კოდექსი არაერთი სახის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას გარიგების სახით იცნობს (გირავნობა, იპოთეკა, საბანკო გარანტია და სხვა), ამავდროულად კოდექსის არაერთი ნორმაც მოიცავს დანაწესს, რომელიც კრედიტორის მოთხოვნას უზრუნველყოფილს ხდის (კანონისმიერი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები), თუმცა, ეს ნორმები კლასიკური მოთხოვნის უზრუნველყოფის გარიგებებს არ წარმოადგენენ. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლი, რომლის ძალითაც, თუ გამსხვივებლმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. თუ შემძენი გააჭიანურებს საფასურის გადახდას, ხოლო გამსხვივებელი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, უკვე ორმხ-

რივად განხორციელებული შესრულება მხარეებმა უნდა დააბრუნონ. პირობადებული საკუთრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემძენის მფლობელობაში გადაცემული ნივთი საფასურის სრულ გადახდამდე გამსხვისებლის საკუთრებაა, ხოლო გამსხვისებლის მოთხოვნას მიუღებელი ნასყიდობის საფასურზე, გასხვისებულ ნივთზე შენარჩუნებული მისი მესაკუთრის ტიტული უზრუნველყოფს. მართალია, აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფა მხოლოდ მოძრავ ნივთებს ეხება, მაგრამ ამ შინაარსის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება არც უძრავ ნივთებზე იკრძალება.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამგვარი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება კლასიკური მოთხოვნის უზრუნველყოფად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, მაგრამ სამოქალაქო ბრუნვის ეფექტურობის მიზნით, სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საჭირო ქონების არ არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენებითაც ხელმისაწვდომი გახდეს სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობა.

ამასთან, ვალდებულების დარღვევისას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ინსტიტუტის არსი და დანიშნულება, კერძოდ, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება უზრუნველყოფილი მოთხოვნის გარანტიას წარმოადგენს და, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი იკავებს ვალდებულების შესრულების ადგილს, რაც შეიძლება განხორციელდეს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების აუქციონზე რეალიზაციით მიღებული თანხის, ასევე ნივთის კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემით. ამდენად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ფუნქცია შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება, ანუ მოვალის შესასრულებელ ვალდებულებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ჩანაცვლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაბუთებას მოკლებულია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია, მოსთხოვოს მოსარჩელეს ხელშეკრულების 3.3. ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და უზრუნველყოფის სახით გადაცემული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხეს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფის სახით გამოყენება საქმის მასალებით არ დგინდება. შესაბამისად დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, ხელშეკრულების 3.3. ქვეპუნქტიდან გამომდინარე კ.ბ-ისა და ჯ.ჩ-ს მიერ ჯ.ა-ისგან მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, მაშინ როდესაც მიწის ნაკვეთი თავიდანვე ჯ.ა-ის სახსრებით იქნა შეძენილი და ამ ნაკვეთის გადაცემის ვალდებულება მას მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემდეგ წარმოემობოდა.

### 2.4.3. საკუთრების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებში

საქმე № ას-491-1176-03

30 იანვარი, 2004 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: მოთხოვნის დათმობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება**

სკ-ს 198-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს, მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ძველი მფლობელი ვალდებულია, ახალ მფლობელს გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ყველა საბუთი, რომლებიც ეხება მოთხოვნებსა და უფლებებს და ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ მოთხოვნებისა და უფლებების გამოყენებისათვის.

სკ-ს 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნის მფლობელს შეუძლია, მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა).

სკ-ს 201-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოვალეს უფლება აქვს, დაუყენოს ახალ მფლობელს ყველა ის შესაგებელი, რაც მას ჰქონდა თავდაპირველი მფლობელის მიმართ მოთხოვნის დათმობის შესახებ ცნობის მიღების დროისათვის.

როდესაც დავა ეხება მოთხოვნის დათმობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებას, სასამართლომ უნდა დაადგინოს:

1. როგორ მდგომარეობაში იყო მოთხოვნები და უფლებები ძველი მფლობელის ხელში;
2. რა სახის ინფორმაცია გადასცა ძველმა მფლობელმა ახალ მფლობელს, რომელიც აუცილებელია ამ მოთხოვნებისა და უფლებების გამოყენებისათვის;
3. ჰქონდა თუ არა მას თავდაპირველი მფლობელის მიმართ შესაგებელი, რომელსაც მოვალე უყენებს ახალ მფლობელს.

## 2.5. აღნაგობა

**საქმე № ას-856-805-2010**

**17 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: აღნაგობის უფლებით დატვირთულ ნაკვეთზე აღმართული ნაგებობის ღირებულების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)**

სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება. ამავე კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ აღნაგობის უფლება სასყიდლიანი იყო, აღნაგობის უფლების ვადის გასვლის შემთხვევაში მიწის მესაკუთრემ აღნაგობის უფლების მქონეს უნდა მისცეს სათანადო ანაზღაურება ნაკვეთზე აღმართული ნაგებობისათვის.

კანონის დასახელებული დანაწესიდან გამომდინარე, აღნაგობის უფლების მქონე პირი უფლებამოსილია, აღნაგობის საგნის გამოყენების მიზნით აღნაგობით დატვირთულ მიწაზე და მის ქვეშ აღმართოს მისთვის საჭირო ნაგებობა. მხარეთა შორის სასყიდლიანი აღნაგობის არსებობისას, აღნაგობის უფლების ვადის გასვლის შემდეგ მიწის მესაკუთრე ვალდებულია, აღნაგობის უფლების მქონე პირს გადაუხადოს იმ ნაგებობის კომპენსაცია, რაც ან უკანასკნელმა აღნაგობის ფარგლებში ააგო.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის განჩინება წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, სასამართლომ დაადგინა ის ფაქტი, რომ ი. ბ-ოვმა ქ.ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე სადავო მისი ნაკვეთის ქვეშ აღმართა საკანალიზაციო მოწყობილობა ამავე მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ მდებარე შენობასთან დაგროვილი წყლის გატარების მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, დაასკვნა, რომ საქმის მასალებით ი.ბ-ოვის მიერ რაიმე სახის ნაგებობის აშენების ფაქტი არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ზემოხსენებული ნაგებობა აშენდა არა აღნაგობის საგნის ექსპლუატაციის, არამედ ამ ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის სანიღვრე წყლებისაგან გათავისუფლებისათვის. სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 2 ივნისის სხდომის ოქმში ასახული ი.ბ-ოვის განმარტების მიხედვით, აღნაგობით დატვირთული სადავო მიწის ნაკვეთიდან მის გვერდით მდებარე ნაკვეთზე მიედნიებოდა წყალი, რომელიც გროვებოდა სამინისტროს შენობის წინ, ზიანს აყენებდა მეზობელ ნაკვეთს და სამინისტროში შესვლას შეუძლებელს ხდიდა. სწორედ აღნიშნულის თავიდან ასარიდებლად მოაწყო ი.ბ-ოვმა საკანალიზაციო ნაგებობა.



ამდენად, ფაქტია, რომ მეზობელ ნაკვეთში წყალი ჩადინებოდა ი.ბ-ოვის სასარგებლოდ აღნაგობით დატვირთული ფართიდან. ი.ბ-ოვი ვალდებული იყო, იმდაგვარად ესარგებლა აღნიშნული მიწის ნაკვეთით, რომ სხვა პირთათვის ზიანი არ მიეყენებინა, შესაბამისად, მომიჯნავე ნაკვეთის მესაკუთრისათვის ზიანის მიყენების ასაცილებლად საკანალიზაციო ნაგებობის მოწყობა აუცილებელი იყო აღნაგობის საგნის მართლზომიერად გამოსაყენებლად. აღნიშნული გარემოება სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია.

## 2.6. უზუფრუქტი

საქმე № ას-41-432-05

10 მაისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უზუფრუქტი (სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლი)

სკ-ის 242-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობა ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ, მესაკუთრისაგან განსხვავებით მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, დაგირაგების ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება.

სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა რომ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სკოლას, როგორც უზუფრუქტურს, აქვს სკოლის სარგებლობის მესაკუთრესთან თანაბარი უფლება სკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება; მითითებული ნორმის მიხედვით, სკოლას უფლება ჰქონდა მოეთხოვა მოპასუხის გამოსახლება სკოლის შენობიდან, ვინაიდან ამ უკანასკნელს არ გააჩნია მის მიერ დაკავებული ფართის ფლობის კანონიერი საფუძველი.

## 2.7. სერვიტუტი

საქმე № ას-1108-1312-05

18 ივლისი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სერვიტუტი (სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლი)

სერვიტუტისათვის, როგორც სანივთო გარიგებისათვის, აუცილებელია ნების ნამდვილობა, რაც გულისხმობს კონტრაქტითა ნების თავისუფალ გამოხატვას ამ გარიგების მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში. სანივთო გარიგებათა კანონის ნორმებით შეზღუდვა განასხვავებს სანივთო გარიგებას ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობისას წარმოშობილი გარიგებებისაგან, რა დროსაც კერძო სამართლის სუბიექტები უზრუნველყოფილი არიან სახელშეკრულებო თავისუფლებით. ვალდებულებითი და სანივთო გარიგებს შორის ასეთი განსხვავების მიუხედავად, ორივე გარიგებისათვის დამახასიათებელი მხარეთა ნების გამოხატვის აუცილებლობა, რაც გამორიცხავს გარიგების დადების მოთხოვნის დაკმაყოფილებას სასამართლო წესით. ამასთან, საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ სერვიტუტი, თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ ორი გზით შეიძლება დადგინდეს, კერძოდ, კანონის ობიექტურ-ნორმატიული ნების საფუძველზე ან სანივთო გარიგების საფუძველზე. კანონისმიერი სერვიტუტის გამოყენებას კონკრეტული ნორმატიული აქტი უზრუნველყოფს, ხოლო სანივთო გარიგებას მხარეთა ნება, რომლის შინაარსი ძირითადად კანონის ნორმატიული ნებით განისაზღვრება.

**საქმე № 3კ-535-02**

**3 ივლისი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პირადი სერვიტუტი (სამოქალაქო კოდექსის 253-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

პალატა იზიარებს კასატორის მოტივაციას, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად ჩათვალა მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა პირად სერვიტუტად. სკ-ს 253-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, უძრავი ნივთი შეიძლება ამა თუ იმ პირის სასარგებლოდ სერვიტუტით დაიტვირთოს ამავე კოდექსის 247-ე მუხლში გათვალისწინებული პირობით. ამგვარი დატვირთვა შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ უფლებამოსილ პირს მესაკუთრის გამორიცხვით შეუძლია შენობა ან შენობის ნაწილი თავისთვის ან თავისი ოჯახისათვის გამოიყენოს ბინად; როგორც წესი სერვიტუტის არსებობა იურიდიულად მაშინაა შესაძლებელი, როცა ურთიერთობის მონაწილეები მესაკუთრეები არიან. სკ-ს 247-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევაში ისარგებლოს ამ ნაკვეთით. პირადი სერვიტუტით მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების დატვირთვა იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც არაა მესაკუთრე, კანონით შესაძლებელია, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მას გააჩნია სხვა უძრავი ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი (მაგ: იჯარა და სხვა); განსახილველ შემთხვევაში გ. ს-შვილი არ შეიძლება, მივიჩნიოთ მხარედ, რომელსაც აქვს სადავო ბინისადმი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის უფლება, ვინაიდან მას არ გააჩნია უძრავი ნივთი საკუთრებაში ან სხვა სამართლებრივი საფუძველით მფლობელობაში, რაც განაპირობებდა სხვისი, მოცემულ შემთხვევაში, ა. ს-შვილის საკუთრებით სარგებლობის იურიდიულ ინტერესს.

## **2.8. გირავნობა**

**საქმე № ას-42-327-08**

**13 ივნისი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გირავნობა (სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების თავისებურება იმაშია, რომ ისინი გარანტირებულს ხდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ მიზანმიმართებით ხასიათდებიან. ისინი მთლიანად შესრულების ფუნქციით არიან დატვირთულნი და არ წარმოადგენენ რაიმე დამატებით საჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისათვის. ამდენად, გირავნობის ურთიერთობის მთავარი მიზანი არის მოგირავნემ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. გირავნობა არ წარმოშობს ნივთზე უფლებას, მისი მესაკუთრე რჩება დამგირავებელი, მოგირავნის უფლება დაკავშირებულია არა ნივთთან, არამედ მის ღირებულებასთან.

**საქმე № ას-1220-1240-2011**

**21 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონების განსაზღვრულობა (სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას სააპელაციო პალატის მიერ სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის კანონის დარღვევით გამოუყენებლობაზე და განმარტავს შემდეგს:

კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეებმა გამოიყენეს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სანივთოსამართლებრივი საშუალება — გირავნობა. ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების თავისებურება ისაა, რომ ისინი ვალდებულების შესრულებას, მისი დარღვევის შემთხვევაში, გარანტირებულს ხდიან და სწორედ ამ თვისებით ხასიათდებიან. ამავდროულად, გირავნობა წარმოადგენს რა სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას მას, როგორც ყველა სანივთო გარიგებას, საგნის განსაზღვრულობა ახასიათებს, რაც ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხუთივე სანივთო გარიგებისთვის აუცილებელია საგნის კონკრეტიზაცია — ზუსტად განსაზღვრა. ამასთან, საკუთრების, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების შემთხვევაში სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონების კონკრეტულობა უტყუარად დადასტურებული უნდა იყოს. ამდენად, გირავნობის ურთიერთობის მთავარი მიზანი არის მოგირავნემ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა და კანონმდებლობაც ამიტომ ანიჭებს მხარეებს თავისუფლებას უზრუნველყოფის ღონისძიების არჩევის დროს, რადგან მათ აწევთ ის რისკი, რაც აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების არჩევას მოსდევს.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გ“ ქვეპუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, გარიგებაში უნდა აღინიშნოს გირავნობის საგნის ზოგადი ან სპეციფიკური ნიშნით აღწერა, რომ შესაძლებელი იყოს მისი განსაზღვრა.

## საქმე № ას-42-327-08

13 ივნისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: გირავნობის საგნის დაკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 261-ე მუხლი)

სამოქალაქო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოგირავნე ვალდებულია სათანადოდ შეინახოს გადაცემული საგანი. აღნიშნული ვალდებულება მოგირავნემ უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად. კეთილსინდისიერად მოქმედება სავალდებულოა ვალდებულებითი ურთიერთობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერი მხარისათვის. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. გადაცემული საგნის სათანადოდ შენახვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოგირავნე ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი მდგომარეობა. ამდენად, ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს, რომლის ძალითაც დაზარალებულს, როგორც კრედიტორს, უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიყენებლისაგან. სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კ.ვ.-ის მიერ სს „ქ.-ში“ დაგირავებული ძვირფასეულობა დაკარგულია. ვინაიდან, ნივთის დაკარგვის შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, მოგირავნის პასუხისმგებლობა განისაზღვრება რეალური ზიანით — ნივთის ღირებულებით, მიუხედავად იმისა რა თანხით შეფასდა გირავნობის საგანი მოგირავნისათვის გადაცემის დროს.

**განმარტების საგანი: განსხვავება სახელშეკრულებო და კანონისმიერ გირავნობას შორის**

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები იყოფიან უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით — სამართლებრივ საშუალებად. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებს მიეკუთვნება გირავნობა და იპოთეკა. კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს სახელშეკრულებო გირავნობასა და კანონისმიერ გირავნობას. სახელშეკრულებო გირავნობის დროს მხარეები ცალკე ხელშეკრულებას დებენ გირავნობის თაობაზე, ხოლო კანონისმიერი გირავნობის შემთხვევებს კანონი პირდაპირ ითვალისწინებს (სკ-ის 568-ე, 634-ე, 776-ე მუხლები და ა.შ. ასევე, საზღვაო კოდექსის 82-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში ურთიერთობის მონაწილეებს შორის შეთანხმება სავალდებულო არ არის.

ორმხრივი ვალდებულების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, პირს (კრედიტორს), რომელიც მართლმომიერად ფლობს სხვის ქონებას, უფლება აქვს დააკავოს მისი გადაცემა მოვალის მიერ ამ ქონებასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებამდე. ნივთის დაკავების უფლება ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა და გამოიხატება კრედიტორის მიერ მოვალის ქონების დაკავებაში იმ მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, რომლის შესრულების ვადა უკვე დადგა. ამიტომ, დაკავებული ნივთის მიმართ გამოიყენება გირავნობის შესაბამისი ნორმები.

სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის ან მესამე პირის ნივთი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

გირავნობის ურთიერთობა წარმოიშობა დამგირავებელსა და მოგირავნეს (კრედიტორს) შორის. დამგირავებელი შეიძლება იყოს როგორც პირადი მოვალე, ისე მესამე პირი — დაგირავებული საგნის მესაკუთრე. დამგირავებელი შეიძლება იყოს გირაოს არამესაკუთრეც. კრედიტორს უფლება აქვს დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე. მოგირავნის მოთხოვნა დაუკმაყოფილებელ ნაწილში ძალაში რჩება პირადი მოვალის მიმართ, და არა იმ პირის მიმართ, რომელიც არ არის პირადი მოვალე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**განმარტების საგანი: გირავნობის უფლების შეწყვეტა**

თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ო. მ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე კ. ჯ-ს დაეკისრა ავტომანქანის BMW 5251, საიდენტიფიკაციო ნომერი — ..., შეკეთების ხარჯის — 47 943, 92 ლარის შპს „ო. მ-ის“ სასარგებლოდ გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. ვინაიდან, მოპასუხე კ. ჯ-ს არ ჰქონდა გადახდილი ავტომანქანის შეკეთების საფასური, ავტომანქანა იმყოფებოდა მოსარჩელის მფლობელობაში 2008 წლის 16 ოქტომბრამდე.

თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს გამომძიებლის 2008 წლის 16 ოქტომბრის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღების შესახებ დადგენილების საფუძველზე მოსარჩელე შპს „ო. მ-ისაგან“ ამოღებულ იქნა ავტომანქანა BMW 5251 სახელმწიფო ნომრით ... ..., საიდენტიფიკაციო ნომერი — .... ამოღება კანონიერად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 7 ივლისის ცნობის თანახმად, ავტომანქანა BMW-5251 სახელმწიფო ნომრით ...-..., საიდენტიფიკაციო ნომერი — ... 2008 წლის 24 იანვრიდან 2009 წლის 27 ივლისამდე რეგისტრირებული იყო კ. ჯ-ს, 2009 წლის 27 ივლისიდან 2009 წლის

24 დეკემბრამდე — კ. კ-ს, ხოლო 2009 წლის 24 დეკემბრიდან დღემდე — ვ. ხ-ს სახელზე. ავტომანქანაზე რეგისტრირებულია 2010 წლის 7 აპრილს შედგენილი გირავნობა, სადაც დამგირავებელია ვ. ხ-ა, მოგირავნე კი შპს „ბ-ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის გამო ავტომანქანა დაუბრუნდა მის მფლობელ კ. ჯ-ს, აღნიშნული დადგენილება გაასაჩივრა შპს „ო. მ-მა“, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ო. მ-ის“ მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის შინაარსიდან. აღნიშნული ნორმის თანახმად, მენარდეს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება. ამ ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მენარდისათვის კანონით მინიჭებული გირავნობის უფლება ვრცელდება მხოლოდ მის მფლობელობაში არსებულ ნივთზე ე.ი მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს მფლობელობითი გირავნობის მარეგულირებელი ნორმები. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ნივთი შპს „ო. მ-ს“ ჩამოერთვა.

პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელე უფლებამოსილი იყო ესარგებლა სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და მფლობელობით გირავნობაში ჰქონოდა მის მიერ ნივთის შეკეთების შემდეგ შემკვეთის მიერ თანხის გადაუხდელობის გამო. შპს „ო. მ-ი“ ასეთ დროს წარმოადგენდა მართლზომიერ მფლობელს და სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად დაუშვებელი იყო მისთვის მოეთხოვათ ნივთის უკან დაბრუნება. მიუხედავად აღნიშნულისა, მოხდა ისე რომ შპს „ო. მ-ს“ ჩამოერთვა ეს ნივთი, რის შემდეგაც მოგირავნე ველარ ფლობდა მას. ამასთან, მოხდა ნივთის გასხვისებაც. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით სადავო ნივთი დაუბრუნდა კ. ჯ-ს. აღნიშნული შედეგი უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომაც. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ეს უკანასკნელი ნივთის დაბრუნების მომენტისათვის აღარ წარმოადგენდა მესაკუთრეს. ნივთი გასხვისებული იყო სხვა პირზე და შესაბამისი გარიგებები ძალაშია დღეის მდგომარეობით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კ. ჯ-ა სასამართლომ (სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველმა) ჩათვალა უფლებამოსილ პირად მიელო მანქანა მფლობელობაში. აღნიშნულის გამო მითითებული მომენტისათვის იგი არ შეიძლება არამართლზომიერ მფლობელად განვიხილოთ. სამართლებრივად მითითებული გარემოება ნიშნავს დამგირავებლისათვის ნივთის დაბრუნებას. (ბუნებრივია, მოცემულ შემთხვევაში კანონის საფუძველზე წარმოშობილი გირავნობა არ გამოირიცხავს ამ ურთიერთობის სუბიექტთა — მოგირავნისა და დამგირავებლის — არსებობის ფაქტს).

პალატა მიიჩნევს, რომ ავტომობილის კ. ჯ-ს მფლობელობაში გადაცემით შეწყდა გირავნობის უფლება. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან. მითითებული ნორმის თანახმად, მფლობელობითი გირავნობის უფლება წყდება იმ შემთხვევაში, როცა მფლობელობა დამგირავებელს უბრუნდება. გირავნობის უფლების წარმოშობის მომენტისათვის დამგირავებელს სწორედ კ. ჯ-ა წარმოადგენდა. მისთვის ნივთის გადაცემით კი დადგა ზემოთ მითითებული ნორმით გათვალისწინებული შედეგი. ნივთის გასხვისების შედეგად გირავნობის უფლების გადასვლის შემთხვევაშიც კი ეს უფლება შესაბამისად გადავიდოდა შემძენზე. აღნიშნული გარემოება თავისთავად გამოირიცხავს დღეისათვის სადავო ნივთზე გირავნობის უფლების არსებობას, რაც შეუძლებელს ხდის მისი რეალიზაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

## 2.9. იპოთეკა

საქმე № ას-1206-1450-05

23 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იპოთეკა (სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლი)

სკ-ის 286-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან (იპოთეკა)“. აღსანიშნავია, რომ უძრავი ნივთი ის ქონებრივი ფასეულობაა, რომელსაც კრედიტორები ყველაზე მეტად ენდობიან. უძრავი ნივთების გამოყენებას ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად დიდი მნიშვნელობა აქვს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ვალდებულების ჯეროვანი შესრულების საშუალებანია. იპოთეკა მიეკუთვნება სანივთო უზრუნველყოფის საშუალებას და მისი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ გარანტირებულს ხდის ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში. მიუხედავად იპოთეკით დატვირთვისა, მესაკუთრეს ჩვეულებრივ შეუძლია განკარგოს ნივთი. ეს განპირობებულია იმით, რომ იპოთეკა სანივთო უზრუნველყოფის საშუალებაა და მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ არის მესაკუთრე, მთავარია ნივთი იყოს უფლებრივად დატვირთული, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება გარანტირებულია (სკ-ის 294-ე მუხლის მე-4 ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სს ... ბანკის მიერ ნ. ნ-ისათვის გაცემული კრედიტი სწორედ უძრავი ნივთით იქნა უზრუნველყოფილი. მხარეებს შორის იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების დროს სადავო ბინა რეგისტრირებული იყო ნ. ნ-ის სახელზე, ხელშეკრულება დამოწმებულ და რეგისტრირებულ იქნა სათანადო წესით. ნ. ნ-ის მეუღლე, მ.დ-ემ სანოტარო წესით დამოწმებული წერილობითი თანხმობა განაცხადა სადავო ბინის იპოთეკით დატვირთვაზე. ის გარემოება, რომ სადავო ბინა შემდგომში საკუთრების უფლებით აღირიცხა მ. დ-ის სახელზე, ვერ გახდება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, როგორც აღინიშნა, უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ არის მესაკუთრე, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება გარანტირებულია.

საქმე № ას-1280-1300-2011

6 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის განსაზღვრულობა

სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა). ამდენად, იპოთეკა სანივთოსამართლებრივი გარიგებაა, რომელიც უზრუნველყოფს ვალდებულებას. მისი არსი და დანიშნულება არსებული ვალდებულების უზრუნველყოფაა და მის გარეშე არ არსებობს. იპოთეკა აქცესორული უფლებაა და სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იგი არ წარმოიშობა და არც შეიძლება არსებობდეს ძირითადი უფლების გარეშე. იპოთეკის, როგორც აქცესორული უფლების, ბუნება ვლინდება ძირითადი უფლების გადაცემის პროცესშიც — მოთხოვნის გადაცემისას იპოთეკა თან მიჰყვება მთავარ უფლებას. აღნიშნულს ნათლად ასახავს სამოქალაქო კოდექსის 295-ე მუხლის დანაწესი, რომლის ძალითაც იპოთეკა და მის საფუძველად არსებული მოთხოვნა მხოლოდ ერთდროულად და ერთობლივად შეიძლება იქნეს სხვა პირისათვის გადაცემული. მოთხოვნის გადაცემასთან ერთად ახალ კრედიტორზე გადადის იპოთეკაც.

იპოთეკას, გარდა აქცესორულობისა, მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს. სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაცია ხდება ერთ-ერთი მხარის მიერ გარიგების წარდგენის

საფუძველზე, რომელიც დადებულია ამ კოდექსის 311<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით. გარიგებაში უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი. მხარეთა შეთანხმებით გარიგებაში შესაძლებელია აღინიშნოს, აგრეთვე, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, სარგებელი, შესრულების ვადა და სხვა პირობები. ამდენად, კანონი იპოთეკის წარმოშობისათვის უფლების სავალდებულო რეგისტრაციას ადგენს, რაც მხოლოდ იპოთეკის საგნის — უძრავი ნივთის სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევით არ არის განპირობებული. იპოთეკის საჯარო ხასიათი შესაძლებლობას ანიჭებს მესამე პირებს, მოიპოვონ ზუსტი ინფორმაცია უძრავი ნივთის უფლებრივი ტვირთის თაობაზე და შემდეგ, საკუთარი რისკის გათვალისწინებით, გადაწყვიტონ ამ ნივთთან მიმართებით ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობის (რომელიც მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია, არ ემთხვეოდეს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ოდენობას) მითითებას, სამართლებრივი დატვირთვა აქვს როგორც მესაკუთრისათვის, ასევე მესამე პირებისათვის, რომელთა მიმართაც მოქმედებს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ვინაიდან იპოთეკა ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება, მხარეთა შეთანხმება უზრუნველყოფის მოცულობაზე უნდა გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ ამ მოცულობის ფარგლებში განხორციელდეს სანივთო უფლების გამოყენება და მოთხოვნის აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ იპოთეკარი დაცულია საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერით მოვალის საკუთრებასთან დაკავშირებით, თუნდაც აღნიშნული ჩანაწერი შემდგომში არასწორი აღმოჩნდეს. მეორე მხრივ კი, მოვალე დაცულია იპოთეკის საგნის იმ ვალდებულების ფარგლებით, რომელიც ვალდებულებისთვისაც მან ქონება იპოთეკით დატვირთა, ანუ უმთავრესია იპოთეკით მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, როგორც იპოთეკის საგნის, ისე იმ ვალდებულების განსაზღვრულობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც ხორციელდება სანივთო უფლების რეალიზაცია. ამ შემთხვევაში წინდაწინაა სავარაუდო, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციაა სწორედ მოთხოვნის დაკმაყოფილების — ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება. იგი ხელს უწყობს კრედიტორს, წინასწარ შეაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს იპოთეკის საგანი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას იმთავითვე ნათელი უნდა იყოს, თუ სად გადის იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრის პასუხისმგებლობის ზღვარი, რომელიც მოიცავს ძირითადი ვალდებულების ფარგლებს (ღირებულებას) ან იპოთეკის გარიგებით მხარეთა შეთანხმებულ უზრუნველყოფილ მოთხოვნის ოდენობას.

2007 წლის 27 სექტემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრედიტო ლიმიტი 50 000 აშშ დოლარია, ხოლო 2.3 პუნქტის მიხედვით, გაცემული კრედიტების (ხაზი, ცალკეული კრედიტი, მათ შორის, ქვემდებარე ტრანშები, ოვერდრაფტი, საბანკო გარანტია) ერთობლივი ჯამური ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს 2.1.1 პუნქტით დადგენილ ლიმიტს. სადავო იპოთეკის ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრულია იპოთეკის ფარგლები — გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრული მოცულობით და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (კრედიტის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოს, ზარალის, ქონების შენახვასა და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ 2007 წლის 27 სექტემბრის № 3556/1 იპოთეკის ხელშეკრულება ვრცელდება 2007 წლის 27 სექტემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე მოქმედი საკრედიტო ხელშეკრულებებით გაცემული კრედიტის ძირითადი თანხის — 50000 აშშ დოლარისა და ამ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საკრედიტო ლიმიტი შეადგენდა რა 50 000 დოლარს, აღნიშნულში იგულისხმება 50 000 აშშ დოლარის გაცემა მრავალჯერ, შეუზღუდავად,

ხელშეკრულების მთელი 10 წლიანი (120-თვიანი) მოქმედების პერიოდში. უდავოა, რომ ლიმიტის ამგვარ განმარტებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ მოიცავს.

სიტყვა „ლიმიტი“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს ნორმის დაწესებას, რომლის ფარგლებშიც შეიძლება რისამე ხარჯვა, რამეთი სარგებლობა; ზღვრული ნორმა (იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გვ.241, შემდგენელი მ.ჭაბაშვილი). ამ განმარტებიდან და მხარეთა შორის შეთანხმებული პირობიდან გამომდინარე (2007 წლის 27 სექტემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრედიტო ლიმიტია 50 000 აშშ დოლარი, ხოლო 2.3 პუნქტის მიხედვით, გაცემული კრედიტების (ხაზი, ცალკეული კრედიტი, მათ შორის, ქვემდებარე ტრანშები, ოვერდრაფტი, საბანკო გარანტია) ერთობლივი ჯამური ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს 2.1.1 პუნქტით დადგენილ ლიმიტს) უნდა დავასკვნათ, რომ 50000 აშშ დოლარი წარმოადგენდა საკრედიტო თანხას, რომლის კრედიტად მიღების უფლებაც გააჩნდა მოვალეს ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. ამავდროულად მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაც კონკრეტულად ამ ვალდებულების — 50000 აშშ დოლარის ფარგლებში იქნა განსაზღვრული და მისი სხვა ვალდებულებებზე გავრცელება მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულების ფარგლებს სცილდება.

### საქმე № ას-1081-1110-2011

### 10 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

#### განმარტების საგანი: იპოთეკის გავრცელების ფარგლები

სს „... ბანკსა“ და ი. კ-ის შორის 2007 წლის 19 ნოემბერს წერილობით გაფორმდა <sup>1</sup>... იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა ი. კ-ის კუთვნილი ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსის №60 ბინაში მდებარე 47.00 კვ.მ უძრავი ქონება. იპოთეკა უზრუნველყოფდა ი. კ-ისა და ბანკს შორის 2007 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და, ასევე, ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს ბინის მთლიანი ფართი ფაქტობრივად შეადგენდა 145,26 კვ.მ-ს, საიდანაც 98,26 კვ.მ იყო მიშენება, რომელიც არ იყო დაკანონებული და აღრიცხული საჯარო რეესტრში. იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას სს „... ბანკისთვის“ ცნობილი იყო, რომ ბინის 98,26 კვ.მ ფართი იყო დაუკანონებელი. ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსში მდებარე №60 ბინა არის ერთიანი, მოქცეულია ერთ ტერქვემ და არის ერთი მთლიანი ბინა.

საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 18 მარტის ლეგ-384 ბრძანებით მოხდა მიშენებული 98,26 კვ.მ ფართის ლეგალიზაცია, რის საფუძველზეც აღნიშნული ფართი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხვა მოპასუხე ი. კ-ის სახელზე და ბინის ფართმა შეადგინა 145,26 კვ.მ (47+98,26).

სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის თანახმად, უძრავი ქონება შეიძლება ისე დაიტვირთოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ამ ნივთის რეალიზაციით. იპოთეკის ინსტიტუტის არსებობა ცალსახად დაკავშირებულია უძრავი ქონების არსებობასთან. შეუძლებელია, არსებობდეს იპოთეკა უძრავი ნივთის გარეშე. განსახილველი დავაც სწორედ უძრავი ნივთის თავისებურებებთანაა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, დავის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის შეფასებას, თუ რა მოიაზრებოდა ი. კ-ის უძრავ ქონებაში იპოთეკით დატვირთვის დროს.

როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას ი. კ-ის საკუთრებად საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსში მდებარე №60 ბინა. აღნიშნული ბინის ნაწილი, კერძოდ კი ბინის 98,26 კვ.მ ფართი იყო დაუკანონებელი. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებიდან ირკვევა, რომ ეს გარემოება ცნობილი იყო სს „... ბანკისათვისაც“. აღნიშნულიდან ნათლად იკვეთება ის ფაქტი, რომ გარიგების დადებისას სადავო ფართი რეალურად არსებობდა, ანუ მას მატერიალური გამოხატულება ჰქონდა.



გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასევე მითითებულია, რომ ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსში მდებარე 'ნო ბინა არის ერთიანი, მოქცეულია ერთ ჭერქვეშ და არის ერთი მთლიანი ბინა. აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დაუკანონებელი ფართი გარიგების დადების მომენტისათვის გამოცალკევებული სახით არ არსებობდა. იგი წარმოადგენდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის შემადგენელ ნაწილს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა „მე-საკუთრის“ ანუ ი. კ-ის კუთვნილი მთელი უძრავი ქონება (იპოთეკის ხელშეკრულება, მუხლი 2, 2.1.-ე პუნქტი). ბუნებრივია, „მთელ“ ქონებაში იგულისხმება დაუკანონებელი ფართიც. ხელშეკრულებაში არსადაა მითითებული, რომ სადავო ფართი იარსებებს განცალკევებულად, არც ის დათქმა არსებობს, რომ იპოთეკა არ ვრცელდება ბინის რომელიმე ნაწილზე. იმ პირობებში კი, როდესაც არსებობს ფართი, რომლის თაობაზეც ხელშეკრულების დადების დროს მხარეები განსაკუთრებულ დათქმას არ აკეთებენ და იმავდროულად უთითებენ, რომ იპოთეკით დაიტვირთა მთელი უძრავი ქონება, შეუძლებელია იმ დასკვნის გამოტანა, რომ მხარეები სადავო ფართის იპოთეკით დატვირთვის თაობაზე არ შეთანხმებულან.

გემოთ მითითებულ მოსაზრებას აძლიერებს იპოთეკის ხელშეკრულების მე-6.13 პუნქტში მითითებული დებულებაც, რომლის თანახმადაც მიმდინარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილზეც). ამავე პუნქტის თანახმად, დადგენილი ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკის საგანს დაემატა (მიეშენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი) იპოთეკის საგანში გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა-ნაგებობა. მითითებულ დებულებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეების ნება ცალსახად მიმართულია სადავო ბინის მთელი ფართის (და არა მისი ნაწილის) იპოთეკით დასატვირთად.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების მე-6.13 პუნქტი ეწინააღმდეგება იპოთეკის ლეგალურ დეფინიციას. გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, ნივთის იპოთეკის უფლებით დასატვირთვად აუცილებელია ნივთი მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და შეუძლებელია, იპოთეკის გამოყენება სამომავლო ქონებასთან მიმართებაში. სასამართლო აღნიშნულ მსჯელობას უკავშირებს ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლებს და მისი მოსაზრებით, შეუძლებელია ისეთი ქონების დატვირთვა იპოთეკით, რომლის „სამართლებრივი საზღვრები დაუდგენელია.“

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, არ შეიცავენ აკრძალვას მომავლი ქონების უზრუნველყოფის სახით გამოყენების თაობაზე.

მომავალ ქონებაზე გარიგების დადების ამკრძალავი ნორმა მოცემულია სახელშეკრულებო სამართალში, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის 320-ე მუხლში. აღნიშნული ნორმის თანახმად, ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას მთელი მისი მომავალი ქონება ან ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე. აღნიშნულ ნორმაში საუბარია „მთელ მომავალ ქონებაზე“ და „მომავალი ქონების ნაწილზე“ ანუ ქონებაზე, რომელიც გარიგების დადების მომენტისათვის ხელშეკრულების მხარეებს არ გააჩნიათ და რომელიც მომავალში შეიძლება მიიღონ. (რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება მომავალი ქონების ცალკეულ ნაწილებზე დადებული ხელშეკრულება). განსხვავებით ამ ნორმაში მითითებული ქონებისაგან, სადავო ბინა წარმოადგენს არა მომავალ ქონებას, არამედ უძრავი ნივთის ნაწილს, რომელიც მატერიალურად არსებობს გარიგების დადების დროს დაუკანონებელი სახით. სადავო ფართი არის გარიგების დადების დროისათვის არსებული, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართის ნაწილი, რომელიც დავის პერიოდისათვის აღრიცხულია იპოთეკით დატვირთული ქონების შემადგენელ ნაწილად. შესაბამისად მასზე ვრცელდება ამ ნივთზე არსებული იპოთეკა.

საქმე № ას-285-269-2011

3 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობის მითითება აუცილებლობა**

საკასაციო პალატის მოსაზრებით, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობის (მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ღირებულება) მითითებას, სამართლებრივი დატვირთვა აქვს როგორც მესაკუთრისათვის, ასევე მესამე პირებისათვის, რომლებთან მიმართებაშიც მოქმედებს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ვინაიდან იპოთეკა ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება, მხარეთა შეთანხმება უზრუნველყოფის მოცულობაზე გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ ამ მოცულობის ფარგლებში უნდა მოხდეს სანივთო უფლების გამოყენება და მოთხოვნის აღსასრულებლად მიქცევა. ამგვარი განმარტება გამომდინარეობს თვით იპოთეკის ნორმატიული ბუნებიდან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით. ანუ თანამდევნი მოთხოვნები, ისეთი როგორცაა მაგალითად ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო ბიანის ანაზღაურება არ შეიძლება დაკმაყოფილდეს იპოთეკიდან, თუ მხარეებმა წინასწარ განსაზღვრეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა და იპოთეკის შინაარსი ამგვარ დათქმას არ ითვალისწინებდა. რაც შეეხება იპოთეკით დატვირთული უძრავის ნივთის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების მიქცევას სხვა ხარჯებზე, როგორცაა აღსრულებისა და სასამართლო ხარჯები, ამაზე პასუხს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 308-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან მოთხოვნები უნდა დაიფაროს შემდეგი რიგითობით: პირველ რიგში ხარჯები, ხოლო შემდეგ კრედიტორის მოთხოვნა სრული ოდენობით. თუ ამონაგები თანხით სრულად არ იფარება ხარჯები, განსხვავების გადახდის ვალდებულება ეკისრება კრედიტორს. მოცემული ნორმის ანალიზიდან ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლიდან მოთხოვნები იფარება სასამართლო და სააღსრულებო ხარჯების დაფარვის შემდეგ, ხოლო თუ მხარეებმა გარიგებაში მიუთითეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, მოთხოვნა იფარება მხოლოდ ამ ოდენობის გათვალისწინებით.

საქმე № ას-1283-1538-09

25 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გადასვლა იპოთეკარის საკუთრებაში (სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილი)**

მოცემულ შემთხვევაში კასატორი საკასაციო საჩივარს აფუძნებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონდარღვევით გამოტანაზე, რაც კანონის — სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის არასწორ განმარტებაში გამოიხატა.

აღნიშნული ნორმით იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის წესი განსაზღვრულია შემდეგი სახით: 1. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი ამ კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით. 2. თუ მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს. 3. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირე-

ბულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილით, იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლას წინ უნდა უსწრებდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების გამო მხარეთა ერთობლივი განცხადება. აღნიშნული ნორმა შემდეგ აუცილებელ წინაპირობებს ითვალისწინებს: 1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი; 2. კრედიტორისა და მოვალის შეთანხმება იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის თაობაზე; 3. ამ შეთანხმების საჯარო რეესტრში წარდგენა რეგისტრაციის მიზნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების, როგორც სანივთო გარიგების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ უნდა იყოს შემდეგი: მხარეთა შორის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, ძირითადად სანივთო და ვალდებულებითი გარიგებების დადებით მყარდება, რაც შესაბამისად განაპირობებს სანივთო ან ვალდებულებითი უფლებების წარმოშობას. ამასთან, სანივთო გარიგება განსხვავდება ვალდებულებითი გარიგებისაგან, ვინაიდან ვალდებულებითი სამართალში მოქმედებს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი (სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი). სანივთო გარიგებების დროს სახელშეკრულებო თავისუფლება შეზღუდულია. მართალია, მხარეები თავისუფალი არიან იმაში, საერთოდ დადებენ თუ არა სანივთო გარიგებას, მაგრამ მისი შინაარსის განსაზღვრაში კანონით დადგენილ იმპერატიულ დანაწესებს უნდა დაემორჩილონ. ამდენად, სანივთო ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა შეთანხმებული პირობები უნდა მიუსადაგონ კანონს.

მოცემულ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენს კასატორსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების 9.1 მუხლის კანონიერება და სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილთან მისი შესაბამისობა. ხელშეკრულების 9.1 მუხლით, წინამდებარე ერთობლივი განცხადებით იპოთეკარი და მესაკუთრე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მიმართავენ საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს (შემდგომში „საჯარო რეესტრი“), რომ საჯარო რეესტრმა იპოთეკარი დაარეგისტრიროს იპოთეკის საგნის მესაკუთრედ, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი ექნება „მსესხებლის“ მიერ კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტების საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუბრუნებლობას. 9.2 მუხლით კი, ამ ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში იპოთეკარი სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით (სადაც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა) მიმართავს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. საჯარო რეესტრი არ ამოწმებს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. იპოთეკარი და მესაკუთრე სთხოვენ საჯარო რეესტრს, რომ იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრისაგან რაიმე დამატებითი თანხმობის გამოთხოვის გარეშე, საჯარო რეესტრმა იპოთეკის საგანზე დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლება.

მითითებული სახელშეკრულებო პირობა არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილის იმპერატიულ დანაწესს, რაც მისი ბათილობის საფუძველია.

ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი, კასატორის მოსაზრებით, კანონიერია, ვინაიდან მხარეთა ნება გამოვლენილია სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ერთობლივ განცხადებაზე. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მითითებული ერთობლივი განცხადებისათვის მხარეთა ნამდვილი ნებაა საჭირო, თუმცა მოცემულ ხელშეკრულებაში გამოვლენილი ნება სწორედაც, რომ ნაკლის მქონეა, ვინაიდან იგი კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, წინასწარ არის გამოვლენილი. სადავო სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილით, მხარეთა ერთობლივ განცხადებას წინ უნდა უსწრებდეს ვალდებულების დარღვევის ფაქტი — ხდომილება, რომელიც უკვე არსებულია, მომხდარია, რაც მოცემულ შემთხვევაში არა გვაქვს.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას, რომ გარიგების ნორმის კანონიერება არ განისაზღვრება იმით, თუ რომელია პირველადი — ფაქტი თუ ნება, არამედ იმით, რომ ნება უნდა იყოს ნამდვილი. კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ ამ ნორმის გამოყენებისათვის, მისი შინაარსიდან გამომდინარე, გადამწყვეტია სწორედ ფაქტის — ვალდებულების დარღვევის პირველად არსებობა და შემდეგ ნების (იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემის) გამოხატვა. ვალდებულების დარღვევისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა სცილდება რა ძირითადი ვალდებულების შესრულების ფარგლებს, სავსებით გასაგებია კანონმდებლის მიერ მოვალისთვის მე-300 მუხლის მეორე ნაწილით შეთავაზებული არჩევანი — ნაკისრი ვალდებულების შესრულება ჩანაცვლოს სხვა შესრულებით. ცხადია, მოვალის ნების გამოვლენა იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემაზე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მან ვალდებულება ვერ შეასრულა და ნებაც ნამდვილია, რადგან პირის მიერ გამოვლენილი ნება თანხვედრაშია მის მიერ გაზიარებულ ფაქტებთან: ვალდებულება დარღვეულია, იპოთეკის საგანი იკავებს შესრულების ადგილს. სადავო სახელშეკრულებო დათქმით კი მოვალემ წინასწარ აღიარა არარსებული ფაქტი — ვალდებულების შეუსრულებლობა (რომელიც ჯერ არ მომხდარა) და აღნიშნულის გამო იპოთეკის საგნის გადაცემა.

შესაბამისად, კანონიერია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ 2009 წლის 4 მაისის იპოთეკის ხელშეკრულების 9.2 პუნქტი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს, ანუ სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილს, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით, როგორც კანონსაწინააღმდეგო გარიგება, ბათილად უნდა ჩაითვალოს.

## **საქმე №ას-219-211-2012**

**15 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გადასვლა იპოთეკარის საკუთრებაში (სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილი)**

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის. კასატორი სადავოდ ხდის დადგენილი ფაქტების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის შესაძლებლობას, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით. მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის შესაძლებლობა მოვალის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა დავას არ იწვევდა, სააპელაციო სასამართლომ მაინც არ დააკმაყოფილა კრედიტორის (მოსარჩელის) მოთხოვნა იპოთეკის საგნის მის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის შესაძლებლობა მოვალის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მაგრამ აღნიშნული შეთანხმება არ წარმოადგენდა იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის საკმარის საფუძველს. სააპელაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებაზე მოვალის იძულება არ დაიშვებოდა, კერძოდ, დაუშვებელი იყო, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ქონების პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა, თუნდაც, შეთანხმების არსებობის პირობებში, თუ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის ამგვარ ფორმაზე ვალდებული პირი თანახმა არ იყო. ასეთ შემთხვევაში, მოვალე უნდა დაკმაყოფილებულიყო ქონების რეალიზაციის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული დავის გადასაწყვეტად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას — სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლით დასაშვებია თუ არა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივ-

თის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლა, როცა ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით, თუ უნდა მოხდეს იპოთეკის საგნის აუქციონზე რეალიზაცია, როცა მოვალე წინააღმდეგია კრედიტორთან ერთად განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის განმარტება. უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, ნორმის სრულყოფილი განმარტებისათვის, იგი უნდა განიმარტოს არა მარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ ასევე სხვა ნორმებთან კონტექსტში (სისტემურად), მისი მიზნისა და შინაარსის გათვალისწინებით.

სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მიზნის განმარტებისათვის მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მითითებული ნორმა სამოქალაქო კოდექსის სიახლეს წარმოადგენს, კერძოდ, 2007 წლის 29 ივნისის ცვლილებებამდე, სამოქალაქო კოდექსით აკრძალული იყო იპოთეკის საგნის პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში გადასვლა (სკ-ის 302-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ აკრძალვის გამო, მხარეები პრაქტიკაში სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ, რომლებიც ყოველთვის არ თავსდებოდა კანონის ფარგლებში. გარდა ამისა, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის აუქციონზე გაყიდვის გართულებული პროცედურა აჭიანურებდა იპოთეკის საგნის რეალიზაციის პროცესს, რაც იწვევდა არა მარტო კრედიტორების უკმაყოფილებას, არამედ აფერხებდა სამოქალაქო ბრუნვას. სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ზემოხსენებული ცვლილებების მიზანი იყო იპოთეკით დატვირთული ქონებიდან კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებების მარეგულირებელი ნორმების სრულყოფა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო, ერთი მხრივ, იპოთეკის საგნის აუქციონზე რეალიზაციის პროცესის გამარტივებით, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტორისა და მოვალის შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, იპოთეკის საგნის კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემით.

სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლი ითვალისწინებს სწორედ იმ შემთხვევას, როდესაც შესაძლებელია იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა. მითითებული ნორმის მიხედვით: 1. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი ამ კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით; 2. თუ მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს; 3. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ზემოხსენებული ნორმა ადგენს შემდეგ წინაპირობებს: ა. კრედიტორი და მოვალე შეთანხმებული უნდა იყვნენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის თაობაზე; ბ. უნდა არსებობდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი; გ. კრედიტორმა და მოვალემ ერთობლივი განცხადებით უნდა მიმართონ საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის თაობაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სკ-ის მე-300 მუხლის შინაარსი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს, მხოლოდ მოვალის თანხმობის შემთხვევაშია შესაძლებელი იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლა. მითითებული ნორმის ამგვარი განმარტებით, მთლიანად მოვალის კეთილსინდისიერებაზე იქნებოდა დამოკიდებული, დათანხმდებოდა თუ არა იგი იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლას საჯარო რეესტრში ერთობლივი განცხადების წარდგენით. ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ზემოხსენებული ნორმის მიზანს — შეზღუდოს არაკეთილსინდისიერი მოვალე აღსრულების პროცესის უსაფუძვლო გაჭიანურებაში, და ბოლოს, ამგვარი განმარტება, ფაქტობრივად, უმოქმედოდ გადააქცევდა ზემოხსენებულ ნორმას. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა: — ასეთ შემთხვევაში რისი უფლება აქვს კრედიტორს? ცხადია, კრედიტორს არა აქვს უფლება, ცალმხრივად მიმართოს

საჯარო რეესტრს და მოთხოვნის იპოთეკის საგნის საკუთრებაში გადაცემა, მაგრამ იგი უფლებამოსილია, სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოთხოვნის იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემა, თუ, რა თქმა უნდა, დაამტკიცებს, რომ: ა. იპოთეკის ხელშეკრულებით არსებობს შეთანხმება იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის თაობაზე; ბ. მოვალემ დაარღვია ვალდებულება და, მიუხედავად ამისა, იგი წინააღმდეგია, კრედიტორს საკუთრებაში გადასცეს იპოთეკის საგანი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კრედიტორის ასეთი უფლებამოსილება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის დანაწესიდან, რომლის მიხედვით, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოთხოვნის უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ კრედიტორი და მოვალე ხელშეკრულებით შეთანხმდნენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის თაობაზე, შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია, იპოთეკის საგნის რეალიზაციის ნაცვლად, მოთხოვნის ამ საგნის საკუთრებაში გადაცემა.

### **საქმე № ას-803-1123-07**

**23 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: იპოთეკის ინსტიტუტის დანიშნულება და თავისებურება**

აღნიშნული ურთიერთობის სწორი კვალიფიკაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განიმარტოს იპოთეკის ინსტიტუტის დანიშნულება და თავისებურება.

იპოთეკა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, წარმოადგენს მყარ გარანტიას, იმედს, რომელიც ეძლევა კრედიტორს სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილი). კრედიტორი აღნიშნული უფლების (იპოთეკის) მფლობელი ხდება მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (ამავე კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

აღნიშნული დანაწესიდან ვლინდება იპოთეკის ინსტიტუტის მიზანი, დანიშნულება, რომლის თანახმად იპოთეკის უფლების მფლობელს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ნივთიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმა არ აკონკრეტებს იმ კრედიტორთა წრეს, ვის მიმართაც გააჩნია უპირატესობა უზრუნველყოფილ კრედიტორს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ კრედიტორებში იგულისხმებიან ნებისმიერი პირები, რომელთაც გააჩნიათ მოთხოვნები მესაკუთრის მიმართ.

ამრიგად, ა. ა-აძეს, როგორც იპოთეკით უზრუნველყოფილ კრედიტორს გააჩნია უპირატესი უფლება ყველა სხვა კრედიტორებთან, მათ შორის, ვლადიმერ გოგილაშვილსა და ქეთევან გოგილაშვილთან შედარებით მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება იპოთეკით დატვირთული ნივთიდან.

უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლება ასევე დაცულია პრეზუმციით. ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 297-ე მუხლი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმციას ახალ კრედიტორზე იპოთეკისა და მოთხოვნის გადასვლისას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი მუხლის მე-2 წინადადების დადგენილი დანაწესი ეხება არა მარტო ახალ კრედიტორს, რომელმაც გადადის იპოთეკა და მოთხოვნა, არამედ ნებისმიერი იპოთეკის უფლებით უზრუნველყოფილ კრედიტორს.

ამრიგად, იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს თუნდაც უსწორო იყოს რეესტრის ჩანაწერი, რომლის შესახებ არ იცოდა უზრუნველყოფილი კრედიტორმა, მიიჩნევა სწორად, რასაც საბოლოოდ მოჰყვება ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რაც გათვალისწინებულია იპოთეკის ინსტიტუტით.

**საქმე № ას-47-382-09**

**5 მაისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების გავლენა ვალდებულებით ურთიერთობაზე**

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება თავისთავად არ გულისხმობს ვალდებულების შესრულებას. იპოთეკის უფლება აქცესორული, დამატებითი ხასიათის უფლებაა, არ არსებობს ძირითადი უფლების გარეშე და ემსახურება ვალდებულებითი ურთიერთობის უზრუნველყოფას. ამ თვისებიდან გამომდინარე, იპოთეკა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება არსებობს ძირითადი უფლების — ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტამდე. ამავდროულად, აქცესორული უფლების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს ძირითად უფლებაზე — ვალდებულებით ურთიერთობაზე და ეს უკანასკნელი კანონით დადგენილი წესით უნდა შესრულდეს.

## **2.10. საჯარო რემისიონი**

**საქმე № ას-402-794-06**

**22 თებერვალი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უძრავ ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის დადგენა (სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები შეიტანება რეესტრში. ამავ კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების თაობაზე უტყუარი ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია საჯარო რეესტრის მონაცემთა მოძიება. ასეთი მონაცემები წარმოდგენილი არ არის საქმის მასალებში. აღნიშნული გარემოება კი წარმოადგენს სათანადო მოსარჩელის დადგენის ხელისშემშლელ გარემოებას.

სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ტერმინს ქონების ბალანსზე არსებობას ან ბალანსიდან ბალანსზე გადაცემას. კოდექსის თანახმად უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული გარიგების დადების საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (183-ე მუხლი). ამიტომ მითითება იმისა, რომ სადავო სახლი არსებობს რომელიმე ორგანოს ბალანსზე არ შეიძლება გამოყენებული იქნეს იმის დასადასტურებლად, რომ სადავო ქონება მისი საკუთრებაა.

**საქმე № ას 1154-1299-08**

**2 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დავალდებულება**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ყ-ძეს ნ.მ-ძისა და მ.მ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდა. ნ.მ-ძეს და მ.მ-ძეს აღნიშნული გადაწყვეტილებით წარმოეშვათ უფლება ნ. ყ-ძისაგან მიიღონ გადაწყვეტილებაში მითითებული თანხა, ხოლო ამ უფლების რეალიზაციისთვის მათ ესაჭიროებათ ნ.ყ-ძის ქონების რეესტრში დაფიქსირება, რათა იგი მიექცეს აღსრულებაში. ვინაიდან ეს უკანასკნელი ნებაყოფლობით არ ასრულებს ამ ქმედებას, სასამართლო უფლებამოსილია დაავალლოს მარეგისტრირებელ ორგანოს ასეთი ქმედების განხორციელება თუ სამართლებრივად ეს ქონება არის მოვალის (ნ. ყ-ძის) საკუთრება. აღნიშნული წარმოადგენს არა საჯარო რეესტრში საკუთრების იძულებით

რეგისტრაციას, არამედ საჯარო რეესტრში დაფიქსირებას იმ უფლებისა, რაც სამართლებრივად გააჩნია მოვალეს მოცემულ დავაში. სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად საჯარო რეესტრი არის ნივთისა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა და სხვადასხვა მონაცემთა ერთობლიობა. ანუ საჯარო რეესტრში ფიქსირდება ნებისმიერი უფლება, რაც არსებობს ამ ნივთის მიმართ და თუ სამართლებრივად არსებობს ესა თუ ის უფლება, მაგრამ იგი სხვადასხვა ვალდებულებებისგან თავის არიდების მიზნით არ ფიქსირდება რეესტრში, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს ასეთი მოქმედების შესრულების განხორციელება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უფლების რეგისტრაცია გულისხმობს ნამდვილი უფლების არსებობას. ანუ უფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება დაფიქსირდეს საჯარო რეესტრში თუ იგი მართლზომიერია.

## საქმე № ას-221-213-2012

24 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის მავალდებულებელი გარიგების და- მოწმების სავალდებულობა (სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლი)

მორიგების აქტი, რომლითაც ე. ც-მ იკისრა ვალდებულება, დ. მ-ისათვის საკუთრებაში გადაეცა ბ. ხ-ის № 161-ში მდებარე 38 კვ.მ სარდაფი 1000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, შედგენილია მარტივი წერილობითი ფორმით და არ არის დადასტურებული სანოტარო წესით. ე. ც-ს მიერ მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ შესრულებულა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა მიერ შედგენილი მორიგების აქტი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უძრავი ნივთის ნასყიდობაზე შეთანხმებაა — სანივთო გარიგებაა, რომლის ნამდვილობისთვის კანონმა იმპერატიულად დაადგინა კონკრეტული ფორმა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმა. იმავე შინაარსისაა ამავე კოდექსის 323-ე მუხლი. როგორც ყველა გარიგებისთვის უძრავი ნივთის ნასყიდობისთვისაც გადაწყვეტა ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგისიანობა. კანონით დადგენილი წესის თანახმად, თუ ნება გამოვლენილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას სანივთო გარიგების იურიდიულ ბუნებაზე და განმარტავს:

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებებს, როგორცაა: ნასყიდობა, ჩუქება, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, სესხი, გაცვლა. ეს ხელშეკრულებები განკარგვითი ხასიათისაა და შედეგად მხარისათვის (შემძენისათვის) საკუთრების უფლების გადაცემას იწვევს. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის კანონი სპეციალურ წესებს ადგენს:

სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას. ამავე კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნული ნორმებით, უძრავი ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ვალდებულებითი ურთიერთობა უდევს საფუძვლად საკუთრების უფლების გადაცემას, აუცილებელია, მისი წერილობით შედგენა.

მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარეთა შორის შედგენილია უძრავი ნივთის ნასყიდობის აქტი და სადავოა მისი იურიდიული ძალა. სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი იღებს ვალდებულებას, მყიდველს გადასცეს ნივთზე საკუთრების უფლება, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. აღნიშნული ნორმის ანალიზით ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია და იგი დადებულად ითვლება მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ დადგენილი ფორმით შეთანხმების მომენტიდან. შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლა ნივთის გა-



დაცემამზე დამოკიდებული არ არის. ამასთან, ხელშეკრულების მიზანი და ინტერესი, რასაკვირველია, საკუთრების უფლების გადაცემისა და იგი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ უფლების გადაცემას ემსახურება. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულება მოიცავს როგორც ვალდებულებით (მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე), ისე სანივთო (გარიგებით საკუთრების უფლების განკარგვა და გადაცემა ხდება) გარიგების ელემენტებს და იგი, როგორც ერთიანი ხელშეკრულება, ერთობლივად უნდა იქნეს განხილული.

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ვალდებულებითი გარიგების საფუძველზე შემძენისათვის გადასაცემი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, ხოლო რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლი.

სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით დადებული გარიგება. გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით. თუ გარიგების მონაწილე მხარეები გარიგებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, მაშინ გარიგების ნამდვილობისათვის არ მოითხოვება გარიგების ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება. ამავე კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით, ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, წერილობითი ფორმის არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით გარიგება, ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა.

ამდენად, მითითებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის, საფუძვლის — უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის მავალდებულებელი გარიგების დამოწმება სავალდებულოა.

## საქმე № 3კ-1489-02

30 ივლისი, 2003 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია (სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი)

მხარეები სადავოდ არ ხდიან და დადასტურებულია, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირი გ. მ.-ე და ი. ჭ.-ა 1988 წლიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. სადავო ბინა შეძენილია 1995 წელს, იგი წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას და ამ ბინის იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში იგი აღრიცხული იყო ი. ჭ.-ს სახელზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. მ.-ე სადავო ბინის თანამესაკუთრე გახდა მისი შეძენის მომენტიდან და მას სრული უფლება ჰქონდა, საკუთრების უფლების აღერიცხვა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, რაც არ გაუკეთებია. გ. მ.-ს არც ბინის აღრიცხვის მომენტში და არც მის შემდეგ პრეტენზია არ გამოუთქვამს ბინის ტექაღრიცხვის ბიუროში, ან საჯარო რეესტრში მეუღლის სახელზე რეგისტრაციის გამო. მოცემულ შემთხვევაში გ. მ.-მ თავისი უფლება, აღრიცხულიყო საჯარო რეესტრში (ტექაღრიცხვის ბიუროში) და ესარგებლა მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით, კერძოდ, განეკარგა ქონება, დაუთმო თავის მეუღლე ი. ჭ.-ს.

პალატა თვლის, რომ შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე (იპოთეკის ხელშეკრულება თავისთავად წარმოადგენს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კრედიტორის მიერ სხვა კრედიტორებთან შედარებით ნივთიდან დაკმაყოფილების უპირატესობის უფლების შეძენას), მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილ, სკ-ს 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე მათი საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირთა მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად.

**საქმე № ას-139-132-10**

**10 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია (სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი)**

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჩიალიმ ა-ევამ წარმოადგენს მოსარჩელის ოჯახის წევრს და მასზე არ შეიძლება გავრცელდეს საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია (აღნიშნული წარმოადგენს პრეზუმფციის მესამე პირთათვის და არა ოჯახის წევრებისათვის).

**საქმე № ას-442-414-2010**

**11 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია (სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი)**

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეტენზია ვრცელდება ასევე იმ დროს მოქმედი ტექნიკური რიზაციის ბიუროში არსებული ჩანაწერების მიმართ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1514-ე მუხლი), ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში არ იხილება მოთხოვნა საჯარო რეესტრის ჩანაწერების კანონიერების თაობაზე.

**საქმე № ას-465-435-2010**

**31 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის გავრცელების ფარგლები (სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მოქმედება, ასევე უნდა გავრცელდეს იპოთეკარების მიმართ, შესაბამისად, უნდა დადგინდეს, იცოდნენ თუ არა იპოთეკარებმა რეესტრის ჩანაწერის ხარვეზის შესახებ და საქმეში არსებული მასალებით იქმნება თუ იმის ალბათობა, რომ შემძენმა და იპოთეკარებმა იცოდნენ უფლების რეგისტრაციის ნაკლის თაობაზე.

**საქმე № ას-1406-1421-2011**

**17 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა**

2009 წლის 16 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნით, ლ. წ-ასა და კ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები საკადასტრო რუკებზე დატანილი კოორდინატების გათვალისწინებით მდებარეობს ი.უ-ის ქუჩის მიმდებარედ (ყოფილი ი-ის ქუჩა), ხოლო ახალდაბის ქუჩა მდებარეობს აღნიშნული ი.უ-ის ქუჩიდან დაახლოებით 4 კილომეტრის მოშორებით. გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია მისამართი, „ახალდაბის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ტყე-პარკი“, ხოლო ლ. წ-ას სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მისამართი არის ქ.თბილისი, დაბა წ-ი, სატყეო უბანი, ნაკვეთი 7/18 და კ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მისამართი არის ქ.თბილისი, ბაგების სატყეო უბანი, ნაკვეთი 17/55. აღნიშნული მიწის ნაკვეთების მისამართები არ შეესაბამება გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ მისამართს. თანამოსარჩელების ვ. ვ-ის, მ. ბ-ის, მ. ს-ასა და ჯ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების და თანამოსახულების, ლ. წ-ას და კ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებს შორის ხდება როგორც ნაწილობრივი, ასევე სრული გადაფარვებიც.

ამდენად, მითითებული მტკიცებულების შინაარსიდან სადავო მიწის ნაკვეთზე როგორც მოსარჩელეთა, ასევე მოპასუხეთა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლების თანხვედრა იკვეთება. ამავდროულად, გამოკვეთილია მოსარჩელების საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე, რაც ვინდიკაციური სარჩელის აღძვრის ერთ-ერთი წინაპირობაა. სააპელაციო პალატას დასკვნის ამ ნაწილში მითითებული გარემოების არსებობა საერთოდ არ გამოუკვლევიდა და შეუფასებია.

საკულისხმოა, რომ მტკიცებულებით, რომელსაც დაეფუძნა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულნი გადაწყვეტილება — შპს „ჯ-ის“ 2011 წლის 12 აპრილის დაკვალვის ჩატარების დამადასტურებელი აქტით გამოკვლევა ჩატარდა საჯარო რეესტრში ლ.წ-ას და კ.მ-ის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთებზე მიწის საკადასტრო კოდი: 01/14/09/07/018 და 01/14/09/07/017. ამასთან, სასამართლოს მიერ უარყოფილი 2009 წლის 16 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნითაც სწორედ იგივე საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთები იქნა გამოკვლეული და შედარებული მოსარჩილეების სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთებთან.

სამოქალაქო სამართალი კერძოსამართლებრივი ურთიერთობებში გარკვეულ ხარვეზებს არ გამო-რიცხავს. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და ამ ბრუნვაში ჩართულ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, მატერიალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ რეგულაციებს, როგორცაა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, სამართალურთიერთობის მონაწილის კეთილ-სინდისიერება და ა.შ. 2007 წლის 23 მაისამდე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 314-ე მუხლით განსაზღვ-რული იყო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა განისაზღვრებოდა რეგისტრაციის დროის თანამიმდევრობის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2007 წლის 11 მაისს განხორციელებუ-ლი ცვლილებებით 314-ე მუხლი ამოღებულ იქნა, თუმცა მსგავსი შინაარსის ნორმა იმავდროულად აისახა ჯერ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 14.4 მუხლში, ხოლო შემ-დგომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 13.4 მუხლში (მოქმედი რედაქცია). ამ მიმართე-ბით ასევე გასათვალისწინებელია სამოქალაქო კოდექსის 1514-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრის სამსახურის ჩამოყალიბებამდე მიწის ნაკვეთების გასხვისება ფორმდებოდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში. ამდენად, დასახელებული საკანონმდებლო რეგულაციები ითვალისწინებს და აწესრიგებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ერთსა და იმავე ნივთზე ორი თანაბარი დონის უფლებაა რეგისტრირებული. მართალია, კასატორები არ იზიარებენ სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოწინააღმდეგე მხარეები მასზე აღრიცხულ მიწის ნაკვეთს ფლობენ და მიიჩნევენ, რომ მათი მიწის ნაკვეთი ტერიტორიულად სხვა მისამართზეა, მაგ-რამ საქმის მასალებით იკვეთება სადავო ნივთზე მოდავე მხარეთა უფლების თანხვედრა, რაც სათანადო გამოკვლევასა და რეგულირებას საჭიროებს.

### 3. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი

#### 3.1. ზოგადი დებულებანი

საქმე № ას-1147-1394-05

18 აპრილი, 2006 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსი (სამოქალაქო კო-დექსის 316-ე მუხლი)

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტო-რი უფლებამოსილია მოთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამო-იხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

ვალდებულებითი ურთიერთობა კრედიტორსა და მოვალეს შორის წარმოშობილი ურთიერთობაა, ამიტომ მას ფარდობითი ურთიერთობა ეწოდება. აბსოლუტური (სანივთო) უფლებებისაგან განსხვავე-ბით, სადაც უფლებამოსილ პირს შეუძლია ნებისმიერი ხელმყოფისაგან თავის დაცვა, ვალდებულებით ურთიერთობებში პირის მოთხოვნა შეზღუდულია მოვალეთ. კრედიტორს შეუძლია მხოლოდ მოვალი-საგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. „მოთხოვნა“ ვალდებულებითი ურთიერთობის უმნიშვ-ნელოვანესი ელემენტია. ყოველი კონკრეტული დავის გადაწყვეტისას, ჯერ უნდა გაირკვეს მოთხოვნის

საფუძველი, კერძოდ, თუ რა სამართლებრივი საფუძველით ითხოვს მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

**საქმე № ას-163-860-03**

**26 ნოემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა**

დადგენილია, რომ მოსარჩელე მოპასუხეს ნივთს (სიგარეტს) გადასცემდა შემდგომში რეალიზაციის მიზნით, ე.ი. მათ შორის არსებობდა ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გათვალისწინებულია სკ-ს 319-ე მუხლის პირველი ნაწილით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის არსებობდა 709-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობა. პალატა თვლის, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია (დავალების ხელშეკრულება) მიესადაგება მხარეთა შორის არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას, რეალურად კი მათ შორის არსებობდა პროდუქციის რეალიზაციის შესახებ მომსახურების ხელშეკრულება, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია არსებობდეს სკ-ს 317-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სამართლებრივი საფუძველი — ვალდებულება და ამ ვალდებულების დარღვევა.

**საქმე № ას-7-362-07**

**5 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გულისხმიერად მოქმედების მნიშვნელობა ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

კასატორ სს „...“ საკასაციო საჩივრის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოდავე მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობის განმსაზღვრელ დოკუმენტებში — 2003 წლის 15 იანვრის ხელშეკრულებასა და 2003 წლის 18 თებერვლის შეთანხმების ოქმით კასატორის ვალდებულებას წარმოადგენდა რა მოწინააღმდეგე მხარისათვის — ა...სათვის გადაცემული სახაზო-საკაბელო წყვილების დაზიანების საკონტროლო ვადებში აღდგენა, საკონტროლო ვადის ხანგრძლივობა დაზუსტებული არ არის, რაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ გაუთვალისწინებია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის ამგვარი პოზიცია არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილისა და 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესებიდან გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული ნორმები სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს აკისრებს თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერ განხორციელებას, განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინონ ერთმანეთის ქონებისა და უფლებების მიმართ, კერძოდ, მე-8 მუხლის მესამე ნაწილით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილით ვალდებულია უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს ზოგად დათქმას და ვრცელდება მთელ კერძო სამართალზე. სამოქალაქო კოდექსი უზრუნველყოფს რა მხარეთა ნებას ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალ განსაზღვრაში, ამასთანავე, თვითნებობის უფლებას მხარეებს არ აძლევს და ხელშეკრულების თავისუფლება სახელშეკრულებო სამართლიანობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

კერძო სამართლის სუბიექტთა მიერ ხელშეკრულების პირობების სამართლიან განსაზღვრას და მხარეთა უფლებების დაბალანსებას უზრუნველყოფს სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლი, რომლის ძალითაც, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. თუ მხარე პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად ან მათი განსაზღვრა ჭინაურდება, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის მითითებას, რომ მოდავე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება და დანართი ნამდვილად არ მოიცავს მითითებას შესრულების ზუსტ ვადაზე (საკონტროლო ვადაზე), მაგრამ ხელშეკრულების ეს ხარვეზი მხარეს არ აძლევს უფლებას, არამართლზომიერად გამოიყენოს თავისი უფლება, ვინაიდან კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებულება ყოველ მხარეს აკისრებს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილი). ასეთი გულისხმიერება უნდა გამოიხატოს სწორედ იმაში, რომ თუკი მხარეთა შორის არ მომხდარა შეთანხმება ხელშეკრულების რომელიმე პირობაზე ან არსებობს ბუნდოვნობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასეთი პირობა სამართლიანად უნდა განისაზღვროს და ყველა მხარე კეთილსინდისიერად და პატივისცემით უნდა მიუდგეს სხვის უფლებებსა და ქონებას. ამდენად, ხელშეკრულების პირობის დაუზუსტებლობა ან მისი გაუთვალისწინებლობა მხარეს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს და ასეთ შემთხვევაში ხარვეზის აღმოფხვრა ხელშეკრულების შემგები განმარტების მეშვეობით უნდა მოხდეს.

**საქმე № ას-1333-1562-05**

**22 ნოემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძველი (სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი)**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1998წ. 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი.ს-ძეს ნ.ე-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 11000 ლარის გადახდა და 1998წ. 24 დეკემბერს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. საქმეზე დაიწყო იძულებითი აღსრულება, რომელიც შეჩერდა ი. ს-ძის განცხადების საფუძველზე.

2005წ. 1 თებერვალს ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩილო განცხადებით მიმართა ნ. ე-ძემ ი. ს-ძის მიმართ და მოპასუხისაგან მოითხოვა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება და აღნიშნული ვალდებულების დროული შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების აღსრულება სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილია. გადაწყვეტილების აღსრულება წარმოადგენს სამართალწარმოების უმნიშვნელოვანეს ეტაპს. იგი მხარის დარღვეული ინტერესის აღდგენის ბოლო საფეხურია. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებლობა ან აღსრულების გაჭიანურება საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მართლმსაჯულების არსს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ვალდებულების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს. სკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულებას წარმოშობს ხელშეკრულება, დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი. აღსანიშნავია, რომ სწორედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის „კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძველს“, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებით პირს კონკრეტული მოქმედების განხორციელების (თანხის გადახდის, ნივთის გადაცემის და ა. შ.) ვალდებულება ეკისრება და იგი სამართლებრივი ურთიერთობის მოვალე ხდება, კრედიტორს კი მის მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშობა. სკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულება ისეთი სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის ძალითაც კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ვალდებულების არსებობა კი მისი შესრულების აუცილებლობასაც გულისხმობს.

მართალია, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა სასამართლო აღმასრულებლის უფლებამოსილებაა, მაგრამ ეს ვერ გაათავისუფლებს მოვალეს დაკისრებული ვალდებულების შესრულებისაგან. მოვალე უშუალოდაა პასუხისმგებელი ვალდებულების შესრულებაზე.

სკ-ის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ პირველადი მოთხოვნების დარღვევა კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს, ხოლო, ვინაიდან, არსებობს ფულადი ვალდებულება, კრედიტორს სკ-ის 403-ე

მუხლის საფუძველზე შეუძლია გადაცილებული ვადისათვის მოითხოვოს კანონით გათვალისწინებული პროცენტი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების აღსრულება არ გაჭიანურებულა, რადგან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის უფლება მხარეს მინიჭებული აქვს კანონით. მართალია, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების განახლების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების მოთხოვნა არ წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურებას, აღნიშნული მხარისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლების რეალიზაციაა, მაგრამ საქმის წარმოების შეჩერება ვერ მიიჩნევა ვალდებულების შესრულებად.

### **საქმე № 3კ-1156-02**

**21 მარტი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ხელშეკრულების მომზადების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

დადგენილია, რომ მხარეთა შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება სესხის ხელშეკრულების დადებაზე. სესხის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად მხარეთა შორის გაფორმდა მოძრავი ქონების გირავნობის და უძრავი ქონების იპოთეკის ხელშეკრულებები, მაგრამ შემდგომში სესხის ხელშეკრულება მხარეთა შორის არ დაიდო და სესხი არ გაიცა, რის გამოც მოსარჩელემ განიცადა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით.

სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება არ დადებულა, შესაბამისად მოპასუხეს ვალდებულებაც არ წარმოშობია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მართებულად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სკ-ის 317-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას, ხოლო 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

მოცემულ საქმეზე დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე მოსარჩელე სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფლებამოსილია მოსთხოვოს მოპასუხეს ხელშეკრულების დადება, მაგრამ მოსარჩელე არ მოითხოვს ხელშეკრულების დადებას, იგი მოითხოვს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, რაც დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება, რადგან როგორც აღინიშნა მოპასუხესთან სესხის ხელშეკრულება არ დადებულა და შესაბამისად ვალდებულებაც არ წარმოშობია. მოპასუხეს წარმოეშვა მხოლოდ ხელშეკრულების დადების ვალდებულება, რომლის შესრულებასაც მოსარჩელე არ მოითხოვს.

### **საქმე № 3კ-681-03**

**21 ნოემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ხელშეკრულების დადების თავისუფლება (სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი)**

სკ-ს 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

სამოქალაქო სამართალით განმტკიცებული მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება. ხელშეკრულების ძალით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, კისრულობენ ვალდებულებას შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება. ხელშეკრულების დადების პრინციპი მოიცავს როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლებას, ასევე ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. ხელშეკრულების მხარეებს თვითონვე შეუძლიათ დამოუკიდებლად შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა საკითხზე, მათ უფლება აქვთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ისე მოაწესრიგონ, როგორც მათ სურთ.

ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრა გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება, მათ შორის ისეთიც, რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია, იგი შეიძლება იმპერატიული ნორმების საფუძველზე შეიზღუდოს. ეს შეზღუდვები შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების სხვადასხვა ელემენტებს. ერთ შემთხვევაში შეიძლება კანონი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის მოითხოვდეს სპეციალური ფორმის დაცვას (მაგალითად, უძრავი ნივთის ნასყიდობის სანოტარო წესით გაფორმება), სხვა შემთხვევაში შეიძლება ხელშეკრულების შინაარსს აკონკრეტებდეს (მაგალითად, მხარეებს არა აქვთ უფლება გამოირიცხონ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუკი ერთ-ერთი მხარე განზრახ არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და ა.შ.).

### **საქმე № 3კ/311**

**12 ივლისი 2000 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტის მიერ ხელშეკრულების დადების ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მართალია, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება და მას არ შეუძლია კონტრაჰენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულების დადება მხარეთა ნებაზე არ იყო დამოკიდებული. მხარეს ხელშეკრულების დადება ევალება ყველა პირთან, რომელიც ამას მოისურვებს, მაგრამ ხელშეკრულების დადების მოვალეობა იმას არ ნიშნავს, რომ იგი ვალდებულია დადოს მისი ინტერესებისათვის საზიანო ხელშეკრულება (მოითხოვოს იმაზე ნაკლების გადახდა, რასაც სხვებისაგან ითხოვს).

### **საქმე № ას-1081-1110-2011**

**10 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: მომავალ ქონებაზე დადებული ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 320-ე მუხლი)**

იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს ბინის მთლიანი ფართი ფაქტობრივად შეადგენდა 145,26 კვ.მ-ს, საიდანაც 98,26 კვ.მ იყო მიშენება, რომელიც არ იყო დაკანონებული და აღრიცხული საჯარო რეესტრში. იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას სს „... ბანკისთვის“ ცნობილი იყო, რომ ბინის 98,26 კვ.მ ფართი იყო დაუკანონებელი. ქ. თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსში მდებარე 60 ბინა არის ერთიანი, მოქცეულია ერთ ჭერქვეშ და არის ერთი მთლიანი ბინა.

იპოთეკის ხელშეკრულების მე-6.13 პუნქტის თანახმად მიმდინარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილზე). ამავე პუნქტის თანახმად, დადგენილი ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკის საგანს დაემატა (მიეშენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი) იპოთეკის საგანში გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა-

ნაგებობა. მითითებულ დებულებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეების ნება ცალსახად მიმართულია სადავო ბინის მთელი ფართის (და არა მისი ნაწილის) იპოთეკით დასატვირთად.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების მე-6.13 პუნქტი ეწინააღმდეგება იპოთეკის ლეგალურ დეფინიციას. გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, ნივთის იპოთეკის უფლებით დასატვირთვად აუცილებელია ნივთი მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და შეუძლებელია, იპოთეკის გამოყენება სამომავლო ქონებასთან მიმართებაში. სასამართლო აღნიშნულ მსჯელობას უკავშირებს ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლებს და მისი მოსაზრებით, შეუძლებელია, ისეთი ქონების დატვირთვა იპოთეკით, რომლის „სამართლებრივი საზღვრები დაუდგენელია.“

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, არ შეიცავენ აკრძალვას მომავალი ქონების უზრუნველყოფის სახით გამოყენების თაობაზე.

მომავალ ქონებაზე გარიგების დადების ამკრძალავი ნორმა მოცემულია სახელშეკრულებო სამართალში, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის 320-ე მუხლში. აღნიშნული ნორმის თანახმად, ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას მთელი მისი მომავალი ქონება ან ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ანდა უზღუფრუქტით დატვირთოს იგი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე. აღნიშნულ ნორმაში საუბარია „მთელ მომავალ ქონებაზე“ და „მომავალი ქონების ნაწილზე“ ანუ ქონებაზე, რომელიც გარიგების დადების მომენტისათვის ხელშეკრულების მხარეებს არ გააჩნიათ და რომელიც მომავალში შეიძლება მიიღონ. (რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება მომავალი ქონების ცალკეულ ნაწილებზე დადებული ხელშეკრულება). განსხვავებით ამ ნორმაში მითითებული ქონებისაგან, სადავო ბინა წარმოადგენს არა მომავალ ქონებას, არამედ უძრავი ნივთის ნაწილს, რომელიც მატერიალურად არსებობს გარიგების დადების დროს დაუკანონებელი სახით. სადავო ფართი არის გარიგების დადების დროისათვის არსებული, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართის ნაწილი, რომელიც დავის პერიოდისათვის აღრიცხულია იპოთეკით დატვირთული ქონების შემადგენელ ნაწილად. შესაბამისად მასზე ვრცელდება ამ ნივთზე არსებული იპოთეკა.

## საქმე № ას-250-235-2010

13 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ხელშეკრულების არსებითი პირობა — შესრულების ვადა

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზეც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად ჩაითვლება კანონის მიერ.

შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას, რომელიც საჭიროებს მხარეთა შორის შეთანხმებას. ვადის განსაზღვრა, როგორც წესი, მხარეთა პრეროგატივაა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა ძირითად პირობებზე შეთანხმება.

მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრა გამომდინარეობს სამოქალაქო სამართალში აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელმაც ნორმატიული ასახვა ჰპოვა სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველ ნაწილში: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“. შესაბამისად, მხარეებს სრული თავისუფლება აქვთ, შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების ვადებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ისინი ამით საკუთარი ნებით განსაზღვრავენ ვალდებულების შესრულების საზღვრებს დროში. სახელშეკრულებო სამართალში ერთმანეთისგან განასხვავებენ დადგენილ (განსაზღვრულ) და დაუდგენელ (განუსაზღვრელ) ვადებს. განსაზღვრულია ვადა,



როდესაც ცნობილია მოვლენის დადგომის თარიღი. განუსაზღვრელია ვადა, როდესაც მოვლენის დადგომა სარწმუნოა, მაგრამ უცნობია მისი დადგომის ზუსტი თარიღი. როდესაც მხარეთა შეთანხმებით მოვლენის დადგომის კონკრეტული თარიღი მკაფიოდაა განსაზღვრული, ასეთ შემთხვევაში სახეზეა განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულება, ხოლო როდესაც ასეთი თარიღი არ არის განსაზღვრული და იგი არც ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარეობს — იგულისხმება განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულება.

**საქმე №ას-1260-1501-05**

**30 ივნისი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ფორმა (სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა თვლის, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება პროცენტიანი რომ იყო. სკ-ის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნაა, რომ თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. ამ ნორმის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლაც ამავე ფორმით უნდა მოხდეს.

**საქმე № ას-592-974-06**

**2 თებერვალი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ოფერტის გაკეთება (სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლი)**

დადგენილია, რომ შპს „ს-ამ“ გაზეთ „.....-ში“ 2004 წლის 10 დეკემბერს მის ბალანსზე რიცხული ჯართის რეალიზაციის მიზნით, გამოაცხადა აუქციონი და გამოაქვეყნა ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ. საწყისი სარეალიზაციო ფასი განისაზღვრა 161 054, 25 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. 2005 წლის 12 იანვარს გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ი-ი“, ნივთის გასაყიდმა ფასმა შეადგინა 166 422, 73 აშშ დოლარის შესაბამისი ლარი, რაც მოსარჩელემ გადაიხადა. აუქციონის შედეგები დადასტურდა შპს „ს-ის“ გენერალური დირექტორის 2005 წლის 17 იანვრის 133 ბრძანებით.

სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული. შპს „ს-ის“ მიერ აუქციონის გამოცხადება წარმოადგენდა მოწვევას ოფერტზე, ხოლო აუქციონში მონაწილეობის მიღებითა და გამარჯვებით შპს „ი-მა“ ოფერტი გააკეთა, რაც აქცენტირებული იყო შპს „ს-ის“ დირექტორის ბრძანებით. ამ ბრძანებით გამარჯვებულად გამოცხადდა მოსარჩელე იმ პირობებით, რა პირობებითაც ჩატარდა აუქციონი ანუ მხარეები შეთანხმდნენ გასაყიდი ქონების ფასზე — 166 422,73 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარზე.

### **3.2. სახელშეკრულებო სამართალი**

**საქმე № ას-1244-1503-09**

**10 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შერეული ხელშეკრულების განმარტება (სამოქალაქო კოდექსის 340-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 340-ე მუხლის თანახმად, შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს განსახილველი ხელშეკრულების, როგორც შერეული ტიპის ხელშეკრულების მნიშვნელობა. აღნიშნული ხელშეკრულების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, და-ვასკვნათ, რომ იგი მოიცავს ნასყიდობის, გადაზიდვის და ნარდობის ხელშეკრულების ელემენტებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების ცალკეული ელემენტების განმარტებისათვის აუცილებელია მთელი ხელშეკრულების შინაარსი იქნას გააზრებული, დადგინდეს მხარეთა ნება, თუ რა მიზნის მიღწევა სურდათ ამ ხელშეკრულებით, რა იურიდიულ და ეკონომიკურ ინტერესს გულისხმობდნენ მხარეები ვალდებულების შესრულებაში და კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ვალდებულების შეუსრუ-ლებლობაზე დავობენ მხარეები. განსახილველი ნორმის თანახმად, მოცემულია შერეული ხელშეკრულებ-ის განმარტების წესი, რომლის მიხედვით მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესა-ხებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან (მაგალითად, ნივთი დაზიანდა გადაზიდვის დროს ან არასწორად იქნა დამონტაჟებული, ან მიმწოდებელმა არ განახორციელა ხარისხიანი სწავლება, ან მთლიანად არ შეასრულა ვალდებულება). ეს ნიშნავს იმას, რომ ვალდებულე-ბის შესრულების არსი ერთ შემთხვევაში შეიძლება ეხებოდეს შერეული ხელშეკრულების ერთ-ერთ ან რამოდენიმე ელემენტს, ხოლო სხვა შემთხვევაში მთლიანობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო მიზნის მისაღწევად მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მაგრამ ამასთან ერ-თად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ შერეული ხელშეკრულებით მხარეები ითვალისწინებენ ერთი საერთო მიზნის მიღწევას და ამ ხელშეკრულებაში შემავალი ხელშეკრულებები შეიძლება წარმოვიდგინოთ, რო-გორც შერეული ხელშეკრულების ელემენტები. ამდენად, შერეული ხელშეკრულების სტრუქტურის გათ-ვალისწინებით ის წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებას, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა ხელშეკრუ-ლებების სხვადასხვა პირობები, მაგრამ ეს პირობები წარმოადგენენ ერთი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.

### **საქმე № ას-334-686-07**

**13 ნოემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ვალის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალის არსებობის აღიარება ხელ-შეკრულებას წარმოადგენს, ამავე კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულია ითვ-ლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორ-მით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვ-ნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც ვალის არსებობაა დაფიქსირებული, ვერ ჩაითვლება ვალის არსებობის აღიარების შესახებ ხელშეკრულებად, თუ არ დადგინდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე. ზემოაღნიშნულ შედარების აქტში არ არის მითითებული მხარეთა შორის ურთიერთობის ისეთ არსებით პირობებზე, როგორცაა მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე, ძირითად უფლება-მო-ვალეობებზე, ფასსა და ვადაზე. შესაბამისად, კასატორის მიერ დასახელებული კონტროლის პალატისა და ურთიერთშედარების აქტები ვერ ჩაითვლება მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებად.

### **საქმე № ას-745-961-08**

**2 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ვალის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულება ცალმხრივი ხელ-შეკრულებაა, მისი ნამდვილობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მხარის მიერ ნების გამოვლენა. სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის აღიარება წარმოადგენს ხელშეკრულე-ბას, ამდენად, ვალის არსებობის შესახებ ნება უნდა მიიღოს მეორე მხარემ, რათა ხელშეკრულება დადე-ბულად ჩაითვალოს. ამასთან ერთად ვალის აღიარების ხელშეკრულება მხარეთა შორის უნდა დაიდოს

წერილობითი ფორმით. თუ სხვა ფორმა გათვალისწინებული იმ ვალდებულებით ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას (სკ-ის 341-ე მუხლი).

### **საქმე № ას-599-562-2010**

**1 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ვალის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ქმნის ახალ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა შეიძლება სადავოც კი იყოს, ვალის არსებობის აღიარება მაინც წარმოშობს შესრულების ვალდებულებას, ხოლო კრედიტორს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთგზის აქვს განმარტებული, რომ ვალის აღიარება ახალი ხელშეკრულებაა, ამდენად ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილ ყველა პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, პირველ რიგში კი სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მოთხოვნებს, ანუ მხარეები უნდა შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე. ნებისმიერი დოკუმენტი, ან მხარეებს შორის განხორციელებული მიმოწერა, სადაც დავალიანების არსებობაა დაფიქსირებული, ვალის აღიარების ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლება, თუ არ ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე (ვალის დაფარვის წესი, ვადა და ა.შ.).

### **საქმე № ას-839-890-2011**

**8 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ვალის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ახალ მოთხოვნას ქმნის. ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა სადავობის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამასთან, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა.

ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, თუ

მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ და აღნიშნული გარიგებით გათვალისწინებული მოთხოვნის მიზანია ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნა და ამდენად, ვალის აღიარება არ არსებობს, აღნიშნული ურთიერთობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებით აღიარებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რაც გულისხმობს ხელშეკრულების დადების თავისუფლებას და მისი შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ეს უკანასკნელი ელემენტი ასევე გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ, დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება, მათ შორის ისეთიც, რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

## საქმე №ას-413-391-2012

25 სექტემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ვალის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი)

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო არ იზიარებს როგორც კასატორის მოსაზრებას სადავო ხელწერილის სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად შეფასების თაობაზე, ასევე არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დასახელებული ნორმის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემულ განმარტებას. აღნიშნული ნორმის თანახმად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება.

მითითებული ნორმით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ახალ მოთხოვნას ქმნის. ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის სადავობის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამასთან, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა.

ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ და ამ გარიგებით გათვალისწინებული მოთხოვნის მიზანია, ადრე არსებული ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მიღება წინა ვალდებულების შინაარსის გათვალისწინებით, ასეთი აღიარება კაუზალურ აღიარებას წარმოადგენს და იგი თვისობრივად განსხვავდება სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული აბსტრაქტული აღიარებისაგან.

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შედგენილი ხელწერილი სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად არ შეიძლება შეფასდეს, რადგან, როგორც თვით მოსარჩელე მხარის განმარტებით დასტურდება, ხელწერილით განისაზღვრა მხარეთა შორის უკვე არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე და სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულების ფარგლები, რაც მოიცავს მანქანა-დანადგარების ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ეს გარემოება დადგენილია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყ-

ვეტილებითაც და იგი კასატორს (მოსარჩელეს) სადავოდ არ მიუჩნევია. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, კასატორის წარმომადგენელმა არაერთხელ დააზუსტა, რომ ხელწერილში მითითებული თანხა წარმოადგენს მანქანა-დანადგარების ღირებულებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ჯამს და იგი მხარეთა შორის ხელწერილის გაფორმებამდე არსებული ერთობლივი საქმიანობის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს. კასატორის წარმომადგენლის მითითებით, ხელწერილი არის მხარეთა მოლაპარაკების შედეგი მათ შორის არსებულ ვალდებულებაზე (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმები). ამდენად, კასატორი მხარე, თავისივე განმარტებით, სადავო ხელწერილს კანონით გათვალისწინებულ ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად არ განიხილავს და მას მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის გაგრძელებად მიიჩნევს.

**საქმე № ას-373-771-06**

**8 იანვარი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვალის არსებობის ხელშეკრულების არსებითი პირობები (სამოქალაქო კოდექსის 327-ე და 341-ე მუხლები)**

სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ვალის არსებობის აღიარება ხელშეკრულებას წარმოადგენს. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეული უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც ვალის არსებობაა დაფიქსირებული, ვერ ჩაითვლება ვალის არსებობის შესახებ ხელშეკრულებად, თუ არ დადგინდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნულ შედარების აქტში არ არის მითითებული მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ისეთ არსებით პირობებზე, როგორცაა მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე, ძირითად უფლება-მოვალეობებზე, ფასსა და ვადაზე. შესაბამისად, ასეთი აქტი ვერ ჩაითვლება მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებად.

**საქმე № ას-992-1245-05**

**14 თებერვალი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილობა (სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგინდა ცნო შემდეგი: 2003წ. 8 დეკემბერს, დილის 9 საათზე, ა. ლ-შვილის საცხოვრებელი სახლის წინ დაზიანდა ქ. თბილისში, ... 21-ში მდებარე სახლის მკვებავი 20 მმ-იანი წყალსადენის განშტოება, რომელიც განთავსებულია ა.ლ-შვილის საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე ტროტუარზე. დაზიანებული წყალსადენიდან შედეგად გამონადენი წყლის ზემოქმედებით დაზიანდა ა.ლ-შვილის კუთვნილი სახლი, რომელიც საჭიროებს სერიოზულ სარეკონსტრუქციო სამუშაოს. დაზიანებული წყალსადენის მილი მიეკუთვნება შიდა ქსელებს. ა.ლ-შვილმა დაუყოვნებლივ აცნობა მოპასუხეს დაზიანების შესახებ, თუმცა შპს „თ-მა“ წყლის მიწოდება მხოლოდ სალამოს 17.00 საათზე შეწყვიტა.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წარმოშობილია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით.

კასატორი მხარე წარმოადგენს რა მეწარმე სუბიექტს, მისი წარმომადგენლის განმარტებით, აბონენტებთან დებს ხელშეკრულებებს სტანდარტული პირობებით წყლის გარკვეულ საფასურად მიწოდების შესახებ. მხარეთა განმარტებებისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ა. ლ-შვილისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია შპს „თ-ის“ ბრალეული უმოქმედობით.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ ვინაიდან შიდა ქსელების მოწესრიგება მის მოვალეობაში არ შედის და დაზიანდა შიდა ქსელში შემავალი წყალსადენის მილი, ზიანის ანაზღაურება მას არ უნდა დაკისრებოდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კასატორს ვალდებულება ბრალეული უმოქმედობისათვის დაეკისრა. სასამართლოს ეს დასკვნა შემდეგ გარემოებებს ემყარება:

სამოქალაქო კოდექსი მხარეებისაგან მოითხოვს რა ურთიერთპატივისცემასა და გულისხმიერებას კონტრაქტთან მიმართებაში, ორივე მხარეს ამ მხრივ შეთანხმებულზე უფრო მეტ ვალდებულებას აკისრებს. სწორედ ეს ვალდებულება დაწესებული სკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის ძალითაც თავის შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

შპს „თ-ი“ სარჩელში მითითებული გარემოების საწინააღმდეგო არგუმენტაციას ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ შიდა ქსელის დაზიანება მის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. მხარეთა შორის ურთიერთობა წარმოშობილია რა სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე, სკ-ის 346-ე მუხლის თანახმად, ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამდენად, შპს „თ-ს“ მხარესთან შეთანხმებით ან თავისი სამოქმედო დებულებით კიდევაც რომ შეეზღუდა თავისი პასუხისმგებლობის ფარგლები აუცილებლობის შემთხვევაში შიდა ქსელების დაზიანების აღკვეთასთან მიმართებაში, ხელშეკრულების ეს პირობა დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ბათილია, ვინაიდან ამ შემთხვევაში სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ დათქმა იქნებოდა. ასეთი დასკვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ზიანის გამომწვევი გარემოების აღკვეთა წყლის მიწოდების შეწყვეტით იყო შესაძლებელი, რაც მხოლოდ შპს „თ-ს“ შეეძლო. როგორც გადაწყვეტილების კვლევიტ ნაწილში აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში კონტრაქტს წარმოადგენს მეწარმე სუბიექტი, რომელსაც ასეთი საქმიანობის განხორციელების უფლება განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში სახელმწიფოსგან გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე, მხოლოდ მას აქვს მოპოვებული. ამდენად, შპს „თ-ს“ წყლით მომარაგების ბაზარზე უკავია რა დომინირებული მდგომარეობა, სკ-ის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მას არ შეუძლია კონტრაქტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები.

## საქმე №ას-277-264-2013

7 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლა (სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ხელშეკრულების მოშლას სასამართლოს მიერ დადასტურება არ სჭირდება.

ხელშეკრულების მოშლა არის გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დასრულების ფორმა, რომლის წინაპირობები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით. თავისი არსით, ხელშეკრულების მოშლა არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ. სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა, შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის სავალდებულოა, რომ მხარის მიერ გამოვლენილი ნება კონტრაქტს მიუვიდეს, რის შემდეგაც, იგი იურიდიულ ძალას იძენს, დამატებით სასამართლოს ან სხვა ორგანოს მიერ დადასტურება კი, საჭირო არ არის. ხელშეკრულების მოშლილად აღიარება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მხარეს ამგვარი აღიარება კანონის საფუძველზე კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მისაღწევად ესაჭიროება.

**განმარტების საგანი: ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულების გასვლის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საფუძვლები**

2009 წლის 26 ივლისს შპს „ე. ე. ს-სა“ და ვ. ჭ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება „მშენებარე სახლში საცხოვრებელი ფართის (ბინის) სამომავლო ნასყიდობის შესახებ“, რომლის საფუძველზეც ვ. ჭ-ს შპს „ე. ე. ს-სა“ უნდა ეყიდა 45 კვ.მ ბინა 45000 აშშ დოლარად.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობის ნამდვილობა, დადგენილია, რომ შემქმნმა ვ.ჭ-მა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეასრულა თანხის გადახდის ვალდებულება, უდავოა, რომ გამყიდველს ქონების გადაცემის ვალდებულება არც ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში — 2010 წლის ივნისში და არც შემდგომ არ შეუსრულებია.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ვ. ჭ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა, მიღებული შესრულების დაბრუნება და ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ვ. ჭ-მა ზიანის მიყენების ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო ბრუნვაში ფულადი თანხის როლზე, მის მსყიდველუნარიანობაზე და ჩათვალა, რომ შპს „ე. ე. ს-სა“ მიერ თანხის დროულად დაბრუნების შემთხვევაში, ის ამ თანხას ბანკში ანაბარზე განათავსებდა და წლიური სარგებელის სახით მიიღებდა თანხის 17%-ს.

მხარეთა შორის 2009 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება ქვემდგომი სასამართლოს მიერ შეფასებულია უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებად. ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ფაქტობრივ საფუძვლად სააპელაციო პალატამ სწორედ ვალდებულების არსი ჩათვალა, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინების თანახმად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელეს საკუთრების უფლებით გადაეცემოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ქონება და არა საპროცენტო სარგებელი, რასაც სავსებით იზიარებს საკასაციო სასამართლო, თუმცა მიიჩნევს, რომ განჩინების სამართლებრივი დასაბუთების კუთხით კასატორმა დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა (სსსკ 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი), კერძოდ, პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამართლებრივი თვალსაზრისით მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რამდენიმე გარემოებაზე:

სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). დასახელებული ნორმით განსაზღვრულია ისეთი შემთხვევა, როდესაც ორმხრივი ხელშეკრულებაში დამატებითი ვადის (გაფრთხილების) მიუხედავად, მოვალე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის გამო კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. აღნიშნული გარემოება მიღებული შესრულების დაბრუნების წინაპირობაა.

მოცემულ შემთხვევაში, გამყიდველმა დაარღვია რა უძრავი ქონების გადაცემის ვალდებულება, ხოლო შემქმნმა უარი თქვა ხელშეკრულებაზე, მას სწორედ ამ საფუძველით დაუბრუნდა უკვე განხორციელებული შესრულება — დაუბრუნდა ნასყიდობის საფასური, თუმცა ასეთ ვითარებაში, მოქმედი კანონმდებლობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მხარეს არ უკარგავს.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ კანონის არასწორი განმარტების გზით მცდარად აღნიშნა, რომ მიუხედავად მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევისა, კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ მოპასუხისათვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შეტყობინების შემდეგ წარმოეშვა. სააპელაციო პალატამ ამ თვალსაზრისით არ გაითვალისწინა სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის დათქმა, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევისათვის 394-ე მუხლის მიხედვით კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. სამო-

ქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ დადგენილია მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების აბსტრაქტული წინაპირობების არსებობა სადავო არაა, თუმცა პალატა ვერ გაიზიარებს ვ.ჭ-ის პრეტენზიას, რომ სასამართლომ ზიანის მიყენების ნაწილში არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით კი დადგენილია მხარეთა თანაბარი შესაძლებლობანი, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. როგორც უკვე აღინიშნა, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანი მოსარჩელემ დაუკავშირა მის მიერ გადახდილი ნასყიდობის თანხის ბანკში განთავსებასა და პროცენტის მიღებას. მოცემული ურთიერთობის მატერიალური ბუნებიდან გამომდინარე კი, ვინაიდან ნასყიდობის საგანს საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა, რომელსაც შემძენი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიიღებდა, მასვე უნდა დაედასტურებინა ამ ხელშეკრულების (ნასყიდობის) შეუსრულებლობამ რამდენად განაპირობა 45000 აშშ დოლარის საპროცენტო სარგებლის მიუღებლობა, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით, ხოლო მიუღებელ შემოსავლად კანონმდებელი განიხილავს ზიანის გამოწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, რომელიც მოვალისათვის სავარაუდო იყო, ამასთანავე, კრედიტორის მიერ მიუღებელი შემოსავლის სახით მოთხოვნილი თანხის მიღება სწორედ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების გზით უნდა ყოფილიყო გარანტირებული (სკ-ის 411-ე, 412-ე მუხლები).

### 3.3. ვალდებულების შესრულება

საქმე № 3კ-1133-02

20 დეკემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ვალდებულების ჯეროვანი შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 361-მუხლის მე-2 ნაწილი)**

სკ-ს 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას.

ვალდებულების შესრულების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, იყო თუ არა განხორციელებული მოქმედება, და თუ ასეთს ჰქონდა ადგილი, რა გზით მოხდა შესრულება.

ჯეროვანი შესრულება შეიცავს რამდენიმე მოთხოვნის დაცვის აუცილებლობას, რომლებიც განსაზღვრავენ, ვინ ვის წინაშე უნდა განახორციელოს შესრულება, რომელი საგნით, სად, როდის და რა გზით უნდა განხორციელდეს იგი.

ბრუნვის მონაწილის ვალდებულება, ჯეროვნად შეასრულოს ვალდებულება, ემყარება იმ სინამდვილეს, რომელიც მისთვის ცნობილია და მას ამ სინამდვილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება



ევალეზა. კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების საერთო მიმართულებასაც.

**საქმე № 3კ-1155-02 20**

**დეკემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვალდებულების ჯეროვანი შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 361-მუხლის მე-2 ნაწილი)**

სააპელაციო სასამართლომ ასევე სწორად გამოიყენა სკ-ს 383-ე მუხლი და სწორად მიუთითა, რომ ვინაიდან ფულადი ვალდებულება ეროვნულ ვალუტაში იყო გამოხატული და მხარეები შეთანხმებულნი არ იყვნენ ვალდებულების უცხოურ ვალიუტაში შესრულების თაობაზე, მოპასუხის მხრივ ამ პრინციპის დარღვევა ნიშნავს ვალდებულების ჯეროვნად შესრულებლობას, რაც ამავე კოდექსის 361-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას.

**საქმე № ას-1220-1480-09**

**25 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებლობა**

ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსით დგინდება, რომ ნივთი გაიყიდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მასზე განთავსებულიყო შეთანხმებული ტიპის ნაგებობა, რაც დასტურდება ამავე ხელშეკრულების მე-5 თავში შეთანხმებული განსაკუთრებული პირობებითაც. აღნიშნულ ნაწილში მხარეები უშვებდნენ მყიდველის მიერ ნივთის განკარგვას მესამე პირებზე, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთის მიზნობრივად გამოყენებით.

მოცემულ შემთხვევაში ნივთის გამოყენების მიზანი, კონკრეტული ფუნქციის შენობის აშენება, სადავოს არ წარმოადგენს. სადავოა, ჩათვალოს თუ არა ნივთის საერთოდ გამოყენებლობა ხელშეკრულების 7.1 მუხლით გათვალისწინებულ მიზნობრივ გამოყენებლობად.

საკასაციო სასამართლო, კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ, იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ნასყიდობის საგნის გამოყენებლობა მიზნობრივი გამოყენებლობის ტოლფასია. სასამართლოს ეს დასკვნა ეფუძნება, ერთი მხრივ, კანონს, მეორე მხრივ კი, ხელშეკრულების შინაარსს და მხარეთა შეთანხმების მიზანს — ხელშეკრულების შინაარსიდან გამოკვეთილ კრედიტორის ინტერესს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება *pacta sunt servanda*-ს (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

მითითებული ნორმის არსიდან გამომდინარე, მოვალის ვალდებულება შესრულებაშია. „შესრულების“ ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის (მოცემულ შემთხვევაში — შენობის აშენება) დადგომას გულისხმობს. ამავდროულად, პირველადი ვალდებულების შესრულებლობისას წარმოიშობა ნაწარმოები შესრულების (ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლო) ვალდებულება. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შესრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული.

ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირ-გასამტეხლო. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო — მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა — მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არა-ჯეროვნად შესრულებისათვის. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა წარმოიშობა რა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ამავე ნორმაშიც მითითებულია, რომ ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა, როგორც ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება, ასევე მისი შეუსრულებლობაც. უდავოა, რომ მოპასუხეს ვალდებულება არ შეუსრულებია, — მიწის ნაკვეთი მიზნობრივად არ გამოუყენებია, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია.

**საქმე № ას-189-611-06**

**24 ოქტომბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას (სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლი)**

ვ., ა., გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილებმა 2004წ. 19 ნოემბერს სარჩელი აღძრეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში შპს „ს. რ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვეს მოპასუხისათვის საგარანტიო წერილით გათვალისწინებული ბინების შეძენის ან შესაბამისი კომპენსაციის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006წ. 17 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005წ. 25 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. თ.ს-ძის, ვ. და ა. მ-შვილების, გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ს. რ-ის“ დაეკისრა თ. ს-ძის სასარგებლოდ 63 004 ლარის, ვ. და ა. მ-შვილების სასარგებლოდ — 23 626 ლარის, ხოლო გ., ნ., ვ. და ნ. მ-შვილების სასარგებლოდ — 47 253 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი: „ს. რ-ის“ თბილისის სამმართველომ 1993 წელს გაცემული საგარანტიო წერილებით ივალდებულა თბილისში, ... '84-ში, 97-ბინიანი რკინიგზის საუწყებო სახლის ასაშენებლად, ალების ზონაში მოყოლილი საცხოვრებელი სახლების სანაცვლოდ, იმავე ადგილას აშენებულ სახლში მოსარჩელებსათვის ბინების გამოყოფა. ნაკისრი ვალდებულების საფუძველი გახდა ქ. თბილისის მერიის 1992წ. 3 მარტის № 24 განკარგულება, რომლითაც ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გამოეყო რა მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, თბილისის რკინიგზის სამმართველოს დაევალა, ალების ზონაში მოხვედრილი მობინადრეები დაეკმაყოფილებინა საცხოვრებელი ფართით, კანონიერ მფლობელებს ანაზღაურებოდა შენობა-ნაგებობების, ასევე ნარგავების ღირებულება. მოსარჩელები სადავო ფართში მუდმივად იყვნენ ჩაწერილები და მართლზომიერად ფლობდნენ მას. ისინი მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე ნებაყოფლობით გამოსახლდნენ საცხოვრებელი ბინებიდან. შპს „ს. რ-ის“ მოსარჩელებისათვის სანაცვლო ბინები ან შესაბამისი კომპენსაცია არ შეუთავაზებია.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან საგარანტიო წერილში არ არის მითითებული ვალდებულების შესრულების დრო და საცხოვრებელი ფართის მოწინააღმდეგე მხარისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა. სკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა მოთხოვნა კანონიერია.

მიზანშეუწონელია კასატორის მოსაზრების გაზიარება, ვინაიდან სადავო სახლის მშენებლობის დაწყებამდე არსებულ სახლზე მოსარჩელებს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მტკიცებულება არ გააჩნიათ, სასამართლომ კანონდარღვევით მათ იმაზე მეტი უფლება მიანიჭა, ვიდრე გათვალისწინებული იყო საგარანტიო წერილით. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა უთითებს იმ გარემოებაზე, რომ საგარანტიო წერილით კასატორმა ნამდვილი ნების გამოვლენით იკისრა ვალდებულება საცხოვრე-

ბელი ფართების გადაცემის თაობაზე და მის მიერ ზემოხსენებული სადავო მტკიცებულების წარმოდგენა გარიგების დადებისას აუცილებლად არ მიუჩნევა.

საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის არგუმენტის საწინააღმდეგოდ თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის დავის გადასაწყვეტად მართებულად მიუთითა სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებზე.

**საქმე № ას-820-1137-07**

**15 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულება პირობითი გარიგების არსებობისას (სამოქალაქო კოდექსი 368-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სს „თელეთის ნავთობის კომპანია“ მსჯელობას 2002 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების გარიგებად მიჩნევის შემთხვევაში მისი პირობით გარიგებად დაკვალიფიცირების შესახებ. მხარეთა ურთიერთობა ვერ შეფასდება სამოქალაქო კოდექსის 368-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობით გარიგებად. აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება. 2002 წლის 22 ოქტომბრის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი, სადაც გენერალური დირექტორი საწარმოს ბუღალტერიას ავალებს, მოახდინოს აღნიშნული საკომპენსაციო თანხების გაცემა სს „საქნავთობის“ ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით მის განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე და რასაც კასატორი სს „თელეთის ნავთობის კომპანია“ პირობით გარიგებად მიჩნევს, წარმოადგენს შიდასაზოგადოებრივი შინაარსის მქონე დებულებას, რამდენადაც ეს არის ურთიერთობა საწარმოს შიგნით, საკომპენსაციო თანხების გაცემის კონკრეტული წყაროს მითითების თაობაზე, რაც არ შეეხება მესამე პირებს.

**საქმე № ას-659-1306-03**

**26 თებერვალი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი)**

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დ. ჭ-ესა და სამშენებლო კომპანია შპს „კ-ს“ შორის 1999წ. 19 თებერვალსა და 2000წ. 1 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ იკისრა ვალდებულება, დ. ჭ-ისათვის აეშენებინა და გადაეცა თბილისში, ..... მდებარე ოთხოთახიანი საცხოვრებელი ბინა 2001წ. ბოლომდე. ხელშეკრულების მიხედვით დ. ჭ-ეს მშენებარე ბინის მთლიანი ღირებულება დაფარულად ჩაეთვალა მის მიერ შპს „კ-ისათვის“ ჩაბარებული თბილისში, ..... მდებარე სამოთახიანი ბინით. შპს „კ-თან“ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით დ. ჭ-ემ შპს „კ-ს“ თანხმობით საკუთარი ბინა 1999წ. 30 მარტს მიჰყიდა ა. ზ-ს სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პალატის მიერ ვერ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია, რომ დ. ჭ-ესა და ა. ზ-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე იმ მოტივით, რომ მყიდველს გამყიდველისათვის თანხა არ გადაუხდია, რითაც არ შესრულდა სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების გამო ბათილია, როგორც ყველა ის გარიგება, რომელსაც გააჩნია ბათილობის კანონით განსაზღვრული საერთო საფუძველი, ისე გარიგებები, რომელსაც გააჩნია ცალკეული გარიგებისთვის დამახასიათებელი სპეციალური საფუძველები. განსახილველ შემთხვევაში კანონით განსაზღვრული ბათილობის საერთო საფუძველი არ არსებობს, ხოლო სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევა საქმის მასალებით არ დასტურდება, თუმცა ასეთი დადასტურებული რომც იყოს, აღ-

ნიშნული გარემოება შეიძლება გახდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის და არა გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ გამყიდველმა დ. ჭ-ემ მიიღო სარგებელი სადავო ხელშეკრულებით, მას გადახდილად ჩაეთვალა შპს „კ-თან“ მისაღები ბინის ღირებულება. პალატა თვლის, რომ ხელშეკრულების ფასის გადაუხდელობა ან არაჯეროვანი გადახდა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ხელშეკრულების ფასის გადახდა არ გულისხმობს მხოლოდ ფულადი თანხის გადახდას, იგი შეიძლება სხვა საშუალებებითაც განისაზღვროს.

სკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია გასაჩივრებული გარიგება მოჩვენებით გარიგებად, რომელსაც დაუკავშირა სკ-ის 976-ე, 991-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები.

სკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს.

განსახილველ შემთხვევაში დადასტურებულია, რომ მხარეთა განზრახვა მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისაკენ, რაც გამორიცხავს ნების ნაკლის არსებობას. დ. ჭ-ემ გაათავისუფლა სადავო ბინა, რომელსაც დაეუფლა ა. ზ-ი და სარემონტო სამუშაოებიც ჩაატარა. ა. ზ-ივე აღირიცხა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ კანონით დადგენილი წესით, რაც გამორიცხავს მისი მხრიდან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისადმი მოჩვენებით დამოკიდებულებას. მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი. ა. ზ-ის მიერ სადავო ბინის დაუფლებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის შესახებ მოსარჩელისათვის იმთავითვე იყო ცნობილი, მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით მას პრეტენზია არ გამოუთქვამს, იმ დრომდე ვიდრე არ დარწმუნდა, რომ შპს „კ-ი“ არ ასრულებდა მის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას. ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მოტივი და მიზანი გახლდათ ის გარემოება, რომ მეორე მხარისათვის — ა. ზ-ისათვის საკუთარი საცხოვრებელი ბინის მიყიდვით მოსარჩელეს დაფარულად ჩაეთვალა ასაშენებელი, მომავალში მისთვის გადასაცემი ოთხოთახიანი ბინის ღირებულება.

გარიგების მიზნის შეუსრულებლობა არ შეიძლება გახდეს გარიგების ბათილობის საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ჭ-ისა და ა. ზ-ის მიერ ნასყიდობის გარიგების გაფორმების ნების გამოვლენა ნამდვილია. ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ ყოფილა მითითებული, რომ ა. ზ-ის საკუთრების უფლების წარმოშობა, ნასყიდობის საგანზე დაკავშირებული იყო მესამე პირის მიერ დ. ჭ-ის წინაშე რაიმე ვალდებულების შესრულებაზე.

სადავო გარიგება სკ-ის 59-ე, 183-ე მუხლების შესაბამისადაა გაფორმებული. სკ-ის 373-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მაშინ როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისაგან მიიღო სარგებელი.

დ. ჭ-ემ შპს „კ-ის“ თანხმობით ვალდებულების ა. ზ-ის მიმართ შესრულებით მიიღო სარგებელი, რითაც შპს „კ-თან“ ვალდებულება შეასრულა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელეს მასსა და შპს „კ-ს“ შორის გაფორმებული გარიგების ბათილობა ან გაუქმება არ მოუთხოვია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის ბათილი.

## საქმე № ას-486-812-05

28 ივნისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი)**

ნ. ხ.-მ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ბ. გ.-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხის 1820 აშშ დოლარის,

პროცენტის სახით 928 აშშ დოლარის, ზიანის ასანაზღაურებლად 819 აშშ დოლარის, ადვოკატის მომსახურების — 200 აშშ დოლარის, სულ 3767 აშშ დოლარის დაკისრება.

მოპასუხე ბ. გ.-ის წარმომადგენლებმა ა. კ.-მ და ვ. ს.-მ სარჩელი არ ცნეს, იმ საფუძველით, რომ მათ თანხა მოსარჩელისგან ისესხეს შუამავლის ნ. ც.-ის მეშვეობით, სანოტარო წესით დამოწმებული ხელწერილით დადასტურებულია, რომ ამ უკანასკნელს გადასცეს ნ. ხ.-სთან გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2100 აშშ დოლარი. ამასთან სხვადასხვა დროს გადასცეს 160 აშშ დოლარი და ორჯერ 100-100 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოებები, რომ 2002წ. იანვრის თვეში ბ. გ.-ის სიტყვიერი თხოვნის საფუძველზე ნ. ც.-მ იკისრა მოსარჩელისთვის სესხის აღება და სათანადო ხელშეკრულების დასადებად შუამავლობის გაწევა, ანუ სასესხო მაკლერის ფუნქციების შესრულება.

2000 წლის 18 იანვარს ნ. ც.-ის შუამავლობის საფუძველზე ბ. გ.-მ ნ. ხ.-ისაგან სესხის სახით მიიღო 1820 აშშ დოლარი. 2002წ. 21 იანვარს ნ. ც.-ის შუამავლობის საფუძველზე მოსარჩელეს და მოპასუხეს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება; ნ. ც.-ისგან კრედიტორმა ნ. ხ.-მ პროცენტის სახით მიიღო 160 აშშ დოლარი. სააპელაციო სასამართლომ ნ. ც.-ე არ მიიჩნია სასესხო მაკლერად, ასევე დავალების ხელშეკრულების შემსრულებელ უფლებამოსილ პირად.

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 373-ე მუხლის მეორე ნაწილი მიიჩნია რა ნ. ხ.-ის მიერ ნ. ც.-ისგან 160 აშშ დოლარის მიღება კრედიტორის მიერ სარგებლის მიღებად. აღნიშნული ნორმის მიხედვით თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა და ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი. განსახილველ შემთხვევაში სარგებლის მიღებად ვერ ჩაითვლება კრედიტორის მიერ პროცენტის მიღება, რაც მხარეთა შეთანხმებით არსებული ვალდებულების ნაწილია. სარგებლის მიღებად შეიძლება ისეთი გარემოება შეფასდეს, როცა კრედიტორი კონკრეტული ვალდებულების შესრულებისაგან დამოუკიდებლად იღებს სარგებელს, მაგ. თვით არის არაუფლებამოსილი პირის მევალე.

### საქმე № 3კ-667-03

30 ივლისი, 2003 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 383-ე და 389-ე მუხლები)

მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 1998წ. ნ თებერვალს მოძრავ შემადგენლობიდან ამოვარდნილი ვაგონიდან დაღვრილი ნავთობის შედეგად დაიტბორა ვ. ც.-ის საკარმიდამო ნაკვეთი, რის გამოც მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 3573 ლარი, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ანაზღაურდა.

კასატორის მოთხოვნა დამატებით 3234 ლარის ანაზღაურების თაობაზე ეფუძნება საკუთარ შეხედულებას ლარის კურსის გაუფასურების შესახებ აშშ დოლართან მიმართებაში. ამასვე ემყარება მისი საკასაციო პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სკ-ს 389-ე მუხლის შესაბამისად, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულადი ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს ამ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულს შორის.

ამავე კოდექსის 383-ე მუხლის შესაბამისად, ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის.

ზემოთხსენებული ნორმების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფულის ერთეულის გაზრდა ან შემცირება თავისთავად გულისხმობს ფულის რეფორმას, რაც ფულის სისტემის განმტკიცებისათვის გატარებული სახელმწიფო საკანონმდებლო აქტია, რომლის შედეგად ქვეყანაში ფულის მოქმედი სისტემიდან სხვა სისტემაზე გადასვლა ხდება. ამ დროს მიმოქცევიდან ამოიღება გაუფასურებული ფული და მის ადგილს იკავებს ახალი ფული, იცვლება ფულის ერთეული, ან მისი ოქროს შემცველობა, რის შემდეგ დგინდება ფულადი ერთეულის, ფულის ნიშნის ფორმა და ეროვნული ვალუტის კურსი. ფულის კურსი ნიშნავს ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულებას გამოხატულს სხვა ქვეყნის ფულის ერთეულით. ფულის კურსის დადგენა გაიგივებულია მის კოტირებასთან, რაც უცხოური ვალუტის საბირჟო ფასების დადგენას ნიშნავს. ვალუტის შეცვლა კი ნიშნავს ქვეყანაში ფულის ნიშნის შეცვლას. ფულადი ვალდებულების შესრულების დროს მოქმედებს ნომინალური პრინციპი. ე.ი პრინციპი იმის შესახებ, რომ ვალი ნომინალურად იმ თანხაში უნდა დაიფაროს, რომლის შესაბამისადაც იყო დადებული ხელშეკრულება.

ფულადი ვალდებულების შესრულების დროს სკ-ს 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას, ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას. დენომინაცია განიცადა საბჭოთა მანეთმა, როცა 10 მანეთის ნომინალი შეიცვალა 1 მანეთით; ვალუტის შეცვლას ადგილი ჰქონდა, როცა, რუბლი შეიცვალა კუპონით, კუპონი-ლარით. ჰიპერინფლაცია კი ნიშნავს საქონლის ფასებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის უაღრესად სწრაფ ზრდას, რომლიც იწვევს ფულადი ერთეულის მკვეთრ გაუფასურებას, საგადასახადო ბალანსის მოშლას და ნორმალური სამეურნეო კავშირების დარღვევას. ამ დროს მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო უშვებს დიდი რაოდენობის ფულს, რომელიც რეალურ საქონელბრუნვის საჭიროებას აღემატება, რასაც მოსდევს ფულის კურსის მკვეთრი გაუარესება, ოქროს საბაზრო ფასების ზრდა.

ვინაიდან ქართულ ეროვნული ვალუტის — ლარის მიმართ ზემოთხსენებულ პროცესებს არ ჰქონია ადგილი, ფულადი ვალდებულების შესრულების დროს დაუშვებელია სკ-ს 389-ე მუხლის გამოყენება.

ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია ასევე, ფულის კურსის ნორმალური გაუარესების დროს, რადგან აღნიშნული პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება.

კანონით აკრძალული არ არის, რომ მხარეებმა ფულადი ვალდებულება დაადგინონ აშშ დოლარით, მაგრამ ფულადი ვალდებულება აშშ დოლარით გადახდაში, რომ გამოიხატოს, აუცილებელია ამ ვალდებულების შესახებ მხარეებს თავისი ნება დაფიქსირებული ჰქონდეთ ხელშეკრულებაში, ანუ ფულადი ვალდებულება განსაზღვრული უნდა იყოს უცხოური ვალუტით.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ჯერ კიდევ 2000წ. 5 აპრილის '3კ/428 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სკ-ს 389-ე მუხლის გამოყენება ლარის მიმართ დაუშვებელია, ხოლო 383-ე მუხლის შესაბამისად, გადახდა უნდა მოხდეს ნომინალური პრინციპით ეროვნული ვალუტით ან უცხოური ვალუტით, თუ კი ვალდებულება უცხოური ვალუტითაა განსაზღვრული ან ვალდებულება განსაზღვრული უცხოურ ვალუტასთან შესაბამისი ეროვნული ვალუტით.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ ლარის კურსის დაცემის კრიტერიუმად არ შეიძლება აღებული ყოფილიყო მისი რომელიმე უცხოურ ვალუტასთან შეფარდება, რადგან ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან შეფარდებაში მერყეობს — ზოგი ქვეყნის ვალუტასთან შეფარდებაში მცირდება, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის ვალუტასთან მიმართებაში იზრდება.

**საქმე № ას-870-1138-05**

**9 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 383-ე და 389-ე მუხლები)**

საკასაციო პალატა თვლის, რომ 1990წ. აპრილში მხარეთა შორის დაიდო ზეპირი სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ო. მ-მა გ. ნ-ძეს ასესხა 30000 მანეთი სამი წლის ვადით ოჯახის საჭიროებისათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სკ-ის 137-ე და 144-ე მუხლები. მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელემ გაუშვა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

იმ შემთხვევაშიც, თუ დავუშვებთ, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა 1997წ. 22 დეკემბერს სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სკ-ის 389-ე მუხლი.

სკ-ის 389-ე მუხლის თანახმად თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შემცირდა ვალუტა, მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.

ფულადი ვალდებულებების თანახმად, მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს ფულადი ერთეულების განსაზღვრული თანხა. ამ ვალდებულების არსში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მოვალის მიერ კრედიტორისათვის არა ფულადი ნიშნების გადაცემა, არამედ იმ ფასეულობის, რაც გამოხატულია ფულადი ერთეულების მოცემულ თანხაში.

ფულის ერთეული არის ქვეყანაში კანონმდებლობით დადგენილი ფულის ნიშანი, ქვეყნის ფულადი სისტემის ძირითადი ელემენტი, რომელიც ფულადი გაზომვის ერთეულს წარმოადგენს, ხოლო კურსი არის სხვა ქვეყნის ფულის ერთეულის ან ფასიანი ქაღალდის საბირჟო ფასი, გამოსახული ეროვნულ ფულად ერთეულში. ფასი, რომლის მიხედვითაც ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება.

ამდენად, განსახილველი ნორმა გულისხმობს ფასს, რომლის მიხედვითაც ხორციელდებოდა ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული მანეთის ყიდვა-გაყიდვა.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდაში ან შემცირებაში იგულისხმება იმ ფასის გაზრდა და შემცირება, რომლის მიხედვითაც ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება, ფულის ერთეულის გაცვლის უნარი. ხოლო ვალუტის შეცვლაში იგულისხმება ფულის ნიშნების სრული ან ნაწილობრივი შეცვლა ახალი ნიშნის ფულის გამოშვებით, რაც წარმოადგენს ფულის რეფორმის ერთ-ერთ სახეს და ხორციელდება სახელმწიფო ფულის მიმოქცევის მოშლასთან დაკავშირებით და ეროვნული ვალუტის განმტკიცების, ფულის ერთეულის სტაბილიზაციის მიზნით.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოში განხორციელებული ფულადი რეფორმის შედეგად შეიცვალა ეროვნული ვალუტა, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის № 246 1993წ. 24 მარტის „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის გამოშვების შესახებ“ დადგენილებით საგადამხდელო საშუალების სახით შემოღებულ იქნა „კუპონი“. აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, თანაფარდობა კუპონსა და მანეთს შორის განისაზღვრა 1-1-ზე.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის „ლარის“ გაშვების შესახებ“ 1995წ. 16 სექტემბრის № 363 ბრძანებულებით საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა „ლარი“. აღნიშნული ბრძანებულების მე-4 პუნქტის თანახმად, კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრა 1 000 000 კუპონის 1 ლართან შეფარდებით.

ამდენად, საქართველოში ფულადი რეფორმების შედეგად განისაზღვრა საგადამხდელო საშუალება და დადგინდა მათ შორის თანაფარდობა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ფულადი ვალდებულებები, მისთვის დამახასიათებელი რეგულირების საგნის გათვალისწინებით, ემორჩილებიან იმ პრინციპებს, რომლებიც დამახასიათებელია, მხოლოდ ამ სახის ვალდებულებებისათვის. ერთ-ერთ პრინციპს, რომელიც წარმოიშვება ვალუტის დევალვაციის ან რევალვაციის გამო, უწოდებენ ფულადი ვალდებულებების ნომინალიზმის პრინციპს.

ფულის სესხის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფულადი ერთეულების განსაზღვრული თანხა, რომლის თანახმად, გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დაუბრუნოს იგივე თანხა (სკ-ის 623-ე მუხლი). ამ ვალდებულების არსში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მოვალის მიერ კრედიტორისათვის არა ფულადი ნიშნების გადაცემა, არამედ იმ ფასე-

ულობის, რაც გამოხატულია ფულადი ერთეულების მოცემულ თანხაში. კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება ფულადი თანხის ოდენობის განსაზღვრა დავაკავშიროთ მის მყიდველუნარიანობასთან.

ფულის მყიდველუნარიანობა არის ფულის ერთეულის გაცვლის უნარი საქონლისა და მომსახურების გარკვეულ რაოდენობაზე, რომელიც შეიძლება შეძენილ იქნეს ფულის ამ ერთეულით. ფულის მყიდველუნარიანობა დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ პროცესებზე, რომლებიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის. აღნიშნული პროცესებმა შეიძლება გამოიწვიონ ფულის გაუფასურება (ფულის მყიდველობითუნარიანობის დაცემა), ანუ საქონლის რაოდენობის შემცირება, რომლის შეძენა შეიძლება ფულის ერთეულის ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასების მიხედვით ან მისი სავალუტო კურსის დაცემა. აღნიშნული პროცესები არსებობენ ობიექტურად და არ არიან დამოკიდებული ხელშეკრულების მხარეთა ნებაზე. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მხარეები აცნობიერებენ იმ ობიექტურად არსებულ გარემოებას, რომელიც დამახასიათებელია ხელშეკრულების დროს არსებულ ეკონომიკური ვითარებისთვის.

ფულადი სესხის დადების დროს ყოველთვის არსებობს ფულის მყიდველობითუნარიანობის დაცემის რისკი, რომლის წინაშე დგანან ხელშეკრულების მხარეები. მხარეებს შეუძლიათ აღნიშნული რისკისაგან დაიცვან თავისი უფლებები (რასაც კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა) და სესხად აღებული თანხის კურსის ან ვალუტის არასასურველი ცვლილებებისაგან დაზღვევის მიზნით, ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოური ვალუტით (1997წ. 22 დეკემბრის წერილით არ დასტურდება, რომ მხარეთა შორის სასესხო თანხის ოდენობა განსაზღვრული იყო უცხოური ვალუტით). აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმი მოწესრიგებულია სკ-ის 383-ე მუხლით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ზემოაღნიშნული პროცესებისაგან თავის დაცვის მიზნით, მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოური ვალუტით (ანუ გამოიყენონ უცხოური უფრო მყარი ვალუტა, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს ფულადი ვალდებულების „საზომს“). უცხოური ვალუტა წარმოადგენს ვალის ვალუტას, ხოლო ეროვნული ვალუტა — გადახდის ვალუტას.

მხარეთა მიერ ფულადი ვალდებულებების დაზღვევის ეს მექანიზმი განსაზღვრავს ნომინალიზის პრინციპის დისპოზიციურობას, რა დროსაც მხარეებს აქვთ უფლება, ვალდებულების საზომის ერთეულად აირჩიონ უცხო ქვეყნის ვალუტა და ამით დაიცვან თავი სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულის კურსის არასასურველი ცვლილებებისა და ვალუტის შეცვლის შედეგად არსებული ვითარებისაგან.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ აღნიშნული რისკის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მოვალე ვალდებულია, გადაუხადოს კრედიტორს ფულადი ერთეულის ის ოდენობა, რომელიც დადგენილია ამ ფულადი ერთეულისათვის. ვალდებულების დაფარვის ამ წესის მიხედვით (ნომინალიზის პრინციპი), ვალდებულების შინაარსი, რომლის თანხა მოცემულია ფულადი ერთეულში, დამოკიდებულია აღნიშნულ ფულად ერთეულში მომავალში წარმოშობილ ცვლილებებისაგან ისე, რომ მისი ნომინალური თანხა რჩება შეუცვლელი.

ამრიგად, სკ-ის 383-ე მუხლის მე-2 წინადადება ითვალისწინებს ნომინალიზის პრინციპის დისპოზიციურობას, რომლის თანახმად მხარეებს შეუძლიათ, ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოური ვალუტითაც და განსაზღვრონ გადახდის ვალუტის ფასი, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკ-ის 389-ე მუხლის გამოყენების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს, აგრეთვე, ის შემთხვევა, როდესაც მხარეები ეროვნული ვალუტის გადახდის ოდენობას დაადგენდნენ უცხოური ვალუტით, მაგრამ არ შეთანხმდებიან გადახდის ვალუტის ფასზე (მაგალითად, აშშ დოლარი), კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ფულადი სესხის (რაც გამოხატულია ეროვნული ვალუტით) გადახდის ოდენობას დაადგენდნენ მყარი ვალუტით (მაგალითად, აშშ დოლარით), ხოლო გადახდის ვალდებულება დადგომამდე ფულის ერთეული (კურსი) გაიზარდებოდა ან შემცირდებოდა ან ვალუტა შეიცვლებოდა, რაც მხარეებს ხელშეკრულებით არ გაუთვალისწინებიათ, მოვალე ვალდებული იქნებოდა, გადაეხადა იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს.



საქმე № 3კ-1155-02

20 დეკემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი (სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლი)**

არასწორია კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას არ უნდა გამოეყენებინა 386-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მითითებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შესრულების ადგილის საეჭვობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფელის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა კანონის ზემომითითებული ნორმა. საკრედიტო ხელშეკრულებაში მართლაც არ არის მითითებული ხელშეკრულების შესრულების ადგილი, მაგრამ მითითებულია კრედიტორის ადგილსამყოფელი, ხელშეკრულების დადების ადგილი და ანგარიშის ნომერი. ასეთ ვითარებაში, როცა ხელშეკრულებაში უშუალოდ არ იყო მითითებული მისი შესრულების ადგილი, სკ-ს 386-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება უნდა შესრულდეს იურიდიული მისამართის მიხედვით, ანუ ქ. თბილისში და არა — ქ. მოსკოვში, ისიც კრედიტორის გაუქმებულ ანგარიშზე.

საქმე № 3კ-1133-02

20 დეკემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი (სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლი)**

სკ-ს 386-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შესრულების ადგილის საეჭვობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით. თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია. 386-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით შესრულების ადგილი შეიძლება არ ემთხვეოდეს კრედიტორის საცხოვრებელ ადგილს. ეს ხდება მაშინ, თუკი კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს ასეთ შემთხვევაში მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია. მოცემული ნორმა ადგენს ვალის ანგარიშზე ჩარიცხვის ორ პირობას: 1. ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში უნდა მდებარეობდეს იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს. 2. კრედიტორი არ უნდა იყოს ამის წინააღმდეგი. თუ მოვალე თანხის ჩარიცხვას აპირებს კონკრეტულ საბანკო ანგარიშზე, ეს ცნობილი უნდა იყოს კრედიტორისათვის და ის არ უნდა იყოს ამის წინააღმდეგი. თუკი კრედიტორს რამდენიმე ადგილზე აქვს გახსნილი საბანკო ანგარიში, მოვალემ შესრულება უნდა მოახდინოს იმ ანგარიშზე, რომელსაც კრედიტორი მიუთითებს. თუკი კრედიტორისათვის სულერთია, რომელ ანგარიშზე ჩარიცხება ფული, მაშინ ნებისმიერ მათგანზე ჩარიცხვა უნდა ჩაითვალოს ფულადი ვალდებულების შესრულებად. უდავოა, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი მოცემულ შემთხვევაში საეჭვო იყო. როგორც მოპასუხე მიუთითებს, ფულადი ვალდებულების შესრულება მოხდა სხვა ქვეყანაში. აღნიშნულის შესახებ კრედიტორი ინფორმირებული არ ყოფილა და მისი ნება-სურვილი გათვალისწინებული არ ყოფილა. კრედიტორს აქვს უფლება, ვალდებულების შესრულება მოითხოვოს იმ ადგილას ან იმ საბანკო ანგარიშზე, რომელზეც მას სურს. კრედიტორს აქვს უფლება, მოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით ვალდებულების იძულებით შესრულება. თუ მოპასუხე დაამტკიცებს, რომ მის მიერ განხორციელებულ მოქმედებას მოჰყვა მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრება, ეს შეიძლება გახდეს სხვა სამოქალაქო დავის საგანი. მის მიერ მითითებული გარემოებები, მოცემულ შემთხვევაში, ვერ გახდება სარჩელზე უარის თქმის საფუძველი.

საქმე № 3კ/321-02

13 მარტი, 2002 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა (სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი)**

387-ე მუხლი განსაზღვრავს სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავს რამდენიმე შესრულების თანმიმდევრობას. 387-ე მუხლი არ ადგენს ერთი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების განხარჩების და დადგენის პრინციპს. თუ მოვალეს კრედიტორისათვის უნდა გადაეხადა 100 ლარი სესხის ვალი და 200 ლარი ბინის ქირა მოვალის ეს ორი შესრულება ერთმანეთის მსგავსი შესრულებაა და 387-ე მუხლის საფუძველზე უნდა გადაწყდეს მათი შესრულების თანმიმდევრობა. სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი ადგენს სხვადასხვა საფუძველებიდან (ხელშეკრულებიდან) გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების რიგითობას და არა ერთი სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების ოდენობის დადგენისა და განხარჩების წესს. მოცემული მუხლი არეგულირებს იმ შემთხვევას, როცა სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა.

### 3.4. ვალდებულების დარღვევა

საქმე № 3კ/504-01

25 ივლისი, 2001 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ფორს-მაჟორული გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

საოლქო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მხარეებს შორის 1998 წლის 4 სექტემბერს დაიდო გენერალური ხელშეკრულება. მითითებული ხელშეკრულების 2.2.15 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში სააქციო საზოგადოება „ს.-ი“ პასუხისმგებელი იყო სისტემის უსაფრთხოებაზე, მის დაცვასა და პროფილაქტიკური (აღდგენითი) სამუშაოების ჩატარებაზე.

მითითებული ხელშეკრულება შეწყდა 1998 წლის 31 დეკემბრისა და 1999 წლის 15 იანვრის მხარეთა წერილების საფუძველზე და მათ შორის ურთიერთობა ახალი გენერალური ხელშეკრულების შემუშავებამდე განისაზღვრა შემდეგნაირად:

სააქციო საზოგადოება „გ.-ი“ მაგისტრალური გაზსადენების უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობას არ იხსნიდა 1998 წლის 4 სექტემბრის გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულებაზე, ანუ პასუხისმგებლობას კისრულობდა სისტემის დაცვაზეც.

1998 წლის 4 სექტემბრის გენერალური ხელშეკრულების 9.2 მუხლით გათვალისწინებული იყო ფორს-მაჟორული გარემოება. ხელშეკრულება, სხვა საკითხებთან ერთად, ფორს-მაჟორულ გარემოებად მიიჩნევა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, რაც ხელს შეუშლიდა მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

დადგენილია, რომ 1999 წლის 16 ივლისს მხარეთა შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება, მაგრამ არა გენერალური, რომლის ვადაც განისაზღვრა 1999 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო მოქმედება დაიწყო 1 სექტემბრიდან. მითითებული ხელშეკრულების 2.2.7 პუნქტის შესაბამისად სს „გ.-ს“ დაევალა სისტემის უსაფრთხოების დაცვასა და პროფილაქტიკურ-აღდგენითი სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებაზე პასუხისმგებლობა. ასევე, ხელშეკრულების 6.1, 6.2 და 6.3 მუხლების შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა ფორს-მაჟორული ვითარებაც, რომლის შესაბამისადაც არც ერთი მხარე არ იქნებოდა პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, თუ ზიანი დადგებოდა სა-

ზოგადობრივი წესრიგის დარღვევის შედეგად და ასეთის არსებობა დადასტურდებოდა კომპეტენტური სახელწიფო ორგანოს მიერ.

ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარეს ევალებოდა მეორე მხარისათვის შეეცოხინებინა ფორს-მაჟორის დადგომის ფაქტი და მიეღო ზომები შედეგების მაქსიმალურად შეზღუდვის მიზნით.

ასევე დადგენილია, რომ მაგისტრალური სისტემის მილსადენების დატაცება მოხდა 1999 წლის სექტემბერში პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, როცა მხარეებს შორის მოქმედებდა ახალი ხელშეკრულება, რომლის 2.2.7 პუნქტის შესაბამისად სააქციო საზოგადოება „გ.-ი“ პასუხისმგებელი იყო სისტემის უსაფრთხოების დაცვაზე (1998 წლის 4 სექტემბრის ხელშეკრულებით სს „გ.-ი“ პასუხისმგებელი იყო როგორც სისტემის უსაფრთხოებაზე, ისე სისტემის დაცვასა და პროფილაქტიკური (აღდგენითი) სამუშაოების ჩატარებაზე), მაგრამ მხარეთა შორის 1998 წლის 31 დეკემბრისა და 1999 წლის 15 იანვრის შეთანხმების საფუძველზე მილსადენის დაცვის თვალსაზრისით მოქმედებდა როგორც 1998 წლის 4 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რომელიც სააქციო საზოგადოება „გ.-ს“ ავალებდა მაგისტრალის სისტემის დაცვას, ასევე, 1999 წლის 16 ივლისის ხელშეკრულების პირობები, რომელიც სს „გ.-ს“ პასუხისმგებლობას აკისრებდა სისტემის უსაფრთხოების დაცვაზე. საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 1999 წლის 16 ივლისის ხელშეკრულება 1998 წლის 4 სექტემბრის გენერალური ხელშეკრულების მსგავსად, მილსადენების დაცვის თვალსაზრისით, სააქციო საზოგადოება „გ.-ს“ ერთნაირ პირობებს უყენებდა, ავალდებულებდა მის დაცვას.

საოლქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მილების დატაცება მოხდა ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენის გზით და ეს წარმოადგენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფორს-მაჟორულ გარემოებას.

ამასთან, საოლქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დღეს მოქმედი „მაგისტრალური გამსადენების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების“ და „მაგისტრალური გამსადენების ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების“ მე-9 დანართის შესაბამისად დარეგულირებულია მაგისტრალური გამსადენების დაცვის საკითხები, მაგრამ აღნიშნული წესები არ გულისხმობს მაგისტრალური გამსადენის დაცვის მოვალეობას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. აქედან გამომდინარე, საოლქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „გ.-ის“ ვალდებულებებში სისტემის უსაფრთხოებასა და დაცვასთან დაკავშირებით არ შეიძლება ნაგულისხმევი იყოს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის ვალდებულება და მიიჩნია, რომ ხელშეკრულებებით სს „გ.-ს“ ასეთი ვალდებულება დაკისრებული არ ჰქონდა.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან. ამავე კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს მოქმედების შესრულება.

მართალია, სს „ს.-მ“ მილების დატაცების შედეგად განიცადა ზიანი, მაგრამ აღნიშნული გარემოება სს „გ.-ის“ მიმართ მოსარჩელის მხრივ არანაირი მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს არ იძლევა; მოპასუხის მხრიდან არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას მოსარჩელის წინაშე იმიტომ, რომ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის. დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მას არც ხელშეკრულებით, არც უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძველით არ ეკისრება, რადგან მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით სს „გ.-ს“ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან გამსადენის დაცვის მოვალეობა არ ჰქონდა დაკისრებული. ამასთან, თუნდაც ასეთი მოვალეობა ხელშეკრულებით დაკისრებული ჰქონდა, ამავე ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ ვალდებული პირი თავისუფლდებოდა ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ მხარეთა მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იქნებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევით.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ხელშეკრულებებში ფორს-მაჟორულ გარემოებად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მითითება იმას გულისხმობს, რომ ხელშეკრულებაში გაზსადენის სისტემის დაცვის მოვალეობის თვალსაზრისით არ შეიძლება ჩადებული ყოფილიყო სს „გ.-ისათვის“ მოვალეობა გაზსადენის სისტემის დაცვისა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, რადგან დანაშაულებრივი ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის ისეთი დარღვევაა და კანონით გათვალისწინებული ყველაზე უფრო საშიში მართლსაწინააღმდეგო ქცევაა, რომელიც კანონით დაცული სხვა სიკეთეების გარდა ხელყოფს ქონებრივ უფლებებსაც.

დანაშაული წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას.

სწორედ ამგვარი დარღვევა — საშიში მართლსაწინააღმდეგო ქცევა, ანუ დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედება ჩაიდინეს გარდაბნის რაიონის სოფ. ... მცხოვრებლებმა, როცა 1999 წლის 13 სექტემბერს ორგანიზებულად ამოიღეს გაზსადენის სისტემის მილები და ამ მილებით სოფელში გაიყვანეს წყალი.

მითითებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება გამოძიების მიერ დაკვალიფიცირდა დანაშაულად და აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე მილების დაზიანებისა და განადგურების ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით.

არასწორია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს მოცემულ შემთხვევაში ფორს-მაჟორული სიტუაცია — საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა — დადასტურებული არაა კომპეტენტური ორგანოს მიერ წერილობით და ამიტომ მილების გატაცების ფაქტი არ შეიძლება ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან გათავისუფლების საფუძველი გახდეს.

დადგენილია, რომ მითითებული მილსადენის დატაცების ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დადგენილია მილების გამტაცებლები და გატაცებული მილების ადგილსამყოფელი. ამდენად, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ წერილობით დადასტურებულია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შედეგად ზიანის მიყენება და იგი სხვაგვარ დადასტურებას არ საჭიროებს.

**საქმე № ას-466-707-08**

**25 ნოემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი (სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი)**

2003 წლის 18 ნოემბერს ნ. ჯანიაშვილმა მოპასუხე გ. ჯანდიერთან დადო ბინის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გ. ჯ-ს ნ. ჯ-შვილისათვის ნასყიდობის ფასი — 9150 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა 18 თვის განმავლობაში ანუ 2005 წლის 18 მაისამდე;

2005 წლის 13 მაისს მოსარჩელემ წერილობით მიმართა გ. ჯ-ს და მოითხოვა ბინის გაზრდილი საფასურის გადახდა იმის გათვალისწინებით, რაც ბინის ღირებულებამ განიცადა ხელშეკრულების დადების შემდეგ, რაზედაც მან უარი მიიღო; წელიწადნახევრის განმავლობაში ბინის საბაზრო ღირებულება დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა.

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავო არ არის ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები. სადავოა, რამდენად არსებობს მოცემულ შემთხვევაში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში ბინებზე ფასების ზრდა არ წარმოადგენს იმ შეცვლილ გარემოებას, რაც სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის თანახმად მხარეს უფლებას აძლევს, მოითხოვოს შეცვლილ გარემოებისადმი ხელშეკრულების მისადაგება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ასეთ გარემოებათა შეცვლას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სრულიად გამონაკლის შემთხვევებში, რისი გონივრული გათვალისწინებაც მხარეთა მიერ სრუ-

ლიად შეუძლებელია, რაც ისეთი მოულოდნელი და განსაკუთრებულია, რომ მისი მხედველობაში მიუღებლობა წინააღმდეგობაში მოვიდოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან. საქართველოში ბინების ფასების ზრდის ტენდენციის პირობებში კასატორს სრული შესაძლებლობა ჰქონდა, ევარაუდა მომავალი წელიწადნახევრის მანძილზე ბინის ფასის კვლავ ზრდის მოსალოდნელობის შესახებ და ამის გათვალისწინებით განესაზღვრა ბინის საფასურის გადახდის გრაფიკი.

**საქმე № ას-7-6-2010**

**ნ ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი (სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ფარგლებში დაზარალებულმა მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მოვლენის დადგომამ ვალდებულების შესრულება გახადა უკიდურესად მძიმე (განუხორციელებელი); ხელშეკრულება დაიდო იმ ძირითადი ვარაუდით, რომ მოვლენა არ დადგებოდა და რომ ხელშეკრულებით ვალდებულ პირს არ ჰქონდა გათვალისწინებული მოვლენის დადგომის რისკი (ამასთან, განუხორციელებლობა არ უნდა იყოს გამოწვეული მოვალის ბრალით);

მითითებული ნორმა არ ითვალისწინებს პერიოდს, თუ რა დროის განმავლობაში უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა მხარემ შეცვლილი გარემოების შესაბამისი პირობების ხელშეკრულებაში ასახვა, მაგრამ მითითებული ნორმის არსიდან იკვეთება, რომ ასეთი მოთხოვნა ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, შეცვლილი გარემოების დადგომისთანავე. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შეცვლილი გარემოების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება, მოთხოვნა გარემოების წარმოშობის მომენტიდან მოგვიანებითაც წარმოიშვას. აღნიშნულს განაპირობებს ის რეალობა, რომ ზოგ შემთხვევაში გარემოებათა შეცვლა ხდება თანდათან, გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც, ანუ მოცემულ შემთხვევაში შეცვლილი გარემოების საფუძვლის — ომის უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, როგორც წესი, არ სრულდება საომარი მოქმედებების დასრულებასთან ერთად და მას ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივი განვითარება აქვს. ამდენად, საფუძველს მოკლებულია გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული დასკვნა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი არ შეიძლება იყოს საფუძველი ნ თვის შემდეგ ვალდებულების შესრულების გაგრძელების შეუძლებლობისა.

**საქმე № ას-7-6-2010**

**ნ ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი და შემზღუდავი გარემოებები (სამოქალაქო კოდექსის 398-ე და 401-ე მუხლები)**

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გათვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

აღნიშნული ნორმებით სამოქალაქო კოდექსი ადგენს სახელშეკრულებო შესრულების ვადის გადაცილებისას მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ და შემზღუდავ გარემოებებს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითი განსხვავებაა, კერძოდ, შესრულების შეუძლებლობისა.

ბისას ვალდებულების შესრულება მთლიანად გამორიცხულია, ანუ ამ შემთხვევაში ისეთ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებთან გვაქვს საქმე, რომელიც გამორიცხავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, ხოლო შეცვლილი გარემოებების შემთხვევაში შესრულების შესაძლებლობა მაინც არსებობს, თუმცა შესრულება გართულებულია, რადგან ხელშეკრულების დადების პერიოდში არსებული გარემოებანი კარდინალურად შეცვლილია. შეცვლილი გარემოება იმდენად ართულებს შესრულებას, რომ მისი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მოთხოვნა ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. შეცვლილი გარემოებების საწყისი, წარმომშობი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ფორსმაჟორი, ისე სხვა გარემოებები, რომელიც რეალურად ართულებს შესრულებას.

### **საქმე № 3კ/614-01**

**18 ივლისი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: მოვალის მიერ ვადის გადაცილება (სამოქალაქო კოდექსის 400-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება მოვალის ისეთი უმოქმედობა, თუ შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას. გაფრთხილება თავის თავში შეხსენებას გულისხმობს და უამისოდ მოვალე ვადის გადამცილებლად არ ითვლება. კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილებას, რომ დაუყოვნებლივ მოახდინოს შესრულება მაშინ აქვს ადგილი, როცა სახეზეა ვალდებულებების შესრულების განუსაზღვრელი ვადები. გაფრთხილება ესაა კრედიტორის მხრივ ცალმხრივი მოთხოვნა მოვალის მიმართ.

### **საქმე № ას-908-856-2010**

**16 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის ძალითაც მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. ხოლო ამავე კოდექსის 401-ე მუხლით ვადა გადაცილებლად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდება ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

აღნიშნული ნორმების დანაწესები გულისხმობს მოვალის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას განსაკუთრებულ შემთხვევებში: დაუძლეველი ძალა, შესრულების შეუძლებლობა — ეს ის შემთხვევებია, როდესაც, მიუხედავად მოვალის კანონშესაბამისი და გულისხმიერი მოქმედებისა, მოვალის ნებისგან დამოუკიდებელ ობიექტურ გარემოებათა გამო ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება. ამდენად, მოვალის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, როდესაც წარმოიშვება შესრულების ხელშემშლელი ისეთი გარემოებები, რომელთა გათვალისწინება და თავიდან აცილება მოვალისათვის შეუძლებელია.

### **საქმე № ას-853-1122-05**

**2 მარტი, 2006 წ., ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი)**

დადგენილია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 2004წ. 27 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ე-ს“ დაეკისრა გ. ჩ-ძის სასარგებლოდ 16 თვის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება. ამ საქმეზე გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა გ. ჩ-ძემ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე მიღებული განჩინება გაასაჩივრა შპს „ე-მა“.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორს, რომ ამ ურთიერთობას არ აწესრიგებს სკ-ის 401-ე მუხლი.

იმისათვის, რომ კრედიტორმა მოითხოვოს ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურება ან პროცენტი, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის ბრალით არის თუ არა გამოწვეული.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სკ-ის 401-ე მუხლი, რომლის თანახმად, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთი გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

განსახილველი ნორმის თანახმად, მოვალის პასუხისმგებლობა გამორიცხულია ისეთი ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში, რაც შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ კასატორმა (მოსარჩელემ) 2005წ. აპრილში მოითხოვა გადაწყვეტილების განმარტება, რადგან თანხის მიუთითებლობის გამო აღმასრულებელი ვერ ასრულებდა გადაწყვეტილებას. მიღებული განჩინება გაასაჩივრა მოწინააღმდეგე მხარემ.

ამრიგად, კონკრეტულ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობა, უნდა მიჩნეულ იქნეს ისეთ გარემოებად, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

## **საქმე № ას-1701-1685-2011**

**22 ოქტომბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში კიდევ ერთი საფუძვლის, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის შემადგენლობის შემოწმების მიზნით აღნიშნავს შემდეგს: მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტი, თუ კრედიტორს სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. დასახელებულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო. ამასთან, 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოპასუხე გ. კ-ს მოსარჩელის მიმართ გააჩნდა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება, ასევე დადგენილია და ამას არც მოპასუხე უარყოფს, რომ მის მიერ დარღვეულ იქნა ვალდებულება, თუმცა, სააპელაციო პალატას არ დაუდგენია ის ფაქტი, რომ მხარეები შეთანხმდნენ ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის რაიმე პროცენტზე, მით უმეტეს ამგვარი ფაქტი არც მოსარჩელეს მიუთითებია სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებში. შესაბამისად, სესხის მოქმედების ვადაში გათვალისწინებულ სარგებელზე (პროცენტზე) შეთანხმება ვერ გამოდგება სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად. ამდენად მოსარჩელის მოთხოვნა, რომ მოპასუხეს დაეკისროს მის სასარგებლოდ სარგებელი, 50000 აშშ დოლარის 5% 2010 წლის ოქტომბრის თვიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ამ ნაწილში წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

**საქმე № 3კ/831-01**

**17 ოქტომბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ვადის გადაცილებით გამოწვეულ ზიანში სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად იგულისხმება მიუღებელი შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

**საქმე №ას-903-848-2012**

**4 ოქტომბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის „მოვალის მიერ ვადის გადაცილების“ შესახებ თავი არ გულისხმობს მხოლოდ სესხის ხელშეკრულების მოვალეს, ანუ დებიტორს. მოვალე გულისხმობს ნებისმიერ ხელშეკრულებაში პირს, რომელსაც ამ ხელშეკრულებით გარკვეული ქმედების განხორციელების ან ქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულება ეკისრება. გარდა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისა, მითითებულ თავში მოცემულია 404-ე მუხლიც, რომლის თანახმადაც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. კრედიტორი ამ შემთხვევაში ნებისმიერ ხელშეკრულებაში შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე პირია და არა მხოლოდ ფულადი ვალდებულების კრედიტორი.

**საქმე № ას-696-916-08**

**22 იანვარი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხელშეკრულებაზე უარის თქმა (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა იზიარებს სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლების თანახმად, შეიძლება მოიშალოს ხელშეკრულება, რომლის მოქმედებაც დამთავრებული არ არის. მხარეთა შორის 1994 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების მოქმედება კი დასრულებულია და წერილობით შეთანხმება არ შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულებიდან გასვლად.

**საქმე № 3კ-1244-02**

**21 მარტი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნასყიდობის საფასურის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებაზე უარის თქმა (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი)**

სკ-ს 405-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ ამას არავითარი შედეგი არ ექნება.

სკ-ს 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ.

მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ მხარეთა მიერ ვერ ხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ირღვევა ვალდებულება. თუ გამყიდველმა ვერ შეასრულა მის მიერ ნაკისრი ვალდებულება მთლიანად მაშინ მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე.



სამოქალაქო კოდექსის 498-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ნივთის ნასყიდობის მომწესრიგებელი წესები შესაბამისად გამოიყენება უფლების ან სხვა ქონების ნასყიდობის მიმართაც.

სკ-ს 477-ე მუხლის თანახმად ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე. მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

სკ-ს 487-ე მუხლის თანახმად გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. სკ-ს 490-ე, 491-ე, 492-ე, 493-ე მუხლების შესაბამისად მყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება.

სკ-ს 490-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად გამყიდველს შეუძლია უარი თქვას, როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე, ნივთის შეცვლაზე, თუ ეს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს.

როგორც დადგენილია, კასატორის საკუთრებაში გადავიდა წილი და შესაბამისად, საწარმოს კუთვნილი ქონებაც. მან ნივთი მიიღო. მას არ მიუმართავს იმ პროცედურებისათვის, რასაც ნივთის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში სკ-ს შესაბამისი ნორმები ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში სკ-ს 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი.

თუ მყიდველი არ იყენებს ნივთის ნაკლთან დაკავშირებული პრეტენზიის წარდგენის უფლებას და, ამასთან, უარს ამბობს ნივთის საფასურის გადახდაზე, იგულისხმება, რომ ის არღვევს ხელშეკრულების პირობებს და გამყიდველს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

აღნიშნულის გამო, პალატა თვლის, რომ თ. გ-ის უფლება აქვს, მყიდველს მოსთხოვოს მიღებული შესრულების დაბრუნება.

## საქმე № ას-547-780-08

26 ნოემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ხელშეკრულებაზე უარის თქმა (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი)

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 11 ივნისს თ. ბ-აძესა და ზ. გ-ძის წარმომადგენელ, ვ. გ-ძეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების (მდებარე თბილისში, ..... ქ. კორპ. 4, მე-4 სართული, ბინა 30) ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 14000 აშშ დოლარით.

პალატამ ასევე დადგენილად ჩათვალია, რომ მხარეთა შეთანხმებით, მყიდველმა ხელმოწერისთანავე გადაიხადა 7000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 7000 აშშ დოლარი ხელშეკრულების თანახმად თ. ბ-ძეს უნდა გადაეხადა 2004 წლის 25 დეკემბერს, რის შემდეგაც თ. ბ-ძე გახდებოდა ბინის სრულუფლებიანი მესაკუთრე. მანამდე სადავო ბინა საჯარო რეესტრში შეზღუდული საკუთრების უფლებით აღირიცხა თ. ბ-ძის სახელზე.

ასევე დადგენილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი თანხა 7000 აშშ დოლარი, მყიდველის მიერ გადახდილი არ არის, სადავო ბინით კი სარგებლობენ მოპასუხეები.

ვერ იქნება გაზიარებული კასატორის (გობრონიძის) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მან უარი თქვა ხელშეკრულებაზე. სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის თანახმად თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ზ. გ-ძეს 2004 წლის 25 დეკემბრიდან ხელშეკრულების შესრულება თ. ბ-ძისათვის დღემდე არ მოუთხოვია. არც დამატებითი ვადა განუსაზღვრია მისთვის. ხოლო ის გარემოება, რომ ბინების ფასი გაიზარდა და ამიტომ შესრულებამ აზრი დაკარგა მისთვის, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად, მითუმეტეს რომ ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხი ზ. გ-ძემ დააყენა მხოლოდდამხოლოდ სასამართლოში და მხოლოდ მაშინ, როდესაც აღიძრა თ. ბ-ძის სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე. პალატა განმარტავს, რომ უძრავი ქონების ფასი ყოველწლიურად განიცდის ცვლილებებს, ამიტომ იგი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად.

**საქმე № ას-1001-1200-08**

**24 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხელშეკრულებაზე უარის თქმა (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ ვ. პ-იას მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის, 508-ე, 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების გასვლის თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია. აღნიშნულ დასკვნამდე სასამართლო მივიდა იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ ბ-ავამ მართალია ბინის საფასურის ნაწილი ხელშეკრულების შესაბამისად დროულად გადაიხადა, მაგრამ დარჩენილი 3000 აშშ დოლარი 2003 წლის 1 იანვრამდე გადახდილი არ ყოფილა, არც ნოტარიუსთან განხორციელებულა დეპონირება, არც ვალდებულების შესრულების გადავადებაზე შეთანხმებულან და უფრო მეტიც, დღემდე ვალდებულება შესრულებული არ არის.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ ხელშეკრულების მხარე 405-ე მუხლს გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. როგორც აღნიშნული ნორმიდან იკვეთება, ხელშეკრულებიდან გასვლისათვის (ხელშეკრულებაზე უარის თქმისათვის) აუცილებელია სახეზე იყოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები. აღნიშნული ნორმის საფუძველზე თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შეუსრულებლობას, ასეთ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს კრედიტორის მიერ შესრულებისადმი ინტერესის დაკარგვის ფაქტი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში შესრულების ინტერესი არ უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ კრედიტორის სუბიექტური მოსაზრებიდან, არამედ იგი უნდა იკვეთებოდეს ობიექტური გარემოებებიდანაც, რომელთა გამოც კრედიტორის ვალდებულების შესრულება აზრს კარგავს.

**საქმე № ას-946-1203-05**

**20 იანვარი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის დანიშვნა (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ ერთის მხრივ, შპს „ნ-ასა“ და მეორეს მხრივ, სს „კ-სა“ და სს „ს-ს“ შორის 2004წ. 21 ივნისს დადებული ხელშეკრულება დაირღვა მოვალის — სს „კ-ის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასამართლომ დაადგინა სს „კ-ის“ კარიერის უფროსის ახსნა-განმარტებასა და შპს „ნ-ას“ 2004წ. 27 სექტემბრის წერილზე დაყრდნობით, რომლებიც, სასამართლოს მოსაზრებით, ადასტურებდა, რომ სს „კ-მა“ უარი განაცხადა, მიეღო მიწოდებული კირქვა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს „ნოლას“ 2004წ. 27 სექტემბრის წერილის შეფასების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები ასევე არ ემყარება საქმის გარემოებათა სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული წერილი შეაფასა როგორც შპს „ნოლას“ მიერ სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოვალისათვის ვადის დანიშვნის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომლის უპასუხოდ დატოვება უპასუხოდ დატოვება სს „კასაციემენტის“ მიერ ადასტურებდა მისი მხრიდან ხელშეკრულების ბრალეულად შეწყვეტას, რის შემდგომ შპს „ნოლამ“ მართლზომიერად მოითხოვა ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ამავე კოდექსის 408-ე მუხლის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „ნოლამ“ ამ წერილიდან ერთ თვეში აღძრა სარჩელი, მაშინ როდესაც სასამართლოს არ გამოურკვევია, თუ

როდის ჩაბარდა წერილი სს „კასპიციმენტს“ და გასული იყო თუ არა გონივრული ვადა სს „კასპიციმენტის“ მხრიდან მასზე პასუხის გასაცემად. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალდებულების დარღვევისას ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამდე სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განსაზღვრული დამატებითი ვადის დაწესება არის აუცილებელი მოქმედება, რაც ხელშეკრულების მეორე მხარემ უნდა განახორციელოს დამრღვევი მხარის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამდე, გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. აღნიშნული გულისხმობს გონივრულ ვადას, რაც საკმარისი იქნება დამრღვევი მხარის ნების სარწმუნოდ გამოსავლენად და მისაღებად. ვიდრე არ გაირკვევა მეორე მხარის ნება, დაუშვებელია ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ამასთან, საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად მხარეებს მთელი ძალისხმევა უნდა ექციათ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხის მოლაპარაკების გზით გადასაწყვეტად, სადავო საკითხის სასამართლოს მეშვეობით გადაწყვეტა გათვალისწინებული იყო მხოლოდ მოლაპარაკების გზით საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში (7.1-7.2 პუნქტები). მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ გამოურკვევია, ხელშეკრულების აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოიყენა თუ არა შპს „ნოლამ“ სარჩელის აღძვრამდე ყველა შესაძლებლობა მოპასუხეთა ნამდვილი ნების გასარკვევად.

**საქმე № ას-1326-1346-2011**

**17 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხელშეკრულებაზე უარის თქმა (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებას.

მართალია, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს ვალდებულების ერთჯერადად შესრულებას (თანხის მიღების სანაცვლოდ ბინის საკუთრებაში გადაცემას), მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, ამ ტიპის ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული საკითხები გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებების ანალოგიურად წესრიგდება. ერთადერთი განსხვავება, პირველ შემთხვევაში ორმხრივი რესტიტუციის ვალდებულების არსებობაა. აღნიშნულს თავად სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი ადასტურებს, რომელიც 405-ე მუხლის პირობებზე მიუთითებს, ამასთან, მითითებული ნორმის დანაწესი „405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას“ გულისხმობს როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლებზე, ისე აღნიშნულის გამომრიცხავ გარემოებებზე მითითებას.

სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.

თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევა ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ გ. მ-ემ მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების მიმართ ინტერესის დაკარგვა ვერ დაადასტურა.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ვალდებულების დარღვევა იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო.

მოცემულ შემთხვევაში მხარემ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება თვენახევრით დააგვიანა. ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობა სასამართლოს შესაფასებელია. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია თავად ხელშეკრულების ხასიათი, აგრეთვე ის ზიანი და ობიექტური სირთულეები, რაც ხელშეკრულების მეორე მხარეს მოვალის მიერ ვადის გადაცილებით შეექმნა. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ვალდებულების შესრულება ერთი თვისა და თხუთმეტი დღის დაგვიანებით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენებისა და ფართზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე დადებულ გარიგებებზე სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული უმნიშვნელო დარღვევაა.

### 3.5. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

**საქმე № 3კ-1422-02**

**15 მაისი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი**

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სარჩელის საფუძველად მიუთითებდა, რომ მოპასუხე მუშაობდა მათი ოფისის დარაჯად, მოპასუხემ გამოიჩინა სამსახურებრივი დაუდევრობა და მიატოვა სამსახური, რა დროსაც გაქურდეს ოფისი, აღნიშნულის გამო მოითხოვა ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად არის ცნობილი, რომ ქართლის ..... კავშირს და მოპასუხეს შორის შრომითი ურთიერთობები არ არსებობდა და აქედან გამომდინარე შკკ-ს ნორმებიდან გამომდინარე მოპასუხეს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო. აღნიშნულ გარემოებას კასატორი არ ხდის სადავოდ. კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სკ-ს ნორმები, რასაც საკასაციო პალატა არ იზიარებს.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მოპასუხე ოფისს დარაჯობდა ამ ოფისის დარაჯის ქ-ის თხოვნით, რომელიც მოპასუხეს უხდიდა 30 ლარს ე.ი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა მოპასუხესა და ქ-ეს შორის და არა მოპასუხესა და ქართლის ..... კავშირს შორის. აქედან გამომდინარე ქართლის ..... კავშირს ანაზღაურებაზე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არა აქვს.

**საქმე № ას-734-1032-09**

**21 იანვარი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ზიანის ოდენობის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ქ-შვილის ბინაში ხანძრის ჩაქრობის გამო ჩავიდა წყალი. მხარეს, მისთვის მატერიალური ზარალის მიყენების დასადასტურებლად, წარმოდგენილი აქვს მტკიცებულება — მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილების ინსპექტორის მიერ შედგენილი ე.წ. ხანძრისაგან მიყენებული მატერიალური ზარალის ჩამონათვალი. სასამართლოს მოსაზრება აღნიშნულ მტკიცებულებასთან მიმართებაში ასახული არ არის გადაწყვეტილებაში, რაც ზემოთ მითითებული ნორმის დარღვევაა. ის გარემოება, რომ არ ჩატარდა სასაქონლო ექსპერტიზა არ ნიშნავს იმას, რომ ზიანის მიყენების ფაქტი არ არსებობს, არ დაზიანებულა მოსარჩელის ქონება. ხშირ შემთხვევაში ხანძრის შედეგად მთლიანად ნადგურდება ადამიანის ქონება და შეუძლებელი ხდება სწორედ დაზიანებული ნივთებისათვის ექსპერტიზის ჩატარება, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს ზიანის ოდენო-

ბის განსაზღვრის შესაძლებლობას, თუნდაც ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების საშუალო ღირებულების გამოთვლით. პალატა მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში თუ დგინდება ზიანის მიყენების ფაქტი, შეუძლებელია მხარეს უარი ეთქვას ზიანის ანაზღაურებაზე დაზიანებული ნივთების ღირებულების დაუდგენლობის გამო.

**საქმე № ას-1607-1509-2012**

**1 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ზიანის ნატურით რესტიტუციისა და იმავდროულად ქონების ფულადი კომპენსაციის მიღების დაუშვებლობა (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

2009 წლის 13 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი გამომდინარეობს მოსარჩელისათვის ქონებრივი სიკეთის მიღებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს გააჩნია განსახილველი დავის დასაბუთებული და საფუძვლიანი ინტერესი.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის განაჩენით ნ. კ.-ეს მიერ ზ. ნ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა სადავო უძრავი ქონებების ღირებულება 1 017 000 აშშ დოლარის ოდენობით.

ამასთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ერთ შემთხვევაში მოსარჩელის ინტერესი დაკმაყოფილებულია სადავო უძრავი ქონების ღირებულების ანაზღაურებით, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე, სხვა სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით, ითხოვს ქონების დაბრუნებას. ანუ, მოცემულ სარჩელს გააჩნია იდენტური მიზანი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელთა მრავალგზის განხორციელება უნდა გამოირიცხოს იმ შემთხვევაში, თუ ეს წინააღმდეგობაში მოვა თანასწორობისა და თანაზომიერების პრინციპთან და უფლებამოსილ პირს მისცემს უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ განაჩენით დაკისრებული თანხა აღსრულებული არ არის, მოვალის, ნ. კ.-ის, ქონებრივი მდგომარეობა არ იძლევა დაკისრებული თანხის იძულებითი წესით ამოღების შესაძლებლობას, მოსარჩელის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია ვერ შეფასდება უფლების ბოროტად გამოყენებად. მოცემულ საქმეზე ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილება, შემდგომში გამორიცხავს განაჩენით დაკისრებული თანხის მიღების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას. ამასთან მიმართებით ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა მოსარჩელემ მოითხოვოს როგორც საკომპენსაციო თანხა, ასევე იმ ქონების მიღება, რის სანაცვლოდაც მან მოითხოვა საკომპენსაციო ზიანი. ამ კითხვაზე უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2010 წლის 15 დეკემბრის განაჩენით ნ. კ.-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ. დადგენილი იქნა ნ. კ.-ის მიერ 2009 წლის 2 სექტემბრის მინდობილობის გაყალბების ფაქტი; განაჩენით დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და ნ. კ.-ეს მ. ზ. ნ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1 017 000 აშშ დოლარის გადახდა. დადგენილია, რომ 2009 წლის 13 ნოემბერს და 2009 წლის 10 სექტემბერს ხელშეკრულებების გაფორმებისას ნ. კ.-ე მოქმედებდა 2009 წლის 2 სექტემბრის მინდობილობით.

უპირველეს ყოვლისა საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ იურიდიული ინტერესის ცნებაში ყოველთვის იგულისხმება ის მატერიალურ-სამართლებრივი უფლება, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს აღიარებითი სარჩელი. მაგრამ დამატებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღიარებითი

სარჩელის განხილვისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ განსახილველი დავის ორ მხარეზე. პირველი, იურიდიული ინტერესი, ანუ სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი უნდა უკავშირდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენას, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარებას ან დოკუმენტების სიყალბის დადგენას, რაც განსხვავდება იმ მატერიალურ-სამართლებრივი შედეგისაგან, რომელიც მიიღწევა მიკუთვნებითი სარჩელით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იურიდიული ინტერესისათვის აუცილებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის აღძვრა. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს გარიგებების ბათილობას სადავო ქონების დაბრუნების გარეშე. აღიარებითი სარჩელი კი წარმოადგენს იმ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენას, რომელიც სადავო მხარეთა შორის, რომელიც არ ითვალისწინებს მიკუთვნებითი მოთხოვნის აღძვრას.

განსახილველი დავის მეორე მხარე უკავშირდება მოთხოვნათა რეალიზაციის მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტებს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელე მხარის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გაკეთებულ ახსნა-განმარტებაზე, რომელშიც მან მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი განაჩენით დაკმაყოფილებული სამოქალაქო სარჩელი 1017000 აშშ დოლარი მოიცავს ყალბი მინდობილობით გასხვისებული სადავო ქონების ღირებულებას.

ამდენად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დაკმაყოფილებული სარჩელის საფუძველს წარმოადგენდა ყალბი მინდობილობის საფუძველზე დაკარგული ქონების ღირებულება. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ დაკმაყოფილებული სამოქალაქო სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (ნატურით რესტიტუცია), არამედ ფულადი ანაზღაურება. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელემ მიიღო ფულადი ანაზღაურება, რომელიც მისივე ახსნა-განმარტებით წარმოადგენს სადავო ქონების ღირებულებას (16.02.2012, 13.38.16-13.38.57). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუშვებელია კრედიტორს მიეცეს როგორც ნატურით, ასევე ფულადი თანხით ანაზღაურების უფლება. ამდენად, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეზე ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილება, შემდგომში გამორიცხავს განაჩენით დაკისრებული თანხის მიღების შესაძლებლობას. ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც განაჩენით, ასევე გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგი ექვემდებარება აღსრულებას კანონით დადგენილი წესით და მოსარჩელე შეძლებს მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ზიანის ნატურით რესტიტუციის შესაძლებლობის გამოყენება გამორიცხავს მისი (ქონების) ფულადი ანაზღაურების შესაძლებლობის გამოყენებას და პირიქით (ანუ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელემ მოითხოვა და შემდეგ დაკმაყოფილდა კიდევ სადავო ქონების საფასურის მიღება, მას არ შეუძლია, ამავდროულად მოითხოვოს ამ ქონების მისთვის გადაცემა). ნატურით რესტიტუციაზე და ფულად კომპენსაციაზე კრედიტორის უფლება ალტერნატიულია და არა კუმულაციური.

## საქმე № ას-92-87-2013

1 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საწარმოო ტრავმის შედეგად დამსაქმებლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.

საწარმოო ტრავმის შედეგად დამსაქმებლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი ასევე მოცემული სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ, 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით კი, დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, დასაქმებულის ჯანმრთელობის დაზიანებისას დამსაქმებლის ვალდებულების განსაზღვრისათვის, მხედველობაში მისაღება პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი. ნათელია, რომ სამოქალაქო კოდექსი ზიანის მიყენებად განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც მიღებული ტრავმის შედეგად პირს ესაჭიროება პროფესიული გადამზადება, ვინაიდან ჯანმრთელობის დაზიანების გათვალისწინებით, გადამზადების გარეშე, იგი ვეღარ განახორციელებს თავის პირვანდელ მოვალეობებს, ან ვერ დასაქმდება სხვა სამსახურში, თუნდაც ამ შემთხვევაში, საერთო შრომის უნარი დაქვეითებული არც იყოს. პროფესიული შრომის უნარის დაკარგვისას ან შემცირებისას ზიანი გამოიხატება სწორედ იმ გარემოებაში, რომ ჯანმრთელობის დაზიანების გამო, პირი ვეღარ აგრძელებს მის მიერ არჩეული, სასურველი პროფესიით მუშაობას, ან ამისათვის დამატებითი ძალისხმევა ესაჭიროება და იზრდება მისი მოთხოვნილებები იმ თვალსაზრისით, რომ იგი იძულებულია, სხვაგვარად დასაქმდეს, ახალ სამუშაო პირობებთან ადაპტაცია გაიაროს, ან თუნდაც, იმავე შრომითი მოვალეობების შესრულება მისთვის, სხვა დასაქმებულებთან შედარებით, გართულებულია და სპეციალური პირობების შექმნას საჭიროებს.

პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრა ხდება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის მეშვეობით.

### **საქმე № ას-540-773-08**

**5 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული ნორმის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ხდება წინასწარ, შემდგომ გადასახდელი თანხებიდან და არა ადრე გაწეული ხარჯებიდან.

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. დაზარალებულის მკურნალობის ხარჯები არის დადებითი ზიანი და დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს როგორც მკურნალობის შემდეგ, ისე წინასწარ, აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მოითხოვს მას დაზარალებული.

### **საქმე № ას-457-433-2012**

**20 სექტემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

მოსარჩელე ბ. კ-ი, წყნეთის გზაზე შეეჯახა ელექტრო განათების ბოძს. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდა ბ. კ-ი, რომელმაც მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება, რაც გამოიხა-

ტა იმაში, რომ მას აღნიშნებოდა: ჰემოპნევმოთორაქსი, წელის პირველი მალის მოტეხილობა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა, კანქვეშა სისხლჩაქცევები სხეულზე.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ზიანის მიმყენებლის მართლსაწასინააღმდეგო ქმედება, დამდგარი ზიანი და მიზეზობრივი კავშირი მოპასუხე ვ. წ-ის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრით სადავო იყო ზიანის ოდენობა.

აღნიშნულთან მიმართებით, საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ მიერ 25.08.2011 წელს გაცემული ცნობის თანახმად, ბ. კ-ი 2008 წლის 7 აპრილიდან — 30 მაისამდე მკურნალობას გადიოდა შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ რეანიმაციის განყოფილებაში. კლინიკის მიმართ დავალიანებამ 2011 წლის 25 აგვისტოსათვის შეადგინა 9 540,57 ლარი (ტ. I, ს.ფ. 350).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურებული მატერიალური ზიანის ოდენობამ შეადგინა 9 540, 57 ლარი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ვ. წ-ის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მკურნალობის განმხორციელებელი კლინიკა არ ითხოვს მკურნალობის თანხას, აღნიშნული თანხის გადახდა არ უნდა დაეკისროს ვ. წ-ს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს 9 540, 57 ლარის დავალიანების დამდგენ მტკიცებულებაზე (ტ. I, ს.ფ. 350), რომლის თანხმად კლინიკის მიმართ ბ. კ-ის დავალიანება შეადგენს 9 540, 57 ლარს. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის საკითხი, რომ აღნიშნული თანხა ბ. კ-ს არ გადაუხდია, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობა კლინიკამ განახორციელა. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ არც საქმეში მოიპოვება მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-მ“ მოითხოვა ბ. კ-ისაგან ამ თანხის გადახდა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ისმის კითხვა, რამდენად შესაძლებელია 9 540, 57 ლარი მივიჩნიოთ ზიანად მაშინ, როდესაც ბ. კ-ს არ გაუღია ეს თანხა და არ არსებობს შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ მოთხოვნა ბ. კ-ისადმი ამ თანხის გადახდის თაობაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დაზარალებულს უფლება აქვს, მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება. განსახილველი დანაწესების თანახმად ზიანს წარმოადგენს მკურნალობისათვის განცდილი დანაკარგები. ანუ, დაზარალებულის მიერ მკურნალობისათვის უკვე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. გამონაკლისს წარმოადგენს განსახილველი მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მკურნალობის განხორციელებამდე დაზარალებულს ეძლევა მკურნალობის ხარჯების მოთხოვნის უფლება. განსახილველი ფაქტობრივი სიტუაციის მიხედვით 9 540, 57 ლარი ის თანხაა, რომელიც არ გაუღია დაზარალებულს და არც მისი წინასწარ მოთხოვნის საფუძველი არ არსებობს, რადგან ეს თანხა წარმოადგენს მკურნალობის შედეგს, რომლის თაობაზე, საქმეში არსებული მასალების თანახმად, მოთხოვნა კლინიკას არ გააჩნია.

ასევე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს სხვადასხვა სახის ზიანის ინსტიტუტს, მათ შორის რეალურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მიუხედავად იმისა, რომ ეხება მიუღებელ შემოსავალის ანაზღაურების ინსტიტუტს, მიგვითითებს იმაზე, რომ ზიანს შეიძლება წარმოადგენდეს ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი და მიუღებელი შემოსავალი. კონკრეტული სადავო ურთიერთობის ფარგლებში განმარტებას მოითხოვს ზიანი, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი.



ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, წარმოადგენს დადებით, ანუ მატერიალიზებულ ზიანს, რაც ხელყოფის, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების (და ა.შ.) შედეგია. იმის გათვალისწინებით, რომ ბ. კ-ს არ გაუწევია 9 540, 57 ლარის ხარჯი და, არც მის მიმართ არ დგინდება შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ მოთხოვნის არსებობა, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ადგილი არა აქვს ბ. კ-ის აქტივების შემცირებას, ასევე მისი ვალდებულებების (პასივების) გაზრდას. შესაბამისად, 9 540, 57 ლარი არ წარმოადგენს ფაქტობრივად დამგარ დანაკლისს (რეალურ ზიანს). ქონებრივი ზიანის თავისებურებების გათვალისწინებით, ფულადი ანაზღაურების მიზანია დაზარალებული მხარის ქონებრივი დანაკარგების კომპენსაცია, ხოლო 9 540, 57 ლარი არ წარმოადგენს ბ. კ-ის ქონებრივ დანაკარგს.

**საქმე № ას-863-1219-05**

**13 აპრილი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი)**

გ. და მ. მ-ებმა სასარჩელო განცხადებით მოითხოვეს სადავო მალაზიის როგორც ძირითადი ფართის, ისე მის ქვეშ მდებარე სარდაფის გაქირავების ხელშეშლის გამო მიუღებელი შემოსავლის 10075 აშშ დოლარის ანაზღაურება.

დადგენილია, რომ სადავო მალაზიის ფართი წარმოადგენს მხარეთა თანასაკუთრებას და მხარეთა შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა იქნეს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების, კერძოდ, საზიარო უფლებების მომწესრიგებელი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. იმავე კოდექსის 955-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ თითოეულ მოწილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას. ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხემ, როგორც სადავო მალაზიის თანამესაკუთრემ, თავის უფლების განხორციელებისას ზიანი მიაყენა მოსარჩელეთა საკუთრების უფლებას იმავე ქონებაზე, ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხეს უნდა დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა. ამ ნორმის თანახმად წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად ნ.ჟ-ს გ. მ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის. ამ ნორმის თანახმად ზიანი უნდა აუნაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტორის დასკვნის თანახმად მიიჩნია, რომ სადავო მალაზიის გაქირავების შემთხვევაში ერთი კვ.მ-ის ფასი თვეში შეადგენს 1,4 აშშ დოლარს; ამიტომ გ.მ-ის კუთვნილი 37,6 კვ.მ ფართის გათვალისწინებით სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ იგი თვეში მიიღებდა ქირას 52,6 აშშ დოლარს. სასამართლომ მიუთითა, რომ 1995 წლის 16 აგვისტოდან 1998 წლის 6 აპრილამდე მოპასუხემ გ. მ-ს მიყენებული ზიანი სრული მოცულობით უნდა აუნაზღაუროს, რაც შეადგენს 1683 აშშ დოლარს. საკასაციო პალატა თვლის, რომ 1998 წლის 6 აპრილიდან 2001 წლის 31 იანვრამდე ე.ი. 33 თვის განმავლობაში ნ. ჟ-ს უნდა დაეკისროს გ. მ-ის სასარგებლოდ მისი კუთვნილი 37,6 კვ.მ ფართის გათვალისწინებით (33 X 52,6) 1735,8 (ათას შვიდას ოცდათხუთმეტი აშშ დოლარის და 80 ცენტის) აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა, სულ (1683 + 1735,8) 3418,80 (სამიათას ოთხას თვრამეტი აშშ დოლარის და ოთხმოცი ცენტის) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

საქმე № ას-520-488-2010

2 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, „ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და, რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“. მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობებით და დამოკიდებულია ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემოსავლის მიღების ალბათობაზე. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.

საქმე № ას-899-845-2012

22 ნოემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის 19 მაისს ლ.ჩ-ესა და შპს „ა-ს“ შორის დაიდო წინარე ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ა-ი“ ვალდებული იყო მოსარჩელის მიერ 27 722 ევროს გადახდის სანაცვლოდ თბილისი, კ-ას ქუჩა № 10-ში აეშენებინა საცხოვრებელი სახლი და მოსარჩელესათვის აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში საკუთრებაში გადაეცა 1 სადარბაზოში მე-3 სართულზე მდებარე 52.24 კვ.მ. ბინა № 21. ხელშეკრულების 2.3 პუნქტის მიხედვით, შპს „ა-ს“ ლ.ჩ-ის უნდა გადაეცა უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება. ამასთან 2.4. პუნქტით განიმარტა, რომ ნივთობრივად უნაკლო ქონების ქვეშ იგულისხმებოდა საცხოვრებელი ბინა დანართი № 1-ით განსაზღვრულ სტადიაზე. ამავე ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, ქონებაზე უფლების გადაცემა უნდა განხორციელებულიყო დანართი № 1-ით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდგომ არაუგვიანეს 2011 წლის ივნისისა.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე დაადგინა, რომ შპს „ა-მა“ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის 19 მაისს ლ.ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ა-მა“, როგორც გამსესხებელმა ლ.ჩ-ეს, როგორც მსესხებელს საკუთრებაში გადასცა თანხა 19222 ევროს ოდენობით 120 თვის ვადით, წლიური 18%-იანი სარგებლით. ამასთან, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ სესხის გაცემა მსესხებელზე მოხდებოდა თანხის შპს „ა-ზე“ გადაცემის გზით.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელე ლ. ჩ-ემ ჯეროვნად შეასრულა 2008 წლის 19 მაისის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. მოსარჩელის მიერ 2008 წლის 19 მაისს დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ა-ის“ სასარგებლოდ სარგებლის სახით გადახდილ იქნა 9005 ევრო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში დავას იწვევს მოსარჩელის მიერ 2008 წლის 19 მაისს დადებული სისხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ა-ის“ სასარგებლოდ სარგებლის სახით გადახდილ 9005 ევროსა და მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლის შპს „ა-ის“ დაკისრების თაობაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომლის თანახმად ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ

ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

მითითებული ნორმის გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 19 მაისს ლ.ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ა-მა“, როგორც გამსესხებელმა ლ.ჩ-ეს, როგორც მსესხებელს საკუთრებაში გადასცა ფულადი სახსრები, რაც აუცილებელი იყო 2008 წლის 19 მაისს შპს „ა-სა“ და ლ.ჩ-ის შორის დადებული წინარე ხელშეკრულებით ამ უკანასკნელის მიერ ნაკისრი ვალდებულების, 27 722 ევროს გადახდის უზრუნველსაყოფად, შესაბამისად, ლ.ჩ-ე შპს „ა-ს“ სესხად მიღებულ თანხას სხვა მიზნით, გარდა შპს „ა-ის მისი გადახდისა“, ვერ გამოიყენებდა.

ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს ის შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ლ. ჩ-ეს შპს „ა-ის“ მიერ 2008 წლის 19 მაისს ლ.ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში. იმის გათვალისწინებით, რომ წინარე ხელშეკრულება ვალდებულებით-სამართლებრივია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მიუღებელი შემოსავლის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი) სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობით და დამოკიდებულია ზემოაღნიშნული წინარე ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შედეგად მისაღებ სარგებელზე. ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ თბილისში, კ-ას ქუჩა № 10-ში ასაშენებელი საცხოვრებელი სახლში, 1 სადარბაზოში მე-3 სართულზე მდებარე 52.24 კვ.მ. ბინა № 21-ის საკუთრებაში გადაეცეს ვალდებულებაზე ამ წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ შპს „ა-ის“ მიერ ზემოაღნიშნული ფართის გადაცემასთან ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში რა შემოსავალს მიიღებდა და ვალდებულების დარღვევის შედეგად არ მიიღო ლ. ჩ-ემ. ანუ, არა ფულადი სახსრების, არამედ ამ ბინის გადაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში რა ოდენობის შემოსავალს მიიღებდა კასატორი და რაში გამოიხატებოდა ყოველივე აღნიშნული. მითითებულ ფაქტებზე კასატორი არ უთითებს, ხოლო, რაც შეეხება კასატორის მიერ ფულადი სახსრების გამოყენებაზე, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ შპს „ა-ს“ მიღებული სახსრებს კასატორი სხვაგვარად ვერ გამოიყენებდა მისი მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, ხოლო შპს „ა-ის“ მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში კასატორი მიიღებდა ბინას და არა ფულად სახსრებს.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სარგებლის სახით მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობასთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

კონკრეტულ შემთხვევაში ისმის კითხვა თუ რამდენად სავარაუდო იყო შპს „ა-ის“ ზიანი, რომელიც მიადგა ლ. ჩ-ეს და რამდენად არსებობს მიზეზობრივი კავშირი შპს „ა-ის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობასა და დამდგარ ზიანს შორის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სავარაუდოება სახეზეა თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო. ამდენად, გასათვალისწინებელია არა კონკრეტული მოვალის (შპს „ა-ი), არამედ ზოგადად გონიერი და შეგნებული მოვალის მიერ იმ შედეგების გაცნობიერება, რაც განპირობებული შეიძლება იყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ანუ გასათვალისწინებელია ობიექტურად არსებული კრიტერიუმები. ამასთან ერთად, ზიანი, გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი და პირდაპირი შედეგი უნდა იყოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, „მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი“ არ უნდა გავიგოთ მოვალის სუბიექტური შესაძლებლობების მიხედვით. გონივრულად სავარაუდო ზიანი ფასდება ობიექტური კრიტერიუმებით. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის, რომ მითითებული ნორმის მიხედვით გათვალისწინებულია პირდაპირი ზიანი, რადგან ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი.

კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველი საკითხი ეხება სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებელი უნდა იყოს ამ ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევის შედეგად, რამდენად სავარაუდოა კრედიტორის მიერ მითითებული ზიანი, და რამდენადაა ამ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის უშუალო, აუცილებელი და პირდაპირი შედეგი.

ამდენად, იმ შემთხვევაშიც თუ მივიჩნევთ, რომ კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ ფაქტებს ჰქონდა ადგილი (მაგალითად, მასთან მოლაპარაკებებს, როგორც ნარდობის, ასევე სესხის ხელშეკრულებების დასადებად აწარმოებდა ერთი და იგივე პირი და, ასევე უთითებდა იმ ფაქტზე, რომ შპს „ა-ი“ ნარდობის ხელშეკრულების დადების მიზნით მას სთავაზობდა ე.წ. „შიდა განვადებას“, რაც გამოიხატებოდა შპს „ა-ან“ სესხის ხელშეკრულების დადებაში), დაუშვებელია შპს „ა-ს“ დაეკისროს შპს „ა-ის“ სასარგებლოდ გადახდილი სარგებელის ანაზღაურება, რადგან 2008 წლის 19 მაისის შპს „ა-სა“ და ლ.ჩ-ის შორის დადებული საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის შესახებ წინარე ხელშეკრულებიდან არ ირკვევა, რომ შპს „ა-ის“ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება განპირობებული იყო ლ. ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის დადებული სასესხო ხელშეკრულებით. ის ფაქტი, რომ თუნდაც შპს „ა-ის“ შემოთავაზებით ლ. ჩ-ემ ისესხა გარკვეული თანხა შპს „ა-ან“ შპს „ა-ან“ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, და სესხად მიღებული თანხა შპს „ა-ის“ მიერ პირდაპირ გადაირიცხა შპს „ა-ის“ ანგარიშზე (2008 წლის 19 მაისს ლ.ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის დადებული სესხის ხელშეკრულების 1.2 პუნქტი) არ შეიძლება გამოიწვიოს შპს „ა-ის“ პასუხისმგებლობა შპს „ა-ის“ გადახდილი სარგებლის გამო. ლ. ჩ-ემ, თუნდაც შპს „ა-ის“ მითითებით, მაგრამ ნებაყოფლობით იკისრა სესხის აღება შპს „ა-ან“, რაც არ უკავშირდებოდა შპს „ა-ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას (კასატორს შეეძლო როგორც შპს „ა-ან“, ისე სხვა პირისაგან ან მის საკუთრებაში არსებული სხვა სახსრები შეეტანა შპს „ა-ში“), შესაბამისად, არც შპს „ა-ან“ დადებული ხელშეკრულებით არ იყო დაცული აღნიშნული ინტერესი.

ამდენად, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი პროცენტი არ წარმოადგენს პირდაპირ ზიანს და, ასევე შპს „ა-ის“ მიერ ვალდებულების დარღვევის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის უშუალო, აუცილებელი და პირდაპირ შედეგს.

## საქმე №ას-1385-1307-2012

7 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი)

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბანკმა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ ხელოვნურად გაზარდა საპროცენტო სარგებლის ოდენობა, რაც მისი მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქმედებას წარმოადგენდა. შესაბამისად, სასამართლომ ა.ა-ის მიერ გადახდილი პროცენტის გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა საპროცენტო სარგებლის დარიცხვის ნაწილში, საფუძვლიანად მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდისათვის მიიჩნია. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის განჩინებით სს „ს.ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სს „ს.ბ-ის“ აპელირება ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტზე, რომლითაც ბანკს ენიჭებოდა უფლება, ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს შემთხვევაში, კრედიტის მიმღებისათვის დაერიცხა პროცენტი იძულებითი ან მსესხებლის მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისათვის გაანგარიშებული თანხით. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ხელ-

შეკრულების აღნიშნული პირობა წარმოადგენდა ბათილ სტანდარტულ პირობას სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, ვინაიდან, შემთავაზებელს — სს „ს.ბ-ს“, მინიჭებული ჰქონდა უფლება, ხელშეკრულების მეორე მხარისათვის მოეთხოვა გაწეული ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების დარღვევისას კანონმდებელმა კრედიტორს მიანიჭა უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების ზოგად წესს განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მაგალითად: პროცენტის გადახდა (403-ე მუხლი), პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (408-ე მუხლის პირველი ნაწილი მუხლი), მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება (411-ე მუხლი) და ა.შ. საკასაციო პალატის შეფასებით, მხარეთა შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტი, რომლითაც ბანკს უფლება აქვს ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, დაარიცხოს კრედიტის მიმღებს ის პროცენტი, რაც გათვალისწინებულია სესხის სახით მიღებული თანხით სარგებლობისათვის, უნდა განვიხილოთ, როგორც მხარეთა შეთანხმება მინიმალურ ზიანზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის, როგორც საბანკო საქმიანობის სფეროში მოღვაწე სუბიექტის კომერციული ინტერესია, კრედიტის გაცემით მიიღოს გარკვეული მოგება. სწორედ ამიტომ, ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სასყიდლიანი ფორმით არსებობს (სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი). შესაბამისად, სს „ს.ბ-ს“, გაცემული კრედიტის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, კვლავ შეეძლო მიეღო ის მინიმალური სარგებელი, რასაც სასესხო ვალუტის დაბრუნებამდე იღებდა. ნიშანდობლივია, რომ ბანკის მიერ სარგებლის მიღების პრეზუმფცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩათვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება.

სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას, მიიჩნევა ბათილად შეთანხმება ზიანის ოდენობაზე მეტი თანხის მოთხოვნის შესახებ (ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა). განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საპროცენტო სარგებლის ფარგლებში, რაც დადგენილია კრედიტით სარგებლობისათვის. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ბანკი ითხოვს შეუსაბამოდ მაღალ ანაზღაურებას.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ კასაციის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მიუღებელი შემოსავლისათვის. სს „ს.ბ-ის“ ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ იგი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანისათვის, რაც გამოიხატა სესხის სახით გაცემული თანხის დაუბრუნებლობაში, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც, ანუ იმ დანაკლისისათვის, რაც ბანკმა ვერ მიიღო მოპასუხის ქმედებით. იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მხარეები შეთანხმდნენ მინიმალური ზიანის ოდენობაზე, ამასთან, არსებობს პრეზუმფცია, რომ მოსარჩელე მოპასუხის მხრიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროცენტო სარგებელს კრედიტის კვლავ გაცემით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალ-

ლათო კოდექსის 411-ე მუხლის შემადგენლობა, რაც კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს წარმოადგენს.

### საქმე № 3კ/1184-01

18 იანვარი, 2002 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა (სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი)

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა საბანკო მომსახურების ხელშეკრულება. დადგენილია, რომ შპს „უ.-მ“ 2000 წლის 8 დეკემბერს „ს.-ში“ წარადგინა საგადასახადო დავალება, ბუღალრეთში ფირმა „დ.-სთვის“ 8000 აშშ დოლარის გადარიცხვის შესახებ, შესაბამისი რაოდენობის ლართან ერთად. ბანკმა არ მიიღო და არ შეასრულა აღნიშნული დავალება, შეტანილი თანხა კი ჩარიცხა ბანკში არსებულ შპს „უ.-ს“ ანგარიშზე.

დადგენილია, რომ შეტანილი თანხა წარმოადგენდა ბოთლების ღირებულებას, რომელიც მიმართული იყო შპს „უ.-ს“ და ბუღალრულ ფირმა „დ.-ს“ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესასრულებლად. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად მოსარჩელის ვალდებულება შესრულებულად ითვლებოდა მისი მომსახურე ბანკის მიერ საგადასახადო დავალების შესასრულებლად მიღების მომენტიდან.

დადგენილია ასევე, რომ ბანკის მიერ საგადასახადო დავალების შესასრულებულად თანხის მიღების შემდეგ, ფირმა „დ.-სთვის“ შეტყობინების გაგზავნიდან, „დ.-ს“ წარმოემობოდა შპს „უ.-სთვის“ პროდუქციის მიწოდების ვალდებულება 10 დღის განმავლობაში. დადგენილია, რომ ფირმა „დ.-მ“ ვერ შეძლო 2000 წლის 20 დეკემბერზე ადრე პროდუქციის გამოგზავნა, რადგან, თავის მხრივ, შპს „უ.-მ“ 2000 წლის 8 დეკემბერს ვერ აცნობა მას საბანკო გადარიცხვის შესახებ.

თავის მხრივ, შპს „უ.-სა“ და ფირმა „დ.-ს“ შორის დადებული ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებაზე იყო დამოკიდებული შპს „უ.-ს“ და შპს „ა.-ს“ შორის 2000 წლის 24 ნოემბერს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. დადგენილია, რომ ამ ხელშეკრულების მიხედვით შპს „უ.-ს“ წარმოემზავნა ვალდებულება — ყოველი თვის 24 რიცხვამდე პროდუქციის მიწოდებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს — 160.000 აშშ დოლარის — გადახდის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს თავის თავზე მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულის გამო, მისგან შეიძლება მხოლოდ მოთხოვნილ იქნეს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზარალი არის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი ასეთი ხელშეკრულების დარღვევისა. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონიერი ადამიანის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების კონკრეტული დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი უნდა აანაზღაუროს ყოველთვის, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, როდესაც ზიანი გამოწვეულია დაზარალებულ მხარესა და მესამე პირს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებიდან, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რამდენად სავარაუდო შეიძლებოდა ყოფილიყო ამგვარი პირგასამტეხლოს არსებობა მოპასუხისათვის. თუ დაზარალებულ მხარესა და მესამე პირს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია და მისი ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ხელშეკრულებით განსაზღვრულ

კრედიტორის ძირითად ინტერესს, გაუმართლებელია ასეთი ზიანის სავარაუდოდ მიჩნევა და მოპასუხისათვის მისი ანაზღაურების დაკისრება, მით უმეტეს, რომ მოსარჩელეს აქვს კანონიერი საფუძველი, ასეთი პირგასამტეხლო გახადოს სადავო და უარი თქვას მის გადახდაზე (სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი).

დარღვეული ხელშეკრულების ჩვეულებრივ და ნორმალურ შედეგს არ შეიძლება წარმოადგენდეს კრედიტორის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, რომლის ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ძირითადი ვალდებულების აღსრულებაში კრედიტორის ყოველგვარ ინტერესს.

### **საქმე № 3კ-423-03**

**30 ივლისი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი)**

სკ-ს 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი — დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე — ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე — თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ.

მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანია მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად. მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ, მაგრამ პრევენციული ფუნქციის გადამეტებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფულადი კომპენსაციის უზომოდ გაზრდა და სიტყვის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

კომპენსაციის ოდენობა უსაშველოდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა, რის გამოც კომპენსაციის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობაც.

### **საქმე № ას-172-504-05**

**5 მაისი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: დანაშაულით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება**

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2003წ. 17 ნოემბრის განაჩენით დადგენილია რ. ჯ-ის მიერ მ. ქ-სათვის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტი. ამრიგად, სააპელაციო პალატამ სწორად გამოიყენა სსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, მტკიცებას არ საჭიროებს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004წ. 16 დეკემბრის განჩინებით კანონიერად არის დადგენილი, რომ საქმეში წარმოდგენილი ქვითრებისა და წამლების ჩამონათვალით არ დგინდება ზიანის ოდენობის ფაქტი.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა გააჩნია არა კასატორის მიერ დახარჯული თანხის, არამედ მისი მკურნალობისათვის აუცილებელი თანხის ოდენობას, რაც არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

სააპელაციო პალატამ მტკიცებულებად არ ჩათვალა მ. ქ-ს მიერ წარმოდგენილი აფთიაქის ქვითრები, წამლების ჩამონათვალი, საბანკო სესხის ქვითრები, რადგან აღნიშნულით არ დასტურდება, ფაქტი იმის შესახებ, რომ კასატორმა წამლები გამოიწერა მიღებული ტრავმის გამო. სკ-ის 414-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. კონკრეტულ შემთხვევაში კასატორის მიერ არ დასტურდება მისი მკურნალობისათვის გაწეული ან გასაწევი თანხის ოდენობა. ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის ამ თანხის ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრა. განსახილველი ნორმის თანახმად, აუცილებელია, რომ მხედველობაში იყოს მიღებული კასატორის ინტერესი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში უკავშირდება ჯანმრთელობის აღდგენას. ამდენად, სკ-ის 414-ე მუხლის პირველი წინადადების საფუძველზე, კასატორის მიერ სააპელაციო საჩივრის გასაჩივრების ნაწილში არ დასტურდება, რომ თავისი იყო წარმოდგენილი წამლების სია და მკურნალობის ხარჯების ოდენობა.

სააპელაციო პალატამ სწორად მიიჩნია უსაფუძვლოდ მ. ქ-ს მოსაზრება მისთვის სასესხო დავალიანების ანაზღაურების შესახებ, რადგან სასესხო ვალდებულებებით არ დასტურდება, რომ აღნიშნული თანხები განკუთვნილი იყო მ. ქ-ს მკურნალობისათვის. ასევე სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ აღნიშნული სესხები გამოტანილია სხვა პირების — მ. გ-ისა და ლ. ს-ის მიერ.

სკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც. ამ ნორმის თანახმად ზიანი უნდა იყოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი და, ამდენად, ანგარიშგასაწევი.

საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველად უთითებს კანონიერ ძალაში შესულ გამამტყუნებელ განაჩენს და ექსპერტიზის დასკვნას. ექსპერტიზამ დაადგინა და დასკვნაში აღნიშნულია დიაგნოზი, რომლის ერთ-ერთ პუნქტში მითითებულია ნეიროციკლარული დისტონია. სასამართლომ არ შეაფასა და არ დაადგინა, განიცადა თუ არა მ. ქ-მ ფსიქიკური ტრავმა. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით დასტურდება ფსიქიკური ტრავმის მიყენების ფაქტი, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მ. ქ-ს სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები სკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულებებიდან გამომდინარე.

## საქმე № ას-14-1466-05

9 ნოემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი)

კასატორმა საკასაციო საჩივრით სადავო გახადა მხოლოდ მოსარჩელეთა სასარგებლოდ მისთვის მორალური ზიანის დაკისრების საკითხი. საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში საფუძვლიანია. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას ამ საქმეზე, რომლითაც სარჩელი მოპასუხე მკერესელიძისათვის მორალური ზიანის 40000 ლარის დაკისრების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს. დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხისათვის მორალური ზიანის დაკისრების შესახებ დააკმაყოფილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი და მეხუთე ნაწილების შესაბამისად და მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა ზიანის ოდენობა იმ ტკივილისა და რეალური ტანჯვის გათვალისწინებით, რაც მოსარჩელეებმა განიცადეს ახლობე-



ლი ადამიანის მოკვლით ამ დანაშაულის ჩადენის სიმძიმითა და მეთოდით. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მ.კერესელიძეს არასწორად დააკისრა ლ. ტაბალუას მკვლელობისათვის მისი ოჯახის წევრების სასარგებლოდ მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არაქონებრივი (მორალური) ზიანის დეფინიციას. ეს საკითხი კანონმდებელმა დოქტრინას და სასამართლო პრაქტიკას მიანდო შესაფასებლად.

მართალია, პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო დაზარალებულის ოჯახის წევრებიც განიცდიან სულიერ და მორალურ ტკივილს, მაგრამ აღნიშნულის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს არეგულირებს სკ-ის 413-ე მუხლი; ამ ნორმის თანახმად კი თუ კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული დაზარალებულის სიცოცხლის ხელყოფის გამო მისი ახლობლებისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება.

### **საქმე № ას-1156-1176-2011**

**20 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი)**

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად განსახილველი მოსარჩელის მოთხოვნები უკავშირდება ხანძრის მიერ ქონების განადგურების მიზეზით მის ჯანმრთელობის გაუარესებას და, აქედან გამომდინარე, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას, ასევე მისი მატერიალური მდგომარეობის გაურესებას (აღებული კრედიტი), შესაბამისად, აქედან გამომდინარე, მატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია ამ ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას. კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება განპირობებულია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.

განსახილველი ნორმის ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო, და არა — ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ნორმის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაზე. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად და ა.შ., რაც ყოველად დაუშვებელია.

ამდენად, 13.05.2003 წელს საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი და ხანძრის გამო გამოწვეული ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორცაა უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალები და ამ ფაქტორების შედეგად ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის გაუარესება არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი).

**განმარტების საგანი: არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი)**

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ბ. კ-ესა და მ. კ-ეს შორის ქორწინება შეწყდა 2003 წლის 15 აპრილს, ხოლო 2003 წლის 21 ივნისს ც. შ-ა და ბ. კ-ე დაქორწინდნენ. რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ხამოვნიკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 ივლისის განაჩენით, ბ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ მკვლელობის მუქარისა და ჯანმრთელობის საშუალო სიმძიმის ზიანის განზრახ მიყენების ფაქტზე და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

უსაფუძვლოა კასატორ ბ.კ-ის არგუმენტი მორალური ზიანის დაკისრების არაკანონიერებაზე იმ დასაბუთებით, რომ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება, ყოველთვის არ იწვევს მორალური ზიანის წარმოშობას. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. ტერმინი „მორალური ზიანი“ სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული არასასურველი შედეგი ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა — ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და, შესაბამისად, არამატერიალური ზიანია. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის არგუმენტს თვით ზიანის ფაქტის არსებობის აუცილებლობის თაობაზე და განმარტავს, რომ ზიანის სამოქალაქო სასამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს წარმოადგენს: 1. თვით მორალური ზიანი; 2. ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; 3. არამართლზომიერ ქმედებასა და მორალურ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი; 4. ზიანის მიმყენებლის ბრალი. ამდენად, პასუხისმგებლობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს რა მორალური ზიანის არსებობა, როგორც ზემოთ აღნიშნა, მისი არსებობა გარეგნულად ცალსახად გამოხატული არ არის და მისი კონკრეტული მტკიცებულებით დადასტურება რთულია და ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელიც. შესაბამისად, დაზარალებულის მტკიცების ტვირთი არ უნდა დამძიმდეს. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედება გამოიწვევდა თუ არა დაზარალებულის ფსიქიკაში ნეგატიურ ცვლილებებს. საკასაციო სასამართლო იზიარებს შეგებებული სარჩელის ავტორის — ც. შ-ას მტკიცებას, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით მან, როგორც ფიზიკური, ასევე მნებრივ-ფსიქიკური ტანჯვა განიცადა, ვინაიდან მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა უარყოფით გავლენას ახდენს მის ფსიქიკაზე, მით უფრო, როდესაც ხელყოფა განზრახ და ძალის გამოყენებით ხდება. აღნიშნულის საწინააღმდეგო მოსაზრება დასაბუთებულ არგუმენტაციას საჭიროებს, რასაც ბ.კ-ის საკასაციო საჩივარი არ შეიცავს.

აქვე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დადგენილი მორალური ზიანის ოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით არ იზიარებს ც. შ-ას მოსაზრებას და განმარტავს: მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმებია: დამრღვევის ბრალის ხარისხი; ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხი; სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხი; ჯანმრთელობის მოშლის პერიოდი (ხანგრძლივია თუ მოკლევადიანი), შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი (მნიშვნელოვანი, უმნიშვნელო ან მუდმივი); ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა (მოვალე გადახდისუნარიანი, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს); მოთხოვნილი კომპენსაციის გონივრულობა და სამართლიანობა. ამ კრიტერიუმებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებით ბ.კ-ისათვის, ც.შ-ას სხეულის დაზიანების გამო, მორალური ზიანის — 5000 ლარის ოდენობით განსაზღვრა სამართლიანი და გონივრულია.

## განმარტების საგანი: დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში (სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილად ცნო შემდეგი: 2004წ. 30 აგვისტოდან ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილზე გზის სავალი ნაწილის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებდა სს „ი-ი“. ამავე წლის 31 აგვისტოს დაახლოებით 3.45 საათზე თ. ნ-შვილი მართავდა მის კუთვნილ „ვოლვო-960“ მარკის ავტომანქანას და მოძრაობდა ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილზე გზის მესამე რიგში თბილისის აეროპორტის მიმართულებით, რა დროსაც ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული ხიდიდან 200 მეტრის გავლის შემდეგ, გზის მარცხენა მხარეს შეეჯახა სარემონტო სამუშაოებისათვის დაყრილ 2 მეტრი სიმაღლის ქვა-ლორღს. აღნიშნულის შედეგად თ.ნ-შვილმა მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. ასევე დაზიანდა მისი კუთვნილი ავტომანქანა. ავტოსატრანსპორტო შემთხვევის მომენტისათვის გზის სავალი ნაწილის სარემონტო სამუშაოები დროებით შეჩერებული იყო.

სსკ-ის 407-ე მუხლის თანახმად, ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, ვინაიდან აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა რა დადგენილ გარემოებებს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხოლოდ ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში უნდა გაუქმდეს, კერძოდ:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე მხარისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა განისაზღვრა რა 18198 ლარით, სსკ-ის 415-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხის ბრალეულობის ხარისხის შესაბამისად მას დაეკისრა ზიანის 1/2-ის — 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ მოპასუხემ და მოითხოვა მისი გაუქმება ზიანის ზემოხსენებული ოდენობით დაკისრების ნაწილში. სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა რა სააპელაციო საჩივარი, აპელანტის პასუხისმგებლობა, მისი ბრალიდან გამომდინარე, განსაზღვრა მიყენებული ზიანის ოდენობის 2/3-ით. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საუარესოდ შებრუნების თაობაზე. სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნული ნორმით სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე მხოლოდ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, რაც ზღუდავს მის კომპეტენციას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასოს გადაწყვეტილების გაუსაჩივრებელი ნაწილი. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ იმსჯელა რა სააპელაციო საჩივარზე, კანონის დარღვევით გააუარესა აპელანტის მდგომარეობა, რაც ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას დაადგინა, რომ ზიანის მიყენებაში ბრალი მოპასუხესთან ერთად თანაბრად მიუძღოდა მოსარჩელესაც. სააპელაციო სასამართლომ კი სადავო ზიანში მხარეთა ბრალის ხარისხის განსაზღვრისას აპელანტ სს „ი-ის“ ბრალეულობა იმაზე მეტად მიიჩნია, ვიდრე პირველი ინსტანციის სასამართლოს ჰქონდა დადგენილი. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სს „ი-ს“ თ. ნ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს მიყენებული ზიანის 1/2-ის — 5800 ლარის გადახდა.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა მძღოლის ბრალეულობა ზიანის დადგომაში. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლო ბრალეულობის საკითხთან და-

კავშირებით ეყრდნობა სკ-ის 415-ე მუხლს, რომლის პირველი ნაწილით, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში — თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით სასამართლო ასკვნის, რომ ავტოსაგზაო შემთხვევას ხელი შეუწყო დაზარალებულ თ.ნ-შვილის მოქმედებამაც, რომელმაც დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები და არ გაითვალისწინა მეტეოროლოგიური პირობები, არ გაუწია მუდმივი კონტროლი მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის მოძრაობას და ნაცვლად 60 კმ.სთ სიჩქარისა, მოძრაობდა 70 კმ.სთ სიჩქარით. ამდენად, საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობას იურიდიულად დასაბუთებულად მიიჩნევს.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ავტოსაგზაო შემთხვევების ფაქტზე ქ.თბილისის ისანი-სამგორის შს სამმართველოს მიერ მოკვლეული მასალები იმ მოტივით, რომ ისინი მოსარჩელის სასარგებლოდ ცალმხრივად არის ნაწარმოები. საკასაციო სასამართლო კასატორის ამ არგუმენტს ვერ გაიზიარებს, ვინაიდან ამავე მოკვლევით მასალებით დადგენილია თ. ნ-შვილის მიერ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დარღვევის ფაქტი. ამასთან, კასატორის ეს მოსაზრება წინააღმდეგობრივიცაა, ვინაიდან საკასაციო საჩივრით სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის ერთ-ერთ არგუმენტად და მტკიცებულებად იგი მიუთითებს ამავე მასალებში არსებულ პატრულ ლ.გ-შვილის განმარტებაზე. საგულისხმოა, რომ ამავე პატრულის განმარტებით, „ღამე იყო წვიმიანი. განათება იყო არასაკმარისი ხილვადობის და სარემონტო სამუშაოების აღმნიშვნელი ნიშნები „შესვლა აკრძალულია“ და „დაბრკოლების შემოვლა მარჯვენა მხრიდან“ იყო გაუნათებელი“.

## საქმე № ას-962-1266-07

20 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში (სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის მეორე ნაწილი)

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სადავოა, თ.ში, ტ.ს ქ. !..-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კედლის ძირში ვ. რ-ძის მხრიდან მიწის გამოღებასა და ა. ჯ-შვილის სახლის კედლების დეფორმაციას შორის არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი, რაც სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელი პირობაა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ადგილზე დათვალიერებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2006 წლის 7 აგვისტოს ექსპერტის დასკვნის ერთობლიობაში შეფასების შედეგად გამოტანილ დასკვნას თ.ში, ტ.ს ქ. !..-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კედლის ძირში ვ. რ-ძის მიერ მოთხრილი მიწის შედეგად ფუნდამენტის გაშიშვლებასა და კედლების დეფორმაციას შორის ნაწილობრივი მიზეზობრივი კავშირის არსებობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ ადგილზე დათვალიერების შედეგად გამორკვეულია, რომ ა. ჯ-შვილისა და ვ. რ-ძის საცხოვრებელ სახლებს ჰყოფთ საერთო კედელი, რომელიც ა. ჯ-შვილი სახლისათვის მზიდი კედელია. აღნიშნული მზიდი კედელი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული, კედლის მთელ სიგრძეზე და ჭერზე აღინიშნება დაზიანებები და ბზარები, საყრდენი კედელი დაახლოებით 5-10 სანტიმეტრით დაცილებულია ჭერს, ამასთან, ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლის სხვა ოთახებს აღინიშნება გაცილებით მცირე ბზარები, ვიდრე მზიდ კედელს. 20.. წ. . აგვისტოს ექსპერტის დასკვნის თანახმად, ქ. თ.ში, ტ.ს ქ. !..-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კედლის ძირში ვ. რ-ძის მიერ მოთხრილი მიწის შედეგად ფუნდამენტის გაშიშვლებასა და კედლების დეფორმაციას შორის არსებობს ნაწილობრივი მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორ ვ. რ-ის მსჯელობას იმის შესახებ, რომ მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ უნდა დაეკისროს, რამდენადაც ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლის მარჯვენა განაპირა კედელს მის მიერ მიწის მოთხრამდეც გააჩნდა დაზიანებები, სახლის ყველა კედელი დაზიანებულია, ექსპერტის დასკვნის თა.ხმად, სახლი არ არის აშენებული სეისმურ რაიონებში მშენებლობის დროს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად. როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლოს მიერ ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგენილია, რომ ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლის კედელი განსაკუთრებით მწვავედ დაზიანებულია სწორედ ვ. რ-ის მომიჯნავე მხარეს, ხოლო აღნიშნული სახლის სხვა კედლებზე აღინიშნება გაცილებით მცირე ბზარები. ის გარემოება, რომ საქმეზე ჩატარებულმა საინჟინრო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ დაადასტურა ა. ჯ-შვილის სახლის მშენებლობისას ანტისეისმური ღონისძიებების გაუთვალისწინებლობა, არ გამორიცხავს, თავის მხრივ, მოპასუხის მიერ მოთხრილი მიწის შედეგად ფუნდამენტის გაშიშვლებასა და კედლების დეფორმაციას შორის ნაწილობრივი მიზეზობრივი კავშირის არსებობას, როგორც ეს საქმეზე ჩატარებულმა ექსპერტიზამაც დაადასტურა. საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სადავო შემთხვევაში ა. ჯ-შვილის საცხოვრებელ სახლზე გამოწვეული ზიანი წარმოადგენს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ქმედების ერთობლივ შედეგს. იმავე მოტივით საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორ ა. ჯ-შვილის მოთხოვნას სახლზე მიყენებული მთელი ზიანის ვ. რ-ისათვის დაკისრების შესახებ. 20.. წ. . აგვისტოს ექსპერტის დასკვნის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ ქ. თ.ში, ტს ქ. 1..-ში მდებარე ა. ჯ-შვილის საცხოვრებელი სახლი არ არის აშენებული სეისმურ რაიონებში მშენებლობის დროს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად. გარდა ამისა, ..... სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედევობის ინსტიტუტის 20.. წ. . აგვისტოს დასკვნის მიხედვით, ზედაპირული წყლების ფუნდამენტში ჩადინების ასაცილებლად საჭიროა გრძივი კედლის ქვეშ საძირკველის გამაგრება ბეტონის შედგმით და საძირკველის გაძლიერების შემდეგ მის მთელ სიგრძეზე ბეტონის სარინელის მოწყობა, წარსულში სამუშაოები განხორციელდა მითითებული გრძივი კედლის ქვეშ საძირკველის გასამაგრებლად მის პარალელურად ბეტონის ჩასხმით ძირში შედგმის გარეშე. აღნიშნული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ა. ჯ-შვილს, როგორც დაზარალებულს, თავის მხრივ, შეეძლო, შეემცირებინა მიყენებული ზიანი, რაც არ განუხორციელებია. სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის მიხედვით, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის აზღაურების ვალდებულება და აზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში თავიდან აცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.

### 3.6. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

საქმე № 3კ-422-03

12 ნოემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პირგასამტეხლო (სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული დოკუმენტების გათვალისწინებით 1998წ. ნოემბერ-დეკემბერში მოპასუხის მიმართ 170426 ლარის დავალიანების არსებობა ეჭვს არ იწვევს. ამის გასაბათილებლად მოპასუხემ ვერც სასამართლო პროცესზე და ვერც საკასაციო საჩივარში რაიმე მტკიცებულებებზე ვერ მიუთითა.

ასევე არასწორია კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მას არ უნდა დაეკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ვინაიდან ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსარჩელე უფლებამოსილი იყო შეეწყვიტა ელექტროენერჯის გადაცემა, მაგრამ, ვინაიდან იგი აგრძე-

ლებდა ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელე დაეთანხმა ხელშეკრულების ნაწილ-ნაწილ შესრულებას, ამიტომ პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნა დაუშვებელია. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორისეულ მიითებებს პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხის დაკისრების შეუძლებლობის შესახებ.

სკ-ს 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებას არ ასრულებს დადგენილ დროში.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისა და არაჯეროვნად შესრულებისათვის დაწესებული იყო პირგასამტეხლო, მოსარჩელე უფლებამოსილია მოვალეს მოსთხოვოს, როგორც ვალდებულების შესრულება, ანუ მომსახურების ღირებულების 170426 ლარის გადახდა, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდაც.

პირგასამტეხლოს გადახდაზე უარის თქმის საფუძველი არ შეიძლება გახდეს ის გარემოება, რომ მოსარჩელე, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე არაჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებას, არ იხდიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების ღირებულებას, არ შეწყვიტა ხელშეკრულება და აგრძელებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული გარემოება არ შეიძლება დაედოს საფუძველად პირგასამტეხლოს გადახდაზე უარის თქმას, რადგან სკ-ს 355-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლა ცალმხრივი ნების გამოვლენაა. ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში კრედიტორს, მართალია, უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან, მაგრამ ეს მისი უფლებაა და არა მოვალეობა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო არ გასულიყო ხელშეკრულებიდან, მიუხედავად იმისა, რომ მოვალე არაჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებას.

სკ-ს 361-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ ნორმის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებული იყო შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების ღირებულების დათქმულ დროში გადახდის შესახებ, ხოლო ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის გადაეხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

სკ-ს 417-ე მუხლში გათვალისწინებული პირგასამტეხლო მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებაა. ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას, კერძოდ, ვადის გადაცილებისას, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს, როგორც ვალდებულების შესრულება, ისე პირგასამტეხლოს გადახდევინება. პირგასამტეხლო შესრულების აღმატებული მოთხოვნაა, იგი დამოუკიდებელია ზიანის ანაზღაურებისაგან. თუ კრედიტორს პირგასამტეხლოსთან ერთად დაყენებული აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც, არ შეიძლება ორივე მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან პირგასამტეხლო თავისთავად თვითონ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მინიმალურ თანხას. ამ შემთხვევაში კრედიტორს თვითონ შეუძლია გამოიყენოს უპირატესი ინტერესის უფლება, ანუ აირჩიოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თუ პირგასამტეხლოს შესახებ. დაუშვებელია ერთდროულად პირგასამტეხლოსა და მთლიანი ზიანის ანაზღაურების დაკისრება. ეს რომ ასე მოხდეს ეს იქნება საჯარიმო სანქცია, რომელიც უკიდურესად დაამძიმებდა მოვალის მდგომარეობას და გამოიწვევდა კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრებას.

**საქმე № ას-1015-1287-09**

**4 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პირგასამტეხლო (სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელის უარსაყოფად მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში კო-

დექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. სასამართლოს აზრით აღნიშნულის გამო კრედიტორი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მათ შორის პირგასამტეხლოს გადახდაც, რადგან სასამართლოს აზრით, ნორმის არსიდან გამომდინარე უკვე შესრულებულიც მხარეს უბრუნდება. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორადაა განმარტებული მითითებული ნორმა. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტეხლო არის მოთხოვნის უბრუნველყოფის დამატებითი საშუალება, რომლის გადახდევინებაც ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარე მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას ვერ ასრულებს. პირგასამტეხლო წარმოადგენს ერთგვარ სანქციას, სასჯელს მხარისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ამდენად, იგი არ შეიძლება გაიგივდეს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლში მითითებულ შესრულებასთან. მოცემულ ნორმაში იგულისხმება მხარის მიერ უშუალოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა და არა გარიგების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს სახით დამატებითი თანხების გადახდევინება. იმ შემთხვევაში თუ მხარე ნებაყოფლობით გადაიხდიდა პირგასამტეხლოს, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის საფუძველზე შეუძლებელი იქნებოდა მისი უკან დაბრუნება.

### საქმე № 3კ-486-03

20 ივნისი, 2003 წელი, ქ. თბილისი

#### განმარტების საგანი: პირგასამტეხლოს გადახდის ვადა

პირგასამტეხლოს ოდენობა განსაზღვრავს კრედიტორის რისკის ხარისხს. რაც უფრო მკაცრია ვალდებულების შესრულების უბრუნველყოფის ღონისძიება, მით უფრო ნაკლებია კრედიტორის რისკის ხარისხი. ხშირ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა განაპირობებს ხელშეკრულების დადებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ 0,5 %-იანი პირგასამტეხლოს შემცირება 0,1 %-მდე მხოლოდ საქმის განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას უნდა მოხდეს.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს მხარეთა ქონებრივ მდგომარეობას და მიაჩნია, რომ 0,5 % არის შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო და იგი უნდა შემცირდეს 0,3%-მდე.

სკ-ს 52-ე მუხლის შესაბამისად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მართოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, დაწესებულია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ნ თვის გასვლის შემდეგ თანხის მსესხებლის მიერ დაუბრუნებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლო — 0,5%. პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეები გულისხმობენ მსესხებლის მიერ თანხის მთლიანად დაუბრუნებლობას და არა თანხის ნაწილობრივ დაბრუნებას. შესაბამისად, თუ მოპასუხემ ნაწილობრივ არ შეასრულა პირობა, მან პირგასამტეხლო უნდა გადაიხადოს თანხის იმ ოდენობიდან გამომდინარე, რომლითაც მან კრედიტორს პირობა დაურღვია. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა მოხდეს სესხის დაუბრუნებელი თანხიდან — 2600 აშშ დოლარიდან.

კრედიტორს პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება აქვს მანამ, სანამ იგი არ დაიკმაყოფილებს მის მოთხოვნას. მოვალემ უნდა გაითვალისწინოს, რომ შესაძლოა, საქმის სასამართლო განხილვა რამდენიმე სასამართლო ინსტანციაში გაგრძელდეს და გახანგრძლივდეს, რაც გამოიწვევს ვალის გაზრდას. ასეთ შემთხვევაში მოვალე თავის თავზე იღებს რისკს. მას უფლება აქვს, საქმის განხილვის დამთავრებამდე ცნოს სარჩელი და თანხა გადაიხადოს. ამიტომ ვ. ფ-ის მითითება, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა განხორციელდეს სარჩელის შეტანამდე, საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია.

**საქმე № ას-1326-1346-2011**

**17 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პირგასამტეხლოს გადახდა (სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში. კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ნათელია, რომ პირგასამტეხლოს დაკისრება ყველა შემთხვევაში დამოკიდებული არ არის ხელშეკრულებიდან გასვლაზე. თუ პირგასამტეხლო გათვალისწინებულია შესრულების ვადის დარღვევისათვის, კრედიტორს ყველა შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს მისი დაკისრება, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა ვადაგადაცილებულ შესრულებას. მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მუხლი 7.1.-ის მიხედვით, პირგასამტეხლო სწორედ ვადის გადაცილებისთვისაა გათვალისწინებული, აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მითითება აქცესორულ უფლებებზე უსაფუძვლოა.

**საქმე № ას-445-1140-03**

**17 თებერვალი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ბე (სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხეზე გადაცემული თანხა წარმოადგენს ბეს სათანადო ფორმის დაცვის გარეშე, რადგან სკ-ის 421-ე მუხლის შესაბამისად, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.

აქედან გამომდინარე ნასყიდობის დროს თანხის ბეს სახით გადაცემის შემთხვევაში დასტურდება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი.

ამავე კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

სკ-ის 323-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

ამავე კოდექსის 328-ე მუხლის შესაბამისად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.

მოცემულ შემთხვევაში რადგან მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება სახლის ნასყიდობის შესახებ, ამ ხელშეკრულების დადების დამადასტურებელ უზრუნველყოფის საშუალება — ბეს სახით გადახდილი თანხა (რომელსაც საგადასხდელო ფუნქციაც აკისრია სკ-ის 416-ე და 422-ე მუხლები) იმ ფორმის დაცვით უნდა გაფორმდეს, როგორც ფორმასაც ითვალისწინებს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.

სკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს, ამ ხელშეკრულების დამადასტურებლად ბედ თანხის გადაცემულ ამავე წესით უნდა გაფორმდეს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დამადასტურებლად გადახდილი ბე სანოტარო წესით არ დამოწმებულა, იგი სათანადო ფორმის დაუცველობის გამო ბათილია.



საქმე № ას-379-352-2010

19 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოვალის გარანტია (სამოქალაქო კოდექსის 424-ე მუხლი)

მოვალის გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებაა. იგი, როგორც სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები, ვალდებულების შესრულებას ემსახურება, თუმცა გარკვეული განსხვავებებით. ზოგადად მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების დანიშნულება შესრულების გარანტიაა და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი (გირავნობა, იპოთეკა, საბანკო გარანტია, თავდებობა) იკავებენ შესრულების ადგილს — ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ვალდებულების შესრულება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება. აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი — ბე, პირგასამტეხლო და მოვალის გარანტია, რომელთა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებას განსხვავებული დატვირთვა აქვს. უზრუნველყოფის საშუალებათა ეს კატეგორია ვალდებულების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს და იგი ემსახურება მოვალის „იძულებას“, დროულად შეასრულოს ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკისრება მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება. სწორედ აღნიშნულითაა განპირობებული მათი სახელწოდება უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებად.

სამოქალაქო კოდექსის 424-ე მუხლის მიხედვით, მოვალის გარანტიად ითვლება, როცა მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოვალის გარანტია მოთხოვნის პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელიც მოვალეს ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამატებით, კონკრეტულად განსაზღვრული და მხარეთა შეთანხმებული მოქმედების შესრულებას აკისრებს.

### 3.7. ვალდებულების შეწყვეტა

საქმე № ას-267-567-04

22 ივლისი, 2004 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით (სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები, რომ 1998წ. 15 აპრილს ნ. ლ.-სა და თ. მ.-ს შორის სანოტარო წესით გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ნ. ლ.-მ ასესხა თ. მ.-ს 22.000 აშშ დოლარი 1998წ. 7 თებერვალს 1998წ. 25 მაისამდე. დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში თ. მ.-მა დაადასტურა ამ ხელშეკრულების ნამდვილობა.

1998წ. 20 მაისს თ. მ.-სა და ლ. ლ.-ს შორის გაფორმდა თბილისში, ... მდებარე თ. მ.-ის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. 1998წ. 22 აგვისტოს ნ. ლ.-მ თბილისში, ... მდებარე ბინა სანოტარო წესით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიჰყიდა შ. მ.-ს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა თ.მ.-სა და ლ. ლ.-ს შორის დადებული გარიგება მოჩვენებით დადებულ გარიგებად სკ-ის 56-ე მუხლის თანახმად, რადგან საქმის მასალების ანალიზით დასტურდება, რომ მხარეთა შორის 1998წ. 20 მაისს დაიდო არა იპოთეკის ხელშეკრულება არამედ ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც შესრულდა სესხის ხელშეკრულებით თ. მ.-ის მიერ ნაკისრი ვალდებულება.

სკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროს თ. მ.-მა ვალდებულება შეასრულა არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გვაროვნული

ნივთით ფულადი თანხით, არამედ სხვა შესრულებით, კერძოდ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთით — საცხოვრებელი ბინით.

სკ-ის 379-ე მუხლის მიხედვით კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. აღნიშნული ნორმა არ ავალდებულებს კრედიტორს მიიღოს სხვა შესრულება თუ ეს მას არ სურს, მაგრამ თუ იგი თანახმაა, არ უკრძალავს მიიღოს იგი.

სკ-ის 428-ე მუხლის შესაბამისად ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად იღებს სხვა შესრულებას. მოცემულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით მხარეთა შორის შეწყდა სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება.

პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ თ. მ.-სა და ნ. ლ.-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა მათ შორის სესხის ხელშეკრულება, ვინაიდან მითითებული მხარეებს შორის სესხის ხელშეკრულება სანოტარო წესით გაფორმდა და მისი დაფარვა მხარეებს არ უცდიათ.

### **საქმე № ას-299-976-03**

**21 ნოემბერი 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება (სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სსკ-ს 102-ე მუხლის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომელიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სკ-ს 625-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

სკ სასესიო ურთიერთობაში არსებული იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დასადგენად აუცილებლად მიიჩნევა წერილობითი მტკიცებულებების არსებობას. აღნიშნული გარემოებების დასადგენად მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების გამოყენებას სამოქალაქო კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევა. სკ-ს 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მოთიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სკ-ს და სსკ-ს ქმნიან იმ ნორმების ერთობლიობას, რომელთა შესაბამისად, განისაზღვრება სასესიო ურთიერთობებში ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მნიშვნელოვანი მტკიცებულებების სახეები.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, აუდიო ჩანაწერი, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მტკიცებულებად, რომლის მეშვეობით, მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება რომელიმე გარემოების დადგენა.

### **საქმე № ას-331-734-06**

**8 იანვარი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი (სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში სასარჩილო მოთხოვნას წარმოადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის მართლზომიერების აღიარება და აქედან გამომდინარე, ხელშეკრულებით გადაცემული ქონების უკან დაბრუნება, ანუ სასარჩილო მოთხოვნა ემყარება ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ საფუძველს. სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. როგორც აღნიშნული

ნორმის ანალიზი ცხადყოფს, მოცემული მუხლის გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ სახეზეა 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები. აღნიშნული ნორმა მხარეს, რომელიც ასრულებს ხელშეკრულებას, ანიჭებს უფლებას ხელშეკრულების დამრღვევი მხარის მიმართ. კერძოდ, კი მას ენიჭება უფლებამოსილება უარი თქვას ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ნორმის გამოყენებისას აუცილებელია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება იყოს ძალაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მხარე, რომელიც უარს ამბობს ხელშეკრულებაზე უპირველესად უნდა დაადასტუროს, რომ მხარეთა შორის გარეგნობა უარის თქმის პერიოდისათვის მოქმედებაშია. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ხელშეკრულება მხარეთა შორის დადებულია 2001 წლის 5 სექტემბერს, რომლის თანახმად თანხის გადაცემა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების დადების დღესვე. მხარემ კი ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნა დააყენა 2003 წლის დეკემბერში – 2 წლის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი, იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულება მოქმედებდა ამ დროისათვის, შეადგენს მოთხოვნის მქონე პირის მტკიცების ტვირთს, ანუ ის გარემოება, რომ ვალდებულია ხელშეკრულების შესაბამისად დაუყოვნებლივ არ შესრულებულა 2003 წლამდე, უნდა ამტკიცოს თ. მ-მ. ასეთი გარემოება კი საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება. რაც შეეხება მტკიცებულებათა შეფასების საკითხს, იგი შეფასებულია სასამართლოს მიერ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად მოსამართლეთა მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე და საკასაციო სასამართლოც იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება 2003 წლისათვის უკვე შეწყვეტილი იყო. ასეთ დროს კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დაუშვებელია ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმა.

**საქმე № ას-47-382-09**

**5 მაისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულების მიღება (სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მეორე ნაწილი)**

საკასაციო სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, რომ მითითებული მტკიცებულების შინაარსი უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის 2002 წლის 11 ივლისის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება მოვალის მიერ შესრულებულია. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის ძალითაც ვალის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, გულისხმობს, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია. ამგვარი სახის დოკუმენტი უზრუნველყოფს მოვალის მიერ ვალის გადახდის დამტკიცებას, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ვალდებულების შესრულების საექვოობისას, შესრულების მტკიცების ტვირთი მოვალეს ეკისრება და მას ამ ვალდებულების რეალიზაცია შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტით შეუძლია. ამასთან, ფულადი ვალდებულება, უმეტესწილად, ძირითად ვალთან ერთად მოიცავს პროცენტებსაც და, შესაბამისად, ვალდებულების ჯეროვანი შესრულება შეთანხმებული სარგებლის გადახდასაც გულისხმობს. ვალდებულების შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისას კრედიტორი უფლებამოსილია, მიუთითოს, მთლიანად შესრულდა თუ არა ვალდებულება (გადახდილია თუ არა ძირითადი თანხა და სარგებელი). აღნიშნულს ადასტურებს 429-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის ძალითაც კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი ადგენს ვალდებულების მთლიანად შეწყვეტის პრეზუმფციას (429-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რაც მომდინარეობს პროცენტზე უფლების აქცესორული ბუნებიდან, ანუ ამგვარი უფლება არსებობს მხოლოდ ძირითად უფლებასთან ერთად და ძირითადი ვალდებულების შეწყვეტისას იგარაუდება, რომ აქცესორული ვალდებულებაც შეწყვეტილია.

**საქმე № ას-1200-1058-2010**

**5 მაისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულების დადასტურება (სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 672-ე მუხლის თანახმად, გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნადების სახით. მითითებული მტკიცებულება ადასტურებს, რომ ტვირთი მიეწოდა კასატორს (აღნიშნული ფაქტი სადავოდ მხარეს არ გაუხდია). გამყიდველის მტკიცების ტვირთი მხოლოდ ამ გარემოების დადასტურებით შემოიფარგლება. რაც შეეხება მყიდველს ანუ ამ პროდუქციის მიმღებს წარმოეშობა ვალდებულება დაადასტუროს, რომ მან მიღებული პროდუქციის საფასური გადაიხადა. ასეთ შემთხვევაში მან უნდა წარმოადგინოს გასავლის ორდერი, შედარების აქტი ან სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტი, რომელსაც კრედიტორი მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღებისას გასცემს ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად. შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სხვა მტკიცებულებაც, მაგრამ კასატორის მიერ თანხის გადახდის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება წარდგენილი არ არის. ზედნადები კი არ შეიცავს ინფორმაციას მიღებული საქონლის ღირებულების გადახდის თაობაზე. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე ანგარიშსწორება შეიძლება განპირობებული იყოს მხარეთა შორის არსებული ნდობის მაღალი ხარისხით. ასეთ გარემოებაზე არ უთითებს მხარე. არც მიწოდების ფაქტს უარყოფს. ასეთ შემთხვევაში კი შეუძლებელია გამყიდველს არ აუნაზღაურდეს მიწოდებული საქონლის ღირებულება, რაც მართებულად დაეკისრა კიდეც ი.მ „ჯ. ჯ-ს“.

**საქმე № ას-858-807-2010**

**16 მაისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულების დადასტურება (სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამავე კოდექსის 430-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტორის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი შესრულების თაობაზე უნდა შეიცავდეს მონაცემებს ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, შესრულების დროსა და ადგილს.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კანონმდებელი ვალდებულების (მოვალის მიერ ვალის გადახდა) მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტად განიხილავს კრედიტორის მიერ შედგენილ დოკუმენტს. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (სალაროს გასავლის ორდერები) შედგენილია არა კრედიტორის, არამედ მოვალის მიერ და, ამასთან, მათზე ხელი კრედიტორს არ მოუწერია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მითითებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მოპასუხის მიერ ნასესხები თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნების ფაქტი. ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად მოპასუხე უთითებს ასევე მოწმეთა ჩვენებებზე, რომლებიც საკასაციო სასამართლოს მოსამრებით, ვერ მიიჩნევა სესხის დაბრუნების საკმარის მტკიცებულებებად, ვინაიდან სესხის გეპირი ხელშეკრულების დროს, მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით (სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი).

**საქმე № ას-1363-1381-2011**

**31 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულების დადასტურება (სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი)**

განსახილველ შემთხვევაში, სადავოს წარმოადგენს რა მოძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადაცემის ნამდვილობა, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა ფულადი ვალ-

დებულების შესრულების მიმართ მხოლოდ რიგ შემთხვევაში ითვალისწინებს მტკიცების განსხვავებულ სტანდარტს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო ფაქტობრივი გარემოების დადასტურება შესაძლებელია ასევე ემყარებოდეს მოწმეთა ჩვენებასაც, თუმცა, მოწმის ჩვენება, როგორც მტკიცებულების ნამდვილობა, არაა აბსოლუტური ხასიათის და მხოლოდ აღნიშნული უტყუარად არ უნდა იქნას გაზიარებული (მოწმე გადმოსცემს ამა თუ იმ ვითარებაში შეტყობილი ფაქტის მის მიერ ობიექტურად აღქმულ რეალობას). თავის მხრივ, მოწმის ჩვენების ნამდვილობა, მსგავსად მტკიცების ტვირთისა, შედავების შემთხვევაში თუ არ იქნა გამყარებული სხვა მტკიცებულებითაც, არ შეიძლება გახდეს სადავო გარემოების უტყუარად მიჩნევის წინაპირობა. თავის მხრივ, მართლმსაჯულების მიზანი მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზის, მათი ობიექტური და სრულყოფილი შესწავლის შედეგად ჭეშმარიტების უტყუარად გამორკვევაა იმგვარად, რომ დადგენილი გარემოება არ ემყარებოდეს მხოლოდ ვარაუდს, არამედ განპირობებული იყოს საქმის მასალების ერთობლივი ანალიზით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა და მხარეთა შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა მოწმის ჩვენებასთან ერთად ალბათობის მაღალი ხარისხით განაპირობებს ნასყიდობის საფასურის გადაცემას. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტა კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით. ამავე კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ვალდებულების შესრულების თაობაზე დავისას, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალი გადაიხადა და ამით ვალდებულება შეწყდა. სამოქალაქო კოდექსი ანგარიშს უწევს მოვალის მდგომარეობას და მას უფლებას ანიჭებს კრედიტორისაგან შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი მოითხოვოს. იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ სადავო გარიგება ორმხრივია და თითოეული მხარე მეორე მხარის მიმართ კრედიტორიცაა და მოვალეც სუბიექტთა უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით, აღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება გარიგების ორივე მხარის მიმართ, ამასთან, რადგანაც ნივთის გადაცემის ფაქტი უდავოა, საკასაციო პალატა თვლის, რომ თანხის გადახდის მტკიცების ტვირთი, მითითებული ნორმის შესაბამისად, მთლიანად მოპასუხეს უნდა დაეკისროს.

**საქმე № ას-1541-1547-2011**

**19 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულების დადასტურება (სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი)**

სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მოპასუხემ ეს თანხა გადაუხადა მოსარჩელეს. სასამართლო იყენებს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლს და თვლის, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულებით შეწყვეტილია მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა. სასამართლო თანხის გადაცემის ვალდებულებას შესრულებულად მოწმის ჩვენების საფუძველზე მიიჩნევს და თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მითითებული მტკიცებულება საკმარისია ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადასტურებლად — საკასაციო პალატა ამ მოსაზრებას არ იზიარებს. სამოქალაქო კოდექსის 429-431-ე მუხლებში საუბარია ვალდებულების შესრულების მიღების ფორმებზე. 429-ე მუხლის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს მეტად ცალსახა დამოკიდებულება — იგი ავალდებულებს მო-

ვალის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ასეთი დოკუმენტი, თუმცა კანონი ასეთივე მომთხოვნი არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია, არ გამოითხოვოს ასეთი საბუთი კრედიტორისაგან. ბუნებრივია, კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. მას არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით. უფრო მეტიც, არაკეთილსინდისიერ კრედიტორს შეუძლია, ასეთი დოკუმენტის გაუცემლობის შემთხვევაში განმეორებით მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. სწორედ, ამიტომ კანონი მას ავალდებულებს სათანადო დოკუმენტის გაცემას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონის თანახმად, შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა დამოკიდებულია მოვალის სურვილზე. არსებობს უამრავი ფაქტორი, რამაც შესაძლოა განაპირობოს მოვალის მიერ ამ საბუთის მიუღებლობა, მაგალითად, მისი წინდაუხედობა, პარტნიორის მიმართ გადამეტებული ნდობის არსებობა და ა.შ. საბოლოო ჯამში ეს ფაქტორები უკავშირდება მხარის რისკს და მთლიანად განაპირობებს მისი პასუხისმგებლობის არსებობა-არარსებობის ფაქტს. იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო კოდექსის 431-ე მუხლზეც, რომლის თანახმად მოვალეს შესრულების შესახებ დოკუმენტთან ერთად შეუძლია მოითხოვოს სავალი დოკუმენტის დაბრუნება ან გაუქმება. ასეთი დოკუმენტის გაცემის შეუძლებლობის შემთხვევაში კი, მოვალეს უფლება აქვს, მოითხოვოს ოფიციალურად დამოწმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია.

ყველა მითითებულ შემთხვევაში კანონი მოვალეს აღჭურავს მთელი რიგი უფლებებით, რათა შესძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოყენება კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს მის რისკს და შესაძლებელს ხდის ზემოთ მითითებული გარემოების დადასტურებას. ამრიგად, პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ ურთიერთობასთან მიმართებაში მხოლოდ მოწმის ჩვენების საფუძველზე შეუძლებელია ვალდებულების შესრულების ფაქტის დადასტურება, მაგრამ ეს დასკვნა გამომდინარეობს არა 624-ე მუხლის შინაარსიდან, არამედ ზემოთ მითითებული ნორმებიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტს, რის გამოც მას უნდა დაეკისროს აღნიშნული თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

**საქმე № ას-915-1222-07**

**27 მარტი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა (სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი)**

პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ვალდებულების შესაწყვეტად აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა. კერძოდ, გაქვითვა შესაძლებელია, როცა მხარეებს ერთმანეთის მიმართ აკისრიათ ვალდებულების შესრულება, ე.ი. არსებობს საპასუხო მოთხოვნები. ამასთანავე გაქვითვის მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის ნამდვილობის პირობებს, რათა მისი განხორციელება რეალურად იყოს შესაძლებელი. მოთხოვნა უნდა იყოს უდავო. სააპელაციო სასამართლოს ასეთი სახის მოსაზრება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის დანაწესიდან. აღნიშნული ნორმის თანახმად ურთიერთმოთხოვნათა შეწყვეტა გაქვითვით დასაშვებია, თუ დადგენილია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა, შესაძლოა ვადა არც იყოს დადგენილი, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უნდა უჭერდეს გაქვითვას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ მხარეთა შორის ასეთი სახის მოთხოვნები იყოს უდავო.

**განმარტების საგანი: ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა (სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისას უნდა არსებობდეს ორი აუცილებელი წინაპირობა: ორივე პირი ერთმანეთისათვის ერთდროულად კრედიტორიც უნდა იყოს და მოვალეც, ე.ი. ორივეს ერთმანეთის მიმართ უნდა ეკისრებოდეს ვალდებულების შესრულება და ასევე დამდგარი უნდა იყოს ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. აღნიშნული ნორმის თანახმად, ეს ორი წინაპირობა უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ განხორციელდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულების გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ დავაზე არ ვრცელდება ეს უკანასკნელი ნორმის დანაწესი (442-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რადგან მოპასუხე მხარს არ უჭერს გაქვითვას, ე.ი. არ არსებობს მისი ნება შესრულების ვადის დადგომამდე ურთიერთმოთხოვნების გაქვითვის შესახებ, რაც აუცილებელი პირობაა ამ ნორმით ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

**განმარტების საგანი: ვალის პატიება (სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლომ, ასევე, არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლი. ამ მუხლის შესაბამისად „ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას“. ვალის პატიება არ შეიძლება იყოს ცალმხრივი აქტი. მისი შეწყვეტისათვის აუცილებელია ორივე მხარის თანხმობა. თუ კრედიტორი ასეთ ხელშეკრულებაში მოთხოვნის უფლებას იტოვებს, რასაც ფაქტობრივად, 1998 წლის 22 ივლისის ხელშეკრულებაში ჰქონდა ადგილი, მაშინ ვალის პატიებას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

პალატას მიაჩნია, რომ მხარეებს შორის 1998 წლის 22 ივლისის გაფორმებული შეთანხმებით ჩამოყალიბდა უბრალო პოტესტანტური, პოზიტიური, პირობითი გარიგება ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესებისა და მისი შესრულების შემთხვევაში ვალის პატიების შესახებ, რადგანაც მხარეებს შორის 1998 წლის 22 ივლისის დადებული შეთანხმებით, მოვალე თუ 2 კვირის ვადაში კრედიტორს გადაუხდიდა 20000 ლარს, ვალი მთლიანად დაფარულად ჩაითვლებოდა. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 90-ე, 92-ე, 93-ე 405-ე და 448-ე მუხლების ერთობლიობით.

სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულების ვალდებულებებს, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

მოცემულ შემთხვევაში კრედიტორმა მოვალეს ხელშეკრულების შესრულებისათვის ვალის ნაწილის პატიების უბრალო პოტესტანტური, პოზიტიური პირობითი განუსაზღვრა ორკვირიანი დამატებითი ვადა და ამ ვადაში მოვალემ ვერ შეასრულა ვალდებულება, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ ვალდებულების შესრულებამ კრედიტორისათვის ინტერესი დაკარგა, მას წარმოეშვა უფლება უარი ეთქვა ამ ხელშეკრულებაზე და მოეთხოვა ვალდებულების შესრულება ძირითადი ხელშეკრულებების შესაბამისად, რასაც ფაქტობრივ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

საქმე № 3კ/1069-01

21 დეკემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ვალის პატიება (სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლის თანახმად ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. ვალის პატიება ხდება მხარეთა შორის შეთანხმებით. ამ შემთხვევაში არ ხდება კრედიტორის დაკმაყოფილება, მაგრამ კრედიტორი უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე.

მოცემულ საქმეში მხარეებმა 1998 წლის 31 აგვისტოს დაადეს № 110 შეთანხმება, რომლის მე-3 პუნქტის თანახმად, ითვალისწინებს რა მოვალის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, მევალე თანახმაა უარი თქვას 1997 წლის 16 მაისის '51 ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ საურავზე და დაკმაყოფილდეს მხოლოდ ძირითადი თანხით — 31 818 ლარით.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ შეთანხმების აღნიშნული პუნქტი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის პატიებას, რომელიც იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. მოსარჩელემ სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულებით უარი თქვა საურავების მოთხოვნაზე. ამასთან, საურავებზე უარის თქმა ხელშეკრულების მიხედვით რაიმე პირობას არ უკავშირდება.

### **3.8. კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში**

საქმე № 3კ-991-02

1 ნოემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები (სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლი)**

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2001წ. 21 მაისს სს „...“-ის“ ტიათურის ფილიალში აღმოჩნდა დაზარალებული 10000 ლარისა და 3000 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა სალაროდან გაიტანა ... გამგეც-ემ, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ იგი მოვალე არ იყო, დანაკლისი თანხის დაფარვისა, რადგან მას არ ჰქონდა მიბარებული თანხა და იგი სოლიდარულ მოვალეს არ წარმოადგენს მთავარ ბუღალტერთან და ... გამგესთან ერთად. პალატა თვლის, რომ კასატორი ბ-ე იყო სრული მატერიალური პასუხისმგებლობის მქონე პირი, რაც დასტურდება მოპასუხე ორგანიზაციისა და მას შორის გაფორმებული შრომითი კონტრაქტით. აღნიშნული კონტრაქტის 5.4.5. პუნქტის თანახმად, იგი მოვალეა, მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით აიღოს თავის თავზე სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მასზე მინდობილი ფასეულობის შენახვის უზრუნველყოფისათვის.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იგი არ არის სოლიდარული მოვალე, რადგან ბანკთან გაფორმებული არ ჰქონდა სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულება. სკ-ს 464-ე მუხლის თანახმად სოლიდარული ვალდებულება წარმოიშვება ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. მოცემულ შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელის, მთავარი ბუღალტერისა და მოვალის სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველია ვალდებულების საგნის განუყოფლობა. ვალდებულების საგანს კი წარმოადგენს ფასეულობის დაცვა. სამივე თანამდებობის პირს ევალებოდა ფასეულობათა დაცვა სოლიდარულად და ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საცავის სამი გასაღებიდან თითოეულ მათგანს თითო ჰქონდა ჩაბარებული და ერთმანეთის გარეშე საცავი ვერც გაიღებოდა და ვერც დაიკეტებოდა, ასევე ის, რომ საცავში ფასეულობის შენახვის წინ მათ ერთდროულად უნდა დაეთვალიათ ფასეულობები და შემოწმებინათ მათი რაოდენობა განაპირობებდა იმას, რომ სამივე სოლიდარულად იყვნენ მოვალეები ფასეულობის დაცვაზე. ასეთ სიტუაციაში, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის, მოცემულ შემთხვევაში, მოლარის მიერ თანხის



წაღება სკ-ს 265-ე მუხლის თანახმად კრედიტორს, ანუ ბანკს უფლებას აძლევს, თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს ანუ კასატორის მიერ ნებაყოფლობით ვალდებულების შესრულება იყო კანონიდან გამომდინარე და მისი მოთხოვნა, რომ უკან დაუბრუნდეს გადახდილი, თან-ბა არასწორია.

**საქმე № 3კ/253-01**

**15 ივნისი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სოლიდარული ვალდებულება**

სოლიდარული ვალდებულების მიზანია კრედიტორის მდგომარეობის გაუმჯობესება. სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი მოვალის არჩევანში თავისუფალია. მას შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს, როგორც ყველა მოვალეს ერთობლივად, ისე ნებისმიერ მათგანს ცალ-ცალკე. სამოქალაქო კოდექსის 469-ე მუხლის თანახმად, სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც.

როცა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე მთლიანად აკმაყოფილებს კრედიტორს, სოლიდარული ვალდებულება წყდება. ხდება ვალის გამსტუმრებელი სოლიდარული მოვალის ტრანსფორმაცია კრედიტორად დანარჩენ სოლიდარულ მოვალეებთან მიმართებაში. მაგრამ, თუ აღნიშნული სოლიდარული მოვალე კრედიტორის პრეტენზიას არ დააკმაყოფილებს, ამ უკანასკნელის მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანა არ ართმევს უფლებას, სარჩელი შეიტანოს დანარჩენ მოვალეთა მიმართაც.

**საქმე № ას-164-158-2011**

**1 აგვისტო, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სოლიდარული ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 463-ე და 465-ე მუხლები)**

2008 წლის 8 მაისს სს „... ბანკსა“ და მ ჯ-ეს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ჯ. ჯ-ესა და ბანკს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მ ჯ-ის საკუთრებაში არსებული ქონება სოფელ ტაბახმელაში. იგივე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ეკატერინე კელენჯერიძის კუთვნილი ქ.თბილისში მცხეთის ქუჩაზე მდებარე ბინა, რომლის მესაკუთრე დღეისათვის მ ჯ-ეა. ამავე მიზნით სს „... ბანკსა“ და შპს „...-ს“ შორის, ასევე სს „... ბანკსა“ და მ ჯ-ეს შორის დაიდო სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულებები, რომლითაც შპს „...-მა“ და მ ჯ-ემ მსესხებელთან ერთად იკისრეს სოლიდარული პასუხისმგებლობა კრედიტის თანხის გადახდისა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ბანკს უფლება ეძლეოდა, კონტრაჰენტისათვის წაეყენებინა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მდგომარეობის გარეშე. თავდებები კისრულობდნენ მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით თანხისა და პირგასამტეხლოს გადახდას.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მსესხებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ბანკის წინაშე ვერ შეასრულა და მას დაეკისრა თანხის გადახდა ბანკის სასარგებლოდ. კასატორის საკასაციო პრეტენზია ძირითადად სასამართლოს მიერ დადგენილ აღსრულების წესს შეეხება. კასატორის მოსაზრებით, ხელშეკრულებების თანახმად, მსესხებლის პასუხისმგებლობა შემოფარგლულია მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ კრედიტორმა დაკმაყოფილება მიიღოს იპოთეკით დატვირთული და ასევე თავდებთა ქონებით, რის შემდეგაც კრედიტორის მოთხოვნა უნდა გაუქმდეს.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს. კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის თანახმად, შეთანხმება აღსრულების განსხვავებული წესის თაობაზე უნდა აისახოს აუცილებლად იპოთეკის ხელშეკრულებაში, არასწორია. კასატორის მიერ მითითებული ნორმის მე-3 ნაწილში საუბარია არა კონკრეტულად იპოთეკის ხელშეკრულებაზე,

არამედ მითითებულია ამ საკითხზე მხარეთა შორის შეთანხმების არსებობის აუცილებლობაზე. იგივე შინაარსის დებულებებს შეიცავს სამოქალაქო კოდექსის (დღეს მოქმედი) 301-ე მუხლის 1<sup>1</sup> მუხლის შინაარსიც. ამ ნორმაშიც საუბარია მხარეთა შეთანხმებაზე და არა მხოლოდ და მხოლოდ იპოთეკის ხელშეკრულებაზე.

მხარეთა შეთანხმება არ შემოიფარგლება მხოლოდ იპოთეკის ხელშეკრულებით. მხარეთა შეთანხმება მოიცავს ზემოთ ჩვენს მიერ მითითებულ ყველა ხელშეკრულებას ერთობლიობაში, რომელთა ანალიზიდან ცალსახად იკვეთება, რომ მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს როგორც იპოთეკით დატვირთული ქონებით, ასევე თავდებთა ქონებით, რომლებმაც მსესხებელთან ერთად იკისრეს სოლიდარული ვალდებულება.

კასატორის მითითება მსესხებლის ქონებაზე აღსრულების დაუშვებლობის თაობაზე ეწინააღმდეგება სოლიდარული პასუხისმგებლობის არსს და გამორიცხავს ასეთი სახის ვალდებულების არსებობის შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ სოლიდარული მოვალეს, როგორც მთლიანად ისევე ნაწილობრივ. ვალდებულების ბოლომდე შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.

კანონი ყველა მოვალის მიმართ ვალდებულების შესრულების ერთნაირ წესს აწესებს და იგი არ ითვალისწინებს რომელიმე მოვალის ვალდებულების გამორიცხვის შესაძლებლობას მოვალის შეხედულებისამებრ. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ თუ მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება ბოლომდე მსესხებლის ვალდებულება ძალაში რჩება და იგი ვალდებულია, დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა ისევე, როგორც სხვა მოვალეებმა.

მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებათა ანალიზი ცალსახად ადასტურებს სოლიდარული ვალდებულების არსებობას, რაც გულისხმობს ერთდროულად რამოდენიმე მოვალის არსებობას და თითოეული მათგანის (მოცემულ შემთხვევაში კი როგორც თავდებთა, ისე მსესხებლის) სოლიდარულ პასუხისმგებლობას კრედიტორის მიმართ. აღნიშნულის მაგალითია თუნდაც საქმეში წარმოდგენილი სოლიდარული ვალდებულების შესახებ № 13.1. 8897 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების როგორც სათაური, ასევე ტექსტი შეიცავს მითითებას სოლიდარული ვალდებულების არსებობის თაობაზე. ამასთან, შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებულია, რომ კონტრაჰენტი თანახმაა და იღებს ვალდებულებას, მსესხებელსა და ბანკს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ფულადი ვალდებულებები მსესხებელთან ერთად იკისროს სოლიდარულად, რის საფუძველზეც ბანკს ეძლევა უფლება წაუყენოს კონტრაჰენტს მოთხოვნა მსესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე. აღნიშნული პირველ რიგში მიუთითებს იმაზე, რომ ბანკის წინაშე შპს „...“ ვალდებულებას კისრულობს მსესხებელთან ერთად. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია და არა ვალდებული ვალდებულების შესასრულებლად მიმართოს ნებისმიერ მათგანს. იგი აღჭურვილია უფლებამოსილებით და არა ვალდებულებით მიმართოს შპს „...-ს“ მსესხებლის მიმართ მოთხოვნის წაყენებამდე და მის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენებამდე. აღნიშნული არ გამორიცხავს ბანკის მიერ ჯერ მსესხებლის მიმართ მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას. ხელშეკრულების მითითებული დებულება სწორედ სოლიდარული ვალდებულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარეობს და სოლიდარული პასუხისმგებლობისაგან განსხვავებულ წესს არ ადგენს.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორადაა დადგენილი აღსრულების წესი. პალატა თვლის, რომ აღსრულება უნდა მოხდეს უბრუნველყოფილი ქონებიდან, ხოლო თუ ეს ქონება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, აღსრულება უნდა გაგრძელდეს მსესხებლის ქონებაზეც.

## 4. სახელშეკრულებო სამართალის კერძო ნაწილი

### 4.1. ნასყიდობა

**საქმე № ას-283-267-2011**

**21 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი (სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. მითითებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობისას, სადავობის შემთხვევაში, გამყიდველმა უნდა ამტკიცოს მყიდველისათვის ქონების გადაცემა, ხოლო მყიდველმა — გამყიდველისთვის შეთანხმებული ფასის ანაზღაურება.

**საქმე № ას-1059-993-2010**

**18 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნასყიდობის ფასის გადახდა**

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და განმარტავს, რომ 2008 წლის 7 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული იმის თაობაზე, რომ ნასყიდობის თანხა გადახდილია მყიდველის მიერ, ე.ი. ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული იმის თაობაზე, რომ მყიდველმა შეასრულა მიღებული ქონების შეთანხმებული ფასის გადახდის ვალდებულება. ხელშეკრულების მე-6 პუნქტში მითითებულია, რომ „მყიდველი ვალდებულია გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადოს ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, ხოლო გამყიდველი ვალდებულია, მიიღოს ნასყიდობის ფასი.“ ამდენად, დავას იწვევს ნასყიდობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე გადახდილ იქნა თუ არა მყიდველის მიერ 50000 ლარი. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული იმის შესახებ, რომ მყიდველმა გადაიხადა ნასყიდობის ფასი, ე.ი. არ არის ნოტარიულად დადგენილი ამ ვალდებულების უკვე შესრულების ფაქტი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ყველა მასალის ერთობლივად შეფასებით, ასევე მოწმეთა ჩვენებებით შესაძლებელია დადასტურდეს, თუ რამდენად შესრულდა განსახილველი ნორმის მიხედვით, მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასის გადახდის ვალდებულება „...ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე“.

**საქმე № ას-341-325-2011**

**12 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნასყიდობის ფასის გადახდის მტკიცების ტვირთი**

მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს როგორც საკუთრების უფლების მყიდველზე დაუყოვნებლივ გადაცემის, ასევე გამყიდველისთვის ნასყიდობის ფასის დაუყოვნებლივ გადახდის ვალდებულება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება გულისხმობს მოვალის უშუალო რეაქციას, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა. საქმეში წარმოდგენილი ნასყიდო-

ბის ხელშეკრულების სიტყვა-სიტყვითი, ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ გამყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის მყიდველზე გადაცემას წინ უძღოდა მყიდველის ვალდებულება, გადაეხადა ნასყიდობის ფასი. ამდენად, მოსარჩელეს შეეძლო ხელშეკრულების ნოტარიალურად დამოწმებისთანავე განეცხადებინა უარი თავის მხრივ ვალდებულების შესრულებაზე (ნასყიდობის საგნის გადაცემაზე), სანამ არ მიიღებდა საპასუხო შესრულებას (ნასყიდობის ფასის გადახდას). როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, სადავო ქონება საკუთრების უფლებით აღრიცხულია მოპასუხის სახელზე. თვით მოსარჩელეც არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ იგი მოპასუხე ლ. ჭ-ას კანონიერ წარმომადგენელ ლ. ხ-ასთან ერთად იმყოფებოდა საჯარო რეესტრში.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით, თუმცა, მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ნასყიდობის ფასის გადახდის მტკიცების ტვირთი შემძენმა იკისრა თავისი ქმედებით, რაც გამოიხატა ნასყიდობის საგნის მყიდველისათვის გადაცემაში.

## საქმე № ას-592-974-06

## 2 თებერვალი, 2007 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: დღგ-ს გათვალისწინება ნასყიდობის ფასში

დადგენილია, რომ შპს „ს-ამ“ გაზეთ „.....-ში“ 2004 წლის 10 დეკემბერს მის ბალანსზე რიცხული ჯართის რეალიზაციის მიზნით, გამოაცხადა აუქციონი და გამოაქვეყნა ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ. საწყისი სარეალიზაციო ფასი განისაზღვრა 161 054, 25 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. 2005 წლის 12 იანვარს გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ი-ი“, ნივთის გასაყიდმა ფასმა შეადგინა 166 422, 73 აშშ დოლარის შესაბამისი ლარი, რაც მოსარჩელემ გადაიხადა. აუქციონის შედეგები დადასტურდა შპს „ს-ის“ გენერალური დირექტორის 2005 წლის 17 იანვრის 13/გ ბრძანებით.

სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული. შპს „ს-ის“ მიერ აუქციონის გამოცხადება წარმოადგენდა მოწვევას ოფერტზე, ხოლო აუქციონში მონაწილეობის მიღებითა და გამარჯვებით შპს „ი-ი“ ოფერტი გააკეთა, რაც აქცენტირებული იყო შპს „ს-ის“ დირექტორის ბრძანებით. ამ ბრძანებით გამარჯვებულად გამოცხადდა მოსარჩელე იმ პირობებით, რა პირობებითაც ჩატარდა აუქციონი ანუ მხარეები შეთანხმდნენ გასაყიდი ქონების ფასზე — 166 422,73 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარზე.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იყოს შეთანხმება ანდა, რომლებიც ასეთად მიიჩნევა კანონის ძალით. ამავე კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ნასყიდობის ხელშეკრულების აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების საგანი და ფასი. ნასყიდობის ხელშეკრულების ფასი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეები შეთანხმდნენ ნივთის გასაყიდ ფასზე 166 422,73 აშშ დოლარის ეკვივალენტ — ლარზე. ნივთის ფასზე შეთანხმების დროს გამოვლენილი იყო ორივე მხარის ნება, რომლებიც ემოხვეოდნენ ერთმანეთს და გამყიდველის მიერ ცალმხრივად მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არსებითი პირობის — ნივთის ფასის გაზრდა კანონსაწინააღმდეგოა, შესაბამისად, მყიდველმა უნდა გადაიხადოს შეთანხმებული ფასი.

რაც შეეხება კასატორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ არცერთი ნორმატიული აქტი არ ადგენს ნივთის გასაყიდ ფასში დღგ-ს არსებობის თაობაზე მითითებას და მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს საქონლის ფასი და მასთან ერთად დამატებითი ღირებულების გადასახადი, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, არაპირდაპირია გადასახადი (დღგ, აქციზი და სხვა), რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ანდა გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ანდა მომსახურების შეძენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს ანდა მომსახურების გამწვეს, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისათვის იწოდება გადასახადის გადამხდელად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დამატებითი ღირებულების გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს, მოცემულ შემთხვევაში შპს „ს-ას“ უნდა აესახა ნივთის გასაყიდ ფასში დამატებითი ღირებულების გადასახადი და დღგ-თი გაზრდილი ფასით მოეხდინა რეალიზაცია.

### **საქმე № 3კ\383**

**31 მარტი 2000 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლა (სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

პალატა არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ მალაზიაზე ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული შპს „გ.“-დან სარეალიზაციოდ წამოღებული მობილური ტელეფონების ღირებულება — 4 724 ლარი უნდა გამოაკლდეს მათ დავალიანებას, ვინაიდან ვალდებულების შეუსრულებლობა მათი ბრალით არ იყო გამოწვეული (მიუთითებენ სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლზე).

სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლის პირველი ნაწილით „გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან „გაფუჭების რისკი“. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გატაცებული მობილური ტელეფონების ღირებულება უნდა გადახდეს კასატორებს.

### **საქმე № 3კ/305-01**

**15 ივნისი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ნივთის უფლებრივი ნაკლი და გამყიდველის მიერ მისი გამოსწორების ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 489-ე და 490-ე მუხლები)**

2000 წლის 30 ივნისს შპს-მ „რაინდი 1“ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სს „მ.“ მიმართ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება კერძოდ, ნაყიდი ნივთის გადმოცემა და ნივთის უფლებრივი ნაკლის გამოსწორება. შპს „რ. 1“ სარჩელის საფუძველად უთითებდა, რომ სს „მ.“ სსკ-ის 477-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად არ გადასცა გაყიდული მანქანა-დანადგარები და გაყიდული ნივთი აღმოჩნდა უფლებრივი ნაკლის მქონე, კერძოდ, მათთვის ცნობილი გახდა, რომ სს „ა.“ და სს „მ.“ შორის დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება იმავე თარიღით. სს „ა.“ მხარეთა შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ ერთადერთ დოკუმენტად მიიჩნევა იჯარის ხელშეკრულებას. ასევე უთითებდა, რომ „ა.“ არ ცნობს მას, როგორც მესაკუთრეს.

მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით გათვალისწინებული სამი პირობიდან გამყიდველის მიერ ორი (როგორცაა ქონებაზე საკუთრების უფლებისა და მასთან დაკავშირებული საბუთების გადაცემა), შესრულდა. რაც შეეხება მესამე პირობას, საქონლის მიწოდებას (გადაცემას), დარჩა განუხორციელებელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლის თანახმად, ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს პრეტენზია თავისი უფლებების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გაყიდული ნივთის უფლებრივი ნაკლი, ვინაიდან მესამე პირმა „ა. შ. ქ.“ პრეტენზია განაცხადა საიჯარო ქონების გაუმჯობესებათა მიმართ თავისი უფლებების შესახებ, ხოლო ნივთის მესაკუთრედ „რ. 1“ საერთოდ არ ცნო.

სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლის შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან „ა.“ არ განუცხადებია პრეტენზია ნივთის უშუალოდ მის მიერ შეძენაზე, ყველა სხვა გარემოება უფლებრივ ნაკლად არ ითვლება.

კანონის აღნიშნული ნორმა არ მოიცავს მესამე პირის მიერ მხოლოდ ნასყიდობის საგანზე პრეტენზიის გაცხადებას იმ მოტივით, რომ ნივთის ყიდვა მას სურდა, ან ჰქონდა მისი შეძენის უპირატესი უფლება. კანონი საერთოდ არც აკონკრეტებს, თუ რა სახის შეიძლება იყოს უფლებბრივი ნაკლი. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მთავარია, რომ მესამე პირს არ ჰქონდეს წარმოშობილი უფლება გაყიდული ნივთის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში კი მას წარმოეშვა ასეთი უფლება, ვინაიდან ნივთი დატვირთული აღმოჩნდა იჯარის ხელშეკრულებით.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულება რომც ჩაითვალოს ნივთის უფლებბრივ ნაკლად, ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით ს.ს. „მ.“ იჯარის ხელშეკრულების მოშლის დავალება არასწორია, ამასთან აღსრულებადი არ არის, ვინაიდან, ხელშეკრულების მოშლა შეიძლება მოითხოვოს მხარემ, ნივთის გაყიდვის შემდგომ კი ს.ს. „მ.“ მხარეს არ წარმოადგენს.

აღნიშნული დასკვნის დასასაბუთებლად სააპელაციო სასამართლო იშველიებს სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლს და მიუთითებს, რომ იჯარით გაცემული ნივთის გასხვისებისას, შემძენი იკავებს მეიჯარის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ზემოთ მითითებულ მოსაზრებას და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ამასთან სასამართლო გასცდა დავის ფარგლებს.

დასკვნა იმის შესახებ, რომ „რ. 1“ მიერ ნივთის შეძენით მან დაიკავა ს.ს. „მ.“ ადგილი იჯარის ხელშეკრულებაში, ხოლო ს.ს. „მ.“ დაკარგა იჯარის ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის უფლება, არასწორია და არ გამომდინარეობს მოსარჩელე მხარის მოთხოვნიდან. პირიქით, მოსარჩელე შპს-მ „რ. 1“ სარჩელი იმიტომ აღძრა სასამართლოში, რომ მისთვის უცნობი იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს იჯარის ხელშეკრულების არსებობა და ის მიიჩნია რა უფლებბრივ ნაკლად, მოითხოვა მოპასუხე მხარის დავალდებულება მის მოსაშლელად.

პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას ნაკლის გამოსწორების შესახებ მოთხოვნაზე, რადგან ასეთი ვალდებულება არააღსრულებადი შეიძლება იყოს. სასამართლოს ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის მოთხოვნას: თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა განსაზღვროს ნაკლის არსებობა, ან არარსებობა და ნაკლის არსებობის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დაადგინოს მისი გამოსწორების სავალდებულობა.

ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობა, თუ შეუძლებლობა ნაკლის ხარისხზე და მოკიდებული. თუ არსებობს გამოსწორებელი ნაკლი ეს შეიძლება იყოს ხელშეკრულების მოშლის ან სხვა კანონით გათვალისწინებული შედეგის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა ნაკლი. ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობა თუ შეუძლებლობა შეიძლება გახდეს სხვა დავის საგანი და სხვა იურიდიული შედეგებს დაუკავშირდეს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ ნაკლი გამოსწორებადია, ეს ნაკლის სიმძიმეზე მიუთითებს და ამ მოტივით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა აშკარად ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. ამასთან, გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლები, რომლის თანახმადაც, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა და სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. სასამართლოში მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს.

მოცემულ შემთხვევაში, შპს-მ „რ. 1“ გამოიყენა რა კანონით მინიჭებული აღნიშნული უფლება, თვითონვე განსაზღვრა დავის საგანი იმის მიხედვით, რა სახითაც დაირღვა მისი ქონებრივი უფლებები და მიუთითა ასეთ გარემოებებზე. მის მიერ დამტკიცებულ იქნა ეს გარემოებები.

ამდენად, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლო ვალდებულია დავა განიხილოს მხარეთა მიერ განსაზღვრულ ფარგლებში და მიიღოს გადაწყვეტილება. კანონმდებლობით კი დადგენილი არ არის გადაწყვეტილებათა კლასიფიკაცია აღსრულებადობის თვალსაზრისით.

**საქმე №ას-24-22-2013**

**12 დეკემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უფლებრივად უნაკლო ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლი)**

ი. კ-ემ, თ. კ-ესთან დადებული გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ავტომანქანა მიჭყიდა ო.გ-ს. ო. გ-ის მიყიდული სადავო ავტომანქანა 2012 წლის 30 მაისს ამოღებული იქნა პოლიციის მიერ სისხლის სამართლის №088300512001 საქმესთან დაკავშირებით. ავტომანქანის ამოღების მიზეზი გახდა ის, რომ ავტომანქანა იძებნებოდა ინტერპოლის მიერ.

კასატორის ერთ-ერთ პრეტენზიას წარმოადგენს მითითება იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ არასწორად გადაწყვიტა სადავო ავტომანქანის ნაკლის მქონე ნივთად მიჩნევის საკითხი, კერძოდ, ჯერჯერობით სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და გამოძიებით უნდა დადგინდეს, რომ მანქანა დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული. ამასთან, არ დასტურდება მოპასუხის ბრალეული ქმედება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ საფუძველიანობაზე და აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებზე მსჯელობას უფლებრივი ნაკლის თაობაზე. სასამართლო, ერთის მხრივ, ადგენს, რომ ნაკლის საკითხი ჯერ დასადგენია გამოძიების მიერ, ამასთან, თუ მოსარჩელე დაიბრუნებს ამოღებულ მანქანას, მაშინ ზიანს ადგილი აღარ ექნება, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს, რომ თ. კ-ემ ი. კ-ეს გაუცვალა უფლებრივად ნაკლიანი ნივთი, ვინაიდან ქვეყნის საზღვარზე შემოყვანისას სადავო საგანი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან. ამდენად, საქმეზე ერთმნიშვნელოვნად და უტყუარად არ არის დადგენილი, თუ ვინ აცხადებს სადავო ავტომანქანაზე პრეტენზიას, ანუ არ არის გამოკვეთილი მესამე პირი, რომელიც ნამდვილი მესაკუთრეა.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ის გარემოება, რომ გაცვლის ხელშეკრულების დადებამდე, სადავო ავტომანქანა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემებით ირიცხებოდა თ. კ-ის სახელზე და იმყოფებოდა მოპასუხის მფლობელობაში, ქმნის ვარაუდის საფუძველს იმისათვის, რომ თ. კ-ე, როგორც გამყიდველი წარმოადგენდა გასხვისებული ნივთის მესაკუთრეს. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელეს არ წარმოუდგენია, რისი დამტკიცებაც, მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პრინციპის მიხედვით, მას ეკისრებოდა, ხოლო ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, ვერ აბათილებს ამ პრეზუმფციას. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ავტომანქანის უფლებრივ ნაკლთან დაკავშირებით კასატორის პრეტენზია დასაბუთებულია და გაზიარებულ უნდა იქნეს.

**საქმე № ას-584-891-09**

**20 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნივთის ნაკლის გამო ნასყიდობის საგნის ფასის შემცირება (სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2006 წლის 17 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „ჭერმესს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 370101/49 ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელმა, შპს „ჭერმესმა“, ვალდე-

ბულება იკისრა შემსყიდველისათვის საქონელი მიეწოდებინა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ხელშეკრულების მე-11 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება, რომ მისაწოდებელი საქონელი დაეკომპლექტებინა სვლის შემანელებლებით. მხარეთა შორის 2006 წლის 20 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიწოდებული ტექნიკა (ტრაქტორები) სვლის შემანელებლებით დაკომპლექტებული არ იყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ შპს „ჭერმესმა“ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების თაობაზე. დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შეფასებით მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ძალითაც მხარეები შეთანხმდნენ ნივთის ფასის წინასწარ გადახდით ნასყიდობის საგანზე — სვლის შემანელებლებით აღჭურვილი განსაზღვრული ხარისხის ტრაქტორების საკუთრებაში გადაცემაზე. სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლით, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი, ხოლო ამავე კოდექსის 488-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე. გამყიდველის — შპს „ჭერმესის“ მიერ გადაცემული ნივთის ნივთობრივი ნაკლი — ნივთის შეთანხმებული ნაწილის გარეშე გადაცემა სადავო არ არის. გაყიდული ნივთის ნაკლის არსებობის შემთხვევაში სამოქალაქო სამართალი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, სახელშეკრულებო პირობათა მოდიფიცირების გზით (სამოქალაქო კოდექსის 490-ე, 492-ე მუხლები) რეალური მდგომარეობა შეუსაბამონ სამართლებრივ ურთიერთობას და შეინარჩუნონ ხელშეკრულება.

მოცემულ შემთხვევაში მყიდველს — კასატორს ნივთის ნივთობრივი ნაკლის გამო ნასყიდობის საგნის მიღებაზე უარი არ განუცხადებია და, შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლა არ მოუთხოვია. სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას, გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.

მითითებული ნორმის შინაარსი გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ ნივთობრივი ნაკლის არსებობის შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ნასყიდობის საგნის ფასის შემცირება, ხოლო წინასწარ გადახდის შემთხვევაში — უსაფუძვლოდ გადახდილის უკან გამოთხოვა, ვინაიდან ვალდებულება ამ ნაწილში შეწყვეტილია (სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო მხარეთა განმარტებით დადგენილია, რომ მწარმოებელი ნივთის სადავო ნაწილის — სვლის შემანელებლების წარმოებას აღარ ახორციელებს, ხოლო ხელშეკრულებით ტრაქტორის სვლის შემანელებლებით შესყიდვის თანხა წინასწარ გადახდილია. ასევე სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის პირველი ნაწილით, ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესების მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ მოცემულ შემთხვევაში ნივთობრივი ნაკლი უნდა შეფასდეს არა მხარეთა მიერ დავის წარმოშობის შემდეგ მოძიებული და წარმოდგენილი ფასის განსაზღვრელი მტკიცებულებებით, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულებით, რომლითაც ტრაქტორის ფასი განისაზღვრა სვლის შემანელებლებთან ერთად. ცხადია, რომ მყიდველიც და გამყიდველიც ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნივთის ფასის განსაზღვრისას, ჩვეულებრივ, უნდა ითვალისწინებდნენ ნივთის ხარისხს, რომელზედაც გავლენას ახდენს ესა თუ ის დანამატი — გაუმჯობესება. მით უმეტეს, როდესაც გამყიდველს ნასყიდობის საგნის ფასი, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, წინასწარ აქვს გადახდილი. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობად ასეთი დანამატის — სვლის შე-



მანელელის მითითებაც, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტით ამ დეტალის არარსებობის დაფიქსირება მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ ტრაქტორის ფასის განსაზღვრაზე გავლენა უნდა მოეხდინა სადავო დეტალს. შესაბამისად, ამ დეტალის ღირებულება უნდა განისაზღვროს სწორედ მხარეთა მიერ შეთანხმებული და ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობით.

**საქმე № ას-691-1021-07**

**12 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნასყიდობა გადახდის განვადებით (სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება ჩვეულებრივი ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავდება იმით, რომ განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს მყიდველს ნივთი ფასის გადახდამდე, ხოლო შემდგომ კი მყიდველის მიერ ფასის გადახდა უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილ. ამდენად, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მყიდველი ნივთის მესაკუთრე ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე, თუმცა მას გადახდილი აქვს ნივთის ფასის მხოლოდ ნაწილი. განვადებით ნასყიდობა, ისევე როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია, იგი დადებულად ითვლება მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მიღწევის მომენტიდან და მისი ძალაში შესვლა არ არის დაკავშირებული ნასყიდობის საგნის რეალურად გადაცემასთან.

**საქმე № ას-547-780-08**

**26 ნოემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნასყიდობა გადახდის განვადებით (სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლი)**

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 11 ივნისს თ. ბ-აძესა და ზ. გ-ძის წარმომადგენელ, ვ. გ-ძეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების (მდებარე თბილისში, ..... ქ. კორპ. 4, მე-4 სართული, ბინა 30) ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 14000 აშშ დოლარით.

პალატამ ასევე დადგენილად ჩათვალა, რომ მხარეთა შეთანხმებით, მყიდველმა ხელმოწერისთანავე გადაიხადა 7000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 7000 აშშ დოლარი ხელშეკრულების თანახმად თ. ბ-ძეს უნდა გადაეხადა 2004 წლის 25 დეკემბერს, რის შემდეგაც თ. ბ-ძე გახდებოდა ბინის სრულუფლებიანი მესაკუთრე. მანამდე სადავო ბინა საჯარო რეესტრში შეზღუდული საკუთრების უფლებით აღირიცხა თ. ბ-აძის სახელზე.

ასევე დადგენილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი თანხა 7000 აშშ დოლარი, მყიდველის მიერ გადახდილი არ არის, სადავო ბინით კი სარგებლობენ მოპასუხეები.

საკასაციო სასამართლო არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ თ. ბ-ძეს გადასახდელი ნაწილი არ გადაუხადია ანუ დარჩენილი თანხის გადახდის ვალდებულება მას ისევ გააჩნია. პალატა თვლის, რომ მიუხედავად თანხის გადახდა — არგადახდისა ნასყიდობის საგანი მყიდველს უნდა გადაეცეს ზემოთ მითითებული ნორმის საფუძველზე. პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ბინა სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლის საფუძველზე უნდა გადაეცეს თ. ბ-ძეს. ამასთან, პალატა თვლის, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდის ვალდებულება მას არ შეუსრულებია და მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში იგი ვალდებულია შეასრულოს იგი. აღნიშნული ვალდებულების შესრულებამდე იგი ვერ იქნება მიჩნეული სრულუფლებიან მესაკუთრედ.

**საქმე № ას-154-579-06**

**21 ნოემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნივთის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ შეტყობინების მოვალეობის დარღვევა (სამოქალაქო კოდექსის 517-ე მუხლი)**

სკ-ის 173-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, ყოველ თანამესაკუთრეს აქვს საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, ხოლო, 517-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულია პირმა და-

უყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს მესამე პირებთან.

აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, უპირატესი შესყიდვის უფლება გარკვეულწილად ბლუდავს სახელშეკრულებო თავისუფლებას, თუმცა ეს შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირსა და ვალდებულ პირს შორის სამართლებრივ ურთიერთობებზე და, შესაბამისად, აღნიშნული უფლების დარღვევით თანასაკუთრებაში არსებული ნივთის გასხვისება მესამე პირზე ამ გარიგების ბათილობას არ იწვევს.

ამდენად, ვალდებული პირის მიერ ნივთის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ შეტყობინების მოვალეობის დარღვევა არ იწვევს იმავე ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში კანონით შესაძლებელია ვალდებული (უფლების დამრღვევი) პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

## 4.2. ჩუქმება

**საქმე № ას-817-1094-05**

**18 ნოემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ჩუქების ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლი)**

დადგენილია, რომ გ. წ.-ს სადავო სახლი საკუთრებაში გადაეცა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის წარმოშობილ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა მოწესრიგებულია სკ-ის 524-530-ე მუხლებით, რომელთა დანაწესები მკაფიოდ გამოხატავენ ამ გარიგების სპეციფიკურ ხასიათს. ჩუქების ხელშეკრულების დეფინიცია მოცემულია სკ-ის 524-ე მუხლში, რომლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. ამდენად, ჩუქებით წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია, რაც ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არა აქვს უფლება, მოითხოვოს სამაგიერო დაკმაყოფილება მის მიერ გაცემული საჩუქრის გამო. ამასთან, ჩუქების უსასყიდლო ხასიათი არ გამორიცხავს მჩუქებლის ვალდებულებას ნივთის ნაკლთან მიმართებაში. ამ ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, საჩუქარი უნდა აუმჯობესებდეს რა დასაჩუქრებულის ქონებრივ მდგომარეობას, იგი უნდა იყოს ხარისხიანი. ამის საწინააღმდეგო გარიგებამ შესაძლებელია, გამჩუქებლის პასუხისმგებლობაც გამოიწვიოს, რაც ასახულია სკ-ის 527-ე მუხლში, რომლითაც თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია, დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

აღნიშნული ნორმებით დადგენილი დანაწესების ერთობლიობაში განხილვითა და შეფასებით საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ პასუხისმგებლობა ჩუქების საგნის ნაკლზე და, შესაბამისად, ნივთიდან გამომდინარე მჩუქებლის ვალდებულებები დასაჩუქრებულზე ვერ გადავა. ამდენად, კ. წ.-ის მოთხოვნა გამჩუქებლის სიცოცხლეში ჩუქების საგანზე გაწეულ ხარჯების დასაჩუქრებულისათვის დაკისრების თაობაზე დაუსაბუთებელია.

**საქმე № ას-1529-1443-2012**

**9 დეკემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ჩუქების ხელშეკრულების დადება (სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს 2007 წლის 25 ოქტომბრის ვალის აღიარებისა და ვალდებულების არსებობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, როგორც უძრავი ქონების ჩუქების წინარე ხელშეკრულებად კვალიფიკაციასა და ფორმის დაუცველობის გამო ბათილად მიჩნევის თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, მოსარჩელემ ი. გ-ეს ვალდებულების აღიარების სანაცვლოდ შეუძინა სამოთახიანი ბინა ქ.თბილისში. ამასთან, თვით 2007 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან ვკითხულობთ შემდეგს: ი. გ-ემ იკისრა ვალდებულება რ. გ-ის წინაშე, პირველი მოთხოვნისთანავე, მის სახელზე გააფორმოს ი. გ-ის სახელზე რიცხული უძრავი ნივთის 1/2 ნაწილი, ვინაიდან, ი. გ-ემ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დ-2“-ის დამფუძნებელთა რიგებში ყოფნაზე უარი განაცხადა იმ საფუძველით, რომ რ. გ-ემ მას და მის ქალიშვილს უყიდა 70 კვ.მ ფართობის სამოთახიანი ბინა თავისი სახსრებით და რეალურად უნდა მიეღო ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა. აღნიშნული ფაქტი აშკარად გამორიცხავს მხარეთა შორის ჩუქების წინარე ხელშეკრულების დადებას და მასში უფრო მეტად იკვეთება გარიგების სასყიდლიანი სახე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, რომც მივიჩნიოთ 2007 წლის 25 ოქტომბრის შეთანხმება ჩუქების წინარე ხელშეკრულებად, იგი აკმაყოფილებს ამ ტიპის გარიგებისათვის კანონით დადგენილ ფორმას. კერძოდ, გარიგების ფორმის მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 68-ე-71-ე მუხლებში. 68-ე მუხლის მიხედვით, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. გარიგების ძირითადი ფორმებია ზეპირი და წერილობითი ფორმა, ხოლო წერილობითი გარიგება თავის მხრივ შეიძლება იყოს მარტივი ან რთული (სანოტარო) სახის. სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი უძრავი ნივთის გადაცემისათვის ადგენს მხოლოდ წერილობით ფორმას. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმა არ განიხილავს უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, როგორც გარიგების ფორმას.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმას, რომლის მიხედვითაც უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს გადაცემით ჩუქებით ხელშეკრულებას, ანუ ჩუქების ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება, აუცილებელია საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

### **საქმე №ას-257-247-2013**

**10 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ჩუქების დაუშვებლობა(სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლი, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული მუხლის მიზნებისათვის, ქონების გაჩუქების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქონება არის გამჩუქებლის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების საარსებო წყარო, ანუ, ამ ქონების მეშვეობით გამჩუქებელი შემოსავალს უნდა იღებდეს და გაჩუქების შემდეგ აღარ უნდა რჩებოდეს შემოსავლის სხვა წყარო, რომელიც მისი აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. საცხოვრებელი სახლის გაჩუქება, თავისთავად, არ გულისხმობს საარსებო წყაროს მოსპობას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, თუ ერთადერთი საცხოვრებელი სახლის გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი, უხეშად რომ ითქვას, ქუჩაში რჩება, მას ხელშეკრულების გაუქმება შეუძლია, მოითხოვოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე და არა 526-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან, ქონების გაჩუქების შემდეგ იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, 526-ე მუხლი კი, ეხება შემთხვევას, როდესაც, ქონების გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი შემოსავლის გარეშე რჩება, ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 530-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის უფლება გააჩნია მხოლოდ გამჩუქებელს, 526-ე მუხლის საფუძველზე კი, გამჩუქებლის კმაყოფაზე მყოფ პირებსაც. განსახილველ შემთხვევაში, არ დას-

ტურდება, რომ თ. ბ-ო სადავო ბინიდან შემოსავალს იღებდა, ასევე ის გარემოებაცაა საყურადღებო, რომ ბინას კვლავ მოსარჩელე ფლობს და ნ. კ-ა ხელს არ უშლის, ქონებით საკუთარი შეხედულებისამებრ სარგებლობაში.

**საქმე № 3კ/344-01**

**6 ივნისი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო (სამოქალაქო კოდექსი 529-ე მუხლი)**

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისში, ყოფილი ... მდებარე ბინის ნაწილი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მ. შ-ძეს, ხოლო ნაწილი მის ყოფილ მეუღლეს — მი. შ-ძეს. კასატორმა მ. შ-ძის ყოფილმა მამამთილმა გ. შ-ძემ 1995 წლის 22 აგვისტოს აჩუქა ქ. თბილისში, ... მდებარე ერთოთახიანი ბინის ნახევარი თავის რძალს მ. შ-ძეს, ჩუქების ხელშეკრულება რეგისტრაციაში გატარდა ქ. თბილისის მერიის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში.

ავტოფარეხი, რომელიც მდებარეობს თბილისში, ... ვაკის რაიონის გამგეობის მიერ მიღებულია ექსპლუატაციაში 1999 წლის 25 აგვისტოს და გაფორმებულია გ. შ-ძის სახელზე. მ. შ-ძემ გ. შ-ძის ნებართვის გარეშე გატეხა ავტოფარეხის კარები და იგი დაიკავა თვითნებურად.

პალატა იზიარებს კასატორის მოტივაციას, რომ სააპელაციო პალატამ არ შეაფასა სრულყოფილად საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ დაასაბუთა განჩინება. კერძოდ: არ ჩათვალა მ. შ-ძის მოქმედება სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დიდ უმადურობად, თუმცა იგი შეაფასა როგორც გარკვეული უმადურობა. სააპელაციო პალატის ასეთი მითითება დაუდასტურებულია და არ იძლევა განჩინების სამართლებრივი შეფასების საშუალებას.

**საქმე № ას-332-1005-03**

**9 მარტი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ჩუქების გაუქმების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო კოდექსი 529-ე მუხლი)**

გემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები სავსებით სწორად შეაფასა საოლქო სასამართლომ და სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მჩუქებლის კანონისმიერ მემკვიდრეებს სკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით ჩუქების გაუქმების მოთხოვნა არ შეუძლიათ. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს მითითებული ნორმით წარმოადგენს დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დიდი უმადურობის გამოჩენა ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. აღნიშნული ნორმის მეორე ნაწილით, თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ, ამავე ნორმის მესამე ნაწილით კი ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

გემოხსენებული მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობა ყველაზე ნათლად ასახავს რა სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირს, მჩუქებლისაგან ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ მიღების სანაცვლოდ დასაჩუქრებულს აკისრებს ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან უმადურობას გამოიჩინებს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, ზნეობრივ ფასეულობათა დაცვა მოცემულ შემთხვევაში ხდება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებით, რასაც თან ახლავს სათანადო სამართლებრივი შედეგი — მჩუქებლისათვის გაჩუქებული ნივთის საკუთრებაში დაბრუნება. სკ-ის 529-ე მუხლის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელის შემფასებელი თვითონ მჩუქებელია, რაზედაც მეტყველებს ნორმაში არსებული გამონათქვამები: „ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნეს მჩუქებლის მიერ“, „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას

ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედება, არამედ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა. თუ რა სახის შეურაცხყოფაა პირისათვის მძიმე ან რას მიიჩნევს დიდ უმადურობად, ეს მხოლოდ კონკრეტული სუბიექტის — მჩუქებლის შეფასების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ, ვინაიდან ჩუქება შეიძლება გაუქმდეს მაშინაც, თუკი მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობის გამოჩენა ეხება მჩუქებლის ახლო ნათესავს, ხოლო რადგანაც კასატორები არიან მჩუქებლის და-ძმა, მათ აქვთ ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება. სკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ჩუქების გაუქმების საფუძველად მიჩნეულია, როგორც მჩუქებლის, ისე მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოჩენილი დიდი უმადურობა და მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. ამ დანაწესის ანალიზი ცხადყოფს, რომ ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს ჩუქების გაუქმებას, თუკი ასეთი მჩუქებლის მიერ იქნება მოთხოვილი, ანუ მჩუქებელი მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის ზნეობრივად გასაკიცხ ქმედებას იმდენად უნდა ითავისებდეს, რომ თვითონვე უნდა ხდიდეს სადავოდ მასსა და დასაჩუქრებულს შორის არსებულ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობას.

## საქმე №ას-62-59-2012

5 ნოემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო (სამოქალაქო კოდექსი 529-ე მუხლი)

სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის მიხედვით, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინებს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. ამრიგად, აღნიშნული ნორმა უფლებას ანიჭებს გამჩუქებელს ჩუქების გაუქმება მოითხოვოს, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველები. ჩუქების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს გამჩუქებელს ან დიდ უმადურობას გამოიჩინებს მის მიმართ. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელის განსასაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმადურობად ან შეურაცხყოფად, თუმცა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ქმედების სიმძიმის ხარისხი ასევე გამჩუქებლის შეფასების საგანია და მის სუბიექტურ აღქმაზეა დამოკიდებული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძველად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩინს თუ არა დასაჩუქრებული უმადურობას გამჩუქებლის მიმართ, ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადამწყვეტი ამ ქმედების შეფასებაა, იმ თვალსაზრისით, ობიექტურად, შეიძლება თუ არა, უმადურობად ან შეურაცხყოფად იქნეს მიჩნეული, მით უფრო, რომ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩუქების გაუქმების საფუძველი მხოლოდ დასაჩუქრებულის მხრიდან დიდი უმადურობა ან გამჩუქებლის მძიმე შეურაცხყოფა შეიძლება გახდეს, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, რატომ შეიძლება ჩაითვალოს უმადურობად

ან შეურაცხყოფად, მოპასუხის მიერ მისი კუთვნილი ბინის განკარგვის სურვილი და, ამ მიზნით, ნივთის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის საფუძველზე, დასაჩუქრებული იძენს საკუთრების უფლებას ნაჩუქარ ქონებაზე, შესაბამისად, იგი უფლებამოსილია, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში ფლობდეს, ისარგებლოს ან განკარგოს ნაჩუქარი ქონება, მას ასევე შეუძლია, არ დაუშვას სხვა პირების მიერ მისი კუთვნილი ქონებით სარგებლობა. „სხვა პირებში“ ამ შემთხვევაში, გამჩუქებელიც შეიძლება მოიაზრებოდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი სარგებლობა ჩუქების ხელშეკრულების მხარეთა მიერ წინასწარაა შეთანხმებული. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათის გათვალისწინებით, ქონების გამჩუქებელს იმგვარი უფლებები გააჩნია, რაც ვერ ექნება, მაგალითად, ნივთის გამყიდველს, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ გულისხმობს დასაჩუქრებულის საკუთრების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუ იგი თავის უფლებებს კეთილსინდისიერად და მართლზომიერად ახორციელებს. სწორედ ჩუქების უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, დასაჩუქრებული ვალდებულია, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდეს გამჩუქებლის მიმართ, მაგრამ ამგვარი ვალდებულება გონივრულობის ფარგლებში უნდა ეცეოდეს. თავად გამჩუქებელმა საკუთარი უფლებები კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს. დაუშვებელია დასაჩუქრებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არათანაზომიერი შეზღუდვა გამჩუქებლის სურვილით და ჩუქების გაუქმების შესაძლებლობის არაკეთილსინდისიერად რეალიზებით.

მოცემულ შემთხვევაში, საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეუღლეები 2009 წელს განქორწინდნენ, ამასთან, ქორწინების პერიოდში მრავალი უთანხმოება და კონფლიქტი ჰქონდათ, ფ. გ-მა არაერთხელ მოითხოვა ჩუქების გაუქმება, თუმცა ორივე შემთხვევაში სარჩელი თავად გამოიხმო. საქმიდან არ დასტურდება მხარეთა შეთანხმების არსებობა, რომ ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც ფ. გ-ი ი. მ-ის კუთვნილი ბინაში გააგრძელებდა ცხოვრებას. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კასატორის განმარტებით, ფ. გ-ი ი. მ-ის ნაჩუქარ ბინაში მამასთან, თავის შვილთან პირველი ქორწინებიდან და მესამე ქმართან ერთად ცხოვრობს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. მ-ის საკუთრების უფლება ვერ შეიზღუდება გამჩუქებლის სურვილით მუდმივად გააგრძელოს ცხოვრება განუქმებულ ბინაში თავის ოჯახთან ერთად. ამგვარი მოთხოვნა გონივრულობის ფარგლებს სცილდება და ი. მ-ის ნება, რომ არ დაუშვას თავისი საკუთრებით ამგვარი სარგებლობა, უმადურობად ან შეურაცხყოფად ვერ შეფასდება. ი. მ-ს, როგორც ბინის მესაკუთრეს, შეუძლია, შეუზღუდავად ისარგებლოს თავისი საკუთრებით, მით უფრო, რომ საქმიდან არ დასტურდება მხარეთა შეთანხმების არსებობა ფ. გ-ის მიერ ბინით სარგებლობის თაობაზე.

### **საქმე № 3კ/369-01**

**23 მაისი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა (სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ნ. მანაიძის საკასაციო საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ აღნიშნული ჩუქების ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს იმ საფუძველით, რომ სადავო საცხოვრებელი სახლის გაჩუქების შემდეგ იგი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში. სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია, რომ, თუ ჩუქების შემდეგ მიჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფილება მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს, დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სადავო საცხოვრებელ სახლში კასატორ ნ. მ-ქმს 1968 წლის შემდეგ არ უცხოვრია, ეს ბინა კეთილმოწყობილი არ არის და გაქირავებულიც არ აქვს. ამდენად, ამ სახლის გაჩუქებით იგი არ შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. ეს ქონება არც მის საარსებო წყაროს წარმოადგენს, რის გამოც მისი მოთხოვნა, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება

დაკმაყოფილდეს, მით უფრო, რომ მის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება მეორე საცხოვრებელი სახლი ონის რაიონის სოფ. ...

**საქმე № ას-73-419-07**

**7 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა (სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ გარემოებებს. სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქებულს მოსთხოვოს გაჩუქებული, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. მითითებული ნორმა დასაშვებად თვლის ჩუქების გაუქმებას, შემდეგი ფაქტობრივი წანამძღვრების არსებობისას: ა) თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში, მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე; ბ) თუ რეალურად არსებობს გაჩუქებული ნივთი; გ) თუ გაჩუქებულის დაბრუნება დასაჩუქებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში;

მოცემულ შემთხვევაში არსებობს გაჩუქებული ნივთი; დასაჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში არ აღმოჩნდება, ვინაიდან ის არის არასრულწლოვანი და ცხოვრობს თავის მშობლებთან ერთად, რომელთაც პირად საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი ბინები და რომლებიც ვალდებული არიან შეუქმნან შვილს საცხოვრებელი პირობები; ჩუქების შემდეგ მჩუქებელი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში, ვინაიდან მას არ გააჩნია საცხოვრებელი ბინა და ასევე, შრომის უნარის დაქვეითების გამო საყოფაცხოვრებო პირობებს ვერ შეიქმნის.

კასატორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მჩუქებლის მდგომარეობა ბინის გაჩუქების შემდეგ არ გაუარესებულა, იგი ომის მონაწილე და ინვალიდი მანამდე იყო, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს. დადგენილია, რომ კ. ს-ა ცხოვრობდა სადავო ბინაში. ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში, რადგან მისთვის შეუძლებელი გახდა გაჩუქებულ ბინაში ცხოვრება, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ბინაში ცხოვრობს დასაჩუქებულის დედა, მოსარჩელის განქორწინებული მეუღლე ლ. ც-ე, რომელთანაც მოსარჩელეს აქვს დაძაბული ურთიერთობა; ამ გარემოებამ აიძულა უარი ეთქვა გაჩუქებულ ბინაში ცხოვრებაზე. დასაჩუქებულმა ჩუქების ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება მუდმივი საცხოვრებელი მიეცა მჩუქებლისათვის, ის ვალდებული იყო მისთვის შეექმნა ისეთი პირობები, რომლებიც მჩუქებელს ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრების საშუალებას მისცემდა. მართალია, აღნიშნული არ არის გამოწვეული დასაჩუქებულის ბრალეული ქმედებით, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობის შექმნაში არ მოითხოვს დასაჩუქებულის ბრალის არსებობას.

### **4.3. ქირაჰნობა**

**საქმე № ას-24-379-07**

**20 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ქირაგნობის ხელშეკრულების არსებობა (სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ დ. ო-ს მიერ სასტუმროდ ერთი წლის მანძილზე ბინის ოთხ უცხოელზე ნი აშშ დოლარად ბინის გაქირავების ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით, ვინაიდან ეს გარემოება, კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული წერილობითი მტკიცებულებებით. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს

სააპელაციო სასამართლოს შემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ აღნიშნული გარემოებები შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით. კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში ბინის სასტუმროდ გამოყენების შედეგად წარმოშობილ ურთიერთობებზე ვრცელდება ქირავნობის ინსტიტუტი. სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. კანონით არ არის განსაზღვრული ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა, ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, შესაძლებელია მისი დადება როგორც ზეპირად, ისე წერილობით. განსახილველი ნორმის საფუძველზე მხარეთა ნებაზე დამოკიდებული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა დაუკავშირონ წერილობით თუ ზეპირ გარიგებას.

ე.ი. აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის არ არის აუცილებელია წერილობით გარიგების დადება და მისი დაუცველობა არ იწვევს გარიგების ბათილად ცნობას. ანუ კონკრეტულ შემთხვევაში მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით არ არის გათვალისწინებული მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულების არსებობა, რომლის დადასტურებაც შესაძლებელი იქნებოდა გარკვეული წერილობითი მტკიცებულებებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი). იმ შემთხვევაში თუ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით კონკრეტული ურთიერთობის რეგულირებისათვის გათვალისწინებულია გარიგების ზეპირი ფორმა (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი კანონით), ამ გარიგების არსებობა შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებები და გამოერკვა დ. ო-ს მიერ ქონებიდან მიღებული სარგებელის ოდენობა.

### **საქმე № ას-169-163-2011**

**23 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: განსხვავება ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებებს შორის**

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების პოზიციას, რომ მხარეთა შორის დადებული № 2 ხელშეკრულება თავისი ბუნებით ქირავნობაა და არა იჯარა. აღნიშნული ორი ხელშეკრულება იმდენად წააგავს ერთმანეთს, რომ იჯარის მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების შესახებ ნორმები, თუ სამოქალაქო კოდექსის იჯარის თავი განსხვავებულ დებულებებს არ ადგენს. მიუხედავად ამისა, ამ ორი ტიპის ხელშეკრულების არსებითი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ იჯარის ხელშეკრულება ყველა შემთხვევაში მიმართულია მეურნეობის სწორად გაძღოლის გზით ნივთიდან ნაყოფის მიღებისკენ, მაშინ, როდესაც ქირავნობის საგანი შეიძლება სულაც არ გამოიყენებოდეს სამეურნეო დანიშნულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის საფუძველზე, იჯარის ხელშეკრულება მოიჯარეს ანიჭებს დამატებით უფლებას, მიიღოს ნაყოფი(შემოსავალი) ხელშეკრულებით განსაზღვრული ნივთიდან, ხოლო მეიჯარეს ეკისრება დამატებითი ვალდებულება, მთელი საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების სესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში, გაქირავებული ფართის რაიმე დანიშნულება ხელშეკრულების დადების დროისათვის არ იკვეთებოდა, არც მხარეები შეთანხმებულან ნაყოფის მიღების თვალსაზრისით რაიმე კონკრეტულ მოქმედებაზე.

### **საქმე № ას-344-663-09**

**22 სექტემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ქირავნობის ხელშეკრულებაზე უარის თქმა (სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლი)**

სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული კასატორის მსჯელობა, რომ სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და არ გაითვალისწინა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზამ“, ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, გადასცა მოსარჩელეებს ქირავნობის საგანი, რასაც



ა.ნ-ძე და გ.ა-შვილი 1994 წლამდე შეუზღუდავად ფლობდნენ. 1994 წელს, კასატორის ყოველგვარი ბრალე-  
ულობის გარეშე, სადავო ოთახებში თვითნებურად შეიჭრნენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომ-  
ლებიც აგრძელებდნენ ფართით სარგებლობას. 2002 წლის 17 აგვისტოს კი მხარეთა შორის ხელშეკრულებით  
გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება და აღნიშნული ფაქტის მიუხედავად, მოსარჩილები ახალი ქი-  
რავნობის გარიგების დადებას მაინც დასთანხმდნენ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების  
სამართლებრივი დასაბუთება მართებულად დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლს, რომლის  
პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, თუ დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადა-  
ეცემა დამქირავებელს დაგვიანებით, ან, თუ შემდგომში მას წაერთვა სარგებლობის უფლება, მაშინ დამ-  
ქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია  
ხელშეკრულების მოშლისათვის. უარი ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ დამქირავებელი  
დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემო-  
ებებს. ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ იმ გარემოებათა შედეგად, რომლებიც ხელშეკრულებაზე  
უარის თქმის საფუძველს იძლევიან, დამქირავებელმა დაკარგა ინტერესი ამ ხელშეკრულებისადმი. და-  
სახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ დამქირავებელი ვალდებულია, მხარეთა მიერ შეთანხმე-  
ბულ დროს გადასცეს დამქირავებელს ქირავნობის საგანი და ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების  
პერიოდში უზრუნველყოს დამქირავებლის მიერ მისი შეუზღუდავად ფლობა და სარგებლობა. წინააღმ-  
დეგ შემთხვევაში დამქირავებელი უფლებამოსილია, შეთანხმებულ ვადაზე ადრე უარი თქვას ქირავნობის  
ხელშეკრულებაზე და, დამქირავებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ქირავ-  
ნობის მიმართ ინტერესის დაკარგვის საფუძველზე, აღარ განუსაზღვროს დამქირავებელს ვადა ვალდებუ-  
ლების შესასრულებლად.

განსახილველ შემთხვევაში შპს „საქართველოს რკინიგზა“ მიუთითებს, რომ მან მხარეთა შორის  
1992 წელს დადებული ქირავნობის ხელშეკრულების პირობა შეასრულა და გ.ა-შვილსა და ა.ნ-ძეს გა-  
დასცა ქირავნობის საგანი — სადავო ოთახები, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და  
არც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2002 წლის 17 აგვისტოს ახალი  
ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მოსარჩილებს გარიგებით გათვალისწინებული უძ-  
რავი ნივთი არ გადასცემიათ, რადგან იქ იძულებით გადაადგილებული პირები აგრძელებდნენ ცხოვ-  
რებას.

ამდენად, შპს „საქართველოს რკინიგზამ“ დამქირავებელთა მიერ ქირავნობის ხელშეკრულების  
ფარგლებში სადავო ფართის დაუბრკოლებლივ ფლობა და სარგებლობა ვერ უზრუნველყო, რის გამოც  
გ.ა-შვილისა და ა.ნ-ძის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ ინტერესის დაკარგვა სავსებით გა-  
მართლებულია და მათი მოთხოვნა გარიგების ვადაში შეწყვეტის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს  
გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კანონიერად დაკმაყოფილდა.

ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მითითება სამოქალაქო კოდექსის 575-ე მუხლზე, რომლის  
შესაბამისად, დამქირავებელს უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი დამრღვევისა-  
გან, მათ შორის, მესაკუთრისგანაც. კანონის მითითებული დანაწესი დამქირავებელს უფლებას ანი-  
ჭებს, ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში დაუბრკოლებლად ფლობდეს ქირავნობის საგანს  
და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ აღნიშნული მფლობელობის ხელშეშლა. ამდენად, დასახელებული  
მუხლი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც დამქირავებელს ქირავნობის საგანი ხელშეკრულების შე-  
საბამისად გადაცემული აქვს. განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გ.ა-შვილსა და  
ა.ნ-ძეს მხარეთა შორის 2002 წლის 17 აგვისტოს ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო  
ფართი არ გადასცემიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება,  
რომ მოსარჩილებს დასახელებული ნორმით მათთვის მინიჭებული უფლების რეალიზება არ მოუხ-  
დენიათ.

**საქმე № 3კ-936-02**

**20 სექტემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გამქირავებლის მიერ ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯი (სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ სამშენებლო სარემონტო სამუშაოების ღირებულების ასანაზღაურებლად მოპასუხეს სწორად დააკისრა 4898,8 ლარი, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლის შესაბამისად მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული ობიექტის იჯარით გადაცემის ხელშეკრულების სპეციფიკურობიდან გამომდინარე (ბიბლიოთეკის გადაკეთება აბანოდ) ამ ობიექტზე ჩატარებული სარემონტო სამშენებლო სამუშაოები აუცილებელ ხარჯებს წარმოადგენდა და იგი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მეიჯარის მხრიდან ანაზღაურებას ექვემდებარება.

**საქმე № ას-421-735-09**

**20 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გამქირავებლის მიერ ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯი (სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამქირავებელი ვალდებულია, დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებელ ხარჯად ითვლება დამქირავებლის მიერ გაღებული არა ყველა, არამედ — მხოლოდ ისეთი ხარჯი, რომლის გაწევაც ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად არის აუცილებელი. ამავე კოდექსის 532-ე მუხლი გაქირავებული ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში გადაცემის ვალდებულებას აკისრებს გამქირავებელს. კოდექსის 535-ე მუხლის შესაბამისად, გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამქირავებლის მიერ ნივთზე გაწეული ხარჯების აუცილებლად მიჩნევის საფუძველი და ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც სახეზეა ნივთის ხელშეკრულებით სარგებლობისათვის არავარგის მდგომარეობაში არსებობა, ანუ ისეთი ვითარება, როდესაც ნივთის მდგომარეობა არ იძლევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის განხორციელების შესაძლებლობას.

**საქმე № 3კ-751-02**

**15 ნოემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტა (სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლი)**

სკ-ს 559-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად თუ დამქირავებელი სარგებლობს ნივთით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით.

ქირავნობის ხელშეკრულებით ნივთით სარგებლობას ყოველთვის აქვს დროებითი ხასიათი. დრო, რომლის განმავლობაშიც დამქირავებელს უფლება აქვს ისარგებლოს დაქირავებული ნივთით, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. თუმცა, ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადითაც. ქართული სამართალი არ იცნობს უვადო, მუდმივ ხელშეკრულებებს. ამიტომ ქირავნობის ხელშეკრულება ვადის მიუთითებლად დადებულად ითვლება განუსაზღვრელი ვადით

და ნებისმიერ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. მხარე, რომელსაც ხელშეკრულების შეწყვეტა სურს, წინასწარ აკეთებს განცხადებას იმის შესახებ, რომ სურს შეწყვიტოს ქირავნობის ურთიერთობა.

განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლა ნიშნავს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას. თუმცა მხარეებს უფლება აქვთ განაახლონ ქირავნობის ხელშეკრულება, თუ დამქირავებელი სარგებლობს ნივით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით, რომელიც, თავის მხრივ, ნებისმიერი მხარის სურვილის შესაბამისად შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებით (სკ-ს 559-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ე.ი. კანონი ხელშეკრულების განახლებისათვის არ მოითხოვს რაიმე სპეციალურ ფორმას. საკმარისია გამქირავებელი არ ედავებოდეს დამქირავებელს ნივით სარგებლობაში.

ქირავნობის ხელშეკრულების განახლების სურვილი მართო დამქირავებლის მხრიდან საკმარისი არ არის. აუცილებელია გამქირავებლის ნებაც — განაახლოს ქირავნობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებელს არანაირი უპირატესობა არ გააჩნია სხვა პირებთან შედარებით კვლავ დადოს ახალი ხელშეკრულება გამქირავებელთან იმ ნივთზე, რომლითაც ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობდა.

**საქმე № ას-826-1098-05**

**30 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა (სამოქალაქო კოდექსის 563-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა თვლის, რომ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა, მართალია, წერილობით უნდა გაფორმდეს, მაგრამ პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქირავნობის შეწყვეტა შეიძლება ზეპირი ფორმით. პალატას მიაჩნია, რომ ფორმის ნაკლები, რომელიც წარმოიშვა წერილობითი ფორმის დაუცველობის გამო, სწორდება შესრულებით და ზეპირი ფორმის დაცვა ასეთ შემთხვევაში არ აყენებს მხარეს არათანასწორ მდგომარეობაში და ამით არ ილახება დამქირავებლის უფლებები.

#### **4.4. იჭარა**

**საქმე № ას-587-555-2011**

**2 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე მტკიცების ტვირთი**

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. სამოქალაქო კოდექსის 564-ე მუხლის შესაბამისად, ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. მითითებული ნორმების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მეიჯარე ვალდებული ამტკიცოს მოიჯარისთვის ქონების გადაცემა, ხოლო ხელშეკრულების

შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა ვადამდე მოიშალა ხელშეკრულება თუ ვადის გასვლით შეწყდა, ქონების დაბრუნების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოიჯარეს.

## 4.5. სმსხი

**საქმე № ას-452-1093-03**

**9 იანვარი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სესხის ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი)**

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 2002წ. 8 მაისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხას — 1600 აშშ დოლარი არ გადაცემულა. რეალურად თ. ჯ-ემ ქ. დ-ის მითითებით ი. მ-ს მეორე დღეს გადასცა 1000 აშშ დოლარი. თ. ჯ-ე აღნიშნული თანხით ჰპირდებოდა ქ. დ-ს საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის მიზნით შესაბამისი საბუთების მომზადებას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, სესხის ხელშეკრულების დროს თანხა მსესხებლის მიერ მიღებულად ითვლება მაშინაც, თუ მისი თანხმობით იგი მესამე პირმა მიიღო. მოცემულ შემთხვევაში თანხმობად მიჩნეულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მესამე პირმა თანხა მიიღო მსესხებლის მითითების საფუძველზე. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ ქ. დ-მა სესხის ხელშეკრულება დადო იმ მიზნით, რომ ნასესხები თანხა გადაეცა ი. მ-სათვის საზღვარგარეთ სამუშაოდ წასასვლელი საბუთების მომზადებისათვის. ამდენად, სესხის ხელშეკრულება ნამდვილია და მსესხებელს ევალება სკ-ს 623-ე მუხლის საფუძველზე დააბრუნოს ნასესხები თანხა, ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ი. მ-მა მოატყუა ქ. დ-ი და საბუთები არ მოამზადა, აღნიშნული წარმოადგენს ი. მ-სა და ქ. დ-ს შორის დავის საგანს.

**საქმე № ას-294-278-2011**

**3 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სესხის ხელშეკრულების ფორმა (სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამავე კოდექსის 624-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებელმა სესხის ხელშეკრულების დადებისათვის არ გაითვალისწინა სავალდებულო ფორმა, თუმცა კანონით განისაზღვრა მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმები, კერძოდ, ზეპირი ხელშეკრულების დროს სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, რაც იმას ნიშნავს, მოწმეთა ჩვენება ამ შემთხვევაში არასაკმარისი მტკიცებულებაა, მაშინ როცა სხვა სახის სამართალური თიერთობის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა არ კრძალავდეს მოწმის ჩვენების საფუძველზე კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შემადგენლობის (ფაქტების) დადასტურებას.

**საქმე № 3კ/321-02**

**13 მარტი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პროცენტის გადახდა ვადა (სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სესხისათვის პროცენტები გადახდილი უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული,

მაშინ ვალიცა და პროცენტის გადახდილი უნდა იქნეს ვადის დადგომისას. აღნიშნული ნორმის მიხედვით სესხისათვის სარგებლის ოდენობა განისაზღვრება სასესხო თანხის განსაზღვრული პროცენტის სახით მისი მთელი წლის მანძილზე გამოყენებისათვის. აქედან გამომდინარე შეიძლება დადგინდეს ყოველთვიური პროცენტის ოდენობაც. ჩვეულებრივ მხარეთა შეთანხმებით ხდება პროცენტის გადახდის წესის განსაზღვრა. თუ ხელშეკრულებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, კოდექსის 626-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით სესხის სარგებლობისათვის დადგენილი პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ ხელშეკრულება ვადიანია, ყოველი წლის გასვლისას მოხდება სარგებლის გადახდა, ხოლო მომდევნო წლის დანარჩენ პერიოდში სესხის დაბრუნებასთან ერთად უნდა მოხდეს ამ პერიოდის შესაბამისი პროცენტის დაბრუნებაც.

**საქმე № ას-858-807-2010**

**16 მაისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სადავოობისას სესხის ხელშეკრულების ვადის მტკიცების სტანდარტი**

განსახილველ შემთხვევაში სამართლებრივი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ გაირკვეს, შესაძლებელია თუ არა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდეს სესხის ხელშეკრულების ვადა, მაშინ, როდესაც თავად სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი სადავო არაა.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გაირკვეს, თუ რა იგულისხმება სესხის ხელშეკრულებაში, რომლის ნამდვილობაც, კანონის თანახმად, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით არ შეიძლება დადგინდეს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აქ იგულისხმება მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობები, რამაც სესხის კონკრეტული ხელშეკრულების დადება განაპირობა, ანუ ეს ის პირობებია, რომლებიც ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და, რომელთა მიხედვითაც მხარეებმა თავიანთი ურთიერთობა უნდა მოაწესრიგონ. სესხის ხელშეკრულების დადებისას მხარეები აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების საგანზე, ვინაიდან იგი წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას და ამ პირობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში სესხის ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ასევე სესხის ხელშეკრულების ფორმაზე, მისი მოქმედების ვადაზე, პროცენტზე და ა.შ. (სამოქალაქო კოდექსის 623-626 მუხლები). ყველა ეს პირობა, მხარეთა შეთანხმების არსებობისას, სესხის ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაიქცევა და, ცხადია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულება სწორედ ამ პირობების დაცვაზე იქნება დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სესხის ხელშეკრულების ვადა, თუ მხარეები მასზე შეთანხმდნენ, ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და სადავოობის შემთხვევაში მისი ნამდვილობა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით არ შეიძლება დადასტურდეს.

**საქმე № ას-448-690-08**

**5 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების გამო ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნა (სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია პატივსაცემი საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. იგივე მუხლი განსაზღვრავს პატივსაცემ საფუძვლებს, რომელთა შორისაც მოიაზრება, დაუძლეველი ძალა და ორმხრივი ინტერესი მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს სხვა მიზეზებსაც, რომელთა საფუძველზეც ხელშეკრულების მხარეს კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლით გათვალისწინებული მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება, რითაც საფრთხე ექმნება ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული არ გულისხმობს მხოლოდდა მხოლოდ გადახდისუნაროდ მხარის გადაქცევას, რაც მითითებული აქვს სააპელაციო

სასამართლოს. პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს შპს „უნივერსალური სავაჭრო ცენტრის“ ქონებრივი მდგომარეობა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე იმსჯელოს იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა მხარეთა შორის ხელშეკრულების მოშლა.

## 4.6. ნარდობა

**საქმე №ას-842-1201-06**

**3 მაისი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნარდობის ხელშეკრულებისა (სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი)**

ქედის რ...ის 2003 წლის 15 მაისის 158 განკარგულებით ქედის რაიონის სოფ. ... ტერიტორიაზე ახალი წველების ქარხნის დროულად და ხარისხიანად აშენების მიზნით, ქარხნის მშენებლობის პროცესში ტექნოლოგიური დანადგარების განლაგების მონტაჟის და საერთოდ მშენებლობის პროცესის დაჩქარებისათვის საჭირო ზომების მიღებაზე პასუხისმგებლობა დაევალა მოქალაქე ზ. გ-ს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნული გამგეობის განკარგულება მიიჩნია ნარდობის ხელშეკრულებად. ამ დასკვნას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს. ხელშეკრულება ეს მხარეთა შეთანხმებაა, რომლითაც ისინი კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავენ მიზნად. გამგეობის განკარგულებით კი ზ. გ-ს დაევალა პასუხისმგებლობა მშენებლობის პროცესის დაჩქარებისათვის საჭირო ზომების მიღებაზე.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულია ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. ამავე კოდექსის 629-ე მუხლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

ნარდობის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად მნიშვნელობა ენიჭება ამ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების არსებობის დადგენას. საჭიროა განიმარტოს ხელშეკრულების არსებითი პირობები (მხარეები, ანგარიშსწორების წესი, ნივთის გადაცემა და სხვა). როცა ნარდობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს რთული სამუშაოების შესრულებას (მაგ. მშენებლობა), ნარდობის ხელშეკრულებას თან უნდა ერთვოდეს სამუშაოთა წარმოების ტექნიკური და საპროექტო დოკუმენტაცია, ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის საჭიროა ხარჯთაღრიცხვის შედგენა (მყარი ან მიახლოებითი). ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები ითვალისწინებენ შემკვეთის მიერ შენობის მიღების ვალდებულებას, რაც მიღება-ჩაბარების აქტებით ხორციელდება.

**საქმე № ას-719-678-2011**

**3 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნარდობის ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი მუხლი)**

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. აღნიშნული ნორმის ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნარდობის ხელშეკრულება განეკუთვნება სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნარდობა მოიცავს არა მხოლოდ სამუშაოს შედეგს, არამედ სამუშაოს შესრულების მიმდინარეობასაც. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1996 წლის 15 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით ტ. ე-ეს სამშენებლო კომპანია შპს „კ-ისათვის“ გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ, მხარეთა მიერ განსაზღვრულ ვადაში უნდა მიეღო ბინები ახალშენისა და ჩ-ის ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიაზე მშენებარე ინდივიდუალური

საცხოვრებელი სახლების კომპლექსში, 13 კორპუსში, მე-4 სართულზე 1+3 ოთახიანი 20 და 21, ფართი განისაზღვრა 158 კვ. მეტრით. ვინაიდან ტ. ე-ის ვალდებულებას მხოლოდ თანხის გადახდა წარმოადგენდა, იგულისხმება, რომ ბინა უნდა აშენებულიყო მენარდის მასალითა და საშუალებებით. ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის შეფასებას სადავო ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნარდობის ხელშეკრულება, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება არის ორმხრივი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 1996 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულებით ერთის მხრივ ტ. ე-ე, ხოლო მეორეს მხრივ სამშენებლო კომპანია შპს „კ-ი“ შეთანხმდნენ ხელშეკრულების საგანზე, ანუ რა სამუშაო უნდა შეესრულებინა მენარდეს. მხარეები ასევე შეთანხმდნენ ხელშეკრულების ფასზე. ამდენად დადგენილია, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოსაზრება, რომ სადავო ხელშეკრულება არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მოთხოვნებს უსაფუძვლოა.

სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს რაიმე სპეციალურ ნორმას ნარდობის ხელშეკრულების ფორმის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმებით, როგორცაა ნმ-ე და 328-ე მუხლები.

**საქმე №ას-409-1073-03**

**30 დეკემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: განსხვავება ნარდობის ხელშეკრულებასა და ნასყიდობის ხელშეკრულებას შორის (სამოქალაქო კოდექსის 629-ე და 477-ე მუხლები)**

სკ-ს 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შექმნილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები. მენარდე ვალდებულია, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. სამუშაო შეიძლება შესრულდეს, როგორც მენარდის, ისე შემკვეთის მასალითა და საშუალებით. სამუშაოს შესრულებისას მენარდის მასალით დამზადებულ ნაკეთობაზე, საჭირო ხდება, რომ ნარდობის ხელშეკრულება განვასხვაოთ ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან. თუ რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული, ნარდობისა თუ ნასყიდობის ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ნარდობის ხელშეკრულების შესახებ ნორმები განსხვავდებიან იმ ნორმებისაგან, რომლებიც აწესრიგებენ ნასყიდობას. ეს განსხვავებები მდგომარეობს შემდეგში:

პირველ რიგში ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, როგორც წესი, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნაკეთობის დამზადება, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი კი უმრავლეს შემთხვევაში არის გვაროვნული ნივთი. გვაროვნული ნივთი ეს ისეთი ნივთებია, რომლებიც განისაზღვრებიან ზომით, წონით ან რაოდენობით. ასეთია რაოდენობრივად მასობრივი ნივთები: ფული, ფასიანი ქაღალდები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სხვა. მეორე რიგში, ნარდობის ხელშეკრულების პირობები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია სამუშაოთა შესრულების პროცესში მხარეების ურთიერთობის განსაზღვრისაკენ, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითად შინაარსს წარმოადგენს ხელშეკრულების საგნის გადაცემა მეორე მხარისათვის — მყიდველისათვის.

ნარდობა მოიცავს არა მარტო სამუშაოს შედეგს, არამედ მის შესრულებასაც. ე.ი. ნარდობის სახელშეკრულებო მოწესრიგება მოიცავს სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობასაც. ნასყიდობაში კი ასეთი რამ არ არის, რამეთუ ხელშეკრულება განსაზღვრავს მხოლოდ სამუშაოს შედეგს (თვითონ ნივთის დამზადება მდებარეობს ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ). აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა, ასევე

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სხვა პირობების განმარტება (ხელშეკრულების სახელწოდება, მხარეები, ანგარიშსწორების წესი, გადაცემა, ვისი მასალითა და საშუალებებით მზადდება ნივთი, მიწოდებული მასალის რაოდენობა არსებითია თუ არა და ა.შ.).

მოცემულ საქმეზე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მშენებელი აშენებს მრავალსართულიან საკუთარ საცხოვრებელ სახლს ..., მე-9 საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე. დამკვეთმა შეუკვეთა საცხოვრებელი ფართი ამ მშენებარე 9 სართულიან საცხოვრებელ სახლში. ე.ი. შემკვეთმა შეუკვეთა კონკრეტულ მისამართზე მდებარე მშენებარე სახლში, კონკრეტულ სართულზე მდებარე განსაზღვრული ფართის ბინები. სადავო ხელშეკრულებები მოიცავს სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობასაც, კერძოდ, ბინებს გაუკეთდებათ რკინის კარები, დამკვეთის სურვილისამებრ გაკეთდება შიდა ტიხრები, ბინაში გაიყვანენ ცენტრალურ დგარებს, სახლს დაუმონტაჟდება ლიფტი, შეიღესება, კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია და ა.შ. ამდენად, ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს არა მარტო სამუშაოს შედეგს, არამედ მის შესრულებასაც. ასევე დადგენილია, რომ შემკვეთებმა წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადაიხადეს შეთანხმებული თანხა, რაც მიჩნეულ უნდა იქნეს ისეთ გარემოებად, რომ სამუშაო შესრულდა შემკვეთის საშუალებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა შორის აღიარებულ უნდა იქნეს სახელშეკრულებო ურთიერთობის — ნარდობის არსებობა და, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს ნარდობის ხელშეკრულების შესახებ მომწესრიგებელი ნორმები. აღნიშნული ნორმები არ აწესებს ხელშეკრულების ფორმას, რის გამოც ნარდობის ხელშეკრულების ფორმის საკითხი ექვემდებარება გარიგების ფორმის შესახებ საერთო ნორმებს. სკ-ს ნმ-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.

## საქმე № ას-1162-1091-2012

7 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: განსხვავება ნარდობის ხელშეკრულებასა და ნასყიდობის ხელშეკრულებას შორის

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ მითითებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები არ მოიცავენ ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად 2009 წლის 2 აპრილს მხარეთა შორის დაიდო შეთანხმება ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ერთმანეთის წინაშე არსებულ ფინანსურ ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვაზე. შეთანხმებით ჩაითვალა, რომ შპს „ა.დ-მა“ სს „თ-ი-3-ს“ გადაუხადა 2007 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ნასყიდობის ფასის ნაწილი 1000 000 აშშ დოლარი, ხოლო სს „თ-ი-3-მა“ სრულად გადაიხადა 2007 წლის 3 სექტემბრის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ნასყიდობის ფასი — 1 000 000 აშშ დოლარი (ტ.1. ს.ფ. 22). შესაბამისად, მითითებული ხელშეკრულებების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სს „თ-ი-3-ს“ მიერ მიწის ნაკვეთის შპს „ა.დ-ის“ გადაცემით გადახდილ იქნა ამ უკანასკნელის მიერ სახლის აშენების შედეგად გარკვეული ფართების სს „თ-ი-3-ის“ გადაცემის საფასური. ამდენად, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით მხარეები ისახავდნენ ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ურთიერთობას.

აქედან გამომდინარე, განმარტებას მოითხოვს შპს „ა.დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ა.დ-მა“, როგორც გამყიდველმა, შპს „ა-ს“, როგორც მყიდველს, საკუთრებაში გადასცა უძრავი ქონება მდებარე თბილისში, კ-ას ქუჩა № 10-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 16 524 კვ.მ. (საკადასტრო კოდი:...) და არასასოფლო-სამეურნეო



დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2 071 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები № 1, № 2 და № 3 მშენებარე (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი:...).

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემომითითებული მსჯელობის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს შპს „ა.დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარეთა ნება, კერძოდ, რა მიზანს ისახავდნენ მხარეები ნასყიდობისა თუ ნარდობის ხელშეკრულების დადებას.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ კასატორის მიერ მითითებული ფაქტები არ ქმნიან გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის საფუძველს, რადგან მის მიერ მითითებული ფაქტები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მივიჩნიოთ, რომ სადავო გარიგებას არ მოჰყვა შესაბამისი იურიდიული შედეგები. მიუხედავად ამისა, კასატორის მიერ მითითებული ფაქტები და, უპირველეს ყოვლისა, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებები მოითხოვენ კვლევას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

ნარდობის ხელშეკრულებას გააჩნია არსებითი ნიშნები რითაც იგი განსხვავდება ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან. კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ არსებით ნიშნებზე, რომლებსაც მნიშვნელობა ენიჭება ამ დავის გადაწყვეტისათვის, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ხელშეკრულების საგნის გადაცემა. ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, სამუშაო პროცესის დასახვა, განსაზღვრა და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება და ნარდობის ხელშეკრულება ორივე წარმოადგენენ კაუზალური ტიპის ხელშეკრულებებს, აუცილებელია დადგინდეს ხელშეკრულების საფუძველი, მიზანი, რომლის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული ხელშეკრულების სახესთან დაკავშირებული დასკვნების გაკეთება და, შესაბამისად, ქონებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს შპს „ა.დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულებით მხარეებს შორის წარმოიშვა ნარდობის თუ ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული გარემოების დასადგენად უნდა შეფასდეს საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებები და სხვა მტკიცებულებები ერთობლივად (სსსკ-ის 105-ე მუხლი).

1980 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებად ითვლება იმ საქონლის მიწოდებაზე დადებული ხელშეკრულება, რომელიც მზადდება ან იწარმოება, თუ საქონლის დამკვეთი მხარე არ კისრულობს ასეთი საქონლის დამზადებისათვის ან წარმოებისთვის საჭირო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილის მიწოდების ვალდებულებას.

კონვენციის მე-3 მუხლის პირველის ნაწილის თანახმად „საჭირო მასალის მნიშვნელოვან ნაწილში“ უნდა მივიჩნიოთ, ასევე მიწის ნაკვეთი, როგორც ძირითადი ნივთი, რომლის გარეშე შეუძლებელია შენობა-ნაგებობის აშენება, ანუ მხედველობაშია მასალა, რომელიც მნიშვნელოვანია სამუშაოს შესრულებისათვის. ამდენად, განსახილველ ნორმის დათქმაში „საჭირო მასალის მნიშვნელოვან ნაწილში“ ყურადღება გამახვილებულია ისეთ მასალაზე, რაც აუცილებელია და მნიშვნელოვანია ნივთის დამზადებისათვის და რომლის გარეშე შეუძლებელია ამ ნივთის დამზადება.

განსახილველი ნორმა მოითხოვს განმარტებას კონვენციის სხვა ნორმებთან ერთობლიობაში. კერძოდ, ნორმაში მოცემული სამართლებრივი კრიტერიუმები გაგებულ უნდა იქნეს მხარეთა მიერ დასახული მიზნების გათვალისწინებით, რომლის დადგენასა და განმარტებას მოითხოვს ამავე კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კონვენციის მიზნებისათვის მხარის განცხადება ან სხვაგვარი მოქმედება განიხილება მისი განზრახვის შესაბამისად, თუ მეორე მხარემ იცოდა, ან არ შეიძლება არ სცოდნოდა, როგორი იყო ეს განზრახვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ წინა პუნქტი

არ გამოიყენება, მაშინ მხარის განცხადებას ან სხვაგვარ მოქმედებას განიხილავენ იმის შესაბამისად, თუ როგორ გაიგებდა ამას გონიერი პიროვნება, რომელიც იმოქმედებდა იმავე სახით, როგორც მეორე მხარე ანალოგიურ ვითარებაში.

აქედან გამომდინარე, გამოსარკვევია, თუ რა მიზანს ისახავდა შპს „ა.დ-ი“, როდესაც მიწის ნაკვეთი გადასცა შპს „ა-ს“ და რა ვალდებულებას კისრულობდა ეს უკანასკნელი მიწის ნაკვეთის მიღების სანაცვლოდ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შპს „ა.დ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულებებით წარმოშობილ ურთიერთობაზე და 2007 წლის 3 სექტემბერს შპს „ა-დ-სა“ და სს „თ-ი-3-ს“ შორის დადებული გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობაზე, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასდა, როგორც ნარდობის ხელშეკრულება.

ნარდობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს შემკვეთისათვის სამუშაოს შედეგის გადაცემას, ამიტომ მენარდეს ეკისრება ამ შედეგის მიღწევის რისკიც. ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობის შედეგი, მაშინ, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების მიზანია ქონების საკუთრებაში გადაცემა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემომითითებული მსჯელობის გათვალისწინებით ხელშეკრულების შინაარსის დადგენისათვის არ არის საკმარისი ფორმალურ ნიშნებზე ყურადღების გამახვილება, შესაძლებელია გარეგნული გამოხატულება ქმნიდეს ნასყიდობის ხელშეკრულებად მიჩნევის საფუძველს, მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანია მხარეთა ნება და ფაქტობრივად არსებული უფლება-ვალდებულებები, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს ფორმალურად არსებული ურთიერთობისაგან და ქმნიდეს სხვა გარიგებით წარმოშობილი ურთიერთობის საფუძველს.

ამდენად, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, სადავო ხელშეკრულებით მხარეები კისრულობდნენ მხოლოდ მიწის ნაკვეთის ნასყიდობას თუ მიზნად ისახავდნენ მშენებლობასა და მშენებლობის შედეგის გადაცემას.

თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ სადავო ხელშეკრულებით მხარეთა შორის წარმოიშვა ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ურთიერთობა, გამოყენებულ უნდა იქნეს ნარდობის ხელშეკრულების ინსტიტუტი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება), კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 632-ე მუხლის თანახმად, მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან.

## საქმე № 3კ-1352-02

17 დეკემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: განსხვავება ნარდობისა და შრომის ხელშეკრულებებს შორის

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს.გ.-სა და სს „...-ს“ შორის 2001წ. 12 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს შეადგენდა საკონსულტაციო მომსახურება, დანართის II ნაწილის მიხედვით კი კონსულტანტ ს.გ.-ს ევალებოდა ხრამჭესი 1 და 2-თან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე „...-ის“ მენეჯმენტის ყველა გონივრული მოთხოვნის განხორციელება. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2002წ. 28 თებერვლამდე. ხელშეკრულების მე-8 მუხლით კომპანია უფლებამოსილი იყო ვადამდე შეეწყვიტა წინამდებარე ხელშეკრულება კონსულტანტისათვის ერთი კალენდარული თვით ადრე წერილობითი შეტყობინების მიცემის გზით, სადაც მიუთითებდა ვადამდე შეწყვეტის მიზეზს.

სასამართლომ არასწორად მიიჩნია მხარეთა შორის დადებული გარიგება ნარდობის ხელშეკრულებად. პალატას მიაჩნია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

სკ-ს 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. პალატა თვლის, რომ შრომის ხელშეკრულება თავისი ბუნებით ნარდობის ხელშეკრულებას წარმოადგენს. შრომის ხელშეკრულებით მუშაკი ვალდებულია, შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო დაკავებული თანამდებობის, პროფესიის თუ კვალიფიკაციის მიხედვით, რასაც განსახილველ შემთხვევაში აქვს ადგილი.

პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ნარდობისაა, იმიტომ, რომ ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის შრომის შედეგი, მენარდე ქონებრივად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია შემკვეთისაგან და მას არ ექვემდებარება, შრომის ხელშეკრულებით კი მუშაკი ექვემდებარება ადმინისტრაციას (დამსაქმებელს), ის სამუშაოს ასრულებს შრომის შინაგანაწესის მიხედვით.

განსახილველ შემთხვევაში კონსულტანტი (ექსპერტი) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისას ექვემდებარება ადმინისტრაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში. შრომითი ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მუშაკის შრომის შედეგი, ისევე როგორც — ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში. მუშაკი ხშირად ასრულებს სამუშაოს პირადად და საკუთარი რისკით.

## საქმე № ას-215-520-04

## 9 ივნისი, 2004 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: უძრავ ნივთთან დაკავშირებული ნარდობის ხელშეკრულების ფორმა

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ შპს საინვესტიციო სამშენებლო კომპანია „კ-სსა“ და თ. ც-ეს შორის 1998წ. 12 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ აიღო ვალდებულება, გამოეყო და პირად საკუთრებაში გადაეცა სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ტერიტორიაზე მშენებარე ინდივიდუალური მრავალბინიანი სამსადარბაზო-ანი საცხოვრებელი სახლის მე-2 სადარბაზოში, მე-2 სართულზე ხუთოთახიანი ბინა № 18, რის საფასურად თ.ც-ეს კომპანიისათვის უნდა გადაეხადა 74400 აშშ დოლარი.

2000წ. 10 თებერვალს შპს საინვესტიციო სამშენებლო კომპანია „კ-სსა“ ანალოგიური ხელშეკრულება გააფორმა ი.დ-თან იმ განსხვავებით, რომ ბინის ნომრად მითითებული იყო 3/2, ხოლო ღირებულებად 84000 აშშ დოლარი.

სასამართლო პროცესზე მოდავე მხარეებმა დააზუსტეს სადავო ბინის ნომერი და მიუთითეს, რომ მისი მისამართია ... ქ.თბილისში.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ამ ბინის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია, ვინაიდან დავა შეეხებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობას უძრავ ნივთთან დაკავშირებით, მაგრამ ხელშეკრულება არ იყო დამოწმებული ნოტარიულად, ანუ არ იყო დაცული ფორმა ხელშეკრულების დადების შესახებ, ამიტომ იგი ბათილი იყო და არ წარმოშობდა ბინის გადაცემის ვალდებულებას.

სკ-ის 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წილისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. ამავე კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებით სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს.

სკ-ის 193-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოძრავი ნივთი ისეა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული, რომ იგი ამ ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი გახდა, მაშინ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, 150-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, იმავდროულად ხდება ნივთის მესაკუთრეც.

ზემოთ აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, ცხადია, რომ შენობა-ნაგებობებზე საკუთრების უფლების წარმოშობა დაკავშირებულია მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან, ვინაიდან ამ უკანასკნელზე საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი განსაზღვრავს არსებით შემადგენელ ნაწილზე საკუთრების უფლებას.

აქედან გამომდინარე, თუკი მიწის მესაკუთრე ამხანაგობა ან სხვა პირია, შპს საამშენებლო კომპანია „კ-სი“ მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილის აგებით ვერ გახდება ვერც მიწის ნაკვეთის და ვერც ამ ნაწილის მესაკუთრე. მას ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უფლება ექნება, შეასრულოს სამუშაო და შექმნას ნარდობის საგანი, საცხოვრებელი ბინა. ნარდობის ხელშეკრულება ვერ გახდება ნარდობის საგანზე მენარდის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი.

თუკი დადგინდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შპს საამშენებლო კომპანია „კ-სია“, მაშინ შეიძლება ადგილი ჰქონდეს უძრავი ქონების ნასყიდობას და გამოიყენება შესაბამისი წესები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკ-ის 623-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შორის ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობისას გამოიყენება ნასყიდობის წესები, თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი — ბინა გვაროვნულ ნივთს არ წარმოადგენს, ამიტომ საცხოვრებელი სახლის აშენების ნარდობის ხელშეკრულება ყოველთვის არ საჭიროებს სანოტარო ფორმის დაცვას.

### **საქმე № ას-323-307-2011**

**1 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება**

საგულისხმოა, რომ ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების (სამოქალაქო კოდექსის 629-656-ე მუხლები) არც ერთი დანაწესით კანონმდებელი იმპერატიულად არ აწესებს ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის შესაძლებლობას მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის გზით. მართალია ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების ფორმაზე, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტის შეუდგენლობა, იმ შემთხვევაში, თუ სხვა მტკიცებულებით უტყუარად დადასტურდება ვალდებულების შესრულების ფაქტი, არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი.

### **საქმე №ას-888-834-2012**

**30 დეკემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები (სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი)**

საერთო წესის მიხედვით, მენარდეს შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური. ამ წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადაჭარბებს, მას შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახარჯების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. ამ მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია, ანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მითითებული ნორმის მიხედვით, მენარდეს შეუძლია მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ა. მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით; ბ. მენარდემ მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას

მნიშვნელოვნად გადაატარა; გ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გათვალისწინება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას; დ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ მენარდემ დაუყოვნებლივ შეატყობინა შემკვეთს.

სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, რომ ყველა ზემოაღნიშნული პირობა ერთდროულად არსებობდეს. ამასთან, უპირველესად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა მხარეთა შეთანხმება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ვინაიდან ზემოხსენებული ნორმა განსაზღვრავს სწორედ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. საერთოდ, ხარჯთაღრიცხვა არის სპეციალური დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ნარდობის ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის რთული სამუშაოების შესრულებისას. ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს მყარი (როცა ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის) და მიახლოებითი (რომელიც სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს). თუ ხარჯთაღრიცხვა მიახლოებითია და მენარდე მას მნიშვნელოვნად გადაატარებს, აღნიშნულის თაობაზე მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემკვეთს. ასეთი ვალდებულების მენარდისათვის დაკისრების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუკი მენარდე არ შეატყობინებს შემკვეთს ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ და გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც შემკვეთი მენარდისაგან მიიღებს შეტყობინებას მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შესახებ, მას შეუძლია, მოითხოვოს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, თუ იგი თანახმაა, გადაიხადოს გაზრდილი ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი არ მოისურვებს გაზრდილი ანაზღაურების გადახდას, მას შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო. მითითებული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

ზემოთ აღნიშნა, რომ ხარჯთაღრიცხვა შეიძლება, ასევე იყოს მყარი, როდესაც ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის. მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შემთხვევაში მენარდე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნისას ვერ დაეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლს, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა. საერთო წესის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ვალდებულ პირს. თუ მოვალეს ვალდებულების შესრულება გაურთულდა ან მან დაკარგა ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, ეს მას არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან. მან თავად იკისრა ვალდებულების შესრულება და თავადვე უნდა ატაროს მისი შეუსრულებლობის რისკი. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი). შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორც სამართლებრივი საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე - მისი შემცირებით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება.

**განმარტების საგანი: ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო შემკვეთის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 633-ე მუხლი)**

უდავოა, რომ მოდავე მხარეებს შორის დაიდო ორი ხელშეკრულება სოფელ ...-ში და ...-ში სკოლების მშენებლობის თაობაზე. ორივე ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 27000 აშშ დოლარს, ამ თანხიდან მენარდეს ავანსის სახით მიღებული ჰქონდა 7000 აშშ დოლარი. მენარდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ბოლომდე არ შესრულებია იმის გამო, რომ დამკვეთმა ვადაზე ადრე შეწყვიტა ხელშეკრულება.

სასამართლოს ასევე დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება ბარალის ჩათვლით 102123 ლარს შეადგენს (ექსპერტის დასკვნა). მათ შორის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის, მუშახელისა და მექანიზმების მოცდენის გამო მიყენებული ზიანი 28114 ლარის ტოლია. მოპასუხე მართალია, არ ეთანხმება არც შესრულებული სამუშაოების ღირებულების ექსპერტისეულ გაანგარიშებას და არც ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრას, მაგრამ მას საწინააღმდეგო მტკიცებულებები არც რაიონულ სასამართლოში და არც სააპელაციო სასამართლოში არ წარუდგენია. შემოთმითითებული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების არსებობას.

სკ-ს 629-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უნდა შეესრულებინა ის სამუშაოები, რომელიც ხელშეკრულებაში იყო მითითებული, ხოლო შემკვეთს გადაეხადა 27000 დოლარი.

სკ-ს 631-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახარჯვის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მენარდისათვის წინასწარვე ცნობილი იყო გადახარჯვის შესაძლებლობა (იგი ტენდერში გამარჯვებული საზოგადოებაა და ხარჯთაღრიცხვა მის მიერვე შეგნებულად დაბალ ფასებში იყო გაანგარიშებული) მას უფლება არა აქვს ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბებისათვის მოითხოვოს შეთანხმებულ საზღაურზე მეტი.

მოცემულ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომ შემკვეთმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებამდე ვადაზე ადრე შეწყვიტა ხელშეკრულება სკ-ს 633-ე მუხლის შესაბამისად, მენარდეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სამუშაო ვადის სხვაგვარი გამოყენებით მიუღებელი შემოსავლისათვის, მაგრამ ეს ზიანი არ შეიძლება სცდებოდეს ხელშეკრულებით შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვას, ვინაიდან ხარჯთაღრიცხვაში სხვა საკითხებთან ერთად სამუშაო ძალის გამოყენების საზღაურიც შედის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ს 633-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არასწორად გამოიყენა და განმარტა სკ-ს 394-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 409-ე მუხლი.

სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სკ-ს 411-ე მუხლი, სწორად განმარტა იგი, მაგრამ ამ მუხლის შესაბამისად არასწორად განსაზღვრა ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა. სკ-ს 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვის. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მენარდემ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მიიღოს დანარჩენი 20000 აშშ დოლარი, რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შეესრულებინა შემკვეთს, ანუ ვადაზე ადრე რომ არ შეეწყვიტა ხელშეკრულება (დადგენილია, რომ ავანსის სახით მენარდეს მიღებული აქვს 7000 აშშ დოლარი).

**საქმე № ას-852-1076-04**

**22 მარტი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შემკვეთის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 633-ე მუხლი)**

სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. ამავე კოდექსის 633-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მენარდეს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს. შემკვეთი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა იგი არ შეასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ვადის გადაცილების ხანგრძლივობისა და საზღაურის ოდენობის შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, იმის მიხედვით, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადისათვის არ გადაეცინებინა. საოლქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიუთითა რა აღნიშნულ ნორმებზე, არ დაადგინა შეთანხმებული სამუშაოს შესრულებისათვის რა აუცილებელი მოქმედება არ შეასრულა კომპანია „ი.-მა“, რამ განაპირობა ნარდობის ხელშეკრულების შეუსრულებლობა და მის მიერ დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებით გამოირიცხა თუ არა სს „ა.-ის“ ბრალი ხელშეკრულების შეუსრულებლობაში.

სკ-ის 415-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში — თავიდან აცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.

ზემოთ მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უპირველესად ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით უნდა დაადგინოს მხარეთა ვალდებულების ფარგლები და მხოლოდ ორივე მხარის ბრალეულობის გათვალისწინებით იმსჯელოს მათი პრეტენზიების კანონიერებაზე და პასუხისმგებლობის შესაბამისობაზე ვალდებულების დარღვევასთან.

**საქმე № ას-87-82-2010**

**8 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა შეეხება ნარდობის ხელშეკრულების მოშლის საკითხს და ადგენს, რომ შემკვეთს უფლება აქვს, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ ნორმაში მითითებულ „ზიანში“ იგულისხმება მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი და არა მიუღებელი შემოსავალი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ნორმის ამგვარად განმარ-

ტების საფუძველი. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ — მიუღებელი შემოსავლისთვისაც. 636-ე მუხლიდან არ გამომდინარეობს, რომ იგი ნარდობის ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხს სხვაგვარად არეგულირებს და მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლებას მხარეს არ ანიჭებს.

**საქმე №ას-184-177-2013**

**1 ოქტომბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დამზადებული ნაკეთობის ნაკლის გავლენა შეთანხებული საზღაურის მოთხოვნის უფლებაზე**

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 642-ე-645-ე მუხლებით გათვალისწინებული დამკვეთის დამატებითი მოთხოვნის უფლებები არ გამოირიცხავს ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას. ბუნებრივია, თუ დამკვეთის პრეტენზიის საფუძველი საზღაურის გადახდამდე წარმოიშობა, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება შესაბამისად აისახება ანაზღაურებაზეც, მაგრამ, თუ მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს საზღაურის გადახდას ნივთის გადაცემამდე, დამატებითი მოთხოვნის უფლების შესაძლო არსებობა ამ ვალდებულებაზე გავლენას არ ახდენს. მით უფრო, რომ სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლის მიხედვით, მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება — ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. სააპელაციო სასამართლოს მტკიცებიდან გამომდინარე, თუ მენარდეს მხოლოდ მას შემდეგ წარმოეშობა ანაზღაურების მოთხოვნა, თუ დამკვეთი პრეტენზიას არ წარუდგენს, მაშინ იგულისხმება, რომ იგი ამ საპრეტენზიო ვადების გასვლასაც უნდა დაელოდოს, რაც, ცხადია, უსამართლოა და სამართლებრივად არასწორი.

#### **4.7. დავალები**

**საქმე № ას-188-522-05**

**20 სექტემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გასამრჯელო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისთვის (სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

2004 წ. 25 იანვარს დაიდო მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „დ.-მ“ მოთხოვნა 939 341 ლარზე დაუთმო ფიზიკურ პირ დ. ა.-ს

დ. ა.-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „თ.-ის“ მიმართ და მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 939 341 ლარის დაკისრება.

სკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მარწმუნებელი ვალდებულია, გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეებმა ხელშეკრულებით თანხის გადახდის წესი და ოდენობა განსაზღვრეს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ, სს „თ.-ის“ ვალდებულება შპს „დ.-ს“ წინაშე განისაზღვრა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იგი მოწინააღმდეგე მხარეს მოსთხოვდა და მიიღებდა საპროცესო ხარჯებს მის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. დადგენილია, რომ სს „ს.-ის“ სარჩელზე გაწეული იურიდიული მომსახურებისათვის სს „თ.-ის“ სასარგებლოდ სასამართლოს იურიდიული მომსახურების ხარჯის საკითხი არ გადაუწყვეტია მოთხოვნის არარსებობის გამო, ხოლო შპს „ქ.-ს“ მიმართ სს „თ.-ის“ სარჩელის განხილვისას მოსარჩელეს უარი ეთქვა წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებაზე დაუსაბუთებლობის გამო. მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შპს „დ.-ს“ სს „თ.-ის“ მიმართ მოთხოვნა არ გააჩნია. შესაბამისად, მოთხოვნა



არ გააჩნია დ. ა.-ს, ვინაიდან, სკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ.

კასატორის მითითება, რომ სასამართლოს გასამრჯელოს ოდენობა უნდა განესაზღვრა სკ-ის 710-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან, მითითებული ნორმის მიხედვით, გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა გენერალური ხელშეკრულებით, სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრეს გასამრჯელოს გადახდის წესი და ოდენობა. ამდენად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

## საქმე № ას-39-489-06

## 8 სექტემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: მარწმუნებლის გარდაცვალების განსხვავებული სამართლებრივი შედეგები რწმუნებულებისა და დავალების ხელშეკრულების არსებობის დროს

სკ-ის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა.

უფლებამოსილებით გამოხატულია უფლებამოსილების მიმცემის ნება, რომ ერთ პირს მეორის წინაშე აძლევს წარმომადგენლობით ძალაუფლებას. უფლებამოსილებით მყარდება უფლებამოსილების ურთიერთობა, ეს არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებას, წარმოადგინოს მარწმუნებელი. დავალების ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის, მინდობილობა მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილსა და მესამე პირს შორის, ანუ მინდობილობის ადრესატია მესამე პირი და ემსახურება მის წინაშე წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურებას.

რაც შეეხება დავალების ხელშეკრულებას, იგი გათვალისწინებულია 709-ე მუხლით. დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.

დავალების ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. დავალების ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური ხელშეკრულებაა. მისი მხარეებია, ერთი მხრივ, მარწმუნებელი, რომელიც დავალების მიმცემია და ამ სახის ურთიერთობებში კრედიტორის როლში გამოდის, ხოლო მეორე მხრივ, რწმუნებული, რომელიც კისრულობს დავალებული მოქმედების განხორციელებას და მონაწილეობს მოვალის მხარეზე. ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ამდენად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება და დავალების ხელშეკრულების დადება — ეს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართალურითობაა. დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ცალკეული მოქმედების შესასრულებლად შეიძლება გაიცეს მინდობილობა. შეიძლება არ დაიდოს დავალების ხელშეკრულება და გაიცეს მინდობილობა, ან პირიქით — დაიდოს დავალების ხელშეკრულება და არ გაიცეს მინდობილობა. ამდენად, მინდობილობას შეიძლება საფუძვლად დაედოს დავალების ხელშეკრულება და შეიძლება არ დაედოს.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაცემის, მისი მოცულობის, ხანგრძლივობისა და შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმები და დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები გამიჯნულია და განმტკიცებულია სკ-ის სხვადასხვა ნორმებით. შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტისა (სკ-ის 109-ე მუხ.) და დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის (სკ-ის 720-721-ე მუხ.) საფუძველები სკ-ის სხვადასხვა ნორმებით რეგულირდება.

სკ-ის 109-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით ან მისი ქმედუუნარობის დადგომით, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 109-ე მუხლის პრინციპია, რომ გარდაცვალება იწვევს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტას, თუმცა ამავე მუხლის „დ“ პუნქტით, თუ მას საფუძვლად დავალება (შეთანხმება) უდევს, მაშინ დამოკიდებულია დავალების ხელშეკრულების ბედზე. დავალების ხელშეკრულების ნორმებში კი პრინციპი განსხვავებულია.

სკ-ის 721-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება არ წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების გამო, თუკი სხვა რამ არ არის შეთანხმებული. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს, რომ დავალების მიმცემის გარდაცვალება, სხვა შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში, ავტომატურად არ იწვევს დავალების ხელშეკრულების მოშლას, რასაც მივყავართ იქამდე, რომ არც მინდობილობა უქმდება. მხოლოდ დავალების მიმცემის პიროვნებაში მოხდება ცვლა. გარდაცვლილი დავალების მიმცემს ენაცვლება მისი მემკვიდრე, რომელსაც შეუძლია ხელშეკრულების მოშლა, რაც უნდა აცნობოს რწმუნებულს. ვიდრე რწმუნებულს არ ეცნობება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, იქამდე ხელშეკრულება რწმუნებულისთვის გაგრძელებულად ჩაითვლება (სკ-ის 721-ე მუხლის მე-3 ნაწილი). 721-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ დავალების ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების გამო, ხელშეკრულება გაგრძელებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების აღსრულების დაყოვნება მემკვიდრეს ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის, მემკვიდრე კი არ იღებს აუცილებელ ზომებს. ამდენად, აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს მემკვიდრეთა დაცვას ზიანის მიყენების საფრთხისაგან და მარწმუნებლის გარდაცვალების შემდეგ რწმუნებულის მიერ დავალებული მოქმედების განხორციელებისას არ უნდა შეილახოს მემკვიდრეთა უფლებები.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ა. შ-ავამ მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა ნ. მ-შვილს. მხარეებს შორის დავალების ხელშეკრულება არ გაფორმებულა, ე.ი. მინდობილობას საფუძვლად არ უდევს შეთანხმება. ამდენად, რწმუნებულის მიერ მარწმუნებლის გარდაცვალების შემდგომ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, ვინაიდან, იგი არღვევს კანონით დადგენილ წესს (სკ-ის 54-ე მუხ.), ნ. მ-შვილის სახელზე გაცემული უფლებამოსილება გაქარწყლებული იყო 109-ე მუხლის „დ“ პუნქტით. გარდაცვლილის სახელით გარიგების დადება დაუშვებელი იყო, ვინაიდან მხარეებს შორის არ არსებობდა შეთანხმება.

კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილი მინდობილობა იგივე დავალების ხელშეკრულებაა და სასამართლოს ხელშეკრულება 721-ე მუხლის საფუძველზე გაგრძელებულად უნდა ჩაეთვალოს, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტით ა. შ-ავამ ნ. მ-შვილს მიანიჭა ბინის განკარგვის უფლებამოსილება. დოკუმენტს ხელს აწერს მხოლოდ ა. შ-ავა. ეს დოკუმენტი არ არეგულირებს ურთიერთობას წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის და მიმართულია უზრუნველყოს სამართლებრივი ურთიერთობა წარმოდგენილსა და მესამე პირს შორის. სადავო დოკუმენტი სწორედ ამ მიზნით იქნა გამოყენებული. ამ მინდობილობით ნ. მ-შვილმა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას დაადასტურა წარმომადგენლის ნება მესამე პირთან (თავის შვილთან) ბინის განკარგვის თაობაზე. მოპასუხემ მასა და ა.შ-ავას შორის რაიმე შეთანხმების არსებობა ვერ დაადასტურა. ამასთან, დავალების ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაშიც სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, ვინაიდან, ა.შ-ავას გარდაცვალების შემდეგ, სკ-ის 1319-1320-ე მუხლების შესაბამისად, გაიხსნა სამკვიდრო, შესაბამისად, წარმოიშვა მემკვიდრეობითი ურთიერთობა. მემკვიდრეებს წარმოეშვათ სამკვიდროს მიღების უფლება ექვსი თვის განმავლობაში და ამ ვადაში სამკვიდროს განკარგვა დაუშვებელია. მიღებული სამკვიდრო ითვლება მემკვიდრის საკუთრებად სამკვიდროს გახსნის დღიდან (სკ-ის 1424-ე, 1427-ე, 1433-ე მუხ.). შესაბამისად, გარდაცვლილი დავალების მიმცემს ენაცვლება მისი მემკვიდრე და რწმუნებული ვალდებული იყო ეცნობებინა მემკვიდრისათვის დავალების ხელშეკრულების არსებობის შესახებ და მიეღო ზომები მისი ინტერესების დასაცავად. თუ სხვა რამ არ იყო შეთანხმებული და მემკვიდრე არ მოშლიდა

ხელშეკრულებას, მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა ხელშეკრულება გაგრძელებულად. მოცემულ შემთხვევაში, მემკვიდრისათვის ცნობილი არ იყო მიწდობილობის არსებობის შესახებ, არც ნ. მ-შვილმა აცნობა მას და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ, მალულად, გაასხვისა სამკვიდრო. ამდენად, ამ მიწდობილობის დავალების ხელშეკრულებად მიჩნევის შემთხვევაშიც, რწმუნებულმა არ დაიცვა 721-ე მუხლის მოთხოვნები და შელახა მემკვიდრის უფლებები, შესაბამისად, ხელშეკრულება გაგრძელებულად ვერ ჩაითვლებოდა.

## 4.8. საკუთრების მიწდობა

საქმე № 3კ/787-01

14 სექტემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: განსხვავება დავალების ხელშეკრულებასა და საკუთრების მიწდობას შორის (სამოქალაქო კოდექსის 709-ე და 724-ე მუხლები)**

სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის შესაბამისად საკუთრების მიწდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიწდობი გადასცემს ქონებას მიწდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიწდობის ინტერესების შესაბამისად.

ამავე კოდექსის 725-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მიწდობილი მესაკუთრე მოვალეა მართოს მიწდობილი ქონება (მოცემულ შემთხვევაში — პარტნიორის წილი) თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიწდობის რისკითა და ხარჯით. 727-ე მუხლის შესაბამისად საკუთრების მიწდობის ხელშეკრულება იდება წერილობით, ხოლო 723-ე მუხლის შესაბამისად საკუთრების მიწდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესები. სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის შესაბამისად დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მიწდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. ამავე კოდექსის 716-ე მუხლის შესაბამისად ქონება, რომელიც მარწმუნებელმა გადასცა რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესასრულებლად, კრედიტორებთან რწმუნებულის ურთიერთობაში ჩაითვლება მარწმუნებლის ქონებად და რწმუნებული 719-ე მუხლის შესაბამისად პასუხისმგებელია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ზიანზე, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, შპს-ში წილის გასხვისებას უთანაბრდება წილის მიწდობილ საკუთრებად გადაცემა.

საკუთრების მიწდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქონების მართვა მიწდობილი მესაკუთრის საქმიანობად მიიჩნევა, რომელსაც მიწდობილი მესაკუთრე ახორციელებს საკუთარი სახელით, მაგრამ საკუთრების მიწდობის რისკითა და ხარჯით. დავალების ხელშეკრულებით კი რწმუნებული კისრულობს ვალდებულებას მისთვის დავალებული (მიწდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედების განხორციელებისათვის მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით, ანუ მისი მოქმედების შედეგად მესამე პირებთან წარმოშობილ ურთიერთობის მონაწილე ხდება მარწმუნებელი, რაც ფაქტობრივად განასხვავებს მას საკუთრების მიწდობის ხელშეკრულებისაგან, რომლის საფუძველზეც მიწდობილი მესაკუთრე თვითონ კისრულობს ვალდებულებას, მართოს მიწდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიწდობის რისკითა და ხარჯით, ანუ მიწდობილი მესაკუთრე ქონების მართვისას მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის საკუთარი სახელით. უფრო მეტიც, მესამე პირებთან ურთიერთობაში მიწდობილი მესაკუთრე სარგებლობს მესაკუთრის უფლებით (სამოქალაქო კოდექსის 729-ე, 725-ე მუხლები).

მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ ა. ა-ძეს მიეცა უფლება, წარმოედგინა ჯ. შ-ძის და ა. ლ-ს ინტერესები ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და კერძო სტრუქტურებში შპს „ჯ.-ში“ მათი კუთვნილი წილის მართვასთან დაკავშირებით და ამასთან დაკავშირებით განეხორციელებინა ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან. დავალება განისაზღვრა ერთი წლის ვადით. მითითებული მიწდობილობით ა. ა-ძეს მარწმუნებლებმა საკუთრება (წილი)

კი არ მიანდეს, არამედ დაავალეს გარკვეული მოქმედების განხორციელება დროებით მარწმუნებლის სახელით. ამ დავალებით რწმუნებულის მიერ მესამე პირებთან წარმოშობილ ურთიერთობის მონაწილე გახდა მარწმუნებელი და არა რწმუნებული, როგორც ეს საკუთრების მინდობის დროს ხდება, რადგან მოცემულ შემთხვევაში 2000 წლის 9 აგვისტოს, მინდობილობებით რწმუნებულს საკუთრება (წილი) კი არ გადაეცა, არამედ დავალა მარწმუნებელთა ინტერესების სასარგებლოდ მინდობილობით წილის მართვა გარკვეული დროის ვადით.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მოპასუხის მოქმედება განხილულ იქნეს წილის მინდობილი საკუთრების გადაცემად. იგი დავალების ხელშეკრულებაა და ამდენად, ასეთი დავალების შესრულებისას საჭირო არაა იგივე წესების გამოყენება, რაც მეწარმეთა კანონის შესაბამისად წილის განსხვავებისათვისაა საჭირო.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს-ში არსებული წილის (საკუთრების) მინდობა კი არ განხორციელდა, არამედ შპს „გ.-ში“ პარტნიორთა წილის მართვასთან დაკავშირებით პარტნიორთა ინტერესების სასარგებლოდ, მათივე სახელით, დროებით ყველა ღონისძიების განხორციელების უფლებით აღიჭურვა რწმუნებული და ეს ფუნქცია მას უნდა განეხორციელებინა მარწმუნებლის მიერ მიცემული ცალკეული დავალების შესაბამისად მარწმუნებლის სახელით, მარწმუნებლის ინტერესების სასარგებლოდ, მარწმუნებლის ხარჯზე.

სამოქალაქო კოდექსის 727-ე მუხლის შესაბამისად საკუთრების მინდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. ამის დაუცველობა იწვევს მის ბათილობას, რადგან საკუთრების მინდობის ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებას მიეკუთვნება, ამიტომ მისი დადებისათვის აუცილებელია მხარეთა შეთანხმება არა მხოლოდ წერილობით, არამედ აუცილებელია ქონების გადაცემაც მინდობილი მესაკუთრისათვის.

ვინაიდან ქონების (წილის) გადაცემას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, თავისთავად იგულისხმება, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულებაც არ დადებულა, მითუმეტეს, 2000 წლის 9 აგვისტოს მინდობილობებში არაა მითითებული იმის შესახებ, რომ მარწმუნებელი რწმუნებულს გადასცემდა წილს და მესამე პირებთან ურთიერთობაში ამ წილის მართვის უფლებას თავისი (რწმუნებულის) სახელით. აქედან გამომდინარე, მითითებული მინდობილობა არაა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, იგი დავალების ხელშეკრულებაა.

## საქმე №ას-1300-1227-2012

1 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობა საკუთრების მინდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისას (სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქმეში წარმოდგენილი 1-7230 მინდობილობა, რომლითაც დასტურდება, რომ 2007 წლის ცხრა ივლისს გარდაცვლილმა ვ. ხ-ამ, როგორც საკუთრების მიმნდობმა, მ. გ-ეს, როგორც მინდობილ მესაკუთრეს, მიანიჭა ქ.ბათუმში, გ-ის ქუჩა № 26/10-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე მართვისა და განკარგვის უფლება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ხსენებული უფლებების რეალიზაციის ფარგლებში წარმოადგენდა საკუთრების მიმნდობს — ვ. ხ-ას.

2007 წლის 11 ივლისს ბ. „რ-ა“ და მ. გ-ეს შორის დაიდო გენერალური ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელმა კრედიტის სახით მიიღო 20000 აშშ დოლარი.

2007 წლის 18 ივლისს ი. გ-ე გახდა მ. გ-ის თავდები ბ. „რ-ან“ გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების შესრულებაზე.

2007 წლის 11 ივლისს ბ. „რ-ა“ და ვ. ხ-ას მინდობილ პირს, მ. გ-ეს, შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც სადავო საცხოვრებელი ბინა უზრუნველყოფდა ბანკსა და მ. გ-ეს შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბანკის მოთხოვნებს.

ბ. გ-ემ დაარღვია ბ. „რ-ან“ 2007 წლის 11 ივლისს დადებული ხელშეკრულება, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბ. და ი. გ-ს სოლიდარულად დაეკისრათ ბანკის სასარგებლოდ 32992.16 აშშ დოლარის გადახდა. ამავ გადაწყვეტილებით ვალი უნდა დაიფაროს იპოთეკით დატვირთული, აწ გარდაცვლილი ვ. ხ-ას კუთვნილი, უძრავი ქონების რეალიზაციით.

ზემოთ მითითებული ფაქტებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ასკვნის, რომ ბინა, რომელიც იპოთეკით იქნა დატვირთული ბ. გ-ის ბანკის წინაშე აღებული ვალის უზრუნველსაყოფად და რომლის იძულებითი რეალიზაციაც იქნა დადგენილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გაყიდული არ არის და, შესაბამისად, ზიანიც არ არსებობს. სააპელაციო სასამართლო სხვა სამართლებრივ ნორმებთან ერთად უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ ბ. და ი. გ-ის მიერ არ დგინდება ა. ე-ის მიმართ განზრახ ან გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რის გამოც ამ უკანასკნელმა, როგორც ვერა ხვიჩიას მემკვიდრემ, მიიღო ზიანი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის დადებულია საკუთრების მიწოდების ხელშეკრულება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ხელშეკრულება, შესაბამისად, სადავო ურთიერთობაზე გაავრცელა დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის), რაც არ გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან მხარეთა ურთიერთობა წარმოიშვა საკუთრების მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის თანახმად, საკუთრების მიწოდების ხელშეკრულებით საკუთრების მიმწოდებელს გადასცემს ქონებას მიწოდებელ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმწოდების ინტერესების შესაბამისად.

განსახილველი მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, ის უფლებები და ვალდებულებები, რომელიც გააჩნდა ბ. გ-ეს ამ ხელშეკრულების საფუძველზე არ შეიძლება განხორციელდეს საკუთრების მიმწოდების (ვ. ხ-ას) ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ქონების მართვასა და განკარგვას მიწოდებელი მესაკუთრე ახორციელებს, ხოლო ამ ქონების მართვასა და განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელი, ნაყოფი, შემოსავალი და ა.შ. ეკუთვნის საკუთრების მიმწოდებს. საკუთრების მიწოდების ინსტიტუტი წარმოადგენს არაპირდაპირ წარმომადგენლობას, რადგან მიწოდებელი მესაკუთრე მართავს მიწოდებელ საკუთრებას საკუთრების მიმწოდების რისკითა და ხარჯით, მაგრამ თავისი სახელით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ამის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებზე, რომლის თანახმად 2007 წლის 11 ივლისს ბ. „რ-ა“ და ბ. გ-ეს შორის დაიდო გენერალური ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელმა მიიღო კრედიტი — 20000 აშშ დოლარი.

ამდენად, ისმის კითხვა: თუ სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ვ. ხ-ას, როგორც საკუთრების მიმწოდების და ბ. გ-ეს, როგორც მიმწოდებელ მესაკუთრეს შორის დადებულ იქნა საკუთრების მიწოდების ხელშეკრულება, ხოლო ბ. გ-ემ და არა ვ. ხ-ამ ან სხვა პირმა, ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო კრედიტი — 20000 აშშ დოლარი, მაშინ მიწოდებელი მესაკუთრის მიერ საკუთრების მიმწოდების რომელი ინტერესი იქნა დაცული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკუთრების მიწოდების ინსტიტუტი არ მოითხოვს მიწოდებელი მესაკუთრის ბრალის შეფასებას. რა თქმა უნდა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სახელშეკრულებო ვალდებულებებთან მიმართებით მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში შეიძლება ვიგულისხმოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა და არაჯეროვანი შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას). საკუთრების მიწოდების ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს

მინდობილი მესაკუთრის მიერ მისთვის გადაცემული მინდობილი საკუთრების მართვას საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად.

ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება იწვევს მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობას, ე.ი. თუ მინდობილი მესაკუთრე, საკუთრების მიმდობის ინტერესების საწინააღმდეგოდ, არ იჩენს ისეთ გულისხმიერებას, როგორც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა, იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება).

ამდენად, საკუთრების მინდობის ინსტიტუტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მინდობილი მესაკუთრის მოქმედებები ყოველთვის უნდა შეფასდეს საკუთრების მიმდობის ინტერესების ჭრილში.

## 4.9. მიბარება

**საქმე № ას-772-1045-05**

**5 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მიბარების ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 763-ე მუხლი)**

სკ-ის 763-ე მუხლის თანახმად, მიბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს, შეინახოს მიბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი. მიბარების ხელშეკრულების საგანი ნივთის შენახვისათვის მომსახურების გაწევა და ამ ურთიერთობის ობიექტად შესანახი ნივთი გვევლინება, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც ინდივიდუალური, ასევე, გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ბანკის წარმომადგენლებისათვის უცნობი იყო შენახული ნივთის ღირებულების თაობაზე, მაგრამ ხელშეკრულების შინაარსით და საქმის გარემოებებით ცხადია, ბანკისთვის ცნობილი იყო, რომ სადებოზიტო სეიფი გამოიყენებოდა ფულისა და სხვა ძვირფასეულობის შესანახად. სასამართლოს ეს დასკვნა ემყარება ბანკის მიერ საქმეზე წარმოდგენილ შესაგებელს, სადაც განმარტებულია, რომ „ბანკსა და კლიენტს (ამ შემთხვევაში მოსარჩელეებს) შორის იდება ხელშეკრულება დეპოზიტურ სეიფში ფულისა და ძვირფასეულობის შენახვის შესახებ, რაც გულისხმობს დეპოზიტური სეიფის მთლიანობის დაცვაზე პასუხისმგებლობას, ე.ი. პასუხისმგებლობას გატეხვასა და სხვაგვარი დაზიანებისაგან დაცვაზე.... ამავ სეიფში არსებული ძვირფასეულობა ხელუხლებელი იყო, რასაც ადასტურებენ ბანკის თანამშრომლები“. ვარაუდს, რომ ბანკისათვის ცნობილი იყო შესანახი ნივთის თვისების შესახებ, ამყარებს ასევე მოდავე მხარეთა შორის 1999წ. 19 აპრილს დადებული ხელშეკრულება დეპოზიტური სეიფით სარგებლობის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების 2.2 მუხლით ბანკი გარანტიას იძლევა დეპოზიტურ სეიფში მოთავსებულ ფასეულობათა შენახვისა და მათი საიდუმლოების უზრუნველყოფაზე. ის გარემოება, რომ ბანკისათვის უცნობი იყო შენახული ნივთის ღირებულება, მეტყველებს სარგებლის მიღების მიზნით გაწეულ მხარის რისკზე, რაც დამახასიათებელია სამოქალაქო ბრუნვისათვის.

საკულისხმოა, რომ კანონი შენახვის განსხვავებულ წესს ადგენს იმისდა მიხედვით, მიბარება უსასყიდლოა თუ სასყიდლიანი. ამავ კოდექსის 765-ე მუხლის თანახმად, თუ მიბარება უსასყიდლოა, მაშინ შემნახველი ვალდებულია, ისეთივე კეთილსინდისიერებით შეინახოს ნივთი, როგორითაც საკუთარ ნივთს შეინახავდა. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ უსასყიდლო მიბარების შემთხვევაშიც შემნახველს გარკვეული პასუხისმგებლობა მოეთხოვება მიბარებული ნივთის შენახვაზე. კანონის დათქმა, რომ უსასყიდლო მიბარებისას შემნახველი ნივთს ისე უნდა გაუფრთხილდეს, როგორც საკუთარს, მოიპოვებს, რომ შემნახველი პასუხისმგებლობითა და მზრუნველობით ეკიდება საკუთარ ნივთს. ამდენად, საკუთარი ნივთებისადმი შემნახველის უყარათო დამოკიდებულება არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან მიბარებულ ნივთთან მიმართებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ნივთის სასყიდლიანი შენახვისას შემნახველს გაძლიერებული გულისხმიერება და პა-

სუსისმგებლობა უნდა მოეთხოვებოდეს, ვიდრე უსასყიდლო შენახვისას, მიუხედავად იმისა, მხარეები შეთანხმებული არიან თუ არა ვალდებულების ფარგლებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემნახველ ქ.ბ.-ს მოთხოვნა შენახული ნივთის დაბრუნების თაობაზე საფუძვლიანია, ვინაიდან, სკ-ის 770-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მიმბარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიბარებული ნივთის დაბრუნება.

სამოქალაქო კოდექსი მხარეებისაგან მოითხოვს რა ურთიერთპატივისცემასა და გულისხმიერებას კონტრაქტთან მიმართებაში, ორივე მხარეს ამ მხრივ შეთანხმებულზე უფრო მეტ ვალდებულებას აკისრებს. სწორედ ეს ვალდებულებაა დაწესებული სკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომლის ძალითაც, თავის შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

სს „ს.-ი“ სარჩელში მითითებული გარემოების საწინააღმდეგო არგუმენტაციას ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ დეპოზიტური სეიფის მექანიკური დაზიანების შემთხვევაში წარმოიშობოდა. ამ განმარტებით ბანკი აღიარებს რა თავის პასუხისმგებლობას სეიფის დაცვაზე, ვერ ასაბუთებს პასუხისმგებლობის თუნდაც ამგვარი შეზღუდვის საფუძვლიანობას ვერც მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებით და ვერც სამართლებრივ ნორმაზე მითითებით. ამასთან, მხარეთა შორის ურთიერთობა წარმოშობილია რა სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე, სკ-ის 346-ე მუხლის თანახმად, ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანო ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამდენად, ბანკს მხარესთან შეთანხმებით კიდევაც რომ შეეზღუდა თავისი პასუხისმგებლობის ფარგლები, ხელშეკრულების ეს პირობა დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ბათილია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში იქნებოდა სწორედ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო დათქმა. როგორც გადაწყვეტილების კვლევიტ ნაწილში აღინიშნა, მხარეთა შორის ურთიერთობა სადავო შემთხვევამდე სულ ცოტა სამი წლით ადრე წარმოიშვა და სადავო ფაქტამდე გრძელდებოდა, რაც აშკარად მიანიშნებს კასატორთა ნდობაზე კონტრაქტისადმი. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში კონტრაქტს წარმოადგენს მეწარმე სუბიექტი, რომელსაც საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლება სახელმწიფოსგან გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე აქვს მოპოვებული და არსებობს პრეზუმფცია მისი საქმიანობის საამისოდ არსებული ნორმატიული აქტებით მკაცრად განსაზღვრული წესების დაცვით წარმართვისა. უდავოა, ასეთი კონტრაქტისადმი ნდობის ხარისხი უფრო მაღალია, რასაც ადასტურებს ბანკის კლიენტების მიერ ბანკისათვის სხვადასხვა მიზნით (ანაბარი, ანგარიშსწორების ანგარიში და სხვა) თავიანთი ქონების გადაცემა. ბანკისათვის ქონების სხვადასხვა საფუძვლით გადაცემასთან მიმართებაში მხარის რისკს უპირველესად თავისი კონტრაქტის საიმედოობა და ქონების მომეტებულად დაცვის ვარაუდი განაპირობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, უტყუარად და სარწმუნოდ მიიჩნევს კასატორის განმარტებას სადეპოზიტო სეიფში თანხის რეგულარულად შენახვისა და დაკარგული თანხის ოდენობის თაობაზე. მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებათა საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, სს „ს.-ის“ მხარეზეა, რისი დამტკიცებაც მხარემ ვერ შეძლო.

**საქმე № ას-496-808-05**

**22 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მიბარების ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 763-ე მუხლი)**

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ს.-სა და ს. ს.-ს შესანახად მიბარებული ჰქონდათ სავაჭრო საქონელი ხაშურში, ... მცხოვრებ ნ. ჩ.-ის საცხოვრებელ ბინაში. 2002წ. 7 ოქტომბერს ლამის საათებში დაუდგენელმა პირებმა შეაღწიეს ჩ.-ის საცხოვრებელ ბინაში და გაიტაცეს იქ შესანახად მიბარებული მოქალაქეების ნ. ს.-სა და ს. ს.-ის სავაჭრო საქონელი მამაკაცის, ქალის და ბავშვის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ საქმეზე შეჩერდა წინასწარი გამო-

ძიება ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მისაცემი პირის დადგენამდე; ხოლო ნ. ს.-ა და ს. ს.-ე დაზარალებულად იქნენ ცნობილი. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებით და ჩ.-ის ჩვენებით დგინდება, რომ სადავო ოთახის გასაღები, სადაც მოსარჩელეთა ნივთები იყო მოთავსებული ინახებოდა ყოველთვის მოპასუხესთან; ნივთების დაკარგვის შემთხვევაში ანაზღაურებაზე მხარეთა შორის იყო ზეპირი შეთანხმება. სააპელაციო პალატამ მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოიყენა სკ-ის 763-ე მუხლი, რომლის თანახმად მიბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი. სასამართლომ ამავე კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ჩათვალა, რომ საქმის მასალების თანახმად ხელშეკრულების არსებით პირობებზე მხარეები შეთანხმებულები იყვნენ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ საქმეში მოცემულია მოპასუხისათვის მოსარჩელეთა ნივთების დაკარგვის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების დამადასტურებელი მტკიცებულება. საქმეში მოცემულია ნ. ჩ.-ის მეუღლე მ. ჩ.-ის მოწმის სახით დაკითხვის ოქმი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მიბარებულ საქონელზე პასუხისმგებლობა არ ჰქონდათ ნაკისრი. სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოიყენა საქართველოს სკ-ის 763-ე მუხლი, რომლის თანახმად მიბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია მისცა მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას, სასამართლოს თავდაპირველად უნდა გაერკვია ნ. ჩ.-მ იკისრა თუ არა მოსარჩელეთა საქონლის შენახვისა და დაცვის ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 763-ე მუხლის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ მიბარების ხელშეკრულების საგანი ნივთის (საქონლის)

შენახვისათვის მომსახურების გაწევაა, რაც შემნახველის მიერ ამ ნივთზე კონტროლის დაწესებასა (დაცვასა) და მის მოვლა-პატრონობაში გამოიხატება. მართალია ამ ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება იყოს, როგორც ინდივიდუალური ნივთი, ისე გვაროვნული ნივთი განსაზღვრული ნივთი, მაგრამ შესანახად მიბარებული ნივთის სახეობის, რაოდენობის თაობაზე მხარეთა შორის კონკრეტული შეთანხმება უნდა არსებობდეს. ამასთან, მიმბარებელმა ნივთი შესანახად უშუალოდ უნდა გადასცეს შემნახველს. სააპელაციო სასამართლომ არ გაარკვია, მხარეთა შორის თუ არსებობდა შეთანხმება იმის შესახებ, რა რაოდენობის და სახეობის საქონელი უნდა შეენახა მოპასუხეს. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის კონკრეტული ფართის გამოყოფა და მოსარჩელეთა მიერ ამ ფართით სარგებლობისათვის თანხის გადახდა მიუთითებს იმაზე, რომ მხარეთა შორის მიბარების ხელშეკრულება არსებობდა.

## **საქმე № ას-938-1217-05**

**21 ივლისი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: მიბარების ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 763-ე მუხლი)**

2004 წ. 31 იანვარს გ.მაკანტალაშვილმა მისი კუთვნილი მანქანა „მერსედეს ბენცი“ დააყენა შპს „ინტერსერვისის“ სადგომზე, საიდანაც ავტომობილი დაიკარგა;

შპს „ინტერსერვისის“ მიერ გაცემულ იქნა ქვითარი № 31, რომელიც მხოლოდ მანქანის პარკირებას ადასტურებს;

შპს „ინტერსერვისის“ წარმოადგენს ავტობაზრობას. იგი თავის ტერიტორიას უთმობს ავტომფლობელებს ნივთის გასაყიდად, რის გამოც იღებს კიდევ მოსაკრებელს. ამასთან, იგი იბარებს ავტომობილებს შესანახად. მიბარების ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ავტომობილი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში და გაიცემა ქვითარი, რაზეც ერთჯერადაა შტამპი.

გ. მაკანტალაშვილსა და შპს „ინტერსერვისის“ მომსახურე პერსონალს შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა იმ მომენტიდან, როდესაც ავტომანქანის მესაკუთრემ (კასატორმა) მიიღო ქვითარი. აღნიშნული ქვითარი წარმოადგენს ორმხრივი ნების გამოვლენას ანუ გარიგებას. სსკ-ის 50-ე მუხლის მი-



ხედვით, „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის“. გარიგების შინაარსი, თუ ნება წერილობითი ფორმით არის გამოვლენილი, სწორედ წერილობით შედგენილი დოკუმენტიდან დგინდება. ამ შემთხვევაში შპს „ინტერსერვისის“ მიერ გაცემული № 31 ქვითრიდან. აღნიშნულ ქვითარზე ზუსტად არის მოცემული ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც, ერთი მხრივ, შპს „ინტერსერვისსა“ და, მეორე მხრივ, გ. მაკანტალაშვილს ეკისრებოდა, კერძოდ, შპს „ინტერსერვისისათვის“ გ. მაკანტალაშვილს უნდა გადაეხადა ერთი ლარი და აღნიშნული ქვითარი წარედგინა ტრანსპორტის ტერიტორიიდან გაყვანის დროს, ხოლო შპს „ინტერსერვისს“ ეკისრებოდა მოვალეობა, მიეცა ავტოტრანსპორტის მფლობლისათვის მანქანის პარკირების შესაძლებლობა. სკ-ის 763-ე მუხლის თანახმად, „მიბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი“. ამდენად, ზემოაღნიშნული ქვითრის მეშვეობით მხარეთა ნება იმდენად ერთმნიშვნელოვნადაა გამოვლენილი, რომ არ იძლევა გარიგების შინაარსში შეცდომის დაშვების შესაძლებლობასა და, სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, გამოვლენილი ნების ახსნა-განმარტების საჭიროებას. შესაბამისად, გ. მაკანტალაშვილსა და შპს „ინტერსერვისს“ შორის დადებული გარიგება ვერ ჩაითვლება მიბარების ხელშეკრულებად. აღნიშნული ქვითრის თანახმად, ავტოტრანსპორტის მფლობელს ენიჭებოდა მხოლოდ პარკირების უფლება, ხოლო შპს „ინტერსერვისს“ მომხმარებლისათვის პარკირების შესაძლებლობის მინიჭების მოვალეობა. „პარკირება“ უცხო სიტყვის „კალკია“ ქართულ ტერმინოლოგიაში. იგი შვეიცარული წარმოშობისაა და ნიშნავს მანქანის გაჩერებას ავტოსადგომზე. თავისთავად, პარკირება არ გულისხმობს ავტოტრანსპორტის შესანახად მიბარებას, თუ პარკირების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

იმისათვის რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება მიბარების ხელშეკრულებად იქნას მიჩნეული, კანონი იმპერატიულად აწესებს მიბარების ხელშეკრულების არსებითი პირობის, კერძოდ, შემნახველის მიერ შენახვის ვალდებულების რეგლამენტირებას აღნიშნულ ხელშეკრულებაში. სადავო ქვითარი არ ითვალისწინებს მიბარების ხელშეკრულების არსებით პირობებს, შესაბამისად, გ. მაკანტალაშვილსა და შპს „ინტერსერვისს“ შორის დადებული ხელშეკრულება მიბარების ხელშეკრულებას არ წარმოადგენს.

**საქმე № ას-250-571-04**

**6 ივლისი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მიბარებული საქონლის დაკარგვით ან/და დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 785-ე მუხლი)**

პალატა თვლის, რომ სასამართლოს მიერ არასწორადაა განმარტებული სკ-ის 785-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, შემნახველი პასუხისმგებელია გადაცემული საქონლის დაკარგვით ან დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის. მოცემულ მუხლში ლაპარაკია მხოლოდ მიყენებული ზიანისა და არა პროდუქციის ღირებულების ანაზღაურებაზე. ზიანის ანაზღაურება, სკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, თვითონ მოიცავს ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას.

#### **4.10. დაზღვევა**

**საქმე № ას-719-674-2010**

**27 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დამზღვევის ინტერესის დაკარგვის გამო სადამზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტა (სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 17 აპრილს ა. მ-ქესა და სს საერთაშორისო სადამზღვევო კომპანია „ი.-ს“ შორის გაფორმდა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება;

მხარეთა შეთანხმებით სიცოცხლის დაზღვევის პერიოდი განისაზღვრა 2008 წლის 17 აპრილიდან 2009 წლის 16 აპრილამდე დროის მონაკვეთით, სადაზღვევო პრემია — 8925 აშშ დოლარით, პრემიის გადახდის წესი — ორჯერადი შენატანით. პირველი სადაზღვევო შესატანი გადახდილი უნდა ყოფილიყო არაუგვიანეს 2008 წლის 25 აპრილამდე (4462.5 აშშ დოლარი), მეორე კი — არაუგვიანეს 2008 წლის 25 ოქტომბრამდე (4462.5 აშშ დოლარი);

ა. მ-ქმ 2008 წლის 24 აპრილს გადაიხადა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილი 4462.5 აშშ დოლარი, იმ დროისათვის არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში — 6505 ლარი; სადაზღვევო პრემიის მეორე ნაწილი 4462.5 აშშ დოლარი ა. მ-ქს არ გადაუხდია.

განსახილველ შემთხვევაში, სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი.-ი“ (მზღვეველი) ა. მ-დისაგან (დამზღვევი) მოითხოვს სადაზღვევო შესატანის მეორე ნაწილის გადახდას.

კასატორს (დამზღვევს) მიაჩნია, რომ არ არსებობს მისგან სადაზღვევო შესატანის მეორე ნაწილის მოთხოვნის საფუძველი, ვინაიდან მან დაზღვევის მიმართ დაკარგა ინტერესი, რაც სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მზღვეველს აძლევს სადაზღვევო შესატანის მხოლოდ იმ ნაწილის მოთხოვნის უფლებას, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლი და სათანადო შეფასება არ მისცა მხარეთა შორის 2008 წლის 17 აპრილს დადებულ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება დაიდო საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კერძოდ, 2007 წლის 26 დეკემბერს სს „... ბანკსა“ და შპს „ი-2000-ს“ შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის 8.2 პუნქტის მიხედვით, შპს „ი 2000-ის“ 100%-იანი წილის მფლობელ ა. მ-ქს 2008 წლის 1 თებერვლამდე უნდა დაეზღვია საკუთარი სიცოცხლე სს „... ბანკის“ სასარგებლოდ 1000000 აშშ დოლარად, 12 თვის ვადით, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ი 2000-ზე“ სესხის სახით გაიცა 800000 აშშ დოლარი, რომელიც ამ უკანასკნელმა დააბრუნა 2008 წლის 5 ივნისისათვის, ანუ ა. მ-ქს მიერ სადაზღვევო პრემიის მეორე ნაწილის გადახდის ვადის დადგომამდე. შესაბამისად, 2008 წლის 5 ივნისისათვის ა. მ-ქს აღარ გააჩნდა ინტერესი მისი სიცოცხლის დაზღვევის მიმართ. სწორედ ამიტომ არ გადაიხადა მან სადაზღვევო პრემიის მეორე ნაწილი.

სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ დაზღვევის ინტერესი დაიკარგა, მაშინ მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდაც.

მითითებული ნორმა არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამზღვევი კარგავს ინტერესს დაზღვევის მიმართ, რის გამოც შეიძლება შეწყდეს დაზღვევის ხელშეკრულება, მაგრამ მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს ასევე მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდაც. ამდენად, მითითებული ნორმა აწესრიგებს დაზღვევის მიმართ დამზღვევის ინტერესის დაკარგვის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს.

მოცემულ შემთხვევაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, შეწყდა თუ არა დაზღვევის ხელშეკრულება დაზღვევის მიმართ დამზღვევის ინტერესის დაკარგვის გამო და აქვს თუ არა მზღვეველს დამზღვევისაგან სადაზღვევო შესატანის გადაუხდეელი ნაწილის მოთხოვნის უფლება.

დაზღვევის მიმართ დამზღვევის ინტერესის დაკარგვის საკითხის გასარკვევად უნდა შეფასდეს მხარეთა შორის დადებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსი. მითითებული ხელშეკრულების მიხედვით, მზღვეველია სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი.-ი“, ხოლო დამზღვევი — ა. მ-ქ. ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია მოსარგებლე, ანუ პირი, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა. კერძოდ, ხელშეკრულების მიხედვით, პირველი რიგის მოსარგებლეა სს „... ბანკის“ ბათუმის ფილიალი, ხოლო მეორე რიგის მოსარგებლე — დამზღვევის მემკვიდრე (კანონით ან ანდერძით).

ხელშეკრულების საგანია მზღვეველის ვალდებულება, დამზღვევის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ, გადაუხადოს მოსარგებლეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, რომელიც განპირობებულია მხოლოდ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამზღვევის შესაძლო გარდაცვალებით. სადაზღვევო ანაზღაურების თანხის მიძღვნილი ხელშეკრულების თანახმად არის მხოლოდ მოსარგებლე. ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მიხედვით, სადაზღვევო ლიმიტი, ისევე როგორც სადაზღვევო ანაზღაურების თანხა შეადგენს 1000000 (ერთ მილიონ) აშშ დოლარს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის წესი. კერძოდ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში სადაზღვევო ანაზღაურება გადახდილი იქნება შემდეგი წესით: პირველ რიგში სადაზღვევო ანაზღაურების თანხიდან დაფარული იქნება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში არსებული დამზღვევის საკრედიტო დავალიანება (კრედიტის ძირითადი თანხა და კრედიტით სარგებლობისათვის დარიცხული საპროცენტო სარგებელი) სს „... ბანკის“ ბათუმის ფილიალის (პირველი რიგის მოსარგებლე) წინაშე 2006 წლის 31 ივლისს გაფორმებული ..., 2007 წლის 27 ივლისს გაფორმებული ... და 2007 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული ... გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებების თანახმად; მეორე რიგში — საკრედიტო დავალიანების დაფარვის შემდეგ სადაზღვევო ანაზღაურების დარჩენილი ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაეცემა მეორე რიგის მოსარგებლეს. ამდენად, მეორე რიგის მოსარგებლისათვის გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის გამოსაანგარიშებლად ხელშეკრულებით განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურების თანხას (1000000 (ერთ მილიონი) აშშ დოლარი) უნდა გამოაკლდეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში არსებული დამზღვევის საკრედიტო დავალიანება. დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს მეორე რიგის მოსარგებლის მიერ მისაღებ სადაზღვევო თანხას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მოცემულ შემთხვევაში დამზღვევის ინტერესი მოიცავს არა მარტო კრედიტის დაზღვევას და, შესაბამისად, პირველი რიგის მოსარგებლის უფლებას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება საკრედიტო დავალიანების ოდენობით სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, არამედ, ეს ინტერესი ასევე გულისხმობს მეორე რიგის მოსარგებლის უფლებას, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება იმ ოდენობით, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების თანხისა და საკრედიტო დავალიანების სხვაობის ტოლია. ასეთი სხვაობა კი იქნება ყოველთვის, როდესაც სადაზღვევო ანაზღაურების თანხა აღემატება საკრედიტო დავალიანებას, ხოლო, თუ საკრედიტო დავალიანება სრულადაა დაფარული, მაშინ მეორე რიგის მოსარგებლე მიიღებს მთლიან სადაზღვევო თანხას. განსახილველ შემთხვევაში სწორედ ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, საკრედიტო დავალიანების სრულად დაფარვის გამო, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება მთლიანად გადავიდა დამზღვევის მეორე რიგის მოსარგებლზე, ანუ მის მემკვიდრეებზე. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მათ სადაზღვევო თანხის მოთხოვნის უფლება წარმოეშობოდათ, ვინაიდან დაზღვევის ხელშეკრულება არც ერთი მხარის მიერ არ ყოფილა შეწყვეტილი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. ეს გარემოება გამორიცხავს კასატორის მსჯელობას, რომ, ვინაიდან მან დაზღვევის მიმართ ინტერესი დაკარგა, ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არ არის ვალდებული გადაიხადოს სადაზღვევო შესატანის დარჩენილი ნაწილი. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 799.2 და 815.1 მუხლების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ არსებობდა დამზღვევისათვის სადაზღვევო შესატანის დარჩენილი ნაწილის დაკისრების საფუძველი.

**საქმე №ას-755-811-2011**

**10 სექტემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სადაზღვევო თანხის ანაზღაურება**

საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — საქართველოს სასაზღვრო პოლიციასა (შემსყიდველი) და შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ს“ (მიმწოდებელი) შორის 2009 წლის 01 მარტს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 4/3-38 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედ-

ვით, მზღვეველი არის შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ი“, დამზღვევი — საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, ხოლო დაზღვეული — სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში იმყოფებიან (ასევე აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრები), რომელთა სასარგებლოდაც ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა და რომელთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის საგანს;

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.1.3.0 პუნქტით გათვალისწინებულია სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც ვრცელდება მხოლოდ სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებზე. ხსენებული პუნქტის მიხედვით, დაზღვეულის უბედური შემთხვევით ან ნებისმიერი სხვა მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში (არ გულისხმობს შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივი მომსახურების შესრულების დროს მომხდარ შემთხვევებს), გარდა ქვემოთ მოყვანილი გამონაკლისებისა, სადაზღვევო კომპანია გარდაცვლილის სამართლამემკვიდრეს აუნაზღაურებს სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ თანხას, რაც შეადგენს 10000 ლარს. ამავე ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო პირობებს, მზღვეველის მიერ გასაწევი მომსახურების ჩამონათვალში შედის ასევე სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც არ ვრცელდება პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროზე, ასევე ოჯახის წევრებზე;

ზემოხსენებული ხელშეკრულებით საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დაზღვეული ჰყავდა თავისი თანამშრომლები, მათ შორის, აწ გარდაცვლილი ს. რ-ი (სასაზღვრო პოლიციის ინსპექტორი (ჯგუფის უფროსი), ს/პ მაიორი);

ს. რ-ი გარდაცვალების დღეს — 2009 წლის 08 ივლისს, იმყოფებოდა სასაზღვრო პოლიციის № 6 სექტორის ჭუბერის დასაცავ მონაკვეთზე, სადაც დაახლოებით 14.30 საათზე დაეწყო ტკივილები გულმკერდის არეში. დაახლოებით ერთ საათში № 6 სექტორის უფროსის მოადგილემ (თ.ნარსავიძემ) სოფელ ჭუბერიდან ამოიყვანა ექიმი, რომელმაც ს.რ-ს აღმოუჩინა პირველადი დახმარება. ასევე, მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ორ საათში № 9 სამმართველოს უფროსის მოადგილემ (თ.ფალიანმა) უზრუნველყო მესტიიდან სასწრაფო დახმარების ჯგუფის აყვანა. სასწრაფო დახმარების ჯგუფმა ს.რ-ს აღმოუჩინა სამედიცინო დახმარება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დაახლოებით 21.00 საათზე გარდაიცვალა;

2009 წლის 07 ოქტომბრის სამსახურებრივი დასკვნის მიხედვით, სასაზღვრო პოლიციის ინსპექტორი (ჯგუფის უფროსი), ს/პ მაიორი ს. რ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, თუმცა მისი გარდაცვალება არ უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის უშუალო შესრულებას.

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო საჩივრით სადავოდ არაა გამხდარი. კასატორი სადავოდ ხდის დადგენილი ფაქტების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ, იმას, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2009 წლის 01 მარტის ხელშეკრულების 3.4.1. და 3.1.3.0 პუნქტები, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად და არასწორად ცნო ისინი ბათილად სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე.

სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესების დადგენა.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების პირობების სტანდარტულ პირობებად მიჩნევის სავალდებულო ნიშნებია:

1. სტანდარტული პირობები არის სახელშეკრულებო პირობები; 2. სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები; 3. სტანდარტული პირობები არის მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები; 4. სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს;

5. სტანდარტული პირობებით უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცველი წესების დადგენა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, პასუხობდა თუ არა ხელშეკრულების სადავო პირობები სტანდარტულ პირობებად მიჩნევისათვის სავალდებულო ნიშნებს, მათ შორის, არც ის დაუდგენია, სადავო პირობები იყო თუ არა მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, ანუ მზღვეველი იგივე პირობებს სთავაზობდა თუ არა სხვა მომხმარებლებსაც. შესაბამისად, ამ ნაწილში სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია, მაგრამ, იმ შემთხვევაშიც, თუ ზემოხსენებული ხელშეკრულების სადავო პირობებს არ მივიჩნევთ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ისინი არ ათავისუფლებენ მზღვეველს სადაზღვევო თანხის გადახდის ვალდებულებისაგან, როგორც ამას კასატორი მიიჩნევს. კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, ხელშეკრულების სადავო პირობების მიხედვით, სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვეულის გარდაცვალების ის შემთხვევები, რომლებიც მოხდება დაზღვეული სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ანუ დროის იმ პერიოდში, როდესაც მას ევალება სამხედრო ვალდებულების შესრულება, სამხედრო სამსახურში ყოფნა. კასატორის მოსაზრებით, სადაზღვევო კომპანიისათვის განმსაზღვრელი არ არის დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი, არც ის ფაქტი, იმყოფებოდა თუ არა დაზღვეული უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მდგომარეობაში გარდაცვალებისას.

საკასაციო სასამართლო კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს და ყურადღებას მიაქცევს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2009 წლის 01 მარტის ხელშეკრულების სადავო პირობებს, კერძოდ, აღნიშნული ხელშეკრულების 3.1.3.0 პუნქტი იძლევა სიცოცხლის დაზღვევის განმარტებას, რომლის მიხედვით, დაზღვეულის უბედური შემთხვევით ან ნებისმიერი სხვა მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში (არ გულისხმობს შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივი მომსახურების შესრულების დროს მომხდარ შემთხვევებს), გარდა ქვემოთ მოყვანილი გამონაკლისებისა, სადაზღვევო კომპანია გარდაცვლილის სამართლამემკვიდრეს აუნაზღაურებს სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ თანხას. ამავე ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის მიხედვით კი, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო პირობებს, მზღვეველის მიერ გასაწევი მომსახურების ჩამონათვალში შედის ასევე სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც არ ვრცელდება პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროზე, ასევე ოჯახის წევრებზე.

ამდენად, ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პუნქტების მიხედვით, სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი) სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ თანხას არ აუნაზღაურებს გარდაცვლილი დაზღვეულის სამართლამემკვიდრეს იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულის გარდაცვალება წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ შემთხვევას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების ზემოხსენებული პუნქტების სწორად შეფარდებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის, გადამწყვეტია დაზღვეულის (სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის) მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დაზღვეულის გარდაცვალებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა; დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეული უნდა იყოს იმის შედეგად, რომ მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულა ან ასეთ მოვალეობას ასრულებდა ანუ გარდაიცვალა სამუშაოს მიზეზით. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, გარდაიცვალა თუ არა დაზღვეული სამუშაო ადგილას ან სამუშაო საათების დროს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების ზემოხსენებულ პირობებზე მითითებით, მზღვეველის უარი სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე კანონიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იარსებებდა მიზეზობრივი კავშირი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დაზღვეულის გარდაცვალებას შორის. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მზღვეველის პასუხისმგებლობისათ-

ვის განმსაზღვრელი არ არის დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი და მისი კავშირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, არამედ, გადამწყვეტია მხოლოდ ის, რომ დაზღვეული სამუშაო საათებში იმყოფებოდეს სამუშაო ადგილზე.

**საქმე №ას-1510-1425-2012**

**18 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ ამ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2011 წლის 8 ნოემბერს ერთი მხრივ, შპს „ს. კ-სა“ და მეორე მხრივ, კ. ბ-ეს შორის გაფორმდა სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის უფლებით დაიტვირთა კ. ბ-ის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება „დოჯ ნიტრო“, საიდენტიფიკაციო № ..., სახელმწიფო ნომრით .... ამავე თარიღით კ. ბ-ესა და სადაზღვევო კომპანია „ა. ჯ-ს“ შორის გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება. 2011 წლის 8 ნოემბერს სადაზღვევო კომპანიამ გასცა ავტომანქანის დაზღვევის პოლისი — „კასკო სტანდარტი“;
2. საავტომობილო დაზღვევის პირობების მესამე მუხლით განისაზღვრა ის სადაზღვევო რისკები (სტანდარტული გამონაკლისები), რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მზღვეველი თავისუფლდებოდა სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენდა „თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგებოდა მძღოლის ბრალით (თუ დამზღვევის მიერ შეძენილი იყო სადაზღვევო პაკეტი „სტანდარტი“), კერძოდ, მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით სვლა (3.2.9. „დ“ პუნქტი) ან/და მკვეთრი დამუხრუჭება (გარდა ავარიის თავიდან აცილების მიზნით) თუ შეჯახება მოხდებოდა დაზღვეული ავტომანქანით“ (3.2.9. „ე“ პუნქტი);
3. სადაზღვევო შემთხვევის დროს, კერძოდ, 2011 წლის 11 დეკემბერს ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, დაზიანდა კ. ბ-ის კუთვნილი ავტომანქანა. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № ბდ .... სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, „ავტომანქანა მოძრაობდა წყნეთში, რ-ის ქუჩაზე ბავების მიმართულებით, მძღოლმა ვერ უზრუნველყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რაც გამოიხატა მანევრირების წესების დარღვევაში და შეჯახება მოახდინა ხეზე“;
4. შეჯახება არ იყო გამოწვეული მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ბრალი შეფასებითი კატეგორიაა და თითოეულ კონკრეტულ საქმეზე მოსამართლემ უნდა დაადგინოს მისი არსებობა ან ხარისხი, მაგრამ ამასთან მიუთითებს, რომ ამგვარი შეფასება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სადაზღვევო შემთხვევად არ მიიჩნევა და, შესაბამისად, არ ანაზღაურდება მძღოლის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად მიღებული ზიანი. უხეში გაუფრთხილებლობის ერთ-ერთ შემთხვევად, ხელშეკრულების თანახმად, მიიჩნევა მკვეთრი დამუხრუჭება, გარდა ავარიის თავიდან აცილებისა, თუ შეჯახება დაზღვეული ავტომანქანით მოხდა.

სადავო ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა კ. ბ-ის ახსნა-განმარტება და მიიჩნია, რომ კ. ბ-ე მოძრაობდა წყნეთში რ-ის ქუჩაზე. საწინააღმდეგო მხრიდან მოძრაობა ავტომანქანამ, რომელსაც ჩართული ჰქონდა შორი მაშუქები, მოჭრა თვალი, მანქანის უსაფრთხო გაჩერების მიზნით მოსარჩელემ დაამუხრუჭა, მაგრამ ვერ შესძლო ავტომანქანის უსაფრთხო გაჩერება, გადავიდა მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს, რა დროსაც შეეჯახა ხეს. აღნიშნული გარემოებები ასახულია ავარიასთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული გარემოებების ნამდვილობა დადასტურებული არ არის. მართალია, საპატრულო პოლიციის თანამშრომელს კ. ბ-ემ ამგვარად განუმარტა ავტოავარიის გამომწვევი მიზეზები, მაგრამ ეს, თავისთავად, არ ნიშნავს, რომ განმარტება სინამდვილეს შეესაბამება და გაზიარე-

ბულ იქნა პოლიციის მიერ. აღნიშნულის საპირისპიროდ, იმავე შემთხვევასთან დაკავშირებით გამოწერილ საჯარიმო ქვითარში აღნიშნულია, რომ კ. ბ-ემ ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მოძრაობა, დაარღვია მანევრირების წესები, რის შედეგადაც შეეჯახა ხეს (ტ. 1-ლი, ს.ფ. 61). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. ბ-ის განმარტება ბრალს საერთოდ გამორიცხავდა, რომლის გაზიარების შემთხვევაში, მოსარჩელე არ დაჯარიმდებოდა. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მითითებას, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დათვალეირების სქემაზე არ არის აღნიშნული მუხრუჭების გამოყენების კვალი. საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზე ამხვილებს ყურადღებას, რომ სამართალდარღვევის ოქმი კ. ბ-ეს არ გაუსაჩივრებია, არამედ ჯარიმა დადგენილ ვადაში გადაიხადა, რითაც იგი დაეთანხმა საკუთარი ქმედების კვალიფიკაციასა და სანქციას. სამართალდარღვევის ოქმი კი, ადგენს, რომ შეჯახება მძღოლის მიერ მანევრირების წესების დარღვევითაა გამოწვეული, რაც ადასტურებს კ. ბ-ის უხეშ გაუფრთხილებლობას; ამდენად, სადავო შემთხვევა ექცევა სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამონაკლისთა სიაში და ბარალის ანაზღაურების ვალდებულებას არ წარმოშობს. სააპელაციო სასამართლომ კი, აღნიშნული გარემოებები არასწორად შეაფასა და კ. ბ-ის ქმედება მარტივ გაუფრთხილებლობად არასწორად დააკვალიფიცირა.

**საქმე № ას-663-624-2011**

**17 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადასვლა მზღვეველზე (სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს იმ დასკვნას, რომლითაც ზემოაღნიშნული ნორმა შეფასებულია, როგორც რეგრესული მოთხოვნის უფლება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა რეგრესული მოთხოვნის უფლებასთან, არამედ დელიქტურ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლასთან, ხოლო თვით ვალდებულების არსი უცვლელი რჩება. ამასთან, დელიქტურ ვალდებულებაში დამზღვევის მზღვეველით შეცვლის აუცილებელი წინაპირობაა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის არსებობა და მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო თანხის გაცემა. ამდენად ზიანის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობაში, როდესაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოიწვია მესამე პირმა, გამოიყენება კრედიტორის ჩანაცვლების პრინციპი, რაც შესაძლოა ემსახურობდეს როგორც დაზღვეულის, ასევე მესამე პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას.

**საქმე № ას-663-624-2011**

**17 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადასვლა მზღვეველზე სიცოცხლის დაზღვევის დროს (სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი)**

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით გათვალისწინებული პრინციპის გავრცელებას სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობაზე, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს, კერძოდ, სავსებით სწორია მითითება იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით მოწესრიგებული ურთიერთობა კანონმდებლის მიერ გაწერილია არა დაზღვევის ხელშეკრულების ზოგად ნორმებში, არამედ სპეციალურ თავში, რომელიც ეხება ზიანის დაზღვევას. ამასთან, პირადი დაზღვევისათვის დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სადაზღვევო შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან პირის სიცოცხლე არ შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს რაიმე კომპენსაციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დასკვნის სახით განმარტავს, რომ სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეულ პირს წარმოეშობა ორმაგი მოთხოვნის უფლება, თუმცა მზღვეველს არა აქვს უფ-

ლება გასცეს სადაზღვევო საზღაური და შემდგომ ზიანის მიმყენებელს მოსთხოვოს ეს თანხა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე. შესაბამისად, 832-ე მუხლი, როგორც სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმა განსახილველ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული ანალოგიით, ვინაიდან ნორმის ამგვარი განმარტება არ გამომდინარეობს კანონის ობიექტური მიზნებიდან.

**საქმე № ას-581-549-2011**

**05 სექტემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადასვლა მზღვეველზე (სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი)**

2006 წლის 27 ივნისს სს „ს. კ. ბ-სა“ (მზღვეველი) და „ბ. ვ. შ. ა/ს-ის“ საქართველოს წარმომადგენლობას (დამზღვევი) შორის გაფორმდა გენერალური ხელშეკრულება ტვირთის დაზღვევის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, 2006 წლის 10 აგვისტოს სს „ს. კ. ბ-ის“ მიერ გაიცა ტვირთის დაზღვევის პოლისი მც/ც-01651/06, რომლითაც „ბ. ვ. შ. ა/ს-ის“ საქართველოს წარმომადგენლობამ საქართველოში დააბლავა „ჭ. ა. კ. ტ. კოს“ მიერ ყირგიზეული კომპანია „რ-სთვის“ მისაწოდებელი ტვირთი — ქათმის გაყინული ხორცი;

ტვირთის გადაზიდვას ახორციელებდა შპს „ს. რ-ა“. დაზღვეული ტვირთი გაიგზავნა რკინიგზის ფოთის სადგურიდან ბიშკეკის მიმართულებით. ყირგიზეთის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყირგიზექსპერტიზის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის აქტების თანახმად, 2006 წლის 13 სექტემბერს ბიშკეკში ჩასული ტრანზიტული ტვირთი ადგილზე გადმოტვირთისას დაზიანებული აღმოჩნდა, ბარკლების ხარისხისა და რაოდენობის შემცირების მიზეზად აქტში აღნიშნულია ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა ტრანსპორტირების პროცესში. ტემპერატურის რეჟიმის დარღვევის შედეგად დაზიანდა 44250კგ. ტვირთი.

მიყენებული ზარალი, „ჭ. ა. კ. ტ. კოს“ მიერ 2006 წლის 1 აგვისტოს კომპანია „რ-ს“ სახელზე გამოწერილი კომერციული ინვოისის საფუძველზე შეფასდა 44250 (ორმოცდაათი ათას ორას ორმოცდაათი) აშშ დოლარით. სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-მ“ სადაზღვევო პოლისში დასახელებულ მოსარგებლეს — „ჭ. ა. კ. ტ. კოს“ აუნაზღაურა მიყენებული ზარალი სადაზღვევო პოლისით დადგენილი 2%-იანი ფრანშიზის გამოკლებით 39630.60 აშშ დოლარი (19815.30 აშშ დოლარი ანაზღაურებულ იქნა 2007 წლის 21 მარტს, ხოლო 19815.30 აშშ დოლარი 2007 წლის 13 აგვისტოს);

2010 წლის 21 აპრილს სს „ს. კ. ბ-მ“ მიმართა შპს „ს. რ-ს“ მის მიერ გადახდილი სადაზღვევო თანხის ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც შპს „ს. რ-მ“ უარი განაცხადა. სს „ს. კ. ბ-მ“ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2010 წლის 10 ივნისს.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლი, ვინაიდან ეს ნორმა აწესრიგებს ხანდაზმულობის ვადებს გადაზიდვის ურთიერთობებში, ხოლო, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია არა გადაზიდვის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის ფაქტზე, არამედ, მზღვეველის მიერ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველზე, რაც მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან კანონი არ ადგენდა მზღვეველის რეგრესული მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, ამიტომ გამოყენებულ უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის ვადა და არა გადაზიდვის მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის აუნაზღაურებს დამზღვევს ზიანს.



აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულია შესაძლებლობა, რა დროსაც მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევეს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის“ პრინციპის სახით. ეს პრინციპი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მხარე იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია თავის სასარგებლოდ განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ. სუბროგაციის მეშვეობით დამზღვევის ნაცვლად მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დამარალებულის, ე.ი. როგორც კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის კედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი). ასეთ შემთხვევაში ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, მაგრამ იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი. ამ დროს ახალი მოთხოვნა კი არ წარმოიშობა, არამედ იცვლება მხოლოდ კრედიტორი, კერძოდ, დამარალებული დამზღვევი იცვლება სადაზღვევო კომპანიით (მზღვეველით).

სწორედ ზემოაღნიშნული განასხვავებს სუბროგაციას რეგრესისაგან, კერძოდ, რეგრესის დროს ხდება არა პირის შეცვლა უკვე არსებულ ვალდებულებაში, არამედ ამ შემთხვევაში კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება. რეგრესის დროს ერთი ვალდებულება ცვლის მეორეს, ხოლო, სუბროგაციის შემთხვევაში ვალდებულებაში იცვლება მხოლოდ კრედიტორი, თვით ვალდებულება კი უცვლელი რჩება. სუბროგაციის დროს მზღვეველი ცვლის დამზღვევს იმ ვალდებულებაში, რომელიც წარმოიშვა ზიანის მიყენებისაგან, სწორედ ამიტომ მისი დადგომა არ განაპირობებს ახალი ვალდებულების წარმოშობას. ეს არსობრივი ნიშანი განასხვავებს სუბროგაციას რეგრესული ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოიშობა სხვა ვალდებულების შესრულების (შეწყვეტის) შედეგად და ამით ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულების ხასიათს იძენს. სუბროგაციის დროს ახალი ვალდებულება კი არ წარმოიშობა, არამედ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას. ასეთ დროს ხდება ვალდებულებით ურთიერთობაში პირების შეცვლა კანონის საფუძველზე, კრედიტორის უფლებების სხვა პირზე გადასვლის გზით, კერძოდ, მზღვეველი ცვლის ზიანის მიმყენებლის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე დამზღვევს. ამდენად, სუბროგაციის დროს მოთხოვნის დათმობის კანონისმიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რაც განასხვავებს მას ცესისაგან (სკ-ის 199-ე მუხლი), რა დროსაც მოთხოვნის დათმობა ხდება გარიგების ძალით. ამასთან, იმისდა მიუხედავად, თუ მოთხოვნის დათმობის რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია ის, რომ მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, რითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაში იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს. მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა წაუყენოს მოვალეს, ხოლო, მოვალე უფლებამოსილია ახალ კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც მას გააჩნდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ. აღნიშნული ეხება ასევე მოვალის შესაგებელს კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, კერძოდ, ვალდებულებაში კრედიტორის ან მოვალის შეცვლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ხანდაზმულობის ვადის გამოყენება ვალდებულებაში პირთა შეცვლის მიუხედავად. ამასთან, პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის შემთხვევაში, ახალი კრედიტორის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის ის ვადა და მისი გამოთვლის ის წესი, რაც თავდაპირველი (ჩანაცვლებული) კრედიტორის

მიმართ მოქმედებდა, ამიტომ, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნა ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება ასევე ახალი კრედიტორის მოთხოვნაც. განსახილველ შემთხვევაშიც, თუ აღმოჩნდება, რომ დამზღვევის მოთხოვნა ზიანის მიმყენებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება მზღვეველის მოთხოვნაც, ვინაიდან ეს მოთხოვნა მასზე გადავიდა ისეთივე მდგომარეობაში, როგორც იყო დამზღვევის ხელში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობას, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სუბროგაციის დროს ახალი ვალდებულება კი არ წარმოიშობა, არამედ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას, რომელშიც ხდება დამზღვევის (კრედიტორის) ჩანაცვლება მზღვეველით. განსახილველ შემთხვევაში, დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ურთიერთობა გამომდინარეობს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, ამიტომ სწორედ გადაზიდვის მარეგულირებელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული სადავო საკითხის გადასაწყვეტად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სადავო ურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ვადის გამოყენების თაობაზე, ვინაიდან ამავე კოდექსის 129-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა (სპეციალური) ვადებიც. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლი ადგენს გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს, კერძოდ, ხსენებული მუხლის მიხედვით, ამ თავში მოწესრიგებული გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა არის ერთი წელი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს ვადა შეადგენს სამ წელს. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება: ა. ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას — მისი გამოგზავნის დღიდან; ბ. ტვირთის მთლიანად დაკარგვისას — გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, — გადაზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს; გ. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში — გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. გემოაღნიშნული ნორმა, გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის მაქსიმალურ ვადას განსაზღვრავს სამი წლით, ამასთან, ეს ნორმა ადგენს ამ ვადის გამოთვლის სპეციალურ წესს. როგორც აღინიშნა, კრედიტორის შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას, ამიტომ მოსარჩელის (მზღვეველის) მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სწორედ მითითებული ნორმით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა და მისი გამოთვლის წესი.

#### 4.11. საბანკო მომსახურება

საქმე № 3კ/1184-01

18 იანვარი, 2002 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საბანკო მომსახურება (სამოქალაქო კოდექსის 859-ე მუხლი)

საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ 2000 წლის 8 დეკემბერს შპს „უ.-მ“ სს „ს.-ში“ წარადგინა საგადასახადო დავალება ბულგარეთში ფირმა „დ.-სთვის“ 8000 აშშ დოლარის გადარიცხვის შესახებ შესაბამისი რაოდენობის ლართან ერთად. დადგენილია, რომ საგადასახადო დავალებით გადასარიცხი თანხა წარმოადგენდა ბოთლების ღირებულებას, რომელიც მიმართული იყო შპს „უ.-სა“ და ბულგარულ ფირმა „დ.-ს“ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესრულებისათვის. დადგენილია, რომ მოსარჩელემ გააფრთხილა მოპასუხე, რომ საგადასახადო დავალების მი-

უღებლობით მას შეიძლება ზიანი მისდგომოდა. ასევე დადგენილია, რომ ბანკში საგადასახადო დავალება წარდგენილი იყო საოპერაციო დღის განმავლობაში.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა განმარტავს: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 859-ე მუხლის თანახმად, ანგარიშსწორების ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია, თავისი კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან აწარმოოს გადახდები ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში და შემოსული თანხები ჩარიცხოს ანგარიშში. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 2 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების“ 1.4 მუხლის თანახმად, ბანკები ორგანიზაციების ანგარიშებიდან საანგარიშსწორებო ოპერაციებს აწარმოებენ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და ბანკი ვალდებულია, შეასრულოს ორგანიზაციების განკარგულებები ანგარიშიდან თანხების გადარიცხვის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 859-ე მუხლიდან და აღნიშნული წესებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ბანკს უფლება არა აქვს, არ მიიღოს და არ შეასრულოს საგადასახადო დავალება იმ საფუძველით, რომ კლიენტს აქვს ან შეიძლება წარმოემვას დავალიანება ბანკთან არსებული საკრედიტო სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. ბანკის ასეთი მოქმედება ჩაითვლება საბანკო მომსახურების ხელშეკრულების დარღვევად, რაც წარმოადგენს კლიენტის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

**საქმე № ას-202-621-06**

**24 ოქტომბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა (სამოქალაქო კოდექსის 861-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მხარეთა შორის დადებული 2000წ. 24 თებერვლის საკრედიტო ხელშეკრულებით განისაზღვრა რა შპს „...“ ყველა საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე აპელანტის მიერ გადასახდელი თანხა 380000 აშშ დოლარის ოდენობით, სს „...“ 2000წ. 24 მარტის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 45 865 აშშ დოლარი ადრე გამოტანილი სესხისა და პროცენტის დასაფარად არ უნდა მიექცია, ვინაიდან 2000წ. 24 თებერვლის ხელშეკრულებით დადგენილი 380000 აშშ დოლარი იყო საბოლოო თანხა, რომელიც მოიცავდა ბანკის მიმართ მანამდე არსებულ აპელანტის ყველა დავალიანებას. სადავო 2000წ. 24 მარტის საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის შპს „...“ ადრე არსებული დავალიანებების დასაფარად მიქცევისას სს „...“ დაარღვია სკ-ის 861-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან სადავო თანხა ანგარიშიდან ჩამოჭრა კლიენტის თანხმობის გარეშე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სს „...“ მოსაზრებას, სასამართლოს მიერ სკ-ის 861-ე მუხლის არასწორად გამოყენების თაობაზე იმ დასაბუთებით, რომ აღნიშნული ნორმით აუცილებელ კლიენტის თანხმობას მხარეთა შორის გაფორმებული 1997წ. ხელშეკრულების 7.2 და 12.2 მუხლები იმთავითვე შეიცავდნენ, რაც ბანკს არაერთხელ განუხორციელებია.

სკ-ის 861-ე მუხლით, საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია, ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა აწარმოოს მისი მფლობელის ნებართვის ან მითითების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია მიყენებული ზიანი და არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში. კასატორის მიერ მითითებული საკრედიტო ხელშეკრულების 7.2 მუხლით, კრედიტორის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს, ცალმხრივად დაარღვიოს ხელშეკრულება და ვადაზე ადრე სასამართლო ან სხვა წესით ამოიღოს (მათ შორის უაქცეპტო წესით) კრედიტის და მისი სარგებლობისათვის პროცენტის მთელი თანხა, ხოლო 12.2 მუხლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ იმოქმედოს ნებისმიერი სახით, რაც მიმართული იქნება გადასახადების დასაფარად და რაც გათვალისწინებულია არსებული ხელშეკრულებით კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებით

ბის ამ პირობათა შინაარსიდან გამომდინარე, კრედიტორის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა უფლებამოსილს ხდის ბანკს, განახორციელოს რიგი ღონისძიებები, თუმცა დათქმა იმის შესახებ, რომ მხარემ იმოქმედოს სკ-ის 861-ე მუხლის დანაწესის საწინააღმდეგოდ და განკარგოს ანგარიშის მფლობელის ქონება, მოცემულ შემთხვევაში არ გვაქვს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საანგარიშსწორებო-სამართლებრივ ურთიერთობებში კლიენტის ანგარიშზე რიცხული თანხების ხელშეუხებლობა ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი პრინციპია და თანხის ანგარიშიდან ჩამოწერა მხოლოდ მხარეთა შორის დადებული სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება განხორციელდეს.

**საქმე № ას-1139-1385-05**

**4 მაისი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი (სკ-ის 868-ე მუხლის მესამე ნაწილი)**

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სკ-ის 868-ე და 869-ე მუხლების მოთხოვნები. კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ ბანკის მიერ გემოაღნიშნული ნორმების დარღვევის გამო შპს „...“ უნდა გადაეხადა მხოლოდ კანონით დადგენილი პროცენტი. ასევე, საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იყო დადგენილი, უნდა გადაეხა თუ არა შპს „...“ 2,5% ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ. კასატორი უთითებს, რომ მისი მოთხოვნის კანონიერებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ეროვნული ბანკის ცნობა.

სკ-ის 868-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კანონმდებელი ანიჭებს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მხარეებს უფლებას, თვითონ განსაზღვრონ საპროცენტო განაკვეთის სახე, რომელიც შეიძლება იყოს მყარი ან ცვალებადი.

საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მხარეთა შორის განსაზღვრული იყო მყარი საპროცენტო განაკვეთი, რომლის საწინააღმდეგოდ არ არის მითითებული საკასაციო საჩივარში. ამდენად, მხარეები შეთანხმდნენ მყარი საპროცენტო განაკვეთზე, რითაც განსაზღვრეს მისი უცვლელობა ფულის სიმყარის დონის მიუხედავად.

სკ-ის 868-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები არეგულირებენ ისეთ საკრედიტო ურთიერთობებს, რომლითაც გათვალისწინებულია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი. კერძოდ, განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თუ ცვალებადი საპროცენტო განაკვეთისა და მისი სიდიდის განსაზღვრა დამოკიდებულია კრედიტის გამცემისაგან, იგი ვალდებულია, ეს განსაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე. აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც მოქმედებს მხოლოდ სამართლიანობის ფარგლებში და იცავს ხელშეკრულების იმ მხარეს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში არ განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთსა და მისი სიდიდეს.

ამდენად, სკ-ის 868-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს არა მყარი, არამედ ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვარის და ასევე ცვლილებათა მინიმალური შუალედის დადგენას, რომელიც უნდა განისაზღვროს საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას.

აღნიშნული პრინციპის მოქმედება განპირობებულია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის თავისებურებით, რომელიც ითვალისწინებს კრედიტის გამცემის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გაზრდასთან ან შემცირებასთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულებას (სკ-ის 868-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის სიდიდე დამოკიდებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთისაგან და მისი ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკენტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს. აღნიშნული დანაწესი ვრცელდება ასევე მყარ საპროცენტო განაკვეთების მიმართ სკ-ის 867 და 825-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად.

კანონმდებელი ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობაზე, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი ოდენობა უნდა ემთხვეოდეს საპროცენტო განაკვეთს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლებელია პროცენტის მაქსიმუმი გადაცდეს ოფიციალურად დადგენილ ზღვრულ ოდენობას, მაგრამ ამ ოდენობასთან შესაბამისობა, უპირველეს ყოვლისა ნიშნავს სამართლიანობის პრინციპის დაცვას, რომლის თანახმად საპროცენტო განაკვეთის ოდენობა არ უნდა აყენებდეს მსესხებელს მძიმე მდგომარეობაში, ხოლო კრედიტის გამცემს — პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ამდენად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის მაქსიმუმი აღემატება ოფიციალურად დადგენილ ზღვრულ ოდენობას არ ნიშნავს იმას, რომ ამით საკრედიტო ხელშეკრულების მხარე (მსესხებელი) აღმოჩნდა კაბალურ მდგომარეობაში. ამისათვის აუცილებელია ისეთი გარემოებების (იურიდიული შემადგენლობის) არსებობა, რომლებიც კონკრეტული ურთიერთობის გათვალისწინებით მიუთითებს, მსესხებლის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩაყენებით კრედიტის გამცემის გამდიდრებაზე.

### საქმე № 3კ-1239-02

4 მარტი, 2003 წელი, ქ. თბილისი

#### განმარტების საგანი: საანაბრო ურთიერთობის არსებობის დადასტურება

უდავოა, რომ საანაბრო ურთიერთობების არსებობა უნდა დადასტურდეს წერილობითი დოკუმენტებით და ის არ შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ სადავო გარემოებებთან, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის წერილობითი მტკიცებულებებით, ვინაიდან მოწმეთა ჩვენებებით შეუძლებელია უტყუარი ინფორმაციის მიღება გადაცემულ თანხებზე, მათ ოდენობაზე, ანაბრის პირობებზე და სხვა. სსკ-ს 134-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.

### საქმე № ას-1586-1585-2011

21 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

#### განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2010 წლის 24 სექტემბერს სს „... ბანკსა“ და მ. ს-ეს შორის № 46.31.553 საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზე მსესხებლის სახელზე გაიცა კრედიტი 5200 ლარი, 50 თვის ვადით, ყოველწლიური 35%-იანი განაკვეთით;
2. საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, სს „... ბანკსა“ და ვ. კ-ეს შორის 2010 წლის 24 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება სოლიდარული ვალდებულების შესახებ;
3. მოპასუხის დავალიანება სს „... ბანკის“ მიმართ შეადგენს: სესხის ძირითად თანხას — 5200 ლარს, პროცენტს — 4711,59 ლარს, ჯარიმას — 206,96 ლარს, სულ — 10118,55 ლარს;
4. 2011 წლის 24 იანვარს, ბანკის ინიციატივით, მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულება შეწყდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი, მიუღებელი შემოსავლის სახით ითხოვდა მოწინააღმდეგე მხარისათვის იმ სარგებლის გადახდის დაკისრებას, რასაც აპელანტი მიიღებდა, ხელშეკრულების პირობები სრულად რომ შესრულებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარის აღნიშნული მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, რადგანაც, სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე, უნდა ანაზღაურდეს ის მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც მოთხოვნის უფლების მქონე პირი მიიღებდა ხელშეკრულების პირობების შესრულების შემთხვევაში. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 1.3. მუხლის თანახმად, კრედიტის ვადა განისაზღვრა 50 თვით, შესაბამისად, აპელანტი მის მიერ მოთხოვნილ შემოსავალს მიიღებდა, თუ მხარეები ჯეროვნად შესრულებდნენ ამ პირობასაც, ხელშეკრულება ვადამდე არ შეწყდებოდა და მოწინააღმდეგე მხარე სეს-

ხით ისარგებლებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა ხელშეკრულება შეწყვიტა მისი დადებიდან 5 თვეში, ეს კი ნიშნავს, რომ ხელშეკრულების 1.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობა არ შესრულებულა.

იმავე კოდექსის 872-ე მუხლის თანახმად კი, თუ კრედიტის ამლები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული ნორმა შეეხება როგორც კრედიტის მიმღების მიერ თანხის ვადამდე ნებაყოფლობით დაბრუნების, ისე, 873-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევას. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, საპროცენტო სარგებლის მოთხოვნის უფლება მოვალის მიერ თანხით მთელი პერიოდისათვის სარგებლობას არ უკავშირდება. ნებისმიერ მსესხებელთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმება ხდება იმ მოლოდინით, რომ ბანკი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოგებას მიიღებს. საპროცენტო განაკვეთი საბანკო კრედიტისათვის არის კრედიტის ფასი, რაც კრედიტით სარგებლობის გარკვეული ეტაპის დასრულებისას უნდა იყოს გადახდილი. საპროცენტო განაკვეთი უბრუნველყოფს ბანკს, რომ მან დაფაროს ის ხარჯები, რაც დაკავშირებულია დეპოზიტზე მოზიდული სხვისი სახსრების პროცენტების გადახდასთან, შესაბამისი მოგების მიღებასთან და სარესურსო ფონდების გაზრდასთან. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა კი, ბანკს უფლებას აძლევს მოითხოვოს როგორც დამდგარი ზიანის, ისე მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება. ამასთან, საყურადღებოა, ასეთ შემთხვევაში მიუღებელ შემოსავლად რა ჩაითვლება. 872-ე მუხლი ნათლად მიუთითებს, რომ ზიანის საზღაურში ჩაითვლება ის მოგება, რაც კრედიტის გამცემს თანხის სხვაგვარი გამოყენებით შეეძლო მიეღო. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიუღებელი შემოსავალი თანხის კრედიტის გამცემისათვის სარეალიზაციოდ დაბრუნებას უკავშირდება და არა ხელშეკრულების შეწყვეტას. კონკრეტული საპროცენტო განაკვეთი მოქმედებს მხოლოდ იმ პერიოდისათვის, როდესაც ფულადი რესურსი ბანკის სარგებლობაში არ იმყოფება. იმ მომენტიდან, როდესაც სესხის თანხა კრედიტის გამცემს უბრუნდება, მიუღებელი შემოსავალი აღარ არსებობს, რადგანაც კრედიტორს სრული შესაძლებლობა აქვს სხვაგვარად განკარგოს ეს თანხა, თავიდან გასცეს კრედიტი, ან სხვა საშუალებით მიიღოს მოგება. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა ხელშეკრულების ვადამდე მოშლის, თანხის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თანხის კრედიტორისათვის დაბრუნების მომენტად შესაბამისი გადაწყვეტილების აღსრულება ჩაითვლება და არა გადაწყვეტილების გამოტანის ან ხელშეკრულების მოშლის თარიღი, ამასთან, მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება გადაწყვეტილების ფაქტობრივად აღსრულების და არა აღსასრულებლად მიქცევის მომენტი.

**საქმე № 3კ-784-02**

**9 ოქტომბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტა (სამოქალაქო კოდექსის 874-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა 3კ-ს 874-ე მუხლი. სასამართლომ გამოიყენა ამ ნორმის პირველი და მეორე ნაწილები და მიუთითა, რომ ბანკი ვალდებული იყო მოსარჩელისათვის დაებრუნებინა ანაბრის თანხა მისი მოთხოვნისთანავე. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ ვინაიდან დადგენილია, რომ მხარეთა შორის არსებობს ანაბრის ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება კისრულობს ვალდებულებას ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მიიღოს ფულადი სახსრები და გადაუხადოს განსაზღვრული პროცენტი. ანაბრის მფლობელი კი უფლებამოსილია მოითხოვოს ანაბრის ან მისი ნაწილის დაბრუნება ხელშეკრულებით განსაზღვ-

რულ ნებისმიერ დროს. ამასთან, ფულადი ანაბრის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა და იგი დადებულია ითვლება საკრედიტო დაწესებულებაში ფულის შეტანის მომენტიდან. ანაბრის ხელშეკრულება ცალმხრივია, რადგან მეანაბრეს მხოლოდ უფლებები გააჩნია და ბანკს კი ვალდებულებები. ამდენად, უსაფუძვლოა კასატორის მითითება სასამართლოს მიერ ნორმის არასწორად განმარტების თაობაზე.

**საქმე № ას-781-996-08**

**17 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საბანკო გარანტია**

საბანკო გარანტიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რაც მას გამოარჩევს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან, არის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისგან. საბანკო გარანტია ეფუძნება არა მხარეთა შეთანხმებას (ხელშეკრულებას), არამედ მისი გამცემი პირის (გარანტის) ცალმხრივ და უპირობო ვალდებულებას. საბანკო გარანტიის ზემოაღნიშნული თავისებურება ასახულია სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლში, რომლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. ბენეფიციარის წინაშე გარანტის ვალდებულების ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობის პრინციპის გამოხატულება იმაში მდგომარეობს, რომ ბენეფიციარისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად კანონმდებელი ორ ძირითად შემთხვევას განიხილავს, კერძოდ: თუ ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილი). ცხადია, დასახელებულ პირობათაგან არც ერთს არა აქვს კავშირი ძირითად ვალდებულებასთან. რაც შეეხება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორცაა: საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძვლებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად არ განიხილავს. ასეთ შემთხვევებში გარანტი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს, თუმცა მიუხედავად ამ შეტყობინებისა, ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარება (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მეორე ნაწილი).

**საქმე № ას-562-871-09**

**20 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საბანკო გარანტია (სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო, საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, უთითებს, რომ საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილეები არიან რა ბენეფიციარი, პრინციპალი და გარანტი, ამ ურთიერთობის ფარგლებში ფაქტობრივად ორი ხელშეკრულება იდება: 1. გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლი) და 2. თვით საბანკო გარანტია, რომელიც ცალმხრივი გარიგებაა და წარმოშობს გარანტის ცალმხრივ ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი). ამავდროულად, საბანკო გარანტიის გაცემით გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობა დამოუკიდებელია იმ ძირითადი ვალდებულებებისგანაც, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული (სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი). კანონის ამ დათქმიდან გამომდინარე, მართებულია კასატორის პოზიცია, რომ გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემაზე შეთანხმებული სახელშეკრულებო პირობები გავლენას არ ახდენს ბენეფიციარსა და გარანტს შორის ურთიერთობაზე

და მხარეთა შორის სადავოდ მიჩნეული საგარანტიო ვადაც მხოლოდ ბენეფიციარისათვის წარდგენილი საბანკო გარანტიით უნდა განისაზღვროს. აღნიშნული მომდინარეობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების ბუნებიდანაც — კრედიტორის მოთხოვნა შეზღუდულია მოვლით, ვინაიდან ვალდებულებითი ურთიერთობა მხოლოდ ამ ორ სუბიექტს შორის წარმოიშობა. ამდენად, მხარეთა მიერ „საბანკო გარანტიის ამონაწერად“ შეფასებული საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტი ცალმხრივი გარიგება — საბანკო გარანტიაა, რომელიც წარმოშობს მხოლოდ გარანტის ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე და ბენეფიციარის მიერ მისი წარდგენა იწვევს გარანტის ნაკისრი ვალდებულების უპირობო შესრულებას.

**საქმე № ას-562-871-09**

**20 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს იმპერატიულ დანაწესს, რომ საბანკო გარანტიაში ზუსტად განისაზღვროს მისი მოქმედების ვადა და აუცილებლად მიეთითოს კალენდარული თარიღი ან დროის გარკვეული პერიოდი. ამასთან, ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა. ამდენად, მხარეები თავისუფალი არიან საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის განსაზღვრის წესში, რაც შეიძლება დამოკიდებული იყოს როგორც კალენდარულ თარიღზე, რაიმე პირობაზე, რაიმე მოვლენის დადგომამდე ასევე რაიმე მოქმედების შესრულებაზე. მოცემულ შემთხვევაში ბენეფიციარისათვის წარდგენილ საბანკო გარანტიაში განსაზღვრულია გარანტიის მოქმედების ზუსტი ვადა — გარანტიის გაცემის საფუძვლად მითითებული თვით ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ვადის ამგვარი განსაზღვრა ეჭვს არ წარმოშობს და არც ამ პირობის განმარტების საჭიროება არსებობს, ვინაიდან ვადად კასატორისათვის ცნობილი დრო, მისი მონაწილეობით შეთანხმებული ხელშეკრულების მოქმედების დრო განისაზღვრა. შესაბამისად, კასატორს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით — საბანკო გარანტიით შეეძლო ესარგებლა მხოლოდ იმ ვადაში, რა ვადითაც იგი გაიცა.

**საქმე № ას-1595-1498-2012**

**1 ნოემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გარანტის უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ. დასახელებული ნორმით რეგლამენტირებულია საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან გარანტის გათავისუფლების პირობები, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს მოთხოვნის წარდგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით. კანონმდებელი ნების ნამდვილობას უკავშირებს ობიექტურ ფაქტორს — გარანტის წინაშე მის გამოვლენას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დაცვით, ანუ ნების ნამდვილობა პირდაპირ კავშირშია ადრესატის მიერ მისი მიღების ობიექტურ შესაძლებლობასთან. ასეთ ვითარებაში კი, ურთიერთობის მარეგულირებლად გვევლინება სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, ბენეფიციარმა ნება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გამოავლინა (ვადის უკანასკნელ დღეს), თუმცა ეს ნება ნამდვილად საბანკო გარანტიის მოქმედების ვა-



დის გასვლის შემდეგ — 2012 წლის 18 მაისს იქცა, მაშინ, როდესაც ობიექტურად მიუვიდა გარანტს. თავის მხრივ, პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ვადის უკანასკნელ დღეს შეტყობინების ფოსტის მეშვეობით გაგზავნის რისკის მატარებლად სწორედ ნების გამომვლენი მიიჩნევა და არა ნების აღრესატი.

## 4.12. თავდებობა

**საქმე № ას-3კ-432-02**

**7 ივნისი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თავდებობის ხელშეკრულების ფორმა (სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის)**

სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება.

ამდენად, თავდებობა გამოხატული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და კანონის მიერ თავდებობის ხელშეკრულების არსებით პირობად მიჩნეულია რომ თავდებობის დოკუმენტში მითითებული იყოს ის კონკრეტული მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც კისრულობს თავდები პასუხისმგებლობას.

თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი სუბიექტებია თავდები და კრედიტორი. თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ იგი მიიღოს კრედიტორმა, დარწმუნდეს, რომ ამ დოკუმენტში გამოხატული ნება ნამდვილად გამომდინარეობს ამ ხელშეკრულების მხარისაგან.

მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი დოკუმენტი გაფორმებულია წერილობითი ფორმით, დადასტურებულია შპს „ა-ის“ (თავდების) გენერალური დირექტორის და ბუღალტერის ხელმოწერით; დოკუმენტი დამოწმებულია შპს „ა-ის“ ბეჭდით. დოკუმენტში გამოხატულია თავდების ნება იმის შესახებ, რომ იგი თანახმა იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე მოპასუხის ვალდებულებისათვის. დოკუმენტში მითითებულია კონკრეტული მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც იკისრა მოსარჩელემ პასუხისმგებლობა. დადგენილია, რომ მითითებული დოკუმენტი მიიღო კრედიტორმა, მასში მითითებულ პირობებზე არ გამოუთქვამს პრეტენზია, გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება მოპასუხესთან და გასცა სესხი, რაც უნდა ჩაითვალოს მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებად დოკუმენტში მითითებული პირობებით.

კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უნდა არსებობდეს ორი წერილობითი დოკუმენტი (განცხადება და თავდებობის დოკუმენტი), საკასაციო პალატა არ ეთანხმება, რადგან კანონი არ კრძალავს ერთი დოკუმენტით გაფორმდეს როგორც თავდების განცხადება, ასევე ხელშეკრულების არსებითი პირობები. წარმოდგენილ დოკუმენტში, როგორც აღინიშნა, არის გამოხატული, როგორც თავდების ნება (განცხადება), ასევე ხელშეკრულების არსებითი პირობები.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ თავდებობა ნამდვილია და წარმოდგენილი საგარანტო წერილი უნდა ჩაითვალოს წერილობითი ფორმით შედგენილ თავდებობის დოკუმენტად.

**საქმე № ას-458-792-05**

**9 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი (სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლი)**

სკ-ის 894-ე მუხლის თანახმად, თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. აღნიშნული მუხლის დისპოზიციურობა გამოიხატება იმაში, რომ თავდებს შეუძლია იძულებითი აღსრულების გარეშე გადაუხადოს კრედიტორს ვალი ან შეასრულოს რაიმე სხვა ხელშეკრულებით გათავალისწინებული ვალდებულება.

ეს დამოკიდებულია თვითონ თავდების ნებაზე. განსახილველი ნორმა ითვალისწინებს მოთხოვნის იძულებით აღსრულებას, რაც, ასევე, გათვალისწინებულია სკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კერძოდ, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. შესრულების მოთხოვნის ინსტიტუტი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს აღნიშნული სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელებას, რაც ასევე დაცულია ამავე კოდექსის 115-ე მუხლის პირველი წინადადებით. კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული დანაწესი იცავს მოვალეს კრედიტორის თვითნებობისაგან. ამრიგად, მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას სასამართლოს მეშვეობით, ანუ კრედიტორს შეუძლია მოვალისაგან სასამართლოს მეშვეობით, შესრულების იძულებითი განხორციელება მოითხოვოს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რამ კრედიტორის მიერ სასარჩელო წესით სასამართლოში მოთხოვნის დაკმაყოფილების მცდელობა წარმოადგენს მოვალის მიმართ მოთხოვნის იძულებითი აღსრულების საშუალებას.

სკ-ის 894-ე მუხლი არა მარტო ანიჭებს თავდებს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლებას, არამედ განსაზღვრავს ამ უფლების ფარგლებს, ანუ თავდებს აღნიშნული უფლება გააჩნია, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. მხედველობაში არის მისაღები ის მომენტი, რომლის დადგომის შემდეგ თავდები კარგავს ამ ნორმით მინიჭებული კრედიტორის დაკმაყოფილების უარის თქმის უფლებას. ამდენად, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მომენტი წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს, რომელიც ცვლის ამ ნორმაში მითითებული სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების სამართლებრივ დამოკიდებულებას. კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული იურიდიული ფაქტი გულისხმობს კრედიტორის ყველა იმ მოქმედებას, რაც დაკავშირებულია ძირითად მოვალის მიმართ იძულებით აღსრულების ინსტიტუტთან, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო წესით მოთხოვნის უფლების რეალიზაციასთან.

თავისთავად კრედიტორის მიერ ამ მოქმედებების განხორციელების საჭიროება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თავდები უარს იტყვის კრედიტორის დაკმაყოფილებაზე. ამრიგად, განსახილველი ნორმის თანახმად თავდებს შეუძლია უარი თქვას ნორმით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე.

## **საქმე № 3კ-1199-02**

**31 იანვარი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა (სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლი)**

სკ-ს 894-ე მუხლის თანახმად თავდებს შეუძლია, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

სკ-ს 895-ე მუხლის თანახმად, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება, წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.

აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა თავდების ვალდებულების შინაარსი და ძირითადი მოვალის მდგომარეობა იძლევა საფუძვლს, კრედიტორმა თავდებს წაუყენოს გადახდის მოთხოვნა მოვალისაგან იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.

თუ თავდები კისრულობს ვალდებულებას, რომ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისას თავდები მისი ანგარიშებიდან, თუ ვალდებულება ვადაში არ იქნება შესრულებული თვით მოვალის მიერ, მოახდენს თანხების გადარიცხვას (რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი), ნიშნავს იმას, რომ თავდები უარს თვითონ ამბობს სკ-ს 894-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს სოლიდარულის თა-

ნაბარმნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულება, როგორც მოვალისაგან, ასევე — თავდებისაგან ერთდროულად, ასევე ნებისმიერი მათგანისაგან დამოუკიდებლად.

**საქმე № 3კ/815-01**

**28 დეკემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები (სამოქალაქო კოდექსის 898-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 898-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავდები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების დამთავრების დროისათვის თავდები პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს საგანგებოდ იქნება შეთანხმებული.

მოსარჩელე მოითხოვს თავდებს დაეკისროს ძირითადი ვალი, პროცენტი და პირგასამტეხლო. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან პირგასამტეხლოს გადახდევინება შეთანხმებული არ ყოფილა და მოსარჩელის მიერ საგარანტიო წერილით დათქმულ ვადაში ამ მიმართებით პრეტენზია წარდგენილი არ ყოფილა.

**საქმე № 3კ/815-01**

**28 დეკემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები (სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი არ აცნობებს თავდებს ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადახდის ვადის გადაცილებას ან, თავდების მოთხოვნის საფუძველზე მას არ მიაწვდის ცნობებს ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ, მაშინ იგი დაკარგავს უფლებას თავდების წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნის იმ ნაწილზე, რა ოდენობითაც გამოიწვევდა ზიანს კრედიტორის მიერ აღნიშნულ მოვალეობათა შეუსრულებლობა. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ კრედიტორმა თავდებს დროულად არ აცნობა ვალის გადახდის ვადის გადაცილება და სარჩელი აღძრა სასამართლოში გადახდის ვადის დადგომიდან 10 თვის შემდეგ. აღნიშნულის გამო მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას 10 თვის პროცენტზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდეს.

### **4.13. ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულება**

**საქმე № ას-469-710-08**

**4 ნოემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საორდერო ფასიანი ქაღალდიდან წარმოშობილი უფლების გადაცემა (სამოქალაქო კოდექსის 923-ე მუხლი)**

უდავოა ის გარემოება, რომ თ. ჭ-ძემ 1999 წლის 24 დეკემბერს კ.აფაქიძისაგან 2400 აშშ დოლარად შეიძინა 15 000 ცალი აქცია. ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო გამოსყიდვის პირობით, ანუ მხარეთა შეთანხმებით კასატორს შეეძლო 6 თვის განმავლობაში აქციების დაბრუნება 2400 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის დაბრუნების სანაცვლოდ. იმავე დღეს თ. ჭ-აქვს გადაეცა სერტიფიკატი № 0177 ინდოსამენტით.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა 923-ე მუხლს, ვინაიდან აღნიშნული მუხლით დაუშვებელია ინდოსამენტის შესრულება რაიმე პირობით. აღნიშნული მუხლით, დოკუმენტში მოცემული უფლება შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტითა და

დოკუმენტის გადაცემით. ინდოსამენტი კეთდება დოკუმენტზე ან მის დანართზე. დაშვებულია ტექნიკური საშუალების გამოყენება. ინდოსამენტი არ საჭიროებს ინდოსატარის აღნიშვნას და შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ხელმოწერისაგან (ბლანკეტური ინდოსამენტი). ბლანკეტური ინდოსამენტი შეიძლება შეავსოს უფლებამოსილმა მფლობელმა თავისი ან სხვისი სახელით, გასცეს დოკუმენტი შეუვსებლად ანდა თავად მოახდინოს მისი შემდგომი ინდოსირება განსაზღვრულ პირზე.

ამდენად, დასახელებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საორდერო ფასიანი ქაღალდიდან წარმოშობილი უფლების გადაცემისათვის აუცილებელია ორი პირობის შესრულება: ფასიან ქაღალდზე ინდოსამენტის შესრულება და ამ დოკუმენტის ახალი მფლობელისათვის გადაცემა. მითითებული ნორმით რეგულირდება რა უფლებათა გადაცემის წესი და ინდოსამენტის სახეები, რაიმე დათქმას ინდოსამენტის პირობით შესრულებაზე კანონი არ შეიცავს. ინდოსამენტი გამოიყენება საწარმდგენლო აქციების შემთხვევაში და წარმოადგენს აქციის მეორე მხარეს შესრულებულ წარწერას აქციის ახალი მფლობელის ვინაობის თაობაზე. შესაბამისად, დაუშვებელია თვითონ წარწერის შესრულება რაიმე პირობით. რაც შეეხება აქციათა გასხვისებას, მისი ყიდვა-გაყიდვა შეიძლება განხორციელდეს მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით, მათ შორის, გამოსყიდვის პირობითაც და ამ მხრივ კანონი რაიმე აკრძალვას არ ითვალისწინებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სავსებით მართებულად იქნა გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე.

#### **4.14. ერთობლივი საქმიანობა(ამხანაგობა)**

**საქმე № ას-839-890-2011**

**8 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი)**

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელია შემდეგი: ამხანაგობის მონაწილე უნდა იყოს არა ნაკლებ ორი პირი, რომლებიც მოქმედებენ ერთობლივად, შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ არ წარმოეშობათ დაპირისპირებული ინტერესები, როგორც მოვალესა და კრედიტორს. ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, მის მონაწილეებს შორის შეიძლება მოხდეს უფლება-მოვალეობების გადანაწილება, თუმცა ეს ხორციელდება არა როგორც დამოუკიდებელ პირთა შორის, რომელთაც ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები და მოვალეობები გააჩნიათ, არამედ, როგორც სუბიექტებს შორის, რომელთა შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილება ხდება ამხანაგობის ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით. ამხანაგობის მონაწილეთა შეთანხმება და ერთიანობის გამოვლენა უნდა მოხდეს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნის მისაღწევად, რაც გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. მონაწილეები ერთობლივი მიზნის მისაღწევად მოქმედებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით მათ მიერ განხორციელებული შენატანების საფუძველზე და იურიდიული პირის შეუქმნელად. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის მართვა ყველა მონაწილის მიერ ერთობლივად ხორციელდება, რაც ამ საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ყველა მონაწილის თანხმობით მიღებას გულისხმობს. ამავდროულად, გადაწყვეტილებათა განხორციელება შეიძლება ერთ-ერთ მონაწილეს ან სხვა მესამე პირსაც დაევალოს, რაც გარიგების შინაარსს არ ცვლის. ამხანაგობის საქმიანობიდან მიღებული სარგებელი და ზიანი მონაწილეთა მიერ განხორციელებული წილების შესაბამისად გადანაწილდება, რისთვისაც რაიმე მნიშვნელობა არა აქვს შენატანი ქონებით თუ მომსახურების გაწევით იქნა განხორციელებული.

**საქმე № ას-1677-1573-2012****8 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი****ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი)**

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2005 წლის 8 სექტემბერს, ერთი მხრივ, შპს „ს. ს. კ-მა“ და მეორეს მხრივ, შპს „ა+მა“ სანოტარო ფორმის დაცვით გააფორმეს ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, შპს „ს. ს. კ-ი“, მისი დირექტორების: გ. დ-ის და ლ. გ-ის სახით, შემდგომში „მესაკუთრე“ და მეორეს მხრივ, შპს „ა+“, მისი დირექტორის — ო. დ-ას სახით, შემდგომში „კომპანია“ (ერთად შემდგომში „ამხანაგობის წევრები“).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ 2005 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით ნარდობის ხელშეკრულებას წარმოადგენს. მითითებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ შპს „ს. ს. კ-ის“ ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შპს „ა+-ის“ გადაცემა, რომელსაც ამ მიწის ნაკვეთზე უნდა აეშენებინა ს. კ-ი. ამ ვალდებულების შესრულების შემდეგ, კომპანიას შპს „ს. ს. კ-ის“ მის მიერ აშენებული ფართიდან უნდა გადაეცა საკუთრებაში 1500 კვ.მ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების პირობები არ არის დამახასიათებელი ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობისათვის. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შპს „ს. ს. კ-ი“ არის დამკვეთი, ხოლო შპს „ა+“ — მენარდე. საკასაციო სასამართლო ამ მტკიცებას არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „ს. ს. კ-ი“, მიწის ნაკვეთის გადაცემის სანაცვლოდ, საკუთრებას იძენს აბსტრაქტულ 1500 კვ.მ ფართზე, იმავდროულად, „ა+“-ის ვალდებულება იყო, მინიმუმ 2 000 000 აშშ დოლარის ინვესტირება მშენებლობაში, რაც მის შენატანს წარმოადგენდა ამხანაგობაში, შესაბამისად, მოცემული ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი არსით, ამხანაგობას წარმოადგენს და არა ნარდობას ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა შენატანები ამხანაგობაში და საერთო მიზანი — ს. სახლის მშენებლობა.

**საქმე № ას-751-1077-07****3 აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი****განმარტების საგანი: განმარტების საგანი: ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების ფორმა (სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დადების დროს ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ მონაწილეთა ნების გამოვლენის განსაკუთრებულ ფორმას კანონი არ ითვალისწინებს, ამიტომ იგი შეიძლება დაიდოს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, ზოგადი წესების გამოყენებით. ხელშეკრულების წერილობით ფორმას სავალდებულო სახე აქვს იმ შემთხვევაში, თუ შენატანი (თუნდაც ერთ-ერთი მონაწილის) წარმოდგენილია უძრავი ქონების სახით. წერილობითი ფორმის დაცვის სავალდებულო მოთხოვნა ეფუძნება უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებათა რეგულირების ზოგად ნორმებს. სკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად ადგენს უძრავი ნივთის შეძენის აუცილებელ ფორმას, კერძოდ, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომ ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

**საქმე № 3კ-1291-01****26 ივნისი, 2002 წელი, ქ. თბილისი****განმარტების საგანი: საერთო საქმიანობაში შესატანის სახით უძრავი ნივთის შეტანა (სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლი)**

გ. ლ-ქმ სარჩელი აღძრა გ. მ-შვილის წინააღმდეგ და მოითხოვა უძრავ ნივთზე თანამესაკუთრედ ცნობა შემდეგი საფუძვლით: 1998წ. სექტემბერში მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელემ

თავისი ხარჯებით ააშენა ორსართულიანი სავაჭრო ობიექტი, რომელიც ექსპლოატაციაში მიღების შემდეგ უნდა აღრიცხულიყო მათ თანასაკუთრებად. ობიექტის აშენების შემდეგ გ. მ-შვილმა მიღება-ჩაბარების აქტის შედგენასა და საჯარო რეგისტრში ქონების თანასაკუთრებად აღრიცხვაზე უარი განაცხადა

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა ის ნორმები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, სარჩელის დავის საგანს წარმოადგენს უძრავ ნივთზე თანამესაკუთრედ ცნობა. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილით უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეგისტრში. მართალია, ამავე კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 932-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას საერთო საკუთრება, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში. 932-ე მუხლის მეორე ნაწილით, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას, ე.ი. თუ პირმა საერთო საქმიანობაში შესატანის სახით მიწის ნაკვეთი ან ნაგებობა შეიტანა, იგი საერთო საკუთრება ხდება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენატანი განხორციელებულია კანონით დადგენილი წესით. პალატა განმარტავს, რომ კანონით დადგენილი წესი გულისხმობს უძრავი ნივთის გასხვისებისათვის სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 323-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა ნოტარიალურად არ გააფორმეს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რომლის შენატანი ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან წარმოადგენდა უძრავ ნივთს, რის გამოც შენატანის საერთო საკუთრებად ცნობისათვის არ არსებობს სამართლებრივი წინამძღვრები. პალატა მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი საქმიანობის მონაწილემ (მონაწილეებმა) შენატანი უძრავი ქონების სახით არ განახორციელა დადგენილი წესით, მაშინ მას დავის შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ იმ მოძრავი ნივთის კომპენსაცია, რითაც მან უძრავი ნივთი, მოცემულ შემთხვევაში მიწის ნაკვეთი გააუმჯობესა, რადგან სამოქალაქო კოდექსის 193-ე მუხლით, თუ მოძრავი ნივთი (ამ შემთხვევაში საამშენებლო მასალა) ისეა მიწასთან დაკავშირებული, რომ იგი ამ ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი გახდა, მაშინ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იმავდროულად ხდება ამ ნივთის მესაკუთრეც.

## **საქმე № ას-821-1089-05**

**6 ოქტომბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ერთობლივი საქმიანობის მონაწილისთვის საქმეების მართვის უფლება-მოსილების ჩამორთმევის სამართლებრივი შედეგი (სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-4 ნაწილი)**

პალატა თვლის, რომ სასამართლომ სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცა კრების გადაწყვეტილებას, რადგან კრების გადაწყვეტილებით ზ.მ-ს შეუწყდა სამართლებრივი ურთიერთობა როგორც ხაზინადარს და არა როგორც ამხანაგობის წევრს. პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სკ-ის 934-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ნორმით, ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს შეიძლება ჩამოერთვას საქმეების მართვის უფლებამოსილება ხმათა უმრავლესობით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. სააპელაციო პალატამ სწორად მიუთითა, რომ ამხანაგობის საქმეების მართვაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა არ ნიშნავს, რომ მას უარი უნდა ეთქვას ერთობლივი საქმიანობის საბოლოო შედეგებიდან მისი კუთვნილი წილის შესაბამის სარგებლის მიღებაზე. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ამხანაგობის საქმეების მართვაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა არ შეიძლება საფუძველი გახდეს ცალმხრივად ბინათმშენებლობის ამხანაგობის ხელშეკრულების მოშლისა, რადგან, ჯერ ერთი, მითითებული ნორმა არ ითვალისწინებს აღნიშნულ შედეგს; მეორე, სკ-ის 405-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის წესს, არ ითვალისწინებს მითითებული საფუძველით ორმხრივი ხელშეკრულების მოშლას.

**განმარტების საგანი: ამხანაგობის სახელის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება (სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლი)**

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ლ. გ-მა მოითხოვა მოპასუხეებად იბა „გ.-2007-ის“ დამფუძნებლების — მ. გ-ს, ლ. ხ-ის, ნ. დ-ის, ნ. ე-ისა და ა. ო-ის საქმეში მოპასუხეებად ჩაბმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით ლ. გ-ის სარჩელი ამხანაგობა „გ.-2007-ის“, მ. გ-ს, ლ. ხ-ის, ნ. დ-ის, ნ. ე-ისა და ა. ო-ის მიმართ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 189500 აშშ დოლარის გადახდა, რაც მ. გ-მ, ლ. ხ-მა, ნ. დ-მა, ნ. ე-მა, ასევე ე. გ-ის წარმომადგენელმა დ. გ-მა, ე. უ-მ, მ. ჩ-მ, ბ. წ-მ, ნ. დ-მ, ნ. შ-მ, ე. ტ-მ, ა. ტ-მ, ნ. ტ-მ, შ. ბ-მა, თ. ფ-მა, ზ. კ-მა, ა. კ-მ, მ. მ-მ, გ. წ-მ, ნ. ჩ-მა, ნ. გ-მა, ა. გ-მ, დ. გ-მა, ლ. ფ-მა, თ. ფ-მა, ს. ტ-მ, ლ. ო-მ, თ. ს-მა, გ. გ-მა, შ. ქ-მ, თ. შ-ს მინდობილობით რ. მ-მ, თ. მ-მ, ქ. გ-მა, თ. ტ-მ, მ. ს-მა, ვ. წ-მ, თ. ბ-მა, თ. ქ-მ, გ. შ-მ, პ. ბ-მ, ა. კ-მ, გ. წ-მა, შ. გ-მა, ნ. მ-მა, ი. კ-მა, ქ. ბ-მ, გ. ლ-მა, ნ. მ-მ და ნ. ქ-მ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინებით ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გ.-2007-ის“ წევრების სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2012 წლის 6 მარტს წარდგენილ სარჩელში მოსარჩელემ მოპასუხედ დაასახელა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გ.-2007“. 2012 წლის 9 მარტს მან დააბუსტა მოპასუხეთა წრე და წარმოდგენილ სარჩელზე მოპასუხეებად მიუთითა ამავე ამხანაგობის დამფუძნებლები — მ. გ-ს, ლ. ხ-ს, ნ. დ-ს, ნ. ე-ს და ა. ო-ს. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხეებს საქმეში სწორედ ეს უკანასკნელი წარმომადგენდნენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს და ასეთად მიიჩნევს მხარეებს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

პალატა ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის პირველის ნაწილის პირველ წინადადებაზე, რომლის მიხედვით თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ერთობრივი ხელშეკრულების (ამხანაგობის) მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმომადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამასთან, ამავე კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად.

კანონის აღნიშნული ნორმების შესაბამისად, ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მისი წევრების მეშვეობით, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ამხანაგობის წევრებს სრული უფლება გააჩნიათ, იდავონ სასამართლოში ამხანაგობის სახელით.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებაში ამხანაგობა „გ.-2007“ მითითებულია ერთ-ერთ მოპასუხედ. ამავდროულად ცხადია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უშუალოდ ეხება ამხანაგობა „გ.-2007-ის“ წევრთა უფლებებს, — მათ ხსენებული ამხანაგობის დამფუძნებლებთან ერთად დაეკისრათ სოლიდური თანხის გადახდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ე. უ-სა და სხვათა სააპელაციო საჩივარი არასწორად დარჩა განუხილველად და პალატამ აპელანტები სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირებად არასწორად არ ჩათვალა.

**განმარტების საგანი: ერთობლივი საქმიანობის(ამხანაგობის ) ხელშეკრულების მონაწილეთა პასუხისმგებლობა**

მოსარჩელე ნ. რ-ავამ აღძრა სარჩელი ამხანაგობა „... ..-ის“ წინააღმდეგ და ითხოვდა ამხანაგობა „... ..-ის“ 2003 წლის 15 თებერვლის საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობას, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ. აღნიშნული ოქმით განაწილებულ იქნა ბინები მრავალბინიან სახლში, რასაც მოსარჩელე, როგორც ამხანაგობის წევრი არ დაეთანხმა და მიიჩნევდა, რომ მას უნდა მიეღო სხვა ფართი. ამდენად, აღნიშნული მოთხოვნა საბოლოოდ მიმართული იყო მის წილზე უფლების აღიარებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ისმის კითხვა: ზემოაღნიშნული საქმის განხილვაში მოპასუხეს წარმოადგენს საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) სახელით მისი თავმჯდომარე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად), თუ ამ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) დანარჩენი მონაწილეები. პასუხის გასაცემად აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა უფლებების განხორციელება შეიძლება დაეკისროს საერთო საქმიანობის ერთ-ერთ მონაწილეს (თავმჯდომარეს) მესამე პირებთან ურთიერთობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად. აქედან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს ის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლის თანახმად საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეები ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც კრედიტორი და მოვალე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გააჩნიათ ამხანაგობის წევრებს ერთმანეთთან, განსხვავდება იმ სამართლებრივ ურთიერთობებისაგან, რომელიც გააჩნია ამხანაგობას მესამე პირებთან. გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ამხანაგობის წევრებს შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მისი განსაზღვრის სამართლებრივი საკითხი და არ შეიძლება ამ თავისებურების გავრცელება ამხანაგობასა და მესამე პირებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მის განსაზღვრაზე.

ამხანაგობას მესამე პირებთან სამართლებრივი ურთიერთობების შედეგად დაკისრებულმა პასუხისმგებლობამ შეიძლება გამოიწვიოს „შიდა სახელშეკრულებო“ ურთიერთობაში გარკვეული უფლება-ვალდებულებების წარმოშობა, რაც არანაირ სამართლებრივ გავლენას არ ახდენს მესამე პირებთან არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე (პასუხისმგებლობაზე), ამდენად, ამ შემთხვევაში მესამე პირებთან ურთიერთობაში სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მხარეებთან ერთობლივად დადებულ ხელშეკრულებას და არა ცალ-ცალკე ამხანაგობის წევრებთან წარმოშობილ ურთიერთობას. სწორედ ამიტომ, მესამე პირისათვის არ აქვს მნიშვნელობა ამხანაგობის მიერ ისეთი „შიდა სახელშეკრულებო“ ცვლილებების განხორციელებას, როგორცაა ამხანაგობის წევრების შეცვლა და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობა წარმოადგენს ორგანიზებულ ერთობას, ამხანაგობის მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან ამხანაგობის საერთო საქმიანობას საბოლოო მიზნის მასალწევად მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენს კოლექტიურ გაერთიანებას, გარკვეულ წილად ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ასევე ქონებრივ ელემენტებს. ზუსტად ასეთი ტიპის გაერთიანება წარმოადგენს გარკვეულ წილად იმ საშუალებათა ერთობას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, მისი მონაწილეები სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობენ არა ცალ-ცალკე, არამედ ერთობლივად.

ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) წევრების ინტერესები მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი არ შეიძლება გამოდიოდნენ როგორც



კრედიტორი და მოვალე. ზუსტად ეს წარმოადგენს იმ შემთხვევას, როდესაც ჩვენ უნდა გავმიჯნოთ საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად ამხანაგობის წევრების უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები იმ უფლება-ვალდებულებებისაგან, რომელიც შემდეგ მათ წარმოეშობათ ერთმანეთის მიმართ, კერძოდ, ერთ შემთხვევაში, საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველივე მონაწილისაგან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ. მეორე შემთხვევაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულია დანაწესი, რომლის თანახმად პასუხისმგებლობის საკითხი დგება ერთმანეთის მიმართ. საერთო საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების განაწილება (მაგალითად, საერთო საქმიანობის შედეგად აშენებული მრავალბინიანი სახლის ბინები) წარმოადგენს საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა იმ უფლებების დაკმაყოფილებას, რომლისთვისაც იქმნება ამხანაგობა. ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ხდება ყველა მონაწილის უფლებების დაკმაყოფილება. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძღოლაში იგულისხმება იმ საშუალების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი) გამოყენება, რომელიც მიმართულია მხოლოდ საერთო მიზნის მიღწევისაკენ (კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ ამ დროს შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველივე მონაწილისაგან არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ). რაც შეეხება საერთო საქმიანობის შედეგად მიღებულ სიკეთეს, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული შედეგი მიუთითებს საერთო საქმიანობით მიღწეულ მიზანზე. ზუსტად ამ საქმიანობის შედეგად მიღებული (კონკრეტულ შემთხვევაში) ქონების განაწილება გავლენას ახდენს საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებებზე მდგომარეობაზე, რამაც შეიძლება დაარღვიოს „შიდა სახელშეკრულებო“ ბალანსი.

ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის მიერ ამ ბალანსის აღდგენის მოთხოვნა გავლენას ახდენს ამავე ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა უფლებებზე, რომლებიც უკავშირდებიან არა ამხანაგობის საქმეების გაძღოლას, არამედ მის შედეგად ამხანაგობის შექმნის მიზნით არსებული უფლების დაკმაყოფილებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამხანაგობის მონაწილეთა ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც კრედიტორი და მოვალე და მონაწილეთა სასამართლოში არა ამხანაგობის, არამედ თავისი სახელით.

ამ კონკრეტულ შემთხვევაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძღოლა დაკისრებული აქვს ერთ-ერთ მონაწილეს, საეჭვოობისას ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია. განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, ამხანაგობის საქმეების გაძღოლის დაკისრებაში იგულისხმება ამხანაგობის მონაწილეთა მიერ იმ უფლების გამოყენება, რომლებიც მიმართულია არა ერთმანეთის მიმართ, არამედ საერთო მიზნის მისაღწევად. ზუსტად ამ უფლებების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამხანაგობის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელსაც წარმოეშობა ამ უფლებების კეთილსინდისიერად განხორციელების (საერთო საქმეების გაძღოლა) ვალდებულება.

## საქმე № ას-400-648-08

2 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ამხანაგობის წევრთან საერთო საქმიანობის ხელშეკრულების შეწყვეტა

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ ამხანაგობიდან გარიცხვას არ იცნობს სამოქალაქო კოდექსი და ამხანაგობიდან გარიცხვა არ დაიშვება. სამოქალაქო კოდექსის ნორმები საერთო საქმიანობის ხელშეკრულების შესახებ ამხანაგობიდან გარიცხვის საკითხზე მართლაც არ შეიცავს

მითითებას, მათ შორის, არც კრძალავს მას. ეს სრულიად ბუნებრივია, რამდენადაც მოცემული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობაა და მისი ყოვლისმომცველი მოწესრიგება მხოლოდ კონკრეტული ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებით არ შემოიფარგლება. სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ ამხანაგობიდან გარიცხვა მოცემულ შემთხვევაში უთანაბრდება ხელშეკრულების შეწყვეტას ამხანაგობის წევრთან, რაც წარმოშობს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შედეგებს. ამხანაგობაში შენატანის განუხორციელებლობა კი წარმოადგენს იმ მართლზომიერ საფუძველს, რომლის გამოც ამხანაგობის წევრთან საერთო საქმიანობის ხელშეკრულების შეწყვეტა ამხანაგობას შეუძლია.

### **საქმე № ას-400-380-2011**

**11 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ბინათმშენებლობის ამხანაგობაში წილის გასხვისების ფორმა**

რაც შეეხება ჯ. ა-ის მიერ 75 კვ.მ ფართობზე ნ. ო-ის სასარგებლოდ უფლების დათმობის ფაქტს 35000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზოგადად კასატორები მიუთითებენ გარიგების სავალდებულო ფორმის დაუცველობაზე. კასატორთა განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობა გამოიხატა იმაში, რომ სასამართლომ არ გამოიყენა სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 321-ე, 323-ე და 328-ე მუხლების მოთხოვნები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს გარიგების ფორმასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე 199-ე და 933-ე მუხლებით. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჭ-ე 37ბ“-ის დაფუძნება მოხდა წერილობითი ფორმით დადებული და ნოტარიალურად დამოწმებული მრავალმხრივი ხელშეკრულებით, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ წილის გასხვისებაც ამ ფორმით უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ასეთი დათქმა არ გამოძინარეობს არც კანონიდან და არც მხარეთა შეთანხმებიდან.

### **საქმე № 3კ/739-01**

**7 დეკემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის შედეგად ქონების განაწილება (სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) იქმნება მონაწილეთა შენატანების საფუძველზე, შენატანები შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ე.ი. ფული, ნივთები, სამუშაოს შესრულება და ა.შ.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ პ. მ-შვილმა ამხანაგობაში შეიტანა გაუმართავი ავტომანქანა „კამაზი“. ო. ს-შვილმა — ავტომანქანის ძარა, ხოლო ვ. ც-ძემ მანქანის შესაკეთებლად შეიტანა 1700 აშშ დოლარი. დადგენილია, რომ მხარეთა შორის უთანხმოების გამო ერთობლივი საქმიანობა შეწყდა ხელშეკრულების მოშლით.

სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას დარჩენილი ქონება უნდა განაწილდეს მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად.

დარჩენილი ქონების განაწილების დროს ამხანაგობის მონაწილეებს ნატურის სახით დაუბრუნდებათ მათივე შენატანი ქონება, თუკი ეს შესაძლებელია. მოცემულ შემთხვევაში ამხანაგობის მონაწილეებს დარჩათ შეკეთებული ავტომანქანა „კამაზი“. ო. ს-შვილს დაუბრუნდა ამხანაგობაში შეტანილი მანქანის ძარა. ვინაიდან შეკეთებული ავტომანქანის ნატურის სახით გაყოფა შეუძლებელია, იგი უნდა დაუბრუნდეს პ. მ-შვილს, რადგან ავტომანქანა შეტანილი იქნა მის მიერ და მასვე უნდა გადახდეს ვ. ც-ძის მიერ ამხანაგობაში შეტანილი თანხა, რომელიც ავტომანქანის შეკეთებას მოხმარდა.

## 4.15. სამისდღეშიო რჩენა

საქმე № 3კ-992-02

6 თებერვალი, 2004 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: განსხვავება სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებასა და ნასყიდობის ხელშეკრულებას შორის (სამოქალაქო კოდექსის 941-ე და 477-ე მუხლები)**

სკ-ის 941-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა, გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

ამავე კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

აღნიშნული ნორმების თანახმად, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ნასყიდობის ხელშეკრულები-საგან, პირველ რიგში, განსხვავდება სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით. ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები არიან მყიდველი და გამყიდველი, ხოლო სამისდღეშიო ხელშეკრულების მხარეები — მარჩენალი და სარჩენი. მეორე რიგში, მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაყიდ ნივთზე წარმოეშობა საკუთრების უფლება და შეუძლია, ნაყიდი ნივთი განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით კი სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება. მესამე რიგში, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს, აგრეთვე, იმაში, რომ იგი არის სასყიდლიანი და მიზნად ისახავს მომავალში სარჩენის ქონების გადასვლას მარჩენალის საკუთრებაში განსაზღვრული შემხვედრი ანაზღაურების გადახდის გზით, მაგრამ იგი არსებითად არ მოიცავს ისეთ პირობას, როგორცაა ფასი და ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით არ ხასიათდება გადასაცემი ქონების ეკვივალენტურობით. სარჩოს ოდენობა, რომელსაც სარჩენი ღებულობს მარჩენალისაგან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით, შეიძლება შეადგენდეს მარჩენალისათვის გადასაცემი ქონების ღირებულების უმნიშვნელო ნაწილს, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს კიდევაც ქონების ღირებულებას (რაც აიხსნება იმით, რომ რჩენა განსაზღვრულია სარჩენის სიცოცხლის ვადით, თუმცა მხარეები შეიძლება განსაზღვრულ დროზე შეთანხმდნენ).

საქმე № ას-1009-1268-04

24 მარტი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სამისდღეშიო რჩენა (სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლი)**

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის სასყიდლიანი და მიზნად ისახავს მომავალში სარჩენის ქონების გადასვლას მარჩენალის საკუთრებაში განსაზღვრული შემხვედრი ანაზღაურების გადახდის გზით, რაც არ ხასიათდება გადასაცემი ქონების ეკვივალენტურობით. სარჩოს ოდენობა, რომელსაც სარჩენი ღებულობს მარჩენალისაგან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით, შეიძლება შეადგენდეს მარჩენალისათვის გადასაცემი ქონების ღირებულების უმნიშვნელო ნაწილს, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს კიდევაც ქონების ღირებულებას (რაც აიხსნება იმით, რომ რჩენა განსაზღვრულია სარჩენის სიცოცხლის ვადით, თუმცა მხარეები შეიძლება განსაზღვრულ დროზე შეთანხმდნენ).

## 5. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

### 5.1. საზიარო უფლებები

საქმე № ას-179-506-09

22 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საზიარო საგანში მონაწილეთა კუთვნილი წილის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლი)

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

უდავო ფაქტია, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი საზიარო საკუთრების უფლებით ეკუთვნის ორივე მხარეს. ამასთან ერთად საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მიწის ნაკვეთზე წილები მხარეთა შორის არ არის განაწილებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონაწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. განსახილველი ნორმის თანახმად, წილების განაწილების თანაბრობის პრინციპი არ არსებობს მაშინ, თუ დადგენილია წილის კუთვნილების სპეციალური წესი, რაც შეიძლება განსაზღვრული იყოს კანონით ან მხარეთა (ან მათი წინამორბედი მესაკუთრეების) შორის დადებული ხელშეკრულებით.

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ჯერ კიდევ 1990 წლისათვის, თ. ს-ძის წინამორბედ მესაკუთრესა და ა. რ-ძეს შორის განსაზღვრული იყო საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, ათეული წლების მანძილზე დაიყო საზიარო ქონება და ნაკვეთებს შორის გავლებული იყო მყარი სასაზღვრო ბეტონის მიჯნა, რაზედაც აღმართულია მავთულბადის ღობე ჯერ კიდევ წინამორბედი მესაკუთრეების მიერ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული გარემოება მიუთითებს საზიარო უფლების მესაკუთრეთა მიერ სპეციალური შეთანხმების არსებობაზე.

საქმე №ას-395-374-2013

23 სექტემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საერთო საკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობის წესი

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას, მანსარდით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება საფუძვლიანია და არ არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ქ.თბილისში, შ-ის ქ№ 36-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი № ...) წარმოადგენს მხარეთა თანასაკუთრებას;

დადგენილია, რომ საზიარო საგანში თითოეული მესაკუთრის წილი სპეციალურად არ არის განსაზღვრული, შესაბამისად მხარეთა წილი თანაბარია;

მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელ სახლს გააჩნია სხვენის სართული, რომელიც წარმოადგენს საცხოვრებელი სახლის არსებით შემადგენელ ნაწილს და შესაბამისად, მასზე ვრცელდება თითოეული მესაკუთრის საკუთრების უფლება;

მხარეთა შორის სხვენის სართულით სარგებლობის წესზე შეთანხმება არ ყოფილა.

მოცემულ შემთხვევაში, მართალია, კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს ამ მსჯელობას და აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის სხვენით სარგებლობის თაობაზე არსებობდა შეთანხმება. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მხარის ამ მოსაზრებას, რადგანაც მოსარჩელემ ნივთზე მხარეთა თანასაკუთრების ფაქტის დადასტურება საქმის მასალებით შეძლო, რაც პროცესუალური თვალსაზრისით, მისი მტკიცების საგანს წარმოადგენდა, ამის გამაქარწყლებლად კი, მოპასუხე შემოიფარგლება მხოლოდ განმარტებით, რომ მხარეები სხვენით სარგებლობაზე შეთანხმებული იყვნენ და მიიჩნევა, რომ სარდაფით სარგებლობის წესზე

შეთანხმება ადასტურებს სხვენით სარგებლობაზე შეთანხმებასაც, აღნიშნული მსჯელობა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი გაზიარების საფუძველი.

დადგენილია, რომ სხვენის სართულში ი. ჭ-ეს მოწყობილი აქვს მანსარდი, რომლითაც იგი ერთპიროვნულად სარგებლობს.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას, რომ სხვენი საზიარო საგნის არსებითი შემადგენელი ნაწილია, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლისა და მის მიმართ ასევე ვრცელდება მხარეთა თანასაკუთრების უფლება. ამასთანავე, პალატა განმარტავს, რომ საკუთრების (თანასაკუთრების) უფლებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე — სხვენზე ვრცელდება იმავე ხარისხით, როგორც ეს საკუთრების ძირითადი ობიექტისთვისაა დადგენილი, მიუხედავად, იმისა, თავის ტექნიკური მონაცემებით ე.წ. „სხვენი“ აკმაყოფილებს თუ არა მშენებლობის წესებისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

გემოლანიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში სასამართლომ სამართლებრივად სწორად დაასაბუთა გადაწყვეტილება და სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 953-ე და 954-ე მუხლები, რომელთა ძალითაც საზიარო საგნის მოწილეთა უფლება ვრცელდება ასევე სხვენის მიმართ თანაბარი წილობრივი მონაცემებით.

სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას, ხოლო ამავე კანონის 957-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ცალკეული მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება.

ისეთ ვითარებაში, როდესაც დავას არ იწვევს ი. ჭ-ის მიერ სხვენით ერთპიროვნული სარგებლობა, საკასაციო პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, ი. კ-ა უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აკრძალვა. ამ, კუთხით მხარეს რაიმე დასაბუთებული მოსაზრება არ წარმოუდგენია.

რაც შეეხება კასატორის მსჯელობას, რომ სასამართლომ არ იმსჯელა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას გამოიწვევდა, მართალია სააპელაციო პალატამ ი. ჭ-ის ეს მოსაზრება არ შეაფასა, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის შემდეგი გარემოებების გამო:

საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული. უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვებაც და დაკარგვაც დაკავშირებულია საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან. აღნიშნულის გამო, მესაკუთრის სტატუსის დარღვევულად მიჩნევის საფუძველს საჯარო რეესტრის ჩანაწერი უნდა იძლეოდეს, ანუ მესაკუთრედ სხვა პირი უნდა იყოს დარეგისტრირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთრების უფლება შელახულად არ ჩაითვლება, ამასთან, საკუთრების, როგორც აბსოლუტური უფლების მიმართ, ხანდაზმულობის გავრცელება არ დაიშვება.

## საქმე № ას-757-1054-05

27 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საზიარო საგნის მართვა (სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დადგენილად ცნო შემდეგი: ქ.თბილისში, ... მდებარე სახლმფლობელობის 2/15 არის ს. ც-ის საკუთრება, 5/15 ეკუთვნის ჯ. კ-ს, ხოლო 8/15 — გ. ზ-ეს. სახლი და მიწის ნაკვეთი ერთად წარმოადგენს საზიარო უფლების საგანს. ამასთან, სახლი და საერთო აივანიც თანამესაკუთრეებს შორის ფაქტობრივად გაყოფილია და ყველა სარგებლობს ურთიერთშეთანხმებით მისთვის გამოყოფილი ოთახებით, კერძოდ, გ.ზ-ეს უკავია ლიტ „ა-ს“ პირველ სართულზე 15,7,9 და 9<sup>1</sup> ოთახები, ხოლო ს. ც-ს — 14 და 41 ოთახები; სადაო ფანჯრის ღიობი ამოჭრილია გ.ზ-ის მიერ 17 ოთახის კედელში და გადის ს.ც-ის სარგებლობაში არსებულ აივანზე.

სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ გარემოებას და მართებულად მიუთითა სკ-ის 955-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის ძალითაც თითოეულ მოწილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას და 957-ე მუხლის მესამე ნაწილზე, რომლითაც ცალკეული მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება.

დასახელებულ ნორმათა ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ცალკეული მოწილის უფლება საზიარო საგნით სარგებლობის დადგენილი წესის შეცვლისას შეზღუდულია სხვა მოწილეთა სავალდებულო თანხმობით. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა, მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე, ფანჯრის ღიობის გაჭრით შეცვალა რა თანასაკუთრებით სარგებლობის წესი, დაარღვია თანამესაკუთრის — ს. ც-ის კანონით გარანტირებული უფლებები, რისი დაცვაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით სავსებით სწორად იქნა უზრუნველყოფილი.

**საქმე № ას-881-924-2011** **15 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**  
**განმარტების საგანი: საზიარო საგნის მართვა (სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლი)**

საზიარო საგნის მართვა და სარგებლობა, ჩვეულებრივ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდება, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოწილეს შეუძლია, სარგებლობის უფლების განსაზღვრა და ამ უფლების სასამართლო წესით დაცვა მოითხოვოს. კანონით განსაზღვრული უფლების მფლობელი თავისუფალია, თვითონ გადაწყვიტოს ამ უფლებით სარგებლობის საკითხი.

**საქმე № ას-761-1053-05** **13 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი**  
**განმარტების საგანი: საზიარო საგნის განკარგვა (სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლი)**

„საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1999წ. 1 თებერვლის № 107 დადგენილების მეხუთე ნაწილის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან. სკ-ის 959-ე მუხლის თანახმად, თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. აღნიშნული ნორმების შესაბამისად, სადავო ბინის პრივატიზაციის დროს ბინაში ჩაწერილები იყვნენ რა ს. ტ-ია და ე. ე-ია, მათ ბინაზე თანასაკუთრების უფლება თანაბარ წილში ჰქონდათ მოპოვებული და თითოეულ მოწილეს მხოლოდ საკუთარი წილის განკარგვა შეეძლო. ამ გარემოებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაასკვნა, რომ ს. ტ-იამ ჩუქების ხელშეკრულების დადებისას საზიარო საგანი განკარა მთლიანად, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა და, შესაბამისად, ამ ნაწილში ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა კანონიერია.

**საქმე № ას-649-610-2011** **4 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**  
**განმარტების საგანი: საზიარო საგნის მოვლის ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 960-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული დავა უნდა გადაწყდეს საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებადაა მიჩნეული ის, რომ სადავო სახლის თანამესაკუთრებს დღეის მდგომარეობით წარმოადგენენ ა. ჯ-ი, ნ. ბ-ი, ა. ჯ-ე, ნ. გ-ე და ნ. გ-ე, რაც დასტურდება ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ჩანაწერებით. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 953-ე, 173-ე მუხლებიდან გამომდინარე, კურორტ ბახმაროში, ...ის ქუჩა № 41-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ვრცელდება თანასაკუთრების უფლება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული ის, რომ დანგრეული სახლი აღადგინა კასატორმა საკუთარი ხარჯებით, დანარჩენი თანამესაკუთრეთაგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, ჩნდება ვარაუდი იმისა, რომ ა. ჯ-ს უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმებიდან გამომდინარე, აქვს შესაძლებლობა, მოითხოვოს გაწეული დანახარჯების ანაზღაურება. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ მითითებული საფუძვლით პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს გარკვეული კუმულატიური წინაპირობები, კერძოდ: ა) მოპასუხე უნდა გამდიდრდეს; ბ) მოპასუხის გამდიდრება უნდა გამოიწვიოს მოსარჩელის ქმედებამ, — ქმედებასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი; გ) მოპასუხის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკანონო, ანუ მას არ უნდა ჰქონდეს კანონისმიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მიითვისოს აღნიშნული ქონება. რომელიმე ამ პირობის არარსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ამიტომ ცალ-ცალკე და ერთობლივად უნდა დადგინდეს თითოეული მათგანის არსებობა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებადაა მიჩნეული, რომ 1999 წელს სადავო სახლი, დიდთოვლობის გამო, თითქმის სრულად დაინგრა, რის შემდეგაც 2000 წელს ა.ჯ-მა დამოუკიდებლად აღადგინა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ არა სახლის აღდგენისკენ მიმართული კასატორის ქმედებები, სადავო სახლი ამჟამად კვლავაც დანგრეული იქნებოდა, შესაბამისად, ეჭვგარეშეა ისიც, რომ თანამესაკუთრებმა ა. ჯ-ის ამ ქმედებათა შედეგად ნახეს მნიშვნელოვანი სარგებელი, ანუ, ზემოთ დასახელებული მოპასუხის გამდიდრება და მიზეზობრივი კავშირის არსებობა მოსარჩელის ქმედებასა და მოპასუხის გამდიდრებას შორის უდავოდ არსებობს, თუმცა არსებული წინაპირობების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების გარდაუვალობას, რადგან უსაფუძვლო გამდიდრება არის სუბსიდიარული ხასიათის მატარებელი, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი. როგორც ზემოთ ითქვა, მხარეთა შორის რაიმე სახის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ წარმოშობილა, ასევე არ დგინდება არც უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით მოთხოვნის კანონიერება და არც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, თუმცა ა.ჯ-ის განმარტება ამ უკანასკნელის ნიშნებს შეიცავს, კერძოდ:

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც შემსრულებელი სხვის საქმეებს წარმართავს ისე, რომ საამისოდ არც მოვალეობა გააჩნია და არც უფლებამოსილება. აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველ რიგში ხაზგასასმელია ის, რომ კასატორ ა. ჯ-ს ჰქონდა უფლებამოსილება, დანარჩენ თანამესაკუთრეთა ნებართვის გარეშეც აღედგინა სადავო სახლი, სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, შესაბამისად, ვერ მივიჩნევთ, რომ იგი იყო არაუფლებამოსილი პირი და ასრულებდა „სხვის“ საქმეებს, თუმცა ობიექტურად ეს ასეც რომ ყოფილიყო ამ თავის წესებს მაინც ვერ გამოვიყენებდით მოცემული დავის გადაწყვეტისას, რადგან, სუბიექტურად, ა. ჯ-ი (იხ. ა.ჯ-ის განმარტება) მოქმედებდა რწმენით, რომ იგი ასრულებდა თავის და არა სხვის საქმეს, რაც, სამოქალაქო კოდექსის 975-ე მუხლიდან გამომდინარე, გამორიცხავს 969-974-ე მუხლების გამოყენების შესაძლებლობას განსახილველ დავაზე მსჯელობისას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ კასატორს არ ჰქონდა სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც მოითხოვდა თავის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, ამდენად, მოცემული დავის რეგულაცია საზიარო უფლებების მომწესრიგებელი ნორმებით უნდა განხორციელდეს, ვინაიდან, მოდავე მხარეთა შორის ურთიერთობა სწორედ ამ საფუძვლით წარმოიშვა. სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 956-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს უფლება აქვს, საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშეც, ხოლო 960-ე მუხლის თანახმად თითოეული მოწილე სხვა მოწილეთა მიმართ ვალდებულია, თავისი წილის თანაზომიერად იკისროს საზიარო

საგანთან დაკავშირებული ხარჯები. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის თანახმად, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება, თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. ამავე კოდექსის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის თანახმად, მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აღნიშნული ნორმების ანალიზით უნდა დავასკვნათ, რომ სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და გაწეული ხარჯების ანაზღაურებას კანონის ბემოაღნიშნული ნორმები ითვალისწინებს, ამდენად, ა. ჯ-ის მოთხოვნა გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ა. ჯ-მა საზიარო სახლის მოვლა-პატრონობა და შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელა დამოუკიდებლად.

### საქმე № 3კ-1043-02

11 თებერვალი, 2003 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საზიარო უფლების გაუქმება (სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი)

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლ. თ-ი და ტ-ა-ა არიან დები. ქ. თბილისში, ... მდებარე სახლი წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას, საიდანაც ლ. თ-ს ეკუთვნის 5/16, ხოლო ც. ტ-ა-ას — 7/16, სახლის დანარჩენი 1/4 ნაწილი ეკუთვნის მ-ეს.

ლ. თ-მა სარჩელით მოითხოვა კუთვნილი წილის რეალურად გამოყოფა და სკ-ს 961-ე მუხლის შესაბამისად მოპასუხეებთან საზიარო უფლების გაუქმება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: სადავო საცხოვრებელი სახლიდან რეალურად გამოიყო ლ. თ-ის კუთვნილი წილი საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე სკ-ს 1513-ე და 150-ე მუხლების საფუძველზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივაციას, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმის გამო, რომ გადაწყვეტილება ბუნდოვანია და შეუძლებელია მისი აღსრულება. პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებისას სკ-ს 1513-ე, 150-ე მუხლებზე.

სკ-ს 1513-ე მუხლის თანახმად ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სკ-ს ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სკ-ით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. ამავე კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს.

... მდებარე სახლმფლობელობა და მიწის ნაკვეთი, რომელზეც სადავო სახლია განთავსებული, წარმოადგენს საზიარო უფლების საგანს, რადგან სახლი მესაკუთრეთა თანასაკუთრების ობიექტია. ლ. თ-მა სარჩელით მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება მხოლოდ სახლზე.

სკ-ს 150-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე, ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.



გემოლნიშნულიდან გამომდინარე, უძრავი ნივთის (მიწის) არსებით შემადგენელ ნაწილზე — საცხოვრებელ სახლზე — საზიარო უფლების გაუქმების საკითხი შეიძლება დაისვას მხოლოდ მაშინ, თუ საზიარო უფლება შეწყდება უძრავ ნივთზე. სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ დაუშვებელია, შენობა და მიწის ნაკვეთი სხვადასხვა უფლების ობიექტს წარმოადგენდეს.

**საქმე № ას-373-701-05**

**3 ოქტომბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზიარო უფლების გაუქმება (სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი)**

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ს-ემ 2004წ. 31 მაისს მიიღო სანოტარო ფორმით დადასტურებული სამკვიდრო მოწმობა იმ ქონების 1/3-ზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ... № 2-ში. 2004წ. 31 მაისს ნ. ს-ემ მიიღო კ. ს-ის სამკვიდრო ქონება, რომელსაც 1985წ. 30 სექტემბერს გარდაცვლილი ნ. ს-ის სამკვიდრო ქონება მიღებული ჰქონდა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ არ გააფორმა თავისი სამემკვიდრეო უფლებები.

სკ-ის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ნ. ს-ის მოთხოვნა (სანამ იგი არ გახდება სადავო სახლის თანამესაკუთრე) თბილისში, ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე თანასაკუთრების გაუქმებისა და მისთვის ფაქტობრივად მის მიერ დაკავებული ფართის საკუთრების უფლებით გამოყოფის შესახებ, საფუძველს მოკლებულია. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს ნ. ს-ის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობის შემოწმებისას უნდა გამოეყენებინა სკ-ის 1433-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. მოსარჩელისათვის ამ მუხლის საფუძველზე მინიჭებული უფლებების შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა იმავე კოდექსის 953-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საზიარო უფლების ცნებას. ამ ნორმის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მოცემულ საქმეზე სასამართლოს სადავო მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლზე მხარეთა კანონით მინიჭებული უფლების შესაბამისად უნდა გადაეწყვიტა საზიარო უფლების გაყოფის საკითხი.

**საქმე № 3კ/592-01**

**12 ოქტომბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი ქონების ნატურით გაყოფის ორ პირობას ადგენს: 1. ნივთი უნდა დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად. 2. ნივთი უნდა გაიყოს ღირებულების შემცირების გარეშე.

ეზოს ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფისას არ არის აუცილებელი, რომ ეზო იყოფოდეს სახლის მესაკუთრეებზე ზუსტად მათი კუთვნილი იდეალური წილების შესაბამისად. მიწის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მიწის ცალკეული ნაწილების დანიშნულება და მნიშვნელობა საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით, მხარეთა ინტერესები მისი თითოეული ნაწილის მიმართ, მიწის მდებარეობა და მისი განლაგება მისასვლელ გზასთან მიმართებაში. არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ არ შეიძლება მიწის გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად, თუ შესაძლებელია თანაბრად იქნეს გათვალისწინებული მხარეთა საყოფაცხოვრებო ინტერესები. შესაძლებელია მიწის შედარებით დიდი ფართი მიეცეს ერთ მხარეს, მაგრამ მეორე მხარისათვის გადაცემული მიწის ფართი თავისი დანიშნულებით და მდებარეობით იმგვარი ღირებულების იყოს, რომ მას გაუთანაბრდეს.

რაც შეეხება ღირებულების შემცირებას, პალატის აზრით, ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება. სახლის ეზო უნდა იყოფოდეს ისე, რომ გაყოფის შედეგად წარმოქმნილმა ეზოებმა საყოფაცხოვრებო დანიშნულება არ დაკარგონ.

**საქმე № ას-920-1533-03**

**5 მაისი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი)**

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები სადავო ქონების წილობრივი მესაკუთრეები არიან და საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შესაძლებელია სავაჭრო ცენტრიდან საერთო საკუთრების მონაწილეს (დ. პ-ს) რეალური წილი გამოეყოს ისე, რომ არ შემცირდეს მესაკუთრეთა წილები და, შესაბამისად, მათი ღირებულება. ამ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებით სასამართლომ გამოიყენა 963-ე მუხლი, რომლითაც საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში არ იგულისხმება ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი), არამედ იგულისხმება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზიარო საგანი იმ შემთხვევაში შეიძლება გაიყოს ნატურით, თუ იგი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) ღირებულების შემცირების გარეშე (მაგ. ნატურით შეიძლება გაიყოს ნედლეული, პროდუქცია, უძრავი ქონება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის დანიშნულებით ღირებულებას არ დაკარგავს. მაგ. საცხოვრებელი სახლი შეიძლება დაიყოს ორ ან მეტ დამოუკიდებელ ბინად და ა.შ.)

**საქმე № ას-595-867-04**

**16 ნოემბერი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ გარემოებებს, კერძოდ, სკ-ის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. აღნიშნული ნორმის ანალიზით საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი საზიარო საგანი გაყოფის შედეგად არ კარგავს თავის ღირებულებას და იგი შეიძლება ერთგვაროვან ნაწილებად დაიყოს. მოცემულ შემთხვევაში სადავო შესასვლელის გაყოფით მოპასუხე მხარეს ესპობა ებოში ავტომანქანის შეყვანისა და მის მიერვე აშენებული ავტოფარების გამოყენების საშუალება, რითაც მოპასუხის სასარგებლოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ღირებულება შემცირდება და ირღვევა მისი, როგორც საზიარო საკუთრების მოწილის, უფლება. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით არ შეიძლება.

**საქმე № ას-851-1124-05**

**19 ივნისი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი)**

როგორც საქმის მასალებით ირკვევა ქ.თბილისში, ... № 12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლის 47/881 კვ. მ ფართი საკუთრების უფლებით ირიცხება ა. გ-ელის სახელზე, ხოლო ლ. კ-ავას სახელზე ირიცხება ამ საცხოვრებელი სახლის ნაწილი. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო სააბაზანო და ტუალეტი საინვენტარიზაციო გეგმაში აღნიშნულია № 66 ოთახად (5

კვ.მ ფართით) და ეს ფართი არ წარმოადგენს არცერთი მხარის ინდივიდუალურ საკუთრებას. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფართი საერთო სარგებლობის საგანს წარმოადგენს და მასზე საზიარო უფლების გაუქმება დაუშვებელია. შესაბამისად სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას არასწორად გამოიყენა სკ-ის 211-ე მუხლის მეორე ნაწილი. სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა სკ-ის 963-ე მუხლი, რომლის შესაბამისად საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. ამ ნორმის საფუძველზე სააპელაციო პალატამ არ გამოარკვია, ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მხარეთა შორის სადავო ფართის ნატურით გაყოფა ორი სველი წერტილის მოსაწყობად.

**საქმე № ას-596-823-08**

**15 იანვარი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლში მითითებული დებულება, რომ საზიარო უფლების გაუქმება შესაძლებელია თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად არ ნიშნავს, რომ დაყოფა უნდა მოხდეს მხოლოდ ტოლ ნაწილებად, ან ერთი და იგივე ღირებულების ნაკვეთებად. ერთგვაროვნებაში იგულისხმება ნაკვეთთა ერთგვაროვანი ფუნქცია, იყვნენ მათთვის აუცილებელი ერთგვაროვანი სამეურნეო დანიშნულების მატარებელი, ანუ შესაძლებელი იყოს ამ მიწის ნაკვეთით ურთიერთობა სატრანსპორტო და სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებებთან და ა.შ.

**საქმე № ას-596-823-08**

**15 იანვარი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი)**

რაც შეეხება 963-ე მუხლს, აღნიშნული ნორმის თანახმად, საზიარო უფლების გაუქმება შესაძლებელია ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია ნივთის ნაწილზე გაუქმდეს საზიარო უფლება. იმ შემთხვევაში თუ საზიარო უფლების საგანი მხოლოდ ნივთის ნაწილია, შესაძლებელია მასზე გაუქმდეს საზიარო უფლება თუ აღნიშნული საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. სააპელაციო სასამართლო ამ მოსაზრებას უკავშირებს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლს, რომლის თანახმადაც ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.

აღნიშნული დათქმა არ ნიშნავს იმას, რომ მთელ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განლაგებულია უძრავი ნივთი, უნდა გავრცელდეს იგივე უფლება, რაც მის არსებით შემადგენელ ნაწილზე. არსებითი შემადგენელი ნაწილი არის იმ კონკრეტული მიწის მონაკვეთის შემადგენელი ნაწილი, რომელზეც აღმართულია შენობა, განლაგებული ხეხილი და ა.შ, აგრეთვე ამ შემადგენელი ნაწილის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტერიტორია. აღნიშნული ნორმის სააპელაციო სასამართლოსეული გაგება ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებს. აღნიშნული მოსაზრებით შეუძლებელი იქნებოდა მიწის ნაკვეთის ნაწილის იჯარით გაცემა, იპოთეკით დატვირთვა და ა.შ. ხოლო მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილის იპოთეკით დატვირთვით ეს უფლება გავრცელდებოდა მიწის ნაკვეთის მთელ ტერიტორიაზე და მასზე აღმართულ შენობაზეც, რაც არასწორია.

საქმე № ას-332-309-2010

28 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მიუთითებს ორ აუცილებელ ფაქტორზე, რომლის არსებობა იწვევს ამ ნორმით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს. საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში: 1) თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) მათი დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი. განსახილველ დავასთან მიმართებაში, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სადავო ქონება წარმოადგენს არასაცხოვრებელ ფართს და, აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია მისი ეკონომიკური მიზნებისათვის გამოყენება. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით სადავო ქონების ნატურით გაყოფისას გაყოფილი ნაწილები უნდა ინარჩუნებდნენ ერთმანეთთან მიმართებაში (და არა მთლიანად საზიარო საგანთან მიმართებაში) თანაბარ ღირებულებას, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ეკონომიკური ინტერესი, რომელიც გააჩნიათ საზიარო უფლების მქონე პირებს.

საქმე №ას-1090-1021-2012

5 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის განჩინებით ლ.წ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.თბილისში, ბ-ოს ქუჩა N2ა-ში მდებარე 125,21 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის თანამესაკუთრები არიან ლ.წ-ი და მოპასუხეები.

ლ.წ-ის საკუთრებად აღრიცხულია უძრავი ნივთის 13,68%, მ.ბ-ის საკუთრებად — 7,84%, ნ.ა-ის საკუთრებად — 11,52%, 66,96% კი ეკუთვნით ფიზიკურ პირთა ჯგუფს N23/1653-კ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის N1 დანართის მიხედვით.

ქ. თბილისში, ბ-ოს ქუჩა N2ა-ში მდებარე უძრავი ნივთის 13,68% ლ.წ-მა შეიძინა 2010 წლის 2 თებერვლის, 12 მარტის, 15 მარტისა და 19 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული გარიგებების მიხედვით, ლ.წ-ის მიერ შეძენილი არასაცხოვრებელი ფართის სრული მოცულობაა 17,12 კვ.მ.

ამდენად, საზიარო საგანი, არასაცხოვრებელი ფართი არის 125,21 კვ.მ, თანამესაკუთრეთა რიცხვი კი, 27-ია.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 25 ნოემბრის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ბ-ოს ქუჩა N2ა-ში მდებარე N1 ოთახის გამოყოფა შესაძლებელია დანარჩენი ოთახებისაგან ისე, რომ მათი ღირებულება არ შემცირდეს. შესასვლელი კარის მოწყობა შესაძლებელია შენობის ფასადის მხრიდან ფანჯრის გვერდით ან ფანჯრის ადგილას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპერტის დასკვნით დადგენილია, რომ საზიარო საგნიდან 16,17 კვ.მ ოთახის გამოჯვანა შესაძლებელია, თუმცა არაფერია ნათქვამი, რამდენად არის შესაძლებელი სა-

ზიარო უფლების ობიექტის — 125,21 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის დაყოფა 27 თანამესაკუთრეთა შორის ისე, რომ არ დაირღვეს ამ უფლების მფლობელ პირთა უფლებები. მნიშვნელოვანია, თანამესაკუთრეთა წილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, დაყოფილი ნაწილები შეინარჩუნებენ თუ არა ღირებულებას (საგნობრივ დანიშნულებას).

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 961-ე, 963-ე მუხლები და უგულებელყო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც სადავო ქონებიდან კასატორის წილის გამოყოფა შესაძლებელია მისი ღირებულების შემცირების გარეშე, ასევე დასაშვებია შესასვლელი კარის მოწყობაც. აღნიშნული დასკვნა არც ერთი ინსტანციის სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მიუთითებს ორ აუცილებელ ფაქტორზე, რომლის არსებობა იწვევს ამ ნორმით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს. საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში: 1) თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) მათი დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი. განსახილველ დავასთან მიმართებით, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრეებისათვის (არა მხოლოდ მოსარჩელისათვის, არამედ, ასევე მოპასუხეებისათვის).

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სადავო ქონება წარმოადგენს არასაცხოვრებელ ფართს და, აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია მისი ეკონომიკური მიზნებისათვის გამოყენება. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით სადავო ქონების ნატურით გაყოფისას გაყოფილი ნაწილები უნდა ინარჩუნებდნენ ერთმანეთთან მიმართებით (და არა მთლიანად საზიარო საგნთან მიმართებით) თანაბარ ღირებულებას რა დროსაც უნდა გათვალისწინებულ იქნეს ის ეკონომიკური ინტერესი, რომელიც გააჩნიათ საზიარო უფლების მქონე პირებს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლში მითითებული დებულება, რომ საზიარო უფლების გაუქმება შესაძლებელია, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ტოლ ნაწილებად უნდა გაიყოს, ან ერთი და იმავე ღირებულების ნაკვეთებად, ე.ი. არ შეიძლება უპირატესობა მივანიჭოთ ან მხოლოდ ტოლ ნაწილებად დაყოფის წესს ან მხოლოდ ერთი და იმავე ღირებულების ნაწილებს. ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რაც გააჩნია ნივთს.

ამდენად, სადავო ქონების ნატურით გაყოფის შესაძლებლობის თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს, რომელმაც ვერ დაასტურა თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საკასაციო საჩივარში ყურადღება გამახვილებულია ექსპერტიზის დასკვნაზე. კასატორი მიიჩნევს, რომ ექსპერტიზის დასკვნა პასუხობს კანონის მოთხოვნებს და ის არასწორად შეფასებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ. არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის ეს მოსაზრება. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ექსპერტის დასკვნის მიხედვით საზიარო საგნიდან 16,17 კვ.მ ოთახის გამიჯვნა შესაძლებელია, თუმცა არაფერია ნათქვამი, რამდენად არის შესაძლებელი საზიარო უფლების ობიექტის — 125,21 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის დაყოფა 27 თანამესაკუთრეთა შორის ისე, რომ არ დაირღვეს ამ უფლების მფლობელ პირთა უფლებები. აქედან გამომდინარე, ექსპერტიზის დასკვნა არ პასუხობს ზემომითითებული ნორმით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

## 5.2. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

საქმე № ას-260-673-06

26 თებერვალი, 2007 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლით, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას, შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი. ამ სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს მეპატრონეს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ვინაიდან შესრულებული მოქმედებები მეპატრონის ნებას არ შეესაბამება და ამ პირობებში შესრულებული მოქმედება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი ასეთ შემთხვევაში ისაა, რომ შემსრულებელი ასრულებს სხვა პირის — მეპატრონის საქმეებს ამ უკანასკნელის დავალების ან სხვაგვარი მითითების გარეშე ნებაყოფლობით. კანონი მსგავს ჩარევას სხვის ქონებრივ სფეროში აღიარებს მაშინ, როდესაც ისინი განხორციელდა განსაზღვრული ვითარებაში მეპატრონის ინტერესებისათვის და შემსრულებლის კეთილი ნებით, ანუ ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე.

საქმე №ას-1320-1246-2012

12 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: შემსრულებლის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 22 მარტს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს „დ-ის“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 35 ხელშეკრულება. 2012 წლის 25 მარტს შპს „დ-იმ“, მესტიის მუნიციპალიტეტის დაკვეთით დაიწყო ა.ჩ-ის უძრავი ქონების რეაბილიტაცია. 2012 წლის 22 მაისს მესტიის მუნიციპალიტეტმა შპს „დ-ის“ გადაურიცხა ა.ჩ-ის კუთვნილი უძრავი ქონების რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხა, 581 012.79 ლარი. შპს „დ-იმ“ 2012 წლის 22 მარტის ხელშეკრულების შესაბამისად, შეასრულა დ. მ-ი, ს-ის ქუჩის № 9-ში მდებარე ორსართულიანი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების კანონისმიერი ურთიერთობიდან შეიძლება იყოს წარმოშობილი, ამასთან განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა დავის გადაწყვეტისათვის საჭირო სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის მიხედვით პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად.

მოცემულ შემთხვევაში მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შპს „დ-ან“ დადო ხელშეკრულება და განხორციელა ა. ჩ-ის კუთვნილი ქონების რეაბილიტაცია ამ უკანასკნელის მხრიდან დავალების, ან სხვა სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი საფუძვლის არსებობის გარეშე, ამდენად, დავის ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის მოცემულობას.

იმავე კოდექსის 973-ე მუხლის მიხედვით შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოებისას შემსრულებლის ჩარევა მეპატრონის ქონებრივ სფეროში, მართალია, ნებაყოფლობით ხორციელდება, მაგრამ

ამგვარ ჩარევას გონივრული და ობიექტური საფუძველი უნდა გააჩნდეს, ამასთან, აუცილებელი პირობაა, რომ კონკრეტული საქმის შესრულება თვითნებობა კი არ უნდა იყოს, არამედ მეპატრონის ინტერესებს შეესაბამებოდეს და ამ საქმის შესრულება სწორედ მეპატრონისათვის უნდა იყოს სასიკეთო. მეპატრონე ვალდებულია გესტორს (შემსრულებელს) აუნაზღაუროს საქმეების შესრულებისას გაღებული ხარჯი, მაგრამ იმ დათქმით, რომ ანაზღაურდება არა ყველა სახის ხარჯი, არამედ მხოლოდ ის, რაც აუცილებლად იქნება მიზნული და ისიც იმ შემთხვევაში, თუ დაცულია სამოქალაქო კოდექსის 970-ე-974-ე მუხლის მოთხოვნები.

სამოქალაქო კოდექსის 971-ე მუხლის მიხედვით, შემსრულებელი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს, რომ იკისრა საქმეთა შესრულება. შემსრულებელმა უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმეები, ვიდრე მეპატრონეს არ შეეძლება იმოქმედოს თვითონ. იმავე კოდექსის 974-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საქმეების შესრულება არ ხორციელდება მეპატრონის მონაწილეობის გარეშე, კერძოდ, ქონების მესაკუთრე ინფორმირებული უნდა იყოს სამუშაოს შესრულების თაობაზე პირველივე შესაძლებლობისთანავე და უნდა დაეთანხმოს სამუშაოს შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსრულებელი გაღებული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას კარგავს. 969-ე მუხლით განსაზღვრული შემსრულებლის ვალდებულება კეთილსინდისიერი მოქმედების შესახებ გულისხმობს არა მხოლოდ თავად საქმეების კეთილსინდისიერად და მეპატრონის ინტერესების დაცვით შესრულებას, არამედ შეტყობინებისა და გაწეული სამუშაოს ანგარიშის წარდგენის ვალდებულების დროულად შესრულებასაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ა. ჩ-ის საკუთრების რეაბილიტაცია და ამ მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 581 000 ლარის გამოყოფა აუცილებლობადაც რომ იქნეს მიჩნეული, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა მაინც არ არის უფლებამოსილი გაწეული ხარჯის ანაზღაურება მოითხოვოს, ვინაიდან არ შეუსრულებია სამოქალაქო კოდექსის 971-ე მუხლით დადგენილი ვალდებულება.

### 5.3. უსაფუძვლო გამდიდრება

საქმე № ას-456-805-07

5 ოქტომბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უსაფუძვლო გამდიდრება

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უსაფუძვლოდ გამდიდრების ინსტიტუტის მიზანს წარმოადგენს უსაფუძვლოდ, უსამართლოდ შეძენილი ქონების ამოღება ანუ სამართლებრივი წონასწორობის აღდგენა, გაუმართლებლად შეძენილ ქონებაში იგულისხმება შეღავათის, უპირატესობის, უფლების ამოღება, ე.ი. ქონებრივი ნამატის ამოღება იმ პირის სასარგებლოდ, რომლის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის ქონების გაზრდა და არა ქონებრივი დანაკლისის შევსება ანუ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია არსებობდეს ქონების გადაცემის ფაქტი, რასაც არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი).

საქმე № ას-243-565-05

26 ივლისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უსაფუძვლოდ მიღებულ ქონებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლი)

სასამართლოში სარჩელი აღძრა სს „ბ-ის“ უფლებამონაცვლის — შპს „ა-ის“ გაკოტრების საქმეთა მმართველმა ვ. ს-ემ. მოსარჩელემ მოითხოვა ქონების გაუმჯობესებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯის — 10364 ლარის ანაზღაურება. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებაზე.

2004წ. 18 მაისის გადაწყვეტილებით, ტყიბულის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სს „გ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2004წ. 18 მაისის გადაწყვეტილება და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სს „ბ-ის“ უფლებამონაცვლე შპს „ა-ის“ გაცოტრების საქმეთა მმართველის ვ. ს-ის წარმომადგენლის ს. ფ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

მხარეთა ახსნა-განმარტებით კი ირკვევა, რომ მხარეთა შორის შედგა სიტყვიერი შეთანხმება, რომლის თანახმად, ქ. ტყიბულში, ..... ქ. № 55-ში მდებარე სს „გ-ის“ შენობაზე მხარეებს უნდა დაედოთ ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადებამდე სს „ბ-ი“ შევიდა აღნიშნულ შენობაში და მიიჩნედა რა მას შეძენილად, ჩაუტარა ფასადსა და შემოგარენს რემონტი ფირმა „მ-ის“ მეშვეობით. ის გარემოება, რომ სს „ბ-ი“ ფლობდა ამ შენობას, მხარეთა შორის დავას არ იწვევს (აღნიშნული დადასტურებულია მხარეთა მიერ საკასაციო პალატის სხდომაზე).

მოცემულ შემთხვევაში სს „ბ-ი“ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, სკ-ის 163-ე მუხლის შესაბამისად, არაუფლებამოსილ კეთილსინდისიერ მფლობელად. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდან არ ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება, ვალდებულია, დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს. მითითებული ნორმის მეორე ნაწილის თანახმად, მას შეუძლია უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, რაც მან მიიღო ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს და რაც არ არის კომპენსირებული ამ ნივთით სარგებლობით.

პალატა იზიარებს კასატორის აზრს იმის თაობაზე, რომ მფლობელის კეთილსინდისიერების საკითხი წარმოადგენს შეფასების საგანს და მასში ვლინდება პირის დამოკიდებულება ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლებისადმი. ასეთ შემთხვევაში კი პირი შეიძლება მხოლოდ მაშინ იქნას მიჩნეული კეთილსინდისიერ მფლობელად, თუ მას არ შეეძლო გაცნობიერებინა ურთიერთობის არსებული დეფექტი, ხოლო თუ მფლობელს მოეთხოვებოდა, დაენახა მფლობელობის ხარვეზიანობა, იგი ჩათვლება არაკეთილსინდისიერ მფლობელად. სკ-ის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნული ნორმის საფუძველზე შეუძლებელი იყო სს „ბ-ს“ იგი შეძენილად მიეჩნია. ამ შემთხვევაში მოეთხოვებოდა დაენახა მისი მფლობელობის ხარვეზიანობა.

კასატორი ვერ უთითებს ვერც ერთ სამართლებრივ საფუძველზე, რაც შეიძლება საფუძველად დასდებოდა მხარეთა შორის ურთიერთობებს მფლობელობასთან მიმართებაში. აღნიშნული ფართის ყიდვის სურვილი არ წარმოშობს ფართის ფლობის მართლზომიერებას. თუ მხარეთა შორის ურთიერთობა შეფასდება როგორც თხოვების ხელშეკრულება, სკ-ის 619-ე მუხლის თანახმად, მონათხოვრემ უნდა გასწიოს ნათხოვარი ნივთის მოვლისათვის საჭირო ჩვეულებრივი ხარჯები, სხვა ხარჯების ანაზღაურება კი ხდება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით. გარე ფასადის რემონტი არ შეიძლება ჩათვალოს ნივთის მოვლისთვის საჭირო ჩვეულებრივ ხარჯებად. რაც შეეხება სხვა ხარჯებს, ამ თანხების ანაზღაურება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას დაუშვებელია, თუ შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს (სკ-ის 974-ე მუხლი). საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მეპატრონემ ანუ სს „გ-მა“ გამოხატა ნება შენობის, გარე ფასადის შეკეთების თაობაზე.

რაც შეეხება უსაფუძვლო გამდიდრებას, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სკ-ის 980-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის საფუძველზე ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სს „ბ-ს“ არ შეეძლო მიეჩნია შენობა შეძენილად სკ-ის 183-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.



საქმე № ას-1075-1105-2011

29 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ხარჯების ანაზღაურება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ქონებრივი სიკეთის დაუფლებისას (სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლი)**

2004 წელს რ. წ-ის კუთვნილ შენობას, ყოფილ „ჭიგინის სახლს“ ზეპირი გარიგების საფუძველზე დაუფლა გ. გ-ე. მან შენობა გაარემონტა. ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 96817,10 ლარი.

2008 წლის ოქტომბრისათვის, ჩატარებული სამუშაოების გარეშე, შენობის ღირებულება შეადგენდა 503200 ლარს, ხოლო ჩატარებული სამუშაოების ჩათვლით — 600000 ლარს. შესაბამისად, სარემონტო სამუშაოების ჩატარების შედეგად უძრავი ნივთის ღირებულება გაიზარდა 96800 ლარით.

სააპელაციო პალატის მითითებით, მართალია, უსაფუძვლოდ გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს არაკეთილსინდისიერ მფლობელსაც, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილია (ან უნდა იყოს ცნობილი) სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზი, მისი მოთხოვნის ფარგლები მცირდება. ზეპირი გარიგება უძრავი ქონების შეძენის თაობაზე, ცხადია, საერთოდ არ იძლევა შეძენილად მისი მიჩნევის საფუძველს და ამის თაობაზე, როგორც აღინიშნა, თავიდანვე ცნობილი იყო გ. გ-ისათვის. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მას ეკისრება პასუხისმგებლობა ბათილი გარიგების საფუძველზე უძრავი ქონების დაუფლების მომენტიდან.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა შემცირდეს გ. გ-ის სასარგებლოდ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაც და, რადგან გ. გ-ე თანაბარწილად არის პასუხისმგებელი, მის მიერ მისაღები თანხის ოდენობა უნდა განისაზღვროს ქონების გაზრდილი ღირებულების 1/2-ით. გაწეული სამუშაოების შედეგად, ქონების ღირებულება გაიზარდა 96800 ლარით. შესაბამისად, რ. წ-ის მემკვიდრეებმა გ. გ-ეს უნდა გადაუხადონ აღნიშნული თანხის ნახევარი — 48400 ლარი.

პალატა ვერ გაიზარებს კასატორის მოსაზრებას ასანაზღაურებელი თანხების შემცირების უკანონობასთან მიმართებაშიც. კასატორის აზრით, სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლს. პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმის გარდა, არსებობს უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მარეგულირებელი სპეციალური ნორმა, რომელშიც ცალსახად მოიაზრება უძრავი ნივთის სპეციფიკიდან გამომდინარე შემთხვევებიც. სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლის თანახმად, მიმღების მიმართ გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესი არ გამოიყენება, თუ გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი საბოლოოდ შეძენილად იქნეს მიჩნეული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე.წ. „ჭიგინის სახლი“ უძრავი ქონებაა. შეუძლებელია, მოსარჩელეს იგი საბოლოოდ შეძენილად მიეჩნია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა ეს ნორმა მოცემულ შემთხვევაში და პალატა თვლის, რომ საკასაციო სასამართლოს მეტი ოდენობით თანხის დაკისრების უფლებამოსილება არ გააჩნია.

საქმე № ას-24-379-07

20 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ქონებრივი სიკეთის დაუფლებისას (სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ბ-ებისათვის მიღებულ თანხაზე პროცენტის დაკისრების ნაწილში სწორად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმა ხასიათდება გარკვეული თავისებურებით.

საქართველოს საქმოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მნიშვნელობის განხილვისას უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტში, უპირველეს ყოვლისა, დახასიათება უნდა მივცეთ იურიდიული პასუხისმგებლობის თავისებურებას, კერძოდ, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელია

იურიდიული პასუხისმგებლობის უფლება — აღდგენითი ფუნქცია, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები აკისრებენ ვალდებულ პირს კრედიტორის ადრინდელი ქონებრივი მდგომარეობის აღდგენას. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილს.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი უთითებს პასუხისმგებლობის თავისებურებებზე, რომლებიც უკავშირდებიან ამავე კოდექსის 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 980-ე მუხლით და ამავე კოდექსით გათვალისწინებულ სხვა წესებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ანუ ადგენს პასუხისმგებლობის ზომას მიმღების ბრალის არსებობისას. ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს იურიდიული პასუხისმგებლობის წინაპირობები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი აწესრიგებს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომლის თანახმად, თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება ვალდებულება ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან, ანუ აღნიშნული ნორმის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობებია შემდეგი: ზიანის არსებობა; მიმღებმა იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში. ამ შემთხვევაში კუმულაციურად უნდა არსებობდეს ზიანის, არამართლზომიერი ქმედებისა და მასში მიმღების ბრალის შესახებ არსებული იურიდიული ფაქტები. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების მოვალე უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ექვემდებარება, ვიდრე მხოლოდ მიღებულის დაბრუნება.

კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, ყურადღებას ვამახვილებთ სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის უფლებააღდგენით (მათ შორის საკომპენსაციო), ასევე „საჯარიმო“ ფუნქციებს. ამ შემთხვევაში აღნიშნული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, ზემოაღნიშნულის გარდა, უნდა არსებობდეს უსაფუძვლოდ მიღებული ქონებით შეძენილი, მიღებული სარგებელი, აგრეთვე, ყველა ის გარემოება, რაც მიუთითებს მიღებული საგნის განადგურებით, დაზიანებით ან ჩამორთმევით მიღებულ ანაზღაურებაზე, ასევე იურიდიული ფაქტები, რომლებიც მიუთითებენ გადაცემული საგნის დაბრუნების შეუძლებლობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით დავუბრუნდეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც ასევე ითვალისწინებს იურიდიული პასუხისმგებლობის ე.წ. „საჯარიმო“ და უფლებააღდგენით (ამ შემთხვევაში საკომპენსაციო) ფუნქციას. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის უმთავრესი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მისი რეალიზაციისას დაზარებულს უნდა აუნაზღაურდეს ის სარგებელი, რომელიც მიმღებმა ვერ მიიღო მეურნეობის არასათანადოდ გაძლოლის გამო და ამაში მიმღებს მიუძღვის ბრალი. კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში მისაღება ის შემოსავალი, რომელიც უნდა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. ამდენად, ყურადღება გამახვილებულია მიმღების ანუ უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირის შესაძლებლობებზე, კერძოდ, აღნიშნული ნორმის კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს გარემოება, როდესაც ქონების მიმღებს მისი ნორმალური სამეურნეო გაძლოლის შემთხვევაში შეეძლო მიეღო სარგებელი, მაგრამ ეს არ გააკეთა ბრალეული ქმედებით. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის მატარებელია დაზარალებული, რომელმაც უნდა დაადასტუროს მიმღების ბრალი მიღებული ქონების არასათანადოდ გაძლოლისა და ამის შედეგად მოგების არმიღების შესახებ ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

ბრალის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თვით ამ ქონების თავისებურებებთან, მისი ბრუნვაუნარიანობასთან და „საშუალო“ მესაკუთრის მიერ ამ ქონების ჩვეულებრივი სამეურნეო მიზნებით მოხმარებასთან, ანუ ამ ქონების თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს „საშუალო“ მესაკუთრის მიერ მისმა სათანადო სამეურნეო გაძლოვამ მას მოუტანოს სარგებელი. „საშუალო“ მესაკუთრეში ივარაუდება მესაკუთრე, რომელსაც შეუძლია მიიღოს ამ ქონებიდან სარგებელი თავისი პირადი და განსაკუთრებული თვისებების გარეშე. სარგებელი, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს ამ ქონების ჩვეულებრივი მოხმარების შედეგად, მაგრამ განსხვავებული შემთხვევა გვაქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობის დროს.

კანონის ნორმა იმპერატიულად მოითხოვს, რომ ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. აღნიშნული იმპერატიულობა დაკავშირებულია ამ (ფულის) ქონების თავისებურებებთან, რაც უნდა განვასხვავოთ სხვა ქონებრივი ურთიერთობების ობიექტებისაგან, კერძოდ, როდესაც ყურადღებას ვამახვილებთ ფულად საშუალებებზე (ფულზე), მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ქონების უნიკალური თვისება, რაც ნიშნავს იმას, რომ ფულადი სახსრები როგორც საყოველთაო ეკვივალენტი შესაძლებელია გაცვლილ იქნეს ქონებრივი ურთიერთობების თითქმის ნებისმიერ ობიექტზე, რომლებიც ატარებენ სასყიდლიან ხასითს ანუ ფულადი სახსრების საშუალებით შეიძლება დაიფაროს თითქმის ყველა ვალი. ზუსტად ამ ქონების უნიკალური თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია მოუტანონ სარგებელი მის მესაკუთრეს. ამდენად, ისეთი ქონების მიღების დროს, როგორცაა ფული, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას არანაირი სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის ანუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ ქონებიდან სარგებლის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადოდ გაძლოლის შედეგად. ზუსტად ამ ქმედების შედეგად არმიღებული შემოსავალი, რაც უნდა მიღებულიყო ფულადი სახსრებით სათანადო გაძლოლის გზით, წარმოადგენს მიყენებულ ზიანს. კონკრეტულ შემთხვევაში ბ-ები არ უთითებენ და ვერ ადასტურებდნენ იმ გარემოებებს, თუ რატომ არ უნდა დაეკისროთ პროცენტი უსაფუძვლოდ მიღებულ ფულად სახსრებზე.

ამრიგად, განსახილველი ნორმა განსხვავდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი საერთო მიზნისაგან. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს ეკისრება არმიღებული ქონების ანაზღაურება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ პროცენტის დაკისრების ნაწილში არსებობს ყველა ის სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებისათვის, კერძოდ, ჟ. ო-სათვის ბ-ების მიერ უსაფუძვლოდ (ბათილი გარიგების საფუძველზე) თანხის მიღების ფაქტი; ამ თანხის დაუბრუნებლობის ფაქტი; ამ ქონების (ფულის) არასათანადო გაძლოლით სარგებლის არმიღების ფაქტი, რაშიც ბრალი მიუძღვის მიმღებს (ბ-ებს); დ. ო-სათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც გამოიხატა სარგებლის არმიღებაში, რომელიც მათ (ბ-ებს) ბრალეულად ვერ მიიღეს მეურნეობის არასათანადო გაძლოლის შედეგად.

**საქმე № ას-188-177-11**

**11 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ქონებრივი სიკეთის დაუფლებისას (სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ სცნო და კასატორს სადავოდ არ გაუხდია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2004 წლის 30 ივლისს თ. ლ-ქმ მ. მ-შვილს გადასცა ქ. თბილისში, ... ქ. 8-ში, № 34 ბინის ნასყიდობის თანხა — 5000 აშშ დოლარი. აღნიშნულ ბინაში თ. ლ-ძის მიერ ჩატარებული სარემონტო

სამუშაოებისა და რემონტისთვის შექმნილი მასალების საორიენტაციო საბაზრო ღირებულება 2444 ლარს შეადგენს. ბინაში ტელეფონის დადგმისა და ბუნებრივი აირის გაყვანაზე თ. ლ-ძის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 600 ლარი. სადავო ბინა 2008 წლის 8 დეკემბრიდან საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მ. მ-შვილის სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მეორე პუნქტით მოწესრიგებული ურთიერთობა, რადგან თ.ლ-ძეს მოპასუხისათვის 5000 აშშ დოლარი არ გადაუცია უნაცვალგებოდ, მან ეს თანხა მ.მ-შვილს გადასცა გარიგების საფუძველზე, რის საფუძველზეც მფლობელობაში მიიღო მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა. პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა სარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით მითითებული თანხის იმ საპროცენტო განაკვეთის დაკისრების შესახებაც, რასაც მოსარჩელე მიიღებდა ამ თანხის საბანკო დაწესებულებაში განთავსებით. შესაბამისად, არასწორად იქნა გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლებიც. პალატამ დაასკვნა, რომ მ. მ-შვილი ვარაუდობდა, რომ მისთვის თანხა გადაცემული იყო ნამდვილი უფლების საფუძველზე, შესაბამისად, იგი ვერ გაითვალისწინებდა, რომ ვალდებულების გარეშე თანხის განკარგვის გამო, თ.ლ-ძეს მიადგებოდა ზიანი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ დასკვნას და მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებით განმარტავს, რომ მოდავე მხარეთა შორის ფორმის დაუცველად დადებული უცილოდ ბათილი გარიგების შედეგად წარმოშობილია კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა (სამოქალაქო კოდექსის 59-ე, 316-317-ე მუხლები), რომლის ძალითაც მხარეები ვალდებული არიან, აღადგინონ პირვანდელი მდგომარეობა და ერთმანეთს დაუბრუნონ ის, რაც მათ არარა გარიგებით მიიღეს. ასეთ სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

მსგავს საკითხზე — უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა, ხოლო გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, ამასთან გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს დადგენილი პრაქტიკის საწინააღმდეგო კანონიერ დასაბუთებას, რაც მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში უთითებს 2007 წლის 20 ივნისის ას-24-379-07 განჩინებაზე, რომლითაც მსგავს დავაზე დასაბუთდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულება იმპერატიულია, რაც დაკავშირებულია ამ ნივთის (ფულის) თავისებურებებთან. ამ ქონების (ფულის) უნიკალური თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია, მოუტანონ სარგებელი მის მესაკუთრეს. ამდენად, ისეთი ქონების მიღების დროს როგორცაა ფული, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას არანაირი სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის ანუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ ქონებიდან სარგებლის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადოდ გაძღოლის შედეგად.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მეორე პუნქტით მოწესრიგებული ურთიერთობა, რადგან თ.ლ-ძეს მოპასუხისათვის 5000 აშშ დოლარი არ გადაუცია უნაცვალგებოდ, მან ეს თანხა მ. მ-შვილს გადასცა გარიგების საფუძველზე, რის საფუძველზეც მფლობელობაში მიიღო მოპასუხის კუთვნილი საც-

ხოვრებელი ბინა. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ თანხის გადაცემა უძრავი ნივთის ნასყიდობის მიზნით განხორციელდა, თუმცა ნასყიდობაზე შეთანხმება გარიგებისთვის კანონით სავალდებულო წერილობითი ფორმის დაცვის გარეშე შედგა. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, თ. ლ-ძეს უძრავ ნივთზე საკუთრება არ შეუძენია, რის გამოც მხარეთა ზეპირი შეთანხმება ნივთის ნასყიდობაზე ბათილია.

სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმომადგენელში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმომადგენელში გადაცემის დროიდან 979-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე.

აღნიშნული ნორმა არაუფლებამოსილ მიმღებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს მაშინ, როდესაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ქონებრივი სიკეთის დაუფლებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობით არ იცოდა მიღებული სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზიანობა. შესაბამისად, მ. მ-შვილს თანხის გადაცემისთანავე უნდა სცოდნოდა უძრავი ნივთის შეძენისათვის კანონით იმპერატიულად დადგენილი სავალდებულო წინაპირობების (გარიგების წერილობითი ფორმა და საჯარო რეგისტრში რეგისტრაცია) დაუცველად დადებული გარიგების საფუძველზე მიღებული ფულის არაკანონიერება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. მ-შვილს არ გააჩნდა რაიმე საფუძველი, ევარაუდა, რომ სადავო თანხა ნამდვილი უფლების საფუძველზე იყო გადაცემული. ამ დასკვნას ადასტურებს მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. მ-შვილს 2004 წლის 30 ივლისიდან მიღებული აქვს თ. ლ-ძისგან ბინის ნასყიდობის 5000 აშშ დოლარი, სადავო ბინა კი 2008 წლის 8 დეკემბრიდან საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მ. მ-შვილის სახელზე.

ამდენად, მ. მ-შვილს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ვალდებულების გარეშე თ. ლ-ძის ქონების, ფულის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განკარგვის გამო, თ. ლ-ძეს მიადგებოდა ზიანი, ხოლო მ.მ-შვილი სხვისი ქონებით — ფულით უკანონო სარგებლობით უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

## საქმე № ას-472-448-2013

5 დეკემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები (სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი)

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ნ. ა-ის მოთხოვნაზე, კერძოდ, ნ. ა-ემ მოითხოვა ი. კ-ის 2006 წლის 1 დეკემბრიდან სადავო უძრავი ნივთის მფლობელობის შეწყვეტამდე პერიოდში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძველად მითითებულია ის გარემოება, რომ ი. კ-ე უკანონოდ ფლობდა მის საკუთრებას, რითიც მას მოესპო ქონებით შემოსავლის მიღება-გაქირავების შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი, რადგან ი. კ-ის მიერ უკანონო მფლობელობის პერიოდში ბინის გამოყენებას ნ. ა-ის (მესაკუთრეს) ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რაიმე ზიანი არ მიუყენებია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უკანონო მფლობელობით ამ უკანასკნელის ქონება არ შემცირებულა, რასაც გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, კერძოდ, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, შესაბამისად, ი. კ-ის სადავო ბინაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრებით ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი მესაკუთრეს არ მიუღია.

ზემოთითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, იმის გამო, რომ ნ. ა-ის მოთხოვნა უკავშირდება ი. კ-ის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მფლობელობას, სადავო შემთხვევა-

ზე უნდა გავავრცელოდ ხელყოფის კონდიციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლით, კერძოდ, განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. აქედან გამომდინარე, ამ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან. ამდენად, სადავო ფაქტობრივი სიტუაცია არ ითვალისწინებს ზიანის ინსტიტუტს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ ი. კ-ის მიერ ნ. ა-ის საკუთრებაში არსებული ბინის უკანონო მფლობელობის გამო, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლებას აძლევს, ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ მხრივ საყურადღებოა შესრულების კონდიციის რეგულირების მექანიზმი, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ „შესრულების დაბრუნება“ (ი. კ-ის მიერ უკანონო სარგებლობით მიღებული სიკეთე) შეუძლებელია, ზემომითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა (ნ. ა-ემ) შეიძლება, გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება დადგინდეს მსგავსი ბინის ქირის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ნ. ა-ის შეგებებულ სარჩელზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის საშუალებით ვადა და შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სამი წლის ნაწილში, რადგან შეგებებული სარჩელის ავტორი ითხოვს ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით. ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებულ მოსაზრებას. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ამ ურთიერთობაზე ვრცელდება არა დელიქტური ვალდებულებების, არამედ - უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი. ამდენად, ამ ურთიერთობაზე გამოყენებულ უნდა იქნას ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი.

### **საქმე № ას-348-331-2011**

**3 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 983-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 983-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს უფლებამოსილი პირის უფლება იმ პირის მიმართ, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო ფული ან გვაროვნული ნივთი, მოითხოვოს ამ სიკეთის კრედიტორისათვის დაბრუნება, ასევე არაუფლებამოსილი პირის ვალდებულება, დააბრუნოს ყველაფერი, რაც უსაფუძვლოდ მიიღო. კანონმდებელი აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის სავალდებულოდ მიიჩნევს შესრულების მიღების ნამდვილობის დადგენას, რადგანაც კანონისმიერი ამ ვალდებულებითი ურთიერთობის ძირითად საფუძველს არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღება წარმოადგენს, რაც მსგავსად ვინდიკაციური სარჩელისა, არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების უალტერნატივო წინაპირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მითითებული გარემოება უტყუარად არ იქნება დადგენილი, სამართლებრივი ურთიერთობის უსაფუძვლო გამდიდრებად კვალიფიკაციის წინაპირობა არ იარსებებს.

**განმარტების საგანი: შეცდომით სხვისი ვალების გასტუმრება (სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს „ვ.ბ.ჯ-ამ“ გადაიხადა მესამე პირის წინაშე (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წინაშე) ნ.გ-ის დავალიანება 29 316.35 ლარის ოდენობით და ნ.გ-ის დავალიანება — 28 995.74 ლარი. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც აუცილებელია დავის სამოქალაქო კოდექსის 969-ე და 974-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის, შესაბამისად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ექცევა უსაფუძვლო გამდიდრების რეგულირების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობა მოაწესრიგა სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტი განსხვავდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით განსაზღვრული 986-ე მუხლისაგან, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის თანახმად, პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია, შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად. განსახილველი ინსტიტუტი იცავს მეპატრონეს ისეთ შემთხვევებისაგან, როდესაც გარკვეული აუცილებლობით არის განპირობებული დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე მის საქმეებში ჩარევა, მაგალითად, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ კანონი ავალდებულებს შემსრულებელს ეს საქმეები შეასრულოს კეთილსინდისიერად. შესაბამისად, განსახილველი ინსტიტუტით დაკულია მეპატრონის ინტერესები და შემსრულებელმა უნდა იმოქმედოს ისე, როგორც მეპატრონემ ან მისი დავალებით რწმუნებულმა. ამდენად, უნდა იყოს ისეთი ვითარება, როდესაც, მიუხედავად დავალების ან სხვა საფუძვლის არარსებობისა, აუცილებლობა მოითხოვს მეპატრონის საქმეების შესრულებას, რაც უნდა განხორციელდეს ისე, როგორც ამას მეპატრონე გააკეთებდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შემსრულებელს არ შეუძლია, მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი.

მითითებული ნორმით კიდევ ერთხელ ხაზგასმულია ამ ინსტიტუტის მიზანზე. რომლის თანახმად, შემსრულებელი თავისი საქმიანობით ცდილობს, სარგებელი მოუტანოს მეპატრონეს, მიუხედავად იმისა, რომ არც დავალებით და არც სხვა საფუძველით მას ეს არ ევალებოდა. შესაბამისად, შემსრულებლის საქმეები უნდა შეესაბამებოდეს მეპატრონის ნებას ან კანონიერ ინტერესებს.

ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომლის თანახმად, როდესაც საკითხი ეხება სხვის საქმეთა გამართლებულ, მეპატრონის ინტერესებთან შეფარდებულ საქმეთა გაძლოლასთან, მაშინ მომხდარი ქონებრივი მიმოქცევა განიხილება როგორც სამართლებრივი საფუძვლის მქონე და ამიტომ გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები. როდესაც შესრულებული მოქმედებები მეპატრონის ნებას არ შეესაბამება ან სულაც მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამ პირობებში მომხდარი ქონებრივი ტრანსმისიები მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში (სხვისი საქმეების შესრულება დავალების გარეშე) შემსრულებელს არ შეუძლია, მოსთხოვოს მეპატრონეს თავისი ხარჯების ანაზღაურება, ამიტომ გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები, რომელთა დანიშნულებაა ქონებრივი წონასწორობის აღდგენა და სამართლებრივი კონსონანსის დამყარება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია, ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება. განსახილველი ნორმა განმარტებულ უნდა იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით.

განსახილველი ნორმა განეკუთვნება დანახარჯების კონდიქციას, რაც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც დამატება დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების სამართლისათვის.

კონკრეტული ფაქტობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შესაფასებელ ფაქტებზე, რომლის თანახმად 29.12.2010 წლის სააღსრულებო ფურცლის № 3/10—08 29 საფუძველზე სს „ვ.ბ.ჯ-ა“ უძრავ ქონებაზე, მდებარე გორის რაიონის სოფელ ქ-ი, დარეგისტრირდა, როგორც პირველი რიგის იპოთეკარი. იგივე ქონება დატვირთული იყო იპოთეკით ნ.გ-ის, გ. გ-სა და ნ.გ-ის სხვა ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად, მათ შორის რეგისტრირებული იყო საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა მესაკუთრეთა საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად.

ბანკის მიერ საგადასახადო დავალიანება გადახდილია, რის საფუძველზეც უძრავი ქონება გათავისუფლდა საგადასახადო იპოთეკა/გირავნობისაგან. ასევე მნიშვნელოვანია დადგენილი ფაქტები იმის თაობაზე, რომ თანხის გადახდის კანონშესაბამისობა კანონით დადგენილი წესით სადავო არ გამხდარა.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლის მიზანს, როგორც ზოგადად უსაფუძვლო გამდიდრებისთვისაა დამახასიათებელი, წარმოადგენს ქონებრივი ბალანსის აღდგენა.

განსახილველი ნორმა ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც პირი შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს. კონკრეტულ შემთხვევაში, ბანკმა შეგნებულად გადაიხადა გ-ის ვალი, რაც განპირობებული იყო უძრავი ქონების საგადასახადო იპოთეკა/გირავნობისაგან განთავისუფლებით. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის გათვალისწინებული თავისებურებების მიხედვით, 986-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა, რომელიც ეხება შეგნებულად სხვისი ვალების გასტუმრებას, გულისხმობს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ვალების გასტუმრებას, რასაც გააჩნდა ბანკის ეკონომიკური ინტერესი. ამ წინაპირობების არსებობისას განსახილველი ნორმა ანიჭებს სხვისი საქმეების გამწვევ პირს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირისაგან თავისი ხარჯების ანაზღაურება.

## საქმე № ას-1121-1385-09

14 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე (სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი)

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2004 წლის 17 დეკემბერს მოსარჩელე თ. მ-ძის მინდობილმა პირმა ნ. ნ-ძემ სანოტარო წესით დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გ. მ-ძისგან შეიძინა ქ.ბათუმში, ... ქუჩა № 80-ში, ბინა № 44-ში მდებარე 56,74 კვ.მეტრი ოროთახიანი ბინა. აღნიშნულ ბინასთან ერთად თ. მ-ძე დაეუფლა ასევე გ. მ-ძის მიერ დამატებით მიშენებულ დაურეგისტრირებულ 102,06 კვ.მ ფართს.

უძრავი ქონების შეძენა მის მიერ არ ყოფილა გატარებული საჯარო რეესტრში.

დადგენილია, რომ გ. მ-ძემ ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას ნოტარიუსთან წარადგინა არასწორი ცნობა ბინაზე ყადაღის არარსებობის შესახებ, რის გამოც გ. მ-ძე მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და შეეფარდა პატიმრობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 24 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სადავო ბინა 56,74 კვ.მ-ს აღმასრულებლის განკარგულებით საკუთრებაში გადაეცა მოპასუხე (აპელანტი) ნ. გ-შიძეს, თუმცა ეს უკანასკნელი მთლიანად დაეუფლა როგორც საჯარო რეესტრში გ. მ-ძის სახელზე რეგისტრირებულ ფართს 56,74 კვ.მ ასევე მის მიერვე აშენებულ დაურეგისტრირებულ 102,06 კვ.მეტრ ბინას.

ნ. გ-შიძემ ბინაზე საკუთრების უფლება მოიპოვა 2006 წლის 27 სექტემბერს.

2007 წლის 13 მარტს თ. მ-ძე გამოსახლებულ იქნა სადავო ბინიდან.

დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. მ-ძის მიერ 2004-2007 წლებში აღნიშნულ ბინას ჩაუტარდა რემონტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 39982 ლარი.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კასატორს სადავოდ არ გაუხდია.



საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის სამართლებრივ შეფასებას და თვლის, რომ ნ. გ-შიძე უსაფუძვლოდ გამდიდრდა თ. მ-ძის მიერ ბინაზე გაწეული სარემონტო სამუშაოების ხარჯზე, რაც გამომდინარეობს შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებიდან:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი არეგულირებს სწორედ ისეთ შემთხვევას, რომელიც სხვის ქონებაზე ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას შეეხება. მოცემული ნორმის შესაბამისად, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეუგნებლად ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდება.

კონკრეტულ შემთხვევაში, ცალსახაა ის ფაქტი, რომ თ. მ-ძემ ბინა ეგულებოდა რა მისი საკუთრება, შეუგნებლად გასწია სარემონტო სამუშაოები ნ. გ-შიძის ქონებაზე, რითაც მისი ღირებულება საგრძნობლად გაიზარდა.

**საქმე № ას-711-666-2010**

**20 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე (სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს.

მითითებული მუხლის მთავარი დებულება ისაა, რომ სხვა პირის ქონებაზე გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს. ამასთან, სხვა პირის ქონებაზე შეგნებულად ან შეცდომით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა, ხოლო თუ გამდიდრების ფაქტი სახეზე არაა, მაშინ მართო ხარჯის გაწევა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი. ამ დროს უნდა გაირკვეს რა სახით იყო ნივთი გადაცემული და რა სახით ბრუნდება იგი უკან. ასეთ შემთხვევაში რეალურად ჩანს გამდიდრების ხარისხი. გარდა ამისა, შესაძლებელია გამდიდრება გამოიხატოს დაბრუნებული ნივთიდან ადრინდელთან შედარებით მეტი სარგებლის მიღებაში, რადგან მნიშვნელოვნადაა გაზრდილი დაბრუნებული ნივთის ღირებულება. ორივე შემთხვევაში მოვალის გამდიდრების ფაქტია მთავარი და გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს გამდიდრების ოდენობის შესაბამისად. კონდიქციურმა მოთხოვნამ არ უნდა გამოიწვიოს გამდიდრებული პირის ქონების იმაზე მეტად შემცირება, რითაც იგი გამდიდრდა.

**საქმე №ას-1084-1015-2012**

**7 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე (სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი)**

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2001 წლის 1 მაისს ერთი მხრივ, ი. მ-სა და ნ. ო-ს და მეორე მხრივ, ი. პ-სა და ა. პ-ს შორის წერილობით გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც ი. და ა. პ-ები ი. მ-ის ოჯახს პირად საკუთრებაში გადასცემდნენ ქ. კასპში, კ-ას ქ. N16-ში მდებარე საცხოვრებელ ბინას 1 800 აშშ დოლარის 2002 წლის 1 მაისამდე გადახდის სანაცვლოდ;

2. რომ ა. და ი. პ-ები არიან მეუღლეები. ასევე მეუღლეები არიან ი. მ-ი და ნ. ო-ი;
3. ა. და ი. პ-ებს ი. მ-ისაგან, 2001 წლის 1 მაისის შეთანხმების საფუძველზე, 23.05.2011 წელს მიღებული აქვთ 110 აშშ დოლარი და 30 ლარი;
4. 2001 წლის 25 ივლისს დაიდო პრივატიზაციის ხელშეკრულება ერთი მხრივ, კასპის კომუნალურ საწესჩვეულებო სამშენებლო მომსახურების სამმართველოს საბინაო განყოფილების წარმომადგენელსა და მეორე მხრივ, ა. პ-სა და ი. ს-ს (პ-ს) შორის, რომლის თანახმად, მათ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცათ ქ. კასპში, კ-ას ქ. N16-ში მდებარე ორ ოთახიანი საცხოვრებელი ბინა, რომლის მთლიანი ფართი იმ დროისათვის იყო 39მ2. აღნიშნული ბინა 2001 წლის 5 სექტემბერს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ა. პ-სა და ი. ს-ს სახელზე;
5. 2001 წლის 25 ივლისის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით დავა წამოიწყო მოპასუხის ა. პ-ის ძმამ — ვ. პ-მა და თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა (ტ.1. ს.ფ. 22-33). საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ვ. პ-ის მოთხოვნით, გაუქმდა ა. პ-ის მესაკუთრეობის თაობაზე არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერი 2011 წლის 16 თებერვალს. მოგვიანებით, 2011 წლის 14 ნოემბერს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ა. პ-ზე გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა N26, რომლის მიხედვითაც მას გადაეცა საკუთრებაში ქ. კასპში, კ-ას ქ. N16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ორი ოთახი 33,71მ2 ფართით. აღნიშნული ქონება 2011 წლის 15 ნოემბერს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ა. პ-ის საკუთრების უფლებით (ტ.1. ს.ფ. 186, 189), თუმცა მოპასუხეთა მხრიდან სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ აღნიშნული ფართი კვლავაც წარმოადგენს მოპასუხეთა როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებას, შესაბამისად, მოპასუხეთა საკუთრების უფლება ბინის 33,71მ2 ფართზე 2001 წლის 5 სექტემბრიდან, ფაქტობრივად, არ გაუქმებულა.
6. ა. პ-მა 2011 წლის დეკემბერში, ანუ, მას მერე რაც საბოლოოდ დაირეგისტრირა საკუთრების უფლება ქ. კასპში, კ-ას ქ. N16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ორ ოთახზე, მითითებული ბინიდან გამოასახლა 2001 წლის 1 მაისის შეთანხმების საფუძველზე მცხოვრები ი. მ-ი ოჯახთან ერთად;
7. ქ. კასპში, კ-ას ქ. N16-ში მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრედ დავის მიმდინარეობის მთელი პერიოდის მანძილზე კვლავ მიიჩნეოდა მოპასუხე, რადგან მისი უფლება სათანადო წესით იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ქ. კასპში, კ-ას ქ. N16-ში არსებული უკანონო მიწენების დემონტაჟის თაობაზე შიდა ქართლის რეგიონალური არქმშენინსპექციის სარჩელზე შეწყდა წარმოება გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივნისის განჩინებით, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო. აღნიშნული განჩინებითვე დგინდება, რომ „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების, ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის N660 ბრძანებულებით განისაზღვრა უნებართვო მშენებლობების დაკანონების წესები და პროცედურა, რის გამოც, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არქმშენინსპექციის უარი სარჩელზე არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. მთავარი არქმშენინსპექციის 22.12.2003 წლის დადგენილება ა. პ-ის 2000 ლარით დაჯარიმების თაობაზე არ აღსრულებულა, შესაბამისად, ა. და ი. პ-ებს ამ ოდენობის ქონებრივი დანაკლისი არ განუცდიათ; ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ბინაზე გაწეული ხარჯების დაკისრების კუთხით უმნიშვნელოა პოზიცია იმის თაობაზე, რომ ქ. კასპში, კ-ას ქ. N16-ში დამხმარე სათავსო (ლოჯი) მიშენებულია უპროექტოდ, გამომდინარე იქედან, რომ მესაკუთრეები სარგებელს იღებენ ბინაზე მიშენებული დამხმარე ფართით (ლოჯით). მხარეთა განმარტებებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ მიშენებული ლოჯის ხარჯზე, არსებულ ფართს მიემატა ე. წ. დამხმარე ფართი, სადაც მოეწყო სამზარეულო (სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის სხდომის ოქმი 13;33), შესაბამისად, თუკი მოპასუხეთა კუთვნილი ფართი შედგებოდა ერთი საცხოვრებელი ოთახისა და სამზარეულოსაგან, მოსარჩელის ხარჯზე გაკეთებული გაუმჯობესებების

შედეგად ა. პ-ის სარგებლობაში არსებულ ფართს მიემატა მიწენებული სამზარეულო. მის ხარჯზე ა. პ-ის ოჯახის სარგებლობაშია ნაცვლად საკუთრებად რეგისტრირებული 33,71 კვ.მ ფართისა, 53,25 კვ.მ ფართი.

სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა; ამასთან, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ზემოთხსენებული გარემოებები მოპასუხეთა გამდიდრებას ადასტურებს და მოსარჩელის მხრიდან საკუთარი დანახარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს.

**საქმე № 'ას-1245-1265-2011**

**31 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სხვის ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 164-ე და 987-ე მუხლები)**

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1994 წლის 11 მაისს საცხოვრებელი ფართის გაცვლის ორდერის საფუძველზე ბ. დ-ამ მის საკუთრებაში არსებული ქ. რუსთავში, რ-ის ქ. № 32-30-ში მდებარე ერთოთახიანი ბინა გაუცვალა ლ. მ-ს რუსთავში, ბ-ის ქუჩა № 35-37-ში მდებარე ბინაში. მოსარჩელებმა მიერთებულ ქ. რუსთავში, რ-ის ქ. № 32-ში ერთოთახიან ბინაში ჩაატარეს 9001,2 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები. უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მხარეთა შორის ბინების გაცვლა ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში ან საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მხარეთა მიერ ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართული იყო საცხოვრებელი სახლის გაცვლის ხელშეკრულების დასადავებად და მათ მიერ გამოხატული ნება სადავო არ გამხდარა, გაცვლის ხელშეკრულებას შესაბამისი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია — მხარეები მიღებული ფართების მესაკუთრეები არ გამხდარან, რადგან არ ყოფილა დაცული არსებული გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დადგენილი სავალდებულო ფორმა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყოველი პირი მიიჩნევა კანონის მცოდნედ. შესაბამისად, არასწორი სამართლებრივი შეფასების რისკი მთლიანად მხარეზეა გადატანილი, მითუმეტეს განსახილველ შემთხვევაში, რადგანაც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებაზე მსჯელობისას ვარაუდის დაშვება შეუძლებელია: საკუთრება პირდაპირ ვლინდება საჯარო რეესტრისა თუ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ჩანაწერებიდან. აქედან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ ლ., ლ., თ. და გ. მ-ები მოქმედებდნენ უხეში გაუფრთხილებლობის ფარგლებში, ისინი თავისი ქმედებით არღვევდნენ აუცილებელი ყურადღებების მოთხოვნებს მაღალი ხარისხით, რის გამოც მათ მიერ დაშვებულ სამართლებრივ შეცდომას საპატიოდ ვერ მივიჩნევთ. პირის მიერ კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამო, მიიჩნევა, რომ მოსარჩელებს უნდა სცოდნოდათ მათ მიერ სადავო ფართის მფლობელობის საფუძვლის ხარვეზის არსებობის შესახებ, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლიდან გამომდინარე, რომელიც კეთილსინდისიერი მფლობელის ლეგალურ დეფინიციას გვაწვდის, მოსარჩელები არაკეთილსინდისიერი მფლობელები არიან, რადგან ისინი არ შეიძლება უფლებამოსილ პირად იქნეს მიჩნეული ურთიერთობების საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე.

პალატა განმარტავს, რომ მფლობელობის მართლზომიერება ობიექტური, ნორმატიული შეფასების საგანია, ხოლო მფლობელის კეთილსინდისიერება კი, სუბიექტური. ამ უკანასკნელში ვლინდება პირის დამოკიდებულება ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლის, მართლზომიერების მიმართ. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე, ერთი მხრივ, უშვებდა არასაპატიო სამართლებრივ შეცდომას და მიაჩნდა, რომ ის მართლზომიერი მფლობელია, მაგრამ მისი მართლზომიერ, კეთილსინდისიერ მფლობელად განხილვა შეუძლებელია, რადგან მას, კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან გამომდინარე, უნდა სცოდნოდა მფლობელობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. არაკეთილსინდისიერი მფლობელობიდან ნივთის

გამოთხოვის სამართლებრივ შედეგებს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი არეგულირებს, შესაბამისად, მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად აღნიშნულიც შეგვიძლია განვიხილოთ. ამავედროულად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა სხვის ნივთზე გაწეული ხარჯის ანაზღაურებაზე, მოტივირებულია მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებით. ამდენად, მივიღეთ უსაფუძვლოდ გაწეულ ხარჯებზე მოსარჩელეთა მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების ორი სამართლებრივი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენცია): სანივთო-სამართლებრივი (სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი) და კონდიქციურ-ვალდებულებითი (სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი უფრო ზოგადი ხასიათისაა, ვიდრე 979-ე მუხლი, რომელიც კონკრეტულად მიუთითებს არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვის სამართლებრივ შედეგებზე უპირატესობა უნდა მივანიჭოთ სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლს.

**საქმე № ას-232-493-08**

**17 სექტემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგები (სამოქალაქო კოდექსის 988-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 988-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს, რომელიც, 976-ე მუხლის თანახმად, რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით, შეუძლია შესრულებულის გამოთხოვა ვითომ კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე, თუ ვითომ-კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ.

იმისათვის, რომ სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცეს განსახილველ ურთიერთობას, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობის წარმოშობის თავისებურება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის თანახმად და ამ პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი „უშუალობის პრინციპი“.

იბადება კითხვა, რა აუცილებელი ელემენტები ახასიათებს განსახილველ ნორმას, რითაც შესაძლებელია ამ პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული თავისებურებების ამოხსნა.

განსახილველი ნორმის თანახმად უნდა არსებობდეს საკონდიქციო შემთხვევა, საკონდიქციო მოთხოვნის კრედიტორი და მოვალე. ამასთან ერთად ორზე მეტ პირს შორის წარმოშობილი ურთიერთობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 988-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტის გათვალისწინებით, საკონდიქციო მოთხოვნის კრედიტორს წარმოადგენს პირი, რომელიც, 976-ე მუხლის თანახმად, რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით, კერძოდ, განსახილველი ნორმის მიხედვით, უნდა არსებობდეს ვალდებულების შესასრულებლად რაიმეს გადაცემის ფაქტი და ამ ვალდებულების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არარსებობის, ან შემდგომში შეწყვეტის ფაქტი.

უშუალოდ თვით ვალდებულების შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებები, აღნიშნული ნორმის თანახმად, იმ თავისებურებებით ხასიათდება, როდესაც პირი (კონდიქციური კრედიტორი, ვის ხარჯზეც გამდიდრდა) ვითომ კრედიტორის მითითებით ვალდებულებას ასრულებს მესამე პირის წინაშე, ხოლო მოთხოვნას უყენებს ერთ შემთხვევაში ვითომ კრედიტორს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, მესამე პირს. პირველ შემთხვევაში, 976-ე მუხლიდან გამომდინარე არ უნდა არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი კონდიქციურ კრედიტორსა და ვითომ-კრედიტორს შორის. ამ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო

ლაქო კოდექსის 988-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნა მიმართული იქნება ვითომ-კრედიტორთან, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე კონდიციურ კრედიტორს, ხოლო, თუ ვითომ კრედიტორის მითითება საეჭვოა (აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც ვითომ კრედიტორის მითითება არ არსებობდა, ბათილია ან სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე შემდგომ შეწყდა), მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ.

**საქმე № ას-222-521-04**

**27 მაისი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მესამე პირის მიერ უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნების ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 989-ე მუხლი)**

განსახილველ საქმეზე, როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ (გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უცვლელი დარჩა) დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

თ. მ-ესა და შპს საამშენებლო კომპანია „კ-ს“ შორის მოხდა შეთანხმება, რომლითაც მ-ე ახალ სახლში ბინის ასაშენებლად შესატანის სახით კომპანიას გადასცემდა მის სახელზე არსებულ ბინას, ხოლო „კ-ი“, თავის მხრივ, ამ ბინას გადასცემდა მ. ჯ-ს. თ. მ-ესა და „კ-ს“ შორის ხელშეკრულება ბინის მშენებლობის თაობაზე დაიდო 1999წ. 2 მარტს, ხოლო 4 მარტს თ. მ-ემ მ. ჯ-თან დადო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. მყიდველს, როგორც ეს მ. ჯ-მაც დაადასტურა, თ.მ-ისთვის ბინის ღირებულება (3000 ლარი) არ გადაუხდია. უდავოა, რომ ბინის ღირებულება არც „კ-ს“ გადაუხდია. ამდენად, დადგენილია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ბინის ღირებულება გადახდილი არ არის. ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები კომპანია „კ-სმა“ გაიღო. 1999წ. 2 მარტის ხელშეკრულების ნ.3 პუნქტის თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შენატანი (ბინა) უბრუნდება თ. მ-ეს.

დადგენილია, რომ მ. ჯ-ისთვის სადავო ბინის მასზე გაფორმების დროს ცნობილი იყო, რომ თ. მ-ე ბინას ჯ-ზე გაფორმებით შენატანის სახით აბარებდა „კ-ს“. ეს უკანასკნელი კი ამ შენატანს გადასცემდა მ. ჯ-ს, რომლის მიმართ „კ-ს“ ვალდებულება არ გააჩნდა, ე.ი. მ.ჯ-ი არ იყო „კ-სის“ კრედიტორი.

პალატა თვლის, რომ სასამართლომ 1999წ. 2 და 4 მარტის ხელშეკრულებები სწორად დაუკავშირა ერთმანეთს. რომ არა 2 მარტის ხელშეკრულება, არ დაიდებოდა 4 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება, რადგან არც მ-ეს სურდა ბინის გაყიდვა ჯ-ზე და არც ჯ-ს ყიდვა, მით უფრო, რომ უდავოა ბინის ღირებულებაზე (3000 ლარზე) შეთანხმება ფორმალურია და იგი არ გადაუხდია მ. ჯ-ს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყვეტილია, რადგან მყიდველი ღირებულებას არ იხდის, ხოლო გამყიდველი სკ-ის 352-ე მუხლის საფუძველზე ითხოვს გადაცემული ნივთის დაბრუნებას. მითითებული ნორმით ხელშეკრულებაზე უარის თქმას შედეგად უნდა მოჰყვეს ქონების ნატურით დაბრუნება (რესტიტუცია).

სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმღებს — ვითომ-კრედიტორს, კონდიციური ვალდებულებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა ეკისრება — დააბრუნოს ის, რაც უსაფუძვლოდ მიიღო. პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება შეწყდა შემდგომში. პალატას მიაჩნია, რომ არა წინარე ნარდობის ხელშეკრულება, მოსარჩელის მოთხოვნა, მხოლოდ ამ ნორმამზე მითითებითაც დასაბუთებული იქნებოდა.

პალატა თვლის, რომ ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნული ნორმებისა, მოთხოვნის საფუძველად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასევე სსკ-ის 989-ე მუხლიც, რადგან ვითომ-კრედიტორისათვის ან მისი მითითებით სხვისთვის რაიმეს გადაცემისას კანონი ითვალისწინებს გადაცემულის უკან დაბრუნებას. ასეთ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც მოვალეა, დააბრუნოს მიღებული და სხვას გადასცემს დასაბრუნებელ ქონებას, ეს უკანასკნელი სკ-ის 989-ე მუხლის პირველი ნაწილით მოვალეა, დააბრუნოს მიღებული ქონება. აღნიშნული ნორმით ქონების დაბრუნების მოთხოვნა

საფუძვლიანია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირობა: ქონება უსასყიდლოდ უნდა იყოს გადაცემული სხვა პირზე (მესამე პირზე) და ქონების (განსახილველ შემთხვევაში ბინის) დაბრუნება ვითომ-კრედიტორისაგან („კ-სისაგან“) ფაქტობრივად შეუძლებელია. დადგენილია, რომ „კ-სი“ ვითომ-კრედიტორი ბინას ვერ დააბრუნებს, რადგან იგი, როგორც ინდივიდუალური ნივთი, გადასცა მესამე პირს. აღნიშნული გარემოებების არსებობისას ქონების მიმღები (მ.კ-ი) ვალდებულია, დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მან ნამდვილი კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიიღო იგი.

განსახილველ შემთხვევაში ნარდობის ხელშეკრულებით, შენატანის მიმღებმა („კ-სმა“) თ.მ-ეს უსასყიდლოდ გადააფორმებინა ბინა მესამე პირზე, რომელიც ვალდებულია მითითებულ ნორმის საფუძველზე ქონება უკან დააბრუნოს, რადგან მან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიიღო ეს ქონება თ.მ-ისაგან.

## 5.4. დელიქტური ვალდებულება

**საქმე № 3კ-1152-01**

**30 აპრილი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დელიქტური ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქ. ჩ-ძემ მოშალა გ. ნ-ძის მიერ კიბის უჯრედის საჩრდილობელი. ასევე დადგენილია ის ფაქტი, რომ სათანადო ორგანოებიდან მიღებული ნებართვის საფუძველზე მოაწყო გ. ნ-ძემ სადავო საჩრდილობელი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლომ სწორად გამოიყენა კანონი, რადგან მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს დელიქტური ვალდებულება. დადგენილია, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა ზიანი — დაანგრია კიბის საჩრდილობელი. სასამართლომ დაადგინა ზიანის ოდენობა, რასაც კასატორი სადავოდ არ ხდის. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. კასატორი სადავოდ არ ხდის დელიქტის არსებობას.

პალატა არ იზიარებს კასატორის მიერ მითითებულ გარემოებებს მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს არსებით მხარეს მოცემული დავის გადასაწყვეტად, ვინაიდან დელიქტური ვალდებულების საფუძველზე დავისას მთავარია დადგინდეს ზიანის მიყენების ფაქტი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი და იგი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიყენებელს უნდა მიუძღვოდეს ბრალი. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია როგორც ბრალი, ისე მიზეზობრივი კავშირი ქ. ჩ-ძის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამდენად, კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მშენებლობა უნებართვოა, უსაფუძვლოა, რადგან, ჯერ ერთი, დადგენილია, რომ მშენებლობა ნებართვის საფუძველზე აწარმოა გ. ნ-ძემ; მეორე, უნებართვოც რომ იყოს, ქ. ჩ-ძის მოქმედება მაინც მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნეოდა, რადგან უნებართვო მშენებლობის აღკვეთა შეუძლია მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ უწყებას (სამსახურს) და არა კერძო პირს.

**საქმე № ას-87-420-05**

**31 მაისი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დელიქტური ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2002წ. 30 იანვარს ქ.თბილისში, ... ქ. № 1-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს გაუჩნდა ხანძარი, რამაც დააზიანა მოსარჩელეთა საცხოვრებელი სახლები. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უდავო გარემოება წარმოადგენს, რომ შემთხვევის მომენტში, თბილისის ელექტროენერგიით მხოლოდ სს „...“ ამარაგებდა, რომელსაც საკუთრებაში გადაეცა თბი-

ლისში განლაგებული ყველა ელექტროჯიხური და მთლიანად ელექტრომეურნეობა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ქ.თბილისში, ... ქ. № 1-ში მდებარე სახლის სხვენში ე.წ. „მარცხენა“ სადენებში გამავალი ელექტროენერგია მომდინარეობდა მოპასუხის კუთვნილი ელექტროჯიხურიდან, რომელიც, თავის მხრივ, მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს. რაიმე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა დაზარალებულთა მონაწილეობაზე ე.წ. „მარცხენა“ ელექტროსადენების გაყვანაში, საქმეში წარმოდგენილი არ არის, გაურკვეველია, თუ ვინ და როდის გაიყვანა ელექტროსადენები სახლის სხვენში და კონკრეტულად ვინ სარგებლობდა მითითებული სადენებით. ე.წ. „მარცხენა“ სადენების გამოვლენა და გამორთვა სს „...“-ის სამსახურების უშუალო მოვალეობაა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ელექტროჯიხურიდან უშუალოდ მომხმარებლებამდე ელექტროსადენების გამართულობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოპასუხეს, რომლის სამსახურების უშუალო მოვალეობას შეადგენს ე.წ. „მარცხენა“ ელექტროსადენების გამოვლენა — აღმოფხვრა. სს „...“-ის“ მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა უდავოს ხდის მის ბრალეულობას მოპასუხეებისათვის მიყენებულ ზიანთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა გასაჩივრებული განჩინების საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად ასკვნის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სკ-ის მე-1000 მუხლი, რადგან განსახილველი ნორმის თანახმად, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დადგება მომეტებულ საფრთხეს წყაროს მიერ მიყენებული ზიანისათვის. ამ შემთხვევაში ქმედება, რომელიც დაკავშირებულია მომეტებულ საფრთხესთან, ზოგადი წესის თანახმად, დაშვებულია, მართლზომიერია. არამართლზომიერია მხოლოდ ამ საქმიანობის განხორციელების მომენტში მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი, ანუ ამ სახის ზიანისათვის პასუხისმგებლობა დადგება ბრალის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, როგორც გადაწყვეტილების კვლევიტ ნაწილში იქნა დასაბუთებული, სს „...“-ის“ ბრალეულობა სახეზეა და მან პასუხი უნდა აგოს მიყენებული ზიანისათვის სკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად.

## საქმე № ას-1068-1318-04

28 ივნისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 415-ე მუხლები)

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო, რომ ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2002წ. 3 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, 2002წ. 7 თებერვალს დ. კ-ემ ფ. ი-ეს მიაყენა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება. აღნიშნული განაჩენით დ.კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულისათვის, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებას უეცარი ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დაზარალებულის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე, დაზარალებულის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ.

სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზარალი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, რომლის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირის ბრალეულობის ხარისხს იმ შემთხვევაში, თუკი არ არის გამორიცხული ვარაუდი იმისა, რომ ზიანის წარმოშობას ან გაზრდას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამ. სამოქალაქო კანონმდებლობით, ზიანის მიმყენებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის, ანუ მისი პასუხისმგებლობა

უნდა შემოიფარგლოს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. აღნიშნული გამომდინარეობს სკ-ის 415-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ამავე კოდექსის 326-ე მუხლის შესაბამისად კი წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიითიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

სააპელაციო სასამართლომ დ.კ-ის მიმართ ზიანის დაკისრებას საფუძვლად დაუდო რა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც დანაშაულის ჩადენა განაპირობა დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამ, არ გამოუკვლევიან ზიანის დადგომაში დაზარალებულის თანამონაწილეობა.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება და ამ ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა უნდა მოახდინოს მხარეთა ბრალეულობის ხარისხით, კერძოდ, სასამართლომ უნდა იმსჯელოს შეუწყო თუ არა ხელი დაზარალებულის მოქმედებამ ზიანის დადგომას და უფრო მეტად რომელ მხარეს მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში. ამ მიმართებით სასამართლომ უნდა იმსჯელოს დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე, მისი ბრალის ფორმასა და ხარისხზე.

### **საქმე № ას-356-336-2011**

**30 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: დელიქტური ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. დასახელებული ნორმა ადგენს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის ზოგად წინაპირობებს და ნებისმიერი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ემყარება, საფუძვლიანია მაშინ, როდესაც არსებობს ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, კერძოდ, იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება — ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), შედეგი — ზიანი და მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ნორმის შემადგენელ აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთან, ზიანის არსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი პროცესუალურად ეკისრება მოსარჩელეს.

### **საქმე № ას-937-880-2012**

**13 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის (სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთება ი. კ.-ის ქმედებასა და ზ. მ.-ის ჯანმრთელობის დაზიანებას შორის მიზეზობრივი კავშირი.

საქმეში წარმოდგენილი განაჩენით დასტურდება, რომ, თავდაპირველად კონფლიქტი ზ. მ.-სა და ი. კ.-ეს შორის წარმოიშვა. 2010 წლის 31 აგვისტოს, დაახლოებით 19:00 საათზე ი. კ.-ე და თ. ც.-ე ზ. მ.-ს საკუთარ სახლთან დახვდნენ და დაუწყეს ცემა. ჩხუბის დროს თ. ც.-ემ ზ. მ.-ი დანით დაჭრა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის მიხედვით, ი. კ.-ე და თ. ც.-ე სოლიდარულად აგებენ პასუხს დამდგარი ზიანისათვის.

მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით.



საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის საფუძველზე დანაშაულით მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე პირები, როგორც სოლიდარული მოვალეები. თანამონაწილეობის ფორმები განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსით.

განსახილველ შემთხვევაში, ზ. მ.-ს ზიანი უშუალოდ თ. ც.-ემ მიაყენა. იმისათვის, რომ ი. კ.-ემ ასევე აგოს პასუხი ზ. მ.-ის ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანზე, იგი თ. ც.-ის თანამონაწილე უნდა იყოს, ანუ, მათ ბრალად ერთი და იგივე დანაშაული უნდა შერაცხვოდათ. საქმის მასალები ადასტურებს, რომ განაჩენით ი. კ.-ე ცნობილია დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (ხულიგნობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) ჩადენაში, ხოლო, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების 2010 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით ზ. მ.-ის მკვლელობის მცდელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით მხოლოდ თ. ც.-ე მიეცა, შესაბამისად, ი. კ.-ის თანამონაწილეობა არ იკვეთება.

საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ადასტურებს, რომ ი. კ.-ე და თ. ც.-ე შეთანხმებულები იყვნენ ზ. მ.-ის სიცოცხლისათვის საშიში დაზიანების მიყენების თაობაზე. ი. კ.-ეს თ. ც.-ე აღნიშნულის თაობაზე არ დაუყოლიებია, როგორც ამას კასატორი მიუთითებს. მათი შეთანხმება, სავარაუდოდ, მხოლოდ მოსარჩელის ცემას გულისხმობდა, რასაც ჯანმრთელობის დაზიანება და სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა შედეგად არ მოჰყოლია.

### **საქმე № ას-104-797-03**

**19 სექტემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სკ-ს 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ პასუხისმგებლობა ზიანისათვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძველებით ფლობს სატრანსპორტო საშუალებას.

სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას მფლობელის ნებართვის გარეშე ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე (მძღოლები, მემანქანეები და სხვა) ანდა, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

### **საქმე № ას-290-612-09**

**28 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი)**

დადგენილია, რომ თბილისის საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლის 2001 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით მძღოლ რ. ე-ს მიმართ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მის ქმედებაში მართლ-საწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო. დადგენილების მიხედვით, შემთხვევის დადგომისას ავტომობილის საჭით მართვის მექანიზმი და სამუხრუჭე სისტემა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში იყო, ავტორტექნიკური გამოკვლევით დგინდებოდა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მძღოლ რ. ე-ს განკარგულებაში არსებული მანძილისა და დროის სიმცირის გამო ეს უკანასკნელი ფეხით მოსიარულზე დაჯახების თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა და მას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონი არ

დაურღვევია. ამავე დადგენილების მიხედვით, ავტოსატრანსპორტო შემთხვევა თავად დაზარალებულის მიერ გამოწვეულია მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით, კერძოდ, მან წინ გადაურბინა ავტომობილს იმდენად სწრაფად და მოულოდნელად, რომ ავტომობილმა ვერ მოასწრო დამუხრუჭება.

ამდენად, თბილისის საგამომძიებო სამმართველოს გამომძიებლის 2001 წლის 10 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე დგინდება, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში რ. ე-ს არ მიუძღვის ბრალი, ხოლო დაზარალებული მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, ბრალის არქონის გამო, არ არსებობს პირისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საერთო საფუძველი. ამ შემთხვევაში არც აღნიშნული კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის პირობებია სახეზე, რამდენადაც მოცემული ნორმა არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას ისეთ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ახორციელებდა სატრანსპორტო საშუალების მართლობიერ ექსპლუატაციას ანუ მის მიერ არ იყო დარღვეული ექსპლუატაციის წესები. მომეტებული საფრთხის წყაროდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს ეკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი წარმოიშობა იმ მიზეზის გამო, რის გამოც აღნიშნული მომეტებული საფრთხის წყაროდ მიიჩნევა, ანუ შედეგი, ყოველგვარი გარე ფაქტორების ზემოქმედების გარეშე, უშუალო კავშირში უნდა იყოს საფრთხის მომეტების გამომწვევ მიზეზთან. აღნიშნული სპეციალური ნორმა, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი გამოწვეულია ნივთის იმ თვისებებით, რის გამოც ის მომეტებული საფრთხის წყაროს განეკუთვნება, თუ ზიანი გამოწვეულია თუნდაც ნივთის ექსპლუატაციის დროს, მაგრამ არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე, არამედ დაზარალებულის ბრალით, მაშინ პასუხისმგებლობის დაკისრება საერთო საფუძველებით ხდება.

როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსით ზიანის ანაზღაურების დაკისრების შემადგენლობა მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის, კერძოდ, არ არსებობს ზიანის მიმყენებლის ბრალი ზიანის დადგომაში, რის გამოც სსიპ საქართველოს ... ბიუროს სარჩელი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

**საქმე № ას-254-239-2010**

**20 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: განმარტების საგანი: სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

ავტოსატრანსპორტო შემთხვევით დაზარალებულ პირს არ ეკრძალება, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთობლივად წაუყენოს როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს, რომელიც ზიანის მიმყენებელია 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მესამე წინადადების საფუძველზე, ისე — სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, რომელიც ბრალეულად მოქმედებდა და ზიანის მიმყენებელია 992-ე მუხლის საფუძველზე. ამ შემთხვევაში სახეზეა მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში, ვალდებულებათა ერთიანობა, როდესაც ყოველ მოვალეს თავისი საკუთარი ვალდებულება აკისრია კრედიტორის წინაშე, მაგრამ ისინი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ ქმნის სოლიდარულ ვალდებულებას.

**საქმე № ას-494-463-2010**

**9 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობე-

ლი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან (პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო პირს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული) განსხვავებულ — სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის. ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია — ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია. ამავდროულად, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ზიანი გამოწვეულია თუნდაც ნივთის ექსპლუატაციის დროს, მაგრამ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით და არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე. პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი), ასევე დაზარალებულის ბრალი.

დაუძლეველი ძალაში იგულისხმება, რომ, მიუხედავად ავტომანქანის გულისყურით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ზიანი გამოწვეულია თუ არა დაბრკოლებით, რომელიც არ შედიოდა ტრანსპორტის მფლობელის კონტროლის სფეროში და მას გონივრულად არ შეეძლო არც მისი წინასწარ გათვალისწინება და არც დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება, ან დაძლევა, ანუ პირი მოკლებული იყო დაბრკოლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უნდა გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალიც. დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმები — სამოქალაქო კოდექსი 992-1008-ე მუხლები არ ითვალისწინებს შემხვედრი ბრალის საკითხს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავ კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.

## საქმე № ას-333-661-05

21 ივლისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი)

თ. ბ-მა 2002წ. 13 სექტემბერს კუთვნილი ავტომანქანის თაობაზე გ. მ-ეს გაუფორმა განკარგვის უფლებით მინდობილობის ხელშეკრულება; ამ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ავტომანქანა ეკუთვნის თ.ბ-ს და მან გ.მ-ეს გადასცა მანქანის მართვის, განკარგვის, რემონტის და ტექდათვალიერების უფლება.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გ.მ-ეს სატრანსპორტო საშუალება გადაცემული ჰქონდა გ.ბ-ისაგან, ამიტომ 999-ე მუხლის თანახმად პასუხისმგებლობა წარმოეშვა გ.ბ-ს, რომლის პასუხისმგებლობაც დაზღვეულია. სასამართლომ ვერ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ პასუხისმგებლობა წარმოეშვა გ.მ-ეს, რომელიც დაზღვეული არ არის, რის გამოც ზიანი თვითონ მან უნდა აანაზღაუროს. აღნიშნული მოტივით სს „... -ის“ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა სკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

მითითებული ნორმის თანახმად, მფლობელის პასუხისმგებლობა წარმოიშობა, თუ იგი სატრანსპორტო საშუალებას გადასცემს სხვა პირს ან, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია ავტომანქანის სამართავად, ანდა მფლობელის ბრალის გამო შესაძლებელი გახდა მისი ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენება. აქედან გამომდინარე, მფლობელის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (სამოქალაქო პასუხისმგებლობა) წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა მისი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას. ე.ი. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ მართავს სატრანსპორტო საშუალებას.

#### **საქმე № ას-39-38-10**

**15 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია, მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

განსახილველი ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიჩნევა პირი, ვინც იურიდიული საფუძვლით ახორციელებს ამ ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. იმ შემთხვევაში თუ პირი, რომელიც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლობითი მფლობელი), მიაყენებს ზიანს ამ სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ უკანასკნელს და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პირს, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, არ გააჩნდა მისი ფლობის უფლება (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მფლობელს არ გადაუცია მოსარგებლისათვის იგი, ანდა გადაცემული ტრანსპორტი მოსარგებლემ გამოიყენა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ). ამასთან, მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების კარები დატოვა ღიად, გასაღები დატოვა მასში). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მან ვერ უზრუნველყო მის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების სათანადოდ დაცვა, რაც გახდა სხვა პირთა მიერ სატრანსპორტო საშუალების დაუფლების საფუძველი. სხვა შემთხვევა, როდესაც მფლობელის ნების საფუძველზეა მოსარგებლისათვის გადაცემული სატრანსპორტო საშუალება. განსახილველი ნორმით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც მფლობელის ნებით პირი დანიშნულია სატრანსპორტო

საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ მფლობელის ნებით სატრანსპორტო საშუალების გადაცემით, მისი მიმღები პირი ხდება მართლზომიერ მფლობელად, მაგრამ კანონი განსახილველი ნორმით მფლობელის ნების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების მიმღებ პირად გულისხმობს მოსარგებლეს, რომელსაც არ ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანისათვის მსგავსად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევისა (პირი, რომელსაც არ გააჩნდა ნებართვა სატრანსპორტო საშუალებას გამოყენებაზე).

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება, რომლის არსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს და არა მოსარგებლეს, ანუ პირს, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, კერძოდ, როდესაც მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. ორივე შემთხვევაში, გამოყენებისას, მოსარგებლის მიერ მიყენებული ზიანისათვის ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს და არა მოსარგებლეს.

## საქმე № ას-254-239-2010

20 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი)

დადგენილია რომ ვახტანგ ბ-ლი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს ავტომანქანით სარგებლობდა ლია ნ-ძისაგან მინიჭებულ ლეგიტიმურ საფუძველზე, თხოვნების ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია, მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამავდროულად წინადადების თანახმად, ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

აღნიშნული ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, რომელიც იურიდიული საფუძვლით ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლზომიერი მფლობელი), სხვას მიაყენებს ზიანს ამ სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ პირს (არამართლზომიერ მფლობელს) და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. სწორედ ასეთ რეგულირებას შეიცავს 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადება. ამასთან, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო, რასაც ითვალისწინებს 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მეორე წინადადება. სხვა შემთხვევა, როდესაც მფლობელის მიერ მოსარგებლისათვის სატრანსპორტო საშუალების გადაცემა მართლზომიერია და სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვება ზიანი. ასეთ შემთხვევაში 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მეორე წინადადება მიჯნავს მფლობელის ნებით სატრანსპორტო საშუალების სამართავად დანიშნული პირის მიერ ზიანის მიყენებას და მფლობელის მიერ პირისათვის სხვა საფუძვლით გადაცემული სატრანსპორტო საშუალებით ზიანის მიყენებას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მფლობელის ნებით სატრანსპორტო საშუალების გადაცემით მისი მიმღები ხდება მართლზომიერი მფლობელი, მაგრამ კანონი განსახილველი ნორმით მფლობელის ნების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების მიმღებ პირად გულისხმობს მოსარგებლეს, რომელსაც ამ ნორმის თანახმად არ ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანისათვის, 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევის მსგავსად. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად შესაძლებელია გამოვყოთ ორი შემთხვევა, როდესაც პასუხისმ-

გებლობა ეკირება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს: როდესაც მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნული სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის მიყენების ინსტიტუტის თავისებურებას, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს (მფლობელს), რომელიც არ წარმოადგენს ზიანის მიმყენებელს, არ მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში.

ზემოაღნიშნული განმარტების საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-3 წინადადების საფუძველზე სწორად მიიჩნია ლია ნ-ძე, როგორც ავტოსატრანსპორტი საშუალების მფლობელი, მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად.

### **საქმე № 3კ-1160-02**

**27 ნოემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის (სამოქალაქო კოდექსის 1000-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1999წ. 11 ოქტომბერს ლ. გ.-ის ბინაში გაჩნდა ხანძარი, რაც გამოწვეული იყო ლ. ბ.-ის მიერ ელშესადულებელი სამუშაოების შესრულების დროს წარმოშობილი ნაპერწკლით.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სკ-ს მე-1000 მუხლი, რადგან ამ ნორმის მეორე ნაწილით, თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან, ან ნივთიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძვლით, ვიდრე ამ მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის, ან ნივთის მფლობელი ვალდებულია, ანაზღაურად ანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი. აღნიშნული ნორმა მიუთითებს მომეტებულ საფრთხეზე, რასაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ელექტროშედულება, რადგან იგი ქმნის ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას იმის გამო, რომ შეუძლებელია მასზე ელექტროშემდულების მხრივ სრული კონტროლის განხორციელება. აქედან გამომდინარე, პირი, რომელმაც მომეტებული საფრთხით სხვას ზიანი მიაყენა, ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (408-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამასთან, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება ევალდება ნაგებობის ან ნივთის მფლობელს. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხე ნაგებობის (ბინის) მესაკუთრეა. ამდენად, სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა მატერიალურ სამართლებრივი ნორმები.

### **საქმე № ას-105-545-06**

**27 სექტემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მომეტებული საფრთხის წყარო (სამოქალაქო კოდექსის 1000-ე მუხლი)**

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სწორად გამოიყენა სკ-ის მე-1000 მუხლი. აღნიშნულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება დასაშვებია არა მხოლოდ ელ.გადამცემი ხაზების ავარიით, არამედ დიდი ძაბვის ენერჯის მიწოდებისას ხანძრის გამოწვევის შემთხვევაშიც.

### **საქმე № 3კ731-01**

**15 აგვისტო, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მომეტებული საფრთხის წყარო (სამოქალაქო კოდექსის 1000-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის. მომეტებული საფრთხის წყაროს არსებობაში იგულისხმება ისეთი ობიექტების გამოყენება, რომლებიც ტექნიკის განვითარების ამ ეტაპზე მისი თვისებებიდან გამომდინარე არ ექვემდებარება სრულ კონტროლს. საფრთხე მომეტებულად უნდა ჩაითვალოს, თუ ის ქმნის

ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას იმის გამო, რომ შეუძლებელია მასზე ადამიანის მხრივ სრული კონტროლის განხორციელება.

**საქმე № ას-469-783-05**

**25 მაისი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სარჩოს დაკისრება (სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა სკ-ის 1006-ე მუხლი. განსახილველი ნორმის როგორც პირველი, ასევე მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია ვალდებულების შესრულებისათვის სამი აუცილებელი პირობა: დაზარალებულის გარდაცვალება, დაზარალებულის მიერ იმ პირის რჩენის ვალდებულების არსებობა, ვინც ითხოვს ზარალის ანაზღაურებას. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა, ეხადა სარჩო.

განსახილველი ნორმის მე-2 ნაწილი დაზარალებულს ანიჭებს უფლებას, სარჩოს სანაცვლოდ მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, რომლის მიმართ გამოიყენება ის ვალდებულებითი სამართლებრივი საფუძვლები, რაც დადგენილია აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ყველა წინაპირობა და სარჩოს სანაცვლოდ პირი ითხოვს ერთჯერადი ანაზღაურებას, იგი შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორის მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან არ აკმაყოფილებს იმ აუცილებელ პირობებს, რაც დადგენილია სკ-ის 1006-ე მუხლით. დაზარალებულს არ ევალებოდა კასატორის რჩენა, რადგან მისი გარდაცვალების მომენტისათვის კასატორი არ იმყოფებოდა გარდაცვლილის კმაყოფაზე და არ ჰქონდა მისგან სარჩოს მიღების უფლება.

**საქმე № ას-1268-1526-09**

**25 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი)**

მოცემულ დავაზე მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებამ სარჩელის უარყოფაზე თავისი პოზიცია ზემოაღნიშნულ დასკვნას დააყრდნო და სრულიად უარყო არა მარტო მისი ბრალეულობა, არამედ მისგან რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაც. სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ზიანის კვალიფიკაციისათვის აუცილებელ ოთხივე წინაპირობის არსებობას მოითხოვს: უნდა დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის და ბრალი. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. ექიმის (სამედიცინო პერსონალის) საქმიანობას აწესრიგებს კანონმდებლობა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტები.

საქართველოს კანონმდებლობაში საექიმო შეცდომების აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინები იხმარება. ტერმინი „მცდარი საექიმო ქმედება“ შემდეგი სახით არის განმარტებული კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით: მცდარი სამედიცინო ქმედება — ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო დიაგნოზი ან/და სამკურნალო ღონისძიების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა.

საექიმო შეცდომაში იგულისხმება ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა. მნიშვნელოვანია ის, რომ ექიმის მიერ პაციენტი-

სათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული; წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმის ქმედება პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება.

ამავდროულად, პაციენტსა და ექიმს შორის წარმოშობილი ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექიმი პასუხისმგებელია მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებაზე და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის ვარაუდი (პრეზუმფცია) არ მოქმედებს. ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტის მიმართ ჩატარდა მართლზომიერი და უშეცდომო მკურნალობა, იგი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდეგ უარყოფით შედეგზე.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმის მოქმედება მიზნად ისახავს პაციენტის გამოჯანმრთელებას, ექიმი მხოლოდ უარყოფით შედეგზე პასუხს არ აგებს. თუ ექიმი სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს, მაშინ ის არ არღვევს არც ერთ ვალდებულებას და ბრალი არ მიუძღვის. ექიმი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებელი, როდესაც ზიანი, რომელიც პაციენტს მიადგა, გამომდინარეობს მკურნალობის დროს დაშვებული ბრალეული შეცდომიდან. ამით გარკვეულია მკურნალობის დროს დაშვებულ შეცდომასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა. ექიმის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო მეცნიერების სტანდარტებიდან გადახვევა. ამასთან, ექიმის მიერ რაიმე საკითხის ინდივიდუალური არცოდნა ან პროფესიული სისუსტე გამამართლებელ გარემოებებს არ წარმოადგენს. ექიმის სავალდებულო გულისხმიერების დარღვევაა ისიც, როდესაც ექიმი არღვევს თავის განათლებისა და კვალიფიკაციის ამღლების ვალდებულებას და აქედან გამომდინარე, სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე ცოდნა აღარ გააჩნია.

#### **საქმე № ას-1009-946-2010**

**7 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

მითითებული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნორმაში მითითებული შემთხვევების არსებობისას არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას. ასეთ დროს პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის არსებობა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულებას აწევს.

მოსარჩელე ნ. წ-შილის მითითებით, ს.ს. „ალ. წ-ძის სახელობის უროლოგიის ცენტრში“ მკურნალობის შედეგად მის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიადგა. ასეთ შემთხვევაში სამკურნალო დაწესებულებამ უნდა ამტკიცოს მისი ბრალეულობის გამომრიცხავი გარემოებების არსებობა. ის, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობა სერიოზულად დაზიანებულია, მხარეთა შორის დავას არ იწვევს.

#### **საქმე № ას-260-244-11**

**27 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და განმარტავს:

სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ



ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტების თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. იმავე პირობების არსებობას მოითხოვს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი, რომლის ძალითაც სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი.

ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საქმიანობის შეცდომა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. პაციენტთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: ა) კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია: ა.ა) პაციენტის უფლებების დარღვევით; ა.ბ) მცდარი სამედიცინო ქმედებით.

კანონის აღნიშნული დანაწესების ანალიზით უნდა დავასკვნათ, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული, წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმის ქმედება პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება, ვინაიდან ასეთი მოქმედება სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო ნორმებითაა რეგულირებული; ექიმის მიერ ჩატარებული სადიაგნოზო, თუ სამკურნალო ღონისძიება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის შეუსაბამო, მიუღებელი უნდა იყოს; ექიმი პასუხისმგებელი მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებაზე და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის ვარაუდი (პრეზუმფცია) არ მოქმედებს; პაციენტისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული უნდა იყოს ექიმის არასწორი მოქმედებით.

ამდენად, პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ: 1. სამედიცინო საქმიანობის მიზანი მიღწეული არ არის (ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენა და სიცოცხლის შენარჩუნება) და 2. მედიცინის მუშაკის ქმედება არ შეესაბამება სამედიცინო მაჩვენებლებს.

სამედიცინო პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების ან სიკვდილის შემთხვევაში, პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია, მოითხოვოს პაციენტისათვის მიყენებული როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანის ანაზღაურება. მატერიალური ზიანი მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც უკვე გაწეულია პაციენტის მიერ და ასევე იმ ხარჯებს, რომლებსაც სამომავლოდ საჭიროებს პირი. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია როგორც სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით, ასევე „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლით.

ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოიცავს არა მარტო მის აქტიურ მოქმედებებს, არამედ უმოქმედობასაც. არასათანადო სამედიცინო მომსახურება ხასიათდება არა მხოლოდ დიაგნოსტიკური და სამკურნალო ჩარევების მეთოდურად და ტექნიკურად განხორციელებით, არამედ სამედიცინო დანიშნულებით დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებების სავალდებულო მოცულობის შეუსრულებლობით, რომელიც ავადმყოფის სათანადო დაკვირვებითა და მოვლით უზრუნველყოფილი არ არის.

პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ გვაქვს. ასეთ შემთხვევებში საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერებასა

და ყურადღებიანობაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმიწევნით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულება.

მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.

სამედიცინო პერსონალისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების გამორიცხვას, რომ ზიანის წარმოშობას ან გაზრდას ხელი ხომ არ შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც. სამოქალაქო კანონმდებლობით, ზიანის მიმყენებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის, ანუ მისი პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. პაციენტის ბრალს გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებათა ზედმიწევნით კეთილსინდისიერად განხორციელება. აღნიშნულში უპირველესად, იგულისხმება დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით ნებისმიერი მანიპულაციის თუ პროცედურის ჩატარებამდე სამედიცინო მომსახურების გამწვევისათვის ინფორმაციის მიწოდება. პაციენტი ვალდებულია, მისცეს სრულყოფილი ინფორმაცია თავისი პირადი მონაცემებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, წარუდგინოს ზემოაღნიშნულის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტაცია და შეასრულოს მკურნალობისათვის დანიშნული ყველა პროცედურა.

**საქმე № ას-962-1266-07**

**20 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორ ვ. რ-ძის მსჯელობას სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე. ამ შემთხვევაში მოპასუხის ქმედებით გამოწვეულ სახლის დაზიანებასა და მოსარჩელის შესაბამისი უფლების დარღვევას დენადი ხასიათი აქვს და დროში განგრძობადია. იმის მიუხედავად, რომ ა. ჯ-შვილის საცხოვრებელ სახლზე, კერძოდ, ვ. რ-ძის მომიჯნავე მხარეს არსებულ კედელზე მიწის საფარი გამოეცალა და ფუნდამენტი გაშიშვლდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, აღნიშნული ქმედებით სახლზე ზიანის მიყენება, რომლის აღმოსაფხვრელად ვ. რ-ძემ არაფერი იღონა, კვლავ გრძელდება. შესაბამისად, ა. ჯ-შვილის მოთხოვნა ზიანის ა.ზღაურების შესახებ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულად ვერ ჩაითვლება.

**საქმე № ას-247-237-2013**

**1 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარებოდა ნ. შ-ის სამომავლო მკურნალობის ხარჯები, კერძოდ, წელიწადში ორჯერ ექიმ-უროლოგის მეთვალყურეობასა და საკონტროლო დიაგნოსტიკისათვის წლიური 88 ლარი 50 წელზე გაანგარიშებით, სულ 4400 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე უნდა დადგინდეს, რა მომენტიდან შეიტყო დაზარალებულმა ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, ამასთან, მითითებული მუხლი განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც დაზარალებულს ზიანის მიმყენებლისაგან სასამართლო წესით ან მის გარეშე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია და არ აქვს მნიშვნელობა, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებაზე საუბარი, თუ ერთჯერადად გადასახდელ თანხაზე (იხ. მაგ. სუსგ Nას-1014-271-08). სააპელაციო სასამართლომ, თირკმლის ამოკვეთისას გაწეული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე მსჯელობისას სწორად დაადგინა, რომ ნ. შ-მა ზიანის დადგომისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ 2008 წლის 10 ივნისს შეიტყო, რა დროსაც მას მარჯვენა თირკმელი ამოკვეთეს. ამ დროისათვის მისთვის ცნობილი იყო, რომ კისტის ფუნქციის დროს დაზიანდა თირკმლის პარენქიმაში არსებული ვენურ-არტერიული სისხლძარღვები, რამაც გამოიწვია არტერიო-ვენური ფისტულა და გარდაუვალი გახდა თირკმლის ამოკვეთა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ, გაურკვეველი მოსაზრებით (შესაბამისი დასაბუთება გადაწყვეტილებაში ასახული არ არის), ცალკე გამოყო სამომავლო მკურნალობის ხარჯების დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ორივე აღნიშნული მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან, როდესაც ნ. შ-ს ჩაუტარდა ოპერაცია და ამოკვეთეს თირკმელი, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, სამომავლოდ ექიმის მეთვალყურეობის საჭიროების თაობაზე, შესაბამისად, ორივე აღნიშნულ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის დენა ერთდროულად, 2008 წლის 10 ივნისს დაიწყო და 2011 წლის 10 ივნისს ამოიწურა. სარჩელი კი, ამ ვადის გასვლის შემდეგაა აღძრული.

## საქმე № ას-296-624-07

## 25 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: უხარისხო პროდუქტი (სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი)

სასამართლომ დაადგინა, რომ ლ.ჩ-ის მეუღლე და უფროსი ვაჟი „აივ“ ვირუსით ინფიცირებული არ არის, მეორე ბავშვზე ორსულობის პერიოდში კი მოსარჩელე სტაბილურად იღებდა ანალიზებს და იმ პერიოდში (მშობიარობამდე) შიდსის ვირუსი არ აღმოჩენია. ლ.ჩ-ის ინფიცირება „აივ“ ვირუსით ... ნაყიდი კრიოპლაზმის გადასხმამდე, ასევე მისი დაავადების სხვა რაიმე გარემოებით გამოწვევა არ დასტურდება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებებს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, კერძოდ, სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1010-ე და 1011-ე მუხლები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი პროდუქტის უხარისხობის კრიტერიუმად მიიჩნევს რა მის საიმედოობას, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის და განსაკუთრებით არამეწარმე მომხმარებლისათვის რთულია და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიცაა, განსაზღვროს თუ რამდენად საიმედოა ესა თუ ის პროდუქტი. ბუნებრივია, ხელშეკრულების მხარეს, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს ამა თუ იმ პროდუქტის, გულისხმიერი დამოკიდებულება მართებს ნივთის საიმედოობასთან მიმართებაში. ამგვარი გულისხმიერი დამოკიდებულების მოთხოვნა მომეტებულია იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ახდენს ისეთი პროდუქტის რეალიზაციას, რომელიც გარკვეულწილად რისკთანაა დაკავშირებული. ამასთან, ნივთის ხარისხი განსაზღვრავს მის ფასს და კონტრაჰენტის ინტერესს მოცემული პროდუქტისადმი, შესაბამისად, სახელმწიკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს შორის ნივთის ხარისხზე შეთანხმების არარსებობა არ გამოირიცხავს უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას. მოცემულ შემთხვევაში კასატორი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გაცემული

სპეციალური ნებართვის საფუძველზე აწარმოებს რა სპეციფიკური პროდუქტის — სისხლის პროდუქციასა და მის რეალიზაციას, მომხმარებელს მის მიმართ განსაკუთრებული ნდობა გააჩნია. ასეთი ნდობა განპირობებულია საქმიანობის ამ სფეროში კონტრაქტის მზადყოფნის პრემუმფციით, როგორც პროფესიონალი კადრებით ისე სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ დონორის შიდსის ვირუსით დაინფიცირების უზუსტესი მეთოდით დადგენა შესაძლებელია სათანადო აპარატურითა და ტექნიკით, რომელიც ძვირადღირებულია და ასეთი შესაძლებლობა ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ ... ცენტრს გააჩნია. ეს გარემოება გამორიცხავს კასატორის არგუმენტს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის გამოყენების თაობაზე. აღნიშნული ნორმით, უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს არ აგებს იმ ნაკლისათვის, რომლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს. მწარმოებელი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება-რეალიზაციის კომპეტენციაზე, ვალდებულია საწარმოს სათანადო ტექნიკით აღჭურვაზე, ხოლო ტექნიკის სიძვირე და იშვიათობა მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, ვინაიდან მწარმოებელი ახდენს ისეთი პროდუქტის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ა-ს აბსოლუტურ უფლებაზე — სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდეგ შედეგებზე. სასამართლოს ეს დასკვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის 318-ე მუხლს, რომელიც ადგენს კონტრაქტის ვალდებულებას ინფორმაციის გაცემის თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული ურთიერთობის დასარეგულირებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებიც, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძველებს ასევე არეგულირებს საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომლის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ პროდუქტის მისი შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების ჩვეულებრივ პირობებში იყოს უსაფრთხო მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოსათვის, აგრეთვე, არ აყენებდეს ზიანს ქონებას. ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დამამზადებელმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, რაც მას მისცემს სწორი არჩევანის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ მწარმოებელს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია თუ რა ფარგლებში უზრუნველყოფდა მის მიერ წარმოებული პროდუქტი მომხმარებლის უსაფრთხოებას, შესაბამისად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ლ. ჩ-ის ახლო ნათესავები მოსარჩელისათვის საჭირო სისხლის შექენისას ვარაუდობდნენ, რომ იძენდნენ უეჭველად საიმედო, ხარისხიან პროდუქტს და ისინი ნივთის ვარგისიანობის შესაძლო ნაკლებ არავის გაუფრთხილებია.

## 6. ინდივიდუალური საკუთრების სამართალი

საქმე № ას-527-1201-01

25 ნოემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საავტორო უფლების ობიექტი

ამერიკული კომპანია „ბ. კ. კ.“ დაარსდა 1892 წელს ჯორჯიის შტატში. 1893წ. 31 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო ოფისში პირველად რეგისტრირებულ იქნა კომპანიის სასაქონლო ნიშანი „Coca-cola“, რომლის ორიგინალური მონახაზი და ხელწერა ეკუთვნის ამ პროდუქტის სასმელის შემქმნელის, დოქტორ ჰემბერტონის პარტნიორს — ფრანკ მ. რობინსონს. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ბ. კ. კ.“ როგორც ლოგოზე, ისე სასაქონლო ნიშანზე — „Coca-cola“ — 1892-93 წლებიდან გააჩნია განსაკუთრებული ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები.

გემოხსენებულ სასაქონლო ნიშანზე სარეგისტრაციო განაცხადი საქართველოში „ბ. კ. კ.“ მიერ შემოტანილია 1992 წელს, ხოლო ქართულ ვარიანტზე — 1993 წელს. ორივე ნიშანი — ლათინური ანბანით გამოსახული ლოგო „Coca-cola“ და ქართული ანბანში გამოსახული „კოკა-კოლა“ „ბ. კ. კ.“ სასაქონლო ნიშნებად საქართველოში რეგისტრირებულია 1996 წლიდან.

საქართველოში სასმელ „კოკა-კოლას“ ამზადებს და 1993 წლიდან მის რეალიზაციას ახდენს შპს „კ. ბ. ზ.“ (ყოფილი შპს „კ. კ.“).

ლათინური ლოგოს — „Coca-cola“-ს ქართული ვარიანტის ესკიზი — „კოკა-კოლა“ შემუშავებულ იქნა დ. მანჯგალაძის მიერ შპს „კ. ბ. ზ.“ შეთანხმებით და იგი ობიექტური ფორმით არსებობდა 1993 წლიდან. ეს გარემოება დასტურდება სამხატვრო საბჭოს 1993წ. 27 აპრილის 18 სხდომის ოქმის ამონაწერით, რომლითაც ფირმა „კ.“ ქართული ლოგოტიპის ავტორად მითითებულია დ. მ-ე, ხოლო სამუშაოს დამკვეთად — შპს „კ. კ.“. ამავე ოქმით განსაზღვრულია საავტორო ჰონორარი 50000 მანეთის ოდენობით. ამასთან, უდავოა ის გარემოება, რომ დ. მ-ე გემოაღნიშნული ქართული ლოგოტიპის შექმნის დროს იყო შპს „კ. კ.“ სარეკლამო სამსახურის თანამშრომელი. „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპი წარმოადგენს ნახატს.

„კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპი, მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალური ეფექტით მიეკუთვნება სახვითი ხელოვნების სფეროს, საავტორო უფლებათა დაცვის საგნად ვერ იქნება მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული საავტორო სამართალი ნაწარმოებთა დაცვითუნარიანობის კრიტერიუმებს არ აზუსტებს, მაგრამ ცალკეულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს ნაწარმოებებთან მიმართებაში გარკვეული მოთხოვნების არსებობას, კერძოდ, ნაწარმოები უნდა იყოს ინტელექტუალური (შემოქმედებითი) შრომის შედეგი და იგი უნდა არსებობდეს ობიექტური ფორმით. ნაწარმოების ინტელექტუალური ხასიათი უპირველესად ვლინდება მის ორიგინალობაში, ანუ ნაწარმოები უნდა იყოს განსხვავებული თავისი ინდივიდუალურობით და უნდა გააჩნდეს გარკვეული შემოქმედებითი დონე. აღნიშნული არ გულისხმობს ნაწარმოების ლიტერატურული ან მხატვრული ღირსების დონეს. ნაწარმოების ინდივიდუალურობაში მოიაზრება გამოხატვის ფორმისა და არა შინაარსის ორიგინალურობა. სწორედ ქმნილების გამოხატვის ფორმის უნიკალურობა განსაზღვრავს მის განუმეორებელ, ორიგინალურ და რასაკვირველია, ინტელექტუალურ ხასიათსაც. თუკი ნაწარმოები სხვა ნაწარმოებს იმეორებს, იგი საავტორო სამართლის დაცვის ქვეშ ვერ მოექცევა და საავტორო უფლებებიც მხოლოდ პირველ, ორიგინალურ ნაწარმოებზე გავრცელდება.

„კოკა-კოლას“ ორიგინალური სასაქონლო ნიშანი, რომელზეც ლათინური ასოებით თეთრი ფერით გამოსახულია სიტყვები „Coca-cola“ შესრულებულია წითელ ფონზე. ქართული ვარიანტის სასაქონლო ნიშანზე იმავე ფერის ფონზე იმავე ფერის ქართული ასოებით გამოსახულია სიტყვები „კოკა-კოლა“. ლათინური და ქართული ასოებით გამოსახული ლოგოების ურთიერთშედარებით სხვა მსგავს ნიშნებთან ერთად ნათლად იკვეთება ქართული ასოების ორნამენტების იდენტურობა ლათინური ასოების ორნამენტებთან. ლოგოს ქართული ვარიანტით შენარჩუნებულია ლათინური ლოგოსათვის დამახასიათებელი ასოთა განლაგების სტილი.

ყოველივე მითითებული განაპირობებს ქართული ლოგოტიპის ვიზუალური ეფექტის უცვლელობას ლათინურ ლოგოტიპთან მიმართებაში. ზემოხსენებულ ლოგოტიპებს შორის ერთადერთი განსხვავება სხვადასხვა ანბანშია, რაც მიანიშნებს შესრულების ფარგლებზე — ერთი დამწერლობის ასოების სხვა დამწერლობის ასოებით შეცვლაზე. ეს მოქმედება კი ალიარებული ტრანსლიტერაციად და საავტორო სამართლით დაცვა არ არის.

ქართული ლოგოტიპის ორიგინალთან მაქსიმალური მსგავსება დადასტურებულია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორ გ. წ-ისა და მეცნიერებათა აკადემიის კ. კ-ის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ე. მ-ის სადავო საკითხზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით, რომლითაც სპეციალისტები მიუთითებენ დ. მ-ის მიერ შექმნილი ქართული ლოგოტიპის ორიგინალთან აშკარა მსგავსებაზე. ამასთან, დაფიქსირებულია სპეციალისტთა აზრი ლათინური ლოგოს ელემენტების (გარდა ასოებისა) ზუსტ განმეორებადობაზე.

იგივე მოსაზრება დაფიქსირებული თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წ-ის დასკვნის კვლევით ნაწილში, რომლის მიხედვით, „მხატვარ დ. მ-ის ქართული ასოებით შესრულებული ლოგო როგორც ვიზუალურად, ასევე შინაარსობრივად სრულიად ინარჩუნებს ორიგინალის განწყობასა და სტერეოტიპს. ამავე ექსპერტის შეფასებით „ქართული ლოგოტიპის შემქმნელს უდიდესი ძალისხმევა გამოუჩენია იმისათვის, რომ მოეხდინა ორიგინალთან ვიზუალური იდენტურობა.

რაც შეეხება ქართული ლოგოს ორიგინალობას, ექსპერტის მსჯელობა ამ ნაწილში წინააღმდეგობრივია, რადგან შეუძლებელია ესა თუ ის ნაწარმოები მეორე ნაწარმოებთან შედარებისას ვიზუალურად იდენტური იყოს, შინაარსობრივად ინარჩუნებდეს ორიგინალის განწყობას და ამავდროულად ორიგინალურიც იყოს, მითუმეტეს, თუ ეს ეხება ნახატს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ექსპერტ გ. წ-ის დასკვნას, რომ დ. მ-ის მიერ შესრულებული „კოკა-კოლა“ ქართული ლოგო ლათინურის ადაპტაციაა და არა მისი კოპირება, იგი წარმოადგენს ნახატს და არა ტრანსლიტერაციას ლათინურიდან.

ადაპტაცია ლათინური წარმოშობის სიტყვა და ნიშნავს შეგუებას, შეწყობას. იგი სხვადასხვა მეცნიერებაში სხვადასხვა დატვირთვით გამოიყენება და განიმარტება, როგორც ორგანიზმის შეგუება, გარემო პირობების არსებობის შესანარჩუნებლად (ბიოლოგიაში); გრძნობის ორგანოს შეჩვევა გარემოსთან; რაიმე ტექსტის გამარტივება, შემოკლება-გადაკეთება (ტექსტის ადაპტაცია).

ამ განმარტებიდან აშკარად ჩანს ადაპტირებული ნაწარმოების არსი — არსებულის შეცვლით ახალი ნაწარმოების შექმნა იმდაგვარად, რომ გადაშუშავებული ნაწარმოები ორიგინალური უნდა იყოს, თავდაპირველი ნაწარმოებისგან განსხვავებული შინაარსითა და ფორმით გამოხატული.

ეს დასკვნა გამომდინარეობს თვით სიტყვა ორიგინალურის განმარტებიდან. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ორიგინალური განმარტებულია როგორც: 1. დამოუკიდებელი შემოქმედების შედეგად შექმნილი, არანათარგმნი, არანასესხები, არამიბაძვითი. 2. რაც ან ვინც სხვას არა ჰგავს, თვითმყოფი. 3. თავისებური, არაჩვეულებრივი.

სასამართლო ზემოხსენებული გარემოებების ურთიერთშეჯერებით და შეფასებით ასკვნის, რომ ქართული ლოგოტიპი „კოკა-კოლა“ იმეორებს ლათინური ლოგოს შინაარსსა და თვისებებს, იგი წარმოადგენს ორიგინალის გამეორებას და მოკლებულია თვითმყოფადობის, ორიგინალურობის ნიშნებს.

**საქმე № ას-280-264-2011**

**14 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: არაქონებრივ უფლებათა დაცვის ობიექტი — პირის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე**

პირადი არაქონებრივი უფლებები ალიარებული და დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით. პირად არაქონებრივ უფლებებთან კატეგორიას მიეკუთვნება სახელის უფლება, პატივი,

ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით დამოუკიდებელ არაქონებრივ უფლებათა დაცვის ობიექტს განეკუთვნება ასევე პირის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, კერძოდ, არ დაუშვას საკუთარი გამოსახულების გამოქვეყნება მისი თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა, როცა ამგვარი თანხმობა არ არის საჭირო.

პირადი არაქონებრივი უფლებები ასევე აღიარებული და დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის რეგულირების სფეროა: იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას (საავტორო უფლებები); შემსრულებლის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები (მომიჯნავე უფლებები); მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები. საქმის მასალებით დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ გ.კ-მ აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მიხედვით წარმოადგენს შემსრულებელს (მომიჯნავე უფლების მფლობელს). რაც შეეხება შემსრულებლის პირად ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს, ამის შესახებ აღნიშნულია კანონის 47-ე მუხლში, მათ შორის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს: გ) შესრულების გადაცემა ეთერში ან კაბელით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება შემსრულებლის თანხმობით ადრე ჩაწერილი ან ეთერში ადრე გადაცემული შესრულების გადაცემა; დ) შესრულების ჩანაწერის გადაცემა ეთერში ან კაბელით, თუ თავდაპირველად ამ შესრულების ჩაწერა არ მომხდარა მოგების მიღების მიზნით. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულია ასევე ის შემთხვევები (კანონის 59-ე მუხლი), როდესაც ადგილი აქვს საავტორო და მომიჯნავე უფლებთა მფლობელის უფლების დარღვევას.

ამდენად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ.კ-ძის არაქონებრივი უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, დაცულია როგორც ზოგადი ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი), ასევე სპეციალური ნორმებით („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლი). დადგენილია, რომ მოსარჩელემ, რომლის მომიჯნავე უფლებაც დაირღვა, მოითხოვა კომპენსაციის ანაზღაურება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობასთან და არსებობს სპეციალური კანონი, ზოგად და სპეციალურ ნორმათა კონკურენციისას გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ნორმა („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი). სასამართლოს ამგვარი დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის იმ განმარტებას „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის შინაარსთან დაკავშირებით, რომლის თანახმად კომპენსაციის გამოყენებისთვის სავალდებულოა სახეზე იყოს ზიანი, ზიანის მიმყენებელს მიღებული უნდა ჰქონდეს შემოსავალი, უფლებადარღვეულ პირს პოზირებისათვის არ უნდა ჰქონდეს მიღებული შემოსავალი და მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და უფლების დამრღვევის მიერ მიღებული შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად, პირი კომპენსაციის გადახდას უნდა მოითხოვდეს.

საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას გამამხვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი ერთმანეთისაგან განასხვავებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა ზიანის (ქონებრივი და არაქონებრივი) ანაზღაურება და კომპენსაციის გადახდა. ეს ორი მოთხოვნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება არსებობდეს და ერთმანეთს არ განაპირობებენ. უფლების დამრღვევის ბრალეულობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმ-

ყოფის ბრალისა. ბრალეული მოქმედების ელემენტის არსებობას ასევე არ ითვალისწინებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, როდესაც პირი დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდას მოითხოვს.

**საქმე № ას-277-602-05**

**21 სექტემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები**

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თ. კ-ეს თავის საცხოვრებელ ბინაში, ქუჩის მხარეს, ფა-სადზე, დარაბა თეთრად არ შეუღებავს და მდინარე ვერეს ხეობის მხარეს აივანზე ავტორის ნებართვის გარეშე დამონტაჟებულია გისოსები. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოპასუხის ქმედებით შეილახა მოსარჩელის, როგორც დასახელებულ მისამართზე მდებარე სახლის პროექტის ერთ-ერთი თანაავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ვინაიდან აღნიშნული ცვლილება მოპასუხე თ. კ-ის მიერ განხორციელდა ავტორის ნებართვის გარეშე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებათა, ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე, მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება).

აღნიშნული ნორმის თანახმად, ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებათა, ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები ნაწარმოებში, მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, ასევე, აუკრძალოს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულ შემთხვევაში, დავის სპეციფიკის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, თ. კ-ის მიერ შეტანილი იყო თუ არა სადავო ობიექტში ცვლილებები, თუ არა. კერძოდ, თ. კ-ის მიერ მის საკუთრებაში არსებული ბინის აივანზე დამონტაჟებული გისოსები შეიძლება თუ არა მივიჩნიოდ ავტორის არქიტექტურულ პროექტის საფუძველზე შექმნილ შენობაში, ნაგებობასა და ინტერიერში განხორციელებულ ცვლილებად, რამაც გამოიწვია ავტორის პატივის, ღირსებასა და რეპუტაციის შელახვა. სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ავტორის პირადი არაქონებრივი ურთიერთობების ობიექტს წარმოადგენს სწორედ ავტორის პატივი, ღირსება და რეპუტაცია. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თ. კ-ის მოქმედებით რამდენად დაირღვა ავტორის უფლება.

„არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ყოფა-ცხოვრებისათვის სრულყოფილი, ეკოლოგიურად უსაფრთხო, ესთეტიკური გარემოს ჩამოყალიბება, არქიტექტურული ხელოვნების განვითარება.

ამავე კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, არქიტექტურული ობიექტი არის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე განხორციელებული ქალაქმშენებლობითი კომპლექსი, შენობა, ნაგებობა, ინტერიერი, ლანდშაფტული გარემო (საბაღე-საპარკო ან სხვა ტერიტორია) ან ისტორიული განაშენიანება ან შენობა-ნაგებობა, რომელსაც ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ორგანოს მოთხოვნათა შესაბამისად ჩაუტარდა რეკონსტრუქცია-რეგენერაცია.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს არქიტექტურული ობიექტში და არა პროექტში ცვლილებების არსებობა. ამდენად, სასამართლოს, ზემოაღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, უნდა შეეფასებინა თ. კ-ის მოქმედება, მოჰყვა თუ არა ამ მოქმედებას არქიტექტურული ობიექტის გარეგანი იერსახის შეცვლა, ე.ი. ბინის აივანზე დამონტაჟებული გისოსები ცვლიან თუ არა არქიტექტურულ ობიექტის გარეგანი იერსახეს, რამაც შელახა ავტორის პატივი, ღირსება და რეპუტაცია.



საქმე № ას-30-733-03

26 დეკემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები — ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებები**

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება), ხოლო ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია, დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება). აღნიშნული ნორმები ავტორს ანიჭებს უფლებას წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას, ასევე ნაწარმოების დამახინჯებას, რომელმაც შეიძლება ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია შელახოს. ნაწარმოებში ცვლილებების შეტანისას გასარკვევია, რამდენად არსებითი ცვლილებები მოხდა და რამდენად იცვლება მოცემული ნაწარმოების სტილი და შინაარსი. არსებითი ცვლილება ნიშნავს ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც შეცვლის საგნის (ამ შემთხვევაში ემბლემის) ძირითად ბუნებას, რითაც განასხვავებს მას სხვა საგნისაგან (ემბლემისაგან). მიუხედავად შეტანილი ცვლილებებისა, თუ ავტორი მისეული სტილით შეიძლება იქნეს ამოცნობილი, ანუ ორიგინალური ნაწარმოების სტილი იქნა შენარჩუნებული, მაშინ ავტორის უფლებათა დარღვევა (ნაწარმოების მთლიანობის დარღვევის თვალსაზრისით) ვერ დაფიქსირდება.

საქმე № 3კ-324-03

17 ივნისი, 2003 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: აუდიოვიზუალური ნაწარმოები („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი)**

საკასაციო პალატა თვლის, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სასამართლო კოლეგიამ სავსებით სწორად გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტი და მიიჩნია, რომ საქტელერადიომალწილობის პირველი არხის გასართობი პროგრამა შოუ „...“ არ წარმოადგენს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს. აღნიშნული ნორმის თანახმად „აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული ან სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამობატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე-, ვიდეო-, დიაფილმები და სხვა). კანონის ეს დანაწესი შესაბამისობაშია ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მეორე მუხლთან, რომლითაც საავტორო სამართლის ობიექტად მიჩნეულია კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებსაც უთანაბრდება კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოებები. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებს წარმოადგენს რა განსაზღვრული მიმდევრობით მონაცვლე გამოსახულების აღბეჭდვა მგრძობიარე ფორმე ფილმის სახით ჩვენებისათვის ხმის თანხლებით ან მის გარეშე, მასში მოიაზრება უპირველესად კინოფილმი, აგრეთვე ტელეფილმი, ვიდეოფილმი, დიაფილმი და სხვა მსგავსი ნაწარმოებები, რომელთა ერთგვაროვნად მიჩნევის აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს ამ ტიპის ნაწარმოებთა არსი და არა მათი შექმნის საშუალებები (ტექნიკა და სხვა). აღნიშნულთან დაკავშირებით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ ბერნის კონვენცია ტელეგადაცემებს უთანაბრებს კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს

საქმე № ას-468-780-09

1 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საავტორო სამართლით დაცვადი ობიექტი-ლექსიკონი**

საავტორო დავის განხილვისას სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, წარმოადგენს თუ არა დაცვის ობიექტი ნაწარმოებს, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს. ასეთი ობიექტი დაცვას ექვემდებარება მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა მისი კონკრეტულად რომელიმე სფეროსათვის მიკუთვნება.

ლექსიკონი მასალების შერჩევისა და განლაგების მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს შედგენილ ნაწარმოებად, მაგრამ მხოლოდ მასალების შერჩევა და განლაგება არ წარმოადგენს ლექსიკონის ავტორის საქმიანობას. ლექსიკონი, მისი შინაარსის გათვალისწინებით, იმავდროულად შეიძლება მიეკუთვნოს მეცნიერების, ლიტერატურის, გადამუშავებული ნაწარმოების კატეგორიასაც. დავის შემთხვევაში მოსამართლემ უნდა დაადგინოს, განსხვავდება თუ არა ნაწარმოები მოცემული ავტორისათვის დამახასიათებელი სტილით. იმისათვის, რომ იყოს დაცვის ობიექტი, შემოქმედებას უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხასიათი და გამოსახავდეს ავტორის ინდივიდუალობას. ნაწარმოების ორიგინალობა არ არის აბსოლუტური ხასიათის, საავტორო სამართალი შესაძლებლად მიიჩნევს ინტელექტუალურ შემოქმედებას უკვე არსებული ელემენტების საფუძველზე. აქ მთავარია, რომ ნაწარმოებები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ ერთმანეთის ასლებს ან მიახლოებულ გამეორებას. ორიგინალობა მდგომარეობს გამომხატვის შემოქმედებით და ინდივიდუალიზებულ ხერხში.

ლექსიკონში მოცემული ცალკეული სიტყვის პირდაპირი თარგმანები არ წარმოადგენს დაცვის ობიექტს და ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს. საავტორო უფლებები არ მოიცავს იმ ტერმინს, რომელიც ითარგმნა. დაცვა ვრცელდება მხოლოდ გონებრივი შრომის შედეგზე. საკასაციო პალატა ეთანხმება საკასაციო საჩივრის ავტორს, რომ ამა თუ იმ სიტყვისათვის უცხო ენაზე შესაბამისი სიტყვის მოძებნა არ წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს, რადგან ეს არ არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგადაც იქმნება ნაწარმოები. მოგვიანებით გამოქვეყნებული ლექსიკონი, რომელიც მოიცავს იგივე თარგმანებს, არ ლახავს მანამდე გამოქვეყნებული ლექსიკონის ავტორის უფლებებს.

საავტორო უფლებების შელახვა სახეზეა, როდესაც შეუცვლელი სახით გადმოტანილია სიტყვები და მათთან დაკავშირებული გრამატიკული მითითება-განმარტებები, დამატებითი განმარტებები (ანუ: არა მათი თარგმანი, არამედ დამატებითი განმარტებები) და ასევე გარკვეული მაგალითები, რომლებიც ემსახურება მათი მნიშვნელობის უკეთ წარმოჩენას. აქ ორიგინალობა გამოიხატება ელემენტების, დეტალების და გამომხატვის ფორმის შერჩევაში და სიტყვის შინაარსის უკეთ წარმოჩენაში.

მხოლოდ განსაზღვრული ფაქტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ საჭიროებს შემოქმედებით ძალისხმევას, მაგრამ მასალის შერჩევა და განლაგება, მასალის დამუშავება და სიტყვა-სტატიების, განმარტებების შექმნა ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას წარმოადგენს. თუ ავტორი არა მხოლოდ გადმოსცემს გარკვეულ ფაქტებს, არამედ აძლევს მათ შეფასებას, კომენტარებს, პროგნოზებს, განმარტებებს, ამ შემთხვევაში შეიძლება განხილული იქნეს ამ ნამუშევრის, როგორც ნაწარმოების, დაცვის საკითხი. ლექსიკონი წარმოადგენს ნაწარმოებს არა მხოლოდ მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით, არამედ, მასში გადმოცემული განმარტებებისა და შეფასებების მიხედვით.

### საქმე № 3კ-324-03

17 ივნისი, 2003 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საავტორო სამართლით დაცვადი ობიექტი-სცენარი („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი)

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მსგავსად ბერნის კონვენციისა განსაზღვრავს საავტორო სამართლით დაცვად ობიექტთა წრეს, რომლის თანახმად საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალური — შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავტარგვანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამომხატვის ფორმისა და საშუალებისა. ზემოხსენებულ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება სცენარიც, რომელიც წერილობითი ფორმით ასახავს თეატრალურ, სასცენო, ტელერადიომაუწყებლობის ან კინემატოგრაფიის ნაწარმოებს და ზუსტად გადმოსცემს ამ სახის ნაწარმოებთა სიუჟეტს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საავტორო კანონმდებლობა დაცვას ავრცელებს სხვადასხვა სახის სასცენო ნაწარმოებზე, მათ შორის

საცენარო გეგმაზე. ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით წინასწარი, სავარაუდო მონახაზია რა ცენარისა, „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით სავტორო უფლებათა დაცვის ობიექტად დასახელებული არ არის და თავისი თვისებებიდან გამომდინარე ასეთად ვერ იქნება მიჩნეული. ამასთან, ამავე კანონის 5.3 მუხლის თანახმად, „სავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია, ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.“

**საქმე № ას-468-780-09**

**1 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სავტორო უფლების ობიექტები („სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-5 და მე-6 მუხლები)**

„სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავტორისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

კანონმდებლობა არ იძლევა ნაწარმოების ზუსტ ცნებას, რადგან ნაწარმოები წარმოადგენს რთული, მრავალმხრივი შინაარსის ობიექტს და ამა თუ იმ განსაზღვრებამ შეიძლება წინ წამოწიოს მხოლოდ მისი რამდენიმე ნიშანი.

როგორც აღინიშნა, ნაწარმოები უნდა ეკუთვნოდეს ადამიანის საქმიანობის განსაზღვრულ სფეროს — მეცნიერებას, ლიტერატურას ან ხელოვნებას, თუმცა სავტორო სამართლის მიზნებისათვის ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების გამოცალკევება შეუძლებელია. ლიტერატურული ნაწარმოები იმავდროულად შეიძლება მიჩნეული იქნეს მეცნიერულ ნაწარმოებად (მაგ. ფილოსოფიის სფეროში არსებული ნაწარმოები შეიძლება მიეკუთვნოს როგორც მეცნიერებას, ასევე ლიტერატურას, ოპერა და თეატრალური პიესა შეიძლება მივაკუთვნოთ ხელოვნებას ან ლიტერატურას და ა.შ.). ამიტომ „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში ჩამოთვლილი მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოების სახეები განხილული უნდა იქნეს არა ცალ-ცალკე, მათი გამიჯვნის მცდელობის პირობებში, არამედ ერთობლივად, როგორც გარკვეული ორიენტირები. სავტორო სამართალი არ ისწრაფვის, მოიცვას ყველა შესაძლო ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოების არსებობასთან. სავტორო სამართლის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა აღნიშნული კანონმდებლობით დაცული ობიექტების მიახლოებით და არა ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს. ჩამონათვალის მიახლოებითი ხასიათის ხაზგასასმელად, საკანონმდებლო ნორმები, ჩვეულებრივ, იწყება ამდგვარი ფრაზებით — „კერძოდ“, „როგორცაა“ და ა.შ. და მთავრდება ასეთი ტიპის ფორმულირებით: „აგრეთვე ყველა ლიტერატურული, სამეცნიერო და მხატვრული ნაწარმოები, მათი გამოცემის ან შესრულების ფორმის მიუხედავად.“ ზოგჯერ ასეთი საჩვენებელი ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ასეა საქართველოს კანონმდებლობაშიც (მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი).

აღნიშნულის გამო თვით ნაწარმოებია ერთადერთი უნივერსალური მაჩვენებელი, რომელიც, შეფასებული უნდა იქნეს ნებისმიერ სადავო შემთხვევაში.

**საქმე № ას-470-782-09**

**13 ნოემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სავტორო სამართლის დაცვადი ობიექტი-ფოტოგრაფიული ნაწარმოები („სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი)**

„სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი სავტორო უფლების ობიექტად მიიჩნევს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს. ასეთ ნაწარმოებს,

თავის მხრივ, აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განეკუთვნება ფოტოგრაფიული ნაწარმოებიც. ამასთან, კანონი ყველა ფოტოსურათს არ განიხილავს საავტორო უფლების ობიექტად და არ უქვემდებარებს სამართლებრივ დაცვას. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოები, რომელზეც ვრცელდება საავტორო უფლება, უნდა იყოს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი — ნაწარმოები. აღნიშნულზე მიუთითებს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტიც, რომლის თანახმად, კანონის მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ ნაწარმოებებზე და არა ნებისმიერ ქმნილებაზე. იგივეს მიუთითებს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული ავტორის ცნებაც, რომლის თანახმად, ავტორად მიიჩნევა პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები. ამდენად, ქართული კანონმდებლობა შეიცავს მოწესრიგებას, რომლის თანახმად, საავტორო სამართლით დაცვადია არა ნებისმიერი ფოტოგრაფია, არამედ — მხოლოდ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილი ფოტონაწარმოები.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სადავო ფოტოსურათის ფოტონაწარმოებად მიჩნევა დაასაბუთა შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: არა აქვს მნიშვნელობა ფოტოსურათის დანიშნულებას (სამეცნიერო ნაშრომის ილუსტრირებისათვის მოხდა მისი გადაღება თუ სხვა მიზნით), ავკარგიანობას, ჟანრს, მოცულობას; იგი გამოხატულია ობიექტური ფორმით: ფოტოსურათი საგანგებოდაა შექმნილი მასზე ასახული ობიექტის — მცხეთის ჯვრის ტაძრის ასახვისთვის, შერჩეულია ფოტოს გადასაღები ადგილი, ხედი; თუნდაც ერთი და იგივე ობიექტის ფოტოგადაღებისას სხვადასხვა პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ხედვის შედეგად იქმნება დამოუკიდებელი და დაცვადი ნაწარმოებები, შესაბამისად, ის, რომ იმ ადგილას მოხვედრა, საიდანაც სადავო ფოტოსურათია გადაღებული, სირთულეების გარეშეა შესაძლებელი, ვერ იქონიებს გავლენას მითითებული ფოტოსურათის დაცვად ნაწარმოებად მიჩნევაზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება არ არის საკმარისი დასკვნისათვის, რომ რ. შ-ეს მიერ შექმნილია საავტორო სამართლით დაცვადი ფოტონაწარმოები. სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა და დაასაბუთა, რაში გამოიხატება ამ შემთხვევაში მოცემული კონკრეტული ფოტოსურათის, როგორც ნაწარმოების, შემოქმედებითი ორიგინალობა, რაც ნაწარმოებზე საავტორო უფლების დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, რაზეც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, ფაქტობრივად, შესაძლებელია აკმაყოფილებდეს ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის ამსახველი ნებისმიერი ფოტოსურათი, რომელიც არაა შემოქმედებითი ფოტონაწარმოები: ფოტოსურათის შექმნა საგანგებოდ, ამა თუ იმ კონკრეტული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის ასახვისთვის, ხედის შერჩევით, ამა თუ იმ მიზნით.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, წარმოადგენს თუ არა სადავო ფოტოსურათი ფოტოგრაფიულ ნაწარმოებს. სადავო არაა, რომ რ. შ-ეს მიერ გადაღებული ფოტოსურათი წარმოადგენს მაღალი ხარისხის და მხატვრული შთაბეჭდილების მატარებელ ფოტოს, მაგრამ ამ შემთხვევაში არის თუ არა სახეზე საავტორო-სამართლებრივი ორიგინალობის შემცველი ნაწარმოები კადრირების, კომპოზიციის, სიუჟეტის, შუქ-ჩრდილთა, ფერთა შეხამების, ინტელექტუალური ჩანაფიქრის, გადმოცემის ფორმის, გამოსახვის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტების და ფოტოგრაფიული შემოქმედების სხვა სპეციფიკური თავისებურებების თვალსაზრისით, რაც საჭიროებს ფოტოხელოვნების სპეციფიკური საკითხების ცოდნას, აღნიშნული საკითხის გასარკვევად და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მოცემული კონკრეტული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს სჭირდება ფოტოხელოვნებათმცოდნეთა მოსაზრებების მოსმენა ამ საკითხზე. ამისათვის სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს შესაბამისი მეცნიერ-სპეციალისტები ან საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს ექსპერტიზა მეცნიერ-სპეციალისტთა მონაწილეობით.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მსჯელობას, რომ, რამდენადაც სადავო ფოტოსურათის გადაღება განპირობებული იყო მიზნობრივად, გერმანულენოვა-

ნი წიგნის გამოსაცემად, აღნიშნული გარემოება ასევე წარმოადგენს მისი ფოტონაწარმოებად მიჩნევის გამოძიებას. ამა თუ იმ მიზნობრიობით ფოტოსურათის გადაღება არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება გადაღებულ იქნეს ნამდვილი ფოტოგრაფიული შემოქმედების ნიმუში.

**საქმე № ას-564-794-08**

**2 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ნაწარმოების კაბელით გადაცემა — საავტორო სამართლით დაცული სფერო**

რაც შეეხება იმ საკითხს, წარმოადგენს თუ არა ნაწარმოების კაბელით გადაცემა საავტორო სამართლით დაცულ სფეროს, ტექნიკურად იკვეთება მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემების კაბელით გადაცემის ორი სახე: 1. საეთერო პროგრამის კაბელის ოპერატორთა მიერ შეცვლილი სახით გადაცემა და 2. საეთერო პროგრამების ერთდროული, უცვლელი ფორმით გადაცემა. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მტკიცებით ადგილი აქვს პროგრამების ერთდროული, უცვლელი ფორმით გადაცემას, რომელზედაც საავტორო უფლებები ვრცელდება საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტებით, კერძოდ, ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-11ბის იი მუხლით ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ გასცენ ნებართვა, რომ სადენებით და უსადენოდ კავშირგაბმულობის საშუალებებით, ეთერში განმეორებით გადაიცეს ყოველგვარი საჯარო გადაცემა, თუ ამას აკეთებს სხვა, და არა თავდაპირველი ორგანიზაცია. შესაბამისად, კონვენცია იცავს რა ავტორის უფლებას ნაწარმოებთან დაკავშირებით, ამ ნორმის გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია ნაწარმოების საჯარო გადაცემა და არა ნაწარმოების გავრცელების საშუალებები და ხერხები.

ბერნის კონვენციის ზემოაღნიშნულ დანაწესთან სრულ თანხმობაშია „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს: ნაწარმოების საჯარო გადაცემა, პირველი ან/და ხელახალი გადაცემის ჩათვლით; აგრეთვე ნაწარმოების გადაცემა სადენით ანდა უმავთულო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან (საჯარო გადაცემის უფლება);

საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ი1“ და „ჟ“ პუნქტებზე, რომლებითაც განმარტებულია რა კანონის ტერმინები, კაბელით ხელახალი გადაცემა არის სადენით ან საჰაერო გზით, სატელიტური კავშირის ჩათვლით, საზოგადოებისთვის განკუთვნილი ტელე და რადიოპროგრამების საწყისი გადაცემის ერთდროულად, შეუწყვეტლად და შეუკვეცავად ხელახალი გადაცემა კაბელით ან მიკროტალღური სისტემის მეშვეობით. საჯარო გადაცემა არის ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით (გარდა ნაწარმოების ან ფონოგრამის ასლების გავრცელებისა) ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შესაძლებელია აღიქვან პირებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, იმ ადგილზე (ადგილებზე), რომელიც იმდენადაა დაშორებული გადაცემის ადგილიდან, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მიღების ადგილზე (ადგილებზე), მათ შორის, გადაიცეს ისე, რომ საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტები, მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან.

ამავე კანონის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით, საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამომანგარიშებისა და გადახდის წესი ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გამოყენებისათვის დგინდება, ერთი მხრივ, ავტორს, საავტორო უფლების სხვა მფლობელს ან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასა და, მეორე მხრივ, მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით. ნაწარმოების კაბელით ხელახალი გადაცემის შემთხვევაში საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამომანგარიშებისა და გადახდის წესი დგინდება მხოლოდ ამ ორგანიზაციასა და მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით.

აღნიშნული დანაწესები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ საავტორო უფლებები ვრცელდება ნაწარმოების ნებისმიერი სახით, მათ შორის, კაბელით გავრცელების შემთხვევაზეც, თუკი ამგვარი გავრცელება დაკავშირებულია სამეწარმეო საქმიანობასთან და შესაბამისად, მოგებასთან.

**საქმე № ას-1210-1139-2012**

**2 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მონაცემთა ბაზის დამახასიათებელი ნიშნები („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი დავა ეხება მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებას, რაც განსაზღვრულია „საავტორო და მომიჯნავე უფლება დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლით.

განსახილველი მუხლის თანახმად, დამამზადებლის მომიჯნავე უფლების დაცვისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი სამართლებრივი ელემენტები: მონაცემთა ბაზის შემცველობის შექმნის, მოპოვების, დაზუსტების ან წარმოდგენის მხრივ დამამზადებლის მიერ ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიციის განხორციელება. ამ ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად მტკიცების ტვირთი აკისრია მონაცემთა ბაზის დამამზადებელს.

ამ შემთხვევაში იგი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით, არ დაუშვას მისი მთლიანი ან მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება ანდა ხელახალი გამოყენება.

ამდენად, თუ მონაცემთა ბაზა ატარებს ისეთ ინფორმაციულ ხასიათს, რომელიც არ წარმოადგენს ნაწარმოებს, მაშინ მნიშვნელობა ენიჭება განხორციელებული ინვესტიციის შემდეგ კრიტერიუმებს: ხარისხობრივი, რაოდენობრივი და არსებითი ხასიათის ინვესტიციას.

ამ შემთხვევაში უნდა მოვახდინოთ დიფერენცირება, ერთ შემთხვევაში, მონაცემთა ბაზის შედგენასთან დაკავშირებული ხარჯებისა იმ ხარჯებისაგან, რომლებიც გაღებულ იქნა შესაბამისი მასალის მოსაპოვებლად და წარმოადგენდა კომპანიის ძირითადი კომერციული საქმიანობის გვერდით შედეგს. ამდენად, ის ხარჯები, რომლებიც გაღებულ იქნა სატელეფონო ქსელისა და მომსახურების გაწევის შედეგადაც, რის შედეგადაც მოპოვებულია ეს მონაცემები (გვერდითი შედეგი) არ უნდა იქნეს გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის შექმნაში ინვესტიციის ოდენობის განსაზღვრაში, მაგალითად, სატელეფონო-ინფორმაციულ კომპანიას შეიძლება, გააჩნდეს სხვადასხვა ინფორმაცია აბონენტებზე (სახელი, გვარი, მისამართი და ა.შ) მხოლოდ თავისი ძირითადი კომერციული საქმიანობის შედეგად, რაც მათთან ხელშეკრულებების დადებით მიიღწევა.

ამდენად, არსებითი, რაოდენობრივი და ხირისხობრივი ინვესტიცია უნდა განხორციელდეს უშუალოდ ამ მასალის შექმნის, მოპოვების, დაზუსტების ან წარმოდგენაზე (განსახილველი კანონის 54-ე მუხლით პირველი ნაწილი) და არა ისეთ ინფორმაციაზე, რაც წარმოადგენდა ამ იურიდიული პირის ძირითადი კომერციული საქმიანობის თანმდევ (გვერდით) შედეგს.

**საქმე № ას-957-1223-05**

**20 იანვარი 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევის გამო კომპენსაციის გადახდა („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტით)**

მოსარჩელემ მოპასუხისათვის კომპენსაციის გადახდის მოთხოვნა დაასაბუთა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტით. ამ ნორმის თანახმად, განსაკუთრებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს უფლება აქვთ, მოითხოვონ დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. საკასაციო პალატა თვლის, რომ, ვინაიდან ამ ნორმით გათვალის-

წინებული კომპენსაცია შეიძლება გადახდეს დამრღვევს ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად, ამიტომ კომპენსაციის სახით გადასახდელი თანხის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მიყენებული ზიანის სავარაუდო ოდენობა, დამრღვევის მიერ მიღებული შემოსავლის ოდენობა, დარღვევის მასშტაბურობა, დამრღვევის ბრალის ხარისხი. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ საერთოდ არ დაასაბუთა, რატომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ მითითებული თანხის ფარგლებში.

## საქმე № 3კ/589

11 ოქტომბერი, 2000 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: დომენი — სასაქონლო ნიშანზე არსებული განსაკუთრებული უფლების გავრცელების ობიექტი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას კავშირმა „ს-ო“ მიმართა სარჩელით. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1999 წლის 3 ნოემბერს „საქპატენტში“ კავშირი „ს-ოს“ სახელზე რეგისტრირებულ იქნა სასაქონლო ნიშანი „MMC (მმც)“. მიუხედავად მრავალჯერადი წერილობითი და ზეპირი გაფრთხილებისა, შპს „მ-ი“ იყენებს საქმიანი საქართველოს კუთვნილ სასაქონლო ნიშანს. ეს გარემოება დასტურდება „მ-ის“ ინტერნეტში არსებული გვერდით, სადაც გამოყენებულია აღნიშნული სასაქონლო ნიშანი. მოსარჩელე მოითხოვდა, რომ შპს „მ-ს“ აეკრძალოს კავშირი „ს-ოს“ მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ინტერნეტის საინფორმაციო ქსელში, მის მიერ განთავსებული გვერდის დასახელებაში, აგრეთვე ამ გვერდის მისამართსა და ელექტრონული ფოსტის მისამართში სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

დომენურ სახელთან მიმართებაში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების შინაარსი უნდა განიმარტოს კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების მთლიანობაში ანალიზის საფუძველზე.

დომენი ინტერნეტში წარმოადგენს მისამართსა და სახელს, რომლის მეშვეობით ხდება მისი მფლობელის ინდივიდუალიზაცია.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია. აღიარებული განმარტებით, სამოქალაქო ბრუნვა არის ეკონომიკური ბრუნვის სამოქალაქო სამართლებრივი გამოხატულება, რომელიც ხორციელდება ვალდებულებითი სამართლის ხელშეკრულებითი და არასახელშეკრულებო ინსტიტუტებით. სახელისა და მისამართის მთავრი ფუნქცია არ არის მისი მფლობელის სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობა; ის წარმოადგენს ინტერნეტში პირის ინდივიდუალიზაციას, მისი მიგნების საშუალებას. აღნიშნულ გარემოებათა გამო, ის არ შეიძლება ჩაითვალოს სასაქონლო ნიშანზე არსებული განსაკუთრებული უფლების გავრცელების ობიექტად.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონი (მე-7 მუხლი) სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების განხორციელების თვალსაზრისით სახელსა და მისამართს ანსხვავებს სხვა ნიშნებისაგან. განსაკუთრებული უფლება ვერ განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო ნიშნად გამოყენებულია საკუთარი სახელი და მისამართი.

საოლქო სასამართლოს კოლეგიამ მოცემული საქმის არსებითად გადასაწყვეტად მნიშვნელოვნად მიიჩნია მოსარჩელისათვის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე ცნობილი იყო თუ არა შპს „მ-ის“ დომენი და მან „საქპატენტში“ ნიშნის რეგისტრაცია მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით ხომ არ განახორციელა, მაგრამ მან ამ გარემოებების გასარკვევად არ გამოიძახა მოწმეები, რომელთა გამოძახებაზეც მხარემ იშუამდგომლა.

პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსაზრებას, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა მიზანს ემსახურებოდა კავშირი „ს-ოს“ მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია „საქპატენტში“. პალატა თვლის, რომ კოლეგიამ უნდა დაკითხოს მოპასუხის მიერ მითითებული

მოწმეები, რათა გაირკვეს და დადგინდეს საქმისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. თუ მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდება, რომ კავშირი „ს-ოს“ მიერ მოცემული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია განხორციელდა იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს შპს „მ-ს“, სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი არ უნდა დააკმაყოფილოს. სამოქალაქო უფლებებ უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, პირმა თავისი უფლებები არ უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. აღნიშნული ნორმა მოითხოვს მოქალაქეებისაგან და იურიდიული პირებისაგან სამოქალაქო უფლებების კეთილსინდისიერ განხორციელებას, საქმიანი ურთიერთობების კეთილი ტრადიციების დაცვას. ის შეიცავს პირდაპირ აკრძალვას უფლებათა ისეთი გამოყენებისა, რომელიც იწვევს სხვათა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევას. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა და რეგისტრაციით მოპოვებული უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არამართლზომიერი მიზნით.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, ასევე, სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის 10 ბის მუხლი (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია): კავშირის ქვეყნები შებოჭილნი არიან ვალდებულებებით უზრუნველყონ თავისი მოქალაქეებისათვის ეფექტური დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს ნებისმიერი კონკურენციის გაწვევის აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო თუ კონკურენციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს. იკრძალება ყველა ისეთი ქმედება, რომელმაც რაიმე სახით შეიძლება გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის საწარმოსთან, საქონელთან ან სამრეწველო, თუ კომერციულ საქმიანობასთან.

დომენური სახელისა და სასაქონლო ნიშნის გამოყენების მართლზომიერება შეფასებულ უნდა იქნეს საქმიანი ბრუნვის ტრადიციებისა და უფლებების განხორციელების მართლზომიერი საზღვრების გათვალისწინებით. აღნიშნული თვალსაზრისით, არამართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით ინტერნეტში დომენად დარეგისტრირდეს ნიშანი, რომელიც უკვე არსებული გარკვეული რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია. ასევე, არამართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული უკვე დარეგისტრირებული დომენური სახელის სხვა პირის მიერ სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია და შემდეგში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების საფუძველზე დომენის გამოყენების აკრძალვა.

## საქმე № ას-791-740-10

2 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები („სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი)

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო პრიორიტეტის მქონე სამრეწველო ნიშნითან მიმსგავსებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა. სააპელაციო სასამართლოს მტკიცებით კი, სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ იგი პრიორიტეტის მქონე სამრეწველო ნიშნის ბუხტად იდენტურია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია არა მარტო სასაქონლო ნიშანსა და სამრეწველო ნიშნითან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების მოყვანა, არამედ იმის გათვალისწინებაც, თუ რა როლს ასრულებს თითოეული მათგანი ბაზარზე.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სომბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან.

ამრიგად, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასაქონლო ნიშანი არის აღნიშვნა, რომლის დანიშნულებაც ერთი მწარმოებლის საქონელი განასხვავოს მეორე მწარმოებლის საქონლისაგან.

რაც შეეხება სამრეწველო ნიშნებს, მისი ძირითადი ფუნქცია ესთეტიკური ზეგავლენის მოხდენის გზით, მყიდველის მოზიდვაა. იგი ერთი მწარმოებლის მეორესაგან განმასხვავებელი აღნიშვნა არ არის. სწორედ



ამ მიზეზით, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობით ნაკლები დაცვით სარგებლობს, ვიდრე სასაქონლო ნიშანი.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშანი ამ კანონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული.

იმავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი არ დარეგისტრირდება, თუ საქართველოში დაცული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სამრეწველო ნიმუშის იდენტურია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს ამ სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი.

ამგვარად, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნას ცნობილი, რეგისტრაციის შესახებ განაცხადი შეტანილი უნდა იყოს საქართველოში დაცულ სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლების მფლობელისაგან განსხვავებული პირის მიერ, სამრეწველო ნიშანზე უფრო გვიან, ამასთან სასაქონლო ნიშანი სამრეწველო ნიმუშის იდენტური უნდა იყოს. იდენტურობა გულისხმობს ზუსტ იგივეობას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ის, რომ შპს „ჯ. და კ-ნიის“ სასაქონლო ნიშანი სს „ე-ს“ სამრეწველო ნიმუშის იდენტური არაა, არც მოსარჩელეს გაუხდია სადავოდ. მხარე საკუთარი მოთხოვნის დასასაბუთებლად ყველა ეტაპზე მხოლოდ მსგავსებაზე მიუთითებდა.

## საქმე № ას-471-445-2011

26 სექტემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სასაქონლო ნიშნების მსგავსება, გეოგრაფიული სახელის გამოყენება სასაქონლო ნიშნად და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კოლექტიური ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ამ კანონის მე-3 მუხლით შეიძლება იქნეს დაცული სასაქონლო ნიშნად და რომელიც განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთნაირი ხარისხობრივი მახასიათებლების ან სხვა თვისებების მიხედვით.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კოლექტიური სასაქონლო ნიშანი ისევეა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, როგორც ნებისმიერი სხვა სასაქონლო ნიშანი, შესაბამისად, ანალოგიურია მისი დაცვის ფარგლებიც.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეთა მტკიცებით, შპს „ბ. პ-ის“ სასაქონლო ნიშანი მათ კოლექტიურ სასაქონლო ნიშანთან იყო მიმსგავსებული.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავის გადაწყვეტისათვის უნდა გაირკვეს მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი რა ხარისხითაა მიმსგავსებული კოლექტიურ სასაქონლო ნიშანთან, ამასთან, აქვს თუ არა მოპასუხეს გეოგრაფიული სახელის გამოყენების მართლზომიერი უფლება და ამგვარი გამოყენება ხომ არ ლახავს კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპებს.

პალატა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს ეტიკეტების მიმსგავსების საკითხზე.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული

სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

სასაქონლო ნიშნის ძირითადი დანიშნულება პროდუქციის იდენტიფიცირება და ერთი მწარმოებლის მეორესაგან განსხვავებაა. ამ გარემოების გათვალისწინებით, ერთი მწარმოებლის მიერ თავისი სასაქონლო ნიშნის მიმსგავსება უკვე ცნობილ ნიშნთან, მომხმარებლის თვალში საკუთარი პროდუქციის ამ მწარმოებელთან დაკავშირების ან იგივე პროდუქციად გასაღების მცდელობაა. იდენტურობისგან განსხვავებით, როდესაც სასაქონლო ნიშნის ყველა მახასიათებელი მეორდება, მიმსგავსების შემთხვევაში უნდა შეფასდეს ის საერთო ეფექტი რასაც კონკრეტული ნიშანი მთლიანობაში ახდენს მომხმარებელზე. საშუალო მომხმარებელი პროდუქციის შექმნისას საერთო შთაბეჭდილებით ხელმძღვანელობს და უმნიშვნელო, არაგამოკვეთილ განმასხვავებელ დეტალებს ყურადღებას არ აქცევს.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნების მსგავსება ყოველი დავის გადაწყვეტისას სასამართლოს შესაფასებელია და ამ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილ ვერც ერთ მტკიცებულებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება. მსგავსება არ არის ობიექტური ერთეული, რომლის განსაზღვრაც სპეციალური ცოდნის გამოყენებით (ექსპერტიზის დასკვნით) იქნებოდა შესაძლებელი.

ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებულ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს, რომელსაც სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო დავის გადაჭრისას, სასამართლოსათვის მხოლოდ დამატებითი არგუმენტის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ არა იმგვარი მტკიცებულების, რომელზე დაყრდნობითაც იურიდიული ფაქტის დადგენა იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება კონკრეტული სასაქონლო ნიშნების მსგავსებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მოპასუხის ეტიკეტებიდან მხოლოდ ს.ფ. 364-ზე არსებული რუსულენოვანი ეტიკეტი მოსარჩელის სასაქონლო ნიშნთან იმგვარად მიმსგავსებული, რომ მათი აღრევის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნულ ეტიკეტზე გამოყენებული წითელი ფერი, თავისი სიმკვეთრით თითქმის ბ.ს ეტიკეტის ანალოგიურია, თუმცა გადაწყვეტი მაინც ის გარემოებაა, რომ ეტიკეტის წინხედზე მსხვილი, ასომთავრული შრიფტით, მაგრამ მკრთალი საღებავით მითითებულია „З-И“, ხოლო მის ქვემოთ „из учета Б-И“ იმგვარად, რომ სიტყვა „Б-И“ ყველაზე მეტადაა გამოკვეთილი. შრიფტი და წარწერის სტილი მიმსგავსებულია ბ.ს ეტიკეტთან, რაც მთლიანობაში, აღნიშნულ ორი პროდუქციის ასოცირების შესაძლებლობას იძლევა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ბ. პ-ის“ მიერ თავის ეტიკეტზე სიტყვა „Б-И“-ს ამგვარი მითითება მოსარჩელეთა კანონიერ ინტერესებს ლახავს, რის გამოც შპს „ბ.პ-ს“ უნდა აეკრძალოს კომბინირებული სასაქონლო ნიშნის ელემენტად რუსული დიდი ასომთავრული შრიფტით შესრულებული სიტყვიერი აღნიშვნის „Б“ გამოყენება.

მოპასუხის დანარჩენ ეტიკეტებთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ს.ფ. 366-368-ზე განთავსებული ეტიკეტები იმდენად განსხვავდება ბ.ს ეტიკეტისაგან (გამოყენებულია განსხვავებული ფერები, გამოსახულება, ეტიკეტის წინხედზე არ არის მითითებული სიტყვა „ბ.“ არც ერთ ენაზე, მხოლოდ „Б-И“ მითითებული ქართული, რუსული და ლათინური შრიფტით), რომ მათთან დაკავშირებით მსჯელობა არაგონივრულია.

რაც შეეხება ს.ფ. 364-ზე არსებულ რუსულ და ინგლისურენოვან ეტიკეტს, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ იგი ბ.ს ეტიკეტთან მიმსგავსებულია.

აღნიშნულ ეტიკეტთან დაკავშირებით, მოსარჩელეები, ძირითადად, იმ გარემოებას ხდიდნენ სადავოდ, რომ მასზე სიტყვა „ბ.“ რუსულად და ლათინურად მსხვილი შრიფტითაა გამოსახული. გარდა ამისა, მოპასუხეებს საერთოდ არ ჰქონდათ უფლება სიტყვა „ბ.“ თავიანთი სასაქონლო ნიშნის ნაწილად გამოეყენებინათ, გარდა მისამართის სახით აღნიშვნისა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ბ. არ არის ადგილწარმოშობის დასახელება, ვინაიდან ასეთად არ არის რეგისტრირებული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

აღნიშნულის მიუხედავად, „სასაქონლო ნიშნების“ შესახებ კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, გეოგრაფიული სახელის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაცია არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას, აუკრძალოს მესამე პირს ამ სახელწოდების გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ამით არ ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმები და მესამე პირს აქვს ამ დასახელების გამოყენების მართლზომიერი საფუძველი.

ბ., თავისთავად, გეოგრაფიულ სახელს წარმოადგენს, შესაბამისად, უნდა შეფასდეს, იწვევს თუ არა მოპასუხეთა მიერ მისი გამოყენება კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპების დარღვევას.

„სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ“ პარიზის კონვენციის მე-10ბის მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, წევრი ქვეყნები ვალდებული არიან გაატარონ ეფექტური ზომები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღსაკვეთად.

იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განსაკუთრებით იკრძალება ყველა ქმედება, რომელიც ნებისმიერი გზით კონკურენტ საწარმოსთან, საქონელთან, ინდუსტრიულ ან კომერციულ საქმიანობასთან აღრევას იწვევს.

ამდენად, ამ შემთხვევაშიც სასამართლომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა სადავო ეტიკეტი მიმსგავსებული ბ.ს ეტიკეტთან და მასზე სიტყვა „ბ.ს“ გამოყენება იწვევს თუ არა მწარმოებლის ან პროდუქციის აღრევას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული ეტიკეტი, არ არის ბ.ს ეტიკეტთან მიმსგავსებული იმგვარად, რომ მათი აღრევა შესაძლებელი იყოს. ეტიკეტზე გამოყენებული დომინანტი ფერები განსხვავდება ბ.ს ეტიკეტზე არსებულისაგან, კერძოდ, შპს „ბ. პ-ის“ ეტიკეტზე გამოყენებულია წითელი და ღია ცისფერი, მოსარჩელეთა ეტიკეტზე — წითელი და მუქი ლურჯი, განსხვავდება თავად ფერთა კომპოზიციაც (ფერების გამოსახვის მიმართულებით), ხოლო შპს „ბ. პ-ის“ ეტიკეტზე გამოსახულ ოთხკუთხედ ჩარჩოში ჩასმულ წყლის შხეფებს არაფერი აქვს საერთო ბორჯომის ეტიკეტზე არსებული ბ.ს წყაროს გამოსახულებასთან.

რაც შეეხება სიტყვა „ბ.ს“ გამოყენებას: შპს „ბ. პ-ის“ ეტიკეტის წინხედზე რუსულად და ლათინურად, მსხვილი ასომთავრული შრიფტით მითითებულია „ბ-ი“, ხოლო მის ქვემოთ, ბევრად მცირე შრიფტით, არა ასომთავრულად, მაგრამ გამოკვეთილად მიწერილია „из Б. ущелин“ და, შესაბამისად, „F B..“ წარწერის შრიფტი და სტილი არ არის მიმსგავსებული ბ.ს ეტიკეტთან.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ „ბ-ი ბ.ს ხეობიდან“ მთლიანად უნდა ჩაითვალოს პროდუქციის დასახელებად. მოცემული ეტიკეტიდან ნათლად იკვეთება, რომ პროდუქციის დასახელებაა ბ-ი, ხოლო „ბ.ს ხეობიდან“ — მისი მოპოვების ადგილის დაკონკრეტება, იმ ბუნებრივ გარემოზე აქცენტის გაკეთება, რაც აღნიშნული პროდუქციის თვისებებს შეიძლება განაპირობებდეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ეტიკეტზე ამ სახით შესრულებული წარწერა ბ.ს-თან გაიგივებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მომხმარებლისათვის პროდუქციის წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რაც, ბუნებრივია, მისი პოპულარიზაციის მიზნით ხდება, მაგრამ აღნიშნული, თავისთავად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გაწვევად ვერ ჩაითვლება. ის, რომ შეთავაზებული პროდუქტი არის ბ-ი და არა ბ., ეტიკეტიდან ნათლად ჩანს. ხოლო, ის გარემოება, რომ ბ-ი ასევე მოიპოვება ბ.ს ხეობაში, ბ-ის საბადოდან, სადავო არ არის.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გაწვევად უკვე განხორციელებული ქმედება შეიძლება ჩაითვალოს. არსებული სახით კი, მოპასუხის ეტიკეტები, გარდა ერთისა, ბ.ს ეტიკეტებთან მიმსგავსებული არ არის, შესაბამისად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ბ. პ-ისათვის“ ნებისმიერი ფერისა და სტილის შრიფტით ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე სიტყვა „ბ.ს“ გამოყენების აკრძალვის ნაწილში.

## 7. საოჯახო სამართალი

საქმე № ას-297-280-2010

14 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების უკან დაბრუნება (სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

მითითებული ნორმა ასახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომ დაქორწინების მსურველ პირთა ნათესავებმა და ახლობლებმა სამომავლო ქორწინების აღსანიშნავად დაასაჩუქრონ მომავალი მეუღლეები, რაც ეფუძნება ვარაუდს, რომ დანიშნული წყვილი გარკვეული პერიოდის შემდეგ უთუოდ იქორწინებს, თუმცა კანონმდებელი ნიშნობის ფაქტს რაიმე სავალდებულო სამართლებრივ შედეგს, დაქორწინებას არ უკავშირებს და ადგენს ნიშნობის საჩუქრის (რაც ხშირ შემთხვევაში ძვირად ღირებულ ნივთებია) მხარეთათვის დაბრუნების წესს. იმის გათვალისწინებით, რომ ნიშნობის მხარეებს წარმოადგენენ დასაქორწინებელი პირები, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოხსენებული საჩუქრის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის წარდგენა შეუძლია ნიშნობის ერთ-ერთ მხარეს, რომლის მიმართ პატივისცემის გამოხატვის მიზნითაც შედგა ჩუქება.

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ნიშნობის საგნის გამოთხოვაზე უფლებამოსილია გამჩუქებელი. მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს თვით ჩუქების ფაქტი და, შესაბამისად, დავა მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის არ არის, რა დროსაც დავის სუბიექტებს სწორედ ეს პირები წარმოადგენენ (იხ. სამოქალაქო კოდექსის 529-ე 530-ე მუხლები). განსახილველი სარჩელი წარდგენილია დასაჩუქრებულის მიერ, რომელიც, სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, ნაჩუქარი ნივთის მესაკუთრეა და მისი საკუთრების უფლება მოცემულ ნივთზე სადავოს არ წარმოადგენს — მჩუქებელი საჩუქრის დაბრუნებას დასაჩუქრებულისაგან არ ითხოვს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სადავო ნივთი საჩუქრად გადაცემულია საკუთრებაში ნიშნობასთან დაკავშირებით, ხოლო ნიშნობის მხარეებს კი წარმოადგენდნენ გ. და ე. კ-ოვები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მესამე ნაწილით, ნიშნობის საჩუქრის უკან გამოთხოვაზე უფლებამოსილი პირები მხოლოდ ნიშნობის მხარეები არიან და არა მჩუქებელი, რომელმაც ნაჩუქარი ნივთი ნებაყოფლობით საკუთრებაში გადასცა ნიშნობის მხარეებს. მჩუქებელს ნაჩუქარი ნივთზე პრეტენზია შეიძლება წარმოეშვას მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას.

საქმე № ას-142-471-05

23 ივნისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: მეუღლეთა შესარიგებელი ვადის დანიშვნა (სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, დ. ლ-ე და გ. თ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1995წ. 8 ივნისიდან. მათ ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი. გ. თ-ემ მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება იმ საფუძველით, რომ მათ სისტემატურად ჰქონდათ უსამომოწებო, იგი წასულია საზღვარგარეთ სამუშაოდ და ცოლ-ქმრული ურთიერთობა ფაქტიურად შეწყვეტილი აქვთ. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დ.ლომიძის საკასაციო საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სკ-ის 1127-ე მუხლის მესამე ნაწილი და არ მიიღო ზომები მხარეთა შესარიგებლად, ამ მუხლის მიხედვით განქორწინება მოხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია მიუხედავად შესარიგებლად მიღებული ზომებისა. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ რაიონულმა სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები,

კერძოდ, მოპასუხე რამდენიმე წელია სამუშაოდაა წასული საზღვარგარეთ, მხარეთა შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობა რამდენიმე წელია ფაქტიურად შეწყვეტილია. სკ-ის 1127-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად; მას უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შესარიგებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს. ამ ნორმის თანახმად, განსაქორწინებელი მეუღლეებისათვის შესარიგებლად ვადის მიცემა სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია.

**საქმე № ას-376-625-08**

**21 ოქტომბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თანასაკუთრების უფლების წარმოშობა (სამოქალაქო კოდექსის 1146-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

სადავო უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი ვერ გახდება ვერც სამოქალაქო კოდექსის 1146-ე მუხლის მე-3 ნაწილის მითითება ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონების გაყოფისას 1158-ე და 1171-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე, რადგან ამ შემთხვევაში კანონი ქონების გაყოფისას მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობი ნორმის გამოყენებას მხოლოდ იმ კეთილსინდისიერი მეუღლის მიმართ ითვალისწინებს, რომელსაც გულწრფელად გააჩნდა ოჯახის შექმნის სურვილი და არაფერი იცოდა მეორე მეუღლის ნამდვილი სურვილის შესახებ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

**საქმე № ას-1020-1257-04**

**25 მარტი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მეუღლეთა ქონებრივი უფლებების განსაზღვრა**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ განქორწინების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, 2000წ. 12 იანვარს მოპასუხემ მოსარჩელეს შეუძინა ოროთახიანი ბინა, მხარეთა შეთანხმებით, აღირიცხა მათი შვილის ზ. ი-ის სახელზე, აღნიშნულის შემდეგ სანოტარო წესით მხარეთა შორის დამოწმდა შეთანხმება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა განქორწინებაზე და აღნიშნა, რომ „ქონებრივი პრეტენზიებია არა აქვს და არ ექნებოდა მომავალში“. მხარეები განქორწინდნენ 2000წ. 18 თებერვალს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, სრულად და ობიექტურად შეაფასა მტკიცებულებები, რის შედეგადაც გამოიტანა სწორი დასკვნა იმის თაობაზე, რომ მხარეებს შორის ქონებრივი საკითხები გადაწყვეტილი იყო შეთანხმების საფუძველზე და მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა თავისი წილი ქონება.

**საქმე № 3კ/1272-01**

**3 აპრილი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი (სამოქალაქო კოდექსის 1151-ე და 1158-ე მუხლები)**

პალატა ვერ გაიზარებს კასატორის მოტივაციას, რომ იგი ი. ბ-ოვასთან ერთად ქ.თბილისში, ... მდებარე ბინის თანამესაკუთრეა, ვინაიდან ეკლესიური ქორწინება სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის თანახმად მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს, მხარეთა შორის კი ასეთს ადგილი არ ჰქონია. ამავე კოდექსის 1158-ე მუხლის მიხედვით მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მათ საერთო საკუთრებას წარმოადგენს; განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან ი. ბ-ოვა და ვ. ა-ოვი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფილან გატარებულნი, არ არსებობს ი. ბ-ოვას სახელზე რეგისტრირებული ბინის თანამესაკუთრედ ვ. ა-ოვის ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

საქმე № ას-414-738-05

23 სექტემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: პრივატიზებით მიღებულ ბინაზე მეუღლეთა საერთო საკუთრების წარმოშობა (სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი)**

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თ. წ-ემ სადავო ფართის პრივატიზება მოახდინა ქორწინების რეგისტრაციის პერიოდში — 1992წ. 3 ნოემბერს, „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992წ. 1 თებერვლის 107 დადგენილების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სადავო ქონება, როგორც უსასყიდლო პრივატიზების ანუ ჩუქების გზით მიღებული, სკ-ის 1161-ე მუხლის საფუძველზე ჩაითვლება მის ინდივიდუალურ საკუთრებად და ამიტომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სკ-ის 1158-ე მუხლი. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო პრივატიზებით. მართალია, სახელმწიფო აღნიშნულ ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს მოქალაქეს, მაგრამ ეს ურთიერთობა არ არის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობის იდენტური. მოცემულ შემთხვევაში მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის იდება არა კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, რასაც სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს, არამედ ადმინისტრაციული გარიგება, რაც სპეციფიკური საჯაროსამართლებრივი ურთიერთობაა და რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992წ. 1 თებერვლის 107 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, ამ დადგენილების საფუძველზე განხორციელებული პრივატიზებისას საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემოდათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები იყვნენ. ამდენად, სახელმწიფომ როგორც დამქირავებელს, ისე მისი ოჯახის წევრებს მისცა საშუალება, გამხდარიყვნენ ბინის მესაკუთრები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივად ქონებაზე უფლება მოპოვებული აქვს კასატორის მეუღლესაც, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალურად მთელი სადავო ქონების პრივატიზება განხორციელებულია მხოლოდ კასატორის სახელზე.

საქმე № ას-638-906-05

29 სექტემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობა (სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი)**

დადგენილია, რომ მხარეებს შორის განქორწინება რეგისტრირებულ იქნა 2004წ. 24 აგვისტოს, ხოლო სადავო ბინის პრივატიზაცია განხორციელდა 2003წ. 28 მაისს. საჯარო რეესტრში სადავო ბინა მოპასუხეზე აღირიცხა 2003წ. 28 მაისს. სკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ, ვინაიდან სადავო ქონება მხარეთა მიერ შეძენილია ქორწინების განმავლობაში, სკ-ის 1158-ე მუხლის საფუძველზე სადავო ბინა წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას. კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხარეები განქორწინებულად უნდა ჩაითვალოს განქორწინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან სკ-ის 1132-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქორწინება შეწყვეტილად ითვლება იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

საქმე № ას-33-483-06

8 სექტემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრება (სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი)**

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი (სკ-ის

1158-ე მუხლი). მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება გულისხმობს ქორწინების პერიოდში შეძენილ ყოველგვარ ქონებას (უძრავი და მოძრავი), რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას განეკუთვნება ხელფასი და სხვა ფულადი შემოსავლები, მიუხედავად იმისა, თუ ვის სახელზეა რიცხული; მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი (სსკ-ის 1158-ე მუხლი). ამდენად, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებისადმი ამა თუ იმ ქონების მიკუთვნებისათვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ქონება შეძენილი უნდა იყოს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში ერთობლივი შრომითა და საერთო სახსრებით.

## **საქმე № ას-108-388-08**

**29 ოქტომბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობა (სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავდროულად მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

განსახილველი მუხლი განსაზღვრავს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმს, რომლითაც დადგენილია მათი უფლებები ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების შესახებ. განსახილველი ნორმის მიზანს წარმოადგენს ოჯახის ინტერესების დაცვა. ივარაუდება, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება შეძენილია ოჯახის გაძღოლის საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, ამიტომ დავის შემთხვევაში ქორწინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) საკმარისი საფუძველია, რომ მივიჩნიოთ ეს ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად.

## **საქმე № ას-960-1162-08**

**2 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობა (სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი)**

პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2004 წლის 27 თებერვალს, მოსარჩელემ, მ. ჩ-ძესთან ქორწინების რეგისტრაციამდე იყიდა საცხოვრებელი სახლი, საკარმიდამო მიწის ნაკვეთით მდებარე: ქ.სამტრედია, ... ქ. '64-ში. 2004 წლის 17 სექტემბერს მოსარჩელე დაქორწინდა მოპასუხე მ. ჩ-ძესთან. 2004 წლის 9 ნოემბერს მეუღლეებს შორის, მათ ერთად ცხოვრების პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოსარჩელემ მოპასუხეს 2000 ლარად მიჰყიდა სადაო ქონება. 2007 წლის 24 იანვარს მხარეები განქორწინდნენ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. კ-ძეს წარმოეშვა თანასაკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე, რადგან სახლი მეუღლეთა ერთად ცხოვრების დროს მიჰყიდა თავის ცოლს.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებას აფუძნებს 1158-ე მუხლს, რომლის თანახმად მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მეუღლეთა საერთო ქონება არის ქონება, რომელიც მეუღლეებმა ერთობლივად შეიძინეს. შეძენაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ფულადი თანხის გადახდა (რაზეც მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილი), არამედ ორივე მეუღლის ნება მიმართულია ქონების მათ საკუთრე-

ბაში გადასვლაზე. განსახილველ შემთხვევაში ხდება ზემოთ მითითებულის საპირისპირო. არ არსებობს მეუღლეთა ერთობლივი ნება ქონების შექმნისათვის. პირიქით, ერთი მეუღლე ასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ ნივთს, ხოლო მეორე მეუღლე იძენს მას. აღნიშნული აქტი არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ცოლ-ქმრის მიერ ერთობლივად ქონების შექმნის ფაქტი. აქ მეუღლეები ინდივიდუალურად განკარგავენ მათ უფლებებს და მათ შეუძლებელია წარმოემვათ თანასაკუთრება ამ ნივთზე.

**საქმე № ას-1058-1325-09**

**23 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ქორწინების განმავლობაში შექმნილ უძრავ ნივთზე მეუღლის თანასაკუთრების უფლების სამართლებრივი ბუნება (სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას ნ. ო-ძის თანასაკუთრების უფლებასთან დაკავშირებით და ამ მიმართებით უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას, რომ სასამართლომ ნ. ო-ძეს მიაკუთნა მის საკუთრებაში არარსებული ქონება, ვინაიდან იგი საჯარო რეესტრში თანამესაკუთრედ რეგისტრირებული არ იყო. აღნიშნულით სასამართლომ უგულვებლყო სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილი, 311-ე მუხლის პირველი ნაწილის და 312-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები.

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორედ, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. აღნიშნული ფორმულირება რეესტრში რეგისტრირებულ ნივთზე უფლების კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს. ფაქტობრივი გარემოება — პირის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია უტყუარი ფაქტია მანამ, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. სწორედ კანონის ეს დათქმა იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების უტყუარობა უდავო არ არის და მასზე გავლენას ახდენს როგორც უფლებამოსილი პირის შედავება, ასევე ობიექტური ფაქტორი, რომლის არსებობის შესახებაც ცნობილია სხვა პირებისთვის. ერთ-ერთ ასეთ გარემოებას წარმოადგენს ნივთზე კანონით წარმოშობილი თანასაკუთრების უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო(თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარეგნის საფუძველზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის განმარტებას, რომ მოცემულ ურთიერთობაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლს, რომლის ძალითაც მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას). ამდენად, პირს თანასაკუთრების უფლება მეუღლის ქონებაზე წარმოუშვა კანონმა და ამ უფლების საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობა თანამესაკუთრეს უკარგავს უფლებას, მხოლოდ საკუთრებაში არსებული ქონების კეთილსინდისიერი მესამე პირების მიერ შექმნის შემთხვევაში, რომლებისთვისაც უცნობი იყო ამ უფლების არსებობის შესახებ. ამდენად, ქორწინების რეგისტრაციით წარმოშობილი ნივთზე მეუღლის თანასაკუთრება სანივთო უფლებაა და მის წინაშე ვალდებულია ყველა ის პირი, რომლისთვისაც ცნობილია ამ უფლების არსებობის თაობაზე. ბუნებრივია, ეს ვალდებულება ვრცელდება ოჯახის წევრებზეც, რომლებიც ვალდებული არიან, გაითვალისწინონ თანასაკუთრებაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით მოთხოვნებზე თანამესაკუთრის უფლება, მიუხედავად იმისა, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია თუ არა ეს უფლება.

**საქმე № ას-97-93-2012**

**28 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობა სპს-ში არსებულ წილზე (სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის სა-



ქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან, სხვა საპატიო მიზეზის გამო, არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. კ-ის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში „... ..“ გააჩნია 35%, რაც მითითებული მუხლის საფუძველზე მეუღლეთა თანასაკუთრებაშია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წილი საზოგადოებაში წარმოადგენს ქონებას, რასაც ახასიათებს გარკვეული თავისებურება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საწარმოს საკუთრება უნდა გაიმიჯნოს წილზე საკუთრებისაგან. წილი წარმოადგენს იმ უფლება-ვალდებულებების ერთობლიობას, რაც წარმოიშვება საზოგადოების წევრობიდან. შესაბამისად, წილის ოდენობა განსაზღვრავს პარტნიორების უფლება-მოვალეობების მოცულობას. წილის განსხვავება ნიშნავს წილის ყოველგვარ გადაცემას სხვა პირის საკუთრებაში, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით წილის გასხვისების სამართლებრივი რეჟიმი განსხვავდება ცალკეულ საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტებით გათვალისწინებული დანაწესებით.

სპს „... ..-ს“ დაფუძნების პერიოდში მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად (ამოღებულია 14.03.2008 N5913) პარტნიორს შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი-კაპიტალი, თუ ყველა დანარჩენი პარტნიორი წინასწარ განაცხადებს თანხმობას, ან თუ საზოგადოების წესდებით დაშვებულია გასხვისება. წილი-კაპიტალის დათმობისას საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება. საბუთი უნდა შეიცავდეს სხვა პარტნიორების თანხმობასაც, უამისოდ დათმობის ხელშეკრულება ბათილია.

განსახილველი ნორმის მიზანია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ერთ-ერთი პარტნიორის მიერ წილი-კაპიტალის განსხვისებისას დანარჩენ პარტნიორთა უფლებების დაცვა. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის განსხვისება (მისი ყოველგვარი განკარგვა) არ არის შეუზღუდავი. წილის გადაცემით, პარტნიორი გადასცემს ახალ შემძენს საზოგადოებიდან გამომდინარე უფლება-ვალდებულებებს, რაც ნიშნავს იმას, რომ შემძენი ხდება საზოგადოების პარტნიორი. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ემყარება სპეციალურ პირად და ქონებრივ დამოკიდებულებას პარტნიორებს შორის, კანონმა დაადგინა გარკვეული შეზღუდვები, რომლითაც დაცულია დანარჩენი პარტნიორების ინტერესები ახალი პარტნიორის საზოგადოებაში შესვლასთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია, რომ იმ დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 33-ე მუხლი ისახავდა ანალოგიურ მიზნებს, მაგალითად, თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი გარდაიცვლებოდა, მისი მემკვიდრეები ხდებოდნენ უფლებამონაცვლეები, მაგრამ საზოგადოების წევრებად რჩებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენი პარტნიორები თანახმა იქნებოდნენ ახალი პარტნიორის მიღებაზე. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ, იმ დროს მოქმედი 33.2-ე მუხლის თანახმად დანარჩენი პარტნიორების თანხმობის შემთხვევაში ახალი პარტნიორი შემოდიოდა კომანდიტის სტატუსით, სხვა სტატუსით საზოგადოებაში შესვლის მოთხოვნის უფლება მას კანონის მიხედვით არ გააჩნდა, რადგან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც აღინიშნა, ემყარება სპეციალურ პირად და ქონებრივ დამოკიდებულებას პარტნიორებს შორის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას აქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ საზოგადოების წესდების 5.3. პუნქტის თანახმად, „პარტნიორს შეუძლია გაასხვისოს თავისი კაპიტალი, თუ პარტნიორები წინასწარ დათანხმდებიან“, ასევე, წესდების 5.9 პუნქტის თანახმად „თუ პარტნიორს ჰყავს მემკვიდრე, ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში შემსვლელი სპეციალური უფლებამოსილების ძალით იღებს პარტნიორის სტატუსს.“

წესდების განსახილველი პუნქტები პარტნიორის მიერ წილის გასხვისებას ან სხვაგვარ გადაცემას დამოკიდებულს ხდიან დანარჩენ პარტნიორების თანხმობაზე, თუმცა სააპელაციო სასამართლო ასკვ-

ნის, რომ „პარტნიორის წილი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წარმოადგენს ქონებას, რომლის გადაცემა მესამე პირთათვის დასაშვებია კანონმდებლობითა და საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული საფუძვლების არასებობისას,“ მაგრამ არ ამახვილებს ყურადღებას პარტნიორის მიერ წილის გადაცემის ბოჭვის თავისებურებებზე, რასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად შეიძლება ახალი პარტნიორის შეყვანა საზოგადოებაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ მეუღლეთა უფლება-ვალდებულებების განსაზღვრის თავისებურებები, არამედ, პარტნიორთა უფლება-ვალდებულებები, რაც კანონით და წესდებით მათ გააჩნიათ ერთ-ერთ მეუღლესთან. მეუღლეთა შორის დავის მოწესრიგებით არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი სხვა პირების უფლებები, რაც მათ გააჩნიათ „მეწარმეთა შესახებ“ კანონითა და წესდების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს დადგენილ ფაქტს, რომ რ. კ-ის წილი საზოგადოებაში წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, მაგრამ ამ წილის გაყოფისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული განმარტებების მიხედვით ის შემზღუდვები, რომელიც შეიძლება ეხებოდეს ახალი პარტნიორის მიღებას საზოგადოებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს დანარჩენი პარტნიორების თანხმობის არსებობა წილის გაყოფის შედეგად ახალი პარტნიორის მიღებაზე. ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში გ. კ-ეს უნდა მიეცეს რ. კ-ის წილის ნახევრის ღირებულება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს ამ ნაწილის ღირებულება სპეციალური ცოდნის გამოყენებით.

### **საქმე №3კ/1093-01**

**23 იანვარი, 2002 წელი, ქ. თბილისი\***

#### **განმარტების საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობა**

დადგენილია, რომ ც. ფ-ძე დაქორწინების დღიდან, 1995 წლიდან, ცხოვრობდა მეუღლე ნ. ხ-ძის საკუთარ ბინაში, მდებარე ... ქ. ბათუმში. ნ. ხ-ძემ აღნიშნული ბინა გაყიდა 1997 წლის ივნისში და იყიდა ქ. ბათუმში, ... მდებარე ერთოთახიანი ბინა, რომელიც აღირიცხა ნ. ხ-ძის საკუთრებაში. პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ბინა არასწორად არ მიიჩნია მეუღლეთა თანასაკუთრებად.

სადავო ბინის შეძენის მომენტისათვის, ე.ი. 1997 წლის ივნისში მოქმედი საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო თანასაკუთრებას. მეუღლეებს აქვთ ამ ქონებით სარგებლობის, მისი მფლობელობისა და განკარგვის თანაბარი უფლება. მაგრამ როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სადავო ბინა, მართალია, შეძენილია მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში, მაგრამ იმ თანხით, რომელიც მიიღო ნ. ხ-ძემ ც. ფ-ძესთან დაქორწინებამდე საკუთრებაში არსებული ბინის გაყიდვის შედეგად. იმავე კოდექსის 23-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად კი, თითოეული მეუღლის პირად საკუთრებას წარმოადგენს ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე.

### **საქმე № ას-409-756-05**

**16 სექტემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა (სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სადავო ბინა შეძენილია მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში და წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას. ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული ბინა გ. ა-ას მიერ აღნიშნული ბინიდან წილის სასამართლო წესით მოთხოვნის შემდეგ ნ. კ-მა გაასხვისა თავის

\* განმარტებული ნორმა დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის იდენტურია. აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით განსხვავებული სამართლებრივი შეფასება იხ. სუსგ №ას-324-308-2011 6 ივნისი, 2011 წელი ქ. თბილისი.

რძალზე, კასატორ მ. თ-ზე. კასატორები სადავოდ არ ხდიან ქორწინების პერიოდში ბინის შექმნას, მაგრამ ისინი სადავოდ მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ გ. ა-ა წარმოადგენდა ბინის თანამესაკუთრეს, ვინაიდან გ. ა-ას არ დაურეგისტრირებია საჯარო რეესტრში თავისი საკუთრების უფლება. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების აღნიშნულ მოსაზრებას. სკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ის გარემოება, რომ გ. ა-ას თავისი თანასაკუთრების უფლება არ აღურეგისტრირებია საჯარო რეესტრში, მას არ ართმევდა უფლებას საერთო ქონებაზე და არ უკრძალავდა, შემდგომში, თუნდაც განქორწინების შემდეგ, მოეთხოვა აღნიშნული უფლების რეგისტრაცია. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ბინის გამსხვისებელი — ნ. კ-ი არ იყო ბინის ერთადერთი მესაკუთრე, ხოლო სკ-ის 1160-ე მუხლის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დადებული გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მეორე მეუღლის მოთხოვნით, თუ ამ ქონების განკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და დამტკიცებული იქნება, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორების მითითებას იმის თაობაზე, რომ მ. თ-ი წარმოადგენს სადავო ბინის კეთილსინდისიერ შემძენს, რის გამოც სკ-ის 185-ე მუხლის თანახმად დაცული უნდა იყოს მისი უფლებები. სკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერად არ ჩათვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე; კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე. დადგენილია, რომ მ. თ-ი არის მოპასუხე ნ. კ-ის ძმის ცოლი და ბუნებრივია, საქმის კურსში უნდა ყოფილიყო, რომ ბინა შექმნილი იყო მეუღლეთა თანაცხოვრების დროს. მიუხედავად ამისა, მან ნ. კ-თან დადო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება გ. ა-ას თანხმობის გარეშე. ამდენად, მ. თ-ი ვერ ჩათვლება კეთილსინდისიერად იმ ფაქტის მიმართ, რომ გამსხვისებელი არ იყო ნივთის ერთადერთი მესაკუთრე.

სკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, მოცემული მუხლით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ გამსხვისებელს მესაკუთრედ აღიარება ემსახურება მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვას, ხოლო როდესაც შემძენმა იცის ან უნდა იცოდეს, რომ გამსხვისებელი არ არის ნივთის ერთადერთი მესაკუთრე, იგი ვერ ისარგებლებს ამ მუხლით მინიჭებული დაცვის უფლებით.

მოცემულ შემთხვევაში ასევე ვერ იმოქმედებს საჯარო რეესტრის ჩანაწერების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, რაც სკ-ის 312-ე მუხლშია მოცემული. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რეესტრის ჩანაწერები მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება სწორად, თუ ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილი არ არის საჩივარი ან შემძენმა არ იცის, რომ ჩანაწერი უზუსტოა. საქმეზე დადგენილია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე მოსარჩელე გ. ა-ას შეტანილი ჰქონდა სარჩელი ბინის თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფის თაობაზე, ასევე, შემძენმა მ. თ-მა, როგორც მოსარჩელის ოჯახის ნათესავმა, იცოდა მეუღლეთა ქორწინების პერიოდში სადავო ბინის შექმნისა და ამდენად, ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე.

**საქმე № ას-571-879-09**

**30 აპრილი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა (სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვას უკავშირდება კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის ამოქმედების მნიშვნელობა განპირობებულია შემძენის სუბიექტური მომენტის არსებობით, კონკრეტულ შემთხვევაში, იცოდა თუ არა ს. პ-ინამ, რომ ი. ნ-შვილი იყო სადავო ბინის მესაკუთრე და ჰქონდა თუ არა მას ამ ქონების განსხვისების უფლება. საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმის გათვალისწინებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ განსახილველი ურთიერთობის თავისებურებაზე, კერძოდ, როგორც ეს ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან და საქმეში არსებული მასალებიდან, რაც მხარეთა შორის დავას არ იწვევს, სადავო ქონება შეძენილია ნ. მ-ძისა და ი. ნარინდაშვილის ქორწინების პერიოდში, მაგრამ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საკუთრების უფლებით ი. ნ-შვილის სახელზე. უკვე აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად, სადავო ბინა მეუღლეთა საერთო ქონებაა და ამ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით (ამავე კოდექსის 1159-ე მუხლი და 1160-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამდენად, განსახილველი სამართალურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, როდესაც ჩვენ ვიხილავთ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტს, მისი ე.წ. „სუბიექტური“ ფაქტორის მნიშვნელობის განსაზღვრა განპირობებულია ზემოაღნიშნული ნორმებით. ამ შემთხვევაში შემძენის არაკეთილსინდისიერად ცნობისათვის არ არის საკმარისი შემძენის მიერ მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ერთ-ერთის სახელზე რეგისტრირებული ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. შემძენის არაკეთილსინდისიერებისათვის სხვა გარემოებებთან ერთად უნდა არსებობდეს ფაქტები, რომლითაც დგინდება, რომ შემძენმა იცოდა, რომ ერთ-ერთი მეუღლე იყო მეუღლეთა საერთო ქონების გასხვისების წინააღმდეგი, ხოლო მეორე მეუღლე მოქმედებდა მის ფარულად, რაც არ დასტურდება კასატორის მიერ, ხოლო, ის გარემოებები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს ი. ნ-შვილის არაკეთილსინდისიერებაზე (მაგალითად, სადავო ქონების განკარგვის შემდეგ რამდენიმე დღეში განქორწინების მოთხოვნით სარჩელის აღძვრა, ნ. მ-ძის სხვა საცხოვრებელი ადგილის არ არსებობა და ა.შ.), არ შეიძლება ეჭვის ქვეშ აყენებდეს ს. პ-ინას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან არ ეთანხმება გარიგებას. აღნიშნული დანაწესი გარკვეულ წილად იცავს შემძენის ინტერესს. ამ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე განკარგავს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებას, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეუღლეები მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლი და 1160-ე მუხლის პირველი ნაწილი).

## საქმე № ას-1136-1067-2012

11 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიღებული სარგებლისა დაბრუნების მოთხოვნისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები (სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 982-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ნივთები: 1. ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში მდებარე 401,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 2. ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში მდებარე 799,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 3. ბორჯომის რაიონში, დაბა ბ-ში მდებარე 3926,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი 4. დუშეთის რაიონში, სოფელ ც-ში მდებარე უძრავი ქონება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენდა მოსარჩელე ე. კ-ისა და მოპასუხე კ. უ-ის თანასაკუთრებას, როგორც მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, მოპასუხე კ. უ-მა განკარგა დამოუკიდებლად, თანამესაკუთრესთან შეუთანხმებლად.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარდგენილი აუდიტორული დასკვნების თანახმად, გასხვისებული სადავო უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება 133 000 (32000 + 64 000 + 37000) აშშ დოლარით და 289 500 ლარით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ

აღნიშნა, რომ მითითებულ გარემოებათა საპირისპირო მტკიცებულება, მოპასუხეს არ წარმოუდგენია, შესაბამისად, უძრავი ქონების განკარგვით მიყენებული ზიანი უნდა განისაზღვროს სადავო ქონების მოსარჩელის კუთვნილი 1/2 წილის შესაბამისად — 255 000 ლარით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი სასამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივი დასკვნებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, ყურადსაღებია მოსარჩელის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ დაზუსტდა მოთხოვნა და მოითხოვა არა მიღებული სარგებელი, არამედ — ქონების განკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ისმის კითხვა, თუ რაში გამოიხატა ზიანი. თუ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქონების განკარგვით მიღებული თანხა, მაშინ ეს არა ზიანი, არამედ — სარგებელია. თუ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მეუღლის მიერ თანასაკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განკარგვა, რომლის სარგებელი არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ქონების რეალური ღირებული, მაშინ ეს შესაძლებელია იყოს ზიანი, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კვლევას მოითხოვს ისეთი ფაქტები, როგორცაა: გასხვისების დროს არსებული ქონების ღირებულება; შემცირებული ღირებულების განპირობებული გარემოებები და ა.შ.

აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება იმ სამართლებრივი წინაპირობების კვლევა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც მიგვითითებს მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნაცვლად უნდა გამოყენებულიყო ამავე კოდექსის 982-ე მუხლის პირველი ნაწილი, 408-ე, 409-ე და 412-ე მუხლები.

საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი. აღნიშნული ნორმა უშუალოდ უკავშირდება ამავე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს. ე.ი. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქონების დაბრუნების წინაპირობები, მეუღლეს შეუძლია, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება წარმოადგენდეს იმ თანხის ნახევარს (მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების თავისი წილის ღირებულება), რაც ქონების განკარგვით მიიღო ალექსანდრე უ-მა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ განსახილველი ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებას უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. მსგავსად შესრულების კონდიქციისა, გათანაბრების მოთხოვნის ოდენობის დადგენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ამავე კოდექსის 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, რომლის ანალიზის თანახმად, მიღებული სარგებელის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში (სარგებელი „გახარჯულია“ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განსხვისებით), მიმღებმა უნდა დააბრუნოს მისი ღირებულება (ამ შემთხვევაში მიღებული თანხის ნახევარი).

როგორც ვხედავთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი იმავე სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს, რადგან ამ ნორმის კონტექსტში „სარგებელს“ წარმოადგენს არა უშუ-

ალოდ გასხვისებული ქონების დაბრუნება, არამედ გასხვისების შედეგად მიღებული სეკეთე. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის პირველი ნაწილში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება.

უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის გათვალისწინებით, კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს ამავე კოდექსის 985-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძოდ, თუ ხელმყოფმა განზრახ არ გაითვალისწინა სხვა პირის უფლებამოსილება, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია, მოითხოვოს ის მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, ხელყოფის განზრახვის ფორმა არ არსებობს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ განსხვავებით 985-ე მუხლისაგან სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი ზიანის ანაზღაურებას აკისრებს მოვალეს მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი კეთილსინდისიერი იყო თუ არა.

ამადაც, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარგებლის დაბრუნების მოთხოვნასა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას გააჩნია სხვადასხვა საფუძვლები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი, როგორც აღინიშნა, აძლევს უფლებას დაზარალებულ მეუღლეს, მოითხოვოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი, იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. სარგებელს წარმოადგენს ის აქტივი, რაც მიიღო მეუღლემ (კ. უ-მა) და რომლის ნახევრის მიღების უფლება აქვს მეორე მეუღლეს, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მეორე მეუღლემ ამით მიიღო ზიანი (გაეზარდა პასივი), მას, ასევე შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაზედაც უნდა დამატებით მიუთითებდნენ შესაბამისი ფაქტები.

**საქმე № ას-1094-1336-04**

**22 მარტი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად (სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლი)**

სკ-ის 1163-ე მუხლის თანახმად, თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდა (გადაგემარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული.

გასათვალისწინებელია, რომ, განსახილველი ნორმის თანახმად, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გასამახვილებელია ქორწინებამდე შეძენილი ქონების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდაზე იმ ხარჯების შედეგად, რაც ქორწინების განმავლობაში იქნა გაწეული. ქონებაზე ქორწინების პერიოდში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები და გაწეული ხარჯი, რომლის შედეგად გაიზარდა ქონების ღირებულება, არ არის საკმარისი სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციისათვის. აუცილებელია ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა. ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდად ითვლება გადაგემარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება, ე.ი. კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს არა მარტო ქონების ღირებულების გაზრდაზე, არამედ ამ ღირებულების მნიშვნელოვან გაზრდის თავისებურებაზე. სადავო ქონების სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციისათვის არ არის საკმარისი მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რაც არ იწვევს ქონების არსებით შეცვლას. საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი გადაგემარდა ან არსებითად გადაკეთდა, ან მშენებლობა დასრულდა.

დამატებითი არგუმენტის სახით საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო საკუთრებად არ შეიძლება ჩაითვალოს სადავო ქონება, რადგან სადავო ქონების ღირებულების გაზრდაში მ. გ-ას მიერ გაწეული ხარჯი და სხვა სახის წვლილი არ დასტურდება და სარემონტო და სხვა სახის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო მასალა ქორწინებამდე ჰქონდა შეძენილი პ. გ-ას. ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აღნიშნული არგუმენტი გამოდგეს მნიშვნელოვნად ღირებულება მომატებული ინდივიდუალური საკუთრების

მეუღლეთა თანასაკუთრებად გარდაქმნის საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ არსებობდეს ქორწინების პერიოდში გაწეული ხარჯი (1163-ე მუხლი), რომლის საკუთრების რეჟიმის დასადგენად, აგრეთვე, გამოიყენება სკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. ამრიგად, აუცილებელია, რომ სკ-ის 1163-ე მუხლის თანახმად ქორწინების პერიოდში გაწეული ხარჯის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქონების ღირებულება, რაც დაკავშირებულია მისი ხარისხის არსებით შეცვლასთან, კერძოდ, გადაგვემარებასთან, მშენებლობის დასრულებასთან, გადაკეთებასთან და სხვა.

### **საქმე № ას-33-483-06**

**8 სექტემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად (სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის თანახმად, თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს: ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდა (გადაგვემარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული (სსკ-ის 1163-ე მუხლი). იმ ქონების მიმდინარე რემონტი, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის ან ისეთი უნიშვნელო თანხის დაბანდება, რომელიც არ გამოიწვევს ამ ქონების ღირებულების მნიშვნელოვნად გადიდებას, თუნდაც იგი მეუღლეთა საერთო სახსრების ანგარიშზე იყოს წარმართული, არ შეიძლება გახდეს საფუძველი ქონების საერთო საკუთრებად აღიარებისათვის. ქონების რემონტი ან თანხების დაბანდება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს საფუძველი ქონების საერთო თანასაკუთრებად აღიარებისათვის, თუ ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდება.

### **საქმე № ას-414-738-05**

**23 სექტემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (სამოქალაქო კოდექსის 1165-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სადავო ქონება განეკუთვნება მისი პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთს სკ-ის 1165-ე მუხლის საფუძველზე. ამ მუხლის თანახმად, პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა და ა.შ.), თუნდაც ქორწინების პერიოდში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება. აღნიშნული ნორმის აზრის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთს წარმოადგენდა არა უძრავი ქონება, სადაც შემოქმედებითი სახელოსნო უნდა განთავსებულიყო, არამედ მხოლოდ აუცილებელი ნივთები, რაც მას დასჭირდებოდა არქიტექტორ-დიზაინერის სამუშაოს შესასრულებლად, მაგალითად, ფუნჯი, საღებავები, მოლბერტი და სხვა, ისევე როგორც მეცნიერის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სპეციალური ლიტერატურა მისი კვლევის სფეროში და არა სამუშაო კაბინეტი, სადაც ეს ლიტერატურა განთავსებული, სტომატოლოგის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთად — საექიმო მოწყობილობა და არა კაბინეტი, სადაც ეს მოწყობილობა დგას და ა.შ. აქვე ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნული ფართი მხარეებს თავიდანვე საცხოვრებელ ბინად ჰქონდათ მოწყობილი და კასატორს არასოდეს ჰქონია იქ სახელოსნო.

**განმარტების საგანი: წილის კომპენსაცია საკუთრების გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 1166-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალა აღნიშნული ავტომანქანა მეუღლეთა თანასაკუთრებად სკ-ს 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ამ ნორმის თანახმად მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მაგრამ საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვინაიდან ამჟამად სადავო ავტომანქანა მესამე პირის, რ. გ-ის საკუთრებაშია, ამიტომ მ. გ-ის მოთხოვნა ავტომანქანის ღირებულების ნახევრის კომპენსაციის შესახებ უსაფუძვლოა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მ. დ-ის მიერ სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტისათვის, ე.ი. 2002წ. 24 ივნისისათვის სადავო ავტომანქანა მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენდა და რაიონული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მ. დ-ის ნების საწინააღმდეგოდ გადასცა ავტომანქანა საკუთრებაში ზ. გ-ემ მამას — რ. გ-ეს. ამიტომ სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას უნდა გამოეყენებინა სკ-ს მე-5 მუხლის პირველი ნაწილის (კანონის ანალოგიის) საფუძველზე 1166-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს წილის კომპენსაციას საკუთრების გაყოფისას. ამ ნორმის თანახმად, თუ საერთო ქონების გაყოფისას ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია. ვინაიდან მ. დ-ემ მოითხოვა საერთო საკუთრების ავტომანქანის ღირებულების ნახევრის კომპენსაცია, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული მუხლების საფუძველზე უნდა განესაზღვრა სადავო ავტომანქანის ღირებულება და ემსჯელა მ. დ-ის სასარგებლოდ ამ ღირებულების ნახევრის ზ. გ-ისათვის დაკისრების თაობაზე.

**განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამოქალაქო-სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა ანდა თუ მეორე მეუღლე საერთო ქონებას ფლანგავს ოჯახის ინტერესების საზიანოდ.

სააპელაციო სასამართლომ, მართალია, მიუთითა ამ ნორმაზე, მაგრამ არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, რადგან ნ.ფ-ი-დ-თან აღსაზრდელად რჩება მხოლოდ ერთი შვილი და არა შვილები, როგორც ეს მითითებულ მუხლშია ნათქვამი, ამიტომ წილის თანაბრობა დაცული უნდა იქნეს.

პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნული ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა, რადგან სკ-ის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადებით, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში წილთა თანაბრობის წესს და არასრულწლოვანი შვილების (მათ შორის — შვილის) ინტერესების გათვალისწინებით. მეუღლეთა თანასაკუთრების განსაზღვრისას, აღნიშნული ნორმით შესაძლებელია სასამართლომ ერთ-ერთ მეუღლეს, რომელთანაც შვილები (შვილი) აღსაზრდელად რჩება, მეტი წილი მიაკუთვნოს. პალატა მიუთითებს, რომ ამ ნორმამ უპირატესად არასრულწლოვანი შვილების (შვილის) ინტერესები გაითვალისწინა, რათა არასრულწლოვანს ნორმალურ პირობებში აღზრდისათვის სათანადო საბინაო პირობები გააჩნდეს. პალატას მიაჩნია, რომ



აღნიშნულ ნორმაში სიტყვა „შვილები“ არ უნდა იქნეს სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობით გაგებული, რადგან ერთი შვილის შემთხვევაშიც მითითებული ნორმა სასამართლოს საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს არასრულწლოვანი შვილის ინტერესი და ერთ-ერთ მეუღლეს მიაკუთვნოს მეტი წილი მეუღლეთა თანასაკუთრებიდან. აღნიშნული ნორმის სწორი ინტერპრეტაციისათვის სასამართლო მიუთითებს სკ-ის სხვა ნორმებზეც, რომლებითაც არასრულწლოვანი შვილების უფლებებია დარეგულირებული. მაგალითად, „არასრულწლოვანი შვილები“ მითითებულია ასევე სკ-ის 1212-1222 მუხლებშიც, მაგრამ ამ ნორმებით დადგენილი არასრულწლოვანი შვილების უფლებები თანაბრად ვრცელდება არასრულწლოვან შვილებზეც. განსახილველ შემთხვევაშიც პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომელმაც მოცემულ საქმეზე ალიმენტის თაობაზე მოთხოვნა განიხილა, ანალოგიური განმარტება მისცა სკ-ის 1212-ე მუხლს (ამ ნორმაშიც „არასრულწლოვანი შვილებია“ მითითებული) და სარჩელი დააკმაყოფილა: შვილის — ლ. ფ-ის სასარგებლოდ მოპასუხეს ალიმენტის სახით 50 ლარის გადახდა დაეკისრა ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

**საქმე № ას-894-1180-09**

**22 იანვარი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისი არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუნაროა, ანდა — თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. მითითებული ნორმა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის ამგვარი განსხვავებული წესით დადგენას ითვალისწინებს მხოლოდ ამავე ნორმით ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობისას. მოცემული დავის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს გადაუხვია, რაც დაასაბუთა იმით, რომ შ. ნ-ძე-ჩ-ძესთან ცხოვრობს მისი არასრულწლოვანი შვილი და მათ, გარდა სადავო უძრავი ქონებისა, სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ.

ზემოთ აღნიშნული ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულწლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რწმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს — შემცირდეს. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას. ეს გარემოებები შესაძლებელია იყოს არასათანადო საბინაო პირობები, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართი და სხვა ნებისმიერ ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვანის ინტერესშია და მის ნორმალურ აღზრდას ხელს უშლის. ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე მეორე მშობელი.

**საქმე № ას-108-388-08**

**29 ოქტომბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის შეცვლა (სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რაც აუცილებელია ამ ნორმის სწორი განმარტებისათვის, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომი-

სათვის აუცილებელია არსებობდეს ქონება, რომელიც შექმნილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს. ქონებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო უძრავი ნივთი, რომელიც შექმნილი იქნა მათ მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს, არამედ ის სახსრებიც რომლითაც შექმნილია ეს ქონება. ამდენად, განსახილველი ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ქონება შექმნილია მეორე მეუღლის ქონებრივი მონაწილეობის გარეშე და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ისევ არიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, პრეუდიციულ მნიშვნელობას კანონი ანიჭებს არა უფლებას, არამედ ფაქტს — ქორწინების ფაქტობრივ შეწყვეტას ან მათ ცალ-ცალკე ცხოვრებას. იმ შემთხვევაში, თუ ირკვევა მეორე მეუღლის ქონებრივი მონაწილეობა, რაც მიუთითებს ამ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმზე, დაუშვებელია საკუთრების ჩამორთმევა, რადგან აღნიშნულს განსახილველი ნორმა არ ითვალისწინებს. თანასაკუთრების რეჟიმის არსებობის შემთხვევაში სასამართლომ შეუძლია მიმართოს მის საერთო ან განსაკუთრებული გაყოფის წესს, რაც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია არსებობდეს ქონება, რომელიც შექმნილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს; ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს ამ შემთხვევაში არ ეკისრება გადაამწყვეტი მნიშვნელობა; ივარაუდება, რომ ეს ქონება არ არის შექმნილი ოჯახის ინტერესებისათვის და საერთო სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის მიზნით, ამასთან ერთად უნდა არსებობდეს ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილების ცხოვრების ფაქტი; მეორე მეუღლის მიერ საერთო ქონების ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯვის ფაქტი.

ერთ-ერთი ზემოთაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობა იწვევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას.

#### **საქმე № ას-354-640-04**

**ივლისი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ერთ-ერთი მეუღლის ვალის გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება (სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 1170-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის ვალის გამო, მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად მიუთითა, რომ, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ოჯახის ინტერესებისათვის აღებული ვალი გადახდილი უნდა იქნეს ორივე მეუღლის თანაბარი საკუთრებიდან, თუმცა შემდგომში ნაცვლად ვალის გადახდევინების წესის განსაზღვრისა, სოლიდარულ მოვალედ ცნო ლ. ნებიერიძე თანხის გადახდის ნაწილში. სკ-ის 1170-ე მუხლი განსაზღვრავს ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესს ანუ, როგორ უნდა მოხდეს დადგენილი ვალის გადახდევინება, რაც არ წარმოშობს ვალდებულებას თანხის გადახდის თაობაზე.

#### **საქმე № ას-531-505-2013**

**9 დეკემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტი (სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ობიექტური მომენტი განქორწინების რეგისტრაციაა, ვინაიდან, განქორწინებული მეუღლეებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა იყოს მოთხოვნის უფლების არსებობის თაობაზე,

მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მხარეებს შორის ქონებრივი დავის არსებობა-არარსებობა ერთ-ერთი კრიტერიუმი, რაც განსაზღვრავს განქორწინების საკითხის გადაწყვეტის წესს.

**საქმე № ას-1035-1228-08**

**23 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ოჯახის საერთო ინტერესებისათვის აღებული ვალი**

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ა.ძ-შვილმა ნასესხები თანხა ოჯახის საერთო ინტერესებს მოახმარა, ვინაიდან ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში თანხის დაბანდება თავისთავად მთელი ოჯახის საკეთილდღეოდ მიმართულ ქმედებად უნდა შეფასდეს და, შესაბამისად, თანხის დაბრუნება უნდა მოხდეს მთლიანად მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან. ა.ძ-შვილმა და ჯ.კ-ძემ აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგო ვერ დაასაბუთეს.

**საქმე № ას-1076-1328-05**

**9 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მეუღლეთა ურთიერთრჩინის მოვალეობა (სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლი, რამაც გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, მეუღლეები მოვალე არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. ასეთ დახმარებაზე უარის თქმისას ანდა სარჩოს მიცემის შესახებ მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობისას სარჩოს მიღების უფლება აქვს ასევე შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს.

საქმეში წარმოდგენილია სოციალური უზრუნველყოფის ფილიალის ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ პ-ვა ბ. კ-ი მე-2 ჯგუფის ინვალიდია. სააპელაციო სასამართლო განჩინებაში უთითებს, რომ მე-2 ჯგუფის ინვალიდობა არ ნიშნავს, რომ პირი შრომისუუნაროა და საჭიროებს მატერიალურ დახმარებას.

არსებობს ინვალიდობის სხვადასხვა ჯგუფი. ინვალიდობა არის შრომისუუნარიანობის მდგომარეობა, რომელიც შეიძლება იყოს სხვადასხვა ხარისხის. ამდენად, განსახილველი ნორმით გათვალისწინებული შრომისუუნარიანობის ცნებაში იგულისხმება პირის ისეთი მდგომარეობა, რომლის არსებობისას იგი სრულად ან ნაწილობრივ კარგავს შრომისუუნარიანობას (ინვალიდობა). სადავო ურთიერთობის ამ ნორმით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია არსებობდეს კიდევ ერთი პირობა, რომელიც განსაზღვრავს კასატორის მატერიალურ მდგომარეობას.

**საქმე № ას-41-40-2010**

**7 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი\***

**განმარტების საგანი: მამობის დადგენა (სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას. აღნიშნული ნორმა დისპოზიციურია და შეიცავს ბავშვის მამობის დადგენის რამოდენიმე საფუძველს და არა — სრულ ჩამონათვალს. ამასთან, ამ ნორმით დასახელებული საფუძველების კუმულატიურად არსებობა სავალდებულო არ არის და სასარჩილო მოთხოვნის კანონიერება დამოკიდებულია არა ყველა მითითებული გარემოებების არსებობაზე, არამედ გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს ჩამოყალიბებულ შინაგან რწმენაზე, რომელიც ემყარება მხა-

\* 2011 წლის 09 დეკემბრის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით შეიცვალა სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი. მითითებულ მუხლთან დაკავშირებით, აღნიშნულ საქმეზე გაკეთებული განმარტება შეეხება 1190-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქციის მე-4 ნაწილს.

რეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული განხილვით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც სარწმუნოდ ადგენენ ბავშვის მამის ვინაობას.

ნორმაში მითითებული დათქმა „მხედველობაში იღებს“ არსობრივადაც ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს ისეთი გარემოებებიც (ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ბავშვის ერთად აღზრდა ან რჩენა), რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მიანიშნებენ მოთხოვნის საფუძვლიანობას. ამდენად, ნორმაში მოცემული სიტყვათა წყობა „მხედველობაში იღებს“ არ უნდა განიმარტოს მისი ვიწრო გაგებით, არამედ იგი გულისხმობს, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე,

სასამართლოს შეუძლია მამობის დადგენისას გაითვალისწინოს ამავე ნორმაში მოცემული მამობის არაცალსახად დამდგენი ფაქტობრივი გარემოებებიც.

### **საქმე № 3კ-1047-02**

**19 დეკემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: შვილის გვარის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლი)**

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მხარეები არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1989 წლიდან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი, კ. და ე. 2000 წელს გარდაიცვალა 1991 წელს დაბადებული ე. და მხარეებს დარჩათ ერთი შვილი კ., რომლის დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის მამად ჩაწერილია მოპასუხე ი. თ.-ი. მ. კ.-მ სასარჩელო განცხადებით ითხოვა ბავშვს გვარად დედის გვარი კ.-ი განსაზღვროდა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ს 1195-ე მუხლით, რომლის თანახმად შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით თუ მშობლებს საერთო გვარი არ აქვთ შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით. სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე დავის შემთხვევაში სასამართლომ უპირველეს ყოვლისა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ინტერესები, თუმცა გადაწყვეტილებაში არ დაასაბუთა თუ რატომ არის ბავშვის ინტერესებში, რომ იგი ატარებდეს დედის და არა მამის გვარს. მართლაც ის გარემოება, რომ ბავშვს, რომელიც დავის გადაწყვეტის დროს 12 წლის იყო, სურს ატაროს დედის გვარი, არ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის ინტერესების დაცვად. მოსარჩელე მ. კ.-ა, ვერც სასარჩელო განცხადებაში და ვერც სასამართლო სხდომაზე ვერ განმარტავს, თუ რატომ არის დედის გვარის განსაზღვრა ბავშვის ინტერესებში.

### **საქმე № ას-118-454-05**

**11 მაისი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: არასრულწლოვნის საქართველოდან გასვლა**

კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ დაუშვებლად მიიჩნევს საქართველოდან 16 წლამდე ბავშვის დროებითი გასვლას, მისი კანონიერი წარმომადგენლის უნებართვოდ და სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის თანხლების გარეშე; არასრულწლოვანის საქართველოდან დროებით გასვლის საკითხზე, კანონიერ წარმომადგენელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა სასამართლოს ანდობს მშობელთა უთანხმოების შემთხვევაში არასრულწლოვანს საქართველოდან დროებითი წაყვანის საკითხის გადაწყვეტას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ ასეთი დავის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი იმის თაობაზე, რომ მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ორივე მშობელს დაცვილებული ბავშვის უფლებას, რომ მას რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირადი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის უკეთეს ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო პალატის მითითება იმის შესახებ, რატომ ჩაითვლება მც-

რეწლოვანი ნ. მ-ის გერმანიაში აღსაზრდელად წაყვანა მისი ინტერესებისათვის სასარგებლოდ და საქართველოში დარჩენა საზიანოდ.

საქმეში წარმოდგენილია ქ.თბილისის განათლების განყოფილების მეურვეობისა და მზრუნველობის საკოორდინაციო კომისიის დასკვნა იმის თაობაზე, რომ თუ ორივე მშობელი საქართველოში იცხოვრებს, ამ შემთხვევაში ბავშვი დედასთან უნდა აღიზარდოს, ვინაიდან იგი მშობლების დაშორების შემდეგ იზრდებოდა მასთან და ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი ნორმალური აღზრდისათვის; ამჟამად დედას, დ. ხ-ეს, მამისაგან განსხვავებით ერთ ბავშვზე უხდება მზრუნველობის გაწევა, მაგრამ კომისიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ნ. მ-ე მწ.აა და ეს ის ასაკია, როდესაც ბიჭი უნდა ჩამოყალიბდეს მამაკაცის სტატუსში და ძალიან აქტუალურია მამასთან მჭიდრო ურთიერთობა, რაც შეუძლებელი იქნება ბავშვის უცხოეთში ცხოვრების პირობებში, ამიტომ მეურვეობისა და მზრუნველობის კომისიამ სასამართლოს თხოვა ამ საკითხის გადაწყვეტა თავის კომპეტენციის ფარგლებში. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ზემოაღნიშნულ დასკვნაში მითითებული გარემოებები და დ. ხ-ეს ნება დაერთო მცირეწლოვანი შვილის საზღვარგარეთ საცხოვრებლად წაყვანაზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მშობლების დაცილების შემდეგ ბავშვი იზრდებოდა დედასთან და მას უცხოეთში საცხოვრებლად კარგი პირობები გააჩნია.

სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა იმის თაობაზე, მცირეწლოვანი ნ. მ-ის საზღვარგარეთ საცხოვრებლად გაყვანა და მამასთან დაშორება ბავშვის აღზრდა-ჩამოყალიბებაზე უარყოფით გემოქმედებას ხომ არ მოახდენს. სკ-ის 1200-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. საკასაციო პალატა მიაჩნია, რომ ნ. მ-ის მუდმივ საცხოვრებლად გერმანიაში წაყვანის შემთხვევაში მამა, ნ. მ-ე მოკლებული იქნება შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს ბავშვის აღზრდაში და გადაწყვიტოს შვილის აღზრდის საკითხი.

#### საქმე № ას-136-462-04

14 ივნისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

#### განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი)

სკ-ის 1201-ე მუხლის თანახმად, თუ განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზე დამოკიდებული, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდნენ არასრულწლოვანი შვილები, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო შვილების ინტერესების გათვალისწინებით; ამავე კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლებამოვალეობები აქვთ, ხოლო 1198-ე მუხლით დადგენილია, რომ მშობლები უფლებამოსილნი და მოვალენი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მშობლების უფლებამოვალეობათა სრული თანასწორობისა და ბავშვის სწორი აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, მართალია, ბავშვის აღზრდის ინტერესებში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მშობლების მატერიალური პირობები, მაგრამ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორი მორალური გარემოს შექმნას შეძლებენ მშობლები ბავშვისათვის.

მშობლების მატერიალური მდგომარეობის, ასაკის, მორალური სახის, ინტელექტუალური დონის, ბავშვის აღზრდაში მონაწილეობის ხარისხის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ნ. რ-ის ოჯახში შექმნილი გარემო ვერ შეუწყობს ხელს ბავშვის სულიერ განვითარებას და საზოგადოების ღირსეულ წევრად აღზრდას. ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, დღესდღეობით ა. ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად უნდა განსაზღვროს მამის საცხოვრებელი ადგილი, რაც არ ართმევს უფლებას დედას, სისტემატური ურთიერთობა

ჰქონდეს ბავშვთან. ამასთან, სწორად მიუთითა სააპელაციო სასამართლომ, რომ გარემოებების შეცვლის შემთხვევაში დაინტერესებულმა მხარემ კანონით გათვალისწინებული წესით შეიძლება დააყენოს საკითხი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ.

**საქმე № ას-441-416-2011**

**27 სექტემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების შეუთანხმებლობისას არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილს განსაზღვრავს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმციას დედის ან მამის სასარგებლოდ. სასამართლო დავის გადაწყვეტისას ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე არკვევს, თუ რომელ მშობელს შეუძლია უკეთ უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა, რაც მართო საბინაო-საყოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობებზე არ არის დამოკიდებული. ბავშვის აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა იგი შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული, თუკი მის ინტერესებს არ შეესაბამება. მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვანების ქ. და ც. ნ-ების მამისადმი მიჩვევა და მათ მიერ დედის საწინააღმდეგოდ დასახელებული გარემოებების (ფიზიკური ძალადობის, დედის უარყოფითი ხასიათის) თვით მოდავე მხარეთა და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთა განმარტებებთან (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმები) ურთიერთშეჯერების საფუძველზე საკასაციო სასამართლო ასკვნის: ბავშვების მიჩვევა ერთი მშობლისადმი, მამისადმი, ამ უკანასკნელის მიერ მშობლიური მოვალეობებისადმი გონივრული მიდგომის შედეგი არ არის და იგი გამოწვეულია სურვილით, მოიპოვოს ბავშვის კეთილგანწყობა ყოველგვარი, თუნდაც არასწორი აღმზრდელობითი ღონისძიებების ფასად. სასამართლოს ეს მოსაზრება ემყარება იმ გარემოებას, რომ არასრულწლოვანებს სასამართლო სხდომაზე მიცემულ განმარტებებში მამის ოჯახში არსებულ კონფლიქტურ სიტუაციებთან დაკავშირებით ასაკთან შესაბამის დასკვნები გამოაქვთ, რაც მათზე არაჯანსაღი ფსიქიკური ზემოქმედების შედეგად არის გამოწვეული. ამავე მიზეზითაა განპირობებული გოგონების მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება დედის მიმართ, რაც უდავოდ ხელს შეუშლის ბავშვების ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

„ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც აუცილებელია ერთ-ერთ მშობელთან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, ეს გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვების ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, აღიზარდონ და იცხოვრონ მატერიალურად და მორალურად ჯანსაღ გარემოში. ბავშვის აღზრდისათვის გარემოს შესაბამისობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დეტალურად და დამაჯერებლად უნდა შემოწმდეს და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მიმართებით გადამწყვეტი მნიშვნელობა მორალურ და არა მატერიალურ მხარეს უნდა მიენიჭოს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის — მ. ა-ის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა არ ეწინააღმდეგება ბავშვების ინტერესებს, რადგან დედას ბავშვების აღზრდისათვის სათანადო პირობები აქვს.

საქმე № ას-904-944-2011

18 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების შეუთანხმებლობისას არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილს განსაზღვრავს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმფციას დედის ან მამის სასარგებლოდ. სასამართლო დავის გადაწყვეტისას ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე არკვევს, თუ რომელ მშობელს შეუძლია უკეთ უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა, რაც მართო საბინაო-საყოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობებზე არ არის დამოკიდებული. ამდენად, დავის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრიორიტეტის განსაზღვრა უნდა მოხდეს არა მშობლების, არამედ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში, მშობლების განმარტებით დგინდება, რომ მცირეწლოვანი რაინდი გ-ე ორი წელია ცხოვრობს მამის ოჯახში, ამჟამად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დაიწყო სწავლა სკოლაში. მამის განმარტებით, ბავშვი მიჩვეულია არსებულ გარემო პირობებს, რაც დამაჯერებელია, რადგან ბავშვის დედის ან მამის გარემოში დიდხანს ყოფნის შემდეგ იგი ეჩვევა მას და უყალიბდება გარკვეული კავშირები, რომელთა შეწყვეტამ და მისმა სხვა ოჯახურ გარემოცვაში გადაყვანამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოზარდზე. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რაინდი გ-ის მცირეწლოვანი და — თ. გ-ე იზრდება დედასთან. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნებს და-ძმის დაცილების შედეგებთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ მცირეწლოვანი და-ძმის განცალკევებით აღზრდა უარყოფითად იმოქმედებს მათ ფსიქიკაზე. არასრულწლოვანი და-ძმის დაცილება დასაშვებია მაშინ, როდესაც ეს აუცილებლობითაა გამოწვეული და მშობელს, რომელთანაც ბავშვი იზრდება, არ აქვს შესაძლებლობა, შეუქმნას მას აღზრდის ნორმალური პირობები. მოცემულ შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტოს დასკვნით დგინდება, რომ დედას აქვს ბავშვების აღზრდისათვის პირობები. ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნული არ არის საკმარისი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის გადასწყვეტად.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ ეს საკითხი არ გამოკვლეულა, კერძოდ, სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე გამოარკვია მშობლების — თ. ხ-ასა და ზ. გ-ის საცხოვრებელი პირობები, რომელიც მნიშვნელოვანია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, თუმცა გადამწყვეტია თვითონ მცირეწლოვანის დამოკიდებულება უკვე არსებული საცხოვრებელი პირობებისადმი. ამ საკითხის გამოკვლევისას სასამართლომ სპეციალისტის (მოცემულ შემთხვევაში, ფსიქოლოგის) აზრის გათვალისწინებით უნდა შეაფასოს რაინდი გ-ის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზანშეწონილობა. ამდენად, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას კომპლექსურად უნდა გაირკვეს, როგორც საცხოვრებელი ადგილის პირობების სათანადოობა, ასევე ბავშვის ფსიქიკური მონაცემები და დამოკიდებულება მოსალოდნელი ცვლილებებისადმი.

საქმე №ას-1062-996-2012

22 იანვარი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. აღნიშნული ნორმით განმტკიცებულია მშობლების თანაბრობის პრინციპი ბავშვის მიმართ. არც ერთ მშობელს არა აქვს უპირატესობა ბავშვის მიმართ უფლება-ვალდებულებების განხორციელებაზე.

ამავე კოდექსის 1201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზე დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

როგორც ჩანს, ზემოაღნიშნული ნორმები არ მოიცავს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების ნორმატიულ აღწერილობას, რაც მოგვცემდა კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების კვლევას. ამდენად, ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ბავშვის ინტერესების“ განსაზღვრას, სასამართლო პრაქტიკისა და საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით.

ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ეფექტური უზრუნველყოფა, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, ითვალისწინებს იმ ზომების განხორციელების უფლებას, რომელიც მიმართულია მშობლისა და ბავშვის გაერთინებისაკენ, მაგრამ ამასთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ გარკვეული ზომების მიღების ვალდებულება არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. შესაძლებელია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ ყველა სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობის გათვალისწინებით დადგება მშობლისა და ბავშვის გაერთიანების აუცილებლობა, წარმოიშვას ბავშვის მშობელთან დაბრუნების პროცესთან დაკავშირებული საკითხები, რისთვისაც აუცილებელია გარკვეული წინაპირობების შესწავლა.

გაერთიანებული ერების „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

ამდენად, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის მიჯაჭვულობას ერთ-ერთ მშობელთან. სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ფსიქო-პედაგოგიური ექსპერტიზის მიხედვით, თუ რომელი მშობლის მიმართ განიცდის უფრო მეტ სიმპათიას ბავშვი და რომელთან დარჩენა უფრო სასარგებლო იქნება მისი ფსიქიკური განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, ბავშვის მშობელთან დამოკიდებულებას არ გააჩნია გადაწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ აღნიშნული კრიტერიუმი სხვა კრიტერიუმებთან ერთად მოითხოვს შესაბამის კვლევას.

## საქმე №ას-1194-1123-2012

22 ნოემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურება

განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს მ.კ.-ვის მცირეწლოვან შვილთან ურთიერთობის წესისა და ბავშვის სარჩენად დაკისრებული ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა.

სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლი ადგენს, რომ შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს



ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

მითითებულიდან გამომდინარე, კანონმდებელი აღიარებს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით მშობლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კომპეტენტურობას, რაც უნდა განხორციელდეს მხოლოდ მშობლების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნულ პრინციპს განამტკიცებს ამავე კოდექსის 1202-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მეორე ნაწილის თანახმად კი, მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები. შესაბამისად, კანონის ზემოხსენებული დანაწესი ითვალისწინებს მშობლების მიერ ასეთი შეთანხმების მიუღწევლობის შესაძლებლობასაც და სადავო საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას სასამართლოს მიანდობს.

სწორედ ბავშვის აღზრდასა და მისი ცხოვრების წესის განსაზღვრას უკავშირდება სადავო საკითხი დედასთან მცხოვრები მცირეწლოვანი ბავშვის მამასთან ურთიერთობის წესის დადგენის თაობაზე, თუმცა როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლებმა დავა განხილეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აუცილებელი მონაწილეობის გარეშე, რითაც შეილახა არასრულწლოვანი ა. კ-ის უფლებები.

სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლის შესაბამისად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

ზემოაღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ მსგავსი ტიპის დავების განხილვისას სასამართლოსათვის უპირველესად სახელმძღვანელოა ბავშვის კეთილდღეობა და მისი უფლებების დაცვა, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულებელყოფილ იქნა.

სადავო საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს გარემო, სადაც ბავშვი ცხოვრობს და სადაც მას ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ორივე მშობელთან, არასრულწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებანი, რის შედეგადაც შესაძლებელია, გადაწყდეს, რამდენი ხნით და რა წესით უნდა დაერთოს მამას შვილთან ურთიერთობის (დედისაგან დამოუკიდებლად წაყვანის, ღამით დატოვებისა და სხვა) ნება. ხსენებული საკითხების შესწავლაში კი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლი შეუცვლელია, რადგან დაუინტერესებელი პირის დასკვნა შეიძლება გახდეს სარწმუნო მტკიცებულება სასამართლოსათვის მით უფრო, რომ მ.კ-ე მიუთითებდა მ.კ-ის მხრიდან ბავშვზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის საფრთხეზე.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ არც ერთი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია მ.კ-ის მითითებაზე მცირეწლოვანი ა. კ-ის ჯანმრთელობის რთული მდგომარეობის შესახებ, რის გამოც ბავშვი საჭიროებს განსაკუთრებულ ზრუნვას (მკურნალობასა და კვების რეჟიმს).

## საქმე № 3კ/480-01

28 ნოემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: მშობლის უფლების ჩამორთმევა (სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლი)

საქმის მასალებით დადგენილია, რომ კ. მ-ძეს და ნ. ა-შვილს 19.... წელს შეეძინათ შვილი ზ. მ-ძე; 1993 წელს ცოლ-ქმარი განქორწინა. 1994 წლიდან კ. მ-ძე მუდმივად იმყოფება საზღვარგარეთ რუსეთის რესპუბლიკაში; იგი არ უხდის შვილს აღიწესს, არ მონაწილეობს მის ფიზიკურ და სულიერ აღზრდაში; სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით მშობლებს (ან ერთ-ერთ მათგანს) შეიძლება ჩამოერთვათ მშობლის უფლება, თუ გამოირკვა რომ ისინი (ან ერთ-ერთ მათგანი) სისტემატურად არიდებენ თავს შვილების აღზრდის მოვალეობის შესრულებას.

პალატა თვლის, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა უკიდურესი ღონისძიებაა, რომლითაც წყდება შვილსა და მშობელს შორის როგორც იურიდიული, ისე სოციალური კავშირი, კანონის ნორმა სისტემატურ თავის არიდებაში გულისხმობს შემთხვევას, როცა მშობელს აქვს როგორც ფიზიკური, ასევე მატერიალური

შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ბავშვის აღზრდა-განვითარებაში, მაგრამ შეგნებულად ასეთს არ ახორციელებს;

კ. მ-მე ფიზიკურად არ იმყოფება საქართველოში, რის გამოც ბუნებრივია მხარეს ესპობა ან შეზღუდული აქვს საშუალება მშობლიური მზრუნველობა გამოიჩინოს შვილისადმი; მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ კ. მ-მის მატერიალური მდგომარეობა იძლევა საშუალებას დაეხმაროს ფინანსურად შვილს, მაგრამ ასეთს ადგილი არ ჰქონია; გამომდინარე აღნიშნულიდან პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები მშობლის, კ. მ-მის მიერ შვილის მიმართ ნაკლები მზრუნველობისა და უყურადღებობის გამოხატველი კი არის, მაგრამ არ შეიძლება მისი აღზრდის მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდების ბრალეულ ქმედებად იქნეს მიჩნეული.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ერთ-ერთი ძირითადი მოტივი, რომელმაც კ. მ-მისათვის მამობის ჩამორთმევის მოთხოვნა განაპირობა მომავალში ზ. მ-მისათვის გვარის შეცვლაა; პალატის აზრით აღნიშნული არაპირდაპირ ადასტურებს, მშობლის უფლების ჩამორთმევის ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობას.

### **საქმე № ას-1275-1514-05**

**30 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე, შრომისუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. ეს მოვალეობა თანაბრად ეკისრება როგორც მამას, ისე დედას. ამავე კოდექსის 1214-ე მუხლის შესაბამისად, თუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. სასამართლო განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას შვილების სასარგებლოდ, მხედველობაში იღებს ხელფასისა და დამატებითი ანაზღაურების ყველა სახეობას იქნება ის ძირითადი, თუ შეთავსებითი სამუშაო. ამდენად, ბავშვისათვის ალიმენტის განსაზღვრისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ რამდენს შეადგენს ალიმენტის გადამხდელის რეალური შემოსავალი თვიურად.

### **საქმე № ას-1290-1525-05**

**22 მაისი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი)**

საკასაციო პალატამ დასაბუთებულად მიაჩნია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი; ამ ნორმის თანახმად თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე — შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროს სასამართლომ შეიძლება

გათვალისწინოს, როგორც მყარი ოდენობით სახსრების გადახდევინება, ისე წლიური შემოსავლის ყოველთვიური სტაბილური ნაწილის განსაზღვრული პროცენტის დაქვითვა. მაგრამ სასამართლომ უნდა მიუთითოს მოპასუხის შემოსავლის წყარო და მისი კონკრეტული ოდენობა. ამიტომ საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვინაიდან მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება თ. ხომასურიძის ხელფასის შესახებ, ამიტომ რაიონულმა სასამართლომ სწორად განსაზღვრა ალიმენტის ოდენობა ყოველგვარი შემოსავლის 1/4-ის ოდენობით.

**საქმე № ას-1356-1194-2010**

**4 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი)**

კანონის ზემოხსენებული დანაწესი ადგენს მშობელთა ვალდებულებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების მატერიალური კეთილდღეობა. აღნიშნული მიზნით მშობლები თანხმდებიან შვილის სარჩენად განკუთვნილი ალიმენტის ოდენობის შესახებ, თუმცა მითითებული შეთანხმების მიუღწევლობისას გადაწყვეტილებას ალიმენტის მოცულობის თაობაზე მიიღებს სასამართლო.

კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენისათვის აუცილებელ მინიმალურ, ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, თითოეული მშობლის კმაყოფილება მყოფ პირთა რიცხვი, სარჩენი ბავშვის ასაკი, მისი საჭიროებანი, ალიმენტის გადამხდელი მშობლის სხვა შვილის (შვილების) არსებობა. ცხადია, ალიმენტის გადამხდელ მშობელთან მისი დანარჩენი შვილების ცხოვრების შემთხვევაში მათ სარჩენ არასრულწლოვანთან მიმართებით რაიმე სახის უპირატესობა არ ენიჭებათ.

**საქმე № ას-58-49-2011**

**27 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის შესაბამისად, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

კანონის ზემოხსენებული დანაწესი ადგენს მშობელთა ვალდებულებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების მატერიალური კეთილდღეობა. აღნიშნული მიზნით მშობლები თანხმდებიან შვილის სარჩენად განკუთვნილი ალიმენტის ოდენობის შესახებ, თუმცა მითითებული შეთანხმების მიუღწევლობისას გადაწყვეტილებას ალიმენტის მოცულობის თაობაზე მიიღებს სასამართლო.

კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფილება მყოფ პირთა რიცხვი და სხვა.

მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხე ზ. ა-ძე არის შრომისუნარიანი პირი, ხოლო მოსარჩელე მეორე ჯგუფის ინვალიდია უვადოდ და მკურნალობას საჭიროებს. ამასთან, მართალია, მოპასუხე ოფიციალურად უმუშევარია, მაგრამ აღნიშნული არ გამოირიცხავს მისი თვითდასაქმე-

ბისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობას. თავად მოპასუხის განმარტებით, იგი ავტომანქანებით ვაჭრობდა, ჰქონდა ხის საამქრო, ასევე, როგორც მუსიკოსი, შეკვეთებით იღებდა შემოსავლებს. ამდენად, მოპასუხე თვითდასაქმებული იყო და შემოსავლებიც გააჩნდა, თუმცა, მისივე განმარტებით, ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობას მან თავი დაანება ალიმენტის თაობაზე სარჩელის შეტანამდე რამდენიმე თვით ადრე. უდავოა, რომ ინდემწარმედ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მოპასუხემ საგადასახადო ორგანოს მიმართა მის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემდეგ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ ზემოაღნიშნული იძლევა იმ პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ მოპასუხე შესაძლოა, ამჟამადც დასაქმებული იყოს იმავე ან სხვა საქმიანობით. ამასთან, ეს პრეზუმფცია სარწმუნოდ გაქარწყლებულიც რომ იყოს, მოპასუხე არ უარყოფს, რომ მოსარჩელესთან განქორწინების შემდეგ, იგი ცხოვრობს სოფელში დედასა და დასთან ერთად, სადაც აქვთ დაახლოებით 1 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ჰყავთ საქონელი და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ყიდნიან ბაზარში, შესაბამისად, აქვთ შემოსავალიც. განსახილველ შემთხვევაში, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს ასევე მიღებული ის გარემოება, რომ მცირეწლოვანი ნ. ა-ძე (ისევე როგორც მოსარჩელე) დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით და, გარდა ჩვეულებრივი ყოველდღიური მოთხოვნებისა, საჭიროებს დამატებით სახსრებს მკურნალობისათვის, მედიკამენტებისა და ექიმების მომსახურებისათვის. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ალიმენტის ოდენობა მინიმალურად მაინც უნდა უზრუნველყოფდეს არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, ანუ — საარსებო მინიმუმს. ალიმენტვალდებულის უმუშევრობა, თუ ეს არაა გამოწვეული ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ უარი თქვას არასრულწლოვანის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე და არ დაავალდებულოს მშობელი, გადაიხადოს ალიმენტი ამ ოდენობით.

### **საქმე № 3კ-647-03**

**10 ივლისი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: განსაკუთრებული გარემოებების გამო მშობლის მონაწილეობა დამატებით ხარჯებში (სამოქალაქო კოდექსის 1215-ე მუხლი)**

მშობლებისა და შვილის რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით საკასაციო პალატას გონივრულად მიაჩნია ალიმენტის დაკისრება მოწინააღმდეგე მხარისათვის 30 ლარის ოდენობით; სკ-ს 1215-ე მუხლის შესაბამისად, მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ს 1215-ე მუხლი. მიუთითა, რომ სკოლის სახელმძღვანელოების შეძენა არ შეიძლება იყოს დამატებითი ხარჯების დაკისრების საფუძველი, აღნიშნული კი სსკ-ს 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

პალატა თვლის, რომ სკოლის სახელმძღვანელოების გარეშე წარმოუდგენელი და შეუძლებელია ბავშვის ნორმალური აღზრდა — განვითარება. ხარჯების დაკისრება ამ მიზნით, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მკურნალობის ხარჯების დაკისრება, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას.

კოდექსის აღნიშნული ნორმა არ შეიცავს იმ შემთხვევების ამომწურავ ჩამონათვალს, როცა მშობელს ეკისრება დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მოვალეობა და იძლევა შესაძლებლობას, სასამართლომ დავის ხასიათის მიხედვით ინდივიდუალურად განსაზღვროს დამატებითი ხარჯების დაკისრების საკითხი.

საქმე № ას-180-507-09

25 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: განსაკუთრებული გარემოებების გამო მშობლის მონაწილეობა დამატებით ხარჯებში (სამოქალაქო კოდექსის 1215-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1215-ე მუხლის თანახმად, მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით დასახიჩრებით და სხვა).

როგორც აღინიშნა, საალიმენტო ვალდებულებათა მიზანია ბავშვისათვის აღზრდისა და რჩენისათვის ნორმალური პირობების შექმნა. საალიმენტო სახსრები შეიძლება არ იყოს საკმარისი იმ დამატებითი ხარჯების განსახორციელებლად, რაც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით. ეს არის განსაკუთრებული გარემოებების გამო დამატებით ხარჯებში მონაწილეობა და არა ბავშვის სარჩენი ხარჯების დამატებითი გადახდევინება, ამიტომ მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების (ან მომავალში აუცილებლად გასაღები ხარჯების) გათვალისწინებით, მყარი თნხებით და არ შეიძლება მისი წილობრივი დაკავშირება ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობასთან. დამატებით ხარჯებში მოპასუხე მშობელი მონაწილეობს ერთგვარი გადასახდელის სახით ან განსაზღვრული დროით განსაზღვრული თანხების გადახდით. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მ. ძ-შვილი არის მძიმე ავადმყოფი და საჭიროებს ოპერაციულ ჩარევას. ბავშვის ავადმყოფობისა და ოპერაციის სირთულის გათვალისწინებით სასამართლოს რეალურად მიაჩნია მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა (2000 ლარი).

საქმე № ას-322-998-03

16 სექტემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: შვილების მიერ შრომისუნარო მშობლი რჩენის ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ბ. გ.-ე ლეზულობს მოხუცებულობის პენსიას თვეში 14 ლარს; მის სახელზე ირიცხება ზესტაფონის რაიონის სოფ. ცხრაწყაროში საცხოვრებელი სახლი და 0,05 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი, სააპელაციო პალატის სხდომაზე ბ. გ.-მ განმარტა, რომ ჰყავს საქონელი, აქვს 5000 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი, რომელსაც ვერ ამუშავებს ასაკის გამო, იგი მიწებს აქირავებს სანახევროდ. მართალია საქმის მასალებით ისიცაა დადგენილი, რომ ბ. გ.-ე ავადმყოფობის გამო საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას, მაგრამ საკასაციო პალატა თვლის, რომ სკ-ს 1218-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მშობლის რჩენის მოვალეობა არ შეიძლება დაეკისროს ლ. გ.-ს, რადგან ამ ნორმის თანახმად სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. გ.-ეს არ სჭირდება დახმარება იმის გამო, რომ მას საოჯახო მეურნეობიდან აქვს შემოსავალი.

საქმე № 3კ-980-02

25 ოქტომბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: და-ძმების ურთიერთრჩენის მოვალეობა (სამოქალაქო კოდექსის 1223-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის შვილის, ჰ. თ-ის, სასარგებლოდ მამას, ვ. თ-ეს, დაკისრებული აქვს ბავშვის სარჩენი ალიმენტი ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე. ასევე დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ ვ. თ-ეს სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის ალიმენტის გადახდის დავალიანება არ ერიცხებოდა. ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლომ სწორად უთხრა უარი მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან სკ-ს 1223-ე მუხლის თანახმად, დები და ძმები მხოლოდ მაშინ არიან მოვალენი, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი დები ან ძმები, როდესაც ისინი დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლი-

საგან. მოცემული მუხლი დებისა და ძმებისათვის სარჩოს დაკისრებისთვის ერთდროულად ორ პირობას ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვანი ჰ. თ-ის მამას დაკისრებული აქვს ალიმენტი, რომელსაც იხდის. ამდენად, მისი დები მოვალენი არ არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ძმა.

**საქმე № ას-639-907-05**

**5 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შვილიშვილის რჩენის მოვალეობა (სამოქალაქო კოდექსის 1225-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსამრებას, რომ შვილების აღზრდის მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა პირველ რიგში აქვს მშობელს. კონკრეტულ დავაში არ მოიპოვება მონაცემები იმისა, რომ მოსარჩელე მშობლის უფლების მოვალეობას შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს. მათი აღზრდა — განვითარების უპირველესი გარანტი დედაა. დედობრივი ყურადღება და მზრუნველობა არ შეიძლება, შეცვალონ უახლესმა ნათესავებმაც კი.

პალატა თვლის, რომ არ არის გასაზიარებელი კასატორის პრეტენზია, რომ ვინაიდან სკ-ის 1203-ე და 1225-ე მუხლების საფუძველზე, ბებია, ისევე, როგორც მშობელი, უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს შვილიშვილების აღზრდაში და იზრუნოს მათთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობებისა და აღზრდა-განვითარებისათვის, მასთან ბავშვების ყოფნა არ შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ის გარემოება, რომ ბებიას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს შვილიშვილების აღზრდაში, არ არის მშობლისათვის ბავშვების დაბრუნებაზე უარის თქმის საფუძველი.

**საქმე № ას-74-407-09**

**23 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პაპისა და ბებუის საალიმენტო მოვალეობანი შვილიშვილების მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 1225-ე მუხლი)**

სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით რომ ბებია და ბაბუა მხოლოდ მაშინ არიან ვალდებული დახმარება გაუწიონ შვილიშვილებს თუ მათ არ ჰყავთ დედა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1225-ე მუხლის შესაბამისად, პაპა და ბებია, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილები, რომელიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლისაგან. მოცემული ნორმის შინაარსიდან ზემოხსენებული მსჯელობა არ გამომდინარეობს და ნორმა არასწორადაა ინტერპრეტირებული. ზემოხსენებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე პაპა და ბებიას რჩენის ვალდებულება ეკისრებათ თუ სახეზეა ორი კუმულატიური პირობა. მათ აქვთ საკმაო შემოსავალი, რათა უზრუნველყონ შვილიშვილისთვის სარჩოს მიცემა და ამასთან სარჩოს მიმღები პირის მშობელი ვერ უზრუნველყოფს შვილის რჩენას. საქმის მასალებით მართალია დასტურდება ის გარემოება, რომ კასატორს აქვს მწირე შემოსავალი, მაგრამ ამასთან, გაურკვეველია მე. მ-ის შემოსავლის ოდენობა და წყარო. მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში მოსარჩელეზეა და მას უნდა წარმოედგინა მე. მ-ის შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რასაც ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად კასატორის მოთხოვნა ალიმენტის ნაწილშიც დაუსაბუთებელია.

**საქმე № ას-2-2-2011**

**31 მაისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წარსული დროის ალიმენტის დაკისრება (სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლი)**

ე. ნ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. გ-ვის მიმართ მამობის დადგენისა და ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით.

ე. ნ-იას სარჩელი დ. გ-ვის მიმართ გასული პერიოდის ალიმენტის დაკისრების ნაწილში სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ ე. ნ-იას სარჩელის წარდგენამდე არასოდეს მოუთხოვია მოპასუხისათვის ალიმენტის გადახდა და არავითარი ზომა არ მიუღია მის მისაღებად.

სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მე-2 პუნქტით, ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან. წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას.

აღნიშნული ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სარჩელის წარდგენამდე სარჩოს მოთხოვნისა და ვალდებული პირის მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებაზე თავის არიდების ფაქტები, რომელთა დამადასტურებლად ე.წ. იამ სარჩელშიც და სააპელაციო საჩივარშიც მიუთითა მოწმეთა ჩვენებებზე. ამ მტკიცებულებათა შეუფასებლობა წარმოადგენს რა კასატორის დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ მიმართებით სააპელაციო სასამართლოს სრულად და უტყუარად არ გამოუკვლევიან შემთხვევითი მტკიცებულებები

მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტით, წინა წლების ალიმენტის მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან დ.გ-ვის მამობის ფაქტი წინამდებარე სარჩელით დადგინდა. საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ მშობლების უფლებამოვალეობების წარმოშობის საფუძველია შვილის წარმომავლობა და არა ამ წარმომავლობის ფაქტის დამოწმება. მშობლის უფლებამოვალეობები შვილის მიმართ წარმოიშობა ბავშვის დაბადებიდან და არა იმ მომენტიდან, როცა მამობა სასამართლო წესით იქნა დადგენილი.

## საქმე № ას-1003-1257-05

9 მარტი, 2005 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ალიმენტის დავალიანების გადახდევინება (სამოქალაქო კოდექსის 1235-ე მუხლის პირველი ნაწილი)

დადგენილია, რომ ლ. ბ-ე და ნ. ქ-ე ბათუმის სახალხო სასამართლოს 1988წ. 6 ივლისის გადაწყვეტილებით განქორწინდნენ. ამავე გადაწყვეტილებით ნ. ქ-ეს დაეკისრა შვილის — თ. ქ-ის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა გამომუშავების 25%-ის ოდენობით. იგი მუშაობდა ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში 2001წ. ივნისამდე. მას სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე გამომუშავებიდან ექვითებოდა 25% ლ. ბუჟაძის სასარგებლოდ 1995წ. ივნისის ჩათვლით. მოპასუხეს ივლისიდან ექვითებოდა ხელფასი, მაგრამ, გადარიცხვების შეფერხების გამო, ეს თანხა დაგროვდა ქარხანაში, რომელიც შეადგენს 185 ლარსა და 39 თეთრს. თანხა დაიქვითა 1995წ. დანარჩენი პერიოდისათვის და 1996-97 წლების გარკვეული თვეებისათვის, ხოლო დანარჩენი დროის განმავლობაში ნ. ქ-ე იმყოფებოდა უხელფასო შვებულებაში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დამყარდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო მოსარჩელისათვის ყოველთვიურად გადაეხადა ალიმენტი. ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სკ-ის ის ნორმები, რომლებიც ეხება სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობას. კერძოდ, სკ-ის 128-129-ე მუხლები.

სკ-ის 1235-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტის დავალიანების გადახდევინება წარსული დროისათვის შეიძლება არა უმეტეს სამი წელი სააღსრულებო ფურცლის გადასახდელად წარდგენამდე. აღნიშნული მუხლი აწესრიგებს ისეთ ურთიერთობას, როცა უკვე გაცემულია სააღსრულებო ფურცელი და გადახდევინება უნდა მოხდეს არა აღსასრულებლად მისი წარდგენის მომენტიდან, არამედ გასული დროის სამწლიანი ვადის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მოვალე იხდიდა ალიმენტს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შემდეგ კი შეწყვიტა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, სკ-ის 1235-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა განისაზღვროს ნ. ქ-ვის გასული სამი წ. ალიმენტის დაკისრება, რაც შეადგენს 1368 ლარს.

საქმე № 1ს-711-1041-07

19 მარტი, 2008 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ალიმენტის გადახდისგან განთავისუფლება (სამოქალაქო კოდექსის 1237-ე მუხლი)**

1237-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ასევე უფლებამოსილია, გაათავისუფლოს ალიმენტის გადახდისგან ვალდებული პირი თუ არსებობს საპატიო მიზეზი. ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება გახდეს მატერიალური და ოჯახური პირობების გაუარესება, ავადმყოფობა და სხვა, რაც არ ნიშნავს მომავალში სავსებით განთავისუფლებას ალიმენტის გადახდისგან. ალიმენტის გადამხდელი მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს გადასახდელი ალიმენტის ოდენობა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა. თ-აძემ, 2006 წლის 26 მარტს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, მიიღო თავის ქალის მძიმე ტრავმა. ვაკე-საბურთალოს სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 2006 წლის 18 სექტემბრის დასკვნით, ა. თ-აძეს მიენიჭა შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდვის სტატუსი, კერძოდ, დაუდგინდა შრომითი საქმიანობის უნარის, გადაადგილებისა და თვითმომსახურების შესაძლებლობის შეზღუდვა და საჭიროებს გარეშე მომვლელს.

აღნიშნული ტრავმის გამო, სს „...-ის“ გენერალური დირექტორის 2006 წლის 20 ივლისის ბრძანებით, ა. თ-აძე გაათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საალიმენტო ვალდებულება ემსახურება პირის რჩენის უზრუნველყოფას. მოცემულ შემთხვევაში, როცა ა. თ-აძეს შეზღუდული აქვს შრომითი საქმიანობის, გადაადგილებისა და თვითმომსახურების უნარი და საჭიროებს გარეშე მომვლელს, იგი ვერ უზრუნველყოფს არათუ შვილის რჩენას, არამედ საკუთარი თავის რჩენასაც, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. თ-აძე უნდა გაათავისუფლდეს ალიმენტის გადახდის ვალდებულებისგან. ა. თ-აძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ მოსარჩელე უფლებამოსილია, კვლავ მიმართოს სასამართლოს ალიმენტის განსაზღვრის მოთხოვნით.

საქმე № 1ს-845-1119-05

26 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სრულწლოვანი პირის შვილება (სამოქალაქო კოდექსის 1239-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სკ-ის 1272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და იმავე კოდექსის 1239-ე მუხლის მე-2 ნაწილი. 1239-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ შვილების აუცილებელი პირობა მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობის არსებობაა. საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ კი მოწმეთა ჩვენებებით, მ. ს-ისა და მოსარჩელეთა ასეთი სახის ურთიერთობა დადასტურებული არ არის. მოწმეთა მითითება იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის არსებობდა კარგი ურთიერთობა, რომ ისინი ერთად იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც, რომ მ. ს-ე და მისი ოჯახი ეხმარებოდნენ მოსარჩელეს არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მხარეებს ჰქონდა მშობლისა და შვილის ურთიერთობა, მითუმეტეს, რომ თვით მ. ს-ის განმარტებით, შვილად აყვანამდე და მას შემდეგაც იგი იზრდებოდა და ცხოვრობდა თავის ღვიძლ მშობლებთან.



## 8. მემკვიდრეობითი სამართალი

საქმე № ას-169-496-05

19 აპრილი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა (უღირს მემკვიდრედ ცნობა) (სამოქალაქო კოდექსის 1310-ე და 1312 მუხლები)**

გ. და მ. ჯ-ების სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს რა მოპასუხეთა უღირს მემკვიდრედ ცნობა, საოლქო სასამართლომ მხარეთა შორის არსებულ დავას სავსებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა და დაუშვებლად მიიჩნია სკ-ის 1310-ე მუხლის გამოყენება. აღნიშნული ნორმით არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე).

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ უღირს მემკვიდრედ პირის ცნობა ხდება მაშინ, როდესაც დადგინდება, რომ მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ხელს უშლიდა მამკვიდრებლის ნამდვილი ნების გამოვლენას. სკ-ის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილით კი მამკვიდრებლად მიიჩნევა გარდაცვლილი პირი, რომლის ქონებაც სხვა პირებზე კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობით გადადის. ამავე კოდექსის 1312-ე მუხლის თანახმად, უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები თვითონვე წარმოადგენენ სავარაუდო მამკვიდრებელს და უღირს მემკვიდრედ ცნობას მათთვის არავითარი ქონებრივი შედეგი არ მოჰყვება.

საქმე № 3კ-1246-01

5 ივნისი, 2002 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ერთ დღეს გარდაცვლილ პირთა მემკვიდრეობა (სამოქალაქო კოდექსის 1321-ე მუხლი)**

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ნ. ჩ-ძე და ბ. შ-ძე 1995 წლიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. მეუღლეები 1997წ. 21 ოქტომბერს ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალნენ, მათთან ერთად გარდაიცვალნენ ნ. ჩ-ძის მშობლებიც. ნ. ჩ-ძის ძმებმა — გ. და მ. ჩ-ძეებმა 1998წ. ოქტომბერში სარჩელი აღძრეს სასამართლოში შ. შ-ძის (ბ. შ-ძის მამა) მიმართ და მოითხოვეს ნ. ჩ-ძისა და ბ. შ-ძის ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი, თანასაკუთრებაში არსებული ქონების დადგენა და ამ ქონებიდან დის, ნ. ჩ-ძის, კუთვნილი 1/2 წილი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1321-ე მუხლი, რომლის თანახმად ერთმანეთის შემდეგ მემკვიდრეობის უფლების მქონე პირების გარდაცვალების შემთხვევაში სამკვიდრო გაიხსნება თითოეულის შემდეგ დამოუკიდებლად. ამ ნორმის საფუძველზე პალატამ არასწორად მიუთითა, რომ გ. და მ. ჩ-ძეებს, როგორც მეორე რიგის მემკვიდრეებს, მემკვიდრეობის უფლება წარმოეშობოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნ. ჩ-ძე გარდაიცვლებოდა შუალადისას, ანუ ოცდაათი საათის შემდგომ. ასეთ შემთხვევაში ის არ ჩაითვლებოდა მამკვიდრებელთან ერთად გარდაცვლილად და შესაბამისად მის წილ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას შეიძენდნენ მისი მემკვიდრეები.

საკასაციო პალატა თვლის, რომ 1321-ე მუხლის თანახმად ნ. ჩ-ძის გარდაცვალების შემდეგ გაიხსნა მემკვიდრეობა მის სამკვიდრო ქონებაზე და გ. და მ. ჩ-ძეები სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მეორე

ნაწილის თანახმად წარმოადგენენ აწ გარდაცვლილი ნ. ჩ-ძის, როგორც გარდაცვლილის ძმები, მეორე რიგის მემკვიდრეებს თანასწორი წილის უფლებით.

**საქმე № ას-503-814-09**

**14 იანვარი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამკვიდროს გახსნა კომლში (სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის თანახმად, კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან. ამდენად, მხოლოდ კომლის წევრად რეგისტრაციის (ცნობის) ფაქტი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განსახილველი ნორმით გათვალისწინებული შედეგი დადგეს. აუცილებელია, არსებობდეს სოფლად მცხოვრები პირთა გაერთიანების ის შინაარსი, რომელიც მოიცავს მათ საერთო ქონების საშუალებით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვას.

**საქმე № ას-146-476-09**

**23 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები პირის სამკვიდროს გახსნა (სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლი)**

მამკვიდრებელი ს. უ-იანსკი იყო რუსეთის მოქალაქე, იგი საქართველოდან რუსეთში გაემგზავრა 1985 წელს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუდმივად ცხოვრობდა მეორე ოჯახთან ერთად;

მამკვიდრებელი ს. უ-იანსკი გარდაიცვალა 2002 წლის 29 მარტს. მან დატოვა ანდერძი, რომლის თანახმად მთელი თავისი ქონება უანდერძა ა. უ-იანსკის;

დადგენილია, რომ ა. უ-იანსკის სამკვიდრო მასაში უძრავი ქონების სახით შედის მხოლოდ ხელვაჩაურის რაიონის დაბა მახინჯაურში, ... ქ. № 1-ში მდებარე 750კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ ი. უ-იას მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მართლობიერება. რამდენადაც მამკვიდრებელი განეკუთვნებოდა უცხო ქვეყნის, ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, დავის გადასაწყვეტად პირველ რიგში სწორად უნდა იქნეს განსაზღვრული, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა გავრცელდეს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ამ შემთხვევაში, განსხვავებულად აწესრიგებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართალით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს გახსნის ადგილად იმ პირთა გარდაცვალების შემდეგ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, ითვლება ის ქვეყანა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.

ზემოაღნიშნული ნორმებისაგან განსხვავებულ წესს ადგენს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 48-ე მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ უძრავ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ეს ქონება. ამავე კონვენციის 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უძრავი ქონების მემკვიდრეობის საქმეთა წარმოებაში კომპეტენტური არიან იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ქონება.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმ-

წიფობებრივი საკანონმდებლო აქტების მიმართ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას (მიუხედავად მათი ფორმისა და სახელწოდებისა), თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფობებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად ი. უ-ის მიერ საქართველოში მდებარე სამკვიდრო უძრავი ქონების მიღების ვადის გაგრძელების საკითხი უნდა გადაწყდეს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ საქართველოს სამემკვიდრო სამართლის ნორმების შესაბამისად და ამ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის კომპეტენცია აქვს ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ ნოტარიუსს — საქართველოს ნოტარიუსს.

### საქმე № ას-970-1211-04

25 თებერვალი, 2005 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სამკვიდრო ქონება (სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი)

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ თბილისში, ..... ქ. № 34-ის მე-4 კორპუსში მდებარე ბინა<sup>1</sup> № 42 ირიცხებოდა საკუთრების უფლებით ა. ფ-ზე. 1992წ. 3 ნოემბერს ამ უკანასკნელმა სადავო ბინა აჩუქა დისშვილს — ნ. დ-ს. ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ბინა აღირიცხა ნ. დ-ის სახელზე. ვინაიდან, ნ. დ-ი უყურადღებობას იჩენდა ა. ფ-ის მიმართ, რომელიც საჭიროებდა მოვლა-პატრონობას, ა. ფ-მა მიმართა სასამართლოს ნაჩუქრობის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით. 1997წ. 14 აგვისტოს სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა ნაჩუქრობის ხელშეკრულება. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ნაჩუქრობის ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ ა. ფ-მა 1997წ. 24 სექტემბერს შეადგინა ანდერძი, რომლითაც სადავო ბინა უანდერძა ლ. ბ-ეს. 1998წ. 7 აპრილს გარდაიცვალა ა. ფ-ი. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც გაუქმდა ნაჩუქრობის ხელშეკრულება, სადავო ბინა აღირიცხა ა. ფ-ზე, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ და დღეისათვის საკუთრების უფლებით ირიცხება ისევე ა. ფ-ზე. ასევე დადგენილია, რომ ანდერძის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რაც, სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ვინაიდან საქმის გარემოებები დადგენილია საპროცესო ნორმების გარეშე და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

სკ-ის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე — მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

მითითებული ნორმის თანახმად, მემკვიდრეზე მემკვიდრეობით გადადის არა მარტო ქონება, არამედ — მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები.

საჯარო რეესტრი წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელშიც ხდება ცალკეული კერძო სამართლებრივ უფლებათა რეგისტრაცია, სახელდობრ, როგორცაა უძრავ ნივთებზე საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები (სკ-ის 311-ე მუხლი), თუ პირის სახელზე რეესტრში შეტანილია ისეთი უფლება, რომელიც ამ პირს აღარ ეკუთვნის, მაშინ პირს, რომლის უფლებები და სამართლებრივი მდგომარეობა შეილახა, შეუძლია, მოითხოვოს რეესტრის ჩანაწერის შესწორება. შესწორებაზე უფლება წარმოიშობა მხო-

ლოდ მაშინ, როდესაც საგანთა ნამდვილი მდგომარეობა და რეესტრში შეტანილი არ შეესაბამებინან ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში რეესტრის უზუსტობა სწორდება იმით, რომ იგი შესაბამისობაში მოდის სამართლებრივ რეალობასთან. შეიძლება უფლებები სწორადაც იყო რეესტრში შეტანილი, მაგრამ კანონის ძალით შეიცვალა უფლების მდგომარეობა, რასაც, შესაბამისად, უნდა მოჰყვეს ცვლილებების შეტანა რეესტრშიც.

საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობა აბათილებს იმ ვარაუდს, რომ რეესტრში რეგისტრირებული პირი არის უფლების მფლობელი. ჩანაწერის შესწორებით შეიძლება დადგინდეს ნამდვილი მფლობელი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან გარდაცვალების მომენტისათვის სადავო ბინა აღრიცხული იყო ნ. დ-ის სახელზე, სადავო ბინა არ შესულა სამკვიდრო ქონებაში.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ აწ გარდაცვლილმა ა. ფ-მა ნაჩუქრობის ხელშეკრულების გაუქმებით სიცოცხლეში დაიბრუნა სადავო ბინაზე საკუთრების უფლება, ე.ი. შეიცვალა რეესტრში შეტანილი უფლების მდგომარეობა, მაგრამ რეესტრში ცვლილებები შეტანილ იქნა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ. რეესტრში შეტანილი და ნამდვილი მდგომარეობა არ შეესაბამებოდნენ ერთმანეთს. ა. ფ-ის გარდაცვალების მომენტისათვის. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩანაწერში ცვლილებების შეტანით დადგენილია სადავო ბინის ნამდვილი მფლობელი, ე.ი. გაბათილებულია ვარაუდი, რომ გარდაცვალების მომენტისათვის რეგისტრირებული პირი — ნ. დ-ი იყო უფლების მფლობელი, ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გარდაცვალების მომენტისათვის ა. ფ-ს ჰქონდა ქონებრივი უფლება სადავო ბინაზე. ა. ფ-ს არა ჰყავს პირველი რიგის მემკვიდრეები. დ. ბ-ე არის ანდერძით მემკვიდრე და სამკვიდრო უნდა ჩაითვალოს მის საკუთრებად, მესაკუთრეს კი, სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეუძლია მოითხოვოს სადავო ბინის უკან დაბრუნება.

## საქმე № ას-184-450-08

8 ივლისი, 2008 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სამკვიდრო ქონება (სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საჯარო რეესტრის 2004 წლის 15 მარტის ამონაწერის თანახმად, ...-ს ქ. № 15-ში მდებარე ბინის მესაკუთრეა ი. ქ.-ე. ბათუმის ბაგრატიონის დასახლების ადმინისტრაციის 2005 წლის 17 მაისის ცნობით, ნ. ჩ.-ე რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობდა ქ. ბათუმში, კ.-ის ქ. № 122-ში. ბათუმის მერიის სანაპიროს დასახლების ადმინისტრაციის 2005 წლის 10 ივნისის ცნობის მიხედვით, ქ.-ის სახელზე რიცხული სახლის ნაწილში — 13, 15, 16 და 17 ოთახებში ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა თ. ბ.-ე, რომელიც გარდაიცვალა 2004 წელს. მასთან ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა მისი ქალიშვილი — ნ. ჩ.-ე, რომელიც 1970 წელს გათხოვდა და საცხოვრებლად გადავიდა მეუღლესთან ქ. ბათუმში, კ.-ის ქ. № 122-ში. მეზობლების განმარტებით, დედის სიცოცხლეში იგი პერიოდულად დადიოდა მასთან, საჭიროებისამებრ რჩებოდა იქ, თუმცა ფაქტობრივად ცხოვრობდა მეუღლესთან, სადაც იმყოფება დღესაც. მეზობლების განმარტებებით ასევე ირკვევა, რომ 2004 წლის სექტემბერში ნ. ჩ.-მ სადავო ფართში შეუშვა თავისი ნათესავები — ბ. გ.-ე და ი. ს.-ე.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტებით ნ. ჩ.-ეს დედის გარდაცვალებამდე და არც მის შემდეგ არ გაუწყვეტია კავშირი საცხოვრებელ სადგომთან, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხშირად მიდიოდა აღნიშნულ სადგომში, გადახდილი აქვს კომუნალური გადასახადი, ახორციელებს საცხოვრებელი სადგომის მეთვალყურეობას. სადავო სადგომით ნ. ჩ.-ის ნებართვის საფუძველზე სხვა პირთა სარგებლობა კი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ნ. ჩ. იხილავდა საცხოვრებელ სადგომზე მოპოვებული უფლებით თავისი ინტერესების შესაბამისად სარგებლობდა.

ამასთან, მოსარგებლის უფლებამონაცვლე კანონით განსაზღვრული ყველა იმ უფლებით სარგებლობს, რაც მემკვიდრებელს გააჩნდა, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მემკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდი-

ლის მომენტისათვის. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამკვიდრო აქტივად წოდებული ქონებრივი უფლება მოიაზრებს პირის ყველა სამოქალაქო უფლებას, მათ შორის, ცხადია მფლობელობის (სარგებლობის) უფლებასაც.

**საქმე № ას-950-1229-09**

**26 იანვარი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამკვიდრო ქონება (სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო ქონება მოიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. აღნიშნული ნორმის თანახმად, სამკვიდროში შედის მამკვიდრებლის ნებისმიერი უფლებები, მათ შორის, არამართო უფლებები დაკანონებულ უძრავ ქონებაზე, არამედ — სხვა უფლებებიც, რაც მას სიცოცხლეში ეკუთვნოდა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ... № 31ა საცხოვრებელი სახლი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში როგორც უძრავი ქონება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ამ სახლზე, როგორც დაუკანონებელ უძრავ ნივთზე არანაირი უფლებები არ არსებობს და ისინი არ არის გადაცემადი. დაუკანონებელ სახლზე არსებული უფლება, რაც ე. გ-შვილს გააჩნდა — ეს მისი სამკვიდრო აქტივია.

**საქმე № ას-851-800-2010**

**16 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამკვიდრო ქონება (სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ ი. გ-შვილმა იცოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე. ამდენად, სასამართლოს მტკიცება ქონების საჯარო სამსახურში დაგვიანებით აღრიცხვის თაობაზე უსაფუძვლოა, ვინაიდან მამკვიდრებელ თ. გ-შვილს სადავო უძრავ ნივთზე უფლება მოპოვებული ჰქონდა საჯარო რეესტრში მის აღრიცხვამდე. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

აღნიშნული ნორმის ანალიზით, სამკვიდრო წარმოადგენს იმ უფლებებისა და ვალდებულებების კომპლექსს, რომელიც მამკვიდრებელს სიცოცხლეში ჰქონდა. სამკვიდროში შედის არა კონკრეტული საგნები, არამედ მამკვიდრებლის უფლება ამ საგნებზე. ამასთან, უფლება ნივთზე (საკუთრების, სარგებლობის) იმავე სახით გადადის მემკვიდრეებზე, რა სახითაც ის მამკვიდრებელთან არსებობდა. ამდენად, მამკვიდრებელ თ. გ-შვილის სამკვიდრო აქტივში შედის ის უფლებაც, რომელიც მას გააჩნდა სადავო ნივთთან — საცხოვრებელ სახლთან მიმართებით. მიუხედავად ნივთზე უფლების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის განუხორციელებლობისა, ეს უფლება სამკვიდრო მასაში შედის.

**საქმე № ას-223-549-09**

**22 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უმკვიდრო ქონების გადასვლა სახელმწიფოზე (სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ნ. ი-შვილის უფლებამონაცვლედ საქმეში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩაბმის საკითხის გამორკვევის აუცილებლობის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი სამკვიდროს მიმღები მემკვიდრის (როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრე) არარსებობის პირობებში ქონების სახელმწიფოზე გადასვლას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა უმკვიდრო ქონება. კანონის აღნიშნული ნორმის მიხედვით, თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო შესაძ-

ლოა გახდეს ისეთი არსებული სამკვიდრო ქონების მესაკუთრე, რომლის მემკვიდრეობის მიღების უფლების მქონე პირიც არ არსებობს. თუ პირს გარდაცვალებისას სამკვიდრო ქონება საერთოდ არ დარჩენია, მაშინ ასეთი მემკვიდრეობის მემკვიდრედ სახელმწიფო ვერ ჩაითვლება. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილია, რომ გარდაცვალების მომენტისათვის სადავო ქონება მოპასუხე ნ. ი-შვილს საკუთრებაში არ გააჩნდა, რამდენადაც მან აღნიშნული ქონება გაასხვისა 1995 წლის 2 მაისს ნ. ბ-შვილთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ზემომითითებული ნორმით გათვალისწინებულ ვითარებას — უმკვიდრო ქონების არსებობას ადგილი არ აქვს, რის გამოც იგი სადავო სამართალურთიერთობის მიმართ ვერ გავრცელდება. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე ვერ დადგინდა სანოტარო ორგანოსათვის მიმართვის გზით ნ. ი-შვილის მემკვიდრე, ხოლო უმკვიდრო ქონების არარსებობის გამო საქმეში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩაბმის საფუძველი არ არსებობს, უფლებამონაცვლის დაშვების საკითხის დასადგენად საქმე ხელახალ განხილვას არ ექვემდებარება.

**საქმე №ას-1563-1563-2011**

**28 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შინაურული ანდერძი (სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ლ. კ-ე გარდაიცვალა 2007 წლის 17 მარტს. მას პირველიდან მეოთხე რიგის ჩათვლით მემკვიდრეები არ დარჩენია. 1998 წლის 21 სექტემბრის სადავო ანდერძით, ლ. კ-ემ ნ. ნ-ას უანდერძა კუთვნილი სახლი, მდებარე ქუთაისში, გ-ის ქ. № 48-ში. 2006 წლის 25 ნოემბერს ლ. კ-ემ ისევ შეადგინა ანდერძი, რომლითაც კუთვნილი ქონება კვლავ უანდერძა ნ. ნ-ას. ამ ანდერძს ხელი მოაწერა ლ. კ-ემ, თუმცა ტექსტი შეადგინა სხვა პირმა, რის გამოც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. საქართველოს შსს ქუთაისის საქალაქო სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სამოქალაქო დავისას ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე ლ. კ-ს ბინის კუთვნილების დადგენასთან დაკავშირებით, თუმცა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს შენობაში, ხანძრის შედეგად განადგურდა სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის, სადავო ანდერძის დედანიც.

სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირს შეუძლია, სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მემკვიდრეებს აქვს მემკვიდრის თავისუფლად არჩევის უფლება. ანდერძში მოანდერძის ნებაა გამოხატული. მას შეუძლია, გარდაცვალების შემთხვევისათვის თავისი ქონება დაუტოვოს არა მხოლოდ მემკვიდრეთა წრიდან რომელიმეს, არამედ გარეშე პირებსაც. სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის თანახმად, მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას. ანდერძი, რომელიც, თავისი ხელით დაწერა მოანდერძემ და ხელი მოაწერა, მას სრული იურიდიული ძალის მქონეა, მიუხედავად იმისა, რომ არ არის დადასტურებული ნოტარიუსის მიერ.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი სადავოდ მიიჩნევს ანდერძზე განთავსებული ხელმოწერის აწ გარდაცვლილ ლ. კ-სათვის კუთვნილების ფაქტს და თავის არგუმენტაციას აფუძნებს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის დასკვნას, რომლითაც დგინდება, რომ 1998 წლის 21 სექტემბრის ანდერძზე ხელმოწერა არ ეკუთვნის ლ. კ-ეს.

სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის არანაირ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძველად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ამდენად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობ-

ლივად, ურთიერთშეჯერებით და მხოლოდ ამის შემდეგ ლეზულობს დასკვნას საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 172-ე მუხლების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ სასამართლოსთვის არც ერთ მტკიცებულებას, მათ შორის, ექსპერტის დასკვნას წინასწარ დადგენილი ძალა არ აქვს და იგი ისევე კრიტიკულად უნდა იქნეს შეფასებული, როგორც სხვა მტკიცებულებები. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რა შსს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის დასკვნა, სადავო ანდერძზე ლ.კ-ს ხელმოწერის არარსებობის თაობაზე, საცხებით სწორად და დამაჯერებლად დაასაბუთა თავისი მოსაზრებები, რომლითაც უარყო ეს მტკიცებულება, კერძოდ, სასამართლომ თავისი დასკვნა სადავო ანდერძის ბათილობის საფუძველის არარსებობის თაობაზე დააყრდნო საქმეში წარმოდგენილ საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის არასამთავრობო კვლევითი ცენტრის „ალტ-ექსპერტის“ 2008 წლის 21 დეკემბრისა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 3 თებერვლის № კ-289/10 დასკვნებს. ამავდროულად, სასამართლომ თავისი შინაგანი რწმენა ანდერძის კანონიერებაზე დამაჯერებლად დაასაბუთა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების შინაარსისა და იურიდიული ძალის შეფასებით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე — მოწმეთა ჩვენებებზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებასა და სხდომის ოქმზე და დაასკვნა, რომ მტკიცებულებებით დასტურდება ლ.კ-ს ნება მისი ქონების ნ.ნ-ასათვის დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ხსენებული მტკიცებულებებით განსახილველი ანდერძის უტყუარობა არ დადგენილა, კერძოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით 2006 წლის 25 ნოემბერს შედგენილი ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობის გამო, თუმცა ამ ანდერძზე ლ.კ-ს ხელმოწერა ექსპერტის დასკვნით დადგენილია და იგი სადავოდ არ გამხდარა. აღნიშნული ფაქტი იძლევა ობიექტური დასკვნის საფუძველს, რომ აწ გარდაცვლილ ლ.კ-ე გამოხატავდა ნებას, სიკვდილის შემთხვევაში თავისი ქონების ნ.ნ-ასთვის დატოვების შესახებ. საწინააღმდეგოს დასადასტურებლად საკმარის არ წარმოადგენს კასატორის მიერ წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენება, რომ აწ გარდაცვლილი საუბარში თავის ქონების მემკვიდრედ ო. კ-ეს მოიზრებდა. ამა თუ იმ სადავო სამოქალაქო სასამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) უტყუარად არსებობა, რაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული მტკიცებულებებით. მოცემულ დავაში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი, სწორედ მოანდერძის — ლ.კ-ს ნამდვილი ნების დადგენაა, რა დროსაც, დავის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, რასაკვირველია, სპეციალისტის დასკვნა მნიშვნელოვანია, თუმცა ეს მტკიცებულებაც ისევე უნდა შემოწმდეს, როგორც სხვა მტკიცებულებები. მოანდერძის ნების საეჭვობის შემთხვევაში, ნების ნამდვილობის დასადგენად ყველა მტკიცებულების შინაარსი ზედმიწევნით ზუსტად უნდა იქნეს შესწავლილი და ურთიერთშეჯერებული.

არგუმენტირებულია კასატორის მოსაზრება, რომ ექსპერტის დასკვნების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის მასალა, რომელიც სადავო საკითხებზე დასკვნის მისაღებად იქნა გამოკვლეული, ასევე, ცხადია, რომ ოფიციალურ ორგანოში სათანადო პირების თანდასწრებით განხორციელებული ხელმოწერათა საკვლევ მასალად გამოყენება სანდოობის თვალსაზრისით უფრო მეტად მიზანშეწონილია, მაგრამ აღნიშნული შედეგის — დასკვნის ცალსახად უტყუარობაზე არ მეტყველებს, ვინაიდან შესაძლებელია საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებების ერთობლივად გამოკვლევამ და ურთიერთშეჯერებამ სასამართლოს შინაგანი რწმენა საწინააღმდეგო ფაქტობრივი გარემოების არსებობაზე ჩამოუყალიბოს. სწორედ აღნიშნული დაედო საფუძველად გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას სადავო ანდერძის სიყალბის დაუდასტურებლობის თაობაზე, ვინაიდან

სასამართლომ მტკიცებულებათა ინდივიდუალურად და ერთობლივი კრიტიკული გამოკვლევით სარწმუნოდ დაასაბუთა მონადერძის ნების უტყუარობა. სწორედ ამ ფაქტობრივი გარემოების — საკუთარი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით აწ გარდაცვლილის ნების დადგენა წარმოადგენს მოცემული დავის მთავარ გამოსაკვლევ ფაქტს, რადგან ანდერძი არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადგენს მონადერძის ნებას. ამ მტკიცებულებაში მითითებული ფაქტის უტყუარობა კი, დავისა და საექვობის შემთხვევაში, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში უნდა შემოწმდეს.

### **საქმე № 3კ-1434-02**

**27 მაისი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დავა უნდა მოწესრიგდეს სკ-ს 1307-ე და 1371-ე მუხლების საფუძველზე. კერძოდ, 1371-ე მუხლი განსაზღვრავს რა სავალდებულო წილის ცნებას, ადგენს, რომ მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. ამავე კოდექსის 1307-ე მუხლის „ა“ პუნქტით კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის, ქ. ბ-ას, გარდაცვალებას წინ უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის, კასატორის მამის, ბ. ბ-ას, გარდაცვალება. ამდენად, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი მოგვიანებით გარდაცვლილი ქ. ბ-ას სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მისაღებად მოწვეული ვერ იქნებოდა.

კასატორ გ. ბ-ას მოთხოვნის უსაფუძვლობას განამტკიცებს სკ-ს 1372-ე მუხლი, რომლის თანახმად სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. სავალდებულო წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, ანუ ადამიანის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას (იხ. სკ-ს 1319-ე მუხლი). ქ. ბ-ას ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალების შემდეგ და შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლებითაც შეიძლოთ ესარგებლათ მხოლოდ იმ მომენტისათვის ცოცხალ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს.

### **საქმე № ას-681-637-2010**

**25 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სავალდებულო წილი (სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი)**

სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). ამავე კოდექსის 1307-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის.

მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის, უ. ბ-ძის, გარდაცვალებას წინ უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის, კასატორების მამის — ი. ბ-ძის გარდაცვალება. შესაბამისად, ეს უკანასკნელი მოგვიანებით გარდაცვლილი უ. ბ-ძის სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მისაღებად მოწვეული ვერ იქნებოდა.

კასატორების მოთხოვნის უსაფუძვლობას განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლი, რომლის თანახმად, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ



სავალდებულო წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას. უ. ბ-ძის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალების შემდეგ და შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლებითაც შეეძლოთ ესარგებლათ მხოლოდ ამ მომენტისათვის ცოცხლად მყოფ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს. კასატორებზე მათი მამის სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავიდოდა, თუ ეს უკანასკნელი სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე გარდაიცვლებოდა, რომ სავალდებულო წილის მიღებას ვერ მოასწრებდა.

**საქმე № ას-981-1245-05**

**3 აპრილი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სავალდებულო წილის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1374-ე მუხლი)**

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მამკვიდრებელს ვ.ვ-ძეს დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილები მ., ი. და ტ. ვ-ძეები. ვ.ვ-ძე გარდაიცვალა 2001 წლის აპრილში. მან მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ერთ-ერთ შვილს მ. ვ-ძეს. ასევე დადგენილია, რომ სამკვიდრო ქონებიდან, სავალდებულო წილი უნდა მიეღოთ დანარჩენ ორ შვილს — ი. და ტ. ვ-ძეებს, თითოეულს სამკვიდროს 1/4 წილის ოდენობით. ი. ვ-ძე გარდაიცვალა 2001 წლის 6 ივნისს.

სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). ამავე კოდექსის 1374-ე მუხლის თანახმად, თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი, რომ არ ყოფილიყო. ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან.

აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, ვ. ვ-ძის დანაშთ ქონებაზე სავალდებულო წილის გამომანგარიშებისას ანდერძით მემკვიდრე მ. ვ-ძის უფლება სავალდებულო წილზე არ უნდა იქნეს გათვალისწინებული, ვინაიდან მას ანდერძით მიეკუთვნა მთელი სამკვიდრო. ამდენად, სადავო სამკვიდროზე სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნდათ ტ. და ი. ვ-ძეებს. შესაბამისად, მათი სავალდებულო წილი შეადგენს სამკვიდროს 1/4-ს.

**საქმე № 3კ-569-03**

**29 ივლისი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მიღებული ქონების ჩათვლა სავალდებულო წილში (სამოქალაქო კოდექსის 1375-ე მუხლი)**

ე. წურწუშია-გვასალიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე დ. (მ.) ლაშქარავა-კვიციანის (ვ. ბ.-ს ქალიშვილი) მიმართ და მოითხოვა შეპირებული თანხის — 2000 აშშ დოლარის დაბრუნება.

დადგენილია, რომ აწ გარდაცვლილმა ვ. ბ.-მ 1996 წელს დაწერილი მარტივი წერილობითი ფორმის ხელწერილით იკისრა ე. წ.-ს მიმართ ვალდებულება კუთვნილი საცხოვრებელი სახლის გაყიდვისთანავე, მოსარჩელის გარდაცვლილი შვილის, თ. გ.-საგან მიღებული თანხის დაბრუნების თაობაზე. ვ. ბ.-მ 1997წ. 20 ნოემბერს ქ. ფოთში, ... მდებარე კუთვნილი საცხოვრებელი სახლი მიჰყიდა ლ. ნ.-ს, მაგრამ მას ბინის გაყიდვის შემდეგ ე. წ.-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია. ვალენტინა ბ.-ა გარდაიცვალა 1999წ. მარტში.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ სკ-ს 1375-ე მუხლის თანახმად, დ. ლ.-ის მიერ დედის — ვ. ბ.-ს სიცოცხლეში მიღებული ბინის ღირებულება — 4000 აშშ დოლარი უნდა ჩაითვალოს სავალდებულო წილში. ზემოხსენებული ნორმის თანახმად, პირს, რომელსაც აქვს სავალდებულო წილის მიღების უფლება, მოვალეა სავალდებულო წილში ჩათვალოს ყველაფერი, რაც

მამკვიდრებლისაგან მიიღო მის სიცოცხლეში იმავე მითითებით, რომ მიღებული ჩაითვალოს სავალდებულო წილში. ეს მუხლი გამოყენებული უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელს სამკვიდროს სახით დარჩა რაიმე ქონება, რადგან იმავე კოდექსის 1373-ე მუხლში მოცემულია სავალდებულო წილის მოცულობის განსაზღვრა და აღნიშნულია, რომ სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება მთელი სამკვიდროდან იმ ქონების ჩათვლით, რომელიც გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის ან საერთო სასარგებლო მიზნით, რაიმე მოქმედების შესასრულებლად. სკ-ს 1328-ე მუხლის პირველი ნაწილით კი სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ჩათვალა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ დ. ლ.-მ დედის სიკვდილის შემდგომ მისგან სამკვიდროს სახით რაიმე ქონება თუ მიიღო.

ვინაიდან აწ გარდაცვლილ ვ. ბ.-ს სამკვიდრო არ დარჩენია, ამიტომ მისი შვილის — დ. ლ.-ის მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს 1484-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

#### **საქმე № ას-632-919-04**

**10 ნოემბერი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ანდერძის ბათილად ცნობა (სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად არის მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ ანდერძის ჩაწერა მოხდა ტექნიკური საშუალებით. ნოტარიუსმა ტელეფონით მოისმინა მოანდერძის სიტყვები და დააბეჭდინა სანოტარო ბიუროში. ანდერძი ჩაწერილ იქნა ერთი მოწმის — ლ. მ.-ის თანდასწრებით., რომელიც წაკითხული იქნა მოანდერძის ბინაში, ხოლო შემდეგ ნოტარიუსის მიერ და ხელმოწერილი იქნა მოწმეთა თანდასწრებით.

არასწორია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ანდერძის შედგენის დროს დარღვეულია სკ-ის 1358-ე და 1366-ე მუხლების მოთხოვნები.

სკ-ის 1358-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხონ მოანდერძემ და ნოტარიუსმა და მოწმის თანდასწრებით მოეწეროს ხელი, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცულია. ასეთი დადასტურებულია სააპელაციო სასამართლოს განჩინების სამოტივაციო ნაწილით და ამის საწინააღმდეგო არგუმენტების შესახებ კასატორი საკასაციო საჩივარში ვერანაირ მტკიცებულებაზე ვერ მიუთითებს.

სკ-ის 1366-ე მუხლით ჩამოყალიბებულია ანდერძის ტექნიკური საშუალების გამოყენებით შედგენის წესი და მითითებულია, რომ იგი შეიძლება გადმოიცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებებით, ოღონდ ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ. ასეთ შემთხვევაში ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ მოანდერძისა და ორივე მოწმის თანდასწრებით, ანდერძზე სათანადო წარწერის გაკეთებით მოწმეთა სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით.

მართალია, სკ-ის 1358-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია, რომ ანდერძი მოანდერძის სიტყვებით ჩაწეროს ნოტარიუსმა ორი მოწმის თანდასწრებით, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ნოტარიუსის მიერ დარღვეული იყო კანონის ზემოთ მითითებული მოთხოვნა, რასთანაც დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მარტოოდენ ეს გარემოება ვერ გახდებოდა ანდერძის ბათილობის საფუძველი, ვინაიდან ანდერძის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ანდერძის ბათილობისას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მამკვიდრებლის ნების ნამდვილობას. ანდერძის გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა წესი, რომელიც დადგენილი იყო ნორმატიული აქტებით, ემსახურება ერთადერთ

მიზანს — მოანდერძის ნების სწორად დაფიქსირებას. აქედან გამომდინარე, ანდერძის ბათილობას საფუძვლად შეიძლება დადებოდა მხოლოდ ისეთი დარღვევა, რომელიც საეჭვოს გახდიდა მოანდერძის ნების ნამდვილობას. მოანდერძის ნების ნამდვილობის შემთხვევაში ნოტარიუსის მიერ სანოტარო დოკუმენტაციის უსწორო გაფორმება ანდა სამსახურებრივი დაუდევრობა საფუძვლად ვერ დაედებოდა ანდერძის ბათილობას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ სკ-ის 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ანდერძი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი კანონით დადგენილი წესის დარღვევითაა შედგენილი.

**საქმე № ას-1049-1283-05**

**23 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ანდერძის ბათილად ცნობა (სამოქალაქო კოდექსის 1403-მუხლი)**

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. ქ-მ გარდაიცვალა 2002წ. პირველ იანვარს; სადავო ანდერძში გამოხატული ნება და მასზე შესრულებული ხელმოწერა ეკუთვნის მოანდერძე მ. ქურიძეს; ლანჩხუთის რაიონის სოფელ ... თემის საკრებულოს საქმის მწარმოებელი მ. ბ-ია 2002წ. 16 დეკემბერს იმყოფებოდა მ. ქ-ქსთან ანდერძის დადასტურების მიზნით; ანდერძის შედგენის დროისათვის მ. ქ-მ იყო მწოლიარე ავადმყოფი; გვიმბალაურის თემის საკრებულოს თავმჯდომარის 2000წ. 20 ნოემბრის № 9 განკარგულებით, მ. ბ-იას, როგორც ამ საკრებულოს საქმეთა მწარმოებელს, დავალებული ჰქონდა სანოტარო მოქმედებათა შესრულება; ანდერძის ტექსტი მოანდერძე მ. ქ-ძის კარნახით ჩაწერა მ. ბ-იამ, წაიკითხა მოანდერძემ და შემდეგ ორი მოწმის — რ. ქ-ძისა და გ. ქ-ძის თანდასწრებით მოაწერა ხელი. ანდერძი ასევე ხელმოწერილი იქნა ამ პირთა მიერაც. ეს უკანასკნელნი კი, როგორც ანდერძის მოწმეები, იყვნენ სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირები და არ არიან ანდერძის მემკვიდრის ნათესავები დამავალი და აღმავალი ხაზით, დები, ძმები, მუულები; რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერა ვერ დადასტურებულია ნოტარიუსის მიერ, ხოლო შემდეგ არის მოხსენებული, რომ ანდერძის შედგენას ესწრებოდა ორი მოწმე და ამით დარღვეულია ანდერძის შედგენის კანონით გათვალისწინებული წესი, აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მოცემულ საქმეზე არ არის დადგენილი ისეთი გარემოებები, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებს მოანდერძის ნების ნამდვილობას. ყველა წესი, რომელიც კანონის მიხედვით ანდერძის შედგენისთვის არის დადგენილი, სავალდებულოა და მათი დარღვევა იწვევს ანდერძის ბათილობას. სსკ-ის 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით.

მუხლის ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული მოთხოვნა არ არის იმპერატიული, ანუ კანონმდებელი ყოველთვის არ მიიჩნევს ანდერძის შედგენისათვის კანონით დადგენილი წესების დარღვევას ანდერძის ბათილობის საფუძვლად. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ რა ზეგავლენას ახდენს ხსენებული დარღვევა მოანდერძის ნების გამოვლენაზე ან აღნიშნული კანონდარღვევა ხომ არ იწვევს ისეთი შედეგის დადგომას, რომელიც მოანდერძის ნებას ეწინააღმდეგება.

სსკ-ის 1403-ე მუხლის შესაბამისად, ზემოთ მითითებული ხარვეზი არ შეიძლება გახდეს ანდერძის ბათილობის საფუძველი.

**საქმე № ას-1412-1629-05**

**21 ივლისი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ანდერძის ბათილად ცნობა (სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლი)**

სსკ-ის 1358-ე მუხლის თანახმად, დასაშვებია, რომ ანდერძი მოანდერძის სიტყვებით ჩაიწეროს ნოტარიუსმა ორი მოწმის თანდასწრებით. ანდერძის ჩაწერისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებები, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმის თანდასწრებით მოაწეროს ხელი.

ამავე კოდექსის 1360-ე მუხლი უშვებს, მოანდერძის მიერ, რაიმე მიზეზით, ანდერძზე ხელის პირადად არ მოწერის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში, ანდერძს მოანდერძის თხოვნით ხელს აწერს სხვა პირი. ამასთან, უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა, ე.ი. კანონი იძლევა ნოტარიუსის მიერ პირადად ან ტექნიკური საშუალებით ანდერძის ჩაწერისა და ანდერძზე სხვა პირის მიერ ხელმოწერის შესაძლებლობას, თუმცა, იმპერატიულად აწესებს მოანდერძის დასწრებისა და ანდერძის ტექსტის პირადად გაცნობის ვალდებულებას.

ყველა წესი, რომელიც კანონის მიხედვით ანდერძის შედგენისთვის არის დადგენილი, სავალდებულოა და მათი დარღვევა იწვევს ანდერძის ბათილობას. სსკ-ის 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით.

მუხლის ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული მოთხოვნა არ არის იმპერატიული, ანუ კანონმდებელი ყოველთვის არ მიიჩნევს ანდერძის შედგენისათვის კანონით დადგენილი წესების დარღვევას ანდერძის ბათილობის საფუძვლად. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ რა ზეგავლენას ახდენს სხენებული დარღვევა მოანდერძის ნების გამოვლენაზე, ან აღნიშნული კანონდარღვევა ხომ არ იწვევს ისეთი შედეგის დადგომას, რომელიც მოანდერძის ნებას ეწინააღმდეგება.

ჩვენს მიერ განხილულ დავაში ის გარემოება, რომ მოანდერძე არ ესწრებოდა ანდერძის შედგენასა და ხელის მოწერას, კანონით დადგენილი წესების ისეთი დარღვევაა, რომელიც თვით მოანდერძის ნების გამოვლენის ნამდვილობას აყენებს ეჭვქვეშ, ამიტომ საკასაციო პალატა ზემოხსენებულ კანონდარღვევას ანდერძის ბათილობის საფუძვლად მიიჩნევს.

#### **საქმე №3კ-1241-02**

**24 აპრილი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლი)**

განსახილველი დავის შემთხვევაში სააპელაციო სამართლის მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ მოანდერძე გარდაიცვალა 1995 წელს. მოპასუხე პ. თ-ძეს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით დადგენილ ვადაში ანდერძის საფუძველზე კანონით დადგენილი წესით არ გაუფორმებია სამკვიდროს მიღება. მოსარჩელეების მ. თ-ძისა და ნ. ძ-ურისათვის სადავო ანდერძის შესახებ ცნობილი გახდა 1999 წელს. ასეთ ვითარებაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1408-ე მუხლის საფუძველზე ანდერძის ბათილობის მოთხოვნის შესახებ 1409-ე მუხლით გათვალისწინებული ორწლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს არა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, 1995 წლიდან, არამედ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად იმ მომენტიდან როცა მემკვიდრემ ან სხვა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ანდერძის არსებობის შესახებ.

#### **საქმე № ას-15-15-2012**

**28 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ზ. მ-ის სააპელაციო საჩივარი იმ საფუძველით, რომ ანდერძის ბათილად ცნობისათვის გასული იყო ხანდაზმულობის ვადა, რის გამოც არ დაკმაყოფილდა მ. მ-ისა და მ. ო-ის სარჩელი. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილია არასწორი გადაწყვეტილება, რაც შედეგია იმისა, რომ სასამართლოს მიერ არასწორადაა განმარტებული სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლი. მითითებული ნორმის თანახმად, სარჩელი ანდერძის ბათილად ცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს ორი წლის განმავლობაში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან. პალატა თვლის, რომ მუხლში მითითებული მოთხოვნა ვრცელდება იმ პირების მიმართ, რომელ-

თათვისაც ცნობილი იყო ანდერძის არსებობის შესახებ. შესაბამისად, ეს მუხლი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირების მიმართ, რომელთაც არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ იმის თაობაზე, რომ არსებობდა ანდერძი და არსებობდნენ ანდერძით მემკვიდრეები.

ზემოთ მითითებული მოსაზრება გამომდინარეობს როგორც საქართველოს კონსტიტუციის ფუძემდებლური დებულებებიდან, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სამართლებრივი ნორმებიდანაც. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს მისი უფლების დასაცავად. ბუნებრივია, მითითებული ნორმა მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურად სარჩელის შეტანას, არამედ ამ საკითხზე სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებასაც. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მითითებულ ნორმაში საუბარია იმ უფლებაზე, რომელსაც ადამიანი მიიჩნევს დარღვეულად და, ამასთან, ცნობილია ამ ფაქტის შესახებ. უფლების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აღადგენს მის დარღვეულ უფლებას გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე. შეუძლებელია, ადამიანმა მიმართოს სასამართლოს, თუ არ იცის მისი უფლების დარღვევის შესახებ. ასეთი ფაქტის შეტობინებისთანავე კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება გარანტირებულია კანონმდებლობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლშიც იგივე სახის დებულებაა მოცემული. ამ ნორმის თანახმად, ყველა პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. უფლების სასამართლო წესით დაცვა ცალსახად გამოიხატება დარღვეული უფლების აღდგენაში. მაგრამ იგი დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე — მიმართოს სასამართლოს. შეუძლებელია, სასამართლო წესით უფლების დაცვა თუ ადამიანი არ მიმართავს სასამართლოს. სწორედ ამ საკითხს უკავშირდება სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტიც. დარღვეული უფლების აღდგენა ხშირ შემთხვევაში გარკვეულად შემოფარგლულია კანონმდებლობით დადგენილი ვადებით. იმ შემთხვევაში, თუ პირი კანონით დადგენილ ვადაში არ მიმართავს სასამართლოს, შესაძლოა, სარჩელი აღარ დაკმაყოფილდეს (სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო). სარჩელის შეტანა ადამიანის უფლებაა და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, დაიცავს თუ არა მის დარღვეულ უფლებას სასამართლო წესით. ხოლო თუ იგი არაგონივრულ ვადებში მიმართავს სასამართლოს, შესაძლოა, ამ უკანასკნელმა ვერ დააკმაყოფილოს მოთხოვნა. აღნიშნული ვადები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანისათვის ცნობილია მისი უფლების დარღვევის შესახებ და არ მიმართა სასამართლოს კანონით დადგენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც ადამიანი შეიტყობს უფლების დარღვევის შესახებ და დაუყოვნებლივ მიმართავს სასამართლოს, შეუძლებელია, უარი ეთქვას იმის გამო, რომ მან გაუშვა ხანდაზმულობის ვადა. ამის დასტურია სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლში მითითებული დებულებაც, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. როგორც აღნიშნული ნორმიდან ჩანს, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნა უკავშირდება დარღვევის ფაქტის შეტყობას. შეუძლებელია, მემკვიდრეს მოეთხოვოს სარჩელის შეტანა სამკვიდროს გახსნიდან გარკვეულ პერიოდში, როცა ამ პერიოდში მისთვის უცნობია მისი უფლების დარღვევის შესახებ. ასეთი სახის განმარტება ყოველგვარ აზრსაა მოკლებული და ეწინააღმდეგება ელემენტარულ ლოგიკის კანონებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლში მითითებული ვადა უნდა გავრცელდეს იმ პირებზე, რომელთათვისაც ცნობილი იყო ანდერძის არსებობის თაობაზე.

**საქმე № ას-205-899-03**

**5 იანვარი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამკვიდროს მიღება სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით (სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ს 1421-ე მუხლის მეორე ნაწილი. ამ ნორმის შესაბამისად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის

სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

აღნიშნული ნორმით კანონი ადგენს სამკვიდროს მიღების ორ წესს, რომელთაგან ერთ-ერთი სანოტარო ორგანოში განცხადების წერილობითი შეტანაა. ამ მოქმედების განხორციელების შედეგად მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო უკვე შეიძინა, იგი არის მისი მესაკუთრე. მითითებულ დანაწესში კანონმდებელი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს მემკვიდრის ნების დადგენას — სურს თუ არა მას სამკვიდროს მიღება, რაც უნდა დადგინდეს სანოტარო ორგანოში შეტანილი განცხადებით. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ გ. ჯ-მა სამკვიდროს გახსნის ადგილას სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ, ხოლო რამოდენიმე დღის შემდეგ დამატებით წარადგინა მემკვიდრეობის გარდაცვალების მოწმობა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ გ. ჯ-ს ნამდვილად სურდა მემკვიდრეობის მიღება და მისი ნება აისახა განცხადებაში, რაც კანონით საკმარისია სამკვიდროს მისაღებად.

საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ გ. ჯ-ის დედის მიერ განცხადების წარდგენა ნოტარიუსისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივად ვარგისად, რადგანაც განმცხადებელს სანოტარო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო ყველა დოკუმენტი არ წარუდგენია, რის გამოც გ. ჯ-ის განცხადება მემკვიდრეობის საქმეთა სააღრიცხვო დავთარში არ აღრიცხულა და, შესაბამისად, სამკვიდრო მოწმობაც არ გაცემულა.

#### **საქმე №ას-595-822-08**

**4 ნოემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობით მიღება (სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი)**

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ უკანონოდ არ გაიზიარა მის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად დადასტურებული გარემოება მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობით მიღების თაობაზე. კასატორი ამ გარემოების დასადასტურებლად უთითებს მის ახსნა-განმარტებაზე და სადავო ბინაზე რეგისტრაციაზე. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამდენად, სამკვიდროს მიღება ორი გზით — სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანისა და სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით შეიძლება განხორციელდეს. ორივე ხერხით სამკვიდროს მიღება ერთისა და იმავე შედეგის წარმომქმნელია და იურიდიულად რომელიმე მათგანს პრიორიტეტული მნიშვნელობა არ ენიჭება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სანოტარო ორგანოში მიმართვას ადასტურებს წერილობითი განცხადება. რაც შეეხება სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას, იგი მემკვიდრის სხვადასხვა მოქმედებით შეიძლება დადგინდეს, თუმცა ნებისმიერი ამ მოქმედებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი, მემკვიდრის ნება (სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, აუცილებელია ნების ნამდვილობა). მემკვიდრის ყველა ამგვარი მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა (მაგალითად: მემკვიდრეობის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მემკვიდრეობის ნივთების, როგორც საკუთარის მიღება და განკარგვა, სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვა). აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის მითითება, რომ პირის საცხოვრებელ ბინაში რეგისტრაციის ფაქტი ადასტურებს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას. მართალია სათანადო ნორმატიული აქტი ავალდებულებს პირს საცხოვრებელი მისამართის მიხედვით რეგისტრაციას, მაგრამ კონკრეტულ მისამართზე პირის რეგისტრაცია თავისთავად არ გულისხმობს ამ მისამართზე პირის ცხოვრების ფაქტს. ამ დასკვნას

ამყარებს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის ძალითაც ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ის ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს, პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. მითითებული ნორმის დანაწესიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებელი არ გამოირიცხს პირის საცხოვრებელი და რეგისტრაციის ადგილების არაიდენტურობას.

**საქმე № ას-983-1183-08**

**28 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობით მიღება (სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი)**

პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ სხვა მისამართზე რეგისტრაცია არ გამოირიცხავს სამკვიდროს დადგენილ ვადაში მიღების შესაძლებლობას. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებისათვის სავალდებულო არაა პირი რეგისტრირებული იყოს ან ცხოვრობდეს მამკვიდრებლის ბინაში, მთავარია, რაიმე ფორმით, სარგებლობდეს სამკვიდრო ქონებით, ან მისი ნაწილით ან არ დაუშვას სხვა პირების მიერ ამ ქონებით სარგებლობა. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ დ. კ-ძე მემობელ ბინაში იყო რეგისტრირებული, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ მას სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში ფაქტობრივი ფლობით მიეღო.

**საქმე № ას-991-1191-08**

**30 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობით მიღება (სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი)**

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ზ. ჩ-ის მამამ, ა. ჩ-ემ, ფაქტობრივი ფლობით მიიღო სადავო ქონება. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან, ანუ ი. ჩ-ის სამკვიდრო აღნიშნული ნორმის საფუძველზე გახდა ანდრო ჩიხლაძის საკუთრება. იმისათვის, რომ ზემოთ მითითებულ ქონებაზე მოთხოვნა წარმოეშვას ზ. ჩ-ეს, აუცილებელი არ არის მან მიიღოს ბათუმში მდებარე საცხოვრებელი ბინა. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდრო ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოსათვის აღნიშნული საკითხის გასარკვევად ამოსავალი წერტილი უნდა ყოფილიყო არა ის გარემოება, დაეუფლა თუ არა ზ. ჩ-ე ბათუმში მდებარე უძრავ ქონებას, არამედ ის გარემოება, მიიღო თუ არა მან მამის ა. ჩ-ის ქონების რაიმე ნაწილი. ასეთის მიღების შემთხვევაში ზემოთ მითითებული ნორმის საფუძველზე მიღებულად ჩაითვლება ანდრო ჩიხლაძის მთელი ქონება, მათ შორის სადავო ქონებაც.

**საქმე №ას-1183-1112-2012**

**7 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობით მიღების სამართლებრივი შედეგები (სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1433-ე მუხლები)**

ბ. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. მ-სა და ე. ბ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ა. მ-ის დანაშთ ქონებაზე, თბილისში, რ-ის ქუჩა N11-ში მდებარე სახლის 1/3 ნაწილზე ს. მ-ის სასარგებლოდ 1988 წლის 2 აგვისტოს გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, იმავე ქონების 1/2 ნაწილზე, როგორც ს. მ-ის სამკვიდროზე ნ. მ-ის სასარგებლოდ 1998 წლის 29 სექტემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა და თბილისში, რ-ის ქუჩა N11-ში მდებარე სახლის 1/3 ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ზ. ბ-ის აღიარება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ე. ბ-მა ა. მ-ის დანაშთი სამკვიდრო მიიღო 1983 წლის 7 მაისს შედგენილი ანდერძის საფუძველზე, ხოლო ნ. მ-ს ამ ქონების ნახევარზე წარმოეშვა უფლება, როგორც დედის — ს. მ-ის დანაშთ ქონებაზე კანონისმიერ მემკვიდრეს (ტომი პირველი, ს.ფ. 82-83 — გადაწყვეტილება). ამდენად, დადგენილია, რომ ე. ბ-მა მიიღო ა. მ-ის დანაშთი ქონება 1983 წლის 07 მაისის ანდერძის საფუძველზე, რომელიც შედგენილი იქნა ე. ბ-ის შვილის — ზ. ბ-ის სასარგებლოდ. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად ზ. ბ-ი, ა. მ-ის გარდაცვალების პერიოდში იყო არასრულწლოვანი და დედასთან ერთად ცხოვრობდა ა. მ-ის დანაშთ სახლში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დავას არ იწვევს ე. ბ-ის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი. ამდენად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებენ იმაზე, რომ ა. მ-ის დანაშთი ქონება ანდერძის საფუძველზე მიიღო ზ. ბ-მა თავისი კანონიერ წარმომადგენელის, ე. ბ-ის მეშვეობით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მემკვიდრის მიერ სადავო უძრავი ქონების მიღება ფაქტობრივი ფლობით ან მართვით აყენებს მას განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში. ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (კონკლუდენტური მოქმედებებით) მემკვიდრე ხდება სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. ამ მომენტიდან ის მამკვიდრებლის ურთიერთობების კრედიტორად და მოვალედ მიიჩნევა.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლება, როგორც რეგისტრაციასავალდებულო უფლება, მოითხოვს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, შესაბამისად, ზ. ბ-ი წარმოადგენს ანდერძისმიერ მემკვიდრეს და, მიუხედავად იმისა, რომ მან ამ ანდერძის თაობაზე გაიგო 1999 წელს, მას წარმოეშვა მიღებული უძრავი ნივთის საკუთრების უფლების რეგისტრაციის უფლება, მაგრამ ამ რეგისტრაციის განუხორციელებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მან არ მიიღო ეს ქონება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

სამკვიდროს მიღების ფაქტის არსებობის შემთხვევაში, მას აქვს უფლება, დაიცვას მიღებული სამკვიდრო სხვა დანარჩენი მემკვიდრეებისაგან, მათ შორის, იმ მემკვიდრეებისაგან, რომლებმაც განახორციელეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

## საქმე № ას-1585-1488-2012

## 1 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: მეუღლის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება

გამომდინარე, თ. დ-ის მიერ ა. დ-ის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით ან მართვით მიღების შემთხვევაში (მაგალითად, თუ თ. დ-ე ცხოვრობდა მამამისის სახლში სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში) უნდა დავუშვათ პრეზუმფცია, რომ თ. დ-ის გარდაცვალებით სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში გ. მ-მა მიიღო თავისი მეუღლის და, შესაბამისად, სადავო სამკვიდრო. ივარაუდება, რომ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას. მეუღლეთა კავშირი ატარებს სამისდღეშიო ხასიათს და წარმოადგენს მათი სულიერი, ფიზიოლოგიური, ყოფით-მეურნეობრივი თუ სხვა მისწრაფებების რეალიზაციის საშუალებას. ამდენად, თუ საწინააღმდეგო არ დასტურდება (მაგალითად, მეუღლეები ფაქტობრივად წლების მანძილზე არ ცხოვრობდნენ ერთად და ა.შ.) ივარაუდება, რომ გ. მ-მა ფაქტობრივი ფლობით მიიღო თავისი მეუღლის ქონება, შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომლის ინტერესს წარმოადგენს ამ პრეზუმფციის გაქარწყლება.



**განმარტების საგანი: სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიო მიზეზი (სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი)**

განსახილველ შემთხვევაში მხარეების მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად სასამართლომ საქმეზე დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ კანონით დადგენილ ვადაში თ. ბ-ამ დაწერა და ნოტარიუსთან გააგზავნა (სამკვიდროს ადგილსამყოფელის მიხედვით) განცხადება სამკვიდროს მიღების თაობაზე. დადგენილია, რომ განცხადება ადრესატამდე არ მივიდა თ. ბ-ასაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. სასამართლომ სავსებით საფუძვლიანად მიიჩნია აღნიშნული გარემოება იმ საპატიო მიზეზად, რასაც სკ-ის 1426-ე მუხლი ითვალისწინებს. პალატა თვლის, რომ საოლქო სასამართლომ სწორად გამოიყენა სკ-ის 1426-ე მუხლი და საპატიო მიზეზად მიიჩნია სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელება. ამდენად, კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია.

**განმარტების საგანი: სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიო მიზეზი (სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამკვიდროს გახსნის შედეგად მემკვიდრეობის მიღებისათვის მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების ქონა საკმარისი არ არის ანუ მხოლოდ უფლების არსებობა არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. აღნიშნული უფლების სარეალიზაციოდ აუცილებელია კონკრეტული მოქმედების განხორციელება — მემკვიდრეობის მიღება. მემკვიდრეობის სამართალი სამკვიდროს მიღების ორ ფორმას იცნობს, მემკვიდრეობის მიღებას უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვითა და კონკლუდენტური მოქმედებით. უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვა შეზღუდულია დროით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. კანონმდებელი საპატიოობის კრიტერიუმებს არ აკონკრეტებს, აღნიშნული ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარეობს, თუმცა, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: 1. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; 2. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. ა-ს 1997 წლის 9 ივლისიდან 2000 წლის 9 ნოემბრამდე შეეძლო, მემკვიდრეობა მიეღო მისი კანონიერი წარმომადგენლის — დედის მეშვეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ საფუძველით ვადის გაშვება კანონით განსაზღვრულ მიზეზს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ წარმომადგენლის მიერ მოქმედებათა შეუსრულებლობა თავისთავად არ წარმოადგენს ვადის გაშვების საპატიო მიზეზს. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვადის გაშვების საპატიოობაზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კანონიერი წარმომადგენლის დამოკიდებულება არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიმართ. კანონიერი წარმომადგენლის მიერ თავის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება ან უფლებამოსილების უკანონო გამოყენება შეიძლება გახდეს არასრულწლოვანის მიერ გაშვებული სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის საფუძველი.

**განმარტების საგანი: სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიო მიზეზი (სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი)**

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ნ. ს-ია და მ. ხ-ავა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1990 წლის 16 აგვისტოდან. ერთად ცხოვრების პერიოდში, 1990 წლის 8 აგვისტოს, შეეძინათ მოსარჩელე ნ. ხ-ავა. 1991 წლის 21 ნოემბერს გარდაიცვალა მოსარჩელის ბაბუა კ. ხ-ავა. 1996 წლის 27 ივლისს გარდაიცვალა მოსარჩელის მამა მ. ხ-ავა. 2008 წლის 7 აგვისტოს '2.25 სანოტარო აქტის თანახმად, თ. ხ-ავამ მიიღო მამის — კ. ხ-ავას სახელზე რიცხული სამკვიდრო ქონება — უძრავი ქონება მდებარე ქ.ზუგდიდში, ... ქუჩა № 37-ში.

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს განჩინებით ნ. ხ-ავას სარჩელს სამკვიდრო ქონებიდან წილის მიკუთვნების შესახებ დაუდგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ხოლო ამავე სასამართლოს 2009 წლის 21 ოქტომბრის ხარვეზის შეუვსებლობის გამო ნ. ხ-ავას სარჩელი წარმოებაში არ იქნა მიღებული. იმავე სარჩელზე იმავე სასამართლოს 2010 წლის 22 მარტის განჩინებით დადგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ხოლო 2010 წლის 14 აპრილის განჩინებით სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, მაგრამ 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით სარჩელი დარჩა განუხილველი მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით მოწინააღმდეგე მხარეს პრეტენზია არ განუცხადებია, რის გამოც სასამართლო სარწმუნოდ მიიჩნევს კასატორის განმარტებას, რომ სახელმწიფო ბაჟის — 3000 ლარის გადასახდელად ბანკიდან აიღო სესხი და, ვინაიდან ვერ უზრუნველყო მისი დაფარვა, სარჩელი გაიხმო და გადახდილი ბაჟის თანხა დაიბრუნა სკრედიტო ვალდებულების შესასრულებლად.

ასევე უდავოა ის გარემოება, რომ მოსარჩელე ნ. ხ-ავა სამკვიდრებლის გარდაცვალების დროს — 1996 წლის 27 ივლისს იყო არასრულწლოვანი და იგი სრულწლოვანი გახდა 2008 წლის 8 აგვისტოს. ნ. ხ-ავას დედა ნ.ს-ია არის ფსიქიკურად დაავადებული, მეორე ჯგუფის ინვალიდი. ნ.ხ-ავა და ნ. ს-ია არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულები. ნ.ხ-ავა სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე (2010-2011 სასწავლო წელს ბაკალავრიატის პროგრამის მე-5 სემესტრის სტუდენტი). მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია და, შესაბამისად, არც სასამართლოს გამოუკვლევია ფაქტი, ჰყავდა თუ არა ნ. ხ-ავას მეურვე დანიშნული არასრულწლოვანების პერიოდში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. კანონმდებელი საპატიობის კრიტერიუმებს არ აზუსტებს, ვინაიდან იგი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომით უნდა გადაწყდეს. ამასთან, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: ა. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; ბ. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძველის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა.

გემოთ ჩამოთვლილი გარემოებების ურთიერთშეჯერებითა და შეფასებით სასამართლოს შეექმნა მყარი შინაგანი რწმენა, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა ნ. ხ-ავამ საპატიო მიზეზებით გადააცილა. ამასთან, სამკვიდროს გახსნის დროს მას არც ისეთი კანონიერი წარმომადგენელი ჰყავდა, რომლის მეშვეობითაც განახორციელებდა სამკვიდროს მიღებას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ, მართალია, ნ. ხ-ავა 2008 წლის 8 აგვისტოს გახდა სრულწლოვანი, მაგრამ საქართველოში იმ დროს მიმდინარე საომარ-

რი მოქმედება არ გაგრძელებულა დიდხანს და ამ საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ ნ. ხ-ავას არ მიუმართავს ნ თვის ვადაში სასამართლოსთვის სამკვიდროს ვადის აღდგენისთვის. მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა 2010 წლის 19 ივნისს, საომარი მოქმედებების დამთავრებიდან 2 წლის შემდეგ, ანუ ვადის დარღვევით. სააპელაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ, მიუხედავად საომარი მოქმედებებისა, სასამართლო სისტემას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია და არც შეუჩერებია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზუგდიდის რაიონული სასამართლო 2009 წლის 4 აგვისტოს განჩინებით ნ. ხ-ავას სარჩელს სამკვიდრო ქონებიდან წილის მიკუთვნების შესახებ დაუდგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ამდენად, ნ. ხ-ავამ მემკვიდრეობის დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართა არა 2010 წელს, არამედ 2009 წლის 3 აგვისტოს. ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველო-რუსეთს შორის დაწყებული საომარი მოქმედება დიდხანს არ გაგრძელებულა და ის არც შეიძლება სარჩელის წარუდგენლობის საპატიო მიზეზად ჩაითვალოს. გამოკვლევას და მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ქვეყანაში გამოცხადებული საომარი მდგომარეობის ხანგრძლივობისა (ერთი თვე), საზოგადოებაში შექმნილი ემოციური დაძაბულობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ამ მხრივ საფუძველს არ არის მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ ომმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მის ოჯახზე, როგორც იძულებით გადაადგილებულებზე.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზეც, რომ მოპასუხე თ. ხ-ავამ სადავო სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობით მიიღო 2008 წლის 7 აგვისტოს მამის — კ. ხ-ავას გარდაცვალებიდან 17 წლის, ხოლო ძმის (ნ. ხ-ავას მამის), მ. ხ-ავას გარდაცვალებიდან — 12 წლის შემდეგ. უდავოა, თ. ხ-ავასთვის ცნობილი იყო მ. ხ-ავას მემკვიდრის არსებობის შესახებ, თუმცა სხვა მემკვიდრეების ვინაობის შესახებ სანოტარო ორგანოში მემკვიდრეობის უფლების დადგენისას არ განუცხადებია. აღნიშნულით თ.ხ-ავამ დაარღვია ვალდებულება, ნოტარიუსისათვის სხვა მემკვიდრეებზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 1310-ე, 1427-ე, 1478-ე, 1479-ე და მემკვიდრეობის სამართლის ნორმების ზოგადი ანალიზი, რომელიც ავალდებულებს კერძო სამართლის სუბიექტებს, იმოქმედონ კეთილსინდისიერების ფარგლებში. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.რამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფოებრივ სამართლის აღიარებული ზოგადი დათქმაა, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო კანონმდებლობით. მართალია, ნორმათა უმრავლესობა მასზე პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ემყარება, ვინაიდან სამოქალაქო მართლწესრიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.

**საქმე №ას-177-167-2011**

**7 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება (სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი)**

ორივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, თ. მ-შვილმა საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო სამკვიდროს მიღება კანონით დადგენილ ვადაში, რაც საფუძველია იმისა, რომ მას გაუგრძელდეს სამკვიდროს მიღების ვადა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამკვიდროს მიღების უფლების ვადაში განუხორციელებლობისას გადაწყვეტი უნდა იყოს ვადის გაშვების საპატიობა სამკვიდროს გახსნიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში, მიუხედავად შემდგომში უფრო ხანგრძლივი ვადაგადაცილებისა.

სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამკვიდრო მიღებულად ითვლება სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის ან ქონების ფაქტობრივად დაუფლების შემთხვევაში. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს მითითებული ნორმებით გათვალისწინებული არც ერთი მოქმედება არ განუხორციელებია. მან მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების წარმოშობიდან მე-10 წელს მიმართა სასამართლოს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს, თუ ვადის გადაცილების მიზეზი საპატიოდ იქნება მიჩნეული. აღნიშნული ნორმის თანახმად, სასამართლოს შეფასების საგანია ვადის გადაცილების მიზეზის საპატიოობა, რაც გულისხმობს იმ ვადის საპატიოობის შეფასებას, რითაც გადაცილებულია სამკვიდროს მიღებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადა. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს თვითონ ტერმინის „ვადაგადაცილების“ განმარტებიდან. მითითებული ტერმინი გულისხმობს არა რაიმე ვადაში, არამედ ამ ვადის გასვლის შემდგომ პერიოდშიც არსებულ მდგომარეობას. ანუ ეს ეხება არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ექვს თვეს, არამედ იმ პერიოდსაც ვიდრე მხარემ მიმართა სათანადო ორგანოებს სამკვიდროს მიღების მოთხოვნით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ნაცვლად ექვსი თვისა სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი ღონისძიებები გამოიყენა თითქმის 10 წლის შემდეგ ანუ მოსარჩელემ 9-10 წლით გადააცილა სამკვიდროს მისაღებად კანონით გათვალისწინებულ ვადას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოება მიიჩნია საპატიოდ, რაც განაპირობა ამ ნორმის არასწორმა განმარტებამ, რამაც არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. შესაბამისად, არასწორად განისაზღვრა იმ დასადგენ ფაქტობრივ გარემოებათა წრე, რომლის შესაბამისადაც შეიძლება მიღებული იქნეს გადაწყვეტილება.

### საქმე №ას-99-415-05

13 ივლისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საკუთრების წარმოშობა სამკვიდროზე (სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლი)

განსახილველ შემთხვევაში ი. ტ-ის (კასატორის) აღიარებითი სარჩელის დავის საგანი არის 2000წ. 19 სექტემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. აღნიშნული ხელშეკრულებით ზ. ტ-ემ მიწის ნაკვეთი მიჰყიდა ა. ტ-ეს. ბათილობის საფუძველად მითითებულია ის, რომ სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მემკვიდრეობის საფუძველზე არის ი. ტ-ე, რადგან იგი მამის დანაშთ ქონებას ფლობს 1993 წლიდან (სამკვიდროს გახსნიდან).

დადგენილია, რომ მიწის ნაკვეთის რეგისტრირებულ მესაკუთრეს ხელშეკრულების დადებისას წარმოადგენდა ზ. ტ-ე.

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, სწორად არის გამოყენებული 1450-ე მუხლი. უდავოა, რომ სამკვიდროს გახსნიდან ათეულ წელზე მეტია გასული და მემკვიდრეებელ გ. ტ-ის დანაშთი ქონების მიღებაზე მემკვიდრეებს შორის დავა არ ყოფილა. დადგენილია, რომ სადავო მიწის ნაკვეთი მხოლოდ ზ. ტ-ის სახელზე იყო საჯარო რეესტრში აღრიცხული და იგი 2000წ. 19 სექტემბერს გაასხვისა. პალატა მიუთითებს, რომ სკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილით, უძრავი ქონების შესაძენად აუცილებელია შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. უდავოა, რომ ი. ტ-ე სადავო უძრავი ქონების რეგისტრირებული მესაკუთრე არ არის, შესაბამისად, შეცვლებაც უსაფუძვლოა.

პალატა მიუთითებს, რომ მხარემ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით, ვერ დაადასტურა სამკვიდროს ფაქტობრივად მიღება. ამასთან, თუ მემკვიდრე 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 1433-ე მუხლებით მესაკუთრე გახდა სამკვიდროში შემავალი უძრავი ქონების, მაგრამ იგი ასეთად არ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში მემკვიდრეს არ შეუძლია უძრავი ქონება გაასხვისოს მესამე პირებზე, მანამ, ვიდრე არ

დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში, როგორც მესაკუთრე. აღნიშნულ მოსაზრებას საფუძვლად უდევს სკ-ის 183-ე მუხლი, რომელიც იმპერატიულად ადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის წესს.

**საქმე №ას-38-347-04**

**19 მაისი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლი)**

სკ-ის 1434-ე მუხლის შესაბამისად, მემკვიდრეს შეუძლია, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმას მაშინაც აქვს ადგილი, როცა მემკვიდრე პირდაპირ ან ირიბად კანონით დადგენილ ვადაში არ გამოთქვამს თავის სურვილს მემკვიდრეობის მიღებაზე.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ე. ჩ.-მ კანონით დადგენილ ვადაში არც პირდაპირ და არც ირიბად არ გამოხატა სურვილი მემკვიდრეობის მიღების შესახებ და საქმის სასამართლოში განხილვის დროსაც დაადასტურა თავისი სურვილი მემკვიდრეობაზე უარის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ მისი უარი სწორად მიიჩნია ნამდვილად, ვინაიდან მემკვიდრეობაზე უარი როგორც ხერხითაც არ უნდა განხორციელდეს იგი, წყვეტს მემკვიდრეობის მიღების უფლებას და არ იძლევა სხვა პირთა სასარგებლოდ უარის თქმის საფუძველს.

**საქმე № 3კ-1360-02**

**11 თებერვალი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამკვიდროზე უარის შეუქცევადობა (სამოქალაქო კოდექსის 1446-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა სკ-ს 1446-ე მუხლი, რომლის თანახმად მემკვიდრის განცხადება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ შეუქცევადია. აღნიშნული ნორმით მემკვიდრე ვ. დ-ს უფლება არა აქვს, შეცვალოს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება. როგორც მემკვიდრეობის მიღება, ისე მასზე უარის თქმა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რომლის ბათილობა შესაძლებელია გარიგების ბათილობის საფუძვლების არსებობისას. კასატორის მითითება სკ-ს 58-ე მუხლზე იმ მტკიცებით, რომ მის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა მოხდა მძიმე ფსიქიკური მდგომარეობის დროს, რაც მისი ბათილობის საფუძველია, ვერ იქნება გაზიარებული მისი დაუსაბუთებლობის გამო, ვინაიდან კასატორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების დამადასტურებელი მტკიცებულება ვ. დ-ს არ წარმოუდგენია. დროებითი ფსიქიკური მოშლილობა მხოლოდ მხარის განმარტებით ვერ დადგინდება, რადგან იგი საჭიროებს სპეციალისტის მიერ ჩატარებულ გამოკვლევას — სამედიცინო დასკვნას. სსკ-ს 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი დაწესებულია, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

**საქმე № ას-377-357-2011**

**28 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უარი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობისას (სამოქალაქო კოდექსის 1447-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია: 1. ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩის მე-4 შესახვევის № 16-ში მდებარე სახლის 2/3 ნაწილი მ. ვ-ძეს ეკუთვნოდა; 2. მ. ვ-ძე 2001 წლის 23 ივნისს გარდაიცვალა და პირველი რიგის სამი მემკვიდრე დარჩა: მეუღლე ა. ვ-ძე, შვილი ც. ე-ძე და შვილიშვილი, მ. ა-ძე; 3. მ. ვ-ძის გარდაცვალების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, მის

სამკვიდროს დაეუფლენ მხოლოდ ა. ვ-ძე და ც. ე-ძე, შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა სამკვიდროდან 1/2 წილი მიიღო; 4. 2003 წლის 18 სექტემბერს, ე.ი სამკვიდროს გახსნიდან 2 წლის გასვლის შემდეგ, ც. ე-ძემ განცხადებით მიმართა სანოტარო ორგანოს და დედის, ა. ვ-ძის, სასარგებლოდ უარი განაცხადა მის წილ სამემკვიდრო ქონებაზე.

სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის მიხედვით, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

იმავე კოდექსის 1447-ე მუხლის მიხედვით მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს, ხოლო 1424-ე მუხლის მიხედვით კი, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ც. ე-ძე 2003 წლის 18 სექტემბერს, ანუ სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანისას, სამკვიდროს მისაღებად მიწვეული მემკვიდრე კი არ იყო, არამედ სადავო ქონების 1/2 წილის მესაკუთრე, შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ 2003 წლის 18 სექტემბრის განცხადება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად ვერ ჩაითვლება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მითითებულ დოკუმენტს სამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს.

სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ც. ე-ძის მიერ 2003 წლის 18 სექტემბერს გამოვლენილი ნება უნდა შეფასდეს მისი შინაარსის გათვალისწინებით. ნების გამოვლენის ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა საბოლოო შედეგს ისახავდა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მიზნად.

სანოტარო აქტიდან ნათლად ირკვევა, რომ ც. ე-ძეს სურდა ქუთაისში, ... ქუჩის მე-4 შესახვევის № 16-ში მდებარე სახლის მისი კუთვნილი წილი გადასულიყო დედის, ა. ვ-ძის, საკუთრებაში, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული სანოტარო აქტი ჩუქების ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნებს, კერძოდ: ა) სანოტარო აქტი შეიცავს პირის ნებას ქონების სხვა პირის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასვლასთან დაკავშირებით; ბ) ქონების გამსხვილებელი იყო ამ ქონების მესაკუთრე; გ) ც. ე-ძე ნების ნაკლის არსებობას ვერ ადასტურებს; დ) უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული წერილობითი ფორმა დაცული იყო.

## **საქმე № ას-205-899-03**

**5 იანვარი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: სამკვიდროს მიღებაზე შედავების ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, როდესაც სკ-ს 1450-ე მუხლით სამკვიდროს მოწმობის გაუქმებაზე მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია. აღნიშნული ნორმით დადგენილია, რომ სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი. სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ცალმხრივი გარიგებაა, რომლითაც გამოხატულია მემკვიდრის ნება სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. სამკვიდროს მიღებისა და მიღებაზე უარის თქმის წესი დადგენილია სკ-ს 1421-1451-ე მუხლებით. თუკი სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრე არ მიიღებს ზომებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის — სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს სამკვიდროს მიღებაზე. სამკვიდრო მოწმობა ადასტურებს მასში მითითებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს. ამდენად, სამკვიდროს მიღება ყოველთვის წინ უსწრებს სამკვიდრო მოწმობის გაცემას. შესაბამისად, სკ-ს 1450-ე მუხლი ადგენს კონკრეტულად სამკ-

ვიდროს მიღების ან მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადას და არა სამემკვიდრო მოწმობის გასაჩივრების ვადას. ამდენად, პალატა თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ს 1450-ე მუხლი.

**საქმე № ას-41-326-08**

**17 სექტემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამკვიდროს მიღებაზე შედაგების ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ თვით ანდერძი წარმოადგენს იმ იურიდიულ მნიშვნელობის ფაქტს, რომელიც იწვევს გარკვეულ იურიდიულ შედეგს, რამაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ხანდაზმულობის საკითხის განხილვაზე და არა მხოლოდ ცოდნა ანდერძის არსებობის შესახებ. ამდენად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მ. ჯ-აქემ იცოდა ანდერძის არსებობის შესახებ არ არის საკმარისი ხანდაზმულობის ვადის ასათვლელად.

ანდერძისმიერი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების საფუძველს წარმოადგენს ანდერძი, ანუ მხოლოდ ანდერძის საფუძველზე (თუკი ის არ არის კანონისმიერი მემკვიდრე) მას შეუძლია განახორციელოს სამკვიდროს მიღების შესახებ მემკვიდრის უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დაწყებას. ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. კონკრეტულ შემთხვევაში უფლების დარღვევად ჩაითვლება არა მემკვიდრის ცოდნა ანდერძის არსებობის ფაქტის შესახებ, არამედ ამ ანდერძის საფუძველზე წარმოშობილი უფლების განუხორციელებლობის, ხელშეშლის ფაქტი.

ამრიგად, მხოლოდ აღნიშნული უფლების განხორციელების შეუძლებლობა, იმის გამო, რომ სხვა პირები, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ სამკვიდრო, ედავებიან ანდერძისმიერ მემკვიდრეს და არიან წინააღმდეგი მის მიერ ანდერძით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე, წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლით დადგენილი ორი თვის ვადის ათვლის მომენტს.

**საქმე № ას-1058-1325-09**

**23 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საჩუქრის ჩათვლა მემკვიდრის წილში და წილის გათანაბრება (სამოქალაქო კოდექსის 1455-ე და 1473-ე მუხლები)**

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის არგუმენტს, სამოქალაქო კოდექსის 1473-ე და 1455-ე მუხლების საფუძველზე ე. ო-ძის სასარჩელო მოთხოვნის კანონიერების თაობაზე იმ მოტივით, რომ წილის გათანაბრებისათვის, სამკვიდროს უნდა მიმატებოდა ხ. ო-ძის მიერ ჩუქების სახით მიღებული ქონება და, ამავე კოდექსის 1477-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოპასუხეს ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებიდან უნდა დაეკისროს წილთა გასათანაბრებელი თანხა. საკასაციო სასამართლო საკასაციო პრეტენზიის და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად საჭიროდ მიიჩნევს დასახელებული ნორმების განმარტებას, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლით სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ნორმით, სამკვიდროს გაყოფისას მემკვიდრის წილში იმ ქონების ღირებულება გაითვალისწინება, რომელიც მამკვიდრებელმა სიცოცხლეში აჩუქა მას. ნაჩუქარი ქონების ღირებულების გათვალისწინება ნიშნავს მემკვიდრის წილის სწორედ ამ ღირებულების ფარგლებში შემცირებას, ანუ თუ მემკვიდრემ ჩუქებით მიიღო 1000 ლარის ქონება, მისი წილი სამკვიდროში სწორედ ამ ქონებით შემცირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მამკვიდრებლის მიერ გაჩუქებულ ქონებასთან დაკავშირებით სხვა რაიმე დათქმას კანონი არ ადგენს. სამკვიდროში ნაჩუქარი ქონების შეტანა უზრუნველყოფს სხვა მემკვიდრეების ინტერესების დაცვას იმ მიმართებით, რომ ადრე დასაჩუქრებულ მემკვიდრეს

სახუქრის ღირებულება მისაღებ სამკვიდროში ჩათვლება და მისი წილი ამ ფარგლებში შემცირდება, რაც პროპორციულად სხვა მემკვიდრეთა წილის გაზრდას გამოიწვევს.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლს, ამ ნორმით, მემკვიდრეები, რომლებიც მოწვეული იქნებიან სამკვიდროს მისაღებად, ვალდებული არიან წილთა გათანაბრებისათვის გაყოფამდე სამკვიდროს მიათვალონ ყოველივე ის, რაც მათ მიიღეს მამკვიდრებლისაგან მის სიცოცხლეში მშობლების ქონებიდან გამოყოფის სახით, თუ მამკვიდრებელს სხვა რამ არ დაუდგენია.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ კანონის განსახილველი დათქმა ნათლად ასახავს ქვეყანაში დამკვიდრებულ იმ ტრადიციულ საოჯახო ურთიერთობას, რომლითაც მშობელი სიცოცხლეშივე ოჯახისგან დამოუკიდებლად მცხოვრებ ერთ-ერთ შვილს, როგორც ოჯახის წევრს და მის მემკვიდრეს, თავისი ქონებიდან გარკვეულ ნაწილს გადასცემს (გამოყოფს). კანონის აღნიშნული დანაწესი მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებს — ნორმის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ ამ ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის სუბიექტები გარდაცვლილი მშობლის შვილები არიან, რასაც ადასტურებს ნორმაში არსებული გამონათქვამი „მშობლების ქონებიდან“.

მითითებული ნორმით კანონი ადგენს წილთა გათანაბრების წესს, რაც გულისხმობს მემკვიდრეების წილების განსაზღვრისას მშობლების ქონებიდან მხოლოდ გამოყოფის სახით მიღებული ქონების გათვალისწინებას. ამ დანაწესის მიზანია, თანამემკვიდრეთა ინტერესების დაცვა სამართლიანობის პრინციპით და ყველა მემკვიდრისათვის თანაბარი წილის მიკუთვნება. ამასთან, ამავე ნორმით მუსტად არის განსაზღვრული ნორმის რეგულაციას დაქვემდებარებული ქონება — ერთ-ერთი მემკვიდრე შვილისათვის მშობლის ქონებიდან გამოყოფის სახით გადაცემული ქონება. კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ, ნორმის დისპოზიცია არ იძლევა იმგვარი განმარტების საშუალებას, რომ წილთა გათანაბრებისათვის სამკვიდრო ქონებას მიეთვალოს ასევე სახუქრად გაცემული ქონებაც, თუნდაც ჩუქების ხელშეკრულება მშობელსა და შვილს შორის იყოს დადებული. მშობლის მიერ შვილისათვის ჩუქების სახით ქონების გადაცემასა და გამოყოფის სახით ქონების გადაცემას შორის არსებითი განსხვავებაა, რაც ქონების მესაკუთრის — მშობლის ნებაშია გამოხატული, კერძოდ, პირველ შემთხვევაში მშობელი (როგორც გარიგების მხარე) მხოლოდ კეთილი ნებისა და სურვილის საფუძველზე თავის ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს შვილს საკუთრებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში მშობელი წინასწარ, თავის სიცოცხლეშივე გამოყოფს და გადასცემს ერთ-ერთ შვილს ქონების ნაწილს სამკვიდრო ქონებიდან და მშობლის (როგორც გარიგების მხარის) ნება ქონების გარკვეული მიზნით — სამკვიდრო ქონებიდან წინასწარ წილის გამოყოფის სახით გადაცემაშია. შესაბამისად, ორივე საფუძველით მიღებულ ქონებასთან დაკავშირებით მემკვიდრის უფლებებსა და ვალდებულებებს სამემკვიდრეო სამართალი დამოუკიდებლად, სხვადასხვა ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის 1473-ე და 1455-ე მუხლები) აწესრიგებს.

**საქმე №ას-321-306-2013**

**16 ოქტომბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდაში განსაკუთრებული წვლილის გათვალისწინება სამკვიდროს გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 1475-ე და 1477-ე მუხლები)**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლის თანახმად, გათანაბრებისას შთამომავალს (დამავალი ხაზის ნათესავს), რომელმაც საოჯახო მეურნეობაში გაწეული შრომით, მამკვიდრებლის პროფესიულ და კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობით, თავის მხრივ მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით ან სხვა სახით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდაში, სამკვიდროს გაყოფისას უფლება აქვს, მოითხოვოს გათანაბრება იმ ნათესავებთან, რომლებიც მასთან ერთად კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან და ითხოვენ სამკვიდროს.

განსახილველი ნორმის თანახმად, გათანაბრების უფლება აქვს შთამომავალს (დამავალი ხაზის ნათესავს), რომელმაც საოჯახო მეურნეობაში გაწეული შრომით, მამკვიდრებლის პროფესიულ და კომერციულ



საქმიანობაში მონაწილეობით, თავის მხრივ მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით ან სხვა სახით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გათანაბრების უფლება მიმართულია სამკვიდროს სამართლიანი განაწილების, გაყოფის პრინციპის უზრუნველყოფისაკენ. ამ პრინციპის დაცვის უფლებამოსილ პირს ეძლევა შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი ქონება და არ დაუშვას ამ ქონებით სხვა მემკვიდრეების უსაფუძვლო გამდიდრება.

განსახილველი ნორმის თავისებურება ისაა, რომ მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობით რეგულირდება მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდასთან დაკავშირებული ურთიერთობები. ამ ნორმის განმარტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ ფაქტობრივი გარემოებების თავისებურებები, რომლებიც მოითხოვენ სამართლებრივ შეფასებას. კონკრეტულ შემთხვევაში სამკვიდრო ქონება, რომლის შენარჩუნებასა და მისი ღირებულების გაზრდაში მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა თ. წ-მა, წარმოადგენს უძრავ ნივთს. თ. წ-ის განსაკუთრებული წვლილი გამოიხატა ხანძრის შედეგად განადგურებულ სახლის აღდგენა-რეკონსტრუქციაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული გარემოებები, რომლის შედეგად სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია თ. წ-ის მიერ მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით განსაკუთრებული წვლილის შეიტანის ფაქტი, რაც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს წარმოადგენს საკასაციო სასამართლოსათვის, მიგვითითებენ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლებამოსილ პირს გააჩნია საკომპენსაციო სახის მოთხოვნები.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლო მითითებული ნორმის განმარტებას აფუძნებს გათანაბრების უფლების მქონე მემკვიდრის წილის გაზრდის პრინციპზე და განმარტავს, რომ, რადგან, აღნიშნული სახით წილთა გათანაბრება გამოიწვევს დ. წ-ის მემკვიდრეობის უფლების შელახვას თ. წ-ის ქონებრივი უფლებების დაცვის ხარჯზე სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სავალდებულო წილის მიღების წესები.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ სამკვიდრო ქონების გაყოფისას მემკვიდრეების უფლებები უნდა შეესაბამებოდნენ სამემკვიდრო წილების თანაზომიერებას. განსახილველი ნორმა იცავს მემკვიდრეებს სამკვიდრო მასის უთანასწორო გაყოფისაგან. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თანაზომიერების აღდგენა სამკვიდრო ქონებიდან ქონების ნაწილის შემატების გზით შეიძლება იყოს შეუძლებელი ამ ქონების განუყოფელი თვისების გამო (მხედველობაში არ არის სამოქალაქო კოდექსის 1459-ე მუხლის შემთხვევა, არამედ ამავე კოდექსის 1475-ე მუხლის მიხედვით, როდესაც გათანაბრების უფლება ეხება განუყოფელ ქონებას). ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლით განსაზღვრული გათანაბრების უფლების რეალიზაციის წესი, რაც მოცემულია ამავე კოდექსის 1477-ე მუხლით, ითვალისწინებს არა წილის შემცირების და, შესაბამისად, წილის მიმატების სამართლებრივ რეგულაციას, არამედ სამკვიდროს საერთო თანხიდან გამოკლებული გათანაბრების თანხის გათანაბრების უფლების მქონე მემკვიდრის წილზე მიმატების წესს.

ამდენად, ასეთ შემთხვევებში გათანაბრება უნდა განხორციელდეს შესაბამისი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების გზით. ამაზე მიგვითითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1477-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სამკვიდროს გაყოფისას გათანაბრების თანხა გამოაკლდება სამკვიდროს საერთო თანხას და მიემატება იმ თანამემკვიდრის წილს, რომელსაც გათანაბრების მოთხოვნის უფლება აქვს. საკომპენსაციო თანხის მოთხოვნას, ასევე ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ — ამ ქონების ღირებულება. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ამ უკანასკნელი დანაწესით რეგულირდება საერთო საკუთრების რეჟიმი, რომლის წილი ეკუთვნოდა მამკვიდრებელს, მაგრამ საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი ნორმის მსგავსად 1477-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საკომპენსაციო თან-

ხის გადახდის ინსტიტუტს. ამდენად, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გათანაბრების თანხა სრულად უნდა გამოაკლდეს სამკვიდრო ქონებას (კასატორი გულისხმობს თავისი წილის გაზრდას სხვა მემკვიდრეთა წილის ხარჯზე). ამდენად, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლით განსაზღვრული გათანაბრების პრინციპის რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმი მოცემულია ამავე კოდექსის 1477-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს არა წილის შემატებას სხვა მემკვიდრეთა წილების ხარჯზე, არამედ საკომპენსაციო თანხით უფლების დაკმაყოფილებას.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ, განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, გათანაბრების თანხაში იგულისხმება ყველა ის მნიშვნელოვანი ხარჯი ან სხვა სახით განსაკუთრებული წვლილი, რომელიც შენარჩუნებული და გაზრდილი იქნა მამკვიდრებლის ქონება. შესაბამისად, გათანაბრების თანხა უნდა გამოაკლდეს სამკვიდროს საერთო და არა გაუმჯობესებამდე ან დანარჩენი მემკვიდრეების მიერ მისაღები ქონების თანხას. ამრიგად, ამ ქონების შენარჩუნებისა და გაზრდის (გაუმჯობესების) ღირებულების გამოკლებით უნდა გაიყოს სამკვიდრო ქონება, ხოლო გამოკლებული თანხა უნდა მიეცეს გათანაბრების მოთხოვნის უფლების მქონე პირს, ანუ, „შემატება იმ თანამემკვიდრის წილს, რომელსაც გათანაბრების მოთხოვნის უფლება აქვს“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1477-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამასთან ერთად საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ, რადგან ორ მიწის ნაკვეთზე არ დგინდება თ. წ-ის მიერ მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა უძრავი ნივთის შენარჩუნებისა და მისი ღირებულების გაზრდისათვის, მათზე უნდა გავრცელდეს მემკვიდრეობის უფლების საერთო რეჟიმი. ამასთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამკვიდრო გაცოფის ინსტიტუტი 1475-ე და 1477-ე მუხლებით მოცემულ გათანაბრების პრინციპს ავრცელებს მთელ სამკვიდრო ქონებაზე და არა მის ცალკეულ ნაწილებზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ — ამ ქონების ღირებულება.

ამასთან ერთად ყურადსაღებია ამავე კოდექსის 1477-ე მუხლის დანაწესი, რომლითაც სამართლიანი განაწილების მოთხოვნა უკავშირდება სამკვიდროს საერთო თანხას და არა ამ სამკვიდროს ცალკეული ნივთების ღირებულებას. გათანაბრების გზით სამართლიანი განაწილების პრინციპის დაცვა შესაძლებელია მთელი სამკვიდრო მასის გათვალისწინებით. ზუსტად ამ პრინციპის დაცვას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მამკვიდრებლის ქონების, ანუ სამკვიდრო ქონების გაზრდა-შენარჩუნებას.

აქედან გამომდინარე გათანაბრების უფლება მოიცავს მთელი სამკვიდრო ქონებას, შესაბამისად, გათანაბრების უფლების მქონეს შეუძლია მოითხოვოს გათანაბრების თანხის გამოკლება საერთო (მთელი) სამკვიდრო ქონებიდან გამოკლებით და მისი წილზე მიმატების გზით.

## **საქმე № 3კ/441-01**

**4 მარტი, 2002 წელი, ქ. თბილისი\***

### **უმენავსი სასამართლოს დიდი პალატა**

#### **განმარტების საგანი: მამკვიდრებლის კრედიტორები (სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლი)**

დიდი პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით გათვალისწინებულ კრედიტორთა რიცხვს განეკუთვნებიან პირები, რომლებმაც სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის შესაბამისად დავალების გარეშე, საკუთარი ხარჯებით დაკრძალეს მიცვალებული. დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ

\* დაკრძალვის ხარჯების გაანგარიშებასთან დაკავშირებით იხ. სუსგ საქმე №ას-227-219-2012 5 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

სარჩელის განხილვისას საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებების შესაბამისად, სამკვიდრო ქონების ღირებულების ფარგლებში მემკვიდრეებს, სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხლის თანახმად, დავალების გარეშე მოქმედი პირის სასარგებლოდ შეიძლება დაეკისროთ მიცვალებულის ბალზამირების, სასახლის (კუბოს), მიცვალებულის მაკიაჟის, ბალდახინის (კატაფალკის), გარდაცვლილის სამგლოვიარო სურათის დამზადების, განბანვის, საფლავისათვის მიწის ღირებულების, საფლავის გათხრის, სასაფლაოს ბეტონის ცოკოლით მოწყობის, საპანაშვიდე მუსიკის, სუდარის, დაკრძალვის ცერემონიის მონაწილეთათვის სატრანსპორტო და სხვა სარიტუალო მომსახურების აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, რომლის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, დასაფლავების ქელების ხარჯები ასევე არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, ხოლო ორმოცისათვის გაწეული ხარჯები — 500 ლარს.

**საქმე № 3კ-914-02**

**6 დეკემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მემკვიდრეთა მიერ მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილება (სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლი)**

მოცემულ საქმეზე საოლქო სასამართლოს პალატის მიერ დამტკიცებულად არის ცნობილი, რომ 1999წ. 15 სექტემბრის სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, თ. გ.-მ ც. ც.-ისაგან ისესხა 7800 აშშ დოლარი პროცენტის გარეშე. სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით დაიტვირთა თ. გ.-ის ბინა. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მემკვიდრეებს დაეკისრათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდა დანაშთი ქონებიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და იგი კანონიერ ძალაშია.

დადგენილია, რომ თ. გ.-ის მემკვიდრეები ფაქტობრივად ფლობენ სამკვიდროს, რაც სკ-ს 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ითვლება, რომ მიღებული აქვთ სამკვიდრო. აქედან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ ვინაიდან, მემკვიდრეებს არ მიუღიათ სამკვიდრო მოწმობა სასამართლოს არ უნდა დაეკისრებინა მათთვის თანხის გადახდა, ვერ იქნა გაზიარებული. ამასთან, როგორც აღინიშნა, თანხის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილება მოპასუხეებს არ გაუსაჩივრებიათ და იგი კანონიერ ძალაშია, რის გამოც საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

**საქმე №ას-1360-1473-04**

**11 მაისი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნათა წარდგენის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლი)**

მითითებული ნორმით, მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. ამასთან, პალატა თვლის, რომ მოთხოვნის წარდგენა არ გულისხმობს სარჩელის აღძვრას. მოთხოვნა შეიძლება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იყოს განხორციელებული.

**საქმე № ას-143-136-10**

**7 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნათა წარდგენის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას სასამართლო დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებს, რომლის თანახმად მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვა-

დის დადგომის მიუხედავად. ამ წესის დაუცველობა იწვევს მოთხოვნის უფლების დაკარგვას. პალატა თვლის, რომ მითითებული ნორმით დადგენილია პრეტენზიის — მოთხოვნის წარდგენის ვადა და არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოთხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საპრეტენზიო ვადაში წარედგენილი მოთხოვნა კი შეიძლება არ დააკმაყოფილოს სასამართლომ, თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე გააკეთებს მითითებას ამის თაობაზე. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მიერ ამ ინსტიტუტთა მნიშვნელობა არასწორადაა გაგებული და შესაბამისად არასწორადაა განმარტებული გამოყენებული ნორმის შინაარსი, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რადგან ამოწურულია პრეტენზიის წარდგენის ვადა, რის გამოც მოსარჩელეს დაკარგული აქვს მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ.

**საქმე № ას-233-494-08**

**17 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა**

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ ნ. ო-ი არის აწ გარდაცვლილი ო. ო-ის მეუღლე, რომელიც მეუღლის გარდაცვალების დღიდან აგრძელებდა საერთო საკუთრების ფლობას, განაგებს და მართავს მას. ხოლო გ. დ-მ სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუს მიმართა ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ნოტარიუსის მიერ გ. დ-ზე სამკვიდრო მოწმობები გასცა კანონის დარღვევით, რის გამოც ბათილად ცნო ისინი. ამასთანავე, რაიონულმა სასამართლომ საჯარო რეესტრში ცვლილებებს შეტანაზე უარი უთხრა მოსარჩელეს იმ საფუძველით, რომ საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაცია ხორციელდება უფლების დამადასტურებელი საბუთისა და საკადასტრო ინფორმაციის საუძველზე, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით საკუთრების რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა არა იმ საფუძველით, რომ იგი არ იყო მემკვიდრე და შესაძლოა, არამედ ფაქტობრივად მოსარჩელეს განუმარტა, რომ მიემართა ნოტარიუსისათვის აეღო სამკვიდრო მოწმობა და ამის საფუძველზე აღერიცხა თავისი საკუთრება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ნ. ო. ო-ის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია სარჩელის მიკუთვნებით ნაწილში, ანუ იმ ნაწილში რომლითაც იგი მოითხოვდა საჯარო რეესტრის ჩანაწერებსა და ავტომატურად რეგისტრაციის თაობაზე მონაცემებში სათანადო ცვლილებების შეტანას და სადავო ქონების თავის სახელზე აღრიცხვას, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ხოლო სადავო ქონება გასხვისებულია მესამე პირზე, შესაბამისად, სარჩელის აღიარებითი ნაწილიც უსაფუძვლო იყო, რის გამოც ნოტარიუსის მიერ გაცემულ სამკვიდრო მოწმობების ბათილობის ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ უკრძალავს მოსარჩელეს მიმართოს ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმობის მისაღებად.

სადავო სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობის შემთხვევაში აღდგება პირვანდელი მდგომარეობა ანუ სადავო ქონება აღირიცხება მამკვიდრებლის სახელზე, რაც აძლევს უფლებას მემკვიდრეებს მოითხოვონ შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებების განხორციელება.

მით უფრო როცა დადგენილია, რომ მოსარჩელეს მიღებული აქვს სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით და სკ-ის 1433-ე მუხლის თანახმად მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება ასევე ის გარემოება, რომ მოპასუხეს გასხვისებული აქვს სადავო ქონება და სამკვიდრო მოწმობების გაუქმება მას სარგებელს არ მოუტანს. ჯერ ერთი, ნასყიდობის ხელშეკრულება სადავოდ არის გამხდარი და სასამართლო წარმოება ამ საქმეზე ჯერ არ დამთავრებულა და მეორეც, თუ მოსარჩელე სადავოდ ქონებას ვერ დაიბრუნებს, მას შეუძლია მოპასუხისაგან მოითხოვოს კომპენსაცია; შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელეს გააჩნია იურიდიული ინტერესი, რათა დადგინდეს სამკვიდრო მოწმობების კანონის დარღვევით გაცემის ფაქტი.

## 9. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

საქმე №ას-439-415-2013

30 ოქტომბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და ამ ნაკვეთებთან დაკავშირებით დადებული გარიგებების სამართლებრივი ბუნება**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 30 წელზე მეტია, რაც თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანებისგან თავისუფალი ნაწილით (საეზოვე ფართით) სარგებლობდა და სარგებლობს მხოლოდ მოპასუხე მ. მ-ი და მის საკუთრებაში არსებული ქონების წინამორბედი მესაკუთრეები.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებს საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა — მთელ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიმაგრებული იყო მათ საერთო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული მიწა გახდა არა თანასაკუთრების, არამედ — ამ პირთა დამოუკიდებელი საკუთრების საგანი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენადაც ჯ. გ-ა არ არის სადავო ეზოს ფართის მოწილე, შესაბამისად, მ. მ-ი საზიარო საგნით სარგებლობაში უკანონოდ ხელს ვერ შეუშლის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ 1997 წლამდე (ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე) მხარეთა საკუთრებაში არსებული ფართების წინამორბედი მესაკუთრეები შეთანხმდნენ მათ თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესზე და 1997 წლის შემდგომაც სარგებლობდნენ შეთანხმებული წესის დაცვით.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მეზობლებს შორის არსებობდა შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესზე.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე მხარეებს საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა — მთელ მიწის ნაკვეთზე.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, მხარეები წარმოადგენენ მესაკუთრეებს ფაქტობრივად მათ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რაც განსხვავდება საჯარო რეესტრის ჩანაწერისაგან.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ თავისებურებაზე, რომ განსახილველი საქმე ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მეზობლებს შორის არსებობდა შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებული ფართის არა გამიჯვნის (იგულისხმება განაშენიანობისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი, რადგან ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, ვერ იქნება განკარგვის ცალკე ობიექტი), არამედ განაშენიანებისაგან თავისუფალი მთელი მიწის ნაკვეთის დათმობის შესახებ, რითაც ეს საქმე განსხვავდება მსგავსი კატეგორიის საქმეებისაგან.\*

ამის გათვალისწინებით ისმის შემდეგი კითხვები: შეიძლება თუ არა მხარეები შეთანხმდნენ თანასაკუთრებით სარგებლობის ისეთ წესზე, რომლითაც მესაკუთრეს სამუდამოდ ეზღუდება საკუთრებით სარგებლობა? არსებობდა თუ არა მხარეთა შორის კანონიერი შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საეზოვე ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე? წარმოეშვა თუ არა მ. მ-ს კანონიერი სარგებლობის უფლება ნ. დ-ის (ჯ. გ-ას წინამორბედი თანამესაკუთრე) მიერ დათმობილ თავის წილ მიწის ნაკვეთზე?

ამ კითხვებზე უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის თანახმად, მეზობლები შეთანხმებულები იყვნენ მიწის ნაკვეთის სარგებლობის (გადაცემის) წესზე ჯერ კიდევ 30 წლის წინ, შეფასებულ უნდა იქნეს იმ დროს მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მიწა, მისი წიაღი, წყალი და ტყე წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას და გაიცემოდა სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკურ პირთა საკუთრება ვრცელდებოდა საცხოვრებელ სახლებზე, ხოლო მიწის ნაკვეთი მათ გადაეცემოდათ სარგებლობაში.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის წესს არეგულირებდა იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობა, კერძოდ, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად, მოქალაქეს მიწის ნაკვეთი სარგებლობაში გადაეცემოდა ამ საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ საფუძვლების მე-20 მუხლის თანახმად მოქალაქეს უფლება ჰქონდა, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიეღო მფლობელობაში მიწის ნაკვეთი და ესარგებლა ამ მიწის ნაკვეთით სიცოცხლის ბოლომდე მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით. შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების გადაცემით გადადიოდა, ასევე მიწის ნაკვეთზე მფლობელობის უფლება (საფუძვლების მე-10 მუხლი). ამასთან ერთად, მიწის მფლობელებს ჰქონდათ მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთისა ან მისი ნაწილის მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის უფლება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით (საფუძვლების მე-16 მუხლის მე-7 ქვეპუნქტი), ხოლო ამავე ნორმატიული აქტის 53-ე მუხლი ითვალისწინებდა უკანონო გარიგებების დადებისას პასუხისმგებლობას, რომლის თანახმად ბათილია მიწის ნაკვეთების თაობაზე დადებული ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებები. ასევე გასათვალისწინებელია იმ დროს მოქმედი საქართველოს მიწის კოდექსის (1971 წლის 1 ნოემბერი) 151-ე მუხლი, რომლის თანახმად მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ანდერძით დატოვება, ჩუქება, იჯარით გაცემა, თვითნებური გაცვლა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

შესაბამისად, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, ისიც კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება იყო ბათილი.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის მე-3 ნაწილი კრძალავს თანაზიარი საკუთრების უფლების სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმე-

\* იხ. სუსგ საქმე №ას-535-503-2012 28 ივნისი, 2012 წელი; საქმე №ას-1284-1539-09 26 მარტი, 2010 წელი

ბას, რომლითაც გაუქმების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება ან იზღუდება ამ წესების საწინააღმდეგოდ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ შეთანხმებით გაუქმების მოთხოვნის უფლება გამოირიცხებულია სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით, მაშინ პატივსაღები მიზეზის არსებობისას გაუქმება მაინც შეიძლება იქნეს მოთხოვილი.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ მეზობლები 30 წლის წინ შეთანხმებულები იყვნენ მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე, გემოაღნიშნული ნორმები ცხადყოფს, რომ იმ დროს არსებული კანონი არ ითვალისწინებდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის სახელმწიფოსაგან მფლობელობაში გადაცემული მიწის ნაკვეთის მფლობელის მიერ სხვა პირის მფლობელობაში სამუდამოდ გადაცემას. მიწა არაგასხვისებადი იყო, შესაბამისად, ამ მიწის ნაკვეთის გასხვისების ან სხვაგვარი კანონსაწინააღმდეგო გადაცემის ხელშეკრულება იყო ბათილი.

მოქმედ სამართლებრივ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების შემთხვევაშიც კანონი ითვალისწინებს პატივსაღები მიზეზის არსებობისას გაუქმებულ იქნეს სამუდამოდ განსაზღვრული თანასაკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობის შეთანხმება. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, ფაქტობრივ გარემოებათა თავისებურების გათვალისწინებით, არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი.

განსახილველი ნორმის თანახმად ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლები მდებარეობს, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ამ პირთა საკუთრებად მიიჩნევა და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმის მიზანია, აღადგინოს სამართლებრივი წესრიგი იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. როგორც გემოთ აღინიშნა, ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, სახელმწიფოსაგან მფლობელობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე რჩებოდა სახელმწიფო, ხოლო ამ მიწის ნაკვეთზე აღმართული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოქალაქე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. შესაბამისად, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამიტომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი უთითებს ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. „კანონიერ სარგებლობაში“, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კანონით დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, შესაბამისად, კანონის საწინააღმდეგოდ (იმ დროს მოქმედი, გემოთ განხილული) მოპოვებული სარგებლობა არ წარმოადგენს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის წინაპირობას. ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება, რომლითაც ხდებოდა ამ მიწის ნაკვეთებზე ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებების დადება, ბათილი იყო.

**საქმე № ას-596-823-08**

**15 იანვარი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე (სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი)**

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლმა საკუთრებად გამოაცხადა ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებია განლაგებული.

აღნიშნული ნორმა გარდამავალი სახისაა და წარმოშობს უფლებას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე. ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად მიწა, მისი წიაღი, წყალი და ტყე წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას და გაიცემოდა მხოლოდ სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად მოქალაქეთა პირადი საკუთრებაში შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საცხოვრებელი სახლი, ხოლო მიწა ზემოთ მითითებული ნორმის თანახმად, რჩებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში. ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, გამოაცხადა ამ პირთა საკუთრებად და მათზე გავრცელდა უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. აღნიშნულიდან გამომდინარე პირთა ერთობლივ კანონიერ სარგებლობაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთები გამოცხადდა მათ თანასაკუთრებად. პრაქტიკაში უმეტესად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახლის თანამესაკუთრებმა სარგებლობაში არსებული მიწები შეთანხმების საფუძველზე ლობით გამიჯნეს ან სხვა სახის მყარი ნაკვეთით, ან ისინი წლების განმავლობაში სარგებლობდნენ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის ნაწილით. ასეთ შემთხვევაში მათ საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც მათ უშუალო სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა მთელს მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიმაგრებული იყო მათ საერთო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული მიწა გახდა არა თანასაკუთრების, არამედ ამ პირთა დამოუკიდებელი საკუთრების საგანი. ასეთი უფლება გავრცელდა მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთზე, რომლითაც სარგებლობენ ეს პირები. ხოლო მიწა, რომელზეც აღმართულია მათი საცხოვრებელი სახლი, სახლთან ერთად წარმოადგენს მათ მესაკუთრეთა თანასაკუთრებას შესაბამისი წილების მიხედვით.

## 10. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წამოშობილი ურთიერთობები

საქმე № ას-766-716-2010

21 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონის რეგულირების სფერო**

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. ამდენად, აღნიშნული კანონით რეგულირებულია იმ პერიოდის საზოგადოებაში ფაქტობრივად არსებული ურთიერთობა, რომელიც იმ დროს მოქმედი საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული არ იყო. საცხოვრებელი სადგომის მუდმივი დათმობა თავისი შინაარსით არატიპურ სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენდა და იგი საბჭოთა სინამდვილეში ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის სახით არსებობდა. ეს სახელშეკრულებო ურთიერთობა შეიცავდა სხვადასხვა გარიგების ნიშნებს (ქირავნობა, სესხი, გირავნობა), თუმცა ამავდროულად რადიკალურად განსხვავდებოდა მათგან თავისი შინაარსით და შემდეგი სპეციფიკური პირობებით: მოსარგებლე მესაკუთრეს ერთჯერადად უხდიდა გარკვეული რაოდენობის თანხას ფართის სარგებლობაში მიღების სანაცვლოდ, ამასთან, მესაკუთრეს ყოველთვიურად უხდიდა ბინის ქირასაც; მოსარგებლე რეგისტრირდებოდა საცხოვრებელ ფართში და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს; მესაკუთრის მიერ თანხის დაბრუნების შემთხვევაში მოსარგებლე ვალდებული იყო, გამოეთავისუფლებინა დაკავებული ფართი, თუმცა ხშირ შემთხვევებში, მესაკუთრე თანხას ვერ აბრუნებდა, ურთიერთობა ხანგრძლივ ხასიათს იღებდა და უფლება მემკვიდრეებზე გადადიოდა; ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარგებლე იძენდა დათმობილი სარგებლობის უფლების გასხვისების შესაძლებლობასაც, რაც მოსარგებლეთა შვებ-



ლას იწვევდა; ამ სპეციფიკური ნიშნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება მსგავსი ხელშეკრულებების (ქირავნობა, სესხი, გირავნობა) ნორმებით შეუძლებელი იყო და კანონმდებელმა სპეციალური კანონით მოწესრიგებას დაუქვემდებარა. ამასთან, ამ კანონით რეგულირდება მხოლოდ ის ურთიერთობები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ ნიშნებს უტყუარად შეიცავენ, ამასთან შესაძლებელია ეს ნიშნები კუმულატიურადაც არსებობდეს ან მხოლოდ ზოგიერთი მათგანი არსებობდეს.

#### საქმე № ას-399-372-2010

#### 4 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

#### განმარტების საგანი: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობა

ვ. წ-შვილსა და ო. ბ-ძეს შორის, ვ. წ-შვილის შვილების, ა. ს-უასა და ვა. ს-უას მონაწილეობით 1988 წლის ნოემბერში შედგა ზეპირი გარიგება, რომლის თანახმად, ვ. წ-შვილმა ოზურგეთის რაიონის სოფელ მთისპირში მდებარე საცხოვრებელი სახლი და ეზოს ნარგავები მიჰყიდა ო. ბ-ძეს 18000 მანეთად.

ო. ბ-ძემ ვ. წ-შვილს ნაწილ-ნაწილ სრულად გადაუხადა ნასყიდობის საბლანოური და იგი დღემდე ფლობს და სარგებლობს საცხოვრებელი სახლითა და მიწის ნაკვეთით და იღებს ნაყოფს.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 იანვრამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ მოწესრიგებას მოითხოვს (კანონის პირველი მუხლი). სპეციალური მოწესრიგება უკავშირდება უშუალოდ ამ ურთიერთობების სპეციფიკას, კერძოდ, ურთიერთობები, რომლებიც არსებობდა ზემოაღნიშნულ პერიოდში ფაქტის სახით, განსახილველმა კანონმა მიანიჭა იურიდიული მნიშვნელობა და დაუკავშირა მას კონკრეტული სამართლებრივი შედეგები.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული კანონით წესრიგდება არა ნებისმიერი ფორმადანაუცვლელ გარიგებასთან დაკავშირებული ურთიერთობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც მოითხოვდა სპეციალურ მოწესრიგებას.

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი ვალდებული იყვნენ, დაეცვათ უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის იმ დროს მოქმედი წესები, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ამ წესების დარღვევა უკავშირდება და გარკვეულ ობიექტურ გარემოებებს, რაც დამახასიათებელი იყო იმ დროს მოქმედი სამართლებრივი სივრცისათვის, კერძოდ, სამოქალაქო უფლებათა განხორციელება იმ დროს ბევრად იყო დამოკიდებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დანაწესებზე, რაც ხელს უშლიდა თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. ასეთ ვითარებაში ხშირად მხარეთა ურთიერთობა არ სცილდებოდა მათი ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის ფარგლებს.

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სადავო ურთიერთობა არ განეკუთვნება იმ ურთიერთობათა კატეგორიას, რომელიც ზემოაღნიშნული კანონით სპეციალურ მოწესრიგებას საჭიროებს.

განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს ფორმადანაუცვლელ გარიგებას, რაც მხარეებს შეეძლოთ აღერიცხათ იმ დროს მოქმედი წესების დაცვით, მაგრამ არ აღრიცხეს, რაც არ იყო დაკავშირებული ზემოაღნიშნულ ობიექტურ შეზღუდვებთან. მით უმეტეს გასათვალისწინებელია, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა მიწის ნაკვეთზე, არამედ მხოლოდ საცხოვრებელ სადგომზე და, შესაბამისად, ამ სადგომის ქვეშ არსებულ მიწის ნაკვეთზე (უშუალოდ იმ მიწის ნაკვეთის მონაკვეთზე, რაზედაც მდებარეობს საცხოვრებელი სადგომი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორების, ო., ა., მ. ბ-ძებისა და თ. კ-ძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო „საცხოვრებ-

ლი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით. ამრიგად, 1988 წლის ოქტომბერში ვ. წ-შვილსა და ო. ბ-ძეს შორის, ვ. წ-შვილის შვილების, ა. ს-უასა და ვა. ს-უას მონაწილეობით დადებული ზეპირი გარიგება უძრავი ნივთის ნასყიდობის თაობაზე, არ წესრიგდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

### **საქმე № ას-766-716-2010**

**21 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: მოსარგებლე („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის 1' მუხლის „ა“ ქვეპუნქტი)**

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ, ვინაიდან თ. ლ-ძე აღნიშნულ მისამართზე კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული არ ყოფილა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის 1' მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარგებლე არ არის. როგორც ზემოთ აღინიშნა. ამ კანონის მიზნებისათვის მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად, ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, ან ადმინისტრაციული აქტით. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლეს წარმოადგენს პირი, რომელიც 1998 წლისათვის — კანონის მიღების დროისათვის მართლზომიერად ფაქტობრივად ფლობდა აღნიშნულ უძრავ ნივთს, კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით. ამავე კანონის მე-2 მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ანდა მესაკუთრისთვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა). ამდენად, სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია წარმოადგენს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების არსებობის და არა საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლის სტატუსის დამდგენ გარემოებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასახელებული კანონის დანაწესის სამართლებრივი ანალიზის თანახმად, კანონმდებელი საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლედ პირის მიჩნევის სავალდებულო პირობად ადგენს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მიღების მომენტისათვის ამ პირის მიერ საცხოვრებელი სადგომის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობის ფაქტს. რაც შეეხება საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციას საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის ხელშეკრულების წერილობით ფორმით არსებობის შემთხვევაში, რეგისტრაციის არსებობის ფაქტი გადამწყვეტი არ არის.

### **საქმე № ას-1341-1359-2011**

**23 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლედ ცნობა**

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ. № 75-ში (ყოფილი ჯ-ის ქ. № 129, 75) მდებარე საცხოვრებელი სახლის (სართო ფართით 113,47 კვ.მ) ნაწილი რეგისტრირებულია მოპასუხე გ. კ-ის საკუთრებად. 1/2 ნაწილი კი, მოპასუხის განმარტებით, რეგისტრირებულია აწ. გარდაცვლილი ვ. დ-ის საკუთრებად, რომლის მემკვიდრესაც წარმოადგენს მოპასუხე გ. კ-ე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ. № 75-ში (ყოფილი ჯ-ის ქ. № 129, 75) მდებარე საცხოვრებელი სახლში 1974 წლიდან ჩაწერილია და ცხოვრობს მოსარჩელე ბ. წ-ე, 1976 წლიდან — ვ. წ-ე, ხოლო 1994 წლიდან მოსარჩელე ი. წ-ე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა დავას არ იწვევდა ის გარემოება, რომ სადავო საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ მოსარჩელეთა სახელზე ირიცხებოდა კომუნალური გადასახადები, რომელსაც თავადვე იხდიდნენ. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ ურთიერთობაზე არ ვრცელდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რადგან მოსარჩელები არ არიან ის სუბიექტები, რომელსაც ეს კანონი მოსარგებლედ მიიჩნევს.

აღნიშნულის საფუძველად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმაზე, რომ არ დასტურდება საცხოვრებელი სადგომის დათმობის გარიგების დადება არც ამჟამინდელ მესაკუთრესა და არც ძველ მესაკუთრესთან — ღ-ესთან, რაზედაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუთითებს ძველი მესაკუთრისათვის თანხის არასრულყოფილად გადახდის ფაქტი. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1982 წლიდან მოყოლებული ვ. დ-ე და გ. კ-ე დაობენ წ-ეების გამოსახლებაზე მათი საკუთრებიდან, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: წარმოდგენენ თუ არა კასატორები „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სუბიექტებს და რამდენად შეისწავლა სააპელაციო სასამართლომ ყველა აუცილებელი ფაქტობრივი ელემენტი აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება არა იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის 1982 წლიდან მიმდინარეობდა დავები სადავო ქონებასთან მიმართებაში, არამედ იმას, თუ რა ურთიერთობა არსებობდა წ-ეებსა და ძველ მესაკუთრე ღ-ეს შორის.

კანონიერ ძალაში შესული 1988 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „სადავო სახლში ბ. და ვ. წ-ეების დამქირავებლის უფლებით ჩასახლების შემდეგ (1979 წლის მარტის თვეში) დაიდო სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გ. (ღ.) დ.ის ძე ღ-ესა და ჯ. ვ.ის ძე წ-ეს შორის“ (ს.ფ. 21). ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „გ. (ღ.) ღ-ე საბოლოოდ ვერ შეუთანხმდა მოპასუხეებს (წ-ეებს) სახლის ღირებულებაზე და 1981 წლის ნოემბერს ეს სახლი მიჰყიდა გ. და ვ. დ-ეებს...“ ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ, აღნიშნულიდან გამომდინარე, „მოპასუხეებმა (წ-ეებმა) სადავო სახლში ცხოვრება გააგრძელეს სახლის ყიდვა-გაყიდვის შინაურული გარიგების საბოლოოდ დასრულებამდე უარის თქმის შემდეგ სახლის მესაკუთრის ნება-სურვილით. გ. (ღ.) ღ-ე ცნობდა მოპასუხეების სარგებლობის უფლებას სადავო სახლზე და მათი გამოსახლების საკითხი არ დაუყენებია“ (ს.ფ. 21).

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით უმაღლესმა სასამართლომ მხარეთა შორის ქირავნობის ურთიერთობის საფუძველად დაუდო არა 1979 წელს დადებული შინაურული ნასყიდობის ხელწერილი, არამედ ამ შინაურული ნასყიდობის დადებამდე მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა, რაც დაკვალიფიცირდა როგორც ქირავნობა.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ წ-ეებმა ძველ მესაკუთრეს გადაუხადეს შინაურული ხელწერილით განსაზღვრული თანხის ნაწილი (და არა სრული თანხა) არ მიუთითებს იმაზე, რომ მათ შორის არ არსებობდა გარიგება საცხოვრებელი სადგომის დათმობის თაობაზე. გასათვალისწინებელია, რომ საქმეში წარმოდგენილი უმაღლესი სასამართლოს 1988 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „გ. (ღ.) ღ-ე ცნობდა მოპასუხეების სარგებლობის უფლებას სადავო სახლზე და მათი გამოსახლების საკითხი არ დაუყენებია“. ამდენად, გასარკვევია ურთიერთობა, რომელიც არსებობდა წ-ეებსა და ღ-ეს შორის შინაურული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წ-ეების მიერ თუნდაც საცხოვრებელი სადგომის ნაწილის გადახდის შემდეგ. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ წ-ეებს არა აქვთ სრულად გადახდილი შინაურული ნასყიდობის გარიგებით განსაზღვრული საცხოვრებელი სადგომის ღირებულება, შესაძლებელია მხარეთა (წ-ეები-ღ-ე) შორის წარმოშვას ურთიერთობა არა ფორმალური ნასყიდობის, არამედ საცხოვრებელი სადგომის დათმობის გარიგების საფუძველზე.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „მოსარგებლეა — პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით“.

აღნიშნული დანაწესი უთითებს ისეთ ურთიერთობებზე, რომლის თანახმად, მესაკუთრის მიერ ხდებოდა ნივთის მიტოვება (დათმობა) მოსარგებლის სასარგებლოდ. ერთ შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის გადაცემა ხდებოდა მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო, მეორე შემთხვევაში კი, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც იგულისხმება კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლების გადაცემა. ამისათვის გარკვეული საფასურის გადახდა, განსახილველი კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდება ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის ფაქტი.

ამრიგად, ანგარიშგასაწევია, მითითებული კანონის ის დანაწესი, რომლის თანახმად, მოსარგებლეა ის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს. კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, მოიპოვეს თუ არა წ-ეებმა ფაქტობრივი ფლობის უფლება ლ-ისაგან. რა გარემოებებით იყო განპირობებული ის, რომ შინაურული ნასყიდობის ხელწერილით გათვალისწინებული თანხის მხოლოდ ნაწილის გადახდის მიუხედავად „გ. (ღ.) ლ-ე ცნობდა მოპასუხეების სარგებლობის უფლებას სადავო სახლზე და მათი გამოსახლების საკითხი არ დაუყენებია“ (ს.ფ. 21).

მხოლოდ წ-ეებსა და ლ-ის შორის არსებული ურთიერთობის დადგენის შემდეგაა შესაძლებელი წ-ეებსა და დ-ე-კ-ეს შორის არსებული ურთიერთობების განსაზღვრა.

**საქმე № ას-1151-1296-08**

**25 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის გავრცელება უფლებამონაცვლებზე**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება ასევე მესაკუთრისა და მოსარგებლის უფლებამონაცვლებზე (განსახილველი კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები). ამასთან ერთად ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამონაცვლების განსაზღვრა უნდა მოხდეს ამ კანონით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელი სადგომით კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს მესაკუთრესაგან გარიგების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ დგინდება საცხოვრებელი სადგომის დათმობის ფაქტი (ქირავნობის გარდა) ივარაუდება, რომ ეს სადგომი დათმობილია „სამუდამოდ“, რომლის უფლება ასევე გააჩნია მოსარგებლეს. ამდენად, თავდაპირველი მოსარგებლის მიერ ამ ფართის გადაცემა სხვა პირზე იმ უფლებრივ მდგომარეობაში, რაც გააჩნდა მას მესაკუთრესთან დადებული გარიგების საფუძველზე, ვრცელდება ამ უკანასკნელზე, რომელიც წარმოადგენს თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლეს. ამდენად, იმისათვის, რომ სწორად შეფასდეს გემოალ-ნიშნული სასამართლოს პროცესუალური დოკუმენტები, უნდა დადგინდეს უფლებამონაცვლების საკითხი და, აქედან გამომდინარე, განისაზღვროს მხარეთა უფლება-ვალდებულებები.

განსახილველი კანონის მიზნებიდან გამომდინარე, უფლებამონაცვლების განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს მოპასუხეებმა საკუთრება სადავო ფართზე მემკვიდრეობით, ნასყიდობით თუ ჩუქებით მოიპოვეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რომელი ფართის მესაკუთრეებს წარმოადგენენ. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოპასუხეები წარმოადგენენ იმ ფართის მესაკუთრეებს, რო-

მელიც თავის დროზე მ. კ-ო-იმ დაუთმო კ-ძეების ოჯახს, მოპასუხეებზე უნდა გავრცელდეს ის ვალდებულებები, რაც გააჩნდა მ. კ-ო-ლის ამ ფართის დათმობასთან დაკავშირებით.

**საქმე № ას-439-411-2010**

**25 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოსარგებლის უფლების გავრცელების ობიექტი**

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა მიწის ნაკვეთზე, არამედ მხოლოდ საცხოვრებელ სადგომზე და, შესაბამისად, ამ სადგომის ქვეშ მიწის ნაკვეთზე (უშუალოდ იმ მიწის ნაკვეთის მონაკვეთზე, რაზედაც მდებარეობს საცხოვრებელი სადგომი).

**საქმე № ას-1448-1463-2011**

**1 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოსარგებლის უფლების გავრცელების ობიექტი**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თ. შ-ას მშობლებს, მოპასუხე ტ. ა-ასა და აწ გარდაცვლილ გ. ა-ს შორის დაიდო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება და მშობლების გარდაცვალების შემდეგ ამ გარიგებით წარმოქმნილი ურთიერთობის მონაწილე, როგორც უფლებამონაცვლე, გახდა მოსარჩელე თ. შ-ა.

ზემოაღნიშნული ფაქტი მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა და, შესაბამისად, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია, რადგან საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის აღძვრის დროისათვის უკვე აღარ არსებობდა საცხოვრებელი სადგომი, რადგან მისი დანგრევის შემდეგ, მის ადგილას ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ბ-ი-26-ის“ დაკვეთით წარმოებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად აშენდა სახლი, რომლის მე-2 სართულზე განთავსებულია 218 კვ.მ № 2 ბინა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საცხოვრებელი სადგომი დაინგრა ობიექტური ფაქტორების გამო, 1992 წლის სამოქალაქო ომის შედეგად.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 იანვრამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ მოწესრიგებას მოითხოვს (კანონის პირველი მუხლი). აღნიშნული უკავშირდება უშუალოდ ამ ურთიერთობების სპეციფიკას. კერძოდ, ურთიერთობები, რომლებიც არსებობდა ზემოაღნიშნულ პერიოდში ფაქტის სახით, განსახილველმა კანონმა მიანიჭა იურიდიული მნიშვნელობა და დაუკავშირა მას კონკრეტული სამართლებრივი შედეგები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან.

ამავე კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც. ამდენად, საცხოვრებელი სადგომი წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს. კონკრეტული ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლე წარმოადგენს იმ პირს, ვისაც კანონით დადგენილი გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, აქვს მესაკუთრედ ცნობის უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული კანონით განსაზღვრული მოსარგებლის უფლება ვრცელდება დათმობის გარიგების საფუძველზე, მის სარგებლობაში არსებულ საცხოვრებელ სადგომზე და, შესაბამისად, იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც უშუალოდ იდგა (და არა მიმდებარე ტერიტორია) ეს საცხოვრებელი

სადგომი. ამდენად, იმ საცხოვრებელი სადგომის დანგრევა, რომელზედაც მხარეს გააჩნდა მოსარგებლის უფლება, არ იწვევს იმ უფლების მოსპობას, რომელიც მას გააჩნია იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც მყარად დაკავშირებული იყო საცხოვრებელი სადგომი.

ამდენად, დათმობის გარიგების დადების შედეგად მოსარგებლისათვის საცხოვრებელ სადგომზე მოპოვებული უფლება ვრცელდება არა მარტო შენობა-ნაგებობაზე, არამედ იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც უშუალოდ იდგა ეს საცხოვრებელი სადგომი. შესაბამისად, ამ საცხოვრებელი სადგომის ნაცვლად ახალი ნაგებობის აშენების შემთხვევაში მოსარგებლის უფლება გავრცელდება, ასევე იმ მიწის არსებით შემადგენელ ნაწილზე, რომელზედაც ვრცელდება მის მიერ მოპოვებული მოსარგებლის უფლება.

## საქმე № ას-1665-1653-2011

28 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საცხოვრებელი სადგომის ფლობა

ქ.პ-ი სადავო საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივ ფლობას, კანონის მიღების დროისათვის ადასტურებს იმ ფაქტობრივი გარემოებით, რომ მასში დღემდე ინახება მოსარჩელის კუთვნილი ნივთები. აღნიშნული კი, კასატორის მოსაზრებით, დასტურდება მოწინააღმდეგე მხარის — ვ.ვ-ის აღიარებით, რომელიც დაფიქსირებულია 2011 წლის 15 მარტის სხდომის ოქმში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

კასატორის მიერ მითითებულ სხდომის ოქმში (ტ.1 ს.ფ. 168,173) ვ.ვ-ი განმარტავს, რომ „სადავო სახლში არ ვცხოვრობთ, სახლი არის ავარიულ მდგომარეობაში, სახლში კი ჩემი ნივთები აწყვია. რაც შეეხება ა-ის ნივთებს, რაღაც ძველი ტანსაცმელი კი იყო სახლში. რაც იყო სახლში ა-ის ნივთები, მოდიოდნენ და ნელ-ნელა მიჰქონდათ“. მართალია, ვ.ვ-ი მიუთითებს წარსულში კასატორის ნივთების სადავო ფართში არსებობაზე, მაგრამ ამ განმარტებით არ დგინდება აღნიშნული ფაქტის — ნივთების სადავო ფართში განთავსების პერიოდი. შესაბამისად, მხარის განმარტებით, ვერ დგინდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება, 1994 წლამდე მოსარჩელის ნივთების სადავო ფართში არსებობა. შესაბამისად, ქ.პ-ი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, არ თავისუფლდება სადავო ფაქტის მტკიცების მოვალეობისაგან. ქ.პ-ს სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა კანონის მიღების დროისათვის ნივთის ფაქტობრივად ფლობის ფაქტი, რათა გამხდარიყო იმ სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, რომელსაც აწესრიგებს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მფლობელობად მიიჩნევა საცხოვრებელი ფართის ფლობა, რაც შეიძლება გამოიხატოს, როგორც მოსარგებლის მიერ ნივთით უშუალოდ სარგებლობითა და ფლობით, ასევე მოსარგებლის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების საცხოვრებელ ფართში განთავსებით. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს მფლობელობის არსიდან, რაც გულისხმობს ნივთზე იურიდიულ ბატონობას და არა მხოლოდ მის ჰყრობას.

## საქმე № ას-487-461-2012

17 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საცხოვრებელი სადგომის ფლობა

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის 1<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივი ფლობისათვის, როგორც ზოგადად მფლობელობისათვის, განმსაზღვრელია მფლობელის ნებითი მომენტი, სურვილი, იყოს ნივთის მფლობელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს მას. მფლობელობის იურიდი-

ული ბუნება არ გულისხმობს ნივთთან მხოლოდ ფიზიკურ შემხებლობას. აღნიშნული კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსარგებლე, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, თავის უფლებასთან მიმართებით თავისუფალია და ნივთის აუცილებლად პირადად სარგებლობით შეზღუდული არ არის. ამდენად, ის ფაქტი, რომ სადაო ფართის მფლობელობა მოსარგებლემ შეწყვიტა, ამოეწერა აღნიშნული მისამართიდან და ცხოვრება სხვა მისამართზე განაგრძო, ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს მფლობელობის შეწყვეტას. თუ დადგინდება, რომ მან სარგებლობის უფლება რაიმე საფუძვლით (თხოვება, ქირავნობა) გადასცა სხვას ან ოჯახის ერთ-ერთი წევრს, ეს ქმედება უფლების მართლზომიერად გამოყენებას და ამავე უფლების სურვილისამებრ რეალიზაციას ამტკიცებს.

**საქმე № ას-858-1144-09**

**25 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება**

ერთ შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის გადაცემა ხდებოდა მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო, მეორე შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილში მითითებულია იმ გარემოებებზე, რომელითაც უნდა დასტურდებოდეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების ფაქტი. ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს მესაკუთრესათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა. აღნიშნული საფასური შესაძლებელია ყოფილიყო როგორც ერთჯერადი, ასევე ყოველთვიურად გადასახდელი თანხა.

ამდენად, ორივე შემთხვევაში (საცხოვრებელი სადგომის გადაცემა სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობა მესაკუთრესათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდით) ადგილი ჰქონდა საცხოვრებელი სადგომის სასყიდლიან გადაცემას. მაგრამ პირველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საკუთრების გადაცემას ყოველგვარი დათქმის გარეშე, მეორე შემთხვევაში კი სარგებლობის უფლების დათმობას, რაც გამოიხატებოდა საცხოვრებელი ფართის სასყიდლიან გადაცემაში, მაგრამ დამატებით ხელშეკრულების მხარეთა მიერ სხვადასხვა პირობების დათქმაში.

**საქმე №ას-539-507-2010**

**18 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება**

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ლ.ა-შვილის საკასაციო საჩივარი მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების განმარტების თაობაზე საფუძვლიანია, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა შეიცვალოს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, კერძოდ, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს რა მოცემულ საქმეზე უდავო ფაქტობრივ გარემოებას მოდავე მხარეთა შორის მარტივი წერილობითი ფორმით 1968 წლის 22 აგვისტოს შედგენილი ხელშეკრულების დადების თაობაზე, არ ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას მისი ნასყიდობის ხელშეკრულებად შეფასების თაობაზე და თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ასეთ დასკვნას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა

და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. დადგენილია ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა უფლება სადავო საცხოვრებელ სადგომთან მიმართებით წარმოშობილია სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე წერილობით დადებული 1968 წლის 22 აგვისტოს ხელშეკრულებიდან. შესაბამისად, სადავო ურთიერთობა ექცევა ამ კანონის რეგულირების სფეროში.

აღნიშნული კანონი განასხვავებს სამი ტიპის მოსარგებლეს, რაზედაც დამოკიდებულია საცხოვრებელ სადგომზე კომპენსაციის ოდენობა, შესაბამისად, მოსარგებლის სამართლებრივი სტატუსის დადგენას საცხოვრებელ სადგომთან მიმართებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს. მითითებული კანონის 1<sup>ლ</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო წესით დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მეოთხე ქვეპუნქტის თანახმად, გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა).

წარმოდგენილი ხელშეკრულების პირველი პუნქტით, ლ-შვილს ლ.ა-შვილის მამკვიდრებელმა გადასცა საცხოვრებელი სადგომი კონკრეტულად განსაზღვრული ფართით „სარგებლობის უფლებით“. ამავე ხელშეკრულების მე-3 პუნქტით „ლ-შვილი ვალდებულია გადაიხადოს კომუნალური მომსახურების გადასახადები..... თავისი ბინის წილისდა მიხედვით გადაიხადოს კუთვნილი გადასახადი წელიწადში ოცდათექვსმეტი (36) მანეთი“. აღნიშნული სახელშეკრულებო პირობები ღიად მეტყველებს საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების თაობაზე, ვინაიდან მხარეები შეთანხმდნენ ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე და, ამავდროულად, გარდა კომუნალური გადასახადებისა, მესაკუთრისათვის გადასახადის — 36 მანეთის გადახდაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ ხელწერილის დათქმა, „მოქალაქე ლ-შვილს უფლება ეძლევა აღნიშნული ბინის გასხვისების“ უდავოდ მეტყველებს მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ზემოხსენებული დათქმა გულისხმობს ხელშეკრულების მხარის უფლებას, გასხვისოს მის მიერ შეძენილი ბინით სარგებლობის უფლება და არა თავად ბინა, ვინაიდან საცხოვრებელი ფართის ნასყიდობა ხელშეკრულებით არ დასტურდება.

ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ნასყიდობის არსიდან გამომდინარე, ნასყიდობის საგანი გადადის რა მყიდველის საკუთრებაში, გამყიდველს — ყოფილ მესაკუთრეს ნივთთან მიმართებით უფლებები აღარ გააჩნია. მოცემულ შემთხვევაში კი უფლების გამსხვისებელი — ბინის მესაკუთრე იტოვებს უფლებას, რომ შემდგომად გადაუხადოს გარკვეული გადასახადი და ასევე სამომავლოდ ავალდებულებს, რომ გადაიხადოს მის მიერ გახარჯული კომუნალური გადასახადები, ანუ გამყიდველი ნივთთან მიმართებით გარკვეულ უფლებებს იტოვებს.

ნასყიდობა რეალური ხელშეკრულებაა და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა მთავრდება ნასყიდობის საგნისა და ფასის ურთიერთგადაცემით. მხარეებს შეიძლება, წარმოემვათ ურთიერთმოთხოვნები ხელშეკრულების პირობათა შეუსრულებლობით. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნასყიდობის საგანზე გამყიდველს სამომავლოდ რაიმე უფლება აღარ რჩება. ნასყიდობის ხელშეკრულების ასეთი ბუნება ისტორიულია და იგი ასეთივე შინაარსის იყო მხარეთა შორის ურთიერთობის პერიოდშიც.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოდავე მხარეთა შორის ურთიერთობა უნდა შეფასდეს, როგორც გარიგება, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ.

**საქმე № ას-420-393-2010**

**4 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება**

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად“ გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა).“

შეიძლება ითქვას, რომ განსახილველ ნორმაში მითითებული გარემოებები: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადების გადახდა, მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა წარმოადგენენ იმ ფაქტებს, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს საცხოვრებელი სადგომის დათმობის ფაქტი. ამ შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ იმ ფაქტობრივი გარემოებების შეფასება, რომელიც დასტურდება ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით, უშუალოდ ამ ფაქტების შეფასებისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში განსახილველი ნორმით გათვალისწინებულ გარემოებებს კანონი უკავშირებს მიზანს, რომლითაც უნდა დადასტურდეს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა. მოსარგებლედ ფაქტობრივად ითვლება პირი, რომელიც საცხოვრებელ სადგომს იყენებს ისე როგორც მესაკუთრე იმ ფაქტობრივად არსებული გარიგების საფუძველზე, რომელიც არსებობდა მასსა და საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრეს შორის.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ო. ი-ძე სადავო ფართს ფლობს 1982 წლიდან. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ გარემოებებს ზუსტად ის მნიშვნელობა გააჩნიათ, რომ დადგინდეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი, როდესაც ეს ფაქტი იწვევს მხარეთა შორის დავას. მაგრამ იმ პირობებში როდესაც 1982 წლიდან ო. ი-ძის მიერ სადავო ფართის მფლობელობა დავას არ იწვევს, რასაც შესაბამისად დადგენილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლო და არ არსებობს ამ ფაქტის გამომრიცხავი ისეთი გარემოებები, როგორცაა ქირავნობა და ა.შ., უნდა დავასკვნათ, რომ მხარეთა შორის არსებობდა საცხოვრებელი სადგომის დათმობის ურთიერთობა, რაც წესრიგდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, და, ამდენად, არ არსებობს გ. ბ-აშის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

**საქმე № ას-695-651-2010**

**10 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება**

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მიზნებისათვის მოსარგებლედ მიიჩნევა მხოლოდ ის პირი, რომელსაც მესაკუთრემ „დაუთმო“ საცხოვრებელი სადგომი. ამასთან, ამგვარი „დათმობა“ უნდა დასტურდებოდეს ან წერილობითი ფორმით დადებული გარიგებით ან ისეთი ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც სარწმუნოდ მიუთითებენ საცხოვრებელი სადგომის დათმობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებული კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებუ-

ლი გარემოებები: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადების გადახდა, მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა, წარმოადგენენ იმ ფაქტებს, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს საცხოვრებელი სადგომის დათმობის ფაქტი.

მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ კასატორების მამკვიდრებელმა იაკობ ლ-ძემ (თავის ოჯახთან ერთად) ქ.ბათუმში, ჯ-ის ქ. 20-22-ში მდებარე 12 კვ.მ საცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით მიიღო ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ეს ფაქტი თავისთავად განაპირობებდა დასახელებულ მისამართზე იაკობ ლ-ძისა და მისი ოჯახის წევრების, მათ შორის, კასატორების რეგისტრაციას. აღნიშნული გარემოება ასევე წარმოშობდა ამავე ფართზე კასატორების მხრიდან კომუნალური გადასახადების გადახდის აუცილებლობას. ასეთ ვითარებაში, ქ. ბათუმში, ჯ-ის ქ. № 22-ში მდებარე მისამართზე კასატორების რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა, უტყუარად ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ამავე მისამართზე მდებარე 18.09 კვ.მ ფართის ოთახი მათ დაკავებული აქვთ მესაკუთრესთან დადებული სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე.

**საქმე № ას-266-250-2011**

**8 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება**

აღნიშნული კანონი არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, რომლის მარეგულირებელ მექანიზმს არ იცნობდა 1996 წლამდე არსებული კანონმდებლობა. აღნიშნული დანაწესი უთითებს ისეთ ურთიერთობებზე, რომლის თანახმად ერთ შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის გადაცემა ხდებოდა მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო, მეორე შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც იგულისხმება კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით, მაგრამ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლების გადაცემა. ამისათვის გარკვეული საფასურის გადახდა, კომუნალური გადასახადები და სადავო ფართში რეგისტრაცია, განსახილველი კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ის მტკიცებულებებია, რომლითაც დასტურდება ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის ფაქტი. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ აუცილებელი არ არის კომპულაციურად ყველა შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულება იყოს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს შეექმნას რწმენა იმის შესახებ, რომ მოდავე მხარე ნამდვილად ცხოვრობდა სადავო საცხოვრებელ სადგომში 1996 წლამდე დადებული საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე.

**საქმე №ას-198-191-2012**

**23 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება**

განსახილველ შემთხვევაში, კასატორს წამოყენებული აქვს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ნ. ქ-ის 1996 წლის 01 იანვრის ხელწერილს, მიიჩნია რა იგი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის ხელშეკრულებად და, შესაბამისად, სადავო ურთიერთობის მიმართ არასწორად გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი. კასატორის განმარტებით, ზემოხსენებულ ხელწერილში მითითებული თანხა — 300 აშშ დოლარი მ. კ-მ (მოსარჩელემ) სესხის სახით გადასცა ნ. ქ-ს (მოპასუხეს) ნ თვის ვადით, რის სანაცვლოდაც მოპასუხემ თავისი კუთვნილი ოროთახიანი ბინა ნ თვის ვადით (გირაოთი) სარგებლობაში გადასცა მოსარჩელეს. ამდენად, აღნიშნუ-

ლი ბინა მოსარჩელეს გადაეცა დროებით სარგებლობაში ნ თვის ვადით. კასატორი აღნიშნავს ასევე, რომ თავად მოსარჩელე ადასტურებს მოპასუხისათვის სესხის მიცემის ფაქტს. აქედან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის არ დადებულია საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს შემდეგს:

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. ამდენად, აღნიშნული კანონით რეგულირებულია იმ პერიოდის საზოგადოებაში ფაქტობრივად არსებული ურთიერთობები, რომელიც იმ დროს მოქმედი საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული არ იყო. გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ თავისი შინაარსით არატიპიურ სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენდა და იგი საბჭოთა სინამდვილეში ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის სახით არსებობდა. ეს სახელშეკრულებო ურთიერთობა შეიცავდა სხვადასხვა გარიგების ნიშნებს (ქირავნობა, სესხი, გირავნობა), თუმცა ამავდროულად რადიკალურად განსხვავდებოდა მათგან თავისი შინაარსით და სპეციფიკური პირობებით, კერძოდ, მისი არსებობისას: მოსარგებლე მესაკუთრეს ერთჯერადად უხდიდა გარკვეული რაოდენობის თანხას ფართის სარგებლობაში მიღების სანაცვლოდ, ამასთან, მესაკუთრეს ყოველთვიურად უხდიდა ბინის ქირასაც; მოსარგებლე რეგისტრირდებოდა საცხოვრებელ ფართში და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს; მესაკუთრის მიერ თანხის დაბრუნების შემთხვევაში მოსარგებლე ვალდებული იყო, გამოეთავისუფლებინა დაკავებული ფართი, თუმცა ხშირ შემთხვევებში, მესაკუთრე თანხას ვერ აბრუნებდა, ურთიერთობა ხანგრძლივ ხასიათს იღებდა და უფლება მემკვიდრეებზე გადადიოდა; მესაკუთრის მიერ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლების გადაცემა მოსარგებლეზე ფაქტობრივად ხდებოდა „სამუდამოდ“, ანუ ეს ურთიერთობა არ ატარებდა დროებით (ხანმოკლე) ხასიათს; ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარგებლე იძენდა დათმობილი სარგებლობის უფლების გასხვისების შესაძლებლობასაც, რაც მოსარგებლეთა შეცვლას იწვევდა. ამ სპეციფიკური ნიშნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება მსგავსი ხელშეკრულებების (ქირავნობა, სესხი, გირავნობა) ნორმებით შეუძლებელი იყო და კანონმდებელმაც სპეციალური კანონით მოწესრიგებას დაუქვემდებარა. ამასთან, ამ კანონით რეგულირდება მხოლოდ ის ურთიერთობები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ ნიშნებს უტყუარად შეიცავენ, შესაძლებელია ეს ნიშნები კუმულატიურადაც არსებობდეს ან მხოლოდ ზოგიერთი მათგანი არსებობდეს.

საქმეში წარმოდგენილი 1996 წლის 1 იანვრის ხელწერილი შემდეგი შინაარსისაა: ამ ხელწერილით ნ. ქ-ე მცხოვრები ქუთაისში, პ-ის ქუჩის (ამჟამინდელი ზ.ჭ-ის ქუჩა) № 10/17-ში, მის კუთვნილ ოროთახიან ბინას ნ თვით (ე.ი. გირაოთი), 300 აშშ დოლარის სანაცვლოდ, უტოვებს მ. კ-ს.

დასახელებული ხელშეკრულების შინაარსიდან ნათლად გამოკვეთილი გარიგების მიზანი — სესხად გადაცემული თანხის სარგებლის სანაცვლოდ ბინის გამოსაყენებლად გადაცემა. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ხელშეკრულების პირობა — ბინის სანაცვლოდ თანხის გადაცემა, აგრეთვე, თავად ხელშეკრულება, რომელიც მ. კ-ს ნივთით სარგებლობის სანაცვლოდ რაიმე ვალდებულების შესრულებას (ქირის გადახდას) არ უდგენს. ამდენად, მესაკუთრემ დროებით სარგებლობაში თანხის მიღების სანაცვლოდ, ასევე დროებით სარგებლობაში გადასცა ბინა მოსარგებლეს. ასეთი სახელშეკრულებო ურთიერთობა, როგორც ხელშეკრულების დადების დროს, ისე ამჟამადაც, ფართოდ გავრცელებულია და საზოგადოებაში დამკვიდრებული პრაქტიკით სახელდება, როგორც „ბინის გირავნობა“. თავისი სამართლებრივი ბუნებით და რეალური შინაარსით, აღნიშნული ხელშეკრულებით მესაკუთრე სესხად მიღებული თანხის სანაცვლოდ მოსარგებლეს გადასცემს მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ფართზე სარგებლობის უფლებას. სესხი სასყიდლიანია და გამსესხებლისათვის სარგებელს ნივთით სარგებლობის უფლება წარმოადგენს.

ამდენად, ასეთი ხელშეკრულება იურიდიულად არც გირავნობის ნიშნებს შეიცავს, მიუხედავად მისი სახელწოდებისა, და არც საცხოვრებელი სადგომის მუდმივ დათმობაზე შეთანხმებას არ წარმოადგენს. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტება შეესაბამება მსგავს საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას. ამდენად, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 1996 წლის 1 იანვრის ხელწერილი არ შეიძლება შეფასდეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებად, შესაბამისად, არ არსებობს ზემოხსენებული სპეციალური კანონის საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ასევე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, არც სადავო გარიგების დადების დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) და არც დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვინაიდან მითითებული კოდექსები არ ითვალისწინებენ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას ისეთი შინაარსის გარიგების საფუძველზე, როგორც სადავო გარიგებაა.

**საქმე № ას-438-410-2010**

**9 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე ურთიერთობა**

საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მ. მ-შვილი სადავო ბინას ფლობს მის თავდაპირველ მესაკუთრესთან, ქ. ტ-ძესთან საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე, ან აღნიშნული ბინის მფლობელობის უფლება მიღებული აქვს ადმინისტრაციული აქტით.

საქმეზე დადგენილია, რომ თბილისში, ... ქ. 3 კორპუსში მდებარე № 48 სადავო ბინის თავდაპირველ მესაკუთრეს წარმოადგენდა ქ. ტ-ძე. მ. მ-შვილი იყო ქ. ტ-ძის დისშვილი, რომელიც 1982 წლიდან რეგისტრირებული იყო მითითებულ ბინაში. ამასთან, მ. მ-შვილი 1999 წლიდან დასახელებულ მისამართზე რეგისტრირებული იყო სს „თ-ის“ აბონენტად. მ. მ-შვილის, როგორც ქ. ტ-ძის დისშვილის რეგისტრაცია განხორციელდა ამ უკანასკნელის ნების საფუძველზე. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში მათ შორის ადგილი ჰქონდა კანონით გათვალისწინებულ გარიგებას, რომელიც კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ მ. მ-შვილისათვის სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემის საფუძველი გახდებოდა. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნათესაურ შეთანხმებას ბინით სარგებლობის თაობაზე. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ მ. მ-შვილი 1982 წლიდან რეგისტრირებული იყო სადავო ბინაში და იხდიდა ამ მისამართზე ელექტროენერჯის გადასახადს, არ ასაბუთებს მხარეთა შორის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე ურთიერთობის არსებობას.

**საქმე № ას-174-164-2011**

**23 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უძრავ ქონებაზე გარიგების ბათილობის შედეგები**

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე იმის შესახებ, რომ 1995 წლის 22 დეკემბრის ხელწერილით, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 1992 წელს სადავო ბინა ჯემალ ნაცვლიშვილმა მიჰყიდა ბ. დ-შვილს, მიღებული აქვს იმ დროისათვის 3-ოთახიანი ბინის ღირებულების შესაბამისი თანხა, მაგრამ ვერ გადაუფორმა პრივატიზაციის უქონლობის გამო;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სადავო ურთიერთობა არ წესრიგდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აღნიშნული ურთიერთობა უნდა შეფასდეს 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს ამ კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმა-

ტიული აქტებით, რაც წარმოადგენდა ამ ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ საფუძველს. 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამავე მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, ბათილია გარიგების თითოეული მხარე მოვალეა, დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგებით მიიღო, ხოლო, როცა მიღებულის ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, აუნაზღაუროს მისი ღირებულება ფულით, თუ კანონში არ არის გათვალისწინებული გარიგების ბათილობის სხვა შედეგები.

**საქმე № ას-1033-1226-08**

**28 მაისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: განსხვავება ქირავნობის ხელშეკრულებასა და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებას შორის**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „მოსარგებლეა — პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით“.

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების ფაქტის არსებობაზე მითითებულია ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილში, რომლის თანახმად „გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ანდა მესაკუთრესათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა).“

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავმიჯნოთ აღნიშნული კანონის მიზნებიდან გამომდინარე ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება. უნდა აღინიშნოს, რომ, რადგან აღნიშნული კანონი აწესრიგებს 1996 წლამდე წარმოშობილ საცხოვრებელ სადგომის სარგებლობიდან წარმოშობილ ურთიერთობებს, ჩვენ მიერ მითითებული ამ ორი სამართლებრივი ურთიერთობის გამიჯვნისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ დროს არსებული სამართლებრივი აქტებისა და მათ საფუძველზე წარმოშობილი ქირავნობითი ურთიერთობის კვალიფიკაციას, კერძოდ, (1964 წლის რედაქციის) საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 290-ე მუხლი არეგულირებდა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებას. ამავე მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, საცხოვრებელი სახლის ქირავნობის ხელშეკრულება დაიდება, შეიცვლება და მოიშლება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებითა და წესით. იმ დროს მოქმედი საქართველოს სსრ-ის საბინაო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, მოქალაქეებს, რომელთაც პირად საკუთრებაში ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი, უფლება გააჩნდათ, შეესახლებინათ სახლში სხვა მოქალაქენი, აგრეთვე, გაექირავებინათ იგი კანონით დადგენილი პირობებითა და წესით.

აღნიშნული ქირავნობის ვადა და სხვა პირობები რეგულირდებოდა მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რა დროსაც უნდა დაცულიყო წერილობითი ფორმა.

ამდენად, აღნიშნული ურთიერთობა ითვალისწინებდა გარკვეული ვადით საცხოვრებელი სადგომით სარგებლობას. განუსაზღვრელი ვადაც მიუთითებს სადგომით დროებით სარგებლობაზე. განუსაზღვრელი ვადით საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა მესაკუთრეს შეეძლო მოეთხოვა საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 154-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაწესი იმის შესახებ, რომ „მფლობელობის უფ-

ლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით“ უნდა გავიგოთ, უპირველეს ყოვლისა, ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ, აღნიშნული კანონი არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, რომლის მარეგულირებელ მექანიზმს არ იცნობდა 1996 წლამდე არსებული კანონმდებლობა. აღნიშნული დანაწესი უთითებს ისეთ ურთიერთობებზე, რომლის თანახმად მესაკუთრის მიერ ხდებოდა ნივთის მიტოვება (დათმობა) მოსარგებლის სასარგებლოდ. ერთ შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის გადაცემა ხდებოდა მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო, მეორე შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც იგულისხმება კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლების გადაცემა. ამისათვის გარკვეული საფასურის გადახდა, განსახილველი კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდება ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის ფაქტი. აღნიშნული საფასური შესაძლებელია ყოფილიყო როგორც ერთჯერადი, ასევე ყოველთვიურად გადასახდელი თანხა. კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ აღნიშნული საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლების გადაცემა ფაქტობრივად ხდებოდა მოსარგებელზე „სამუდამოდ“, რაც ასხვავებდა მას ქირავნობის ინტიტუტისაგან.

ამრიგად, გარკვეული ქირის გადახდა თავისთავად არ შეიძლება მიუთითებდეს ქირავნობის ურთიერთობებზე. ქირავნობის ურთიერთობის განსაზღვრისათვის აუცილებელია, არსებობდეს ამ ინტიტუტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლისთვისაც დამახასიათებელია საცხოვრებელი სადგომის გარკვეული დროით გადაცემა და ამისათვის ქირის გადახდა (რომელშიც იგულისხმება ვადიანი და უვადო ხელშეკრულებები, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენებოდა სსრ-ის საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი). სსრ-ის საბინაო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების თანახმად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებას დამქირავებელი უდებს სახლის მესაკუთრეს წერილობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს უნდა დაედასტურებინა ქირავნობის ხელშეკრულების ფაქტი მხოლოდ წერილობით დადებული ხელშეკრულებით. კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს არც წერილობითი ქირავნობის ხელშეკრულება და არც 1954-56 წლების გადაწყვეტილებებში არ არის მითითებული მხარეთა შორის ქირავნობის ხელშეკრულების არსებობაზე (საცხოვრებელი სადგომის გარკვეულ ვადით, დროებით სარგებლობაში გადაცემის ფაქტი). ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია კანონი.

**საქმე № ას-341-660-09**

**28 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა**

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს აქვთ უფლება, მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის შეთანხმების მიღწევის საკითხი ნებაყოფლობით სასამართლოს გარეშე მოაწესრიგონ. როდესაც ეს სამართალურთიერთობა სასამართლო წესით ხდება სადავო, ზემოაღნიშნულ მატერიალურ-სამართლებრივ უფლებათა კონკურენციის საკითხი განიხილება მხოლოდ ორივე მხარის — როგორც მე-საკუთრის, ისე — მოსარგებლის შესაბამისი საპროცესოსამართლებრივი მოთხოვნების — სარჩელისა და შეგებებული სარჩელის არსებობის პირობებში. შესაბამისად, თუკი სარჩელი აღძრულია მოსარგებლის მიერ, მაშინ მესაკუთრის შემხვედრი მოთხოვნის — შეგებებული სარჩელის არსებობა აუცილებელია, რათა სასამართლოს მიეცეს საპროცესო შესაძლებლობა, განიხილოს მესაკუთრის მატერიალურსამართლებრივი უფლებრივი უპირატესობის საკითხი.

ამდენად, თუკი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეები მიმართავენ სასამართლოს, ასეთ შემთხვევაში მხარეთა უფლებების დაცვის მექანიზმი ამოქმედდება საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ მოთხოვნების განხილვისა და დაკმაყოფილების შესაძლებლობის ქონას, რაც მხარეთა მიერ წარდგენილია შესაბამისი საპროცესო ფორმის დაცვით.

მოცემულ შემთხვევაში მესაკუთრე თ. კ-ს არ გამოუყენებია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით მინიჭებული თავისი უპირატესი ძალის მქონე მოთხოვნის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ფორმით (სარჩელი, შეგებებული სარჩელი) წარდგენის შესაძლებლობა. ასეთად ვერ ჩაითვლება პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომაზე, პაექრობის სტადიაზე, სიტყვიერი განცხადება მოსარგებლისათვის აღნიშნული კანონით დადგენილი 75%-იანი კომპენსაციის გადახდის მზადყოფნის შესახებ.

**საქმე № ას-665-971-09**

**1 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა**

მითითებული ნორმის ანალიზით, მესაკუთრეს უფლება აქვს, მოითხოვოს, მოსარგებლის მიერ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ. აღნიშნული მესაკუთრის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებაა და მას შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი — გამოიყენოს ან არ გამოიყენოს აღნიშნული უფლება.

მესაკუთრის მიერ ამ უფლების გამოუყენებლობა აძლევს შესაძლებლობას მოსარგებლეს, მოსთხოვოს მესაკუთრეს შესაბამისი ანაზღაურების — დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის სანაცვლოდ, დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა, თანახმად „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-2 მუხლის მე-6 პუნქტისა.

ამდენად, მოცემულ დავაში მოსარგებლე ითხოვს მესაკუთრისათვის თავისი უფლების გამოყენების დავალდებულებას, რის შესაძლებლობასაც კანონი არ ითვალისწინებს.

**საქმე № ას-142-137-2011**

**21 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ მოსარგებლის მფლობელობის შეწყვეტა („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები)**

საკასაციო სასამართლო კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან იგი ეფუძნება ზემოაღნიშნული კანონის არასწორ განმარტებას, კერძოდ, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, იმ მესაკუთრეს, რომლის საცხოვრებელ სადგომშიც ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ იქნა მოსარგებლე, შეუძლია, მოსარგებლეს მოსთხოვოს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფო აუნაზღაურებს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებას; მოსარგებლე ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ კომპენსაციას სახელმწიფოსაგან მიიღებს მესაკუთრის ან მოსარგებლის მოთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; მესაკუთრეს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული კომპენსაცია თავად აუნაზღაუროს მოსარგებლეს, ამ შემთხვევაში მესაკუთრე უფლებამოსილია სასამართლო წესით მოითხოვოს მე-8 პუნქტით დადგენილი კომპენსაციის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს აკისრია კომპენსაციის (საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების) ანაზღაურების ვალდებულება იმ მოსარგებლისათვის, რომელსაც „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლება მიღებული აქვს ადმინისტრაციული აქტით. მესაკუთრე შეზღუდულია, მოითხოვოს საცხოვრებელ სადგომზე მოსარგებლის მფლობელობის შეწყვეტა სახელმწიფოს მიერ ამ ვალდებულების შესრულებამდე, თუმცა, კანონი მესაკუთრეს ანიჭებს უფლებას, თავად გადაუხადოს მოსარგებლეს სადგომის საბაზრო ღირებულება და შემდეგ ამ თანხის ანაზღაურება მოითხოვოს სახელმწიფოსაგან. ამდენად, სახელმწიფოსაგან საკომპენსაციო თანხის მოთხოვნის უფლება მესაკუთრეს წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ თანხას გადაუხდის მის კუთვნილ საცხოვრებელ სადგომში სახელმწიფოს მიერ ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ მოსარგებლეს. საკომპენსაციო თანხის გადახდა, როგორც წესი, ხდება ნებაყოფლობით, მესაკუთრისა და მოსარგებლის ურთიერთშეთანხმებით. ასეთი თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში კი, დავას გადაწყვეტს სასამართლო. აქედან გამომდინარე, საკომპენსაციო თანხა მესაკუთრის მიერ შეიძლება გადახდილ იქნეს როგორც ნებაყოფლობით, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. რა ფორმითაც არ უნდა გადაიხადოს მესაკუთრემ საკომპენსაციო თანხა, მას უფლება აქვს, ამ თანხის ანაზღაურება მოითხოვოს სახელმწიფოსაგან, თუ კომპენსაციის გადახდა მოხდა იმ მოსარგებლისათვის, რომელსაც საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლება მიღებული აქვს ადმინისტრაციული აქტით. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, საკომპენსაციო თანხა მესაკუთრემ გადაუხადა მის საკუთრებაში ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ მოსარგებლეს. საგულისხმოა, რომ სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება დაემყარა სწორედ მესაკუთრის (მოსარჩელის) ნებას, რომ თავად გადაეხადა მოსარგებლისათვის კანონით გათვალისწინებული კომპენსაცია, შესაბამისად, მას წარმოეშვა გადახდილი საკომპენსაციო თანხის სახელმწიფოსაგან ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

**საქმე № ას-659-618-2010**

**1 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოსარგებლისათვის ნივთის გაუმჯობესებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება (საგანი: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი)**

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მესაკუთრე, რომელიც მოსარგებლეს მოსთხოვს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტას, ვალდებულია აუნაზღაუროს მოსარგებლეს მის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობესების ხარჯები საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრის სასარგებლოდ სადავო უძრავ ნივთზე მოსარგებლეთა მფლობელობის შეწყვეტისას მესაკუთრემ მოსარგებლეს უნდა გადაუხადოს ის ხარჯები, რის შედეგადაც მოსარგებლემ გააუმჯობესა სადგომი. ამასთან, ხსენებული ვალდებულების წარმოშობის საფუძველია უძრავი ნივთის არა ყოველგვარი გაუმჯობესება (მაგ: მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, როგორცაა კედლების შეთეთრება, იატაკის მოხვეწა-გალაქვა ან სხვა), არამედ მხოლოდ ისეთი, რასაც შედეგად მოჰყვა ნივთის არსებითი ცვლილება, მისი თვისობრივად, ხარისხობრივად, მოცულობით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სადგომის ღირებულების გაზრდა (მაგ: ფართის მიშენება, დაშენება, გაფართოება, შენობის კონსტრუქციის, საძირკვლის კაპიტალური შეკეთება-გამოცვლა და ა.შ).



## 11. შრომის სამართალი\*

საქმე №ას-520-867-07

21 ნოემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: განსხვავება შრომით ხელშეკრულებასა და მომსახურების ხელშეკრულებას შორის**

საკასაციო პალატა თვლის, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს და შეფასება მიეცეს იმ არსებით ნიშნებს, რომლებიც განასხვავებენ შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებულ ურთიერთობებს მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებისაგან.

კასატორი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციასა და კონკრეტულ ფიზიკურ პირს შორის არსებული ურთიერთობა თუ მიიჩნევა, როგორც შრომითსამართლებრივი, აუცილებელია არსებობდეს წერილობითი ფორმით გაფორმებული ხელშეკრულება, ბრძანების ან განკარგულების გაცემა; თუკი წერილობით ხელშეკრულებას არ მოჰყვება ბრძანების ან განკარგულების გაცემა შეიძლება შრომითი ურთიერთობის არსებობის ფაქტი დადგინდეს უფლებამოსილი პირის მიერ ამ მუშაკის სამუშაოზე ფაქტობრივად დაშვებით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას და განმარტავს, რომ, როდესაც განსხვავებულ ერთმანეთისაგან ამ ურთიერთობებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ ამ ურთიერთობების არსებით ნიშნებზე ანუ სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე.

ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ამ ორ ინსტიტუტს ახასიათებს გარკვეული მსგავსება, ორივე ხელშეკრულება ითვალისწინებს გარკვეული სამუშაოს შესრულებას და ისინი არ ისახავენ მიზნად გარკვეული შედეგის, რეზულტატის მიღებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მკაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შრომის ხელშეკრულების დროს მუშაკი კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს სამუშაო დაკავებული თანამდებობის, პროფესიისა თუ კვალიფიკაციის მიხედვით. ამასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხელშეკრულების თავისებურება მდგომარეობს თვით დამქირავებლის აღნიშნულ კრიტერიუმებისადმი დამოკიდებულებაში, კერძოდ, აღნიშნული კრიტერიუმები უნდა პასუხობდნენ იმ იურიდიული პირის ფუნქციურ ვალდებულებებს, რომელმაც დაიქირავა აღნიშნული მუშაკი და ზუსტად ამ ფუნქც. ვალდებულებების განსახორციელებლად (ანუ იმ დანიშნულების რეალიზაციისათვის, რაც გააჩნია კონკრეტულ იურიდიულ პირს) და უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი შესაბამისი პროფესიის, კვალიფიკაციისა თუ სპეციალობის მქონე პირი.

აქედან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც მდგომარეობს აღნიშნულ სამართლებრივი ინსტიტუტებით გათვალისწინებულ სუბიექტურ ფაქტორში, კერძოდ, შრომის ხელშეკრულების თანახმად პირი, რომელიც ახორციელებს შრომითი უფლებამოსილებას შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი (ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით) მაშინ, როდესაც მომსახურების ხელშეკრულებით მომსახურების განმახორციელებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი (რაც გამორიცხულია კონკრეტული სამართალურთიერთობის დროს).

ამასთან ერთად შრომის ხელშეკრულების მეტად მნიშვნელოვანი არსებითი ნიშანი მდგომარეობს დაქვემდებარების პრინციპში, კერძოდ, აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მუშაკი ექვემდებარება დამსაქმებელს და ის სამუშაოს ასრულებს გარკვეული ფუნქც. წესების მიხედვით. ამასთან ერთად ქონება, რომელიც აუცილებელია სამუშაოს განსახორციელებლად არ წარმოადგენს მუშაკის საკუთრებას. აღნიშნული ნიშნები არ არის დამახასიათებელი მომსახურების ხელშეკრულებისათვის. ამდენად, მომსახურების ხელშეკრულებისათვის არ არის დამახასიათებელი დაქვემდებარების პრინციპი და როგორც წესი მომსახურების გაწევისათვის მოსამსახურე იყენებს მის მფლობელობაში არსებულ ქონებას.

\* 2013 წლის 12 ივნისის №729 ორგანული კანონით არსებითად შეიცვალა შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლები, აღნიშნულიდან გამომდინარე მოცემულ მუხლებთან დაკავშირებით წინამდებარე თავში მითითებული განმარტებები არ შეესაბამება შრომის კოდექსის დღეს მოქმედ რედაქციას.

ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი, რომლითაც განსხვავდება არა აღნიშნული ურთიერთობის შენაარსი, მასში მოცემული მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების სპეციფიკა, არამედ ამ უფლება-ვალდებულებების ფორმა, მდგომარეობს იმაში, რომ შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) იდება წერილობითი ფორმით და ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან, თუ შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობებში სხვა რამ არის მითითებული (შკკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი).

საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ უკანასკნელ კრიტერიუმს გააჩნია მეტად დიდი მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, თუ არ დგინდება არა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, არამედ თვით სამუშაოზე დაქირავების ფაქტი (ანუ წარმოიშვა თუ არა მხარეთა შორის უფლება-ვალდებულებები), რომლის დადასტურება შეიძლება მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

**საქმე № ას-397-370-2010** **11 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**  
**განმარტების საგანი: გამოსაცდელი ვადის განმავლობაში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა (შრომის კოდექსის მე-9 მუხლი)**

საქმეში წარმოდგენილი მოსარჩევეებსა და მოპასუხეს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების 1.1 პუნქტით მოსარჩევეები კონკრეტულ სამუშაოზე დასაქმდნენ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადით. ამავე ხელშეკრულების ნ.1.13 პუნქტით, ხელშეკრულების ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დამსაქმებელს შეუძლია, დაითხოვოს პერსონალი მიზეზის დაუსახელებლად (ტ. 1, ს.ფ. 78-100). უდავოდ დადგინდა, რომ მოსარჩევეები — მ.შ-ძე, ნ.ე-ძე, მ.მ-ძე, რ.კ-ძე, რ.ა-ძე, ი.ც-ძე, თ.ბ-ძე და დ.ბ-ძე სამუშაოდან გათავისუფლდნენ გამოსაცდელ ვადაში. შრომის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებით, დამსაქმებელს სრული უფლება ჰქონდა, გაეთავისუფლებინა გამოსაცდელი ვადით შერჩეული პირები აღნიშნულ ვადაში ისე, რომ არ მიეთითებინა სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი.

**საქმე № ას-404-377-2010** **27 სექტემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**  
**განმარტების საგანი: ზეგანაკვეთური სამუშაო (შრომის კოდექსის მე-17 მუხლი)**

საქმეზე დგინდება, რომ ქ. დ-ძე შაბათ დღეს მუშაობდა ზეგანაკვეთურად. ამასთან, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება კონტრაქტის თანახმად მოპასუხეს გააჩნდა. ასეთ ვითარებაში, შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სახეზეა ასანაზღაურებელი თანხის ყოველი გადაცილებული დღისათვის 0.07 პროცენტის მოსარჩევლისათვის ანაზღაურების საფუძველიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა ქ. დ-ძისათვის ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისას შაბათ დღეს ნამუშევარი საათების ანაზღაურება და აღნიშნული ვალდებულების შესრულების დაყოვნების ყოველი დღისათვის პროცენტის გადახდის ვალდებულების არსებობის ფაქტობრივი საფუძველები.

**საქმე № ას-836-1122-09** **26 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი**  
**განმარტების საგანი: საშვებულებო კომპენსაციის მიღება დასაქმებულის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში**

ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება წარმოადგენს დასაქმებულის დასვენების დროს, ანუ იმ უფლებას, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს ფულადი კომპენსაციით. ამ დანაწესის აუცილებლობა იმა-

შია, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნეს დასაქმებულის დასვენების უფლება და ფულადი კომპენსაციით ჩანაცვლებით არ მოხდეს საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნის უგულებელყოფა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ შვებულების უფლება წარმოიშობა მხოლოდ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობების არსებობის პირობებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც დასაქმებული ტოვებს სამსახურს თავისი ნებით, იგი აღნიშნული ნების გამოხატვით წყვეტს დამსაქმებელთან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობას და ამავე დროს არ იყენებს (უარს აცხადებს) ანაზღაურებად შვებულებას, ამდენად, შრომის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ვერ იქნება გამოყენებული საშვებულებო კომპენსაციის მიღების უფლება, რადგან ამ შემთხვევაში აღარ არსებობს შვებულების რეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა (შრომის სამართლებრივი ურთიერთობა). გამონაკლის წარმოადგენს ზოგიერთი ისეთი საფუძვლები, რომლის არსებობისას დამსაქმებელი თავისი ინიციატივით დასაქმებულთან წყვეტს შრომის სამართლებრივ ურთიერთობას.

**საქმე № ას-836-1122-09**

**26 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საშვებულებო კომპენსაციის მიღება დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში**

„ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის (საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 22 თებერვლის დადგენილებით) მე-6 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეწარმის მიზგებით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის, ამ კონვენციის შესაბამისად, იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს.

განსახილველი ნორმით გათვალისწინებული პირობების არსებობისას დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს იმ წელს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით არ შეიძლება დასაქმებულს წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა. ამ შემთხვევაში არ არსებობს დასვენების ხანგრძლივი პერიოდით (შვებულების) გამოყენების შესაძლებლობა (რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შეწყდა შრომის ურთიერთობა), მაგრამ მას რჩება უფლება, მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია. ამდენად, კონკრეტულ სადავო შემთხვევაზე ვერ გავრცელდება კონვენციის ზემოაღნიშნული ნორმა, რადგან შრომითი ურთიერთობა არ შეწყვეტილა დამსაქმებლის ინიციატივით.

**საქმე № ას-953-1232-09**

**16 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები (შრომის კოდექსი 36-ე მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კ. ნ-ძე მუშაობდა რა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის სავაგონო სარემონტო-საექსპლუატაციო სამმართველოში მოძრავი შემადგენლობის მეოთხე თანრიგის ზეინკლად, 2008 წლის 7 აპრილიდან 16 აპრილამდე იმყოფებოდა შრომისუუნარობის ფურცელზე. საწარმოს ადმინისტრაციის 2008 წლის 10 აპრილის № 79 ბრძანებით კ. ნ-ძე სამუშაოდან გათავისუფლდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე. აღნიშნულს წინ უძღოდა ხაშურის ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტის უფროსის მოხსენებითი ბარათი, 2008 წლის 31 მარტიდან მოსარჩელის სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო, მის მიმართ შესაბამისი ზომების გატარების თაობაზე. სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო და კასატორს არ გაუქარწყლებია კ. ნ-ძის მიერ სამუშაოს არასაპატიოდ გაცდენის სხვა ფაქტების არსებობაც. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, კანონიერია დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ურთიერთობის შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე შეწყვეტის თაობაზე.

შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირის დროებითი შრომი-სუენარობა შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველია, ხოლო, ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სა-მუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველებით კანონმდებელი ითვალისწინებს ისეთ ობიექტურ გარემოებებს, რომელიც პირის ნებისაგან დამოუკიდებლად შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდე-ბულების — სამუშაოს შესრულების შეუძლებლობას იწვევს. ამავდროულად, შრომის კოდექსის 36-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეჩერების კანონით გათვა-ლისწინებული საფუძველით შრომითი ურთიერთობის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, შრომითი ურთიერთობა გონივრული ვადით შეაჩეროს. აღნიშნული ნორმა ცალსახად ად-გენს, რომ დასაქმებული ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია დამსაქმებელს შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველების არსებობის თაობაზე. დასაქმებულის ეს ვალდებულება მომდინარეობს შრომითი ხელშეკრულების არსიდანაც, კერძოდ:

შრომითი ხელშეკრულება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის დადებული შეთანხმებაა დასაქმე-ბულის მიერ დამსაქმებლისათვის განსაზღვრული სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ საზღაურის გადახ-დის თაობაზე. ამასთან, მხარეები თანხმდებიან შრომითი ხელშეკრულების სხვა პირობებზე, მათ შორის, სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე სამუშაო დღეებისა და საათების განსაზღვრით. აღნიშნული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა და მისი დაუცველობა ვალდებულების დარღვევის ტოლფასია. სამო-ქალაქო სამართალი (394-ე მუხლის პირველი ნაწილი) და, მათ შორის, შრომის სამართალიც (36-ე მუხლი) ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას. კანონი ასეთ შემთხვევაში პირს ვალდებუ-ლების დამრღვევად არ რაცხავს და ათავისუფლებს მას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლო-ბისაგან. თუმცა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაშიც მხარე ვალდებულია, აცნობოს მეორე მხარეს შექმნილ გარემოებათა თაობაზე. ასეთი ვალდებულება მომდინარეობს როგორც სამოქალაქო სამართლის ძირითადი — კეთილსინდისიერების პრინციპიდან, ასევე კანონიდანაც (შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

შრომის კოდექსის ამგვარი დათქმა, რომ დასაქმებული ვალდებულია, აცნობოს დამსაქმებელს შრო-მითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველების არსებობის თაობაზე, გამოწვეულია თვით ამ სახელშეკრუ-ლებო ურთიერთობის სპეციფიკიდანაც, ვინაიდან შრომითი ხელშეკრულების მოულოდნელად შეჩერებამ შეიძლება გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საწარმოს საქმიანობაზე და ზიანი მიაყენოს მას. დამსაქმებლისათვის ინფორმირება ხელშეკრულების შეჩერების საფუძველების წარმოშობის თაობაზე შე-საძლებელს ხდის, დამსაქმებელმა დროულად იზრუნოს შეჩერებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრაზე, თავიდან აირიდოს მოსალოდნელი ზიანი და აუცილებლობის შემთხვევაში, დასაქმებული-სათვის დაკისრებული სამუშაოს შესრულება სხვა პირს დაავალოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით მართებულია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ და-საქმებული კ.ნ-ძე ვალდებული იყო, ეცნობებინა დამსაქმებლისათვის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის თაობაზე.

**საქმე № ას-311-293-10**

**30 სექტემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი-შრომითი ხელშეკრუ-ლებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი — შრომის კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი)**

პალატა მიიჩნევს, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის განმარტებისას დაცული უნდა იქნას როგორც დასაქმებულთა, ასევე დამსაქმებელთა ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში სამუშაოს შეს-

რულება, რომელსაც მოსარჩევეები ასრულებდნენ, საწარმოს აღარ ესაჭიროება. ასეთ მდგომარეობა საწარმოში არაერთი ობიექტური გარემოებით შეიძლება იყოს განპირობებული, მაგალითად ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, ფინანსური სიძნელებით, ან სულაც იმ ობიექტის გასხვისებით, სადაც მსახურობს დასაქმებული. ასეთ შემთხვევაში მუშაკის გათავისუფლების შეუძლებლობის შემთხვევაში მეწარმე სუბიექტს ექმნება ფინანსური სიძნელებები, რამაც სერიოზულ პრობლემებამდე შეიძლება მიიყვანოს საწარმო და იმავდროულად იქ დასაქმებული სხვა თანამშრომლები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული ნორმაში არ შეიძლება მოვიპოვოთ მხოლოდ ის პირები, რომლებიც გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით არიან დასაქმებული, არამედ განუსაზღვრელი ვადით დასაქმებულნიც, თუ საწარმოს აღარ ესაჭიროება იმ კონკრეტული სამუშაოს შესრულება, რომელსაც ასრულებს განთავისუფლებული პირი. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სამუშაოდან განთავისუფლება განპირობებული უნდა იყოს საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე აუცილებელი წინაპირობებით. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც გასხვისებულია ობიექტი, სადაც მუშაობდნენ მოსარჩევეები და რეალურად აღარ არსებობს ამ პირთა მიერ შესასრულებელი სამუშაო, პალატა თვლის, რომ ამ პირთა სამსახურიდან განთავისუფლება მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს.

**საქმე № ას-1429-1444-2011**

**1 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა (შრომის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

საქართველოს შრომის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ უნდა განიმარტოს. ჩვეულებრივ, „დამსაქმებლის ბრალით გამოწვეულ იძულებით მოცდენად“ განიხილება იმგვარი ვითარება, როდესაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გარეშე დამსაქმებელი დასაქმებულს შრომითი მოვალეობების შესრულების საშუალებას არ აძლევს, მაგალითად, არ უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოთი, სამუშაო ადგილით და ა. შ. გარდა ამისა, მოცდენად უნდა ჩაითვალოს იმგვარი ვითარებაც, როდესაც შრომის ხელშეკრულების არამართლზომიერად მოშლის შედეგად დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა ესპობა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ასევე არსებობს დასაქმებულის ნება განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება, რომელიც დამსაქმებლის მხრიდან არამართლზომიერი ქმედების შედეგად საპასუხო შესრულების გარეშე რჩება. ამ პირობებში შრომის ხელშეკრულების მოშლის მომენტიდან დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენამდე დრო დასაქმებულის ბრალით გამოწვეული მოცდენაა.

**საქმე № ას-585-968-06**

**12 აპრილი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საექიმო საქმიანობის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების გავლენა შრომის ხელშეკრულებაზე**

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ 76-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს „სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დროებით აკრძალვას სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ან სასამართლოს მიერ მის გაუქმებამდე“, ხოლო სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძვლები გათვალისწინებულია ამავე კანონის 77-ე მუხლით, რომლის თანახმად მითითებული სერტიფიკატის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს, კონკრეტულ შემთხვევაში, „მისი მფლობელის მიერ სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა“.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება გულისხმობს ამავე სერტიფიკატით ნებადართულ დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობის დროებით აკრძალვას, ანუ აღნიშნული სერტიფიკატით განსაზღვრული საქმიანობის შესრულების შეუძლებლობას იმ ვადით, რა ვადითაც შეჩერებულია სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება. აქედან გამომდინარე, პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება — აპრიორი არ გულისხმობს მუშაკის თანამდებობიდან განთავისუფლებას, რამდენადაც სერტიფიკატის მოქმედების აკრძალვა ჩერდება გარკვეული ვადით, რომლის გასვლის და, შესაბამისად, შეჩერების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის შედეგად მითითებული სერტიფიკატის მქონე პირს აღუდგება სახელმწიფო სერტიფიკატით მინიჭებული საექიმო საქმიანობის შესრულების უფლება, რაც გათვალისწინებულია „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმით.

**საქმე № ას-911-1218-07**

**10 ივნისი 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გაფრთხილების გარეშე დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა**

2007 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ მ. ნ-შვილისა და ვ. კ-აკის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მ. ნ-შვილის და ვ. კ-აკის სასარგებლოდ დაეკისრა 700 ლარის გადახდა (თითოეულისათვის).

პალატამ მიიჩნია, რომ მ. ნ-შვილი და ვ. კ-აკი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან 2006 წლის 27 ოქტომბრიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს № 1037 და № 1065 ბრძანებებით, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ ბრძანების მიღებისას დაცული იყო ყველა კანონით განსაზღვრული მოთხოვნა და არ იყო აუცილებელი აპელანტები ყოფილიყვნენ გაფრთხილებული გათავისუფლების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომლის მიხედვით ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. დამსაქმებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობად სასამართლომ მიიჩნია ის ფაქტი, რომ მან ერთი თვით ადრე არ გააფრთხილა დასაქმებული მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად აგრეთვე მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლიდან და საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპზე, შრომითი ურთიერთობის მხარეთა თანასწორუფლებიანობაზე.

პალატა მიიჩნევს რომ სააპელაციო სასამართლომ მიერ აღნიშნული ნორმათა განმარტება-გამოყენება არამართებულია. კანონის წინაშე თანასწორობა არ ნიშნავს იმას, რომ უფლება, რომელიც გააჩნია ერთ ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მეორესაც. კანონი სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების მექანიზმია და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ურთიერთობის მონაწილეებს სხვადასხვა უფლებები აქვთ. მაგალითად, შეუძლებელია, რომ მესაკუთრეს და ნივთის მფლობელს (თუ იგი მესაკუთრეს არ წარმოადგენს) ჰქონდეთ ერთი და იგივე უფლებები. მაგრამ უფლებები რაც აქვს მესაკუთრეს მინიჭებული კანონით ერთგვარია ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად რასისა, კანის ფერის, ენის, სქესისა და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას დასაქმებულსა და დამსაქმებელზეც. დამსაქმებელს უფლება აქვს დაითხოვოს მუშაკი სამსახურიდან, ანალოგიური უფლება არ შეიძლება გააჩნდეს დასაქმებულს და ა.შ. ამდენად მოცემული ნორმები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ასეთ შემთხვევაში.

რაც შეეხება „ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტს, იგი მართლაც აღიარებს მხარის ვალდებულებას. წინასწარ შეატყობინოს მუშაკს დასაქმების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ქარტიის დანართის მე-2 ნაწილი აღნიშნულ ნორმასთან მიმართებაში მიუთითებს, რომ ეს დებულება არ იქნება განმარტებული როგორც სამსახურიდან დაუყოვნებლივ დათხოვნის ამკრძალავი ნორმა რაიმე სერიოზული დარღვევის შემთხვევაში. ამდენად ქარტიის მითითებული ნორმა გამოყენებული უნდა იქნეს დანართში მითითებულ დებულებასთან ერთობლიობაში და დადგინდეს თუ რამ განაპირობა მუშაკის დაუყოვნებლივ დათხოვნა სამსახურიდან, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია და არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებანი. რის გარეშეც შეუძლებელია შემოწმდეს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობა.

## საქმე № ას-400-716-09

29 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა

დადგენილია, რომ დედოფლისწყაროს № 1 საჯარო სკოლის დირექტორის 02.09.08 წლის № 37 და № 46 ბრძანებების საფუძველზე კასატორები (თ. ა-შვილი და თ. ჯ-შვილი) გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის № 448 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სადავო ურთიერთობის მიმართ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენება არასწორია. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლი არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ სკოლის დირექტორი მასწავლებლის სამუშაოდან განთავისუფლებისას შეზღუდულია ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი საფუძვლებით და მას შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში უფლება არ აქვს, შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელთან.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობებზე ვრცელდება არა მარტო შრომის კოდექსი, არამედ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.

განსახილველი ნორმა ზოგადი ხასიათისაა და გულისხმობს მასწავლებელთა უფლება-ვალდებულებების, მათი განხორციელების, ასევე მათი შეწყვეტის წესს და ა.შ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანებების კანონიერება და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელობა ენიჭება გასაჩივრებული ბრძანებების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შინაარსის დადგენას, რომლის განსაზღვრის კრიტერიუმები მოცემულია კანონით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რაც უნდა გამოეყენებინა და, შესაბამისად, არ იმსჯელა ამ კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებზე, რომლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მასწავლებლის თანამდებობიდან განთავისუფლება.

კასატორების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებების საფუძველად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი — შრომითი ხელშეკრულების მოშლა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სადავო ბრძანებებით შეწყდა (მოიშალა) საჯარო სკოლასა და მასწავ-

ლებელს შორის დადებული ხელშეკრულებები, ე.ი. მოიშალა იმ პირთა შორის არსებული ურთიერთობა, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით. ამდენად, საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების მოშლისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებები და წესი, მასწავლებლის უფლება-ვალდებულებები, კანონით დადგენილი მასწავლებლის გარანტიები და ა.შ., რომლის მომწესრიგებელი სამართლებრივი საფუძვლები რეგულირდება განსახილველი კანონით.

**საქმე № ას-397-370-2010**

**11 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შრომითი ხელშეკრულების მოშლა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)**

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის განმარტებას, კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებულია პირის უმიშვნელოვანესი სოციალური უფლება — შრომის უფლება და დადგენილია, რომ შრომა თავისუფალია. შრომის კონსტიტუციური უფლება გარანტირებულს ხდის პირის თავისუფლებას, შრომითი საქმიანობის არჩევანში და მის განხორციელებაში, ამასთან, აწესებს სახელმწიფოს ვალდებულებას დასაქმებული მოქალაქის შრომითი უფლებების დაცვაში, რაც უზრუნველყოფილია სათანადო კანონით — შრომის კოდექსით.

შრომითი ხელშეკრულება ვალდებულებითი ხელშეკრულების სპეციალური სახეა და მას კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან განასხვავებს ის გარემოება, რომ შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ კერძო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი — მხარეთა თანასწორობის პრინციპი გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის და დაქირავებული დამოკიდებულია დამქირავებლის ნებაზე, მის მითითებებზე და მის მიერ განსაზღვრულ სამუშაო თუ ორგანიზაციულ პირობებზე. ამდენად, ამ ურთიერთობებში აშკარად გამოკვეთილია დამქირავებლის უპირატესი მდგომარეობა „სუსტ“ მხარესთან — დაქირავებულთან შედარებით, რაც უდავოდ იწვევს „ძლიერი“ მხარის მიერ თავისი უფლებების გადამტეხულად, მეორე მხარის საზიანოდ გამოყენების საშიშროებას. სწორედ ამგვარ „უთანასწორობაში“ ბალანსის აღდგენასა და დაცვას ემსახურება შრომის კოდექსი, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობისა და საქართველოს კონსტიტუციის ნორმების ურთიერთშეჯერებით ადგენს დაქირავებულის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი ნაწილით, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, თავისუფლად განახორციელოს შრომითი საქმიანობა, აირჩიოს შრომითი საქმიანობის სფერო, პროფესია და უმუშევრობის დროს ისარგებლოს სახელმწიფო გარანტიით. შრომის თავისუფლება არ ნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულებას, მოქალაქეთა დასაქმებაზე, თუმცა, ამავდროულად, შრომის უფლების კონსტიტუციით აღიარება მიზნად უსახავს სახელმწიფოს, იზრუნოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე, თავისი მოქალაქეების დასაქმების უზრუნველყოფის ხელშეწყობაზე და ამასთან, ამ უფლების სამართლებრივი რეგულირების მიზნით, სათანადო სამართლებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებაზე.

შრომის კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასაქმების დაცვის უფლება, რაც გულისხმობს დასაქმებულ პირთა დასაცავად გარკვეული სამართლებრივი მექანიზმების არსებობას — შრომის კოდექსსა თუ შრომის ურთიერთობის მომწესრიგებელ აქტებში დასაქმებულთა უფლების დაცვის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების ასახვას. ამ მხრივ უმიშვნელოვანესია საერთაშორისო აქტები, რომლებიც იცავენ დასაქმებულს სამუშაოდან წინასწარი შეტყობინებისა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გათავისუფლებისაგან. ევროპის სოციალური ქარტიის 4.4 მუხლით (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის № 1876-რს დადგენილებით), შრომის სამართ-



ლიანი ანაზღაურების მიღების უფლების განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, აღიარონ თითოეული მუშაკის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) მე-6 მუხლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით კი, ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოთა ლონისძიებანი, ამ უფლების სრულად განხორციელების მიზნით, შეიცავენ პროფესიულ-ტექნიკური სწავლები-სა და მომზადების პროგრამებს, განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და სრული საწარმოო დასაქმების გზებსა და მეთოდებს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს. ადამიანის სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დანაწესს ადგენს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველ-თაო დეკლარაციის (ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით) 22-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება, განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწი-ფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსე-ბის შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. ეტგს არ იწვევს ის გარემოება, რომ შრომის თავისუფლება ფართო გაგებით პირდაპირ კავშირშია ადამიანის ღირსებასა და თავისუფალ გან-ვითარებასთან.

ამდენად, ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლის ნორმები გვაძლევენ უალტერნატივო დასკვნის საშუალებას დასაქმებულთა შრომის უფლების მინიმალური სტანდარტებით დაცვაზე სახელმწიფოს ვალდებულებაზე და ამასთანავე მის მიზანზე, აღნიშნული სტანდარტების, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თანამდევად, მხოლოდ დაქირავებულის სასარგებლოდ შეცვლაზე. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით აღიარებული სახელმწიფოებრივი ნება სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებისა, პირდაპირ და უშუალო კავშირშია შრომის უფლების დაცვასთან, რაც ცალსახად გულისხმობს და-საქმებულის უფლების დაცვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვე-პუნქტი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.

აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა თვით ზემოხსენებული ნორმების არსი, კერძოდ, მითითებული ნორმები ადგენენ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას შრომითი ურთიერთობის მოშლის საფუძველზე. ამდენად, აღნიშნული ნორმები ადგენენ მხარეთა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შე-დეგს და არა იმ წინაპირობებს, რაც უნდა უძღოდეს სამართლებრივი შედეგის დადგომას. მითითებული ნორმები უფლებადამტკიცებელი ნორმებია, რომლითაც ერთ-ერთ მხარეს შეუძლია, მოშალოს ხელშეკრუ-ლება. ამდენად, აღნიშნული ნორმები არ შეიძლება იყოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ვინა-იდან მათში არ არის მოცემული წინაპირობები — აღწერილობითი ნაწილი. იმისათვის, რომ შემოწმდეს ნორმის გამოყენების საფუძველიანობა, ესა თუ ის იურიდიული ფაქტები უნდა შეესაბამებოდეს ნორმაში მითითებულ წინაპირობებს და იწვევდეს ამავე ნორმით განსაზღვრულ შედეგს. ზემოაღნიშნული ნორმები ამგვარ წინაპირობებს არ შეიცავენ. შრომის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შრო-მით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპე-ციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ხელშეკრულების მოშლის საფუძველებს (სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 405-ე მუხლები).

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის '2/1/456 გან-ჩინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა რა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის

პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურობის საკითხი, მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება მითითებული ნორმის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია და მიუთითა: „კონსტიტუციურ სარჩელში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სადავო ნორმა დამსაქმებელს აძლევს თვითნებობისა და დასაქმებულის სამუშაოდან უსამართლო და უპირობო გათავისუფლების საფუძველს. მოსარჩელეთა წარმომადგენელ რ. ლ-იანის მოსაზრებით, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია მისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო. კოლეგიას მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია. გასაჩივრებული ნორმით არ არის მოწესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. სადავო ნორმა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველების ჩამონათვალის ნაწილს და არა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმას. აქედან გამომდინარე, პოტენციურად შეუძლებელია მსჯელობა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, როგორც დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების მოშლისას თვითნებობის შესაძლო დამდგენ ნორმაზე.“

**საქმე № ას-1206-1057-10**

**24 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შრომითი ხელშეკრულების მოშლა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)**

სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის განხილვისას გააკეთა დასკვნა, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლისათვის, მხარეთა ინიციატივის გარდა დამატებითი საფუძველების არსებობა სავალდებულოა მხოლოდ არასრულწლოვანთან მიმართებით. აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს საკასაციო სასამართლო. უპირველეს ყოვლისა, თუ სასამართლო თვლის, რომ ხელშეკრულების მოშლისათვის აუცილებელია მხარეთა ინიციატივა, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა მხარეთა, არამედ მხოლოდ ერთი მხარის ნება. ასეთი განმარტება წინააღმდეგობაში მოდის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სხვა ნაწილში მითითებულ მსჯელობასთან.

პალატა თვლის, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც ერთი, ისე ორივე მხარის ნებიდან. ორივე მხარის ნების არსებობისას გარიგება წყდება შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად. განსახილველ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულება შეწყვეტილია ცალმხრივად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარე გათავისუფლებულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის საფუძველზე დამსაქმებელს უფლებამოსილება — შეწყვიტა მხარეთა შორის არსებული გარიგება — სასამართლომ შეუზღუდავ უფლებად მიიჩნია. საკასაციო სასამართლო ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძველს ანუ ეს ნორმა შრომის ხელშეკრულების მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას, შეწყვიტონ მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების მოშლის გზით. მაგრამ პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმით მხარეთათვის მინიჭებული ხელშეკრულების მოშლის უფლება არ არის შეუზღუდავი, რამეთუ არ არსებობს აბსოლუტური, შეუზღუდავი სამოქალაქო უფლება. იგი ყოველთვის შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით.

სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სასამართლოს უპირველესი ამოცანაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავის მნიშვნელობას კარგავს. უფლების

გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება.

შრომითი დავის განხილვისას სასამართლომ უნდა შეაფასოს, დაირღვა თუ არა მხარეთა უფლებები ამათუიშ სამართლებრივი აქტის თუ მოქმედების განხორციელების შედეგად, უნდა დადგინდეს დარღვეულია თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ადგილი ხომ არ ჰქონია დისკრიმინაციის ფაქტს და ა.შ. ამ ამოცანის შესრულება კი შეუძლებელია, თუ სასამართლოსათვის უცნობია ხელშეკრულების მოშლის მიზეზი და არ ვიცით ან არ დადგინდა დავის წარმოშობის მიზეზი.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოთ მითითებული მსჯელობა წინააღმდეგობაშია შრომის სამართლის უზოგადეს პრინციპებთან. კერძოდ, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობა ეფუძნება მხარეთა თანასწორუფლებიანობას. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. პალატა მიიჩნევს, რომ შრომითი დავების გადაწყვეტისას დაცული უნდა იქნეს როგორც მითითებული, ასევე კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით რეგულირებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი, ხოლო ამ უფლებათა დარღვევის შეფასება შეუძლებელია ხელშეკრულების მოშლის საფუძვლის არცოდნის შემთხვევაში.

## საქმე № ას-343-327-2011

1 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: მეწარმე სუბიექტის მიერ შრომითი ხელშეკრულების მოშლა

2009 წლის პირველ აგვისტოს შ. ნ-ესა და სს „ე.ჯ-ას“ შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება ერთი წლის ვადით, 2010 წლის პირველ აგვისტომდე და ყოველთვიური ხელფასის ოდენობად განისაზღვრა 400 ლარი.

სს „ე.ჯ-ას“ 2010 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით საჩხერის მომსახურების ცენტრის მოლარე შ. ნ-ესთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა 2010 წლის 17 მარტიდან დამსაქმებლის ინიციატივით, შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლით.

სასამართლოს დასკვნით, საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა შ. ნ-ის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევას. ასევე საქმის მასალებით არ დასტურდება შ. ნ-ის მიმართ რაიმე სახის დისკრიმინაციის ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევა, შრომის უფლება არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.

შრომითი ურთიერთობების რეგულირებისას გასათვალისწინებელია მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რათა დაუსაბუთებლად არ შეიღახოს დასაქმებულის ინტერესები, ამავდროულად, კანონმდებელი ითვალისწინებს დამსაქმებლის უფლებას, საკუთარი შეხედულებით გადაწყვიტოს დასასაქმებელი პირის ვინაობა ისე, რომ არ დგინდება რაიმე სპეციალური პირობები შრომითი ურთიერთობის დასაწყებად. აღნიშნული დებულების ნათელი დადასტურებაა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომელიც არეგულირებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს და ადგენს, რომ შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს: ა) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებით; ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლით; გ) ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევით; დ) შრომითი ხელშეკრულების მოშლით; ე) მხარეთა შეთანხმებით; ვ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს; ზ) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხანგრძლივი შრომისუუნარობით — თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 50 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს ამ კოდექსის 21-ე მუხლით განსაზღვრული შვებულება; თ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალებით; ი) დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარ-

მოების დაწყებით. ამავე კოდექსის 38-ე მუხლის დებულება კი შრომითი ურთიერთობის მოშლის პროცესს არეგულირებს და ადგენს იმ სავალდებულო მოქმედებათა ჩამონათვალს, რაც ამ ხელშეკრულების მოშლის იურიდიული შედეგია.

კასატორი არ ეთანხმება რა სააპელაციო სასამართლოს შეფასებას შ.ნ-ის სამსახურიდან უკანონოდ (შესაბამისი საფუძვლის გარეშე) გათავისუფლების თაობაზე, საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად სხვა გარემოებებთან ერთად უთითებს, რომ სადავო გადაწყვეტილების მიღებისას სს „ე.ჯ-ა“ მოქმედებდა როგორც შრომის კოდექსით დამსაქმებლისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას ამ კუთხით.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელშემწყობი მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს მეწარმის უფლებას, თავისი სურვილის მიხედვით შეარჩიოს კონტრაქტენტი, აირჩიოს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის საგანი, თავისი შეხედულებით დაიქირაოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამეწარმეო სუბიექტს გააჩნია საკუთარი მიზნები და იგი მოგებაზეა ორიენტირებული, აქედან გამომდინარე, საკუთარი მიზნის მისაღწევად საწარმოს შეუძლია საკუთრებითი წესრიგის მართლზომიერი მართვა, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს იმ მუშა-მოსამსახურეთა არჩევის უფლება, რომლებიც უზრუნველყოფენ მესაკუთრისაგან დაქირავებული ქონებით საწარმოს მიზნების რეალიზაციას.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგადად, შრომის ხელშეკრულების მოშლისათვის საკმარისია მხარის ნების გამოვლენა, მათ შორის ცალმხრივი ნების გამოვლენაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, დამსაქმებლის ნება, პირთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, საკმარისია ხელშეკრულების მოშლისათვის. მაგრამ აღნიშნული ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ დამსაქმებლის ეს უფლება შეუზღუდავია. ამგვარი ნების გამოვლენით არ უნდა ირღვეოდეს პირის ძირითადი უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები. ნებისმიერი სამოქალაქო უფლება შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით.

სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სასამართლოს უპირველესი ფუნქციაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაა. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავის მნიშვნელობას კარგავს. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შრომის ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში უფლების განხორციელების მართლზომიერება გულისხმობს იმ გარემოებას, რომ დამსაქმებლის ნების გამოვლენით არ უნდა დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ასევე შრომის კოდექსით დადგენილი დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი. აღნიშნული გამომდინარეობს შრომის კოდექსის მე-2 მუხლიდან, რომლის მე-6 ნაწილის თანახმად შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ხოლო იმავე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად კი, შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური

ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. შესაბამისად, პირის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში აუცილებლად უნდა შემოწმდეს, აღნიშნულს საფუძველად ხომ არ დაედო შრომის კოდექსის მე-2 მუხლით დისკრიმინაციულად მიჩნეული რომელიმე საფუძველი, ამასთან, მტკიცების ტვრითი ამ შემთხვევაში დამსაქმებელს ეკისრება, კერძოდ, თუ დასაქმებული უთითებს, რომ მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დისკრიმინაციული ქმედება იყო, სწორედ დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს საკუთარი ნების გამოვლენის მართლზომიერება და გათავისუფლების არადისკრიმინაციული საფუძვლის არსებობა.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელის მხრიდან არ დასტურდება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა, ასევე არ დასტურდება დისკრიმინაციის ფაქტი, კასატორი მითითებულ გარემოებებს სადავოდ არ ხდის, რის გამოც ამ ნაწილში კასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო გადაწყვეტილების მიღება მოხდა დამსაქმებლის მიერ ნების ცალმხრივად გამოვლენისა და სამეწარმეო მიზნებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა საფუძვლიანად მიიჩნევს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეებს შორის არსებობდა კერძოსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა, შრომის კოდექსით გათვალისწინებულ დამცავ ნორმებთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნების ავტონომიისა და თავისუფლად გამოვლენის პრინციპიც. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორმა სასამართლოს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველთან დაკავშირებით წარმოუდგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შეცვლის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს.

**საქმე №ას-545-513-2012**

**5 ოქტომბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შრომითი ხელშეკრულების მოშლა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნებისმიერი უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მართლოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ პუნქტი წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს, კერძოდ, განსახილველი პუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა. შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლა ეს არის შრომითი ურთიერთობის მონაწილის უფლება. ამდენად, გასარკვევია საკითხი, სსიპ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა რამდენად მართლზომიერად განახორციელა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება.

საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა საპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

„უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონის 41-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული თანამდებობიდან

პირის ვადამდე განთავისუფლების საფუძვლებს. მითითებული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლები არ არის მოცემული ამომწურავად, რადგან, ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული თანამდებობიდან პირის ვადამდე განთავისუფლების საფუძვლებია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა. აღნიშნულთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლომ დააკითხა მოწმეები ვ. ლ-ის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლის დასადგენად ისე, რომ არ გამოარკვია ზემომითითებული ნორმის გათვალისწინებით წესდებით განსაზღვრული თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლები.

ასეთის არარასებობის შემთხვევაში საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლომ უნდა გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მოშლის წინაპირობების შინაარსს. კერძოდ, თუ ხელშეკრულების მოშლა (შკ 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი) არ უკავშირდება ვალდებულების დარღვევას, მაშინ მისი მოშლა შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რომლითაც რეგულირდება უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე, კერძოდ, განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძვლი, როცა ხელშეკრულების მოშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება, მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე. იმ შემთხვევაში, თუ საფუძვლი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევას წარმოადგენს, მაშინ ამავე მუხლით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 405-ე მუხლებით მოცემული დანაწესი, რომლითაც რეგულირდება ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

ხელშეკრულების მოშლა, როგორც აღმჭურველი უფლების რეალიზაციის თავისებურებები, მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზემომითითებული მუხლებით.

ამ ნორმებით მოცემული ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტით განსაზღვრულია არა მარტო ხელშეკრულების მოშლა პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს კონკრეტულ ვითარებას, მათ შორის, დაუძლეველ ძალასა და ორმხრივი ინტერესების არსებობას, და ასევე სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევას, არამედ ამ უფლების რეალიზაციის სამართლებრივ მექანიზმსაც, რაც, თავისი შინაარსით, წარმოადგენს უფლების მართლზომიერად განხორციელების სამართლებრივ წესს.

**საქმე №ას-695-1025-072**

**აპრილი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მეწარმე სუბიექტის უფლებები შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში**

კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას ადმინისტრაციის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის დისკრიმინაციას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელისშემწყობი მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს მეწარმის უფლებას, თავისი შეხედულებით შეარჩიოს კონტრაჰენტი, აირჩიოს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის საგანი, თავისი მიზნებიდან

გამომდინარე დაიქირაოს და შეწყვიტოს პირთან შრომითი ურთიერთობები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შრომითი სამართალურთიერთობები სამეწარმეო უფლებამოსილების განხორციელებისას ხასიათდებიან გარკვეული თავისებურებებით. უპირველეს ყოვლისა აღნიშნული თავისებურებები ვლინდება სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრების უფლების რეალიზაციაში, რომლის ერთ-ერთ უმთავრესს მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება. ამ მიზნის მისაღწევად მას შეუძლია საკუთრებითი წესრიგის მართლზომიერი მართვა, რომლის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ მუშა-მოსამსახურეთა არჩევის უფლება, რომლებიც უზრუნველყოფენ მეწარმისათვის მოგების მიღებას.

**საქმე № ას-873-1183-07**

**4 ივნისი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შრომითი ხელშეკრულების მოშლის წესი (შრომის კოდექსის 38-ე მუხლი)**

კასატორი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს იმ გარემოებას, რომ მისი განთავისუფლების დროს დარღვეულია ხელშეკრულების მოშლის წესი. აღნიშნულში კი კასატორი მოიხსენიებს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების ადმინისტრაციამ არ მოახდინა მისი გაფრთხილება და არ დაუწესა დამატებითი ვადა. აღნიშნულთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კასატორი ვერ უთითებს ნორმას, რომლის თანახმად, დამსაქმებლის მიერ გაუფრთხილებლობის ან დამატებითი ვადის მიუცემლობის შემთხვევაში გათავისუფლებული პირი შეიძლება აღდგეს სამსახურში ან გაუგრძელდეს შრომის ხელშეკრულება. საგულისხმოა ისიც რომ ასეთი ნორმა არ არსებობს კასატორის მიერ მითითებულ არცერთ ნორმატიული აქტში.

**საქმე № ას-1429-1444-2011**

**1 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შრომითი ხელშეკრულების მოშლა (შრომის კოდექსის 38-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ 2008 წლის მოვლენების შემდგომ შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია, რეორგანიზაცია და შტატების შემცირება დამსაქმებელს მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს აძლევდა. სადავო არ არის დამსაქმებლის უფლება მოშალოს შრომის ხელშეკრულება ერთ ან რამდენიმე პირთან, თუ იგი სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს განიცდის. ასეთ ვითარებაში შტატების შემცირება ან რეორგანიზაცია საწარმოს მიერ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების აუცილებლობითაა განპირობებული. ასევე დასაშვებია ხელშეკრულების მოშლა, თუ გატარებული ღონისძიებების შედეგად, კონკრეტული სამუშაოს შესრულების საჭიროება აღარ არსებობს. უფრო მეტიც, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შრომის ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ამ მუხლით დადგენილი წესით; ე. ი, აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულების მოშლა ეფუძნება ხელშეკრულების მხოლოდ ერთ-ერთი მხარის ნებას და მიმართულია მეორე მხარის სურვილის საწინააღმდეგოდ. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული მეორე მხარის თანხმობაზე ან მის სხვაგვარ თანამონაწილეობასა და ნების გამოხატვაზე. დამსაქმებელს რაიმე საგანგებო სიტუაციის წარმოშობის გარეშე შეუძლია ნებისმიერ დროს მოშალოს შრომის ხელშეკრულება, თუ აღნიშნულით არ ირღვევა საქართველოს კონსტიტუციითა და თავად შრომის კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპები.

საყურადღებოა, რომ შრომის ურთიერთობის შეწყვეტა დამსაქმებლის ნამდვილ ნებას უნდა ემყარებოდეს, რისთვისაც აუცილებელია, რომ პირი იმ თანამდებობიდან გათავისუფლდეს, რა თანამდებობაზეც იყო დასაქმებული, წინააღმდეგ შემთხვევაში დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილად ვერ ჩაითვლება. განსახილველ შემთხვევაში კი, ქ. ო-ე სამსახურში მიიღეს ბანკის გარე გაყიდვების წერტილის სპეციალისტად, შემდგომში გადაიყვანეს საცალო დაკრედიტების რეგიონულ მენეჯერად, ხოლო სამსახურიდან გათავისუფლეს როგორც საბანკო პროდუქტების გაყიდვების აგენტი.

საქმე № ას-397-370-2010

11 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: პროფესიული კავშირის მონაწილეობა შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში**

„პროფესიული კავშირის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, პროფესიულ კავშირს უფლება აქვს პროფკავშირის წევრების შრომითი უფლებების დასაცავად, კანონმდებლობის შესაბამისად, წარადგინოს სარჩელი, შეიტანოს განცხადება და გამოვიდეს სასამართლოში ან შრომითი დავის განმხილველ სხვა ორგანოებში. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროფესიული კავშირი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქმიანობის მიხედვით — საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია თავისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა, ხოლო მე-3 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, პროფკავშირის წევრი არის ფიზიკური პირი (მუშაკი, დროებით უმუშევარი, პენსიონერი, სტუდენტი), რომელიც იზიარებს (ეთანხმება) პროფკავშირის წესდებას, ასრულებს მას და ირიცხება პროფკავშირულ ორგანიზაციაში.

აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული კავშირის შექმნის მიზანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულება მასში გაერთიანებულ პირთა უფლებების დაცვაა. ამავდროულად, საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, განისაზღვროს პროფკავშირის წევრის დასაცავად სარჩელის წარდგენის დროს პროფესიული კავშირების საპროცესო სტატუსი. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პროფესიული კავშირი, რომელიც სარჩელით ითხოვს პროფკავშირის წევრის სამუშაოზე აღდგენას, არის ამავე წევრის, ანუ მოსარჩელის წარმომადგენელი და არა მოსარჩელე.

### 13. სამმხარმეო სამართალი

საქმე № ას-448-690-08

5 დეკემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენება („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.4 მუხლი-დღეს მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი)**

აღნიშნული დავის წარმოშობისას მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მე-3.4 მუხლის თანახმად, შესატანის სრულად შეტანა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმ პირს, რომელმაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმები ბოროტად გამოიყენა. ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი არა. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების გამოყენება დაკავშირებულია საზოგადოების ქონებისა და პარტნიორთა შესატანის აღრევასთან. მოცემულ შემთხვევაში მხარე პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების საბუღალტრო წიგნები ვერ იქნა მოძიებული და საერთოდ უცნობია ხდებოდა თუ არა საბუღალტრო წარმოება საზოგადოებაში. პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის გამოყენება დაკავშირებულია საზოგადოებაში პარტნიორის მიერ შესატანის შეტანასთან და ამ შესატანის არასწორად აღრიცხვასთან საბუღალტრო წიგნებში. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის თანახმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა შემოისაზღვრება კრედიტორების წინაშე საზოგადოების მთელი ქონებით და იგი არ შეიძლება გავრცელდეს პარტნიორის



საკუთრებაში არსებული მთელ ქონებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორმა საზოგადოებაში შეიტანა ქონება, მაგრამ იგი არ აღირიცხა საზოგადოების ქონებად და დარჩა პარტნიორის საკუთრებაში, (თუნდაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით) ეს ჩაითვლება სადავო ნორმაში მითითებული შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად და ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება შეიძლება მოხდეს საზოგადოებაში შეტანილი, მაგრამ საზოგადოების საკუთრებად არ აღირიცხული ქონებიდანაც.

**საქმე № ას-75-408-09**

**2 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დივიდენდის განაწილება („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი)**

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დივიდენდების მოთხოვნის უფლება დ. ბ-ძეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ სადავო პერიოდისათვის მოგების განაწილება საზოგადოებაში დივიდენდების გაცემის გზით განხორციელდა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მიხედვით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. ამდენად, დივიდენდების გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ. დივიდენდის სავალდებულო რეჟიმში მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

დ. ბ-ძეს იმის დამასაბუთებელი რაიმე მტკიცებულება, რომ 2001-2007 წლებში შპს „საირხეში“ დივიდენდების გაცემა მოხდა, სასამართლოსათვის არ წარუდგენია. მოსარჩელე ცდილობდა დაემტკიცებინა, თუ რა ოდენობის მოგება შეიძლებოდა ჰქონოდა საწარმოს მისი საქმიანობის განხორციელებისას და ამ მოგებიდან დივიდენდები განესაზღვრა, თუმცა ის არ უთითებდა, რომ ამ ოდენობის მოგება რეალურად დაფიქსირდა საწარმოს ბუღალტრულ დოკუმენტებში ან დივიდენდების განაწილება მოხდა პარტნიორთა შორის.

დ. ბ-ძეს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა თუ დამტკიცებოდა, რომ შპს „საირხეს“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მოხდა დივიდენდების განაწილება და მას, როგორც პარტნიორს, მისი წილის პროპორციული თანხა არ გაუნაწილეს, ან თუ ის მოითხოვს პარტნიორთა კრების მოწვევას და საწარმოს პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების განაწილების თაობაზე.

**საქმე № ას-1328-1170-2010**

**06 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: განსხვავება დივიდენდის მიღების უფლებასა და დივიდენდის მოთხოვნის უფლებას შორის**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დივიდენდის სამართლებრივი ბუნების გარკვევა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლი, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნ-

ნის უფლება). მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე — საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მესამე ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). მითითებულ ნორმათა მიხედვით, დივიდენდის გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის შესახებ.

### **საქმე № ას-1111-1264-08**

**25 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: დივიდენდის გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფა**

კასატორის მითითებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-91 მუხლის მე-5 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის, მე-6 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-8 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე შპს-ს პარტნიორს უფლება არ აქვს წლიური წმინდა მოგების მოთხოვნა წაუყენოს საზოგადოებას, როცა მას უკვე შესრულებული აქვს წლიური ანგარიში (ბალანსი). აღნიშნული მოსაზრება საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით არ შეიძლება გაზიარებული იქნეს. მე-8 მუხლში მითითებულია პარტნიორთა კრების უფლებამოსილებაზე დაადგინოს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. მე-9 მუხლის მე-5 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში საუბარია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე დაამტკიცოს წლიური შედეგები, ხოლო მე-6 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში პარტნიორთა კრების უფლებამოსილებაზე მიიღოს გადაწყვეტილებები დირექტორების დანიშვნის და გამოწვევის თაობაზე, მათი ანგარიშების დამტკიცებაზე და ა.შ. კასატორის მითითებული ნორმათა ანალიზიდან არ იკვეთება კასატორის მიერ მითითებული მოსაზრება. სწორედ წლიური შედეგების შეჯამების შემდეგ შესაძლებელია იმ ინფორმაციის მიღება, თუ რამდენად მომგებიანი იყო საზოგადოების საქმიანობა გასული წლისათვის და სწორედ აღნიშნულის შემდეგ შეიძლება დაისვას მოგების განაწილების საკითხი. ხოლო რაც შეეხება დივიდენდების განაწილებას, აღნიშნული საკითხი მართლაც პარტნიორთა კრების გადასაწყვეტია. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ პარტნიორთა კრებამ დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო, ამ გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფა უნდა მოახდინოს საზოგადოებამ და არა პარტნიორებმა, როგორც ამას უთითებს კასატორი. პარტნიორები ახორციელებენ მმართველობით უფლებამოსილებას პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების საქმიანობას კი ხელმძღვანელობს დირექტორი ამავე კანონის მე-9 მუხლის თანახმად. ანალოგიურად წესრიგდებოდა აღნიშნული საკითხები დავის არსებობისას ამ ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებითაც. ამდენად საზოგადოებისათვის თანხის გადახდის დაკისრება არ გულისხმობს საზოგადოების ადმინისტრაციისათვის თანხის დაკისრებას. როდესაც თანხის გადახდა ეკისრება საზოგადოებას, გადახდევინება ხდება არა ადმინისტრაციის, არამედ საზოგადოების ქონებიდან.

### **საქმე № ას-954-1260-07**

**23 იანვარი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი**

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ მხოლოდ საზოგადოების დირექტორები არიან უფლებამოსილი განახორციელონ შპს-ს წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში. სასამართლოს ეს მოსაზრება გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტიდან, ხოლო რაც შეეხება საზოგადოების ბუღალტერს იგი არ შეიძლება

მივიჩნით ასეთი უფლებამოსილების მატარებლად და მის მიერ ხელმოწერილი შედარების აქტი, თუნდაც საზოგადოების ბეჭდით დადასტურებული, არ შეიძლება მივიჩნიოთ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად.

**საქმე № 3კ-1492-02**

**19 მარტი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზოგადოების დირექტორის მიერ გარიგების დადების უფლებამოსილების შეზღუდვა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი)**

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლის შესაბამისად საზოგადოებას ხელმძღვანელობს დირექტორი.

დირექტორი არის „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო, ე.ი. დადოს საწარმოს სახელით ხელშეკრულება.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.4 მუხლის შესაბამისად დირექტორი საზოგადოებას წარმართავს მესამე პირებთან ურთიერთობაში. მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

ეს იმას ნიშნავს, რომ დირექტორებს არ შეიძლება აეკრძალოთ ამა თუ იმ გარემოებათა გამო გარიგებათა დადება, გარდა იმ გარიგებებისა, რომლებზეც თანხმობის გაცემა კანონით სხვა ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.5 მუხლის შესაბამისად გათვალისწინებულია საზოგადოების დაცვის მექანიზმიც. იმ შემთხვევაში, როცა დირექტორმა დადო ისეთი გარიგება, რომლის დადების უფლებაც მას არ ჰქონდა და ამის შესახებ იცოდა კონტრაჰენტმა, საზოგადოებას შეუძლია, გარიგების დადებიდან 18 თვის განმავლობაში გამოაცხადოს გარიგება ბათილად. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა წარმოდგენილი და კონტრაჰენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიაყენონ წარმოდგენილ საზოგადოებას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.3 მუხლის მეორე აბზაცის შესაბამისად საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შესაძლოა, შეიზღუდოს სამეთვალყურეო ორგანოს აუცილებელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელობის ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანაწესით.

ასეთ შემთხვევაში კონტრაჰენტი ხელშეკრულების დადებისას უნდა დაინტერესდეს, დირექტორს აქვს თუ არა ამ ხელშეკრულების დადების უფლება და თუ დარწმუნდება, რომ ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება არა აქვს, მოსთხოვოს შესაბამისი თანხმობა. ეს საკითხი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დროს უნდა გაითვალისწინოს ნოტარიუსმაც.

**საქმე № ას-652-900-04**

**16 ივლისი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის დროს გარიგების დადება („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი)**

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.4 მუხლის თანახმად, დირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

აღნიშნული ნორმის თანახმად, საწარმოს დირექტორს ენიჭება უფლებამოსილება საზოგადოების სახელით დადოს გარიგებები. იმ შემთხვევაში თუ დირექტორის მიერ საზოგადოების ინტერესების საწინააღ-

მდგომარეობა დადებულ იქნა გარიგება, რომელმაც გარკვეული ზიანი მიაყენა საზოგადოებას, ამოქმედდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლით დაწესებული ნორმა დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ საზოგადოების წინაშე.

გარე ურთიერთობებში, ანუ მესამე პირებთან ურთიერთობებში გამგეობა და დირექტორატი შეუზღუდავია და არც შეიძლება შეიზღუდოს თავის წარმომადგენლობით უფლებებში. საზოგადოების შიგნით, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობაში კი იგი ვალდებულია მოქმედებდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ე. ი. იმ ფარგლებში რომლებიც დაწესებულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული ხელშეკრულებით. დირექტორის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობების დარღვევა გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირთა უფლებებზე და ის არ იწვევს მათთან დადებული გარიგებების ბათილობას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1.1 მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. სამეწარმეო საქმიანობის მონაწილე სააქციო საზოგადოების მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას განსაზღვრავს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლიც. 55.9 მუხლით განსაზღვრულია საწარმოს საქმიანობისათვის აუცილებელი მოქმედებები, რომელთა განხორციელება დირექტორმა სამეთვალყურეო საბჭოს უნდა შეუთანხმოს. ისეთი მოქმედებები, როგორცაა ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია, სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა, საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და სხვა რასაც ეხება 55.9 მუხლი, არ უკავშირდება კონტრაგენტებთან ხელშეკრულებების გაფორმებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოცემული მუხლით დადგენილია საწარმოს შიდა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ფორმები და ის არ წარმოადგენს დირექტორთა შეზღუდვებს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.5 მუხლის მიხედვით „თუ გარიგების კონტრაგენტისათვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო საზოგადოების ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ საზოგადოებას შეუძლია ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობა.“

მოცემულ შემთხვევაში არსებობს კანონით დადგენილი პრეზუმფცია. მესამე პირებთან ურთიერთობისას იგულისხმება, რომ დირექტორი მოქმედებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით და სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა არსებობს.

თუ დადგინდება, რომ გარიგების კონტრაგენტმა იცოდა, რომ დირექტორს არ ჰქონდა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა და იგი მოქმედებდა განზრახ სამეთვალყურეო საბჭოს გვერდის ავლით, ამ გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.4 მუხლის შესაბამისად კონტრაგენტი არ არის ვალდებული მოსთხოვოს დირექტორს ხელშეკრულების დადებისათვის სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.

## საქმე № ას-260-673-06

26 თებერვალი, 2007 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის დროს გარიგების დადება

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილად ცნო და კასატორმა საკასაციო საჩივრით დაადასტურა ის გარემოება, რომ 2003 წელს ვ.კ-ე სიტყვიერად შეუთანხმდა ამავე ქალაქის ... კლუბის მაშინდელ პრეზიდენტს, რომ ... კლუბის ბალანსზე რიცხულ 60 კვ.მ ფართობს ჩაუტარებდა რემონტს, კეთილმოაწყობდა, რომელსაც შემდგომში იქირავებდა და რემონტზე გაწეული თანხა ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით გაექვითებოდა ქირაში. ვ.კ-მ ჩაატარა რემონტი და შეუდგა ფართის ფლობას, მაგრამ მხარეთა შორის ხელშეკრულება არ გაფორმდა.

საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ... კლუბის პრეზიდენტი გ. ჩ-ი სადავო ფართის ვ. კ-სათვის გადაცემაზე არაუფლებამოსილი პირია, ვინაიდან ასოციაციის წესდებისა და კლუბის დებულების თანახმად, ამგვარი გარიგების უფლება გააჩნდა მხოლოდ ასოციაციას.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას კლუბის პრეზიდენტის არაუფლებამოსილებაზე, ეს გარემოება ვერ მოახდენს გავლენას სასარჩილო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, ვინაიდან კლუბის იმდროინდელი პრეზიდენტი მესამე პირებთან, კონკრეტულ შემთხვევაში ვ. კ-სთან წარმოადგენდა კლუბის ინტერესებს. მისი უფლებამოსილების შეზღუდვა ასოციაციის წესდებითა და კლუბის დებულებით არ წარმოადგენს მესამე პირის — ვ. კ-ის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების დამადასტურებელ გარემოებას. საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ თავისი ვალდებულებების არამართლზომიერი და ბრალეული ქმედებებით შეუსრულებლობა გავლენას არ ახდენს გარე სამართლებრივ ურთიერთობებზე. საზოგადოებასთან ურთიერთობაში დირექტორი ვალდებულია, მოქმედებდეს თავისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში, ანუ მისი კომპეტენცია შეზღუდულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული შეთანხმებით. ამ წესების დარღვევა წარმოადგენს მხოლოდ დირექტორის საზოგადოებასთან მიმართებაში არსებული შიდა ვალდებულებების დარღვევას და წარმოშობს საზოგადოების მხრიდან დირექტორისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. საზოგადოების დირექტორის მიერ თავისი საქმიანობის სფეროში უფლებამოსილების გადაჭარბებით მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირებთან წარმოშობილ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაზე, თუნდაც საზოგადოების წესდება ამ ტიპის გარიგებისთვის ითვალისწინებდეს საზოგადოების მართვის ორგანოების სავალდებულო თანხმობას.

**საქმე № ას-1234-1493-09**

**10 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის დროს გარიგების დადება („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9.5 მუხლი — „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი)**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების აუცილებლობა კანონით გათვალისწინებული რიგი საკითხებთან მიმართებაში მიუთითებს დირექტორის (დირექტორატის) შეზღუდვის ინსტიტუტზე, კერძოდ, სადავო ხელშეკრულებების დროს მოქმედი (2002 წლის რედაქციით) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა. აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს კორპორაციული მართვის ცალკეული ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნის მკაცრ რეგლამენტაციას, რომლითაც რეგულირდება საზოგადოების შიგნით მართვის ორგანოთა უფლება, ვალდებულებების საკითხი. ამდენად, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა წარმოადგენს ამ ორგანოს არა ვალდებულებას, არამედ უფლებას, რომელიც ემსახურება საზოგადოების კორპორაციულ მართვას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დანაწესით საზოგადოების ხელმძღვანელის (დირექტორის) უფლებამოსილების შეზღუდვის მიუხედავად, ამ უკანასკნელის მიერ იმ გარიგების დადება, რომლის დადების უფლებამოსილება მას არ გააჩნდა, მესამე პირის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შეზღუდვის შესახებ იცოდა კონტრაჰენტმა ან, როცა საზოგადოების წარმომადგენელი და კონტრაჰენტი მოქმედებდნენ განზრახ („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქციის) 9.5 მუხლი). აღნიშნული ნორმით დაცულია საზოგადოების ინტერესები და, როგორც აღინიშნა, ამ დაცვითი მექანიზმის ამოქმედებისათვის აუცილებელია არსებობდეს კონტრაჰენტის არაკეთილსინდისიერების ფაქტი. სხვა შემთხვევაში, იმ დროს მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საზოგადოების ისეთი შიდა საკორპორაციო

მართვის ორგანოებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის სამართლებრივი რეგლამენტაციის დარღვევა, როგორცა საზოგადოების წარმომადგენლობასა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები, იწვევს საზოგადოებაში შიგნით არსებულ სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რამაც გავლენა არ უნდა მოახდინოს კეთილსინდისიერ კონტრაქტზე. ამრიგად, კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად კეთილსინდისიერი იყო შპს „ენერგომონტაჟი“ სადავო ხელშეკრულების დადების დროს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის არსებობა-არარსებობასთან მიმართებაში.

**საქმე № '3კ-1244-02**

**21 მარტი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზოგადოების დირექტორის მიერ მიყენებული ზიანი („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9.7 მუხლი — „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი)**

კასატორი მიუთითებს, რომ საბრუნავი სახსრების შევსების მიზნით 80000 აშშ დოლარი საწარმოს მამინდელმა დირექტორმა თ. გ-ემ გაიტანა ბანკიდან მასალების შესაძენად, მაგრამ არ გამოიყენა მიზნობრივად. იმის გამო, რომ დირექტორმა არ გამოიყენა მიზნობრივად სესხის თანხა და არ შეასრულა თავისი ვალდებულება, საწარმომ განიცადა ზიანი. კასატორი სკ-ს 986-ე და 411-ე მუხლის შესაბამისად ითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

სკ-ს 412-ე მუხლის თანახმად ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სკ-ს 415-ე მუხლის თანახმად თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მხარის ბრალით არის უფრო მეტად გამოწვეული ზიანი.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.7 მუხლის თანახმად საწარმოს დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ბრუნავდნენ ისე, როგორც ბრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე ან ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს.

თუ რა უნდა ჩაითვალოს ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირის მოქმედებად, კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია.

როგორც თ. გ-ე თავის შესაგებელში უთითებდა, შეგებებულ სარჩელში მითითებული თანხა მოხმარებულია საზოგადოების მიზნებისათვის, რაზედაც ინფორმირებული იყო საზოგადოების ყველა პარტნიორი. სესხისა და ასეთი განზრახვის შესახებ ინფორმირებული იყვნენ საზოგადოების პარტნიორები, რაში დარწმუნებაც შესაძლებელია თ. გ-ის სარჩელზე მოპასუხეთა შესაგებლიდან, რომლითაც დადასტურებულია ზემოაღნიშნული ფაქტების ნამდვილობა. ამის თაობაზე ინფორმირებულნი იყვნენ საზოგადოების პარტნიორები და საზოგადოების მომავალი პარტნიორიც — სს „ქ-ი“. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თანხის კრედიტორებისათვის გადაცემა მოხდა სს „ქ-ის“ კუთვნილი ბრონირებული მანქანის მეშვეობით.

პალატა იზიარებს კოლეგიის მოსაზრებას, რომ შპს „თ-ის“ შეგებებულ სარჩელს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ თ. გ-ის მიერ მითვისებულ იქნა საზოგადოების თანხები. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც ასევე უკავშირდება იმ გარემოებას და მისი დაკმაყოფილების საფუძველი შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი ნორმები.

სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის თანახმად, სარჩელის საფუძვლად მითითებული ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.

როდესაც მოსარჩელე საზოგადოება დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას საფუძვლად უდებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე დირექტორმა ჩაიდინა დანაშაული და ზიანი მიაყენა საზოგადოებას, მტკიცებულება, რომლითაც უნდა დადასტურდეს მოთხოვნის საფუძვლიანობა, არის სისხლის სამართლის საპროცესო წესით მიღებული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამგვარი ფაქტის ნამდვილობას.

სხვა შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ დირექტორის გადაწყვეტილება ხელსაყრელი არ იყო საზოგადოებისათვის და მან სათანადო ზრუნვა არ გამოიჩინა საზოგადოების ქონებაზე.

ამ კუთხით დაუსაბუთებელია შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა, მით უმეტეს, რომ თავად მის მიერ არის აღიარებული, რომ თ. გ-ის განხორციელებული მოქმედებები შეთანხმებული იყო ყველა პარტნიორთან და ისინი ამის წინააღმდეგნი არ ყოფილან.

## საქმე № ას-899-1185-09

26 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საზოგადოების საქმიანობისათვის კეთილსინდისიერად გაძღოლის ვალდებულება („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი)

მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის საფუძველია, სააქციო საზოგადოების დირექტორის არაკეთილსინდისიერი და დაუდევარი მოქმედების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დირექტორის ამგვარი მოქმედება გამოიხატა იმაში, რომ სააქციო საზოგადოების წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის განსახილველად დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მისი, როგორც საზოგადოების წარმომადგენლის — დირექტორის გამოუცხადებლობის გამო, გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საზოგადოებას დაეკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ თანხის გადახდა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მითითებას „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 56.3 და 56.4 მუხლებით დავის სამართლებრივი შეფასების თაობაზე. აღნიშნული ნორმებით, სააქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენენ დირექტორები. დირექტორები არ შეიძლება იყვნენ სასამართლოში წარმომადგენლები იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ სარჩელი შეტანილია ამ საზოგადოების მიერ. დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. თუ დადგენილია ზიანის ფაქტი, მაშინ დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი საქმეს უძღვებოდნენ ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ამავე კანონის 9.6 მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოების დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

მითითებული ნორმების ანალიზი ცხადწყოფს, რომ საზოგადოების დირექტორს, როგორც ხელმძღვანელ ორგანოს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ფუნქცია აკისრია საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით, თუმცა, ამავდროულად, საზოგადოების ინტერესები და უფლებები დაცულია არა მხოლოდ დირექტორის, არამედ სააქციო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ორგანოების (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო) კანონშესაბამისი ხელმძღვანელობითი და მაკონტროლირებელი საქმიანობით. უდავოა, რომ სააქციო საზოგადოების დირექტორს თავის მოვალეობათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ, ამავდროულად, დავის შემთხვევაში ზუსტად უნდა გაირკვეს პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი — მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც მოჰყვა

უშუალოდ ზიანი. დირექტორის არამართლზომიერი ქმედება ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველს განეკუთვნება ე.წ კანონისმიერი მოვალეობების დარღვევა (მოვალეობები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული), ხოლო მეორეს — მოვალეობები, რომლებიც დირექტორის გადაწყვეტილების თავისუფლების სფეროდან მომდინარეობს (გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა, ერთგულების მოვალეობა).

საკულისხმოა, რომ კანონი ითვალისწინებს რა დირექტორის პასუხისმგებლობას ვალდებულების დარღვევისათვის, ამავდროულად ადგენს სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც იმ უფლებამოსილი პირების — სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ, თუკი ისინი დირექტორებთან ერთად ლებულობდნენ მონაწილეობას საზოგადოების წინააღმდეგ განხორციელებულ არამართლზომიერ ქმედებაში. კანონი სააქციო საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს განიხილავს, როგორც საზოგადოების ძირითადი ორგანოს, ამომწურავად განსაზღვრავს მის კომპეტენციას და სხვა მის მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად სწორედ მას აკისრებს საზოგადოების დირექტორების დანიშვნისა და მათი გამოწვევის უფლებამოსილებას. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა კანონით პირდაპირ დააკისრებული აქვს დირექტორს, მისი ამ საქმიანობის სათანადოდ განუხორციელებლობა არ გამორიცხავს სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობას უმოქმედობისათვის, თუკი მისთვის ცნობილი იყო დირექტორის არამართლზომიერი ქმედების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ მიმართებით სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, ვინაიდან თვით სააქციო საზოგადოების სარჩელით და საქმეში წარმოდგენილი მხარეთა არა ერთი განმარტებებით დადგენილია, რომ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის ცნობილი იყო სასამართლო სხდომის მიმდინარეობისა და ამავე დავაში საზოგადოების მიერ სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებათა (სარჩელის საწინააღმდეგო მტკიცებულებათა) წარდგენის საჭიროების შესახებ. აღნიშნულის თაობაზე მითითებულია საზოგადოების 2007 წლის 1 მაისის სასარჩელო განცხადებაში, სადაც მოსარჩელე საზოგადოება უთითებს, რომ საზოგადოების ყოფილ თანამშრომლებთან მიმდინარე დავაზე დანიშნული სასამართლო სხდომა საზოგადოების დირექტორის ბ.ფ-ძისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ი.დ-ძის შუამდგომლობით, არა ერთხელ იქნა გადადებული სარჩელის საწინააღმდეგო მტკიცებულებათა წარმოსადგენად. ამდენად, მხარეც არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული სასამართლო დავის თაობაზე ცნობილი იყო არა მარტო ბ.ფ-ძისათვის, რაც არ გამორიცხავს უფლებამოსილ პირთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლოს უტყუარად არ დაუდგენია ზიანის არსებობის ფაქტი. როგორც ირკვევა, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულია სააქციო საზოგადოებაში მომუშავე პირთა მოთხოვნები მიუღებელი ხელფასების, სამივლინებოდ და საშვებულებო თანხების ანაზღაურების თაობაზე. საზოგადოება განსახილველი სარჩელით აღიარებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც 12600 ლარის გადახდა დაკისრებული, 1000 ლარის დაკისრების ნაწილში არ არის სწორი. ამავე სარჩელით საზოგადოება უარყოფს და ზიანად მიიჩნევს 11915 ლარის დაკისრებას იმ საფუძველით, რომ მას გააჩნდა სათანადო მტკიცებულებები გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების არარსებობის თაობაზე. სააპელაციო პალატამ ისე გაიზიარა სარჩელის ეს საფუძველი, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რა მტკიცებულებებს ეყრდნობა სასამართლოს რწმენა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულების არარსებობის თაობაზე. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი დირექტორის მიერ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა ვალდებულების დარღვევა და მან პასუხი უნდა აგოს ამ მოქმედებისათვის, თუმცა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ზიანი მიადგა საზოგადოებას. ამასთან, უტყუარად უნდა გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალის არსებობაც.



საქმე № ას-764-715-2010

18 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საზოგადოების საქმიანობისათვის კეთილსინდისიერად გაძღოლის ვალდებულება („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი)**

სამეწარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებს აწესრიგებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძღოლისას შპს-ს დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას, ასევე ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობას (მე-9 მუხლი). კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდა კორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი მათ ეკისრებათ. ე.ი. დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.

საქმე № ას-556-939-06

13 მარტი, 2007 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია დასაშვები და იგი უნდა ეფუძნებოდეს გასარიცხი პარტნიორის სხვა პარტნიორებთან საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობას. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს პარტნიორის კანონსაწინააღმდეგო და საზოგადოების ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში პარტნიორის გარიცხვის საფუძველად კრებამ მიიჩნია ზ. ქ-ის, როგორც საზოგადოების დირექტორის არასწორი საქმიანობა, რაც თავისთავად არ მეტყველებს მისი, როგორც პარტნიორის ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან საზოგადოების ინტერესებისათვის პარტნიორის უფლებამოსილების ფარგლებში მისი მოქმედებიდან გამომდინარე ზიანის მიყენებაზე. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი განამტკიცებს რა საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, თავიანთი მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში დირექტორის საქმიანობიდან გამომდინარე დარღვევა შესაძლებელია გახდეს დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების და არა მისი პარტნიორობიდან გარიცხვის საფუძველი.

საქმე № ას-390-741-07

24 ივლისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.3-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი — „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი)**

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საზოგადოების პარტნიორის გარიცხვის ერთადერთი საფუძველი შესატანის დროულად შეუტანლობაა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47.3-ე მუხლი ითვალისწინებს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება იმ დამატებითი უფლებების გამოყენების თაობაზე, რომლებიც საზოგადოებას აქვს დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე ან და პარტნიორის მიმართ. კანონმდებლობა ზუსტად არ განსაზღვრავს თუ რა იგულისხმება დამატებით უფლებებში, მაგრამ პალატა მიიჩნევს, რომ პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან ერთ-ერთ ასეთ უფლებათაგანია. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პარტნიორის გარიცხვა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ საფუძველით დაუშვებელია. იგი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პარტნიორთან ერთად შეუძლებელია საზოგადოების

დოების შემდგომი საქმიანობის გაგრძელება. ბუნებრივია ისეთ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების პარტნიორები უნდობლობას უცხადებენ სხვა პარტნიორს შესაძლოა მათი ერთობლივი საქმიანობა შეუძლებელი გახდეს.

**საქმე № ას-75-408-09**

**2 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი\***

**განმარტების საგანი: პარტნიორის წილის პროპორციულად კომპანიის საკუთრებიდან უძრავი ქონების გამოყოფა**

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ დ. ხ-ძის მოთხოვნა, მისი წილის პროპორციულად შპს „საირხედან“ უძრავ-მოძრავი ქონების გამოყოფის თაობაზე, უსაფუძვლოა.

აღნიშნული მოთხოვნის საფუძველად დ. ხ-ძე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-13 პუნქტს მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი სამართლებრივი ფორმით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მუხლი საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევებს აწესრიგებს და დ. ხ-ძის სასარჩილო მოთხოვნასთან დაკავშირებული არ არის. რაც შეეხება პარტნიორისათვის წილის შესაბამისად საწარმოს საკუთრებიდან უძრავი ქონების გამოყოფას, აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, კასატორის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

**საქმე № 3კ-530-02**

**21 მაისი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზოგადოების პარტნიორთა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლების ვადა**

საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება (კრების ოქმი) კოლექტიური გარიგებაა და სავალდებულოა პარტნიორებისათვის. ვინაიდან კრების გადაწყვეტილება გარიგებაცაა, მასზე ვრცელდება გარიგების ყველა ის ნორმა და წესი, რაც სამოქალაქო კანონმდებლობითაა განსაზღვრული.

სამოქალაქო კოდექსის 72-ე მუხლის შესაბამისად გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე. კანონმდებელი შეცდომაში მართო კერძო ნების საერთო ნორმატიული ნებისაგან გადახვევას კი არ გულისხმობს, არამედ გულისხმობს უცოდინრობასაც, რადგან უცოდინრობა საქმის ნამდვილი მდგომარეობის არცოდნაა და როგორც შეცდომას, ისე უცოდინრობას ერთი და იგივე შედეგი მოსდევს, ამიტომ ისინი ერთი მნიშვნელობით გამოიყენება.

მოცემულ შემთხვევაში 2000წ. 2 ოქტომბერს, როცა მოხდა პარტნიორთა მიერ წილის შესყიდვის უპირატესი უფლების დათმობა და როგორც კასატორები მიუთითებენ, მათთვის ამ გარიგების შესახებ არაფერი იყო ცნობილი, შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი საცილო გარიგება იყო, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შეცვლების ვადა ერთი თვეა.

**საქმე № ას-777-1040-05**

**7 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პარტნიორის გარიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი)**

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ვინაიდან საზოგადოებიდან გ. ბ-ის გარიცხვა მოხდა 2001წ. 14 მაისს, მან კი სარჩილი აღძრა 2004წ. 27 მაისს, მას არა აქვს გაშვებული სასამართლოსათვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადა. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხ-

\* მსგავსი კატეგორიის საქმეზე იხ. სუსგ საქმე № ას-1234-1254-2011 17 ოქტომბერი, 2011 წელი, თბილისი.

ვევაში სასამართლომ სწორად გამოიყენა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15.1 მუხლი, რომლის თანახმად ამ კანონის მიხედვით, პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა, რომ მე-15.2 მუხლში მითითებული გასაჩივრების ორთვიანი ვადა შეეხება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, ხოლო ისეთ საკითხზე გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, როგორცაა პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან, გამოყენებული უნდა იქნეს არა გასაჩივრების ორთვიანი ვადა, არამედ ხუთწლიანი ვადა.

**საქმე № ას-860-1074-08**

**20 იანვარი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამეწარმეო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი)**

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს, ხოლო დასახელებული ნორმის მეორე პუნქტის თანახმად (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

საქმეზე დადგენილია და სადავო არ არის, რომ მოსარჩელე, როგორც საზოგადოების აქციათა 10%-ის მფლობელი აქციონერი, 2000 წლის 15 მაისის აქციონერთა საერთო კრებაზე არ ყოფილა მიწვეული „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54.2 მუხლით დადგენილი წესით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), კერძოდ, მას კრებაზე მოსაწვევი არ გაგზავნია დაზღვეული წერილით, რის გამოც სააქციო საზოგადოების მხრიდან უხეშად დაირღვა აქციონერთა საერთო კრების მოწვევის პროცედურა და აქციონერთა კრების თაობაზე ინფორმირების შესახებ აქციონერის უფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ასეთ შემთხვევაში საერთო კრების ოქმის ხანდაზმულობის მიმართ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 15.2 მუხლით დადგენილი ორთვიანი ვადა (კრების ოქმის შედგენიდან) ვერ გავრცელდება.

მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე მიჩნეულ უნდა იქნეს მოთხოვნის წარმოშობის დრო, ანუ როდესაც მ. ც-ძემ შეიტყო 2000 წლის 15 მაისს სს „თ.-ის“ აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ან მას აღნიშნულის შესახებ უნდა შეეტყო. საქმეში წარმოდგენილია სს „თ.-ის“ 18.01.2005წ. წერილი მ. ც-ძისადმი, რომლითაც მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის საფუძველზე გაეგზავნა აღნიშნული დროისათვის მისი კუთვნილი აქციების რაოდენობის, შესატანისა და წილის შესახებ ამონაწერი აქციათა რეესტრიდან (ს.ფ. ნ). მ. ც-ძე აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების მისთვის შეტყობის დროდ სწორედ ზემომითითებული წერილით ინფორმირების პერიოდს, კერძოდ, 2005 წლის იანვარს ასახელებს. საქმის მასალებით არ დგინდება და არც კასატორს აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მ. ც-ძეს აღნიშნული კრების გადაწყვეტილების შესახებ მანამდე ეცნობა. კასატორი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით, ვერც იმას ასაბუთებს, თუ რატომ უნდა შეეტყო მანამდე მ. ც-ძეს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო თავისთავად ის ფაქტი, რომ მ. ც-ძე წარმოადგენდა საზოგადოების აქციონერს, მას ამის უცილობლად შეტყობის ვალდებულებას არ აკისრებდა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორად განისაზღვრა ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისი — 2005 წლის იანვარი, რის შესაბამისადაც სარჩელი ხანდაზმულად ვერ ჩაითვლება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 15.1 მუხლის გათვალისწინებით.

საქმე № ას-75-408-09

2 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სამეწარმეო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა („მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლი)**

რაც შეეხება მოსარჩელის მტკიცებას, რომ მას შპს „მს-საგან“ დღემდე არ მიუღია გადაცემული წილის საფასური, ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორს, რომ სასამართლოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადებით უნდა ეხელმძღვანელა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. განსახილველ შემთხვევაში საუბარია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულებაზე — კერძოდ კი, შემძენის მიერ ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდაზე. აღნიშნული კი ვერ ჩაითვლება „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან წარმოშობილ პრეტენზიად. სახელშეკრულებო ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება და მათზე ამავე კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება.

როგორც საქმიდან ირკვევა, წილის ნასყიდობის ხელშეკრულება 2001 წლის 5 აპრილსაა დადებული. დ. ბ-ემ კი სარჩელი 2008 წლის 13 მაისს აღძრა, ე.ი. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული 3წლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

საქმე № ას-671-952-05

27 ივლისი, 2006 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საწარმოს ფილიალის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ლ. გ-მ ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2002წ. 7 მაისის № 5-გ-1 დადგენილებით რეგისტრირებული იყო სს „ს. გ. ს. ე-ის“ ტყიბულის სამმართველოს (ფილიალის) დირექტორად.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ (ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2005წ. 30 მარტის 1437-9 ცნობის საფუძველზე) სს „ტ-ი“, რომელიც რეგისტრირებულია ტყიბულის რაიონულ სასამართლოში 1996წ. 31 დეკემბერს, 2002წ. 10 ივლისს არ იყო და არც ამუშადაა გაუქმებული. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, ლ. გ-ის მოცემულ საქმეში მონაწილეობის საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ ამ დროისათვის სს „ტ-ის“ ქონებას ფლობდა სს „ს.გ.ს.ე-ის“ ტყიბულის ფილიალი, ხოლო სს „ტ-ი“ კი ფაქტობრივად აღარ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ, სკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლ. გ-ქს გააჩნდა უფლებამოსილება, როგორც სს „ს.ს.ე-ის“ წარმომადგენელს, 2002წ. 10 ივლისის სასამართლო სხდომაზე მიეთითებინა იმ საფუძველებზე, რაც მოყვანილია დასახელებული საზოგადოების განცხადებაში გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველად. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 28-ე მუხლის მოთხოვნა.

სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა, კერძოდ, „მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება.“

სკ-ის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, ფილიალები არ არიან იურიდიული პირები. სკ-ის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი

სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ“.

განსახილველი ნორმის თანახმად, იურიდიული პირი თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. ამავე კანონის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იურიდიული პირის ფილიალი — განცალკავებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ, მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ან ახორციელებს მის ფუნქციებს“. აღნიშნული ნორმა მიუთითებს იმაზე, რომ ფილიალი არის იურიდიული პირის ნაწილი, რომელიც ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარეობს და რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს მის ფუნქციებს. კონკრეტულ შემთხვევაში ამ უფლებამოსილების შესახებ უნდა იქნეს მითითებული ფილიალის საქმიანობისა და მისი ხელმძღვანელის უფლებამოსილების თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტების თანახმად. იმისათვის, რომ სასამართლოში მონაწილეობდეს ფილიალის ხელმძღვანელი, აუცილებელია ამ ფილიალის იურიდიული პირის უფლებამოსილება. ამ უფლებამოსილების არარსებობის შემთხვევაში სასამართლო დავებში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ძირითადი საწარმო.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სს „ს.ს.ე-ს“ ტყიბულის სამმართველოს (ფილიალის) დებულების მე-4 მუხლის 4.2 და 4.3 პუნქტების შესაბამისად, ლ. გ-ძეს გააჩნდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, სს „ს.ს.ე-ს“ სახელით მონაწილეობა მიეღო სასამართლოში.

იურიდიული პირის ფილიალი საქმიანობას ეწევა იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე (სკ-ის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კონკრეტულ შემთხვევაში, საქმიანობაში იგულისხმება იურიდიული პირის მიერ ფილიალისათვის დელეგირებული უფლებამოსილება, რაც უკავშირდება მისი სამეწარმეო მიზნების განხორციელებას. ამ შემთხვევაში არ უნდა ვიგულისხმოთ სასამართლოში მონაწილეობის უფლებაც, რაც იურიდიული პირის და არა ფილიალის დეფინიციის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, სსკ-ის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით.“ აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის თანახმად, თუ ურთიერთობა ეხება იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობას, მაშინ სარჩელი წარედგინილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, სადაც მდებარეობს ეს ფილიალი, მაგრამ ძირითადი საწარმოს წინააღმდეგ. ამდენად, თუ ამ იურიდიული პირის ფილიალს არ ექნება უფლებამოსილება სასამართლოში მონაწილეობის შესახებ, მაშინ სასამართლოში მხარედ მონაწილეობის უფლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იურიდიულ პირს.

ამრიგად, ფილიალი არ არის იურიდიული პირი, იგი არც თავისი სახელით გამოდის ურთიერთობებში და არც დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ეკისრება.

## საქმე № ას-974-1209-04

16 მარტი, 2005 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: წილზე საკუთრების წარმოშობა

პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, რადგან სამეწარმეო რეესტრში ჯერ კიდევ შპს-ს 20%-იანი დ. მ-გება რეგისტრირებული, ამიტომ მოსარჩელე უნდა იქნეს ამ წილის თანამესაკუთრედ ცნობილი. პალატა განმარტავს, რომ სამეწარმეო რეესტრი არის საჯარო (სახელმწიფო) ნუსხა იმ ფაქტებისა, რომელთაც ეკონომიკურ ურთიერთობებში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, რაც შეეხება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს, იგი არ წარმოადგენს პარტნიორისათვის საწარმოში წილზე საკუთრების წარმოშობა გარემოებას (მაგალითად, როგორც ეს უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის აუცილებელი პირობაა). „მეწარმეთა შესახებ“ კანონმა წილის მესაკუთრეთა საჯარო

რეესტრში დაფიქსირება სავალდებულო გახდა მარტოოდენ იმ მოსაზრებით, რომ იგი უზრუნველყოფს სტაბილურ და საიმედო წინაპირობებს სამეწარმეო საქმიანობისათვის. შპს-ში წილის შექმნის სამართლებრივ წანამძღვრებს ადგენს მეწარმეთა კანონის 46-ე მუხლი.

## საქმე № 3კ-532

11 ივნისი, 2003 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის მემკვიდრეობით მიღება („მეწარმეთა კანონის“ საქართველოს კანონის ძველი რედაქციის 46-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, მართლაც დაუდო საფუძვლად „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.1 მუხლი და სწორად მიუთითა, რომ პარტნიორის გარდაცვალებისას მის მემკვიდრეზე გადადის შპს-ში წევრობა ისეთივე მოცულობით და ოდენობით, როგორც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა სამკვიდროს გახსნისას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა, რომ მემკვიდრეზე წილის გადასვლის საკითხს არეგულირებს მემკვიდრეობითი სამართალი.

მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი გადადის მემკვიდრეზე. მემკვიდრე სკ-ს 1310-ე მუხლის საფუძველზე ვერც კანონით და ვერც ანდერძით სამკვიდროს ვერ მიიღებს, თუ იგი უღირსი მემკვიდრეა, მაგრამ გარემოებები, რომლებიც უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველს წარმოადგენს, დადგენილი უნდა იქნეს სასამართლოს მიერ იმ პირის სარჩელით, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უღირსი მემკვიდრისათვის განსაზღვრულ ქონებრივ შედეგს იწვევს (სკ-ს 1312-ე მუხლი). სხვა შემთხვევაში კანონისმიერი მემკვიდრე ყოველთვის მიიღებს სამკვიდროს, თუნდაც მამკვიდრებელმა სამკვიდრო ანდერძით სხვა პირს დაუტოვოს. სკ-ს 1371-ე მუხლის შესაბამისად მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებს და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი).

აქედან გამომდინარე შპს „ც-ას“ პარტნიორ ჯ. ბ-ს თავისი წილი ანდერძით სხვა პირისათვისაც რომ გადაეცა, მისი მეუღლე — მოსარჩელე, სავალდებულო წილს მაინც მიიღებდა სამკვიდროდ.

პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი საზოგადოებაში ყოველგვარი წინაპირობის გარეშე და მისი სრული უფლებებითა და მოვალეობებით, მათ შორის გაჭიანურებული შესატანის შეტანის ვალდებულება, გადადის მემკვიდრეზე ან მათი სიმრავლისას — მემკვიდრეებზე, იქნებიან ისინი კანონისმიერი თუ ანდერძისმიერი მემკვიდრეები. წილის მემკვიდრეობა არ შეიძლება გამოირიცხოს საზოგადოების წესდებით და არც შეიცვალოს, როგორც ე.წ. „მემკვიდრეობის განსაკუთრებული რიგითობით“ სამკვიდროს გვერდის ავლის, ისე პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში საზოგადოების მიერ მისი წილის ავტომატური ამოღების გზით.

მემკვიდრე ან მემკვიდრეთა ჯგუფი მამკვიდრებლის გარდაცვალებისას უშუალოდ ხდება პარტნიორი.

მემკვიდრეთა სიმრავლისას მოქმედებს უფლებათა ერთობლივი განხორციელების პრინციპი, თუ საზოგადოების წესდებაში ამის თაობაზე არაფერია მითითებული.

მემკვიდრეთა სიმრავლისას გახდება თუ არა ყველა მემკვიდრე საზოგადოების პარტნიორი, შეიძლება განისაზღვროს წესდებით. წესდებაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეების პარტნიორად მიღების პირობები. წინასწარვე ნათლად და ცალსახად უნდა იყოს ჩამოყალიბებული გარდაცვლილი პარტნიორის ნება მისი მემკვიდრეების პარტნიორად მიღების თაობაზე. წესდება მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს სამკვიდროს გახსნის შემდეგ მამკვიდრებლის ნებას მემკვიდრეების პარტნიორობის თაობაზე. წესდებაში შეიძლება იყოს ისეთი განსაზღვრებები, რომ მხოლოდ გარკვეული მემკვიდრეები (განსაკუთრებული კვალიფიკაციის), ან მხოლოდ ერთი მემკვიდრე შეიძლება გახდეს პარტნიორი. მემკვიდრეთა სიმრავლის შემთხვევაში შესაძლებელია წესდებამ დააწესოს ისიც, რომ მემკვიდრეებმა ერთ-ერთ მემკვიდრეს გადასცენ მინდობილობა, რათა მან აღასრულოს პარტნიორის უფლებები

(ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი მემკვიდრე წილზე შეიძენს ვალდებულებით სამართლებრივ უფლებას, ანუ წილისაგან მიიღებს მხოლოდ სარგებელს, ზოგი კი — სანივთო სამართლებრივს, გახდება მისი მესაკუთრე, ექნება მისი მართვის და განკარგვის უფლება).

დაუშვებელია წესდებაში წილის და პარტნიორობის საკითხთან დაკავშირებით ისეთი განსაზღვრებების არსებობა, რომელიც არ გამომდინარეობს მამკვიდრებლის ნებიდან ან ეწინააღმდეგება კანონს.

მაგალითად, დაუშვებელია, წესდებაში მიეთითოს, რომ პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებაში მისი დანაშთი წილის და მემკვიდრეების პარტნიორად მიღების საკითხი გადაწყდეს დანარჩენი პარტნიორების შეხედულებისამებრ, საზოგადოებაში წილის და პარტნიორობის მემკვიდრეობით გადაცემის საკითხი პარტნიორს თავის სიცოცხლეშივე უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული და ეს საკითხი არ უნდა იყოს სხვა პირთა, თუნდაც დანარჩენ პარტნიორთა გადასაწყვეტი, მხედველობაშია ის გარემოება, როცა საზოგადოების წესდება პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილის და საზოგადოების წევრობის თაობაზე დათქმას შეიცავს).

საზოგადოების წესდება პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში წილის და პარტნიორად მიღების საკითხთან დაკავშირებით შეიძლება განსაზღვრულ პირობებს აყალიბებდეს ერთი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაშიც. შეიძლება ზღუდავდეს მისთვის წილის, თუ საზოგადოებაში პარტნიორად მიღების საკითხს, მაგრამ ეს შემზღუდავ რეგორც ზემოთ აღინიშნა უნდა გამომდინარეობდეს მამკვიდრებლის ნებიდან. არ უნდა წყდებოდეს მისი ნების გარეშე და უნდა შეესაბამებოდეს კანონს.

მაგალითად წესდებაში დაუშვებელია მითითება, რომ გარდაცვლილი პარტნიორის წილი მიიღოს მხოლოდ ანდერძისმიერმა მემკვიდრემ და მხოლოდ იგი გახდეს საზოგადოების წევრი, ვინაიდან კანონის შესაბამისად ანდერძისმიერი მემკვიდრეობის არსებობის შემთხვევაში მამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნიათ კანონისმიერ მემკვიდრეებსაც (თუ იგი სათანადოდ დადგენილი წესით უღირს მემკვიდრედ არ არის ცნობილი) და მათაც გააჩნიათ პრეტენზია საზოგადოებაში პარტნიორობის თაობაზე.

ასევე დაუშვებელია იმის მითითებაც, რომ ერთი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაშიც კი მამკვიდრებლის გარდაცვალებისას მასზე წილის მემკვიდრეობით გადაცემის და საზოგადოებაში პარტნიორად მიღების საკითხი გადაწყვიტოს საამისოდ არაუფლებამოსილმა პირებმა, სხვა მესამე პირებმა ან საზოგადოების დანარჩენმა პარტნიორებმა.

ერთი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში, მაგალითად თუ ეს მემკვიდრე მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანია, ანდა ალკოჰოლიკი ან არ არის ჯანმრთელი (ქმედუუნარობა და შეზღუდული ქმედუნარიანობა) საზოგადოების წესდება ასეთი მემკვიდრის მიმართ შეიძლება ითვალისწინებდეს წილთან დაკავშირებით ვალდებულებით სამართლებრივი უფლების და არა სანივთო სამართლებრივი უფლების გადაცემას. ასეთ შემთხვევაში წესდებამ შეიძლება პირდაპირ განსაზღვროს, თუ ვინ შეიძლება და რა დრომდე გახდეს წილის მესაკუთრე, ვინ უნდა მართოს და რა დრომდე წილი (წარმომადგენლობა, მეურვეობა).

როგორც ზემოთ აღინიშნა პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი შედის მამკვიდრო მასაში და გადადის მემკვიდრეზე, თუ წესდება კანონით გათვალისწინებულ რაიმე შეზღუდვას არ ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის წილი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მიიღო რა მხოლოდ მოსარჩელემ იმავდროულად იგი გახდა საზოგადოების პარტნიორი, ვინაიდან საზოგადოებაში წილის შექენა იმავდროულად ნიშნავს საზოგადოების პარტნიორად გახდომას. ყოველი ახალი პარტნიორის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში აუცილებელია. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელე გახდა რა საზოგადოებაში გარდაცვლილი მეუღლის წილის კანონისმიერი მესაკუთრე, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეზე იგივე მოცულობით სწორად ჩათვალა გადასულად შპს-ში პარტნიორობა.

არასწორია კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლომ თითქოს არ გამოიკვლია შპს-ს წესდების 9.2 მუხლი. მართალია, წესდების მითითებული მუხლის შესაბამისად ქონებრივი და სამართლებრივი მემკვიდრეობა სხვა პარტნიორების თანხმობის შემდეგ გადადის მის სამართლებრივ მემკვიდრეზე, მაგრამ კანონის შესაბამისად წესდებას არ შეუძლია აკრძალოს წილის მემკვიდრეობითობა. როგორც ზემოთ აღინიშნა მას შეუძლია მხოლოდ მოაწესრიგოს მემკვიდრეების პარტნიორად მიღების საკითხი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეების პარტნიორად მიღების საკითხის მოწესრიგება ფართო ცნებაა. მასში შეიძლება მოიაზრებოდეს შპს-ში მამკვიდრებლის ფუნქციის შესრულების უფლება მანამ, სანამ მემკვიდრეობა მასზე ოფიციალურად გაფორმდება და ა.შ. მაგრამ არა ის, რომ წილის მესაკუთრე არ იქნეს პარტნიორად მიღებული პარტნიორთა თანხმობის გარეშე. შპს „ც-ას“ წესდების 9.2 მუხლის მოთხოვნები (თუ ქონებრივ მემკვიდრეობაში წილი იგულისხმება, ხოლო სამართლებრივ მემკვიდრეობაში — პარტნიორობა) ეწინააღმდეგება, როგორც სამოქალაქო კოდექსის, ისე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნებს, ვინაიდან წესდებას არ შეუძლია აკრძალოს წილის, შპს-ში წევრობის მემკვიდრეობითობა, ვინაიდან პარტნიორის გარდაცვალებისას მის მემკვიდრეზე გადადის შპს-ში წევრობა ისეთივე მოცულობით და ოდენობით, როგორც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა სამკვიდროს გახსნისას.

### **საქმე № 3კ/336-02**

**6 მარტი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საზოგადოებიდან გასვლის შემდეგ წილის კომპენსაციის მოთხოვნა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ძველი რედაქციის 46-ე მუხლი)**

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე მუხლით, მართალია, შესაძლებელია გამსვლელ პარტნიორს წილი დაუბრუნდეს ნატურით კომპენსაციის გზით, მაგრამ წილის კომპენსაცია საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაში დაუშვებელია, თუკი ამით საფრთხე ემუქრება საზოგადოების საწესდებო კაპიტალს და მთლიანად საზოგადოების საკუთრებას. მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებამ მიზანშეუწონლად ჩათვალა რა საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორისათვის წილის კომპენსაციის მიცემა იმ საფუძვლით, რომ ამით საფრთხე ექმნებოდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალს და მთლიანად საზოგადოების ქონებას, სააპელაციო სასამართლომაც ამავე მოტივით სწორად უთხრა უარი მოსარჩელეს წილის კომპენსაციაზე. მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება წილის კომპენსაციის თაობაზე შეუძლია მიიღოს წილის გაყიდვით („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.1 მუხლი).

### **საქმე № 3კ/259-01**

**30 მარტი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და საზოგადოების დირექტორს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი**

მეწარმეთა შესახებ კანონის 47.3-ე მუხლის თანახმად პარტნიორთა კრება განსაზღვრავს შპს სამეურნეო პოლიტიკის ზოგად პრინციპებს, რამეთუ სწორედ პარტნიორებია შპს-ის ქონების მესაკუთრეები და მათ ინტერესს წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიური განვითარება. ამავე კანონის 49.1. და 49.2 მუხლების თანახმად დირექტორი არის პარტნიორთა მიერ შემუშავებული სამეურნეო პოლიტიკის განმხორციელებელი მთავარი ფიგურა, რომელიც ვალდებულია თავისი მოვალეობა შეასრულოს კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. კანონის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, კასატორ თ. ტ-ძეს, როგორც შპს „ე.“ დირექტორს, უფლება არ ჰქონდა რაიმე სამეწარმეო და მმართველობით დაპირისპირებაში ყოფილიყო საზოგადოების პარტნიორებთან. მეწარმეთა შესახებ კანონის 9.4. მუხლის თანახმად დირექტორი საზოგადოებას წარმოადგენს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. იგი პარტნიორთა მიერ ნდობით აღჭურვილი თანამდებობის პირია, განაგებს საზოგადოების მთელ ფასეულობას. სწორედ დირექტორის კეთილსინდისიერებასა და სამეწარმეო უნარ-ჩვევებზე დამოკიდებული საწარმოს განვითარება



და შესაბამისად პარტნიორთა სამეწარმეო წარმატებები, ამიტომ დირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის, უნდა ჰქონდეთ უფლება ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ დირექტორი და ამ შემთხვევაზე შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნები არ შეიძლება გავრცელდეს. შრომის კანონთა კოდექსით მოწესრიგებულია საწარმოს დირექტორისა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკს შორის ურთიერთობა, რომელიც ჩვეულებრივ შრომითსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამეწარმეო. იგი ჩვეულებრივ მეწარმეა, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს მეწარმეთა შესახებ კანონით.

### **საქმე № 3კ-859-02**

**6 სექტემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სააქციო საზოგადოებაში დივიდენდის მიღების უფლება**

სააქციო საზოგადოებაში თანხის შეტანით და აქციის შეძენით თანხის შემტანი კარგავს უშუალო უფლებას ქონებაზე, რომელიც მან შეიტანა სააქციო საზოგადოებაში შესვლის დროს. აღნიშნულის შემდეგ აქციონერი ხდება აქციონერის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებით აღჭურვილი, მათ შორისაა დივიდენდების მიღების ქონებრივი უფლება და სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ქონების ნაწილის მიღების უფლება.

დივიდენდის მიღება დამოკიდებულია აქვს თუ არა საზოგადოებას მოგება. ითვლება, რომ საზოგადოებას აქვს მოგება, თუ მისი აქციები აღემატება პასივებს. ამასთან, დივიდენდის მისაღებად აუცილებელია აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემის შესახებ.

დივიდენდის მიღების უფლება, ისევე, როგორც ნებისმიერი უფლება შეიძლება რეალიზებული იქნეს სასამართლოს მეშვეობით. დივიდენდის მიღებისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ სააქციო საზოგადოების საქმიანობას ჰქონდა მომგებიანი ხასიათი. სსკ-ს 102-ე მუხლის თანახმად აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს.

აქციონერს არა აქვს უფლება მოითხოვოს აქციის საფასურის უკან დაბრუნება. აქციონერი არის მხოლოდ ფასიანი ქალაქის მფლობელი ის ქონების უშუალო განმკარგველს არ წარმოადგენს.

მას ფულადი სახსრების დაბრუნება შეუძლია მხოლოდ აქციის გასხვისების გზით. აქციონერი არის სამეწარმეო რისკის მატარებელი, ვინაიდან აქციების მიხედვით მიღებული დივიდენდის ოდენობა შეიძლება იყოს მცირე, ვიდრე კაპიტალის განთავსების ალტერნატიული ფორმებიდან მიღებული მოგება ან შეიძლება მოგება საერთოდ ვერ იქნეს მიღებული. პრივილეგირებული აქციების მიხედვით დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა ხდება წინდაწინ აქციის გაცემის დროს. ეს არის ფიქსირებული დივიდენდი. მოგების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებას უფლება არა აქვს უარი უთხრას პრივილეგირებული აქციის მფლობელს დივიდენდის მიღებაზე.

### **საქმე №ას-1194-1455-09**

**14 ნოემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: აქციონერის მიერ საკუთარი ხმის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების შეზღუდვა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტი)**

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას.

გემოალნიშნული ნორმა მნიშვნელოვანი დანაწესია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ხმის უფლება, ზოგადად, აქციონერთა მართვითი უფლებებიდან უმნიშვნელოვანესია. ჩვეულებრივ პირობებში, აქციონერს შეუძლია, საკუთარი ხმა შეხედულებისამებრ გამოიყენოს და მხარი დაუჭიროს ნებისმიერ მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას, თუმცა აღნიშნული უფლება შეზღუდული არ არის. მისაღები

გადაწყვეტილების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებისა და დანარჩენი აქციონერების ინტერესების მაქსიმალურად დასაცავად, კანონმდებელი ითვალისწინებს შემლუდვას, როდესაც კონკრეტული აქციონერი კენჭისყრაში არ მონაწილეობს. აღნიშნული შემლუდვა განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როდესაც საკითხი ეხება იმ პარტნიორთან გარიგების დადებას, რომელიც აქციათა უმრავლესობას ფლობს.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო კრების ოქმის მე-2 საკითხი შეეხებოდა ქ. თბილისის მერიასთან დასაადებ გარიგებას, კერძოდ კი, შპს „ჯ-ი უძრავი ქონების“, შპს „ჯ-ი სასტუმროების“ და შპს „ჯ-ი მთაწმინდას“ საწესდებო კაპიტალში სს „თ. ს-ის“ კუთვნილი წილების თბილისის მერიისათვის უსასყიდლოდ გადაცემასა და შესაბამისი თანხმობის გაცემას. ამ გარემოების გათვალისწინებით, თბილისის მერია არ იყო უფლებამოსილი კენჭისყრაში მონაწილეობა მიეღო.

### **საქმე №ას-131-461-09**

**27 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3.3-ე მუხლი — „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციის 53-ე მუხლის 33-ე პუნქტი)**

დადგენილია და სადავო არ არის, რომ 2005 წლის 8 ივლისის აქციონერთა საერთო კრება იყო გადაწყვეტილებაუნარიანი და სადავო გადაწყვეტილება მიღებულია წესდებით განსაზღვრული კენჭისყრის წესების დაცვით. სააპელაციო სასამართლომ კრების მოწვევის პროცედურულ დარღვევად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ 5%-ის მფლობელ აქციონერთა მოთხოვნიდან 20 დღის ვადაში დირექტორის მიერ კრება არ მოწვეულა და საზოგადოებამ დაარღვია რიგგარეშე კრების მოწვევის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.3.3 მუხლით გათვალისწინებული ვადა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს არ გამოურკვევია, თუ როდის მოხდა კრების ჩატარების თაობაზე აქციონერთა განცხადების საზოგადოების დირექტორისათვის გადაცემა. ამასთან, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ არსებითი ხასიათის უხეში პროცედურული დარღვევა, ხოლო ასეთს არ წარმოადგენს რიგგარეშე კრების რამდენიმე დღის დაგვიანებით მოწვევა იმავე საკითხზე, რაც აქციონერთა ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ამასთან, თუკი დღის წესრიგის ფორმულირება არ იქნებოდა აქციონერთათვის მისაღები, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია ასეთ შემთხვევაში იძლეოდა აქციონერთა მიერ დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო დირექტორისათვის განმარტებების, შენიშვნების, მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას (მუხ. 53.3.1), რაზედაც მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალები არ მიუთითებს.

### **საქმე № 3კ-386-03**

**14 მაისი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: აქციათა გამოსყიდვა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტი)**

პალატა მიუთითებს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი წინადადება ადგენს საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის წინაპირობას (თუ აქციონერმა საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას წესდებამი ისეთი ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან 54.6. მუხლის „გ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას). აქციონერს არ წარმოეშობა ამ ნორმით მინიჭებული უფლება — მოსთხოვოს საზოგადოებას აქციათა გამოსყიდვა — თუ ეს პირობა არ დადგა. მოცემულ შემთხვევაში სწორედ ამ გარემოებასთან გვაქვს საქმე — აქციონერი ითხოვს საზოგადოების მიერ აქციის გამოსყიდვას სამართლებრივი წანამძღვრის (53<sup>1</sup> მუხლის) არსებობის გარეშე. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეთა მოთხოვნა იურიდიულად უსაფუძვლოა.

**განმარტების საგანი: აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღება („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტი)**

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა სცნო და კასატორს სადავოდ არ გაუხდია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: გაზეთ „...“ 2006 წლის 3 მაისის ნომერში გამოქვეყნდა განცხადება სს „ქუთაისის ...“ აქციონერთა მორიგი საანგარიშო კრების მოწვევის შესახებ. 2006 წლის 30 მაისის აქციონერთა საერთო კრებაზე არ იქნა დაშვებული შპს „...“ წარმომადგენელი ა. კ-ი, რადგან მას არ წარუდგენია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მის მიერ წარდგენილ მინდობილობას არ გააჩნდა შესაბამისი ნომერი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ შპს „...“ წარმომადგენელ ა. კ-ის წარდგენილი მინდობილობა საკმარის დოკუმენტს წარმოადგენდა იმისათვის, რომ აქციონერს მონაწილეობა მიეღო სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაში. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.3 მუხლის თანახმად, აქციონერს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა კრების მუშაობაში პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმომადგენელი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე. მითითებული ნორმის ანალიზით აქციონერი უფლებამოსილია, თავისი უფლება აქციონერთა კრების მუშაობაში მონაწილეობაზე მიანდოს სხვა პირს წერილობითი მინდობილობით. მოცემულ შემთხვევაში შპს „...“ ისარგებლა ამ უფლებით და კრებაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადოებას წარუდგინა მისი ნდობით აღჭურვილი პირი ა. კ-ი. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თავის უფლებებს ახორციელებდა კანონის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების მიერ აქციონერის საერთო კრებაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან კანონი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ კრძალავს პირის მონაწილეობას წარმომადგენლის მეშვეობით. საერთო კრება სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა, შესაბამისად, მის მუშაობაში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს აქციონერთა კანონით გარანტირებულ უფლებას. ამასთან, კანონით საზოგადოების მთელი რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს რა საზოგადოების კრების კომპეტენციას, მის მუშაობაში მონაწილეობის მიღება აქციონერთა ინტერესშია, ვინაიდან კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები აქციონერთა მატერიალურ უფლებებს ეხება. სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს კანონმდებლის მიერ საერთო კრების მოწვევის წესისა და პროცედურის იმპერატიული ნორმებით განსაზღვრას. აქციონერთა კრებაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა, ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, პირის უმნიშვნელოვანესი უფლების შეზღუდვაა, რომელიც დაკავშირებულია მის საკუთრებასთან და იგი მხოლოდ კანონის ფარგლებშია დასაშვები.

საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარზე, რომლითაც წარმომადგენლის საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა. დასახელებული კანონი მინდობილობის ამგვარი წესით წარდგენის აუცილებლობას არ ადგენს. ამასთან, საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ კრების მუშაობაში წარმომადგენლის განსხვავებული წესით მონაწილეობის უფლება (მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით) შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სააქციო საზოგადოების დაფუძნებაზე პარტნიორთა გარიგებით — წესდებით, რომელითაც პარტნიორები წინასწარ თანხმდებიან საზოგადოების საქმიანობისა და ამ საზოგადოების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. წესდება თავისი არსით წარმოადგენს რა სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებას, მხარეები კანონის ფარგლებში შეიძლება შეთანხმდნენ მათთვის მისაღებ გარიგების პირობებზე, მათ შორის, საერთო კრების მუშაობაში აქციონერთა მონაწილეობის მიღების გარკვეულ წესზე, თუმცა განსახილველ შემთხვევაში კასატორს, სს „ქუთაისის ...“ წესდებიდან

გამომდინარე, სააქციო საზოგადოების კრებაში მონაწილეობისას აქციონერთა დამატებით ვალდებულებებზე არ მიუთითებია. საკასაციო სასამართლო კი გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს მხოლოდ საკასაციო საჩივრის ფარგლებში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი).

**საქმე № ას-995-1028-2011**

**15 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სუბსიდიარი (შვილობილი) კომპანია**

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა, სუბსიდიური კომპანიის ცნება, კერძოდ, სუბსიდიარი (შვილობილი) კომპანიაა, რომელშიც კომპანიას გააჩნია ხმის უფლებით სავსის საჭირო წილის ნახევარზე მეტი, ან სხვაგვარად გააჩნია ძალაუფლება, განახორციელოს ამ შვილობილი კომპანიების ოპერაციების კონტროლი.

## **14. სამოქალაქო პროცესი**

**საქმე № ას-58-57-2010**

**3 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სამოქალაქო საპროცესო ნორმების მოქმედება დროში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი)**

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მასთან მიმართებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის ზემომითითებული მოთხოვნის გავრცელების სისწორეს, მაშინ როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება — თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის ძველი რედაქციის მოქმედების პერიოდში, რომლითაც სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 1 თვით იყო განსაზღვრული და რაიონულ სასამართლოსაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის ერთი თვე ჰქონდა მითითებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო საკითხის სწორად გადასაწყვეტად კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სამოქალაქო საპროცესო ნორმების მოქმედების პრინციპი. აღნიშნული ნორმის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. ამდენად, კანონმდებელი განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედებას დროში, საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სამოქალაქო საპროცესო კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ახალი კანონი, დამოუკიდებლად იმისა, საქმის განხილვა დაიწყო თუ არა ძველი საპროცესო კანონმდებლობის მოქმედების პირობებში. ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც ახალი კანონმდებლობის ამოქმედების პირობებში უნდა განხორციელდეს, შესრულება არა ძველი, არამედ ახალი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. გ-შვილს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება გააჩნდა ახალი კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის ფარგლებში, მით უფრო, რომ მისი წარმომადგენლის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტში ახალი კანონი უკვე დიდი ხანია მოქმედებდა.

საქმე № ას-1086-1115-2011

21 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში ა. ლ-შვილმა სრულად ისარგებლა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით განუხილველად დარჩა ა. ლ-შვილის სარჩელი სს „თ-ის“ მიმართ. აღნიშნულის შემდგომ მოსარჩელე განუწყვეტლივ მიმართავდა სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

2007 წლიდან დღემდე ა. ლ-შვილმა არა ერთი განცხადება შეიტანა მოცემული საქმის წარმოების განახლების შესახებ. სასამართლოს მიერ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით მისი განცხადებების განუხილველად დატოვების შემდეგ მხარე მიმართავდა სასამართლოს კერძო საჩივრებით, რომელთა დაუკმაყოფილებლობის თაობაზე სასამართლო განჩინებებს ა. ლ-შვილი კვლავ ასაჩივრებდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებების შეტანის გზით.

განსახილველი კერძო საჩივარიც ეხება სწორედ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 20 ივნისის განჩინებებს, რომელთა მეშვეობითაც მხარეს უარი ეთქვა მოსამართლის აცილებაზე და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მისი განცხადება დარჩა განუხილველად.

ა. ლ-შვილის ასეთი სახის მოქმედებები ემსახურება არა მართლმსაჯულების განხორციელების ამოცანას, არამედ იგი მიმართულია მისი მოწინააღმდეგე მხარისა და სასამართლო ორგანოების მიმართ აგრესიული დამოკიდებულების წარმოსაჩინად. ამასთან, სასამართლოსათვის მიმართული მისი განცხადებები შინაარსობრივად ერთგვაროვანია და თითოეული მათგანი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ დავის გაგრძელებისა და საქმის სასამართლოს წარმოებაში ყოფნის გახანგრძლივების მცდელობას. აღნიშნული კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სცილდება მართლმსაჯულების და მითუმეტეს, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ლ-შვილი ბოროტად იყენებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, რადგან მისი განცხადებები და საჩივრები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მიზნად არ ისახავს მხარის კანონიერი უფლების დაცვას და ლახავს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ა. ლ-შვილი აწარმოებს არა ერთ დავას სასამართლოში, სადაც ანალოგიურად მიმართავს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილი და მართებულია ა. ლ-შვილის მიმართ განსახილველ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით მინიჭებული უფლების შეზღუდვა. აღნიშნული კი იმაში გამოიხატება, რომ ა. ლ-შვილის მიერ სასამართლოში მოცემულ დავაზე შეტანილი ნებისმიერი სახის კორექსპოდენცია (განცხადება, საჩივარი) დარჩება რეაგირების გარეშე.

საქმე № ას-93-438-06

6 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: დავის სასამართლოს წესით განხილვა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის მიუხედავად**

მართალია, მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში დავა განხილულ იქნა არა ერთ სასამართლო ინსტანციაში და არც ერთ მხარეს არ მოუთხოვია საქმის წარმოების შეწყვეტა იმ მოტივით, რომ მხარეები შეთანხმებული არიან დავის შემთხვევაში საქმე განიხილოს მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა

თვლის, რომ კრედიტორმა, რომელმაც სარჩელით მიმართა სასამართლოს გამოხატა თავის ნება, რომ სასამართლოს განეხილა აღნიშნული საქმე. მას შეეძლო მუდმივმოქმედი არბიტრაჟისთვის მიემართა, მაგრამ მან ეს უფლება არ გამოიყენა. არც მეორე მხარეს გაუხდია ეს სადავოდ, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებმა გამოხატეს ნება სასამართლოს განეხილა დავა, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არსებობდა შეთანხმება დავის შემთხვევაში საქმის მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის გადაცემისა. მხარეებს მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებული არიან დავის მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის გადაცემისა, მათი პროცესუალური უფლებათა მოსაწესრიგებლად მიმართონ სასამართლოს და არა მუდმივმოქმედი არბიტრაჟს. ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეებმა თავიანთი მოქმედებებით უარი თქვეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის მიმართვაზე და დავის განხილვა კვლავ საერთო სასამართლოს დაუქვემდებარეს.

**საქმე №ას-939-1144-08**

**9 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა**

2005 წლის 20 ოქტომბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ფიზიკური პირი მ. ტ-ძე და ადმინისტრაციული ორგანო — საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის დაუმთავრებელი მშენებლობის მ. ტ-ძისათვის გადაცემა. ხელშეკრულების საფუძველია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონი, „სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულება და ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2005 წლის 27 სექტემბრის № 161 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა კონკურსის შედეგები და მყიდველ მ. ტ-ძისათვის საკანალიზაციო ქსელის დაუმთავრებელი მშენებლობის გადაცემა. ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2005 წლის 20 ოქტომბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების ხელშეკრულებას, ხოლო საკასაციო საჩივრის დავის საგანს — პრივატიზების ხელშეკრულების პირობების შესრულება და მასში ცვლილების შეტანა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი და შესაბამისად, ამ სამართალურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი — ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ამოსავალ ელემენტს წარმოადგენს მისი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა — პრივატიზაცია — სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი და ამ პროცესიდან წარმოშობილი ურთიერთობა არ არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამო-

ვა როგორც კერძო სამართლის სუბიექტი, როგორც ურთიერთობის თანასწორი მონაწილე. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

რამდენადაც საკასაციო საჩივრის დავის საგანია ადმინისტრაციული (პრივატიზების) ხელშეკრულების პირობების შესრულება და მასში ცვლილებების შეტანა, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეს.

## საქმე № ას-224-210-2011

6 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე წარმოშობილი დავის განსჯადი სასამართლო

მოცემულ შემთხვევაში შპს „ა-ო“ სარჩელით ითხოვს შპს „ა-ოს“ ლიკვიდაციის რეგისტრაციასა და აღნიშნულის გამო საზოგადოების სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლას. სამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის განხორციელება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შედის სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრის კომპეტენციაში. თავის მხრივ, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ არის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი მარეგისტრირებელი ორგანო.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოების პირობები და რეესტრიდან ამონაწერების ფორმები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციით“. მითითებული ნორმატიული აქტის თანახმად, „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის“ მიზანია სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო წარმოებისა და ინფორმაციის გაცემის სამართლებრივი და პროცედურული საკითხების განსაზღვრა, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის, საჯარო ინფორმაციისა და სხვა მონაცემების შემცველი დოკუმენტების შინაარსის, ფორმებისა და ტექნიკური პირობების დადგენა, მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ადმინისტრაციული წარმოებებისა და ინფორმაციის გაცემის რეგულირება.

2011 წლის 24 ივნისს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისადაც მეწარმე სუბიექტთა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება ადმინისტრაციული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. განხორციელებული ცვლილების თანახმად, „მეწარმეთა შესახებ“ მე-14<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტით, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და დადგინდა მისი გაუქმების შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გაუქმებისათვის დადგენილი წესით, გარდა მითითებული მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. მე-4 პუნქტი განსაზღვრავს პროცედურას, როდესაც მარეგისტრირებელი ორგანოს მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება იწვევს რეგისტრირებული მეწარმის რეგისტრაციის შეწყვეტას ისე, რომ მას არ რჩება სამართალმემკვიდრე, ასეთ დროს მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს რეგისტრაციისათვის ხარვეზის დადგენის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მეწარმეს განუსაზღვრავს ვადას.

ზემოაღნიშნული ცვლილება ცხადყოფს, რომ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია არ შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით და, შესაბამისად, მითითებული დავა არ შეიძლება, გადაწყდეს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

**განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა**

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა — განსჯადობა და სათანადო მოპასუხის ინსტიტუტი, რამაც მოცემული კასაციის დაშვების წინამძღვრები შექმნა, ვინაიდან მოცემული საქმე ამ კუთხით მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

კასატორი განსახილველი დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გადაწყვეტის მთავარ არგუმენტად ასახელებს იმ გარემოებას, რომ გ.პ-ე დამნაშავედ ცნობილ იქნა სამოხელეო დანაშაულის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) ჩადენისათვის და ეს უკანასკნელი თავისი სტატუსით წარმოადგენდა სახელმწიფო მოხელეს. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლების შესაბამისად, სახელმწიფო პასუხისმგებელი და არა გ.პ-ე. საკაციო პალატა კასატორის ამ მოსაზრებებთან დაკავშირებით განმარტავს შემდეგს:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, მათ შორის მითითებული ნორმის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება როგორც ზემოთ მითითებული თავის დებულებები, ასევე სამოქალაქო კოდექსის ნორმები. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი ადმინისტრაციული ორგანოსათვის პასუხისმგებლობის დადგენის რამდენიმე ნიშანს გამოყოფს, კერძოდ: ა) ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, როგორც ზიანის მიმყენებელი სუბიექტის არსებობა; ბ) ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში; გ) ქმედების მართლწინააღმდეგობა; დ) ზიანი; ე) მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ზიანის მიმყენებელი პირის სტატუსი არ არის საკმარისი სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, აუცილებელია მოხელის მიერ ზიანის მიმყენებელი ქმედება სხვა პირის მიმართ ჩადენილი იყოს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, ამასთან, ამგვარი ქმედების შედეგად დაირღვეს ისეთი ვალდებულება, რომელსაც შეესაბამება სხვა, კერძო პირის უფლება.

მიუხედავად ზემოთ გაკეთებული დასკვნებისა, დაზარალებულს არ ერთმევა უფლება ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს მოხელისაგან, როგორც ფიზიკური პირისაგან სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში, შპს „ნ-ი“ ზიანის ანაზღაურებას ითხოვს არა ადმინისტრაციული ორგანოსაგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლების საფუძველზე, არამედ ფიზიკური პირისაგან სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე. მითითებულ საკითხს მნიშვნელობა აქვს განსჯადობის სწორად გადაწყვეტისათვის. ერთ-ერთ ანალოგიურ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განსჯადობის შესახებ დავა გადაწყვიტა შემდეგი დასაბუთებით: „ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული



სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლების საფუძველზე, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს“ (იხ. სუსგ-ბა, 'ბს-233-224(გ-10), 8 აპრილი, 2010 წელი). ჩვენს შემთხვევაში გარკვეულია, რომ შპს „ნ-ი“ სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვს არა საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის ნორმების საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსაგან, არამედ კერძო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ფიზიკური პირისაგან. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავა სამოქალაქო სასამართლოს განსჯადია, ხოლო გ.პ-ის მიმართ, როგორც სათანადო მოპასუხის მიმართ სწორადაა წარდგენილი სარჩელი.

**საქმე №ას-1178-1198-2011**

**12 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა**

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 1 დეკემბერს შპს „ე. ტ-სა“ და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო) შორის დაიდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, მოპასუხე ორგანიზაცია ვალდებული იყო დაეცვა შპს „ე. ტ-ის“ მაღაზია, რომელიც მდებარეობდა ქ.ოზურგეთში, გ.ე-ის ქ.№ 25-ში.

2010 წლის 1 დეკემბერს შპს „ე. ტ-სა“ და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო) შორის დაიდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, მოპასუხე ორგანიზაციას უნდა უზრუნველყო სიგნალიზაციის ცსპ-ზე ჩართვის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულება შპს „ე. ტ-ის“ მაღაზიაში, რომელიც მდებარეობდა ქ.ოზურგეთში, გ.ე-ის ქ. № 25-ში;

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის აბესალომ მგელაძის 2010 წლის 12 დეკემბრის ცნობით დგინდებოდა, რომ 2010 წლის 7 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ქ.ოზურგეთში, გ.ე-ის № 25-ში მდებარე შპს „ე. ტ-ის“ „ელიტ-ელექტრონიქსის“ მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე, დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით, მიმდინარეობს გამოძიება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის № 266 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის — დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება, რომლის პირველი მუხლით განისაზღვრა, რომ აღნიშნული დეპარტამენტი არის საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის № 261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — დაცვის პოლიციის უფლებამონაცვლე. ამავე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას.

ამდენად, დაცვა წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. სწორედ ამ მიზნით არის დადებული 2010 წლის 1-ელი დეკემბრის № 726 ხელშეკრულება, რომლის შეუსრულებლობის გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურებასაც მოითხოვს მოსარჩელე. აღნიშნულიდან გამომდინა-

რე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალური თეორია გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, განსახილველი საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

**საქმე №ას-991-930-2012**

**23 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა**

ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე მ.კ-ე მუშაობდა ზესტაფონის რაიონის სოფელ კ-ის სამედიცინო ამბულატორიაში სოფლის ექთნად, მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მისთვის არ გადაუხდია 1 თვის განმავლობაში (2011 წლის 4 მარტიდან 2011 წლის 4 აპრილამდე) შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, ხოლო მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს არ გადაუხდია მისთვის 2 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება. გაწეული სამუშაოს ანაზღაურების საკითხი შრომით ურთიერთობას ემყარებოდა.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის არგუმენტს სადავო ურთიერთობის ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებისა და სადავო გარიგების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად კვალიფიცირების შესახებ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. ამდენად, ის გარემოება, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოსა და ზოია კვინიკაძეს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იყო დადებული, ხელშეკრულება არ აღჭურავდა პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, სარჩელის საგანს წარმოადგენს არა ხელშეკრულების დადების პროცედურა, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, არამედ, ზეპირი ფორმით დადებული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება, თავად ხელშეკრულების საგანი კი, სოფლის მოსახლეობისათვის ამბულატორიული მომსახურების გაწევაა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალური თეორია გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე

მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. ამავე კოდექსის 65<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სუბიექტი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები, ხოლო ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**საქმე № ვ-211-ბ-10-2012**

**23 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოსამართლის აცილების საფუძველი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)**

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის მტკიცებით, მოსამართლე მაია სულხანიშვილს მისი კერძო საჩივრის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან მ. დ-ეს მის მიმართ წარდგენილი ჰქონდა სადისციპლინო საჩივარი, რითაც მას წარმოეშვა თვითაცილების ვალდებულება, რაც მოსამართლე მაია სულხანიშვილს არ განუხორციელებია.

საკასაციო პალატა ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემომითითებული მუხლების მიხედვით, მოსამართლეს გადაწყვეტილების გამოტანაში მონაწილეობის მიღება ეკრძალება, თუ იგი მანამდე რაიმე სტატუსით მანაც მონაწილეობდა მხარეებს შორის არსებული დავის განხილვაში (საქმეს განიხილავდა ქვემდგომ ინსტანციაში, თავად იყო მხარე ან მხარის წარმომადგენელი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი ან სხდომის მდივანი და ა.შ. პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში) მოცემულ შემთხვევაში კი, ის გარემოება, რომ მ. დ-ეს მაია სულხანიშვილის მიმართ სადისციპლინო საჩივარი ჰქონდა წარდგენილი, არ ექმნა მოსამართლე მაია სულხანიშვილის საქმის განხილვაში მონაწილეობის დამაბრკოლებელ გარემოებას.

**საქმე № ას-1390-1407-2011**

**21 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ქონებრივ-სამართლებრივი დავა**

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ამხანაგობა „თ-ეს“ მოსაზრებას დავის არაქონებრივად მიჩნევის თაობაზე და განმარტავს, რომ მოცემული დავის საგნის ხასიათიდან გამომდინარე, გამოირიცხება დავის არაქონებრივად მიჩნევის შესაძლებლობა, ხოლო ქონებრივ-სამართლებრივ დავებზე სახელმწიფო ბაჟის გამოთვლის წესი, აღიარებითი სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებით რაიმე განსხვავებულ პირობებს არ ითვალისწინებს. კერძო საჩივრის ავტორის იურიდიული ინტერესის გათვალისწინებით დგინება, რომ მოცემული დავა აღიარებითი ხასიათის არ არის. აღიარებითი სარჩელი სხვა სახის სარჩელებისაგან (მიკუთვნებით, გარდაქმნით) სწორედ იმით განსხვავდება, რომ უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის სასამართლო წესით დადგენისას მხარის მიზანი — იურიდიული ინტერესი — გამოწვეულია მისი სადავოდ ქვეული უფლების სამომავლოდ დაცვით და სასამართლოს მიერ აღიარებული ესა თუ ის ფაქტი სამომავლოდ მხარის სადავოდ ქვეული სხვა უფლების დაცვის უდავო წინაპირობადაა მიჩნეული. აღიარებითი სარჩელი ყოველთვის მიმართულია მხარის უფლების არსებობა-არარსებობის დადგენისა და სამომავლოდ რეალიზაციისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე არ იქნება მხარის იურიდიული ინტერესი. განსახილველ შემთხვევაში ამხანაგობა „თ-ე“ სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული

გადაწყვეტილების სრულ გაუქმებასა და სარჩელის დაკმაყოფილებას. მხარის სასარჩელო მოთხოვნას კი მოპასუხის არაკანონიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართის გამოთხოვა და მასზე საკუთრების უფლების აღიარება წარმოადგენს.

**საქმე № ას-1495-1504-2011**

**12 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ქონებრივ-სამართლებრივი დავა**

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორების ზემოაღნიშნულ მსჯელობას და განმარტავს, რომ ქონებრივ-სამართლებრივი დავების დროს, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა უდევს მას საფუძვლად, საპროცესო მოთხოვნა მიმართულია ფულად თანხაზე, ფულადი ღირებულების მქონე ნივთებზე, ან უფლებებზე. საპროცესო მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს ქონებრივ-სამართლებრივად იმ შემთხვევებში, როცა მას საფუძვლად ქონებრივი ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა უდევს, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის სარჩელი იქნა სასამართლოში წარდგენილი (აღიარებითი, მიკუთვნებითი თუ სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისკენ მიმართული). ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობა არის ყველა ის ურთიერთობა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება ფულადი თანხით, ან ფულადი ღირებულების მქონე საგნების შენარჩუნება. არაქონებრივ-სამართლებრივი დავების გამიჯვნა ქონებრივ-სამართლებრივი დავებისაგან ხდება გამორიცხვის მეთოდით და მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, რომელიც ქონებრივ-სამართლებრივ დავას არ წარმოადგენს. არაქონებრივ-სამართლებრივია ყველა დავა, როდესაც საქმე ეხება მხოლოდ პირად ან მის სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ უფლებებს ყოველგვარი ეკონომიკური სარჩულის გარეშე.

**საქმე № ას-1667-1655-2011**

**10 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟი კერძო საჩივარზე**

მოცემულ შემთხვევაში, ა. ლ-ს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 დეკემბრის განჩინებით მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, მის მიერ კერძო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრის ავტორს ჩაჰბარდა 2011 წლის 18 დეკემბერს

კერძო საჩივრის ავტორმა დადგინდა ვადაში წარმოადგინა განცხადება, თუმცა სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზი არ შეუვსია. წარმოდგენილ განცხადებაში ა. ლ-ი გამოთქვამს მხოლოდ მოსაზრებას სახელმწიფო ბაჟის არასწორად დაკისრებასთან დაკავშირებით, რასაც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება მოსარჩელე — დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე, როგორც განმცხადებლის მიერ აღძრული სარჩელი, მისი არსის გათვალისწინებით, არ განეკუთვნება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა კერძო საჩივარზე შეადგენს 50 ლარს.

**საქმე № ას-962-1000-2011**

**11 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 40-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით. აღნიშნული ნორმა ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც დავის საგნის (სარჩელის საგნის) ღირებულების განსაზღვრის მოვალეობა ეკისრება მოსარჩელეს, ხოლო აღნიშნული ფასის სადავო

ქონების რეალურ ღირებულებასთან შესაბამისი შემთხვევაში შემდგომ საპროცესო მოქმედებად გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ დავის საგნის ფასის თავად განსაზღვრა და არა სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) განუხილველად დატოვება. ასეთი რამ არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან.

**საქმე № ას-645-1022-06**

**11 იანვარი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა თანასაკუთრებიდან რეალური წილის გამოყოფის თაობაზე სარჩელის წარდგენისას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი განისაზღვრება 4000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამემობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა.

განსახილველი საქმის დავის საგანია თანასაკუთრებიდან რეალური წილის გამოყოფა. საკასაციო პალატა თვლის, რომ, როდესაც ნივთზე უფლებრივი მდგომარეობა გარკვეულია, ამ ნივთის მესაკუთრე ცნობილია და მას მხოლოდ ხელი ეშლება თავისი საკუთრებით სარგებლობასა და განკარგვაში, ასევე მესაკუთრე მოითხოვს თავისი საკუთრების თანამესაკუთრისაგან გამოყოფას, დავის საგნის ღირებულება უნდა განისაზღვროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით ანუ 4000 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგნის ღირებულება შეადგენს 4000 ლარს, ვინაიდან მსგავსი კატეგორიის საქმეებზე დავის საგნის ღირებულებას განსაზღვრავს კანონი.

**საქმე № ას-1157-1302-08**

**24 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის დროს**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო საჩივრისათვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4%-ს. მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ფასი უნდა განისაზღვროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რადგან აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენს წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა, რომლის დაკმაყოფილების შემდეგაც აპელანტს წარმოემოხა სადავო წილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება. სწორედ ამისკენ არის მიმართული აპელანტის იურიდიული ინტერესი. ამ მოთხოვნას კი საბაზრო ღირებულება გააჩნია და რადგანაც მისი განსაზღვრა შესაძლებელია, შესაბამისად დავის საგნის ფასიც იქნება მისი ღირებულება.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ დავის საგნის ღირებულება განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (4000) ლარით, რადგან მოცემული დავა არ წარმოადგენს ისეთ კატეგორიას, სადაც შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა.

**საქმე № ას-1378-1215-2010**

**14 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანების დროს დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილით სარჩელების გაერთიანება გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურობის პრინციპით, რომელიც,

უპირველესად, მოდავე მხარეთა ინტერესებშია. ამავდროულად, ის გავლენას ვერ მოახდენს დავის საგნის ღირებულების განსაზღვრაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა სარჩელი, რომლებზედაც დამოუკიდებელი სამოქალაქო წარმოება მიმდინარეობს. შესაბამისად, ამ სარჩელების შეფასება ცალ-ცალკე უნდა მოხდეს და დავის საგნის ღირებულებაც განისაზღვრება არა მოთხოვნების შეჯამებული ფასით, არამედ თითოეულ სარჩელის დამოუკიდებელი ღირებულებით.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევა განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისაგან, რომლითაც დაშვებულია ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნის გაერთიანება და რომელსაც სამოქალაქო საპროცესო სამართალი სარჩელების ობიექტურ გაერთიანებად მოიხსენიებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება გაერთიანებული მოთხოვნების ჯამით.

### **საქმე № ას-1283-1130-2010**

**9 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება**

ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საგადახდო დავალება, როგორც უნაღდო, ასევე ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შემთხვევაში, არის გადამხდელის მიერ საგადახდო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულება მისი მომსახურე ბანკისათვის, სახსრების მიღების ამავე ან სხვა ბანკში გახსნილ ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ. შესაბამისად, მხოლოდ საგადახდო დავალებით, ანუ მომსახურე ბანკისადმი გადამხდელის განკარგულებით ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ, ვერ დადასტურდება საგადახდო დავალების რეალურად შესრულება. კერძოდ, უნაღდო ანგარიშსწორებით სახელმწიფო ბაჟის გადახდის შემთხვევაში საგადახდო საბუთი (საგადახდო დავალება) ჩაითვლება რეალურად გადარიცხულად (შესრულებულად), როდესაც კლიენტის მომსახურე საბანკო დაწესებულება ამ საბუთის კლიენტისათვის დასაბრუნებელ ეგზემპლარზე დაასვამს შტამპს — „განაღებულია“, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო დავალების საფუძველზე ფულადი სახსრების გადარიცხვები ხორციელდება ბანკში ანგარიშის გახსნის გარეშე (ნაღდი ფულით ანგარიშსწორება), მაშინ საგადახდო საბუთში მითითებული თანხის გადამხდელის მიერ რეალურად გადახდა უნდა დადასტურდეს მომსახურე ბანკის მიერ გაცემული სალაროს შემოსავლის ორდერით, რომელიც დამოწმებულია ბანკის პასუხისმგებელი მუშაკის ხელმოწერით და სალაროს შტამპით.

მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა 2010 წლის 12 აგვისტოს 11 და 2010 წლის 18 ოქტომბრის 12 საგადახდო დავალებები 310 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის თაობაზე. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოხდა ნაღდი ფულით. ასეთ შემთხვევაში, აპელანტს საგადახდო დავალებებთან ერთად უნდა წარედგინა ასევე სალაროს შემოსავლის ორდერები, როგორც მტკიცებულება მომსახურე ბანკის სალაროში სახელმწიფო ბაჟის ნაღდი ფულით გადახდის თაობაზე. დადგენილია, რომ სალაროს შემოსავლის ორდერები, სასამართლოს დავალების მიუხედავად, აპელანტს არ წარუდგინია.

### **საქმე № ას-288-277-2012**

**12 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრა**

ი. ს-ამ და ი. წ-ამ სარჩელი აღძრეს სასამართლოში შ. და თ. ს-ების მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეებისათვის უსაფუძვლო გამდიდრების გზით მიღებული თანხის ანაზღაურების დაკისრება, კერძოდ, ი. ს-ამ მოითხოვა მოპასუხეებისათვის 52200 ლარის დაკისრება, საიდანაც 22500 ლარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულ თანხას წარმოადგენს, ხოლო 29700 ლარი — მიუღებელ შემოსავალს, რომელსაც მოსარჩელე კუთვნილი ფულადი სახსრების გამოყენების შედეგად მიიღებდა, ხოლო ი. წ-ამ მოითხოვა

მოპასუხეებისათვის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული 40000 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის — 52000 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ს-ასა და ი. წ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. ს-ას ი. ს-ას სასარგებლოდ დაეკისრა 52200 ლარი, ხოლო ი. წ-ას სასარგებლოდ — 92200 აშშ დოლარი, ი. ს-ასა და ი. წ-ას მოთხოვნა შ. ს-ას მიმართ არ დაკმაყოფილდა. თ. ს-ას ასევე დაეკისრა მოსარჩელების სასარგებლოდ მათ მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. ს-ამ და ი. წ-ამ, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შ. ს-ას მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ნაწილში და მათი სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, თ. და შ. ს-ებისათვის, როგორც სოლიდარული მოვალეებისათვის, ი. ს-ას სასარგებლოდ 52200 ლარის, ხოლო ი. წ-ას სასარგებლოდ — 92200 აშშ დოლარის, ასევე სახელმწიფო ბაჟის დაკისრება, ასევე მოთხოვნილ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 იანვრის განჩინებით აპელანტების შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის შემცირების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ი. ს-ას დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით 2088 ლარის, ხოლო ი. წ-ას — 5000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის წარდგენა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. 2012 წლის 16 იანვარს სასამართლოს განცხადებით მიმართა აპელანტების წარმომადგენელმა ელზა ჯმუხაძემ, ნაწილობრივ შეავსო 2012 წლის 3 იანვრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი (წარადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრები ი.ს-ას სააპელაციო საჩივარზე 1044 ლარისა და ი.წ-ას სააპელაციო საჩივარზე 2500 ლარის ოდენობით) და მიუთითა, რომ აპელანტებს არ ეკუთვნით სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდა, რადგან სააპელაციო საჩივრით პირველი ინსტანციის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება არა სრულად, არამედ ნაწილობრივ არის გასაჩივრებული. განმცხადებლის მითითებით, აპელანტები გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ ნაწილობრივ და მოითხოვენ, მხოლოდ ცვლილების შეტანას გადაწყვეტილებაში, კერძოდ, სასამართლოს მიერ სრულად დაკმაყოფილებული მოთხოვნის შესრულების დაკისრებას არა მარტო თ. ს-ას არამედ, მის მეუღლის — შ. ს-ასათვისაც, როგორც სოლიდარული მოვალისათვის, შესაბამისად, მათ მიერ გადახდილია ბაჟის ნახევარი, რაც, აპელანტების წარმომადგენლის განმარტებით, შეესაბამება მათ მოთხოვნას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივრის ავტორებს გაუგრძელდათ 2012 წლის 3 იანვრის განჩინებაში მითითებული ხარვეზების შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა 5 დღით. 2012 წლის 27 იანვარს სააპელაციო სასამართლოს კვლავ მიმართა განცხადებით აპელანტების წარმომადგენელმა და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის გადავადება იმ საფუძველებით, რომ აპელანტები არიან აფხაზეთიდან დევნილები, უმუშევრები და მათ შემოსავალს წარმოადგენს მხოლოდ დევნილის შემწეობა, ამასთან, გამცხადებელმა აღნიშნა, რომ მართალია, აპელანტებს გააჩნიათ გარკვეული სახის ქონება და დანაზოგები, მაგრამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მოპასუხის ქმედებებით აპელანტებს მიადგათ მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, რაც ანაზღაურებული ჯერ არ არის და, შესაბამისად, არც პირველი ინსტანციის სასამართლოში სრული სახით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დაბრუნებიათ. წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად პალატამ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადავადების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და ი. ს-ასა და ი. წ-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ აპელანტებს არ მიაჩნდათ საფუძვლიანად დავის საგნის ღირებულების სრული ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის აუცილებლობა, რადგანაც ისინი გადაწყვეტილებას მხოლოდ ნაწილობრივ ასაჩივრებდნენ. განსახილველ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ, პროცესუალურად, მოცემული დავის საგანი თანხის გა-

დახდის შესახებ სარჩელია. სადავო არაა ისიც, რომ სააპელაციო მოთხოვნას წარმოადგენდა ფულადი ვალდებულების შესრულების მოპასუხეთათვის სოლიდარულად დაკისრება. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლითაც დადგენილია რომ ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელის საგნის ღირებულება განისაზღვრება გადასახდელი თანხით. მოცემული ნორმა ზოგადი ხასიათისაა და მისი გამოყენება დასაშვებია როგორც პირველი, ისე სააპელაციო და საკასაციო წარმოების ეტაპზე, ზემდგომი სასამართლოებისათვის კანონმდებლობით დადგენილი გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, ამასთან, საკასაციო პალატა საგნებით იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ, მიუხედავად პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გასაჩივრებისა, სოლიდარული ვალდებულების არსიდან გამომდინარე, მატერიალური ნორმის — სამოქალაქო კოდექსის 463-ე და 465-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო პალატამ სწორად დააკისრა აპელანტებს სახელმწიფო ბაჟის გადახდა სოლიდარულად შესასრულებელი ვალდებულების საგნის ღირებულებიდან გამომდინარე.

## საქმე №ას-1631-1531-2012

2 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შრომითსამართლებრივ დავებზე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით მ. გ-ას სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, თითოეულ მოთხოვნაზე აპელანტს 5 დღის ვადაში უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი, მთლიანობაში 300 ლარი;

2012 წლის 29 ოქტომბერს მ. გ-ამ ხარვეზის შევსების მიზნით განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომელსაც თან დაურთო 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნებზე 300 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრება მისი ვარაუდით გამოწვეულია შეცდომით, რადგან სამუშაოზე აღდგენა წარმოადგენს ბრძანების ბათილობის თანმდევ შედეგს, ე.ი. დასახელებულ მოთხოვნებს შორის არსებობს უშუალო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რასაც ადასტურებს დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ნოემბრის განჩინებით მ. გ-ას სააპელაციო საჩივრის ის მოთხოვნები, რომლებიც შეეხებოდა სამუშაოზე აღდგენასა და ბრძანების ბათილად ცნობას, დარჩა განუხილველად აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების საფუძვლის არსებობის თაობაზე და განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა კანონითაა გათვალისწინებული. კანონი განსაზღვრავს ასევე იმ გამონაკლის შემთხვევებს, რა დროსაც შესაბამისი მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნები ასეთ შემთხვევათა რიგს არ განეკუთვნება. ამასთან, ისინი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის რეგულირების სფეროში ვერ მოექცევა, რადგან ნორმის შინაარსიდან გამომდინარე სრულიად ნათელია, რომ მისი მეშვეობით კანონმდებელი ადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მოსარჩელეთა გათავისუფლების შესაძლებლობას, როდესაც ისინი სადავოდ ხდიან შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, ხსენებული მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ფიზიკური პირები — სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.



ამასთან, საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს აპელანტისათვის არ უნდა დაევალებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 300 ლარის ოდენობით, ვინაიდან სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნა გამომდინარეობდა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნიდან და შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი ამ მოთხოვნისათვის ცალ-ცალკე არ უნდა განესაზღვრა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის უფლება უკავშირდება სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების მართლზომიერების საკითხის დადგენას და მთლიანად გამომდინარეობს მისგან, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი არ უნდა განისაზღვროს ცალ-ცალკე, თითოეული მოთხოვნის მიხედვით, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ განახორციელა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსს, რომლის მიხედვით, თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული „სხვადასხვა მოთხოვნის ქვეშ“ არ იგულისხმება მსგავსი შინაარსის მატარებელი მოთხოვნები, როგორცაა წარმოადგენს სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნები.

**საქმე № ას-1670-1658-2011**

**26 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი („სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი)**

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ მ. რ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი — დევნილი (ს.ფ. 16) და ყოველთვის იღებს ლტოლვილის შემწეობას (ს.ფ. 32). „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს '225/6 ბრძანების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საარსებო შემწეობის მიღება გამორიცხავს „უმწიფო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების“ (შემდგომში საოჯახო დახმარება), აგრეთვე, დევნილის შემწეობის მიღებას. ოჯახს უფლება აქვს აირჩიოს საოჯახო დახმარების, შესაბამისად, დევნილის ყოველთვის შემწეობის ან საარსებო შემწეობის მიღება. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, პირი, რომელსაც ერთდროულად გააჩნია როგორც საარსებო შემწეობის, ასევე დევნილის ყოველთვის შემწეობის მიღების უფლება, უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს, თუ მითითებული შემწეობებიდან რომლის მიღება სურს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, დევნილის შემწეობის არჩევის შემთხვევაში, პირი არ კარგავს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შეღავათს, რაც გათვალისწინებულია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით.

**საქმე № ას-157-485-09**

**6 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით დაყენებული შუამდგომლობის განხილვის საგალდებულობა**

საქმის მასალებით დასტურდება, რომ რ. ც-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარში იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება (ტომი I, ს.ფ. 78-87). თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარს ისე დაუდგინდა ხარვეზი, რომ სააპელაციო სასამართლოს აპელანტის აღნიშნულ შუამდგომლობაზე არ უმსჯელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შუამდგომლობაზე, რათა სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძვლების რეალურად არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი ყოფილიყო ქონებრივ შესაძლებლობას მოკლებული მხარის უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა არსებითი საპროცესო უფლებაა სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, რაც ასევე გულისხმობს ამ შუამდგომლობების განხილვის, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში — შუამდგომლობაზე უარის თქმის მოტივების ცოდნის უფლებასაც.

ამდენად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობაზე მსჯელობის გარეშე არ უნდა მომხდარიყო სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შემოწმებას აღნიშნული თვალსაზრისითაც ექვემდებარება.

### საქმე № 3კ-509-03

21 მაისი, 2003 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

რაც შეეხება გადაწყვეტილებას მოსარჩელისათვის იურიდიული მომსახურების თანხების 33064,89 ლარის მოპასუხისათვის გადასახდელად დაკისრების შესახებ, დაუსაბუთებელია და ამ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო: მართალია, საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელისა და შპს „ვ-ის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოცემულ საქმეზე იურიდიული მომსახურებისათვის ვაჭეული ხარჯების ანაზღაურების და ამ მიზნით ზემოთ მითითებული საზოგადოებისათვის 38000 ლარის ჩარიცხვის შესახებ, ამასთან სსკ-ს 47-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში მიზანშეწონილია. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი სახელმწიფო სალაროდან მიიღებს ანაზღაურებას არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით. ეს წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს სახელმწიფო ხარჯზე მომსახურებას, ისიც მაშინ, თუ განსახილველი საქმე რთული და მნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში მომსახურების ხარჯების ანაზღაურება ხდება საქმის სირთულესთან გონივრულ შესაბამისობაში და მომსახურების ღირებულების განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს მხარესა და იურიდიული დახმარების გამწევს შორის დადებულ ხელშეკრულებას. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ რა თანხა გადაუხადა მხარემ ადვოკატს, ვინაიდან მითითებული გარიგება არ შეიძლება სავალდებულოდ იქცეს წაგებული მხარისათვის, რადგან იგი არ მონაწილეობდა ამ გარიგების დადებაში. სსკ-ს 53-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმომადგენლის დახმარებისათვის მოპასუხის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობა სასამართლომ უნდა განსაზღვროს 5000 ლარით.

საქმე № ას-1035-1228-08

23 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი**

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ჯ. კ-ძის საპენსიო მოწმობაში არსებული ჩანაწერი მხარის შემღვდული შესაძლებლობის მქონედ მიჩნევის თაობაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების საფუძველად უნდა შეფასდეს. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით ჯ.კ-ძე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდეს.

საქმე № ას-1094-1358-09

24 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლები)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს მხოლოდ ფიზიკური და არა იურიდიული პირი. იურიდიული პირის მიმართ დასაშვებია მხოლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება ან მათი ოდენობის შემცირება (სსსკ-ის 48-ე მუხლი). ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, ბაჟი გადახდის გადადება ან მისი ოდენობის შემცირება ხდება მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე.

მხარისათვის ასეთი შეღავათის მიცემა დამოკიდებულია მის ქონებრივ მდგომარეობაზე. ქონებრივი მდგომარეობის შეფასება უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარის მიერ წარმოდგენილი ამ გარემოების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე. ქონებრივი მდგომარეობა, შინაარსის მიხედვით არ მოიცავს მხოლოდ მხარის მიერ პერიოდულად მისაღებ შემოსავლებს, მასში მოიაზრება ასევე მხარის საკუთრებაში არსებული მთელი ქონება (უძრავ-მოძრავი ქონება, ანგარიშზე არსებული თანხები და სხვა).

საქმე № ას-970-1006-2011

4 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლები)**

ხარჯების გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში აპელანტის წარმომადგენელმა კვლავ მიმართა სასამართლოს განცხადებით სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ან საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით, რაც დააფუძნა იმ ფაქტს, რომ აპელანტის ოჯახის წევრებმა სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის საკმარისი თანხა ვერ მოიპოვეს.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ აღნიშნული წარმომადგენელმა სასამართლოსათვის მნიშვნელოვან საფუძველს, დაეკმაყოფილებინა მხარის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, ამავე კოდექსის 48-ე მუხლი კი ადგენს, რომ სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სა-

ხელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

დასახელებული ნორმები მოიცავს იმ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას. პირის უფლების შეზღუდვა ამ უფლებასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის დასაშვებია სამართლიანი ბალანსის შემთხვევაში. ამგვარი ბალანსი საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, დაშვებულია რა კონკრეტული შეზღუდვა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვისას (სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება), ასევე გათვალისწინებულია სასამართლო მექანიზმები ყველა კატეგორიის პირებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულს ადასტურებს სასამართლოს უფლება, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გაათავისუფლოს მოქალაქე (სსკ 47-ე მუხლი), აგრეთვე, მხარეს შეუმციროს ასეთი ხარჯები ან გადაუვადოს მისი გადახდა (სსკ 48-ე მუხლი). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის სრული და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, ვინაიდან ხელმისაწვდომობის უფლება თავისი მრავალფეროვანი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, ამავდროულად, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ უფლების არსი არ იქნება გაუარესებული და რომ გამოსაყენებელი ფარგლები არ ზღუდავს და არ ამცირებს ფიზიკური პირების ხელმისაწვდომობის უფლებას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩნდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოუყენებლობა გამოიწვევს მხარის სადავოდ ქვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის მიღმა დატოვებას.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტი სასამართლო ხარჯების გადახდასთან მიმართებით შუამდგომლობას აფუძნებდა მხოლოდ იმას, რომ დ.ნიბერიძე იხდის სასჯელს, რაც დადასტურებულია როგორც საქმის მასალებით, ისე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, ხოლო მისი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია, შემოიფარგლა მხოლოდ ზეპირი მითითებით, რომ თ.ნ-ძეს ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი და ოჯახმა ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ პირის პატიმრობაში ყოფნის ფაქტი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებისა თუ მისი გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი არ არის, რადგანაც მხოლოდ იმის მტკიცება, რომ პირი პატიმარია, არ წარმოადგენს იმის უტყუარ დადასტურებას, რომ მას შემოსავალი არ გააჩნია და არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი

**საქმე № ას-1106-1133-2011**

**17 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლები)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. კანონის მითითებული ნორმა მოიცავს იმ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების სამართლიან

განხორციელებას. პირის უფლების შეზღუდვა ამ უფლებასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის დასაშვებია სამართლიანი ბალანსის შემთხვევაში. ამგვარი ბალანსი საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დაშვებულია რა კონკრეტული შეზღუდვა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვისას (სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება), ასევე გათვალისწინებულია სამართლებრივი მექანიზმები ყველა კატეგორიის პირებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულს ადასტურებს სასამართლოს უფლება, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გაათავისუფლოს მოქალაქე (სსკ 47-ე მუხლი), აგრეთვე, მხარეს შეუმციროს ასეთი ხარჯები ან გადაუვადოს მისი გადახდა (სსკ 48-ე მუხლი). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის სრული და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, ვინაიდან ხელმისაწვდომობის უფლება თავისი მრავალფეროვანი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, ამავდროულად, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ უფლების არსი არ იქნება გაუარესებული და რომ გამოსაყენებელი ფარგლები არ ზღუდავს და არ ამცირებს ფიზიკური პირების ხელმისაწვდომობის უფლებას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში

**საქმე № ას-218-207-2010**

**22 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ აღნიშნული ნორმის სწორად გამოყენება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მხარის არსებით პროცესუალურ უფლებასთან — უზრუნველყოფილი იყოს ქონებრივ შესაძლებლობას მოკლებული მხარის უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალების შეფასება იძლეოდა შპს „რ.“ სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი თანხის გადახდის გადავადების საფუძველს, რამდენადაც ბიუჯეტის წინაშე დავალიანება, კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე ინკასოსა და ყადაღის არსებობა, რაც საქმეზე უდავოდ დასტურდება, ისეთი გარემოებებია, რაც მხარის მიერ მოცემულ მომენტში სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის შესაძლებლობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის გამოყენებისა და მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი.

**საქმე № ას-323-309-2012**

**26 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკითხს იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სასამართლოს მიერ მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს

უტყუარ მტკიცებულებებს. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი კონკრეტული მტკიცებულების წარდგენა შეიძლება გახდეს მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი. სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელმა პირმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად უნდა უზრუნველყოს სასამართლოსათვის იმ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც მის გადახდისუუნარობას დაასაბუთებს. მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეს არ წარუდგენია უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაასაბუთებდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ შუამდგომლობას. აღნიშნულს იზიარებს საკასაციო სასამართლოც, ვინაიდან აპელანტის მისი გადახდისუუნარობის დასადასტურებლად წარდგენილი ჰქონდა ერთადერთი მტკიცებულება — სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 22.12.2011წ. ცნობა, რომლის თანახმად, ლ. კ-ე იღებს ასაკის საფუძველით დანიშნულ პენსიას 100 ლარის ოდენობით (ტომი 2, ს.ფ. 19). დასახელებული ცნობა ვერ ჩაითვლება მხარის გადახდისუუნარობის დამასაბუთებელ უტყუარ მტკიცებულებად, ვინაიდან იგი სრულად არ ასახავს მის ქონებრივ მდგომარეობას და არ გამორიცხავს შემოსავლის სხვა წყაროს არსებობის შესაძლებლობას.

**საქმე № ას-52-49-2012**

**27 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკითხს იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლოს მიერ მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი კონკრეტული მტკიცებულების წარდგენა შეიძლება გახდეს მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი. სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელმა პირმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად უნდა უზრუნველყოს სასამართლოსათვის იმ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც მის გადახდისუუნარობას დაასაბუთებს. მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტის გადახდისუუნარობის დასადასტურებლად სააპელაციო სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, ცნობები მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულს იზიარებს საკასაციო სასამართლოც, ვინაიდან ხსენებული მტკიცებულებები არ წარმოადგენენ საკმარის საფუძველს აპელანტის გადახდისუუნარობის დასადასტურებლად. მითითებული

მტკიცებულებები სრულად არ ასახავენ აპელანტის ქონებრივ მდგომარეობას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ კანონშესაბამისად უთხრა უარი აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და მართებულად დატოვა განუხილველად მისი სააპელაციო საჩივარი.

**საქმე № 3კ-1178-02**

**15 ნოემბერი, 2002 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ სსკ-ს 53-ე მუხლი ადგენს მეორე მხარისათვის უკვე გაწეული (და არა მომავალში გასაწევი) ხარჯების დაკისრებას. განსახილველ შემთხვევაში კი არ დასტურდება წარმომადგენლისათვის ხარჯების ანაზღაურების ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მხარეთა შორის შეთანხმების შესაბამისად მათ შორის წარმოიშვა ურთიერთვალდებულებები; წარმომადგენლის მიერ ნაკისრი ვალდებულება, ეწარმოებინა მოსარჩელეთა სამოქალაქო საქმე ხელფასების ანაზღაურების შესახებ, შესრულდა. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებში იგულისხმება ხარჯები, რომელიც მარწმუნებელმა უნდა გასწიოს რწმუნებულის მიერ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში.

**საქმე № ას-792-1114-07**

**11 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წარმომადგენლის დახმარებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე კოდექსის 47-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში მიზანშეწონილია. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტამდე ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის განხილვისას ნ.გ-ის წარმომადგენლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მოწვევა არ დგინდება. წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი მხარეს არ წარმოუდგენია. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მითითებული ნორმებისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას სასამართლოს შეუძლია დაეყრდნოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის ფარგლებს.

საკასაციო სასამართლოს ეს დასკვნა ეფუძნება შემდეგს: როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის გაწეული ხარჯების

ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანდიე საქართველოს წინააღმდეგ“). ამდენად, სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოს შეხედულებით ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ცენზის დადგენა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მეორე ნაწილი) გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს.

**საქმე № ას-795-849-2011**

**18 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებაში, რომელზედაც საუბარია ზემოხსენებულ ნორმაში, იგულისხმება ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც საქმეზე არსებითად მსჯელობის შედეგად დადგა. რაც შეეხება სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტას, ამ დროს მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის მოსარჩელის მიერ ანაზღაურების შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას, ვინაიდან იგი ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის არასწორ განმარტებას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხარის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებაში იგულისხმება დავის გადაწყვეტის არა მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივი, არამედ უპირველესად — მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი. ეს პირდაპირ გამომდინარეობს სარჩელის ცნებიდან, კერძოდ, სარჩელი, როგორც სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ინსტიტუტი, არის უფლების დაცვის შესახებ პირის შუამდგომლობა სასამართლოსადმი, რათა მან განიხილოს სარჩელში მოპასუხის წინააღმდეგ წაყენებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა და გამოიტანოს ამის თაობაზე გადაწყვეტილება. ამდენად, სარჩელი, მართალია, საპროცესო სამართლის ინსტიტუტია, მაგრამ იგი არ არსებობს იმ უფლებაზე მითითების გარეშე, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს, ე.ი. მოპასუხისადმი წაყენებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის გარეშე. სარჩელის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სწორედ მოპასუხისადმი წაყენებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის მიმართ და, შესაბამისად, ან აკმაყოფილებს სარჩელს ან უარს ამბობს მის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, თუ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოგებული მხარეა მოსარჩელე, ხოლო წაგებული — მოპასუხე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დროს პირიქითაა — მოგებულია მოპასუხე, ხოლო, წაგებული — მოსარჩელე. საქმის მოგება-წაგება კი პირდაპირ უკავშირდება მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილებას. კერძოდ, თუ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არსებობს, მაშინ სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი არა. აქედან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დროს მოპასუხის სასარგებლო გადაწყვეტილებაა გამოტანილი იმიტომ, რომ მოსარჩელეს უარი ეთქმევა მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, მოპასუხის სარგებელი ისაა, რომ მას მომავალში მოსარჩელე ვეღარ შეედავება იმ უფლების შესახებ, რომლის დაცვასაც ეს უკანასკნელი სარჩელით ცდილობდა. ანალოგიური ვითარებაა სარჩელე-



ზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაშიც. კერძოდ, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმეზე დამდგარი საპროცესო შედეგი — სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა — უშუალო გავლენას ახდენს მოპასუხისადმი წაყენებულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოსარჩელე კარგავს უფლებას, შეედავოს მოპასუხეს იგივე სარჩელით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 273-ე მუხლი). შესაბამისად, სარჩელზე უარის თქმის გამო საქმეზე დამდგარი საპროცესო შედეგი — სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა — მოპასუხის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებაა.

ზემოაღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ ვერ გამოდგება სააპელაციო სასამართლოს მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის პირველ ნაწილზე. ამ ნორმის მიხედვით, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ ანაზღაურებს, მაგრამ, თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის ხარჯების ანაზღაურებას. ეს ნორმა არ გამორიცხვას მოპასუხის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესაძლებლობას, ვინაიდან იგი ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც მოსარჩელე უარს ამბობს თავის სარჩელზე იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა სარჩელის აღძვრის შემდეგ. განსახილველ შემთხვევაში ასეთი ვითარება არ არსებობს.

**საქმე № ას-1771-1751-2011**

**9 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება ცეკავშირის პოზიციას, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა და, მათ შორის, ხსენებული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი არ ითვალისწინებს სარჩელზე უარის თქმისას მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ წარმომადგენლის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. აღნიშნულ საკითხზე საკასაციო სასამართლომ უკვე გამოთქვა მოსაზრება სს „მ. ს. კომბინატის“ კერძო საჩივრის განხილვის დროს.

როგორც საკასაციო სასამართლომ მიუთითა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი იმგვარად უნდა განმარტოს, რომ მხარის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებაში პირველ რიგში მოიაზრებოდეს საქმის გადაწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი. ამდენად, მოცემული ნორმის მიზანია, დაიცვას იმ მხარის ინტერესები, რომლის სასარგებლოდაც დავა გადაწყდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის დროს მიიღება მოპასუხისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება, ვინაიდან სასამართლო აღარ იხილავს და, შესაბამისად, აღარც აკმაყოფილებს სასარჩელო მოთხოვნას.

სწორედ ზემოაღნიშნულის გამო სარჩელზე უარის თქმისას საქმის წარმოების შეწყვეტა ექცევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედების ფარგლებში და ასეთ დროს მოპასუხის მიერ გაღებული ხარჯის — წარმომადგენლის მომსახურების საფასურის მოსარჩელისათვის დაკისრება დასაშვებია.

**საქმე № ას-856-1142-09**

**4 იანვარი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეთა შორის ხარჯების განაწილების წესს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა,

რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს — სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მითითებული ნორმის დათქმიდან გამომდინარე, ესა თუ ის მხარე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ სასამართლო ხარჯებიდან, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა იქნეს შეტანილი. მაგრამ მხარე არ შეიძლება გათავისუფლდეს ხარჯებისაგან, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ უნდა იქნეს გადახდილი. ამრიგად, თუ მოსარჩელემ შეიტანა სახელმწიფო ბაჟი და სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მისი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, მაშინ ამ ხარჯების გადახდა იმ ოდენობით, რაც მოსარჩელემ შეიტანა სახელმწიფო ბაჟის სახით (აგრეთვე სხვა ხარჯები), დაეკისრება მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, რომ მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილება, კერძოდ ერთი მხარის მიერ გაწეული ხარჯების მეორე მხარეზე გადაკისრება უნდა მოხდეს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც დააკმაყოფილა ან რომელზეც უარი უთხრა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას იგი შესაბამისად შეცვლის ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო მოახდენს ყველა იმ ხარჯის გაანგარიშებას, რაც მხარემ გასწია სასამართლოში. აქ იგულისხმება არა მხოლოდ კონკრეტულად გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში გაღებული ხარჯი, არამედ მთლიანად სასამართლოს ყველა ინსტანციაში გაწეული ხარჯები.

## **საქმე № ას-640-601-2011**

**ნ ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: სასამართლო ხარჯების განაწილება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი, რომელიც ადგენს სასამართლო ხარჯების განაწილების წესს. აღნიშნული ნორმის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო ხარჯების საბოლოო განაწილება დამოკიდებულია სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, დაკმაყოფილდა თუ არა სარჩელი (სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრები) და რა მოცულობით მოხდა მისი დაკმაყოფილება. მხოლოდ დავის არსებითად გადაწყვეტის შემდეგადაა შესაძლებელი იმის განსაზღვრა, რომელ მხარეს რა ოდენობით სახელმწიფო ბაჟი ან სხვა სასამართლო ხარჯები უნდა დაეკისროს. შესაბამისად, აღნიშნული უნდა განხორციელდეს სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმის განხილვა არსებითად სრულდება. იმ შემთხვევაში, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო უცვლელად ტოვებს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას, იგი იმსჯელებს მხოლოდ ამ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და თუ სხვა ხარჯების განაწილებაზე, ხოლო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ხარჯები დარჩება უცვლელად.

საქმე № ას-728-684-2012

10 სექტემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი)**

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელებმა მ., თ., თე. და ა. ს-ებმა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას სახელმწიფო ბაჟი 907 ლარი გადაიხადეს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ., ა., თ. და თე. ს-ების სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა. საქმის სააპელაციო წესით განხილვის დროს მოსარჩელებმა (აპელანტებმა) სახელმწიფო ბაჟის სახით 1208.32 ლარი გადაიხადეს. აქედან გამომდინარე, მ., თ., თე. და ა. ს-ების მიერ გადახდილმა სახელმწიფო ბაჟმა ორივე ინსტანციის სასამართლოში 2115.32 ლარი შეადგინა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით თ. და თე. ს-ების სარჩელი სამკვიდროს მიღებულად აღიარების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რ.ს-ს მ. და ა. ს-ების სასარგებლოდ 2115.32 ლარის გადახდა სოლიდარულად დაეკისრა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებას სახელმწიფო ბაჟის არასწორად დაკისრებასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს — სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბაჟი — 2115.32 ლარი მოსარჩელებმა — მ., ა., თ. და თე. ს-ებმა ორივე ინსტანციის სასამართლოში სოლიდარულად გადაიხადეს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მ. და ა. ს-ების სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ხოლო თ. და თე. ს-ებს უარი ეთქვათ მის დაკმაყოფილებაზე. ვინაიდან, ორივე ინსტანციის სასამართლოში მხარეთა მიერ სოლიდარულად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის რაოდენობა იყო 2115.32 ლარი, ხოლო თ. და თე. ს-ების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რ. ს-ს მათ მიერ გადახდილი ბაჟის 1057.66 ლარის გადახდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, არ უნდა დაკისრებოდა.

რაც შეეხება, მ. და თ. ს-ების მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟს — 1057.66 ლარს, აღნიშნულის გადახდა ზემოდასახელებული ნორმის თანახმად, მოსარჩელების სასარგებლოდ მოპასუხე რ.ს-ს უნდა დაეკისროს.

საქმე № ას-1410-1425-2011

28 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სარჩელზე უარის თქმის გამო სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება**

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე შპს „... კორპორაციამ“ სასამართლოს მთავარ სხდომაზე უარი ეთქვა რა სარჩელზე, სააპელაციო პალატამ მას სავსებით მართებულად დაუბრუნა მხოლოდ სააპელაციო წარმოებისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ისევე, როგორც შეგებებული სარჩელის ავტორ ჯ.კ-ს,

რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით დადგენილია, რომ, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ სასამართლოს ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე მისთვის უნდა დაებრუნებინა პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟიც, ვინაიდან დასახელებული ნორმის მე-4 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ აღნიშნული შეღავათი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში გამოიყენება მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მითითებული საკანონმდებლო დანაწესის ლოგიკური განმარტებიდან დასტურდება ისიც, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟი ასეთ დროს მხარეებისათვის დაბრუნებას არ ექვემდებარება.

რაც შეეხება კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო პალატა აღნიშნულს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სააპელაციო წესით საქმის განხილვისას, როდესაც მოსარჩელე უარს ამბობს სარჩელზე, საპროცესო კანონმდებლობა არ არეგულირებს შეგებებული სარჩელის ავტორის მიმართ სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შეგებებული სარჩელი თავისი არსით ძირითადი სარჩელის ყველა ელემენტისაგან შედგება და ამ სარჩელის ავტორი, როგორც პროცესის სუბიექტი, სარგებლობს მოსარჩელის ყველა უფლებითა და მოვალეობით. ისეთ დროს, როდესაც სასამართლოს წარმოებაში ძირითად სარჩელთან ერთად შეგებებული სარჩელია, უმნიშვნელოვანესია სათანადო შეფასება მიეცეს იმ გარემოებას, რომ შეგებებული სარჩელი ორგანულადაა დაკავშირებული თავდაპირველ სარჩელთან და მისი მოთხოვნისა და ზოგადად ამ სარჩელის იურიდიული ინტერესი მიმართულია ძირითადი სარჩელის წინააღმდეგ, ისე, რომ ძირითადი სარჩელის არსებით განხილვაზე დამოკიდებული შეგებებული სარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის გამორკვევაც, ერთგვარად, შეიძლება ითქვას, რომ შეგებებული სარჩელის საფუძველსა და საგანს განაპირობებს ძირითადი სარჩელის მოთხოვნის არსებობა. საკასაციო პალატა სავსებით ეთანხმება და ამას არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ შპს „... კორპორაციის“ მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო განუხილველად სწორად იქნა დატოვებული ჯ.კ-ის შეგებებული სარჩელი. იმის გათვალისწინებით, რომ ამ სარჩელის აღძვრა განპირობებული იყო თავდაპირველი სარჩელის არსებობით (სხვა შემთხვევაში მოდავე პირი ჯ.კ-ს არ ეყოლებოდა), სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ანალოგიის წესით, მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმამდე დაყრდნობით მოსარჩელისათვის ჯ.კ-ის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნებას.

**საქმე № ას-590-556-2012**

**3 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საპროცესო ვადის გასვლა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ გასაჩივრებული განჩინებითვე დასტურდება სახელმწიფო ბაჟის დადგენილ ვადაში გადახდის ფაქტი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ პალატა განმარტავს, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით მხარეს ამომწურავად განემარტა შესასრულებელი საპროცესო მოქმედება და მისი შეუსრულებლობის შედეგები, კერძოდ, მხარეს დაევალა საპროცესო ვადის განუხრელად დაცვით როგორც სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ისე ამ ვალდებულების

შესრულების შესახებ სასამართლოს დროული ინფორმირება, აღნიშნულთაგან ერთ-ერთის არაჯეროვანი შესრულება საპროცესო ვადის დარღვევას წარმოადგენს, ამდენად, ის დადასტურებული გარემოება, რომ მხარემ სახელმწიფო ბაჟი დადგინებულ ვადაში გადაიხადა, ვერ იქნება მიჩნეული საპროცესო მოქმედების სრულყოფილად განხორციელებად.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე სს „ე.-პ. ჯ-ას“ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, კერძოდ, საფოსტო რეესტრის თანახმად, მართალია, ირკვევა, რომ აპელანტმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში 307/146-12 კორესპოდენცია 2012 წლის 21 მარტს ჩააბარა, შპს „ს. ფ-ის“ წერილობითი პასუხით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული კორესპოდენცია შპს „ს. ფ-ის“ კურიერმა 2012 წლის 21 მარტს ჩაიბარა, რომელიც შპს „ს. ფ-ის“ დამუშავდა 2012 წლის 22 მარტს და, შესაბამისად, კონვერტზე დაფიქსირებულია 22 მარტი, თუმცა პალატა თვლის, რომ აღნიშნული მტკიცებულებები გასაჩივრებული განჩინების გაუქმების უტყუარ წინაპირობას არ წარმოადგენს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში, ერთი მხრივ, წარმოდგენილია დოკუმენტი — კონვერტი, სადაც სს „ე.-პ. ჯ-ას“ მიერ დოკუმენტების ფოსტისათვის გადაცემის თარიღად 2012 წლის 22 მარტია მითითებული (აღნიშნულით დასტურდება აპელანტის მიერ საპროცესო ვადის დარღვევა) და, მეორე მხრივ, კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულებები.

საკასაციო პალატა ამ მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერების შედეგად თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორად იხელმძღვანელა საქმეში არსებული მტკიცებულებით, ვინაიდან მისთვის ობიექტურად იყო შეუძლებელი, სცოდნოდა კერძო საჩივრზე დართული მტკიცებულებების თაობაზე, ამასთანავე, საწინააღმდეგოს არსებობის შემთხვევაშიც კი, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს სს „ე.-პ. ჯ-ას“ არგუმენტს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის არასწორ განმარტებასთან დაკავშირებით, რადგანაც დასახელებული ნორმით დადგენილია შემდეგი ქცევის წესი: საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაათხუთამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაათხუთამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

მოცემული ნორმა აღმჭურველი ხასიათისაა და მისი ფართოდ განმარტების შესაძლებლობას კანონმდებელი არ ითვალისწინებს, ნორმით ამომწურავადაა განსაზღვრული რეგულირებული ურთიერთობის ადრესატის ქცევის წესი და სავალდებულოაა მიჩნეული საჩივრის, საბუთებისა თუ ფულადი თანხის უშუალოდ ფოსტის ან ტელეგრაფისათვის ჩაბარების აუცილებლობა. სს „ე.-პ. ჯ-ას“ მიერ შპს „ს. ფ-ისათვის“ მიწერილი წერილითა და ამ წერილის ადრესატის პასუხით ირკვევა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, შპს „ს. ფ-ის“ კურიერის და არა უშუალოდ შპს „ს. ფ-ისათვის“ კორესპოდენციის ჩაბარების ფაქტი, ამასთანავე, უდავოა, რომ ფოსტამ კორესპოდენციები დაამუშავა 2012 წლის 22 მარტს და არა კურიერის მიერ ჩაბარების დღეს, რაც, შესაძლოა, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის განმსაზღვრელი ნორმების დარღვევასა და დამრღვევის შესაძლო პასუხისმგებლობაზე მიუთითებდეს.

## **საქმე № ას-393-372-2012**

**30 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილი)**

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და სადავო არაა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი 2011 წლის 2 ნოემბერს ჩაბარდა შპს „ი-ას“ თანამშრომელს (ბულალტერს) მ.-ეს. აღნიშნული გარემოება დასტურდება გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე მისი მიმღები პირის (მ.-ის) ხელმოწერით და შპს „ი-ას“ ბეჭდით. ადრესატისათვის გზავნილის ჩაბარება დადასტურებულია ასევე ბარათზე ფოსტის კურიერის ხელმოწერით (ტომი 1, ს.ფ. 340). საქმის მასალებით უდავოდ დგინდება ისიც, რომ აპელანტს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი

გაეგზავნა შესაგებელში მის მიერ მითითებულ სამუშაო ადგილის მისამართზე: ქ.თბილისში, წ-ის ქ.№ 114-ში (ტომი 1, ს.ფ. 164-175, 339).

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ბუღალტერი არ წარმოადგენს სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მსჯელობას, ვინაიდან უდავოა, რომ შპს „ი-ას“ თანამშრომელმა (ბუღალტერმა) ფოსტის კურიერისგან პრეტენზიის გარეშე ჩაიბარა სასამართლო გზავნილი, რაც დაადასტურა საკუთარი ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით. აღნიშნული კი იმას ადასტურებს, რომ სასამართლო გზავნილი ჩაიბარა სწორედ შპს „ი-ას“ უფლებამოსილმა პირმა. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კერძო საჩივრის ავტორს ეკისრებოდა, რაც მან ვერ შეძლო.

**საქმე № ას-959-1238-09**

**28 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილი)**

სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის არგუმენტი, რომ სასამართლო უწყება საქმის განხილვის დროის შეტყობინებით „გორის უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებს — უნივერსიტეტის დირექტორსა და იურისტს არ ჩაბარებიათ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მერვე ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში — ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს ორგანიზაციისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების წესს და ადგენს, რომ ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას, ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან უფლებამოსილ პირს. განსახილველ შემთხვევაში კასატორი ადასტურებს, რომ სსიპ „გორის უნივერსიტეტისათვის“ სააპელაციო პალატის მიერ გაგზავნილი უწყება ჩაბარდა უნივერსიტეტის კანცელარიის მუშაკს, ამდენად, ზემოხსენებული კანონის დანაწესი დაცულია.

რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ სასამართლო უწყების მიმღებმა მოხელემ თავისი დაუდევრობით კონვერტში ჩადებული უწყება ვერ შენიშნა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ორგანიზაციის საქმიანობის შიდა სტრუქტურული ხარვეზები სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საპროცესო უფლების განუხორციელებლობის საპატიო მიზეზს არ წარმოადგენს და მსგავსი არგუმენტები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად ვერ მიიჩნევა.

**საქმე №ას-1678-1574-2012**

**21 იანვარი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლო უწყების ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილი და 74-ე მუხლი)**

საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეტყობინება, გზავნილში მითითებულ მისამართზე ჩაბარდა ორგანიზაციის მენეჯერ გ. კ.-ს 2012 წლის 9 ნოემბერს.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და

მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში — ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით — სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა, რომ ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში — ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, უდავოა, რომ ორგანიზაციისათვის სასამართლო შეტყობინების გაგზავნისას, როდესაც შეტყობინება უშუალოდ ორგანიზაციას ეგზავნება, შეტყობინება უნდა ჩაბარდეს: ა) კანცელარიას, ბ) ასეთი დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს, გ) პირს, რომელიც შეტყობინებას ადრესატს გადასცემს, დ) მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. კანონით განსაზღვრული სუბიექტებიდან ერთ-ერთისათვის სასამართლო შეტყობინების გადაცემას კანონი მის ნამდვილობას უკავშირებს, რასაც შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვება.

კერძო საჩივრის ანალიზით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სს „ი. უ. ქ.-ას“ 2012 წლის 9 ნოემბერს მე-ნეჯერ გ. კ.-ისათვის (უფლებამოსილი პირისათვის) შეტყობინების გადაცემა სადავოდ არ გაუხდია, არამედ მიუთითა საზოგადოების ხელმძღვანელისათვის შეტყობინების 2012 წლის 10 ნოემბერს გადაცემის ფაქტზე და სწორედ აღნიშნულს დაუკავშირა საპროცესო ვადის დენის დასაწყისი, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგანაც, მართალია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით რეგულირებულია საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ვინაობა, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, მენეჯერისათვის შეტყობინების ჩაბარება სწორედ უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებას წარმოადგენს, რაც საპროცესო ვადის დენის დაწყების საფუძველია.

## საქმე №ას-1654-1551-2012

20 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სასამართლო უწყების ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილი და 74-ე მუხლი)**

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ გზავნილი არაუფლებამოსილ პირს ჩაბარდა, ვინაიდან ლ. გ-ე არ არის კომპანიის თანამ-

შრომელი და, გარდა ამისა, გზავნილი გაიგზავნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში და არა თ. გ-ის ოფისში. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და ვერ მიიჩნევს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს, იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ-ის 74-ე მუხლში, კერძოდ, მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზიდან გამომდინარე, პირი, რომელიც ორგანიზაციის მისამართზე გამოხატავს კორესპონდენციის მიღების ნებასა და აღნიშნული ქმედების მართლზომიერებას ხელმოწერით დაამოწმებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის კონტექსტში ითვლება „ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირად, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს“, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, გზავნილის მიმღები — ადვოკატი ლ. გ-ე (ს.ფ.141) სააპელაციო პალატამ სწორად მიიჩნია კორესპონდენციის მიღებისათვის უფლებამოსილ პირად, რომელიც გზავნილის მიღებით ადასტურებდა, რომ გააჩნდა ამგვარი უფლებამოსილება, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, ივარაუდება, რომ უწყება აპელანტის წარმომადგენელ თ. გ-ეს ჩაბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კი დასაბარებელ პირს ეკისრება.

**საქმე № ას-206-541-07**

**7 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი)**

პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გ. კ-ს სასამართლოს გზავნილი არ ჩაბარებია, ვინაიდან სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ მ. კ-მ თავად აღიარა, რომ ადვოკატის ტექნიკური შეცდომის გამო სარჩელში მის მიერ არასწორად იქნა მითითებული გ. კ-ის მისამართი, რომელზეც გაეგზავნათ გზავნილი უ. და გ. კ-ებს ხოლო მათ სახელზე გამოგზავნილი არცერთი უწყება მას პირადად არ ჩაუბარებია, ხოლო გზავნილზე ხელმოწერა — „მ.კ-ე“ მისი განმარტებით შეიძლება არის მ. კ-ის ცოლი. მართალია მხარეები ერთ სახელში ცხოვრობენ, მაგრამ ისინი წარმომადგენენ მოწინააღმდეგე მხარეებს, ანუ მათ აქვთ ურთიერსაწინააღმდეგო ინტერესები, ამიტომ ერთი მხარის ოჯახის წევრისათვის უწყების ჩაბარება არ შეიძლება ჩაითვალოს მეორე მხარის ოჯახის წევრის ჩაბარებად, თუნდაც ისინი ერთსადაიმავე სახელში ცხოვრობდნენ.

**საქმე № ა-1595-ბ-18-2011**

**4 ივლისი 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უწყების ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-მუხლის პირველი ნაწილი)**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი განსაზღვრავს ადრესატის არყოფნის შემთხვევაში უწყების ჩაბარების წესს. უწყებასთან ერთად ამ ნორმის შინაარსი გულისხმობს სხვა საპროცესო დოკუმენტების ჩაბარებასაც, მათ შორის განჩინების ასლის მხარისათვის გადაცემა. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო, თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით — სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას.



ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ტ. ლ-ძე არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში დ. მ-შვილთან, ის არ შეიძლება მივიჩნიოთ მისი ოჯახის წევრად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ტ. ლ-ძე არ იყო ის უფლებამოსილი პირი, ვისთვისაც შეიძლებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინების ჩაბარება.

**საქმე № ა-2947-ბ-21-2011**

**3 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უწყების ჩაბარება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-მუხლის პირველი ნაწილი)**

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს ქ.ა-ის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი ოჯახის ქმედუნარიანი წევრის მიერ უწყების ადრესატისათვის დროულად გადაუცემლობის ფაქტია და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ განმარტავს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომ უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს, უწყების ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს უდგენს ქმედების განხორციელების ვალდებულებას და აღნიშნული ურთიერთობის რეგულირება სასამართლოს კომპეტენცია არ არის. კანონმდებლის აღნიშნული დასკვნა ორიენტირებულია მხარის მიერ მითითებულ მისამართზე მცხოვრები ოჯახის ქმედუნარიანი წევრისა და უშუალოდ ადრესატის ურთიერთობაზე. გემოაღნიშნული საკანონდებლო დანაწესის სხვაგვარი განმარტება დაუშვებელია.

**საქმე №ას-1650-1547-2012**

**14 იანვარი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საჯარო შეტყობინება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი)**

უსაფუძვლოა კერძო საჩივრის არგუმენტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის თაობაზე, რადგანაც დასახელებული ნორმით (2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი რედაქცია) განსაზღვრულია ქცევის შემდეგი წესი: თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში — მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. აღნიშნული ნორმის ანალიზით დასტურდება მისი გამოყენების წინაპირობები: მხარის ადგილსამყოფელი უცნობი უნდა იყოს ან შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად უნდა იყოს შეუძლებელი. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და კერძო საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მხარის მისამართი სწორია, ხოლო შეტყობინების ჩაბარება შინ მისი არყოფნის მოტივით გახდა შეუძლებელი, აღნიშნული გარემოება კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული საჯარო შეტყობინების სავალდებულო განხორციელებას გამოორიცხავდა.

**საქმე № ას-119-115-2012**

**1 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასარჩელო მოთხოვნის შეცვლა**

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ნ. ბ.მ კ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ქ.თბილისში, დაბა წყნეთში, გ-ის ქ.№ 20-ის მე-3 სართულზე მდებარე № 12 ბინის გამიჯვნა სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2010 წლის 2 სექტემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის № 8790 დასკვნაში მოყვანილი გაყოფის პირველი ვარიანტის შესაბამისად, რაზეც იმსჯელა კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას.

2011 წლის 29 ნოემბერს აპელანტმა განცხადებას დაურთო სსიპ „ლევიან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ახალი 2011 წლის 23 ნოემბრის დასკვნა და დააზუსტა, რომ სააპელაციო საჩივრით ითხოვდა საზიარო უფლების გაუქმებას ხსენებული დასკვნის საფუძველზე.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის შემოსენებული სახით დაზუსტებით აპელანტს არ შეუცვლია სასარჩელო მოთხოვნა, ვინაიდან, როგორც კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, მხარე იმთავითვე ითხოვდა და სააპელაციო საჩივრითაც ადასტურებს, რომ სურს საზიარო უფლების გაუქმება, ხოლო რა სახით მოხდება საზიარო უფლების გაუქმება, დამოკიდებულია საქმის მასალებზე.

**საქმე № ას-519-841-05** **2 ივნისი, 2005 წელი, ქ. თბილისი**  
**განმარტების საგანი: სარჩელის შეცვლა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი)**

სსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება ან დამატება.

მითითებული ნორმის შესაბამისად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მასში მითითებული გარემოებების დაზუსტება ან დამატება, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი უცვლელი რჩება, ზუსტდება ან ემატება ახალი ფაქტები, მაგრამ სარჩელის თავდაპირველი ფაქტობრივი საფუძვლის აზრი და შინაარსი არ იცვლება.

**საქმე № ას-382-691-05** **9 ნოემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**  
**განმარტების საგანი: სარჩელის შეცვლა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი)**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს 1996წ. 12 იანვრის გადაწყვეტილებით თბილისში, ... ა. ჭ.-ის სახელზე მდებარე სახლიდან ფართი გამოეყო ნ. ი.-ს მცირეწლოვან შვილთან ერთად, რაც არ აღსრულებულა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, რომ 1999წ. 18 ივნისს გაფორმდა სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება, რომლის თანახმად ა.ჭ.-ემ ნ.ი.-ის წინაშე იკისრა ვალდებულება, რომ ექვსი თვის განმავლობაში უყიდდა ერთოთახიან ბინას.

ამდენად, აღნიშნული გარიგების თანახმად, ა. ჭ.-ს ექვსი თვის განმავლობაში უნდა შეეძინა ერთოთახიანი ბინა და უსასყიდლოდ გადაეცა იგი ნ. ი.-ისათვის, ანუ მან იკისრა უძრავი ნივთის შეძენის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა შემდეგი საფუძველით: გაიზიარა რა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოება, ჩათვალა, რომ მხარეთა შორის დაიდო ახალი გარიგება, რომლის თანახმად, ა.ჭ.-ემ ნ.ი.-ის წინაშე იკისრა ვალდებულება ბინის შეძენის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება დაარღვია ა. ჭ.-მ, რადგან მოვალის მიერ ვალდებულება დროულად არ შესრულდა, ნ. ი.-მ ითხოვა თანხის გადახდა ან ბინის ყიდვა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე, სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი და არასწორად მიიჩნია, რომ ამ ნორმის თანახმად, ნ. ი.-ს უფლება ჰქონდა, ბინის სანაცვლოდ მოეთხოვა თანხა 8000 აშშ დოლარის ოდენობით. განსახილველი ნორმის გამოყენების საფუძველი

შეიძლება გახდეს ის შემთხვევა, თუ მხარე სარჩელით ითხოვდა ნივთს, ხოლო შემდეგ მოითხოვა ამ ნივთის ღირებულება. აღნიშნული ნორმა არ არის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. იმ შემთხვევაშიც, თუ იარსებებდა სსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოება, სასამართლო ვალდებული იყო შეემოწმებინა ამ მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი საფუძველი.

### **საქმე №ას-1144-1073-2012**

**5 ნოემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სათანადო მხარე იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან წარმოშობილ დავაში**

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგანაც არ არსებობდა სარჩელის აღძვრის წინაპირობები, კერძოდ, საქმეში არასათანადო მოპასუხე მონაწილეობდა. შპს „ა. ი-ის“ წარმომადგენლობა საქართველოში“ უცხოური საწარმოს ფილიალია, ამდენად, საქმეში უშუალოდ „ა. ი-ი“ უნდა ყოფილიყო ჩაბმული. კასატორის ლოგიკით, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სს „ლ. 1-ის“ სარჩელი შპს „ა. ი-ის“ საქართველოს ფილიალის წინააღმდეგ დააკმაყოფილა, ეს უკანასკნელი სათანადო მოპასუხე იყო, ხოლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შემდეგ არასათანადო მხარედ იქცა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ა. ი-ის“ წარმომადგენლობა საქართველოში“ სათანადო მხარეა და განმარტავს, რომ იურიდიული პირის ფილიალის მონაწილეობა საქმეში დასაშვებია. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც იურიდიული პირის ფილიალის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განსჯადობას ადგენს. აღნიშნული მუხლის თანახმად, სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით, შესაბამისად, თუ დავა წარმოიშვა იურიდიული პირის ფილიალის როგორც სამეწარმეო, ისე სხვა სახის კერძოსამართლებრივი საქმიანობიდან, იგი საქმის განხილვაში დამოუკიდებლად მონაწილეობს. განსახილველ შემთხვევაში, დავა შეეხებოდა სს „ლ. 1-ის“ მიერ შპს „ა. ი-ის“ საქართველოს ფილიალისათვის გაწეული მომსახურების საფასურის ანაზღაურებას, ანუ სარჩელი შპს „ა-ის“ საქართველოს წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარეობდა.

### **საქმე №3კ/466-01**

**17 ოქტომბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სარჩელის წარდგენა სოლიდარული მოვალეების მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას სასამართლოს მიერ კანონის არასწორად განმარტების შესახებ, რადგან დადგენილია, რომ რ. ტ-შვილი და ა. დ-ური ერთობლივი საქმიანობის მონაწილენი იყვნენ და გ. ა-იას მიმართ მათ წარმოემვათ ფულადი ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლით, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთგვარადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. ამავე კოდექსის 464-ე მუხლით სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა კანონის საფუძველზე. კერძოდ, ასეთი ვალდებულება წარმოიშობა სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლით, რომლის საფუძველზეც ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულები-სათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ამდენად, მოცემულ საქმეში სასამართლომ მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობას სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცა და სწორად გამოიყენა და განმარტა სამართლის ნორმები.

პალატა ასევე, ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილი. აღნიშნული ნორმა არეგულირებს საპროცესო თანამონაწილეობის საფუძვლებს, რომელიც სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ.

სასამართლო აღნიშნული ნორმის საფუძვლებზე საქმეში მოპასუხედ ვერ ჩააბამდა ა. დ-ურს (სოლიდარულ მოვალეს), რადგან, ჯერ ერთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით აღიარებული დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ; მეორე, სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლით, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს, როგორც მთლიანად, ასევე, ნაწილობრივ. გ. ა-იმ მხოლოდ ერთ-ერთი მოვალის რ. ტ-შვილის მიმართ მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა ფულადი ვალდებულების შესრულება. მითითებული ნორმიდან გამომდინარე სასამართლო არ იყო ვალდებული თავისი ინიციატივით მოპასუხედ ჩაება მეორე სოლიდარული მოვალეც.

### **საქმე № ას-377-694-09**

**29 ოქტომბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: საპროცესო თანამონაწილეობა**

რაც შეეხება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვას, სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი განხილულია საპროცესო ნორმათა დარღვევით და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე უნდა გაუქმდეს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ი. თ-შვილს დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრება იმავდროულად არ ნიშნავს მეორის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრებასაც, თუმცა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გაუქმებამ შეიძლება გამოიწვიოს მეორის მიმართაც გადაწყვეტილების გაუქმება, რაც გამომდინარეობს დავის საგნის განუყოფელობიდან.

### **საქმე № ას-597-903-09**

**7 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სოლიდარული ვალდებულების არსებობისას სავალდებულო თანამონაწილეობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი)**

2007 წლის 8 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნით მიმართა სს „ბანკი ....“ (შემდგომ სს „პ. ბ. კომპანია“, ამჟამად სს „პ. ბ. კომპანია“) მოპასუხე შ. ძ-ის მიმართ.

საქმეში არსებული, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 ნოემბრის განჩინებით დგინდება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც შემდგომ გაუმართლებელი გამოდგა და სს „ბანკი ....“ ზიანი მიაყენა, გამოყენებულია შ. ძ-ის, გ. შ-ას და სხვათა მიერ (ტ.1, ს.ფ.183-184). საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ სოლიდარულ ვალდებულებას და რომ შ. ძ-ე წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლიდან გამომდინარე, სოლიდარული ვალდებულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მოვალე ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების ერთჯერადი მოთხოვნის უფლება. თავის მხრივ, იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელიც მთლიანად ანაზღაურებს ზიანს, აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივად, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით განისაზღვრა არამართ შ. ძ-ის, არამედ — სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების სხვა ავტორთა ვალდებულებაც,

რამდენადაც გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შ. ძ-ის წარმოება უკუმოთხოვნის უფლება მისი წილის გათვალისწინებით დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართ. ამდენად, დადგენილია ამ უკანასკნელთა სოლიდარული ვალდებულების არსებობა ისე, რომ ისინი საქმის განხილვაში მოწვეული არ ყოფილან.

რამდენადაც ამ შემთხვევაში სახეზეა სავალდებულო თანამონაწილეობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს დანარჩენი სოლიდარული მოვალეები (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ის ავტორები, რომლებიც მხარს უჭერდნენ სარჩელს სს „ბანკი ...“ მიერ მშენებლობის კონვერსაციის სამუშაოების განხორციელების მდგომარეობით). სააპელაციო სასამართლომ ისინი, როგორც სავალდებულო თანამოპასუხეები, საქმეში უნდა ჩააბას თავისი ინიციატივით და მათი მონაწილეობით მოახდინოს საქმის გადაწყვეტა, ან საქმე განიხილოს მათი მონაწილეობის გარეშე იმგვარად, რომ, თუკი მოსარჩელე სს „ბანკი ...“ (ამჟამად სს „პ. ბ. კომპანია“) თანახმა იქნება და შეამცირებს მოთხოვნის ოდენობას, განსაზღვროს მხოლოდ შ. ძ-ის შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა მთლიან სოლიდარულ ვალდებულებაში მისი წილის გათვალისწინებით და მხოლოდ ამ ფარგლებში დააკმაყოფილოს სარჩელი.

### **საქმე № ას-101-417-05**

**30 მარტი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: საპროცესო თანამონაწილეობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე და 87-ე მუხლები)**

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის და მისი თანმხლები პირების გამოსახლება ქ. თბილისში, № 21 ბინიდან.

მოცემულ საქმეზე სარჩელის მიხედვით მოპასუხეები არიან ნ. კ.-ე და მისი თანმხლები პირები (თანმხლებ პირთა ვინაობა დაუდგენელია, ვინაიდან სარჩელში მათი ვინაობა მითითებული არ არის და არც სასამართლოს დაუდგენია ამ პირთა წრე), ანუ სახეზეა საპროცესო თანამონაწილეობა.

სსკ-ის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

ამავე კოდექსის 87-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თანამონაწილენი სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს, ხოლო მე-2 ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, თანამონაწილეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მიანდონ ერთ-ერთ თანამონაწილეს.

მოცემულ შემთხვევაში ნ.კ.-ეს მის თანმხლებ პირთა მიერ გაცემული მინდობილობა საქმის წარმოების მინდობის შესახებ არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, დანარჩენი თანამოპასუხეები სარგებლობდნენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რაც მინიჭებული აქვს მოპასუხეს, ანუ ისინი სასამართლო პროცესზე მოწვეულნი უნდა ყოფილიყვნენ კანონით დადგენილი წესით და მხოლოდ მათი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყო უფლებამოსილი სასამართლო მათ წინააღმდეგ გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

### **საქმე № ას-759-1085-07**

**2 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: საპროცესო თანამონაწილეობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე და 87-ე მუხლები)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თანამონაწილეობა სავალდებულოა, თუ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილე-

ობის გარეშე საქმის განხილვა, ვინაიდან გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მხოლოდ მოდავე მხარეებზე გავრცელდება.

### **საქმე № ას-196-514-05**

**22 ივლისი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: საპროცესო უფლებამონაცვლეობა**

საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს ვალის გადაცემა. ვალის გადაცემა (გადაკისრება) გათვალისწინებულია სკ-ის 203-ე მუხლით, რომლის თანახმად, მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმა. ასეთ შემთხვევაში პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ვალი, დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ თავდაპირველი მოვალე გვევლინება საქმეში მოპასუხედ, ვალის გადაკისრების შემთხვევაში მის საპროცესო უფლებამონაცვლედ მოგვევლინება პირი, რომელსაც გადაეცა (გადაეკისრა) ვალი.

### **საქმე № ას-747-700-2010**

**28 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: საპროცესო უფლებამონაცვლეობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი)**

ლ. შ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინება ლ. წ-ძის უფლებამონაცვლედ ლ. შ-ძის ჩართვის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით:

უდავოა, რომ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „... 17-ის“ წევრს წარმოადგენდა ლ. წ-ძე, რომელსაც 2003 წლის 15 თებერვალს ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილებით მიეკუთვნა 156.1 კვ.მ № 16 ბინა. აღნიშნული ბინა ლ.წ-ძემ 2003 წლის 21 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა ლ. შ-ძეს, რის საფუძველზეც ეს უკანასკნელი საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღირიცხა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა დასაშვებია პროცესის ყველა სტადიაზე.

აღნიშნული ნორმის ანალიზით, საპროცესო უფლებამონაცვლეობისას მხარე ამა თუ იმ საფუძვლით გადის სადავო ურთიერთობიდან და მისი უფლებები და მოვალეობები გადადის უფლებამონაცვლეზე. ამდენად, ამ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა შეცვლა ხდება, როგორც პროცესუალური ასევე მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით. ამავდროულად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა უალტერნატივოდ ეფუძნება სასამართლო წესით სადავო უფლებაზე პრეტენდენტის უფლებამოსილებას, ხოლო მოვალე პირის უფლებამონაცვლის დადგენისას — ამ პირის მიერ ვალდებულების უტყუარად შეძენის ფაქტს. ამდენად, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება მატერიალურ სამართალს, ანუ საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაიშვება იმ შემთხვევაში, თუკი მატერიალური სამართალი უშვებს უფლებამონაცვლეობას.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა გარკვეულწილად დაკავშირებულია და ემსგავსება სათანადო მხარის ინსტიტუტს, რაც მოწესრიგებულია სსკ-ის 84-ე და 85-ე მუხლებით. ამ საკითხთან დაკავშირებით საპროცესო კოდექსს საფუძვლად უდევს პრინციპული გაგება, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით სწორი მატერიალურსამართლებრივი შედეგი მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც დავა გადაწყდება „სწორად“ ჩართულ მხარეებს შორის, თუმცა ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითი განსხვავებაა: საპრო-

ცესო უფლებამონაცვლეობისას მხარე ამა თუ იმ საფუძვლით გადის სადავო ურთიერთობიდან და მისი უფლებები და მოვალეობები გადადის უფლებამონაცვლეზე, ხოლო მხარის არასათანადოობა მაშინ დგინდება, როდესაც მხარეს სადავო მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა უშუალოდ არ ეხება და მას ეს უფლებები არც გააჩნია. ამასთან, უდავოა, რომ სასამართლომ პირის უფლებამონაცვლედ ჩართვის, მისი მატერიალურსამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულების შექმნის კანონიერებაც უნდა შეამოწმოს, რომ პროცესი მატერიალურსამართლებრივი კუთხით „სწორად“ განსაზღვრულმა მხარეებმა მართონ.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს რა კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, აღნიშნავს შემდეგს:

ნ.ბ-ია-რ-ივას სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომ საბინაო ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილებით მოსარჩელის, როგორც ამხანაგობის წევრის, წილი დანარჩენი ამხანაგობის წევრთა მიერ არასწორად განისაზღვრა. სარჩელი დაფუძნებულია მოდავე მხარეთა შორის არსებულ ამხანაგობის ხელშეკრულებაზე.

ამდენად, მოსარჩელის მიერ სადავოდ მიჩნეული უფლება ემყარება ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას — ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებას და ამ ურთიერთობის ფარგლებში მოსარჩელე მოპასუხეებისაგან ითხოვს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას. ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, სუბიექტებს მოთხოვნის უფლება მხოლოდ ერთმანეთის მიმართ და ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში გააჩნიათ.

საკულისხმოა, რომ მატერიალური სამართალი ითვალისწინებს უფლებამონაცვლეობას (უნივერსალური ანუ ზოგადი უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა: მემკვიდრეობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია და სხვა) და სინგულარული(კერძო) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება(მოთხოვნის დათმობა). ამასთან, უფლებამონაცვლეობა არსებობს, როდესაც პირს წინამორბედისაგან რომელიმე სამართლებრივი (მემკვიდრეობითი, საოჯახო, ვალდებულებითი) საფუძვლით შექმნილი აქვს უფლება-მოვალეობანი.

ასეთი ვითარება მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება, ვინაიდან ლ.შ-ძემ ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა უძრავი ნივთი, რომლის უფლებრივი ნაკლი (მასზე სხვა პირის უფლება) კანონით გათვალისწინებული წესით (სამოქალაქო კოდექსითა და საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონით) არ დასტურდება. ლ.შ-ძე ამხანაგობის სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ ჩართულა, იგი ნასყიდობის ხელშეკრულების სუბიექტია და შესაბამისად ამ ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება, დაეკისროს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობიდან გამომდინარე, ამხანაგობის ხელშეკრულების უფლება-მოვალეობანი მხოლოდ კონტრაჰენტებს შორის წარმოიშობა და არსებობს. ვალდებულება ხელშეკრულების შედეგად მიღებულ მატერიალურ სიკეთეს, მოცემულ შემთხვევაში ნივთს კი არ მიყვება, არამედ ვალდებულების შესრულება კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს აკისრია და მან უნდა შეასრულოს ვალდებულება.

**საქმე № ას-154-148-2012**

**19 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საპროცესო უფლებამონაცვლეობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო

დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია, მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). გემოაღნიშნული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი წინაპირობა არის მოთხოვნის დათმობა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა შეიძლება პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაზეც. ხოლო მოთხოვნის დათმობა კი, შეიძლება მანამ სანამ მოთხოვნა ჯერ კიდევ არსებობს და ვალდებულება არ არის შესრულებული მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უ. მ-ისა და ი. წ-ის უფლებამონაცვლეობად ცნობასთან დაკავშირებით მართებულია.

**საქმე №ას-957-899-2012**

**23 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საპროცესო უფლებამონაცვლეობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალების, იურიდიული პირის რეორგანიზაციის, მოთხოვნის დათმობის, ვალის გადაცემისა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა ესაა საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების ერთი სუბიექტიდან მეორეზე გადასვლა, უფლებამონაცვლის მიერ წინამორბედი სუბიექტის საპროცესო მდგომარეობის იმ მოცულობით დაკავება, როგორც ეს უფლების თავდაპირველ მფლობელთან იყო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია, მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). გემოაღნიშნული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი წინაპირობა არის მოთხოვნის დათმობა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა შეიძლება პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ხოლო მოთხოვნის დათმობა კი, შეიძლება მანამ, სანამ მოთხოვნა ჯერ კიდევ არსებობს და ვალდებულება არ არის შესრულებული მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე.

ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ. დადგენილია, რომ 2012 წლის 8 მაისის განჩინებით აპელანტებს დაუდგინდათ ხარვეზი და დაევალათ სახელმწიფო ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 5 000 ლარის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარმოდგენა და შემდგომში სასამართლოს მიერ არაერთხელ გაგრძელდა. 2012 წლის 23 მაისს ნ.გ-მ, დ.წ-მ, ქ.ჯ-მა, გ.ჩ-მ, ო.ლ-მ, ზ.ლ-მ, მ.ბ-მა, მ.ს-მ, ზ.წ-მ, ნ.მ-მა, ნ.ბ-მ და ე.ბ-მა მოთხოვნა დაუთმეს გ. ბ-ს.

ამდენად, ვინაიდან მოთხოვნის დათმობა განხორციელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენისა და არაერთხელ გაგრძელების შემდეგ, აღნიშნული განჩინების შესრულება სავალდებულო იყო გ. ბ-ისათვის, როგორც მოთხოვნის შემძენისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან.



საქმე № ას-449-424-2011

10 მაისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა**

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია ადვოკატ დ. გ-ის სახელზე გაცემული ორდერი, რომელიც მას ანიჭებს უფლებას თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიცვას ვ. პ-ისა და ე. პ-ის ინტერსები სამოქალაქო საქმეზე (ს.ფ. 170). საკასაციო პალატა აღნიშნავს, გარდა იმისა, რომ მითითებული ორდერი ადვოკატ დ. გ-ს ანიჭებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებას, იგი არ შეიცავს მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილებაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ორდერი ასეთ მითითებას რომც შეიცავდაც, ეს არ იქნებოდა საკმარისი საფუძველი ადვოკატის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის, ვინაიდან მისთვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში და არა ორდერში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან ადვოკატ დ. გ-ს არ ჰქონდა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ამიტომ იგი არ იყო უფლებამოსილი მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის მისთვის ჩაბარება სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლის საფუძველი ვერ გახდება.

საქმე № ას-14-13-2010

1 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა საპროცესო თანამონაწილეობის დროს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი)**

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უარი ლ. კ-აკის წარმომადგენლად დაშვებაზე ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმად, პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში. კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ არგუმენტს არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ იგი, როგორც თანამონაწილე სუბიექტი, მეორე თანამონაწილის (ქ. შ-ია) ნების არსებობის პირობებში, უფლებამოსილი იყო სააპელაციო სასამართლოში წარმოედგინა ქ. შ-იას ინტერესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლი შეიცავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება გამოვიდნენ წარმომადგენლებად სასამართლოში. აღნიშნულ ჩამონათვალში დასახელებულია ერთ-ერთი თანამონაწილე დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით. მოცემულ მუხლში საუბარია იმ საგამონაკლისო შემთხვევებზე, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსახორციელებლად არ არის აუცილებელი, რომ პირი იყოს ადვოკატი. შესაბამისად, სადავო საკითხის სწორად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია გაირკვეს, მოპასუხეებთან მიმართებით სახეზეა თუ არა თანამონაწილეობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლი განსაზღვრავს თანამონაწილეობის წარმოშობის საფუძვლებს, კერძოდ, მითითებული საპროცესო ნორმის მიხედვით, თანამონაწილეობა გვაქვს მაშინ: ა. როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება; ბ. სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან; გ. სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

საქმის მასალების თანახმად, ლ. ჩ-ძის სარჩელის მოთხოვნა მიმართულია მოპასუხეების — ლ. კ-აკისა და ქ. შ-იას მიმართ და მდგომარეობს დასახელებული პირებისათვის მის სასარგებლოდ თანხების დაკისრებაში. მოსარჩელის აღნიშნული მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველია ის გარემოება, რომ ლ. კ-აკს ამხანაგობის შექმნამდე კონკრეტული ვალდებულების შესრულების მიზნით გადაერიცხა განსაზღვრული

ოდენობის თანხები, ერთ შემთხვევაში მისთვის განკუთვნილი თანხა გადაირიცხა მისივე მეუღლის — ქ. შ-იას სახელზე. მიუხედავად ამისა, მხარეს ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია (ტომი I, ს.ფ. 1-11, 216-218, ტომი II, ს.ფ. 63-66). პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო თანხები, რომლებიც ამხანაგობის შექმნამდე მოპასუხეებს, მათ შორის, ქ. შ-იას გადაეცა, განკუთვნილი იყო ლ. კ-აკისათვის კონკრეტული მიზნით, სხვადასხვა ხარჯების საკომპენსაციოდ, ასევე ახლად აშენებულ ბინებში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად (ტომი II, ს.ფ. 86-92). ს.ფ. 17-ზე (ტომი II) წარმოდგენილია რწმუნებულება, რომლითაც ქ. შ-ია უფლებას ანიჭებს ლ. კ-აკს, რომ ყველა ინსტანციის სასამართლოში დაიცვას მისი ინტერესები.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალების შეფასება იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ლ. კ-აკი და ქ. შ-ია წარმოადგენენ თანამონაწილე პირებს, რამდენადაც როგორც ზემოთ აღინიშნა, სადავო მათთვის საერთო მიზნებით გადაცემული თანხის დაბრუნება. აღნიშნული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე ერთ-ერთი თანამონაწილის — ლ. კ-აკის მეორე თანამონაწილის — ქ. შ-იას წარმომადგენლად დაშვების საფუძველია.

### **საქმე №ას-1614-1608-2011**

**21 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: სამოქალაქო საქმის განხილვაში ორდერის საფუძველზე მონაწილე ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლები**

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძველით, რომ აპელანტის ადვოკატი, ა. თ-ი, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირად, ვინაიდან იგი არ იყო აღჭურვილი ასეთი უფლებამოსილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე და 98-ე მუხლების შესაბამისად გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს ადვოკატის უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საქმის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ ადვოკატის ორდერის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ ადვოკატები. ამავე კოდექსის 96.3 მუხლის მიხედვით, ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების წესსა და პირობებს განსაზღვრავს „ადვოკატთა შესახებ“ კანონი. მითითებული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ამავე კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

ზემოხსენებული კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის უფლებებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, ადვოკატს უფლება აქვს ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან ცალსახად გამომდინარეობს ადვოკატის უფლებამოსილება, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი — მინდობილობა ან ორდერი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიქმნავენ და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ასევე საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა. მინდობილობის გაცემის წესს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი, ხოლო, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიქმნავენ და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილია ადვოკატთა ასოციაციის წევრის ორდერის სავალდებულო მოთხოვნები.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და გაცემული ორდერი უფლებას ანიჭებს ადვოკატს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში. ასეთივე უფლებამოსილებას ადვოკატს ანიჭებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული მინდობილობა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა. მითითებული ნორმის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული ნორმა ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადაა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარწმუნებლის მიერ თავისი მატერიალურსამართლებრივი უფლების განკარგვას და ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ორდერის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია

შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რაც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში, და რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარწმუნებელს. ცხადია, ადვოკატის მიერ ასეთი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონით გათვალისწინებული მხარისათვის არასასურველი საპროცესო შედეგის დადგომას.

**საქმე № ას-1025-961-2010**

**20 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა მარწმუნებლის მიერ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენელს. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეს შეუძლია თავის წარმომადგენელს ნებისმიერ დროს შეუწყვიტოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, თუმცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა სასამართლოსათვის იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მხარე აღნიშნულის თაობაზე აცნობებს როგორც წარმომადგენელს, ისე სასამართლოს. კანონის ამ დანაწესის დაუცველობა ართმევს მხარეს უფლებას, პრეტენზია გამოთქვას სასამართლოს მიერ იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულებასთან დაკავშირებით, რაც სასამართლომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის დასაბუთებული ვარაუდით განახორციელა.

**საქმე № ას-1656-1644-2011**

**8 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მტკიცების ტვირთი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით ამომწურავადაა რეგლამენტირებული მხარის საპროცესო უფლებები და აღნიშნულია მის მიერ მტკიცებულებათა წარდგენის აუცილებლობის თაობაზე. უფრო მეტიც, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულია მტკიცების სტანდარტი და დადგენილია მხარეთა შორის მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცების განაწილების წესი. კანონის დასახელებული ნორმების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

კანონმდებლის მითითებული მითითებანი ემყარება მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რადგანაც შეჯიბრებითი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფარგლებში სასამართლო მხოლოდ მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში ადგენს ფაქტებს და ახდენს მათ სამართლებრივ შეფასებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარე კანონის საფუძველზეა გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ეს სწორედ მოდავე სუბიექტის მტკიცების ტვირთია, რომელიც ვალდებულია, უტყუარი მტკიცებულებით დაადასტუროს სასამართლოს წინაშე ზემოაღნიშნული. სააპელაციო სასამართლო, მსგავსად პირველი ინსტანციისა თუ საკასაციო სასამართლოსი, საჩივრის წარმოებაში მიღებისას, თუ მას არ ერთვის შესაბამისი მტკიცებულება, ვალდებულია მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის ფარგლებში შეამოწმოს, ხომ არ არის სახეზე მხარის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული ისეთი წინაპირობა, რაც შესაბამისი მტკიცებულების წარდგენას არ მოითხოვს და დავის არსიდან გამომდინარეობს (მაგალითად დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანი, ალიმენტი და სხვა), ასეთის არარსებობის შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლო არაა უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები და ამ გზით დაადგინოს ესა თუ ის გარემოება.

**საქმე №ას-711-670-2011**

**15 სექტემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მტკიცებულებათა შეფასება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი)**

სააპელაციო პალატამ გააკეთა დასკვნა იმის თაობაზე, რომ ქ. ფ-ას მიერ მ. ბ-ისათვის სესხის სახით 10000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი საქმის მასალებიდან არ დასტურდება. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სესხის ხელშეკრულების დადების დადასტურების მიზნით წარმოდგენილი თანხის გადარიცხვის საბანკო ამონაწერით დასტურდება, რომ თანხის მიმღები ვინმე მ. კ-აა, და არა მ. ბ-ი. ამდენად, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა არა თუ სესხის სახის ხელშეკრულების დადების ფაქტი, არამედ ხელშეკრულების მხარე, რომლის წინაშეც მან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება შეასრულა.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატის ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

მ. ბ-ისათვის თანხის გადახდის ფაქტის უარყოფისას სასამართლო მსჯელობს მხოლოდ ბანკის მეშვეობით თანხის გადარიცხვის ქვითარზე და საერთოდ არ აფასებს მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილ სხვა მტკიცებულებებს, თუნდაც წინასწარი გამოძიების დროს მ. ბ-ის მოწმედ დაკითხვის ოქმს. ამ დოკუმენტიდან გარკვევით ჩანს თუ ვინ არის აღნიშნული თანხის გადაცემის ადრესატი და რა არის ამ თანხის გადახდის მიზანი. აღნიშნული მტკიცებულება ჩვეულებრივი წერილობითი მტკიცებულებაა, რომელიც ადასტურებს თანხის გადაცემის ფაქტს მ. ბ-ის და არა ქ. ფ-ას საჭიროებიდან გამომდინარე. სასამართლო ვალდებულია შეაფასოს ეს მტკიცებულება და უარყოს ან გაიზიაროს იგი

**საქმე №ას-889-932-2011**

**12 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მტკიცებულებათა შეფასება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი)**

მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი თვალსაზრისით: მათი სარწმუნოობისა თუ არასარწმუნოობის თვალსაზრისით და ასევე იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას, ამასთან, სასამართლო ვალდებულია, მოწმის ჩვენებაც და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით. აღნიშნული გულისხმობს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულებას, ფიზიკურ მდგომარეობასა და სხვა) განხილვას და გამორიცხვას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოწმის ჩვენების სისწორეზე. მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენით არ ნიშნავს სრულიად დაუსაბუთებელი დასკვნების გაკეთების უფლებას. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს მოსაზრებებზე, რის გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები — არასარწმუნოდ. გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება დაუსაბუთებლად, თუ მასში არ არის მითითებული, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა სასამართლო, როცა საქმეში არსებული ესა თუ ის მტკიცებულება შეაფასა ასე და არა სხვაგვარად.

**საქმე №ას-1320-1246-2012**

**12 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი)**

საკასაციო სასამართლო ამ მოსაზრებას არ იზიარებს და განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ

დამტკიცებას არ საჭიროებენ. ამგვარად მიიჩნევა ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს.

აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის ფაქტის „საყოველთაოდ ცნობილობა“ სუბიექტური შეფასების საგანი არაა. ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური გარემოებების შედეგად, მის შესახებ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ინფორმირებული. როგორც ცნობილია, ადამიანებს თავიანთი ასაკის, სოციალური თუ სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით, განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ და განსხვავებულ ინფორმაციაზე მიუწვდებიან ხელი. შესაბამისად, იმისათვის, რომ კონკრეტული ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად ჩაითვალოს, უნდა შეფასდეს მისი გავრცელების ფორმა, არეალი და მნიშვნელობა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საყოველთაოდ ცნობილად ისეთი ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს, რომელზეც ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ადამიანს ერთნაირად მიუწვდება ხელი და თითოეულ მათგანს ერთნაირად შეიძლება მოეთხოვოს მისი ცოდნა, ასაკისა თუ სტატუსის მიუხედავად. ამ ტიპის ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ქვეყანაში არჩევნების ჩატარება, ვინაიდან, აღნიშნულთან დაკავშირებული აქტიური წინასაარჩევნო კამპანიის, მედიასაშუალებების მიერ მიწოდებული ინფორმაციის, აგრეთვე სხვადასხვა პირების თუ ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, თუნდაც მინიმალურ ინფორმაციას მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობა ფლობს, მათ შორის ის ფენებიც, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, არ ღებულობენ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მესტიის ცენტრის რეაბილიტაცია საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად ვერ იქნება მიჩნეული. იმ ვარაუდის შემთხვევაშიც კი, რომ მოსახლეობის ნაწილმა მედიასაშუალებებით მიიღო ინფორმაცია ტურისტების მოზიდვის მიზნით მესტიის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის განხორციელების შესახებ, დაინტერესებული პირების გარდა, არავის მოეთხოვება იმის ცოდნა, თუ კონკრეტულად რა ღონისძიებებს გულისხმობდა აღნიშნული პროგრამა. ის გარემოება, რომ ზოგადად მესტიის რეაბილიტაცია ხორციელდებოდა, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი მხოლოდ თავად დაბა მესტიაში მცხოვრები პირებისათვის, მაგრამ მათაც კი არ მოეთხოვება იმის ცოდნა, კონკრეტულად რა სამუშაოები უნდა შესრულებულიყო პროექტის ფარგლებში. მით უფრო ვერ ჩაითვლება საყოველთაოდ ცნობილად ის ფაქტი, რომ მესტიის გამგეობა ა. ჩ-ის კუთვნილ სახლს არემონტებდა.

**საქმე № ას-1142-1388-05**

**6 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ მხოლოდ გადაწყვეტილებას შეიძლება ჰქონდეს პრეიუდიციული ძალა და არა განჩინებას; საპროცესო კანონმდებლობა, როგორც წესი, გადაწყვეტილებაში გულისხმობს, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებას, ასევე, განჩინებას და დადგენილებას; გადაწყვეტილება სასამართლოს დადგენილებაა, რომლითაც საქმე არსებითად წყდება, ხოლო განჩინება ის დადგენილებაა, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება; განსხვავება სასამართლო დადგენილების პროცესუალურ ფორმაშია; პრეიუდიციულად დამტკიცებულად შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც სასამართლო გადაწყვეტილებით, ისე — სასამართლო განჩინებით დადგენილი ფაქტები.

**საქმე №ას-811-760-2010**

**13 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი)**

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი შეიცავს პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს შეფასების თაობაზე, რომლითაც შ. უ-ძე მიჩნეულია არაკეთილსინდისიერ შემძენად. სასამართლო ასეთი შეფასების გა-

კეთებისას აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ ამ პირისათვის პრესითა და ტელევიზიის მეშვეობით ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ შპს „პ.-ს“ მესაკუთრედ აღიარება სადავო მიწის ნაკვეთზე არ იყო კანონიერი და ამ საქმესთან დაკავშირებით არბიტრის მიმართ განაჩენივ კი იყო დამდგარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული. გამომდინარე ზემოთ მითითებული ნორმიდან, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და მათი შეფასებით დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებანი.

სასამართლოს მიერ ყველა ფაქტობრივი გარემოება დგინდება მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებებიდან. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები. მითითებული ფაქტები განსხვავებით ამავე მუხლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებისაგან საერთოდ არ საჭიროებენ არანაირი დოკუმენტის თუ მტკიცებულების წარდგენას გარკვეული გარემოების დასადგენად. ტერმინი „საყოველთაოდ“ წარმომდგარია სიტყვისაგან „ყველა“, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა ადამიანისათვის, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის მაინც უნდა იყოს ცნობილი ესა თუ ის ფაქტი, საყოველთაოდ ცნობილად რომ მივიჩნიოთ. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოში 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების მიმდინარეობა. მითითებული გარემოება ცნობილია საქართველოს ყველა მოქალაქისათვის და შეუძლებელია, მისი არსებობა ვინმემ გახადოს სადავოდ ან ასეთი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობამ ასეთი ფაქტის დაუდგენლობა განაპირობოს.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მითითებული ფაქტის საყოველთაოდ ცნობილად მიჩნევისათვის უკიდურეს შემთხვევაში არბიტრის პიროვნება მაინც უნდა იყოს ისეთი ცნობილი და პოპულარული, რომ მოსახლეობის ყველა ფენისათვის წარმოადგენდეს ცნობად სახეს და მისი ცხოვრება იწვევდეს საყოველთაო ინტერესს. შესაძლებელია, მისი დაკავება იყოს ისეთი მნიშვნელოვანი მისი არაორდინალურობის ან სხვა გარემოებათა გამო, რომ მან მთელს მოსახლეობაში გამოიწვიოს ცალსახა ინტერესი. საქართველოს სინამდვილეში არბიტრის დაკავება არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ გარემოებად, რომ მას საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი ეწოდოს და მხარის მიერ ყოველგვარი მტკიცებულების წარდგენის გარეშე ცალსახად დადგენილ ფაქტად მივიჩნიოთ.

**საქმე № ას-788-842-2011**

**3 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დასახელებული გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, სადაც მხარედ არ მონაწილეობდა ა. პ.-ი, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს ვერ ექნება პრეიუდიციული მნიშვნელობა განსახილველ საქმეზე. ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს არა როგორც ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას (კონკრეტულ შემთხვევაში პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები), არამედ როგორც სადავო, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, რაც შესაძლებელია დასტურდებოდეს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივი შეფასებით. ამდენად, მითითებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რაც მოითხოვს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასებას (სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილი).

**საქმე № ას-1136-1067-2012**

**11 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, არ საჭიროებს დამტკიცებას.

ამ ფაქტების პრეიუდიციულ მნიშვნელობას განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეების მიმართ. აღნიშნულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას.

ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ფაქტების პრეიუდიციული მნიშვნელობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურსამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება). კონკრეტულ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან ვლინდება, რომ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს გასხვისებული ქონების ღირებულება.

**საქმე № ას-1167-1429-09**

**21 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გარემოების არსებობის ან არარსებობის აღიარება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლის 131-ე მუხლის მიხედვით ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად ცნობისათვის მხარემ ისინი საქმის წარმოებისას უნდა აღიაროს ან ამგვარი აღიარება მისი ქმედებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მართალია, აღიარებისათვის რაიმე განსაკუთრებული საპროცესო ფორმა დადგენილი არ არის, მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, მხარის ზეპირი ან წერილობითი განმარტებებიდან უნდა ირკვეოდეს, რომ მას ნათელი წარმოდგენა აქვს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე და ეთანხმება მათ. ორაზროვანი ან ბუნდოვანი ახსნა-განმარტებები, საიდანაც მხარის ნება ნათლად არ იკვეთება, არ შეიძლება აღიარებად ჩაითვალოს.

**საქმე № ას-1103-1258-08**

**2 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დოკუმენტის ასლის მტკიცებულებითი ძალა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლი)**

კანონის ეს დანაწესი გამორიცხავს მტკიცებულების გაყალბების საშიშროებას, ვინაიდან ტექნიკის განვითარებამ ამგვარი შესაძლებლობები გაამარტივა და იმპერატიულად ადგენს, რომ წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, დედნის სახით უნდა წარედგინოს. ამასთან, იგივე კანონი იძლევა იმის შესაძლებლობასაც, რომ სასამართლოს დასაბუთებული მოსაზრებით დოკუმენტის ასლსაც მტკიცებულებითი ძალა



მიენიჭოს, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის გარემოება ცალსახად დადგენილია და მტკიცებულებაში მითითებული ცნობები არ საჭიროებს შეფასებას. კანონის ეს დანაწესი იძლევა მხოლოდ იმის საშუალებას, რომ წერილობითი საბუთის ასლიც მტკიცებულებითი ძალის მქონედ იქნეს მიჩნეული. დოკუმენტის ასლისათვის ამგვარი სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე, რომელიც უჭველად უნდა ემყარებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. კანონის ეს დანაწესი არ გულისხმობს მტკიცებულების შეფასებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მტკიცებულებათა ერთპიროვნულ, ინტუიციურ შეფასებას, არამედ მტკიცებულებათა ინდივიდუალურად და ერთობლიობაში განხილვას. ცალკეული მტკიცებულებების გამოკვლევისას მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი საეჭვოობა და დიდი ალბათობით უნდა დადგინდეს მისი უტყუარობა.

### **საქმე №ას-773-723-2010**

**13 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დოკუმენტის ასლის მტკიცებულებითი ძალა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მიხედვით, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება გათავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

მითითებული კანონის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მტკიცებულებითი მნიშვნელობა მინიჭოს წერილობითი მტკიცებულების ასლს, თუ ჩათვლის, რომ დოკუმენტის დედნის წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო. შესაბამისად, კანონმდებელი აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას ცალსახად სასამართლოს შეხედულებას უკავშირებს.

### **საქმე № ას-967-1246-09**

**3 აგვისტო, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მიხედვით, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება გათავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

აღნიშნული ნორმის ანალიზიდან ნათლად ირკვევა, რომ მტკიცებულების ძალა დოკუმენტის დედანს აქვს და სასამართლოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეუძლია დოკუმენტის ასლი მტკიცებულებად მიიჩნიოს. ამისათვის მხარემ უტყუარად უნდა დაადასტუროს, რომ დოკუმენტის დედანი არსებობს ან არსებობდა, მაგრამ მას, ობიექტური მიზეზების გამო, არ შეუძლია მისი წარმოდგენა. ის გარემოება, რომ დოკუმენტის დედანი თავის დროზე შეიქმნა შესაბამისი ორგანოს ან პირის მიერ, მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებიდან ნათლად უნდა დასტურდებოდეს.

**საქმე №ას-1057-1330-04**

**5 აპრილი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წერილობითი მტკიცებულების ნამდვილობა**

სსკ-ის 132-ე მუხლით დადგენილია რა აღიარების, როგორც მტკიცებულების წერილობითი ან გეპირი ფორმა, ფაქტის აღიარების შესახებ მხარეს შეუძლია ჩამოაყალიბოს თავის შესაგებელში საქმის წინასწარი განხილვისათვის მომზადების დროს. აღიარება ნამდვილია, თუ იგი გამოხატავს ამღიარებლის თავისუფალ ნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ დამტკიცება ნების არარსებობა, აღიარება გაქარწყლდება. ამავე კოდექსის 133-ე მუხლით მხარეს შეუძლია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გააქარწყლოს (უარყოს) თავისი აღიარება, თუ დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა მასზე ფსიქიკური თუ ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც გამორიცხავდა მის თავისუფალ ნებას. ამავე მუხლის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ აღიარების უარყოფა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში. ამდენად, აღიარების გაქარწყლება დასაშვებია, თუ დაცული იქნება მითითებული ნორმით განსაზღვრული პირობები და მისი უარყოფა დადასტურებულ იქნება სასამართლო გადაწყვეტილებით.

სსკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, მხარეს უფლება აქვს განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. მხარე, რომლის მიერაც იყო წარდგენილი ასეთი საბუთი, ან რომლის შუამდგომლობითაც სასამართლომ იგი გამოითხოვა, ვალდებულია დაამტკიცოს ამ საბუთის ნამდვილობა. მას შეუძლია, აგრეთვე, სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებიდან სადავო საბუთის გამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე. სასამართლო გამორიცხავს ამ საბუთს მტკიცებულებიდან იმ პირობით, თუ მეორე მხარე არ არის წინააღმდეგი. თუ მეორე მხარე წინააღმდეგია, სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც დანიშნავს ექსპერტიზას ან გამოითხოვს სხვა მტკიცებულებებს.

**საქმე № ას-631-592-2011**

**26 სექტემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: წერილობითი საბუთის ნამდვილობის ვარაუდი**

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წერილობითი საბუთის ნამდვილობის ვარაუდი (პრეზუმფცია) გაქარწყლდება მოწინააღმდეგე მხარის უბრალო უარყოფის საფუძველზე, ანუ განცხადების მისი სიყალბის თაობაზე. აღნიშნული უარყოფის შემთხვევაში სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია, გამოიკვლიოს ამ საბუთის კანონიერების ფაქტი და ამ საკითხის გარკვევაში იგი არ არის შეზღუდული მხარეთა მითითებებითა და შუამდგომლობებით. შეჯიბრებითობის პრინციპი (სსსკ-ის მე-4 მუხლი) არანაირად არ გამორიცხავს მოსამართლის აქტიურობის როლს, რაც მეტად მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ შეჯიბრებითობის მართვისათვის. ამის ნათელი მაგალითია კანონის დანაწესი, რომლის თანახმად მოსამართლეს თავისი ინიციატივით შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა, როდესაც მხარეთა შორის დავას იწვევს წერილობითი საბუთის ნამდვილობა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევია, რომ სადავო ხელწერილები განხილვის საგანს წარმოადგენდნენ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების სტადიაზე, რომელზედაც მხარე სადავოდ ხდიდა მათი ნამდვილობას.

**საქმე №ას-913-1220-07**

**28 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მტკიცებულებათა დასაშვებობა**

კონკრეტული სამართალურთიერთობის გათვალისწინებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია სამოქალაქო (მატერიალურ) — სამართლებრივ ნორმაზე და კონკრეტული მატერიალურსამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა საშუალებების დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვებისა თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც ერთობლიობაში უტყუარად მიუთითებენ ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებებზე.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობის წესების გამოყენების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების საგნის დიფერენცირებას. კონკრეტულ შემთხვევაში, ისეთი ფაქტების დადგენას, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ ვალდებულების შესრულებასთან.

**საქმე №ას-1154-1416-09**

**1 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მტკიცებულებათა დასაშვებობა**

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2007 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო;

წინასწარი გამოძიების პროცესში წარდგენილ იქნა ფარული აუდიოჩანაწერი, რომელიც ასახავს მ. ნ-ძესა (მოპასუხე ო. ნ-ძის მეუღლე) და ნ. ქ-შვილს შორის გამართულ საუბარს. აღნიშნული აუდიოჩანაწერი, როგორც მტკიცებულება, წარმოდგენილია მოცემულ სამოქალაქო საქმეზეც.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2007 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით გამოძიებამ დაადგინა, რომ ო. ნ-ძესა და ნ. ქ-შვილს შორის არსებული დავა არ სცილდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს და შესაბამისად, უნდა გადაწყდეს სამოქალაქო კანონმდებლობით. ამავე დადგენილებაში აღინიშნა, რომ აუდიოკასეტა, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იგნორირებით მოპოვებული მტკიცებულება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უტყუარ მტკიცებულებად და გახდეს შეფასების საგანი.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის მსჯელობას საქმეში წარმოდგენილი აუდიოკასეტის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის შესახებ. აღნიშნულს კასატორი ასაბუთებს იმით, რომ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2007 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით აუდიოკასეტა სისხლის სამართლის საქმეზე დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი.

სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ და განსხვავებულია მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებიც სისხლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში. სისხლის სამართალში, სადაც ორივე დაპირისპირებული მხარე არ არის კერძო სამართლის სუბიექტი, გადაწყვეტია, რომ ბრალდების მხარემ ბოროტად არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება, არ იმოქმედოს თვითნებურად და არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები, საბოლოოდ, არ დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხიც სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე წესრიგდება, ამიტომ აქ ბრალდების მხარისათვის დაკისრებული მტკიცების სტანდარტი უფრო მკაცრია, ვიდრე დაცვის მხარისთვის. აღნიშნულის გამოხატულებაა ისიც, რომ სისხლის საპროცესო სამართალში ერთი და იგივე მტკიცებულება ერთ შემთხვევაში შეიძლება დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვალოს, თუკი ბრალდების დასადასტურებლად გამოიყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში — არა, თუკი განსასჯელის გამართლებას ემსახურება. სამოქალაქო საპროცესო სამართალში ასეთი პრობლემატიკა არ დგას, რამდენადაც აქ ურთიერთდაპირისპირებულია კერძო სამართლის სუბიექტები, რომელთაც თანაბარი საპროცესო შესაძლებლობები აქვთ თავის დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. სამოქალაქო საქმეს სასამართ-

ლო განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სამოქალაქო საქმისწარმოება არ ხორციელდება. ამიტომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც სადავო აუდიოკასეტის მტკიცებულებად დაშვების საკითხი განსახილველ სამოქალაქო საქმეზე უნდა გადაწყდეს სამოქალაქო პროცესის ნორმების საფუძველზე. კასატორი ვერ ასაბუთებს ამ შემთხვევაში აუდიოჩანაწერის კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებად მიჩნევას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მოცემული აუდიოჩანაწერი არ შეიცავს მხარეთა პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, ისეთ კონფიდენციალურ ფაქტებს, რასაც დაუკავშირდებოდა მოსარჩელის სუბიექტური ინტერესი, რომ მისი საუბარი სხვა პირთათვის არ გახდეს ცნობილი.

აუდიოჩანაწერი შეიძლება განიმარტოს, როგორც საქმესთან დაკავშირებული გარემოებების დამტკიცების საშუალება ხმის ან სხვა ხმოვანი სიგნალის სპეციალურ ტექნიკურ საშუალებაზე ფიქსაციის მეშვეობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აუდიოჩანაწერს არ განიხილავს მტკიცებულების დამოუკიდებელ სახედ. მას მოიცავს ნივთიერი მტკიცებულებების ცნება და განიხილება როგორც ნივთიერი მტკიცებულებების ერთ-ერთი სახე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულებებია ის ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი აუდიოკასეტა, რომელზე არსებული აუდიოჩანაწერის ნამდვილობაც დადგენილია საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებით, პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.

#### **საქმე №ას-1235-1164-2012**

**7 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სასამართლოსათვის წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის სავალდებულობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი)**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია, მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე.

განსახილველი ნორმა ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესუალურ საშუალებას, რომლის თანახმად მტკიცების ტვირთი შეიძლება, დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც არ ევალება სადავო ფაქტის დადასტურება. მითითებული ნორმის განმარტებისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნორმით განსაზღვრულ მიზანს, რაც გამოიხატება მტკიცებულებების წარდგენის უზრუნველყოფაში იმ მხარისაგან, რომელთანაც ინახება, კონკრეტულ შემთხვევაში წერილობითი მტკიცებულება, მაგრამ მისთვის არ არის ხელსაყრელი მათი სასამართლოში წარდგენა, რადგან ამ მტკიცებულებით შეიძლება დადასტურდეს მისთვის არასასურველი ფაქტი.

საკასაციო პალატის აზრით, მოპასუხის წერილობითი (ტომი 1; ს.ფ. 121) თუ სხვაგვარი განმარტება (სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის ჩანაწერი 13.38.04 — 13.38.59) არ შეიძლება მივიჩნიოთ ამ მტკიცებულებების წარუდგენლობის საპატიო მიზეზად. საქმეში არსებულ (ტომი 1; ს.ფ. 121) წერილში მითითებულია მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის შესრულების შეუძლებლობაზე, რაზეც ხელი თვითონ მოპასუხე მხარემ მოაწერა, კერძოდ, შპს „კ. 96-ის“ დირექტორმა ი. ჩ-მა. ამდენად, პროცესში მონაწილე მხარის მიერ შედგენილი წერილი (შუამდგომლობის პასუხად შექმნილი დოკუმენტი), რომელშიც აღნიშნულია, რომ მას არ მოეპოვება წარმოსადგენი მტკიცებულებები, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მტკიცებულებების წარუდგენლობის საპატიო მიზეზის დასადასტურებლად.

საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ, სასამართლოების მიერ არაერთხელ მიმართვის მიუხედავად, მოპასუხე უთითებდა მხოლოდ მის მიერ ამ მტკიცებულებების წარდგენის შეუძლებლობაზე, მაგრამ ეს ფაქტი არ დასტურდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად იმისათვის, რომ სასამართლომ გადააკისროს მტკიცების ტვირთი მხარეს, რომელსაც არ ევალება სადავო ფაქტის დადასტურება, აუცილებელია, არსებობდეს ორი წინაპირობა:

პირველი, მხარე არ უნდა უარყოფდეს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა და მეორე, იგი წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს უნდა ამბობდეს. მხოლოდ ამ პირობების არსებობისას შეუძლია სასამართლოს მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე.

ამდენად, მითითებული ნორმა არეგულირებს ისეთ სიტუაციას, რომლის თანახმად, მტკიცებულება, რომლითაც მხარეს ევალება მის მიერ მითითებული ფაქტის დადასტურება, ამავე მხარის შუამდგომლობის მიხედვით, გააჩნია მეორე მხარეს. მხოლოდ შუამდგომლობის აღმძვრელი პირის მითითება ქმნის ვარაუდს, რომ პროცესუალურ მოწინააღმდეგეს გააჩნია მისთვის საჭირო მტკიცებულება. ამ ვარაუდის გაქარწყლების საფუძველია პროცესუალური მოწინააღმდეგის უარყოფა ამ მტკიცებულების მასთან არსებობის თაობაზე. მაგრამ კონკრეტული დავის გადაწყვეტისას მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პროცესუალურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც დაევალა სხვადასხვა გარემოებებთან ერთად, ასევე 2008 წლის ნოემბრიდან პერიოდში ( შუამდგომლობაში მოთხოვნილია 1975 წლის 7 დეკემბრიდან სარჩელის შეტანის დრომდე პერიოდი, თუმცა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს 2008 წლის 2 ნოემბრიდან პერიოდს) მოსარჩელის თანამდებობაზე ხელფასის ოდენობის თაობაზე მტკიცებულების წარმოდგენა ან, თუ ასეთი თანამდებობა აღარ არსებობს, შესაბამისი მტკიცებულება (საშტატო განრიგი და ა.შ.). ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული დავის თავისებურებიდან გამომდინარე, მოპასუხე საწარმოში (შპს „კ. 96“) დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა თანამდებობებისა და მათი ხელფასების თაობაზე ინფორმაციის არსებობის ვარაუდს ქმნის არა მოსარჩელის მითითებები, არამედ ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის საქმიანობის სპეციფიკა, შესაბამისად, ივარაუდება, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული დოკუმენტაცია გააჩნია შპს „კ. 96-ს“, რომლის საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი აკისრია ამ უკანასკნელს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მოპასუხე სამეწარმეო იურიდიული პირია, რომლის საქმიანობის განხორციელება დამოკიდებულია შიდა ორგანიზაციულ საკითხებზე. ამდენად, თავისი საქმიანობის განხორციელებისას დიდი ალბათობით მას უნდა გააჩნდეს დასაქმებულ მუშათა საშტატო ერთეულებისა და სახელფასო განაკვეთების შესახებ ცნობები. შესაძლებელია, მას არ გააჩნდეს 1975 წლიდან არსებული მონაცემები, მაგრამ 2008 წლის ნომბრის პერიოდიდან, რაც მნიშვნელოვანია დავის გადაწყვეტისათვის, დიდი ალბათობით მას უნდა გააჩნდეს. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ორგანიზაცია არ ფუნქციონირებს, ან მას არ ჰყავს მოსარჩელის პროფესიის მუშა-მოსამსახურე, უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით (მაგალითად, საშტატო განრიგი და სხვა) და არა მისი წერილით (ტომი 1; ს.ფ. 121). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება მოპასუხე გათავისუფლდეს ვალდებულების შესრულებისაგან თუნდაც მას საქმიანობა ჰქონდეს შეჩერებული.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა განუსაზღვროს მოპასუხეს ზემოთ მითითებული განმარტებების მიხედვით საქართველოს სამოქალაქო საპროცესოს კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული წინაპირობები და შედეგები, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენისათვის წარმოსადგენი მტკიცებულებების თაობაზე, ხოლო მათი წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებები. იმ შემთხვევაში, თუ მოპა-

სუხე მხარე ვერ დაადასტურებს ამ მტკიცებულებების წარუდგენლობის საპატიო მიზეზს, მოსარჩელე უნდა გათავისუფლდეს ამ მტკიცებულებებით დასადასტურებელი ფაქტების მტკიცებისაგან.

**საქმე №ას-601-875-05**

**13 დეკემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოწმეთა დაკითხვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლი)**

სააპელაციო პალატამ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ნ.გ-მა ც.შ-ს ასესხა ჯერ 900, ხოლო მოგვიანებით კი 2000 აშშ დოლარი, სულ — 2900 აშშ დოლარი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სასამართლომ დაადგინა საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით. სასამართლო მოიშველიებს მოწმეებს ა.ქ-ს და მ.შ-ს, რომლებმაც დაადასტურეს ის ფაქტი, რომ ნ.გ-ი ც.შ-ს სთხოვა 3000-3800 აშშ დოლარის დაბრუნებას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მითითებული პირები ესწრებოდნენ სასამართლოს სხდომას პირველი ინსტანციის სასამართლოში. სსკ-ის 148-ე მუხლი განსაზღვრავს მოწმის დაკითხვის წესს. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი მოწმე ცალკე უნდა დაიკითხოს. მოწმეები, რომლებსაც ჯერ არ მიუციათ ჩვენება, არ უნდა იყვნენ სასამართლოს სხდომის დარბაზში. დაკითხული მოწმეები რჩებიან სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის დამთავრებამდე და არ შეუძლიათ გავიდნენ დარბაზიდან სასამართლოს ნებართვის გარეშე.

აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს მოწმეთა მიერ სწორი ჩვენების მიცემის გარანტიას და გამორიცხავს მოწმის მიერ იმ მხარის სასარგებლოდ ჩვენების მიცემის შესაძლებლობას, რომლის ინიციატივითაც დაიბარეს იგი სასამართლოს სხდომაზე. აღნიშნული მოწმეთაგან ორივე ესწრებოდა სასამართლო სხდომას პირველი ინსტანციის სასამართლოში, რაც თავისთავად გამორიცხავს მათ მოწმედ მონაწილეობას საქმეში. მართალია, საპროცესო კანონმდებლობა უშვებს მოწმეთა განმეორებით დაკითხვას (149-ე მუხლი), მაგრამ ასეთ შემთხვევაში მითითებული პირები დაკითხულნი უნდა ყოფილიყვნენ მოწმეებად პირველი ინსტანციის სასამართლოში 148-ე მუხლით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გაერკვია, ესწრებოდნენ თუ არა მითითებული პირები სასამართლოს მთავარ სხდომას რაიონულ სასამართლოში და თუ ისინი არ მონაწილეობდნენ მთავარ სხდომაზე, მათ მიერ მითითებული ჩვენებები ჩათვლებოდა კანონის შესაბამისად მოპოვებულ მტკიცებულებებად. დღეისათვის კი, როდესაც აღნიშნული გარემოება არ არის გარკვეული, მათი ჩვენებები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იურიდიული ძალის მქონედ სსკ-ის 103-ე მუხლის შესაბამისად.

**საქმე № ას-1348-1468-04**

**4 ივლისი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ექსპერტიზის დანიშვნა (სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სსკ-ის 162-ე მუხლით, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრება ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც საპეციალურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ მხარე ამის წინააღმდეგია. პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია დისპოზიციურობის პრინციპი, ამიტომ სასამართლო არაა უფლებამოსილი მხარის ნების საწინააღმდეგოდ მოიპოვოს საქმეზე რაიმე მტკიცებულება.

**საქმე № 'ას-633-966-07**

**30 იანვარი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დასკვნის, როგორც მტკიცებულების შემოწმება და შეფასება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამარ-

თლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში.

ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ექსპერტის დასკვნის შემოწმება და შეფასება მტკიცების პროცესის აუცილებელი პირობაა. ექსპერტის დასკვნის უარყოფა ან გამოყენება მტკიცებულებად არ შეიძლება, თუ იგი არ იქნება შემოწმებული და შეფასებული 105-ე მუხლის შესაბამისად. ექსპერტის დასკვნა კრიტიკულად უნდა შეფასდეს, როგორც ცალკე აღებული, ასევე საქმეზე მოპოვებული ყველა სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში.

ექსპერტის დასკვნის შემოწმებისა და შეფასების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთი საკითხის შესწავლა — განხილვაზე, როგორცაა:

ექსპერტიზის ჩატარების დროს პროცესუალური ნორმების დაცვის შემოწმება; ექსპერტის ობიექტურობის შემოწმება; ექსპერტის კომპეტენტურობის შემოწმება; საექსპერტო გამოკვლევის მასალების (გამოკვლევის ობიექტებისა და ნიმუშების) შემოწმება; ექსპერტის დასკვნის დასაბუთებულობის შემოწმება და ექსპერტის დასკვნითი ნაწილის შეფასება.

ექსპერტის დასკვნა შემოწმებული და შეფასებული უნდა იყოს მთლიანად და არა მარტო მისი დასკვნითი ნაწილი. ექსპერტის დასკვნა თავის საბოლოო შემოწმებასა და შეფასებას ღებულობს გადაწყვეტილებაში, სადაც დაწვრილებით უნდა ჩამოყალიბდეს ექსპერტის დასკვნის შედეგები, მასში უნდა აისახოს, თუ რატომ ვერ იზიარებს ექსპერტის დასკვნას სასამართლო. არ შეიძლება ექსპერტის დასკვნის შეფასება შეიზღუდოს მხოლოდ ისეთი მითითებით, რომ სასამართლო ვერ გაიზიარებს ექსპერტის დასკვნას. ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს მოყვანილი უთანხმოების მოტივები, ასევე უნდა აისახოს კონკრეტულად, თუ რატომ ენიჭება ექსპერტის დასკვნას უპირატესობა სხვა მტკიცებულებათა შორის ან სხვა მტკიცებულებას რატომ აქვს უფრო მეტი პროცესუალური ძალა და მნიშვნელობა, ვიდრე ექსპერტის დასკვნას.

## საქმე № ას-833-885-2011

18 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სამოსამართლო საქმიანობა

შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ, თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი. მიზანშეწონილია, მაგრამ არაა აუცილებელი, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზე — ნორმაზე მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან შესაგებელი ემყარება, თუმცა ეს არც აუცილებელია და არც შემზღუდავი სასამართლოსათვის. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმა, გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით, კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის

უფლება აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოდგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას.

### **საქმე № ას-331-734-06**

**8 იანვარი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: აღიარებითი და მიკუთვნებითი სარჩელი**

რაც შეეხება იმ გარემოებას, არის თუ არა თ. მ-ის სარჩელი აღიარებითი უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმის მართლზომიერების აღიარება ფორმალურად აღიარებითი სარჩელია, მაგრამ სარჩელის მეორე მოთხოვნა — ნივთის უკან დაბრუნება მიკუთვნებითი ხასიათისაა. ფაქტიურად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის მართლზომიერება წარმოდგენს მიკუთვნებითი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს, რის გამოც სარჩელი მთლიანად შეიძლება ჩაითვალოს მიკუთვნებით სარჩელად. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა არა იმის გამო, რომ სარჩელი აღიარებით არ არის, არამედ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების საფუძველზე.

### **საქმე № 3კ-1478-02**

**8 მაისი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: აღიარებითი სარჩელი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი)**

სააპელაციო პალატის გასაჩივრებელი გადაწყვეტილებით და საქმის მასალებით უდავოდ დადასტურებულია ის გარემოება, რომ მოსარჩელეებმა თავდაპირველად მოითხოვეს ანდერძის ბათილად ცნობა, ხოლო მოგვიანებით კი დ. თ-ის სახელით შესრულებული ანდერძის, როგორც დოკუმენტის გაუქმებულად ცნობა. შემდგომში, საქმის განხილვისას, მოსარჩელეებმა დააკონკრეტეს სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს სსკ-ს 180-ე მუხლით დ. თ-ის სახელით შედგენილი ანდერძის სიყალბის დადგენა. კანონის აღნიშნული მუხლით სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტის სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ აღიარებითი სარჩელის აღძვრის აუცილებელი წინაპირობაა მოსარჩელის იურიდიული ინტერესი დავის საგნისადმი, რაც დასაბუთებული და ასახული უნდა იქნეს სარჩელში.

მოცემულ შემთხვევაში მ. თ-ე და ნ. ძ-ი აღიარებითი სარჩელით ითხოვენ დოკუმენტის სიყალბის დადგენას ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მათი იურიდიული ინტერესი. კერძოდ, გაურკვეველია, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს მიერ სადავო ანდერძის სიყალბის დადგენით მოსარჩელეთა რა უფლება იქნება დაცული და რა დადებითი იურიდიული შედეგი მოყვება მათთვის.

გასაჩივრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა რა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მ. თ-ეს და ნ. ძ-ს შეეძლოთ აღეძრათ აღიარებითი სარჩელი, თუ მათ გააჩნდათ ანდერძის სიყალბის დადგენის იურიდიული ინტერესი, არ გაურკვევია მოსარჩელეთა ასეთი ინტერესის არსებობა-არარსებობის საკითხი, რითაც არასწორად განმარტა კანონი. სსკ-ს 180-ე მუხლით აღიარებითი სარჩელის მხოლოდ მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესის არსებობაზე დაფუძნება კანონის იმპერატიული დანაწესია და ასეთი სახის სარჩელებზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ზემოხსენებული იურიდიული ინტერესის გამორკვევის შემდეგ უნდა მოხდეს. სსკ-ს 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად კი სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.



საქმე № ას-1510-1518-2011

15 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: აღიარებითი სარჩელი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე და განმარტავს, რომ დასახელებული ნორმით, აღიარებითი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად და გახდეს აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, თუ დასაბუთებულია, ანუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე იკვეთება მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. აღიარებითი მოთხოვნის დასაბუთებულობაზე მსჯელობისას უნდა არსებობდეს სწორედ ამგვარი ინტერესი და არა ის, რასაც სუბიექტური დამოკიდებულების შედეგად მხარე საკუთარ იურიდიულ ინტერესად მოიაზრებს. ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს მხარის მიერ მითითებული ინტერესის დაკმაყოფილების წინაპირობა, საფუძველი ეცლება აღიარებით მოთხოვნას. ამდენად, აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილებაზე მსჯელობისას უნდა იქნას შეფასებული მისი იურიდიული ინტერესის მართებულობა. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სადავო კრების ოქმის საფუძველზე, ამხანაგობის წევრებს გამოეყოთ კონკრეტული ბინები. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე უთითებს, რომ მისი იურიდიული ინტერესია ახალი კრების მოწვევა და ოთხოთახიანი ბინის გამოყოფა ამხანაგობის ქონებიდან. თავისი იურიდიული ინტერესის ასეთი ფორმულირებით მოსარჩელემ გამოკვეთა საბოლოო მიზანი. ახალი კრების მოწვევა არ წარმოადგენს გარანტიას მოსარჩელისათვის, რომ კრებაზე მისთვის სასურველი შედეგი დადგება და შესაძლებელია დავა მხარეთა შორის გაგრძელდეს. ამ შემთხვევაშიც, მომავალში დადგება მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის აუცილებლობა. აღნიშნული მიუთითებს, რომ აღიარებითი სარჩელი არ არის ერთადერთი მოსარჩელის დარღვეული უფლებების დაცვისთვის. ასევე, დადგენილია, რომ კრების ოქმის საფუძველზე ბინები აღრიცხულია მოპასუხეთა საკუთრებაში. რიგ შემთხვევებში ბინები გასხვისებულია მესამე პირებზე. ამდენად, კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაში, 2003 წლის 15 თებერვალს არსებული მდგომარეობის აღდგენა მოცემულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილებით ვერ იქნება მიღწეული. ამდენად, მოსარჩელის ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილება არ არის შესაძლებელი აღიარებითი სარჩელის აღძვრის გზით. მოსარჩელეს არ გააჩნია განსახილველი დავის დასაბუთებული და საფუძვლიანი იურიდიული ინტერესი.

საქმე № ას-1790-1767-2011

22 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: აღიარებითი სარჩელი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სადავო ამხანაგობის საერთო კრების 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული ფართი, ამხანაგობის მიერ ჩატარებული აუქციონის საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა ამხანაგობის წევრს, ლ. გ-ეს, რაზედაც შედგა ორი ოქმი № 16 და № 16ა, ამ უკანასკნელი ოქმის საფუძველზე საჯარო რეესტრში სადავო ფართის მესაკუთრედ დარეგისტრირდა ლ. გ-ე. შემდგომში, ლ. გ-ემ ეს ფართი განკარგა და, ამჟამად, საჯარო რეესტრში მის მესაკუთრედ რეგისტრირებულია ბესიკ გუმბერიძე. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმში აღნიშნავდა, რომ მისი იურიდიული ინტერესია ახალი კრების მოწვევა და სადავო ქონების მიღება. თავისი იურიდიული ინტერესის ასეთი ფორმულირებით მოსარჩელემ გამოკვეთა საბოლოო მიზანი. ახალი კრების მოწვევა არ წარმოადგენს გარანტიას მოსარჩელისათვის, რომ კრებაზე მისთვის სასურველი შედეგი მიიღწევა და შესაძლებელია დავა მხარეთა შორის გაგრძელდეს. ამ შემთხვევაშიც, მომავალში დადგება მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის აუცილებლობა. აღნიშნული მიუთითებს, რომ აღიარებითი სარჩელი არ არის ერთადერთი მოსარჩელის დარღვეული უფლებების დაცვისთვის, ასევე, დადგენილია, რომ სადავო ფართი ამჟამად წარმოადგენს არა ლ. გ-ის, არამედ, ბესიკ გუმბერიძის საკუთრებას.

ამდენად, კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაში, სადავო კრებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა მოცემულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილებით ვერ იქნება მიღწეული. მოსარჩელის ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილება არ არის შესაძლებელი აღიარებითი სარჩელის აღძვრის გზით. მოსარჩელეს არ გააჩნია განსახილველი დავის დასაბუთებული და საფუძვლიანი იურიდიული ინტერესი, რომლის რეალიზაცია ზემოაღნიშნული წინაპირობების გათვალისწინებით შესაძლებელია არა აღიარებითი, არამედ მიკუთვნებითი სარჩელით.

**საქმე № ას-1003-1304-07**

**13 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შეგებებული სარჩელის დამოკიდებულება პირველად სარჩელზე**

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ო-რიას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში შევიდა კანონიერ ძალაში.

თ. და მ. ბ-რიების შეგებებული სარჩელი ამჟამად იხილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომლითაც ისინი ითხოვენ დ. ო-რიასთვის მათ სასარგებლოდ 41 400 აშშ დოლარის დაკისრებას და ვალდებულების გაქვითვის დადგენას. შესაბამისად, ვინაიდან შეგებებული სარჩელი მიმართულია ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეგებებულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, სწორად უთხრა უარი დ. ო-რიას სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

**საქმე № ას-511-821-09**

**22 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია მხარის მოთხოვნის საფუძველზე გამოიყენოს სარჩელისა თუ სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიება, თუმცა აღნიშნულისათვის საჭიროა, მხარემ დაასაბუთოს ისეთი ობიექტური გარემოებების არსებობა, რაც მომავალში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას შეუშლის ხელს. ნიშანდობლივია, რომ მხარეს ზემოხსენებული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ფარგლებში, რომ სასამართლოს შეუქმნას კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების აუცილებლობის რწმენა, ვარაუდი, ვინაიდან საქმე ეხება სამომავლო მოვლენებს, რაც წარსულში არსებული გარემოებებისაგან განსხვავებით, შესაძლოა, კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ დადასტურდეს. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ფაქტის სამომავლოდ წარმოშობის დასაბუთებული ვარაუდი არ არის მხოლოდ პირის სუბიექტური შეფასება — ეჭვი. სამომავლოდ ამა თუ იმ ფაქტის წარმოშობის ვარაუდის დასაბუთება კავშირშია წარსულსა თუ აწმყოში უკვე არსებულ ფაქტებთან, რაც საგარაუდო ფაქტის ალბათობის მაღალი ხარისხით წარმოშობის რწმენის ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს.

**განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი)**

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხის განზრახვა ქონების გასხვისების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნ პირს ავალდებულებს მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა მიუთითეს ასეთ გარემოებაზე, კერძოდ, აღნიშნეს, რომ მოწინააღმდეგე მხარე აპირებს იმ ქონების გასხვისებას, რომელიც მას გადაეცა კანონსაწინააღმდეგო მორიგების საფუძველზე და, რომელზეც, გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობის შემთხვევაში, კვლავ აღირიცხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრების უფლება. ცხადია, რომ სადავო ქონების გასხვისების შემთხვევაში გაძნელება ან შეუძლებელი გახდება აღნიშნული ქონების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში აღრიცხვა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ნორმის იმგვარი გაგება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, არ გამომდინარეობს არც მითითებული და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა გადასწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში იმ გარემოების არსებობის ალბათობა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ შესაძლოა გაასხვისოს სადავო ქონება, გადასწონის ვარაუდს მისი არარსებობის, ანუ იმის შესახებ, რომ იგი არ გაასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას.

სააპელაციო სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა ასევე იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელთა მოთხოვნის არსის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გაუჩნდა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების ვარაუდი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მოსაზრება დაუსაბუთებელია, ვინაიდან იგი არ შეიცავს მსჯელობას, თუ რამ განაპირობა სასამართლოს ასეთ დასკვნამდე მისვლა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღსრულების შეუძლებლობის საშიშროებაზე, და ასევე იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა არის სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად. არ არის გამართლებული იმ უფლების უზრუნველყოფა, რომელიც არ არსებობს და ეს იმთავითვე ნათელია სასამართლოსათვის. თუ არ არსებობს უფლება, არც იმის საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისადმი, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია და იგი უმეტესწილად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ვარაუდზეა დამოკიდებული. ზემოაღნიშნული, ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას იმავდრო-

ულად იმსჯელოს მოთხოვნის დასაბუთებულობაზე და გადაწყვიტოს, დააკმაყოფილებს თუ არა მას მომავალში, მაგრამ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რას ემყარება მისი ვარაუდი, რომ არ არის გამოკვეთილი სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მას არ გაუჩნდა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების ვარაუდი. გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, თუ რას ემყარება სასამართლოს ზემოხსენებული ვარაუდი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შეაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება.

**საქმე № ას-694-653-2011**

**16 მაისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხი დასაშვებია საქმის განხილვის ყველა სატადაზე. დასახელებული ნორმა ადგენს საპროცესო სუბიექტთა უფლებას, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვონ უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების შეცვლა სხვა ღონისძიებით.

კანონმდებელი ასეთ ცვლილებას დასაშვებად თვლის, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხე მხარის მოთხოვნით და მისი სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილი დაცვა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასაშვებია არა იმიტომ, რომ გაჭიანურდეს საქმის განხილვა, არამედ, სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია, გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის მსგავსად, მხარე თავად წყვეტს, თუ როდის მოითხოვოს აღნიშნული ცვლილების განხორციელება სასამართლოს მიერ და, მიუხედავად იმისა, ადგება თუ არა მას ზიანი უზრუნველყოფის თავდაპირველი ღონისძიების დაწესების ეტაპზევე, მას ამ ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის უფლება ენიჭება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, როდესაც საჭიროდ ჩათვლის.

ამდენად, უსაფუძვლოა ო. ყ-შვილის მტკიცება, რომ ამხანაგობა „...-98-ს“ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თხოვნით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დღიდან რვა წლის შემდეგ, რადგანაც იმ შემთხვევაში, თუ მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დღიდან ადგებოდა ზიანი და ის ამ ზიანის აღსაკვეთად არ ახორციელებდა საკუთარი უფლების დაცვას, აღნიშნული ამხანაგობა „...-98-ის“ სამოქალაქო რისკია და, როგორც უკვე აღინიშნა, მხარის დისპოზიციურ უფლებათაგან ერთ-ერთს განეკუთვნება.

**საქმე № ას-1185-1114-2012**

**13 ნოემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზ-

რუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

დასახელებული ნორმით, მოსარჩელე მხარეს შეუძლია, სადავოდ გამხდარი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფა. ამავდროულად, მოსარჩელემ დამატებლად უნდა დაასაბუთოს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და დაარწმუნოს სასამართლო, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს, მართალია, მოსარჩელეს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი, ამასთან, მიუხედავად შუამდგომლობის ავტორის მითითებისა, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭიროა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იგი არაა შეზღუდული, თავად გადაწყვიტოს უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება იქნება უფრო ეფექტური. აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა კი სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და სარჩელის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლიობაში განხილვა-გადაწყვეტაა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული მოქმედებები პირდაპირ უკავშირდება რა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს და მხარეთა მატერიალურ უფლებებს, მასთან დაკავშირებული რისკი მომეტებულია, რის გამოც სასამართლოსგან საკითხის მაქსიმალურად სწრაფი და სწორი გადაწყვეტისთვის სპეციფიკური და განსაკუთრებული საკანონმდებლო დანაწესებია გათვალისწინებული.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო, დარწმუნდა რა სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობაში, 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით მ.მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, გ-ას გამზირ № 36-ში ც.გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ყადაღა დაედო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის გასაჩივრებული განჩინებით ც.გ-ის წარმომადგენელ ზ.ჟ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების — ყადაღის საგანი შეიცვალა სხვა საგნით — სხვა მისამართზე მდებარე უძრავი ნივთით. განჩინება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაეცა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. იმავე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე.

აღნიშნული ნორმით კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლას საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასაშვებად მიიჩნევს, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხე მხარის მოთხოვნით და მისი სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილი დაცვა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა. სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია, გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინცი-

პის შესაბამისად, მხარე თავად წყვეტს, თუ როდის მოითხოვოს აღნიშნული ცვლილების განხორციელება სასამართლოს მიერ და მას ამ ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის უფლება ენიჭება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, როდესაც საჭიროდ ჩათვლის. კანონი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს რა მოპასუხის საფუძვლიან შიშს, უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უმართებულობაზე (სარჩელის დაუკმაყოფილებლობა), მოპასუხის ინტერესების დაცვის სხვადასხვა სამართლებრივ ბერკეტებს (მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა) ადგენს, მათ შორის, საჩივრის ავტორის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მოპასუხეს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა მხარეთა თხოვნით სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე არ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ ორივე მხარის თხოვნის აუცილებლობით, რადგან გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის თანმდევი ტვირთი და რისკი ორივე მხარეს აქვს. შესაბამისად, თუკი ესა თუ ის მხარე კონკრეტულ საქმეში ასაბუთებს გამოყენებული უზრუნველყოფის უპერსპექტივობას, მაგალითად, ღირებულების დაკარგვის ან პირიქით, მის სასარჩელო მოთხოვნასთან შეუსაბამობით, მას მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე შეუძლია, მოსთხოვოს სასამართლოს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა.

მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ შეცვლილა, არამედ შეიცვალა უზრუნველყოფის საგანი, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დამოუკიდებლად არ არეგულირებს, მაგრამ ასეთი შემთხვევაც მითითებული ნორმის საფუძველზე უნდა დარეგულირდეს, რაც სასამართლოსაგან მოსარჩელის მოთხოვნასა და მოპასუხის კანონით დაცვად ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვას მოითხოვს.

სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებაში ცვლილების შეტანა გამართლებულია და გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების, თუ შეუძლებლობის საფრთხე არ დასტურდება. აღნიშნულის გადაწყვეტის წინაპირობა უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და სარჩელის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა-გადაწყვეტაა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაში ყოველგვარი დასაბუთებისა და ამ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებული რისკების გამორიცხვის გარეშე შეიტანა ცვლილება. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი დაყადაღებული ქონების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისად, ვერ დასტურდება, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სრულად იქნება უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების აღსრულება დაყადაღებული ქონებიდან. ამ მიმართებით ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ დავის საგნის ღირებულებისა და სანაცვლოდ შემოთავაზებული დასაყადაღებელი ქონების სავარაუდო საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა ადეკვატურია. სასამართლოს ასეთი დასკვნა ობიექტური მდგომარეობით — ყადაღის საგნის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტით, და არა მოსამართლის შეხედულებით უნდა დადგინდეს.

გასაჩივრებული განჩინება მოტივირებულია რა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, სააპელაციო პალატა აღნიშნულის დასტურად უთითებს საქმეში წარმოდგენილ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის — თბილისის არქიტექტურის სამსახურის № 194096 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განმცხადებლის მოთხოვნა ქ. თბილისში, გ-ას გამზირ №36-ში ფართის ფასადის რეკონსტრუქციის თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ ობიექტს ყადაღა ადევს. ამავე გადაწყვეტილებით აქტის გამომცემი ორგანო ალტერნატივის სახით დამყადაღებლის თანხმობის წარდგენის შემთხვევაში შესაძლებლად მიიჩნევს ნებართვის გაცემას. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებუ-

ლი განჩინების გამოტანისას არც ყადაღადადებულ ფართზე ფასადის რეკონსტრუქციაზე დამყადაღებელ — მ.მ-ის ნება არ გამოარკვია და არც ყადაღის საგნის შეცვლაზე მოსარჩელის მოსაზრებით არ დაინტერესდა, რითაც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის ძირითადი პრინციპები და საკანონმდებლო მოთხოვნები დაარღვია.

**საქმე №ას-1338-1263-2012**

**15 ოქტომბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

რაც შეეხება მ. წ-ის მიერ მოთხოვნილ უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, საკასაციო პალატა აღნიშნულს უმართებულოდ მიიჩნევს, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. დასახელებული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, მისი მოქმედება, მართალია, მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფისას შეიძლება იქნას გამოყენებული, თუმცა ზარალის (ზიანის) ნეგატიური შედეგებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მისი გამოყენება დასაშვებია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას. ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით დაავალეს პირს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას, თუ ეს შედეგი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ცხადად იკვეთება ან არსებობს რეალური საფრთხე ზიანის დადგომისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლისაგან განსხვავებით, 199-ე მუხლის პირველი ნაწილი არ შეიცავს მტკიცების განსხვავებულ სტანდარტს, შესაბამისად, მოსალოდნელი ზიანის სიცხადე მხარემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით უნდა ამტკიცოს.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი მოითხოვს რა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას, მას არ მიუთითებია ის კონკრეტული და რეალური საფრთხე, რაც ზიანის დადგომის შესაძლებლობაზე მიუთითებს, შემოიფარგლა მხოლოდ საკუთარ უფლებებზე მიუთითებით, რომ შეეძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა, რაც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთანავე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად თვლის, განმარტოს, რომ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმა თავისთავად არ ართმევს უფლებას მოპასუხეს ზიანის დადგომის შემთხვევაში, საერთო წესის დაცვით მოახდინოს მისი დარღვეული უფლების რეალიზება.

**საქმე №ას-610-581-2013**

**23 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199'-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199' მუხლზე, რომლის თანახმადაც სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა

მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, შემაჯამებელი გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად დასაშვებია მხოლოდ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება და არა ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება.

**საქმე № ას-254-579-09**

**30 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

საკასაციო პალატის მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლი არ ავალდებულებს მოსამართლეს მხარეთა თანხმობის არსებობის შემთხვევაშიც კი საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, მაგრამ საქმის განხილვის ფორმა უნდა შეირჩეს ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურებიდან გამომდინარე, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით.

პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებია, როგორც აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები მისი ფიზიკური მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის თაობაზე, ასევე მოწინააღმდეგე მხარის თანხმობა და საქმე განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

**საქმე № ას-551-1202-03**

**24 დეკემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მხარის სასამართლო დარბაზიდან გაძევება (სამოქალაქო კოდექსის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

მართალია, სსკ-ს 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხარის სასამართლო დარბაზიდან გაძევების შემთხვევაში სასამართლო საქმეს განიხილავს ამ მხარის დაუსწრებლად, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაძევებული მხარის წინააღმდეგ მიღებული იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გაძევებული მხარის დაუსწრებლად არსებითად განიხილავს საქმეს და გამოიტანს არა დაუსწრებელ, არამედ დასწრებულ გადაწყვეტილებას.

**საქმე № ას-858-1171-07**

**23 ივნისი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მტკიცებულებების დაგვიანებით წარდგენა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

მოცემულ საკითხთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „თ-მა“ დაამტკიცა სადავო ზიანის, ასევე აღნიშნულ ზიანსა და მოპასუხის ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, შპს „ს-ამ“ კი ვერ დაასაბუთა ის გარემოება, რომ თუნდაც მის ჟურნალებში დაფიქსირებული 240 გამორთვა მისი ბრალით არ იყო გამოწვეული და იგი მართლზომიერად მოქმედებდა. შპს „ს-ა“ თავისი არაბრალეულობის დასადასტურებლად უთითებს მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, რომლებზედაც სასამართლომ არ იმსჯელა იმ საფუძვლით, რომ ისინი სასამართლოში წარმოდგენილი იქნა დაგვიანებით, მთავარ სხდომაზე, მას შემდეგ, რაც მოსამზადებელი ეტაპი დასრულებული იყო. საკასაციო სასამართლო იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ საქმის პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას მოქმედი და ამჟამინდელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით ძირითად სხდომაზე ახალი მტკიცებულებების წარდგენა და სასამართლოს მიერ მისი მიღება დასაშვებია მხოლოდ გარკვეული პირობების (საპატიო მიზეზის) არსებობისას. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა კრძალავს მტკიცებულებების არა მარტო დაგვიანებით წარდგენას, ასევე ადგენს ამ საფუძვლით მტკიცებულებების მიღებაზე უარის



თქმას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლო მტკიცებულებათა დაგვიანებით წარდგენას თუკი საპატიოდ არ მიიჩნევს, არც უნდა მიიღოს ისინი, ხოლო მიღების შემთხვევაში კი მათ სათანადო შეფასება უნდა მიეცეს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მიიღო რა დაზუსტებული შესაგებელი თანდართული მტკიცებულებებით, არანაირი შეფასება არ მისცა მათ, რითაც დაარღვია კანონის მოთხოვნა.

**საქმე № ას-369-619-08**

**21 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი განსაზღვრავს თუ რას შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. ასეთად კი შეიძლება ჩაითვალოს თუ პირის პროცესზე გამოუცხადებლობა გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით. ამასთან აღნიშნული ნორმა უთითებს იმ აუცილებელ რეკვიზიტებზე, რომელიც უნდა იყოს მითითებული ავადმყოფობის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე, კერძოდ ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ა.დ-შვილმა სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა სამედიცინო ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ იგი არის I ჯგუფის ინვალდი, აქვს პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი, ქალა-ტვინის და ზურგის ტვინის მრავლობითი ტრავმების ნარჩენი მოვლენები, გაუარესებული აქვს მდგომარეობა ჰემორაგიული ვასკულენის და ნეკნთაშუა ნევრალგიის გამო და ესაჭიროებოდა წოლითი რეჟიმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, რომ რადგან წარმოდგენილ ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის თაობაზე, ამიტომ აღნიშნული ცნობა არ შეიძლება გამხდარიყო ა.დ-შვილის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და ამასთან განმარტავს, რომ მართალია ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული რომ მხარეს არ შეეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, მაგრამ ცნობაში მითითებული გარემოება, რომ ა.დ-შვილს ესაჭიროება წოლითი რეჟიმი თავისთავად გულისხმობს, რომ მას შეზღუდული აქვს გადაადგილების შესაძლებლობა, რის გამოც ის ვერ შეძლებდა 20.. წ. .. მარტს დანიშნულ პროცესზე გამოცხადებას.

**საქმე № ას-1063-1093-2011**

**10 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია ის გარემოებები, რაც შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ, კერძოდ, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც სააპელაციო სასამართლოსათვის გადაცემული განცხადებით, ისე კერძო საჩივრითა და მასზე დართული მტკიცებულებით — საავადმყოფო ფურცლით, ვ.მ-ი სასამართლო სხდომაზე მის გამოუცხადებლობას მიიჩნევს საპატიოდ.

საკასაციო პალატა ამ მიმართებით კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიის, ასევე წარმოდგენილი მტკიცებულების უტყუარობის შესწავლის საფუძველზე ადგენს, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილს, კერძოდ, ცნობა გაცემული არაა დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, მას ხელს აწერს ოჯახის ექიმი და მტკიცებულება არ შეიცავს პირდაპირ მითითებას სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე, მასში ზოგადაა განსაზღვრული, რომ ვ.მ-ი 2011 წლის 7 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით დაავადებული იყო მწვავე რესპირაციული დაავადებით.

**საქმე № ას-1666-1654-2011**

**8 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება და ამას არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 სექტემბრის განჩინებით კ. ო-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2011 წლის 1 ნოემბერს, 15:00 საათზე.

სასამართლო სხდომის თაობაზე აპელანტს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით ამავე წლის 13 ოქტომბერს თანახმად საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო შეტყობინების აქტისა.

სასამართლო კანცელარიის სარეგისტრაციო შტამპის მონაცემების თანახმად, აპელანტის წარმომადგენელმა მ. ა-მა სააპელაციო სასამართლოს წერილობით მიმართა 2011 წლის 28 ოქტომბერს, წარადგინა გარდაბნის რაიონული სასამართლოს უწყება შპს „ჭ. 96-ის“ ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით 2011 წლის 1 ნოემბერს, 15:30 საათზე, ჩანიშნული სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის შესახებ. აღნიშნულით განმცხადებელმა დაასაბუთა სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა და იშუამდგომლა სააპელაციო სასამართლოს სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინებით აპელანტის წარმომადგენელ მ. ა-ის განცხადება სხდომის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლზე, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, მ.ა-ის მიერ სასამართლოში წარდგენილი განცხადების დებულებაზე, რომლის თანახმადაც მ. ა-ს სააპელაციო სასამართლოს სხდომის შესახებ მარწმუნებელმა აცნობა 25 ოქტომბერს, ხოლო გარდაბნის რაიონული სასამართლოს სხდომის თაობაზე მან შეიტყო 27 ოქტომბერს, როცა უკვე ცნობილი იყო დღევანდელი სხდომის თარიღი, განცხადების ავტორი ვერ ასაბუთებს, რატომ მიანიჭა უპირატესობა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში გამოცხადებას და რატომ არ მოითხოვა ადმინისტრაციული საქმის გადადება იმ ვითარებაში, როდესაც უკვე ხელთ ჰქონდა მოწვევა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, ამასთან, ამავე განჩინებით დასაბუთებულად მიიჩნია მოწინააღმდეგე მხარეთა წარმომადგენლის შუამდგომლობა, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, კ. ო-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რაც გამოიხატა შემდეგში:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტისა და მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, თუ ამას გამოცხადებული მხარე მოითხოვს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი დადგენილია, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოსარჩელის გამოუცხადებლობისას, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-278-ე მუხლებით გათ-

ვალისწინებული შედეგები. ანალოგიური შინაარსისაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, თუმცა მითითებული ნორმებით პროცესუალური ურთიერთობების რეგულირებისათვის სავალდებულოა, გამოირიცხოს ხომ არ არსებობდა საპატიო მიზეზი, რაც ობიექტურად შეუძლებელს ხდიდა მხარის გამოუცხადებლობას. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ისე, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო მისი სარჩელისა თუ სააპელაციო საჩივრის განხილვის თაობაზე სასამართლო აქტის მიღებას საფუძვლად უდევს სასამართლოს ვარაუდი, რომ მხარეს, რომელიც საპატიო მიზეზის გარეშე არ ცხადდება სასამართლო სხდომაზე და არ ასრულებს მის ამ თუ იმ ვალდებულებას, დავის მიმართ ინტერესი არ გააჩნია, რაც ცალსახად ჯდება დისპოზიციურობის პრინციპის ფარგლებში. ასეთ დროს მოიაზრება, რომ მხარემ მისი ქმედებით გამოხატა ნება ამ ტიპის გადაწყვეტილების მისაღებად. ამ მიმართებით, საკმარისია მიეთითოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლზე, რომელიც მოცემულ ურთიერთობაში განმარტებულ უნდა იქნას ფართოდ და გავრცელდეს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებაზე.

რაც შეეხება საპატიო მიზეზის არსებობას, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლს მე-3 ნაწილზე, რომლითაც დადაგენილია, რომ ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

იმ ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით, რომ მხარემ სასამართლო სხდომაზე აცნობა პალატას გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოება — მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა სასამართლოს ქვემდგომი ინსტანციისათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ. უწყების წარდგენით მხარემ მისი ვალდებულება გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს წინასწარ ინფორმირების თაობაზე სათანადოდ განახორციელა, რაც არ უნდა გამხდარიყო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ მხარის კანონით დადგენილი წესით ინფორმირება მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას არ წარმოადგენდა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული დანაწესი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. საკასაციო პალატა მოცემული ფაქტობრივი ვითარებისა და ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილად თვლის, განმარტოს შემდეგი:

მხარისა და წარმომადგენლის ურთიერთობის გათვალისწინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მინიჭებს, მათ შორის არსებული ურთიერთობის განსაკუთრებული ნდობის გათვალისწინებით, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას არაკეთილსინდისიერად არ ახორციელებს წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა გააჩნია და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მისი უფლების კვალიფიციურად დაცვაზე. შესაბამისად, მოცემული შემთხვევიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ არ არსებობდა კ. ო-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

საქმე №ას-908-853-2012

2 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის საფუძვლად მითითებულ იმ გარემოებებს, რომ აპელანტების გამოუცხადებლობა მათგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო განპირობებული, რადგანაც ქალაქში გადატვირთულია მოძრაობა და 30 წუთის განმავლობაში გადაადგილება პარალიზებული იყო. აღნიშნული არგუმენტის ანალიზით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ის არ წარმოადგენს საპატიო მიზეზს, რადგანაც სასამართლო სხდომაზე გამოცხადების სავალდებულობიდან გამომდინარე, მხარე ვალდებულია დაიცვას წინდახედულობის ყველა ნორმა, რათა თავიდან იქნას აცილებული მის მიმართ არასასურველი შედეგის დადგომა, აპელანტებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ სასამართლოში გამოცხადებულიყვნენ უფრო ადრე, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ისეთი არაობიექტური გარემოებანი, როგორცაა თუნდაც გადატვირთული საგზაო მოძრაობა. პალატის აღნიშნული მოსაზრება ემყარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი: ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საქმე №ას-1212-1141-2012

15 ოქტომბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია აპელანტის წარმომადგენლის, ც.დ-ის განცხადება, რომლითაც იგი შუამდგომლობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინაშე 2012 წლის 22 მაისის სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე მისი ავადმყოფობის გამო. განცხადებაში აღნიშნულია, რომ შესაბამისი ცნობა სასამართლოს მოგვიანებით წარედგინება (ტომი 2, ს.ფ. 76). კერძო საჩივარს თან ერთვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც პაციენტ ც.დ-ს 2012 წლის 22 მაისს დაუდგინდა ესენციური ჰიპერტენზიის დიაგნოზი, რის გამოც საჭირო იყო მისი ჰოსპიტალიზაცია (ტომი 2, ს.ფ. 88). აღნიშნული ცნობის შინაარსი (მასში ასახული დიაგნოზი, ჩივილები, რომელიც პაციენტს აღენიშნებოდა, ობიექტური მონაცემები) იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ განმცხადებელს გააჩნდა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო სხდომამდე

აპელანტის წარმომადგენელმა შეასრულა თავისი საპროცესო ვალდებულება, კერძოდ, სასამართლოს წერილობით აცნობა სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ.

**საქმე № ას-1241-1170-2012**

**29 ოქტომბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ანდა შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასთან დაკავშირებით, რომ მან სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ვერ შეძლო საპატიო მიზეზით — ავადმყოფობის გამო. საქმეში წარმოდგენილი ქუთაისის შპს „-ე“ შერეული პოლიკლინიკის მიერ გაცემული ნ.მ-ის ჯანმრთელობის ცნობით დგინდება, რომ ნ.მ-ი იმყოფებოდა შპს „-ე“ შერეულ პოლიკლინიკაში ამბულატორიულ მიღებაზე, დიაგნოზით ქოლერისტიტის გამწვავება, თუმცა მითითებული დოკუმენტი არ ადასტურებს, რომ წარმომადგენელმა მიიღო გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ამასთან, არ დასტურდება მისი უუნარობა გამოცხადებულიყო თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2012 წლის 31 ივლისს გამართულ სასამართლო სხდომაზე ან სხდომამდე ეცნობებინა სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის შესახებ.

**საქმე №ას-1668-1565-2012**

**5 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

შესაგებლის წარსადგენად სასამართლოს მიერ დანიშნული საპროცესო ვადის აღდგენის შესაძლებლობას კანონი არ კრძალავს, მაგრამ ამასთან, სახეზე უნდა იყოს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში საპროცესო მოქმედების შესრულების შეუძლებლობის საპატიო მიზეზი, რომლის დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ამ ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში საპროცესო მოქმედების შესრულებლობის საპატიო მიზეზად კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელი მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მისმა მარწმუნებელმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო შესაგებლის დროულად წარდგენა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლითაც ირკვევა, რომ ი. კ-ეს, ოჯახში გამოძახებით, მიაკითხა უბნის ექიმმა 2012 წლის 5 ნოემბერს და მისცა დანიშნულება ბინაზე, ხოლო, ამავე წლის 15 ნოემბერს მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამდენად, წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ ი.კ-ე 2012 წლის 5 ნოემბრიდან

15 ნოემბრამდე იყო ავად, თუმცა ჯანმრთელობის ცნობაში არ არის მითითებული, რომ მას დანიშნული ჰქონდა წოლითი რეჟიმი და არ შეეძლო გადაადგილება. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული ცნობით უტყუარად არ დასტურდება ის გარემოება, რომ კერძო საჩივრის ავტორს არ შეეძლო შესაგებლის სასამართლოში წარდგენა პირადად ან ფოსტის მეშვეობით. სარწმუნოდ არ არის ასევე დასაბუთებული, თუ რატომ ვერ შეძლო კერძო საჩივრის ავტორმა თავის წარმომადგენელთან დაკავშირება, რათა ამ უკანასკნელს დროულად შეეტანა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ი.კ-ეს სასამართლო გზავნილი ჩაბარდა 2012 წლის 1 ნოემბერს, ხოლო, მისი ავადმყოფობის ფაქტი დასტურდება 5 ნოემბრიდან. კერძო საჩივრის ავტორი სარწმუნოდ ვერ ასაბუთებს, თუ რამ შეუშალა ხელი, თავად წარედგინა შესაგებელი 5 ნოემბრამდე ან აღნიშნულის თაობაზე ეცნობებინა წარმომადგენლისათვის.

**საქმე № ას-684-645-2011**

**28 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლი)**

მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობაში, რაზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლი მიუთითებს, იგულისხმება, რომ საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა და მოსარჩელის გამოუცხადებლობა სასამართლოს უქმნის რწმენას, რომ მოსარჩელემ დაკარგა საქმის განხილვის ინტერესი. ამ შემთხვევაში მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას განაპირობებს, ერთი მხრივ, ვარაუდი საქმის განხილვის მიმართ მისი ინტერესის არარსებობის შესახებ და, იმავედროულად, იგი ისჯება თავისი არაკეთილსინდისიერებისათვის, რაც, სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობაში მდგომარეობს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ერთგვარ სანქციას იმ მხარის მიმართ, რომელიც უპატივცემლობას გამოიჩინა სასამართლოს მიმართ, საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება და არც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ მას არ აცნობებს, რასაც სასამართლო უკავშირებს თავის ვარაუდს, რომ მხარე ცნობს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და საქმის მიმართ ინტერესი აღარ გააჩნია.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში ა. და თ. ხ-იანებისა და ქ. ფიცხალავას სააპელაციო საჩივრის განხილვა 2011 წლის 29 მარტს, 16:00 საათისთვის, გამართულ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდნენ აპელანტები — ა. და თ. ხ-იანის კანონიერი წარმომადგენელი ქ. ფ-ვა და მისი წარმომადგენელი ადვოკატი ხ.გ-შვილი. აპელანტების წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს სხდომის გადადების შესახებ იმ საფუძველით, რომ იგი ავადაა, მწოლიარეა და არ შეუძლია გამოცხადდეს პროცესზე. განცხადებას თან დაერთო სასწრაფო დახმარების მიერ გაცემული ცნობა.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ აპელანტებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებიათ, კერძოდ, წარმოდგენილ დოკუმენტში, რომლითაც წარმომადგენელი ასაბუთებს სხდომის გადადების საფუძვლიანობას, არ არის მითითებული, რომ მას აქვს წოლითი რეჟიმი ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლოს აზრით, შუამდგომლობის ავტორის მიერ ვერ იქნა მითითებული აპელანტის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს სხდომის გადადების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

დადგენილია, რომ აპელანტების წარმომადგენელმა ხ. გ-შვილმა სასამართლოში საქმის განხილვის დღეს განცხადებით მიმართა სასამართლოს ავადმყოფობის გამო საქმის გადადების მოთხოვნით, მან განცხადებასთან ერთად წარადგინა სასწრაფო სამედიცინო დახმარება „მკურნალის“ მიერ გაცემული ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ 2011 წლის 29 მარტს ხ. გ-შვილს, 28 კვირის ორსულს დაუდგინდა დიაგნოზი არტერიული ჰიპოტონია და სინუსური ტაქიკარდია. სასწრაფო დახმარების ბრიგადა ავადმყოფთან იმყოფებოდა დღის 14:30-დან 16:00 საათამდე, ხოლო საქმის განხილვა დანიშნული იყო 16:00 საათზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ცნობა სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევდა, გაეთვალისწინებინა ორსულობის პერიოდში ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობა და გადაედო საქმე სხვა დროისათვის. ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, დროის იმ შუალედში იგი ვერ მოახერხებდა მარწმუნებლებთან დაკავშირებასა და გაფრთხილებას და ვერც სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ცნობის სასამართლოში წარდგენას. მართალია, ავადყოფობის ცნობაში არ არის მითითებული, რომ ხ.გ.-შვილს აქვს წოლითი რეჟიმი ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობას, მაგრამ ორსულობის პერიოდში ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობა ქალის ასაკისა და ორსულობის ხანგრძლივობის (მოცემულ შემთხვევაში — 7 თვე) გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლოსათვის იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ადგილი აქვს ისეთ გაუთვალისწინებელ შემთხვევას, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. ამდენად, მხარის გამოუცხადებლობის მიზეზის შემოწმებისას სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი ევარაუდა, რომ მხარე არაკეთილსინდისიერად იქცევა და გამოხატავს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას ან საქმის განხილვის მიმართ ინტერესი არ გააჩნია.

**საქმე №ას-834-1462-03**

**18 თებერვალი, 2004 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლი)**

სსკ-ის 230-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, თუ დამტკიცებულად ჩავთვლით იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რაზეც აპელანტი უთითებს, მაშინ დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად უკავშირდება იმ შედეგს, რასაც აპელანტი ითხოვს ანუ კანონმდებელი საგსებით რეალურად მიიჩნევს ნისიად გაცემული საქონლისა და ნაყიდი საქონლის უკან გამოსყიდვისათვის თანხის გადახდას და ასევე იმ ზიანის ანაზღაურებას, რაც თანხის დროულად დაუბრუნებლობას მოჰყვა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სსკ-ის 230-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა უკავშირდებოდეს დამდგარ იურიდიულ შედეგს. ის, რომ მოპასუხეს ჰქონდა ვალი 35 ლარი და 70 თეთრი, იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოპასუხეზე 1321 ლარის დაკისრებას. დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებებიდან და სკ-ის ნორმებიდან გამომდინარე, დაკისრებული თანხის ოდენობა გამართლებული უნდა იყოს. სასამართლო ვერ მიუთითებს ვერც ერთ ნორმას, რომლითაც 35 ლარისა და 70 თეთრის გადახდის დაგვიანებას შეიძლება მოჰყვეს დაუსაბუთებლად დიდი ოდენობის თანხის ანაზღაურება. ამასთან, სარჩელში არ არის მითითებული იმ გარემოებებზე, რომლებიდანაც ირკვევა, რომ მოპასუხეს შეეძლო, განეცადა უსაზღვროდ დიდი ზიანი და მათი დამტკიცებულად ცნობის შემთხვევაში შესაძლო იყო მოპასუხეზე მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის დაკისრება.

**საქმე №ას-722-1095-06**

**10 აპრილი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლი)**

დადგენილია რომ, ქ.თბილისში, ბ-ს ქ. № 9-ში მდებარე 1830 კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ქ. ო-სა და მოპასუხეთა საერთო საკუთრებას. მოპასუხეები ცხოვრობენ იმავე მისამართზე მდებარე ცალკე მდგომ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო პალატაში ქ. ო-ს სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოცხადდნენ მოწინააღმდეგე მხარეები, რომლებსაც უწყება ჩა-

ბარდათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ჟ. ო-მ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა, რადგან სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილი. ამ ნორმის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც სასამართლო არ ამოწმებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ეს საჭირო არაა, რადგან გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება. სასამართლომ ასეთ შემთხვევაში დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებს იურიდიული შეფასება უნდა მისცეს. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ აღნიშნული ფაქტები ამართლებენ შესაბამისი კანონის თანახმად მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის შესახებ. ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ სხდომაზე გამოცხადებული მხარის ჟ. ო-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად არასწორად მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის თანახმადაც დაუშვებელია სადავო მიწის ნაკვეთის გაცოფა.

დადგენილია, რომ მოსარჩელემ საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთიდან მოითხოვა კუთვნილი წილის ნატურით გამოყოფა სამოქალაქო კოდექსის 961-ე და 963-ე მუხლების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, ვინაიდან სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ერთის მხრივ ჟ. ო-ის და მეორეს მხრივ, მოპასუხეთა, როგორც მრავალ ბინიანი სახლის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებას, ამიტომ მათ შორის დავის მოსაწესრიგებლად გამოყენებულ უნდა იქნეს არა სამოქალაქო კოდექსის საზიარო უფლებების შესაბამისი ნორმები, არამედ იმავე კოდექსის 208-ე მუხლი. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს ჟ. ო-ის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისას ყურადღება უნდა გაემახვილებინა არა იმ გარემოებაზე, რომ მრავალბინიანი სახლის მესაკუთრეთა საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე დასაშვებია თუ არა ასეთი უფლების გაუქმება, არამედ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი; ამ მუხლში აღნიშნულია, რომ საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაცოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. სააპელაციო სასამართლოს სწორედ ამ ნორმის შესაბამისად უნდა შეემოწმებინა ჟ. ო-ის სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა თუ არა მის სასარჩელო მოთხოვნას

**საქმე № ას-77-423-07**

**12 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

კონკრეტულ შემთხვევაში, იურიდიულ მართებულებაში იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარეობს სამართლით დაცული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა (ივარაუდება აბსტრაქტულად არსებული ფაქტობრივი გარემოებები, მათი შემოწმებისა და დადგენის გარეშე, ანუ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს სინამდვილეში არსებობს თუ არა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები,) ანუ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები იარსებებდა არსებითი განხილვის დროს, სარჩელი დაკმაყოფილდებოდა, ამდენად, მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის



დროს სასამართლო ამოწმებს მხოლოდ სარჩელში მითითებულ გარემოებებს, მათი არსებობის შემთხვევაში კანონი რამდენად ითვალისწინებს მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დაცვას, აღდგენას.

**საქმე №ას-132-127-2012**

**23 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში, შპს „ე. პ-ი“ საპატიო მიზეზად მიიჩნევს მისი წარმომადგენლის სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის მიღებას, რაც გამორიცხავდა ამავე დღის 12:00 საათზე მის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადების შესაძლებლობას, ხოლო საზოგადოების დირექტორი ვერ დაიცავდა საზოგადოების ინტერესებს იურიდიული განათლების არქონის გამო. კასატორის განმარტებით, მას არც სხვა ადვოკატის აყვანა შეეძლო და ამ მოსაზრებას ასაბუთებს იმით, რომ წარმომადგენლის შეცვლა დასაშვებია სააპელაციო საჩივრის წარდგენმდე, რადგანაც საჩივრის ფორმით გათვალისწინებული ადვოკატის მაიდენტიფიცირებელი გრაფა ზემოაღნიშნულს არ ითვალისწინებს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს მათი აბსოლუტური დაუსაბუთებლობის გამო, რადგანაც, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, ისე 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში სავალდებულოდ ითვალისწინებს მხარის ობიექტურ შეუძლებლობას ამ მიზეზის თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მხარე ზემოაღნიშნულს ცალსახად არ დაადასტურებს, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაშიც კი, სასამართლო არაა უფლებამოსილი გააუქმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება და ამას არც კასატორი ხდის სადავოდ, რომ სხვა სასამართლოში სხდომის თაობაზე მას საქმის განხილვამდე არ უცნობებია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსათვის, იმ გარემოების გაზიარების შემთხვევაშიც კი, რომ სხვა სასამართლოში წარმომადგენლის გამოცხადება შესაძლოა საპატიო მიზეზად იქნას მიჩნეული, საკასაციო პალატა მაინც დაუსაბუთებლად თვლის ზემოაღნიშნულ არგუმენტს, რადგანაც სასამართლო სხდომის თაობაზე ამ სხდომამდე დაახლოებით 20 დღით ადრე შეტყობინების ჩაბარება არ შეიძლება იქნას მიჩნეული ობიექტურ გარემოებად, რაც მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდიდა სასამართლოს ინფორმირებას. ამასთანავე, სათანადო იურიდიული განათლების არქონა თუ მხარის მიერვე მითითებული სხვა წარმომადგენლის აყვანის შეუძლებლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არც ერთი დანაწესიდან არ გამომდინარეობს, უფრო მეტიც, ამავე კოდექსის XIII თავი (წარმომადგენლობა სასამართლოში) რამდენიმე წარმომადგენლის აყვანასა თუ წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში უშუალოდ მხარის მიერ საქმის წარმოების ამკრძალავ დებულებას არ ითვალისწინებს.

**საქმე №ას-307-292-2013**

**25 დეკემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლი)**

მოპასუხის (მოწინააღმდეგე მხარის) მიერ შესაგებლის შეტანისათვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულება მხოლოდ მაშინ აქვს, თუ არსებობს კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხა-

რეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ნორმის დისპოზიციის ანალიზით დასტურდება შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შემდეგი წინაპირობების არსებობის სავალდებულობა:

1. მოპასუხე (მოწინააღმდეგე მხარე) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე.

2. მოპასუხემ (მოწინააღმდეგე მხარემ) ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა.

ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა განაპირობებს სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩნევის აუცილებლობას. ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას იურიდიული თვალსაზრისით. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე.

ასეთ შემთხვევაში, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, მოპასუხისაგან (მოწინააღმდეგე მხარისაგან) მტკიცებულებების მიღება არ ხდება, სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მოპასუხეს უფლება მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენაზე გააჩნია, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ სარჩელის მოთხოვნასთან მიმართებით მოპასუხის სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება.

საყურადღებოა ვითარება, როდესაც რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნაა წარდგენილი და დასტურდება ამ მოთხოვნათაგან მხოლოდ ნაწილის დაკმაყოფილების წინაპირობა.

საკაცაციო პალატის შეფასებით, სასამართლო უფლებამოსილია, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილოს ის მოთხოვნა რომლის მიმართაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის შემადგენლობა დგინდება, ხოლო მოთხოვნათა დარჩენილი ნაწილის მიმართ დანიშნოს სხდომა და საქმე არსებითად განიხილოს ამავე ნორმით დადგენილი წესით. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს მოთხოვნათა ფორმალური გაერთიანების საკითხი, კერძოდ, როდესაც მოსარჩელე ერთი მოთხოვნის ფარგლებში აერთიანებს მის რამდენიმე მოთხოვნას, თუმცა მათი გაყოფა, საქმის ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით დასაშვებია. მოთხოვნის დაყოფას მისი მარეგულირებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა დასაშვებად მიიჩნევს თუ იგი თავისი ბუნებით არ ქმნის სამართლებრივ ერთიანობას.

ისეთ ვითარებაში კი, როდესაც დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის მატერიალური საფუძვლის კვლევით დასტურდება, სარჩელის ერთიანი (დაუყოფელი) მოთხოვნის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილების წინაპირობები, სასამართლომ უარი უნდა განაცხადოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და საქმე განიხილოს მხარეთა დასწრებით, თუმცა მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიუღებლად.

საქმე № ას-1264-1504-05

9 მარტი, 2006 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობა**

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 30 ივნისის განჩინებით მ. კ-ძის საჩივარი ამავე სასამართლოს 2005წ. 2 ივნისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მიღებულ იქნა და მისი განხილვა დაინიშნა 2005წ. 24 აგვისტოს. 2005წ. 8 აგვისტოს განცხადებით მიმართა მ. კ-ძის წარმომადგენელმა დ. გ-ავამ და მოითხოვა 2005წ. 24 აგვისტოს დანიშნული სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისათვის. განცხადებას თან ერთვის სათანადო წესით შედგენილი რწმუნებულება. 2005წ. 24 აგვისტოს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მ. კ-ძე, რომელსაც ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ კანონით დადგენილი წესით, ასევე არ გამოცხადდა მისი წარმომადგენელი დ. გ-ავა.

გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას და მოითხოვოს მისი გაუქმება, საქმის განახლება თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მოცემულ შემთხვევაში კი მ. კ-ძის წარმომადგენელმა დ. გ-ავამ დიდი ხნით ადრე აცნობა და მიმართა სასამართლოს განცხადებით სხდომის დღის გადადების მოთხოვნით იმ მოტივით, რომ იგი იყო შვებულებაში, ხოლო მისი მარწმუნებელი კი არ იმყოფებოდა თბილისში.

სააპელაციო პალატას არ უმსჯელია წარმომადგენლის განცხადებაზე და ისე მიიღო მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, როცა მას საკმაო დრო ჰქონდა, ემსჯელა აღნიშნულ განცხადებაზე და ეცნობებინა წარმომადგენლისათვის მისი დაკმაყოფილებისა თუ დაუკმაყოფილებლობის შესახებ. გარდა ამისა, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. კ-ძე არის პირველი ჯგუფის ინვალიდი და იგი ხშირად იმყოფება ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, რაც დასტურდება საქმეში არსებული არაერთი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობებით, ამიტომ, იგი საქმეს წარმომადგენლის დახმარებით აწარმოებს.

საქმე № ას-1219-1463-05

19 ივნისი, 2006 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო საჩივრის განხილვის დღეს ... სამინისტროს წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა სხვა საქმის განხილვაში და ამის გამო ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება სააპელაციო საჩივრის განხილვაში; კასატორის მიერ მითითებული ეს გარემოება ვერ ჩაითვლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსკ-ის 241-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძვლად. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, ვინაიდან ... სამინისტროში არსებობს იურიდიული სამსახური, სასამართლოში წარმომადგენლის უფლებამოსილება შესაძლებელი იყო მინიჭებოდა სხვა იურისტსაც, მით უფრო, რომ უწყება სასამართლო სხდომის შესახებ სამინისტროს ჩაბარდა 2004წ. 8 დეკემბერს, ანუ მთავარ სხდომამდე 2 თვით ადრე და სამინისტროს უნდა უზრუნველყო თავისი წარმომადგენლის მონაწილეობა სასამართლო სხდომაზე.

საქმე №ას-483-869-06

18 დეკემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი)**

სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. ამავე კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობდა 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს ვარაუდი, რომ მოპასუხემ ცნო სარჩელი და ამიტომ დაკარგა სარჩელისაგან თავდაცვის ინტერესი. ამგვარი რწმენის შექმნისას სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სრულიად ლოგიკური და კანონიერია, მაგრამ იმ მოპასუხის მიმართ, რომლის გამოუცხადებლობამაც სასამართლოს ვერ შეუქმნა ამგვარი რწმენა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა გაუმართლებელია. მოცემულ შემთხვევაში მხარემ თავისი წარმომადგენლის მეშვეობით შეატყობინა სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი, რითაც დაადასტურა საქმისადმი თავისი ინტერესი. ამასთან, მხარემ შემდგომში გაასაჩივრა რა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მისი სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა სათანადო მტკიცებულებით დაასაბუთა.

საქმე № ას-355-607-08

15 სექტემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობა**

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის სხდომაზე, რომელზეც მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოვიდა, გრძელდებოდა 2007 წლის 10 ივლისის მთავარ სხდომაზე დაწყებული საქმის განხილვა. 2007 წლის 10 ივლისის სხდომაზე მოსარჩელე — კანონიერი წარმომადგენელი მ. წ-ი გამოცხადებული იყო და მონაწილეობდა საქმის განხილვაში, სასამართლომ მოისმინა მხარეთა, მათ შორის, მოსარჩელის ახსნა-განმარტება, დაისვა შეკითხვები და სხდომა შეწყდა მტკიცებულებათა გამოკვლევის სტადიაზე. ამ სხდომაზე მოსარჩელემ სასამართლოსადმი მიცემულ განმარტებაში მხარი დაუჭირა სარჩელს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. ვინაიდან 10 ივლისის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე გამოცხადებული იყო და მხარეთა ახსნა-განმარტებებიც მოსმენილი იყო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას კი საფუძვლად უდევს ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოსარჩელე სასამართლო სხდომაზე საერთოდ არ ცხადდება და უარს ამბობს მის მიერ წარდგენილ მოთხოვნაზე, სასამართლოს არ ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უფლება ჰქონდა, მიეღო არა დაუსწრებელი, არამედ — საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე გადაწყდებოდა არსებითად.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელის გამოუცხადებლობას მთავარი სხდომის დაწყებამდე ექნებოდა ადგილი, ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის გამოუცხადებლობის არასაპატიობის შესახებ ექვემდებარებოდა გაზიარებას, მით უფრო, როდესაც მისი გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე ცნობა მოსარჩელეს თავის დროზე არ წარუდგენია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის და არც ამ ცნობის თავის დროზე წარუდგენლობის საპატიო გარემოებებზე მიუთითებია.

**განმარტების საგანი: სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი)**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებები ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 იანვრის სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიოობას, რის გამოც არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

საქმეზე დასტურდება, რომ 2010 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იყო შპს სასწრაფო სამედიცინო სამსახური 03-ის ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მ. გ-ის 2010 წლის 15 იანვარს ჰქონდა ჰიპერტონული კრიზი (ტომი 3, ს.ფ. 29). დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ გასაჩივრებული განჩინების გამოტანის დროისათვის მ. გ-ის სასამართლოს განუმარტა, რომ, რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერილი დოკუმენტით სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე პირდაპირ მითითებას, მის მიერ პროცესზე წარდგენილი დოკუმენტის გარდა სასწრაფო დახმარების სამსახური კერძო პირზე სხვა შინაარსის დოკუმენტს არ გასცემს, შეკითხვაზე პასუხს — შეეძლო თუ არა ბარათში მითითებული დაავადებით ავადმყოფს სასამართლოში გამოცხადება, ისინი არა კერძო პირის, არამედ — სასამართლოს მიერ ოფიციალურად გაგზავნილი შეკითხვის შესაბამისად გასცემენ (ტომი 3, ს.ფ. 55). მ. გ-ის მითითებული განმარტების სარწმუნოებას ადასტურებს საქმეზე წარდგენილი შპს „ქ-ი — 03-ის“ დირექტორის 1.06.2010წ. № 70 წერილი. მასში აღნიშნულია, რომ შეკითხვაზე — შეეძლო თუ არა არსებული ავადმყოფობის პირობებში მ. გ-ის პროცესზე გამოცხადება, ცნობის გაცემა სცილდება მათი კომპეტენციის ფარგლებს (ტომი 3, ს.ფ. 120).

საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება ასევე საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ ავადმყოფობის ცნობაში ასახული დიაგნოზით (ჰიპერტონული კრიზი), ალბათობის მაღალი ხარისხით, მ. გ-ისი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 15 იანვარს დანიშნულ სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა. ამასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ ავადმყოფი, რომელსაც მითითებული დიაგნოზი დაესვა — მ. გ-ისი — იყო 82 წლის (ტომი 2, ს.ფ. 52), ასევე რომ, საქმის მასალების თანახმად, აპელანტი ხშირად ავადმყოფობდა (ტომი 2, ს.ფ. 17, 70-71).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. გ-ისთან მიმართებით არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო საფუძველი.

**განმარტების საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი)**

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების უკანონობის შესახებ და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 9 მარტის განჩინებით არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რა გ. ჯ-ის წარმომადგენელ ნ. მ-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, აღნიშნულის შესახებ არც აპელანტის და არც მისი წარმომადგენლისათვის არ უცნობებია და იმავე დღეს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო ვალდებულია დროულად აცნობოს საქმის განხილვაზე გამოუცხადებელ მხარეს ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მითითებული ნორმით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოება, რადგან სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, ზემოხსენებული შუამდგომლობის განხილვის შედეგი ეცნობებინა მხარისათვის და აღნიშნულის შემდგომ ხელახლა დაენიშნა საქმის განხილვის დრო, რაც არ განუხორციელებია. ამასთან, ამავე კოდექსის 70-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება უნდა ჩაჰბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდათ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას საქმის განხილვის შეჩერებაზე უარის თქმისა და დავის არსებითად განხილვის თაობაზე მხარისათვის უნდა ეცნობებინა, რაც უზრუნველყოფდა პირის უფლების დაცვას სათანადოდ მოემზადოს საქმის სასამართლოში განხილვისათვის.

**საქმე № ას-63-347-08**

**17 სექტემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი)**

იხადება შემდეგი კითხვები, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა სასამართლომ დაადგინოს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტი, როდესაც ეს უკანასკნელი არ არის არც მოსარჩელე და არც მოპასუხე, რომელსაც აღძრული აქვს სარჩელი ან შეგებებული სარჩელი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის მიღებულად ცნობის შესახებ; ამ შემთხვევაში დარღვეულია თუ არა სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება ასევე, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. განსახილველი ნორმით გათვალისწინებული სამკვიდროს მიღება წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზოგადად გარიგების ნიშან-თვისებები იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც სამკვიდრო მიღების შესახებ გარიგებისათვისაა დამახასიათებელი.

ამდენად, აღნიშნული გარიგება წარმოადგენს ფაქტს, რომლის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია ასევე მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რომლითაც შესაძლებელია განისაზღვროს მოსარჩელის მიერ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფარგლები. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ სასამართლოში წარმოდგენილ იქნეს ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტი, რითაც განისაზღვრება მემკვიდრის უფლებრივი შინაარსი, არ არის აუცილებელი ამის შესახებ მან აღძრას სარჩელი და ასევე მოითხოვოს სამკვიდროს ფლობით მიღების დადასტურება. აღნიშნული მოთხოვნის სარჩელით აღძვრა წარმოადგენს მის უფლებას, რაც დაცულია დისპოზიციურობის პრინციპით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი). კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირს არა აქვს აღძრული სარჩელი დამოუკიდებელი მოთხოვნით, ის უფლებამოსილია, დაადასტუროს მის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი, რითაც განისაზღვრება ამ შემთხვევაში მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფარგლები.

**საქმე № ას-264-676-06**

**9 ნოემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი (სამოქალაქო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი)**

სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის

თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე, მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

განსახილველი ნორმის თანახმად, იმპერატიულად არის დადგენილი, თუ რა შინაარსის უნდა იყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, მითითება გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს, რომლის უგულებელყოფით ირღვევა გადაწყვეტილების შინაარსისათვის განსაზღვრული სამართლებრივი დანაწესი. აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს მხარის მიერ თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის სასამართლო წესით დაცვის პროცესუალური უზრუნველყოფის მექანიზმს. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა (სსკ 369-ე მუხლი), კანონმდებელმა იმპერატიულად გამოხატა თავისი ნება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მისი გასაჩივრების ვადასა და წესზე მითითების აუცილებლობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს პროცესუალური ვადების განსაზღვრისას ერთ-ერთ უმთავრეს სამართლებრივ კრიტერიუმს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაზე, რითაც ირღვევა სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა, რომლის გარეშეც დაუშვებელია გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დარღვევის კრიტერიუმების განსაზღვრა.

**საქმე № ას-361-341-11**

**20 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი (სამოქალაქო კოდექსის 249-ე მუხლი)**

სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი აწესებს მკაცრ მოთხოვნებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესით, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (მე-2 მუხლი), პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან ერთად იგულისხმება სასამართლოს ვალდებულება, დასაბუთებულად დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას მის მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულებას. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილი ნათლად უნდა ასახავდეს სასამართლოს შემეცნებით მსჯელობას ფაქტებთან მიმართებით (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებით მსჯელობას დადგენილი ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად, გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება, იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი. პირის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლება, მისი სადავოდ ქცეული უფლების სამართლიანი სასამართლო განხილვისა, მოიცავს პირის უფლებას, იცოდეს, მის დავასთან დაკავშირებით, რომელ ფაქტებსა და კანონებზე დაყრდნობით მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება. კანონით გარანტირებულია სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების სისტემა (აპელაცია, კასაცია) და დაინტერესებულ პირს, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპით, შეუძლია გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, გარდა კანონით ზუსტად გათვალისწინებული გამონაკლისისა. ამასთან, როდესაც პირი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, როგორც მისთვის მიუღებელსა და არადამაჯერებელს, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, დასაბუთებულად უნდა განუმარტოს აპელანტს, თუ რატომ, რომელ ფაქტებსა და ნორმებზე დაყრდნობით არ იზიარებს მის თითოეულ სააპელაციო პრეტენზიას. ზემოაღნიშნული უდევს საფუძვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

390-ე მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებების გაზიარების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იცვლება მათზე — გაზიარებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მათ შეფასებაზე მითითებით. კანონის აღნიშნული დათქმა არ ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, რომლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, დასაბუთებული პასუხი გასცეს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს. სასამართლოს უპირველეს ფუნქციას სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და იმ პრეტენზიებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა წარმოადგენს, რაც გააჩნია მოდავე მხარეს.

**საქმე № ას-400-380-2011**

**11 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილება ქონების ნატურით მიკუთვნების თაობაზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლზე, პალატა განმარტავს შემდეგს: მითითებული მუხლის მიხედვით, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. როგორც საკასაციო საჩივარშია აღნიშნული, არსებობს საფრთხე, რომ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის მოპასუხეს სადავო ქონება აღარ აღმოაჩნდეს, აქედან გამომდინარე, ჯ.ა-ის მიერ მოთხოვნილი ფართის ღირებულება უნდა განისაზღვროს 350000 აშშ დოლარით, ხოლო ი.ა-ის — 362000 აშშ დოლარით. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯ.ა-ის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების ნაწილში აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ, ყადაღა ადევს მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ბინებს 136,5 კვ.მ. და 140 კვ.მ. ფართით. ამდენად იმ პირობებში, როდესაც ჯ.ა-ის სარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია სათანადო უზრუნველყოფის ღონისძიება, საკასაციო პალატა ქონების მიკუთვნების ნაცვლად მისი ღირებულების დაკისრების შესახებ მოთხოვნას უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს.

**საქმე № ას-941-884-2012**

**6 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დაწყება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მხარე ამავე მუხლით განსაზღვრულ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადდება და გადაწყვეტილებას არ ჩაიბარებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული მუხლი, ერთის მხრივ, მხარის ვალდებულებას ადგენს, დადგენილ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორეს მხრივ, ითვალისწინებს სა-



სამართლოს ვალდებულებას იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად.

საკასაციო პალატა იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არსებობს დამაბრკოლებელი გარემოება, რის გამოც სასამართლო, მიმართვის შემთხვევაში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღესვე ვერ შეძლებს მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებას.

იმ შემთხვევაში, თუ მხარე ან მისი წარმომადგენელი კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს სასამართლოს გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე, ხოლო სასამართლო ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებას, აღნიშნული მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ გახდება და ვერც გასაჩივრების ვადის 30-ე დღიდან ათვლას გამოიწვევს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა გადაწყვეტილების რეალურად ჩაბარების მომენტიდან უნდა აითვალოს.

### საქმე №ას-583-554-2013

8 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის ჩაბარება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლი)

საქმის მასალებით დადგენილია და კერძო საჩივრის ავტორი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ შპს „ვ. ს-ის“ ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში იცავდა დ. კ-ე. რომელიც ესწრებოდა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას. საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან დ. კ-ეს არ ჰქონდა მარწმუნებლისაგან მინიჭებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სპეციალური უფლებამოსილება გასაჩივრების თაობაზე, სახეზე არ გვაქვს საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობა — „გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი.“

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეორე პირობის — „ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი“ შემოწმებისათვის, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებს: შპს „ვ. ს-ის“ წარმომადგენელი დ. კ-ე ესწრებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2013 წლის 13 მარტს გამართულ სასამართლო სხდომას. სხდომის ოქმის შინაარსიდან ირკვევა, რომ დასრულდა საქმის არსებითი განხილვა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2013 წლის 15 მარტს. საინტერესოა, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს აღნიშნული ფაქტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის შესრულებად, ანუ დ. კ-ის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღის ცოდნა ნიშნავს თუ არა მისი მარწმუნებლისათვის, შპს „ვ. ს-ის“ გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღის ცოდნას. მოცემულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია შემოწმდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 98-ე მუხლების შემადგენლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. განსახილველ შემთხვევაში მართალია დ.

კ-ეს შპს „ვ. ს-ან“ არ ჰქონდა მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილება, მაგრამ, არსებული უფლებამოსილების ფარგლებში მას თავისუფლად შეეძლო მისი მარწმუნებლისათვის ეცნობებინა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში — ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. მითითებული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევაში, როცა მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენელთან მიმართებაში შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საპროცესო მოქმედების შედეგი ვრცელდება მხარეზე, ამასთან, კანონმდებელი წარმომადგენელს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს, რაც მდგომარეობს უწყების ჩაბარების შესახებ მხარის ინფორმირებაში. თუმცა, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ნეგატიური შედეგები მხარეს შეეარაყებება. საკასაციო პალატა საპროცესო კოდექსის 770-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 98-ე მუხლის პირველი ნაწილის ერთობლივი ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მხარის წარმომადგენლისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება და მისი სამართლებრივი შედეგები არ მოითხოვს დავალების (მინდობის) ხელშეკრულებაში სპეციალურ აღნიშვნას და ზოგადი უფლებამოსილება საკმარისია იმისათვის, რათა წარმომადგენლისათვის სასამართლო უწყებით ცნობილი ფაქტი კანონის ძალით, იმავდროულად სასამართლომ ცნობილად ჩათვალოს მისი მარწმუნებლისათვის.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო მოქმედებდა კანონიერად, როდესაც დაადგინა, რომ დაცული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული პირობა.

## **საქმე № ას-261-252-2012**

**19 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის ან აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

დასახელებული ნორმის შინაარსით დასტურდება სასამართლოს უფლება, გაასწოროს პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებული უსწორობანი და აშკარა არითმეტიკული შეცდომები და ამ საკითხის განხილვა სასამართლოს შეუძლია როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა დ.ქ-ის განცხადება იმ ნაწილშიც, რომლითაც გასწორდა ანალოგიური შინაარსის უზუსტობა სააღსრულებო ფურცელში, ამასთან, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს სპეციალურ ნორმას სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე, სასამართლომ სწორად გამოიყენა ანალოგიის პრინციპი და სწორად გაავრცელა ამ საკითხის მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის დებულება, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართ-

ლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმა არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

**საქმე №ას-225-217-2012**

**25 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ამავე სასამართლოს 2012 წლის 16 იანვარს მიღებულ იქნა დამატებითი განჩინება, კერძოდ, გ.ბ-ს ა.ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისათვის გაწეული ხარჯის — 300 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო მიერ გასაჩივრებული განჩინება მიღებულ იქნა კანონის დარღვევით. პალატამ გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა შემდეგი: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ საკითხის დასმა წარმოადგენს მხარეთა პრეროგატივას და, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის დასმის 7-დღიანი საპროცესო ვადაც ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე. რაც შეეხება, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება თავისი ინიციატივით ნებისმიერ დროს, თუ წარმოიშვა ამის საჭიროება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ დასკვნას შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, სასამართლოს მიერ ხარვეზით გამოტანილი გადაწყვეტილების გამოსწორების საშუალებაა. დამატებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოტანილი, თუ ამ საქმეზე გამოტანილი ძირითადი გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც, განხილვის საგანი იყო, მაგრამ სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება ამ კონკრეტული მოთხოვნის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი კი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც სასამართლომ არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების საკითხი და დამატებითი გადაწყვეტილებით ეს ხარვეზი სწორდება. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს ან სასამართლოსაგან, თუ მან ძირითადი გადაწყვეტილების შემდეგ აღმოაჩინა მასში ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, ან მხარეთა თხოვნით. დამატებით გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება წარმოიშვას ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის კანონით დადგენილი წესი და ვადა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის დანაწესის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ დამატებითი განჩინება (ნაცვლად გადაწყვეტილებისა) გამოიტანა ერთი თვის შემდეგ (ნაცვლად 7 დღისა), რაც არასწორია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა სასამართლოსათვის.

**საქმე № ას-717-672-2010**

**05 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების განმარტება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი)**

მითითებული ნორმის თანახმად, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი მისი აღსრულების უზრუნველყოფას. ამდენად, იმისათვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამძღვრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილების განმარტების საჭიროება წარმოიშობა მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანების გამო, ამ გადაწყვეტილების აღსრულება გაძნელებული ან შეუძლებელია. ეს კი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების განმარტება დასაშვებია ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესვლაზე გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება (გარდა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილებებისა), დაუშვებელია და აღსრულების ხელშეწყობის საჭიროებაც არ წარმოიშობა, რაც გადაწყვეტილების განმარტების მიზანს წარმოადგენს.

**საქმე № ას-148-142-2012**

**12 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების განმარტება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი)**

საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილება, რომლის განმარტებასაც მხარე მოითხოვს წინააღმდეგობრივია და მხარის ეს მოთხოვნა განპირობებული სწორედ ამ გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობითაა. კერძო საჩივრისა და საქმეში წარმოდგენილი 2011 წლის 22 დეკემბრის განცხადების შესწავლის საფუძველზე, პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიზანი არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების განმარტებაა, არამედ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების განმარტებაა, რასაც კანონი არ ითვალისწინებს, ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს. მასში აისახება სასამართლოს შემცნებითი მსჯელობა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებითი მსჯელობა ამ ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული სამართლებრივი შედეგის სიცხადე. გადაწყვეტილების აღმასრულებელი პირი, იქნება ის მოვალე თუ შესაბამისი ორგანო, ვალდებულია, გადაწყვეტილების აღსრულებისას სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი შედეგის მიმართ გონივრულად იხელმძღვანელოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილითაც. სწორედ აღნიშნული განაპირობებს მართლმსაჯულების აქტის სწორად და გონივრულად აღსრულების შესაძლებლობას.

**საქმე № ას-1341-1266-2012**

**5 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების განმარტება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი)**

2012 წლის 3 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს ც.ო-მა და ი.ს-ემ და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნ-

სის განჩინების განმარტება იმ მოტივით, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მითითებული განჩინების საფუძველზე, დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება შეაჩერა, ვინაიდან განჩინებიდან არ დგინდებოდა, თუ რა ფართებზე ცნო სასამართლომ კრედიტორები მესაკუთრეებად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ი.ს-სა და ც.ო-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის განჩინების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა და იგი განიმარტა იმგვარად, რომ ი.ს-სა და ც.ო-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში მოხდეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სპეციალისტის 2009 წლის 18 მაისის № 1149/19 ცნობაში მითითებული ფართების მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში გადაწყვეტილების სარეგისტრაციო ნაწილი ბუნდოვანი არ ყოფილა, იგი ზუსტად ასახავდა მორიგების პირობებს და შეესატყვისებოდა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასახულ სასამართლო მსჯელობას. გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული გარემოება, რომ მხარეთა მორიგება მოხდა ი.ს-სა და ც.ო-ის სარეგებლობაში არსებულ იმ ფართებზე, რომლებიც მითითებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სპეციალისტის 2009 წლის 18 მაისის № 1149/19 ცნობაში, არც სარჩელში, არც გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებში მოთხოვნილი და დადგენილი არ ყოფილა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ ნაცვლად განმარტებისა, დაადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოებები, მის მიერ განმარტებული საკითხები სცდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გადასაწყვეტ საკითხთა წრეს და განჩინების სარეგისტრაციო ნაწილში ცალსახად და გარკვევით იყო ასახული საქმის სასამართლო განხილვის შედეგი და მთლიანად შეესატყვისებოდა მის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის დებულებებსა და დასკვნებს.

### **საქმე № ას-156-852-03**

**29 ოქტომბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლი)**

სსკ-ს 263-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს, რომელმაც საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით გადადოს ან განაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე, შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ სახის განჩინების მიღება მხარეთა თხოვნით შეუძლია გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სახის განჩინების მიღება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუკი არსებობს ორივე მხარის თხოვნა. ამ სახის განჩინების მიღება დასაშვებია ერთ-ერთი მხარის თხოვნითაც. მითითებული სიტყვა „მხარეთა თხოვნა“ მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ამ სახის თხოვნის უფლება გააჩნია როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. აუცილებელი არ არის, რომ ერთორულად არსებობდეს ორივე მხარის თხოვნა.

### **საქმე № ას-792-1079-09**

**9 ნოემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების გადადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით

განაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ორივე მხარის კანონიერ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვისა გადადოს ან ერთ წლამდე ვადით განაწილვადოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე შეცვალოს გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების პირობები და საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას ან მიუთითებს თავის მძიმე ქონებრივ მდგომარეობაზე, რაც, სასამართლოს შეფასებით, საფუძველად დაედება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ღონისძიებათა გამოყენებას. აღნიშნული კანონის დანაწესი არ უნდა განიმარტოს იმდაგვარად, რომ მხარის ფინანსური სიძნელეების არსებობა თავისთავად განაპირობებს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესსა და საშუალებებში კანონით განსაზღვრული ცვლილების შეტანას. მითითებული ღონისძიებები ხელს უწყობს მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებას და სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის თხოვნას, თუ ეს უკანასკნელი დაასაბუთებს, რომ აღსრულების გადადება, განაწილვადება, მისი საშუალებისა და წესის შეცვლა გადაწყვეტილების აღსრულებას რეალურად დაეხმარება. ამგვარი საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია ორივე მხარის უფლებათა დაცვა. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლამ არსებითი გავლენა არ უნდა მოახდინოს გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ შედეგზე.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საფუძველზე შეიცავს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც მიუთითებს აღსრულების შეჩერების წინაპირობად მიჩნეულ კონკრეტულ გარემოებათა ჩამონათვალზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მხარეს 2008 წლის 16 ოქტომბრის სასამართლო განჩინების აღსრულების გადადებისა და აღსრულების საშუალების შეცვლის არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და არც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით“ გათვალისწინებულ ობიექტურ საფუძველზე არ მიუთითებია, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში მ.ე-ია მოითხოვდა მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების აღსრულების ნ თვით გადადებისა და აღსრულების საშუალების იმდაგვარად შეცვლას, რომ მოწინააღმდეგე მხარეს შეთანხმებული თანხის სანაცვლოდ გადასცემოდა მ.ე-იას კუთვნილი უძრავი ნივთი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმით კანონმდებელი გულისხმობს, რომ მორიგებისას მხარეებმა სადავო საკითხზე უნდა მიაღწიონ კომპრომისს, რაც მორიგების პირობების სახით დეტალურად აისახება მორიგების აქტში და, ასეთი პირობების კანონთან შესაბამისობისას, მტკიცდება სასამართლო განჩინებით.

განსახილველ შემთხვევაში მ. ე-იასა და მ. პ-შვილს შორის 2008 წლის 16 ოქტომბერს დამტკიცებული მორიგების პირობას წარმოადგენდა ის, რომ 2009 წლის 17 აპრილამდე მ.ე-იას მ.პ-შვილისათვის უძრავი ქონების სანაცვლოდ უნდა გადაეცა 20 000 აშშ დოლარი. მ.ე-იას მიერ აღნიშნული თანხის მოპოვებასთან დაკავშირებით მხარეებს რაიმე კონკრეტული პირობა არ გაუთვალისწინებიათ, ამდენად, ზემოხსენებული სასამართლო განჩინების აღსრულებაზე გავლენას ვერ მოახდენს მ.ე-იას მითითება, რომ იგი ჯერ კიდევ მორიგების დამტკიცებამდე განმარტავდა სასამართლოში, რომ 20 000 აშშ დოლარის გადახდა შეეძლო მხოლოდ კუთვნილი 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეალიზების შემდეგ.

**საქმე № ას-856-1142-09**

**4 იანვარი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების გადადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლი)**

რაც შეეხება აღსრულების შეჩერების საკითხს პალატა განმარტავს, რომ განმცხადებლის — ჟ. ო-იას მოთხოვნა, პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია და საფუძველს მოკლებუ-

ლია, შემდეგ გარემოებათა გამო: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი ითვალისწინებს სააღსრულებო მოქმედებს შეჩერებას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლით გათვალისწინებულ აღსრულების გადადების ერთგვარ სახეს წარმოადგენს და ნიშნავს აღსრულების სხვა დროისათვის, ანუ უფრო მოგვიანებით გადატანას. მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე გადაწყვეტილების აღსრულების გადადებისათვის (შეჩერებისათვის) უნდა არსებობდეს ამისათვის გონივრული საფუძველი, რაც შეიძლება იყოს სტიქიური მოვლენა, სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადასვლა, ქონებრივი მდგომარეობის მოულოდნელად გაუარესება და სხვა.

**საქმე № ას-491-460-2010**

**5 ივლისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

მოცემულ შემთხვევაში გ. დ-ია ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლას იმგვარად, რომ მოპასუხე მხარეს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული ოთხთახიანი ბინისა და ავტოსადგომის გადაცემის ნაცვლად, დაეკისროს გადმოსაცემი ქონების საბაზრო ღირებულება — 156000 აშშ დოლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

მითითებული ნორმა ემსახურება რა გადაწყვეტილების აღსრულებას, გულისხმობს სასამართლოს კომპეტენციას, გამოტანილი გადაწყვეტილების ფარგლებში იმსჯელოს მისი აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლაზე. ნორმის შინაარსიდან ნათლად იკვეთება კანონის დათქმა, რომ სასამართლოს შეუძლია, შეცვალოს უკვე დადგენილი აღსრულების საშუალება და წესი. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულების წესი ამავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლის მიხედვით, თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას, ან მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში.

ამდენად, მოცემული ნორმა ადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით განსაზღვრული აღსრულების წესის შეცვლის შესაძლებლობას. კერძო საჩივრის ავტორი კი ითხოვს გადაწყვეტილების იმგვარად აღსრულებას — მის მიერ განსაზღვრული ქონების საბაზრო ღირებულების მხარისათვის დაკისრებას, რაზედაც გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს არ უმსჯელია. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით გ. დ-იას სრულიად მართებულად ეთქვა უარი გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილების აღსრულება მართლმსაჯულების შემადგენელი ნაწილია და მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა გარანტირებულია კანონის სხვადასხვა ნორმებით, რომლებიც ავალდებულებს სასამართლოს, გამოიტანოს აღსრულებადი გადაწყვეტილება, რაც მოცემულ შემთხვევაში საეჭვო არ არის — სასამართლომ მხარეს დააკისრა ქონების გადაცემა. ამავდროულად, მხარეს უფლება აქვს, კანონის ფარგლებში ხელი შეუწყოს და უფრო მეტად გარანტირებული გახადოს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, კერძოდ:

ქონების მიკუთვნების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტური აღსრულება უზრუნველყოფილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლით, რომლის მიხედვით, ქონების ნატურით მი-

კუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. ამდენად, მხარე, რომელიც ითხოვს ქონების მიკუთვნებას, უფლებამოსილია, მოითხოვოს გადაწყვეტილების აღსრულებლობის საშიშროებისას (ქონების განადგურება და სხვა) ამ ქონების ღირებულების განსაზღვრა. აღნიშნულით უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების რეალურად აღსრულება და მოსარჩელეს ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში ქონების ღირებულების ანაზღაურების შესახებ სარჩელის ხელახლა აღძვრის საჭიროება არ წარმოეშობა.

**საქმე № ას-405-385-11**

**11 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების გადადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე, შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ორივე მხარის კანონიერ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვისა გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე შეცვალოს გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების პირობები და საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას ან მიუთითებს თავის მძიმე ქონებრივ მდგომარეობაზე, რაც სასამართლოს შეფასებით საფუძვლად დაედება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ღონისძიებათა გამოყენებას.

მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით ც. მ-ს დაეკისრა 20 000 ლარის გადახდა რ. ჭ-შვილისა და დ. გ-შვილის სასარგებლოდ. ც. მ-მა მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება იმ მოტივით, რომ მის ქონებას ადევს ყადაღა, რაც აბრკოლებს თანხის გადახდის ვალდებულების შესრულებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება გადაიდო 2011 წლის 11 აპრილამდე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარის მიერ მითითებული გარემოებები წარმოადგენდა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესახებ შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების კანონით გათვალისწინებულ ობიექტურ საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა ნაწილობრივ ც. მ-ის შუამდგომლობა.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების 3 თვით გადადების თაობაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია ორივე მხარის უფლებათა დაცვა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინებით გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება განხორციელებულია გონივრული ვადით, რაც საკმარისია მხარის მიერ ვალდებულების შესასრულებლად. აქედან გამომდინარე, არ არსებობს საკმარისი საფუძველები იმისათვის, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების ვადა უფრო მეტი ვადით გადადოს.



**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამავ კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად კი, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება. დასახელებულ ნორმაში, მართალია, საუბარია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ზოგად წესზე, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი რეგულირების ფარგლებში მოქცეულია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის გამორკვევაც, ამავდროულად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიების გაუტარებლობა თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას — ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების აღსრულებამდე უძრავი ქონება გასხვისდა ჩუქების გზით, ამასთანავე, გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ არის დაწყებული, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს საჩივრის არგუმენტს, რომ სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლით, რადგანაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ სააღსრულებო ბიუროს პრეროგატივაა, ამგვარ დათქმას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება — უზრუნველყოფილ იქნას გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ აკრძალული არ არის არც ერთი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, შესულია თუ არა იგი კანონიერ ძალაში. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართალწარმოება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავსი ღონისძიების გატარებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახედვე გვევლინება. ამდენად, საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ არ არსებობდა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის წინაპირობა, უსაფუძვლოა.

საქმე № ას-677-633-2010

05 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი)**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმით გათვალისწინებული საფუძველით საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე. სარჩელი იგივეა, თუ იგივეა სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი), სარჩელის საფუძველი და სარჩელი აღძრულია იმავე მხარეებს შორის.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს იგივე სარჩელი. კერძოდ: ა) იგივეა სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი) — ქ.ზუგდიდში, ... ქ. № 24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრედ ცნობა; ბ) იგივეა სარჩელის საფუძველი, ანუ გარემოებები, რომლებსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა, კერძოდ, სარჩელის მიხედვით, სადავო უძრავი ქონება შეძენილია მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში და იგი მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს; გ) სარჩელი აღძრულია იმავე მხარეებს შორის (მოსარჩელე ე. რ-ავა, მოპასუხე ი. რ-ავა).აქედან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

საქმე № ას-1281-1537-09

11 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ერთსა და იმავე დავის საგანზე იმავე საფუძველით სარჩელის ხელახლა შეტანა**

დადგენილია, რომ, როგორც უკვე განხილულ და გადაწყვეტილ, ასევე მიმდინარე დავაში მხარეები არიან მ. მ-ძე, ლ. ფ-ძე და გ. ზ-ძე. დავის საგანი იყო და არის საზიარო უფლების გაუქმება და საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთიდან საცხოვრებელი ფართის პროპორციულად მიწის რეალური წილის გამოყოფა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორივე დავაში ერთი და იგივე მხარეები იდენტური საპროცესო სტატუსით მონაწილეობდნენ, ერთი და იმავე დავის საგნითა და საფუძველით.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველები არსებითად განსხვავებულია, კერძოდ, სარჩელის საფუძველად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 961-ე და 963-ე მუხლები, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობის იურიდიული და სამართლებრივი საფუძველია სადავო გაუნაშენიანებელ ეზოზე საზიარო საკუთრება, რომლის გაუქმებაც შესაძლებელია გაყოფის გზით. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან ორივე დავაში მოთხოვნის საფუძველი იყო საზიარო უფლების გაუქმება და საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთიდან საცხოვრებელი ფართის პროპორციულად მიწის რეალური წილის გამოყოფა. ხოლო კანონის თანახმად, სარჩელის ერთი და იმავე საფუძველად მოიპოვება ფაქტობრივი და არა სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

**განმარტების საგანი: დაინტერესებული პირის სახელით არაუფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის შეტანის გამო საქმის განუხილველად დატოვება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი)**

საკასაციო პალატა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ხოლო ნ.ბ-ის კერძო საჩივარი დასაშვებ შედაგებას ემყარება, რადგანაც, სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით დადგენილია სამკვიდროს მიღების ვადა და განსაზღვრულია, რომ სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1421-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად კი, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, კანონდებელმა დაადგინა, რომ სამკვიდრო შესაძლოა მიღებულ იქნა ორი გზით: ა) სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობითა და ბ) ნოტარიუსისათვის განცხადებით მიმართვის გზით.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მამკვიდრებელი კ. ლ-ე გარდაიცვალა 2008 წლის 9 ნოემბერს, ხოლო მისმა კანონისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრემ, შვილმა — ნ. ბ-ემ სამკვიდროს მიღების მიზნით სამკვიდროს გახსნიდან ნ-თვიანი ვადის დაცვით — 2009 წლის 8 მაისს მიმართა ნოტარიუსს განცხადებით, აღნიშნულით დასტურდება, რომ მემკვიდრემ „კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოხატა ნება სამკვიდროს მისაღებად, ხოლო ამგვარი ნების გამოხატვას კანონმდებელი სამკვიდროს მიღებად მიიჩნევს, ამდენად, უდავოა, რომ ნ. ბ-ემ სამკვიდრო მიიღო.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აპელანტმა ნ. ბ-ემ სამკვიდრო მოწმობა ვერ წარადგინა, საკასაციო პალატა ნაწილობრივ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ სამოქალაქო კოდექსის 1499-ე და 1500-ე მუხლების შესაბამისად, უფლებამონაცვლედ პირის ცნობისათვის საჭიროა უფლებამონაცვლის მიერ სამკვიდრო მოწმობის წარდგენა, თუმცა თვლის, რომ მხოლოდ აღნიშნული არ შეიძლება გახდეს არაუფლებამოსილ პირად ნ. ბ-ის მიჩნევის საფუძველი, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, მემკვიდრემ ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით მიიღო სამკვიდრო, ხოლო სამკვიდრო მოწმობის გაუცემლობა, მოცემულ შემთხვევაში, განპირობებულია მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით — სამკვიდრო ქონებაზე ყადაღის არსებობით, ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 89-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელი ნორმაც, მართალია, ამ დროისათვის გაუქმებულია, თუმცა, ნოტარიუსის წერილობითი მიმართვის დროს მოქმედი რედაქციის თანახმად, ქონებაზე ყადაღის არსებობა გამორიცხავდა მემკვიდრის მიერ მოთხოვნილი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას. ამასთანავე, ის გარემოება, რომ ნოტარიუსისათვის დადგენილ ვადაში განცხადებით მიმართვა თავისთავად ნიშნავს სამკვიდროს მიღებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობდა ნ. ბ-ის არაუფლებამოსილ პირად მიჩნევისა და მისი სარჩელის განუხილველად დატოვების წინაპირობა.

საქმე № ას-415-731-09

2 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს „შეუძლებლობის“ ცნებას ანუ რა შემთხვევა შეიძლება ქმნიდეს ისეთ ობიექტურ სირთულეს, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ საქმის გამოკვლევას. „შეუძლებლობა“ წარმოადგენს ისეთ ობიექტურ სირთულეს ან დაბრკოლებას, რომელიც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ისეთი გარემოებებს, რომლის დადგომა არის განპირობებული მართლმსაჯულების განხორციელების დამაბრკოლებელი ფაქტორებით. კონკრეტულ შემთხვევაში ასეთ ობიექტურ სირთულედ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულია სისხლის სამართლის საქმის განხილვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განჩინებაში მოყვანილი გარემოება არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევას, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს მოცემული საქმის გამოკვლევის შეუძლებლობის განმაპირობებელ ობიექტურ სირთულედ ან დაბრკოლებად, რამდენადაც მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, კანონმდებელი ასეთ სირთულედ მოიაზრებს მოცემული საქმის განხილვისათვის აუცილებელ ისეთ არსებით ფაქტორზე გარემოებას, რომელიც წარმოადგენს სხვა სასამართლოს განხილვის საგანს და ამდენად, პროცესუალურად შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ობიექტური გარემოებების საფუძველზე სხვა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით მას შემდეგში შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისას.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. ამ შემთხვევაში არ არსებობს განსახილველი ნორმით გათვალისწინებული საქმის განხილვის შეუძლებლობის მიზეზები.

საქმე №ას-1667-1564-2012

25 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საფუძველით საქმის წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა საქმეთა შორის ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც შეჩერების ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. სხვაგვარად თუ ვიტყვით, საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლოს განხილვაში არსებული საქმის გადაწყვეტისას. აქედან გამომდინარე, საქმის წარმოების შეჩერებამდე, სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განიხილება, კერძოდ, გამომდინარეობენ თუ არა ისინი ერთი და იგივე ფაქტობრივი საფუძველებიდან და სამართლებრივი ურთიერთობიდან.

საქმე № ას-1581-1580-2011

12 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საქმის წარმოების შეჩერების ვადა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი)**

ნ. კ-ემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე შ. კ-ის მიმართ მამობის დადგენისა და აღიშენების დაკისრების შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ნ. კ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საქმეზე დაინიშნა გენეტიკური ექსპერტიზა, ექსპერტიზის ჩატარება ვერ მოხერხდა პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვის განმავლობაში მოპასუხე მხარის საქართველოში არყოფნის გამო. შ. კ-ე მუშაობს საზღვარგარეთ და დავის განმავლობაში არ გადმოუკვეთავს საქართველოს საზღვარი. მას უფლება აქვს, ჩამოვიდეს საქართველოში წელიწადში ერთხელ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამასახურებრივ მივლინებაში. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს საქმის წარმოების შეჩერების ვადა. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა რა შეჩერების ვადაზე, დაარღვია ზემოაღნიშნული ნორმის იმპერატიული მოთხოვნა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც გაურკვეველია შ. კ-ე რა ვადით არის საქართველოს ფარგლებს გარეთ სამსახურებრივ მივლინებაში გაგზავნილი, გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ სასამართლო განჩინების აღსრულების საკითხიც ბუნდოვანია და ამ პირობებში შეუძლებელია საზოგადოდ ექსპერტიზის ჩატარების სავარაუდო ვადის განსაზღვრა, სასამართლოს წარმოება კი, ზემოაღნიშნული ექსპერტიზის შედეგების მოლოდინში მიზანშეუწონელია დაუსრულებლად გაგრძელდეს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მხარისათვის ცნობილია გენეტიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, თუმცა მას არ მიუღია შესაბამისი ზომები საიმისოდ, რომ სასამართლოსთვის ეცნობებინა აპირებდა თუ არა საერთოდ ექსპერტიზის ჩასატარებლად საქართველოში ჩამოსვლას და კონკრეტულად რა დროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის საფუძველზე მართლმსაჯულებას სასამართლოები თანასწორობის საწყისზე ახორციელებენ, რის გამოც შეუძლებელია მოპასუხის მიერ ექსპერტიზის ჩატარების მიზნით განუსაზღვრელი ვადით ლოდინის გამო, შეილახოს მეორე მხარის ინტერესი მამობის დადგენის საკითხის სასამართლოს მხრიდან დროულად განსაზღვრის თაობაზე. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებისა და სამართალწარმოების დროული და ეკონომიკური განხორციელების მიზნით მიზანშეუწონელია მსგავსი ექსპერტიზის ჩასატარებლად კონკრეტული ვადის დაწესება. ამასთან, ექსპერტიზისათვის საჭირო მასალების მიუღებლობის შემთხვევაში საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის დანაწესი.

საქმე № ას-937-880-2012

13 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>19</sup>-ე და 309<sup>20</sup>-ე მუხლები)**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე ქვემდგომმა სასამართლოებმა დაარღვიეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული დავა დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას შეეხებოდა. აღნიშნული კატეგორიის საქმე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავის შესაბამისად, შესაძლებელია განხილულ იქნეს გამარტივებული წესით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საქმის განხილვის სპეციალურ წესზე მიუთითა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლი დაუდო საფუძვლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გამარტივებული წესით საქმის განხილვა, სასარჩელო წარმოების მსგავსად, მიზნად ისახავს დარღვეული უფლების აღდგენას, თუმცა გამარტივებული წარმოების თავისებურება ისაა, რომ საქმე დაჩქარებულად და მარტივად განიხილება. ამ წესით განსახილველ საქმეთა კატეგორია კანონით ზუსტად არის განსაზღვრული და იგი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს, ანუ კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, სარჩელი ამ წესით საქმის განხილვაზე მხარემ უნდა წარადგინოს და, შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, საქმე გამარტივებული წესით აწარმოოს. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მხარის მოთხოვნა, საქმე სასარჩელო წარმოებით განიხილება და საერთო საპროცესო ვადები ვრცელდება. დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი გამარტივებული წესით განხილვას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენი, რომელიც ზიანის მიყენებას ადასტურებს. ამ შემთხვევაში, სასამართლოს აღარ უწევს ზიანის მიყენების ფაქტის, ზიანის მიმყენებლის ბრალის, მის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის გამოკვლევა. ყველა აღნიშნული გარემოება განაჩენით დასტურდება. ვინაიდან სამოქალაქო საქმის განხილველი მოსამართლის გამოსკვლევ საკითხთა წრე მცირდება, ასევე მცირდება საქმის განხილვის ვადაც. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ ტიპის დავების გამარტივებული წესით განხილვა, პირველ რიგში, საქმის საპროცესო კოდექსით დადგენილი სპეციალური ვადების ფარგლებში განხილვას გულისხმობს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვინაიდან ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელები, ისევე როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეხუთე კარით გათვალისწინებული სხვა საქმეები, შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც გამარტივებული, ისე სრული სასარჩელო წარმოების გზით, საქმის განხილველმა სასამართლომ საპროცესო დოკუმენტებში, პირველ რიგში კი სხდომის ოქმში, ზუსტად უნდა მიუთითოს წარმოების ფორმა, ამასთან, ყველა საპროცესო მოქმედება კანონით დადგენილ შემჭიდროვებულ ვადაში უნდა შესრულდეს.

განსახილველ შემთხვევაში საქმეში არსებული არც ერთი განჩინება ან სხდომის ოქმი არ შეიცავს მითითებას საქმის გამარტივებული წესით განხილვის შესახებ. გარდა ამისა, საქმე განხილული არ ყოფილა XXXIV<sup>3</sup> თავით დადგენილ ვადებში, კერძოდ, სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი სასამართლოს არ გადაუწყვეტია მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში (სსსკ-ის 309<sup>19</sup>-ე მუხლი), სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მოპასუხეს შესაგებლის წარდგენისათვის 7 დღეზე მეტი ვადა მიეცა (სსსკ-ის 309<sup>19</sup>-ე მუხლი), საქმე სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში არ განხილულა (სსსკ-ის 309<sup>20</sup>-ე მუხლი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე, მოსარჩელის შუამდგომლობის მიუხედავად, გამარტივებული წესით არ განხილულა, ამდენად, გადაწყვეტილებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენება და, ასევე, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადად 7 დღის მითითება უკანონოა. სააპელაციო სასამართლოს კი, აღნიშნულ გარემოებებზე არ უმსჯელია და საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა არ შეუფასებია.

**საქმე № ას-695-915-08**

**15 სექტემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უდავო წარმოების წესით საქმის განხილვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი)**

უდავო წარმოების საქმე განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების ზოგადი წესებით იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია კანონით და წარმოადგენს მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების სპეციფიკას. უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმის აღძვრა ხდება არა კონკრეტული მოპასუხისადმი სარჩელით მიმართვით, არამედ განცხადების შეტანის გზით,

რომელიც შეიცავს სასამართლოსადმი მიმართულ თხოვნას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების დადგენის ანდა უდავო უფლების დადასტურების შესახებ.

ამასთან, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, რათა მან განიხილოს საქმე საერთო სასარჩელო წესით. აღნიშნული დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომლის თანახმად, თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე. მითითებული ნორმით, უდავო წარმოებით საქმის განხილვამდე და გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, შესაძლებელია თუ არა აღიძვრის დავა უფლების შესახებ და მიიღოს ზომები, რომ განსახილველი ფაქტის შესახებ შეატყობინოს სავარაუდოდ დაინტერესებულ პირებს. უდავო წარმოების საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელთა უფლებებიც ამ ფაქტის დადგენით შეილახა. ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ უდავო წარმოებით განსახილველი საქმე სასარჩელო წარმოებით განსახილველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეზე აღიძვრის დავა უფლების შესახებ.

**საქმე № ას-442-756-09**

**22 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უდავო წარმოების წესით საქმის განხილვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში გ. გა-ა ითხოვს არსებული ხარვეზის გამო უფლებადამდგენი საბუთების მისაღმი კუთვნილების ფაქტის დადგენას, რის საფუძველზეც სამომავლოდ მას შეეძლება მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კანონით დადგენილი შეღავათების მასზე გავრცელება. ანუ, განსახილველ შემთხვევაში იურიდიული ფაქტის დადგენას შეიძლება მოჰყვეს (თუ გ. გა-ა ამ უფლებას გამოიყენებს და თუ კანონით გათვალისწინებული რაიმე სხვა დამაბრკოლებელი გარემოება არ არის) ის სამართლებრივი შედეგი, რომლის დადგომაც განმცხადებელს სურს.

უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ყველა იურიდიული ფაქტის დადგენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს განმცხადებლის მიზნისა და ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის დადგენა. ამასთან, განმცხადებლის იურიდიული ფაქტის დადგენის მიზანს უმეტესწილად უკავშირდება დაინტერესებულ პირის არსებობა, რომელიც არ არის იდენტური მოდავე პირისა. მიუხედავად იმისა, რომ უდავო წარმოებაში არ გვყავს ურთიერთდაპირისპირებული მხარეები და არ არსებობს დავა უფლებაზე, უდავო წარმოება შეიძლება ჩავთვალოთ უდავოდ მხოლოდ იმ მხრივ, რომ მასში არა გვაქვს უფლების შესახებ დავა, რომელიც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის.

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეში დადგენილია ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები, ე.ი. თუ რა შედეგს უკავშირებს კანონი უდავო წარმოების წესით დადგენილ ფაქტს.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასკვნის, რომ უდავო წარმოებაში დაინტერესებული პირის არსებობა და ამ პირის მიერ გამოთქმული უარყოფითი მოსაზრება დასადგენ იურიდიულ ფაქტთან მიმართებით, ცალსახად არ ნიშნავს ამ პირის უფლების დარღვევას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლით გათვალისწინებულ დავას უფლების შესახებ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონკრეტული განმცხადებლისათვის დადგენილი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იჭრება დაინტერესებული პირის უფლებაში და ართმევს მას შესაძლებლობას, სრულად და თავისუფლად გამოიყენოს ეს უფლება. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეების განხილვისას დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ პროცესის ის მონაწილეები, რომელთა უფლებებზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს

ამ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილმა სასამართლო გადაწყვეტილებამ. პროცესის ეს მონაწილეები ამიტომაც დაინტერესებულნი არიან საქმის სწორად გადაწყვეტით.

**საქმე № ას-695-915-08**

**15 სექტემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დაინტერესებული პირები უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი)**

უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ყველა იურიდიული ფაქტის დადგენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს განმცხადებლის მიზნისა და ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის დადგენა. ამასთან, განმცხადებლის იურიდიული ფაქტის დადგენის მიზანს უმეტესწილად უკავშირდება დაინტერესებული პირის არსებობა, რომელიც არ არის იდენტური მოდავე პირისა. მიუხედავად იმისა, რომ უდავო წარმოებაში არ გვყავს ურთიერთდაპირისპირებული მხარეები და არ არსებობს დავა უფლებებზე, უდავო წარმოება შეიძლება ჩავთვალოთ უდავოდ მხოლოდ იმ მხრივ, რომ მასში არა გვაქვს უფლების შესახებ დავა, რომელიც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის.

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეში დადგენილია ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები, ე.ი. თუ რა შედეგს უკავშირებს კანონი უდავო წარმოების წესით დადგენილ ფაქტს.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასკვნის, რომ უდავო წარმოებაში დაინტერესებული პირის არსებობა და ამ პირის მიერ გამოთქმული უარყოფითი მოსაზრება დასადგენ იურიდიულ ფაქტთან მიმართებით, ცალსახად არ ნიშნავს ამ პირის უფლების დარღვევას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლით გათვალისწინებულ დავას უფლების შესახებ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონკრეტული განმცხადებლისათვის დადგენილი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იჭრება დაინტერესებული პირის უფლებაში და ართმევს მას შესაძლებლობას, სრულად და თავისუფლად გამოიყენოს ეს უფლება. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეების განხილვისას დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ პროცესის ის მონაწილენი, რომელთა უფლებებზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილმა სასამართლო გადაწყვეტილებამ. პროცესის ეს მონაწილეები ამიტომაც დაინტერესებულნი არიან საქმის სწორად გადაწყვეტით.

**საქმე № ას-971-1172-08**

**9 მარტი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე — მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი)**

საქმის მასალებით, კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის 2008 წლის 8 აპრილის ცნობით დასტურდება, რომ ბათუმში, ... № 8-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს ბ. ც-ძის სახელზე რიცხულ, ექსპლუატაციაში მიუღებელ, უნებართვოდ აშენებულ საცხოვრებელ სახლს (ს.ფ. 14). საქმეში ასევე წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ ქ. ბათუმის მერიის ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის არქივის მასალებით ... № 8-ში მდებარე უძრავი ქონება (შენობის ექსპლუატაციაში მიღების გარეშე აშენებული საცხოვრებელი სახლი) ირიცხება ბ. ც-ძემ (ს.ფ. 88).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ბ. ც-ძის სახელზე რიცხული ექსპლუატაციაში მიუღებელი საცხოვრებელი სახლი ვერ განიხილება, როგორც მისი საკუთრება და სამკვიდრო. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლზე და განმარტავს, რომ სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.



კანონის დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში ბ. ც-ის სამკვიდრო მასაში შედის და მემკვიდრეს შეიძლება გადაეცეს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი სახლი იმ უფლებით, რაც მასზე მამკვიდრებელს გააჩნდა და ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში თავის სახელზე აღრიცხული ჰქონდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს განსახილველ საქმეებს მიაკუთვნებს მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის ფაქტის დადგენას. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნაა სწორედ მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენა და არა მესაკუთრედ აღიარების საკითხი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში საკუთრების უფლებით მამკვიდრებლის სახელზე დაურეგისტრირებელ ქონებაზე სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენა არ შეიძლება, საფუძველს მოკლებულია.

**საქმე № ას-1015-952-2010**

**29 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351-ე მუხლი)**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351-ე მუხლის თანახმად, დაკარგული საქმის წარმოება შეიძლება აღდგენილ იქნეს მხარეთა განცხადებით, ხოლო, ამავე კოდექსის 3513-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას, რა მიზნით ესაჭიროება განმცხადებელს დაკარგული მასალების აღდგენა.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სწორედ განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ დაუკარგავს საქმის განხილვის ინტერესი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ, ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სწორად მიუთითა, რომ დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის მიზანი შეიძლება იყოს დაუმთავრებელი საქმის წარმოების გაგრძელების ინტერესი, მაგრამ ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ დაინტერესებულმა პირმა არ უნდა დაკარგოს საქმის წარმოების გაგრძელების პროცესუალური შესაძლებლობა.

**საქმე № ას-1213-1064-2010**

**14 მარტი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საოჯახო დავების განხილვის თავისებურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლი)**

განსახილველი განჩინების გაუქმების საფუძველია ის გარემოება, რომ სასამართლოს არ გაუთვალისწინებია კანონის დანაწესების განსაკუთრებულობა საოჯახო დავების განხილვასთან დაკავშირებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია რა შეკიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. აღნიშნულიდან განსხვავებით, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვაში. მითითებული დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XIII თავიდან, რომელიც აწესრიგებს რა საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს, 354-ე მუხლის პირველი

პუნქტით ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოება-თა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. უფრო მეტიც, სასამართლო კანონით გათვალისწინებულ (მათ შორის ბავშვის უფლებების დადგენის) შემთხვევებში, ამავე კოდექსის 354-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, მიიღოს დროებითი განკარგულებაც, რაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამონაკლისს წარმოადგენს და უზრუნველყოფს ამ სფეროში უფლებების დარღვევაზე სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას.

ამდენად, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო არ არის შეზღუდული შევიბრებითობის პრინციპით, მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ. კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით სასამართლომ უნდა იმოქმედოს სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპით — თავისი ინიციატივით უტყუარად უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს ფაქტები, რაც უზრუნველყოფს ბავშვის დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას.

**საქმე № ას-1528-1534-2011**

**27 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა**

მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ი. ჩ-ის განცხადების წარმოებაში მიღებაზე სააპელაციო სასამართლოს უარი დასაბუთებულია იმით, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ შეთანხმებულან კონკრეტულ არბიტრაჟზე, რის გამოც მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „მ-ი“ არ იყო უფლებამოსილი განეხილა ი. ჩ-ის საარბიტრაჟო სარჩელი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ი. ჩ-ს დარღვეული უფლების დაცვის მიზნით შეუძლია მიმართოს განსჯად სასამართლოს საერთო სასარჩელო წარმოების წესების დაცვით და ასევე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით.

„არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის 19 ივნისის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმებით მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით, საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს შეთანხმების არსებობას.

კანონის დასახელებული ნორმების შინაარსი ცხადყოფს, რომ არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეიცავდეს მხარეთა ნამდვილი ნების გამოხატვას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე. როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ დავა განიხილოს არბიტრაჟმა და არა სასამართლომ, იმავდროულად ისინი გამოხატავენ ნებას, რომ თანახმა არიან მათ დავაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს საარბიტრაჟო განხილვის წესით, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმის განხილვის წესისაგან. ასეთ შემთხვევაში მხარეთა გადაწყვეტილებას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს ნდობა მუდმივმოქმედი თუ კონკრეტული კერძო არბიტრაჟისადმი. შესაბამისად, მხარეთა ნება დავის ამგვარი წესით განხილვის შესახებ ემყარება მათ ნდობას შერჩეული არბიტრაჟისადმი, რომელიც, კანონის თანახმად, შეიძლება იყოს როგორც მუდმივმოქმედი, აგრეთვე დროებითი, კონკრეტული დავისათვის საგანგებოდ შექმნილი.

ამდენად, საარბიტრაჟო შეთანხმება — ესაა კერძო-სამართლებრივი შეთანხმება საპროცესო ურთიერთობების ფორმის არჩევის შესახებ. იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე წარმოადგენდეს მხარეთა შორის დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთ-ერთ პირობას. ნების-

მიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის, კერძოდ, საარბიტრაჟო შეთანხმებიდან არაორაზროვნად უნდა ირკვეოდეს მხარეთა სურვილი, მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა განსახილველად გადაეცეს შესაბამის არბიტრაჟს და არა საერთო სასამართლოს. ამ შეთანხმებით ასევე ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განხილვას არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განხილვას დავა. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები. დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს.

## საქმე №ას-20-18-2013

25 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა (არბიტრაჟის შესახებ კანონის 21-ე მუხლი)

საკასაციო პალატა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ნ.ბ-სა და ვ.ნ-ას განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განსჯადი არ არის. ამასთან, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს განსჯადია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხსენებული განცხადება საერთოდ არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონსა და მხარეთა შორის დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>12</sup> მუხლის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ამდენად, მითითებული ნორმა მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიაღწიონ შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები აღსრულდეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების 10.11 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას, ხოლო არბიტრაჟის ფორმირების შემდეგ — არბიტრაჟს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების (ან არბიტრაჟის) მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და იგი უნდა აღსრულდეს არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას (ღონისძიებებს) აქვს (აქვთ) სავალდებულო იურიდიული ძალა მხარის მიერ მისი ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე (ს.ფ. 3-6).

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, არბიტრაჟი უფლებამოსილია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის საკითხის განხილვა სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებას და იგი არბიტრაჟის კომპეტენციას წარმოადგენს, შესაბამისად, ნ.ბ-სა და ვ.ნ-ას განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე სასამართლოს განსჯადი არ არის, რაც ამ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველია (სსკ-ის 186.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

**საქმე №ას-538-511-2013**

**3 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება**

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ე. ლ-ს“ (...) და გემთმფლობელ კომპანია „ფ. შ-გ-ს“ (...) შორის 2013 წლის 28 იანვარს გაფორმდა ჩარტერის (გადაზიდვის) ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა ექვემდებარება განხილვას ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA), ინგლისის სამართლის მიხედვით. სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ შპს „ე. ლ-ს“ (...) საარბიტრაჟო სარჩელი წარმოებაში მიიღო დავის განმხილველმა არბიტრაჟმა. დადგენილია ისიც, რომ მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა საარბიტრაჟო სარჩელის ასლი.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს „ე. ლ-ს“ (...) განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და საპროცესო კავშირი მხარეთა შორის დავის განხილვის შეთანხმებულ წესთან, კერძოდ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მხარეთა შეთანხმება, მათ შორის წარმოშობილი დავის ინგლისის სამართლის მიხედვით განხილვის თაობაზე, გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო არ იაზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup> მუხლზე, რომლის მიხედვით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მართალია, მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხება არა საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, არამედ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფას, მაგრამ ამ საკითხის მოსაწესრიგებლადაც ეს კანონი უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან სწორედ იგი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილება, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში უფლებამოსილი სასამართლოს (თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს) მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ

იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი ან სამართლებრივი სისტემა აირჩიეს მხარეებმა მათ შორის წარმოშობილი დავის მოსაწესრიგებლად. აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსს, რომლის მიხედვით, მხარეთა ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე, გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმები დავის შინაარსობრივი ნაწილის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ნორმებია. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმება ინგლისის სამართალზე, გულისხმობს პირდაპირ მითითებას ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალზე და არა მის საპროცესო ნორმებზე, შესაბამისად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის გამოყენების დაბრკოლებას არ წარმოადგენს მხარეთა მიერ დავის გადასაწყვეტად არჩეული ინგლისის სამართალი.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მართალია, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ, ამ წესების გამოყენებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებები.

საერთაშორისო არბიტრაჟის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები თავმოყრილია უპირატესად საერთაშორისო ხელშეკრულებებში, კანონებში და საარბიტრაჟო რეგლამენტებში. საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, უპირველესად, აღსანიშნავია 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენცია, რომელიც საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ქვაკუთხედიანია. ეს კონვენცია საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით. მითითებული კონვენცია არ შეიცავს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შიდა სამართლის გამოყენების ამკრძალავ ნორმებს. უფრო მეტიც, კონვენცია პირდაპირ მიუთითებს ეროვნულ სამართალზე, როცა საკითხი ეხება უცხოური და არაადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცედურას (მუხლი 3). არსებობს არბიტრაჟთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ 1961 წლის ევროპული კონვენცია, ვაშინგტონის 1965 წლის კონვენცია, მოსკოვის 1972 წლის და კიევის 1992 წლის კონვენციები, რომლებთანაც საქართველო არ არის მიერთებული და, შესაბამისად, ამ კონვენციებს საქართველოსათვის სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ.

საერთაშორისო არბიტრაჟის ნორმატიულ საფუძვლებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით UNCITRAL-ის 1985 წლის (2006 წელს მიღებული ცვლილებების გათვალისწინებით) მოდელურ კანონს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, რომელიც საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი ნორმების უნიფიცირებულ კანონს წარმოადგენს. ეს კანონი მიღებულ იქნა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ, რომელთან დაკავშირებით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ყველა სახელმწიფომ დადგენილი წესით მხედველობაში უნდა მიიღოს მოდელური კანონი, ვინაიდან სასურველია კანონის ერთგვაროვნება არბიტრაჟის პროცედურებთან და საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის პრაქტიკის კონკრეტულ მოთხოვნებთან მიმართებაში“. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის უნიფიცირების ფორმად სპეციალურად შეირჩა მოდელური კანონი და არა კონვენცია, ვინაიდან მოდელური კანონი, კონვენციისგან განსხვავებით, იძლევა საშუალებას მოხდეს, ერთი მხრივ, არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის უნიფიცირება მსოფლიო დონეზე, მეორე მხრივ კი, თითოეული სახელმწიფო ინარჩუნებს კანონში მისი სამართლებრივი

სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას. ზემოხსენებული მოდელური კანონი იმპლემენტირებულ იქნა სამოცდაათზე მეტ ქვეყანასა და შტატში. ქვეყნების ნაწილმა მოახდინა ამ კანონის პირდაპირი რეცეფცია, მასში ცვლილებების შეტანის გარეშე. სხვა ქვეყნებმა მიიღეს მოდელური კანონით შთაგონებული თანამედროვე კანონები არბიტრაჟის შესახებ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მოდელური კანონის საფუძველზე მიღებული კანონია, რომელშიც ასახულია მოდელური კანონის ძირითადი დებულებები, მათ შორის, წესები საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია ასევე საარბიტრაჟო რეგლამენტებში, ამიტომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისას გასათვალისწინებელია ასევე ამ რეგლამენტებით დადგენილი თავისებურებები, რომლებზედაც, როგორც წესი, მხარეებმა უნდა მიუთითონ, ხოლო, ასეთი მითითების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო ხელმძღვანელობს ეროვნული სამართლით. მოცემულ შემთხვევაში, არც საარბიტრაჟო მოსარჩელე და არც მისი მოწინააღმდეგე მხარე არ უთითებენ ღონისძიების საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟის რეგლამენტით დადგენილ რაიმე თავისებურებაზე (ასეთი რეგლამენტი არც საქმეშია წარმოდგენილი), ამიტომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების გამოყენების თაობაზე.

## **საქმე № ას-392-365-2010**

**21 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება**

მოცემულ შემთხვევაში ნ. მ-აევი ასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილს, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ნა. მ-აევის ოჯახი განეკუთვნება საკოლმეურნეო კომლს და სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს ამასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაუშვებელია გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება სარეზოლუციო ნაწილისაგან მოწყვეტით და მისგან დამოუკიდებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნაწილს. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველს, მასში უნდა აისახოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება, სასამართლოს დასკვნები გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველად დადებული ფაქტების არსებობა-არარსებობისა და მათი სამართლებრივი შეფასების შესახებ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის თაობაზე. მხარის მოთხოვნის იურიდიულ ბედს განსაზღვრავს მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლადაც სწორედ იგი წარიმართება. სამოტივაციო ნაწილი ვერ მიეცევა აღსასრულებლად, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი).

სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის, როგორც ამ გადაწყვეტილების საფუძვლის გაუქმებით, საფუძველი გამოეცლება სარეზოლუციო ნაწილსაც.

ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების იმ ნაწილის სისწორე თუ უსწორობა, რომელშიც ასახულია გადაწყვეტილების მოტივები, ვერ გასაჩივრდება სარეზოლუციო ნაწილისგან განყენებულად.

**განმარტების საგანი: სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება**

მოცემული საქმის მასალების შესწავლით დასტურდება და ამას არც კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს სადავოდ, რომ ვანის რაიონული სასამართლოს მიერ მოცემული სამოქალაქო საქმე განხილულ იქნა გამარტივებული წესით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავით დადგენილი წესის შესაბამისად. სადავო არ არის ის გარემოება, რომ ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელე თავისი ინიციატივით გამოცხადდა სასამართლოში და პირადად ჩაიბარა ვანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება მისი გამოცხადებიდან მე-14 დღეს — 2012 წლის 26 აპრილს, ხოლო საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის სარეგისტრაციო შტამპის შესწავლით დასტურდება, რომ ზ.ლ-მ სააპელაციო საჩივრით რაიონულ სასამართლოს მიმართა 2012 წლის 4 მაისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>21</sup> მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება 7 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში. აღნიშნული წარმოდგენს სპეციალურ ნორმას მოცემული კატეგორიის საქმეების მიმართ და მისი იმპერატიული დათქმა გასაჩივრების ვადის მიმართ სავალდებულოა როგორც მხარეების, ისე სასამართლოსათვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ ზ. ლ-მ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება პირადად ჩაიბარა 2012 წლის 26 აპრილს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების 7-დღიანი ვადის დენა დაიწყო მოვლენის დადგომის მომდევნო დღეს — 2012 წლის 27 აპრილს და ამოიწურა 2012 წლის 3 მაისს. საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრისა და კერძო საჩივრის ავტორის განმარტების თანახმად კი, მან სასამართლო მიმართა 7-დღიანი ვადის დარღვევით, 2012 წლის 4 მაისს, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან მე-8 დღეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი მოცემული კატეგორიის საქმეების მიმართ წარმოდგენს სპეციალურ ნორმებს და ამ საქმეებზე საპროცესო კანონმდებლობის ზოგადი დანაწესები მხოლოდ მაშინ ვრცელდება, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სპეციალური ნორმის დათქმებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>21</sup> მუხლით და სწორად მიიჩნია, რომ არ არსებობდა ზ.ლ-ის სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობა.

რაც შეეხება კერძო საჩივრის საფუძველს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის საპროცესო ვადა განუსაზღვრა 14 დღით და მან სწორედ ამ ვადის დაცვით შეიტანა სააპელაციო საჩივარი, ამასთან, მხარე არ იყო ვალდებული, სცოდნოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, ხოლო სასამართლომ, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით, მის მიმართ უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გარანტირებული უფლებები, პალატა აღნიშნულს ვერ გაიზიარებს და ვერ ჩათვლის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>21</sup> მუხლი წარმოდგენს სპეციალურ ნორმას, რომელიც გასაჩივრების ვადასთან მიმართებით შეიცავს იმპერატიულ დათქმას. ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებით მხარეს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადად 14 დღე მიეთითა და სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო ამ საფუძველით დაეშვა სააპელაციო საჩივრი,

უსაფუძვლოა, რადგანაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის მითითება, შესაძლოა გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მიერ, უსწორობის გასწორების საფუძველი გახდეს და არა დარღვეული საპროცესო ვადის საპატიოდ მიჩნევის წინაპირობა (სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია), რაც შეეხება სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის მხარის საწინააღმდეგოდ გამოყენებასა და მის მიმართ კანონმდებლობით აღიარებული უფლებების დარღვევას, პალატა აღნიშნულის ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რადგანაც მოქმედი კანონმდებლობით, კონსტიტუციითა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული მხარის უფლების სასამართლო წესით დაცვის დარღვევის ფაქტი მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება, ზემდგომ სასამართლოში სამართალწარმოებაზე მხარეს სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი იმ ვადის დაუცველობის გამო ეთქვა უარი, რომლის დარღვევაც კანონმდებლობით აღიარებული სააპელაციო საჩივრის დაშვების ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობაა.

**საქმე № ას-866-1152-09**

**9 ნოემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ლ-ია უფლებამოსილია გაასაჩივროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება. სამოქალაქო კოდექსის 291-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ უძრავი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, მას მაინც შეუძლია იპოთეკარს წაუყენოს ის შესაგებელი, რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს, მათ შორის, შესაგებლები ფულად ვალდებულებათა გაქვითვისა და მოთხოვნის გასაჩივრების გამო. ამდენად, სამოქალაქო კანონმდებლობა იცავს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს, რომელიც არ არის პირადი მოვალე იმგვარად, რომ იპოთეკარის წინააღმდეგ პრეტენზიის წაყენების შესაძლებლობების ქონის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, ათანაბრებს მას პირად მოვალესთან, ანიჭებს უფლებას, წარადგინოს ის შესაგებლები, რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს. აღნიშნული ბუნებრივიცაა, რამდენადაც, უძრავი ნივთის მესაკუთრე, რომელიც არ არის პირადი მოვალე და აქცესორული ვალდებულების მატარებელია, მთლიანადაა დამოკიდებული იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირად მოვალესა და კრედიტორს შორის არსებულ ძირითად ვალდებულებაზე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ე. ლ-იას საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული ბინის აუქციონზე რეალიზაციის საკითხი მთლიანადაა დამოკიდებული იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც მიიღებს სასამართლო ნ. მ-შვილის სარჩელზე გ. პ-იანისათვის თანხის დაკისრების ნაწილში. აქედან გამომდინარე, ე. ლ-ია პროცესულურად უფლებამოსილია, გაასაჩივროს გადაწყვეტილება თანხის დაკისრების ნაწილში, რამდენადაც აღნიშნული გადაწყვეტილება პირდაპირ შეეხება მისი, როგორც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის ინტერესებს.

**საქმე № ას-931-1237-07**

**16 იანვარი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მოსარჩელებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნული ნორმის თანახმად, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ, მხოლოდ მხარეებს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათ უფლებამონაცვლეებს, თანამონაწილეებს, მათი თანამონაწილეობის საფუძველებით განსაზღვრულ ფარგლებში, ასევე პირებს,



რომლებიც მართალია არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით, რომლითაც შპს „ჯ.-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. შ-ძის, მ. ბ-ძის, ლ. ნ-ძისა და სხვათა, უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა შპს „ჯ.-ის“ საკუთრებაში არსებული, თბილისში, ...-ს ქ.-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მშენებარე შენობა-ნაგებობები და მოსარჩელეს გადაეცა თავისუფალ მდგომარეობაში, აღნიშნული გადაწყვეტილება დ. ჯ-ძის, თ. ჩ-იას, ბ. კ-ძის, დ. ბ-იძის, თ. მ-ძის მიმართ არ ყოფილა გამოტანილი და არც მათი უფლებები და მოვალეობები არ განსაზღვრულა მოსარჩელე მხარის მიმართ, ვინაიდან აღნიშნული პირები მოპასუხეთა წრიდან ამორიცხვულები იყვნენ, შესაბამისად, არც მხარეებს და არც მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით არ წარმოადგენდნენ, ხოლო, თუ კერძო საჩივრის ავტორები თვლიდნენ, რომ გადაწყვეტილებით დაირღვა ან შეილახა მათი უფლებები, მითითებული ნორმიდან გამომდინარე, შეეძლოთ სარჩელით მიემართათ სასამართლოსათვის ამ უფლების დასაცავად და არა სააპელაციო საჩივრით ამ გადაწყვეტილებაზე.

### **საქმე № ას-331-683-07**

**18 ივნისი, 2007 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრა**

საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 თებერვლის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ სასამართლომ დაიწყო დ. მ-ს სააპელაციო საჩივრის განხილვა, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და გავიდა სათათბირო ოთახში, სათათბირო ოთახიდან დაბრუნების შემდეგ კი სასამართლომ გამოაცხადა განჩინება დ. მ-ს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. (ს.ფ. 292-293). საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში გამოიტანა მოულოდნელი განჩინება. რადგან თუ სააპელაციო სასამართლოს მიაჩნდა, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება ეჭვს იწვევდა, მას უნდა მიეცა აპელანტისათვის შესაძლებლობა სააპელაციო საჩივრის ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოსადგენად. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი და საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება დაადგინა მტკიცებულებების შეფასების გარეშე. ამ ნორმის თანახმად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თ. (დ. მ-ს) არ მიეცა შესაძლებლობა სათანადო მტკიცებულებებით დაედასტურებინა სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება.

### **საქმე № ას-858-909-2011**

**18 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: სააპელაციო საჩივრის ღირებულება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ გ.ნ-შვილმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ 533 აშშ დოლარის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებისა და ლ.თ-ძის მიერ საქმის განხილვისათვის წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის — 312 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრების მოთხოვნის ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე

შეაქვს საჩივარი მხარეს. მითითებული ნორმის საფუძველზე, ქონებრივ დავებთან მიმართებით, კანონმდებელმა დაადგინა, თუ რა კატეგორიის საქმის მიმართ დაიშვება სააპელაციო საჩივრის შეტანა. აღნიშნულ კრიტერიუმს წარმოადგენს დავის საგნის ღირებულება და დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარი იმ გადაწყვეტილების ან გადაწყვეტილების იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც მხარე სადავოდ ხდის და მოთხოვნის ოდენობა არ აღემატება 1000 ლარს, სააპელაციო საჩივრის შეტანა არ დაიშვება. კანონის აღნიშნული დანაწესი სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარეობს და შედარებით ნაკლები ღირებულების ქონებრივი დავის სწრაფად გადაწყვეტასა და დასრულებას ემსახურება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლით განსაზღვრულია დავის საგნის ღირებულების გამოანგარიშების წესი. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი კი ადგენს, რომ ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელის ფასი გამოიანგარიშება გადასახდელი თანხით. მითითებული ნორმის დანაწესი ზოგადია და მისი მოქმედება ვრცელდება როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო წესით საქმის განხილვასთან მიმართებით (სსსკ-ის 372-ე, 399-ე მუხლები).

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან მხარე სადავოდ ხდიდა სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილებას, უნდა შეეკრიბა სადავოდ მიჩნეული თანხები და ამის საფუძველზე დაედგინა სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება. საკასაციო სასამართლო აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია დავის საგნის ღირებულების გამოთვლის წესი. დასახელებული ნორმის არც ერთი დანაწესი არ მიუთითებს ქონებრივ დავად ზემდგომი სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკისრებული სასამართლო ხარჯების დავის საგნის ღირებულებაზე მიმატების შესაძლებლობას.

## საქმე №ას-15-13-2013

18 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სააპელაციო საჩივრის ღირებულება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი)

საქმის მასალებით დასტურდება, რომ წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენდა ნივთის რეკონსტრუქციის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც ერთი, მხრივ, თანხის დაკისრებაში, ხოლო, მეორე მხრივ, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაში გამოიხატებოდა.

ირაკვევა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დამყოფილებაზე. დავას არ იწვევს ის გარემოებაც, რომ გ.გ-ამ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სრულად.

სააპელაციო პალატამ სამართლიანად მიუთითა, რომ წინამდებარე დავა ქონებრივ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს კანონის არასწორად გამოყენებასთან მიმართებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო (კერძო) საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო პალატა დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „კ“ ქვეპუნქტებზე, ასევე მე-40 მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ დასახელებული ნორმების მოქმედება ამავე კოდექსის 372-ე მუხლით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით, ვრცელდება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზეც, თავად ამ

ნორმებით დადგენილია შემდეგი: დავის საგნის ფასი ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელზე განისაზღვრება გადასახდელი თანხით, ხოლო თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა — 4 000 ლარით. თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქონებრივი დავის ერთი ნაწილის — თანხის გადახდევინების ღირებულება 225 ლარია, ხოლო მეორე ნაწილის — პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის (ნივთის დემონტაჟი) ნაწილში ამ დავის ღირებულება კანონის ძალით 4000 ლარითაა განსაზღვრული, ამასთან, ამ მოთხოვნათა ჯამი აღემატება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ დავაზე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის დადგენილ შეზღუდვას, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საპროცესო ნორმა, რის შედეგადაც არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, აღნიშნული კი თავისთავად გასაჩივრებული განჩინების უპირობოდ გაუქმების საფუძველია.

**საქმე № ას-1012-1043-2011**

**9 სექტემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლი)**

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტმა ნაწილობრივ შეავსო ხარვეზი, კერძოდ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს, დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარმოსადგენად, აპელანტისათვის თავისი ინიციატივით უნდა გაეგრძელებინა საპროცესო ვადა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლით დადგენილი ხარვეზის შევსებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მექანიზმი გულისხმობს ვითარებას, როცა ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით ნათელია, რომ მხარემ არ შეავსო და არც აპირებს ხარვეზის შევსებას. მოცემულ შემთხვევაში, მხარემ ნაწილობრივ შეავსო ხარვეზი, კერძოდ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს საჩივარი შეეძლო განუხილველად დაეტოვებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხარვეზის გამოსწორების ვადის ხელმოწერა გაგრძელების შემთხვევაშიც, იგი მაინც არ შეავსებდა ხარვეზს.

**საქმე №ას-873-819-2012**

**12 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლი)**

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა მის მიერ არაერთხელ დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით, რა დროსაც სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტმა ვერ შეავსო სააპელაციო საჩივრის იმ მოთხოვნაზე დადგენილი ხარვეზი, რომელიც შეეხებოდა შემდეგი მოთხოვნის დაზუსტებას: „გამოეყოს გ. ფ-ს 15 კვ.მ ფართი მისი საცხოვრებელი შენობის ნებისმიერი თავისუფალი საერთო ფართიდან და ი. ზ-ს მოქმედებების უკანონოდ ცნობაში მის იურიდიული ინტერესს წარმოადგენს, რომ სურს აინაზღაუროს ის მატერიალური და მორალური ზარალი, რაც მისმა საქმისადმი გულგრილმა, დაუდევარმა დამოკიდებულებამ მიაყენა“.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატა გასცდა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმების ფარგლებს და დასახელებულ ეტაპზე იმსჯელა ისეთ გარემოებებზე, რაც სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვისას უნდა შეფასებულიყო.

სამართლებრივად გაუმართლებელია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სტადიაზე იმის გარკვევა, თუ რა იურიდიული ინტერესი გააჩნია აპელანტს სააპელაციო საჩივარში ასახული მოთხოვნის მიმართ

და ასეთი ინტერესის არარსებობა ვერანაირად ვერ გახდება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არც 368-ე და არც სხვა რომელიმე მუხლი სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის ამგვარ პირობას არ იცნობს. კონკრეტული მოთხოვნისადმი აპელანტის იურიდიული ინტერესის არარსებობა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სააპელაციო საჩივრის მხოლოდ არსებითად განხილვის დროს, მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმების მიზნით.

**საქმე №ას-1088-1323-04**

**7 აპრილი, 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა**

სსკ-ის 379-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია, საქმის მეორე განხილვის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი. სსკ-ის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. 189-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით, ხოლო, 179-ე მუხლის თანახმად, სარჩელს უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები.

აღნიშნული ნორმების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მართებულად დააკისრა ს. ლ-ეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა, შესაბამისად, კასატორის მოსაზრება, რომ შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე კანონი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდას, არასწორია.

**საქმე №3კ/965-01**

**31 დეკემბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლი)**

პალატის მოსაზრებით, მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების დაუსაბუთებლობა გამოიხატება სააპელაციო სასამართლოს იმ მოსაზრებაში, რომ სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნა, რომელიც მხარეს პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის სახით არ დაყენებია, ხოლო სააპელაციო სასამართლოში მხარის მიერ ამ საკითხზე შუამდგომლობა სათანადო წესით დაყენებული არ ყოფილა, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ გახდებოდა.

საქმეში წარმოდგენილ შესაგებელში, სააპელაციო და დამატებით სააპელაციო საჩივარში, მითითებულია სადავო ხელშეკრულების მოტყუებით დადებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ არის მოწინააღმდეგე მხარის წერილიც, რომ რფ სს „რ.-ის“ წარმომადგენელი იურისტია და მას ვერავინ მოატყუებდა.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ხელშეკრულებების ბათილობის საკითხი მოპასუხეს, როგორც პირველი ინსტანციის, ისე მეორე ინსტანციის სასამართლოში, დაყენებული ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობის საკითხის გადაწყვეტა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის დროს შეგებებული სარჩელის წარდგენის გარეშეც ხდება. გარიგების ბათილობა მატერიალური სამართლის ნორმა და სასამართლო მატერიალურ ნორმას დამოუკიდებლად იყენებს მხარეთა მოთხოვნის გარეშე სადავო ურთიერთობების გადაწყვეტის დროს. ამისათვის საჭირო არაა მხარემ მიუთითოს სამართლის ნორმაზე. მოთხოვნა.

მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარეებს შორის დადებული საქესპედიციო და იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვის დროს საჭირო არაა მხარის მიერ შეგებებული სარჩელის შეტანა ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებით. საქმის განხილვის დროს თუ კი აღმოჩნდებოდა, რომ მითითებული ხელშეკრულებები მართლაც მოტყუებით იყო დადებული, იგი სასამართლომ ბათილად უნდა ცნოს მხარის შეგებებული სარჩელის მიუხედავად.

იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს არ განუხილავს სადავო ხელშეკრულებების ბათილობის საკითხი, ანუ არ გამოუკვლივია ფაქტობრივი გარემოებები ამ ხელშეკრულებათა მოტყუებით დადების შესაძლებლობის შესახებ (ბათილობის შეთხვევაში მხარეს არა აქვს უფლება, მოითხოვოს ხელშეკრულების შესაბამისად შესრულება) თავისთავად ცხადია, დაუსაბუთებელია სასამართლოს გადაწყვეტილება სადავო ხელშეკრულების შესაბამისად მოპასუხისათვის გადასახდელად თანხების დაკისრების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

**საქმე № ას-293-550-08**

**9 ივნისი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შეგებებული სააპელაციო საჩივარი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე და 379-ე მუხლების თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებს უფლება აქვთ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანონ სააპელაციო საჩივარი, ან მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ კანონით კონკრეტულად განსაზღვრულ ვადაში მიმართონ სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივრით. სააპელაციო და შეგებებულ სააპელაციო საჩივრებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანა ხდება მხარის მიერ დამოუკიდებლად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე მხარის მიერ გასაჩივრების მიუხედავად და მისი განხილვაც მიმდინარეობს მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი ბედის გაუთვალისწინებლად, მაშინ, როცა შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანა ხდება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ, მის საწინააღმდეგოდ, რაც ფაქტობრივად მიუთითებს, რომ ძირითადი სააპელაციო საჩივრის შეუტანლობისას შეგებებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა აღძრული არ იქნებოდა.

ცხადია, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი ორგანულადაა დაკავშირებული ძირითად სააპელაციო საჩივართან, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ძირითადი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება ან მასზე უარის თქმა შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას გამოიწვევს.

ასევე, ძირითადი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს კანონით მინიჭებული აქვს უფლება, წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიუხედავად იმისა, ნათქვამი აქვს თუ არა მას უარი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონი მოწინააღმდეგე მხარეს უფლებას ანიჭებს, სააპელაციო საჩივარს დაუპირისპიროს შეგებებული აპელაცია. ამდენად, შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებაზე გავლენას ვერ იქონიებს ის გარემოება, რომ მხარის მიერ შეტანილი ძირითადი სააპელაციო საჩივარი ამა თუ იმ მიზეზით დატოვებულ იქნა განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ ი.ჯ.-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი არასწორად დატოვა განუხილველი იმ საფუძვლით, რომ აპელანტმა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე ძირითადი სააპელაციო საჩივრის შეტანით ამ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება უკვე გამოიყენა.

საქმე № ას-1018-1212-08

28 მაისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

მითითებული ნორმა ემყარება დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის თანახმად, სასამართლომ თავისი მსჯელობა უნდა იქონიოს მხარის მოთხოვნის ფარგლებში, ნორმის დანაწესიდან გამომდინარე დაუშვებელია საუარესოდ შებრუნება. საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლების უზრუნველყოფის გარანტიას, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი არ შეიცვლება მის საზიანოდ.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელები სააპელაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიანგარიშა დაკისრებული თანხის ოდენობა. სააპელაციო სასამართლოს აპელანტების მიერ მითითებულ არგუმენტებზე საერთოდ არ უმსჯელია. ამასთან, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მათი სააპელაციო საჩივარი, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება თანხების დაკისრების ნაწილში, რომელიც მოსარჩელეთა მიერ არ ყოფილა გასაჩივრებული და დააკისრა მოპასუხეს იმაზე ნაკლები თანხა, ვიდრე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით იყო დაკისრებული.

საქმე № ას-128-458-09

11 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი)**

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე თავის მოთხოვნის საფუძვლად მიუთითებდა, რომ სადავო სახლი ცოლქმრის მ. და დ. ჯ-შვილის საერთო საკუთრება იყო, ხოლო მოპასუხეები სარჩელის უარსაყოფად მიუთითებდნენ, რომ სადავო სახლი ირიცხებოდა მამის — დ. ჯ-შვილის სახელზე და დედას არასოდეს გამოუხატავს სურვილი დარეგისტრირებულიყო თანამესაკუთრედ, შესაბამისად, სადავო სახლი არ წარმოადგენდა თანასაკუთრებას. არცერთ მხარეს, მოთხოვნისა და შესაგებლის საფუძვლად არ მიუთითებია, რომ სადავო ქონება კომლის საკუთრებას წარმოადგენდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი პირველ ინსტანციაში დაებრუნებინა საქმე ისეთი ფაქტების გასარკვევად, რასაც მხარეები თავიანთი მოთხოვნისა თუ შესაგებლის საფუძვლად არ უთითებენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და არ დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

საქმე № ას-1219-1479-09

9 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საქმის დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. ამ მუხლის მე-2 ნაწილი იმავდროულად არ ადგენს საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების აუცილებლობას და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედა-

ვად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება შეუზღუდავია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებასთან მიმართებაში. ამასთან, საკასაციო სასამართლოს თვლის, რომ მართლმსაჯულების დროულად განხორციელების, სასამართლო დავების ოპერატიულად გადაწყვეტის, ასევე საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების მიზნით, სააპელაციო პალატამ შეძლებისდაგვარად თავი უნდა შეიკავოს ხელახლა განსახილველად საქმის რაიონულ სასამართლოში დაბრუნებისაგან და არსებითად თავად განიხილოს იგი, თუკი არ არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების კანონით გათვალისწინებული აუცილებლობა. სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად ასევე საქმის არსებითად განხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან მნიშვნელოვნად დაირღვა საპროცესო ნორმები, რაც ართულებს საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში.

**საქმე №ას-1532-1435-2012**

**24 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაში იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარდგენის გარეშე განიხილა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შესაგებლის შეტანა მხარის დისპოზიციურ უფლებათაგან ერთ-ერთია, მაგრამ მისი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შეუტანლობა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მიხედვით, საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

იმავე კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ სააპელაციო ინსტანციაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი. მითითებული მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. აღნიშნული ნორმით დადგენილი „ყველა სხვა შემთხვევა“ კი გულისხმობს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასაც.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა ავტომატურად დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას არ ნიშნავს, კერძოდ, იმავე 232<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე—78-ე მუხლებით დადგენილი

წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოწინააღმდეგე მხარე სააპელაციო სასამართლოში შესაგებელს არ წარადგენს და სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს, იგი ნიშნავს სხდომას. აღნიშნულ სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია მხოლოდ სამართლებრივი მოსაზრებები გამოთქვას გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივ საფუძვლებს იგი სადავოდ ვერ გახდის, რის შესახებაც სასამართლომ მხარეს უნდა განუმარტოს. ამგვარი განმარტება სხდომის ოქმით უნდა დასტურდებოდეს, გარდა ამისა, შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს, რის საფუძველზე მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებლად. გადაწყვეტილებაში უნდა იყოს ასახული, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უნდა განეხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და შეეფასებინა, გ. დ-ის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებდა თუ არა. ბუნებრივია, სასამართლო შესაძლოა, მისულიყო დასკვნამდე, რომ გ. დ-ის მოთხოვნა არ იყო იურიდიულად გამართლებული, მაგრამ აღნიშნული გარემოების თაობაზე მას გასაჩივრებულ განჩინებაში უნდა ემსჯელა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ შეუხსრულებია.

**საქმე № ას-858-807-2010**

**16 მაისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „8“ ქვეპუნქტი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „8“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ.

ამ ნორმას მხედველობაში აქვს ერთი და იგივე მოსამართლის მონაწილეობა ერთსა და იმავე საქმეზე სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციებში, რაც დაუშვებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით. მითითებული ნორმის მიხედვით, მოსამართლეს ეკრძალება საქმის განხილვაში მონაწილეობა, თუ იგი ამ საქმის განხილვაში მონაწილეობდა სხვა ინსტანციის და არა იმავე ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, ეს ნორმა არ გამორიცხავს და, მაშასადამე, უშვებს საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობას, თუ საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში საკასაციო სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევაში, საქმე შეიძლება განიხილოს იმავე სააპელაციო პალატამ (მოსამართლეთა იგივე შემადგენლობამ), რომლის გადაწყვეტილებაც ამ საქმეზე გაუქმდა.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების (დ.ჟორჯოლიანი, ს.ჩხაიძე) მონაწილეობით, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ იმავე საქმის განხილვაში იმავე ინსტანციის სასამართლოში, რაც ზემოაღნიშნული ნორმებით აკრძალული არ არის. შესაბამისად, კასატორის მიერ მითითებულ კანონის დარღვევას არა აქვს ადგილი.

**საქმე № ას-352-335-2011**

**7 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ახალ გარემოებებზე მითითება საკასაციო სასამართლოში**

საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეკიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული



მხარე იღებს თავის თავზე როგორც ფაქტების გადმოცემის, ისე მათი დამტკიცება-დასაბუთებულების ტვირთს. აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დანაწესიდან, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღსანიშნავია, რომ შევიბრებიითობის პრინციპის ფარგლებში მხარეები ვალდებული არიან თავიანთი მოთხოვნის დასაბუთებლად მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები წარადგინონ საქმის არსებითად განხილვისათვის მომზადების სტადიაზე, ვინაიდან საქმის განხილვის შემდგომ ეტაპზე მათი წარდგენა მკაცრად შეზღუდულია. ამგვარ დანაწესს შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე, 215-ე და 380-ე მუხლები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლით დადგენილია კასაციის ფარგლები, კერძოდ პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. ამდენად საკასაციო სასამართლოში ახალ გარემოებებზე მითითება, რაც მხარეს არ დაუყენებია პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, დაუშვებელია და საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი ვერ იქნება. როგორც საქმის მასალებით დგინდება, კასატორს ხანდაზმულობის საკითხი არ დაუყენებია არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, შესაბამისად საკასაციო პალატა ვერ მისცემს შეფასებას სარჩელის ხანდაზმულობის საკითხს.

**საქმე № ას-586-551-2010**

**11 ნოემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ახალ გარემოებებზე მითითება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში**

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ნ. ბ-ძემ იპოთეკის ხელშეკრულება საცილოდ 1-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ გახადა, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: სამოქალაქო კოდექსის 84-ე მუხლი ადგენს სპეციალურ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას მოტყუებით დადებული გარიგებებისათვის, რომელიც ერთ წელს შეადგენს. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა, ამასთან, ხანდაზმულობის ვადის გასვლა კი არ აქარწყლებს მოთხოვნას, არამედ მას მოთხოვნას განუხორციელებლად აქცევს. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლოს ხანდაზმულობის საკითხის გამოკველევა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სადავოდ მხარე ხდის. გარდა ამისა, სასარჩელო ხანდაზმულობის შედეგი პროცესულური ხასიათის უფროა, ვიდრე მატერიალური, რადგან ხანდაზმულობა არის სარჩელისაგან თავის დაცვის ერთ-ერთი ფორმა და თავისთავად მოთხოვნის გაქარწყლებას არ იწვევს. სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ კანონმდებლობა ადგენს საშუალებას და არა უფლებას, ამასთან ხანდაზმულობას არ აქვს ეფექტი, მხარის მითითების გარეშე. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია მიუთითოს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზემდგომ ინსტანციებში, ამდენად მიჩნეულია, რომ ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მითითება პირველად სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში ისევე დაუშვებელია, როგორც ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე მითითება.

**საქმე № ას-169-163-2011**

**23 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ახალ გარემოებებზე მითითება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში**

საკასაციო პალატა უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ, ზოგადად, ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა, ამასთან, ხანდაზმულობის ვადის გასვლა კი არ აქარწყლებს მოთხოვნას.

ნას, არამედ მას განუხორციელებლად აქცევს. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლოს ხანდაზმულობის საკითხის გამოკველევა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სადავოდ მხარე ხდის. გარდა ამისა, სასარჩილო ხანდაზმულობის შედეგი პროცესუალური ხასიათის უფროა, ვიდრე მატერიალური, რადგან ხანდაზმულობა არის სარჩელისაგან თავის დაცვის ერთერთი ფორმა და თავისთავად მოთხოვნის გაქარწყლებას არ იწვევს. სასარჩილო ხანდაზმულობის შესახებ კანონმდებლობა ადგენს საშუალებას და არა უფლებას, ამასთან ხანდაზმულობას არ აქვს ეფექტი, მხარის მითითების გარეშე. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია მიუთითოს ახალი ფაქტებსა და მტკიცებულებებზე შემდგომ ინსტანციებში, ამდენად მიჩნეულია, რომ ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მითითება პირველად სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში ისევე დაუშვებელია, როგორც ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე მითითება. განსახილველ შემთხვევაში მხარემ ხანდაზმულობის თაობაზე პირველად სააპელაციო საჩივარში მიუთითა. ამ გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზე ემსჯელა.

**საქმე №ას-1350-1275-2012**

**25 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ახალ გარემოებებზე მითითება შემდგომი ინსტანციის სასამართლოებში**

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მხარისათვის მოულოდნელი არ უნდა იყოს და ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს, როგორც სარჩელსა და შესაგებელში ასახული გარემოებების შეფასებიდან, ისე მხარეთა ახსნა-განმარტებების და მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გაკეთებული დასკვნებიდან. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, ის გარემოება უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში, ამდენად, მხარე ახალ ფაქტებზე საკასაციო სასამართლოში ვერც საპატიო მიზეზის არსებობისას მიუთითებს, მით უფრო, რომ საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაა და იგი საქმეზე ფაქტობრივ გარემოებებს არ ადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეს აღარ აქვს შესაძლებლობა, პროცესუალური საშუალებების გამოყენებით აიცილოს მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღება. ამგვარი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება ან საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“). საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თუ სააპელაციო სასამართლო დავის განხილვისას მიიჩნევს, რომ ამ საქმის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სარჩელში აღნიშნულისაგან განსხვავებული ნორმები და ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად განსხვავებულად უნდა შეფასდეს, მან ასევე უნდა შეაფასოს, გამოიწვევს თუ არა, ამგვარი ცვლილება მეორე მხარის ინტერესების დარღვევას და თუ წარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოპასუხეს, შეიძლება, შეეზღუდოს შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზაციის შესაძლებლობა, საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა დააბრუნდეს.

სარჩელისაგან თავის დაცვის ერთ-ერთი ფორმაა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითება. ამგვარი მითითების მიმართ კი, გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს,

რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს ხანდაზმულობის საკითხი. ამის შესახებ დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს. აღნიშნული შეზღუდვა გამომდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან: თუ ერთ მხარეს ენიჭება დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, მეორე მხარე უფლებამოსილია, გამოიყენოს ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის გასაქარწყლებლად, ხოლო სასამართლოს მხრიდან ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით, ილახება მხარის უფლება, გარდა ამისა, ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია მიუთითოს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზემდგომ ინსტანციებში, ამდენად, ჩვეულებრივ პირობებში, ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მოსარჩელისაგან განსხვავებულად აფასებს მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას და მოპასუხეს ობიექტურად არ აქვს საშუალება გარკვეულ გარემოებებზე (ხანდაზმულობის ჩათვლით) მითითებით დაიცვას თავი სარჩელისაგან, ხანდაზმულობის საკითხის წამოჭრა ზემდგომ ინსტანციაში დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. სააპელაციო სასამართლოსათვის, ამგვარ ვითარებაში ხანდაზმულობაზე მითითება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევად უნდა შეფასდეს.

რაც შეეხება კასაციას, ჩვეულებრივ პირობებში, მხარე ამ ინსტანციაში ხანდაზმულობის საკითხს ვეღარ წამოჭრის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს ხანდაზმულობაზე და ამ კუთხით შეაფასოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება, თუ მხარეს ეს საკითხი არ წამოუჭრია ქვემდგომ სასამართლოებში, მაგრამ, განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დავის ქვემდგომ ინსტანციებში წარმოების მანძილზე სადავო ხელშეკრულება განიხლებოდა როგორც მოტყუებით დადებული გარიგება და მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა მიჩნეული შეცდომით დადებულ გარიგებად, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპამდე მოპასუხეს არ გააჩნდა ხანდაზმულობაზე მითითების ინტერესი, ამგვარი მითითების შესაძლებლობა კი, სასამართლოს მიზებით შეეზღუდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობის შედავება ხანდაზმულობის საკითხის შეუფასებლობის მოტივით დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული.

**საქმე № ას-728-1056-07**

**23 იანვარი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების ობიექტი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლი)**

ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების ობიექტი შეიძლება იყოს:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, აგრეთვე, განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტის თუ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

ბ) სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები, აგრეთვე, განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტისა თუ სააპელაციო და საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სასამართლო ინსტანციების ყველა სხვა განჩინება არ შეიძლება იყოს საქმის განახლების მიზნით ბათილად ცნობის თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების ობიექტი, რადგან მათი მეშვეობით ხდება არა საქმის წარმოების დამთავრება, არამედ ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების გადაწყვეტა.

საქმე № ა-2748-ბ-20-2011

6 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

დასახელებული ნორმებით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის აუცილებლობა იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომლის კანონიერ ინტერესსაც მართლმსაჯულების აქტი შეეხება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე და არ მიეცა მას საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გარანტირებული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა იზიარებს ვ. ბ-ას უფლებამონაცვლე ა. ე-ის მოსაზრებას, რომ არსებობს საკასაციო პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი, რადგანაც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ვ. ბ-ას გარდაცვალების მოწმობის თანახმად, კასატორი გარდაიცვალა 2011 წლის 27 მაისს, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინება კი გამოტანილია 2011 წლის 13 ივნისს, მხარის გარდაცვალების შემდეგ. საქმეში წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობის თანახმად, დადასტურებულია ვ. ბ-ას სამკვიდრო მიიღო მისი IV რიგის მემკვიდრემ — ა. ე-მა. ამდენად, მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით დადგინდა რა ვალდებულების შესრულება მემკვიდრე ა. ე-ის მიერ მიღებული უზრუნველყოფის საგნით — იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებით, გადაწყვეტილება შეეხო ა. ე-ის უფლებას, რაც სავალდებულოს ხდის მის საქმეში ჩაბმას, მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო პალატისათვის ობიექტურად იყო უცნობი მხარის გარდაცვალების ფაქტი, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გავლენას ვერ მოახდენს განჩინების ბათილად ცნობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს ვ. ბ-ას უფლებამონაცვლე ა. ე-ის განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 431-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან უნდა იქნეს განხილული საქმეთა განხილვის შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ვ. ბ-ას უფლებამონაცვლე ა. ე-ის განცხადება საკასაციო პალატის განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე საფუძვლიანია, პალატა მიიჩნევს, რომ საქმის წარმოება უნდა განახლდეს საქმეში არსებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სატადიდან.

საქმე № ას-418-396-2012

23 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლი)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით ბათილად ცნოს,

თუ დაადგენს, რომ არსებობს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთ საფუძველი, კერძოდ, ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული საფუძველით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ბათილობის საფუძველების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

მითითებული ნორმით იმპერატიულად განსაზღვრულია, რომ სასამართლოს მიერ მხარის საქმის განხილვაზე მოუწვევლობის ფაქტი მხარისთვის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე უცნობი უნდა იყოს და, ამავდროულად, ამ ფაქტის არსებობის ცოდნა, მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელს უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნულ დასკვნას ამყარებს ნორმის მეორე ნაწილის დათქმა: „თუ მხარეს შეეძლო“.

### **საქმე № ას-366-705-05**

**7 დეკემბერი 2005 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი)**

სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარესათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნორმით კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველების შემოწმებისას, ანუ სასარჩელო მოთხოვნისა და შესაგებელის კანონიერების დადგენისათვის, ამასთანავე, კანონმდებლის მოთხოვნაა, რომ აღნიშნული გარემოებები და მტკიცებულებები, უნდა არსებობდნენ საქმის განხილვის დროს (გადაწყვეტილების გამოტანამდე) და არა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ; საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული გარემოებები და მტკიცებულებები ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას; ამასთან, კანონმდებლის მოთხოვნაა, რომ მხარისათვის ცნობილი უნდა გახდეს ამ გარემოებების და მტკიცებულებების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ; და ბოლოს, მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე. სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარემ უნდა დაადასტუროს მის მიერ ახალ გარემოებებისა და მტკიცებულებების წარმოდგენლობაში ბრალის არ არსებობის ფაქტი. ამრიგად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ფაქტი უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ამის შესახებ მხარისათვის ცნობილი არ იყო. ამასთან, თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე

### **საქმე № ას-948-986-2011**

**22 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი)**

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ ე. ო-იას მიერ ახლად აღმოჩენილად დასახელებული გარემოება ვერ გახდებოდა საქმის წარმოების განახლების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული გარემოება საქმის განხილვის დრო-

საც რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში, იგი მაინც ვერ გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. კერძოდ, ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორის 02.03.2011წ. წერილით, რომელზეც ე. ო-ია თავის განცხადებას აფუძნებდა, განმცხადებელს განემარტა, რომ მისი განცხადების საფუძველზე, აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული კომისიური გრაფიკული ექსპერტიზისა და გაცემული ექსპერტიზის დასკვნების ერთმანეთთან აშკარა წინააღმდეგობის გამო, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის იმ პრინციპებიდან გამომდინარე, რომ მტკიცებულებების შეფასებისას წარმოშობილი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტა, ვერ აბათილებდა სასამართლოს დასკვნას მასზე, რომ მონადერძის მიერ არ ყოფილა გამოვლენილი ნება თავის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შესახებ და ვერ შეიძენდა სავალდებულო ძალას სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოსათვის, ვინაიდან სამოქალაქო და სისხლის სამართალი სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ და, შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში დამკვიდრებულ პრინციპებზე დაფუძნებული, სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტა, სამოქალაქო საქმეზე ვერ შეიძენდა მტკიცებულების ძალას იმის დასადასტურებლად, რომ მონადერძის მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილია. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას მასზე, რომ პროკურატურის დოკუმენტი სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

**საქმე № ას-176-168-2010**

**29 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ სასამართლოსთვის მიმართვის ვადა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილი)**

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ თ. ჩ-ძის განცხადების განუხილველად დატოვება ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონის მითითებული ნორმის შინაარსი გულისხმობს, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ერთი თვის განმავლობაში შეტანილ უნდა იქნეს განსჯად სასამართლოში, ხოლო არაგანსჯადი სასამართლოსათვის ასეთი მოთხოვნის წარდგენა არ იწვევს გასაჩივრების ერთთვიანი ვადის შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას არ იზიარებს. საქმეზე უდავოდ დასტურდება, რომ თ. ჩ-ძემ განცხადება უზენაეს სასამართლოში ფოსტის მეშვეობით წარადგინა საქმეზე წარმოების განახლების შესახებ შესაბამისი საფუძვლის შეტყობიდან (2009 წლის 10 სექტემბერი) კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში — 2009 წლის 5 ოქტომბერს. მართალია, განცხადება წარედგინა არაგანსჯად სასამართლოს, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მხარემ თავისი საპროცესო უფლების რეალიზება დროულად არ მოახდინა. კანონით დადგენილ ვადაში განცხადების არაგანსჯად სასამართლოში შეტანა არ შეიძლება გახდეს მხარის მიერ ამ განცხადების ვადაში წარდგენის გამაქარწყლებელი გარემოება, ამგვარი რამ არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან.

საქმე №ას-992-931-2012

23 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სააღსრულებო წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 432-ე და 267<sup>1</sup>-ე მუხლები)**

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 432-ე მუხლში გასაჩივრების წესის მიუთითებლობა არ გულისხმობს აღსრულების შეჩერებაზე უარის თქმის შემთხვევაში განჩინების გასაჩივრების შეუძლებლობას. საკასაციო სასამართლო იზიარებს ნ.ს-ის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. აღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სააპელაციო პალატის განჩინება სააღსრულებო წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში.

საქმე № ას-261-252-2012

19 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: საქმის განახლების შესახებ განცხადების შეტანის გამო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 432-ე მუხლი)**

რაც შეეხება კერძო საჩივრის მითითებას გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ზემოაღნიშნულს და თვლის, რომ აღნიშნული მოთხოვნა მართებულად არ დაკმაყოფილდა, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 432-ე მუხლის თანახმად, საქმის განახლების შესახებ განცხადება ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს შეუძლია თავისი განჩინებით დროებით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება. გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანა იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების მომთხოვნი პირი შესაბამის გარანტიებს. დასახელებული ნორმით გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული და აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო უმთავრესად ხელმძღვანელობს განცხადების საფუძვლიანობით, ანუ სასამართლო აფასებს განცხადების დასაბუთებულობას და მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს მოთხოვნას, თუ გადაწყვეტილების აღსრულების შეუჩერებლობით შეილახება მხარის პატივსაღები ინტერესი, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარს ეტყვის მოთხოვნას დაკმაყოფილებაზე. ამავე ნორმით დადგენილია ისიც, რომ საქმის წარმოების შეჩერების მომთხოვნმა პირმა შუამდგომლობა შესაბამისი გარანტიის წარდგენით უნდა გაამყაროს, რითაც დაცული იქნება იმ მხარის ინტერესი, რომლის სასარგებლოდაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება.

## 15. სხვადასხვა

საქმე №ას-488-814-05

21 ივნისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 23-ე მუხლი)**

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში სასამართლოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია გასცეს დუბლიკატი. ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სს „მ.-ის“ დირექტორი შ.მ.-ის მოთხოვნა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე მართებულად დააკმაყოფილა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სსკ-ის 102-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თავად შ.მ.-ის განმარტება სადავო სააღსრულებო ფურცლის დედნის დაკარგვის შესახებ საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს და დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს.

**საქმე № ას-189-454-08**

**19 მაისი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლებამონაცვლეზე („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორად განმარტა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლი, რომლის პირველი წინადადების თანახმად სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია, სასამართლომ სააღსრულებო ფურცელი გასცეს არა უშუალოდ იმ მხარის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება, არამედ მისი უფლებამონაცვლის მიმართაც. კანონის აღნიშნული დანაწესი გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც მოვალის უფლებამონაცვლე დგინდება სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების ჯეროვან და ეფექტურ აღსრულებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნორმა სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის ამოწერის შემდეგ მოვალის მისი უფლებამონაცვლით შეცვლის შესაძლებლობას არ კრძალავს.

**საქმე № ას-26-24-2013**

**10 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლი)**

განსახილველი დავის საგანია ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება. მოცემული სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლიდან, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ). აღნიშნული დანაწესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში, აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სარჩელი სასამართლოში მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება.

მსგავსი დავების განხილვისას, როგორც საპროცესო-სამართლებრივი, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტით, მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის პოზიცია ემყარება იმ გარემოებას, რომ იგი წარმოადგენს იმ უძრავი ქონების მესაკუთრეს, რომელშიც განთავსებულია სადავო მოძრავი ნივთები, შესაბამისად, მისივე მოსაზრებით, იგი მოძრავი ნივთების მესაკუთრეცაა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის სწორად გადასაწყვეტად ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პრეზუმფციას — ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმფცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, დავეყრდნოთ მფლობელის კეთილსინდისიერებას და იგი, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ნივთის მესაკუთ-



რედ მივიჩნით.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელები ფლობენ სადავო მოძრავ ნივთებს, უფრო მეტიც, დადგენილია, რომ სადავო ნივთები განთავსებულია მოსარჩელე მ. დ-ის საკუთრებაში რიცხულ ბინაში. ამდენად, მოსარჩელის სასარგებლოდ არსებული სამართლებრივი პრეზუმფციის პირობებში, რომელიც უნდა გაქარწყლებულიყო მოპასუხე შემოსავლების სამსახურის მიერ, დაუმტკიცებელია კვლავ მოსარჩელის მხარეზე დარჩეს მტკიცების ტვირთი, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა სადავო ნივთების საკუთრების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ზემოხსენებული მსჯელობის სისწორის დასასაბუთებლად საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საკუთვნივთი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნივთად. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, საკუთვნივთის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკუთვნივთი განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნივთი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს. საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, მთავარი ნივთის მესაკუთრე იმედროულად საკუთვნივთის მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ბინა რეგისტრირებულია მ. დ-ის საკუთრებაში, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ამ ბინაში განთავსებული ნივთების მესაკუთრე და კეთილსინდისიერი მფლობელია მ. დ-ი. ამდენად, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 151-ე და 158-ე მუხლებით გათვალისწინებული პრეზუმფციები, რაც ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

**საქმე № ას-779-729-2010**

**13 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვა („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი)**

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ადგენს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების შემადგენელი მიწის ნაკვეთი, სახლის ნაწილი და ის შენობა-ნაგებობები, დანადგარები, საინჟინრო ქსელები, მოწყობილობები, რომლებიც არ არის ინდივიდუალური საკუთრება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას (საერთო საკუთრებას) წარმოადგენს. ამავე კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ერთობლივად მართვა ეკისრებათ მესაკუთრეებს, თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდებით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღნიშნული ნორმების ანალიზით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთო საკუთრებაში არსებული ფართის სხვაგვარი გამოყენება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყველა მესაკუთრის თანხმობით.

**საქმე № ას-897-1183-09**

**15 აპრილი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს მრავალმხრივ გარიგებას, რომლის დადების ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა მიერ

ნების გამოვლენა. აღნიშნული გარიგებისათვის დამახასიათებელია ზოგადად გარიგებისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი) დადგენილი წესები იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც განსაზღვრულია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით, კერძოდ, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენები და ა.შ.) შეიძლება იყოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ინდივიდუალური საკუთრება.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია პირველ ნაწილში მითითებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღების წესი, კერძოდ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფების, სხვენების და ა.შ.) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ, რაც ინდივიდუალურ საკუთრების უფლებით აღრიცხვის საფუძველია.

ასევე გასათვალისწინებელია ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ისეთი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე, ხორციელდება ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამდენად, გემოაღნიშნული ნორმების თანახმად, იმისათვის, რომ ამხანაგობის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მრავალმხრივი გარიგება) ჩაითვალოს დადებულიად, ერთ შემთხვევაში საკმარისია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრების ხმების 2/3-ი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი — საჭიროა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება. ორივე შემთხვევაში აუცილებელია, ამხანაგობის ყველა წევრს ეცნობოს კრების ჩატარების თაობაზე. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ იმ გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომლისთვისაც საკმარისია ამხანაგობის წევრთა 2/3-დი (განსხვავებით კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ამხანაგობის წევრთა 2/3-დის მიერ გამოვლენილი ნება საკმარისია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის ყველა წევრი იყო გაფრთხილებული კრების თაობაზე და მოწვეული იყვნენ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით. ამ ნორმის მიზანია უზრუნველყოფილ იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის უფლებათა რეალიზაცია. იმ შემთხვევაში თუ ამხანაგობის წევრები, რომლებიც არ იყვნენ გაფრთხილებული და მოწვეული კრებაზე, შემდეგ ეთანხმებიან მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მიუთითებს იმაზე, რომ მათი, როგორც ბინათმესაკუთრის უფლებები, რეალიზებულია.

## საქმე № ას-1372-1209-2010

25 მაისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა

შესაძლებელია წევრი, რომელიც არ იყო მოწვეული ამხანაგობის კრებაზე, დავის დროს აღიარებს ისეთ გარემოებებს, რაც წარმოადგენს ამხანაგობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობას (მაგალითად, მხარე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ სადავო ოქმებით გადაცემულ სათავსებს ან სხვენებს ფაქტობრივად ფლობდნენ მოდავე მხარეები „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლის მომენტისათვის). ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია ბათილად არ იქნეს ცნობილი გასაჩივრებული ამხანაგობის ოქმი.

საქმე № ას-1707-1691-2011

28 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებით სარგებლობა („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი)**

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, ისარგებლოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებით. აღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სადავო ქონებით სარგებლობის უფლება აქვს ამხანაგობის ნებისმიერ წევრს, ამასთან, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, სარგებლობა არ უნდა ემსახურებოდეს კერძო ინტერესს. შესაბამისად, გ.მ-ეს არა აქვს უფლება, აღნიშნული ქონებით ისარგებლოს, მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და ხელი შეუშალოს დანარჩენ მესაკუთრეებს სადავო ფართით სარგებლობაში.

საქმე №ას-1098-1029-2012

3 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**განმარტების საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)**

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, თუმცა არ იზიარებს აღნიშნული ნორმის მის მიერ შემოთავაზებულ განმარტებას.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენიები და ა. შ). აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მართებულია, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ შესაბამისი პირობების არსებობისას, ამხანაგობის წევრს შეუძლია, ერთპიროვნულად ფლობდეს ამხანაგობის კუთვნილ სამეურნეო სათავსებს. რაც შეეხება კონკრეტულ პირობებს, თუ როგორ ხდება მათი მფლობელობაში გადაცემა, განსაზღვრულია იმავე მუხლის მე-2 პუნქტით.

მითითებული ნორმის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები კრებაზე აფიქსირებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფების, სხვენიების და ა. შ) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი, თუ წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი. მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსებზე (სარდაფებზე, სხვენიებზე და ა. შ) საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრმა უნდა წარმოადგინოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების მიერ შედგენილი ოქმი და ნახაზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამეურნეო სათავსის ადგილმდებარეობის დადგენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მითითებული ნორმიდან გამომდინარე, თუ ამხანაგობის წევრი ამხანაგობის საერთო საკუთრებას „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე, ანუ 2007 წლის 1 აგვისტომდე ფლობდა, საჭიროა ამხანაგობის კრების მოწვევა არსებული მდგომარეობის დასაფიქსირებლად. კრება ამგვარ მფლობელობას ან ლეგიტიმურად ცნობს, ან მიიღებს გადაწყვეტილებას ამხანაგობის წევრის მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ. მხოლოდ ამგვარი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი ამხანაგობის წევრს სამეურნეო სათავსის მფლობელობა შეუწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიერ ფართის ფლობა არამართლზომიერად ვერ ჩაითვლება. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე, ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილე-

ბის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ ნივთის მფლობელს ნივთის ფლობის უფლებამოსილება არ უნდა გააჩნდეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავს ვითარებაში, მფლობელობის მართლზომიერების საკითხს ამხანაგობის წევრები წყვეტენ და მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოიშობა ამხანაგობის წევრის მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის მოთხოვნის უფლება. ამხანაგობის წევრების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე კი, პირი ქონების არამართლზომიერ მფლობელად ვერ ჩაითვლება.

განსახილველ შემთხვევაში, შპს „კ.-ი“ სადავო ქონებას 1996 წლიდან ფლობს, საქმეში კი, არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ბმა „გ.-ის“ წევრებმა კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება ამ ფართზე მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე. მხოლოდ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გახდებოდა შპს „კ.-ი“ უძრავი ქონების არამართლზომიერი მფლობელი და ვინდუკაციური სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი იარსებებდა.

**საქმე №ას-864-810-2012**

**11 იანვარი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მიერ ინდივიდუალური საკუთრების საგნის გასხვისების სამართლებრივი შედეგი**

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების მიხედვით დ. ე.-ემ კ. ს.-ეს საკუთრების უფლება გადასცა 74.98 კვ.მ. საცხოვრებელ ბინაზე მდებარე ქ. ტყიბულში, რ.-ის ქ. № 9/2-ში. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დ. ე.-ე წარმოადგენდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრს და მასზე ვრცელდებოდა ყველა ის უფლება და ვალდებულება, რაც განსაზღვრულია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით, კერძოდ, მითითებული კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არის მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება.

ის ფაქტი, რომ დ. ე.-ე წარმოადგენდა ქ. ტყიბულში, რ.-ის ქ. № 9/2-ში მდებარე 74.98 კვ.მ. საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეს, მიუთითებს მის მრავალბინიანი ამხანაგობის წევრობაზე, შესაბამისად, ზემოთითხსენებული კანონის მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვის, ექსპლუატაციისა და განვითარების სამართლებრივი პირობების უზრუნველყოფა (კანონის მე-2 მუხლი).

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კ. ს.-ის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმ უფლებების განსაზღვრას, რაც გააჩნდა დ. ე.-ეს ამხანაგობის წევრობის დროს. თუ დ. ე.-ე „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე წარმოადგენდა სადავო ფართის მართლზომიერ მფლობელს, რომელსაც კანონის მიზნებიდან გამომდინარე შეეძლო, მოეთხოვა საკუთრების უფლება, ამ შემთხვევაში მის მიერ საცხოვრებელი ფართის გასხვისებისას შემძენზე გადავა ყველა ის უფლება, რაც გააჩნდა წინამორბედს.

**საქმე №ას-579-547-2012**

**12 ოქტომბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ვალდებულება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის მიმართ**

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ.ბათუმში, რ.-ს ქ.№ 8-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობების 3779,2 კვ.მ) მესაკუთრეთა ბინათმესაკუთრეთა „ა. ...“ (ყოფილი № .. კოოპერატივი). ამონაწერში უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად მითითებულია გადაწყვეტილება № 329 29.05.1995 წ. ბრძანება საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ № 1-01/21 03.07.2008წ.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა. ...ს“ 2008 წლის 3 ოქტომბრის კრების № 5 ოქმით დადგინდა ბინათმესაკუთრეთა „ა. ...ს“ საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში ბინების ამხანაგობის წევრების სახელზე ერთეულებად რეგისტრაცია განაწილების სიის მიხედვით.

კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით დ. შ-ის, ს. კ-ს და ე. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ისინი ცნობილი იქნენ ბინათმესაკუთრეთა „ა. ...ს“ წევრებად. საქმეში წარმოდგენილი ცნობით დადგენილია და მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ 1990 წელს მოსარჩელებმა კოოპერატივ ..-ში შეინატეს 6200 რუსული რუბლი, ხოლო 1992 წელს — 7500 რუსული რუბლი.

ასევე უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელები, როგორც ამხანაგობის წევრები არ არიან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ..-ს საკუთრებაში არსებული ბინის მესაკუთრეები. მოსარჩელებმა ამხანაგობაში შენატანის სახით შეიტანეს 13700 რუსული რუბლი, თუმცა აღნიშნულის გამო ნაცვალგება (ბინის მიღებით) მოსარჩელებს არ მიუღიათ.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტებს, თუმცა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მხრიდან მათ არასწორი შეფასება მიეცა, როდესაც სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელებს მიადგათ ზიანი, რაც გამოიხატა მათი მხრიდან უშედეგოდ განხორციელებული შენატანის შეტანით 13700 რუსული რუბლის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის ვალდებულება მოსარჩელის მიმართ განისაზღვრა არასწორად და საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მოპასუხე „ა.-..ა-სათვის“ დასაკისრებელი თანხა უნდა გამოიანგარიშოს არა მოსარჩელეთა მხრიდან განხორციელებული შენატანის ადეკვატური თანხის იმდროინდელი კურსით აშშ დოლართან მიმართებით, არამედ მოსარჩელეთა მიერ გადახდილი თანხით აშენებული ფართის ღირებულების შესაბამისი თანხის ოდენობიდან. სწორედ აღნიშნული პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს სააპელაციო პალატამ სადავო საკითხის გადაწყვეტისას, რაც ადასტურებს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის მართებულებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით.

## საქმე № ას-1019-1276-05

9 მარტი, 2006 წ., ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ ცნობა (სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ) კანონის მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები)

„სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას“. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იყოს საადგილმამულო წიგნში. (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იქნეს რეგისტრირებული“.

ამრიგად, კომლი არის სოფელში მცხოვრები ცალკე ოჯახი, რომელიც ახორციელებს საკომლო მეურნეობას, ხოლო საკომლო მეურნეობის დეფინიციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა ერთობლიობაზე საკუთრების უფლება, რაც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს. ამასთან ერთად საკომლო მეურნეობა ითვალისწინებს რეგისტრაციას საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). ასევე, კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ იმ შემთხვევაში თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იქნეს რეგისტრირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს სწორად აქვს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ თ. ბ-შვილს და მის არასრულწლოვან შვილს არა აქვთ საკომლო სამეურნეო ქონებაზე საკუთრების უფლება, ვინაიდან მხოლოდ ის გარემოება, რომ კასატორი რეგისტრირებული იყო, როგორც ი. ბ-შვილის ოჯახის წევრი, არ წარმოადგენს საკომლო მეურნეობიდან წილის გამოყოფის საფუძველს, მითუმეტეს, საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება-ამონაწერი საჯარო რეგისტრიდან იმის თაობაზე, რომ თ. ბ-შვილი და მისი არასრულწლოვანი შვილი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრებად არიან რეგისტრირებული.

**საქმე № ას-684-905-08**

**9 თებერვალი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: კომლის საერთო ქონება**

დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ მ. რ-ძის ოჯახის, როგორც საკომლემურნეო კომლის წევრები, ქონების თანამესაკუთრენი არ ყოფილან და ნორმატიული აქტით კოლექტიური მეურნეობის გაუქმების შემდეგ ქონება საკუთრებაში არ გამოყოფიათ, ვინაიდან საკომლემურნეო კომლმა, როგორც სამართლის სუბიექტმა, არსებობა შეწყვიტა საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრისა და სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებების საფუძველზე, ხოლო საკომლო მეურნეობის სტატუსი დამკვიდრდა „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონით და საკომლემურნეო კომლისაგან განსხვავდება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას. საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იქნეს რეგისტრირებული.

ამდენად, სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლით, როდესაც ჩათვალა, რომ უძრავ ქონებაზე სანივთო უფლებები დგინდება საჯარო რეესტრის მონაცემებით და დაადგინა, რომ სადავო ქონება საკომლო მეურნეობად საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის და საქმეში წარმოდგენილი საკუთრების მოწმობებით ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთები მ. რ-ძის საკუთრებაა, ხოლო საცხოვრებელი სახლი მ. რ-ძის სახელზეა აღრიცხული. შესაბამისად, საკომლო მეურნეობის არსებობის შემთხვევაში იგი, კომლის ყველა წევრზე მითითებით, უნდა ასახულიყო საჯარო რეესტრის მონაცემებში. ჯ.ფ-ძეს კი სასამართლოსათვის ამ სახის მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რისი ვალდებულებაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, სწორედ კასატორს ეკისრებოდა. რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მითითებულ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს თერჯოლის არქივის 2007 წლის 19 აგვისტოს საარქივო ამონაწერს, რომლის თანახმად მ. რ-ძის კომლი შედგება ნ წევრისაგან და მათ შორისაა ჯ. ფ-ძეც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იგი კომლის არსებობის დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

**საქმე № ას-241-566-09**

**12 ნოემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: განსხვავება საკომლემურნეო კომლის და საკომლო მეურნეობის სამართლებრივ ფორმებს შორის**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კომლემურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 22.09.92 '949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 21.10.92. '29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან

დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კომლემეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა.

ამდენად, 1993 წლამდე სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობებს ახასიათებდა კომლის წევრის შრომითი მონაწილეობა საკოლმეურნეო წარმოებაში და ასევე დამხმარე მეურნეობაში, რომელსაც აწარმოებდა კომლად არსებული ოჯახი, რაც შემოსავლის დამატებით წყარო იყო. საკოლმეურნეო კომლის ქონება წარმოადგენდა მისი წევრების თანასაკუთრებას და რეგულირდებოდა სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 122-ე მუხლით. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კოდექსის 569-ე მუხლი არეგულირებდა მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობებს კომლში, კერძოდ, განსახილველი ნორმის პირველი აბზაცის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის წევრის (იმ მოქალაქის, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომის საქმიანობას სოფლის მეურნეობაში) გარდაცვალების შემთხვევაში კომლის (იმ მოქალაქის ოჯახის, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში) ქონებაში მემკვიდრეობა არ წარმოიქმნება. ამავე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, თუ საკოლმეურნეო კომლის წევრის (იმ მოქალაქის, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომის საქმიანობას სოფლის მეურნეობაში) გარდაცვალების შემდეგ კომლში (იმ მოქალაქის ოჯახის, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში) სხვა წევრები არ დარჩენილა, კომლის (ოჯახის) ქონების მიმართ გამოიყენება ამ კართით დადგენილი წესები, ე.ი. მემკვიდრეობითი სამართლის საერთო წესები.

ამდენად, განსახილველი ნორმების თანახმად, მემკვიდრეობის სპეციფიკური და საერთო საფუძვლები დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში ინდივიდუალურ შრომის საქმიანობის არსებობაზე, ე.ი. კომლის (ოჯახის) წევრებს წარმოადგენდნენ მოქალაქეები, რომლებიც ეწეოდნენ ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში. ასეთი წევრების არარსებობის შემთხვევაში მემკვიდრეობაზე ქონება გადადიოდა საერთო საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საკოლმეურნეო კომლის მოსპობის შემდეგ იქმნებოდა მუშა-მოსამსახურის ოჯახი და მათ მიერ საკოლმეურნეო კომლის ქონება გაიყო სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 129-ე მუხლის საფუძველზე. საკოლმეურნეო კომლის მოსპობის მომენტიდან დამხმარე მეურნეობაში მომუშავე მუშა-მოსამსახურის ოჯახს შორის ურთიერთობები წესრიგდებოდა საოჯახო კანონმდებლობით, ხოლო დამხმარე მეურნეობის სხვა მონაწილეთა შორის ურთიერთობები საერთო საკუთრების მომწესრიგებელი ნორმებით რეგულირდებოდა.

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 22.09.92. № 949 დადგენილებით დადგენილ იქნა, რომ სახელმწიფო მეურნეობის, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბაზაზე შეიძლება ორგანიზებულ იქნეს გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მეურნეობები, აგროფირმები, აქციონერული საზოგადოებები, ასოციაციები და მიწაზე მეურნეობის სხვა ორგანიზაციული ფორმები.

ამდენად, 1993 წლის შემდეგ წარმოიშობა საკომლო მეურნეობა, რომლის დეფინიცია მოცემულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, „საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას.“ ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იქნეს რეგისტრირებული“.

ამრიგად, კომლი არის სოფელში მცხოვრები ცალკე ოჯახი, რომელიც ახორციელებს საკომლო მეურნეობას, ხოლო საკომლო მეურნეობის დეფინიციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა ერთობლიობაზე საკუთრების უფლება, რაც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს. ამასთან ერთად საკომლო მეურნეობა ითვალისწინებს რეგისტრაციას საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში), ასევე კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იქნეს რეგისტრირებული.

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ, საკომლმეურნეო კომლისაგან განსხვავებით საკომლო მეურნეობის წევრები ახორციელებენ არა დამხმარე მეურნეობის წარმოებას, არამედ, მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმართვას.

### **საქმე № ას-139-132-10**

**10 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: კომლის საერთო ქონება**

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად საკომლმეურნეო კომლის ქონება წარმოადგენდა კომლის წევრთა თანასაკუთრებას. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კომლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის № 949 დადგენილებისა და სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის № 29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კომლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კომლმეურნეობების გაუქმებასთან ერთად არსებობა შეწყვიტა საკომლმეურნეო კომლმაც და მასზე გავრცელდა სანივთო სამართლებრივი ნორმები, რაც მოქმედებდა იმ დროისათვის ან მიღებულ იქნა შემდგომში. შესაბამისად, ვინაიდან, საკომლმეურნეო კომლის ქონება წარმოადგენდა კომლის წევრთა თანასაკუთრებას, კომლის ქონება ჩაითვალა იმ პირთა თანასაკუთრებად, რომლებიც მითითებული ნორმატიული აქტების მიღებამდე რეგისტრირებული იყვნენ ამ კომლის წევრებად.

### **საქმე № ას-724-782-2011**

**10 სექტემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმატების საგანი: საკომლმეურნეო კომლის ქონების სამართლებრივი რეჟიმი**

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კომლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის № 949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის № 29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კომლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კომლმეურნეობების გაუქმებით საკომლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 129-ე მუხლის შესაბამისად, გაყოფა საკომლმეურნეო კომლის კუთვნილი ქონებისა, რომელიც მისი მოსპობის შემდეგ დარჩა, წარმოებს ამ კოდექსის 125-ე და 128-ე მუხლებში აღნიშნული წესებით. ამავე კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, საკომლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით. აღნიშნული კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკომლმეურნეო კომლის წევრის წილი განისაზღვრება იმ ანგარიშით, რომ კომლის ყველა წევრს, მათ შორის, არასრულწლოვანსა და შრომისუნაროსაც თანაბარი წილი ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკომლმეურნეო კომლის



გაუქმების შემდეგ, კომლის ქონება გარდაიქმნა კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებად, სადაც თითოეულ წევრს თანაბარი წილი ეკუთვნის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივლისის განჩინება, № ას-988-1242-05). ამდენად, მას შემდეგ, რაც გაუქმდა საკოლმეურნეო კომლი და მას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა, ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს საკოლმეურნეო კომლის ქონებას და იგი არის კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომელზედაც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებაზე მემკვიდრეობა უნდა გაიხსნას სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესების მიხედვით და ამ დროს არ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი. მითებული ნორმა, სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესისაგან განსხვავებულად ადგენს სამკვიდროს გახსნის დროს, კერძოდ, ამ ნორმის მიხედვით, კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან.

**საქმე № ას-1115-1361-05**

**7 ივლისი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ გადაცემა(პრივატიზაცია) (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის თებერვლის №107-ე დადგენილება)**

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992წ. 1 თებერვლის № 107 დადგენილებით განისაზღვრა უფლება, რომლის რეალიზაციის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის“ თანახმად, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი, რაც გააჩნიათ, ასევე, დანარჩენ ოჯახის წევრებს. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ სარგებლობის უფლება, ერთ შემთხვევაში, წარმოიშობა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სხვა შემთხვევაში დამქირავებელთან მცხოვრები ოჯახის წევრობის ინსტიტუტის არსებობის შემთხვევაში და მათ გააჩნიათ ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობს დამქირავებელი. ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992წ. 1 თებერვლის № 107 დადგენილებით მინიჭებული უფლების რეალიზაცია ვრცელდება დამქირავებელთა ერთად მცხოვრები ყველა ოჯახის წევრზე და, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება მათი თანხმობით შეიძლება აღირიცხოს ერთ-ერთ დამქირავებელზე, საერთო უფლებებთან ერთად მათ ეკისრებათ სარგებლობიდან გამომდინარე მესაკუთრის ყველა ვალდებულება. აღნიშნული დებულება დაცულია, ასევე დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აბზაცით, რომლის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ის ფაქტი, რომ სადავო საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ნ. ჯ-შვილზე, არ ნიშნავს იმას, რომ მასთან მცხოვრებმა ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს საკუთრების უფლების მოპოვებაზე. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ პრივატიზაციის განხორციელებაზე ყველა ოჯახის წევრის ნების არსებობა (რაც დავის საგანს არ წარმოადგენს) გულისხმობს საკუთრების უფლების მოპოვებას ყველა ოჯახის წევრის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს მხოლოდ ერთ-ერთ დამქირავებელზე. ამ შემთხვევაში არ შეიძლება საკუთრების ინსტიტუტი განვმარტოთ მხოლოდ უძრავი ნივთების შეძენის იურიდიული დეფინიციის ფარგლებში. კონკრეტულ შემთხვევაში მას გააჩნია სოციალური დანიშნულება, რაც პოზიტიურ-სამართლებრივი სახით ვლინდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992წ. 1 თებერვლის № 107 დადგენილების პირველ აბზაცში, ანუ საქართველოს მოქალაქეთა ბინის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის, დაჩქარების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მოქალაქეთათვის საკუთრებაში გადაცემის, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისათვის მოქალაქეთა დაინტერესების გაზრდის მიზნის მიღწევაში.

ამრიგად, მხოლოდ ერთ-ერთი დამქირავებლის სახელზე (სხვა ოჯახის წევრების არსებობის შემთხვევაში) პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების რეგისტრაციის ფაქტი არ ნიშნავს მხოლოდ მასზე საკუთრების უფლების გასხვისებას. ამ შემთხვევაში საკუთრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ნიშნები ვრცელდება ყველა დამქირავებელზე, ანუ ის დამქირავებელი, რომლის სახელზე რეგისტრირებულია საკუთრების უფლება, ვერ გამოიყენებს ამ საკუთრების უფლებას დანარჩენ ოჯახის წევრებთან მიმართებაში ისე, როგორც იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკუთრების უფლება გასხვისებული იქნებოდა მხოლოდ მასზე.

**საქმე №ას-1120-1366-05**

**27 თებერვალი, 2006 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ გადაცემა(პრივატიზაცია) (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის თებერვლის №107-ე დადგენილება)**

„საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992წ. 1 თებერვლის<sup>1</sup>- დადგენილების თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან და რეგისტრირებული არიან არსებული კანონმდებლობის თანახმად. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ... ქ. № 13-ში მდებარე № 10 ბინის დამქირავებელი იყო კ. ს-შვილი და აღნიშნულ ბინაში კასატორი ი. ბ-ძე მისმა მეუღლემ დ. გ-ვამ, რომელიც იყო კ. ს-შვილის ოჯახის წევრის, ა. ჯ-შვილის (კ.ს-შვილის მეუღლის, ვ. ჯ-შვილის შვილიშვილი) შვილი მიიყვანა 1981 წელს. კასატორ ი. ბ-ძეს ოჯახის სხვა წევრების მსგავსად (პრივატიზების დროს ამ ოჯახის წევრებად ითვლებოდა 4 პირი) არ განუხორციელებია იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით სადავო ბინაში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება და იგი ჩაწერილი დარჩა ქ.თბილისში, ... № 32-ში მდებარე სახლში. სააპელაციო პალატამ სწორად გამოიყენა აღნიშნული ნორმა, ვინაიდან ზემოთ აღნიშნული დადგენილების მიხედვით კანონმდებელი ბინაზე საკუთრების მოპოვებას უკავშირებდა დამქირავებლის ოჯახის წევრობას და ამ ბინაში რეგისტრაციას (ჩაწერას), ხოლო კასატორი ი. ბ-ძე არ იყო სადავო ბინაში რეგისტრირებული, მას ქ.თბილისში, ... № 13-ში მდებარე № 10 ბინაში ვერ წარმოეშობოდა საკუთრების უფლება სადავო ბინის 1/5-ზე.

**საქმე №ას-1148-1077-2012**

**15 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ გადაცემა(პრივატიზაცია) (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის თებერვლის №107-ე დადგენილება)**

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ 1992 წლის 1 თებერვლის N107 დადგენილება.

აღნიშნული დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

სააპელაციო სასამართლომ, მართალია, გამოიყენა ბინის პრივატიზებიდან გამომდინარე დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, მაგრამ მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო, მსგავსი დავების გადაწყვეტისას ითვალისწინებს, თუ ვინ იყო პრივატიზების მომენტისათვის ჩაწერილი სადავო ბინაში და განმარტავს, რომ საცხოვრებ-

ლი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას სწორედ აღნიშნული პირები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით მოიპოვონ საკუთრების უფლება მათ მიერ დაკავებულ ბინაზე. საკასაციო სასამართლო, ამ შემთხვევაში, განმარტავს, რომ ბინის მესაკუთრეებად ითვლებიან არა მხოლოდ პრივატიზების ხელშეკრულებაში მითითებული პირები, არამედ, მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის ყველა წევრი (იხ. მაგ. სუსგ Nას-1115-1361-05, ას-983-1183-08). აღნიშნული განმარტება გამომდინარეობს N107 დადგენილების 1-ლი პუნქტიდან, რადგანაც მითითებული ნორმა პრივატიზების მომენტისათვის მოქალაქის მიერ დაკავებული ბინის საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“ (ძალადაკარგულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1505-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად), რადგან განსახილველი ურთიერთობა წარმოშობილია სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე, კერძოდ, „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის“ მე-60 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება იდება წერილობით საცხოვრებელი სადგომის ორდერის საფუძველზე გამქირავებელს — საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციისა და დამქირავებელს — მოქალაქეს შორის, რომლის სახელზეც გაცემულია ორდერი. ამავე კოდექსის 62-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადების თანახმად, განსაზღვრულია, ასევე, იმ პირთა უფლება-ვალდებულებები, რომლებიც დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან და მასთან ერთად ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ დადებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შესახებ ხელშეკრულება, ისინი სარგებლობენ ყველა უფლებით და ეკისრებათ ყველა მოვალეობა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში, როგორც სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, ორდერი საქმეში წარმოდგენილი არ არის, მაგრამ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ბინის დამქირავებლები იყვნენ არა პირადად ა. ნ-ი ან ო. მ-ი, არამედ ს. ს-ი ოჯახთან ერთად, შესაბამისად, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის უფლებები სადავო ბინაზე ვრცელდებოდა იმ დრომდე, სანამ ისინი ს. ს-ის ოჯახის წევრებს წარმოდგენდნენ და იმავე ბინაში იყვნენ ჩაწერილები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პრივატიზებასთან დაკავშირებული უფლებები წარმოშობათ ბინის დამქირავებელსა და მასთან ერთად მცხოვრებ პირებს და მათი რელიზების შესაძლებლობა ნათესაობის ხარისხით არ ფასდება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს თუნდაც დადასტურებულად მიეჩნია, რომ ა. ნ-ი ბინის გადაცემის დროისათვის მამასთან ერთად ცხოვრობდა, მხედველობაში უნდა მიეღოს ის გარემოება, რომ მოსარჩელე 1974 წლიდან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და ცხოვრობს მეუღლის მისამართზე. იგი 1974 წლის 15 იანვრიდან რეგისტრირებულია ე. ა-ის ქ. № 12-ში, შესაბამისად, გაზიარებულ უნდა იქნეს კასატორის მითითება, რომ სადავო ბინის პრივატიზების მომენტისათვის, ა. ნ-ი არ იყო დამქირავებელი ან მასთან ერთად მცხოვრები პირი, რაც ამ ბინაზე მისი საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობას გამორიცხავს, სააპელაციო სასამართლომ, კი აღნიშნული გარემოების უგულებელყოფით, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო.

**საქმე № ას-176-503-09**

**30 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: საარბიტრაჟო შეთანხმება**

საარბიტრაჟო შეთანხმება ეს არის კერძო-სამართლებრივი შეთანხმება საპროცესო ურთიერთობების ფორმის არჩევის შესახებ. იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე წარმოადგენდეს მხარეთა შორის დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთ-ერთ პირობას, თუმცა თავისი იურიდიული ბუნებით განსხვავდება ტიპური ხელშეკრულების პირობისაგან. საარბიტრაჟო შეთანხმება ნეიტრალური პირობაა, რომელიც ხელშეკრულების სხვა პირობებისაგან განსხვავებით, არც ერთ მხარეს რაიმე უპირატესობას ან სარგებელს არ ანიჭებს. მხარეები, ნამდვილი ნების გამოხატვის საფუძველზე ერთობ-

ლივად და თანასწორად წყვეტენ არსებულ თუ სამომავლოდ შესაძლო დავების გადაწყვეტის წესს. შესაბამისად, ორივე მხარეს თანაბარ პირობებში და თანაბარ საწყისებზე შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება დავის კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის, კერძოდ, საარბიტრაჟო შეთანხმებიდან არაორაზროვნად უნდა ირკვეოდეს მხარეთა სურვილი, მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს, და არა საერთო სასამართლოს. ამ შეთანხმებით ასევე ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განხილვას არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განხილვას დავა. საარბიტრაჟო შეთანხმება, გარდა ამ აუცილებელი პირობებისა, შესაძლებელია, შეიცავდეს სხვა ზოგადად არაძირითად, დამატებით პირობებსაც, რაც მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული და იმ კონკრეტულ შემთხვევაში შესასრულებლად აუცილებელია.

### **საქმე № ას-569-536-2010**

**17 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობა**

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ასევეა გარიგება და მის მიმართ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნები, რომლის დაუცველობამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ბათილობა.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობას ითხოვდა როგორც მოტყუებით დადებული გარიგებისა და აღნიშნულის დასადასტურებლად სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენებზე უთითებდა, რომელთა საფუძველზეც დადგინდა, რომ უ. ჯ-იასა და მოპასუხეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოტყუებით დაიდო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზარებს კასატორის მტკიცებას, სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენით დასტურდება საარბიტრაჟო შეთანხმების მოტყუებით დადების ფაქტი.

კერძო სამართალი იცნობს კომპლექსურ ხელშეკრულებებს, რომლებიც თავის თავში რამდენიმე გარიგებას აერთიანებს. ასეთ ვითარებაში ერთ-ერთი გარიგების მიმართ ბათილობის საფუძვლის არსებობა არ ნიშნავს დანარჩენი გარიგებების ბათილობასაც, თუ ამგვარი კანონით არაა დადგენილი. მართალია, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენებიდან შეიძლება ირკვეოდეს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძვლის არსებობა, მაგრამ აღნიშნული ვერ გავრცელდება საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, რომელიც მხოლოდ დავის გადაწყვეტის განსჯად ორგანოს ადგენს და თავად ნასყიდობის პირობებს არ ეხება. საქმიდან არ ირკვევა უშუალოდ აღნიშნული პირობის მიმართ მოტყუების ან ბათილად ცნობის სხვა საფუძვლის არსებობა.

### **საქმე № ას-1338-1178-10**

**16 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

#### **განმარტების საგანი: საკუთრების უფლების მოწმობის ბათილობის სამართლებრივი შედეგები**

შპს „რ-ი“ სარჩელით ითხოვდა ხელვაჩაურის რაიკოოპერატივის მიერ გაცემული 1997 წლის 30 ივლისის საკუთრების დამადასტურებელი ... მოწმობის გაუქმებას.

აღნიშნული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის მიხედვით, დ. გ-ძეს გადაეცა საკუთრებაში ხელვაჩაურის რაიონში სოფელ ...-ში მდებარე სასაუბმე. მოწმობაში მიწის ფართის ოდენობად მითითებულია 400 კვ.მ მიწათსარგებლობის ფორმის მითითების გარეშე.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ აღნიშნული საკუთრების მოწმობა გაცემულია რაიკოოპერატივსა და დ. გ-ძეს შორის დადებული ნოტარიულად დადასტურებული ხელშეკრულებისა და რაიკოოპერატივის 1997 წლის 22 ივლისის დადგენილების საფუძველზე.

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაიკოოპერატივს გასხვისებული აქვს სასაუმბე, განლაგებული 400 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს იმას, რომ დ. გ-ძეს გადაეცა 139 კვ.მ ფართის ნაგებობა, რომელიც მდებარეობდა 400 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე და აღნიშნული გარემოება არ შეიძლება მივიჩნიოთ ფალსიფიკაციად, როგორც ამას უთითებს კასატორი.

პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დ. გ-ძეს სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშვა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და არა საკუთრების მოწმობის საფუძველზე.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქონების გასხვისებისას მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი (მოქმედებდა 1997 წლის 25 ნოემბრამდე) მხოლოდ მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების საკუთრებაში გადაცემაზე (მუხლი 239) აწესებდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადასტურების სანოტარო ფორმას. სადავო ქონების გასხვისების დროისათვის კი უკვე მიღებული იყო „საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო ბრუნვის არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და აღიარებულ იქნა მოქალაქეთა თუ იურიდიულ პირთა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. ის გარემოება, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსი არაფერს ამბობდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე გარიგების ფორმაზე გარდა საცხოვრებელი სახლებისა, არ ნიშნავს იმას, რომ უძრავი ქონებაზე საკუთრების წარმოშობა შესაძლებელი იყო სანოტარო წესით გარიგების დადასტურების გარეშე. ამ შემთხვევაში გამოიყენებოდა საკანონმდებლო ანალოგია. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 27-ე მუხლი ითვალისწინებდა კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელ კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებას ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე. ასეთი კი სწორედ ზემოთ მითითებული ნორმა იყო და ამიტომ ამ გარიგების დადასტურება უნდა მომხდარიყო სანოტარო წესით. ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ საკუთრების მოწმობის გაცემის ვალდებულება მითითებულ ნორმატიულ აქტებში არსად გათვალისწინებული არ იყო.

იმ პირობებში, როდესაც სადავო ქონებაზე დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, საკუთრების მოწმობის გაცემა-გაუცემლობამ არ შეიძლება რაიმე გავლენა მოეხდინოს ამ ხელშეკრულებით მხარისათვის მინიჭებულ უფლებაზე. მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება საკმარისია იმისათვის, რომ ხელშეკრულებაში მითითებული ქონება მყიდველის საკუთრებად ჩაითვლოს. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ საჯარო რეესტრი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად უთითებს ნასყიდობის ხელშეკრულებას და არა საკუთრების მოწმობას. საკუთრების მოწმობაში ასახულია მხოლოდ და მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული მონაცემები და თუ ეს მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამება, საცილო ხდება გარიგება და არა საკუთრების მოწმობა.

**საქმე № ას-941-979-2011**

**1 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: უფლებამონაცვლეობა**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია შემდეგი: მატერიალურ სამართალში ურთიერთობის მონაწილე — კონტრაჰენტის ამა თუ იმ საფუძველით ურთიერთობიდან გასვლა იწვევს ამ ურთიერთობაში უფლებამონაცვლის ჩართვას და მისთვის იმ უფლება-მოვალეობათა გადაცემას, რაც თავდაპირველ სამართალსუბიექტს გააჩნდა. ზოგადად, სამოქალაქო სამართალში ორი სახის უფლებამონაცვლეობა გვაქვს: პირველი — უნივერსალური ანუ ზოგადი უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა (მემკვიდრეობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია და სხვა) და მეორე — სინგულარული (კერძო) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება (მოთხოვნის დათმობა). ორივე შემთხვევაში უფლებამონაცვლეობის ფარგლები იმისდა მიხედვით დგინდება, თუ რა სახის უფლებამონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამასთან, უფლებამონაცვლე

უფლებებსა და მოვალეობებს იმ ფარგლებში იძენს, რა ფარგლებშიც იგი მის წინამორბედთან იყო. უფლებამონაცვლეობის ფარგლების შეზღუდვა, განსაკუთრებით ადრე არსებული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების ფარგლებში, მხოლოდ უფლებამონაცვლის ნებაზე ან მასსა და მის წინამორბედს შორის შეათანხმებაზე არ არის დამოკიდებული, ვინაიდან იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მესამე პირის ინტერესზე.

**საქმე № ას-169-497-09**

**24 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.**

2007 წლის 6 თებერვლის საქართველოს პრეზიდენტის № 93 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის @ № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესები. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილებით კი დამტკიცდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი. აღნიშნული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ამ წესით, საქართველოს შრომის კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში. აღნიშნული დადგენილებით ახლებურად მოწესრიგდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების წესები. სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვის სარჩოს გადახდით.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსარჩელები მიიღებდნენ ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო.

დადგენილია, რომ @ № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესების გაუქმების შემდეგ, მოსარჩელების თანრიგის მუშაკებს ხელფასი 2008 წლის პირველი იანვრიდან გაეზარდათ 30%-ით, შესაბამისად, მოსარჩელებმა სარჩოს ოდენობაც უნდა გაზრდილიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოთხოვნა საფუძვლიანია.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ცვალებადობა ვერ გახდება მოსარჩელებისათვის დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების საფუძველი, რადგან № 48-ე ბრძანებულებაში 2003 წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად, სარჩოს ოდენობის განსაზღვრელს წარმოადგენს ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების მხოლოდ მინიმალური ხელფასის ცვალებადობა, საკასაციო პალატა არ იზიარებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაზარალებულისათვის დანიშნული სარჩო გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა არა ზოგადად დაწესებულებაში არსებული მინიმალური ხელფასის, არამედ იმავე თანრიგის მუშაკის მინიმალური ხელფასის გაზრდის შემთხვევაში.

**საქმე № ას-623-931-09**

**7 დეკემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.**

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შეგებებული საკასაციო საჩივრის მსჯელობას, რომ ამ შემთხვევაში სარჩოს გაცემის შეწყვეტა მართლზომიერია. არ არის სწორი შეგებებული საკასაციო საჩივრის არგუმენტი, რომ 1971 წლის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში მითითებული ჩანაწერი — „მდგომარეობის შეცვლამდე“ — გულისხმობს არა მხოლოდ მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ — ყველა იმ გარემოებას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სარჩოს გადახდაზე ან მის ოდენობაზე, მათ შორის, დასახიჩრებული პირის შრომისუუნარობას ასაკის გამო. ამ საკითხზე საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სარჩოს გადახდის ვალდებულება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაკისრებული ჰქონდა მოსარჩელის მდგომარეობის შეცვლამდე, რაშიც მოიაზრებოდა მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი შრომის უნარის აღდგენა. ამ შემთხვევაში მდგომარეობის შეცვლაში არ მოიაზრება მოხუცებულობის გამო შრომის უნარის დაკარგვა, დასახიჩრებული არ წარმოადგენს სარჩოს გაცემის შესაწყვეტად კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველს.

**საქმე № ას-950-1256-07**

**5 სექტემბერი, 2008 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: განსხვავება სანოტარო დამოწმებასა და სანოტარო დადასტურებას შორის**

გარიგების, როგორც სამოქალაქო ურთიერთობის ფუნდამენტური ინსტიტუტის თავისებურებებიდან გამომდინარე, ყველა თანამედროვე სამართლებრივი სისტემა იცნობს გარკვეული სახის გარიგებებს, რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებელია კანონით განსაზღვრული ფორმის დაცვა, ასეთ მოთხოვნებს ძირითადად ორი მნიშვნელობა აქვს: მტკიცების გაადვილების და განზრახვის სერიოზულობის დადასტურების. ძირითადი ფუნქცია, რასაც სანოტარო დადასტურება ასრულებს, არის მხარეთა ნების სწორად ფორმულირება და ნების ნაკლის მქონე გარიგების თავიდან აცილება. რაც შეეხება სანოტარო დამოწმებას, ამ შემთხვევაში ნოტარიუსის მიერ განხორციელებული მოქმედება ზემოაღნიშნულ ფუნქციას ვერ ასრულებს. სწორედ ამიტომ, გარიგება უნდა დაიდოს კანონით განსაზღვრული ფორმით და ამ ფორმისათვის გათვალისწინებული პროცედურის ბუსტი დაცვით.

**საქმე № ას-474-448-2011**

**6 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: აუქციონის მოწყობის წესების დარღვევა**

შეუძლებელია, მოსარჩელემ, რომელმაც გამოავლინა ნება გარიგების დასადებად, სადავოდ გახადოს მისი ნების გამოვლენა იმ საფუძველზე, რომ შეიღობა მისი უფლება სათანადო ნებართვის გარეშე მის მიერ ხელშეკრულების დადების გამო. დაუშვებელია, აუქციონის მომწყობის მიერ დაშვებული ხარვეზების გამოყენება ამავე აუქციონში მონაწილე პირთა საწინააღმდეგოდ, თვით აუქციონის მომწყობთა მიერ. ასეთი სახის მოქმედება სცილდება ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობის კეთილსინდისიერად წარმართვის ფარგლებს.

**საქმე № ას-1055-1239-08**

**5 მაისი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

**განმარტების საგანი: პროცენტებისა და საურავების დარიცხვის შეწყვეტა კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს**

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 11 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის

წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის განმარტებას იმგვარად, რომ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან ბანკს აღარ აქვს უფლება, საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ სესხებზე მოითხოვოს პროცენტისა და საურავის დარიცხვა. „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ მე-2 მუხლის მითითებული ნორმა ითვალისწინებს, რომ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან ბანკში წყდება პროცენტებისა და საურავების დარიცხვა დეპოზიტებსა და სხვა ვალდებულებებზე და ამ თარიღისათვის დარიცხული გაუცემელი პროცენტები გადაიტანება შესაბამისი პირის ძირითად ანგარიშზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულ ნორმაში გათვალისწინებულ „სხვა ვალდებულებებში“ იგულისხმება ბანკის ვალდებულებები სხვა პირთა მიმართ, მაგალითად, როგორცაა დეპოზიტებიდან გამომდინარე ვალდებულებები და აქ არ არის საუბარი მოვალეთა ვალდებულებებზე ბანკის მიმართ.

## საქმე № ას-842-შ-34-09

6 ივლისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებასა და ცვლილებების შეტანაზე კომპეტენტურ ორგანოს, კერძოდ, დასახელებული კანონის 110-ე მუხლი სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებისა და ცვლილების შეტანის უფლებამოსილებას ანიჭებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შესაცვლელი ჩანაწერის ადგილის მიხედვით. რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას, აღნიშნული კანონის 112-ე მუხლის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორება და შეცვლა წარმოებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი; უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანო არ ახდენს.

ამდენად, კანონის დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა ან შესწორება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება და სხვა სახელმწიფოს ორგანოებს ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნიათ და პირიქით, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სახელმწიფო ორგანოები არ ახდენენ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემომითითებული ნორმებით დადგენილი დანაწესები ასევე ვრცელდება იურიდიული ფაქტების დადგენასთან მიმართებით სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, რამდენადაც უცხო სახელმწიფოს, ისევე როგორც საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებებით დადასტურებული იურიდიული ფაქტები აუცილებელ შედეგობრივ კავშირშია სამოქალაქო აქტების მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სააქტო ჩანაწერებში შესწორებასა თუ ცვლილების შეტანასთან. აღნიშნული, თავის მხრივ, უკავშირდება „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის ზემომითითებულ მოთხოვნას.

ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლის თანახმად, განცხადებაში იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ იურიდიული ფაქტის დადგენის მიზანი უნდა იყოს გამოკვეთილი და დასაბუთებული, იმავდროულად, აღნიშნული მიზანი უნდა იყოს ლეგიტიმური.



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლომ ასევე უნდა გაარკვიოს, ხომ არ არსებობს დავა და საკითხი გადაწყვეტას სასარჩილო წარმოების წესით ხომ არ ექვემდებარება.

მოცემულ შემთხვევაში სომხეთის რესპუბლიკის არაგაცის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რომლის ცნობასა და აღსრულებასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, დადგინდა, ერთი მხრივ, სომხეთის რესპუბლიკის არქივის 10.05.2007წ. № 21 საარქივო ცნობის, მეორე მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს 19.11.2007წ. ცნობის კონკრეტული პირისადმი კუთვნილების ფაქტი. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ განმცხადებლის განმარტებით, მას ამ ფაქტის დადგენა სჭირდება მემკვიდრეობის მისაღებად. გადაწყვეტილებაში დასაბუთებული არ არის, რომ აღნიშნული საკითხი (მემკვიდრეობის საკითხი) სადავო არ არის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ვერ დაექვემდებარება, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში უცხო ქვეყნის სასამართლოს არ გააჩნდა კომპეტენცია, გადაეწყვიტა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს) მიერ გაცემული დოკუმენტის კონკრეტული პირისადმი კუთვნილება. რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკის საარქივო ცნობის (დაბადების რეგისტრაციის ჩანაწერში რეგისტრირებული პირის შესახებ) კონკრეტული პირისადმი კუთვნილების დადგენას, ამ ნაწილში გადაწყვეტილება ასევე არ არის აღსრულებადი საქართველოს ტერიტორიაზე, რამდენადაც მის საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო აქტების მარეგისტრირებელი ორგანოს სააქტო ჩანაწერში ცვლილება ვერ განხორციელდება. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში არც ის საკითხია გარკვეული, იურიდიული ფაქტის დადგენის მიზნიდან გამომდინარე (სამკვიდროს მიღება), მოცემული სამართლებრივი ურთიერთობა არის თუ არა სადავო.

## საქმე № ას-379-352-2010

19 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

### განმარტების საგანი: სარგებლობის ლიცენზიის გადაცემა სხვა პირისათვის

მოცემულ შემთხვევაში მხარეები საკრედიტო ხელშეკრულების 2.6 მუხლით შეთანხმდნენ, რომ კრედიტის დაუფარაობის შემთხვევაში შპს „ბ.-ა.“ კარგავს უფლებას კარიერზე და ავტომატურად მფლობელობაში გადადის გამსესხებელ ლ.ბ-ძის სახელზე.

აღნიშნული სახელშეკრულებო შეთანხმების საგანს წარმოადგენს კარიერზე უფლება, იგივე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლება, რომელიც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს წარმოადგენს და პასუხობს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ:

დადგენილია, რომ კარიერზე უფლებაში მხარეებმა იგულისხმეს ხონის რაიონის სოფელ ივანდიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ცხენისწყალზე არსებული ხონის ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არსებობს სარგებლობის, საქმიანობის, გენერალური და სპეციალური ინსპექციები. სარგებლობის ლიცენზია გაცემა აუქციონის წესით და უკავშირდება ობიექტს. სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს, დაჰყოს სარგებლობის ლიცენზია ან/და მთლიანად ან ნაწილი გადასცეს სხვა პირს. სარგებლობის ლიცენზიის ერთ-ერთი სახეა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია და ამ ლიცენზიით პირს ენიჭება კონკრეტული სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლება.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია რამდენიმე ნაწილად დაყოს სარგებლობის ლიცენზია და სარგებლობის უფლება ან მისი ნაწილი იჯარით ან საკუთრებაში გადასცეს სხვა პირს, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ლიცენზიის მფლობელი მთლიანი ლიცენზიის ან მისი ნაწილის გასხვისების შემთხვევაში ვალდებულია შესაბამისი საბუთები წარუდგინოს ლი-

ცნობის გამცემს, რომელსაც 3 დღის ვადაში შეაქვს ცვლილებები სალიცენზიო რეესტრში და გასცემს შესაბამის სალიცენზიო მოწმობას. ამავე კანონის მე-18 მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, კონკრეტული სახელმწიფო რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წარმოების დაწყების საფუძველია, როგორც ლიცენზიის მაძიებლის განცხადება, ისე ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილება. განცხადების ან თავისი ინიციატივის საფუძველზე ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილება სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის წესით გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული აქტია.

აღნიშნული ნორმების ანალიზით ნათელია, რომ ლიცენზიის მფლობელის მიერ სარგებლობის ლიცენზიის გადაცემა სხვა პირისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ არის და მისი გადაცემა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში დასაშვებია. ზემოაღნიშნული კანონის მე-18 მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილება აუქციონის წესით სარგებლობის ლიცენზიის გაცემისა, ანუ სარგებლობის ლიცენზიის თავდაპირველი გაცემა. ლიცენზიის გადაცემის შემთხვევაში კი, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, კანონის მე-20 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ინფორმაცია მიაწოდოს ლიცენზიის გამცემს. ამდენად, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში სარგებლობის ლიცენზიის გადაცემაზე შეთანხმება დასაშვებია. ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლების სხვა პირისათვის გადაცემა კანონით ნებადართულია და განსახილველი მხარეთა შეთანხმება სარგებლობის ლიცენზიის გადაცემის თაობაზე კანონიერია.

## **საქმე № ას-205-532-09**

**15 სექტემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი**

### **განმარტების საგანი: კოოპერატიული ბინის საკუთრებაში გადაცემა**

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები იქმნებოდა რა პირთა საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, კოოპერატივის თითოეული წევრი თავისი საპაიო შენატანით მონაწილეობას ღებულობდა კოოპერატიული საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში. აღნიშნული გარემოების გამო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, როგორც კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი ბინით მოსარგებლე პირი, განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე ადრე მოქმედი საბინაო კოდექსით გათვალისწინებული ბინის დამქირავებლები. საცხოვრებელი სადგომი მუდმივ სარგებლობაში გადაეცემოდა კოოპერატივის წევრს — მეპაიეს, რომელსაც უფლება ჰქონდა, ამავე ბინაში ეცხოვრა თავისი ოჯახის წევრებთან ერთად. მეპაიეს ოჯახის წევრთა უფლება კანონით შეზღუდული იყო და მათ გააჩნდათ მხოლოდ საცხოვრებელ ფართში ცხოვრების უფლება, მაგრამ არ ჰქონდათ უფლება, დამოუკიდებლად განეკარგათ იგი (გაცვლა, გაქირავება, სადგომის გამოყოფა, ფართის გაყოფის მოთხოვნა და სხვა). ამდენად, ოჯახის წევრთა უფლება ვრცელდებოდა მხოლოდ ბინით სარგებლობაზე. მეპაიის გარდაცვალების შემთხვევაში პაიზე უფლება გადადიოდა მემკვიდრეებზე სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პაიზე უფლებით სარგებლობდა მეპაიე. შესაბამისად, შემდგომში მიღებულმა ნორმატიულმა აქტებმა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ბინების პრივატიზაციის შესახებ გაითვალისწინა რა ამგვარი უფლების სპეციფიკურობა — ბინის მიღებას საფუძვლად ედო არა მხოლოდ სახელმწიფოს ნება, არამედ მეპაიის საკუთრებაში არსებული დანაზოგის პაის სახით კოოპერატივში შეტანა, ბინის პრივატიზაციის გზით საკუთრებაში მიღების უფლებით აღჭურვა კოოპერატივის წევრი — მეპაიე. შესაბამისად, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების თანახმად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, რომელმაც გადაიხადა საცხოვრებელი ბინის ღირებულება (პაი) ითვლებოდა ბინის მესაკუთრედ, რის შესახებაც იდებოდა ხელშეკრულება კოოპერატივის წევრსა და კოოპერატივის გამგეობას შორის. კოოპერატიული ბინის საკუთრებაში პრივატიზების გზით გადაცემის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი და გამგეობა და ბინის საკუთრების უფლებაც მეპაიეს გადაეცემოდა. ამდენად, უნდა დავასკვნათ,

რომ კოოპერატიული ბინის პრივატიზაციისას მეპაიის ოჯახის წევრისათვის ამ ბინის ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემას არც ერთი ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებდა და ასეთის არსებობას ვერც კასატორი ასაბუთებს.

## 16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაუშვებლობის მოთხოვით განუხილველად დატოვებული საქმეები

### 1. საქმე № ას-1128-1059-2012

23 ოქტომბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** აღნიშნულ საქმეში სასამართლომ ბათილად სცნო წარმომადგენლის მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც მან მარწმუნებლის გარდაცვალების შემდეგ გააფორმა. სანოტარო აქტი მარწმუნებელს ანიჭებდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და მასში რწმუნებული მითითებული იყო როგორც „მინდობილი მესაკუთრე“, ხოლო გამცემი — „საკუთრების მიმდობი“. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ ნოტარიუსის მიერ დამოწმებული გარიგება თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენდა არა საკუთრების მინდობის ხელშეკრულებას, არამედ რწმუნებულებას, რადგანაც მასზე მხოლოდ „საკუთრების მიმდობის“ ხელმოწერა იყო დაფიქსირებული და შესაბამისად მარწმუნებლის გარდაცვალების შემდეგ რწმუნებულს არ ჰქონდა უფლებამოსილება დაედო აღნიშნული გარიგება.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 103-ე, 107-ე და 724-ე მუხლები

### 2. საქმე № ას-867-917-2011

15 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ფორმის დაუცველად გაცემული ბეს თანხის დაკისრებაზე. სასამართლომ განმარტა ბეს ხელშეკრულების არსი და მიუთითა, რომ რადგანაც მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა უძრავ ნივთს, ბე უნდა გაფორმებულიყო ისეთივე ფორმით, როგორც უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების და დარეგისტრირებულიყო საჯარო რეესტრში.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი, 183-ე და 328-ე მუხლები.

### 3. საქმე №ას-1606-1600-2011

9 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ძირითადი დავალიანებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეებს შორის დადებული სესხის ხელშეკრულება გაფორმდა მოპასუხის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში წარმოშობილი სადისტრიბუციო დავალიანების დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ სესხის ხელშეკრულებით დაიფარა გარიგება ვალის არსებობის აღიარების შესახებ, რის გამოც, გამოყენა დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. მიუხედავად მხარეთა შორის დადებული სესხის ხელშეკრულების ბათილობისა, ამ გარიგების ფარგლებში პირგასამტეხლოს ოდენობაზე მხარეთა შეთანხმება სასამართლომ ნამდვილად ჩათვალა, ვინაიდან მასზე შეთანხმება საკუთრივ ვალის აღიარების გარიგებითაც შესაძლებელი იყო.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 341-ე მუხლი.

### 4. საქმე №ას-40-38-2012

22 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა, მისი კუთვნილი ნაკვეთის მოპირდაპირედ მდებარე მრავალბინიან კორპუსზე არსებული ფანჯრის ღიობების გაუქმების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ დარღვეული იყო ფანჯრის ღიობების მოწყობის სამშენებლო ნორმები,

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო გამოკვეთილი მოსარჩელის ინტერესის უპირატესობა და მას სამეზობლო ურთიერთობიდან გამომდინარე ჰქონდა ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 115-ე, 175-ე და 176-ე მუხლები.

## 5. საქმე №ას-71-62-2011

4 აპრილი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ ხანდაზმულობის მოტივით არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ელექტროენერგიის მოხმარებისათვის დარიცხული საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე. სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველად არ მიიჩნია ის გარემოება, რომ სასამართლოს განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალა ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა მოსარჩელისთვის.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი.

## 6. საქმე №ას-1052-1082-2011

21 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** მორიგების აქტის საფუძველზე, რომლითაც შეწყდა საქმისწარმოება საამართლოში, კრედიტორმა იკისრა ვალდებულება იპოთეკისაგან გათავისუფლებინა მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, იმ პირობით, თუ გარკვეული ოდენობის თანხით შემცირდებოდა მის მიმართ არსებული დავალიანება. მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიუხედავად კრედიტორმა ვალდებულება არ შეასრულა. მოვალემ მიმართა სასამართლოს მორიგების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სასამართლოს მიერ მოთხოვნა ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაციის განუხორციელებლობის გამო შპს „ლ.ჰ.ჯ-მ“ ვერ გაასხვისა კუთვნილი ნაკვეთი და მისაღები ნასყიდობის ფასით ვერ შეასრულა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. გარდა აღნიშნულისა შპს „ლ.ჰ.ჯ-მ“ გადაიხდა ვადაგადაცილებისათვის სარგებელი და ასევე საგადასახადო დავალიანების დროულად გადაუხდელობის გამო დაეკისრა საურავი და ჯარიმა.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361.2-ე, მე-400, 401-ე, 394-ე, 408-ე, 412-ე და 992-ე მუხლები.

## 7. საქმე №ას-592-563-2013

5 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სადაზღვევო თანხის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ დაზღვევის ხელშეკრულების თანხმად სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი ვალდებული იყო წარმოედგინა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა შემთხვევის მომენტისათვის დაზღვეული ავტომობილის მძღოლის სიფხიზლის ფაქტს და რამდენადაც ეს ვალდებულება არ იქნა შესრულებული, ის არ იყო ვალდებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი სამართლიანობის საფუძველზე უნდა განმარტებულიყო, ხოლო ამგვარი განმარტება იწვევდა მტკიცების ტვირთის შებრუნებასა და სადაზღვევო კომპანიისათვის მის გადაკისრებას.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის პირველი ნაწილი.

## 8. საქმე №ას-828-777-2012

12 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ დანაშაულით მიყენებულ მატერიალურ ზიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა მოსარჩელის (დაზარალებული) მოთხოვნა, მის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის დაკისრების თაობაზე, რომელიც მას დასჭირდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 412-ე და 992-ე მუხლები.

## 9. საქმე №ას-100-96-2012

12 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** მოსარჩელე ითხოვდა უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლის მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეული იყო აღნიშნულ დაწესებულებაში მოთავსებული, ფსიქიკური პრობლემების მქონე აღსაზრდელის მიერ შვილის მკვლელობით. სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვთა სახლის მხრიდან ადგილი ჰქონდა აღსაზრდელის მიმართ მეთვალყურეობის მოვალეობის ბრალეულ დარღვევას, რამაც გამოიწვია მოსარჩელის შვილის სიცოცხლის მოსპობა. გამომდინარე იქიდან, რომ სახეზე იყო ასევე მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება შვილის გარდაცვალების გამო, სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. მატერიალურ ზიანთან მიმართებაში სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა დაკრძალვისთვის გაწეული ხარჯები, რაშიც მოიაზრებოდა მიცვალებულის დაკრძალვისათვის აუცილებელი ხარჯები, რომლის საერთო ოდენობა არ უნდა ყოფილიყო 2000 ლარზე მეტი, ქელების ხარჯები, არაუმეტეს 2000 ლარისა, ხოლო ორმოცისათვის გაწეული ხარჯები — არაუმეტეს 1000 ლარისა.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე, 413-ე და 995-ე მუხლები.

## 10. საქმე № ას-1590-1588-2011

12 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხეს (ქმედუუნარო პირის კანონიერი წარმომადგენელი) დაკისრებოდა უსაფუძვლოდ შექმნილი თანხის გადახდა, რომელიც წარმოადგენდა ბათილი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქმედუუნარო პირისთვის გადაცემულ ნასყიდობის საფასურს. სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა და ასევე საფუძვლიანად მიიჩნია მეორე მოთხოვნაც, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის მიერ იმ სესხზე გადახდილ პროცენტის დაკისრებას, რაც მან ნასყიდობის საფასურის გადახდის მიზნით გადასცა ქმედუუნარო პირს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლის პირველი ნაწილი.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლის პირველი ნაწილი.

## 11. საქმე № ას-729-787-2011

13 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს სააქციო საზოგადოების წინააღმდეგ და როგორც აქციონერმა მოითხოვა საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული სახის დოკუმენტაციის გადაცემა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ როგორც აქციონერზე ვრცელდებოდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სპეციალური ნორმა, შესაბამისად არ ქონდა უფლება მოეთხოვა ყველა დოკუმენტაციის ასლის გადაცემა. სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოთხოვნა და აღნიშნა, რომ გარდა სპეციალური მუხლისა საზოგადოებიდან ინფორმაციის გამოთხოვის ნაწილში ვრცელდებოდა კანონის ზოგადი ნორმებიც, რომლებიც ასევე მოიცავდა სპეციალური მუხლით განმტკიცებულ უფლებებსაც, რომლითაც სარგებლობდა აქციონერი.

**გამოყენებული ნორმა:** „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი და 53-ე მუხლი

## 12. საქმე №ას-281-270-2012

4 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** აღნიშნულ საქმეში სადავო იყო ნასყიდობის ხელშეკრულების კანონიერება, რომელიც შპს-მ, რომელსაც წარმოადგენდა დირექტორი, გააფორმა იმავე დირექტორთან, როგორც ფიზიკური პირთან. სასამართლომ შეფასება მისცა მსგავსი სახის ხელშეკრულების დადების დროს საზოგადოების მიერ თანხმობის გაცემის აუცილებლობის საკითხს და საბოლოოდ გარიგება ბათილად იქნა ცნობილი.

**გამოყენებული ნორმა:** „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი, მე-91 მუხლის მე-6 პუნქტი და „სამოქალაქო კოდექსის“ 101-ე და 114-ე მუხლები

**13. საქმე №ას-286-272-2013****13 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მოსარჩელე ითხოვდა მისი მოვალე შპს-ს 100%-იანი წილის მფლობელი დამფუძნებელი პარტნიორისთვის იმ ვალდებულების შესრულების დაკისრებას, რაც მის მიმართ გააჩნდა შპს-ს. მოსარჩელის მითითებით ადგილი ჰქონდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენებას. სასამართლომ განმარტა ის წინაპირობები, რომლებიც უნდა არსებობდეს ე.წ კორპორატიული საფარველის ჩამოსხნისათვის და აღნიშნულ საქმეში პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის შესაბამისი საფუძვლების არარსებობის მოტივით არ დააკმაყოფილა სარჩელი.

**გამოყენებული ნორმა:** „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი

**14. საქმე №ას-88-84-2012****20 თებერვალი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მოსარჩელემ, რომელიც იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მოითხოვა მოპასუხისთვის სტუდენტად ყოფნის პერიოდში გადაუხდელი სწავლის საფასურის დაკისრება. სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეულ წლებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო მოპასუხეს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი და საგანმანათლებლო მომსახურება არ მიუღია, აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ განმარტა რომ მხარეებს შორის არსებობდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მოპასუხეს შესრულება არ მიუღია. შესაბამისად, მოპასუხეს არ ჰქონდა სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება, ვინაიდან, კანონით დადგენილი იყო საზღაურის გადახდის ვალდებულება სწავლისათვის და არა სტუდენტად ყოფნისათვის.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი.

**15. საქმე № ას-491-467-2013****30 ოქტომბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეებს დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეული იყო მათ მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადახდის ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით. მოსარჩელის მითითებით, ვალდებულება დროულად რომ შეესრულებულიყო ის შესძლებდა თანხის განთავსებას ბანკის ვადიან ანაზღაურებაში, რითაც მიიღებდა დამატებით შემოსავალს. გამომდინარე იქიდან, რომ გადაწყვეტილებაში არ იყო მითითება აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადაზე, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა ვალდებულების დარღვევას.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 142-ე და 365-ე მუხლები.

**16. საქმე № ას-467-437-2010****28 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მოსარჩელის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხე-საბანკო დაწესებულების მიმართ წარმოადგენდა, საბარათე ანგარიშიდან მისი თანხმობის გარეშე განკარგული თანხის დაკისრება. სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა და სამოქალაქო კოდექსის 861-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ მოსარჩელის მფლობელობიდან პლასტიკური ბარათის გაუსვლელად, ბარათის მფლობელის ნებართვის გარეშე მოხდა ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა, რაც წარმოადგენდა მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 861-ე მუხლი.

**17. საქმე №ას-525-499-2013****8 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ყოფილი მეუღლის მიერ დადებული სესხისა და იჯარის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მის მიერ გადახდილი თანხების დაკისრება და ასევე მეუღლის კუთვნილ ბინაზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

სასამართლომ დაადგინა, რომ სესხი და იჯარით აღებული ფართი ოჯახის საერთო ინტერესებს ემსახურებოდა, შესაბამისად მოსარჩელის მიერ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯებიც მეუღლეთა საერთო ქონებიდან გაღებულად ჩათვალა, რის გამოც უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სარემონტო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში სასამართლო ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და ყოფილ მეუღლეს დააკისრა ამ ხარჯების ნახევრის ანაზღაურება. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1158-ე და 1159-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ამ ნორმებიდან გამომდინარე, არსებობდა პრეზუმფცია იმისა, რომ მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯები მათი საერთო ქონებიდან იქნა გაღებული, შესაბამისად, მოთხოვნა დაკმაყოფილდა არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 1158-ე, 1159-ე, 1160-ე და 1170-ე მუხლები.

## 18. საქმე №ას-147-141-2012

12 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის-ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამხანაგობის მიმართ საცხოვრებელი ფართის ჩაბარების ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულების სახელწოდებისა და თავად ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინებისა (ხელშეკრულების დამდები პირი წევრიანდება ამხანაგობაში, მიიჩნევა ამხანაგობის წევრად და ა.შ), მოსარჩელე არ წარმოადგენდა ამხანაგობის წევრს, რადგან მას არ ამოძრავებდა უმთავრესი — მოგების მიღების მიზანი და მასთან ხელშეკრულების დადება მხოლოდ ფინანსური ინვესტიციების მოზიდვას ისახავდა მიზნად.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი.

## 19. საქმე №ას-200-193-2013

27 სექტემბერი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** ა. ჩ-ემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების: გ. ბ-ის, ა. ჯ-ის, გ. ლ-სა და შპს „დ. 90-ის“ მიმართ როგორც ამხანაგობის წევრებისათვის თანხის დაკისრების მოთხოვნით. სასამართლომ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა. სასამართლოს შეფასებით, გ. ბ-ი ა. ჩ-ის მოთხოვნასთან მიმართებით ასევე წარმოადგენდა პასუხისმგებელ სუბიექტს და არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ სარჩელის შეტანის დროს გასული იყო ამხანაგობიდან. სასამართლოს მითითებით თუ დადასტურდებოდა, რომ ა. ჩ-ის მიმართ ვალდებულება ამხანაგობას გ. ბ-ის ამხანაგობიდან გასვლის შემდეგ წარმოეშვა, მხოლოდ მაშინ გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლი.

## 20. საქმე №ას-576-547-2013

29 ივლისი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** მოსარჩელების მოთხოვნას წარმოადგენდა საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში მდებარე კლუბის დახურვა ღამის პერიოდში. პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და მოპასუხეს აეკრძალა ღამის 23 საათიდან 07 საათამდე დასაშვებ დონეზე ხმამაღალი მუსიკის გამოყენება. გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს აეკრძალა მუსიკის გამოყენება ღამის 23 საათიდან დღის 07 საათამდე. სასამართლოს განმარტებით მოპასუხის ფართში არსებული მუსიკის მაქსიმალური ჟღერადობით გამოწვეული ხმაური წარმოადგენდა მოსარჩელეთა სარგებლობაში არსებულ ქონებაზე არსებითი ხასიათის ზემოქმედებას, კერძოდ, იგი ხელს უშლიდა მათ საცხოვრებელი ბინით სარგებლობაში.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი, 172-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 174-ე მუხლი და 175-ე მუხლის პირველი ნაწილი.

**21. საქმე № ას-1561-1464-2012****1 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა შეაფასა როგორც სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალის არსებობის აღიარება, კერძოდ სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქმეში წარმოდგენილ ხელწერილს, რომლის შინაარსიდან გამომდინარეობს შემდეგი: „მე როგორც შპს „მ-ს+ის“ დირექტორი ა.შ-ი ვადასტურებ, რომ ზ.შ-მა სესხის სახით გადმომცა.....“. სასამართლოს განმარტებით, რადგანაც ხელწერილში არ იყო ვალდებულების შესრულების ზუსტი ვადა მითითებული, სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით კრედიტორს ენიჭებოდა უფლება ნებისმიერ დროს მოეთხოვა შესრულება, მოცემულ შემთხვევაში, სესხის თანხის დაბრუნება.

**განმარტების საგანი:** სამოქალაქო კოდექსის 341-ე და 623-ე მუხლები.

**22. საქმე № ას-718-673-2010****8 დეკემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელების ერთ-ერთი მოთხოვნა, მაკვიდრებლის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაზღვევო თანხის სამკვიდრო ქონებად ცნობის თაობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღვევო თანხის მიღებად განსაზღვრული იყო მაკვიდრებლის მეუღლე. სასამართლომ განმარტა, რომ სხვა მემკვიდრეები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდნენ აღნიშნული თანხის მიღებაზე უფლებამოსილნი, თუკი არ იქნებოდა გარდაცვლილის მეუღლე, რომლის სასარგებლოდაც იქნა გარიგება დადებული.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 349-ე და 350-ე მუხლები.

**23. საქმე №ას-344-329-2012****3 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებლო ბიუროს მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს არ გადასცემია მოპასუხის მიერ მოწყობილ აუქციონზე შეძენილი ნივთები, რაც ჩათვალა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევად. აღნიშნულიდან გამომდინარე სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ კანონიერად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა ნივთების შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 405-ე და 477-ე მუხლები.

**24. საქმე №ას-12-12-2012****4 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მხარეებს შორის სამართალურთიერთობა წარმოიშვა მათ შორის დადებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელემ ფასის სრულად გადახდამდე მოპასუხეს გადასცა სამეურნეო ტექნიკა. გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხემ გადაიხადა ნასყიდობის ფასის მხოლოდ ნაწილი და ამავე დროს გადაცემული სამეურნეო ტექნიკა გატაცებულ იქნა 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს, მოსარჩელემ შეწყვიტა ნასყიდობის ხელშეკრულება. იმის გამო, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის გამო ნასყიდობის საგანი ნატურით ვერ დაბრუნდებოდა და ასევე ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკიც მყიდველზე იყო, სასამართლო ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო გადაცემული ტექნიკის ღირებულების ანაზღაურებით. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ მოპასუხეს არ უნდა დაბრუნებოდა მის მიერ გადახდილი ნასყიდობის ფასის ნაწილი, ვინაიდან ტექნიკის ნატურით დაბრუნების შესაძლებლობის შემთხვევაში იგი გამყიდველს დაუბრუნდებოდა გარკვეული ცვეთით, რაც ცხადია, ამცირებდა საგნის თავდაპირველ ღირებულებას და რაც მოცემულ შემთხვევაში, გადაცემული ტექნიკის მაღალი ფასის გათვალისწინებით კომპენსირებული უნდა ყოფილიყო მყიდველის მიერ გადახდილი თანხით.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 482-ე და 505-ე მუხლები.



## 25. საქმე №ას-413-393-2011

2 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის სარჩელი ზიანის ანაზღაურებაზე, მოპასუხე ენერგოკომპანიის წინააღმდეგ. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის კუთვნილი ელექტროჯიხური არ წარმოადგენდა სათანადოდ დაცულ შენობას, რის გამოც არასრულწლოვანმა შენობაში შეღწევის შედეგად მიიღო ელექტროდამწვრობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია შერეულ ბრალს, ვინაიდან შემთხვევის მომენტისთვის დაზარალებულის ასაკობრივი ზღვარიდან (შემთხვევის დროისთვის იყო — 9 წლის) გამომდინარე შეუძლებელი იქნებოდა მისგან ნაგებობიდან მომდინარე საფრთხის განსაზღვრა და წინდახედულობის ნორმების დაცვა, რაც გამორიცხავდა ზიანის მისი ბრალეულობით გამოწვევას.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე, 415-ე, 992-ე და 1000-ე მუხლები.

## 26. საქმე №ას-756-812-2011

18 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** აღნიშნულ საქმეში სადავო იყო მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის სესხის სახით თანხის გადაცემა. სასამართლოს განმარტა, რომ საქმეში არსებული სესხის წერილობითი ხელშეკრულება, სადაც მითითებული იყო, რომ მსესხებელმა თანხა „ისესხა“, საპირისპიროს დადასტურებამდე გულისხმობდა, რომ სესხება, როგორც რეალური ქმედება, უკვე განხორციელდა. სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას ამყარებდა ის გარემოებაც, რომ სესხის უზრუნველსაყოფად დაიდო იპოთეკის ხელშეკრულებაც. ზემოაღნიშნულდან გამომდინარე სასამართლომ კანონიერად ჩათვალა მოსარჩელის მოთხოვნა თანხის დაკისრებაზე.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი.

## 27. საქმე №ას-185-176-2010

17 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ ბათილად სცნო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის თაობაზე პარტნიორთა კრების ოქმი. სასამართლომ განმარტა, რომ პარტნიორთა აღნიშნული გადაწყვეტილება აშკარად სცილდებოდა საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას და შესაბამისად მოითხოვდა ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებულ პარტნიორთა კრებაზე ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც დარღვეულ იქნა მოცემულ შემთხვევაში. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ ვინაიდან გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, მასზე ვრცელდებოდა არა ორთვიანი არამედ ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

**გამოყენებული ნორმა:** „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-91 მუხლის მე-7 პუნქტი და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

## 28. საქმე №ას-895-841-2012

11 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე წარმოშობილად შეაფასა და არ გაიზიარა მოსარგებლის პოზიცია ფორმალური ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე. სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე მივიდა საქმეში არსებული ხელწერილის შინაარსიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც „ბინის გამოდავების შემთხვევაში“, მესაკუთრე ვალდებული იყო 4500 მანეთი დაებრუნებინა მოსარგებლისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ ნივთთან მიმართებაში მესაკუთრე გარკვეულ უფლებებს იტოვებდა, სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული გარემოება არ იყო დამახასიათებელი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობისთვის, ვინაიდან ნასყიდობის არსიდან გამომდინარე გამყიდველს არ უნდა დარჩენოდა რაიმე უფლებები სამომავლოდ.

**გამოყენებული ნორმა:** „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონი.

**29. საქმე № ას-1184-1445-09****1 მარტი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მოსარჩელის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა იმ ანდერძის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, რომლითაც მისი ქონება არასწორად ეანდერძა სხვას. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მოთხოვნის ხანდაზმულობასთან და განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნაზე უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის საერთო ვადა — 10 წელი.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

**30. საქმე № ას-157-149-2010****17 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სადაზღვევო თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადაზღვევო შემთხვევის დროს მოსარჩელე იმყოფებოდა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ და შესაბამისად მზღვეველი არ იყო ვალდებული სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე. სასამართლოს განმარტებით, დამზღვევის ვალდებულება, არ იმყოფებოდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, უნდა გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ადგილი აქვს დამზღვევის მხრიდან განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტს და არა შემთხვევაზე, როდესაც დამზღვევს საერთოდ არანაირი ბრალი არ მიუძღვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში, რაც დასტურდებოდა საქმის მასალებით.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი.

**31. საქმე № ას-1113-1044-2012****25 ოქტომბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლებისა და ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ძირითადი მოვალის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების დარღვევის თაობაზე თავდები გაფრთხილებული იქნა ერთი წლის გასვლის შემდეგ და ჩამოეჭრა სახელფასო ანგარიშიდან თანხა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხის — საბანკო დაწესებულების მხრიდან ადგილი ჰქონდა კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას, ვინაიდან დაუყოვნებლივ არ მოხდა თავდების ინფორმირება ვადაგადაცილების შესახებ, რამაც გამოიწვია მისთვის პირგასამტეხლოს დარიცხვა პერიოდული დაფარვის ვადაგადაცილებისათვის.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის პირველი ნაწილი და 898-ე მუხლის პირველი ნაწილი.

**32. საქმე № ას-1430-1445-2011****21 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე-თეატრალური დაწესებულებისთვის თანხის დაკისრება. სასამართლომ გამოარკვია, რომ დაწესებულების დირექტორს მოსარჩელისგან აღებული თანხები განაწილებული ჰქონდა მოპასუხის თანამშრომლებისთვის, ისე რომ მას ამის არც უფლება და არც ვალდებულება არ გააჩნდა. სასამართლომ განმარტა, რომ რამდენადაც მოპასუხეს კვლავ ერიცხებოდა დავალიანება თავისი თანამშრომლების მიმართ, ის მოსარჩელისგან აღებული თანხებით არც უსაფუძვლოდ გამდიდრებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ დააკვანა, რომ შესრულების დაბრუნებაზეც ვალდებული პირი იყო თითოეული თანამშრომელი და არა თეატრი.

**განმარტების საგანი:** სამოქალაქო კოდექსის 976-ე და 986-ე მუხლები.

**33. საქმე № ას-1202-1131-2012****1 ნოემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა განქორწინების შემდეგ მისი ყოფილი მეუღლისთვის გადარიცხული თანხების დაკისრება. სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად ქორწინების

რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეთა შორის არსებობდა საქორწინო ურთიერთობა. სასამართლოს შეფასებით მოსარჩელის ნება მიმართული იყო საკუთარი ოჯახის (ყოფილი მეუღლე და 2 შვილი) კეთილდღეობისათვის ზრუნვისაკენ და ემსახურებოდა ოჯახის გაძლოის საერთო მიზნებს. მიუხედავად მოსარჩელის მიერ ზნეობრივი მოვალეობის შესრულებისა სასამართლომ მიიჩნია, რომ ზღვარი უნდა გავლესულიყო ზნეობრივი მოვალეობის ფარგლებში მიღებულ შესრულებასა და ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულ შესრულებას შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, მოპასუხეს დაეკისრა გადაცემული თანხის 1/4 ნაწილის, როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული შესრულების დაბრუნება.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი.

### **34. საქმე № ას-1103-1130-2011**

**6 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და მოპასუხეს, დაზიანებული ავტომობილის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვან ხარჯთან ერთად დააკისრა ის თანხა, რომლითაც შემცირდებოდა ავტომობილის საბაზრო ღირებულება აღდგენის შემთხვევაში.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი.

### **35. საქმე №ას-1434-1449-2011**

**26 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა უფლებრივი ნაკლის მქონე უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე. სასამართლომ განმარტა ის სამართლებრივი წინაპირობები, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს წარმოადგენს.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 487-ე და 491-ე მუხლები.

### **36. საქმე №ას-1431-1446-2011**

**1 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ მითითებულ საქმეზე განმარტა თანხის დაკავების (დროულად გადაუხდელობის) შემთხვევაში მიუღებელი შემოსავლის გაანგარიშების განსხვავებული კრიტერიუმები ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი

### **37. საქმე № ას-1255-1184-2012**

**12 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა და ნივთის დაბრუნება. სასამართლომ განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ჩანაწერი, კერძოდ, „მოსარჩელემ გამოსყიდვის უფლებით გაყიდა, ხოლო მოპასუხემ იყიდა უძრავი ქონება“ ადასტურებდა მყიდველის მიერ თანხის გადახდის ფაქტს. სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაშიც არ შეიძლებოდა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი ყოფილიყო ნასყიდობის თანხის გადაუხდელობა, ვინაიდან, ნასყიდობის საგნის ღირებულების მიუღებლობის შემთხვევაში მხარეს უფლება ჰქონდა ედავა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი.

**38. საქმე №ას-984-924-2012****16 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მხარეებს შორის, რომლებიც იყვნენ მამა-შვილი, დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. სასამართლომ განმარტა ჩუქების ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები და მისი დადების მოტივები.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი.

**39. საქმე №ას-23-23-2012****15 მარტი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ამხანაგობიდან გასვლის გამო, განხორციელებული შენატანის დაბრუნებაზე. სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან ამხანაგობის წევრის გასვლა ერთობლივი საქმიანობიდან შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ 938-ე მუხლით დადგენილი წესით, გასვლის შედეგად წარმოიშობოდა არა შენატანის დაბრუნების მიღების უფლება, როგორც ეს ამავე კოდექსის 352-ე მუხლითაა გათვალისწინებული, არამედ — ამხანაგობაში არსებული წილის შესაბამისი კომპენსაციის მიღების უფლება, რაც ცალსახად გულისხმობდა ამხანაგობიდან გასვლის დროისთვის ამხანაგობის წილის ღირებულებას. წილი კი, როგორც წესი, უნდა განმარტებულიყო, როგორც ამხანაგობის მიმართ არსებული უფლების ღირებულება და არა როგორც ცალკე აღებული თავდაპირველი შენატანი ვალუტისა მისი კურსის ცვლილებით.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლი.

**40. საქმე №ას-1653-1550-2012****15 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** მითითებულ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ ქონების ნატურით გაცოფის შეუძლებლობის დადგენის პირობებში საზიარო უფლების გაუქმება უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით არ წარმოადგენდა სარჩელის შეცვლას და დასაშვები იყო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, მიუხედავად მოპასუხის თანხმობისა. აღნიშნულიდან გამომდინარე დააკმაყოფილებულ იქნა სასარჩელო მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმებაზე.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე და სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლები.

**41. საქმე №ას-1669-1565-2012****1 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სხვის ქონებაზე გაწეული ხარჯების გამო თანხის დაკისრების თაობაზე. დადგინდა იქნა, რომ მოსარჩელის მიერ საცხოვრებელ ფართზე ხარჯების გაწევას ადგილი ჰქონდა მანამდე, სანამ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე შეიძენდა ნივთს. სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯები, მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშობდა მოპასუხის მიმართ კონდიქციურ ვალდებულებას, თუკი ხარჯები გაწეული იქნებოდა მოპასუხის საკუთრებაში ქონების აღრიცხვის შემდგომ.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლი.

**42. საქმე №ას-443-420-2012****8 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის — მშენებლობის ნებართვის მოქმედების შეჩერებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის მიერ ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენით ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეული ზიანი წარმოადგენდა მოპასუხის ბრალეული მოქმედების შედეგს.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი.

#### 43. საქმე №ას-930-873-2012

10 სექტემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** მოცემულ საქმეში სასამართლომ წყლის ჩადინების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად მიიჩნია არა ფართის მესაკუთრე, არამედ დაძვინავებული. სასამართლომ დაადგინა, რომ წყლის ჩადინება გამოწვეული იყო მოპასუხის სარგებლობაში არსებულ ფართში წყლის ავზის უკანა რეზინის მილის დაზიანებით, რაც განეკუთვნებოდა მიმდინარე რემონტის კატეგორიას. სასამართლომ მიუთითა, რომ რადგანაც ქირავნობის ხელშეკრულებით მიმდინარე რემონტის ჩატარება არ განეკუთვნებოდა დაძვინავების(მესაკუთრის) ვალდებულებას, მისი ჩატარება უნდა უზრუნველყო დაძვინავებულს სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლის თანახმად.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 548-ე და 992-ე მუხლები.

#### 44. საქმე №ას-1598-1501-2012

29 აპრილი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** აღნიშნულ საქმეში მოპასუხე სადავოდ არ ხდიდა მისი ბინიდან მოსარჩელის ბინაში წყლის ჩასვლის ფაქტს. მოპასუხე სადავოდ ხდიდა წყლის ჩასვლის პერიოდს, მისი მტკიცებით მისგან გ. ჭ-ას ბინაში წყლის ჩასვლის ფაქტი მოხდა არა 2009—2010 წლებში, არამედ 2000 წელს. სასამართლომ მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარეს დააკისრა, რომელმაც ვერ დაადასტურა ზიანის მიყენების ზუსტი პერიოდი, რის გამოც დაეკისრა ზიანის ანაზღაურება.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი.

#### 45. საქმე №ას-1471-1387-2012

1 თებერვალი 2013 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის — 20000 ლარის დაკისრების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში იყო მითითება მსჯავრდებულის მიერ ბინის მფლობელის ხელშეუხებლობის დარღვევით(სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლი) წლების განმავლობაში მოსარჩელისათვის 20000 ლარის ოდენობის ზიანის მიყენების თაობაზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ განაჩენი არ იყო საკმარისი მტკიცებულება ზიანის ოდენობის დასადგენად. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ დადასტურებულად ცნო დანაშაულის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტი და მოპასუხეს დააკისრა სისხლის სამართლის კოდექსით (177-ე მუხლის მე-3 ნაწილი) განსაზღვრული მნიშვნელოვანი ზიანის მინიმალური ოდენობა — 151 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>17</sup>-ე და სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლები.

#### 46. საქმე №ას-631-592-2010

25 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ არ დააკმაყოფილა შეგებებული მოსარჩელის სარჩელი მეუღლის სახელზე რიცხული უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ამხანაგობაში მოპასუხის გაწვევრიანებით ვერ კიდევ ქორწინებამდე წარმოიშვა სადავო ბინის საკუთრებაში გადაცემის საფუძვლები. საქმეში არსებული მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ ამხანაგობაში მეუღლის ვალდებულების შესრულებას, სასამართლომ სადავო ბინაზე თანასაკუთრების გადაცემის საფუძვლად არ მიიჩნია. სასამართლომ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში მხარეს შეეძლო მოეთხოვა მის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურება და არა ბინის საკუთრებაში გადაცემა, ანუ აღნიშნული გარემოება შესაძლოა გამხდარიყო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სხვა დამოუკიდებელი დავის საგანი.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი.

**47. საქმე №ას-666-627-2012****12 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მეუღლის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეს ნივთი შეძენილი ჰქონდა ქორწინებამდე დადებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და ფასის სრულად გადახდა მოხდა რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში. სასამართლომ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე განმარტა, რომ განვადებით ნასყიდობა გარკვეული სახით უზრუნველყოფაა მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე, რაც გავლენას ვერ მოახდენდა აღნიშნული ქონების სამართლებრივ რეჟიმზე.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 505-ე და 1158-ე მუხლები.

**48. საქმე №ას-578-544-2010****4 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ ბათილად სცნო მემკვიდრის მიერ თავისი წილის მიღებაზე უარის თქმის შესახებ სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება. სასამართლოს განმარტებით იმ პირობებში, როდესაც ცალსახად დგინდებოდა, რომ მოსარჩელემ(მემკვიდრემ) სამკვიდროზე მისი უფლების (მფლობელობის, სარგებლობის) შენარჩუნების პირობით გამოხატა ნება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ფაქტობრივად სადავო გარიგებაში გამოვლენილი მისი ნება არ შეიძლებოდა შეფასებულიყო სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად, რამდენადაც იგი ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არ აფიქსირებდა სამკვიდროს მიღებაზე უარს.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 1446-ე მუხლი.

**49. საქმე №ას-427-403-2013****25 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, თუმცა სრულად არ დააკმაყოფილა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა. სასამართლომ დაადგინა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მოსარჩელემ სხვა დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა, სადაც მას 1000 ლარით ნაკლები ჰქონდა ხელფასი ვიდრე გათავისუფლებამდე არსებულ თანამდებობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების მიზანი დასაქმებულის იმ მატერიალური მდგომარეობის აღდგენა იყო, რომელიც არსებობდა ზიანის მიმყენებლის უკანონო მოქმედების განხორციელებამდე, კონკრეტულ შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების მოშლამდე. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე სხვა ადგილას დასაქმდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხესთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე მას უნდა ანაზღაურებოდა მხოლოდ სხვაობა ძველსა და ახალ ხელფასს შორის, რომლის ოდენობა შეადგენდა 1000 ლარს.

**გამოყენებული ნორმა:** შრომის კოდექსის 32-ე და 44-ე მუხლები; სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლები.

**50. საქმე №ას-473-447-2012****13 მაისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა კომუნალური ბინის ფართზე მოპასუხის უფლებადაკარგულად ცნობის თაობაზე. „საბინაო კოდექსის“ საფუძველზე სასამართლომ განმარტა ის წინაპირობები, რომლებიც იწვევს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის № 73 ბრძანებულებით განსაზღვრულ პრივატიზების მოთხოვნის უფლების დაკარგვას.

**გამოყენებული ნორმა:** საბინაო კოდექსი.

**51. საქმე № ას-1234-1254-2011****17 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა შპს-ს კუთვნილი უძრავი ქონებისადმი, საზოგადოებაში მისი წილის პროპორციული მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე. სასამართლოს შეფასებით ის ფაქტი, რომ მოსარჩელე საზოგადოების 25%-ის მქონე პარტნიორია, არ გულისხმობს იმას, რომ იგი არის ყველა იმ ნივთის ერთი მეოთხედი წილის მესაკუთრე, რომელიც ირიცხება საზოგადოების სახელზე.

**გამოყენებული ნორმა:** „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლი; სამოქალაქო კოდექსის 24-ე და 963-ე მუხლები.

**52. საქმე № ას-1060-1090-2011****21 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი\***

**საქმის არსი:** სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს-ს სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ. სასამართლომ განმარტა, საჯარო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციას წინ უნდა უძღვოდეს არა მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, არამედ სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყველა პარტნიორის ნამდვილი ნებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად დაადგენს შპს-დან პარტნიორის გარიცხვის ლეგიტიმურობას.

**გამოყენებული ნორმა:** „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტები.

**53. საქმე № ას-117-111-2013****11 მარტი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** აღნიშნულ საქმეში სადავო იყო მოსარგებლის მიერ დაკავებული ფართის ოდენობა. სასამართლომ განმარტა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის ტერმინში — „დაკავებული საცხოვრებელი სადგომში“ მოიაზრებოდა, როგორც საცხოვრებელი ფართი, ისე დამხმარე ფართი, რომელიც ამ საცხოვრებელი ფართის განუყოფელი ნაწილია, წინააღმდეგ შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის ფუნქციონალური დანიშნულებისამებრ, საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. სააპელაციო პალატის შეფასებით, ადმინისტრაციული აქტით მოსარგებლისათვის საცხოვრებელ სადგომზე მოპოვებული უფლება ვრცელდებოდა არამარტო საცხოვრებელ ფართზე, რომელიც უშუალოდ ადმინისტრაციულ აქტში იყო მითითებული, არამედ საცხოვრებელი ფართის გამოყენებისათვის აუცილებელ დამხმარე ფართზეც როგორცაა: სველი წერტილები, ღია აივანი და სარდაფი.

**გამოყენებული ნორმა:** „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-8 და მე-11 პუნქტები.

**54. საქმე № ას-6-5-10****29 აპრილი, 2010 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ქალწულობასთან დაკავშირებით ქირურგიული ჩარევის ფაქტის არსებობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით შეილახა მისი პატივი და ღირსება.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

**55. საქმე № ას-1222-1073-10****13 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი გამოუყენებელი შევებულების ანაზღაურების თაობაზე. „ყოველწლიური ფასიანი შევებულების შესახებ“ კონვენციის საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ კონვენცია არ ითვალისწინებს დასაქმებულის ვალდებულებას, უთუოდ წერილობით და თავისი განცხადებით მოითხოვოს ანაზღაურებადი შევებულება. კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად გადამწყვეტია,

\* მსგავსი ტიპის საქმეზე იხ. სუსტ № ას-220-212-2012, 3 დეკემბერი, 2012 წელი.

რომ პირი იყოს გათავისუფლებული მეწარმის მიერ, არ ჰქონდეს გამოყენებული კუთვნილი შვებულება და ეროვნული კანონები ითვალისწინებდეს შესაბამისი ანაზღაურების გამოყენების საშუალებას. ამდენად, თუ არსებობს ზემოაღნიშნული სამი გარემოება, დასაქმებულს წარმოეშობა უფლება, მოითხოვოს გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება.

**გამოყენებული ნორმა:** „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციის მე-6 მუხლი.

## 56. საქმე №ას-3-3-2013

25 თებერვალი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** აღნიშნულ საქმეზე დადგინდა, რომ მოპასუხის მიერ იძულებით აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების ფართი რეალურად მეტი იყო, ვიდრე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და აუქციონზე გატანილი ოდენობა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის(უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრე) პოზიცია, რომ ადგილი ჰქონდა შეძენის უსაფუძვლო გამდიდრებას. სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმებით ქონებრივი წონასწორობის აღდგენისათვის საკმარისი არაა მხოლოდ შედეგის — სხვისი ქონების შეძენის, „მოხვეჭის“ ფაქტის არსებობა. მხოლოდ ისეთ პირობებში არის შესაძლებელი ადგილი ჰქონდეს უსაფუძვლო გამდიდრებას, როდესაც მიღებულ ქონებაზე სამართლებრივი ხარვეზის შესახებ პირს წინასწარ გააჩნია ინფორმაცია, ან ეს ხარვეზი მიმღებისთვის ცნობილი არ არის მისივე უხეში გაუფრთხილებლობის გამო.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 980-ე და 981-ე მუხლები

## 57. საქმე №ას-1155-1084-2012

14 იანვარი, 2013 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ მეუღლეთა თანასაკუთრებად ჩათვალა ავტომობილი, რომელიც შეძენილი იქნა ერთ-ერთი მეუღლის მიერ, თანაცხოვრების ფაქტობრივად შეწყვეტის შემდეგ. საქმეზე დადგინდა, რომ მხარეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ დაახლოებით 7 თვის განმავლობაში, რაც სასამართლომ არ მიიჩნია საკმარის დროდ იმისთვის, რომ მოსარჩელეს დაეკარგა თანასაკუთრების უფლება სადავო ავტომობილზე. სასამართლომ კანონის ანალოგიის სახით მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის მიხედვით, მეუღლის ქონებრივი უფლების გაქარწყლებისათვის კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს მეუღლეთა შორის ქორწინების ფაქტობრივ შეწყვეტას და მათ ცალ-ცალკე ცხოვრებას სულ ცოტა 3 წლის განმავლობაში.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 1158-ე და 1341-ე მუხლი.

## 58. საქმე №ას-480-454-2012

30 აპრილი, 2012 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** მითითებულ საქმეზე, სასამართლომ განმარტა თუ რა უნდა ჩათვლილიყო მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობით მიღებად, როცა სამკვიდროში შედიოდა არა კონკრეტული ნივთები, არამედ პრივატიზების უფლება. სასამართლოს მითითებით პრივატიზების უფლების რეალიზაციის მიზნებისათვის მიმართული ქმედება სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის კონტექსტში სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებად უნდა ჩაითვალოს.

**გამოყენებული ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1426-ე მუხლები.

## 59. საქმე №ას-977-1011-2011

12 ოქტომბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი

**საქმის არსი:** სასამართლომ დააკმაყოფილა ავტორთა საზოგადოების სარჩელი, ავტორის ნებართვის გარეშე მუსიკალური ნაწარმოების წინასაარჩევნო კლიპში გამოყენებისთვის. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა თუ როდის სცდება ნაწარმოების გამოყენება ამავე ნაწარმოების ჰიმნად შესრულების მიზნებსა და ჰიმნის ოფიციალურად შესრულების ფარგლებს.

**გამოყენებული ნორმა:** „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი.



**60. საქმე №ას-211-203-2013**

**3 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი**

**საქმის არსი:** აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ განმარტა იმ პირთა წრე, რომელთაც მიწის რეფორმის დროს განაწილებულ ნაკვეთებზე წარმოეშვათ უფლება.

**გამოყენებული ნორმა:** „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის № 949 დადგენილება; სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის № 29 დეკრეტი; „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის № 128 დადგენილება;

**17. არამართგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა**

№	საქმის ნომერი	განმარტების საგანი
1	№ ას-1586-1489-2012, 22 აპრილი, 2013 წელი № ას-1728-1710-2011, 23 იანვარი, 2012 წელი	სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი
2	№ ას-271-601-07, 19 ნოემბერი, 2007 წელი № ას-495-469-2011, 9 ივნისი, 2011 წელი	სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლი
3	№ ას-57-756-03 20 ნოემბერი, 2003 წელი № ას-238-571-07 12 აპრილი, 2007 წელი	სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი
4	№ ას-48-401-07, 8 ივნისი, 2007 წელი № ას-444-419-2011, 5 სექტემბერი, 2012 წელი	სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლი
5	№ ას-287-273-2013 25 ივნისი, 2013 წელი № 3კ-375 28 ივნისი, 2002 წელი	სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლი
6	№ ას-635-916-05 1 ნოემბერი, 2005 წელი № ას-169-163-2011 23 ივნისი, 2011 წელი	სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლი
7	№ ას-85-81-2013 21 თებერვალი, 2013 წელი № ას-1708-1602-2012 9 ოქტომბერი, 2013 წელი	სამოქალაქო კოდექსის 817-ე და 818-ე მუხლები
8	№ 3კ-1000-02 19 დეკემბერი, 2002 წელი № ას-1577-1480-2012 6 ივნისი, 2013 წელი	სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი
9	№ ას-263-248-10 14 ოქტომბერი, 2010 წელი № ას-1024-1296-09 9 მარტი, 2010 წელი	სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლი
10	№ ას-1328-1170-2010 06 ივნისი, 2011 წელი № ას-1343-1361-2011 31 იანვარი, 2012 წელი	წილის გასხვისების დროს დივიდენდის მოთხოვნის გადასვლა შემქმნე

**1. განმარტების საგანი: სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით.**

„ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის განჩინებით **№ ას-1728-1710-2011** საქმეზე დაუშვებლობის მოტივით განუხილველად იქნა დატოვებული საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელა-

ციო სასამართლოს განჩინებაზე. აღნიშნულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ 138-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადა შეწყდა საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი, რადგან საარბიტრაჟო შეთანხმება არ იყო სამართლებრივად ვარგისი. სააპელაციო სასამართლოს შემოაღნიშნულ განჩინებაში ვკითხულობთ:

„სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის, ამავე კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო სარჩელი განხილვისათვის კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს როგორც სასამართლო, ასევე კერძო არბიტრაჟი მხარეთა მიერ ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში. მართალია, სამართალწარმოება საქართველოში ხორციელდება საერთო სასამართლოების მეშვეობით, მაგრამ სახელმწიფო „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის შემოღებით უზრუნველყოფს სამართალწარმოების ალტერნატიულ საშუალებას. ამავე დროს, სასამართლო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი ერთ-ერთი შტო, უფლებამოსილია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გადასინჯოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და შეამოწმოს პირის უფლების ხელყოფის ფარგლები. საკითხის სადავოობა, ვარგისია თუ არა ერთ-ერთი მხარის მიერ გამოხატული ნება საარბიტრაჟო განხილვისათვის, არ შეიძლება შეფასდეს იმგვარად, რომ არბიტრაჟი არ წარმოადგენს სამოქალაქო უფლების დაცვისათვის კომპეტენტურ ორგანოს, მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც სარჩელი განხილულია არბიტრაჟის მიერ და არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სადავოობა წარმოადგენს სასამართლოში დამოუკიდებელი განხილვის საგანს. მასთან დამოკიდებული გარემოებების შეფასება მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას. ასეთი სახის პრეტენზიის არსებობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ ვერ გახდება არბიტრაჟის არაკომპეტენტურობის ცალსახად დადგენის საფუძველი, ასეთი დასკვნის საარბიტრაჟო განხილვის ეტაპზე გამოტანის შეუძლებლობა კი გამორიცხავს სარჩელის განხილვისათვის არბიტრაჟის არაკომპეტენტურ ორგანოდ მიჩნევას. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას უკავშირებს სარჩელის შეტანას. სარჩელის განხილვისათვის კი, როგორც აღინიშნა, კომპეტენტური შეიძლება იყოს როგორც სასამართლო, ასევე კერძო არბიტრაჟი. სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე, 138-ე მუხლების შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ თ. ს-ის მიერ 2007 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით 2009 წლის 21 სექტემბერს შეწყდა შესაბამისი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა, რომელიც დაიწყო 2008 წლის 13 თებერვლიდან. სასამართლოს 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო განხილვის შედეგის ბათილობა კი წარმოადგენდა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა ათვლის საფუძველს. თ. ს-ის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით 2009 წლის 21 სექტემბერს შეწყდა შესაბამისი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 29 აპრილს, სარჩელი კი, სასამართლოს წარედგინა 2011 წლის 5 აპრილს.“

სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლთან დაკავშირებით განსხვავებული განმარტება გაკეთდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაში № **ას-1586-1489-2012** საქმეზე. სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად არ მიიჩნია საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენა, რასთან დაკავშირებითაც გარკვეული პერიოდის შემდეგ შეწყდა საქმის წარმოება, რადგან მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმება არასრულფასოვანი იყო და იურიდიულ შედეგებს არ წარმოშობდა.

უზენაესი სასამართლოს შემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„საკაცის სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მტკიცებას და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა

შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საკუთარი მოთხოვნის დაცვის ნებას ავლენს და გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავს დარღვეული უფლების აღსადგენად, ამასთან, აღნიშნული ნორმის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ მხარის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი სარჩელი (განცხადება) წყვეტს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს. სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის დარღვევით გამოწვეული შედეგები კი, თავად მხარის რისკია.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-13 მუხლი ითვალისწინებდა ზოგად მითითებას, რომ დავა უნდა გადაწყვეტილიყო არბიტრაჟის ან სასამართლოსადმი მიმართვის გზით, ანუ მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმება არასრულფასოვანი იყო და იურიდიულ შედეგებს არ წარმოშობდა, ამ გარემოების გათვალისწინებით, როდესაც თ. მ-ემ საკუთარი არჩევანის შესაბამისად მიმართა შპს „ჯ. მ-ის“ მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს, მან სარჩელის განსჯადობის წესები დაარღვია, არაუფლებამოსილ ორგანოს მიმართა, რაც იმთავითვე გამორიცხავდა მხარის იურიდიული ინტერესის დაცვას და სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თ. მ-ემ არაუფლებამოსილ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყვეტილა, რაც სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა.“

## **2. განმარტების საგანი: სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლი. უარი სარჩელზე.**

„1. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

2. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.“

უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებაში **№ას-271-601-07** საქმეზე სკ-ის 140-ე მუხლთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველია პირის მხოლოდ ისეთი განცხადება, რომელიც სასამართლოს მიერ წარმოებაში იქნება მიღებული. აღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ:

„საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ხანდაზმულობას წყვეტს უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი განცხადება, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს, ხოლო თუ სასამართლო უფლებამოსილი პირის განცხადებას ან სარჩელს არ მიიღებს, ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყდება. სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ სს „თ...მა“ მისი განცხადების განუხილველად დატოვების შემდგომ ექვსი თვის ვადაში ახალი სარჩელით მიმართა სასამართლოს“.

2011 წლის 9 ივნისის განჩინებით, №ას-495-469-2011 საქმეზე, რომლითაც დაუშვებლად იქნა ცნობილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სკ-ის 140-ე მუხლთან დაკავშირებით ქვედა ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ზემოაღნიშნულ განმარტებასთან. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში ვკითხულობთ:

„სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ასეთი სარჩელის წარდგენის დროიდან არ ითვლება ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად, თუმცა დასახელებული წესიდან გამონაკლის შემთხვევას ადგენს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნული ნორმა სარჩელის განუხილველად დატოვებისას იგივე სარჩელის 6 თვის ვადაში წარდგენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადას პირველი სარჩელის წარდგენიდან ადგენს შეწყვეტილად. სარჩელის განუხილველად დატოვებაში არ იგულისხმება პროცესუალურ სამართლებრივი საფუძვლით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით) სარჩელზე გადაწყვეტილების მიღება, არამედ აღნიშნული ნორმა სარჩელის განუხილველად დატოვებაში მოიაზრებს ისეთ შემთხვევას, როდესაც სარჩელი არ იქნა არსებითად განხილული, რაც საპროცესო კოდექსის შესაბამისად უკავშირდება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას ან სარჩელის განუხილველად დატოვებას. ხოლო, იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელზე წარმოების დასრულებას არსებითი განხილვის გარეშე, კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს იგივე სარჩელით 6 თვის განმავლობაში, რა დროსაც ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან. სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შედეგს კანონმდებელი უკავშირებს კრედიტორის სუბიექტურ ნებას დაიცვას უფლება სასამართლო წესით, რაც დგინდება სასამართლოში სარჩელის წარდგენით (რეგისტრაციის ფაქტი).“

### **3. განმარტების საგანი: სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი. უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა.**

„უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2003 წლის 20 ნოემბერის განჩინებაში № ას-57-756-03 საქმეზე განიმარტა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტი. სასამართლოს განმარტებით უძრავი ქონების შეძენისას საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია კანონით დადგენილი ფორმით დადებული ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, რომლის გარეშეც ხელშეკრულება საკუთრების უფლებას არ წარმოშობს. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ აღნიშნა:

„სკ-ს 183-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სა-ნოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემდენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მოცემულ შემთხვევაში ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში ჯერ რეგისტრირებულია ა. მ-სა და ა. ნ-ს შორის გაფორმებული საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, შემდეგ კი — ა. მ-სა და ვ. ნ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. ვინაიდან უძრავი ქონების შეძენისას საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია კანონით დადგენილი ფორმით დადებული ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და რეგისტრაციის გარეშე ხელშეკრულება საკუთრების უფლებას არ წარმოშობს, ამიტომ საფუძველს მოკლებულია საკასაციო საჩივარი იმის შესახებ, რომ ვ. ნ-ს არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა მხოლოდ ვ. ნ-ის სახელზე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში 2000წ. 25 თებერვალს გაკეთებული ჩანაწერის ბათილობა, ა.მ-სა და ვ. ნ-ს შორის 1999წ. 8 ივნისის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაბათილების გარეშე. ამდენად, სასამართლომ სწორად ჩათვალა ვ. ნ-ის სახელზე სადავო საცხოვრებელი სახლის რეგისტრაცია ბათილად.“

განსხვავებულად განმარტა საკასაციო სასამართლომ უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის მომენტი 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებაში № ას-238-571-07 საქმეზე, სადაც აღნიშნა, რომ უძრავ ნივთზე სანივთო უფლების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ნივთის გამსხვისებელსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულება. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ:

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებები. აღნიშნული ნორმის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებები წარმოშობილია. საჯარო რეესტრში რეგისტრაციით ხდება მესაკუთრის აღრიცხვა, საჯარო რეესტრში მესამე პირებისათვის აუცილებელი ინფორმაციის განთავსება. უძრავ ნივთზე სანივთო უფლების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ნივთის გამსხვისებელსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულება.“

ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პირი უფლებამოსილი ხდება მოითხოვოს საჯარო რეესტრში მისი უფლების რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია არ წარმოადგენს ხელშეკრულების ფორმას. შესაბამისად, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველად მოცემულ შემთხვევაში ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულება.“

#### **4. განმარტების საგანი: სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლი. ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას.**

„თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.“

აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 8 ივნისის განჩინებაში № ას-48-401-07 საქმეზე განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის დათქმა კრედიტორის მიერ შესრულების ნებისმიერ დროს მოთხოვნის უფლებაზე, არ შეიძლება დროში განუსაზღვრელად იქნეს მიჩნეული და სკ-ის 365-ე მუხლის შინაარსი ამავე კოდექსის 129-ე მუხლის დანაწესებთან ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულებით ნავარაუდები ვალდებულების შესრულების ვადა ხელშეკრულების შინაარსთან შესაბამისობაში უნდა განიმარტოს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ კრედიტორს სრული თავისუფლება აქვს შეარჩიოს ვალდებულების შესრულების მომენტი, მაგრამ არც კრედიტორის მოთხოვნის უფლება არ არის უვადო. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის დათქმა კრედიტორის მიერ შესრულების ნებისმიერ დროს მოთხოვნის უფლებაზე, არ შეიძლება დროში განუსაზღვრელად იქნეს მიჩნეული. ნორმის აღნიშნული დანაწესი იმპერატიული არ არის და იგი სრულად არ ასახავს რეალურ ვითარებას (ნორმის ამ დანაწესის პირდაპირი და სიტყვასიტყვითი გაგების შემთხვევაში კრედიტორს ათეული წლების შემდეგაც უნდა მიეცეს შესრულების მოთხოვნის უფლება). ამ დასაბუთების გათვალისწინებით 365-ე მუხლის შინაარსი 129-ე მუხლის დანაწესებთან ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული.“

ხელშეკრულების პირობით, კრედიტორს — შპს „მ...ს“ სავარაუდოდ გონივრულ ვადაში უნდა წარედგინა მოვალისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც მოვალე ვალდებული იყო ასევე გონივრულ ვადაში გადაეხადა თანხა. ამ ვადების ათვლა უნდა მოხდეს 2001 წლის 20 მარტიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც მხარეთა მიერ დადასტურდა საწვავის გადაცემის ფაქტი. რაც შეეხება „ვადის გონივრულობას“, იგი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და არ არის გამორიცხული, რომ ასეთად ზოგჯერ დაუყოვნებლივი შესრულებაც იქნეს მიჩნეული, ანუ ვადის გონივრულობა თანხმობაში უნდა იყოს შესრუ-

ლების მიმართ კრედიტორის ინტერესთან და მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს მოვალეს. სადავო ურთიერთობაში კრედიტორის ინტერესი გამოხატულია და არც მოვალე აცხადებს პრეტენზიას ვალის არსებობაზე.

მოცემულ შემთხვევაში გამოსარკვევია რა ვადა უნდა იქნეს მიჩნეული ვალდებულების შესრულების ვადად ანუ რა ვადაში უნდა გადაეხადა შპს „აჭარის ე...ს“ შპს „მ...სთვის“ შესრულების საზღაური, როდის შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ შპს „მ...მ“, ამ უკანასკნელისათვის მოთხოვნის წარმოშობის გონივრულ მომენტად რა დრო უნდა იქნეს მიჩნეული და რა ვადაში შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით, სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით განხორციელება.

მხარეთა მიერ ნავარაუდები ვადის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს კომერციულ ბრუნვაში მიღებულ ტრადიციებს, კერძოდ, მეწარმე სუბიექტებს ურთიერთმიმართებაში შეიძლება უფრო მეტი ინტერესი გააჩნდეთ შემდგომი თანამშრომლობის მიზნით და შესაბამისად, ჩვეულებრივზე მეტი დრო დაუთმონ შესრულების მოლოდინს.“

განსხვავებული განმარტება გაკეთდა 2012 წლის 05 სექტემბრის განჩინებაში № 444-419-2011 საქმეზე, სადაც საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვალდებულების შესრულების კონკრეტული თარიღის მითითებლობის შემთხვევაში კრედიტორს ნებისმიერ დროს შეეძლო მოეთხოვა მოვალისაგან ვალდებულების შესრულება. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, ვინაიდან 2005 წლის 17 ივნისის წერილში ვალდებულების შესრულების კონკრეტული თარიღი მითითებული არ არის. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის გამოყენებას, რომლის მიხედვით, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან ზემოხსენებულ წერილში ვალდებულების შესრულების კონკრეტული თარიღი მითითებული არ არის, ამიტომ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეეძლო მოეთხოვა მოვალისაგან ვალდებულების შესრულება. ასეთ დროს, უფლების დარღვევის შესახებ კრედიტორი შეიტყობს მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას, ხოლო მოვალე უარს იტყვის შესრულებაზე. მოცემულ შემთხვევაში ირკვევა, რომ კრედიტორს 2010 წლამდე ვალდებულების შესრულება არ მოუთხოვია, შესაბამისად, იგი ამ დრომდე ვერც მისი უფლების დარღვევის შესახებ შეიტყობდა, ამიტომ სარჩელი ხანდაზმული არ არის.“

## **5. განმარტების საგანი: სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლი. საქონლის მიყიდვა რამდენიმე პირისათვის.**

„თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, უპირატესობა ეძლევა იმ მიყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო, თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ — მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო.“

2002 წლის 28 ივნისის განჩინებაში № 3კ-375 საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული ნორმა არეგულირებს მოძრავ ნივთის მიყიდვას რამდენიმე პირისათვის და არ შეიძლება მისი ანალოგიის წესით უძრავ ნივთებზე გავრცელება. განჩინების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო განმარტავს:

„საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადავო საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ მიჩნეულ უნდა იქნეს ვ. ნ-შვილი იმის გამო, რომ იგი ფაქტობრივად დაეუფლა ამ სახლს. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი, რადგან ამ ნორმის თანახმად კანონში პირდაპირ გაუთ-

ვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). კანონის ანალოგიის საფუძველზე პალატამ ასევე არასწორად გამოიყენა იმავე კოდექსის 485-ე მუხლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ, თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო. ამ ნორმის შინაარსით ირკვევა, რომ კანონი არეგულირებს მოძრავი ნივთის, საქონლის მიყიდვას რამდენიმე პირისათვის. ვ. ნ-ონს, ვ. ნ-შვილსა და ა. მ-ოვს შორის დავა კი ეხება უძრავი ნივთის, საცხოვრებელი სახლის მიყიდვას რამდენიმე პირისათვის. საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები უშუალოდ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით და ამიტომ კანონის ანალოგია არასწორად იქნა გამოყენებული.“

საწინააღმდეგო განმარტება გაკეთდა ამავე მუხლზე 2013 წლის 25 ივნისის განჩინებაში **№ ას-287-273-2013** საქმეზე, სადაც სასამართლომ ნორმის მოქმედება გაავრცელა უძრავი ნივთების შემთხვევაშიც. განჩინებაში ვკითხულობთ:

„სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისას განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლის მოქმედება მხოლოდ მოძრავი ნივთის მიმართ გამოიყენება და უძრავი ქონების თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების რეგულირებისათვის მისი გამოყენება მხოლოდ ანალოგიის წესითაა შესაძლებელი. სასამართლომ ეს პოზიცია დაამყარა ასევე იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში გარიგების საგანი იყო არა საქონელი, არამედ უფლება.“

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ დასკვნას, რადგანაც ის არც ნორმის სწორი განმარტებიდან და არც საკასაციო პალატის მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკიდან გამომდინარეობს.

სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლით რეგულირებულია შემთხვევა, როდესაც გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელმა უპირატესობა იმ მყიდველს მიანიჭა, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო, თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ — მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო. ნორმაში გამოყენებული „საქონლის“ ცნება გაგებულნი უნდა იქნას ამავე კოდექსის 147-ე მუხლის კონტექსტში და შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, კანონის ამ დანაწესით რეგულირებას ექვემდებარება როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებისა თუ უფლების რეალიზაციის საკითხი, ნორმის ამგვარი განმარტებაა ასახული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკაშიც.“

## **6. განმარტების საგანი: სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლი. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა.**

„1. გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში.“

2. ზიანის ანაზღაურების გამო გამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადისა — ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.“

აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით 2005 წლის 1 ნოემბრის განჩინებით **№ ას-635-916-05** საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მუხლი გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების შემთხვევაში აწესებს ზიანის ანაზღაურებაზე როგორც დამქირავებლის, ასევე გამქირავებლის მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ნ თვიან ვადას. განჩინების სამოტივაციო ნაწილში განმარტა:

„უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არასწორად განმარტა სკ-ის 129-ე და 573-ე მუხლები და არ გამოიყენა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები. სკ-ის 129-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი ადგენს რა სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადებს, ამავე მუხლის მესამე ნაწილით ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება, გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს — მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზოგადი ვადები, კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს სპეციალურ ვადებსაც, რაც განპირობებულია ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკურობით და იმ გარემოებით, რომ ზოგ შემთხვევაში სადავო გარემოებების სრულად და უტყუარად დადგენა დროის შედარებით მოკლე ფარგლებშია შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში სწორედ ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალური ვადაა კანონით დადგენილი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სკ-ის 573-ე მუხლი არასწორად იქნა განმარტებული და იგი ადგენს დამქირავებლის მიერ დამქირავებლისათვის პრეტენზიის წაყენების უფლებას და არა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას.

სამოქალაქო კანონმდებლობა სხვადასხვა ტიპის ვადებს იცნობს. მათ შორისაა, სამოქალაქო უფლებების განხორციელების ვადები, რომელიც სხვა ვადებთან ერთად გულისხმობს საპრეტენზიო ვადებს და უფლების დაცვის — ხანდაზმულობის ვადებს. საპრეტენზიო ვადა პირს აძლევს შესაძლებლობას ან ავალდებულებს (თუ კანონით ასეთი ვალდებულებაა დათქმული), მოსთხოვოს შესრულება უშუალოდ ვალდებულ პირს. სასარჩელო ხანდაზმულობა კი ეს არის კანონით დადგენილი დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც შელახულია, შეუძლია მოთხოვნის იძულებითი აღსრულება ან უფლების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. თუკი დარღვეული უფლების იძულებით დაცვის შესაძლებლობა კანონით განსაზღვრული ვადით არ იქნებოდა შეზღუდული, ეს გამოიწვევდა სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის გაძნელებას, ვინაიდან დიდია ალბათობა საქმესთან დაკავშირებული უტყუარი მტკიცებულებების დაკარგვისა, საქმეში მონაწილე პირების მიერ საქმის გარემოებების არაადეკვატურად აღქმისა და სხვა. ამრიგად, სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს რა სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილიზაციას, ამავდროულად ემსახურება სახელშეკრულებო დისციპლინის სიმყარეს და ეხმარება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების აქტიურად და დროულად განხორციელებაში. რაც შეეხება საპრეტენზიო ვადებს, სამოქალაქო კანონმდებლობით ასეთი დანაწესის დადგენა ნაკარნახევა სამართალწარმოების ეკონომიურობის მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ დარღვეული უფლების აღდგენის საკითხი მხარეთა შორის ნებაყოფლობით გადაწყდეს. საპრეტენზიო და ხანდაზმულობის ვადებს აქვთ როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები. ამდენად, კონკრეტულ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას ამ ურთიერთობათა სპეციფიკის გათვალისწინებით კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც საპრეტენზიო, ასევე, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადასაც, თუმცა მათი მყარი გამიჯვნა, ზემოაღნიშნული გარემოებების (განსხვავებული თანამდევნი სამართლებრივი შედეგები) გამო, აუცილებელია.

სკ-ის 573-ე მუხლის პირველი ნაწილით, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო დამქირავებელს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს, წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით, ზიანის ანაზღაურების გამო, დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადისა — ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ნორმით დამქირავებელთან მიმართებაში ნამდვილად არის მოხსენიებული ტერმინი „პრეტენზია“, მაგრამ მთლიანად, ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იგი საპრეტენზიო ვადად ვერ იქნება შეფასებული. სასამართლოს ეს დასკვნა ემყარება ნორმის მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინებით მუხლით დადგენილი დანაწესების ერთობლიობაში განხილვასა და შეფასებას. ამ ნორ-



მის ინტერპრეტაციისას საკასაციო სასამართლო კანონის ტექსტის საფუძველზე ადგენს რა კანონის აზრს, ნორმის დანაწესებს ერთ მთლიანობაში განიხილავს და არა განცალკავებულად. სადავო ნორმის სათაურში დასახელებულია რა ნორმით მოწესრიგებული სფერო — ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა. ეს მუხლი გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების შემთხვევაში აწესებს ზიანის ანაზღაურებაზე როგორც დამქირავებლის, ასევე გამქირავებლის მოთხოვნის სპეციალურ ვადას. ამდენად, აღნიშნული ნორმა ქირავნობის შეთანხმებიდან წარმოშობილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დარღვევის მხოლოდ ორი — გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების — შემთხვევისას ადგენს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადებს. ამ ნორმის განმარტებისას მხედველობაშია მისაღები მისი მეორე ნაწილიც, რომელიც განსაზღვრავს პირველ ნაწილში მითითებული ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტს და აწესებს, რომ დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის და არა საპრეტენზიო ვადის დენა იწყება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

ამრიგად, სკ-ის 573-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დამქირავებელს უფლება, წაუყენოს დამქირავებელს პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში, დამქირავებლის ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის კანონით გათვალისწინებულ სპეციალურ ვადას წარმოადგენს და იგი ამ მნიშვნელობით უნდა იქნეს გამოყენებული. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ დარღვეულია რა კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის გასვლა მატერიალური თვალსაზრისით გამორიცხავს პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობას.

ამავე მუხლთან დაკავშირებით განსხვავებული განმარტება გაკეთდა 2011 წლის 23 ივნისის განჩინებაში **№ ას-169-163-2011** საქმეზე. სასამართლოს აღნიშნა, რომ მითითებულ ნორმაში პრეტენზიის წარდგენა არ გულისხმობს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას და მოცემულ სამართალურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ზოგადი ვადები. განჩინებაში ვკითხულობთ:

„სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში. ზიანის ანაზღაურების გამო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადისა — ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. პალატა მიიჩნევს, რომ მითითებულ ნორმაში პრეტენზიის წარდგენა არ გულისხმობს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას. როგორც თვით ნორმიდან ირკვევა, პრეტენზიას წარუდგენს დამქირავებელი დამქირავებელს და აღნიშნულ მუხლში საუბარი არ არის ამ ვადაში სარჩელის სასამართლოში წარდგენის თაობაზე, შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილისა. გარდა ამისა, მითითებული ნორმა ითვალისწინებს დამქირავებლის უფლებას გაქირავებული ნივთის შეცვლის ან დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, ამდენად, განსახილველ დავასთან მას კავშირი არ აქვს, რაზეც უნდა გაემახვილებინა სააპელაციო სასამართლოს ყურადღება და არ გამოერკვია უძრავ ნივთს ისევ დამქირავებელი ფლობდა თუ არა.“

## **7. განმარტების საგანი: სამოქალაქო კოდექსის 817-ე და 81-ე მუხლები.**

### **მუხლი 817. სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდა**

„1. თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება.

2. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გადაცილებულია შესატანის ან პროცენტების გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან.“

**მუხლი 818. ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდის გამო**

„თუ დამზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის განჩინებით **№ ას-85-81-2013** საქმეზე დაუშვებლობის მოტივით განუხილველად იქნა დატოვებული საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 817-ე-818-ე მუხლები არ არის მავალდებულებელი, მაგრამ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და შემდეგ მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურება. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ:

„სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის თანახმად, თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ დარღვეულია შესატანის ან პროცენტების გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან; ამასთან, მხარეთა შორის დადებული 2010 წლის 8 თებერვლის საავიაციო რისკების დაზღვევის N3შპს/917-2010 ხელშეკრულების 4.3 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ პირობაზე: „წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის გადახდის ზემოაღნიშნული გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი გაუგზავნის შეტყობინებას დავალიანების შესახებ. თუ ასეთი შეტყობინების გაგზავნიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში დამზღვევი არ გადაიხდის სადაზღვევო პრემიის შესაბამის შესატანს, მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლის თანახმად, თუ დამზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი. წარმოდგენილი საავიაციო რისკების დაზღვევის N3შპს/917-2010 ხელშეკრულების 3.4.2 პუნქტის შესაბამისად, მზღვეველის — შპს „ს. კ. ვ-ის“ უფლებამოსილებას წარმოადგენდა დამზღვევის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების, მისი შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობების და მოთხოვნების შესრულების გაკონტროლება. იმავე ხელშეკრულების 3.4.9 პუნქტის შესაბამისად, მზღვეველი უფლებამოსილია, არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ ამ ხელშეკრულების და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მე-9 მუხლით კი, მხარეებმა გაითვალისწინეს ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლის სუბიექტებს ავალდებულებს იმოქმედონ კეთილსინდისიერების ფარგლებში. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და, ამავე დროს, აშკარა უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაზღვევო შესატანის შეთანხმებულ ვადაში გადაუხდელობისას, კანონმდებელი მზღვეველს ავალეებს გონივრულ ვადებში შეატყობინოს დამზღვევს მოსალოდ-

ნელი შედეგები. კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდა, რომ დამზღვევს სადაზღვევო შესატანი დროულად არ გადაუხდია. ამასთან, სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობის მიუხედავად, მზღვეველს დამზღვევი წერილობით არ გაუფრთხილებია მოსალოდნელ შედეგებზე. სამოქალაქო კოდექსის 817-ე-818-ე მუხლები არ არის მავალდებულებელი, მაგრამ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და შემდეგ მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შპს „თ-სა“ და შპს „ს. კ. ვ-ს“ შორის არსებული სადაზღვევო ურთიერთობა მოიშალა, რის შედეგადაც მზღვეველს არ აქვს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება; ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ვადის საგანს არ წარმოადგენდა ხელშეკრულების მოშლის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.“

მსგავსი ტიპის საქმეზე ამავე მუხლებთან დაკავშირებით განსხვავებული განმარტება გაკეთდა საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში № ას-1708-1602-2012 საქმეზე. სასამართლოს განმარტებით, კანონმდებელი 817-ე და 818-ე მუხლებით ადგენს მზღვეველის უფლებას შესაბამისი ფორმით განსაზღვროს პრემიის გადახდის დამატებითი ვადა, ასევე კანონით დადგენილი ფორმის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება, თუმცა მზღვეველის მიერ აღნიშნული უფლების გამოუყენებლობა მისი, როგორც ხელშეკრულების მხარის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიიჩნია ის გარემოება, რომ მხარეთა შორის სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეწყვეტილი იყო, რაც გამორიცხავდა დამზღვევის ვალდებულებას, ანაზღაურებინა მზღვეველისათვის სადაზღვევო პრემია. სააპელაციო პალატამ ეს დასკვნა დაამყარა სამოქალაქო კოდექსის 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლებს და განმარტა, რომ მიუხედავად ნორმათა არამავალდებულებელი ხასიათისა, სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანიამ მისი უფლებები კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს, რათა დამზღვევის ხელშეკრულების სუსტი მხარე არ აღმოჩნდეს უარეს ვითარებაში. პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, თუ პრემიის შეტანის ვადის გადაცილების გამო მზღვეველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ვითარებაში, დაუშვებელია ძალაში დარჩეს დამზღვევის ვალდებულება, გადაიხადოს სადაზღვევო პრემია.

სს „ს. კ. ვ. ა. ჰ-ი“ არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რასაც საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები შედავება წარმოადგინა.

მხარის ზემოაღნიშნული შედავებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს სასამართლოს მიერ დამზღვევის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების განმარტების სისწორე, კერძოდ ის გარემოება, დამზღვევის მიერ პრემიის შეტანის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, თუ მზღვეველი არ აფრთხილებს მას წერილობით და არ განუსაზღვრავს ვადას, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ხელშეკრულების შეწყვეტილად მიჩნევის საფუძველად.

ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოსავალ პრინციპს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიღწევა წარმოადგენს, სამოქალაქო კოდექსი ორიენტირებულია პირველადი მოთხოვნის — ვალდებულების შესრულების მიღწევაზე, რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლასა თუ ხელშეკრულებიდან გასვლას, აღნიშნულიც თავისთავად მხარეთა ნებაზე დამოკიდებული და კანონმდებელი ამომწურავად განსაზღვრავს თითოეულ ამ ინსტიტუტს. სადაზღვევო პრემიის შეტანის

მარეგულირებელი ნორმები, მათ შორის 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები არ წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის ნორმებს და ცალსახად არ ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობას, კანონმდებელი 817-ე და 818-ე მუხლებით ადგენს მზღვეველის უფლებას შესაბამისი ფორმით განსაზღვროს პრემიის გადახდის დამატებითი ვადა, ასევე კანონით დადგენილი ფორმის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება, თუმცა მზღვეველის მიერ აღნიშნული უფლების გამოუყენებლობა მისი, როგორც ხელშეკრულების მხარის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს.

სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის დათქმა, რომ თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება, არ შეიძლება განმარტებულ იქნას ამავე მუხლის მე-2 ნაწილისაგან განყენებულად, რადგანაც ნორმის მე-2 ნაწილით დადგენილია მზღვეველის მიერ შეტყობინების უფლების გამოუყენებლობისათვის ერთგვარი სამოქალაქოსამართლებრივი სანქცია, კერძოდ ის, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა მას წარმოუშობს სადაზღვევოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანია წერილობით გააფრთხილებს დამზღვევს პრემიის გადახდის თაობაზე და 2-კვირიანი ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევოს შემთხვევა, ამ ვადის გასვლამდე მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი შემთხვევა, მიუხედავად იმისა, დამზღვევს გადაცილებული აქვს თუ არა პრემიის შეტანის ვადა.

რაც შეეხება ამავე სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლის დათქმას, პრემიის შეტანის ვადის გადაცილების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, აღნიშნულიც სწორედ უფლებადამდგენი ნორმა და იგი არ შეიძლება აყვანილ იქნას ვალდებულების რანგში.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ კანონის ამგვარი განმარტება სახელშეკრულებო თანასწორობის ბალანსის დარღვევას არ იწვევს, რადგანაც დაზღვევის ურთიერთობის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები ითვალისწინებს იმ კერძო (სპეციალურ) შემთხვევებს, როდესაც დამზღვევს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე (სკ 815.2; 819), ამასთანავე, საყურადღებოა, რომ თუ სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში მხარეები რაიმე განსხვავებულ წესს არ დაადგენენ, ამ ურთიერთობის მიმართ თავისუფლად ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც მხარის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას განამტკიცებენ (მაგ. სკ 399-ე მუხლი).

საკასაციო პალატა იზიარებს სს „ს. კ. ჯ. ა. ჰ-ის“ მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ არასწორად ჩათვალია მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება შეწყვეტილად. სასამართლოს ეს მოსაზრება ემყარება მხოლოდ ვარაუდს, რომ დამზღვევის მიერ პრემიის გადაუხდელობისას როდესაც სადაზღვევო კომპანიამ წერილობით არ განუსაზღვრა ვადის დამრღვევს შესრულების დამატებითი ვადა, მხარეთა ორმხრივი ინტერესიდან გამომდინარე, ხელშეკრულება შეწყვეტილად უნდა ჩათვლილიყო. სასამართლომ ეს მოსაზრება გაამყარა იმ არგუმენტითაც, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების მოთხოვნით დამზღვევს კომპანიისათვის არ მიუძღრათავს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ მსჯელობას, რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისკენ მიმართული ერთ-ერთი მხარის ნამდვილი, ცალმხრივი ნების (ხელშეკრულებიდან გასვლა) არსებობა არ არის დადგენილი. სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

ამდენად, ხელშეკრულების შეწყვეტად სწორედ ამ საფუძვლებიდან გამომდინარე ვერ იქნება მიჩნეული შპს „მ-ის“ ის ქმედება, რომ მან სადაზღვევო კომპანიას არ მიმართა სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

გემოლნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიდის იმ დასკვნამდე, რომ 2010 წლის 31 მარტს სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ მიერ გაცემული სერტიფიკატების საფუძველზე წარმოშობილი სადაზღვევო ურთიერთობა ვადის ამოწურვამდე არ შეწყვეტილა.“

## **8. განმარტების საგანი: სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი. სავალდებულო წილი.**

„მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი).“

აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით 2002 წლის 19 დეკემბრის განჩინებით № 3კ-1000-02 საქმეზე საკასაციო სასამართლომ ბებიის სამკვიდროზე შვილიშვილი ჩათვალა სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირად იმ პირობებში, როცა სამკვიდროს გახსნის მომენტისთვის ცოცხალი არ იყო მისი მშობელი(მამკვიდრებლის შვილი). გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ:

„საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ბ.-ს ჰყავდა სამი შვილი: მ., ს. და ც. ბ.-ები. მ. ბ.-ე გარდაიცვალა 1979 წელს, რომელსაც დარჩა ქალიშვილი ე. ბ.-ე. ნ. ბ.-ე გარდაიცვალა 2001წ. 6 მაისს. გარდაცვალებამდე, 1979 წელს, მან მთელი თავისი ქონება, მათ შორის, ... მდებარე ერთსართულიანი სახლი დაუტოვა ქალიშვილებს. პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა ე. ბ.-ის სარჩელი.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ ე. ბ.-ს არ შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, რომ ასეთის მოთხოვნის უფლება მამკვიდრებლის შვილებს აქვთ და არა — შვილიშვილებს, რადგან სკ-ს 1371-ე მუხლის თანახმად მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, მ. ბ.-ს, ცოცხალი რომ ყოფილიყო მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ანდერძი, მაინც მიეკუთვნებოდა სავალდებულო წილი, რაც სამკვიდრო ქონების 1/6-ს შეადგენს. სკ-ს 1336-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შვილიშვილი წარმოადგენს კანონით მემკვიდრეს იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის, ნ. ბ.-ის, შვილის, მ. ბ.-ის, გარდაცვალების გამო მისი წილი სამკვიდრო მის შვილზე — ე. ბ.-ზე გადავიდა. ამავე კოდექსის 1372-ე მუხლის თანახმად სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშვება სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით.“

საწინააღმდეგო განმარტება გაკეთდა უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებაში № ას-1577-1480-2012 საქმეზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ მამკვიდრებლის გარდაცვალებას წინ უსწრებს სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი გარდაცვალება, წილის მიღების უფლებამოსილება მემკვიდრეობით ვერ გადავა მემკვიდრეებზე. სასამართლოს განმარტა:

„საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ე. ბ.-ის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პირველ რიგში სწორად უნდა განიმარტოს სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები.

სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ სავალდებულო წილის მიღების უფლება, კერძოდ, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას იმის შესახებ, რომ სავალდებულო წილის ინსტიტუტის შემოღებით, კანონმდებელმა შეზღუდა რა ანდერძის თავისუფლება, გაითვალისწინა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა, მათ შორის შვილიშვილების ინტერესები, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის

მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ შეესაბამება როგორც კანონის სიტყვა-სიტყვით, ასევე ლოგიკურ და სისტემურ განმარტებას. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი:

კანონით მემკვიდრეობის და სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა თავში და ისინი წარმოადგენენ სპეციალურ ნორმებს. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ ისინი გარკვეულ შემთხვევებში ავსებდნენ ერთმანეთს. მაგალითად: სამოქალაქო კოდექსის 1374-ე მუხლის თანახმად, თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო. კანონით მემკვიდრეთა წრე კი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლში. შესაბამისად, ამ ორი ნორმის ერთობლიობაში გამოყენება-განმარტების გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილ იქნეს სავალდებულო წილის მოცულობის საკითხი.

კანონით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 1336-ე-1343-ე მუხლები) არ შეიცავს რაიმე დათქმას სავალდებულო წილზე, ხოლო რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის შინაარსს, მასში აღწერილია სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირები არა ზოგადად კანონით მემკვიდრეთა წრიდან, არამედ კონკრეტულად, სხვა ნორმაზე მითითების გარეშე, ხოლო მათ შორის მამკვიდრებლის შვილიშვილები მოხსენიებული არ არის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის გამოყენებას განსახილველი შემთხვევისათვის აფერხებს ასევე ამავე კოდექსის 1306-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, რომლის თანახმადაც, კანონით მემკვიდრეობა, გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ნორმა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ შეიცავს, იგი, როგორც ზოგადი ნორმა, სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის ლოგიკური განმარტებისათვის შემოწმებას მოითხოვს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ანდერძი მოიცავს მთელ სამკვიდროს, ამასთან, ანდერძი არ არის შეცვლილი მოსარჩელის მიერ. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ სავალდებულო წილის უფლების დადგენისათვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული კანონით მემკვიდრეობის ნორმები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მამკვიდრებლის, ე. გ-ის გარდაცვალებას წინ უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის, ე. ბ-ის მამის — ს. ბ-ის გარდაცვალება. სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სავალდებულო წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას. ე. გ-ის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალების შემდეგ, 2005 წლის 16 თებერვალს, შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლებით შეეძლოთ ესარგებლათ მხოლოდ ამ მომენტისათვის ცოცხლად მყოფ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს. ვინაიდან ე. ბ-ის მამა გარდაიცვალა 1996 წლის 27 დეკემბერს, ლოგიკურია მოსარჩელის მამას ვერ წარმოეშობოდა სავალდებულო წილის მიღების უფლება.

მართალია სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის მეორე წინადადება ითვალისწინებს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ტრანსმისიას, თუმცა, ამავე ნორმის თანახმად, ტრანსმისია დასაშვებია თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ისე, რომ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. შესაბამისად, სპეციალური ნორმის არსებობისას, შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი ტრანსმისია.“

## 9. განმარტების საგანი: სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლი. საკუთრების წარმოშობა სამკვიდროზე.

„მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.“

2010 წლის 09 მარტის განჩინებით № ას-1024-1296-09 საქმეზე, მითითებულ მუხლთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ კანონით დადგენილ ვადაში ნოტარიუსისათვის მიმართვა სამკვიდროს მიღების თაობაზე ან სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება საკმარისია მემკვიდრისათვის სამკვიდროს მესაკუთრის სტატუსის დასადგენად. განჩინების სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ:

„სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმებს, რომ მან სამკვიდრო მიიღო, ხოლო ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.“

მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ გ. მ-შვილმა 2005 წლის 1 მარტს მიმართა ნოტარიუს ე. ბ-იანს და მოითხოვა, მამის — 2005 წლის 21 თებერვალს გარდაცვლილი, მამკვიდრებელ იუ. მ-შვილის დანაშთ ქონებაზე დ. ზ-იასთან, ი. და რ. მ-შვილებთან თანაბარ წილში სამკვიდრო მოწმობის გაცემა. ამდენად, გ. მ-შვილმა კანონით დადგენილ ვადაში მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღების შესახებ, რაც კანონის თანახმად, მის მიერ სამკვიდროს მიღების უდავო დასტურია.

სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლით, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. მითითებული ნორმის შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გ. მ-შვილი მემკვიდრეობის მიღებით სამკვიდრო ქონებაში მისი წილის მესაკუთრე გახდა მემკვიდრეობის გახსნის დღიდან — 2005 წლის 21 თებერვლიდან. ამავდროულად დადგენილია, რომ გ.მ-შვილს თავისი საკუთრების უფლება არავისთვის არ გადაუცია და მასზე ვინმეს სასარგებლოდ უარი არ უთქვამს. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი მოქმედების განხორციელება საკმარისია სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენისათვის, რაც ამავე კოდექსის 1433-ე მუხლით ავტომატურად იწვევს მემკვიდრისათვის სამკვიდროს მესაკუთრის სტატუსის დადგენას.“

განსახილველ მუხლთან დაკავშირებით განსხვავებული განმარტება გაკეთდა, 2010 წლის 14 ოქტომბრის განჩინებით № ას-263-248-10 საქმეზე. სასამართლომ მიუთითა, რომ უძრავი ნივთის მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში, მასზე საკუთრების უფლების შექმნისათვის აუცილებელია მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. განჩინების სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ:

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სამკვიდროს მიღების წესს, რომლის თანახმად სამკვიდრო მიღებულად ითვლება სანოტარო ორგანოში სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანით ან სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით ან მართვით.“

კონკრეტულ შემთხვევაში დავის შინაარსი უკავშირდება მცხეთის რაიონში, სოფელ დილოში მდებარე უძრავ ქონებას. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული წესით უძრავი ნივთის მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში დატული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს უძრავი ნივთების საკუთრების შექმნის წესს. ამდენად, უძრავი ნივთის მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში, მასზე საკუთრების უფლების შექმნისათვის აუცილებელია მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რაც არ განხორციელებულა. ამ დანაწესების დაცვის შემთხვევაში მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად.“

## 10. განმარტების საგანი: წილის გასხვისების დროს დივიდენდის მოთხოვნის გადასხვა შემძენზე

მითითებულ საკითხთან დაკავშირებით 2011 წლის 06 ივნისის გადაწყვეტილებაში № ას-1328-1170-2010 საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ წილის დათმობით დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა ავტომატურად არ ხდება წილის მიმღებზე და ამისათვის აუცილებელია წილის დათმობის (გასხვისების) დროს ხელშეკრულებაში სპეციალურად აღინიშნოს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემის თაობაზე. სასამართლომ განმარტა:

„საკასაციო პალატის მოსაზრებით, წილის პროპორციული მატერიალური აქტივი, მოცემულ შემთხვევაში, გულისხმობს არა ზოგადად დივიდენდის მიღების უფლებას, არამედ დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში გააჩნდა „წილის დამთმობს“. სხვაგვარად, წილთან ერთად დივიდენდის მიღების უფლების დათმობის თაობაზე ხელშეკრულებაში სპეციალური მითითების აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან დივიდენდის მიღების უფლება განუყრელადაა დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდება. სხვა საკითხია დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ვინაიდან იგი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამდენად, წილის დათმობის (გასხვისების) დროს ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა აღინიშნოს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში ეს პირობა დაცულია, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებულია არა მხოლოდ წილის დათმობის, არამედ ამ წილის პროპორციული მატერიალური აქტივის დათმობის თაობაზეც, რაც, უპირველესად, გულისხმობს ხელშეკრულების დადებისას არსებულ და არა სამომავლო აქტივს. წილის დათმობის ხელშეკრულების დადების მომენტში კი, წილის პროპორციულ მატერიალურ აქტივს შეიძლება წარმოადგენდეს სწორედ დივიდენდის მოთხოვნის უფლება. ამდენად, ნ. ს-შვილმა წილთან ერთად დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობით დაკარგა მოპასუხისაგან მისი მოთხოვნის უფლება.“

მითითებული საკითხი განსხვავებულად იქნა განმარტებული 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით № ას-1343-1361-2011 საქმეზე. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ წილის გასხვისების შემთხვევაში, თავდაპირველი მესაკუთრის მიერ არარეალიზებული დივიდენდის მოთხოვნის უფლებაც გადადის შემძენზე, თუ მხარეების სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ:

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ შპს-ს კაპიტალში პარტნიორის წილი წამოადგენს საზოგადოების პარტნიორობიდან გამომდინარე ქონებრივ-სამართლებრივი სიკეთის მოთხოვნის უფლებას. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე — საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. დივიდენდის მიღების უფლება განუყრელად არის დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. რაც შეეხება თავად წილს, იგი, როგორც უფლება, სამოქალაქო ბრუნვის ნაწილია და შეიძლება თავისუფლად გასხვისდეს სხვა პირზე.



უფლების გასხვისებასთან (დათმობასთან) დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 წიგნის მე-3 კარის III თავი — საკუთრების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე.

სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ.

მოცემული ნორმა ცხადყოფს, რომ უფლების დათმობის შემდეგ შემძენზე გადადის ამ უფლებიდან მისაღები ყველა ქონებრივ-სამართლებრივი სარგებელი, მათ შორის ისეთიც, რომელიც გასხვისებამდეა წარმოშობილი და უფლების თავდაპირველ მესაკუთრეს არ მოუთხოვია. აღნიშნული ნორმა ვრცელდება შპს-ში წილის გასხვისების შემთხვევაზეც, ამდენად, წილის გასხვისების შემდეგ, შემძენს გადაეცემა ამ წილიდან გამოდინარე ყველა მოთხოვნა. რაც შეეხება კონკრეტულად დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, მისი დათმობა შესაძლებელია ცალკე უფლების სახით წილის გადაუცემლად, ხოლო წილის გასხვისების შემთხვევაში, თავდაპირველი მესაკუთრის მიერ არარეალიზებული დივიდენდის მოთხოვნის უფლება ასევე გადადის წილის შემძენზე, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, რადგანაც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების არსებობა დივიდენდების განაწილების თაობაზე არ წარმოშობს კონკრეტული პარტნიორის მიერ მისი ავტომატურად მიღების ვალდებულებას.“

